

ალექსანდრე კალანდაძე

ქართული ჟურნალისტიკის ისტორია III

(1863—1871)

დამხმარე სახელმძღვანელოდ დაამტკიცა საქართველოს სსრ
უმალღესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ

რედაქტორი პროფ. ნ. ტ ა ბ ი ძ ე

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი 1985

95(21)
07(47.922)
ა. 183

„ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ შესაბამე წიგნი ეძღვნება სალიტერატურო ჟურნალებს — „საქართველოს მოამბეს“ და „კრებულს“.

მასში გაშუქებულია ამ ორგანოების მოღვაწეობის მთავარი პრობლემები, მათი როლი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების, მწერლობისა და კულტურის განვითარებაში. ნაჩვენებია თერგდალეულთა ბრძოლა მაღალიდევური, მაღალმხატვრული ხელოვნებისათვის, ეპოქის მოწინავე შეხედულებების დასამკვიდრებლად. აღდგენილია მივიწყებული მწერალთა და ჟურნალისტთა პორტრეტები, დახასიათებულია მათი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა 60-იან წლებში.

რეცენზენტები: პროფ. შ. გოზალიშვილი,
დოც. დ. ჩიქვილაძე

60602—083
K—230—85
M—602(08)—85

© გამომცემლობა „განათლება“

ჟურნალი «საქართველოს მოამბე»

შესავალი

ქართული ლიტერატურის, ყურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში „საქართველოს მოამბემ“ განსაკუთრებული როლი შეასრულა. ამ ყურნალის საუკეთესო ტრადიციები საფუძვლად დაედო ქართული კულტურის, მწერლობისა და მეცნიერების მთელს შემდგომ წინსვლას. ეს ყურნალი გახდა 60-იანი წლების მოწინავე იდეების ცენტრი. მისი მოღვაწეობა, ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა ყველაზე მკაფიო დადასტურებაა თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამისა და იდეური მრწამსისა. ბევრი რამ, რითაც ამჟამობს ჩვენი ლიტერატურა, „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა. ილია ჭავჭავაძის რევოლუციურ-დემოკრატიულმა მისწრაფებებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ „ცისკარში“ გაიღვეს, „საქართველოს მოამბეში“ ფართო ასპარეზი ჰპოვეს. თანამედროვეთა სიტყვით რომ ვთქვათ, ეს იყო „პირველი ევროპული ხასიათის ყურნალი ჩვენში“, რომელმაც ნათელყო საერთოდ პრესის დიდი როლი ხალხის ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ხელთ ეპყრა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების, კულტურისა და ლიტერატურის დროშა. მის კალამს არასოდეს მოჰკიდებია ჟანგი, არასოდეს გახუნებულა მისი სიტყვა, მაგრამ ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის ამ შეუწინაღებელ დინებაში მაინც გამოირჩევა 1861—1863 წლები, როცა ჭავჭავაძემ ილია ჭავჭავაძემ სამშობლო ქვეყნის აზროვნებასა და ლიტერატურას ისეთი ძალა მისცა, რომელიც მთელი შემდგომი წინსვლის საწინდრად გადაიქცა; მომდევნო თაობებს მუდამ მხედველობაში ჰქონდათ ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის განვითარების ეს მიღწევა, ამიტომ ისინი ცდილობდნენ არ შეენელებინათ ტემპი. არ დაშვებულნიყვნენ იმ სიმალიდან, რომელზედაც „საქართველოს მოამბე“ ავიდა.

ახალგაზრდა რედაქტორს იმთავითვე ღრმად ჰქონდა შეგნებული თავისი გაბედული წამოწყების მნიშვნელობა და გატაცებით მოეკიდა საქმეს. ამის შედეგია, რომ „საქართველოს მოამბე“ გვაოცებს არა მარტო მდიდარი შინაარსით, არამედ კარგი გაფორმებითა და დაბეჭდილი მასალის ფენომენალური რედაქტირებით. მკითხველი გრძნობდა,

რომ ეს იყო ქართული ბექდვის კულტურისათვის შთაგონებული ბრძოლა.

ჩვენს თვალწინ წარმოდგება ილია ჭავჭავაძე, როგორც ახალი ტიპის მწერალი და მოღვაწე, თავისი შესანიშნავი თვისებებით: ძვალსა და სისხლში გამჯდარი პასუხისმგებლობა, უზომო შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, იდეურობა, ხალხის წინაშე მოვალეობის გრძნობა.

მღელვარედ მოელოდა ახალგაზრდა რედაქტორი თავის უურნალს, მას ბევრი ჰქონდა სათქმელი, ვრცელ ასპარეზს ხედავდა სამოქმედოდ და მოსალოდნელ სიძნელეებსაც კარგად გრძნობდა, მაგრამ ზედმეტი დაპირებებისაგან თავს იკავებდა და პროგრამაში მხოლოდ თავმდაბლად აცხადებდა: „რაც შეეხება უურნალის ხასიათსა და მიმართულებას, იმაზედ არაფერს ვიტყვით. ჩვენ ვარჩიეთ, რომ თითონ უურნალმა გამოაჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინასიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ“.

უურნალმა მართლაც პირველი ნომრიდან „გამოიჩინა თავი“ და პროგრესული საზოგადოებაც აღტაცებით მიეგება მას.

საზოგადოების არც ერთი ფენა არ დარჩენილა ამ უურნალისადმი გულგრილი. რეაგირებას, მითქმა-მოთქმას იწვევდა როგორც დაბეჭდილი მასალა და თანამშრომელთა შემადგენლობა, ისე უურნალის გაფორმება და, ასე გასინჯეთ, სატიტულო ფურცლის წარწერაც კი.

1863 წელს ნიკ. ყიფიანი წერდა: «Говорят, что грузинское общество приняло к сердцу то, что на первой странице «Грузинского вестника»... напечатано «Издается Ильею Чавчавадзе», а не «князем Ильею Чавчавадзе» (ხაზი ჩემია. — ა. კ.), Говорят, к тому же, что некоторые из наших князей намерены нести в суд и в палату жалобу на Чавчавадзе за то, что он осмелился унизить этим достоинство грузинских князей»¹.

იონა მეუნარგიაც გადმოგვცემს: „მეშჩანურ წრეებში ხმა გაუერცხლებიათ „საქართველოს მოამბეზე“ — დემოკრატიჩესკი უურნალი გამოვიდაო“².

„საქართველოს მოამბე“ ჩვენში სრულიად ახალი სახის გამოცემა იყო. რუსეთში, როგორც ცნობილია, იმ დროს უკვე დამკვიდრებული იყო ე. წ. „სქელი უურნალი“. მანამდე ყოველთვიური გამოცემები მხოლოდ მხატვრულ-ლიტერატურულ და, ნაწილობრივ, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა. 60-იან წლებში უურნალის სახე შეიცვალა: მას შესაძლებლობა მიეცა გამომხაურებოდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოვლენებს. ადრინდელ განყოფილებებს შეემატა ახალი:

¹ „მნათობი“, 1960, №10, გვ. 174.

² „მნათობი“, 1936, № 5—6, გვ. 235.

„პოლიტიკური მიმოხილვა“, „შინაური მიმოხილვა“, „საზოგადოებრივი ცხოვრება“, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ფელეტონი, წერილები პოლიტიკურ და ეკონომიკურ თემებზე. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შედეგად, „სქელი ჟურნალის“ ეს ნიშნები 60-იანი წლების დასაწყისში „ცისკარსაც“ დაეტყო, მაგრამ მეტად მკრთალად. 1861 წლამდე იგი, ამ მხრივ, პოლევოა „მოსკოვსკი ტელეგრაფისა“ და ნადეჟდინის „ტელესკოპის“ ფარგლებს არ გასცილებია. „საქართველოს მოამბით“ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ნამდვილი გარდატეხა, ძირეული შემობრუნება დაიწყო.

გ. თუმანიშვილი სწორად შენიშნავს: «Широкое общественное значение грузинская журналистика и литература получила у грузин после появления «Сакартвелос моამბე»!».

ჟურნალის იდეური პოზიცია თავიდანვე მკაფიოდ გამოისახა, მაგრამ მკვლევართა შორის ამ საკითხზე დღესაც არსებობს აზრთა ერთგვარი სხვადასხვაობა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მომენტით ნაკარნახევ პოლემიკურ გადახვევებს, ნიკო ნიკოლაძემ პროგრესული საზოგადოების ერთიანი თვალსაზრისი გამოხატა „საქართველოს მოამბის“ მიმართულების თაობაზე, როცა განაცხადა: „...დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე, მაგრამ არც 1863 წელს იყო ეს დაფარული ვრცელსთვის, ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა გზა, შეექმნა ახალი სასოციალურო მიზანი — მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება“².

უთუოდ ნიშანდობლივია, რომ ჟურნალის გამოსვლის პირველი დღეებიდანვე გავრცელდა მეტაფორული გამოთქმა „საქართველოს მოამბემ“ „სოვრემენიკის“ ფერი კაბა ჩაიცვაო“. იგულისხმებოდა, რომ ეს ჟურნალი „ერის ცხოვრების ისტორიულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა“ მახური გახდა³. რადგან „სოვრემენიკი“ სწორედ ამგვარი საძსახურის იდეალად ესახებოდა იმდროინდელ მოწინავე ახალგაზრდობას. თანამედროვეთა უშუალო შთაბეჭდილების დადასტურებას წარმოადგენს ზაქარია კიკინაძის სიტყვები: „საქართველოს მოამბე“ პირდაპირ „სოვრემენიკს“ მოგვეგონებსო“⁴.

ასეთი შედარება განსაკუთრებით საგულისხმოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ „საქართველოს მოამბე“ გამოსაცემად მზადდებოდა და

¹ Г. Туманов. Характеристики и воспоминания. III, 1907 г., стр. 178, 179.

² ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872, № 10—12, გვ. 154.

³ „საქართველოს კალენდარი“, 1904, გვ. 492.

⁴ ზ. კიკინაძე, „ილია ჭავჭავაძე ქართველთა ერთობის მღალადებელი“, 1897, გვ. 31.

გამოდიოდა რუსეთში პირველი რევოლუციური სიტუაციის წლებში, როცა არა მარტო ცენტრალურ ქალაქებში, არამედ პროვინციებშიც მოქმედებდნენ არალეგალური წრეები და ორგანიზაციები, მზადდებოდა აჯანყება და მთელი ამ მოძრაობის ძაფები თავს იყრიდა „სოვერემენი-ში“.

„საქართველოს მოამბემ“ შეამკვიდროვა პროგრესული ინტელიგენცია, მოწინავე მოღვაწეთა კრებული დარაზმა ხალხის ინტერესებისათვის საბრძოლველად, გაათავოთოვა ქართული ნაბეჭდი პროდუქციის სამოქმედო ასპარეზი: მან მწვავედ დააყენა თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური პრობლემები: ბატონყმობის მოსპობა, თვითმპყრობელობის დამხობა, შრომის სუფევა, ეროვნული განთავისუფლება, ხალხის გათვითცნობიერება, — როგორც წანამძღვრები და მიზნები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც აქედან მოკიდებული მძლავრი გასაქანი მიეცა.

ამ ფართო და გაბედული პროგრამითაა გაშუქებული ილია ჭავჭავაძის წერილი „საქართველოს მოამბეზედ“; ქართული აზროვნების ისტორიაში აქ პირველად არის მოცემული ფილოსოფიაში მატერიალიზმის, ხოლო ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის მეცნიერული დასაბუთება.

„საქართველოს მოამბისათვის“, ისევე, როგორც მისი შეუპოვარი რედაქტორისათვის, იმთავითვე დამახასიათებელი იყო სიახლის გრძნობა, ავტორიტეტთა დამყაყებელი აზრების გაბედული კრიტიკა, კერპების მსხვერვა.

ეს იყო პირველი ქართული გამოცემა, რომელიც ნირშეუცვლელად მიჰყვებოდა დასახულ გზას და არავითარ ანგარიშს არ უწყევდა განებივრებული მკითხველის ქირვეულობას; ქართველი ხალხის ეს პირველი მებრძოლი ორგანო მთელი პრინციპულობით ერკინებოდა ყოველგვარ რუტინას, მონურ ქედმოხრასა და მორჩილებას. იგი ქართველი ახალგაზრდობის ვაჟკაცური სულით სუნთქავდა.

„საქართველოს მოამბის“ ნომრები დღესაც გვხიბლავს და უთუოდ ყველა თაობას მოხიბლავს თავისი ჭაბუკური ენერგიით, რევოლუციური პათოსით, შთამაგონებელი რწმენით, შემართებითა და ჭეშმარიტი მებრძოლის თავდაჯერებით.

მარკოზის „სახარებიდან“ ამოღებულ შეგონებასაც, რომელიც „საქართველოს მოამბის“ ყდაზეა წაწერილი, განახლების სული დასტრიალებს: „ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ რამეთუ ახლო არს ზაფხული“.

აღნიშნულ გარემოებათა გამო, ცხადია, „საქართველოს მოამბის“ შესწავლა ისტორიულ-ლიტერატურული ძიების მეტად ვრცელ სფერ-

როს მოიცავს და კიდევ გახდა მრავალმხრივი მეცნიერული კვლევის საგანი.

ამ ჟურნალის შესახებ მდიდარი ლიტერატურა მოგვეპოვება. იგი თითქმის გამოცემის დღიდანვე იქცა კრიტიკისა და განხილვის ობიექტად. ცალკეული სტატიები, მოგონებები და ცნობები გაფანტულია როგორც რევოლუციამდელი, ისე საბჭოთა პრესის ფურცლებზე; ბევრი საყურადღებო დოკუმენტი დაცულია მუზეუმებსა და სხვა სიძველეთსაცავებში; არსებობს მრავალი გამოკვლევა, სადაც შეტწილად სწორად და ამომწურავადაა გაშუქებული ლიტერატურის, ესთეტიკის, ისტორიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეკონომიკური და სხვა პრობლემები.

უკანასკნელ წლებამდე შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი ჟურნალის მუშაობის ორგანიზაციული საკითხები. ნაშრომში „ილია ქავჭავაძის ბრძოლა „საქართველოს მოამბის“ დაარსება-შენარჩუნებისათვის“, რომელიც 1957 წელს დაიბეჭდა, შევეცადეთ ნაწილობრივ მაინც შეგვევსო ეს ხარვეზები და იქვე სურვილი გამოვთქვი, რომ წამოწყებულ მუშაობას შემდგომშიც განვაგრძობდით და ცალკეული დარგის მკვლევართა მეცნიერულ მონაპოვარზე დაყრდნობით „საქართველოს მოამბის“ შესახებ მონოგრაფიულ გამოკვლევას დაეწერდით.

წარმოდგენილი ნაშრომიც ამ მიზანს ემსახურება. აქ ძირითადად განხილულია საკითხები, რომლებიც შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი, ე. ი. დღემდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი.

ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგების მიხედვით, ნაშრომში ეცდილობთ განესაზღვროთ ჟურნალის მიმართულება, ახალი მონაცემებით განვამტკიცოთ არსებული დებულებები, დავადგინოთ „საქართველოს მოამბის“ როლი ქართული კულტურის, ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში.

ამ ჟურნალის ყოველმხრივი შესწავლა, უთუოდ, ხელს შეუწყობს საქართველოს სამოციანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობის შინაარსისა და ხასიათის გარკვევას.



1857-დან 1861 წლამდე ილია ქავჭავაძე „ცისკრის“ აქტიური თანამშრომელი იყო. მისი პირველი ლექსი ამ ჟურნალის პირველსავე ნომერში დაიბეჭდა და მკითხველი საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა.

ილია ქავჭავაძე, ისე, როგორც პეტერბურგში მასთან ერთად მყო-

ფი სხვა ქართველი სტუდენტები, დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ერთადერთ ქართულ ჟურნალს, ხარობდა მისი წარმატებით და მტკიცეწეულად განიცდიდა მის ნაკლოვანებებს.

1857 წელს დაფუძნებული „ციცკარი“ საზოგადოებრივ ინიციატივაზე დამყარებული პირველი ქართული გამოცემა იყო. იგი მთავრობის დაუხმარებლად გამოდიოდა. ამით, როგორც გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა: „ჩვენის ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო, როდესაც საზოგადოება და მწერლობა მოქმედებას იწყებს მხოლოდ თავისის გულთა და თავისის იმედით და არა სხვის მოლოდინით.“¹

ქართველთა ამ ეროვნულ გააქტივებას უნდობლად ეკიდებოდა მეფის ხელისუფლება. ახალი აზრი ქართული კულტურის მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში იღვიძებდა და ვითარდებოდა.

ასეთ პირობებში ქართული ჟურნალის დაარსება და შენარჩუნება პროგრესული მოვლენა იყო და მას სათავეში ედგა საზოგადოების მოწინავე ძალა, რომელიც რეაქციულ თავადაზნაურობასა და მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლით ხელს უწყობდა აზროვნების გამოცოცხლებას, პროგრესული ელემენტების შემჭიდროებასა და ლიტერატურაში რეალიზმის დამკვიდრებას.

ამ პროგრესულ ნობრაობას სათავეში ჩაუდგნენ: ივ. კერესელიძე, ლ. არღაზიანი, ალ. სავანელი, დ. ბაქრაძე, რ. ერისთავი, დ. კონქაძე, ი. მამაცაშვილი და სხვ. მათ უმთავრეს მიზანს შეადგენდა ქართული ჟურნალის შენარჩუნება, ქართული ენის დაცვა, ხალხში განათლების გავრცელება. ბატონყმობის მოსპობა, ენის გახალსურება და ა. შ. ისინი ებრძოდნენ ხელისუფლების სამსახურში მყოფ რენეგატ თანამემამულეებს, დამყაყებელი აზრებისა და ჩვეულებების ჯიუტ დამცველებს.

ხალხის დაბალი ფენები იმ დროს საკმაო მონაწილეობას ვერ იღებდა საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, ხოლო არისტოკრატია სულიერად და მორალურად დაცემული და მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი იყო.

საზოგადოების მოწინავე ნაწილი მტკიცეწეულად განიცდიდა შექმნილ მდგომარეობას და ცდილობდა გამოსავალი მოენახა. პროგრესული პუბლიცისტი გ. ქართველი წერდა: „...ახლა საით ვეცეთ, სად ვეძებთ ბედნიერება და სიმართლე? ჩვენ საზოგადო ცხოვრებაში ხომ არა — იმ სხეულში, რომელშიაც ყველა ასო დაწყულულებულია. საზოგადო უქონლობა, უღონობა, დავიდარება, მტრობა, ერთმანეთისაგან განცალკევება, შურობა, წუხილი, ტანჯვა, კენესა, ოხვრა, დარდი,

¹ „ივერია“, 1893, №4.

სედა სხვადასხვა... აი რა გვესმის და რას ეხედამთ ყველა ფეხის გადადგმაზე.“¹

რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებთან ერთად ქართველი ხალხი ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა; მეფის ხელისუფლება და მისი ბრიყვი მოხელენი ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივ პირობებს, ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს.

ქვეყნის ჩამორჩენილობა საგანგაშო იყო. გ. ქართველი ამის შესახებ წერდა: „აბა ჩვენი ქვეყანა ამსგავსეთ რომელსამე რუსეთის ნაწილსა და დაინახათ, როგორ უკან დაერჩომილვართ, მაშინ როდესაც ჩვენი ბუნებითი ნიჭი, ჩვენი მიწაწყალი გვაძლევს ღონისძიებასა, რომ განა თუ უკანასკნელი, პირველი ადგილიც დაეიჭიროთ განათლებულ ხალხში“².

მაგრამ რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში XIX საუკუნის 50-იან წლებში ისეთი სერიოზული მოვლენები მოხდა, რომლებსაც აუცილებლად სათანადო ზეგავლენა უნდა მოეხდინა, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების, ისე, კერძოდ, ქართველი ხალხის მდგომარეობაზე.

ყირიმის ომმა საყოველთაოდ გამოააშკარაა რუსეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობა, ბატონყმური წყობილების სიმახინჯე, შეანჯღრია დახვეწებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კაპიტალისტური წარმოების წინსვლას, პოლიტიკურ გამოცოცხლებასა და დემოკრატიული ფენების ამოძრავებას.

რუსეთს ბატონყმობის წინააღმდეგ აჯანყებულთა ბრძოლის ახალმა ტალღამ გადაუარა. ამ ბრძოლის ხმა მნატურულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაშიც გაისმა, განახლების იმედები ჩაისახა.

რუსეთში აქტიური მოძრაობის დასაწყისად მიჩნეულია 1857—1858 წლები, როდესაც (1857 წლიდან) გამოსვლას იწყებს გერცენის „კოლოკოლი“ და „სოვრემენიკში“ ბატონყმობის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს ჩერნიშევსკი.

დოკუმენტური მასალებით მტკიცდება, რომ იმ დროს გერცენისა და ჩერნიშევსკის ნაწერებს საქართველოში იცნობდნენ.

¹ „ცისკარი“, 1860, აგვისტო.

² იქვე.

³ გ. ლონიძის სახ. საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, (ქვემოთ ყველგან სს.ლმ), №72837-ბ; ა. გაჩეჩილაძე. ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, გვ. 359; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (ქვემოთ ყველგან სს.სს), ფ. 8, საქმე — 1774: შ. სააკაძე. „ლიტერატურული გაზეთი“, 1957 წ. 30 მარტი; ა. კალანდაძე. „ივანე კერესელიძე“, 1959 წ., გვ. ავ. 34, 35, 59.

გენიალური რუსი კრიტიკოსისა და მოაზროვნის ბ. ბელინსკის სახელი, როგორც ჩანს, ქართველ პროგრესულ ახალგაზრდობაში მის სიცოცხლეშივე პოპულარული ყოფილა. ამაში გეარწმუნებს „ცისკარში“ დაბეჭდილი სიტყვებიც: „ბელინსკი უპირველესი კრიტიკოსი იყო რუსეთშიო“¹.

ზ. კიკინაძის ცნობით, დ. კონჭაძე „კითხულობდა ბელინსკის ნაწერებსაც, რაც მაშინ სემინარიის სამკითხველოშიაც მოიპოვებოდა.“² ცნობილია, რომ 50-იან წლებში თბილისში გავრცელებული იყო აკრძალული რუსული ლიტერატურა; ერთ-ერთი საარქივო მასალა გეარწმუნებს, რომ მთავრობას საგანგებო განკარგულებით აუკრძალავს საქართველოში ნ. ნეკრასოვის, ტ. შევჩენკოს და ნ. კოსტომაროვის ნაწარმოებნი.

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას 50-იან 60-იან წლებში მდიდარი და საიმედო ტრადიცია ჰქონდა. მხედველობაში აქვს რა რევოლუციური ტრადიციის მნიშვნელობა, ვ. ი. ლენინი წერს: „როგორც დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი, ისე გერცენმა და მისმა „კოლოკოლმა“ შეუწყვეს ხელი იმას, რომ გამოღვიძებულიყვნენ რაზნოხინცები, ლიბერალური და დემოკრატიული ბურჟუაზიის განათლებული წარმომადგენლები, რომლებიც ეკუთვნოდნენ არა თავადაზნაურობას, არამედ მოხელეობას, მეშჩანობას, ვაჰრებს, გლეხობას.“³

ამ პირობებში და ამ თვალთახედვით „ცისკარმა“ დიდი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და კულტურის განვითარებაში. ქართულმა აზროვნებამ 1857—1861—1862 წლებში განვლო შემდგომი წინსვლისათვის აუცილებელი საფეხური.

1857—1861 წლებში „ცისკარმა“ ხელი შეუწყო ხალხის დაბალ ფენებში ქართული წიგნის გავრცელებას, უბრალო ადამიანები ჟურნალისა და წიგნის კითხვა-გაგებას შეაჩვია, შემოიღო „მდაბიური“ წერა, სოციალური უსამართლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ მანკიერებათა წინააღმდეგ ხმა აიმაღლა, შეაჩვია მკითხველი კამათს, აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ბრძოლას და ა. შ. საკმარისია ითქვას, რომ 1857—1861 წლებში „ცისკარში“ დაიბეჭდა ივ. კერესელიძის „სალაყბო ფურცლები“, დ. კონჭაძის „სურამის ციხე“, ლ. არდაზიანის — „სოლომონ ისაკიჩ მეჭლანუაშვილი“, დ. გურამიშვი-

¹ „ცისკარი“, 1861, ივნისი.

² ზ. კიკინაძე, დანიელ კონჭაძის გარდაცვალებიდან 50 წელი, გაზეთი „ახალი აზრი“, 1910, № 4.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ. IV გამოც. ტ. 20, გვ. 293.

ლის, ნ. ბარათაშვილის, რ. ერისთავის, ი. ქავჭავაძის, აკ. წერეთლის ლექსები; ალ. საენელის, დ. ბაქრაძის, გ. ქართველის, ნ. ნიკოლაძის, ი. მამაცაშვილის წერილები და ა. შ.

ამრიგად, „ცისკარმა“ ნიადაგი მოუმზადა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის იდეებზე აღზრდილ ახალ თაობას — თერგდალეულებს და ისინიც ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ამ ურნალში მოღვაწეობდნენ და აქვე თქვეს თავიანთი პირველი სიტყვა.

ამასთან, „ცისკარს“ მთელი რიგი ნაკლოვანებები ჰქონდა. მხატვრულად და იდეურად გამართულ თხზულებებთან ერთად, ურნალში უსუსური და მანკიერი ნაწერებიც იბეჭდებოდა. ხალხურ სამეტყველო ენაზე დაწერილ ქმნილებათა გვერდით ანტონ კათალიკოსის ენაზე შეთხზული „უსტარებიც“ ქვეყნდებოდა. მკითხველს ისეთ ნაწერებსაც აწვდიდნენ, რომლებიც რედაქციის თვალსაზრისს არ შეესაბამებოდნენ.

ხელისმომწერთა დაკარგვის შიშით, უურნალი იძულებული იყო ხშირად დაეთმო რეაქციული წრეებისათვის. იგი ვერ იჩენდა საჭირო გაბედულებას; ყოველივე ეს აღუწებდა საზოგადოებრივი აზრის განვითარებასა და ლიტერატურის წინსვლას, მწერლობაში რეალიზმის გაბატონებას, სალიტერატურო ენის გაბედულ დემოკრატიზაციას.

ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ასპარეზზე გამოსული თერგდალეულები „ცისკარს“ ახალ, უფრო პროგრესულ მოთხოვნებებს უყენებდნენ. ეს გარემოება კი იწვევდა წინააღმდეგობებს, რომლებიც თვით ცხოვრებაში მომხდარი სერიოზული ცვლილებების გამოხატულებას წარმოადგენდნენ.

რედაქციაც ცდილობდა ცხოვრებას განვითარებას მიჰყოლოდა, მაგრამ აღებული ტემპი საკმარისი აღარ იყო. 60-იანი წლებიდან სულ უფრო აშკარა გახდა „ცისკარის“ ჩამორჩენა. ცხადია, ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებას რომ შემდგომშიც იმ ტემპით განეგრძო სვლა, რომლითაც „ცისკარი“ 60-იანი წლების დასაწყისში მიდიოდა, ჩვენი კულტურის წინაშე მდგომი აქტუალური პრობლემების გადაწყვეტას ათეული წლები დასჭირდებოდა.

ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დაყენებული ახალი ამოცანების გადაწყვეტა „ცისკარს“ აღარ შეეძლო. რეფორმის წინა ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრება ისე სწრაფად წაეიდა წინ, რომ ის, რაც 1855—1858 წლებში პროგრესული და დემოკრატიული ჩანდა, 1861—1863 წლებისათვის ჩამორჩენილობად იქცა.

60-იანი წლების დასაწყისში ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის განვითარებაში აშკარად იგრძნობა შეტბორება, მოღუწება, დაზნანტება; ნაკადი შედგა და დროთა ვითარებაში იგ-

შეიძლებოდა დაქაობებულიყო. აუცილებელი იყო ახალი ძალა, რომელიც ამ შეტბორებას დაეჭახებოდა და გაარღვევდა, საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის განვითარებას ახალ მიმართულებას, ახალ მილად დინებას მისცემდა. საქრო იყო განახლება, რადგან საზოგადოებრივი აზრის გაყინვა პროგრესისათვის ყველაზე დიდი საფრთხეა. ახლა აქტუალური ამოცანების გადაწყვეტისათვის „ცისკარს“ აღარ ჰყოფნიდა არც ცოდნა, არც გაბედულება, არც რევოლუციური შემართება.

ქართული საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის განვითარებაში ამ გადამწყვეტი გარდატეხის მოხდენა წილად ხვდა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის იდეებზე აღზრდილ, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ილია ჭავჭავაძეს, რომელშიაც „მანცა და მანცა ქართული დერიტა იყო დადებული“. მან გაარღვია ქართული კულტურის ის შეტბორება, რომელსაც დაქაობება ელოდა; უმოკლეს დროში გადაწყვიტა აქტუალური პრობლემები და დააჩქარა ჩვენი აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარება.

„ცისკარის“ 1861 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძე ერისთავის კახლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“. ამ წერილით იწყება თერგდალეულთა გადამწყვეტი ბრძოლა ახალი იდეების გამარჯვებისათვის. ფაქტობრივად ეს იყო ქართველ სამოციანელთა საპროგრამო გამოსვლა.

აქამდე „ცისკარის“ მახვილი მთლიანად ქართული ენისა და კულტურის მტრების წინააღმდეგ იყო მიმართული, ხოლო რევაზ ერისთავის მსგავს მოღვაწეებს რედაქცია გარკვეულ ანგარიშს უწყევდა და მათი მტრად გადაკიდება ახალფეხადგმული ჟურნალისათვის საზიანოდ მიიჩნდა. ამიტომ ილია ჭავჭავაძის წერილის დაბეჭდვა მისთვის მართლაც ახალ გაბედულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

ილიას წერილი „ცისკარში“ დაბეჭდილ სუსტ და იდეურად მდარე ნაწარმოებებს შეეხებოდა. კრიტიკოსმა სამაგალითოდ აიღო რევაზ ერისთავის „შეშლილის“ თარგმანი, მაგრამ მწარე მათრახები სხვებსაც გადაჰკრა. ეს მხოლოდ საბაბი იყო. არსებითად, ილია პრინციპულ ლიტერატურულ პრობლემებს შეეხო — დაასაბუთა სანტიმენტალურ ნაწარმოებთა თარგმნის უსარგებლობა, ვრცლად განიხილა ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, კატეგორიულად მოითხოვა ენის განახლებება და პირველად წამოაყენა ქართული ორთოგრაფიის გამარტივების საკითხი.

ილია ჭავჭავაძის ამ წერილს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის. მასში უაღრესად აქტუალური და საჭირობოროტო საკითხები

იყო წამოჭრილი. ამასთან, ილიას წერილი გამოიჩინებდა პირდაპირობით, მწვავე ტონით, საბრძოლო განწყობილებით, დაძაბულობით, გასაოცრად მკაცრი კრიტიკული მიდგომითა და პოლემიკური სიცხარით. ამჟამად ჩანდა, რომ წერილი დიდი მწერლისა და მოღვაწის კალამს ეკუთვნოდა, რომელიც ძლივს იკავებდა აბოპოქრიფულ ენერჯიას. თითოეულ სიტყვაში ახალაფრენილი არწივის ფრთების შრიალი ისმოდა. ეს საბრძოლო მღელვარება, ეს პირდაპირი დაძვარება და ახალი, კიდევ უფრო მედგარი დაჯახებისათვის მზადყოფნის სულსკვეთება, რომელიც ამ წერილის თითოეული სიტყვიდან ანათებდა — სრულიად ახალი და მოულოდნელი იყო იმდროინდელი ჩვენი ლიტერატურის ასპარეზზე, სადაც საბრძოლო შეძახილს მოკრძალებული მობოდიშებაც თან მოჰყვებოდა.

ილია ჭავჭავაძის წერილმა საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პროგრესული ინტელიგენცია აღფრთოვანებით შეხვდა მას. ახალგაზრდა მწერალი მოწინავე მკითხველს გულთა მპყრობელად იქცა. მაგრამ, მეორე მხრივ, წერილმა აღშფოთება გამოიწვია — არა მარტო ქართული ლიტერატურისა და ენის ამჟამად მტრების ბანაკში, არამედ ძველი თაობის იმ წრეებშიაც, რომლებიც გულწრფელად თანამშრომლობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

„ცისკრის“ მომდევნო (მაისის) ნომერში ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ საში წერილი დაიბეჭდა — ბარბარე ჯორჯაძისა, გრიგოლ ბარათაშვილისა და რევაზ ერისთავისა. ეს ავტორები რეაქციული პოზიციიდან ეკამათებოდნენ ილია ჭავჭავაძეს, მის კრიტიკას ლანძღვას უწოდებდნენ, თითო-ორი მართებულ წერილმან შენიშვნასაც იძლეოდნენ, მაგრამ ამავე დროს, იცავდნენ საღმრთო წერილის ენას. ანტონ კათალიკოსის „რიტორიკასა და პიტიკას“ და აღშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ ილია ჭავჭავაძე „უდიერად იხსენიებდა“ ქართველ მწერლებს.

იენისის ნომერში ილია ჭავჭავაძის „პასუხი“ და სარდიონ მესხიშვილის „უსტარი ანტიკრიტიკული“ დაიბეჭდა.

ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული წერილები უსაზღვრო აღშფოთებით იყო აღსავსე და ბევრ უსამართლო ბრალდებას შეიცავდა.

ილია ჭავჭავაძის „პასუხი“ პირველ სტატიასზე კიდევ უფრო მეტი სიმძაფრითა და ცხარე პოლემიკური ტონითაა დაწერილი. ავტორის მახვილი უმთავრესად ბარბარე ჯორჯაძის წინააღმდეგაა მიმართული. იგი სამართლიანად აკრიტიკებს მწერალი ქალის მცდარ შეხედულებებს და მის ნაწერებს ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის

საზიანოდ და მანებლად თვლის; ბარბარე ჯორჯაძესა და მის მსგავს მწერლებს ილია ურჩევს თავი გაანებონ ლიტერატურას.

ამრიგად, 1861 წლის აპრილიდან „ცისკრის“ ფურცლებზე გაჩაღდა მწვავე იდეური ბრძოლა ძველი რეაქციული შეხედულებების დამცველებსა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულ ახალ თაობას შორის, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას მანამ არასოდეს უნახავს ასეთი მწვავე, დაუნდობელი, პრინციპული იდეური შერკინება. ყოველივე მოქმედებული, განვითარებისა და წინსვლის დამბარკოლებელი გაბედულად იქნა უარყოფილი. დაიწყო მანამდე უქველ კეშმარიტებად მიჩნეულ შეხედულებათა გადაფასება. ძველი ციხე-სიმაგრეების დანგრევა ახალი თაობისაგან მოითხოვდა სიმტკიცეს, თავგანწირულებას, ყოველგვარი მოკრძალებისა და მობოდიშების უკუგდებას. ილია ჭავჭავაძისათვის გადამწყვეტი იყო არა გაბატონებული წრეების თვალსაზრისი მისი გამოსვლის შესახებ, არა მათი შეფასება, არამედ ხალხისა და საშობლოს ინტერესები. საჭირო იყო კერპების დამსხვრევა, რათა უფრო მკაფიოდ გამოჩენილიყო ახალი აზრები, ახალი იდეები და ამ იდეებს უფრო სწრაფად და ეფექტიანად გაეკვლია გზა ხალხის გულისაკენ.

ძველი თაობა, მიჩვეული „ცისკრის“ ბოდიშებსა და კომპრომისს, აბოძოქრდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ; იგი აღშფოთებული იყო ილიას „პასუხით“, რომელიც ნაცულად მობოდიშებისა, პირველ წერილზე უფრო დაუზოგავად ამთრახებდა ძველის დამცველებს. ბრძოლამ თავიდანვე მკაცრი ხასიათი მიიღო, დახმავებული ფეოდალური იდეების წარმომადგენლები ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ სამშობლოს განანსებასათვის მებრძოლი მგზნებარე ჭაბუკის წინააღმდეგ, არ ერიდებოდნენ ცილისწამებას, დაბეზლებას, დენას. ორი იდეური ბანაკი დაუპირისპირდა ერთმანეთს მთელი თავისი იდეოლოგიით, შემოქმედებით; ერთ მხარეზე დადგა პატრიარქალურ-ფეოდალური შეხედულებების დამცველთა რაზმი, ხოლო მეორეზე-ახალი, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებისათვის მებრძოლი თაობა.

რუსეთისაგან განსხვავებით, ამ ბრძოლის შინაარსი ჩვენში იმით იყო გართულებული, რომ იგი მჭიდროდ გადაენასკვა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების, ქართული ჟურნალის შენარჩუნების, ქართული ენის დაცვის საკითხებს. მათი გადაჭრა ილიას შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ რევოლუციური გზით — სოციალურ-ლიტერატურულ პრობლემებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, ქართული კულტურის მტრებთან დაუნდობელი, უკომპრომისო ბრძოლით. იგი მოითხოვდა ერთდროულად გადაწყვეტილიყო ქართული ჟურნალის არსებობისა და მისი ხარისხის საკითხი. მისი დევიზი იყო — არა ჟურნა-

ლის შენარჩუნება საერთოდ, არამედ იდეურად, ენობრივად, ლიტერატურულად გამართული ჟურნალის შექმნა. მხოლოდ ასეთი ქართული ჟურნალის არსებობა იქნებოდა, ილიას რწმენით, მისი შენარჩუნების გარანტიაც: მხოლოდ მას დაუჭერდა მხარს ხალხი, მხოლოდ იგი უზრუნველყოფდა ქართული კულტურის შემდგომ წინსვლას. ამიტომაც ასე დაუზოგავად დაესხა ილია თავს „ცისკრის“ ნაკლოვანებებს. „ცისკრის“ კრიტიკაში მან პროგრესული ქართული ჟურნალის იდეალი ჩამოაყალიბა. ამიტომ, შეიძლება, ეს კრიტიკა დღეს გადაჭარბებით მკაცრადაც მივიჩნიოთ, მაგრამ მაშინ ეს აუცილებელი იყო. აუცილებელი იყო უკეთესისათვის ბრძოლის თვალსაზრისით; ეს იყო პროგრესისათვის ბრძოლის გარდუეალი პირობა, ხოლო უკეთესი იდეალის დასახვა არსებულის გადაფასებასა და მის გაბედულ უარყოფას მოითხოვდა.

ნაკლოვანებათა სასტიკი კრიტიკა ილიას პროგრესის აუცილებელ პირობად მიაჩნდა, ხოლო „ცისკრის“ რედაქციის მერყეობას წინსვლის შემათერხებელ მიზეზად თვლიდა.

ილია ჭაუჭავაძე მოითხოვდა, რომ რედაქციას მკაცრი შერჩევით დაებეჭდა მხატვრული თხზულებები, რადგან „ლიტერატურა—ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია“.

ილიას აზრით, რედაქციას არ უნდა დაებეჭდა ახალთაობის მოწინააღმდეგეთა სტატიები. იგი ახალთაობის იდეურ მტრებს აშკარად უნდა გამიჯენოდა და ჟურნალი მხოლოდ ილიას მიერ დასახული გზით წარემართა. პროტესტის ნიშნად 1861 წლის შემოდგომიდან ილიამ „ცისკარში“ თანამშრომლობაზე ხელი აიღო.

გამოცემის ორგანიზაცია და ტექნიკური პირობები

ილია ქავჭავაძისა და მისი თანამებრძოლებისათვის 1861 წელსვე ცხადი გახდა, რომ იმდროინდელ „ცისკარში“ შეუძლებელი იყო მოწინავე შეხედულებების სრულად და გაბედულად გამოხატვა. ილია ქავჭავაძეს ღრმად სწამდა, რომ ახალ იდეებს ახალი ორგანო ესაჭიროებოდა. ახალ ორგანოში მკითხველი უფრო მძლავრად იგრძნობდა ამ იდეების სიახლეს, მის ცხოველმყოფელ ძალას; უფრო მეტად იწამებდა მისი გამარჯვების გარდუვალობას.

როგორც ირკვევა, ილია ქავჭავაძეს უკვე 1861 წლის გაზაფხულზე ჰქონია ახალი ეურნალის დაარსების სურვილი. ამავე დროს, ხალხში განათლების შეტანის მიზნით, განუზრახავს ქართული წიგნების გამოცემაც. იგი დაკავშირება პეტერბურგის უნივერსიტეტში მის მიერ შექმნილ ქართულ სტუდენტთა წრეს და საქართველოშიაც ჩამოუყალიბებია ამ საქმის ენთუზიასტთა ჯგუფი, რომელსაც საჭირო თანხის შეგროვებაც დაუწყია; ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ნიკოლოლობერიძის 1861 წლის აპრილის წერილი ილია ქავჭავაძისადმი¹.

ეს ფაქტი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქაბუჯი ილიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო გაქანებაზე. თანამედროვე მკითხველისათვის ძნელი წარმოსადგენია ის სიძნელეები, რომლებიც მაშინ ამგვარ საქმიანობას ელოებოდა. პეტრე უმიკაშვილის სიტყვები რომ გავიმეოროთ, იმ პერიოდში ქართული წიგნის გამოცემა უფრო რთული იყო, ვიდრე რკინიგზის გაყენა.

უპირველეს ყოვლისა, ისმის კითხვა: რას წარმოადგენდა და ვინ იყო იმდროინდელი ქართველი მკითხველი?.. როგორი იყო მისი სულიერი და გონებრივი ავლადიდება, მისი დამოკიდებულება ქართული ეურნალისადმი? რას მოითხოვდა იგი ქართული ეურნალის რედაქციისგან? — მკითხველები, უმთავრესად, შეძლებული თვალაზნაურები იყვნენ. მათი უმრავლესობა მამა-პაპურ წესებზე იყო აღზრდილი და ყოველგვ ახალს სიძულელით ხვდებოდა. მეორე ნაწილი სახელმწიფო საზსაქურში იყო მოკალათებული და, გარდა კარცერისა,

¹ სსმ ფონდი, 17627-ბ.

არაფერი აინტერესებდა. ისინი ეურნალს მხოლოდ „მოდისთვის“ თუ გამოიწერდნენ — სხვების დასაინახად, რათა ეჩვენებინათ — შვიდ-რვა მანეთი ჩვენთვის ისე მცირე თანხაა, რომ ამ მოწყალებას ადვილად გავილებთო.

მაგრამ, რაც არ უნდა ეთქვათ, გაბატონებული წოდების ეს ნაწილი მაინც მაღლა იდგა იმ თანამომომეებზე, რომლებიც მზად იყვნენ ქართული წიგნისათვის „თოფიც ესროლათ“.

თავდაზნაურული არისტოკრატია, მიუხედავად ამისა, იწერდა თუ არა ქართულ ეურნალს, კითხულობდა თუ არა მას, შორიდან მაინც თვალს ადევნებდა, რომ მისი ინტერესები არ შელახულიყო. ოდნავი უკმაყოფილების შემთხვევაშიც ისინი უარს აცხადებდნენ ამ „მოწყალების“ გაღებაზე.

ერთი შეხედვით სრულიად უწყინარ მხატვრულ ნაწარმოებშიაც ეს „მკითხველები“ წოდებრივი ინტერესების შელახვას ხედავდნენ და „წინდაუხედავ“ რედაქტორს მუქარის წერილებს უგზავნიდნენ.

ცხოვრებაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების შედეგად. 60-იან წლებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ინტელიგენციის დიფერენცირების პროცესი. მართალია, ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით, მაგრამ ასპარეზზე მაინც ვხედავთ მოქალაქეთა წრიდან—ვაქართა. ხელოსანთა, სასულიერო წოდების პირთა ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზრდა ინტელიგენტებს, რომლებიც ახალ მოთხოვნილებებს უყენებენ ქართულ ეურნალს. თუ ხელისმომწერთა უმრავლესობას თავადაზნაურობა შეადგენდა, ნამდვილ მკითხველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ზემოაღნიშნული დაბალი ფენების წარმომადგენლები იყვნენ. მათ გვარებს ხელისმომწერთა სიებში თითქმის ვერ ვხვდებით, რადგან ეურნალის გამოსაწერი ფულიც არ მოეპოვებოდათ, მაგრამ ისინი ან სხვისგან თხოულობდნენ ეურნალის ნომრებს, ან უფასოდ იღებდნენ სპეციალურად ამ მიზნით დაბეჭდილ ზედმეტ ეგზემპლარებს. ეურნალისათვის მატერიალური მხარდაჭერა მკითხველთა ამ კატეგორიას არ შეეძლო.

მკითხველთა დიდი ნაწილი მოუმზადებელი იყო სერიოზული წერილებისათვის. საამისოდ ელემენტარული ჩვევებიც არ გააჩნდათ, რადგან „ყარაშანიანისა“ და „ვისრამიანის“ გარდა, არაფერი ჰქონდათ წაკითხული. ახალი დროის, ახალი ცხოვრების, ახალი საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები მათთვის გაუგებარი, ძნელად მოსაწინებელი და ამიტომ მიუღებელი იყო. ისინი ჭიუტად მოითხოვდნენ, რომ ქართული ეურნალი საბავშვო საკითხავი წიგნის დონეს არ გასცილებოდა. მახლობელ, ნაცნობ და „მისაღებ“ სამყაროში ეტრიალა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი იყო იმდროინდელ მკითხველ-

თა განვითარების დონე, მოვიტანთ თავად ტატო მაყაშვილის წერილს, რომელიც „ცისკარის“ 1860 წლის სექტემბრის ნომერშია დაბეჭდილი: დამაფიქრა ბაქარ ქართლელის... წიგნმა და შემაწუხა,—წერს თავადი ტატო,—ასე მეგონა, ჩემი გულითადი მეგობარი ვინმე ჩამოსულა და ბაქარ ქართლელისათვის უანზნია ჩემი გარემოება მეთქი... 1858 წელს მოვწერე ხელი „ცისკარზედ“ და წარუგზავნე ფული კიდევ რედაქცი-აში... შემდეგ ერთი წლისა, გადამევიწყდა გაგზავნა ფულისა, ამის მი-ზეზით, რასაკვირველია, ვეღარ მივიღებდი წესისამებრ რედაქციისაგან „ცისკრებსა“, მაგრამ, რადგანაც მიცნობდა უფალი რედაქტორი, რომ არ მომდიოდა ფულის გაუგზავნელობა სიძუნწით და მომდიოდა მხო-ლოდ ზარმაცობით და დაუდევრობით, მაინც გზავნიდა უფასოდ და მოსაგონებლად.

...ძიყვარს სხვამ წაიკითხოს და მე ყური ვუგდო იმ წიგნსა, რომელშიაც მე ფული მიმიცია... არ ვიცი რას მივაჩემო? დიდკაცობასა, დაუდევნელობასა თუ ზარმაცობასა.

...თავი ისე გავიმართლე, ვითომც, ბევრი წავიკითხო თვალები მე-ტკინება მეთქი... ამ მიზეზებს ვფიქრობ და მეზარება წაიკითხვა ჩვენის კარგისა და ტკბილის ენისა... რამდენი ჩემისთანანი იქნებიან ამისანას რიცხვში დარჩომილნი?..

როგორც ეხედავთ, თავადი ტატო დიდად არ განსხვავდება ლუარ-საბ თათქარიძისაგან, მასაც „ცისკარი“ იმითმ არ გამოუწერია, „ბე-ვრი რომ წავიკითხო, თვალები მეტკინებაო“. ასეთი მკითხველები ან სრულებით არ აწერდნენ ხელს უურნალზე, ან თუ მოაწერდნენ—ათას-გვარ მიზეზს იგონებდნენ, რომ ფული არ გადაეხადათ.

ქართული უურნალის მეორე სერიოზულ ამოცანას თანამშრომელ-თა მოზიდვა, მასალებით უზრუნველყოფა წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, გიორგი ერისთავის „ცისკარის“ დახურვის ერთ-ერთი მი-ზეზი მასალების ნაკლებობა იყო. როცა გიორგი ერისთავმა უურნალის დაარსებამდე დაწერილი, საზოგადოებისათვის ხელნაწერებით ცნობი-ლი ნაწარმოებების ბეჭდვა დაამთავრა, უურნალიც გალარობდა; ახალს არავინ წერდა და ერისთავის „ცისკარიც“ მაკულატურით აივსო; უკა-ნასკნელი ნომრები თითქმის მთლიანად სარდ. ალექსი-მესხიშვილის უსარგებლო თარგმანებს დაეთმო. ასეთ პირობებში ადვილი არ იყო ყოველთვიური უურნალის მასალებით უზრუნველყოფა. აქაც დიდი მოთმინება და ორგანიზატორული უნარი იყო საჭირო. არამცთუ 50-60-იან წლებში, როცა პერიოდული ლიტერატურა პირველად იდგამ-და ფეხს ჩვენში, არამედ 70-იან წლებშიც ქართული პრესა მწვავედ განიცდიდა მასალის ნაკლებობას.

ლიტერატურისადმი საზოგადოების ინტეგრენტული დამოკიდე-ბულება მწერალთა განწყობილებასა და მუშაობაზედაც უარყოფით

გაელენას ახდენდა. დ. ყიფიანი სწორად შენიშნავდა, რომ „საზოგადოების გულგრილობას შეუძლია ბევრს ნიჭიერ მწერალს კალამი შეუყენოს“. ლიტერატურულ შრომას ქველმოქმედების ხასიათი ჰქონდა. იგი აუნაზღაურებელი რჩებოდა და ლუკმაპურის მძიმებელ მწერალს არ შეეძლო კალმისათვის მოეკიდნა ხელი. ამიტომაც იყო, რომ მწერლობა, უმთავრესად, საზოგადოების მაღალი ფენებიდან გამოსულ პირთა პრივილეგიას შეადგენდა.

ქართული მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობა მძიმე, უმადური და დაუფასებელი შრომა იყო; ესეც თავის ბეჭედს ასვამდა ჩვენი მწერლობის განვითარებას.

ქართული ჟურნალის რედაქციას თანამშრომელთათვის ჰონორარის გადახდის საშუალება არ ჰქონდა.

რაკი ჟურნალს დამოუკიდებელი მატერიალური ბაზა არ გააჩნდა და მისი არსებობა მთლიანად ხელისმომწერთა თანხაზე იყო დამოკიდებული, რედაქტორი იძულებული ხდებოდა ზოგიერთი უნიჭო და ჩამორჩენილი მთხვეელისათვის ანგარიში გაეწია და მისი კალმის ნაყოფისათვის ჟურნალის ფურცლებზე ადგილი დაეთმო. ლიტერატურის ამ მოტრფიალეებს თავიანთი თავყვანისმცემლებიც ჰყავდათ და მათთვის უარის თქმა ხელისმომწერთა საგრძნობი ნაწილის ჩამოშორებას გამოიწვევდა.

მაშინდელი განებივრებული ავტორები, რომელთაც ქართული ჟურნალისათვის რისიმე დაწერა დიდ მოწყალებად მიაჩნდათ, პირად შეურაცხყოფად იღებდნენ, თუ მათი ნაწერი არ დაიბეჭდებოდა და არავითარ სისაძაგლეს არ ერიდებოდნენ ჟურნალის დასალუპავად. ამ ნიადაგზე „შეურაცხყოფილი ავტორები“ შურისძიების ათასგვარ საშუალებას მიმართავდნენ.

ი. ჭავჭავაძეს საესებით შეგნებული ჰქონდა ეს სიძნელეები. 1861 წელს იგი წერდა: „ჩვენ გვიკვირს, უ. რედაქტორი როგორ ბეჭდავს „შეშლილსავეით“ და უფრო შეშლილი „ზადაჩებსავეით“ გამოუსადეგ სტატიებსა? მაგრამ... გასამტყუნარი არ არი. აბა ნუ დაბეჭდავს და ჰნახავს რამდენი ხელისმომწერი მოაკლდება გულნატყენ ვიდაც მოზადაჩეების მეცადინეობით. თუ ხელისმომწერი არ ეყოლება ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი? ეგრეთ ჯოჯოხეთში არის ხოლმე ყოველი რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი ანუ თანხა არა აქვს. გინდა თუ არა, უნდა დამოკიდებული იყო იმ კაცებზედ, რომელნიც წინდაუხედავად, უთავბოლოდ, რაც მოხვდებათ და როგორც მოხვდებათ, ჰბდაჯნიან, რადგანაც იმედი აქვთ, რომ საბრალო „ციხკარი“, მათგან ფულით დავალებული, ნებით თუ არანებით ალაგს მისცემს თავის ფურცლებში იმათ გამოუსადეგ სტატიასა. რად უნდა ვემდუროდეთ უ. რედაქტორს, რომ ჟურნალი არ უეარგა? აბა, რა თა-

ნები გავუმართეთ, რომ თავისუფლად ამოერჩია სტატიები და არ ჰში-
ნებოდა წყენისა, როცა იძულებული იქნებოდა ჩაებარებინა უკანვე
გამოსადეგ პატრონისათვის მისი გამოუსადეგარი სტატია¹.

ანტ. ფურცელაძის ერთ წერილში ვკითხულობთ: „ბელენსკისა არ
იყვეს, რამდენაირი თხზულებები, თარგმანები და ვინ იცის კიდევ რა-
ები არ მოდიან რედაქციაში... ამ თავის თხზულებებზედ გაუბტყელები-
ათ სხვილის ასობით ჩინი, ტიტული, თავისა და მამის სახელი და გვა-
რი. — აჲ გააჩნეთ, თავად დიმიტრი თუმანიშვილის სტატიებზე მოგუ-
დის და არ გვაკლებს თავის უნებო მოწყალებასა. ბევრი ამათგანი
ფულსაც გზავნის, ოღონდ დაგვიბეჭდეთ: ერთს ამგვარ მწერალთაგანს
უველი და ერთიც გამოგზავნა ერთი ლექსის დასაბეჭდად. ბოლოს
გამოდის, რომ მათი აზრი ყოფილა, რომ თავისი სახელი და გვარი და-
ბეჭდილი ნახონ“².

ასეთ პირობებში იმ მიმართულების ეურნალის დაარსება და შე-
ნარჩუნება, როგორც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა განზრახული, განსა-
ცვიფრებელ ენერგიას, ცოდნას, ნიჭსა და თავდადებას მოითხოვდა.
თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო არაჩვეულებრივი საგმირო
საქმე, რომელსაც ხანგრძლივი და გულმოდგინე მოსამზადებელი
მუშაობა ესაჭიროებოდა. ილიაც მთელი გატაცებით და მონდო-
მებით შეუდგა ამ მძიმე ამოცანის განხორციელებას.

მის წარმატებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ იგი ბრწყინვა-
ლედ იცნობდა რუსეთის მოწინავე ეურნალისტიკისა და ქართული
ეურნალისტიკის ისტორიას; გათვალისწინებული ჰქონდა ის სიძნელე-
ები, რომლებიც წინანდელი ქართული გამოცემების ნაკლოვანებებს
იწვევდა, კარგად ერკვეოდა სამშობლო ქვეყნის სოციალურ-ეკონომი-
კური ცხოვრების დეტალებში და მთელი თავისი მოსამზადებელი მუ-
შაობაც ამ ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად გაშალა.

უპირველესი ფაქტორი, რომელსაც ილიამ საქმის დასაწყისშივე
ყურადღება მიუქცია, იდეურ თანაგრძობათა და თანამებრძოლთა
წრის შექმნა იყო. მისი რწმენით, ახალი ეურნალი ამ წრეს უნდა და-
ყრდნობოდა. ეს სრულიად ახალი მოვლენა იყო ჩვენი ეურნალის-
ტიკისა და ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ უმჯობესია ამის თაობა-
ზე მოვეხსინოთ ი. ჭავჭავაძის უახლოეს თანამებრძოლს პ. უმიკა-
შვილს. მით უმეტეს, რომ უმიკაშვილის ეს წერილი თვითონ ილიას
დავლებითაა დაწერილი.

პ. უმიკაშვილი წერს: „ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ლიტე-

ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნე-
ბით, ტ. 111, გვ. 16.

² - „ცისკარი“, 1862, ივლისი.

მუშაობას ეწეოდნენ ნ. ნიკოლაძე, ნ. ლოლობერიძე, ი. მამაცაშვილი, გ. ლოლობერიძე და სხვ. მომავალ ჟურნალს საქართველოს ყველა კუთხეში მკაყდა გამავრცელებლები, რომლებიც აცნობდნენ ხალხს მის პროგრამას და აგროვებდნენ ხელისმომწერლებს. მათი საქმიანობის შესახებ საკმაო წარმოდგენას იძლევა შემდეგი ამონაწერები ივ. კერესელიძის წერილებიდან: „...კახეთში ხმა დააგდეს, ჰავკავაძემ ისეთი რამ უნდა გამოსცეს, რომ ჭერ არც ენახოს ქვეყანას და ვერც ჩამომავლობამ ნახოს... ქუთაისში ძლიერა ცდილობენ ჰავკავაძისათვის. ჯერ ორმოცი თუმანი გამოუგზავნიათ“¹ და ა. შ.

ილია ჰავკავაძის თანამოაზრეებმა „საქართველოს მოამბის“ სასარგებლოდ აქტიური პროპაგანდა გაშალეს „ცისკრის“ ფურცლებზედაც. ახალი ჟურნალის აუცილებლობის დასასაბუთებლად 1862 წელს აქ დაიბეჭდა კირ. ლორთქიფანიძის, ს. აბაშიძის, ავ. წერეთლისა და სხვათა წერილები, რომელშიაც ვრცლად განიხილავდნენ მომავალი ჟურნალის მნიშვნელობას. მათ „ქვით დაკრიბეს“ ექვ. წერეთელი და თ. მკვათარიანი, რომლებმაც მომავალი ჟურნალის წინააღმდეგ გალაშქრება გაბედეს. უდავოდ, ამ მიზნით დაიწერა ნიკო ნიკოლაძის წერილიც თომა მკვათარიანის წინააღმდეგ, რომლის გამოქვეყნებაც ცენზურამ აკრძალა. ი. პოლტორაკი 1862 წლის 2 ოქტომბერს უგზავნის კირილე ლორთქიფანიძეს (პეტერბურგში) „საქართველოს მოამბის“ პროგრამას და სთხოვს გამოგზავნოს თავისი შენიშვნები.

პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებს, როგორც ეს პოლტორაკის სხვა წერილებიდან ირკვევა, ცხოველი ინტერესი გამოუჩენიათ ახალი ჟურნალისადმი და მისი პროგრამის გარშემო საყურადღებო შენიშვნებიც გამოუგზავნიათ ილია ჰავკავაძისათვის. ამასთან დაკავშირებით ი. პოლტორაკი 1862 წლის 7 დეკემბერს კირ. ლორთქიფანიძეს სწერს²:

„საყვარელო კირილე!

Илья Чавчавадзе с большой благодарностью прочел и замечаний Вашу на его программу, но главное — Вашу готовность помогать ему всячески в затеянном им в общем добром деле. В этой готовности никогда никто и не сомневался; но повторенное Вами в письме — она успокоила его так, как бы он уже получил от Вас материальное доказательство ее. Вы спрашиваете в каких статьях более нуждается редакция. Нуждается, сказать правду, статьями по всем отделам. Особенно она нуждается в оригинальных статьях по исторических и беллетристических отделах. В переводах недостатка, можно подумать, не будет.

¹ „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წ. 1, გვ. 541, ი. კერესელიძის წერილები, შ. რადიანის შენიშვნებითა და წინასიტყვაობით.

² ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, № 807.

Редакция с нетерпением ждет присылки статей в Вашей стороны. Вы, в свою очередь, думаю с нетерпением ожидаете получения первой книжки. Все готово: бумага (прекрасная, лучшие русские журналы не все печатаются на такой бумаге), буквы готовы — уже первого и второго №№, или же вероятно буквы еще не получены из Питера, которых выслали еще в октябре, буквы должны быть хороши, если выслали те, которые выписывали, именно шрифт последнего (1860) издания «Барсовой кожи».

Керсселидзе тоже предполагает сделать некоторые улучшения в своем издании. Во 1-ых журнал разбил он на 5 или 6 или 7 отделов (прежде этого не было)... Григорий Орбелиани редактирует отделом стихотворений (?), Д. Бакрадзе — редактор всех ученых, исторических, философических и иных чesких статей. Ардазиани — редактор романов, Бурдзенов — критик და სხვა და სხვა ამბავი и т. д.

Кроме того, с нового года ожидается издавать в Тифлисе сатирическую газету «მასხარა», издатель Губ. маршал, кн. А. Орбелиани, редактора до сих пор не могли приискать?...

ეს წერილი მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს იმ მოსამზადებელი მუშაობის მასშტაბებზე, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გააჩალა „საქართველოს მოამბის“ გამოსაცემად. როგორც ვხედავთ, ილიას იმთავითვე აფიქრებდა ჟურნალის მასალით უზრუნველყოფა. ეს მეტად საყურადღებო გარეშობებაა, ვინაიდან „საქართველოს მოამბის“ არსებობის მთელი ხნის განმავლობაში რედაქციას სწორედ ეს საკითხი აღელვებდა განსაკუთრებით.

ამ მიზეზით ზოგიერთი იმასაც კი ურჩევდა ილიას, რომ ხელი ეღო ჟურნალის გამოცემაზე. მაგრამ იგი მტკიცედ ადგა თავის გადაწყვეტილებას, რის შესახებაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნიკ. ლოლობერიძის ერთი კერძო ბარათი მიწერილი კირ. ლორთქიფანიძესთან 1863 წელს. აქ ვკითხულობთ: „...მე ვუთხარი (ილია ჭავჭავაძეს), რომ შეუძლებელს საქმეს იწყობთ თქო, არაეინ მომზადებულნი არა ვართ თქო ამ საქმისათვის და სხვადასხვა. ამაზედ მან მოიყვანა ჩვეულებრივი თავისი არგუმენტი: სულ ამას ვამბობთ და საქმეს ხელს არ ვკიდებთო. რომ დავიწყებთ ჟურნალის გამოცემას, მაშინ გამოჩნდებიან მწერლებიცო და ჩვენც გავიწვრთნებით წერაშიო“¹.

1862 წლის თებერვალში ილია ჭავჭავაძემ შეძლო „საქართველოს მოამბის“ გამოსემის ნებართვის მიღება. ნებართვა გაცემულია გრ. ორბელიანის ხელმოწერით, რომელიც იმ დროს კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა. დამტკიცდა პროგრამაც. გრ. ორბელიანმა

¹ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, № 2173/825.

უღავოდ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ამ საქმეში ახალგაზრდა მოღვაწეს¹.

„ცრსკრის“ 1862 წლის ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ილია ქავეკვაძის განცხადება 1863 წლის იანვრიდან „საქართველოს მოამბის“ გამოცემის შესახებ.

„მოშავალ 1863 წლის იანვრის თვიდან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ ჟურნალში მთელის წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომნი ნაწილები:

1. წმინდა სალიტერატურო: ლექსები, მოთხრობები, დრამები, კომედიები, ნამდვილები (ორიგინალური) და ნათარგმნი;

2. ისტორიული: საზოგადო ისტორია, განსაკუთრებით ყურადღება მიექცევა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიაზედ;

3. საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომია: აქვეყნდებით გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას ეს საგნები იმდენად, რამდენადაც დრო და საჭიროება მოითხოვს;

4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია: აქ განიხივინა უცხო ენებზე დაწერილი თხზულებები და ქართული წიგნები;

5. სხვადასხვა ანბავი;

6. დაშატება: ამ ნაწილში დაიბეჭდებინა ძველი ქართული თხზულებანი, ანუ გამოჩენილნი უცხო ენებიდამ თარგმნილი რომანები.

ამ პროგრამას ამჟამად არაფერს ვუმატებთ, რაც შეეხება ჟურნალის ხასიათს და მიმართულებას იმაზედ არაფერს ვიტყვი. ჩვენ ვარჩევთ, რომ თვითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თვითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჭობინება ყოველ წინასიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ, ამისათვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ქეშმარიტი, და თუ ღონე შეგვეწევა და ცოტათი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისაც კმაყოფილი ვიქნებით. ჩვენის მხრით, რასაც კი შეესძლებთ, არას დავზოგავთ; დანარჩენი თვით საზოგადოებაზედ ჰყილია“.

ზემოაღნიშნულ განყოფილებებს გარდა, ბუტკოვისადმი გრ. ორბელიანის მიმართვის მიხედვით, ჟურნალს იუმორისტული განყოფილებაც უნდა ჰქონოდა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ახალი ჟურნალის ხელმძღვანელობას რამდენიმე კაცი კისრულობდა. „ილია ქავეკვაძეს უნდოდა რამდენიმე კაცის შრომა შეეერთებინა, როგორც...

¹ აბ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1957, ტ. 1, გვ. 67-68; პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1, გვ. 302-303.

რუსეთში შრომობენ ურუნალ-გაზეთებისათვის. აი, ამისათვის „საქართველოს მოამბის“ გამოცემის განცხადებაში იყო მოხსენიებული, რომ „ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იყისრა უფ. ნიკოლოზ ლოდობერიძემ, სხვა და სხვა ამბავისა — უფ. ღვთისმამა და საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომიის — უფ. ივ. სერგებიაკოვმა. ამაგვარად, ურუნალს გარს უნდა მოხვეოდნენ ლიტერატურის კეთილ მოღვაწენი და ერთმანეთის შემწეობით და თანამშრომლობით ლიტერატურა დაეყენებინათ ღირსეულ ხარისხზედ“¹.

მოსამზადებელი მუშაობის პროცესში მოპოვებულმა წარმეტებამ ფრთა შეასახა ახალთაობას². მაგრამ იგი ახლაც კარგად გრძნობდა ურუნალის გამოცემის სიძნელეებსა და ამ საქმეში თავის პასუხისმგებლობას. ნიკო ნიკოლაძე 1862 წლის 30 ნოემბერს კირ. ლორთქიფანიძეს აცნობებდა: „საქართველოს მოამბემ“ დანიშნა, ამბობენ, 15 მანეთი ფურცელზეო, ძალიან ცოტა ხელის მომწერნი იშოვნა ჯერ და აწი კი არ ვიცი, რა იქნება. მოეხმარეთ“³. ცოტა უფრო ადრე, 1862 წლის ოქტომბერში, ნიკო ნიკოლაძე სწერდა კირ. ლორთქიფანიძეს: „...ქვეყანაძის ურუნალმა აქ ფურორი მოახდინა ჯერჯერობით. გენაცვალე. კირილე, რამე სტატია გამოგზავნე დააბეჭდავ. უკეთუღ გამოგზავნე“⁴.

ახალგაზრდობის ასეთი ენერგიული პროპაგანდის შედეგად. „საქართველოს მოამბემ“ ჯერ კიდევ გამოსვლამდე. დიდი დაინტერესება გამოიწვია ხალხში, არასოდეს „ციცკარს“ იმდენი ხელისმომწერი არა ჰყოლია, რამდენიც „საქართველოს მოამბეს“ უკვე დაარსების მოლოდინში ჰყავდა. ნ. ყიფიანი 1862 წლის დეკემბერში სწერდა მამას. დ. ყიფიანს: «Кстати, надо сказать, что число подписчиков на «Груз. вестник» доходит до 500, и чуть ли не перейдет даже 500. Это очень довольно. Но Чавчавадзе еще не получил букв, так, что не может еще приступить к печатанию, впрочем ожидаем на днях»⁵.

აქვე შევნიშნავთ, რომ ხელისმომწერთა რაოდენობის შესახებ ასეთ-სავე ცნობას გვაწვდის გ. წერეთელიც თავის „მგზავრის წერილებში“: „აი, ჩიტორელიძემ (ი. ქავჭავაძემ. — ა. კ.) ...ურუნალის გამოცემის ნება აიღო, მერე... ხელისმომწერა გამართა. მთელ ქართლ-კახეთში და

¹ „კრებული“, 1872, № 8—9.

² აღსანიშნავია, რომ ამ წრეს „საქართველოს მოამბესთან“ საეცოლური ბიბლიოთეკაც შეუქმნია. კ. შარქისის სახ. საქ. სახ. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცულია რამდენიმე წიგნი თეგით: „ბიბლიოთეკა „საქ. მოამბისა“ (თ. შავჭავჭავაძის „ი. ქავჭავაძის“ პირადი ბიბლიოთეკა“, 1957 წ.).

³ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, № 721.

⁴ იქვე, № 758.

⁵ სსლმ, ფონდი № 14963-ბ.

იმერეთში ოთხი თვის განმავლობაში ხუთასი ხელისმომწერი იშოვნა და წინდაწინ ორასი თუმანი ნაღდი ფული შეაგროვა.“

კიდევ უფრო უტყუარია გრ. ყიფშიძის განცხადება, რომ „საქართველოს მოამბეს“ 500 ხელისმომწერი ჰყავდა, რადგან იგი უშუალოდ ი. ჭავჭავაძეს ემყარება.¹

იმ დროს ხუთასი ხელისმომწერის შოვნა დიდი წარმატება იყო.

ფაქტობრივად, „საქართველოს მოამბე“ მეტი რაოდენობით იბეჭდებოდა და უფასოდაც ეგზავნებოდა ზოგიერთ პირს. ჩვენი ვარაუდით, მისი ტირაჟი 700-მდე აღწევდა.

„საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი, რომელიც ტექნიკური მიზეზების გამო მხოლოდ 7 თებერვალს (ძვ. სტ., პირველს დიდმარხვის კვირას) გამოვიდა. ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებს. არასოდეს მანამ ქართულ ენაზე ასეთი შინაარსიანი, მიმზიდველი, იდეურად გამართული და მხატვრულად დახვეწილი ეურნალის ნომერი არ გამოსულა.

„მოამბის“ გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში შესანიშნავ მოვლენად დარჩება სამუდამოდ. მკითხველმა საზოგადოებამ პირველად ნახა და შეიტყო, რა არჩევით უნდა იბეჭდებოდეს ნაწერი, რა სიცოცხლე უნდა ეტყობოდეს ნაწერსა და როგორ უნდა ელაპარაკებოდეს მწერალი მკითხველს... ილია ჭავჭავაძემ მისცა ამგვარად ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურასა. იმის კრიტიკულ სტატიამდინ არც კი იცოდნენ, რა არის მიმართულება ლიტერატურისა ანუ კაცისა (თვით ამ სიტყვის შემოღება, „მიმართულება“, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის); — წერს პ. უმიკაშვილი.²

„საქართველოს მოამბე“ იბეჭდებოდა გაბრიელ მელქუმანცისა და ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტამბაში³, რომელიც სხვა შეკვეთებით იყო გადატვირთული, რაც აბრკოლებდა ეურნალის დროულად გამოცემას; ამასთან, სტამბის ხარჯებიც მძიმე ხარკად აწვა რედაქციას. რედაქცია ყოველწლიურად სტამბას უხდიდა 1600 მანეთს⁴. „ცისკარს“ საკუთარი სტამბა ჰქონდა და დიდ იმედსაც ამყარებდა ამ უპირატესობაზე.

ი. ჭავჭავაძის კერძო წერილებიდან ჩანს, რომ 1863 წელს იგი დღე-

¹ Гр. Кипшидзе, «Периодическая печать на Кавказе», 1901 г.

² „კრებული“, 1872, № 8—9.

³ ზაქ. კიკინაძის ცნობით, ენფიანჯიანცის სტამბა გაიხსნა 1860 წელს და მოგვიანებით იგი შეისყიდა ტიგრან როტინოვმა.

⁴ 1862 წლის ბოლოს ივ. კერესელიძე სწერდა რაფ. ერისთავს: „ამათ ასოები არა აქვთ მოსული. ესენი იბეჭდებიან ენფიანჯიანცის ტოპოგრაფიაში, წელიწადში მორიგებიან ასსამოც თუმანს მარტო ბეჭდვაში, ქალღსა და სხვათა გარდა“ (ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935წ., გვ. 54).

ღამეს ასწორებდა სტამბაში, ანაწყობს პირადად კითხულობდა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კორექტურას. ამის წყალობით, ტექნიკური გაფორმებით „საქართველოს მოამბე“ წინამორბედ გამოცემებზე შეუდარებლად მაღლა დგას და მომდევნო პერიოდის ქართულ ჟურნალებსაც სჯობს. კორექტურულ შეცდომებსაც შედარებით იშვიათად ვხვდებით და მათი დიდი ნაწილიც გასწორებულია: საგანგებოდ ჩართულ ფურცლებზე.

ჟურნალის თორმეტი ნომერი დაყოფილია ოთხ ტომად (სამ-სამითვე) და თითოეულ ტომს აქვს საერთო საჩივეი. ამასთან, ყოველ ნომერს საკუთარი საჩივეიც აქვს.

ზოგიერთი ნაწარმოები, მაგ., „საბრალონი“, ჟურნალში დამატების სახით იბეჭდებოდა და დამოუკიდებელი ნუმერაცია ჰქონდა. ამის თაობაზე ჟურნალის მეორე ნომერში რედაქცია ასეთ განმარტებას იძლეოდა: „დამატების ნაწილში რომანს „საბრალონი“ ულაგო ალაგას იმიტომა ვწყვეტთ, რომ შემდეგ ერთ წიგნად შეკვრა შეიძლებოდეს.“

აღსანიშნავია, რომ ჟურნალის ყველა ნომრის საცენზურო ვიზა დაგვიანებით არის გაცემული: № 1-ისა 12 იანვარს, № 2-ისა — 18 თებერვალს, № 3-ისა — 30 აპრილს, № 5-ისა — 30 მაისს, № 6-ისა — 22 ივლისს, № 12-ისა — 31 დეკემბერს.

ჟურნალი გამოდიოდა ყოველთვიურად, პროგრამის მიხედვით — „შვიდი თაბახიდან ათამდე, ანუ 122-160 გვერდამდე“. ბოლო ნომრები ხუთ-ექვს თაბახს არ აღემატება.

„საქართველოს მოამბის“ გამოწერის ფასი „შინ გაგზავნით“ შეადგენდა წლიურად ერთ თუმანს, გაუგზავნელად — ცხრა მანეთს, ცალკე ნომერი ღირდა 85 კაპიკი.

ხელისმოწერა შეიძლებოდა როგორც ფოსტით, ისე უშუალოდ რედაქციაში.

„საქართველოს მოამბის“ რედაქცია 1863 წლის ივლისამდე მოთავსებული იყო ყოფილი გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე, № 26, ივანე მუხრანსკის სახლში, სადაც ამჟამად აგებულია კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობა. ივლისიდან რედაქცია გადავიდა ოლღა გურამიშვილის მამიდის, სიღონია ზაქარაიას ასულ სევარსამიძისეულ სახლში, ყოფილ კომენდანტის ქუჩაზე (ამჟამად გრიბოედოვის ქ. № 37).

ფსევდონიმები და ანონიმები

„საქართველოს მოამბის“ თანამშრომლები თავიანთ თხზულებებს უმთავრესად ფსევდონიმით ან ხელმოუწერლად აქვეყნებდნენ. იმ დროს ფსევდონიმს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მისი საილუმინაციოების დაცვაზე ცხარე კამათიც იმართებოდა პრესასა თუ პირად მიმორწერაში. ფსევდონიმი იცავდა მწერალს რეაქციული წრეების დევნიისაგან. იფარავდა თხზულებას მიკერძოებული შეფასებისაგან და აძლიერებდა მისდამი ინტერესს.

1860 წლის ბოლოს ი. ჭავჭავაძე თავის მეგობარს ი. წინამძღვრ-შვილს სწერდა: „აი ამ სტატიას გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმცა სხვა გვარი აწერია: მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა, შენც ძალიან შეგებვეწები, რომ არ გამოძაშვარავო... არავეისთან, ხელალებით არავეისთან... ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო, კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყო, სხერს მხრით დააჯერა ისინი, რომ მართლა და აზნაური ზუმბლარი მართალი გვარია და არა მოგონილი...“¹

ყურნალში დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის ოცდარვა თხზულებიდან მისი სახელითა და გვარით გამოქვეყნებულია ორი სარედაქციო განცხადება. მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა იცოდნენ მისი ფსევდონიმები. ამ საილუმინაციო ილია საცოლესაც არ უმჯღავენებდა: „ჩემს პირველ ყურნალში, მოთხრობაში „გლახის ნამბობი“ ეს აზრი შესანიშნავად გადმოსცა ჭიმშერიძემ: „ჭკვა გზას გაგინათებსო, გული კი გაგითბობსო“.²

ილია ჭავჭავაძე ყურნალის წამყვანი თანამშრომელი იყო და სახელდახელოდაც უხდებოდა ზოგიერთი მასალის მომზადება-დასტამბვა. ნაუცბადევად შექმნილ ამ თხზულებებს შემდეგ თვითონ დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა და ეს თხზულებები უავტოროდ დარჩა. ზაქ. კოკინაძის ცნობით, „საქართველოს მოამბეში“ ყველაზედ მეტი შრომა ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, აქ მისი წერილები რამდენიმე ფსევდონიმით იბეჭდებოდა“.³

ასევე შეიძლება ითქვას ყურნალის დანარჩენ თანამშრომლებზე. ცნობილია ისიც, რომ 1863 წლის ივლისიდან, საცენზურო რეპრესიების გაძლიერებისა და „სხვადასხვა ამბის“ განყოფილების აკრძალვის შემდეგ, ყურნალის თანამშრომლები ახალ ფსევდონიმებს იყენებდნენ.

¹ სსსმ ფონდი. № 17543-ბ.

² „ცისკარი“, 1861, № 3, გვ. 116. ილია ჭავჭავაძის წერილები, პ. ინგოროვას წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. ტ. X.

³ ზ. კოკინაძე, ილია ჭავჭავაძე... 1897, გვ. 27.

ილია ქავჭავაძის შემოქმედების, სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-ესთეტიკური პრობლემების შესახებ იბეჭდება მრავალი წიგნი და წერილი, ეწყობა დისკუსიები. მაგრამ სადავო პრობლემების მეცნიერული გადაწყვეტის აუცილებელ პირობას მწერლის ნაწერების შეკრება-შესწავლა წარმოადგენს. აკადემიურმა გამოცემამ ეს საქმე საგრანობლად წინ წასწია, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ლიტერატურის ისტორიკოსმა უთუოდ უნდა იცოდეს, ვის ეკუთვნის ესა თუ ის ნაწარმოები.

„საქართველოს მოამბის“ ფსევდონიმური და ანონიმური ნაწერების ავტორთა ენობის დადგენა საკმაოდ ძნელია, რადგან კავკასიის საცენზურო კომიტეტის იმ პერიოდის არქივი არ შემონახულა და არც უურნალის საქმეებია გადარჩენილი¹.

კვლევა-ძიება აქ, უპირველესად, უნდა დაემყაროს სიძველეთსაცავეებსა და ლიტერატურულ წყაროებში გაფანტულ ცნობებს და, ბოლოს, ტექსტის შინაარსობრივ-სტილისტურ ანალიზს.

ამასთან, ფსევდონიმური და ანონიმური ავტორები ჩვენთვის ცნობილ ავტორთა წრეში უნდა ვეძიოთ, რადგან ყველა მონაცემის მიხედვით. „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთა ძირითადი შემადგენლობა შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ.

ფსევდონიმები

„საქართველოს მოამბის“ მეხუთე ნომერში დიდი პუბლიცისტური ერუდიციით დაწერილ „სხვადასხვა ამბავს“ ხელს აწერს „დ. ავ-ი“. აქ, სხვათა შორის, ყურადღებას იქცევს ავტორის საპროგრამო განცხადება, რომელიც მთელი უურნალის, თერგდალეულთა მთელი მიმდინარეობის უმნიშვნელოვანეს დებულებადაა მიჩნეული: „ჩვენს დროში ერთმა დიდმა აღრეულობამ იტალიისამ რაღაც ნაციონალიზმის, ხალხურობის აზრი წამოაყენა, რომლის მოთხოვნილებასაცა, მკითხველო, ქეშმარიტი თერგდალეულობა ეტყობა“.

ბუნებრივია, ამ ფსევდონიმმა თავიდანვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. პროფ. პ. გუგუშვილი მას კითხვით ნიშანს უსვამს². ქრ. რაპგელაშვილი ინიციალებს ხ.ნ.ს და „ავალიშვილს“ კითხვითი ნიშ-

¹ „სოკრემენიის“ ფსევდონიმებისა და ანონიმების გამაფრთხილებელი საპროგრამო უწყისების აღმოჩენის შემდეგ მოხერხდა.

² პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა... I, 1941 წ., გვ. 367.

³ ქრ. რაპგელაშვილი. ი. ჯავახიანი, 1937 წ.

ნის ქვეშ ტოვებს. ვახ. გაგოძე „დ. ავ-ს“ — დავით ავალიშვილად თვლის¹. ამავე აზრისაა აკაკი კენჭოშვილიც² და ა. შ.

მხოლოდ ს. ხუციშვილი გამოთქვამს ეჭვს, „დ. ავ-ი“ შეიძლება დავით ყიფიანის ინიციალები იყოსო³. მკვლევარს, სამწუხაროდ, არავითარი საბუთი არ მოაქვს ამ ეჭვის დასადასტურებლად.

დავით ივანეს ძე ავალიშვილი, რომელსაც მეხუთე ნომერში დაბეჭდილი „სხვადასხვა ამბავის“ ავტორად მიიჩნევენ, ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი იყო. 70 — 80-იან წლებში იგი ილიას ოჯახის ხშირი სტუმარი ყოფილა⁴. 1880 წელს დავით ავალიშვილი თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დირექტორად აირჩიეს⁵ მოკლე ნეკროლოგში, რომელიც „ივერიის“ 1897 წლის 8 აგვისტოს ნომერშია დაბეჭდილი, არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი მის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. ქართულ პრესაში მას, მართლაც, არასოდეს არაფერი დაუბეჭდავს. იგი არც „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთა და ილია ჭავჭავაძის წრის წევრთა შორის ჰყავს ვისმე მოხსენიებული და შეუძლებელია მას ეკუთვნოდეს ზემოაღნიშნული „სხვადასხვა ამბავი“. არც სხვა დავით ავალიშვილი ჩანს იმ დროის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ასპარეზზე.

სამაგიეროდ, დამაჯერებელი საბუთები მოგვეპოვება, რომ მეხუთე ნომერში დაბეჭდილი „სხვადასხვა ამბავის“ ავტორი დავით ყიფიანია.

მეთხე ნომრის „სხვადასხვა ამბავს“ ხელს აწერს დავით ყიფიანი, რომელიც წერილის დასასრულს ჰპირდება მკითხველს, რომ შემდეგ ნომერში გააგრძელებს ეროვნულ-სოციალურ საკითხებზე დაწყებულ საუბარს. მეხუთე ნომრის „სხვადასხვა ამბავი“, მართლაც, აღნიშნული წერილის თემატიკურ რკალში თავსდება და, არსებითად, მის გაგრძელებას წარმოადგენს.

ანტონ ფურცელაძე, რომელიც „ცისკრის“ 1863 წლის ივლისის ნომერში საგანგებოდ განიხილავს დავით ყიფიანის „სხვადასხვა ამბავს“, წერს: „უფალმა დავით ყიფიანმა, რაკი დაატყო, რომ ამის თხზულებები საზიზღრათ მიაჩნია მკითხველებს, ადგა და გაფსევდონიდა“⁶.

ამის შემდეგ ანტ. ფურცელაძე მკაცრად აკრიტიკებს აღნიშნულ სტატიას, მოაქვს მთელი რიგი ციტატები და დასკვნის დავით ყიფიანს, რომ მას არ ეხერხება ქართულად წერა, კილავს ავტორის გრძელ

¹ ვახ. გაგოძე, „საქართველოს მოამბე“ (ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური იდეები), 1956 წ., გვ. 170.

² ა. კენჭოშვილი, ი. ჭავჭავაძე, 1963 წ., გვ. 63.

³ „ბიბლიოგრაფიის მოამბე, № 4—5, გვ. 348.

⁴ ი. მუუნარგია, ქართველი მწერლები, 1937 წ., გვ. 35.

⁵ „დროება“, 1880, № 91, გვ. 1—2.

⁶ „ცისკარი“, 1863, ივლისი.

შიმართვებს მკითხველისადმი, რაც ფელეტონურ ხერხს და ცენზურის მოსაგერიებელ საშუალებას წარმოადგენდა („თუნდაც რომ გენალღებოდეს, მაინც რომ არ შეიძლება... რადგანაც ჩემს კალამს იმოდენა ძალა როგორ უნდა მოეთხოვებოდეს, რომ იმოდენა ცნობის მოყვარეობა განგიღვიძოს...“ და ა. შ.). ყოველ აბზაცში გამეორებულ ამ მიმართვებს ანტ. ფურცელაძე, დაცინვით „დასტალულებსა“ და „საეკლესიო სადღესასწაულოებებს“ ეძახის.

მაგრამ, ანტ. ფურცელაძეს არ შეუძლია უარყოს ამ სტატიის დიდი იდეურ-პუბლიცისტური ძალა და დასძინოს: „დავით ყიფიანის ნაწერებში ერთი ეს ღირსება მაინც არის, რომ ის არ გადასდგომია ჯერ ყმაწვილი თაობის „წინ წადეჟის“ აზრსა“.

ისიც უნდა დაეძინოთ, რომ „აელიშვილი“ დავით ყიფიანის დედის გვარია და რადგან „საქართველოს მოამბის“ მოწინააღმდეგეებს მასზე განსაკუთრებული იერიში მიჰქონდათ, მეხუთე ნომრის „სხვადასხვა ამბავი“ ამ ინიციალებით გამოუქვეყნებია.

„გ. ჩ.“ „საქართველოს მოამბის“ მეშვიდე ნომერში დაბეჭდილ პაპფლეტს — „სხარტულა“, მოწერილი აქვს ინიციალი „გ. ჩ.“ (გვ. 72 — 96).

მართალია, „სხარტულა“ ილია ჭავჭავაძის თხზულებად არის აღიარებული და შეტანილიცაა მის თხზულებათა კრებულებში; მაგრამ ამ საკითხის ირგვლივ ერთგვარი გაუგებრობა მაინც არსებობს და მისი გარკვევა აუცილებელია. გაუგებრობა იმით არის გამოწვეული, რომ „გ. ჩ.“ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლისა და ილიას წრის ერთ-ერთი აქტიური წევრის გიორგი ჩიქოვანის ინიციალებია.

არჩილ ჭორჭაძე შენიშნავდა: „სხარტულას,“ რომლის ნაწყვეტი მოგვყავს, ხელს აწერს ვ ი ნ მ ე (ხაზი ჩემია. — ა. კ.) „თ. გ. ჩ.“¹.

პროფ. დ. გამეზარდაშვილი „სხარტულას“ ერთგან „გ. ჩიქოვანის სატირულ სცენას“ უწოდებს, ხოლო მეორეგან წერს: „ი. ჭავჭავაძემ ხელმოწერით „გ. ჩ.“ გამოაქვეყნა... ფელეტონი „სხარტულა“².

ს. ხუციშვილი შენიშნავს: „სხარტულას“ ხელმოწერა აქვს „გ. ჩ.“ ილიას ფსევდონიმებში ეს „გ. ჩ.“ ნაჩვენები არ არის“³.

ამასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მოპაექრეთა მახვილი პირველ რიგში მიმართული იყო პირადად ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. მისი ნაწერების კრიტიკას შეურაცხყოფელი, დამამცირებელი ხასიათი ჰქონდა და მიზნად ისახავდა რედაქტორისათვის სახელის გატეხას, რაც საზიანო იყო როგორც ყურნალის,

¹ არ ჩ. ჭორჭაძე, თხზულებანი V, 1913, გვ. 89.

² დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, 1957, გვ. 392, 393.

³ ბიბლიოგრაფიის მოამბე, № 4—5.

რე. საერთოდ, ახალი თაობის ავტორიტეტისათვის. ამიტომ, როგორც ეტყობა. წრის წევრებს თანხმობა განუცხადებიათ, რომ პოლემიკური წერილები ილიას მათი ინიციალებით გამოექვეყნებინა.

„სხარტულა“ ანტონ ფურცელაძის 1863 წლის ივლისის წერტილის პაროდიას და „ცისკრის“ წინააღმდეგ მიმართულ სატირას წარმოადგენს. ავტორის ვინაობის დასაფარაად „საქართველოს მოამბის“ რედაქციას საგანგებო ზომები მიუღია, ავტორს გამოუყენებია „მტკვარდალეული“ თანამშრომლის გიორგი ჩიქოვანის ინიციალები (როგორც ქვემოთ დავინახავთ, „ცისკარი“, კერძოდ. ანტ. ფურცელაძე, „საქართველოს მოამბის“ „მტკვარდალეული“ თანამშრომლებს თერგდალეულებზე უფრო ლმობიერად ეკიდებოდა). შემდეგ, „სხარტულას“ წამოძვარებული აქვს ავტორის (ერთომ, გ. ჩიქოვანის) მიმართვა ილია ჭავჭავაძისადმი: „უფალო რედაქტორო!“, რომელშიც სთხოვს დაუბეჭდოს თხზულება.

„ცისკრის“ რედაქციას, კერძოდ, ანტონ ფურცელაძეს, „სხარტულა“ პირად შეურაცხყოფად მიუღია და საგანგებოდ დაინტერესებულა ავტორის ვინაობით. ერთ გამოუქვეყნებელ წერილში ანტონ ფურცელაძე წერს: „სხარტულა“ დასწერა ილიამ და მოაწერა გიორგი ჩიქოვანის ინიციალები „გ. ჩ.“. გიორგი ჩიქოვანი მოვარდა ჩემთან, შემომჩივლა: „ჩემი დაწერილი არ არის, თვითონ ილიამ დაწერა და ამის უკან კიდევ აიღო „მოამბეზე“ ხელი“¹.

ანტ. ფურცელაძის ცნობის ის ნაწილი, თითქოს გ. ჩიქოვანი მასთან ბოდიშის მოსახდელად მივარდნილიყოს და ამის შემდეგ ხელი აეღოს „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლობაზე, სწორი არ არის, რადგან ჟურნალში უკანასკნელ ნომრამდე განუწყვეტლად იბეჭდებოდა მისი თარგმანი („საბრალონი“).

„მ. ჩ.“ ჟურნალის მესამე ნომერში რუსულიდან თარგმნილ მოთხრობას „ოთხი შეხვედრა“, რომელსაც 23 საყურადღებო შენიშვნაც ერთვის, ხელს აწერს „მ. ჩ.“.

დღემდე მკვლევარებს არ გაუხსნიათ ეს ინიციალები. მხოლოდ ს. ხუციშვილმა გამოთქვა მოსაზრება: „მ. ჩ.“ მთარგმნელი ამ მოთხრობისა, შესაძლებელია იყოს მიხეილ ჩიკვაძეო“. ამ ვარაუდის საფუძვლად მკვლევარი ასახელებს, რომ მიხეილ ჩიკვაძემ „არჩილ ჭორჯაძეს მოხსენიებული ჰყავს „საქართველოს მოამბის“ სხვა თანამშრომლებთან ერთად“². უნდა შევნიშნათ, რომ მიხეილ ჩიკვაძეს (ჩიკვაძის) არა მარტო არჩილ ჭორჯაძე, თითქმის ყველა მკვლევარი ასახე-

¹ სსმ ფონდი, № 5915-ბ.

² „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 4—5, გვ. 341; აგრეთვე ს. ხუციშვილი, გ. ჭიქოვანის შესახებ, გვ. 170.

ლებს ილია ჭავჭავაძის წრის აქტიურ წევრად და „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლად.

გ. წერეთელი წერდა: „ილია ჭავჭავაძემ... გარშემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მომქმედ პირებად იყვნენ... მიხეილ ჩიკვაიძე“... და ა. შ.¹

მაგრამ, მოგვებოვება პირდაპირი სანდო ცნობაც, რომ „ოთხი შეხვედრა“ მიხეილ ჩიკვაიძის თარგმნილია.

„ცისკრის“ 1863 წლის იელისის ნომერში ანტონ ფურცელაძე აცხადებდა: „კარგი! სწორეთ რომ მე უნივერსიტეტში არ ვყოფილვარ. ეს დავით ყოფიანი ხომ იყო, „ოთხი შეხვედრის“ მთარგმნელი „მ. ჩ.“ ხომ უნივერსიტეტიდან არის... თუნდა ავიღოთ მაგალითისათვის „ოთხი შეხვედრა“ უნივერსიტეტში ნამყოფისა და „კონრად კიფერი“ გიმნაზიის მოწაფის ლევან ჯანდიერიშვილის, თუ რამდენად „კონრად კიფერის“ თარგმანი სკობიან „ოთხ შეხვედრასა“, ეს ჩვენ ყველას შეგვიძლიან გავსინჯოთ“.

ერთ გამოუქვეყნებელ ხელნაწერში ანტ. ფურცელაძე ეკამათება არჩ. ჯორჯაძეს და წერს: რატომ „არ მოიხსენიეთ მიხეილ ჩიკვაიძე — მთარგმნელი „ოთხი შეხვედრისაო“. 900-იანი წლების ხელნაწერებშიც ანტ. ფურცელაძე არაერთგან იმეორებს, რომ მიხ. ჩიკვაიძე „საქართველოს მოამბეში“ თანამშრომლობდა.

ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნულ მოთხრობაში აღწერილია მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტთა ცხოვრება, სადაც იმ დროს მიხეილ ჩიკვაიძე სწავლობდა.

ამრიგად, „მ. ჩ.“ მიხეილ ჩიკვაიძის (ჩიკოიძის) ინიციალებია და „ოთხი შეხვედრის“ მთარგმნელი ის არის.

„თერგდალეული“. თერგდალეულის ფსევდონიმით ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი თხზულებები: „ბიძია თონიკეს სტატიის გამო“ (№ 4, გვ. 82—88); „ამაო ამათა“ (№ 6, გვ. 69—82) და „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ (№ 11, გვ. 34—35 და № 12, გვ. 62—87).

ამ ფსევდონიმის გარშემო ერთგვარი ექვი შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ არჩილ ჯორჯაძე, რომელსაც პირადი ურთიერთობა ჰქონდა „საქართველოს მოამბის“ ყოფილ თანამშრომლებთან, გაუშიფრავად ტოვებს მას. იგი წერს: „მწერალთა შორის მონაწილეობას იღებდნენ ი. ჭავჭავაძე, ვ. თულაშვილი, გ. წერეთელი, თერგდალეული“²... (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

¹ „კვალი“, 1897, № 46.

² არჩ. ჯორჯაძე, თხზ., ტ. V, გვ. 79.

ერთგან „საქართველოს მოამბის“ შინაურ საქმეთა ისეთი კარგ მცოდნეც კი, როგორც იყო ანტონ ფურცელაძე, ჩამოთვლის ამ უურნალის თანამშრომლებს და „თერგდალეულზე“ ეკვით ამბობს: „ეგონებ. კირილე ლორთქიფანიძეა“.

ქრ. რაჭველიშვილის აზრით, „თერგდალეულის“ ფსევდონიმი: ილია ქავჭავაძეც წერდა. „მეთერთმეტე ნომრის ძველ სარჩევს, — ამბობს ის, — ახალი აქვს გადაკრული და იმ წერილს, რომელიც დაბეჭდილია ილიას ხელმოწერით („რედაქციისაგან“) ძველ სარჩევში აწერია „თერგდალეული“¹. მაგრამ აქ ტექნიკურ შეცდომასთან უნდა გვექონდეს საქმე, რადგან ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ილიას ფსევდონიმით დაბეჭდვა ასეთი პრინციპული მნიშვნელობის სარედაქციო განცხადება.

კირილე ლორთქიფანიძის ავტოგრაფები — „ბიძია თონიკეს სტატიისა გამო“ და „ამაო ამათა“ დაცულია (ისიც რამდენიმე ვარიანტად) მისსავე არქივში, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და ამიტომაც საეჭვო აქ აღარაფერია.

ქრ. რაჭველიშვილს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს მესამე თხზულება — „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“, რომლის დასაწყისი მართლაც მეთერთმეტე ნომერშია დაბეჭდილი. მაგრამ კირ. ლორთქიფანიძის ზემოდასახელებულ არქივში ამ თხზულების ავტოგრაფიც აღმოჩნდა. ამასთან, ხორკლიანი, გაუწაფავი ენაც გვიდასტურებს, რომ იგი ილიას ნახელავი არ არის.

მოგონებებით, მიმოწერით, გამოკვლევით დამაჯერებლად მტკიცდება, რომ კირ. ლორთქიფანიძე „საქართველოს მოამბის“ უახლოესი თანამშრომელი იყო და „თერგდალეულის“ ფსევდონიმით მხოლოდ ის წერდა. „საქართველოს მოამბის“ დაარსებამდე, ამავე ფსევდონიმით იგი წერილებს აქვეყნებდა „ცისკარში“.

მაქსიმ ლალანიძე. „საქართველოს მოამბის“ მეცხრე და მეთათე ნომრებში გამოქვეყნებულ წერილებს „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ“, ხელს აწერს მაქსიმ ლალანიძე (ზოგან ლოლანიძე). თხზულება გალმოქართულებულია (ამოკრებილია) ბ. ბელინსკის რეცენზიებიდან: «Подарок на новый год» — Гофмана и «Детские сказки дедушки Ирения» — В. Одоевского», რომელიც 1840 წელს დაიბეჭდა «Отечественные записки»-ში.

მკვლევარებს, როგორც ჩანს, მაქსიმ ლალანიძე ავტორის სახელად და გვარად მიაჩნიათ.

ს. ხუციშვილი აღნიშნავს: „საქართველოს მოამბეში“ დასტამბული

¹ ქრ. რაჭველიშვილი, ი. ქავჭავაძე, 1937.

თარგმანი მაქსიმე ლალანიძისაა¹. ასევე ფიქრობენ გ. თავზიშვილი², დ. გამეზარდაშვილი³ და სხვ. კ. მეძველია უფრო მკაფიოდ ამბობს: „ილიამ თავის გარშემო პეტერბურგელი ამხანაგები შემოიკრება. ასეთენი იყვნენ გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე... და სხვ. ამათ გარდა, „საქართველოს მოამბეში“ თანამშრომლობდნენ: გ. ერისთავი, ს. ბარათაშვილი... მაქსიმე ლალანიძე და სხვები“⁴.

XIX საუკუნის ქართულ პრესაში მაქსიმე ლალანიძის სახელით სხვა არაფერია დაბეჭდილი და საერთოდ არ არის ნახსენები ეს გვარი(ან „ლოლონიძე“)⁵.

„ლალანიძე“ არ იხსენიება არც იმდროინდელ ქართველ სტუდენტთა, არც ილიას წრის წევრთა შორის.

საკმაოდ მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ „მაქსიმე ლალანიძე — ავტორის სახელი და გვარი კი არ არის, არამედ ყურნალის ერთ-ერთი თანამშრომლის (ილია ჭავჭავაძის, დავით ყიფიანის, მიხ. ყიფიანის ან სხვა რომელიმესი) ახალი ფსევდონიმი.

ზაქ. კიკინაძის ცნობით⁶, ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეში“ გამოაქვეყნა ბელინსკის წერილები.

ადგილები ბელინსკის კრიტიკული წერილებიდან ჩიტორელების ფელეტონებშიც არის ჩართული, მაგრამ ეს აქ არ უნდა იგულისხმებოდეს, რადგან „ბელინსკის სტატია“, ცალკე თხზულებად არის დასახელებული.

წერილი „ბელინსკის აზრი შეილების აღზრდაზე“ პედაგოგიკურ და ლიტერატურულ პრობლემებს შეეხება: ყურადღება, განსაკუთრებით, საბავშვო მწერლობის საკითხებზეა გამახვილებული. ლ. ჭანდieriშვილის თარგმანის წინასიტყვაობაში „სხარტულასა“ და „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ ილია ჭავჭავაძემ საინტერესო შეხედულებანი გამოთქვა აღზრდის შესახებ და გადაკერით კიდევ მიუთითა, რომ უახლოეს ხანში დაბეჭდავდა ამის თაობაზე გამოჩენილ ადამიანთა ნაწერებს. ამასთან, იმ პერიოდში ილია ღიდად დაინტერესებული იყო ბელინსკის მემკვიდრეობით და თარგმნიდა მის თხზულებებს.

„ბელინსკის აზრი შეილების აღზრდაზე“ გადმოკეთებულია ოსტა-

¹ „ბიბლიოგრაფიის მოამბე.“ № 4—5 გვ. 361.

² გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1948, გვ. 368.

³ დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები, ტ. II, 1957, გვ. 388.

⁴ კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციონერი დემოკრატები, 1959 წ., გვ. 299.

⁵ „დროების“ 1879 წლის № 154—155-ში დაბეჭდილია ეინმე „ლ-მე მ“-ს წერილები: „ჩვენი ძველი დროის წიგნების სტამბები“, მაგრამ აქ შეიძლება იგულისხმებოდეს „ლოლონიძე“, „ლამბაშიძე“ და ა. შ.

⁶ ზ. კიკინაძე, „ილია ჭავჭავაძე“..., 1897, გვ. 20.

ტურად, მაღალი გემოვნებითა და ილიას სტილის იმ სიდიადით. რომელიც მხოლოდ მისთვის იყო მაშინ მინაწევდომი.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვენდოთ ზაქ. ჭიჭინაძის ცნობას და „მაქსიმე ლალანძე“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმად ვაღიაროთ.

X X X

ჩვენი გამოკვლევის გამოქვეყნებიდან თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ პროფ. დ. გამეზარდაშვილმა (1977 წ., „განთიადი“, №3) აღნიშნული ფსევდონიმი მიხ. ზ. ყიფიანს მიაკუთვნა. მოკამათეს ჩვენ პასუხი გავეცით წერილში „ილია ჭავჭავაძე“ ბელინსკის მთარგმნელი¹.

„განთიადში“ ოპონენტმა მთლიანად აუარა გვერდი ჩვენს არგუმენტებს, ღოლო თვითონ არაერთადი კვლევა-ძიება არ უწარმოებია და არაერთადი მასალა არ მოუპოვებია. ერთადერთი იმპულსი, რომელსაც „მაქსიმე ლალანძის“ მიხ. ყიფიანად გამოცხადების სურვილი აღუძრავს, „ივერიის“ ნეკროლოგში ამოკითხული შემთხვევითი ცნობაა.

„ნეკროლოგი“, — წერს ის. — დაიბეჭდა „ივერიაში“. „როგორც ცნობილია, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი ამ დროს ილია ჭავჭავაძე იყო და ამ ნომერსაც იგი აწერს ხელს, მაშასადამე, ნეკროლოგის დაბეჭდვით ილია ჭავჭავაძემ დაადასტურა, რომ... „ლალანძე“ მ. ზ. ყიფიანის ფსევდონიმაა².

ერთ დროს, ამ არგუმენტმა აზრი შეაცვლევინა პ. ინგოროყვას და აიძულა ხელი აეღო თავის სწორ, მეცნიერულ დასკვნაზე. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, როცა მოულოდნელად აუწყეს, ნეკროლოგი „ილიას რედაქტორობით გამოსულ „ივერიაში“ დაიბეჭდა და „ცოცხალი ილია თავის თავზე ნეკროლოგს ვერ დაწერდაო“.

მაგრამ დღეს ეს „არგუმენტი“ შთაბეჭდილებას მოახდენს მხოლოდ იმ პირებზე, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაზე, კერძოდ, „ივერიის“ სარედაქციო-ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მოღვაწეობაზე, და თანამედროვე პრესის მაგალითით მსჯელობენ მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებზე. სინამდვილეში, ორიოდვე გამოჩაყლის გარდა (როცა ილია რამდენიმე თვით გაემგზავრა რუსეთსა და საზღვარგარეთ), „ივერიის“ უკლებლივ ყველა ნომერს ხელს აწერს „რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე“ და, მაშასადამე, იმ მოტივით, რომ ამ „ნომერსაც ი. ჭავჭავაძე აწერს ხელსო“.

¹ ქართული ჟურნალისტიკა, IV, 1982, გვ. 87—98.

² დ. გამეზარდაშვილი, განსაჩის კაცანი პირუთენელნი. 1986, გვ. 23-24.

არაფრის დამტკიცება არ შეიძლება! ეს ხელმოწერა მხოლოდ ილიას ოფიციალურ-იურიდიულ მდგომარეობას გამოხატავდა. ილია განსაზღვრავდა გაზეთის იერსახეს, აძლევდა საერთო მიმართულებას, ხოლო პრაქტიკულად ცალკეული ნომრების გამოცემას ახორციელებდა რედაქცია (მეტწილად — გრ. ყიფშიძე).

თუ ააეთ ხელმოწერას იმის საბუთად მივიჩნევთ, რომ „ხელმოწერილი ნომრები“ პირადად „რედაქტორ-გამომცემელ“ ი. ჭავჭავაძის მიერაა მომზადებული, მაშინ ისიც უნდა ვიწმუნოთ, რომ მრავალი წლის განმავლობაში ი. ჭავჭავაძეს თბილისიდან ფეხი არ გაუდგამს, არც დაუსვენია, არც სამკურნალოდ ყოფილა. დოკუმენტებით კი ცნობილია, რომ იმ წლებში, როცა „ივერიას“ უცვლელად „ხელს აწერს“ „რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე“, იგი თვეობით იმყოფებოდა პეტერბურგში, მოსკოვში, ბათუმში, სოხუმში, საგურამოსა და ყვარელზე რომ არაფერი ვთქვათ. ასე რომ, ი. ჭავჭავაძემ ზოგჯერ არც იცოდა, რა იბეჭდებოდა მის მიერ „ხელმოწერილი“ ნომრებში.

1891 წელს ილია მთელი წელიწადი ავადმყოფობდა. რამდენიმე თვე პეტერბურგსა და მოსკოვში იმყოფებოდა სამკურნალოდ, სამ იენის პეტერბურგიდან სწერდა გ. თარხნიშვილს, მძიმე ავადმყოფობა აღმომაჩნდა, ზახარინთან და ტრუბაჩოვთან ვმკურნალობ, კონსილიუმებს აწყობენო!

მთელი ამ წლის მანძილზე კი „ივერიას“ „ხელს აწერს“ „რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე“ (მათ შორის, სამი იენისის ნომერსაც!).

1891 წლის რვა თებერვალს ილია „ივერიის“ რედაქციას დეპეშას უგზავნის პეტერბურგიდან დ. ჩუბინაშვილს ბიბლიოთეკის თაობაზე: «Библиотека Чубинова пожертвована обществу грамотности. Профессор Цагарели принял труд наблюдать за составлением каталога Чавчавадзе». ასე რომ, ილია შეიძლება, ჯერ კიდევ არ ყრფილიყო ჩამოსული მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალების დღეებში (ორ მარტს), ან ახალჩამოსული, ავადმყოფი ისვენებდა საგურამოში: ხელმოუწერელი სტატია. რომელშიც მთლიანად იგნორირებულია ნეკროლოგის ცნობები მ. ზ. ყიფიანის „ლიტერატურულ-დამსახურებებზე“, ერთი კვირის შემდეგ გამოქვეყნდა.

ამ ეითარებაში ოპონენტს არავითარი საბუთი არ გააჩნდა დასკვნის-

ი. ჭავჭავაძე, თხზ. პ. ინგოროყვას რედაქციით და შენიშვნებით. ტ. X, გვ. 33. 452, 136.

სათვის: „თვით ტექსტი ნეკროლოგისა დიდი გულისხმიერებით არის რედაქტირებული გაზეთის რედაქტორის ილია ჭავჭავაძის მიერ“¹.

ჩვენს მიერ მოყვანილი არგუმენტები გვიდასტურებენ, რაოდენ სანდო ყოფილა ილიას ახლო თანამშრომელთა მოგონებები იმის შესახებ, რომ ი. ჭავჭავაძემ 90-იანი წლებიდან სულ დაანება თავი გაზეთს. — „ივერია“ ჩაბარებული ჰქონდა გრ. ყიფშიძეს (ილია მხოლოდ გამომცემლობის საქმეს აწარმოებდა)?; „უკანასკნელ ხანებში ილია ჭავჭავაძეს გაზეთისათვის დრო არ ჰქონდა“²; „ილიასთან ხშირად მიხედებოდა ხოლმე საგურამოში ყოფნა, ხან რედაქციის საქმეების გამო, ხან დასასვენებლად“³; „გრ. ყიფშიძე „ივერიის“ ფაქტიური რედაქტორი იყო“⁴; „უალრესად მომთხონ რედაქტორსაც მხოლოდ საერთო მიმართულების და საერთო ტონის მიცემა შეეძლო გაზეთისათვის... ილია ხშირად ვერ იცლიდა თავისი მოვალეობის შესასრულებლად... „ივერიის“ რედაქტორის გამგეობა გრ. ყიფშიძეს ჩააბარა“⁵.

ილიასთან ძლიერ დაახლოებული პირი ექვთიმე თაყაიშვილი წერს, 1891 წელს: ილიამ მითხრა: „მე ძალიან ვწუხნვარ, რომ თ. ჟორდანას წერილი ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, მაგრამ, ხომ იცით, საუბედუროდ, დრო არ მაქვს, რომ გაზეთს ყოველთვის ყური ვუვადო“⁶!

ამრიგად, მ. ზ. ყიფიანის ნეკროლოგის შეცდომებზე ი. ჭავჭავაძისათვის რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრება სრული გაუგებრობის ნაყოფია.

მსგავსი შეცდომები ხშირად მოსდიოდათ მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებს. იმავე „ივერიაში“, გ. წერეთლის ნეკროლოგში ნათქვამია: „გ. წერეთელმა ჯერ უნივერსიტეტიდანვე 1863 წელს „ცისკარში“ დაბეჭდა რამოდენიმე წერილი „ექვთიმძის“ სახელით“.

ეს აბდაუბდა „ივერიიდან“ „მოამბემაც“ გადაბეჭდა⁸.

„ივერიის“ 1887 წლის № 227-ში ვკითხულობთ: „კალმასობა“ ი. ხელაშვილმა შეთხზა და ჯერ არ გამოცემულაო. თუმცა, ორი ათეული წლის წინ, თვით „ივერიის“ რედაქტორმა „საქართველოს მოამბეში“ გამოაქვეყნა კირ. ლორთქიფანიძის რეცენზია „კალმასობის“ დ. ბაქრაძისეულ გამოცემაზე.

¹ დ. გამეზარდაშვილი, „განსაჯოს კაცმან პირუთვნელმან“, 1980, გვ. 8.

² გ. ლასხივილი, მემუარები, გვ. 82—84.

³ ალ. ჭაბადარი, „მნათობი“, 1934, № 1—2, გვ. 276.

⁴ ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1983, გვ. 136.

⁵ ი. ვართავაძე, „მნათობი“, 1962, № 3, გვ. 73.

⁶ დ. შანშიაშვილი, „ჟურნალისტიკის... თეორიისა და ისტორიის საკითხები III, გვ. 221, 227.

⁷ „ლიტერატურის მატრიანე“, VI, 1, 1952, გვ. 25 (ილიასთან დაახლოებულ პირთა შორის არც ე. თაყაიშვილი იხსენიებს მ. ზ. ყიფიანს).

⁸ „მოამბე“, 1900, № 1.

განა ი. გრიშაშვილის სწორედ იმ ნაშრომშიც, სადაც პ. ინგოროყ-
ვას საწინააღმდეგოდ აღნიშნულ ნეკროლოგს იშველიებს, უსაფუძვე-
ლოდ არაა „თახელი“ (1868 წლისათვის) და „ულოლიკო“ ანტ. ფურ-
ცელაძის, „ექვთიმძე“ გ. წერეთლის ფსევდონიმებად გამოცხადებუ-
ლი და ა. შ.?!
იმდროინდელ პრესასა და წიგნებში დაშვებულ ასეთ შეცდომებს
თავი რომ მოუუყაროთ, რამდენიმე ტომი გამოვა. ასეთი იყო კვლევუ-
ძიების ბაზა და დონე მაშინ. რა ექნათ, აღარ გამოვასწოროთ დაშვებუ-
ლი შეცდომები?

რაც შეეხება „ივერიაში“ „გ-გ“-ს ხელმოწერით გამოქვეყნებულ მ.
ზ. ყიფიანის ნეკროლოგს, აქ შეიძლება ითქვას, იდეალური მდგომარე-
ობა გვაქვს. ორიოდღე დღის შემდეგ იგი, არსებითად, უარყოფილი იქ-
ნა თვით ი. ჭავჭავაძის მიერ. მერმე. სხვადასხვა ფორმით. ასევე უარ-
ყვეს ზ. კიკინაძემ, გ. თუმანიშვილმა, ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1892
და 1914 წლების გამოცემლებმა, თ. სახოკიამ, დაბოლოს, ყოველივე
ეს კეთილად დააგვირგვინა ახალაღმოჩენილმა არქივებმა. მაგრამ ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ იგი უარყო თვით ავტორ-
მა — გრ. ყიფშიძემ.

სანდო წრეებში მ. ზ. ყიფიანის ავტორობის მისტიფიკაცია მას შემ-
დეგ აღარ გამეორებულა. პირიქით, სწორედ „ივერიის“ ნეკროლოგმა
ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღო ამ ქორს.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში გრ. ყიფშიძე
ზუსტად იმ თანმიმდევრობითა და ფორმით უარყოფს მის მიერ შეც-
დომით მოწოდებულ ცნობებს, როგორც ისინი წარმოდგენილია ნეკ-
როლოგში, რითაც გვიჩვენებს, რომ ნარკვევის ეს ადგილი მიზნად ისა-
ხავს დაშვებული შეცდომების გასწორებას; „ილიასავე ეკუთვნის ამ
ჟურნალში („საქართველოს მოამბეში“. — ა. კ.) წერილები „ჩიტორე-
ლიძის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი“ (და იქვე მოაყოლებს): „რამ-
დ ე ხ ი ძ ე ხ ე ლ შ ო წ ე რ ი ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ც ა“.

თუ აქ ბელინსკი არ იხსენიება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გრ.
ყიფშიძემ იცის, გარდა „ლაღანიძის“ თარგმანისა, „საქართველოს მო-
ამბეში“ ი. ჭავჭავაძის სხვა „ხელმოწერილი თარგმანებიც“ ეკუთვნის
(„მაქსიმ ლაღანიძე“ და მისი თარგმანის სათაური არც „ივერიის“ ნეკ-
როლოგში იხსენიება).

ქეშმარიტების დასადგენად მნიშვნელობა აქვს არა გრ. ყიფშიძის
მიერ სახელდახლოდ შედგენილ ნეკროლოგს, არამედ მის მიერვე აღ-
ნიშნულ ნეკროლოგში დაშვებული შეცდომების გასწორებას, რითაც
ეს ცნობები ერთხელ და სამუდამოდ გაბათილებულია. ამ ნეკროლოგმა
ხელი შეუწყო ფაქტების მაქსიმალური სიზუსტით დადგენას.

„საქართველოს მოამბეში“ ბელინსკის ნაწარმოებების გამოქვეყნე-

ბას გ. თუმანიშვილიც უშუალოდ ი. ჭავჭავაძის სახელს უკავშირებს. „რასაც ახლა გიამბობთ, წერს ის, — 44 წლის წინათ იყო, მაგრამ ახლა ის დრო, ის ამბები უფრო კარგად მახსოვს, ვიდრე ოთხი წლის წინანდელი... როცა ი. ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა დაიწყო... მისგან პირველად გავიგე ბელინსკისა და დობროლიუბოვის სახელები“¹.

იქვე გ. თუმანიშვილი სათითაოდ ჩამოთვლის, ვინ რა დაბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ და მ. ზ. ყიფიანს მიაკუთვნებს მხოლოდ „ჩვენი დროის გმირის“ თარგმანს.

გაბათილებული და თეიტნებურად გადაკეთებული ნეკროლოგის საფუძველზე „გადაუწყვეტია“ მოკამათეს „ლალანიძის“ საკითხი. „რა მოტივებით შეიძლება ეს ფსევდონიმი („მაქსიმ ლალანიძე“) მიხ. ყიფიანის ფსევდონიმიად გამოვაცხადოთ? — კითხულობს და იქვე მიუგებს: „ვერიაში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგის ავტორი აღნიშნავს, რომ მიხ. ყიფიანმა თარგმნა და „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა „ზოგერთი წერილები ბელინსკისა“.

ამ ცნობაზე დაყრდნობით და გამომდინარე იქიდან, რომ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთაგან ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხებით ყველაზე მეტად მიხ. ყიფიანი იყო დაინტერესებული... ჩვენ ვფიქრობთ, რომ „მაქსიმ ლალანიძე“ მიხ. ყიფიანის ფსევდონიმაა“².

ეს არის და ეს!

ავტორის მიერვე უარყოფილი ნეკროლოგი და მცდარი ვარაუდი, თითქოს, ამ უზრუნველ თანამშრომელთაგან სწავლა-აღზრდის საკითხებით ყველაზე მეტად მიხ. ყიფიანი ყოფილიყო დაინტერესებული.

ოპონენტის შეკითხვაზე: „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთაგან ვინ იყო მიხ. ყიფიანზე უფრო დაინტერესებული სწავლა-აღზრდის საკითხებით?“ შეგვიძლია ვუპასუხოთ: „სწავლა-აღზრდის საკითხებით „საქართველოს მოამბის“ ყველა თანამშრომელი მიხ. ყიფიანზე უფრო მეტად იყო დაინტერესებული“. და, აქვე დავასაჩუქროთ: დავით ქაიხოსროს ბე ყიფიანი, რომელსაც პროგრესული, კერძო პანსიონი ჰქონდა თბილისში, ბელინსკიც იცოდა და პედაგოგიკაც (ეს გახლავთ დობროლიუბოვის მეგობარი, სიტყვიერების კანდიდატი, რომელიც ჩვენმა ოპონენტმა მიხ. ზ. ყიფიანად გამოაცხადა!). მას ეკუთვნის „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“, „სხვა და სხვა ამბავი“ და ა. შ. სადაც „სწავლა-აღზრდის საკითხებიცაა“ განხილული.

¹ Г. Туманов, Характеристика и воспоминания, III, стр. 179.

² დ. გამეზარდაშვილი, „ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, 1978, გვ. 475.

გიორგი წერეთელი, ზემოაღნიშნული პანსიონის პედაგოგი, მწერალი, კრიტიკოსი, ბელინსკის მცოდნე.

ვახტანგ თულაშვილი — პედაგოგი, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, სახელმძღვანელოების შემდგენელი, ავტორი „შინაური მიმოხილვისა“, სადაც აღზრდის პრობლემებია განხილული.

ლევან ჯანდიერი, პედაგოგიური თარგმანების ავტორი „ცისკარში“. „საქართველოს მოამბეში“ გამოაქვეყნა „კონრად კიფერი“ (№№ 3, 4, 8, 9).

დიმიტრი ყიფიანი, ესტატე მაღალაშვილი. გიორგი ჩიქოვანი, კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უშიკაშვილი, სამსონ აბაშიძე...

ერთი სიტყვით, „საქართველოს მოამბის“ ვერც ერთ თანაწრომელს ვერ დავსახელებთ, რომ მ. ზ. ყიფიანზე ნაკლებ ყოფილიყო დაინტერესებული სწავლა-აღზრდის საკითხებით და, რაც მთავარია, უფრო მომზადებული არ ყოფილიყო ბელინსკის სათარგმნელად.

როგორც ვხედავთ, ოპონენტის ორივე „არგუმენტი“ მ. ზ. ყიფიანის ავტორობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, მაგრამ მას არ ავიწყდება, რომ მ. ზ. ყიფიანს თარგმნის გამოცდილებაც ჰქონდა; 1860 წელს „ცისკარში“ (№1) გამოქვეყნდა გლინოსაროვის თხზულებიდან ნათარგმნი „მეფე სოლომონ მეორეზე“; იმავე ჟურნალში (1867 წ. № 1) — შექსპირის „იულიუს ცეზარი“, ხოლო „საქართველოს მოამბეში“ — მ. ლერმონტოვის „ჩენი დროების გმირი“.

საძწუხაროდ, ეს თარგმანები სწორედ იმის საბუთად გამოღება. რომ მ. ზ. ყიფიანი მოკლებული იყო ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნიჭს და მათი გახსენება უხერხულიცაა. სიყმაწვილის ლიტერატურულ-მა ცდუნებებმა დაარწმუნეს მ. ყიფიანი, რომ ამ სფეროსათვის მოწოდებული არ იყო და ავი მალე სამუდამოდ გაანება თავი. აღნიშნულ თარგმანებში ჩახედვა უფრო მტკიცედ გვარწმუნებს, რომ მათი შემქმნელი ბელინსკის მთარგმნელი და „ფირიდიონისა და თადეოზის ბასის“ ავტორი ვერ იქნება. მ. ყიფიანი ძველი ორთოგრაფიის ერთგული დარჩა. სახელმძღვანელოებსაც დიმი. ყიფიანს უგზავნიდა სარედაქციოდ. მის კერძო ბარათებში (ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, 5914—5916, გვ. 22) ლიტერატურაზე ერთ სიტყვასაც ვერ შეხვდებით.

მეცნიერების ინტერესები მოითხოვს თითოეული ისტორიული მოღვაწის დამსახურება ობიექტურად დაფასდეს. ჩვენ პირველმა მიუძღვენით მ. ზ. ყიფიანს მონოგრაფიული ნარკვევი, სადაც თავი მოკუყარეთ მისი ღვაწლის ამსახველ მასალებს და ვცადეთ წარმოგვეჩინა ის, როგორც დიდი პრაქტიკული უნარით დაჯილდოებული, გულმხურვალე, ქველმოქმედი, ერთგული მამულიშვილი.

გავიხსენოთ მაინც ორიოდ ადგილი მ. ზ. ყიფიანის დასახელებული თარგმანებიდან და ერთხელ კიდევ აეწონ-დაეწონოთ, შეეძლო თუ არა მათ აეტორს ეთარგმნა ბელინსკი და დაეწერა „სფირიდონისა და თა-
ლეოზის ბაასი“!

„შეხედულემათა მისი დაწერგვიდა გონებასა შინა მკვრეტელისასა კარგსა ჰაზრასა“; „აღზრდილმან წარჩინებულის პაპის თვისის სასახლე-ში“; „ჟამაგირად ამ ორთა თანამდებობისა ქვეშე მყოფთა ჰქონდათ მეთადი მფრინველისა“; „ძაღლებთა საზრდოდ“ („ციცკარი“, 1860, № 1); „ეს არის სურვილი, მითვისებული ყოფილი მოგზაურისა და მწერალი კაცისა“; „კავკასიელ ბერიკაცებს უყვართ მოლაპარაკება“ (ნაცულად „ლაპარაკისა“); „ჩვენ ცოტა გადავლიეთ“; „სამართლის ქვეშ მიგვცა“: „დღეხანსაცა სცხოვრებდა თქვენთანა?“ „ბევრი სა-
ცოდველი საქმეები შემამთხვია მე იმანა“; „რომა მას უნდა შეემთხვას სხვადასხვა გასაშტერებელი საქმეები“; „გ ა მ ო ც დ ი ს მ ო ყ ე ა რ ე-
ობის სახით“ (ვითომ, ცნობისმოყვარეობის!); „ის ხმა დაუდერა-
გი“; „პირველად, როცა ვნახე შენი ცხენი, — ჰსთქვა კიდევ აზამატ-
მა. — როდესაც შენ ზედ იქეჭი, ატრიალებდი, ახტუნებდი ნესტოებ-
გაშლილსა და კაზუები მის ტერფქვეშიდგან კრთებოდნენ ნაპერწკალი-
ვით. მე გუნება შემეჭმნა რაღაც გაუგებელი და მას შემდგომ ყოველი-
ფერი მომწყინდა“; „წარჩინებულ მამიჩემის მორბენალ ცხენებს უყუ-
რებდი შეურაცხებით“; „მე ვითხოვ მოტევებას მასზე, რომ ყაზბიჩის
სიმღერა გავლექსე, რომელიცა რასაკვირველია ამბად იყო თქმული“;
„მე მინახავს ზოგიერთი იმათგანი ომში ცხრილივით დაქვრეტილი შტი-
კებრთა“: „შეუძლიან აზიურს მშენიერს ქალს ამისთანა პატნებს გაუ-
მაგრდეს?“; „გამოზრდამ(?) შემეჭმნა ესრეთი“ (თარგმანში კი ნათქვამია:
„ბელინსკის აზრი შეიღების აღზრდაზედ“!); „ვექვოფ არიან
მეთქი ისეთრიცა, რომელნიცა ამბობენ მართალსა და სხვაფრივ მო-
ხიბლვა, როგორათაც ყოველი ახალი შემოღება უმადლესის ხარისხის
საზოგადოებიდგან გაწყობილი გარდმოვა ხოლმე მდბაალ ხარისხის სა-
ზოგადოებიდგან, რომელნიცა შემდგომ ხმარობენ, და ჟამად ისინი,
რომელნიცა ყვეზედ მომეტებულად მართლაც მოწყენით არიან“ (გა-
იგეთ რამე?!); „მოვიდა გრძნობაში“; „ცუდი ხმა უნუგეშოა რუქეთის
კაცისათვის“; „ერთმა ბოთლმა კახურმა დაგვევიწყა მცირედი
რიცხვი საქმელებისა, რომელნიც გექონდა მხო-
ლოდ ერთნაირი და გავიკეთეთ ჩიბუხები და მივსხე-
დით“; „პეჩორინი სპარსეთიდან დაბრუნებაზე გარდაიცვალა“ („ჩვენი
დროების გმირი“).

„ფლობიუსი: რა საქირუა? დეე, ნურცერთ სტატუიას ნუ მორთავენ
ცეზარის დავლით“; მთხრობელი: „მარტის იდს(?) ერიდე!“ „შენ ცდებ-
დი, როდესაც ჩემი შეხედულემა ბუნდიანია“; „მაშინ კუქუნათი სიბ-

ნელე ესრეთის ექვისაგან ვერ დაგმალავს“; „ჩორჩქალს დაიწყებენ“; „თუ ბაასი ოფლს დაგვასხამს, მაშ იმისმა დასკენამ უნდა მიაღწიოს. წითელ კ ა პ ლ ა მ დ ი ს ი ნ (???) და ა. შ.

მკითხველმა განსაჯოს, შეეძლო ასეთ უნო კაცს საკუთარი ნაწარმოებები დაეწერა? მ. ზ. ყიფიანი „საქართველოს მოამბის“, რედაქცი-აში არ მონაწილეობდა; 1859—1867 წლებში ის „ცისკრის“ თანამშრომელი იყო და ა. ფურცელაძის წრის წევრად ითვლებოდა.

ახლა ვნახოთ, რა არგუმენტები გვაქვს იმის სასარგებლოდ, რომ „ლაღანიძე“ ი. ჭავჭავაძის ფსევდონიმი და „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“ მას ეკუთვნის. ვნახოთ ისიც, როგორ ეპყრობა მოკა-მათე ამ არგუმენტებს.

1. ი. ჭავჭავაძე აღიარებულია საქართველოში ბ. ბელინსკის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი შეხედულებების პირველ პოპულარიზატორად, ერთგულ თანამოაზრედ და საუკეთესო მცოდნედ. 1861 წელს გ. ბარათაშვილი წერდა: ილიამ „მარცხენა ხელში იპყრა ფარის მაგივრად, ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს ტომები“; თვით ილიას პასუხი იწყება ბ. ბელინსკის ეპიგრაფით; იმავე წერილში ნათქვამია: „აბა, წაიკითხეთ ბელინსკის სტატიები“; შენიშვნებში ეურნალ „ცისკრის“ რედაქცია არაერთგან მიუთითებს: „ბელინსკის გავლენა ყოველს სიტყვაში ჩანს“; ი. ჭავჭავაძისათვის „ბელინსკი უპირველესი ავტორიტეტი ყოფილა“; ი. ჭავჭავაძე „ბელინსკისა ჰბაძავს“ და ა. შ.

ბელინსკის აზრებს საბავშვო ლიტერატურაზე ი. ჭავჭავაძე შემდეგაც დიდ ყურადღებას აქცევდა: „არც საკვირველია: უნდა დაიბადოს კაცი საბავშვო მწერლად“¹.

1893 წელს „ივერიაში“ აქვეყნებს ვრცელ ამონაწერებს ბელინსკის პედაგოგიური ნაწერებიდან საბავშვო ლიტერატურის პრობლემებზე; „პაატას“ (მიხ. ნასიძის) წერილებს; 1891 წელს დაიბეჭდა „ბელინსკის წერილები გერცენთან“².

რაც შეეხება მ. ზ. ყიფიანს, თავის ცხოვრებაში ერთხელაც არ უხსენებია ბელინსკის სახელი და არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. რომ იცნობდა, წაკითხული ჰქონდა მისი ნაწერები;

2. ი. ჭავჭავაძე, როგორც პროგრესულ საფუძვლებზე სწავლა-აღზრდის სულისჩამდგმელი საქართველოში, თავის წმიდათა წმიდა მოვალეობად თვლიდა ამ საქმის გაძლიერებას. უნივერსიტეტიდან დაბრუნებისთანავე, დავ. ყიფიანთან ერთად, თბილისში დააარსა ახალი, მოწინავე აღზრდის პრინციპებზე დამყარებული პანსიონი-სასწავლებელი, სადაც თერგდალეულები ასწავლიდნენ. აღნიშნული პანსიონის ძველი

¹ „ივერია“, 1891, № 1.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 513.

თანამედროვე დანაცვად აუცილებელი იყო „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე აღზრდის იმ ახალი პრინციპების დაცვა, რომლებიც საფუძვლად ედო თურქულულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამ მიზნით, ი. ჭავჭავაძემ თურნალში შექმნა პედაგოგიკური განყოფილება, რომელსაც პირადად ჩაუდგა სათავეში:

3. „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე ი. ჭავჭავაძემ სწავლა-აღზრდას სკოლებს შეეხო „სხარტულაში“, „სფირიდონისა და თადეონის ბაღში“. „კონრად კიფერის“ შესავალ წერილსა და თარგმანში „ბელინსკის აზრი შვილებზე აღზრდაზე“, რომელთა შორის ორგანული რეჟერ-ლიტერატურული კავშირია; ისინი ერთმანეთს ავსებს, ავითარებენ, ალაგ-ალაგ სიტყვა-იტყვით იმეორებენ. დაკვირვებული ნკობეველისათვის ამჟამად, რომ იმისი ერთი და იგივე ავტორის, ი. ჭავჭავაძის, ნახელავია:

4. აღნიშნულ ნაწარმოებთაგან ი. ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეში“ პირველად გამოაქვეყნა ზალცმანის „კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგის აღზრდისათვის“ (თარგმ. ლ. ჯანდიერისა), თავისი შესავალი წერილითა და შენიშვნებით.

აღნიშნულ შესავალ წერილსა და შენიშვნებში ჩამოყალიბებულია „საქართველოს მოამბის“ პოზიცია აღზრდის პრობლემებზე, თვით ჭავჭავაძის მიზნები და განზრახულობანი, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ დარგში შემდგომ გამოქვეყნებულ მასალებს, კერძოდ, ბელინსკის თარგმანს;

5. ი. ჭავჭავაძე სერიოზულ შენიშვნებს გამოთქვამს „კონრად კიფერის“ ნაკლოვანებებზე და იქვე მკითხველს ჰპირდება, უახლოეს ხანში უფრო პროგრესულ ავტორთა ნაწერებს დაეხმება, რაც გვიდასტურებს, რომ ამ დროს მას უკვე დასრულებული აქვს „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“ და აპირებს მალე გამოაქვეყნოს. ილია წერს: „კონრად კიფერი... არის დაწერილი წარსულს საუკუნეში ს. გ. ზალცმანისაგან, რომელიც პედაგოგიაში... უან უაკ რუსოს იდეებს მისდევდა. თუმცა ზალცმანის შემდეგ აზრები აღზრდაზე (გაიხსენეთ სათაური: „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“) დიდად გამოიცვალა და ძლიერ ბევრი დაიწერა პედაგოგიაზე, მაგრამ მის თხზულებებს მაინც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა და ისინი ძლიერ პატივცემულნი არიან ეხლანდელი პედაგოგებისაგან. ეს პატივისცემა იმისგანთ წარმოსდგება, რომ ეს ზალცმანის თხზულებები ძლიერ ადვილი გასაგები ენით არიან დაწერილი და ყველას ადვილად შეუძლიან მისი აზრები აღსრულებაში მოიყვანონ. როგორც მკითხველები თვითონვე შენიშნავენ ამ სტატიის კითხვაში, ამ მიზეზების გამო, ჩვენ ჯერ ეს თხზულება

ე არ ჩ ი ე თ და იმედი გვაქვს, რომ ის იქნება სასარგებლო იმ მშობ-
ლებსათვის, რომელნიც ზრუნავენ შვილების რიგიანს აღ-
ზ რ დ ა ზ ე დ. (ისევ ბელინსკის თარგმანის სათაური!) ევროპულ გა-
ნათლებულ ხალხებში აქვსთ ვ რ ც ე ლ ი ს ა პ ე დ ა გ ო გ ი ო ლ ი-
ტ ე რ ა ტ უ რ ა და მათში გამოდის ბევრი უზრუნალი, სადაც მხოლოდ
ის კითხვები განიხილებიან. რომლებიც აღზრდას შეეხებიან.
ჩვენში სულ არაფერი არის ამაზედ დაწერილი და ძლიერ ცოტამ იცის,
რომ არსებობს მეცნიერება პედაგოგია, რომლის საგანი არის ყმა-
წ ვ ი ლ ე ბ ე ს აღზრდა. ჩვენ ვგონებთ, რომ ნამეტანი იქნება იმა-
ზედ. ლაპარაკი. რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კითხვას
ყმაწვილების აღზრდაზე, რადგანაც ცხადია, რომ ქვეყ-
ნის მყოფადი მდგომარეობა დამოკიდებულია
იმ მიმართულებაზედ. რომელაა ც მ ის ც ე მ ე ნ ა ხ ა ლ
თ ა ო ბ ა ს... ყველამ კარგად ვიცით, როგორ ცუდად იზრდებიან ჩვე-
ნი ნიჭიერი. მაგრამ საცოდავი ყმაწვილები, რომლებსაც კარგავენ ისინი
და ხლებიან იმისაგან, რომ მშობლებმა მათი გაძლოა არ იციან. ამის
გამო „საქართველოს შოაშბის“ რედაქცია ს ა პ ე დ ა-
გ ო გ ო თ ხ უ ლ ე ბ ე ბ ს ჩვენი საზოგადოებისათვის ძლიერ საქაროდ
და სასარგებლოდ თვლის და ჰფიქრობს, შეძლებიან-
მებრ წარუდგინოს თავის მკითხველებს სტატიები, სა-
დაც განიხილება კითხვა ყმაწვილების აღზრდა-
ზედ.

ამ პირველ შემთხვევაში ჩვენ ებუქდავთ „კონრად
კიფერს“, რომელიც არის გადმოღებული უფ. ჯანდიერიშვილისაგან...

დ. გამეზარდაშვილს ეს არგუმენტიც უყურადღებოდ დაუტოვებია:
ამრიგად:

ა. ილია „საქართველოს მოამბეში“ (საერთოდ, ქართულ პრესაში)
პედაგოგიური განყოფილების დამფუძნებელია;

ბ. პირადად ხელმძღვანელობს ამ განყოფილებას;

გ. პირადად გეგმავს და არჩევს მასალას;

დ. თავისი პასუხისმგებლობით პირობას აძლევს მკითხველს, რომ
უახლოეს ხანში უკეთეს მასალას გამოაქვეყნებს ამ თემაზე.

ე. ილ. ჭავჭავაძის შესავალ წერილში გამოთქმული ეს შეხედულება
გამეორებულია „სტირიდონისა და თადეოზის ბაასში“, რომელიც სამი-
ოთხი თვის შემდეგ გამოქვეყნდა: „მ რ ა ვ ა ლ ი თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ა
ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ე ნ ა ზ ე დ დაწერილი, — ვკითხულობთ აქ, —
ბ ა ვ შ ე ი ს აღზრდაზედ ვ რ ც ლ ა დ და კარგის დარიგე-
ბითა და იმათი გადმოღება ქართულად, დიდი სა-
სარგებლო იქნება, თუ ვინმე მიჰყოფს ხელსა“.

ამიტომ მივუთითებდით 1963 წელს, რომ „სტირიდონისა და თადე-

ოზის ბაასში“ პედაგოგიურ თხზულებათა მნიშვნელობაზე ილია ზუსტად იმეორებს იმ აზრს, რომელიც „კონრად კიფერის“ წინასიტყვაობაში გამოთქვა“¹.

მოკმათეს ეს ადგილებიც მხედველობიდან გამორჩენია.

6. „მაქსიმ ლანდისის“ თარგმანის სათაური: „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“ უშუალოდ მომდინარეობს ი. ჰევკეჰაჰის განხილული წერილის (შესავლის) სტილისტური ვარიაციებიდან: „აზრი აღზრდაზე“, „შვილების რიგიანს აღზრდაზე“ და ა. შ. მიხ. ზ. ყიფიანი სიტყვა „აღზრდის“ ნაცვლად, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხმარობს გამოთქმას „გამოზრდა“.

7. ი. ჰევკეჰაჰის შესავალი წერილი „კონრად კიფერისა“ დაიბეჭდა „საქართველოს მოამბის“ მარტის ნომერში, ხოლო ლანდისის თარგმანიც „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“ დათარიღებულია: „1863 წ. თებერვლის 12 დღესა“.

აძრიგად, როცა ი. ჰევკეჰაჰე „კონრად კიფერის“ შესავალ წერილს წერს, „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“ მზად აქვს.

8. „კონრად კიფერის“ თარგმანს ი. ჰევკეჰაჰემ სქოლიოში დაურთო მეტად პრინციპული, მაღალი პედაგოგიური ალღოსა და ერუდიციის გამოძახტველი შენიშვნა, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებს ზალცმანის მოსაზრებას, რომ ბავშვთან დამნაშავეც რომ იყოს უფროსი, მასწავლებელი, მაინც არ უნდა გავამტყუნოთ. „ამ უკანასკნელი აზრის თანახმა არა ვართ. მართალი ყოველთვის უნდა გამართლდეს, მტყუანი გამტყუნდეს. სიმართლის გამოძიებაში უფროს-უმცროსობა არ უნდა იყოს. თუ ერთს საქმეში გარეულნი არიან ოსტატი და შეგირდი, ოსტატი რომ მტყუანი იყოს, უნდა გამტყუნდეს, რომ ბავშვმა პატარაობითვე ყოველი უფროსის პატივისცემაზედ მაღლად სიმართლის პატივისცემა ჩაისახოს გულში. თორემ მართალი ბავშვი თავის უფროსზედ საჩივლედად მოვიდეს და არ გაამართლო, — აქედამ რა უნდა გამოიტანოს ბავშვმა? ისა, რომ უფროსთან უმცროსს სიმართლე არ გაუყვა? ეს არა მგონია კარგი იყოს“².

სქოლიოს შეხმინებანი გვხვდება თარგმანშიც „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“³.

ვფიქრობთ, ყველასთვის აშკარაა, რომ მოპაექრეს არც ერთი თავისი არგუმენტი არ წარმოუდგენია და არც ერთი ჩვენი არგუმენტი არ განუხილავს.

9. 1963 წელს, მოტანილი არგუმენტების ანალიზის შედეგად,

¹ ა. კალანდაძე, „საქართველოს მოამბე“, 1963, გვ. 217.

² „საქართველოს მოამბე“, 1863, № 9.

³ „საქართველოს მოამბე“, 1863, № 43.

ჩვენს გამოცვლევებში დავასკვნით: ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს — ვენდოთ ზაქ. ჰიჭინაძის ცნობას და „მაქსიმ ლალანიძე“ ი. ჰავე-ჰავეძის ფსევდონიმად ვაღიაროთ“¹.

იქვე მითითებული გვაქვს ზაქ. ჰიჭინაძის დიდად საყურადღებო ნაშრომი „თ. ილია ჰავეჰავეძე, როგორც ქართველთა ერთობის მლალადებელი“, რომელიც 1897 წელს ი. ჰავეჰავეძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოვიდა და, უთუოდ, წინასწარ გაცნობილი ჰქონდა ილიას.

ამასთან დაკავშირებით, ოპონენტი წერს: ალ. კალანდაძემ „მაქსიმ ლალანიძე“ ილია ჰავეჰავეძის ფსევდონიმად გამოაცხადა მხოლოდ და მხოლოდ(?) ზაქ. ჰიჭინაძის „ცნობაზე“ დაყრდნობით... კეთილი და პატრიოსანი, მაგრამ რა ცნობას გვაწვდის ზაქ. ჰიჭინაძე? ალ. კალანდაძე უთითებს ზაქ. ჰიჭინაძის წიგნზე „ილია ჰავეჰავეძე, როგორც ქართველთა ერთობის მლალადებელი“, თუმცა, ჩვენთვის ახლა უკვე სრულად გასაგები მიზეზის გამო, იგი არ ასახელებს წიგნის გვერდს. ამიტომ ჩვენ იძულებული გავხდით ერთხელ კიდევ თავიდან ბოლომდე გადაგვეკითხა ეს წიგნი, მაგრამ ტყუილად დავეკარგეთ დრო... ამ წიგნში არავითარი ცნობა არ მოიპოვება ამ საკითხთან დაკავშირებით...

თუკი ჩვენ მართლს არ ვამბობთ, ალ. კალანდაძეს სათანადო აშონაწერი უნდა მოეტანა ზაქ. ჰიჭინაძის დასახელებული წიგნიდან და ჩვენც მხოლოდ ისღა დაგვრჩენოდა, რომ ბოდიშს მოვეუხდით“.

შერამე და შერამე ამას უარესი და უარესი ბრალდებები მოჰყავს: „ალ. კალანდაძეს ეს შეცდომა შემთხვევით კი არ მოსვლია, არამედ შეგნებულად ჩაიდინა, მხოლოდ იმ იმედით, რომ არავინ შეამოწმებდა მის მიერ მითითებულ წყაროს, ზაქ. ჰიჭინაძის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გამხდარ დასახელებულ ნაშრომს, თორემ მან, ცხადია, მშვენიერად იცოდა, რომ ბელინსკის წერილების თარგმანსა და „მაქსიმ ლალანიძის“ შესახებ აქ არაფერია ნათქვამი... გვეითხრას (ალ. კალანდაძემ) თუ რატომ გადადო სხვა დროისათვის საბასუხოდ ჩვენ მიერ წაყენებული ბრალდება იმ სიყალბის გამო (ხედავთ!), რომელიც მან ჩაიდინა... იცრუა მრავალრიცხოვანი მკითხველის წინაშე და შავით თეთრზე დაბეჭდა: „ზაქ. ჰიჭინაძის ცნობით, ილია ჰავეჰავეძემ, „საქართველოს მოამბეში“ გაშოაქვეყნა ბელინსკის წერილები... და ეს მაშინ,

¹ ა. კალანდაძე, „საქართველოს მოამბე“, 1963, გვ. 38.

როცა, როგორც უკვე ვიცით, ამგვარი ცნობა არსად მოიპოვება... (ალ. კალანდაძეს) თავისი ჩადენილი ეს სიყალბე უნდა ელიარებინა¹.

ბოლოს, ეტყობა, მაინც აღმოუჩენია ერთი ადგილი, სადაც ბელინსკია მოხსენიებული: „საქართველოს მოამბე“ პირდაპირ „სოვრემენიკს“ მოგვაგონებს. აქ არის დაბეჭდილი დობროლიუბოვის წერილები. ბელინსკისა, პრუდონისა, ბასტიასი, ვიქტორ ჰიუგოსი“.

ბოლოთებებს კიდევ, ამ ცნობას 31-ე გვერდზე წააწყდით. ურიგო არც ეს ცნობაა, მაგრამ წიგნის ნამდვილი მკითხველი 31-ე გვერდამდე ხომ წინა გვერდებს წაიკითხავდა და, საერთოდ, ნაშრომის არსს ჩასწვდებოდა?!

ზაქ. კიკინაძე კი შავით თეთრზე წერს: „საქართველოს მოამბეში“ ყველაზედ მეტი შრომა ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. აქ მისი წერილები რამდენიმეს ფსევდონიმით იბეჭდებოდა“ (გვ. 27).

ფართოდ აშუქებს რა „საქართველოს მოამბის“ მნიშვნელობას, ზ. კიკინაძე ეკამათება იმ პირთ, რომლებიც თერგდალეულებს შეცდომად უთვლიდნენ ახალი ჟურნალის დაარსებას და, რომელთა აზრით, აჯობებდა, ახალ თაობას გაემარებია „ცისკარი“, ხელთ ეგდოთ ის, ებუჭათ იქ თავიანთი ნაწარმოებები და ძველი ჟურნალი ახალი მიმართულებით წაეყვანათ (ამ თვალსაზრისს, სხვათა შორის, ანტ. ფურცელაძეც იზიარებდა)². „ცისკარი“ ი. ჭავჭავაძეს თავისი ნაწარმოების დაბეჭდვაზე უარს არ ეტყობოდა.

აღნიშნული თვალსაზრისის პასუხად, ზაქ. კიკინაძე პოლემიკური ტონით წერს: „განა ის დრო რა დრო იყო, ან რა ქართული მწერლობაო, რომ ილია ჭავჭავაძემ „ცისკრიდან“ გასვლა ინდომა და ცალკე ჟურნალის გამოცემაო? ამაში ილია ჭავჭავაძეს ვერაფერს გაამტყუნებს, იმ დროს უამისობა მისგან შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც მაშინდელი „ცისკარის“ მოღვაწეები ისეთი პირები და გმირები იყვნენ, რომელთანაც ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა არასდროს არ შეიძლებოდა. თუნდა, გარემოების წინააღმდეგ რომ არ წასულიყო და „ცისკართან“ არ მოესპო კავშირი, მაშინ ხსენებულნი მამები ატყდებოდნენ და ერთი ომი და ოდიგარი მოხდებოდა. ამას ექვი არ უნდა, ყველა ის წერილები, რაც კი ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა, თავის დღეში ვერ ნახავდნენ „ცისკარში“ ადგილს და გინდენახათ კიდევ, იგი მეორეს მხრით შეურაცხყოფაც უნდა ყოფილიყო, რომ იმ ჟურნალში დაბეჭდილიყო ბელინს-

¹ დ. გამეზარდაშვილი, „განსაჯოს კაცმან პირუთენელმან“, 1980, გვ. 31, 32, 33, 34, 35, 77 და ა. შ.

² ა. კალანდაძე, ილია ჭავჭავაძის ბრძოლა „საქართველოს მოამბის“ დაარსება-შენარჩუნებისათვის, 1957, გვ. 76.

აკის, პრუდონის, დობროლიუბოვის, და თუნდ, ბასტიის სტატია, სადაც („ცისკარში“—პ. კ.)... ბელინსკის სწეულს, ზაფრააშლილს ეძახდნენ!“ (გვ. 17—20).

ჩვენს მოკამათეს „ეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნი“ ერთხელ მაინც თუ გადაუფურცლავს, მაშინ როგორ მოხდა, რომ ვერ შეუნიშნავს ის ადგილი, სადაც ბელინსკი ორჯერაა ნახსენები და პირდაპირ ნათქვამია, რომ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ბელინსკის წერილები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის?!

„სათანადო ამონაწერი“ ჩვენს წიგნში არაერთგანაა მოყვანილი, ხოლო „სათანადო გვერდი“ (20), რომლის გამოც ოპონენტი რაღაც ვერაგობას გვეამბებს („გასაგები მიზეზის გამო არ ასახელებს გვერდსო“), მითითებული გვაქვს სწორედ იმ გვერდზე, სადაც „მაქსიმ ლაღანიძეზე“ მსჯელობას ვიწყებთ.

ეს ცნობა ჩვენს გამოკვლევაში გამოყენებული გვაქვს იმის საბუთად. რომ ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის როგორც ბ. ბელინსკის, ისე დობროლიუბოვის, პიუგოს, პრუდონის და ბასტიას თარგმანები. თავისი ნაშრომის ამ ნაწილში ზაქ. ჭიჭინაძეს ჩამოთვლილი აქვს პირადად ილიას თარგმანები, ხოლო „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ სხვათა თარგმანებსა და ორიგინალურ ნაწარმოებებს ცალკე ასახელებს ავტორებისა და მთარგმნელების მითითებით. როგორც ყხედავთ. საქმე გვაქვს კატეგორიულ, დასაბუთებულ, შემოწმებულ, თვით ი. ჭავჭავაძესთან შეთანხმებულ ცნობასთან, რომ „ბელინსკის აზრი შეიღების აღზრდაზე“ მისი თარგმანია.

უნება რა ილიას მიერ „იზას“ თარგმანს, ზაქ. ჭიჭინაძე წერს: ბევრნი იტყვიან, „დობროლიუბოვის მთარგმნელმა ეს როგორ თარგმნაო“ (გვ. 72).

ზაქ. ჭიჭინაძის ამ წიგნში მოყვანილი ცნობები მთელმა საზოგადოებამ უყოყმანოდ გაიზიარა, რადგანაც ის თვით ი. ჭავჭავაძის დასტურს გამოხატავდა. თუ მოპაექრეს ზაქ. ჭიჭინაძის ცნობა მაინცა და მაინც დამაჭერებლად არ მიაჩნია, მაშინ რატომ მხოლოდ „ლაღანიძის“ თარგმანის გამო გვეკამათება და არაფერს ამბობს პრუდონის, დობროლიუბოვის, ბასტიას, პიუგოს თარგმანების ილიასეულობაზე, რის დამამტკიცებლად ჩვენ აღნიშნულ ცნობასაც ვემყარებით?

თავის დაზღვევაზე ზრუნვას ჩვენი ოპონენტი იქამდე მიჰყავს, რომ ერთგან გვეკითხება: „სად აქვს ნათქვამი ზაქ. ჭიჭინაძეს, რომ „მაქსიმ ლაღანიძე“ ილიას ფსევდონიმაა?“ აღარც კი აგონდება, რომ „მაქსიმ ლაღანიძე“ არც მის ერთადერთ არგუმენტში „ივერიის“ ნეკროლოგშია ნახსენები.

ზაქ. ჰიჭინაძის წიგნში ზუსტადაა ნათქვამი ყველაფერი ის, რისთვისაც იგი მითითებული გვაქვს ჩვენს ნაშრომში.

თარგმანს „მაქსიმ ლალანიძე“ ხელს აწერს ბოლოს, ისიც წერილი ასოებითა და სხვადასხვა მართლწერით („ლალანიძე“, „ლოლანიძე“). ამდენად, წერილი, შეიძლება ითქვას, ხელმოუწერელია.

10. 1912 წელს ზაქ. ჰიჭინაძემ ცალკე წიგნად გამოსცა ლ. ჯანდიერის ნათარგმნი „კონრად კიფერი“, რომელსაც წარუმძღვარა ილია ჭავჭავაძის შესავალი წერილი, დაბეჭდილი 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ და ერთი პოლემიკური შენიშვნა, რომელშიც ილიამ ზალცმანის უმართებულო მოსაზრება გააკრიტიკა.

ამ წიგნის შესავალშიც ზაქ. ჰიჭინაძე განუყოფლად იხსენიებს ი. ჭავჭავაძისა და ბ. ბელინსკის სახელებს მაქსიმ ლალანიძის თარგმანთან დაკავშირებით, ჩამოთვლის რა „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ თარგმანებს, წერს: „საქართველოს მოამბეში“ პირველად დაიბეჭდა დობროლიუბოვის წერილი... „მამა ალექსანდრე გავაის“ შესახებ, რაც პირველი მაგალითი იყო ქართულ მწერლობაში. ამას გარდა, დაიბეჭდა ბელინსკის წერილი „შვილების აღზრდაზე“ და ა. შ. ამ ადგილზე, როგორც ვხედავთ, ზაქ. ჰიჭინაძე ლაპარაკობს პირადად ი. ჭავჭავაძის თარგმანებზე, ხოლო რაც ილიას არ ეკუთვნის, ცალკეა ჩამოთვლილი და მთარგმნელებიც მითითებული არიან (დომ. ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ლ. ჯანდიერი და სხვ.). მოტანილ ამონაწერში პირველად გვხვდება მაქსიმ ლალანიძის თარგმანის სათაური: „ბელინსკის წერილი (აზრი) შვილების აღზრდაზე“, — და, ეს თარგმანი რომ ი. ჭავჭავაძისა არ ყოფილიყო, ხომ ახსენებდა მიხ. ზ. ყიფიანს, რომლის ჰაჭანება ამ წიგნში, საერთოდ, არ ჩანს?!

ეხება რა ი. ჭავჭავაძის კრიტიკულ შენიშვნებს, ზაქ. ჰიჭინაძე აღფრთოვანებული ამბობს: „ეს შენიშვნა მეტად დიდის ნათელის შეხედულებით არის გარემოცული და ჩინებულად ავსებს იმ მოსაზრების ნაკლულევანებას, რასაც მაშინ დიდი ადგილი ეკავა... პედაგოგიურ მწერლობაში. ასეთი ღირსების გამო, ეს პატარა შენიშვნა კარგი საბუთი და მასალა არის ილია ჭავჭავაძის აზროვნების გასაცნობად“ (გვ. 126—127).

თავის პედაგოგიურ ნაწერებსა და მოღვაწეობაში, მათ შორის ბელინსკის თარგმანში, ჩანს მთელი ილია ჭავჭავაძე!

11. „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა შესახებ აბსოლუტურად მიუყვარძობებელ, საიმედო ცნობებს გვაწვდის გ. თუმანიშვილიც: „Я стал (в 1863 г.) составлять рукописный журнал на грузинском языке и головой погрузился в чтение грузинских книжек... Из журнала И. Чавчавадзе я

впервые узнал о существовании Белинского и Добролюбова, Прудона и Бастии»¹.

ამრიგად, გ. თუმანიშვილი იმ თანმიმდევრობით ჩამოთვლის „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ თარგმანებს, როგორც ეს ზაქ. კინაძესთან გვაქვს.

„საქართველოს მოამბეს“ ილია ჭავჭავაძის ჟურნალს უწოდებდნენ. „მნათობის“ პირველ ნომერში (1869 წ) ნათქვამია: „ბევრი უკეთესი, რაც კი რამ დაწერილა ქართულად, იპოვება „საქართველოს მოამბეში“ და ეკუთვნის უ. ილია ჭავჭავაძის კალამს, რომელმაც თავისი მოთხრობით, ლექსებით და სხვადასხვა სტატიებით დაგვიმტკიცა თავისი ნამდვილი ტალანტი“.

„ღალანიძის“ გარშემო პოლემიკამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ეს ფსევდონიმი ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის და „ბელინსკის აზრი შეიღებოს აღზრდაზედ“ მისი თარგმანია.

„ბ. ვ.“ წლის მეორე ნახევრიდან, როცა ხელისუფლებამ გააუქმა „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილება და აკრძალა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე ორიგინალური სტატიების გამოქვეყნება, „საქართველოს მოამბის“ ყველაზე აქტიურ პუბლიცისტად გვევლინება „ბ. ვ.“, რომელიც მიზანსწრაფულად არჩევს აღნიშნულ თემებზე გადმოსათარგმნ მასალას და მარჯვე შენიშვნებით უფარდებს მათ თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამას.

„ბ. ვ.“-ს ხელმოწერით დაიბეჭდა ბასტიას „მძარცველობის თეორიოგრა“ (№ 8, გვ. 61—67) და „ორნაირი სწავლა“ (№ 11, გვ. 73—80), ვიქტორ ჰიუგოს წიგნი „სიკვდილით დასჯის საქმეზე“ (№ 8, გვ. 84—92), კირაკოზ განძაკეცის „მონღოლების ისტორია“ (№ 8, გვ. 58—75) და პრუდონის „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“ (№ 10, გვ. 72—87).

პრუდონისა და ბასტიის სტატიები შემთხვევით არ დაბეჭდილა ჟურნალში. „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო განცხადებაში ილია ჭავჭავაძე ჰპირდებოდა მკითხველს, რომ დაბეჭდავდა წერილებს პოლიტიკური ეკონომიიდან. ამ მიზნით ჟურნალს ჰქონდა სპეციალური განყოფილება, რომელსაც ივანე სერებრიაკოვი უნდა გასძღოლოდა. მაგრამ, რადგან ი. სერებრიაკოვს „საქართველოს მოამბეში“ მონაწილეობა არ მიუღია, პირველ ექვს თვეს პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე ჟურნალში არაფერი დაბეჭდილა. ამას მკითხველთა უკმაყოფილებაც გამოუწვევია. „ცისკრის“ 1863 წლის იელისის ნომერში ა. ფურცელაძე წერდა: „პოლიტიკურს ეკონომიას, რომლის გაცნობას ასრუ ძლიერ გვექადა და „მოამბე“, ხომ ჭერაც სძინავს“.

რასაკვირველია, ევროპის მუშათა რევოლუციური მოძრაობის

¹ Г. Туманов, Характеристики и воспоминания, стр. 178, 179.

თვალსაზრისით, ფრანგი ეკონომისტები ბასტია და პრუდონი საუკეთესო არჩევანად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ჩვენში ჯერ ბატონყმობა მძვინვარებდა და მათი ნაწერები ხელს უწყობდა მონური შრომისა და კლასობრივი საზოგადოების კრიტიკას. იმდროინდელ ქართველ მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა პრუდონის პათეტიკური მოწოდება: „ბოლო მოუღეთ პარაზიტობას (სხვისით ცხოვრებას)... აღემიციელობის შარლატანო, ბაზრის ავაზაკო, ხაზინის მუწუჯო, სულმდაბალო მექრთამე, გაგვეცალე და შენის საზიზღრის თავისაგან დაინსენ თავისუფალი შრომა... თქვენისთანების აღსასრული მოღის“.

ჩვენს პრესაში აქ პირველად გაიელვა პროლეტარიატის სახელმა, ცნობებმა ევროპის მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობაზე, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შეურიგებელ წინააღმდეგობაზე.

როცა ლიბერალები ქებით იხსენიებდნენ ბურჟუაზიულ დასაველეს, ვიქტორ ჰიუგოს წერილი ფარდას ხდიდა მის გარეგნულ ბრწყინვალეობას, ქართველ მკითხველს წარმოუდგენდა ევროპაში გამეფებულ ძალმომრეობას.

საყურადღებოა აგრეთვე XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კირაკოზ განძაკეცის თხზულების თარგმანი ვრცელი წინასიტყვაობით, რომელიც გამსჭვალულია ორი მოძმე ხალხის ისტორიული თანაზიარობის ღრმა შეგნებით¹.

„ბ. ვ.“- წერილებისადმი ინტერესს აძლიერებს ვრცელი კომენტარები, ჩანართები, ადგილების მიზნობრივი შერჩევა, „რომლებიც უფრო მეტად მოედგმის ჩვენს ცხოვრებას“.

პრუდონისა და ბასტიას წერილების დანომვრა გვიჩვენებს, რომ „საქართველოს მოამბეში“ განზრახული იყო მათი სერიებად დაბეჭდვა, მაგრამ ცენზურა ექვით მოჰკიდებია ასეთი ტაქტიკით გადმოკეთებულ ნაწერებს, ბევრი რამ ამოუშლია და გაგრძელების გამოქვეყნებაც აუკრძალავს.

სხვადასხვა წყაროდან დამოუკიდებლად მომდინარე ცნობების შეჯერება ცხადყოფს, რომ „ბ. ვ.“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმაა.

დომ. ბაქრაძემ 1863 წელს გარკვევით განაცხადა ეს „ცისკარში“²,— ხოლო ზაქ. კიკინაძე 1897 წელს, ილიას სიცოცხლეში, წერდა: სამოციან წლებში ილია ჭავჭავაძემ „ზედმიწვევით შეისწავლა პოლიტიკური ეკონომია... და... ამას ექვი არ უნდა, რომ ყველა ის ნაწერები, რაც კი ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა, თავის დღეში ვერ ნახავდნენ „ცისკარში“ ადგილს და გინდ ენახათ კიდეც... მე-

¹ „გადმოკეთებულია Русское слово“-ს 1862 წლის ნომრებიდან.

² „ცისკარი“, 1863, № 9.

ორეს მხრივ, შეურაცხყოფაც უნდა ყოფილიყო, რომ იმ ეურნალში დაბეჭდილიყო... პრუდონის... და თუნდ ბასტიის სტატია“¹.

ბასტიასა და პრუდონის თხზულებათა თარგმანს ილიას სახელს უკავშირებს გ. თუმანიშვილიც: „...პირველად გავიგე პრუდონისა და ბასტიას არსებობა... მე ამ შემთხვევაში გამოხატული როდი ვიყავი — ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებს გატაცებით კითხულობდა მთელი მაშინდელი ახალგაზრდობა“². ასეთსავე ცნობას გვაწვდის გაზ. „ზაკავკასიე“ (1897 წ., № 46).

„ბ. ვ.“-ს წერილების სტილისტური ანალიზიც სავსებით ადასტურებს დი. ბაქრაძისა და სხვ. ცნობებსა. რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა შივილოთ, რომ ასეთი წერილების გადმოკეთება იმ დროს ძალიან ძნელი იყო, რადგან სალიტერატურო ენა ჯერ მოუქნელი იყო პოლიტიკური ეკონომიის რთული პერიოდების გადმოსაცემად. უასახებნი იყო ტერმინები და ილიასაც სახელდახელოდ უხდებოდა მათი სასტამბოდ მომზადება. ილია მთაყარ ყურადღებას აქცევდა აზრის სწორად და გასაგებად გადმოღებას; ამ მიზნით ტექსტში აქა-იქ რუსთაველის აფორიზმებიც ჩაურთავს.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე 60-იანი წლებიდანვე გატაცებული ყოფილა პოლიტიკური ეკონომიით, ამ დარგის წერილებიც პირველად მას გადმოუკეთებია და სათანადო ქართული ტერმინებიც შეუმუშავებია (მოხმარება, კეთება-წარმოება; განწილება-განაწილება და ა. შ.). ამასთან, ჯერ არს მოვიგონოთ, რომ ილია განათლებითაც ეკონომისტი იყო (სწავლობდა იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე).

მოგვიანებითაც ილია ხშირად იხსენიებდა თავის ნაშრომებში ბასტიას, ხოლო ვიქტორ ჰიუგოს სტატიას იყენებდა წერილებსა და გამოკვლევებში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

სფირიდონ ჩიტორელიძე. „სფირიდონისა და თადეოზის ბასი“, 60-იანი წლების ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების კლასიკური ნიმუში, რომელიც 1863 წელს სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით დაისტამბა „საქართველოს მოამბის“ მაისის, ივნისის, ივლისისა და აგვისტოს ნომრებში, 1927 წელს პ. ინგოროყვამ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა IV ტომში შეიტანა. გამოჩენილი მეცნიერი არ უნდა ა. ფურცელაძის ცნობას, ძირითადად გრ. ყიფშიძის წერილს დაემყარა და აღნიშნული ტომის შენიშვნებში შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ჩიტორელიძის ხელმოწერით ილია ჭავჭავაძე იბეჭდებოდა.

პოეტიკ-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი ეპკვით მოეკიდა ამ მოსაზრებას. „თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ ერთ-ერთ შენიშვნაში იგი მი-

¹ ზაქ. კვიციანიძე, „ილია ჭავჭავაძე“... 1897, გვ. 14—20.

² Г. Туманов. Характеристики и воспоминания кн. III, 1907, стр. 178—179.

უთითებდა: „სფირიდონ ჩიტორელიძე იყო ფსევდონიმი არა ილი-
ასი, როგორც ფიქრობს „ქართული წიგნის“ გამომცემლო-
ბა... არამედ იმ დროინდელი მოღვაწის მიხეილ ზაალის ძე
ყიფიანისა“¹.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა V ტომში პ. ინგოროყვამ უარყო თა-
ვისი დასკვნა და ჩიტორელიძე მიხ. ყიფიანის ფსევდონიმად აღიარა.
„შეცდომის“ მიზეზად იგი გრ. ყიფშიძის ცნობას ასახელებს, ხოლო
მიხ. ყიფიანის ავტორობის დასამტკიცებელ საბუთად მიაჩნია, რომ
1886—1890 წლებში მიხ. ყიფიანი ჩიტორელიძის სახელით „ივერიაში“
აქვეყნებდა ნაწერებს.

ამასობაში ი. გრიშაშვილის „ტფილისის ლიტერატურული ბოქე-
მა“ გამოვიდა, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ავტორ-
მა საგულისხმო მასალა გამოაქვეყნა.

„ამ წიგნის პირველი ნახევარი, სადაც „სფირიდონ ჩიტორელიძის“
ფსევდონიმის შესახებ ვლაპარაკობთ, — წერს ი. გრიშაშვილი, — უკვე
დაბეჭდილი იყო, როცა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა მე-5 ტომში გამომ-
ცემლობამ გაასწორა შეცდომა, რომელიც მე-4 ტომში მოუვიდა; თუმ-
ცა მეოთხე ტომის გამოცემის დროსაც არსებობდა ის მასალა, საიდანაც
ნათლად ჩანს, ვისი ფსევდონიმიც იყო... ჩიტორელიძე. მაგ., მიხ. ყი-
ფიანის გარდაცვალების გამო ილიას რედაქტორობით გამოსულ „ივე-
რიაში“ მოთავსებული იყო ნეკროლოგი, რომელშიც ნათქვამია, რომ
„საქართველოს მოამბეში“ და „ივერიაში“ მოთავსებული წერილები...
ჩიტორელიძის ფსევდონიმით მიხ. ყიფიანს ეკუთვნისო... ქართული
წიგნის რედაქტორებისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ცოცხა-
ლი ილია თავის თავზე ნეკროლოგს ვერ დასწერ-
და“ (ხაზი ჩემია.—ა. კ.).

მიხ. ზ. ყიფიანის ნეკროლოგში („ივერია“, 1891 წ., №48), რომელ-
საც ხელს აწერს „გ. გ.“, ვკითხულობთ: „... 1863 წელს ყურნალ „სა-
ქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა წერილები, ჩიტორელიძის სახელით
ხელმოწერილი“.

ამრიგად, ი. გრიშაშვილმა დამაფიქრებელი საბუთი წარმოადგინა
და „გ. გ.“-ს წერილის საფუძველზე გრ. ყიფშიძის
ცნობა უარყოფილი იქნა.

საკითხის „საბოლოოდ გადაწყვეტის“ მიუხედავად, ლიტერატურულ-
ლი საზოგადოებრიობა მაინც ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ „სფირი-
დონისა და თადეოზის ბაასი“ ი. ჭავჭავაძის ნაწარმოები არ არის.

საგულისხმო ფაქტია, რომ ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ვერც ერთი

¹ ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქემა, თბ., „სა-
სულაში“, 1928, გვ. 13 (პირველი სქოლიო).

მკვლევარი გვერდს ვერ უვლის ამ თხზულებას და იმ საბაბით, რომ იგი, უთუოდ, „საქართველოს მოამბის“ რედაქტორის მიერ საფუძვლიანად არის გადამუშავებული, ვრცლად განიხილავენ მას (მიხ. ზანდუქელი; გ. ჯიბლაძე, მ. დუდუჩავა. დ. გამეზარდაშვილი, ა. ნიკოლაძე და სხვ.).

მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ „სტირიდონისა და თადეოზის ბაასი“ დაწერილია მაღალი ლიტერატურული გემოვნებით, „ენა ცოცხალია და სადა“, შინაარსით ძალიან ახლოსაა ი. ქავეკავაძის წერილებთან (ლ. ასათიანი, დ. გამეზარდაშვილი). „აშკარად ჩანს, როგორც ლექსიკის, სტილის, ისე თვით პრინციპული არსის ილიასეულობა“ (მ. დუდუჩავა). თხზულების სტილი იმდენად ილიასეულია, რომ V ტომის შენიშვნებშიც კი, სადაც პ. ინგოროყვამ კატეგორიულად უარყო ილიას ავტორობა, იძულებული იყო, „სტირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ცალკე გამოეყო და ეთქვა: „იგი ძირეულად გადამუშავებულია ილიას მიერ და ეს გადამუშავება ახალი ნაწარმოებების დაწერას უდრიდა“. (ხაზი ჩემია.— ა. კ.):

მკვრამ, საკმაოდ არ უნდა იყოს, რომ არავითარ რედაქტორულ გადამუშავებას არ ატლუხს მთლიანი. მყარი, თვითმყოფი სტილის წარმოქმნა.

როგორც წინა პარაგრაფში ვნახეთ, „სტირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ენა არსებითად განსხვავდება მიხ. ყიფიანის ნაწერების ენისაგან („მეფე სოლომონ მეორეზე და მის დროს განმგებლობასა ზედა“, „ცისკარი“. 1859 წ., № 12: „ჩვენი დროების გმირი“. „საქართველოს მოამბე“. № 11—12 და სხვ.).

უდავოა, აგრეთვე, რომ ამ თხზულებაში თითქმის სიტყვასიტყვით არის გადმოწერილი ცალკეული ადგილები ილიას იმხანად დაუბეჭდავ ხელნაწერთაგან, კერძოდ, ნაშრომიდან — „ცისკარი“ 1857 წლიდან 1863 წლამდინა“!

ორივე თხზულება იწყება მტკიცებით, რომ „კრიტიკა და ლანძღვა ძალიან შორიშორს არიან ერთმანეთზედა“, რომ „შეიძლება კაცს უყვარდეს კაცი და მტერსავეთ კი მოეკიდოს, როცა მასში სიტუდეს შენიშნავს“. შემდეგ ორივეგან დასაბუთებულია ქართულ ენაში უცხო სიტყვების შემოტანის აუცილებლობა და ერთნაირად არის განხილული „ცისკარში“ დაბეჭდილი ნაწარმოებები.

ფელეტონში რამდენიმე გვერდი ეთმობა გრ. ბარათაშვილის მეორე წერილის კრიტიკას, რადგან ილიამ „ცისკარში“ ვერ მოახერხა მასზე

ა. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ქავეკავაძის ფონდი, № 49, ილიას ავტოგრაფი.

პასუხის გაცემა; აქ ზუსტად ისეა განხილული კომაროვის „მილორდინი“, როგორც ილიას პირველ წერილში კოზლოვის „შეშლილი“.

ილიას ავტოგრაფი რამდენიმე ვარიანტად არის დაცული, ხოლო ჩიტორელიძის წერილი ფელეტონად გარდაქმნილი ვარიანტთაგანია.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ილია ქავჭავაძეს ეკუთვნის, მაგრამ ა. ფურცელაძის ცნობა აბრკოლებდა. ხოლო მასზე დაფუძნებული „ივერიის“ ნეკროლოგი პირდაპირ შეუძლებელს ხდიდა საკითხის მართებულად გადაწყვეტას.

„ცისკარის“ 1863 წლის იელისის ნომერში ა. ფურცელაძემ სახელდახელოდ განიხილა სფირ. ჩიტორელიძის პირველი ფელეტონი (მაისისა) და, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა, ფსევდონიმიც „გახსნა“. „ჩვენ დიდი სიამოვნებით წავიკითხეთ ჩიტორელიძის (მიხ. ყოფიანის) „თადეოზისა და სფირიდონის ბაასი“, — წერდა იგი. — უნდა მოგახსენოთ, რომ ამისთანა ჩინებული ქართული ენა ჯერ ჩვენს ლიტერატურაში არ შეგვხვედრია... ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ არც თითონ სტატიაა სხვა „მოამბის“ სტატიებივით ხეპრულად დაწერილი. ამ სტატიაში ჩანს ცოდნა საქმისა და საჭირებისა და არა ის ცარიელი ყვირწილობა. რომლითაც „მოამბე“ თავგამოდებული და გამოჩენილია“.

რამდენადაც შესაძლებელი იყო, „საქართველოს მოამბის“ რედაქცია ერიდებოდა „ცისკართან“ პოლემიკის გამწვავებას, მოწინააღმდეგენი ამას რედაქტორსა და ჟურნალზე უხეში თავდასხმის საბაზად იყენებდნენ; ეს კი საზიანო იყო არა მარტო ჟურნალის, არამედ. საერთოდ, ახალთაობის ავტორიტეტისთვისაც.

ა., ფურცელაძე ერთმანეთს უპირისპირებდა „საქართველოს მოამბის“ „თერგდალეულ“ (რუსეთში განსწავლულ) და „მტკვარდალეულ“ (ადგილობრივ) თანამშრომლებს, ხელალებით აძაგებთა პირველთ, ასევე განუსჯელად აქებდა უკანასკნელთ (უნდა „ცისკარში“ გადაებრებიან ისინი) და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა გაეგო ფსევდონიმები.

ილია საგანგებოდაც შეეხო ამ საკითხს „სხარტულაში“, სადაც ა. ფურცელაძე (ბაქია) ბოდიშს ითხოვს რედაქტორისაგან (ივ. კერესელიძისაგან): „მომიტევეთ, ორი კაცი კი ვაქე: ვ. თულაშვილი და გ. ჩიქოვანიო“. „ცისკარის“ რედაქტორი ტუქსავს მას, როგორ თუ აქეო. ბაქია მიუგებს: „ეხლა ნება მიბოძეთ, თავი გაემართლო. ისინი რომ ეაქე, ყური მოვკარ, რომ თერგდალეულები არ ყოფილან, თორემ რათ ვაქებდი. ისინი ჩვენი საყვარელი მტკვარდალეულები ყოფილან“. (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

შემდეგ „ცისკარის“ რედაქტორი ავალებს ბაქიას: „ეს კი უნდა იცოდე, რომ შენი მახვილი ყური „მოამბის“ რედაქციას არ უნდა მოაშორო, რაც შეიტყო, ამბავი მომიტანე!“

ილიას ავტოგრაფის ერთ-ერთ შენიშვნაში ბაქიაზე (ანტონ ფურ-ელვაძეზე) წერია: „ტყუის, კორიკანაობს“.

ბაქიას „მახვილი ყურისაგან“ თავდასაცავად, „საქართველოს მო-ამბის“ რედაქციას საგანგებო ზომები მიუღია, ყოველი ღონე უხმარი-ათ, რომ მისთვის გზაკვალი აებნიათ და უზრუნველყოთ ფსევდონი-მების საიდუმლოება.

ყურნალის „მტკვარდალეულ“ თანამშრომლებს თანხმობა განუცხა-დებიათ, რომ პოლემიკური ნაწერები ილიას მათი სახელით გამოქვეყ-ნებინა. „სხარტულა“, „რომელიც ა. ფურცელაძის სტატიების პარო-დიაა, გიორგი ჩიქოვანის ინიციალებით (გ. ჩ.) დაიბეჭდა, ხოლო გ. ჩიქოვანს, როგორც ენახეთ, ა. ფურცელაძე აქებდა.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასიც“ „ცისკრისა“ და მისი რედაქ-ტორის წინააღმდეგ მიმართული სატირაა და კვალის დასაფარავად, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებს ხმა გაუვრცელებიათ. სფი-რიდონ ჩიტორელიძე მიხ. ყიფიანის ფსევდონიმიო (მიხ. ყიფიან-იც „მტკვარდალეული“ იყო)¹.

ა. ფურცელაძის წერილი, რომელშიაც ჩიტორელიძეს აქებს, პირვე-ლი ფელეტონის დაბეჭდვისთანავე დაწერილი და, „მახვილი ყურის“ მიუხედავად, მას მართლაც გზაკვალი არევია. მაგრამ მიხ. ყიფიანის ჩიტორელიძეობაში, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეპარვია და ყოველ შემ-თხვევისათვის, ილიასათვისაც კბილი გაუკრავს. „ერთი კი არ შე-გვიძლიან უფ. ჩიტორელიძეს არ შევნიშნოთ, — წერს იგი, — ის მაგა-ლითისათვის უჩვენებს ჩვენი მწერლების თ. გიორგი ერისთავისა და ზ. ანტონოვის ენასა და გასაგონრობის მაგალითისათვის. კომედიებში, სადაც ალაპარაკებს კაცი ცოცხალ პირსა, ჯიმშერიძესავით (ილია ჭავ-ჭავაძისათვის. — ა. კ.). გამოუცდელი უნდა იყოს, რომ ისრე არ ალა-პარაკოს, როგორ მართლაცდა ის ცოცხალი პირი უნდა ლაპარაკობ-დეს“.

მოგვიანებით, ა. ფურცელაძეც დარწმუნებულია, რომ „სხარტულა“ და „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ნამდვილად ილიასი იყო. ერთ წერილში ირწმუნება კიდევც, — ამ ნიადაგზე გ. ჩიქოვანსა და მიხ. ყი-ფიანს უკმაყოფილება მოუვიდათ „საქართველოს მოამბის“ რედაქ-ტორთან და „ცისკარს“ შემოეხიზნნო. მაგრამ, იქვე დასძენს, „სა-ქართველოს მოამბის“ თანამშრომელთაგან ილიას გარდა, წერის ნიჭი არაყის ჰქონდაო².

საერთოდ, 60-იან წლებში საკმაოდ გახმაურებული ყოფილა, რომ

¹ „კვალი“, 1893, № 48. ცდებიან ის მკვლევარები, რომლებიც ფიქრობენ, რომ დობროლიუბოვის წერილებში მოხსენიებული ყიფიანი — მიხეილ ყიფიანია.

² სსლმ, ფონდი № 5915—ბ.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ავტორი ილია ჭავჭავაძე იყო. ამას ადასტურებს მაშინდელი ხელნაწერი „ქურნალები“, აგრეთვე გ. წერეთლის თხზულება „იკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, სადაც ჩიტორელიძე „საქართველოს მოამბის“ რედაქტორადაა გამოყვანილი და ზუსტად ასახულია ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა („ჩიტორელიძემ ქურნალის გამოცემის ნება აიღო, მერე მეგობრებში ხელმოწერა გაშარტა... ხუთასი ხელმომწერი იშოვა... ჩიტორელიძემ იმიტომ დახურა თავისი ქურნალი, რომ სტამბა არ ჰქონდა... რომ მან მაშინვე ცოლი შეირთო“ და ა. შ.)².

როგორც დავინახეთ, გრ. ყიფშიძის ავტორიტეტული ცნობა უკუგდებულია „ივერიის“ ნეკროლოგის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს „გ. — გ“.

ამჟამად დადგენილია, რომ „გ. — გ“ („გიგა“) სხვა არავინაა, თუ არ თვითონ გრიგოლ ყიფშიძე³ და „ივერიის“ ნეკროლოგიც მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის შესახებ მას ეკუთვნის.

ამ ვითარებაში ახალი შუქი ეფინება ყოველივეს და ილია ჭავჭავაძის ავტორობის საწინააღმდეგო ერთადერთი არგუმენტი მისი ავტორობის დამამტკიცებელი გადამწყვეტი საბუთი ხდება.

ამ პერიოდში „ივერიის“ ფაქტობრივად გრ. ყიფშიძე განაგებდა. „თან ვმდივნობდი, — გადმოგცემს იგი, — და თითქმის ვრედაქტორობდი „ივერიას“... ვასწორებდი ხელნაწერებს... ვამზადებდი მათ დასაბეჭდად... ვადგენდი თვითეულს ნომერს... ვბეჭდავდი ბიოგრაფიებსა და ნეკროლოგებს“. (ხაზი ჩემია.—ა. კ.).

მიხ. ზ. ყიფიანის ნეკროლოგი მისი გარდაცვალების ამბის თბილისში მიღებისთანავე (დაბეჭდილია 1891 წლის 5 მარტს) სახელდახელოდ დაუწერია გ. ყიფშიძეს და რაკი ნეკროლოგების შედგენა-დაბეჭდვარედაქტორთან საგანგებო შეთანხმების გარეშეც შეეძლო, დაუსტამბავს კიდევ (როგორც „ლალანიძის“. საკითხთან დაკავშირებით წინა პარაგრაფში დავამტკიცეთ, იგი ამ დროს პეტერბურგიდან მომავალი გზაში იმყოფებოდა).

¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. გ. თუმანიშვილის ფონდი, № 426.

² გ. წერეთელი, „იკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, მგზავრის წერილებიდან. გვ. 179—183. გ. ავალიანი: „ერთი პროტოტიპის თაობაზე. „გამარჯვება“, 1973 წ., 7. X11.

³ იხ. კ. მარქსის სახ. საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის კართოტეკა და იქვე დაცული ქშწ-კგ საზოგადოების ბიბლიოთეკისეული „ივერიის“ ეგზემპლარი. „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. III, ნაკვ. 1. გვ. 444. ბიბლიოთეკული 757. გ—გ. იხ. ყიფშიძე გრიგოლ, „გ—გ“. მიხ. ზაალის ძე ყიფიანი (ნეკროლოგი), „ივ.“ 1891, 5 მარტი, № 48, გვ. 1—2. აგრეთვე, გრ. ყიფშიძის ავტობიოგრაფია (ავტობიოგრაფი), ლიტ. მუზ. 112—ბ.

ილია ჭავჭავაძის უყურადღებოდ არ დაუტოვებია ნეკროლოგში და-
შვებული შეცდომა და თბილისში დაბრუნებისთანავე დაბეჭდა (1891,
№ 53) სარედაქციო, ხელმოუწერელი წერილი მიხ. ყიფიანზე, სადაც
მთლიანად გვერდს უვლის მის ლიტერატურულ მოღვაწეობას, მხო-
ლოდ საზოგადოებრივ-პრაქტიკულ საქმიანობას ახასიათებს. „სფირი-
დონისა და თადეოზის ბაასი“ რომ მიხ. ყიფიანისა ყოფილიყო, ამ
ფაქტს ილია ჭავჭავაძე გამოიყენებდა მისი ტალანტის გამოსაჩენად.
მით უმეტეს, რომ ამბობს: „ბევრ კარგ საქმეთა მომქმედი მიხ. ყიფიანი
ისე ცნობილი არ არის ყველასათვის, როგორც სასურველიაო“¹.

უნებლიე შეცდომის გამოსწორება თვით გრ. ყიფშიძეს მოუხდა;
90-იან წლებში განზრახული იყო ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული
კრებულის გამოცემა, რომლის ოთხი ტომი 1892 წელს გამოვიდა, ხო-
ლო დანარჩენი მასალა მზად იყო სასტამბოდ. ჩვენამდე მოაღწია V
ტომის კრებულმა, სათაურით: „ილია ჭავჭავაძის წერილები „საქარ-
თველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ 1863—1879 წწ.“².

სწორედ ამ კრებულშია შეტანილი „სფირიდონისა და თადეოზის
ბაასი“. იგი, ისევე როგორც აქ წარმოდგენილი სხვა თხზულებანი, გრ.
ყიფშიძის მეთვალყურეობითაა გადაწერილი და მის მიერვეა რედაქ-
ტირებული არა უგვიანეს 1893 წლისა.

ტექსტში ჩართულია გ. ყიფშიძის შენიშვნები. ასე, მაგალითად,
102-ე გვერდზე წარწერილია: „პოლემიკური ხასიათი აქვს ძრიელ“.
გრ. ყიფშიძე. „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“, სადაც ნახსენე-
ბია „გომერი“, ყიფშიძე სქოლიოში მიუთითებს: „1888 წლიდან. 25
წლის შემდეგ, სწერს „პომიროსისა“ და სხვ.

გრ. ყიფშიძე ილიას ახლო მეგობარი იყო. ილიას სიცოცხლეშივე
აგროვებდა მისი ბიოგრაფიის მასალებს, სპეციალურად სწავლობდა
ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას (მას ეკუთვნის პირველი მონო-
გრაფიული ნარკვევი „საქართველოს მოამბეზე“, რომელიც ილიას
სიცოცხლეშივე დაიბეჭდა, 1901 წ.— „Периодическая печать на
Кавказе.“ ცხადია, გრ. ყიფშიძეს ლაპარაკი ექნებოდა ილიასთან „სა-
ქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ფსევდონიმიან მასალებზე („სხარ-
ტულაზე“, რომელსაც ხელს აწერს „გ. ჩ.“, „სფირიდონისა და თადე-
ოზის ბაასზე“, რომელსაც „სფირიდონ ჩიტორელიძე“ აწერს ხელს და
სხვ.), რადგან ილიას გარეშე ვერავენ გადაწყვეტდა ამ საკითხს.

კრებული რომ უშუალოდ ილიას მიერ არის შედგენილი, იქიდანაც
ჩანს, რომ მასში შეტანილია „საქართველოს მოამბის“ ნოემბრის ერთ-

¹ ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. წინამდებარე წიგნის პარაგრაფი „მაქსიმ
ლაღანიძე“.

² კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი № 82.

გვერდიანი „სარედაქციო განცხადება“. ფაქტიურად, ეს უბრალო სარედაქციო განცხადება კი არ არის, არამედ შესანიშნავი პუბლიცისტური წერილი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ 60-იანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოვლენებს. დასაინანია, რომ ეს სტატიაც (ავრეთვე ოქტომბრის სარედაქციო განცხადება), ავტორის ნების მიუხედავად, აღარ შეაქვთ მის თხზულებათა კრებულში.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ი. გედევანიშვილი წერდა: „ქართველთა ამხანაგობის გამოცემა (1892 წ. გამოცემა. — ა. კ.) სახელმძღვანელოდ გეჭონდა მიღებული, რადგანაც იგი იბეჭდებოდა მგოსნის სიცოცხლის ღროს და მის მიერვე შესწორებულია“.

ამრიგად, 50-იანი წლების კრებულში „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ შეტანა „ივერიის“ ნეკროლოგისა და მასზედ დამყარებული ყველა მოსაზრების პირდაპირი უარყოფითაა, ხოლო ამ ტექსტს ავტოგრაფის რწმუნება აქვს. (ნიკ. ყიფიანის „მოგონების“,¹ ავრეთვე, ი. ზონელის წყაროსაც იგივე ნეკროლოგი წარმოადგენს. თანამედროვენი, საერთოდ, დიდი ეჭვით უყურებდნენ მის მოგონებებს და ვახ. თულაშვილმა ამის თაობაზე წერილიც გამოაქვეყნა)².

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ დაბეჭდვა გათვალისწინებული ყოფილა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა შემდეგ გამოცემებშიც, კერძოდ, 1914 წლის გამოცემაში, რომელსაც წამძღვარებული აქვს გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილი ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია. ავტორი არ ეხება ილიას ფსევდონიმებს, მაგრამ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ მაინც საგანგებოდ გამოჰყოფს და დაბეჭდვით ამბობს: „ილიასავე ეკუთვნის ამ ჟურნალში („საქართველოს მოამბეში“) წერილები ჩიტორელიძის ფსევდონიმით“. ამასვე იმეორებს იგი ავტოგრაფშიც³. ამ წერილიდან ჩანს, რომ გრ. ყიფშიძე ბრწყინვალედ იცნობს თერგდალეულთა ჟურნალს.

ეს განცხადება ერთპიროვნული არ არის; მის მიერ შედგენილი ილიას ბიოგრაფია რამდენჯერმე განუხილავთ სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე (კიტა აბაშიძე, იოსებ გედევანიშვილი, ივანე ჭავჭავაძის მიერ, იაკობ ფანცხავა, გიორგი ლასხიშვილი).

ი. გედევანიშვილი წერს: „...დიდია ღვაწლი სარედაქციო კომისიისა... ყველა საკითხი, რომელიც კი გამოცემას ეხებოდა, ამ კომისიის მონაწილეობით, რჩევა-დარიგებით და ხელმძღვანელობით სწყდებო-

¹ „კვალი“, 1893, № 48.

² „მოამბე“, 1895, № 5.

³ სსლმ, ფონდი № 110.

და... გამოცემლობამ ყოველნაირი საშუალება მიიღო შეეგროვებინა ყველა მასალა, რომელიც ენებოდა დიდებული მგოსნის, მოაზრის და ქართველი ერის მოპირნახულის... ცხოვრებასა და ღვაწლს. ამრიგად, შეგროვილი საინტერესო და დიდძალი მასალა დაედო საფუძვლად ილიას ბიოგრაფიასა, შედგენილს გრ. ყიფშიძის მიერ“.

განა წარმოსადგენია, რომ გრ. ყიფშიძეს უსაფუძვლოდ უარყუო „ივერიის“ ნეკროლოგში დაშვებული საკუთარი შეცდომა და ილიას სიცოცხლეში ვერ მოეხერხებინა ქეშმარიტების დადგენა? ყველაფერი ნათლად მეტყველებს, რომ იგი დიდი მწერლის პირად განცხადებას ემყარებოდა, მისი ნების ამსრულებელი იყო. ამიტომაც, გრ. ყიფშიძის ცნობები ამ საკითხის გულმოდგინე შემოწმების რეზიუმედ უნდა მივიჩნიოთ. 1891-1914 წლებში ამ ხაზით კვლევა-ძიებას დიდი ეროვნული, პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, სახელდობრ, ილიას თხზულებათა გამოცემისათვის ნაწერების შერჩევა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბიოგრაფიას არ დაადგებოდა განსაკუთრებული ჯაფა ამ ფაქტის დასადგენად, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, თანამედროვეთათვის საეჭვო არასოდეს ყოფილა, რომ „სტირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ილია ჭავჭავაძის თხზულება იყო.

მრავალი დამოწმებიდან მოვიტანთ კიდევ ერთს, გიორგი თუმანიშვილის ცნობას, რადგან იგი 1863 წლიდან დაინტერესებულა „საქართველოს მოამბის“ ფსევდონიმებით, ხოლო შემდეგ მასალებს კრებულა „კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეთა ლექსიკონისა“ და „კავკასიის პერიოდული გამოცემების ისტორიული მიმოხილვისათვის“ (1863-64 წლებში სცემდა ხელნაწერ ჟურნალს „საქართველოზ მოამბე“)¹.

გ. თუმანიშვილი წერს: «Здесь (в «Грузинском вестнике». — А. К.) впервые появились повесть Чавчавадзе «Рассказ ничего» и «Кациа адамиანი?», его лучшая стихотворения... и его критико-юмористические фельетоны «Беседа Спиридона и Тадеооза»... журнал Чавчавадзе сгруппировал вокруг себя цвет грузинской передовой интеллигенции... Мих. Кипиани (перев. «Героя нашего времени»)².

ამჟამად „სტირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ამოღებულია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, იგი აღარ იბეჭდება მწერლის თხზულებათა გამოცემებში და მიუწვდომელია მკითხველისათვის. ილია ჭავჭავაძის ამ თხზულების გარეშე კი შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხე-

¹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, №№48, 58, 427, 428, 1049.

² Г. Туманов. Характеристики и Воспоминания, кн. III, 1907, г., стр. 179 (ხაზი ჩემია, ა. კ.).

დულებებზე. ყურნალ „საქართველოს მოამბისათვის“, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასს“ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც საპროგრამო წერილს „საქართველოს მოამბეზედ“. ზოგიერთი პრინციპული საკითხი მხოლოდ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ არის გადაწყვეტილი. ენისა და ლიტერატურის დარგში ყურნალის პოზიცია სწორედ აქ არის ნათლად ჩამოყალიბებული. აქ არის მკაფიოდ გამოკვეთილი ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი პოეზიაზე, ლიტერატურულ კრიტიკაზე, პატრიოტიზმზე, — მოტანილია ვრცელი ამონაწერები ბელინსკის ნაწარმოებიდან: „მიხეილ ლერმონტოვის“ ლექსები“; ამასთან, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ „მამათა“ ბანაკთან ილია ჭავჭავაძის პოლემიკის უშუალო გაგრძელება და დაგვირგვინებაა. მოცულობითაც იგი ილიას ყველა იმდროინდელ ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომს აღემატება. ქართული ფელეტონის ეს ბრწყინვალე ნიმუში გვხიბლავს არა მარტო პროგრესული აზრებით, არამედ მხატვრული სახეებით, გამოსახვის მკაფიობითა და იუმორით.

ამ ნაწარმოების მიხ. ყიფიანისათვის უსაფუძვლოდ მიკუთვნება ხელს უშლის მთელი სისრულით მის გაგებასა და ლიტერატურის განვითარების პროცესში ჩართვას.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ უნდა დაუბრუნდეს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.



წინამდებარე ნარკვევის დასკვნები: რომ „სფირიდონ ჩიტორელიძე“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმაა და, კერძოდ, „საქართველოს მოამბეში“ ამ ფსევდონიმიტ ხელმოწერილი „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ მას ეკუთვნის, გაზიარებული იქნა მკვლევართა მიერ.

აღ. კალანდაძე „განიხილავს ფსევდონიმებისა და ანონიმების საკითხს“ — წერდა პროფ. მ. დუდუჩავა. — ...მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ავტორის ვინაობის დადგენა... ერთი ცნობის საფუძველზე იგი მიეკუთვნა მიხ. ყიფიანს. მართალია, მკვლევართა ერთი ნაწილი არ იზიარებდა ამ შეხედულებას, მაგრამ ფრთხილად გამოხატავდა თავის პოზიციას... აღ. კალანდაძის მოტანილი საბუთები საბოლოოდ ცხადყოფენ, რომ აღნიშნული დიპლოგი და ფსევდონიმი ილია ჭავჭავაძისაა. ეს კი დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია, რადგან ი. ჭავჭავაძის თხზულებ-

ბანი შეივსო კიდევ ერთი დიდად საინტერესო ნაწარმოებით¹ (ხაზი ჩემია.— ა. კ.).

ასევე დადებითად შეაფასეს ფსევდონიმებისა და ანონიმების ამოხსნაში წინამდებარე კვლევა-ძიების შედეგები ნ. ალანიამ², ი. ბოცვაძემ³, შ. რატიანმა და სხვ.

გავიდა თხუთმეტი წელი „მნათობში“ ჩემი გამოკვლევის გამოქვეყნებიდან⁴ და პროფ. დ. გამეზარდაშვილმა აღმანახ „განთიადში“ (1977, № 3) დაბეჭდა წერილი, რომელშიც, ისე რომ, არავითარი ახალი საბუთი არ წარმოუდგენია, კატეგორიულად უარყო ი. ჭავჭავაძის ავტორობა.

იმევე წელს პასუხი გავეცი „ლიტერატურულ საქართველოში“, („გაუფრთხილდეთ ძვირფას მემკვიდრეობას“, 1977, 25 აგვისტო).

ცხარე პოლემიკამ, რომელიც ამ წერილებს მოჰყვა და რამდენიმე წელს გაგრძელდა, ერთხელ და საზუდამოდ დაადასტურა, რომ „სტირიდონ ჩიტორელიძის“ ხელმოწერით „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ დაბეჭდილი ყველა თხზულება ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის⁵.

პოლემიკასთან დაკავშირებული კვლევა-ძიების პროცესში აღმოჩნდა ი. ჭავჭავაძის ავტორობის დამამტკიცებელი მრავალი დამატებითი, მანამდე უცნობი, არსებითი მნიშვნელობის ახალი დოკუმენტური მასალა, ხოლო მიხ. ყიფიანის სასარგებლოდ არათუ ვერავითარი ცნობა

¹ „საქართველოს კომუნისტი“, 1964 წ., № 3, გვ. 86—87.

² „სკოლა და ცხოვრება“, 1964, № 8, გვ. 94—95; „ლიტერატურული საქართველო“ 1965, № 38, გვ. 3.

³ „მნათობი“, 1966, № 11.

⁴ „მნათობი“, 1962, № 11.

⁵ დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს ამ საკითხის ისტორიას გაეცნოს ნაშრომებში: ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით და შენიშვნებით, ტ. IV, 1926. ტ. V, 1927; შ. გოზალიშვილი „ი. ჭავჭავაძის ავტოგრაფები“, 1951; ა. კალანდაძე: „საქართველოს მოამბე“, 1963. „მნათობი“, 1962, № 11; „გაუფრთხილდეთ ძვირფას მემკვიდრეობას“ („ლიტერატურული საქართველო“, 1977, 25. VIII); „მაცნე“, 1979, № 1; „კრიტიკა და პოლემიკა“, 1980; ქართული ჟურნალისტიკა. 1982; დ. გამეზარდაშვილი: „ი. ჭავჭავაძის ორი სადავო ფსევდონიმის შესახებ“ („განთიადი“, 1977, № 3); „ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, IV. 1978; „განსაჯოს კაცმან პირუთნელმან“, 1980; 5. ტაბიძე: „ი. ჭავჭავაძის უცნობი წერილები“ („კრიტიკა“, 1977, № 3); გ. შარაძე: „ყოველი სასვენი ნიშანიც კი...“ („ლიტერატურული საქართველო“, 1980, 25 IV. „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად“ („ლიტერატურული საქართველო“, 1980, 5. XI); ლ. კრელაშვილი: შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის „მოხსენებათა თეზისები“, 1979; „ქართული ჟურნალისტიკის ნაკვეთები“, III. 1981; ქართული ჟურნალისტიკა, № 4. 1982; „მაცნე“, 1981, №№ 2, 3; თ. მანგოშვილი, „მაცნე“, 1979, № 1.

ვერ იქნა მოპოვებული, არამედ სრული სიცხადით გამოძედა და დაშეკვებულ გარემოებათა უნიადაგობა.

1. გამოირკვა, რომ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემისათვის რედაქციას საგანგებო კვლევა-ძიება ჩაუტარებია ი. ჭავჭავაძის ფსევდონიმების დასადგენად. საბედნიეროდ, გადარჩენილა სარედაქციო კომისიის მდივნის ი. გედევანიშვილის 1913 წლის 21 იანვრის ოფიციალური წერილი რედკოლეგიის წევრის ივ. ჭავჭავაძისადმი: „დიდად პატივცემულო ბატონო ვანო! პატივი მაქვს გაუწყნოთ ილიას ფსევდონიმები: მ. ჭინჭერიძე, ჩიტორელიძე, ფირუზა, ახალმოსული, ზუშბერიძე, ჭიბრაელი“¹... (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

ამ ბარათით უდავო გახდა, რომ რედაქციას ყველა წევრისათვის დაუგზავნია ილიას ფსევდონიმთა სიები გასაკონტროლებლად; შეუმოწმებიათ და „ჩიტორელიძე“ ყველას უცვლელად დაუტოვებია.

2. პროფ. გ. შარაძემ მის მიერ მიკვლეული მიხ. გედევანიშვილის არქივის ანალიზის საფუძველზე დაამტკიცა, რომ „ქართველთა ამხანაგობის“ მიერ გადაწერილ ილიას პუბლიცისტურ თხზულებათა კრებულს... ტექნიკური რედაქციის ნიშნებიც აქვს შემონახული², მაშასადამე, ხელნაწერი... დასაბეჭდად ყოფილა გამზადებული და ასაწყობად სტამბაშიც ვაგზავნილი, ხოლო კორექტურა უწარმოებიათ ისეთ მოღვაწეებს, როგორც იყვნენ გრ. ყიფშიძე და ივანე მაჭავარიანი... როგორც ილიას სიცოცხლეში (1892 წ.) და მისი დასტურით გადაწერილ ხელნაწერ ტომში (№ 164, №165), ასევე ილიას თანამებრძოლების მიერ 1914 წელს განხორციელებულ გამოცემაში ფსევდონიმი „სფირიდონ ჩიტორელიძე“ ილია ჭავჭავაძისათვის არის მიკუთვნებული“.

3. დოც. ლ. ჭრელაშვილმა საგანგებოდ შეისწავლა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული 1892 წლის გამოცემისათვის გამზადებული ილიას პუბლიცისტური ნაშრომების ხელნაწერი, გამოიკვლია ამ ხელნაწერთა შექმნის ისტორიის დოკუმენტური მასალები, იპოვა ავტორსა და გამომცემელთა შორის დადებული ხელშეკრულებები, იმოგზაურა ჩრდ. კავკასიაში, იქაურ საარქივო ფონდებში აღმოაჩინა უცნობი დოკუმენტები, რომლებმაც ფარდა ახადეს „ივერიაში“ ჩიტორელიძის ხელმოწერით დაბეჭდილ ფელეტონთა ავტორების საიდუმლოებას.

დოკუმენტური სიზუსტით ლ. ჭრელაშვილმა ნათელყო, რომ: ი. ჭავჭავაძემ მიხ. ყიფიანის სიცოცხლეშივე შეატანილა დღეს სადავოდ

¹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჭავჭავაძის ფონდი, № 1671.

² გ. შარაძე, „ყოველი სახენი ნიშანიც კი...“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1980 წ. 25. IV.

ქცეული სფირიდონ ჩიტორელიძის წერილები თავის ნაწერების ხელნაწერ კრებულებში, რომელთა საფუძველზე აპირებდა თავისი ნაწერების „სრული კრებულის“ მრავალტომეულის დაბეჭდვას. ილიამ სათანადო პირობა-ხელშეკრულება დადო გამოცემის მიზნით, უშუალოდ ხელმძღვანელობდა იგი 1892 წლის გამოცემის ტექსტის შედგენას, კითხულობდა ტომების უკანასკნელ კორექტურას... დაუბეჭდავი დარჩა ავტორიტეტული „სარედაქციო კომისიის“ მიერ რედაქტირებული ხელნაწერი კრებულები, რომლებიც ი. ჯავახიშვილის მოთხოვნით, ვარ. ჯილბისაგან შეიძინა წ-კ გ საზოგადოების გამგეობამ... მათ ავტოგრაფიული მნიშვნელობა აქვთ“¹.

ი. ჯავახიშვილი... „სათანადო“ „პირობა-ხელშეკრულებით“ აწარმოებდა როგორც ნაწარმოების ამოწერას, ისე ბეჭდვასაც. მის გარეშე არაფერი არ ხდებოდა. თვითონ ამზადებდა გამოცემის „ორიგინალს“ და აკეთებდა ბოლო კორექტურასაც“. სათანადო ხელშეკრულებით ამოაწერინა ჟურნალ-გაზეთებიდან თავისი ნაწერები, შემდეგ კი წ-კ გ გამგეობას წაუყენა პირობა, რომ 1892 წლის გამოცემისათვის შეეძინა... ისინი ავტორს ხელთ ჰქონდა... ხელნაწერ კრებულებში სათანადო თანხა იქნა გადახდილი“ (გადამწერები პელაგია წულუკიძე და შიო მღვიმელი)².

„სარედაქციო კოლეგიებისათვის“, რომლებიც შედგებოდა საქმის უშუალო თანამედროვისა და მოწმეთაგან, სფირიდონ ჩიტორელიძის ვინაობის საკითხი არ არსებობდა, იგი უდავოდ ილია ჯავახიშვილი იყო“³.

ლ. ჭრელაშვილმა გამოაქვეყნა ი. ჯავახიშვილისა და წ-კ გ საზოგადოებას შორის დადებული „პირობის“ ტექსტი (დედანი დატულია საქართველოს სსრ ცენტრალურ ისტორიულ არქივში), აგრეთვე ი. მანსვეტაშვილის „ანგარიში“, ვარ. ჯილბის „მოხსენებაში“ და სხვ. უნიკალური დოკუმენტები. დაადგინა: „ვინც ამტკიცებს, რომ „სფირიდონ ჩიტორელიძე“ ილია ჯავახიშვილის ფსევდონიმი არ არის, არსებითად ავტორს (ი. ჯავახიშვილს) ეკამათება. ილიამ ამოაწერინა ამ ფსევდონიმით დაბეჭდილი ნაწერები, ილიამ შეაძენინა ისინი წ-კ გ საზოგადოების გამგეობას დასაბეჭდად“⁴.

4. პროფ. ნ. ტაბიძემ⁵ პროფ. გ. შარაძემ⁶ დოც. ლ. ჭრელაშვილმა⁷ (ისე, როგორც თავის დროზე პ. ინგოროყვამ) და სხვ. ერთხელ და სამუდამოდ ცხადყვეს, რომ ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტ-

¹ „ქართული ჟურნალისტიკა“, III, 1981, გვ. 75.

² იქვე, გვ. 74.

³ იქვე, გვ. 89.

⁴ იქვე, გვ. 75.

⁵ აღმანახი „კრიტიკა“, 1977, № 3.

⁶ „ლიტერატურული საქართველო“, 1980, № 17.

⁷ „ქართული ჟურნალისტიკა“, III, 1981; „მატყე“, 1981, № 2.

ში დაცული ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულისათვის გასული საუკუნის 80—90-იან წლებში გადაწერილი ხელნაწერები სრულ ნდობას იმსახურებდნენ. მათი ისტორია სავსებით გარკვეულია და ეს კრებულები ავტოგრაფული მნიშვნელობისაა.

5. მკვლევარმა თამარ მანგოშვილმა „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ილია ჭავჭავაძის ცნობილ ნაწარმოებებთან და ავტოგრაფებთან შინაარსობრივ-სტილისტური შეპირისპირებით დაამტკიცა, რომ: აღნიშნული ნაწარმოებები გამსჭვალულია 60-იანი წლების პოლემიკის ერთიანი სულისკვეთებით, ასახავენ ი. ჭავჭავაძის მაშინდელი ნაწერების საკითხებისა და პრობლემების სფეროს; ერთი და იგივე აზრები უცვლელადაა გამოხატული „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ და წერილებში: „საქართველოს მოამბეზედ“, „ცისკარი“ 1857—1862 წლამდინა“, ლექსში „ჩემო კალამო“ და ა. შ. ბევრი ადგილი სიტყვა-სიტყვით მეორდება.¹

6. თავის მხრივ, ლ. ჭრელაშვილმა ათობით მაგალითით ნათელყო „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ შიდატექსტუალური კავშირი ჭავჭავაძის თხზულებებთან. „შემხედური საბუთები დოკუმენტურ ხასიათს აძლევენ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ჩართულ ცნობებს.²

7. ლ. ჭრელაშვილმა მის მიერ აღმოჩენილი ათობით საარქივო დოკუმენტით, პრესის, ლიტერატურის მონაცემებით, შინაარსობრივ-სტილისტური ანალიზით დაამტკიცა, რომ ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის არამარტო „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“, არამედ „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ხელმოწერით (1886—1890 წწ) „ივერიაში“ დაბეჭდილი ყველა თხზულება. „ილიას ნაწერებს უნდა შეუერთდეს... სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილები..., კერძოდ „ივერიაში“ დაბეჭდილი თხზულებანი, ... შეტანილი ხელნაწერ კრებულში... 5—5166“³. „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილები მწერლის ცნობილი ნაწერების პარალელურად არის დაწერილი, მათში გახხილული თემებისა და შეხედულებების დაშატებითი განმარტება-პოპულარიზაციის მიზნით“⁴.

¹ „მაცნე“, I, 1979, გვ. 5—17 (თ. მანგოშვილი „თანადროულობის ასახვა ი. ჭავჭავაძის ლირიკაში“).

² „ქართული ჟურნალისტიკა“, III გვ. 85.

³ „ქართული ჟურნალისტიკა“, ნაკრევები, III, 1981, 39—97; „მაცნე“, 2, 1981, გვ. 43—63.

⁴ 1962 წელს (მნათობი, № 1) ჩვენ ვეხებოდით ი. ჭავჭავაძის ფსევდონიმებს „საქართველოს მოამბეში“, ამიტომ, „სფირიდონ ჩიტორელიძის“ საკითხი განხილული გვაქვს მხოლოდ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ავტორობასთან და-

„ივერიაში“ „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილების სწორმა ატრიბუციამ, დიდი მწერლის ეურნალისტური მოღვაწეობის კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი გადაგვიშალა, დაგვანახა ილიას სარედაქციო მოღვაწეობის მრავალფეროვნება, სირთულე; როგორც „საქართველოს მოამბეში“, ისე „ივერიაში“ გამოცემის შესანარჩუნებლად, გაკრიტიკებულთა დასაშოშმინებლად და რედაქტორული პრესტიჟის დასაცავად, ილიას აუცილებლად ესაჭიროებოდა ერთი ან რამდენიმე საგანგებოდ შენიღბული ფსევდონიმი, რომელიც არავის არ უნდა სცოდნოდა.

8. თედო სახოკიას „ი. ჭავჭავაძის (1889—1906 წლების) ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“ შეუტანია „ივერიაში“. დაბეჭდილი „სფირიდონ ჩიტორელიძის“ ფელეტონები.¹

მაშასადამე: პოლემიკის პროცესში გამოვლინებულმა აურაცხელმა მასალამ და ინტენსიურმა კვლევა-ძიებამ ერთხელ და სამუდამოდ დადასტურა, რომ „სფირიდონ ჩიტორელიძე“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმაა. საწინააღმდეგო თვალსაზრისის არავითარი საფუძველი არ აღმოაჩნდა, ყველა დამაეჭვებელი „არგუმენტი“ შემთხვევითი ხასიათის გამოდგა და გაბათილდა.

კავშირებით. რაც შეეხება ამ ფსევდონიმით „ივერიაში“ გამოქვეყნებულ თხზულებებს, საკუთარი კვლევა-ძიებებს გარეშე, უყოყმანოდ დავემყარებ პ. ი. ინგოროყვას დასკვნებს. მოგვიანებით, პოლემიკასთან დაკავშირებით, უშუალოდ გვეყვანათ მასალებს, პ. ინგოროყვას ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ გვეჩვენა, რის გამოც ეწერდით: „ჩიტორელიძის ამ (ივერიის“) ფელეტონებშიც მთელი პასაჟები ილიას ეკუთვნის, ... მისი თემები ძნელი გამოსარჩევი არაა“ („ლიტერატურული საქართველო“, 1977, № 35). „კავკასი მყოფ მ. ყიფიანს ამ მოვლენებთან (თბილისის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოვლენებთან) საერთო არაფერი აქვს... ავტორია არა საქართველოს გარეშე მცხოვრები, არამედ თბილისის ყოველდღიური ამბებით დაინტერესებული პირი“.

ლ. ჭრელაშვილის ფაქტებმა და მსჯელობამ საყსებით დადასტურა ეს ვარაუდი და საფუძველი გამოაყალა პ. ინგოროყვას კომპრომისულ დასკვნებს, რომლებიც 1962 წელს შეუქმნებლად გავიზიარეთ (ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, 1927, ტ. V.).

¹ პ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თედო სახოკიას ფონდი, № 309 (ვრცლად: ლ. ჭრელაშვილის წერილი: „ი. ჭავჭავაძის თხზ. ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები“, მაცნე, 1981, № 2).

ანონიმები

„სხვადასხვა ამბავი“

მეორე ნომერში დაბეჭდილი „სხვადასხვა ამბავის“ პირველ წერილს — „სოფლიური ეკონომიის წარმოების გამოფენა“, ხელს აწერს ესტატე მალალაშვილი. ხოლო დანარჩენი ექვსი ამბავი („საქართველოს გამიჯნავენის გამო“, „ქორწინება ახლო ნათესაეთა შორის“, „წინადადება იაროსლავის თავადაზნაურთა ორს საგანზედ“, „გასამართლების რეფორმის გამო“, „მიმინო“, „კოროლი, უფროსი რედაქტორი“) ხელმოუწერელია.

პ. გუგუშვილის აზრით, წერილი მამულეების გამიჯნაზე ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის¹. აკაკი კენჭოშვილი ფიქრობს, რომ „სხვადასხვას“ სათაურით დაბეჭდილი ყველა საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკური მიმოხილვის ავტორი ილია ჭავჭავაძეა².

„ცისკრის“ 1863 წლის მარტის მიმოხილვაში ანტონ ფურცელაძე წერდა: „სხვადასხვა ამბავის“ რედაქტორი, როგორც ჩვენ გვახსოვს... არის დავით ყიფიანი. ამის ნაწილშია ერთი ფრიად დიდაზროვანი და მნიშვნელოვანი სტატია, რომელმაც უნდა ააშენოს საქართველოს ლიტერატურა... ვერ მიხვდით განა?... ფრანციაში ერთი მიმინო მოუკლავთ“...

ოთხი თვის შემდეგ, როგორც ჩანს, საქმის ზუსტად დადგენის საფუძველზე, ანტონ ფურცელაძე უკვე პირდაპირ აღნიშნავს: „ქალაქში მოუყვანიათ საფრანგეთიდან ის მიმინო, რომელიც დავით ყიფიანმა ასწერა „სხვადასხვა ამბავში“.

როგორც სხვა წერილები, წერილიც „საქართველოს გამიჯნავენის გამო“ დავით ყიფიანს ეკუთვნის. მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ამ თემაზე და, ცხადია, თავისი განყოფილებისათვის საქურნალო სტატიის დაწერასაც მოახერხებდა ილიას დაუხმარებლად.

ამრიგად, მეორე ნომრის „სხვადასხვა ამბავის“ ავტორები არიან დავით ყიფიანი და ესტატე მალალაშვილი.

„სხვადასხვა ამბავი“, № 3

მესამე ნომრის „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილებაში ხელმოუწერლად არის დაბეჭდილი ჩვიდმეტი აქტუალური, საინტერესო შინაური და საერთაშორისო მიმოხილვა და ინფორმაცია („წიგნი ნაპოლეონ III-სა მარშალ პელისიესთან“, „მგელი ცხვრის ტყავში“, „რიცხვი ჯა-

¹ პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941, გვ. 372.

² ა. კენჭოშვილი, ი. ჭავჭავაძე, 1962, გვ. 60.

რებისა „შვეიცარიისში“, „ტელეგრაფი ტფილისსა და სტავროპოლს შუა“... „გარიბალდის მადლი“ და ა. შ.).

სტილისტური ნიშნებით ეს „სხვადასხვა ამბავიც“ ამ განყოფილების გამგეს დავით ყიფიანს უნდა ეკუთვნოდეს.

ამ დასკვნას მხარს უჭერს ანტონ ფურცელაძის ცნობაც („ცისკარი“, 1863 წ. №7), რომლის მიხედვითაც, „საქართველოს მოამბეში“ ინფორმაციებსა და მიმოხილვებს დავით ყიფიანი წერდა.

5. დობროლიუბოვი

„მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი“

ნ. დობროლიუბოვის რევოლუციური თხზულება „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი“, რომლის დაბეჭდვა, საცენზურო პირობების გამო, „სოკრემენნიკში“ ვერას გზით ვერ მოხერხდა და ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1862 წლის შემოდგომაზე, დიდი გაჭირვებით დაისტამბა ცალკე წიგნად, დაუყოვნებლივ ითარგმნა ქართულად და „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა. ძნელია ამ ნაწარმოებს ეუწოდოთ თარგმანი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იგი გადმოკეთებულია დიდი მღელვარებით და შეფარდებულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონკრეტულ ამოცანებთან. საკმარისია ითქვას, რომ „თარგმანს“ დართული აქვს 78 შენიშვნა, ორიგინალში კი მხოლოდ 5 შენიშვნაა. ეს შენიშვნები გამიზნულია ქართველი მკითხველის რევოლუციურ-დემოკრატიული გათვითნობიერებისა და განწყობისათვის. დობროლიუბოვის თხზულების გადმოკეთება და ამ სახით დაბეჭდვა იმ დროისათვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ქართველ მკვლევართა უმეტესობამ უარყო ამ თხზულების თარგმანის ილიასეულობა, თუმცა ზოგიერთთა შრომებში საწინააღმდეგო ხმებიც გაისმა. დოც. აკ. კენჭოშვილმა სტილისტური ანალიზის საფუძველზე სცადა დასაბუთება, რომ „მამა ალექსანდრე გავაცი“ ილიას ნათარგმნია („ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ. № 31), მაგრამ მკვლევარებმა ეს მოსაზრება არ გაიზიარეს. ამჟამად უეჭველი არგუმენტებიც გვაქვს ილიას ავტორობის დასამტკიცებლად.

ილიას იუბილესადმი მიძღვნილ წიგნში, რომელიც მწერლის სიცოცხლეში (1897 წ.) დაიბეჭდა, ზ. კიჭინაძე წერს: „ბევრნი იუწყებიან, რომ ილ. ჰავაკეაძე ბრწყინვალე მწერალიაო და მას არ შეეფერებოდაო, რომ ბუციეს რომანი „იზა“ ქართულად სთარგმნაო მეც, რასაკვირველია, ასევე ვფიქრობდი და ვერ წარმომედგინა, თუ დობროლიუბოვის მთარგმნელმა ეს როგორ სთარგმნა“. ამჟამად აზრს იგი იმეორებს

მე-20. 22-ე, 27-ე გვერდებზე და დაასკენის: „იმ დროის ქართველთა დობროლიუბოვმა (ი. ჭავჭავაძემ. — ა. კ.) „საქართველოს მოამბის“ გვერდები გააბრწყინა“.

ზ. ჭიჭინაძე პირდაპირ აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ გამოკეთებულ დობროლიუბოვის თხზულებას არც ერთი ქართული ჟურნალი (გარდა „საქართველოს მოამბისა“) არ დაბეჭდვდა.

დ. ბაქრაძე („ულოლიკო“) 1863 წლის „ცისკრის“ № 9-ში წერდა: „ილ. ჭავჭავაძემ, „ამ ლიტერატურის ტალანტმა, სთარგმნა „მამა ალექსანდრე გავაცი“... მეტი უფრო ეს „გავაცი“ მის სხვა ნაწერებსაც მისცხებია“. ანტ. ფურცელაძე დიდად აქებს დობროლიუბოვის თხზულებას, მაგრამ, როგორც ჩანს, იცის, რომ მთარგმნელი ილია ჭავჭავაძეა და უწუნებს ენას, ამასთან, მოაქვს ილია ჭავჭავაძის ენისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომლებსაც იგი არა ერთხელ წამოსძახებდა ხოლმე „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს („მთარგმნელი ჰხმარობს ამგვარ ფრაზებსა, რომლების დაგვარნი „მოამბეში“ სხვაგანაც შეგვიინიშნავს „თავისუფალ ღვარმა“, „ძლიერ ხმით“ და სხვ.).

გრ. ყიფშიძის ცნობითაც ილიაზე ეკუთვნის ამ ჟურნალში („საქართველოს მოამბეში“. — ა. კ.) რამდენიმე ხელმოუწერელი თარგმანი¹. ამაზე მიგვივლინებს აგრეთვე გ. თუმანიშვილიც თავის „მოგონებებსა და დახასიათებებში“. გადამწყვეტი მნიშვნელობა კი იმ ფაქტს აქვს, რომ „მამა ალექსანდრე გავაცი და იმისი ქადაგებანი“ შეტანილია ი. ჭავჭავაძის თხზ. 80—90-იანი წლების ხელნაწერ კრებულში, რომელიც ი. ჭავჭავაძის მითითებითაა გადაწერილი და დატულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში.

სტილისტური ანალიზიც გვიმტკიცებს, რომ „მამა ალექსანდრე გავაცი“ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ილია ჭავჭავაძის მრავალ პუბლიცისტურ წერილში დიდი სიზუსტითაა გამეორებული ის სიტყვები (და მთელი ფრაზებიც კი), რომელნიც არც ერთი სხვა ქართველი მწერლის ნაწარმოებში არ გვხვდება.

საერთოდ, დიდი ისტორიული პათოსით ნათარგმნ „ალექსანდრე გავაცი“ ა. ფურცელაძისა და „ცისკრის“ დასაწუნი არაფერი სჭირდა.

ამრიგად, „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანის“ თარგმნა-გადმოკეთება (ყველა შენიშვნითურთ) ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის; დანტერესებულ მკითხველს იგი ნათელ წარმოდგენას მისცემს ილიას მსოფლმხედველობაზე გასული საუკუნის 60-იან წლებში.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. I, 1914, გვ. 36.

სულხან ბარათაშვილი

„საქართველოს ისტორია“

ეს თხზულება „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა საყურადღებო კრიტიკული შენიშვნებითა და ვრცელი განმარტებებით. მკვლევართა აზრით, თარგმანი ეკუთვნის ნიკ. ლოლობერიძეს¹, რომელიც, 1862 წლის სარედაქციო განცხადების თანახმად, სათავეში უნდა ჩადგომოდა ჟურნალის ისტორიის განყოფილებას, მაგრამ დოკუმენტებითა და პირადი წერილებით მტკიცდება, რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია „საქართველოს მოამბეში“.

თანამედროვეთათვის 60-იან წლებშივე ცნობილი ყოფილა, რომ სულხან ბარათაშვილის ისტორია გადმოთარგმნა და შენიშვნები დაურთო ილია ჭავჭავაძემ, „ცისკარის“ 1863 წლის მარტის ნომერში ანტ. ფურცელაძე გადაკვრით მიუთითებდა ამაზე, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ დიმ. ბაქრაძე პირდაპირ წერდა, ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“ ი. ჭავჭავაძის გადმოთარგმნილიაო. „ეს „გავაყცი“ ს. ბარათაშვილის „ისტორიასაც“ მოსცხებიანო“², დასძენდა.

ამ ფაქტის უტყუარ საბუთს წარმოადგენს, აგრეთვე, ნაშრომის პირველი შენიშვნაც: „რედაქცია თავის თავზედ იღებს, თუ რამე გაუგებარი და უკანონოა არის ამ სტატიის აღნაქესში, რადგანაც თარგმანი მას ეკუთვნის... რაც შეეხება ნათარგმნის სისწორეს ორიგინალთან, რედაქცია იმედოვნებს, რომ ავტორის აზრები გადმოღებულია ნამდვილიდან“...

გარდა ი. ჭავჭავაძისა, რედაქციის შემადგენლობაში იმ დროს შედიოდა მხოლოდ დავით ყიფიანი, რომელსაც მაინცდამაინც არ ეხერხებოდა ქართულად წერა. ცხადია, რედაქციის სახელით თარგმანისათვის კატეგორიული პასუხისმგებლობის აღება მართოდენ ილია ჭავჭავაძეს შეეძლო.

სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიაში“, რომელშიც მეცნიერების მაშინდელი დონის კვალობაზე, აღდგენილია ქართველ ტომთა უძველესი წარსულის სურათი, ნაჩვენებია მათი შეუპოვარი ბრძოლა, თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილია ბევრი ფაქტი, რომელიც მანამ არავის გამოუყენებია ქართველი ხალხის შორეული წარსულის გასაშუქებლად, — დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ ნაშრომის შექმნა და დაბეჭდვა აღმავალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოხატულება იყო.

80—90-იან წლებში, როცა ს. ბარათაშვილის ისტორიის მთლიანი თარგმნა-გამოცემა განიზრახეს, ამ საქმის ინიციატორებმა გადაწყვი-

¹ „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 3—4.

² „ცისკარი“, 1863 წ., №9.

ტეს „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ნაწილი, როგორც „კარგი თარგმანი“, უცვლელად შეეტანათ მასში.

თარგმნისას ილიას ბევრი საყურადღებო მოსაზრება აღძვრია საქართველოს ისტორიის საკითხებზე; ზოგი შენიშვნებშივე გამოუთქვამს მოკლედ, ხოლო მთლიანი თვალსაზრისის გადმოცემა ვრცელ ნაშრომში ჰქონია განზრახული. ს. ბარათაშვილის ცალკეულ შეხედულებებსა და დასკვნებს არ ვეთანხმებიო, — წერდა ის. „ჩვენი სამშობლოს ისტორია ისე დაუმუშავებელი არის და ისე ცოტა არის ნაწერი მასზე, რომ ყოველ შრომას, სადაც კი იქნება ახსნილი რომელიმე კითხვა ხალხის წარსული ცხოვრებიდან, რედაქცია მიიღებს დიდი მადლობით... მაგრამ, ამასთანავე... ჩვენ ვრაცხთ ჩვენს თავს ვალდებულად, გამოვაცხადოთ ჩვენი აზრი ამ თხზულებაზედ... ამ ფიქრს... აღვასრულებთ დიდის სიამოვნებით და გაბედვით“. ეს დაპირება ილიამ შეასრულა 80—90-იან წლებში, როცა ბევრი საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა სამშობლოს წარსულზე.

ამრიგად, ი. ჰავეჭავაძე იყო სულ. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ მთარგმნელი, რედაქტორიცა და რეცენზენტიც.

ილიას სარედაქციო პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევა როდი იყო; 1879 წ. იგი ვასილ მაჩაბელს სთხოვდა გამოერთმია პროფ. დავ. ჩუბინაშვილისათვის მისი წერილი ლაზისტანზე „ივერიაში“ დასაბეჭდად. „მე თვითონ ვთარგმნი და დაბეჭდავო“¹.

შ ი ნ ა ა რ ს ი

№ 1 (იანვარი)

„შე მოღაძე ბა მთაწმინდაზედ“—(ელეგია თ. ნ. ბარათაშვილისა) გვ. 1—3.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“ — (ილია ჰავეჭავაძე), გვ. 3:

„მუშა“ — „***“ (ილია ჰავეჭავაძე), გვ. 4—6.

„გლახის ნაამბობი“ (პირველი ხუთი თავი ჯერ არ დაბოლავებულ მოთხრობისა). მ. ჭიმშერიძე (ილია ჰავეჭავაძე), გვ. 7—53.

„შაშა ალექსანდრე გავატი და მისი ქადაგება“ (დობროლიუბოვის თხზულებიდან) (თარგმანი და შენიშვნები ილია ჰავეჭავაძისა), გვ. 54—110.

¹ ი. ჰავეჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, პ. ინგოროყვას რედაქციით.

„საქართველოს მოამბეზედ“ — ხელმოუწერელია. (ილია ჭავჭავაძე), გვ. 111—126.

„საქართველოს ისტორია“ — თ. სულხან ბარათაშვილისა. ძველი ისტორია საქართველოსი. (თარგმანი და შენიშვნები ილია ჭავჭავაძისა) (აქვს დამოუკიდებელი ნუმერაცია, როგორც ცალკე წიგნს, გვ. 1—34).

სხვადასხვა ამბავი. შინაური მიმოხილვა. ვ. თ. (ვახტანგ თულაშვილი)¹, გვ. 127—153.

რედაქციისაგან (ეურნალის დაგვიანებით გამოსვლის გამო).

№ 2 (თებერვალი)

„შეშლილი“ — კომედია-პოემა. თ. გ. ერისთავი. გვ. 165—186.

„ხეციური მნათობები“. ცთომილები და ვარსკვლავები, პირველი წასაკითხი (მიტჩელისა), თარგმანი დიმ. ყიფიანისა (წინ უძღვის მთარგმნელის— დ. ყიფიანის წერილი: „უფალო რედაქტორო!“ აქვს ცალკე ნუმერაცია, გვ. 1—29).

„ლოთური მუხამბაზი“ — თ. გრიგ. ორბელიანისა. გვ. 187—188.

„მადლი შენს გამჩენს, ღამაზო!“ — თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გვ. 189.

„ძასაქეთ რაკი შენდამი ექსცან მე სიყვარული“ — *** (სამი ვარსკვლავი) (ილია ჭავჭავაძე), გვ. 190.

„საქართველოს ისტორია“ — სულხან ბარათაშვილისა (გაგრძელება), გვ. 35—59.

„სხვადასხვა ამბავი!“ — ესტატე მალალაშვილისა (და დავით ყიფიანისა), გვ. 191—212.

„საბრალონი“ (ეიქტორ ჰიუგოს რომანი) — თარგმანი გიორგი ჩიქოვანისა. (აქვს დამოუკიდებელი ნუმერაცია, გვ. 3—44).

რედაქციის განცხადება.

№ 3. (მარტი)

„ოთხი შეხვედრა (რუსულით). მთარგმნელი „მ. ჩ.“ (მიხეილ ჩიკვაძე) გვ. 1—43.

„უსულდგმულო ცხოვრება“ — *** (სამი ვარსკვლავი), (ილია ჭავჭავაძე), გვ. 44.

„იანიჩარი“ — ხელმოუწერელი (ილია ჭავჭავაძე), გვ. 45.

¹ ეს ფსევდონიმი (ინიციალები „ვ. თ.“) არც ერთ მკვლევარს არ მიაჩნია საეკვოლ, ამიტომ არც ჩვენ გაგვიხდია საგანგებო შესწავლის საგნად.

„ციურნი ხმები“—*** (სამი ვარსკვლავი), (ილია ჭავჭავაძე), გვ. 46.

„კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის“, თხზ. კ. გ. ზალცმანისა, თარგმანი ლევან ჯანდიერაშვილისა (წინ უძღვის „კონრად კიფერზე.“ რედაქციისაგან“), (ილია ჭავჭავაძე), გვ. 47—69.

„რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“ დავით ყიფიანისა. გვ. 70—102.

„სხვადასხვა ამბავი“ — ხელმოუწერელია (დავით ყიფიანი.)

„საბრალონი“ — (გაგრძელება), გვ. 45—76.

„რედაქციისაგან“.

№ 4 (აპრილი)

„კაცია, ადამიანი?“ — მ. ჯიმშერიძე (ილია ჭავჭავაძე), გვ. 4—46.

„კონრად კიფერი“ — (გაგრძელება), გვ. 80 (ნუმერაცია არეულია).

„შენის გონების სხივი...“ (თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსი), გვ. 78.

„მძინარე ქალი“ — *** (ილია ჭავჭავაძე), გვ. 80.

„სიზმარი“ (ლერმონტოვით) — ხელმოუწერელია (ილია ჭავჭავაძე), გვ. 80.

„პოეტი“ — ხელმოუწერელია (ილია ჭავჭავაძე). გვ. 82.

„საქართველოს ისტორია“ — (გაგრძელება), გვ. 61—81.

„ბიძია თონიკეს სტატიის გამო“ — თერგდალეულია (კირილე ლორთქიფანიძე), გვ. 82—88.

„სხვადასხვა ამბავი“ — დავით ყიფიანისა. გვ. 89—III.

„საბრალონი“ — (გაგრძელება), (ნუმერაცია არეულია).

№ 5 (მაისი)

„კაცია, ადამიანი?“ — (გაგრძელება). გვ. 1—34.

„თანამეგზაური“ (მიხაძე პელოვისა) — თ. გ. ერისთავისა, გვ. 35—38.

„ცისკარს რა აკაკანებდა?“ — გ. —თელი (გიორგი წერეთელი), გვ. 39—61.

„საქართველოს ისტორია“ — (გაგრძელება), გვ. 62—71.

„სხვადასხვა ამბავი“ — დ. ავ-ი (დავით ყიფიანი), გვ. 72—95.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ — სფირიდონ ჩიტორელიძე (ილია ქავჭავაძე), (აქვს დამოუკიდებელი ნუმერაცია, გვ. 1—16),

„საბრალონი“ — (გაგრძელება); გვ. 101—116.

№ 6 (იენისი)

„კაცია-დამიანი?“ (გაგრძელება), გვ. 1—29.

„გუთნის დედა“ — ხელმოუწერელია (ილია ქავჭავაძე), გვ. 30—31.

„თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ — ხელმოუწერელია (ილია ქავჭავაძე), გვ. 31.

„ლოცვა“ — ხელმოუწერელია (ილია ქავჭავაძე), გვ. 32.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ — (გაგრძელება) (ილია ქავჭავაძე), გვ. 33—45.

„მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს“ — ილია ოქრომჭედლიშვილისა, გვ. 46—68.

„ამაო ამათა“ — თერგდალეულისა (კირილე ლორთქიფანიძე), გვ. 69—82.

„საქართველოს ისტორია“ — (გაგრძელება), გვ. 83—96.

„საბრალონი“ — (გაგრძელება), (ნუმერაცია არეულია).

№ 7 (იელისი)

„უცნაური ნიშნობა“ — ივანე ბერიძისა, გვ. 1—38.

„ლოცვა აჩრდილისა“ („აჩრდილიდგან“) — ხელმოუწერელია (ილია ქავჭავაძე), გვ. 39.

„გ. აბზ...“ — (ილია ქავჭავაძე); გვ. 40.

„სამგზავრო წერილები“ — პეტრე ნაკაშიძისა, გვ. 41—50.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ — (გაგრძელება), (ილია ქავჭავაძე), გვ. 51—71.

„სხარტულა“ — „გ. ჩ.“ (ილია ქავჭავაძე), გვ. 72—96.

„საქართველოს ისტორია“ — (გაგრძელება), გვ. 97—104.

„შენიშვნა („მოლაყბის“ წერილის გამო) — გაბრიელ სულხანოვისა (სულხანიშვილისა) — გვ. 98.

„საბრალონი“ — (გაგრძელება), (ნუმერაცია არეულია).

№ 6 (ავვისტო)

„უცნაური ნიშნობა“ — (გაგრძელება), გვ. 1—38.

„კმუნვის მახეილი...“ თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსი, გვ. 39.

„აჩრდილიდგან“ — ხელმოუწერელია (ილია ჭავჭავაძე), გვ. 40—41.

„კონრად კიფერი“ — (გაგრძელება), გვ. 42—60.

„მძარცველობის ფიზიოლოგია“ — ბასტიასი — მთარგმნელი „ბ. ვ.“ (ილია ჭავჭავაძე), გვ. 61—67.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ — (გაგრძელება), (ილია ჭავჭავაძე), გვ. 77—83.

„სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თაობაზედ ვიკტორ ჰიუგოს წიგნი“, მთარგმნელი „ბ. ვ.“ (ილია ჭავჭავაძე), გვ. 84—92.

„საბრალონი“ — (გაგრძელება).

№ 9 (სექტემბერი)

„უცნაური ნიშნობა“ — (დასასრული), გვ. 1—27.

„ანდრე შენიე დამ“ (ლექსი) — „***“ (ილია ჭავჭავაძე).

„სიხარული“ — „***“ (სამი ვარსკვლავი) (ილია ჭავჭავაძე), გვ. 28.

„მტკერის პირას“ (ლ. მაღალაშვილის) — „***“ (სამი ვარსკვლავი), (ილია ჭავჭავაძე), გვ. 29.

„ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ“ — მაქსიმ ლალანძე (ილია ჭავჭავაძე), გვ. 30—57.

კირაკოზი განძაკეცი — მთარგმნელი „ბ. ვ.“ (ილია ჭავჭავაძე), გვ. 58—75.

„კონრად კიფერი“ — (გაგრძელება), გვ. 76—99.

„საბრალონი“ — (გაგრძელება).

№ 10 (ოქტომბერი)

„ჩვენი დროების გმირი“ (ლერმონტოვისა) — თარგმანი მიხეილ ყიფიანისა, გვ. 1—49.

„ერთი მოთხრობის დასაწყისი“ („ეკო ყაჩაღის“ დასაწყისი), ხელმოუწერელია (ილია ჭავჭავაძე), გვ. 50—56.

„ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ“ — (გაგრძელება), გვ. 57—71.

„სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“ (პრუდონის სტატია) — მთარგმნელი „ბ. ვ.“ (ილია ჭავჭავაძე), გვ. 72—87.

„რედაქციის აგან“ — გვ. 88.

„საბრალონი“ — (გაგრძელება), გვ. 177—200.

№ 11 (ნომბერი)

„რედაქციის აგან“ — გვ. 1—3. ი. ჭავჭავაძე.

„ლოტო“ — ვოდევილი ერთ მოქმედებად — სამსონ აბაშიძისა, გვ. 5—12.

„ჩვენი დროების გმირი“ — (გაგრძელება), [ნუმერაცია არეულია].

„მცირედი რამ მოთხრობა როსიისა“ — გაბრიელ რატიშვილისა, გვ. 14—30.

„ხმა საშარი დამ“ — „***“ (ილია ჭავჭავაძე), გვ. 31—33.

„ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ — თერგდალეულისა (კირილე ლორთქიფანიძე), გვ. 34—72.

„ორნაირი სწავლა“ (სტატია ბასტიასი), მთარგმნელი „ბ. ვ.“ (ილია ჭავჭავაძე), გვ. 73—80.

„საბრალონი“ — (გაგრძელება), (ნუმერაცია არეულია).

№ 12 (დეკემბერი)

„ჩვენი დროების გმირი“ — (გაგრძელება), გვ. 1—16.

„მცირედი რამ მოთხრობა როსიისა“ — (გაგრძელება), გვ. 17—48.

„უბედური კეჟუის აგან“, კომედია 4 მოქმედებად. — ალ. გრიბოედოვისა. თარგმანი თ. გ. ერისთავისა, გვ. 49—61.

„ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები“... (გაგრძელება), გვ. 62—87.

„ჩემი ეპიტაფია“ — თ. გიორგი ორბელიანისა, გვ. 88.

„საბრალონი“ — (გაგრძელება), გვ. 221—241.

თ ა ნ ა მ უ რ ო მ ლ ე ბ ი

ილია ჭავჭავაძის რწმენით, „საქართველოს მოამბე“ უნდა დაყრდნობოდა იდეურად შემჭიდროებულ ახალგაზრდა მოღვაწეებს. ეს სრულიად ახალი მოვლენა იყო ჩვენი უურნალისტიკის ისტორიაში, მაგრამ, უმჯობესია მოვუსმინოთ ი. ჭავჭავაძის უახლოეს თანამებრძოლს პეტრე უმიკაშვილს.

„...გიორგი ერისთავი და შემდეგ ივანე კერესელიძე, — გადმოგვ-

ცემს იგი. — ეჭრთადერთნი ედგნენ ჟურნალს, ყოველივე შრომა იმათ აწვათ კისერზე და მწერლების მონაწილეობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ როდესაც მოისურვებდნენ და რასაც მოისურვებდნენ, მაშინვე პირდაპირ მიუტანდნენ რედაქტორსა დასაბუქლათ. მწერლებში სრულიად არავის არ ჰქონია მუდმივი თანამშრომლობა, არამარტო სტატიების ბეჭდვით, არამედ უბრალო რჩევით და რედაქტორის შრომაში რომელსამე მონაწილეობის მიღებით. რაკი რედაქტორი ერთი იყო და ყოველი შრომა იმას აწვა, რასაკვირველია, რომ ჟურნალს ის ძალა არ ექნებოდა, რაც უნდა ჰქონდეს ყოველ ჟურნალს... ჩვენში... ასე ჰგონიათ, თუ რედაქტორი კარგია, ჟურნალიც კარგი იქნებაო. ჰავკავაძეს უნდოდა შეერთებინა რამდენიმე კაცის შრომა ერთადა, ისე იმ გვარად, როგორც რუსეთში და ევროპაში შრომობენ ჟურნალ-გაზეთისათვის“...¹

ჟურნალის მთელი საქმიანობა რომ მხოლოდ რედაქტორს მივაწეროთ, სწორად ვეღარ განვსაზღვრავთ პროგრესული საზოგადოებრივი მოძრაობის მასშტაბს, მთლიანობაში ვერ აღიქვამთ მას. სამწუხაროდ, იმ აზრს, რომ „საქართველოს მოამბეს“ მარტოდმარტო ილია წარმართავდა და მას თანამებრძოლები არ ჰყავდა, — თვით ზოგიერთმა სამოციანელმა მისცა დასაბამი (ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე, ნ. დოლობერიძე და სხვ.). ამან კი ცალკეული საკითხების ცალმხრივი გაგება გამოიწვია და მიჩქმალა ბევრი თვალსაჩინო თერგდალეულის რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწეობა.

მართალია, ერთი წლის მანძილზე, ისიც მწვავე საცენზურო პირობებში, მათ სრულად ვერ გამოავლინეს მთელი თავიანთი შესაძლებლობა, მაგრამ ისიც, რის თქმაც მოასწრეს, საპატიო ადგილს იკავებს ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში. თავის ადგილზე დროულად ნათქვამი ორიოდ სიტყვაც კი ზოგჯერ უფრო ცხადად გვიჩვენებს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ პროცესს, ვიდრე სხვა ვითარებაში დაწერილი რამდენიმე ტომი. ამიტომ არის სასურველი, რომ „საქართველოს მოამბის“ რიგით თანამშრომლებსაც ვიცნობდეთ. მაშინ უფრო თვალნათლივ დავინახავდით, რომ ილია ჰავკავაძე სათავეში ედგა ნამდვილს მოძრაობას, ეყრდნობოდა ერთგულ პროგრესულ-დემოკრატიულ ძალებს, წვრთნიდა და რაზმავდა ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ მამულიშვილთა მთელს რაზმს.

მართებულად ამბობს გ. თუმანიშვილი: «Журнал Чавчавадзе сгруппировал вокруг себя весь цвет грузинской передовой ин-

¹ „კრებულ“, 1872 წ., № 8—9.

теллигенции», რომ ეს ჟურნალი, „მთელი ქართველი ახალგაზრდობის მებრძოლი ორგანო იყო“¹.

„საქართველოს მოამბეში“ ხალხის ყველა ფენისა და თაობის მოწინავე წარმომადგენლები თანამშრომლობდნენ, მაგრამ ძირითად ბირთვად თერგდალეულები უნდა მივიჩნიოთ; ისინი იყვნენ ჟურნალის დაარსების ინიციატორები, მისი მთავარი წარმართველი ძალა.

თერგდალეულთაგან „საქართველოს მოამბეში“ მონაწილეობდნენ: ილია ჭავჭავაძე, დავით ყიფიანი, პეტრე ნაკაშიძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ესტატე მალალაშვილი, სამსონ აბაშიძე, მიხეილ ჩიკოიძე, ილია ოქრომკვედლიშვილი. ისინი 1857—1861 წლებში სწავლობდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში (სამ. აბაშიძე და მ. ჩიკოიძე თავისუფალ მსმენელებად ირიცხებოდნენ), იყვნენ ილიას მიერ დაარსებული ქართველ სტუდენტთა წრის წევრები და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას მოჰკიდეს ხელი. აღსანიშნავია, რომ ისინი დაკავშირებული იყვნენ რუს. რევოლუციონერ-დემოკრატებთან და უმრავლესობა მხურვალედ მონაწილეობდა 1861 წლის სტუდენტთა მღელვარებაში.

კირ. ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი, სამსონ აბაშიძე და ილია ოქრომკვედლიშვილი 1863 წელს, როცა „საქართველოს მოამბე“ გამოდიოდა, რუსეთში იმყოფებოდნენ, ხოლო დანარჩენები თბილისში მსახურობდნენ და უშუალოდ მონაწილეობდნენ ჟურნალის დაარსებასა და საქმიანობაში. იმ დროისათვის უკვე საქართველოში იმყოფებოდნენ ნიკო ლოღობერიძე, ნიკო ნიკოლაძე და ლუარსაბ მალალაშვილი; მართალია, მათ ჟურნალში საკუთარი ნაწერების დაბეჭდვა ვერ მოასწრეს, მაგრამ ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მას.

ილია ჭავჭავაძის თბილისის წრეს განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებთან; მათ შორის სისტემატურად წარმოებდა ინფორმაციის გაცვლა და კონსულტაცია, აი, რას სწერდა 1862 წლის 7 დეკემბერს, ილიას დავალებით, თბილისის წრის აქტიური წევრი ივანე პოლტორაკი კირ. ლორთქიფანიძეს: «...Вы спрашиваете, в каких статьях более нуждается редакция. Нуждается, сказать правду, статьями по всем делам, особенно она нуждается в оригинальных статьях по историческим и беллетристическим отделам... Редакция с нетерпением ждет присылки статей с Вашей стороны...»²

ნიკო ნიკოლაძეც დაბეჭდვით სთხოვდა პეტერბურგელ ამხანა-

Г. Туманов, Характеристики и воспоминания, кн. III, 1907 г., стр.: 182.

² ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, № 80.

გებს „რამე სტატია გამოგზავნეთო დასაბეჭდათ, უსათუოდ გამოგზავნეთო“¹.

ამ კავშირზე მიგვითითებს გ. წერეთლის სიტყვებიც: „მესამე კურსის სტუდენტმა კირ. ლორთქიფანიძემ და პირველი კურსის სტუდენტმა გ. წერეთელმა ჯერ კიდევ უცდელი კალმის ნაშრომიც მიწვედინეს ახალ წრეს ლუმანიტარულის მიმართულებისას“².

„საქართველოს მოამბესა“ და ილია ჭავჭავაძის წრეში ასევე ნაყოფიერად იღვწოდნენ ადგილობრივი მოწინავე ახალგაზრდები, რომელთაც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში არ უსწავლიათ და იმ დროისათვის არც იყვნენ რუსეთს ნამყოფი. გ. წერეთელს, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის წრის „მომქმედ პირებად“, სხვებთან ერთად, მოხსენებული ჰყავს: გიორგი ყაზბეგი, ივანე პოლტორაკი, მიხ. ყიფიანი, ივანე ბერიძე, გიორგი ჩიქოვანი, ალექსანდრე სავანელი, ილია წინამძღვრიშვილი, ვახტანგ თულაშვილი; ქრ. რაჭველიშვილი ამას უმატებს პეტრე უმიკაშვილს, არჩ. ჯორჯაძე — ლ. ჯანდიერაშვილს, ხოლო კ. მეძველია — გ. სულხანიშვილს³.

აღნიშნულ პირთაგან „საქართველოს, მოამბეში“ ნაწერები გამოაქვეყნეს: მიხ. ყიფიანმა, ივანე ბერიძემ, გიორგი ჩიქოვანმა, ვახტანგ თულაშვილმა, ლ. ჯანდიერაშვილმა, გ. სულხანიშვილმა⁴.

ისინი მხარში ედგნენ თერგდალეულებს, თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თერგდალეულთა სტატიები მაინც გამოირჩევა რევოლუციური შემართებითა და იდეური სიმახვილით. ადგილობრივი ახალგაზრდობის ასეთი მხურვალე მონაწილეობა „საქართველოს მოამბეში“ ნათლად ამტკიცებს, რომ ჟურნალს რეალური დასაყრდენი მშობლიურ ნიადაგზე ჰქონდა, აქაური მოწინავე საზოგადოება საამისოდ იდეურად სავსებით მომწიფებული იყო და თერგდალეულებს არავისთვის მოუხვევიათ თავს „სოვრემენიკისებური“ ჟურნალი. ეს ახალგაზრდები უკვე საკმაოდ გაწვრთნილი იყვნენ სხვადასხვა არალეგალურ წრეებში, კითხულობდნენ გერცენისა და ჩერნიშევსკის

¹ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, № 758.

² „კვალი“, 1897, № 46, გვ. 815.

³ კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, 1959, გვ. 299.

⁴ ა. კენჭოშვილი წერს: „საქართველოს მოამბეში“ თანამშრომლობდნენ უმთავრესად პეტერბურგის უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებულნი ან იქ მოსწავლე პირები. ესენი იყვნენ: თეით ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ვ. თულაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, დავ. ყიფიანი, მიხ. ყიფიანი, პ. ნაკაშიძე, პ. უმიკაშვილი და სხვ.“ (ნახ. მისი ილია ჭავჭავაძე, გვ. 52). აქ დასახელებულ პირთაგან ვ. თულაშვილს, მიხ. ყიფიანსა და პ. უმიკაშვილს (იმ დროისათვის) არ უსწავლიათ პეტერბურგის უნივერსიტეტში. ამ შეცდომაზე ყურადღებას ვამახვილებთ, რადგან ის სხვა ავტორთა ნაშრომებშიც გვხვდება.

გამოცემებს და გარიბალდისთან მოხალისედ წასვლაზეც ოცნებობდნენ. ისინი კარგად იცნობდნენ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას, მის მისწრაფებებს და პეტერბურგში ყოფნისას ილიას საქმიანი ურთიერთობაც ჰქონდა მათთან, ცნობილია მაგალითად, რომ ილია ჭავჭავაძის საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდა ილია წინამძღვრიშვილი, რომელსაც მიჰქონდა მისი ნაწერები „ისიკრის“ რედაქციაში. ი. ჭავჭავაძეს მიმოწერა ჰქონდა აგრეთვე, გაბრ. სულხანიშვილთან, ი. პოლტორაკისთან და, უნდა ვივარაუდოთ, სხვებთანაც.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთა ამ ორ ნაკადს შორის აქა-იქ ერთგვარი აზრთა სხვადასხვაობაც შეინიშნება.

ვახტანგ თულაშვილი, მაგალითად, საკმაოდ სუსხიანად კიცხავს სტუდენტთა ერთ ნაწილს. „ჩვენს რუსეთელებს, — წერს ის, — ეგ სიფრთხილე არა ჰქონდათ. ისინი... დასცილობდნენ მას, რისთვისაც ჩვენ ძმა-კაცსა მამა-პაპითვე პატივი უცია. მაგ წინდაუხედაობამ ძალიან შეარყია მათი სახელის სიკეთე... საზოგადოებამ უყურა, უყურა ამათა და ბოლოს აუშტინა გულნატკენად და პირი მოარიდა, როგორც... ურწმუნოებს... დარჩნენ ისინი წრეს გარეთ და რომ არ მოჰსწყენოდათ, განზედ ვადგნენ და შეადგინეს პატარა კრება თავის ამხანაგებისაგან. ძვირად ადგილი ჰქონდა იმათ შორის სხვას ვისმე, თუ არ სტუდენტსა, იმიტომ, რომ — ვინც უნივერსიტეტში არ იყო, ის იმათ თვალში თურმე ღირსი არ იყო დაახლოებისა... უნივერსიტეტი ძნელად თუ მიჰსცემდა ნამდვილს მიმართულებას. ის აძლევდა მხოლოდ ქაღალდსა, რომელშიც პროფესორები ეფიცებოდნენ საზოგადოებას, რომ ამ ქაღალდის პატრონი განათლებულია“¹.

ვახ. თულაშვილის ეს მტკიცება, თუ ერთი მხრივ, ხელს უწყობდა თერგდალეულებსა („სტუდენტებსა“) და ადგილობრივ ახალგაზრდობას შორის იდეური სოლიდარობის განმტკიცებას, მეორეს მხრივ, იდეურ მოწინააღმდეგეებსაც გარკვეულ საბუთს აძლევდა „რუსეთელების“ გასაკრიტიკებლად, მათთვის სახელის გასატეხად და, ამდენად, ერთგვარი ლიბერალიზმითაც იყო შეფერილი. საგულისხმოა, რომ ამ საკითხში მსგავსი ლიბერალური ტენდენციისათვის „საქართველოს მოამბემ“ არ დაინდო ლავრ. არდაზიანი და უკვე აპრილის ნომერში გამოაქვეყნა კირ. ლორთქიფანიძის „ბიძია თონიკეს სტატიისა გამო“.

შესაძლოა, ვახ. თულაშვილის წერილში აღნიშნული ადგილი რედაქციას იმიტომ გამორჩია, რომ ამ სტატიით სახელდახელოდ შესცვალებს დავით ყიფიანის „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ცენზურამ დააჯავა.

¹ „საქართველოს მოამბე“, № 1.

როგორც ირკვევა, თერგდალეულებისა და ადგილობრივი ახალგაზრდების ასეთი დაპირისპირების გამო რედაქციასა და ვახ. თულაშვილს შორის უთანხმოებაც ჩამოვარდნილა. არჩილ ჯორჯაძესთან კამათისას ანტ. ფურცელაძე აღნიშნავდა: „ვახტანგ თულაშვილმა, მართალია, დასწერა 'ჯოცხალი და აზრიანი შინაური მიმოხილვა, სადაც შეეხო თანამედროვე ცხოვრებას, მაგრამ ეს კაცი ხომ თავიდანვე გააძევა ილია ჭავჭავაძემ ჟურნალიდან!\".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ცისკარში“ დაბეჭდილ წერილებში ანტ. ფურცელაძე ცდილობდა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა „საქართველოს მოამბის“ თერგდალეული და არათერგდალეული თანამშრომლები და „ცისკარში“ გადაებირებინა ეს უკანასკნელნი. იგი ხელაღებით აქებდა არათერგდალეულთა ნაწერებს „საქართველოს მოამბეში“ (ვ. თულაშვილი, გ. ჩიქოვანი, მ. ზ. ყიფიანი, ლ. ჯანდიერი) და ასევე ხელაღებით აძაგებდა თერგდალეულთა (ი. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, მ. ჩიქოძე, გ. წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე) თხზულებებს.

ამასთან დაკავშირებით, ჟურნალის მეშვიდე ნომერში ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა, რომ „ცისკარი“ ებრძოდა მხოლოდ „თერგდალეულებს“ და თუ ვინმეს აქებენ, მხოლოდ იმათ, რომელნიც „ჩვენი საყვარელი მტკვარდალეულები არიან“.

როგორც ცნობილია, ანტ. ფურცელაძე ერთ-ერთი პროგრესული არალეგალური წრის ხელმძღვანელთაგანი იყო 60-იან წლებში და უკმაყოფილებასაც გამოთქვამდა, რომ ბევრი მისი ამხანაგი ილიას წრეს შეუერთდა. კიდევ წერს: „თქვენნივე პირველ მწერლათ „საქართველოს მოამბეში“ სთელით ვახტანგ თულაშვილს. ვის წრეში იყო ის? ჩემს მოწინააღმდეგე წრეში, თუ ჩვენს წრეში?“

ზოგიერთი „მტკვარდალეული“, მართლაც, ადრე ჩამოშორდა ჟურნალს; მაგრამ ილიამ მაინც შეძლო ერთ კოლექტივად შეეკრა რუსეთში განსწავლული და ადგილობრივი ახალგაზრდობა. უთუოდ ამას გულისხმობს გრ. ყიფშიძეც, როდესაც წერს: „В журнале принимали участие видные представители кружка грузинских шестидесятников“².

განცხადებაში „საქართველოს მოამბის“ პროგრამისა და გამოწერის წესის შესახებ, რომელიც „ცისკარსა“ და „კავკაზში“ დაიბეჭდა, აღნიშნული იყო, რომ: „ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლოზ ღოღობერიძემ, სხვადასხვა ამბავისა — უფ. დავით ყიფიანმა და საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომიკისა — უფ. ივ. სეჩუბრიაკოვმა“.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძეს განზრახული ჰქონდა ჟურნალს სათავე-

¹ სსსმ ფონდი № 5916—ბ.

² Г. Кипшидзе. «Периодическая пресса на Кавказе», 1901, стр. 31.

ში ჩადგომოდა პროგრესულად მოაზროვნე, განათლებულ მოღვაწეთა ჯგუფი და რედაქციის თვითეული წევრი, სპეციალობის მიხედვით, გასძლოლოდა სათანადო განყოფილებას.

მაგრამ ეს განზრახვა, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. „ცისკრის“ ფურცლებიდან მკითხველებმა იმავე წელს შეიტყვეს, რომ ნიკო ლოლობერიძე და ივანე სერებრიაკოვი მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ „საქართველოს მოამბეში“¹.

ნიკო ლოლობერიძე, რომელმაც 1861 წელს კანდიდატის ხარისხით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, დაახლოებული იყო გამოჩენილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა სტუდენტებში. ილია და ნიკო ჯერ თბილისის გიმნაზიაში სწავლობდნენ ერთად, შემდეგ ოთხი წელი ერთად გაატარეს პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1862—1863 წლებში ნიკო ლოლობერიძე გეოგრაფიასა და ისტორიას ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში.

როგორც ლოლობერიძის წერილებიდან ჩანს, ილიასა და ნიკოს შორის რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება „საქართველოს მოამბის“ გამოცემის თაობაზე. 1862 წლის ოქტომბერშიც, როცა გამოქვეყნდა „საქართველოს მოამბის“ განცხადება, რომელშიც ნიკო ლოლობერიძე ისტორიული ნაწილის რედაქტორად იყო მოხსენიებული, მას, ეტყობა, არაფერი ჰქონდა ამის საწინააღმდეგო, მაგრამ მოულოდნელად შეუცვლია გადაწყვეტილება და წერილებში კირ. ლორთქიფანიძისადმი თავის მართლებასაც ცდილობს: „მე ვუთხარი (ილია ჭავჭავაძეს), რომ შეუძლებელს საქმეს იწყებთ-თქო, არაეინ მომზადებულნი არა ვართ-თქო ამ საქმისათვის და სხვადასხვა. ამჟამად მან მოიყვანა ჩვეულებრივი თავისი არგუმენტი: სულ ამას ვამბობთ და საქმეს ხელს არ ვკიდებთო. რომ დავიწყებთ ჟურნალის გამოცემას, მაშინ გამოჩნდებიან მწერლებიცო და ჩვენც ვავიწვრთნებით წერა-შიო“. საერთოდ, ნ. ლოლობერიძე წერილში ცდილობს გაამართლოს თავისი უმოქმედობა².

უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროს ნიკო ლოლობერიძემ ერთგვარი სულმოკლეობა გამოიჩინა, მოერიდა მონაწილეობა მიეღო ისეთ გა-

¹ გ. ბაქრაძე მაინც თვლის ნ. ლოლობერიძეს „საქართველოს მოამბის“ ძირითად თანამშრომლად (იხ. მისი ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, გვ. 5); კ. მეჭველიას სიტყვითაც, ნ. ლოლობერიძე „1863 წელს... „საქართველოს მოამბის“ ისტორიულ ნაწილს განაგებდა“ (იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 246—7); სოლ. ნუციშვილის აზრით, ნიკ. ლოლობერიძე რედაქციას უკეთებდა „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ისტორიულ მასალებს (იხ. მისი წერილი „ბიბლიოგრაფიის მოამბეში“, № 4—5).

² ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, № 2, 173/825.

ბედულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ორგანოში, როგორც იყო „საქართველოს მოამბე“.

ასევე, არავითარი მონაწილეობა არ მიუღია „საქართველოს მოამბეში“ აგრონომ ივანე ლაზარეს ძე სერებრიაკოვს (ოქრომჭედლი-შვილს), რომელიც „საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომიის“ განყოფილებას უნდა გასძღოლოდა. იგი დარჩა „ცისკარის“ სამეურნეო დამატების — „გუთნის დედას“ ფაქტიურ რედაქტორად, სადაც მას, სხვათა შორის, მატერიალური დაინტერესებაც ჰქონდა.

რედაქციას თხოვნით მიუმართავს რუსეთში მყოფ ქართველი სპეციალისტებისათვის, მონაწილეობა მიეღოთ ჟურნალში. „...როდესაც ჩვენმა ახალგაზრდობამ დააპირა... „საქართველოს მოამბის“ გამოცემა, — გადმოგვცემს ვ. თულაშვილი, — მაშინ ჩვენ მიეწერეთ სულხან ბარათაშვილს, რომ მონაწილეობა მიეღო და გამოეგზავნა რამე თავისი თხზულება“¹.

ჟურნალს სიმპათიით მოეკიდა აგრეთვე ძველი თაობის ბევრი გამოჩენილი მწერალიც. გიორგი თუმანიშვილის ცნობით, ილია პირადად მიდიოდა მათთან და სთხოვდა ეთანამშრომლათ „საქართველოს მოამბეში“². თანამშრომლობის სურვილი განაცხადეს და ჟურნალში მონაწილეობა მიიღეს გრიგოლ ორბელიანმა, გიორგი ერისთავმა, დიმიტრი ყიფიანმა, გიორგი ორბელიანმა. აქვე დავსძენთ, რომ რედაქცია ამ მწერალთა მხოლოდ იმ ნაწარმოებებს ბეჭდავდა, რომლებიც შეესაბამებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, არ ეწინააღმდეგებოდა ჟურნალის მიმართულებას.

„საქართველოს მოამბემ“ მოსწავლე ახალგაზრდობაც მიიზიდა. გ. თუმანიშვილის, ნ. ყიფიანის, ა. ცაგარლის და სხვათა წერილებიდან და მოგონებებიდან ვრწმუნდებით, რომ თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიების, სასულიერო სემინარიისა და სხვა სასწავლებლების მოწაფეები არა მარტო გატაცებით კითხულობდნენ ჟურნალს, ცდილობდნენ კიდევ გამხდარიყვნენ მისი თანამშრომლები. ერთმა მათგანმა — ლევან ჭანდიერმა (ჭანდიერაშვილმა) შესამე, მეოთხე, მერვე და მეცხრე ნომრებში დაბეჭდა მის მიერ გადმოთარგმნილი ზალცმანის „კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის.“ ლევან ჭანდიერი იმ დროს 15 წლისა იყო და გიმნაზიის დაწყებით კლასებში სწავლობდა (დაამთავრა 1867 წელს.). ჟურნალთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიმნაზიის მოსწავლეს ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანს; როგორც ვიცით, მისი მამა და უახლოესი ნათესავები — დავით და მიხეილ ყიფიანები „საქართველოს მოამბის“ აქტიური მონაწილენი იყ-

¹ „დროება“, 1866, № 34.

² Г. Туманов, Характеристики и воспоминания, кн. III, 1907 г.

ნენ. ნიკ. ყიფიანის იმდროინდელი წერილები სავსეა საინტერესო ცნობებით „საქართველოს მოამბის“ შესახებ.

ნიკოლოზ ყიფიანს განზრახული ჰქონდა „საქართველოს მოამბეში“ დაებეჭდა პოლემიკური წერილი „ცისკრის“ წინააღმდეგ, რომელიც სტუდენტობის დროს პოლიციას ჩამოურთმევია და სავანეებში გამოძიების საგანიც გამხდარა. „საქართველოს მოამბე“ რომ გამარეველიც-ონერებელ გავლენას ახდენდა ახალგაზრდობაზე ამის მაგალითისათვის ნიკოლოზ ყიფიანიც კმარა. იგი თავგანწირვით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და ამის გამო მკაცრად დაისაჯა. პეტერბურგში სწავლის დროს იგი საქართველოდან სახალხო რევოლუციის ამბავს ელოდა, ხოლო წერილში ვ. ჩერქეზიშვილისადმი სწერდა: „ახალგაზრდები გამოიჩინენ შზადყოფნას იმოქმედონ და გამოიჩინენ სიმტკიცეს წავიდნენ ცეცხლში, როცა გაისმება ძახილი და როცა გამოჩნდება ადამიანი, რომელიც წინ გაუძღვება მათ“¹. ნიკოლოზ ყიფიანს 1866 წელს უთარგმნია ქართულად „მარსელიოზა“

60-იან წლებში თბილისში ათობით ხელნაწერი ეურნალი არსებობდა. ზოგი მათგანი არალეგალური ხასიათისა იყო და, როგორც ჩანს, ცენზურის სასტიკი შეთვალყურების ქვეშ იმყოფებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მოწაფეთა ხელნაწერი ეურნალი 1863 წლისა, „საქართველოს მოამბის“ სახელწოდებით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ამრიგად, ეურნალის რედაქცია ყოველნაირად ცდილობდა გაეთართობინა თანამშრომელთა წრე, დაეძებნა ახალი ძალები. ამის მაჩვენებელია, სხვათა შორის, ი. ბერიძის მოთხრობისა და გიორგი ორბელიანის ლექსის დაბეჭდვა.

თანამშრომელთა ასეთი მრავალფეროვანი შემადგენლობა ეურნალის იდეურ მიმართულებაზე გავლენას ვერ ახდენდა, რადგან რედაქცია მკაცრად ასწორებდა მიღებულ მასალას. ეურნალს საერთოდ სამოციანელები აძლევდნენ იდეურ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ-სტილისტურ სახეს. სხვათა შორის, ეს ერთიანი სტილი, რომელსაც ახასიათებს მოჭარბებული ენერგია, დიდი ენებათლელვა და ორატორული პათოსი, უთუოდ ხაზს უსვამს ახალ თაობის მონოლითურობას.

თანამშრომელთა იდეურ-ლიტერატურულ შემჭიდროებას ხელს უწყობდა ეურნალთან არსებული წრე, რომელიც სისტემატურად აწყობდა ლიტერატურულ კითხვა-საღამოებს, დასაბეჭდი მასალების განხილვას და ლექცია-მოხსენებებს.

„...ამათ შემოიღეს კერძო კრებები, — წერს გ. წერეთელი, — სადაც კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჭაბუკი ილია

¹ „მნათობი“, 1960, № 10, გვ. 173; № 7, გვ. 139.

ქვეყნადე თავის ახალდაწერილი ლექსებისა და „გლახის ნამბობის“ თავების კითხვით ამხნეებდა, ასულდგმულებდა თავის საკუთარ წრეს და წრის გარეშეც არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა“¹.

„საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთა ნაწერების კითხვა-განხილვა ეწყობოდა ლუარსაბ მაღალაშვილის, ელენე ჩოლოყაშვილის, ივანე ბერიძის, სიღონია სევარსამიძის, ლევან ჯანდიერის ოჯახებში და ეურნალის რედაქციაში.

1863 წლის 18 თებერვალს ილია სწერდა ოლღა გურამიშვილს: „ელენე (ჩოლოყაშვილთან) გაიმართება სალიტერატურო საღამო, რომელზედაც ახალგაზრდები წაიკითხავენ სხვადასხვა თხზულებებს. სთხოვე მას (ლიზას), რომ შენც წამოგიყვანოს იქ. მე ჩემი ამხანაგებთ მართლა ამ კვირია მასთან შევიკრიბებით და მე, შენი პატარა რედაქტორი, რაღაცას წაიკითხავ“².

ოლღასადმი წერილებში ილია არა ერთხელ იმეორებს „ჩემი სახლი გატენილია ხალხითო“. მართლაც, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლები ხშირად ღამეებს ათენებდნენ დასაბუქლად წარმოდგენილი მასალის განხილვაში.

არსებობს მოსაზრება, თითქოს „საქართველოს მოამბეს“ არ ჰყოლოდეს ნიჭიერი, მომავლის მქონე თანამშრომლები.

არჩ. ჯორჯაძესთან კამათში ანტ. ფურცელაძე წერდა: „მე მაშინვე ბეჭდვითვე მოვახსენე, რომ მის თანამშრომლებს, გარდა ქვეყნადისა, არცერთს წერის არც ნიჭი და არც თავი არა ჰქონდაო“. ეს აზრი ანტ. ფურცელაძემ, მართლაც, 1863 წელსვე გამოთქვა „ცისკარში“, მაგრამ ის აშკარად ტენდენციურია.

არაფერს ვიტყვით „საქართველოს მოამბის“ ისეთ თანამშრომლებზე, როგორც იყვნენ ი. ქვეყნადე, გ. წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი; ლიტერატურის ასპარეზზე მათი მოღვაწეობა საყოველთაოდ ცნობილია. მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ დავით ყიფიანის, პეტრე ნაკაშიძის, ვახტანგ თულაშვილის, სულხან ბარათაშვილის, მიხეილ ყიფიანის, ლევან ჯანდიერის, ივანე ბერიძის, გიორგი ორბელიანის, ესტატე მაღალაშვილის, გიორგი ჩიქოვანის, მიხეილ ჩიკოიძის ცნობრებასა და მოღვაწეობას „საქართველოს მოამბის“ დაარსებამდე და მისი დახურვის შემდეგ.

წინასწარ შევნიშნავთ, რომ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებმა დიდი აქტივობა გამოიჩინეს საზოგადოებრივი მოღვაწეობის ას-

¹ „კვალი“, 1897, № 46.

² „ცისკარი“, 1961, № 3, გვ. 103. ი. ქვეყნადის წერილები, პ. ინგოროყვას წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

პარეზზე, თავდადებით ემსახურებოდნენ სამშობლოს, ხალხის კეთილდღეობას, — იყვნენ ახალი ჟურნალ-გაზეთებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თაოსნები და სულის ჩამდგმელები. ერთი წელიც არ გასულა, რომ მათ დააარსეს გაზეთი „დროება“, ხოლო ცოტა მოგვიანებით — ჟურნალი „კრებული“.

„საქართველოს მოამბის“ შეწყვეტის შემდეგ, მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, ჟურნალის თანამშრომელთა უმრავლესობამ ხალხის სასარგებლო პრაქტიკულ საქმიანობას მოჰკიდა ხელი. რაკი ხალხის განთავსეფლებაზე ოცნება განუხორციელებელი დარჩა, ხალხისთვის მძიმე ტვირთის შემსუბუქებას ცდილობდნენ.

დავით ყიფიანი

როცა მივიწყებულ მოღვაწეებზე ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივ, რიგით მუშაკებს ვგულისხმობთ, რომელთაც სიცოცხლეშიაც არ ანებივრებდა საზოგადოება. მათი დაეიწყება ყოველთვის როდი გვაკვირვებს, მაგრამ რაღაც ამოუხსნელ ქარაგმად რჩება ერთ დროს აღიარებულ ადამიანთა სახელის გაუჩინარება, თაობათა ხსოვნაში მათი სახის გაფერმკრთალება... დღეს, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის გვერდით იშვიათადლა ახსენებენ დავით ყიფიანს — ერის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ მესვეურთაგანს 60-იან წლებში.

იგი იყო გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატი, დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის პირადი მეგობარი, მებრძოლი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, პედაგოგი და მთარგმნელი, „საქართველოს მოამბის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედაქტორი.

დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი ეკუთვნის ქვიშხეთელ ყიფიანთა შტოს, რომელმაც ბევრი სახელოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მისცა საქართველოს.

ქაიხოსრომ მთელი ცხოვრება ანაცვალა ჯერ ობლად დარჩენილი უმცროსი ძმის — დიმიტრის, ხოლო შემდეგ შვილების სწავლა-განათლებას, და აღზარდა კიდევ ხალხისათვის თავდადებული, სასიქადულო მამულიშვილნი. ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა ცნობილი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე იყო, ხოლო დავითის უმცროსი ძმა, მიხეილი (მიშო) — გაუა ფშაველას საყვარელი მასწავლებელი, სახელგანთქმული რევოლუციონერი — ხალხოსანი.

ქაიხოსრომ, რომელსაც ამ საქმეში დიმიტრიც ეხმარებოდა, საუკეთესო პედაგოგები მოიწვია ბავშვების აღსაზრდელად. ისინი, სხვათა შორის, უცხო ენებსაც ასწავლიდნენ დავითსა და მის დაძმებს. რუ-

სული, გერმანული, ფრანგული და ინგლისური დავითმა დედაენასავით იცოდა.

დავით ყიფიანი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძეს; იგი ერთი კლასით წინ იყო.

1856 წელს მან წარჩინებით დაასრულა გიმნაზია და „რადგან დიდი ნიჭი გამოიჩინა სწავლისა, ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში გაჰგზავნეს სახელმწიფო ხარჯითა, როგორც კავკასიის სტიპენდიანტი“¹.

დავით ყიფიანი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. იგი დაუახლოვდა გამოჩენილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს და გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება. უკვე 1857 წელს დავით ყიფიანს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ნ. დობროლიუბოვთან. წერილში ა. პ. ზლატოვრაცკისადმი დობროლიუბოვი სთხოვს მას დაუბრუნოს ყიფიანს წიგნი — „Донесения следственной комиссии о 1825 г.“, რომელსაც დობროლიუბოვი ტვერში გამგზავრების წინ კითხულობდა და დაბრუნება ვერ მოასწრო².

იმავე წლებში დავ. ყიფიანი დაახლოვებული ყოფილა ნიკ. ჩერნიშევსკისთანაც და, საერთოდ, ჟურნალ „სოვრემენიკთან“. გადაქრით შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ პეტერბურგს ჩასული ქართველი სტუდენტები დავით ყიფიანმა გააცნო ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს, მან მისცა დასაბამი გამოჩენილ რევოლუციონერ-დემოკრატებთან ქართველ სტუდენტთა მეგობრულ ურთიერთობას. ცხადია, ილიასაც პეტერბურგში ჩასვლისთანავე გააცნობდა იგი ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს. ეს კიდევ ერთი საბუთია, რომ ილია ჭავჭავაძე ახლოს იცნობდა რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთ.

იმაზევე მიუთითებს, მაგალითად, დიმ. ბაქრაძის 1863 წლის სექტემბრის წერილი („ცისკარში“) რომელშიც ავტორი დავ. ყიფიანს მიმართავს: ეიცო, ჩერნიშევსკისაც კარგად იცნობ და დობროლიუბოვსაცო.

1860 წელს დავით ყიფიანმა კანდიდატის ხარისხით დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. „იმის დისერტაცია „მეფე ვახტანგ VI-ის სამართალი“, — წერდა 1892 წელს „ივერია“, — ისე საუცხოოდ იყო დაწერილი, იმის ავტორს ისე კარგად სცოდნოდა საქართველოს იურიდიული ყოფა-მდგომარეობა, რომ უნივერსიტეტის პროფესორებმა დიდი ყურადღება მიაქციეს“. მაგრამ პროფესორის კათედრამ ვერ მოხიბლა დავით ყიფიანი. ენერგიით სავსე, რევოლუციურ-დემოკრა-

¹ „ივერია“, 1892, 4 ნომბერი.

² საფუძველს მოკლებულია ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება, თითქოს აქ იგულისხმებოდეს მიხეილ ზალის ძე ყიფიანი, რომელსაც რუსეთში არასოდეს უსწავლია და, კერძოდ, იმ წლებში თბილისში ცხოვრობდა.

ტიული იდეებით გონებაგაცისკროვნებული ახალგაზრდა სამშობლოს-
კენ მოიწევდა, ხალხის სამსახურს ესწრაფვოდა.

მამულის განახლებისათვის მებრძოლი ყმაწვილკაცობა, და მათ შო-
რის დავით ყიფიანიც, ილია ჭავჭავაძის წრეში გაერთიანდა; „იმ დროს
შთაფრობის სფეროში, — გადმოგვცემს გ. წერეთელი, — დიდი მითქმა-
მოთქმა იყო ამ წრის შესახებ, რომლის წევრებსაც მაშინ საშიშ ლი-
ბერალებად (რევოლუციონერებად. — ა. კ.) იხსენიებდნენ... მათ შესა-
ხებ მაშინდელმა თბილისის გუბერნატორმა ასე იხუმრა: „დიახ, ეგენი
საშიშნი არიან, მხოლოდ პირველ სისხლის ღვრამდეო“. წრე მრავალ-
გვარ მიზნებს ისახავდა. კერძოდ, განზრახული იყო ქართული წიგნე-
ბის გამოცემა, ურნალ-გაზეთების დაარსება, უფასო სკოლების გახს-
ნა.¹

1862 წ. დავით ყიფიანმა თბილისში დააარსა ეაჟთა კერძო პანსი-
ონი, გიმნაზიის პროგრამით. დავით ყიფიანთან ერთად თანამედროვენი
ილია ჭავჭავაძესაც თვლიდნენ ამ პატრიოტული საქმის თაოსნად.
„ილია ჭავჭავაძემ და დავით ყიფიანმა თბილისში პანსიონი გახსნე-
სო“, — წერდა, მაგალითად, ზაქ. ჭიჭინაძე 1897 წელს².

დავით ყიფიანის პანსიონმა დიდი სახელი მოიხვეჭა. მასწავლებლად
მოწვეული იყვნენ გამოჩენილი სამოციანელები: ნიკო ლოლობერიძე,
გიორგი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, გადმოსახლებული პოლონე-
ლი რევოლუციონერი ზაგურსკი და სხვ³. სწავლა-აღზრდას მათ სა-
ფუძვლად დაუდეს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოწინავე პედაგო-
გიური შეხედულებანი: დაკავშირდა ფიზიკური სასჯელი, შექმნეს წრეები,
დააარსეს მეცნიერული ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ღირსეული ად-
გილი დაუთმეს ქართულ ენას. ერთი სიტყვით, ახორციელებდნენ თა-
ვისუფალი ეროვნული აღზრდის იდეას.

პანსიონს აურაცხელი მსურველი მიაწყდა. მოწინავე ქართველი
ოჯახები ცდილობდნენ იქ მიებარებინათ შვილი, ხოლო „დ. ყიფიანმა
ჩქარა გაითქვა სახელი ტფილისის საუკეთესო მასწავლებლისა“ („ივე-
რია“).

გიორგი თუმანიშვილი, რომელიც 1863—1867 წლებში დავით ყი-
ფიანის პანსიონში სწავლობდა, გადმოგვცემს, რომ მოწაფეები ქარ-
თულ წარმოდგენებს ემართავდითო.

ეს პანსიონი თავისუფალი აზრის სიმბოლოდ გადაიქცა და ხელი-
სუფლება იმთავითვე ეჭვით უყურებდა მის საქმიანობას. ძველი თაობა
პირველ რიგში ამ სკოლის დაარსებას აყვედრიდა თერგდალეულებს.
გრიგოლ ორბელიანი ლექსში „პასუხი შვილთა“, წერდა:

¹ იხ. ნიკო ლოლობერიძის წერილი, სსმ ფონდი, 17627-ხ,

² ზ. ჭიჭინაძე, „ილია ჭავჭავაძე“, გვ. 19.

³ გაზ. „კავკაზი“, 1863 წ., № 98.

...მოვიდნენ ...და რა?
 სულ ჩაგვამწარა...
 ვაი, ჩვენს იმედს...ვაი, თქვენს მოსვლას!
 პირველად იწყეს,
 შკოლა გამართეს (სქოლიოში პოეტი განმარტავს:
 „შკოლა ყიფიანისა“)
 ესთქვით: ახლა მხარე გაგვინათლდება!..
 ყრმანი საწყალნი,
 უბიწო-გულნი,
 სწავლად მოსულნი, წახდნენ ზნეობით..
 უსასობა,
 ურწმუნობა,
 უმანკო გულში ღრმად ჩაუნერგეს:
 „ლოცვა რათ გვინდა?“
 „ღმერთი რათ გვინდა?“
 „ჩვენი გონება .არს ჩვენი ღმერთი!“

(სქოლიოში პოეტი გვიხსნის: „ნათქვამი იმავე შკოლის მოწაფე ლ. მე-საგან“).

დავით ყიფიანის პანსიონში სწავლობდნენ შემდეგ ცნობილი რევოლუციონერები, პროგრესული მოღვაწეები: სტეფანე ჭრელაშვილი, ნიკო ინაშვილი, ნიკოლოზ ყიფიანი, გიორგი თუმანიშვილი და სხვ.

1867 წელს ხელისუფლებამ თავისებურად გამოიყენა „სასწავლებელთა ახალი დებულება“ და ნაჩქარევად დახურა „თბილისის ამბრორიკებელი“ სასწავლებელი. „ივერიის“ გადმოცემით, დავით ყიფიანი იძულებულაჲყვეს უარი ეთქვა პანსიონზე.

როცა ნ. ლოლობერიძემ და ივ. სერებრიაკოვმა ყურნალის გამოსვლამდე უარი თქვეს თანამშრომლობაზე, გამოცემის მთელი სიმძიმე ილიასა და დავ. ყიფიანს დააწვა.

„საქართველოს მოამბე“ ახალგაზრდული ყურნალი იყო ყოველმხრივ — იდეებით, ენერგიით, შეუპოვრობით, თანამშრომელთა შემადგენლობით. მის მეთაურთ სწამდათ, რომ ქვეყნის ინტერესები გადაუღებლად მოითხოვდა ახალი სახის პრესას, მკვეთრი პუბლიცისტური განხრით.

1863 წლის აპრილის ფელეტონებში დავით ყიფიანმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა ქართული პუბლიცისტის ამოცანები და „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილების მიზანდასახულობაც განსაზღვრა.

პუბლიცისტის დანიშნულებად დავით ყიფიანს მიაჩნია მკითხველის აღზრდა, მისი სულიერი და ზნეობრივი გარდაქმნა. ყურნალმა საზოგადოების ნდობა უნდა მოიპოვოსო, ამბობს ის, დაიახლოვოს და მებრძოლთა რაზმში ჩააყენოს მკითხველი, რომელსაც გარკვევით ეუბნება: „მარტო შენთან აზრებით შენათესავეება ჩვენთვის საქმარისი არ არის, მთელი საზოგადოება უნდა დაეინათესავეოთ“.

ქართულ ჟურნალისტიკაში პირველად გაისმა ასეთი მოწოდება, ჟურნალი პირველად წარმოსდგა პროპაგანდისტის როლში. პუბლიცისტისაგან დავით ყიფიანი მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მოვლენის ღრმა ანალიზს, სხვა მოვლენებთან მის დაკავშირებას, პოლიტიკურ შეფასებას.

დავით ყიფიანი ილაშქრებდა მონარქიის წინააღმდეგ. მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად რევოლუციას თვლიდა, ისტორიულ ექსკურსებს რევოლუციური სულსკვეთების გასაღვივებლად იყენებდა, თანამემამულეებს უსამართლობის დასამხობად ამხედრებდა.

დავით ყიფიანი გაბედულად ამხელდა ყოველგვარ ზნეობრივ სიმახინჯეს, სულიერ დაცემულობას, რადგან სწამდა, რომ ხალხის ზნეობრივი გადაგვარება მტერს უადვილებდა მის დამონებასა და დაბეჩაევებას.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას მის წერილებში ღრმად ჰუმანისტური ხასიათი აქვს, გაქლენთილია ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

უნდა ითქვას, რომ ცენზურა იმავეითვე ექვით მოეკიდა დავით ყიფიანის ნაწერებს. მისი „სხვადასხვა ამბავი“, რომელიც პირველ ნომერში უნდა დაბეჭდილიყო, მეოთხე ნომერში დაიბეჭდა და ისიც დამახინჯებულად.

დავით ყიფიანისათვის დამახასიათებელია არა მარტო ღრმა იდეურობა, არამედ მასთან ორგანულად შერწყმული ნოვატორული ფორმა, მაღალი პუბლიცისტური ოსტატობა.

დავით ყიფიანი ლაღად ესაუბრება მკითხველს, ცდილობს დაწვრილებით განუმარტოს წერილის წამყვანი იდეა, გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა, დააფიქროს, გული აუჩქროლოს, აამოქმედოს იგი.

დავით ყიფიანის მეცნიერულ-ლიტერატურული ერუდიცია და რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა სრული სისავსით გამოჩნდა გამოკვლევაში — „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“, რომელმაც მთელი მაშინდელი ინტელიგენცია ააღაპარა. ავტორს აქ ბუნებრივ მთლიანობაში აქვს განხილული სოციალური, ეროვნული, ენისა და ლიტერატურის საკითხები; დამაჩერებლად ასაბუთებს სასაუბრო და სალიტერატურო ენის დაახლოების აუცილებლობას, მზის სინათლეზე გამოაქვს „მაღალი შტილის“ თეორიის უსუსურობა, სალიტერატურო ენის საფუძვლად „მდაბიურ მეტყველებას“ აცხადებს და ზედმიწევნითი ანალიზით ცხადყოფს ანბანიდან ფუნქციონირებად ასოების ამოღების გარდუვალობას.

დავით ყიფიანმა პირველმა განიხილა და შეაფასა ქართული გრამატიკული და ენათმეცნიერული ლიტერატურა, გააკრვია გრამატიკის

როლი, მკაცრად შეეკამათა მის უარყოფილებს. მანვე წამოაყენა გრამატიკის ისტორიულობის პრინციპი და დაასკვნა: „ენის სრული, ქეშ-მარიტი ცნობისათვის გრამატიკა ისტორიული უნდა იყოს“. ამასთან, მას სჯეროდა, რომ „გრამატიკის დამუშავებისათვის უპირველესი წყარო და საბუთი უნდა იყოს ხალხის ცოცხალი ენა“, ხოლო მიზანი — ერთიანი ეროვნული ენა. ამიტომაც ასე მხურვალედ ამბობდა: „ენის ერთობა იქნება მუდამ ჩვენი გულისწადილი“. მას დიალექტის როლიც კარგად ესმოდა საერთო ეროვნული ენის განვითარებაში და საგანგებოდ აღნიშნავდა: „ქართულ გრამატიკაში საქართველოს არცერთი მხარის გაკალკეება არ უნდა შევიდეს ქართული ენის საზოგადო კანონად“.

დავით ყიფიანის გამოკვლევაში ენა ერის ბურჯად არის გამოცხადებული და მათი წარმატებაც განუყრელ ურთიერთკავშირშია წარმოდგენილი. ხალხი თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს დედენას, რადგან „ენა მთელი ხალხის კუთვნილებაა, საზოგადო საკუთრებაა“. ამ წარმატების საწინდრად დ. ყიფიანმა მიაჩნია ეროვნული ერთიანობა, სოციალური გარდაქმნები და ხალხის განათლება. თავგამოდებით გმობს კუთხურ კარჩავეტილობასა და პროვინციულ სეპარატიზმს. „საზოგადოდ ერთობა, მეტადრე ხალხის ერთობა, და განსაკუთრებით ქართველობის ერთობა XIX საუკუნეში,—წერს ის, ჩვენი უმთავრესი მოთხოვნილებაა, რომლის აღსრულებასაც ყოველი ღონისძიებით უნდა ვემსახუროთ“. ავტორის ძირითადი დებულება ის არის, რომ ქართველი ხალხი უნდა მიისწრაფოდეს ახალი ცხოვრებისაკენ, რომელსაც „საფუძვლად დაედება განათლება ქუეისა და ჰქვიან ერთობა, თანასწორობა, ძმობა და სიყვარული. და ამის გულში ჩანერგვით ხალხი... (ცენზურა. — ა. კ.) დაადგენს (ახალ წესს. — ა. კ.) და იგემოვნებს“.

დავით ყიფიანი თეორიული მსჯელობით არ დაკმაყოფილებულა. მან იქვე წარმოადგინა ქართველთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის მეტად გაბედული და ორიგინალური გეგმა, რომლის განხორციელებას ფართო ასპარეზი უნდა გადაეშალა ქართული ენისათვის და ნიადაგი მოემზადებინა ხალხის სოციალური იდეალების განხორციელებისათვის. „ერთ-ორ წელიწადში, — წერს დავით ყიფიანი, — თუ ძალიან გულით მოინდომა საზოგადოების განათლებულმა ნაწილმა (როგორც ორიოდ პირმა კეთილშობილურად უკვე დაიწყო ამისი საქმით ასრულება), შესაძლებელია მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ქართულსა ლაპარაკობს, წერაცა და კითხვაც იცოდეს და ამით შევიდეს დროების წინმავალი მოთხოვნილებისათვის მოქმედებაში. სოფლის უბან-უბან გლუხებასაც უნდა ჰქონდეთ ჟურნალებიცა და ყოველისფერი, რასაც კაცის განათლება მოითხოვს. თუ არა ნივთიერად (აღორძინება, ა. კ.), ჭერ ამისი ვაგება მაინცა ჰქონდეთ“.

ამ გეგმას, იქნებ, უტოპიური ხასიათიე ჰქონდა ბატონყმობის დროს, მაგრამ იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დავით ყიფიანისა და, საერთოდ, თერგდალეულების რევოლუციურ-დემოკრატიულ მისწრაფებებზე; მით უფრო, რომ სწავლა-განათლება ავტორს მიიჩნია არა ხალხის ბედნიერების საფუძვლად, არამედ გათვითცნობიერების საშუალებად, რომელმაც სოციალური იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლას უნდა შეუწყოს ხელი. ამ იდეალების განხორციელებაში ავტორი დიდ როლს ანიჭებს მხატვრულ ლიტერატურას და ამბობს „ლიტერატურა ხალხის სიცოცხლეა“.

ცენზურამ ამჯერადაც მოუთმენლად მიიჩნია დ. ყიფიანის პოლიტიკური რადიკალიზმი და თხზულების პირველი ნაწილიდან მრავალი ადგილი ამოშალა, ხოლო მომდევნო თავები დააკავა. საპასუხო წერილებიდან („ცისკარი“, 1863 წ. № 7, № 9; 1864 წ. № 1) ვტყობილობთ, რომ დავით ყიფიანი შვიდ წელიწადს მუშაობდა აღნიშნულ გამოკვლევაზე; პეტერბურგის უნივერსიტეტში (1857—1860 წლებში) საჯარო ლექციებიც წაუკითხავს სალიტერატურო ენის გახალსურებასა და ფუნქციონირებას ასოების ამოღებაზე.

„საქართველოს მოამბისა“ და პანსიონის დახურვის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, დავით ყიფიანმა ხალხის სასარგებლოდ პრაქტიკულ საქმიანობას მოჰკიდა ხელი.

1868 წელს იგი რაკის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ დანიშნეს, საიდანაც ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისის მაზრაში გადაიყვანეს იმავე თანამდებობაზე, 1876 წლიდან დავით ყიფიანი თბილისის ნოტარიუსი იყო. ამ უბანზე მისი მოღვაწეობის გამო „ივერია“ წერდა: „სამაგალითო კაცი იყო და ყველას უყვარდა, როგორც გულკეთილი და პირუთენელი მოსამართლე.“

70—80-იან წლებშიც ყიფიანი მხნედ იღვწოდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ასპარეზზე: მონაწილეობდა ხიზანთა საქმის მოწესრიგებაში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში, ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში და სხვა. „დროებასა“ და „ივერიაში“ ხშირად იბეჭდებოდა მისი პუბლიცისტური წერილები და კორესპონდენციები.

დავით ყიფიანს გარკვეული ამაგი მიუძღვის მხატვრული თარგმანის განვითარებაშიც. 1865 წელს მან ცალკე წიგნად დაბეჭდა ფრანგულიდან გადმოთარგმნილი ჟორჟ სანდის ზღაპრული მოთხრობა „გრიბული“, ხოლო მოგვიანებით ინგლისურიდან „პროზად და ლექსად“ გადმოთარგმნა შექსპირის „ტყუილუბრალოდ ვაივაგლახი“ („აურზაური არაფრის გამო“). მისი თარგმანები გამოირჩევა სიზუსტით, სისადავით, მდიდარი ლექსიკით.

1867 წელს გიორგი წერეთელმა და დავით ყიფიანმა ერთად გამოსცეს „ვეფხისტყაოსანი“.

დავით ყიფიანი ცნობილი იყო პირდაპირობით, სამშობლოს ღირსებისათვის რაინდული თავდადებით. 1887 წელს მან ითავა დიმიტრი ყიფიანის სახალხო-ეროვნული დასაფლავება და თბილისის ქუჩებში შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის რაზმებს, რის გამოც კიდევ გაასამართლეს.

უკანასკნელი წლები დავითმა მძიმე პირობებში გაატარა, სარჩოსაბადებელი სახალხო საქმეს შეაღია და უღმობელ მოვალეებს ჩაუვარდა ხელო.

დავით ყიფიანი გარდაიცვალა 57 წლისა, 1892 წლის 15 ოქტომბერს. დასაფლავებულია ქვიშხეთში.

პეტრე ნაკაშიძე

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მკითხველს არა ერთგან შეხვდება პეტრე ნაკაშიძის სახელი და სხვა რომ არაფერი გეგოს მასზე, ამითაც იგრძნობს, ვინ უნდა ყოფილიყო კაცი, ასე გამორჩეულად რომ ჰყვარებია ილიას, ასე საესგედ რომ გადაუშლია მისთვის დიდბუნებოვანი გული.

პეტრე ნაკაშიძისადმი მგრძნობიარე მიძღვნით იწყება „ღედა და შვილი“ („ქართლის ღედა“), რომელიც 1860 წელს დაიწერა:

აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღეთიურ სხივით გაბრწყინებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.
იმ დროთ ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ეიხილე, — მომიტევე მე სითამამე...
ეს არს ნაყოფი ცხოვრებისგან შობილ დარდისა, —
ამით მამართლე, მიიღე და ნუ გამკიცხავ მე.
აი იმ დროთგან ერთი სცენა ამოღებული,
სადაც გონება ჩვენი ხშირად ერთადა ჰქრენდა,
სადაც კაბუჯი ფანტაზია გალაღებული
უკეთესთ ყვავილთ ქართლის გულში ღუნითა ჰკრეფდა.

1871 წელს ილია წერდა: „პეტრე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს, შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართლის ღედას“. თუ მოგეწონოს, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდად. გთხოვ, შენი პირმოურიდებელი აზრი მაინებო ამ პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობი-

ლია. თუ მოგეწონოს დასაბუქდად, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც დააბუქდინე ამასთან ერთად“...

პეტრე ნაკაშიძესვე მიუძღვნა ილიამ „მეფე დიმიტრი თავდადებულს“, რომელსაც სიყვარულით წააწერა: „თ. პეტრე ნაკაშიძეს. ძმამ პეტრე! შენგან ჩაგონებულს შენვე გიძღვნი. ილია ჭავჭავაძე“.

მათ ღიღ ადამიანურ სიყვარულსა და შემოქმედებითს მეგობრობას ჩრდილი არასოდეს გაჰკარებია. 1887 წლის 15 მარტს პეტრე ნაკაშიძე წერდა: „ილიკო, რვეულს მოველი; ამ ღღესასწაულებში იქნება დამრჩეს თავისუფალი დრო, ერთი კარგად გადავხედო ჩემს ნაჩხაბნსა და შევასწორო შეძლებისამებრ. შენი პეტრე ნაკაშიძე“¹.

ამ მეგობრობას მეტი შუქი ეფინება, როცა ვითვალისწინებთ, რომ პეტრე ნაკაშიძე იყო ზედმიწევნით განსწავლული კაცი, უნიჭიერესი ლიტერატორი, მოწინავე მოაზროვნე და მებრძოლი. იგი, უთუოდ, მარადსახსოვარი, ქართველი სამოციანელის მონუმენტური სახეა!

პეტრე გიორგის ძე ნაკაშიძე დაიბადა 1838 წელს, სოფ. გურიანთას, მღიღარის თავადის ოჯახში².

იგი ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო 1855 წელს (ყირიმის ომის დროს ქუთაისში თურქების შემოჭრის საფრთხის გამო) თბილისში გადმოიყვანეს და აქაურ კლასიკურ გიმნაზიაში განაგრძო სწავლა. აქვე გაეცნო და დაუშვებობდა ილია ჭავჭავაძეს.

პ. ნაკაშიძემ 1857 წელს დაამთავრა გიმნაზია და იმავე წელს ილიასთან ერთად პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა.

1860 წელს მან კანდიდატის ხარისხით დაასრულა აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტი და მალე მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ქართული სიტყვიერების კათედრაზე დაინიშნა უფროს მასწავლებლად, პარალელურად მოსკოვის უნივერსიტეტშიც ასწავლიდა ქართულ ენას.

„პეტრე ნაკაშიძე იმ ახალგაზრდა დასს ეკუთვნოდა, რომელმაც 60-იან წლებში დაიწყო ჩვენში მოქმედება,“ — წერდა გაზეთი „ივერია“ 1859 წელს. იგი უნივერსიტეტში სწავლის დროს ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ისე აქტიურად, რომ, როცა ი. ჭავჭავაძის წრის მოღვაწეობას ეხებიან, თანამედროვენი და ლიტერატურის ისტორიკოსნი ილიას გვერდით პირველად პეტრე ნაკაშიძეს ასახელებენ. გ. წერეთელი, მაგალითად, წერდა: „1861 წლიდან, როდესაც ილია ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატეხა, ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარშემოიკრება თავისი საკუთარი წრე, ამ წრეში მოქმედ პირებად იყვნენ ი. ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ღუმანიტარული დროშის ამფრიალებელი, პეტრე ნაკაშიძე“... და სხვ³.

¹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 182.

² ნ. ი. ნაკაშიძე, პეტრე ნაკაშიძის ბიოგრაფია. სს.ლ. ფონდი, № 6705-ბ.

³ „ქალი“, 1897, № 46.

1860—1863 წლებში, როცა საქართველოში ილია ჭავჭავაძის წრე მოქმედებდა, — პეტრე ნაკაშიძე მოსკოვში ცხოვრობდა და იშვიათად შეეძლო წრის წევრებთან შეხვედრა. თუ, მიუხედავად ამისა, მას ილიას ყველაზე მახლობულ თანამებრძოლად იხსენიებენ, ეტყობა იმიტომ, რომ წრის დავალებით იგი დაკავშირებული იყო რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა საიდუმლო ორგანიზაციებთან და პოლონელ სტუდენტთა წრეებთან. ამ მომენტს ხაზგასმით აღვნიშნავთ, რადგან პეტრე ნაკაშიძის პოლიტიკურ-ლიტერატურული მოღვაწეობა განუყრელად შეუკავშირდა პოლონეთის 1863 წლის აჯანყებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აჯანყების პერიოდში პეტრე ნაკაშიძის სასწრაფო მივლინება პოლონეთს და „საქართველოს მოამბის“ მე-7 ნომერში დაბეჭდილი მისი „სამგზავრო წერილები“. აღნიშნული მოგზაურობის რეალიათა გათვალისწინება ცხადყოფს, რომ მას ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა.

აჯანყების დაწყებისთანავე პეტრე ნაკაშიძემ „ოჯახური მდგომარეობის“ საბაბით საწინასწარიდან განთავისუფლება ითხოვა. მისი დაყინებული მოთხოვნით გაკვირვებული ინსტიტუტის მზრუნველი „კავკასიის საქმეთა კომიტეტის“ საქმეთა მმართველს ვ. ბ. ბუტკოვს ატყობინებდა, პეტრე ნაკაშიძე ფორმალურად აქამდე ვერ წარმოგადგინებდა დაკავებულ თანამდებობაზე დასამტკიცებლად, რადგან საბუთები ა. წ. იანვარში მოგვიტანა, ახლა კი განთავისუფლებას მოითხოვს, ხოლო სამაგიერო კანდიდატი არ გვყავსო. პეტრე ნაკაშიძეს ზედიზედ რამდენიმე განცხადება შეუტანია და, როგორც იქნა, 12 მარტს განთავისუფლების ბრძანებაც გაუციათ და სათანადო „ატესტატი“ გამოუწერიათ. „ატესტატში“, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ პეტრე ნაკაშიძე დიდი გატაცებით და გულმოდგინებით ასრულებდა ლაზარევის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებლისა და მოსკოვის უნივერსიტეტის ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობას.

მაგრამ პეტრე ნაკაშიძეს ბუტკოვის ბრძანებისა და „ატესტატისათვის“ არ დაუცდია და „ოჯახურ პირობებზე“ ზრუნვის ნაცვლად, მარტის პირველსავე რიცხვებში პოლონეთს გამგზავრებულა.¹

იმ პერიოდის რევოლუციური მოძრაობისადმი ილია ჭავჭავაძისა და პეტრე ნაკაშიძის დამოკიდებულებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა მათი შემოქმედება. ნიშანდობლივია, ამ მხრივ, პეტრე ნაკაშიძისადმი მიძღვნილი „ქართვის დედის“ („დედა და შვილი“) ეპიგრაფი:

გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო.

¹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ნაკაშიძის ფონდი, № 291. დედა-მოსკოვის საოლქო არქივი. ლაზარევის ინსტიტუტის ფონდი, საქმე № 186.

და კიდევ:

სჯობს სიციცხლესა ნაზრახსა, სიკედილი სახელოვანი.

პეტრე ნაკაშიძის ნარკვევი („სამგზავრო წერილები“) ფართოდ გამოიხსნა თხზულების დასაწყისია. ავტორს განზრახული ჰქონია მოგზაურის შთაბეჭდილებების საბაბით, გადმოეცა ახალი თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი. სამწუხაროდ, ჟურნალმა მხოლოდ „პირველი წიგნის“ გამოქვეყნება მოახერხა. პირდაპირი ცნობა, თუ რატომ არ დაიბეჭდა მომდევნო ნაწილები („წიგნები“), არ მოგვეპოვება. არ ვიცი, გამოგზავნა თუ არა ავტორმა ეს წერილები თბილისში და, თუ გამოგზავნა, რა ბედი ეწია მათ, მაგრამ ამ კითხვების ერთგვარ პასუხს წარმოადგენს თხზულების დაბეჭდილი ნაწილი.

პ. ნაკაშიძის წერილების ადრესატი ილია ჭავჭავაძეა. ეს ფორმა ნარკვევს ინტიმურ ელფერს აძლევს.

პეტრე ნაკაშიძე მაშინდელი ქართველსათვის საკმაოდ შორეულ და შინაარსიან, — როგორც თვითონ ამბობს, — „ტურისტულ მოგზაურობას“ შედგომია. მიზნად დაუსახავს მოენახულებინა პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი, ხმელთაშუა ზღვით ჩასულყო იტალიაში, სტამბოლზე გავლით „მშობლიურ გურიისთვისაც შეეველო თვალი“ და კვლავ თბილისს დაბრუნებოდა.

ეს „ტურისტული მარშრუტი“ დიდად საყურადღებოა, რადგან მასში მთავარი ადგილი უკავია იტალიასა და პოლონეთს, ე. ი. იმ ქვეყნებს, სადაც 60-იან წლებში გაჩაღებული იყო ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა და საითკენაც გული მიუწევდა ყველა ჰემშარიტ მამულიშვილს.

პეტრე ნაკაშიძე რომ ჟურნალის კონკრეტულ დავალებას ასრულებდა, უეჭველია. თვითონვე სწერს ილიას: „მინდა ჩემი მოგზაურობა შენს „მოაზებს“ უკამბოლო“. ქართული პრესის ისტორიაში იგი პირველი კორესპონდენტია, რომელიც ცოცხალ, ორიგინალურ რეპორტაჟს გზავნის უცხოეთიდან.

ფაქტიური მასალის ვაცნობამ დაგვარწმუნა, რომ პ. ნაკაშიძე პირადად ნახულს გადმოგვცემს, თავის ნაცნობ-მეგობრებზე გვესაუბრება.

1855 წელს ი. ჭავჭავაძე „ივერიაში“ წერდა: „ლიტერატურაში პ. ნაკაშიძემ პირველად მიიღო მონაწილეობა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“. ის ვარშავიდან აგზავნიდა ცოცხალს, კარგის ენით დაწერილ წერილებს, რომელთაც არა თუ მაშინ, ახლაც დიდის სიამოვნებით წაიკითხავთ“.

1864 წლიდან, „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, ჟურნალის თანამშრომლებმა სახელმწიფო სამსახურს მიაშურეს. იმავე ხა-

ნებში პეტრე ნაკაშიძეც დაბრუნებულა სამშობლოში, მსგავსად ამხანაგებისა, მომრიგებელ შუამავლად გამწესებულა და „სიმპათიურისა და გულკეთილის ხასიათით ხალხის სიყვარული მოუპოვებია“ („ივერია“).

1865 წელს პ. ნაკაშიძემ ცოლად შეირთო ბარბარე სოლომონის ასული ონიკაშვილი და ერთი წლის შემდეგ შეეძინათ ვაჟი ილია, შემდეგ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე (ნინო ნაკაშიძის მეუღლე).

„პეტრე ნაკაშიძის ოჯახი იმდროინდელი თბილისელი თავადების ოჯახებიდან გამოირჩეოდა არამარტო სიმდიდრით, არამედ მაღალი კულტურით, პროგრესულობით... მისი სახლი მოწინავე საზოგადოების ცენტრი იყო“¹. ყველას იზიდავდა დარბაისელი, სტუმართმოყვარე მასპინძელი და მისი ღირსეული მეუღლე — თავისი დროის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი, ერთ ხანს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე და სასწავლებლის მზრუნველი, რომელსაც 1874 წელს ჟორჟ სანდის ზღაპრებიც გადმოუთარგმნია ფრანგულიდან.

პეტრე ნაკაშიძე სიკვდილამდე ერთგული დარჩა 60-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის იდეებისა“, იგი „არც ერთს ქართულ საქმეს გზას არ უხვევდა, ყველგან და ყველას დახმარება სურდა, საზოგადო ასპარეზზედ ნაყოფიერად მოღვაწეობდა“. („ივერია“).

პეტრე ნაკაშიძე იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მეტად მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ თავის თავს, უნარი შესწევთ ულმობელ თვითმსჯავრს დაუქვემდებარონ საკუთარი ნაწერი, დასაბუქდად იშვიათად რასმე გაიმეტებენ და, ასე ვთქვათ, თავიანთი სალუქი ლიტერატურული გემოვნების მსხვერპლი ხდებიან. ამასთან, მისი პუბლიცისტურ-პოლიტიკური ტემპერამენტი ორგანულად ვერ ეთვისებოდა ბეჭდვითი სიტყვის არტანებს, ხოლო მიკიბულ-მოკიბულსა და ნახევარ თქმას ღუმელს ამჯობინებდა. მისი საწერი მაგიდის უჯრა მკითხველთათვის მხოლოდ ილია ჭავჭავაძის დაბეჭითებული თხოვნით თუ გაიდებოდა. 1877 წელს, როცა ილიამ „ივერია“ დააარსა, თანამშრომლად პეტრე ნაკაშიძეც მიიწვია. იმავე წელს დაიბეჭდა მისი წერილები „სასაუბრო და საფიქრებელი“, რომლებიც გამოირჩევა იდეური მიზანდასახულობით, პუბლიცისტური ვნებით, მაღალმხატვრულობითა და პოლიტიკური სიმწვავეთ. ავტორი ძირეულ სამეურნეო და სოციალურ ცვლილებებს მოითხოვს,—მრეწველობის, ცივილიზაციის მხურვალე დამკველად გვევლინება. თბილისი-ფოთის რკინიგზის გარშემო მსჯელობას პეტრე ნაკაშიძე იმ დროისათვის საყურადღებო დას-

¹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თ. პ. ნაკაშიძის ფონდი, № 84.

კენით ამთავრებს: „...როგორცა და რანაირადაც იყო, დღეს ქუთაის-შიც გვესმის ორთქლმავლის სტვენა-კივილი — ეს ძილისა და აპათიის დამფრთხობი ხმა. არ ვიცი, სხვა რასა ჰგრძნობს და მე კი რალაც გამოუ-თქმელის სიამოვნებით აღტაცებული ვარ ყოველთვის, როცა ეს ხმა მეს-მის, — ჩვენს მელომანებთან კი ღიღს ბოღიშს ვითხოვ: ჩემი პოეტური გრძნობა ამ შემთხვევაში ისე დაბნეულია, რომ თვით რიონის ნაპირე-ბის ტურფა სანახაობას, მშვენეირებით სავსე აქაურს მთაბარსა და მი-წა-წყალს ჩემს თვალში მხოლოდ მას აქეთ მიეცა სრული შნო და ლა-ზათი, რაც ზედ გაჭივი-გამოჰკივის ორთქლმავლის ძლიერი ხმა. ეს ხმა აღძრავს ჩემს გულში უმაღლეს გრძნობას კაცის მხნეობისას და მი-ღვიძებს რალაც სანუგეშო იმედებს... დღეს ისეთი დროა, როდესაც ევროპულს ცივილიზაციას ვეღარაფერი გაუმაგრდება“.

აქვე ავტორი ეხება საპარლამენტო რეფორმებს და ამ ორ, სრუ-ლიად სხვადასხვა ხასიათის საკითხზე მსჯელობით, ალეგორიულად, მთელს წერილს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ წარმართავს. რკინი-გზა რომ გაიყვანეს და პირველი მატარებლით ვმგზავრობდით, სურამ-ში შემორჩენილ ფოსტის ზედამხედველებს მოვკარით თვალი, — გაგვა-ხსენდა დილითანსებით დამქანცველი მგზავრობა და „სმოტრიტელებს“ ლანძღვა-გინებას ვუთვლიდითო, — გაღმოგვემს პ. ნაკაშიძე და იქვე შენიშნავს: — „ნეტავ რა იქნება, სხვა გაჭირვებასაც... (ცენზურის წერ-ტილები. — ა. კ.) ასე დარდიმანდულად ჩავუბრუნდეთ გვერდითა და ერთს ქართულს ლაზათიანს გინებასაც ზედ დავაზღვდეთ ოდესმე!“

წერილის მეორე ნახევარში, როცა ოსმალეთის ახალ კონსტიტუცი-აზე მსჯელობს, ავტორი შემდეგნაირად ეხმიანება ზემოთქმულს: „ამ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილებების სწრაფი მსვლელობა იმგვარია, თითქო, მართლაც რკინიგზით მირობდეს და დეპუტატების მიერ მართებულობის გაკიცხვა განა მგზავრისაგან „სმოტრიტელის“ გალანძღვას არ გვაგონებს, ზემოთ რომ ვსთქვით?“..

ოსმალეთზე, ამ ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაზე საუბ-რით პ. ნაკაშიძეს სურს უფრო მკაფიოდ დაგვანახოს მეფის იმპერიის პოლიტიკური წყობილების დრომოჭმულობა. იგი მკაცრად აკრიტიკებს გაბატონებული წრეების კონსერვატორულ თვალსაზრისს: „დღეს, მალ-ლობა ღმერთს, ის დრო დადგა, როდესაც ამისთანა ძველი ლათაიები, როგორც, მავალითად, „ჭერ საზოგადოების აზრი უნდა შეიცვალოს და ნიადაგი მომზადდეს და მერე რეფორმა შემოვიდესო“; პატივდება-ში მისაღები აღარ უნდა იყოს. მეტადრე საქრისტიანო ქვეყნებში (იგუ-ლისხმება რუსეთი. — ა. კ.), სადაც აზრიც ძრიელ შეცვლილია და ნი-ადაგიც მზად არის სრულის და მრავალგვარი რეფორმების მისაღე-ბად“... ცხადია, პ. ნაკაშიძეს აქ მხედველობაში აქვს არა რეფორმები, არამედ პოლიტიკური სისტემების იძულებითი შეცვლა, მაგრამ ამის

თქმა მას არ შეეძლო, მისი წერილი ისედაც დამახინჯებულია ცენზურის მიერ.

70-იანი წლებიდან პ. ნაკაშიძე ქუთაისში ცხოვრობდა და იქაც მრავალმხრივ საზოგადოებრივ-სამეურნეო მოღვაწეობას ეწეოდა. სხვათა შორის, პირველად იგი დაინტერესებულა გურიის ნავთით და ნარუჯაში ინიერებოც მიუწვევია საბადოების გამოსაკვლევეად.

პეტრე ნაკაშიძის ოჯახი ეროვნულ-კულტურული თაოსნების ნამდვილი კერა იყო ქუთაისში. თვით პეტრე ქუთაისის ინტელიგენციის ტონის მიმცემად ითვლებოდა. ადგილობრივი არისტოკრატები და მოხელეები ცდილობდნენ მისი მანერებისათვის წაებამათ. თვითონ, რასაკვირველია, ირონიულად უყურებდა მათს წამხედურობასა და მოდურ კოპწიაობას. ამასთან დაკავშირებით, სხვათა შორის, ასეთი გადმოცემაც შემორჩენილა: ერთხელ პეტრე ნაკაშიძე, თავისი განუშორებელი ძაღლით, ქუთაისის რესტორანში შევიდა. იქ მყოფმა არისტოკრატებმა ყური ცქვიტეს — რას მოითხოვსო. პეტრემ რაღაც განსაკუთრებული წვნიანი შეუკვეთა, სხვა მაგიდებზედაც მაშინვე იმ სუბით საცხე თეფშები გაჩნდა... პეტრემ დამცინავად გადახედა მაგიდებს და თავისი თეფში ძაღლს დაუდგა.

ხელისუფლებამ, ცხადია, იცოდა პეტრე ნაკაშიძის პოლიტიკური მისწრაფებები და ეჭვით უყურებდა მას. 90-იან წლებში, როცა ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურობამ ის წინამძღოლად აირჩია, მმართველობამ უარი უთხრა დამტკიცებაზე.

პეტრე ნაკაშიძე გარდაიცვალა 1895 წლის 10 ივლისს ბორჯომში; იქვე დაკრძალეს. მადლიერმა ხალხმა გულმდუღარედ დაიტირა სასიქადულო მამულიშვილი, ვინც კეთილად „აღასრულა ვალი თვისი“ და „დასტოვა კვალი განათლებული“.

ილია ჭავჭავაძე სწერდა ბაბაღე ნაკაშიძეს: „ეს-ეს არის გიახელ სოფლიდამ და შინ დამხვდა დიდად სამწუხარო ამბავი, რომ მე დაეკარგე ერთი ჩემი უძვირფასესი ამხანაგი და უკეთესი მეგობარი პეტრე. მწუხარება გამიორკეცდა, რომ ამ უბედურების გვიანად შეტყობის გამო არ მომეცა შეძლება თქვენის სახლობის ცრემლებთან ერთად დამეფრქვია ჩემი ცრემლიცა, როცა თქვენ ეთხოვებოდით ძვირფას გვამს თქვენი მეუღლისას და ჩემის მეგობრისას... მე კი დამრჩენია ნუგეშად ჭეშმარიტის თავმოწონებით ვთქვა, რომ ხელი, რომელიცა გწერთ ამ სამძიმარს, ხელთ სკერია მეგობრულად იმისთანა გულუბრყვილოს, საყვარელს და პატიოსანს კაცსა, — როგორიც იყო ჩვენი აწუბედური პეტრე“¹.

¹ სსმ ფონდი № 17615—ხ.

ვახტანგ თულაშვილი „საქართველოს მოამბის“ დაარსებამდე გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, ჩასწვდა ხალხის სატყეოებს და ჟურნალის პირველ ნომერშივე შეეხო დროის საქირბოროტო საკითხებს. მისმა წერილმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. „ცისკრის“ რეცენზენტი 1863 წლის მარტის ნომერში წერდა: „უფ. ვ. თულაშვილის შინაური მიმოხილვა ქვეშაობით უცხო მოვლინებაა ჩვენს ლიტერატურაში. გაბედვით ვიტყვი, რომ ჩვენს ჟურნალისტიკაში ასე ანალიზიანი, ასე წმინდათ საქმის გამსინჯველი. ჩვენი საზოგადო ნაკლოვანებებისა და იმის მიზეზის დამნაშეველი ჯერჯერობით არა გამოსულა რა... ვ. თულაშვილს ეტყობა საქმე, ეტყობა, რომ ღრმად უდევნებია თვალი ჩვენი საზოგადოებისათვის, იმისი მოძრაობისა, მიმართულებისა და აზრებისათვის“...

ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილი დაიბადა 1834 წლის 6 ნოემბერს სოფ. ზირბითში (მანგლისის მახლობლად). მამამისი ლარიბი აზნაური იყო და ვახტანგმა პატარაობიდანვე საკუთარი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით გაიკაფა ცხოვრების გზა.

ვ. თულაშვილმა განათლება მიიღო თბილისის ე. წ. სამიჯნაო სკოლაში, რომელიც მიწისმზომელ-ტიპოგრაფებს ამზადებდა. ამ სასწავლებელში გამოცდილი პედაგოგები მოღვაწეობდნენ, ადგილობრივ მკვიდრთ ისინი შემწყნარებლად ეკიდებოდნენ და საფუძვლიან ცოდნასაც აძლევდნენ.

სხვათა შორის, სამიჯნაო სკოლაში ვახტანგთან ერთად სწავლობდა მიხეილ ყიფიანი. 1859 წელს ისინი, როგორც რჩეული კურსდამთავრებულები, იქვე დატოვეს მასწავლებლად და პარალელურად „საკვირაო სკოლაშიც“ ასწავლიდნენ უხელფასოდ.

კირ. ლორთქიფანიძის გადმოცემით, 60-იან წლებში ვახ. თულაშვილს პეტერბურგის უნივერსიტეტშიც უსწავლია¹. ეს ცნობა საეჭვოა, მაგრამ უტყუარადაც რომ მივიჩნიოთ, მაინც ფაქტია, რომ აღნიშნულ პერიოდში ვახ. თულაშვილი გამუდმებით თბილისში იმყოფებოდა და უნივერსიტეტში მისი სწავლა მეტად ხანმოკლე უნდა ყოფილიყო.

წერილში — „Воспоминания о Вахтанге Тулашвили“², ანტონ ფურცელაძე ვრცლად ახასიათებს მათს იმდროინდელ საერთო საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი სიტყვით, 1859—1861 წლებში თბილის-

¹ კ. მეძველია, თერგალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, 1959, გვ. 158.

² სსშ ფონდი № 5992—ბ.

ში აქტიურად მოქმედებდა არალეგალური წრე, რომელშიც შედიოდნენ გიმნაზიისა და სემინარიის მოსწავლეები: ნ. ყიფიანი, ვ. მაჩაბელი, ლ. ჭანდიერი, ალ. კიკნაძე... ვიკრიბებოდით, აკრძალულ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს ვკითხულობდით, რათა გამოგვერკვია და აგვესრულებინა ჩვენი მოქალაქეობრივი ვალიო. აკრძალული ლიტერატურა მოჰქონდათ ყოფილ იუხეერს კ. კიკნაძესა და კ. ივანოვსო. წრეს საიდუმლო ბიბლიოთეკაც დაუარსებია, და, ამასთან, ქართულ წარმოდგენებსაც მართავდნენ თურმე.

ერთხელ, რეპეტიციის დროს, უცნობი ახალგაზრდა შემოვიდა და შენიშვნა მოგვცა, — გადმოგვცემს ანტ. ფურცელაძე. მისმა გამოცდილებამ და ნიჭმა ყველა მოგვზიბლა. ასაკითაც უფროსი იყო, ცოდნითაც მეტი იცოდა და ვთხოვეთ დაგვემარებოდა. ვახტანგმა თავის სახლში მიგვიწვია რეპეტიციების ჩასატარებლად და ჩვენი წრის სული და გული გახდაო. წარმოდგენების შემოსაქვლით, სხვათა შორის, იაკობ გოგებაშვილი სასულიერო აკადემიაში გაგვზავნეთ სწავლის გასაგრძელებლადო.

1862 წელს ვახტანგ თულაშვილმა და მის. ყიფიანმა ქართულად გადმოკეთებული ფოგელის არითმეტიკის სახელმძღვანელო გამოსცეს, „საკვირაო სკოლის“ საფასით.

1861 წელს ვახტანგ თულაშვილი ილია ჭავჭავაძის წრეს შეუერთდა და ენერგიულად მონაწილეობდა ახალთათბის საქმიანობაში, კერძოდ, „საქართველოს მოამბის“ დაარსებაში.

ილია დიდად აფასებდა მის პუბლიცისტურ ნიჭსა და პრაქტიკული მოღვაწეობის უნარს.

როცა პირველი ნომრისათვის გაშვადებული დავით ყიფიანის წერილი ცენზურამ დააკავა, რედაქტორმა ის ვახტ. თულაშვილის საინტერესო შინაური მიმოხილვით შეცვალა, რადგან მასში მკაფიოდ და თამამად იყო გამოხატული ახალთათბის სოციალური იდეალები. ეტყობა, ილიას მოეწონა ამ თხზულების ნაჭედი სტილი, ავტორის საყურადღებო დაკვირვებებიცა და გულმხურვალებაც.

წერილის დასასრულს ვახ. თულაშვილი მკითხველს ჰპირდებოდა, რომ ჟურნალის მომდევნო ნომერში გააშუქებდა ქართველი ქალის როლს ხალხისა და სამშობლოს ცხოვრებაში, იტყოდა „ჩვენი დედების ქებას“, მაგრამ განზრახვა შეუსრულებელი დარჩა.

ვახტანგ თულაშვილს არც „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ შეუწევია საზოგადოებრივ-ეროვნული მოღვაწეობა. იგი ტიპური წარმომადგენელია სამოციანი წლების პრაქტიკოსი ამადგარებისა, რომლებმაც დაუვიწყარი სამსახური გაუწიეს ჩვენს ხალხს.

1865 წელს ვახტ. თულაშვილის თაოსნობით დაარსდა „მელიქიშვი-

ლისა და ამხანაგობის“ — სტამბა, — ის იყო აგრეთვე გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი.

ზ. ჰიჭინაძე წერს: „ნ. ლოლობერიძემ მიაშრო: მაშინ „დროება“ კვირაში ერთხელ გამოდიოდა, მაგრამ, როგორც ახალი საქმე, ისე გვიჭირდა, რომ ნომრის გამოსვლის წინა დამეს... შუალამემდის სტამბაში ვრჩებოდით... ამ საქმეს ჩვენ ვმეთაურობდით — დ. ბაქრაძე, სტ. მელიქიშვილი, ვახტ. თულაშვილი და მე“¹.

„მელიქიშვილისა და ამხანაგობის“ სტამბა ეკუთვნოდა სამ პირს — სტეფანე მელიქიშვილს, დიმიტრი ბაქრაძესა და ვახტანგ თულაშვილს; საამხანაგო პირობის ძალით, 1873 წლამდე, ქართული ჟურნალისტიკის განვითარების განსაკუთრებით ძნელ პერიოდში, მას მხოლოდ ვახტანგ თულაშვილი მართავდა².

ამავე დროს, ვახ. თულაშვილი აწყობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებს, ლიტერატურულ საღამოებს, აგროვებდა სხვადასხვა საქველმოქმედო-ეროვნული ფონდის სახსრებს, ხორცს ასხამდა ახალთაობის კულტურულ წამოწყებებს.

1871 წელს ილია ჭავჭავაძე დუშეთიდან სწერდა დავით ყიფიანს: „ამასწინათ ვახტანგ თულაშვილის წიგნი მომივიდა, რომლითაც იგი მთხოვს მონაწილეობა მივიღო სალიტერატურო საღამოში“.

ვ. თულაშვილმა თვალსაჩინო მონაწილეობა მიიღო მუდმივი ქართული თეატრის აღდგენასა და საადგილ-მამულო ბანკის დაარსებაში, ხოლო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების — ეროვნული მოძრაობის ამ მძლავრი კერის შექმნაში, მან, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი შეასრულა.

„ჭერ ისევ... 1870-იან წლებში, — წერდა ის 1904 წელს, — შევიყარენით რამდენიმე ახალგაზრდა კაცი (ქალებიც ერივნენ), რომლებსაც ყოველთვის შემოაქონდათ სალაროში თითო მანეთი (ზოგს მეტიც). ამნაირად შეგროვილის ფულით დაეარსეთ სკოლა სოფ. ხოვლეში. მერე დაგვებადა აზრი დაგვეარსებინა წერა-კითხვის საზოგადოება“³.

თანამედროვენი და მკვლევარები, მართლაც, ადასტურებენ, რომ ვახტ. თულაშვილმა გააცნო დიმ. ყიფიანს, ნიკ. ცხედაძეს, ი. გოგებაშვილს რუსეთიდან გამოთხოვილი წესდება, მათთან ერთად მოამზადა საზოგადოების წესდების პროექტი და შეკრიბა დამფუძნებელ წევრთა ხელმოწერა⁴. სხვადასხვა დროს იგი არჩეული იყო წ-კგს ხან გამგეობის, ხანაც სარევიზიო კომისიის წევრად. ვახ. თულაშვილი, თითქ-

¹ ზ. ჰიჭინაძე, ისტორია ქართლის გაზეთებისა და ჟურნალებისა, გვ. 33.

² „საბაასო“, „დროება“, 1875, № 29. გვ. 3.

³ „საქართველოს კალენდარი“, 1904; აგრეთვე: „მოამბე“, 1895, № 5.

⁴ ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგური... ნაწერები, ტ. 1, 1920; აგრეთვე: ჟურ. „განათლება“, 1911, № 2.

მის, ყველა იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა „დროებაში“, „ივერიაში“, „მოამბეში“ მას ბევრი საინტერესო წერილი აქვს გამოქვეყნებული სახალხო განათლების, ისტორიის, ჟურნალისტიკისა და სხვა საკითხებზე.

80—90-იან წლებში ვახ. თულაშვილი ახალციხეში მსახურობდა გამძიმავ-მიწისმზომელად, შემდეგ წინადადება მისცეს განჯაში გადასულიყო ამავე თანამდებობაზე, მაგრამ არ ინდომა და სამსახურს თავი გაანება. 1880 წლიდან ვ. თულაშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის მომზადებაში¹.

თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე მომქმედი საზოგადო მოღვაწე — ვახტანგ თულაშვილი, სხვებსაც მხურვალედ მოუწოდებდა ხალხის სამსახურისაკენ: „ვინც ფიქრობს, ზრუნავს, ყველა უწესობაზედ გული უკვდება... დიდხანს ვერ იცოცხლებს, მაგრამ ის მოკლე სიცოცხლე სჯობს ასის წლის უგუნურსა და პირუტყველს სიცოცხლეს... ოდესმე იმისთანა დროც დადგება, როდესაც საზოგადოება დააფასებს ნამდვილსა და ერთგულს მამულიშვილს და გარჩევს, ვინ ემსახურებოდა თავის ქვეყანას სულითა და გულით, ვინ იღვწოდა მისთვის საქმით და ვინ მხოლოდ ლიტონის სიტყვითა“.

ვახ. თულაშვილი გარდაიცვალა 1910 წლის 9 დეკემბერს. დასაფლავებულია თბილისში.

სულხან ბარათაშვილი

„საქართველოს მოამბის“. პირველი ნომრის სამეცნიერო ნაწილი იხსნება სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიით“, რომელიც ილია ჭავჭავაძის მიერ არის გადმოთარგმნილი და მისივე საყურადღებო შენიშვნებით დაიბეჭდა.

სამშობლოს ისტორიით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურთა დაინტერესება საეხებით ბუნებრივი იყო, მაგრამ მათი არჩევანი რომ იმ დროისათვის არც თუ ძალიან სახელმძღვანელო ისტორიკოს სულხან ბარათაშვილზე შეჩერებულა, უთუოდ, მოითხოვს მცირე კომენტარს.

სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი დაიბადა 1821 წლის 18 სექტემბერს თბილისში. მამამისი შეძლებულ მემამულედ ითვლებოდა მარაბდაში და შეეძლო კიდევ შვილებისათვის შესაფერი განათლება მიეცა, მაგრამ სულხანი ადრე დაობლდა — 1832 წელს მამა გარდაეცვა-

¹ „ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები“, ტ. 1, გვ. 138.

ლა, ხოლო ერთი წლის შემდეგ — დედაც დაკარგა (თადეოზ ნაცვლი-
შვილის ასული ნატალია).

შვიდი წლის სულხანი მშობლებმა თბილისის „კეთილშობილთა
სასწავლებელში“ მიაბარეს. აქ მას დიდხანს არ დასცალდა სწავლა —
დედის სიკვდილის შემდეგ, 1834 წელს ნათესავეებმა ის პეტერბურგში,
„პავლეს კადეტთა კორპუსში“ გაგზავნეს. ნიჭიერი და ბეჯითი სულხანი
მუდამ პირველ მოწაფედ ითვლებოდა, მაგრამ პირდაპირობისა და
ალალმართლობისათვის ადმინისტრაციას მაინც ათვალწუნებული ჰყავ-
და და „კორპუსი“ რომ დაასრულა, შესაფერი სამხედრო ხარისხი არ
მისცეს. ავადმყოფობაც აბრკოლებდა და მხედრულ ცხოვრებას სამო-
ქალაქო სამსახური არჩია, — „კოლეჯსკი რეგისტრატორის“ ჩინით
1840 წელს თბილისში ჩამოვიდა. მშობლიური ფუძე საგრძნობლად
შერყეული დახვდა, და თანაც, რაკი უმნიშვნელო ადგილი ეკავა და
მცირე ხელფასი ჰქონდა, ნათესავეებიც არაფრად აგდებდნენ და ცხოვ-
რება უჭირდა. „სიღარიბე მიშლიდა ყველაფერში ხელსა“ — საყვედუ-
რობს ერთგან.

1842 წელს, როცა ცოტა გამოჯანმრთელდა, სულხანმა სამხედრო
სამსახური ითხოვა, და ვიღაც „დიდკაცის“ შეამდგომლობით ოფიც-
რობა („პრაპორშჩიკობა“) უბოძეს.

1845 წელს სულხანი დაოჯახდა — შეირთო პეტრე სემიანიკოვის
ასული ლიზა (დედით მაჩაბელი), რომელმაც ერთგული მეგობრობა გა-
უწია ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

1848—1857 წლები ს. ბარათაშვილმა კავკასიის ბრძოლის ველზე
გატარა, უშიშარი მეთომრის სახელი მოიხვეჭა. 1858 წელს ყაბარდოს
ოლქის უფროსის მოადგილედ დანიშნეს, სადაც „დაიმსახურა სახელი
მართალის და მოუსყიდველის ადმინისტრატორისა“.

სულხან ბარათაშვილის ამ მხედრულ, — „კადეტთა კორპუსსა“ და
ცეცხლის ხაზზე გატარებულ ცხოვრებას რომ ვეცნობით, — გაკვირ-
ვება გვიპყრობს, — როგორ დაწერა მან საქართველოს ისტორია, რო-
მელმაც მაშინდელი პროგრესული საზოგადოება აღაფრთოვანა. ცხოვ-
რების უკუღმართობით შექმნილი დაბრკოლებები სულხანმა დაძლია
თვითგანვითარებით, გასაოცარი შრომისმოყვარეობით, ნიჭითა და პატ-
რიოტული შთაგონებით.

სამშობლოს წარსულმა ის თბილისის კეთილშობილთა სასწავლე-
ბელშივე გაიტაცა, მაგრამ პეტერბურგის კადეტთა კორპუსში ერთ შემ-
თხვევას გადამწყვეტი როლი შეუსრულებია ამ მიმართებით. — მას-
წავლებელ ჩერნიაევს გაკვეთილზე, სხვათა შორის, თამარ მეფის დრო-
ინდელი საქართველო საბერძნეთისთვის დაუდარებია, რააც მძლავ-
რი შთაბეჭდილება მოუხდენია მგრძნობიაჭე სულხანზე. „17 წლისამ
ჩავენერგე გულში, — გადმოგვეცემს იგი, — გამეგო, რა იყო მიზეზი სა-

ქართველოს გაძლიერებისა და მერე დაცემისა¹. მთელი სიცოცხლე, მართლაც, ამ საქმეს შესწირა. მასწავლებელ ჩერნიაევის დახმარებით მას ჯერ პროფესორი ო. ი. სენკოვსკი გაუცვნია, რომელსაც კარგი რჩევა-დარიგება მიუცია. სენკოვსკის, თავის მხრივ, კრავცისკისთან უშუაშდგომლია და, ამრიგად, „კადეტთა კორპუსის“ აღსაზრდელი მეცნიერ ისტორიკოს-ლიტერატორთა წრეებს დაახლოებია. ამიერიდან, სულხანი ნიადგ ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში იყო, ბეჯითად ეცნობოდა ისტორიულ ნაწერებს და ყველაფერს, რაც კავკასიისა და საქართველოს წარსულს ეხებოდა, გულმოდგინედ სწავლობდა. 40-იან წლებში სულხანმა თბილისშიც განაგრძო საქართველოს ისტორიის წყაროების შესწავლა. ამ მიზნით, ის რუსეთ-სპარსეთის ომის მასალების შემკრებ კომისიაშიც მოეწყო თავ. ბეგთაბეგოვთან და ამის შემდეგაც, სადაც არ უნდა გადაეტყორცნა სამხედრო სამსახურს, ყოველ თავისუფალ წუთს სანუკვარი ოცნების განხორციელებას ახმარდა. ასე განუწყვეტლად მდიდრდებოდა მისი ცოდნა სამშობლოს წარსულზე, ასე შეუჩერებლად გროვდებოდა სხვისთვის მანამდე ხელმიუწვდომელი მასალა, ასე იბადებოდა ახალ-ახალი დაკვირვებები და დასკვნები, მაგრამ. კაპიტალური ნაშრომის გამოქვეყნებას სულხანი მაინც არ ჩქარობდა... შეისწავლა დამოუკიდებლად ფრანგული, გერმანული, ლათინური ენები, სურდა საზღვარგარეთ წასულიყო და იქაურ სიძველეთსაცავეებში დაცულ საქართველოს ისტორიის ძეგლებსაც გასცნობოდა და, რაკი ეს ვერ მოახერხა, მიწერ-მოწერა გამართა უცხოელ მეცნიერებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან. ამ საქმეში, სხვათა შორის, მარი ბროსეც უწყობდა ხელს.

„საქართველოს მოამბის“ დაარსებამდე სულხან ბართაშვილს მხოლოდ მცირე წერილები ჰქონდა დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთებში. პირველი ასეთი სტატია მან 1847 წელს გამოაქვეყნა „კავკაზში“² და მალე „კადემიის თანამშრომელ წევრად აირჩიეს“. მოგვიანებით შეადგინა «Краткое историческое обозрение постепенного падения Грузинского царства», რომელიც არ დაუბეჭდავს. 1861 წელს ყურადღება მიიქცია გამოკვლევით «О хозяйстве в большой и малой Кабарде». ამავე პერიოდში, სხვათა შორის, ყაბარდოული ლექსიკონის მასალაც შეუკრებია და უსლარისთვის გაუგზავნია.

თბილისის მოწინავე ინტელიგენციისათვის სულხან ბართაშვილი უფრო იმით იყო ცნობილი, რომ მას ყველაზე მდიდარი და იშვიათი გამოცემების ბიბლიოთეკა ჰქონდა, — რომ ამ წიგნებს ის თავა-

¹ ვახ. თულაშვილი, „რამდენიმე სიტყვა თავად სულხან ბართაშვილზე“, „დროება“, 1866, № 34.

² ს. ბართაშვილის ნაწერებში ბიბლიოგრაფია. იხ. თ. სახოკია, „მოამბე“, 1896, № 34.

ზიანად ათხოვებდა სამშობლოს წარსულით დაინტერესებულ პირებს. იცნობდნენ, აგრეთვე, როგორც ნიჭიერ მხატვარს, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით ხატავდა ქართველ მეფეთა და მხედართმთავართა პორტრეტებს. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები მიიზიდა სულხან ბარათაშვილის წერილებმაც, მათი ავტორის თავგადასავალმაც, მისმა პატრიოტულმა ენთუზიაზმმა, აკადემიურმა სიღინჯემ და ოპტიმიზმმა.

„ქავკაზში“ 1861 წელს დაბეჭდილ ერთ წერილში სულხან ბარათაშვილი წერდა: „ქართველებს თავისი საკუთარი უნივერსიტეტი არა აქვთ... და ეგ არის თავი და თავი მიზეზი და ნაკლი იმისა, რომ ასე მცირედნი არიან მათს შორის განსწავლულნი მეცნიერების ყოველსავე დარგსა შინა, თუმცა თავისი ბუნებრივი ნიჭის წყალობით შეეძლოთ მტკად დაწინაურებულნიყვნენ... გარნა ყოველმანვე ამანა; ჩვენის აზრით, არამც თუ უნდა დააბრკოლოს და შეაფერხოს ქართველები, პირიქით, უნდა გააორკეცოს გულმოდგინება მათი... შრომა და მეცნიერება ყოველსავე სძლევს და ჭეშმარიტებას უეჭველად მიადწევენ, ოღონდ კი იშრომონ“¹.

ასეთ პიროვნებაში ახალ თაობას, უთუოდ, უნდა ეგრძნო სულის თანაზიარი, მხარდამჭერი, და იგი არც შემცდარა. ჟურნალის რედაქციის თხოვნაზე — გამოეგზავნა დასაბეჭდად რაიმე თხზულება, „იმან მაშინვე გამოგზავნა (თავისი ისტორიის) პირველი რვეული, თან ბოდიშსაც იხდიდა — ქართულად არ არის დაწერილიო“, და პირიდებოდა: „ვედები, სხვა რამე შემწეობაც მივეცე ჟურნალსაო“².

სულ. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“ ხუთი ნაწილისაგან შედგება და მეცამეტე საუკუნის დასაწყისამდე აღწევს. „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილია ამ ნაშრომის დასაწყისი, რომელიც შეიცავს „კერპთაყვანისცემის სარწმუნოების დროსა საქართველოში“, — „ძველი ისტორიის სამძღვრად არჩეულია ქრისტიანობის მიღება“.

მეცნიერების განვითარების მაშინდელი ღონის შესაბამისად, ავტორს აღდგენილი აქვს ქართველი ტომების უძველესი ცხოვრების სურათი, ნაჩვენები აქვს მათი შეუპოვარი ბრძოლა ეროვნული თვითმყოფობის დასაცავად, მთლიანობაში აქვს განხილული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს წარსული; თავმოყრილი და სისტემატიზებული აქვს ბევრი ფაქტი, რომელიც მანამ არავის გამოუყენებია ქართველი ხალხის შორეული წარსულის გასაშუქებლად. სხვა რომ

¹ თ. სა ხ ო კ ი ა, „თავადი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი“, „მოამბე“, 1896, № 7, განყ. II. გვ. 1—46.

² ვახ. თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, „რამდენიმე სიტყვა თავად სულხან ბარათაშვილზე“, „დროება“, 1866, № 34.

არაფერი ვთქვათ, სულ. ბარათაშვილის ნაშრომი აღნიშნულ გარემო-
ებათა გამოც მიიპყრობდა ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების
საგანგებო ყურადღებას. ამ ხასიათის ისტორიული ნაშრომის შექმნა
და „საქართველოს მოამბეში“ მისი გამოქვეყნება ქართველი ხალხის
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოვლინე-
ბაა. საქართველოს ისტორიის არცერთ ნაშრომს არ გამოუწვევია ასე-
თი ფართო გამომხატულება. საზოგადოებამ ალტაცებით მიიღო ის. იმა-
ვე წლის მარტში ანტ. ფურცელაძე „ცისკარში“ აღნიშნავდა: „საქარ-
თველოს ისტორია თ. სულხან ბარათაშვილისა მართლაც და ღირსშე-
სანიშნავი ნაშრომია. აქ ეტყობა ავტორის შრომისა და მეცნიერების
მოყვარობა“. ერთ კერძო წერილში დიმ. ბაქრაძე წერდა: „...იმედო
არა მქონდა თუ ჩვენთაგანი, საქართველოს შვილთაგანი ვინმე, აწინ-
დელს დროში ასეთს შრომას დაუღებდა თავსა“¹.

„ამ მოღვაწის გამოსვლამ სამწერლო ასპარეზზედ ჩვენი ქვეყნის
გულშემატყვიართა იმედით აღუვსო გული, სასოწარკვეთილთ ნუგეში
მოჰფინა; ვისაც კი დაფასება შეეძლო საზოგადო მოღვაწისა, ჭეშმა-
რიტად დააფასა სულხან ბარათაშვილი. ყოველს მისს წერილსა... ყვე-
ლა სასოებით აღევნებდა თვალყურს“ (თედო სახოკია)².

ქართული პრესა კიდევ დიდი ხნის მანძილზე სცნობდა სულ. ბარათაშვილის ნაშრომს „დღემდის საუკეთესო ისტორიად საქართველო-
ისა“³, ამტკიცებდა, რომ „ბარათაშვილის ისტორიისთანა დამუშავებუ-
ლი შრომა პრაგმატული ისტორიისა ჩვენ ჯერ არ მოგვეძებნება“⁴.

პროფ. გრ. ნათაძემ 1934 წელს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა
სულ. ბარათაშვილის ნაშრომს «Сулхан Баратов как историк
Грузии», რომელშიც ის აღიარებს ამ თხზულების მეცნიერულ ღი-
რებულებას, აქებს ავტორის დიდს ერუდიციას და წერს: «Этот ис-
торик представляет интерес в том отношении, что он стоит оди-
ноко среди других историков своим... попытками применения
европейских социологических теорий того времени к истории
Грузии. В этом отношении он нам представляется историком об-
ладавшим большой эрудицией, особенно по сравнению с дру-
гими»... რომ ის ცდილობდა: «...Отыскать, основную движущую
силу истории Грузии».

მაგრამ, ამასთან, გრ. ნათაძეს სულხან ბარათაშვილის ნაშრომი
განხილული აქვს ისტორიული ასპექტის გარეშე, საქართველოს
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან მოწყვეტით და
ნაძალადევად დაეძებს მასში იმდროინდელ ევროპელ ისტორიკოსთა

¹ „მოამბე“, 1896, № 7.

² იქვე.

³ „დროება“, 1885, № 184.

⁴ „კვალი“, 1895, № 53.

გაეღწეოს კვლავ. მთელ რიგ შემთხვევაში იგი, უთუოდ, მართებულად აკრიტიკებს სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ ნაკლოვანებებს, მაგრამ ზემოთ მითითებული მიზეზების გამო, მას ძალა არ შესწევს სწორად განსაზღვროს ამ ნაშრომის წვლილი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სულხან ბარათაშვილი თვითონაც გრძნობდა თავისი თხზულების სუსტ მხარეებს და, ვახტანგ თულაშვილის გადმოცემით, ამბობდა, ჭერ ბევრი მასალა აკლია საქართველოს ისტორიკოსს და რაც არის, „იმასაც ძალიან დიდი კრიტიკული სჯა უნდაო. ჭერჭერობით მასალის შეკრებაა მთავარი, მერე რიგიანად უნდა „გაიჩხრიკოს ეს მასალა... ეს ახალგაზრდა შთამომავლობის ვალია... მე ხომ ვეღარ მოვესწრები... და რაც შემიძლიან, მასალას შევიმზადებთო“¹.

სულხან ბარათაშვილის ნაშრომის „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ნაწილი, როგორც კარგი თარგმანი, რომელიც ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნდა და რომელსაც ბეჭდვის პროცესში „თვითონ აელებდა თვალს“, — უცვლელად შეიტანეს ამ წიგნის 90-იანი წლების გამოცემაში (სულხან ბარათაშვილმა ქართული ენა ისე კარგად არ იცოდა, რომ მეცნიერული ნაშრომები ქართულად დაეწერა).

თანამედროვენი სულ. ბარათაშვილს „დაუცხრომელ პროტესტანტს“ ეძახდნენ, — „სამსახურში უბედური იყოო“, — წერენ, — „იმისთანა ხასიათის კაცები სამსახურში წინ ვერ წაელენ, იმისთანა განუდრეკელის ხასიათის კაცს სამსახური ვერ შეიფერებსო“.

ყაზარდოში სამსახურის დროსაც იგი ენერგიულად ესარჩლებოდა ხალხს და ამ ნიადაგზე განუწყვეტლივ შეხლა-შემოხლა ჰქონდა თავის მექრთამე, კატომოძულე უფროსთან. ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა 1865 წელს თანამდებობაზე უარი ეთქვა და თბილისში დაბრუნებულიყო. აქედან დიმიტაროსელსკიმ (ილია ჭავჭავაძის ქვიისლმა, — საფიქრებელია, ილიას შუამდგომლობით) ყაზარდოდან წამოსულ სულხან ბარათაშვილს, როგორც იქნა, მაიორობა უბოძა და 1866 წელს აფხაზეთში გაგზავნა აჯანყების მიზეზების გამოძველენი კომისიის წევრად. ერთი მოულოდნელი თავდასხმის დროს სულხანის ცხენიდან ჩამოვარდა, რამდენიმე დღის შემდეგ, 1866 წლის 13 აგვისტოს, გარდაიცვალა და სოხუმში (ყოფ. წმ. გიორგის ეკლესიის შესაველ კარებთან) დააფლავდა².

¹ „დროება“, 1866, № 34.

² გარდაცვალების 30 წლისთავე, 1896 წელს სოხუმის მოწინავე საზოგადოებამ ხელმოწერით საკმაო თანხა შეაგროვა მის საფლავზე მარმარილოს ქვის დასადგმელად („კვალი“, 1896, № 36, გვ. 637).

ნაცნობ-მეგობრებმა მტკივნეულად განიცადეს სულხან ბარათაშვილის ტრაგიკული აღსასრული. „იმისი სიკვდილი ძალიან დიდი დანაკარგია ჩვენთვის“, — წერდა იმ დღეებში გაზ. „დროება“. გრიგოლ ორბელიანი სწერდა ალექსანდრე ორბელიანს: „ჩემო ბიძავე ბატონო ალექსანდრე! ამას წინათ ჩემთან იყო გიორგი ერისთავი და მიაშობ განწირულებითი მდგომარეობა საწყალის ტიხონის ბარათაშვილის სახლობისა და ესეც მითხრა, რომ რაოდენთამე მიგილიათ ქრისტიანებრივი მზრუნველობა შეწვევისათვის უნუგეშოდ დაშთომილისა ქვრივობლებისა მისისა. მოიმედე ვარ, რომ იმა კეთილს საქმეში მეცა მყოფ თანამოზიარედ; და მის გამო მომირთმევია ამჟამად სამი თუმანი. გთხოვ, რომ გაუგზავნო საბრალოს ტიხონის ქვრივს.

ტიხონსა ვიცნობდი მე კარგად. მას უდროოდ დამიწებულსა, თავდადებით უყვარდა საქართველო, რომლის ისტორიას შესწირა თავისი სიცოცხლე. მოკვდა საქართველოს ისტორიკოსი და საქართველომ ვერც კი გაიგო სიკვდილი მისი“¹.

სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ პირველი რვეული ავტორის სიცოცხლეში, 1865 წელს დაიბეჭდა რუსულად, ხოლო დანარჩენი 1871 წელს გამოვიდა პეტერბურგში.

1888 წელს თბილისში ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“, გადათარგმნილი მურიეს მიერ.

1886 წელს გაზ. „თეატრი“ საზოგადოებას აუწყებდა, ქუთაისელ ყმაწვილ კაცებს მთლიანად გადმოუთარგმნიათ სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“ და გამოცემასაც აპირებენო².

„ქართული სიტყვიერების მოყვარულმა ქუთათურმა წრემ“ თარგმნა მიანდო ე. მჭედლიძესა და სილ. ხუნდაძეს, პირველი რვეული 1895 წელს გამოვიდა ქუთაისში, მეორე — 1896 წელს. ასე რომ, ორმოცი წლის შემდეგაც საზოგადოებამ დიდი სიხარულით მიიღო სულ. ბარათაშვილის ნაშრომი. „კვალმა“ ის ქართული ისტორიული ლიტერატურის დიდ განძად გამოაცხადა.³

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ „საქართველოს მოამბის“ არჩევანი სწორი იყო. სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“ ახალთაობის ეროვნულ მისწრაფებებს ეხმაურებოდა. თერგდალეულები მის ავტორს თავიანთ მეგობრად და თანამგრძნობად თვლიდნენ.

¹ ი. მ. მ. უნარგია, „ქართველი მწერლები“, გვ. 267; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გრ. ორბელიანის ფონდი, № 33.

² „თეატრი“, 1886, № 17.

³ „კვალი“, 1895, № 53.

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი იმ ბედნიერ ქართველთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ხსოვნას ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა საგანგებო წერილი და მადლიანი კალმით შთამომავლობას მათი მარადიული სახე გამოუკვეთა.

„მიხეილ ყიფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, — წერდა ილია, — რომელთ მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტოვებს ცოცხლად მის დაპყრობილს ადგილსა... მან იგი სიკეთე ჰქმნა, რის შემძლებელიც იყო და ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებელიც არის, ქვეყანაზე უბედურნი აღარ იქნებიან“¹.

მიხეილ ყიფიანი დაიბადა 1833 წლის 12 აპრილს, სოფ. ქვიშხეთში. მამამისი დიმიტრი ყიფიანის მკვიდრი ბიძაშვილი იყო. პირველდაწყებითი განათლება მიიღო გორის სამაზრო სასწავლებელში,² რომელიც 1849 წელს დაამთავრა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სამიჯნაო სასწავლებელში, სადაც თითქმის ათი წელიწადი სწავლობდა.

ამ სკოლას, რომელიც 1846 წელს დააარსა მეფის ნაცვალმა მიხ. ვორონცოვმა, მეტად ვიწრო პროფილი ჰქონდა — მიწისმზომელ-ტოპოგრაფები უნდა მოემზადებინა მემამულეთა სამფლობელოების გასამიჯნაოდ, მაგრამ თვითგანვითარებითა და პედაგოგთა დახმარებით, მიხ. ყიფიანმა მრავალმხრივი, საფუძვლიანი ცოდნა შეიძინა, თბილისის პროგრესულ წრეებს დაუახლოვდა და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსასვლელად მოემზადა.

სამიჯნაო სკოლა მიხ. ყიფიანმა პირველ მოწაფედ დაამთავრა და, ვახტანგ თულაშვილთან ერთად, იქვე დატოვეს მასწავლებლად. მალე მას საუკეთესო პედაგოგის სახელი მოუხვეჭია და მაღალი წრის ოჯახებშიც იწვევდნენ აღმზრდელად. სხვათა შორის, დიმიტრი ყიფიანსაც უთხოვნია დახმარებოდა უფროსი ვაჟის — ნიკოს აღზრდაში, რომელიც ორმოცი წლის შემდეგაც არაჩვეულებრივი სიყვარულით იგონებდა თავის მასწავლებელს, აღტაცებით წერდა მის ზნეობრივ სისპეტაკესა და პედაგოგიურ მეთოდზე³.

ამავე დროს, მიხ. ყიფიანი „სამიჯნაო კომისიაშიც“ მსახურობდა, „საკვირაო სკოლაშიც“ ასწავლიდა⁴ და ეროვნულ-საზოგადოებრივ

¹ ივერია“, 1891, № 53.

² „კავკაზი“, 1847, №13, გვ. 4; მ. ყიფიანი, გეომეტრია, 1 ნაწ. 1888.

³ „ქვალი“, 1893, № 15.

⁴ В. Тулаев. О первой воскресной школе в «Тифлисе», «Новое обозрение», 1901, № 561.

საქმიანობაშიც მხურვალედ მონაწილეობდა. 1859 წლის დასასრულს ეურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა რუსულიდან გადმოკეთებული პეტრე გლინოსაროვის ისტორიული მიმოხილვა — „მეფე სოლომონ II-ზე და მის დროს განმგებლობასა ზედა“. ეს ვრცელი თხზულება მას იმ დროისათვის საკმაოდ მსუბუქი ენით აქვს დაწერილი.

1862 წელს მიხეილ ყიფიანმა და ვახტანგ თულაშვილმა ერთად გამოსცეს არითმეტიკის სახელმძღვანელო. ამ იშვიათ მოვლენას ალტაეებით შეხვდა ადგილობრივი პრესა. „ცისკარის“ 1863 წლის იანვრის ნომერში რეცენზენტი აღნიშნავდა: „წარსულს წელიწადს უ. უ. თულაშვილმა და ყიფიანმა გამოსცეს ქართულს ენაზედ არითმეტიკა, რომელიც ჭერ არ გვქონდა ქართულს ენაზედ და რასაც ასწავლიან ახლა სახალხო სასწავლებელში“. ნიკ. ბერძნიშვილმა გაზეთ „კავკაზში“ (1863, №53) ალტაეებით შეაფასა აღნიშნული სახელმძღვანელო, რომელიც ავტორთა უანგარო პატრიოტული მოღვაწეობისა და გულმოდგინე შრომის ნაყოფი იყო. ვფიქრობთ, ეს წამოწყებაც ილია ჭავჭავაძის წრის მიერ იყო შთაგონებული და ახალთაობის ეროვნული აღზრდის პროგრამის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ისევე, როგორც იმავე 1862 წელს დაეით ყიფიანის კერძო პანსიონის დაარსება. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ მიხეილ ყიფიანი და ვახტანგ თულაშვილი ილიას წრის მოღვაწეები იყვნენ.

1862—1863 წლებში მიხ. ყიფიანი ენერგიულად შეელოდა ილიას „საქართველოს მოამბის“ გამოცემაში. ამ ეურნალის მე-10, 11 და მე-12 ნომრებში გამოაქვეყნდა. მისი თარგმანი — მიხ. ლერმონტოვის „ჩვენი დროების გმირი“. მიხ. ყიფიანმა დაბეჭდა: „ბელა“, „მაქსიმ მაქსიმოვიჩი“ და „ტამანი“. როგორც ჩანს, არ გამოუთარგმნია „თავადის ქალი მერი“ და „ფატალისტი“. თარგმანის ენა ოდნავ არქაულია, მაგრამ იმ დროს მას, უთუოდ, ჰქონდა ერთგვარი მხატვრული ღირებულება. განსაკუთრებით საყურადღებო კი ის არის, რომ მთარგმნელის არჩევანი ლერმონტოვის ამ თხზულებაზე შეჩერებულა.

1864 წელს მიხეილ ყიფიანი თბილისის საოლქო სასამართლოს სამიჯნაო ნაწილის წევრად დანიშნეს და ამიერიდან, განუწყვეტლად ამ დარგში უხდებოდა სამსახური, მაგრამ საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობას, „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგაც, წინანდელი გულმხურვალეებით განაგრძობდა. 1867 წელს „ცისკარის“ პირველ და მე-2 ნომრებში დაბეჭდა შექსპირის „იულიუს ცეზარის“ თარგმანი.

მიხეილ ყიფიანმა დაუევიწყარი მონაწილეობა მიიღო გაზეთ „დროების“ დაარსებაში. „მელიქიშვილისა და ამხანაგობის“ სტამბისათვის

მან მოიგონა და დახაზა ქართული შრიფტი, რომელიც „ვენურის“ სახელითაა ცნობილი და დიდი გავრცელება ჰპოვა¹.

1868 წ. მიხეილ ყიფიანი „სახაზო რუკების“ დაწესებულების უფროსად დანიშნეს, ხოლო ორი წლის შემდეგ თერგის მხარის „გამჯენის სამმართველოში“ გადაიყვანეს, მერე ამ სამმართველოს უფროსი გახდა და 1870 წლიდან საცხოვრებლად კავკაზში გადასახლდა, თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა.² მიუხედავად ამისა, მიხეილ ყიფიანი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად 70—80-იან წლებში შექმნილი ყველა საზოგადოებრივ-კულტურული წამოწყების მესვეურთაგანი იყო. მის სახელს ვხვდებით წ-კ გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შორის. 1881 წელს ამ საზოგადოებას მან, სხვათა შორის, ქართულ ხელნაწერთა ძვირფასი კოლექცია („ვისრამიანი“, „სარკე თქმულთა“, „ბარამ გულიჯანიანი“ და სხვ.) შესწირა. ამავე საზოგადოების სახელით კავკაზში (ახლა ორჯონიკიძე) მან დააარსა ქართული სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა ჩვენი კულტურის ისტორიაში. უფრო მოგვიანებით, ასეთივე სკოლას საფუძველი ჩაუყარა სოფ. სტეფანწმინდაში (ახლა ყაზბეგი). განსაკუთრებული დამსახურების გამო, 1880 წელს მიხეილ ყიფიანი რაფ. ერისთავსა, გ. თუმანიშვილსა და ნიკოლოზ ჯანანაშვილთან ერთად, არჩეული იქნა ქართული დრამატული საზოგადოების პირველი გამგეობის წევრად.

მიხეილ ყიფიანმა ახალი ენერგიით განაგრძო 1862 წელს წამოწყებული მუშაობა ქართული მათემატიკური სახელმძღვანელოების შედგენის დარგში. ამ მიზნით მან „გადაათვალიერა თუ რამ სამათემატიკო შინაარსის ძველი ხელნაწერები მოიპოვებოდა და ამოკრიბა გამოსადეგი ტერმინები“. მათემატიკის დარგში მიხ. ყიფიანმა ისეთივე ღვაწლი დასდო ქართულ სკოლას, როგორც ქართულ ენასა და ლიტერატურაში იაკობ გოგებაშვილმა. 1884 წელს მან დაბეჭდა თავისი ორიგინალური, მეტად ვრცელი, არითმეტიკის სახელმძღვანელო (451 გვ.); 1888 წელს — გეომეტრიის პირველი ნაწილი (პლანიმეტრია), ხოლო 1891 წელს — მეორე ნაწილი (სტერეომეტრია, გეოდეზია, ტრიგონომეტრია, ლოგარიტმების ცხრილით)³.

1886 წელს, როცა „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ერთგული თანამებრძოლი წვრილ კორესპონდენტციებს უგზავნიდა გაზეთს.

ამავე ხანებში დაიბეჭდა მისი საინტერესო ისტორიულ-სამხარეთ-

¹ «Новое обозрение», 1891, № 2477.

² გ. თუღაშვილი, „მოამბე“, 1895, № 5.

³ მ. ბერძენიშვილი, პირველი ბეჭდური ქართული არითმეტიკისათვის. კრებული: „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, I, 1937.

მცოდნეო ნარკვევი — «От Казбека до Эльбруса — Путевыя заметки о нагорной полосе Терской области».

კიდეც „ბეგერი რამ კეთილი ფიქრი და აზრი ჰქონია“ მიხ. ყიფიანს. კერძოდ, განზრახული ჰქონია თბილისში „დიდის ქართველთა სააქციონერო საეპრო და სამრეწველო საზოგადოების“ დაარსება, რომლის წესდების პროექტი „ივერიაში“ დაიბეჭდა. თანამედროვეთა ჩვენებით, მიხ. ყიფიანი არაჩვეულებრივი მოქალაქე ყოფილა—სამშობლოს ინტერესების ერთგული და თავგანწირული, კაცთმოყვარე, ბეჭითი, ჩუმი და უპრეტენზიო. „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“ (გენერლის) ჩინი მას ხელს არ უშლიდა გულითადი ურთიერთობა ჰქონოდა მოსახლეობის ყველა ფენასთან. იგი განურჩევლად უყვარდა ყველა ტომის ხალხს და თვითონაც ყველასათვის ზრუნავდა, სხვათა შორის, ოსური სკოლებიც დაუარსებია.

მიხ. ყიფიანის გარდაცვალებამ, 1891 წლის 2 მარტს, ყველა დაამწუხრა. 5 მარტს „ივერიაში“ დაიბეჭდა გრიგოლ ყიფშიძის („გ.—გ.—ს“) ნეკროლოგი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ (№53) ილია ჭავჭავაძის მეთაური წერილიც გამოქვეყნდა. ილია წერდა: „სულ ორი დღის წინათ, მანამ სიკვდილი სამუდამოდ დაადუმებდა ამ დაუღუმებელს, ქვეყნისათვის პატიოსან კაცს, იგი იწერებოდა ტფილისში: „სტეფანწმინდაშიც ვახერხებთ სკოლის გამართვასო, იქაური ყმაწვილებისათვის თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხვეენიო“. სიტყვა აქ იმაში კი არ არის, რომ პატარა მოხვეენი გაახარა, იმაშია, რომ თვით გახზარებია ბავშვების სიხარული, იმიტომ, რომ ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვისი სიხარულით გაინაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამჩნევს, ვერც აღიბეჭდავს“.

მიხ. ყიფიანის კავკავიდან გამოსვენება ხალხთა მეგობრობის დემონსტრაციად იქცა. „ივერიის“ კორესპონდენტი ლაზარაძე ასე აღწერს მას: „ქართველებზე ნაკლებ არ სწუხდნენ აქაური სომხები, რუსები, ოსნი... ყველას გული მოგებული ჰქონდა განსვენებულს თავის კარგის კაცობით, ქველობა-სათნოებით, მოყვასისათვის დაუზარებელის შრომითა და მოღვაწეობით... დიდის გრძნობით წარმოსთქვა ლექსი ჭერ ოსურად და შემდეგ მეორე ლექსი რუსულად ბ-ნმა კოსტა ხეთაგურმა. შინაარსი ოსურის ლექსისა ისეთი იყო... რომ დამსწრენი... სმენად გარდაიქცნენ, ცდილობდნენ გაეგონათ თვითეული სიტყვა ლექსისა, რომელმაც ისე იმოქმედა, რომ მათ შორის თვით გულმაგრებმაც ვერ შეიკავეს ცრემლი“¹.

დასაფლავების შემდეგ (1891 წ.) კავკავში დაიბეჭდა წიგნი: „Па-

¹ „ივერია“, 1891, № 53, „წერილი კავკავიდან“.

მიატი Михайла Зааловича Кипиანი“, რომელშიც კოსტა ხეთაგუ-როვის ლექსიც არის შეტანილი.

ამ ლექსის ორიოდ სტრიქონიც მოგვცემს მიხ. ყიფიანის ნათელ პიროვნებაზე წარმოდგენას:

...Умер!... О, это холодное слово
скорбью звучит беспредельной для нас!
Умер... и ты, обездоленный снова
Плачешь и стоишь, родимый Кавказ!
Да, потерял ты достойного сына!
Все, что ты нашей земле завещал
В образе скромном простого грузина,
Все незабвенный наш брат совещал.
...Много ль их было, способных народу
Также всецело отдаться, любя,
Также бороться за нашу свободу
Светоч познания в сакли внося?!
Нет, их немного. И эту потерю
Наши потомки примонят не раз...
Плачь! Я в градушее наше поверю
Слушая плач твой, родимый Кавказ!

მიხ. ყიფიანი, რომლის „სიცოცხლემ სამშობლო ქვეყნის ზრუნვა-სა და მისთვის გულმტკივნეულობაში განვლო“, თბილისში ჩამოასვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

ლევან ჯანდიერი

„კონრად კიფერს“, რომელიც ლევან ჯანდიერიშვილის თარგმანით დაიბეჭდა ჟურნალში, დიდი წარმატება ზედა. ვრცელ წინასიტყვიერებაში, რომელიც ილია ჭავჭავაძემ წარუძღვარა ამ თხზულებას, სხვათა შორის, ნათქვამია: „ევროპიულ განათლებულ ხალხებსა აქვსთ ვრცელი საპედაგოგო ლიტერატურა და მათში გამოდის ბევრი ჟურნალები, სადაც მხოლოდ ის კითხვები განიხილებიან, რომელნიც აღზრდას შეეხებიან; ჩვენში სულ არაფერი არის ამაზედ დაწერილი და ძლიერ ცოტამ იცის, რომ არსებობს მეცნიერება — პედაგოგია, რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა. ჩვენ ვგონებთ, ნამეტანი იქნება ამაზედ ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კითხვას ყმაწვილების აღზრდაზედ, რადგანაც ცხადია, რომ ქვეყნის მუდმივი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალს თაობას... „საქართველოს მოამბის“ რედაქცია საპედაგოგო თხზულებებს ჩვენი საზოგადოებისათვის ძლიერ საჭიროდ და სასარგებლოდ რაცხს და ჰფიქრობს, შეძლებისამებრ, წარუდგინოს თავის მკითხველებს სტატიები, სადაც განიხილება კითხვა ყმაწვილების აღზრდაზედ. ამ პირველ შემთხვევაში ჩვენ ვბეჭდავთ

„კონრად კიფერს“, რომელიც არის გადაღებული უფ. ჯანდიერისაგან“. იმავე წელს (1863, ივლისი) „ცისკრის“ რეცენზენტმა გულითადად შეაქო ლ. ჯანდიერიშვილის თარგმანი და საზოგადოებას ისიც აუწყა, რომ მთარგმნელი გიმნაზიის მეხუთე კლასში სწავლობდა.

ლევან ჯანდიერი „საქართველოს მოაზრების“ უმრწემესი თანამშრომელი იყო — თხუთმეტი წელი იმ ზაფხულს შეუსრულდა.

ლევან გიორგის ძე ჯანდიერი დაიბადა კახეთში, სოფ. ვაჩნაძიანში (ამჟამად სოფ. შრომა), 1848 წელს.

მამამისი, გიორგი როსების ძე ჯანდიერი, იყო მდიდარი მემამულე, რუსეთის არმიის ოფიცერი, საარაკო გმირობით სახელმწიფოებრივი შიშობი. ჯერ კავკასიის ბრძოლებში ისახელა თავი, ხოლო 1854 წელს მამაცად ერკინებოდა გურია-სამეგრელოში შემოჭრილ ოსმალებს. განსაცვიფრებელი მხედრული შემართებისათვის მეგობრებმა „დროშა გიორგი“ უწოდეს (რუსულად „დოშ გიორგი“).

„1854 წლის 4 თიბათვეს მდინარე ჩოლოქხედ ქართველებისაგან შედგენილმა დრუჟინამ დიდათ გაიმარჯვა და „დროშა გიორგი“ ჯანდიერს, რომელსაც იმ დროს ორივე ბარძაყში ხიშტები გაუყარეს, მაგრამ ცხენიდან მაინც ვერ ჩამოაგდეს, მეოთხე ხარისხის თეთრი წმინდა გიორგის ჯვარი ებოძა“¹.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ „დროშა გიორგი“ კვლავ კავკასიის მთებში იბრძოდა. ქართული „დრუჟინის“ პოდპოლკოვნიკი 1861 წელს შტაბში შერიცხეს“ და უკანასკნელი წლები საკუთარ მამულში გაატარა. გარდაიცვალა 1869 წელს. მისი ვაჟყაცობა პოეტებსაც შეუქიათ. შემონახულია ზემომარჩხანელ ლეკიშვილის ლექსი:

გიორგი ჯანდიეროვი ხმალში არის გამოსული,
კავკასიის მთა უჭირავს,
დალისტნამდის ჰქონდა ყური,
ლექები დაიმონავა, ჩაჩნებს ამოართვა სული“².

გამუდმებით ბრძოლის ველზე მყოფ „დროშა გიორგის“ ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა შვილების სწავლა-აღზრდა. 1854 წლის 4 თიბათვეს იგი თავის მეუღლეს, ბარბარეს სწერდა: „...კ. იენისს ჩყნდ-სა წ... უსაყვარლესო კნენია ბარბარე ამდონი ხანია შენი წიგნი და ამბავი არ მომსვლია, დიდათ ვწუხვარ, მე კი ხშირათა გწერ წიგნებს... ოთხ ამ თვეს ომი მოგვიხდა იმერეთში. საწყალი დავით ვახვახოვი მომიკლეს და ზაქარია ანდრონიკოვი, ნიკო ჭავჭავაძე დასჭრეს და ქართველი თავადისშვილები. გლეხებიც ზოგნი დახოცეს და

¹ „ჯანდიერი თუ ჯანდიერისშვილი“, „მოგზაური“, 1902.

² „ბიბლიოგრაფიის მოაზრებ“, № 4—5, 1948, 343.

ზოგნი დასჭრეს. ჩემთან რომ ივანე შუბლაძე იყო, ისიც მოკლეს, მეც დაჭრილი ვარ შტიკით; კარგათა ვარ, ჩემი ჭაერი ნურა გაქვს რა, ჩემი ბიჭებიც კარგათ არიან. ცაცოც დაჭრილია, მიხამ ორი მოკლა. ამათი ჭაერი ნურა გაქვს რა, ძალიან გამარჯვება მოგვივიდა და დიდი სახელი. ამ თვის ჩვიდმეტს ჩამოვალ სურამში, ცხენებს ვასვენებ და მერე ახალციხისაკენ წავალ...

ჩვენი სახლისკაცები მომიკითხე თავიანთის ცოლ-შვილით. გივს უთხარი: დაჯექ და ხონჯარი იხილეთქო. მე ჩემის ჯარით თხუთმეტი ზარბაზნი წაუერთე. ასე გახლავთ, დიდის სიამოვნებით და შექცევით ვატარებ დროებას. თქვენი უამბობა მაწუხებს...

ლევან უსწავლელი არ დააყენოთ. ჩვენი ბიჭები მომიკითხე. ჩემმა ბიჭებმა სამსახური მოგახსენეს. შენი მონა გ. ჯანდიერი“.

ლევანის აღზრდას ხელმძღვანელობდა დედა — კარგად განათლებული მანდილოსანი, რომელიც არამცთუ საკუთარ შვილებს, მათთან ერთად, ყმაგლებთა ბავშვებსაც ასწავლიდა.

50-იანი წლების ბოლოს ლევანი თბილისში ჩამოიყვანეს და კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. სიბეჭითთა და ფხიზელი გონებით აქ მალე მიიქცია მასწავლებლებისა და ამხანაგების ყურადღება. „ცისკრის“ რედაქტორმა ივ. კერესელიძემ, რომელიც მაშინ გიმნაზიის ზედამხედველად მსახურობდა, 1862 წელს თავის ეურნალში პატარა თარგმანიც დაუბეჭდა 14 წლის ლიტერატურის მოტრფიალეს („ცისკარი“, № 10. — „ცეცხლის წამკიდებელი ყმაწვილი“). იმავე ხანებში ლევან ჯანდიერი ილია ჭავჭავაძესა და მის წრეს დაუახლოვდა. ეს დაახლოვება შემდეგ სამუდამო მეგობრობად იქცა.

„საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ „კონრად კიფერის“ თარგმანს, უთუოდ, ეტყობა ილიას მადლიანი ხელი და ეს მარტო იმიტომ კი არა, რომ მთარგმნელი გამოუცდელი ყმაწვილი იყო, არამედ იმიტომ, რომ პედაგოგიკის, აღზრდის საკითხებს, ახალთაობის მეთაური უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი ეროვნულ-სოციალური პროგრამის განხორციელებაში.

საფიქრებელია, რომ „კონრად კიფერი“ ილიას მითითებითაც გადმოთარგმნა ლევან ჯანდიერმა. ამას გვაფიქრებინებს, კერძოდ, ზემოხსენებული წინასიტყვაობა და რედაქტორის ერთ-ერთი შენიშვნა.

„კონრად კიფერი“ იმ დროს რუსეთის პროგრესულ საზოგადოებასაც მოსწონდა. 1863 წელს იგი ცალკე წიგნად გამოვიდა მოსკოვში (Зальцман, К.Г.—«Конрад Кифери, или наставление благозвумного воспитания детей»), ხოლო 1864 წელს „სოვრემენიკის“

მე-5 ნომერში ა. ნ. პიპინის დადებითი რეცენზიაც დაიბეჭდა მასზე (გვ. 48—50, განყ. II—Современное обозрение)¹.

თხზულებაში, უან-უაკ რუსოს პადაგოგიური სკოლის პრინციპებზე დაყრდნობით, განვითარებულია თავისუფალი, ჰარმონიული გონებრივი და ფიზიკური აღზრდის თვალსაზრისი, რომელსაც ადამიანის დამოუკიდებელი ხასიათის ჩამოყალიბება აქვს მიზნად და, როცა რედაქტორსა და მთარგმნელს ამ გზიდან გადახვევა შეუძენევიათ, სათანადო შენიშვნაც დაურთავთ.

ერთგან პასტორი კონრადის მამას ეუბნება: კარგი გიქნია, რომ კონრადი სრულებით არ გაგიმართლებია და მასწავლებელი, თუმცა მტყუანი იყო, მთლად არ გაგიმტყუნებიაო. აქ ილიას შემდეგი სარედაქციო შენიშვნა დაურთავს: „ამ უკანასკნელს აზრის თანახმა არა ვართ. მართალი ყოველთვის უნდა გამართლდეს, მტყუანი — გამტყუნდეს. სიმართლის გამოძიებაში უფროს-უმცროსობა არ უნდა იყოს: თუ ერთს საქმეში გარეუღნი არიან ოსტატი და შეგირდი, ოსტატი რომ მტყუანი იყოს — უნდა გამტყუნდეს, რომ ბავშვმა პატარაობითვე ყოველი უფროსის პატივისცემაზედ მალლად სიმართლის პატივისცემა ჩაისახოს გულში. თორემ მართალი ბავშვი თავის უფროსზედ საჩივლელად მოვიდეს და არ გაამართლო, — აქედან რა უნდა გამოიტანოს ბავშვმა? ისა, რომ უფროსთან უმცროსს სიმართლე არ გაუვა? ეს არა მგონია კარგი იყოს“.

ლევან ჯანდიერის თარგმანი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, ენა სადა და ბუნებრივია, თხრობა უშუალო და მიშზიდველი. იგი „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ბევრი გამოცდილი ოსტატის ნახელაზე მალლაც კი დგას. ეს თარგმანი დიდხანს ემსახურებოდა აღზრდის საკითხებით დაინტერესებულ ქართველ მკითხველს და ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1912 წელს, ზაქ. ჰიჭინაძემ ცალკე წიგნადაც გამოსცა მთარგმნელის სურათითა და ბიოგრაფიული მასალაებით².

1867 წელს ლევან ჯანდიერმა გიმნაზია დაამთავრა და უნდოდა უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ მამის სურვილით, იძულებული გახდა სახელმწიფო სამსახურში შესულიყო. ერთხანს თელავის სამაზრო გამგეობაში იყო შტატგარეშე მონელედ, ხოლო 1868 წლიდან იქვე მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგაც ლ. ჯანდიერი ეწე-

¹ „წიწამურის გზაში“, ლ. ასათიანი წერს: გერმანულიდან გადმოთარგმნილი „კონრად კიფერი“ ზალკმანისა“-ო. ი. კეკელიძის წინასიტყვაობაში კი აღნიშნულია, რომ „თარგმანი შესრულებულია რუსულით“, რაშიც დედანთან შედარებამაც დავარწმუნა, (Conrad Kiefer — Anwersung zu eintr vernünftigen Erziehung“).

² წიგნი „კონრად კიფერი“ ლევან ჯანდიერისა, გამოცემა ზ. ჰიჭინაძისა, 1912.

ოდა მეტად ნაყოფიერ ეროვნულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მუ-
დამ და ყველაფერში იგი ილიას რჩევა-დარიგებით მოქმედებდა. ექვ-
თიმე თაყაიშვილის სიტყვით, „ლევან ჯანდიერი იყო ყველაზე დაახ-
ლოებული პირი ილიასთან... სადაც კი წავიდოდა ილია... ეს ჰკვიანი,
პატიოსანი, ენერგიული, დიდად შეგნებული კაციც თან დასდევდა.
მოგზაურობის მარშრუტი მის ხელში იყო“¹.

ამასვე ადასტურებს ელენე აგლაძის მოგონებაც: „ილია ხშირი
სტუმარი იყო ჯანდიერების ოჯახისა, როგორც თბილისში, ისე სოფ-
ლად... ხშირად მიდიოდა ვაჩნაძიანში ლევანთან და მის მეუღლე
სალომესთან“².

1878 წელს ლევანი სიღნაღის მაზრის უფროსის მოადგილედ და-
ნიშნეს; 1883 წელს—თიანეთის მაზრის უფროსად გადაიყვანეს, შემ-
დეგ — თბილისის მაზრისა; 1905 წელს ერევნის ვიცე-გუბერნატო-
რად დანიშნეს, მაგრამ სულ მალე სოხუმის ოლქის უფროსად მოუწია
მუშაობამ, 1908 წელს სამსახურიდან გამოვიდა და 1909 წელს თბი-
ლისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის დირექტორად აირ-
ჩიეს.

მიუხედავად ასეთი კარიერისა, ლევან ჯანდიერი ილიასა და სამო-
ციანელი მეგობრების ბოლომდე ერთგული დარჩა. ზ. ჰიკინაძე წერს:
„60-იან წლებში არჩეულის ცნებისათვის არასდროს ზურგი არ აუქ-
ცევია, უკან არ დამდგარა, არ უარუყვია, რაც „საქართველოს მოამ-
ბის“ დაარსების დღითგან ცნობილი იყო... ჩვენს დროშიც, ჩვენს გა-
თახსირებულ ხანაშიც, როცა კაცი თავის ცნებასა და სინდისს ერთობ
ადვილად სთმობს და ახურდავებს... სადაც კი ლევან გიორგის ძეს
უმსახურნია და უმუშაუნია, ყველგან დაუტოვებია შესანიშნავი ხსოვ-
ნა და კაცური ამავის მოგონებანი“³.

იმდროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული აურაცხელი
კორესპონდენცია ლევან ჯანდიერს წარმოგვიდგენს არაჩვეულებრივ
მოღვაწედ, მშრომელთა ქომაგად და გულშემატკივრად, სამშობლოს
ერთგულ შვილად. სახელმწიფო სამსახურს იგი მოხებრებულად და
გაბედულად იყენებდა ხალხის სასარგებლოდ.

„დროების“ სიღნაღელი კორესპონდენტი 1880 წლის 148-ე ნო-
მერში იუწყებოდა — ლევან ჯანდიერის დანიშვნამ ყველა გაგვახა-
რა, — მოსვლისთანავე მელაანში სკოლა გახსნა, წერა-კითხვის გამავ-
რცელებელი საზოგადოების დახმარება აღგვითქვა, სოფლები დაიარა,
რომ ხალხისა და სოფლის მასწავლებლის ვასაჰირი გაეგო, გაკვეთი-

¹ ლიტერატურის მატიაწე, № 6, წიგ. 1, გვ. 50.

² იქვე, გვ. 73.

³ კონრად კიფერი, 1912, გვ. 11.

ლებს დაესწრო. „ჩვენ სრული იმედი გვაქვს ლევან ჯანდიერისა... რადგანაც ის ძალიან თანაუგრძნობს ყოველ ამგვარ საქმეს“, — დასძენს კორესპონდენტი.

იმავე წელს სიღნაღში მისულ კავკასიის საპოსწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკისა და სახალხო სკოლების დირექტორ სტრელეცკის სიღნაღის სკოლის დახურვა გადაუწყვეტიათ, მაგრამ ლევან ჯანდიერი გაბედულად გამოქომაგებია ხალხს, მოუწვევია კრება და კორესპონდენტის სიტყვით: „ლ. ჯანდიერმა... ჩააგონა საზოგადოებას სწავლის მნიშვნელობა... თვეში ორჯერ მაინც შეეგროვდეთ ასე, ძმურათ მოვილაპარაკოთ... კაცი ცხოვრობს ქვეყანაზე არა მარტო თავის სასარგებლოდ, არამედ საზოგადოებისათვისაცო“¹.

ლ. ჯანდიერი ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა მეფის მოხელეთა თვითნებობა და თავგასულობა. „ღმერთმა უშველოს, ვინც ლ. ჯანდიერი დანიშნა სიღნაღის მაზრის უფროსის მოადგილედ, გაგონილი გვექონდა, კარგიაო, მაგრამ ნამდვილმა გაგონილს გადააპარბაო — წერდა ვიღაც „სიღნაღელი გლები“. „...ეხლა კი იმედი აქვთ გლებთ, რომ გამოუსხლტებიან ხელიდან იმ ჩინოვნიკებს, რომელნიც უდებდნენ შარებს ქვიშაზედ ანუ ბეგარაზედ“². ლ. ჯანდიერს კიდევ გაუმართლებია ეს იმედი; სამი წლის შემდეგ სიღნაღიდან ატყობინებდნენ „ღროებას“: „...ჩინოვნიკებისაგან მუდამ შეწუხება გვექონდა, მაგრამ ღმერთმა გვიშველა და თ. ჯანდიერის მოსვლამ გზა შეუცვალა და შიშაც მისცა უკანონო ყოფაქცევისათვის ამ მოხელეებს“³.

იმავე წელს „ღროებაში“ გამოაქვეყნა ალ. მირიანაშვილის ვრცელი ფელეტონი ქიზიყში ლევან ჯანდიერის საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ⁴. „იშვიათად მინახავს, რომ ასე პირადებით ხალხი თავის უფროსს ემადლიერებოდესო“, — წერს ავტორი და „საზოგადოების მიერ ფრიად სასარგებლო კაცად აღიარებული“ ლ. ჯანდიერის მოღვაწეობას მაგალითად უსახავს ყველას.

სიღნაღსა თუ თბილისში, ერევანსა თუ სოხუმში ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობრის მიერ სახელმწიფო თანამდებობის ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოყენებაზე მდიდარი მასალა მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენ ვაქა-ფშაველას სიტყვებით დავამთავრებთ: „...თუმცა თიანურ მოხელეებს შორის... ყალბი ხალხი ბევრია, მაგრამ კარგებიც მოიპოვებიან... თიანეთი წინანდელზედ ბევრად გაუკეთესებულა მაზრის უფროს ლ. ჯანდიერის წყალობით... იგი ყოველნაირად ეხმარება ხალხს (მისი შუამდგომლობით ხალხს აპატიეს ბეგარა, ვა-

¹ „ღროება“, 1880, № 229.

² „ღროება“, 1880, № 156.

³ „ღროება“, 1883, № 72.

⁴ „ღროება“, 1883, № 137.

ლები)... ცდილობს სკოლების გამართვას და მასწავლებლების მოწვევას. ბ. ჭანდიერის მეცადინეობა სკოლების განახლებისა და დაარსებისათვის საქებური და მადლობის ღირსია. ლ. ჭანდიერი ერთი უკეთესი ადმინისტრატორთაგანია¹.

სხვათა შორის, ლევან ჭანდიერმა ჩამოასახლა მთიულები მანგლისის მახლობლად, ახალსოფელში.

გლებთა აჯანყების დროს, რევოლუციის პერიოდში, ლ. ჭანდიერი მფარველობდა მთავრობის მოწინააღმდეგეებს, იცავდა მათ სასაჩელი-საგან. ზაქ. ჭიჭინაძის სიტყვით: „თავიდან აცდენდა ოჯახებს დამღუპავ სასაჩელს“.

სოხუმელები საიუბილეო აღრესში წერდნენ: „ჩვენ გვყავდა ისეთი უფროსი, რომელსაც პატივს ვსცემდით მისდამი ჩვენი სიყვარულით და არა ჩვეულებრივის შიშითა“.

გაზ. „მოგზაურის“ ცნობით, 1905 წელს ლ. ჭანდიერი მთავრობას ქართლის გლეხებთან მოსალაპარაკებლად გაუგზავნია. მას მოუერიდებლად აუწერია ხალხის გაპირებული მდგომარეობა და მოუთხოვნია: „საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები მათი ეკონომიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად“².

ლ. ჭანდიერს არც ლიტერატურული მოღვაწეობა შეუწელებია. მისი პუბლიცისტური და ისტორიული წერილები ხშირად იბეჭდებოდა „დროებაში“, „ივერიაში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ზოგი მათგანი გამოქვეყნებულია ხელმოუწერლად, ზოგი „ჭიჩოელის“ ფსევდონიმით. საყურადღებოა „სასოფლო გაზეთში“ 1876 წ. დაბეჭდილი „სამეურნეო იარაღები“, „ივერიაში“ 1877 წელს წერილი „ლეკების აჯანყების შესახებ“. 1902 წ. „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ნარკვევი — „ჭანდიერი თუ ჭანდიერისშვილი“ და სხვ.

ლევან ჭანდიერი გარდაიცვალა 1921 წლის 10 ნოემბერს მშობლიურ სოფელში და იქვეა დაკრძალული³.

ივანე ბერიძე

„საქართველოს მოამბის“ მე-7, მე-8 და მე-9 ნომრებში დაბეჭდილი მოთხრობების „უცნაური ნიშნობის“ ავტორს — ივანე პეტრეს ძე ბერიძეს მაშინდელი მკითხველი საკმაოდ იცნობდა. მან 1858 წელს „ციცკარში“ გამოაქვეყნა საინტერესო წერილი „მოლაყბისადმი“:

¹ ლ. რ. (ლუკა რაზიყაშვილი), „დროება“, 1885, № 130.

² „მოგზაური“, 1905, № 173.

³ „ლიტერატურული მატრიანე“, № 6, ნაწ. I, გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1918 წ.

რომელმაც ჟურნალის ფურცლებზე ცხარე კამათი გამოიწვია. 1859—1860 წლებში იმავე ჟურნალში დაიბეჭდა მისი ლექსები: „ფანტაზია“ („ბუნების ძალმან“, 1859 წ., № 4), „მოულოდნელი წვეულება“ № 7), „მეუღლეობის სიყვარული“ (№ 9) და „სამშობლო ენისადმი“ (1860 წ. № 4), მაგრამ, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მოთხრობით „ხანიზდექ“, რომელიც გულთბილად მიიღო საზოგადოებამ და თერგ-დალეულებმაც არაერთხელ შეაქეს.

სტატიაში „მოლაყბისადმი“ ბერიძემ გააკრიტიკა ივანე კერესელიძის 1858 წლის მარტის „სალაყბო ფურცელი“ და მოითხოვა ამ ფელეტონების ავტორს მეტი ანგარიში გაეწია პროვინციელი მკითხველისათვის და საერთოდ, ჟურნალში ვრცლად გაეშუქებინა თბილისის კულტურული ცხოვრება. ავტორი მხურვალედ იცავს დედაენას და მშობლიურ კულტურას: „სამშობლო ენა უნდა აღდგეს დიდის მეცადინეობით, მოთმინებით და შრომით“ — წერდა იგი. დაცემული ქართული ლიტერატურა რომ აღდგეს, — „პირველი მოვალეობა მწერლისა იმაშია, რომ დაჰბადოს მკითხველთა შორის სურვილი კითხვისა“.

ივ. ბერიძის ლექსებს არ გააჩნია გარკვეული თემა, მკაფიო მოტივი, ავტორი ვერ ახერხებს თავისი განწყობილების ნათლად გამოხატვას და მის პოეტურ ქმნილებებს ნაძალადეობის დაღი აქლდევია.

მოთხრობაში „ხანიზდექ“ მწერალს აღწერილი აქვს სამხრეთ ოსეთის იმდროინდელი ცხოვრება, რომელსაც ის კარგად იცნობდა. აქ დამაჯერებლადაა ნაჩვენები ხალხის მძიმე მდგომარეობა, ბატონყმობის შედეგად გამეფებული ჩაგვრა, წარმოუდგენელი სიღატაკე და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ყაჩაღობა; სოციალურ უსამართლობასა და მავნე ადათ-ჩვევებს მსხვერპლად ეწირებიან მშრომელები, ბუნებით კეთილი ადამიანები. თხზულება დაწერილია მსუბუქი ენით, თხრობა მიმზიდველია. რიტმი — მყარი, დეტალები შერჩეულია მიზანსწრაფულად და აზრს ზუსტად გადმოგცემს. ამის შედეგად, მოთხრობაში ისე იგრძნობა ადგილისა და დროის კოლორიტი, რომ მკითხველს დღესაც შეუძლია წარმოიდგინოს იმდროინდელი ოსეთის ცხოვრება.

ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვეებს ქუაზასა და თამსილმანის ჩამოხრჩობის სურათი, რომელშიც გამოხატულია სოციალური სინამდვილისადმი მძაფრი პროტესტი. ავტორი ახერხებს ჩასწვდეს გმირთა სულიერ სამყაროს, განგვაცდევინოს მათი შინაგანი ბრძოლა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ხანიზდექ“ დაწერილია დ. ჭონქაძის „სურამის ციხესა“ და ლავრ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჭლანუაშვილზე“ ადრე, მაშინ მას ღირსეული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ქართული რეალისტური პროზის განვითარებაში.

ივანე ბერიძე დაიბადა 1833 წელს, თბილისში. 1856—1862 წლებში იგი ჯავაში მსახურობდა სასამართლოს მოხელედ. „ცისკარში“ დაბეჭდილი მისი ლექსები და მოთხრობა „ხანიზღექ“ სწორედ იქ დაიწერა.

1862 წელს ივ. ბერიძე თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ე. წ. „კომერციულ სასამართლოში“ დაიწყო სამსახური „პროტოკოლისტად“, ხოლო 1864—1865 წწ. — მდივნის მოადგილედ („კოლეჯისკი რეგისტრატორის“ ჩინით).

1862—1863 წლებში ივ. ბერიძე იყო ქავკავაძის წრისა და „საქართველოს მოამბის“ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და თანამშრომელი. ილია დიდად ენდობოდა მას და 1863 წ. წერილებში ოლღა გურამიშვილისადმი ხშირად იხსენიებს, როგორც საიმედო, ენერგიულ მეგობარს¹.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, 1865 წელს ი. ბერიძის ლექსი „ფანტაზია“ („სხივნი მთისანი“) „ცისკარში“ დაიბეჭდა (№ 6).

1866 წელს ი. ბერიძე გადაიყვანეს თერგის საოლქო სამმართველოში მდივნად, სადაც 1870 წლამდე მსახურობდა. 1870-დან 1890 წლამდე (გარდაცვალებამდე) ი. პ. ბერიძე იყო სენაკის მაზრის უცვლელი „მომრიგებელი შუამავალი“ და აქტიურად მონაწილეობდა იქაურ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმეებში.

გიორგი ორბელიანი

გიორგი კონსტანტინეს ძე ორბელიანი დაიბადა თბილისში, 1818 წელს. 40—50-იან წლებში იგი ოფიცრად მსახურობდა და მონაწილე იყო კავკასიის ბრძოლებისა. მისი შეუღლე თინათინი (თინია) ალექსანდრე ქავკავაძის მამიდაშვილი იყო. გიორგი ორბელიანის პირველი ლექსი — „ჰე, საყვარელო, ვის მიერ ძვირფას მიჩნს კვალად სიცოცხლე, ვინც დღენი, დამწარებულნი წყნარ ღიმილითა მინათლე“, გამოქვეყნდა 1852 წელს (ეურნალი „ცისკარი“, № 2).

60—70-იან წლებში გიორგი ორბელიანის სატრფიალო და პატრიოტული ლექსები ხშირად იბეჭდებოდა „ცისკარსა“ და „მნათობში“: ამ ლექსებში ავტორი გმობდა ლოთობას, უქმად დროსტარებას და თანამემამულეთ მოუწოდებდა სამშობლოს სამსახურისაკენ. დამახასია-

¹ პ. ინგოროყვას აზრით, აქ იგულისხმება გიორგი ნიკოლოზის ძე ბერიძე. მაგრამ, ეს შეუძლებელია, რადგან ვ. ბერიძე იმ დროს დაღესტანში მსახურობდა. ამასთან, ვ. წერეთელი, ა. ჯორჯაძე და სხვ. ილია ქავკავაძის წრის წევრად და „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლად იხსენიებენ არა გიორგის, არამედ ივანე ბერიძეს.

თებელია ამ მხრივ ლექსები: „ჯანლი“ („ცისკარი“, 1860 წ., № 5), „ჩიბუნი“ („ცისკარი“, 1860 წ., № 6), „ლოთის ანდერძი“ („ცისკარი“, 1860 წ., № 12) და სხვ.

60-იან წლებში დაწერილ მის ლექსებს მკაფიოდ ემჩნევა ილია ჭავჭავაძის გავლენა („ელეგია“, „ცისკარი“, 1867 წ., № 9; „სიზმარი“ — „მნათობი“ — 1871 წ., № 1 და სხვ.). ერთგვარ ყურადღებას იმსახურებს „სიზმარი“, რომელშიც სამშობლოს ბედნიერების იმედია გამოხატული.

გიორგი ორბელიანი ცნობილი იყო აგრეთვე, როგორც მთარგმნელი. 1863 წელს „ცისკარში“ (№ 2) დაბეჭდა კრილოვის „მელა და ყურძენის“ თარგმანი; 1864 წელს № 11) — ბერანეის „შეგირდი“, ხოლო 1869—1872 წლებში „მნათობში“ გამოაქვეყნა ბაირონის „სიბნელი“, ბერანეის — „ბებია“ და სხვ.

1862—1863 წლებში გ. ორბელიანი ქუთაისში ცხოვრობდა და დაახლოებული იყო აქაურ მოწინავე მოღვაწეებთან (სოლ. ლეონიძე, დათა გუგუნიანი და სხვ.).

70-იან წლებში გ. ორბელიანი ხან თბილისში ცხოვრობდა, ხან სოფ. საკეს; მონაწილეობდა ქართულ საზოგადო საქმეებში. სხვათა შორის, 1879 წელს არჩეული იყო საადგილ-მამულო ბანკის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარედ.

1876 წელს „დროებაში“ (№ 120) გამოაქვეყნა დრამატული ფელეტონი „ხალხის ჰაზრი ომიანობაზედ“, რომელიც გამოგზავნილია ს. უსჯინქანთიდან. მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან მწყემსები. ავტორს ნაჩვენებია აქვს, რომ ხალხი სიბნელეში ცხოვრობს და მისთვის უცხო და გაუგებარია ხელისუფლების პოლიტიკა.

მსტატე მალალაშვილი

ეურნალის მეორე ნომრის „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილებაში დაბეჭდილ პირველ წერილს — „სოფლიური ეკონომიის წარმოების გამოფენა“, ხელს აწერს ესტატე მალალაშვილი. ავტორს საქმის ცოდნით, გემოვნებით, ეროვნულ პროგრესული თვალსაზრისით განუხილავს და შეუფასებია თბილისში მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო ექსპოზიცია, რომელიც 1862 წლის 13 ნოემბერს გაიხსნა. იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ნიშნებს ხედავს „საუკეთესო მოსავლის ნიმუშებსა, სისრულეში მოყვანილ სამოქმედო იარაღებსა“ და აგრონომიული მეცნიერების „ახალ აღმოჩენებში“.

ესტატე მალალაშვილი მარტო გამოფენის აღწერით არ იფარგლება, ამ ფაქტს ანზოგადებს, ეროვნული გრძნობის გასაღვივებლად იყენებს

და გულისტკივილს გამოხატვამს, რომ „ქალაქის ცხოვრებაში გამოფენამ არავითარი გამოხმაურება არ გამოიწვია“. ექსპონირებული კოლექციები ამტკიცებს „ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს. გამოუღვეელი სიმდიდრე იპოვება ჩვენს ქვეყანაში.“...

ერთგან, თანამემამულეთა გულგრილობით აღშფოთებული ავტორი ირონიულად დასძენს, სიმდიდრე კი ბევრი როგვეპოვება, „მაგრამ ჩვენს ქართველობას რათ უნდა, ისეც ბევრი აქეთო“. მაშ, რა მიზეზია, რომ გამოფენაზე გერმანულ კოლონისტთა ნაწარმი სჭარბობს ჩვენსასო.

ერთი შეხედვით მცირე ფაქტს პუბლიცისტი საკმაოდ ფართო განზოგადებისა და დასკვნებისათვის იყენებს. იგი ამხელს ბატონყმური მეურნეობის ჩამორჩენილობას, ქადაგებს ნიადაგის დამუშავების ინტენსიურ მეთოდებს, რადგან „ყოველი მამულის გონიერი პატრონი ეხლა ხედავს, რომ ჩვენი მამა-პაპური მიწის დამამუშავებლის იარაღით მოსაეღის მოყვანა მეტად უსარგებლოა“.

ესტატე მაღალაშვილი პროფესიული სიზუსტით მსჯელობს გამოფენის ნაკლოვანებებზე, დასაბუთებულად აკრიტიკებს. მას და გვაოცებს საექსპოზიციო ხელოვნების კარგი ცოდნით. „მცირედი ნივთიც დიდია, — წერს იგი, — ოღონდ თავისი ალაგი კი ეჭიროს“. კონკრეტული ანალიზის შედეგად, ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „გამოფენა იყო ღარიბი და ნაკლები, რაც რამე იყო, ისიც არ იდგა თავის ადგილას... შორს იყო იმ გამოფენაზედ, რომელსაც თბოულობს ეხლანდელი მდგომარეობა ჩვენის სოფლიური ეკონომიის ნამუშევრებისა და წარმოებისა“. ე. მაღალაშვილი უკმაყოფილოა, რომ ექსპლოატაციები ქართულ ენაზე არ შეუსრულებიათ და გამოფენის მესვეურთ „არ მოჰგონებიათ“ ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა.

ესტატე მაღალაშვილის პირველი წერილი 1861 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“ (№ 7). იქაც ავტორი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მეცნიერებისა და ეკონომიკის საკითხებს ეხება.

ესტატე გრიგოლის ძე მაღალაშვილი დაიბადა გორში, 1840 წელს. მისი მშობლები მდიდარი მემამულენი იყვნენ. საშუალო განათლება მან თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო.

1858 წელს ესტატე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და ილიასთან ერთად სწავლობდა. იგი ერთ-ერთ უწარჩინებულეს სტუდენტად ითვლებოდა და როგორც „ამიერკავკასიის სტიპენდიანტმა“, 1862 წელს კანდიდატის ხარისხით დაასრულა უნივერსიტეტი. იგი, ფართოდ განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა, ილია ჭავჭავაძის წრის აქტიური წევრი იყო

პეტერბურგშიც და საქართველოშიც. მხურვალედ მონაწილეობდა აგრეთვე ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკის დაფუძნებაში.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, 1864 წლიდან, ესტატე მაღალაშვილი გორში მსახურობდა სამაზრო სასამართლოს მსაჯულად, 1869 წლიდან — ჯერ ელისავეტოპოლის საოლქო სასამართლოს მომრიგებელ შუამავლის მოადგილე იყო, ხოლო 1871 — 1885 წწ. ნუხაში გადაიყვანეს ამავე თანამდებობაზე. 1886-დან 900-იან წლებამდე მას მეორე უბნის მომრიგებელ შუამავლად ვებდავთ ტემრიუქში (ყუბანის ოლქი).

გიორგი ჩიქოვანი

გიორგი ჩიქოვანის თარგმანს — ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“ მოცულობით ყველაზე დიდი ადგილი უკავია „საქართველოს მოამბეში“. მისი ბეჭდვა მეორე ნომრიდან დაიწყო და ეურნალის დახურვამდე გაგრძელდა განუწყვეტლად. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის „სხარტულიც“ გიორგი ჩიქოვანის ხელმოწერით დაიბეჭდა. ეს გვიჩვენებს, რომ იგი „საქართველოს მოამბის“ ერთი უერთგულესი თანამშრომელი იყო და ბოლომდე მხარში ედგა რედაქტორს.

გიორგი ჩიქოვანი დაიბადა 1841 წელს, თბილისში. მამამისი, თავადი ალექსანდრე ჩიქოვანი, XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე იყო; კარგად იცოდა უცხო ენები, ისტორია და ლიტერატურა. 1830-იან წლებში იგი ქართულ ენას ასწავლიდა თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებელში“ და, სხვათაშორის, დაახლოებული ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილთან. მას ქართული წიგნების მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა და, ცნობილია, რომ არაღვეალურ გამოცემებს, კერძოდ, გერცენის „კოლოკოლსაც“ იღებდა და ინახავდა თავის წიგნსაცავში. მანვე შემოინახა ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა საინტერესო ხელნაწერი.

ალ. ჩიქოვანი „ციცკრის“ ახლო თანამშრომელი იყო, 1857—1858 წლებში ბეჭდავდა საკუთარ ლექსებს და, როგორც 1858 წელს გამოქვეყნებული ნეკროლოგიდან ჩანს, სხვა მხრივაც ეხმარებოდა ამ ეურნალს.

გიორგიმ საფუძვლიანი განათლება მიიღო როგორც ოჯახში, ისე თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, თავისუფლად ფლობდა ფრანგულსა და იტალიურ ენებს (სარწმუნოებით კათოლიკენი იყვნენ). გატაცებული იყო რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობით, კითხულობდა „კოლოკოლსა“ და „სოვრემენიკს“ და 1861 წლიდან დაუახლოვდა

ილია ქავჭავაძის წრეს. ყველა თანამედროვე მას ილიას ერთგულ მეგობრად იხსენიებს. ხშირად მის სახლში ეწყობოდა წრის შეკრებები, რომლებზედაც თერგდალეულები რეფერატებსა და თავიანთ ნაწერებს კითხულობდნენ.

უნდა ვითქვით, რომ ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“, რომელიც იმ დროს „ცისკარშიც“ იბეჭდებოდა გ. დიდებულის თარგმანით, გ. ჩიქოვანმა ილიას მითითებით თარგმნა. თარგმანი მოეწონა საზოგადოებას და თვით „ცისკარშიც“ (ანტონ ფურცელაძის რეცენზიაში) ის დიდებულის თარგმანზე მაღლა დააყენა.

საექვოდ მიგვაჩნია ანტ. ფურცელაძის ცნობა, თითქოს ი. ჰავჭავაძის „სხარტულის“ დაბეჭდვასთან დაკავშირებით, გ. ჩიქოვანს ხელი აეღოს „საქართველოს მოამბეზე“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სხარტული“ გიორგი ჩიქოვანის თანხმობით ვამოაქვეყნა რედაქტორმა და მას არასოდეს აუღია ამ ჟურნალზე ხელი (მის თარგმანს უქანასკნელ ნომერშიც ვხვდებით).

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგაც გიორგი ჩიქოვანი მხარში ედგა ახალ თაობას. 70-იან წლებში, იმერთში მომრიგებელ შუამავლად სამსახურის დროს, იგი გაბედულად ექომაგებოდა ხალხს და იღვწოდა მისი პირობების გასაუმჯობესებლად. საინტერესოა იმ დროს „დროებაში“ დაბეჭდილი მისი კორესპონდენციები. ერთ წერილში იგი მიესალმება ქალთა უფასო სკოლის გახსნას ხონში და წერს: „ქალების სასწავლებელს არა ნაკლები სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენის ხალხისათვის, რადგან ისინი ერთ დროს ოჯახის პატრონნი და დედები უნდა შეიქმნენ... ყურადღების ღირსი და შესანიშნავი არის ამისთანა მაგალითები, რომლებიც ცხადად გვიჩვენებს; თუ რა სურვილი და ხალისი აქვს ჩვენს ხალხს სწავლისა!“.

იმ დროს გ. ჩიქოვანი სადამო წარმოდგენებსაც მართავდა სახალხო სკოლების სასარგებლოდ.

იმავე პერიოდში გ. ჩიქოვანმა თარგმნა გოგოლის „რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“, რომელიც 1871 წელს დაიბეჭდა „კრებულის“ მე-2 და მე-3 ნომერში.²

გიორგი ჩიქოვანი კარგ. გემოვნებიან მთარგმნელად ითვლებოდა და, ამ მხრივ, მან ქართულ თეატრსაც გარკვეული ამაგი დასდო. 1879

¹ „დროება“, 1872, № 46.

² გაუგებრობის შედეგია ზ. კვიციანი (საქართველი კათოლიკენი“, 1905, გვ. 19) და სოლ. ხუციშვილის („ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 4—5) ცნობა, თითქოს გიორგი ჩიქოვანს ეკუთვნოდეს „კრებულში“ დაბეჭდილი გოგოლის „შინელის“ თარგმანიც, რომელსაც „ი. — ისა“ აწერს ხელს. „ი. — ი“ ივანე შესხის ფსევდონიმი.

წელს პირველად დაიდგა მისი თარგმნილი ვოდევილი „ბნელ ოთახში“¹.

1880 წლიდან გიორგი ჩიქოვანი ერთხანს გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორად იყო დავით ერისთავის შემდეგ, ხოლო როცა ეს გაზეთი დაიხურა (1882 წ.), ქალაქის გამგეობის ვეჟილად დაიწყო სამსახური.

გ. ჩიქოვანი გარდაიცვალა 1887 წლის 1 აპრილს² თბილისში. იგი უცოლშვილოდ გადაეგო და მდიდარი შამისიეული ბიბლიოთეკა მისი ავადმყოფობის დროს „დაიტაცეს და სახვევ ქალაქდად გაჰყიდეს თბილისის ბაზარზე“³.

მიხეილ ჩიკვაძე

„საქართველოს მოამბის“ იდეურ მხარდამკვერთა შორის თვალსაჩინო როლს ასრულებდა მიხეილ ფილიპეს ძე ჩიკვაძე. მისი თარგმანი „ოთხი შეხვედრა“ ჟურნალის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა. მართალია, მიხ. ჩიკვაძეს სალიტერატურო ასპარეზზე თავი არ გამოუჩენია. მაგრამ პრაქტიკული მოღვაწეობით მუდამ მხარში ედგა ილია ჭავჭავაძეს, ახალ თაობას.

მიხეილ ფილიპეს ძე ჩიკვაძე დაიბადა 1837 წელს, თბილისში. მამამისი წერილი მოხელე იყო. გიმნაზია მიხეილმა 1856 წელს დაასრულა; ილია ჭავჭავაძესთან ერთად და 1857 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა. 1860 წლის შემოდგომაზე მესამე კურსიდან განოვიდა და თბილისში დაბრუნდა.

1861 წლიდან მიხ. ჩიკვაძე ენერგიულად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ წამოწყებებში, კერძოდ, „საქართველოს მოამბის“ დაარსებაში.

1860 წლის ბოლოს, როცა ი. ჭავჭავაძე ცდილობდა „ცისკარში“ დაებეჭდა წერილი კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედ, იგი ილია წინამძღვრიშვილს სწერდა: „ეს სტატია ჩიკვაძე მიხაკოს უნდა მიუტანო, აქამდის ის ქალაქში იქნება მოსული... ჩიკვაძისთვის მე აქ

¹ ზ. კვიციანი და ს. ხუციშვილს ეს ვოდევილი შეცდომით გ. ჩიქოვანის ორიგინალურ თხზულებად მიაჩნიათ (მხ. აღნიშნულ ავტორთა დასახელებული ნაშრომები და შეადარეთ — „დროება“, 1879, № 85).

² ზ. კვიციანი და ს. ხუციშვილს გ. ჩიქოვანის გარდაცვალებას თარიღად შეცდომით აქვთ მითითებული 1893 წ. (იხ. აღნიშნულ ავტორთა დასახელებული შრომები და შეადარეთ: „ივერია“, 1887 წ., № 74, 17 აპრილი).

³ „წიგნების“, 1886, № 29.

ყველაფერი მითქომს, იპან თითონ იცის, როგორ მიუტანოს კერესე-ლიძეს“.

პრაქტიკული საქმიანობით მიხ. ჩიკვაიძე ისე გამოირჩეოდა „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთა შორის, რომ „ცისკარმა“ საგანგებოდ გადაჰკრა სუსხიანი მათრახი! ჟურნალის დახურვის შემდეგ, ის მოკლე ხნით, კვლავ მოსკოვს გამგზავრებულა სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ 1865 წელს საბოლოოდ გაუწეებებია თავი უნივერსიტეტისათვის. 1868—1872 წლებში, როცა ილია დუშეთში მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად, მიხ. ჩიკვაიძეც მასთან იმყოფებოდა სასამართლოს აღმასრულებლის თანამდებობაზე. ილიას თბილისში გადმოსვლის შემდეგ ისიც წამოვიდა დუშეთიდან.

მიხ. ჩიკვაიძე მუდამ ცდილობდა შეემსუბუქებინა ილიასათვის საზოგადოებრივი მოღვაწეობის მძიმე ტვირთი; შეელოდა მას ბანკისა და „ივერიის“ საქმეებში. 1873 წელს ილია სწერდა თავის დას: „აი, ახლაც რუსეთში წასასვლელი ფული მიხა ჩიკვაიძემ მიშოვნა, ოცდაათი თუმანი“.

ხშირად ილია უნუგეშოდ ნიჩნეული საქმის წარმართვას ანდობდა განუყრელ მეგობარს და ისიც ღონეს არ იშურებდა მის შესასრულებლად. ერთ ბარათში ილია ამგვარ მძიმე დაეალებას აძლევს და დაძინებს: „ძმავ მიხაკო!.. შენგან ბევრი კარგი მახსოვს და იმედი მაქვს ამ სიკეთესაც არ დაიშურებ ჩემთვის და საუკუნოდ დამავალებ“.

მიხ. ჩიკვაიძე ილიას იმ ერთგულ მეგობართა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც ბევრ ამქვეყნიურ წვრილმანსა და ხიფათს მოარიდეს ის, რითაც შესაძლებლობა მისცეს დიდ მწერალს დრო და ენერგია ლიტერატურული შემოქმედებისათვის დაეზოგა. ეს მეგობრობა ილიას სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე გაგრძელდა. 90-იანი წლებიდან მიხ. ჩიკვაიძე ილიას დის — ლიზას მეურნეობას განაგებდა. ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში¹ ლიზასადმი, 1907 წელს, ილია კვლავ გულთბილად იხსენიებს სიყრმის მეგობარს.

მხატვრული ლიტერატურა

„საქართველოს მოამბის“ მისწრაფებანი და სულისკვეთება მთელი სისავსით მხატვრულ ნაწერებში გამობრწყინდა. ჟურნალმა, უწინარეს ყოვლისა, მოულოდნელი სიძლიერის მოთხრობებითა და ლექსებით დაიპყრო საზოგადოება, აგრძნობინა მას, რომ „ლიტერატურა

¹ „ცისკარი“, 1863. № 7.

² სსლმ ფონდი, № 17617—ბ.

ხალხის სიცოცხლეა“. იგი პუბლიცისტიკასთან ხელიხელ ჩაკიდებულად შეუდგა ხალხის სამსახურს და, თუ გავითვალისწინებთ, რომ „სოფრემენიკიდან“ მწერლების (ტურგენევის, ტოლსტოის, მაიკოვის, ფეტის) გასვლის შემდეგ (1860 წ.) საგრძნობლად შესუსტდა მხატვრული ლიტერატურის განყოფილება, მაშინ ნათლად წარმოვიდგება თერგდალეულთა ორგანოს, როგორც ლიტერატურულ-პოლიტიკური გამოცემის, განსაკუთრებული ადგილი იმდროინდელ უურნალისტიკაში.

თერგდალეულებს არ აკმაყოფილებდათ ქართული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა, რადგან სწამდათ, რომ მას გაცილებით უფრო ლაღად შეეძლო ფრთების გაშლა და თავისი წმიდათა წმიდა მოვლეობის აღსრულება — ხალხისა და სამშობლოს სამსახური; რუსეთთან შეერთების შედეგად შექმნილი პირობები მათ ხელსაყრელად მიაჩნდათ მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის.

მხატვრული სიტყვის ძლევამოსილება, ხალხის ცხოვრებაში მისი დიდი როლი ცხადყოფილია არა მარტო კრიტიკულ წერილებში, არამედ მხატვრულ ნაწარმოებებშიც. როცა სასოწარკვეთილი გაბრიელი („გლახის ნაამბობი“) სასოებით წარმოსთქვამს შოთა რუსთაველის სტრიქონებს („ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ...“), ავტორი შენიშნავს: „...ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა. მშვიდობა ძლიერსა სულსა შენა, უკვდავო რუსთველო!“ მხატვრული სიტყვა აქტიურად მონაწილეობს „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ყველა ნაწერში. რუსთაველის აფორიზმებს გადმოთარგმნილ პუბლიცისტურ წერილებშიც იყენებენ უურნალის თანამშრომლები.

„საქართველოს მოამბის“ მხატვრული შემოქმედება, ამ უურნალის საერთო მიმართულების შესაბამისად, ღრმად უპასუხებდა ეპოქის მოთხოვნებს, რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან ასახავდა რეალურ სინამდვილეს და ამიტომ სამარადეამოდ დამკვიდრდა ქართველი ერის სულიერ საგანძურში. ცხოვრების არსებითი მხარეების ღრმა მხატვრული ასახვით, მოწინავე იდეები, ხალხის ინტერესების გამოხატვით, დემოკრატიული ფორმითა და შინაარსით იგი კვამარითად ხალხური ლიტერატურაა, ხალხის მეგობარი და ჭირისუფალია. კრიტიკული რეალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე ცხოვრების მართალი ასახვით იგი არა მარტო ზრდიდა და აფიქრებდა, არამედ საბრძოლოდაც განაწყობდა მკითხველს. ამით უნდა აიხსნას, რომ ქართულ წიგნს მანამ არასოდეს ჰყოლია მკითხველთა ასეთი ფართო წრე. ხალხის ცხოვრებაზე ნათქვამი მართალი სიტყვა ხალხშივე გავიდა, მის სულსა და გულს დაეუფლა; მკითხველი შემოქმედის

თანამებრძოლად, თითქოს, თანაშემოქმედად იქცა—მასთან ერთად ღელავდა, აზროვნებდა და იტანჯებოდა. მისთვის მახლობელი იყო ამ შემოქმედების თემაც, იდეებიც, განწყობილებანიც. იგი ინტერესით ეწაფებოდა მას, რადგან საკუთარი გულისწადილის გამოხატულებას პოულობდა აქ, მთელი არსებით გრძნობდა, რომ იგი სასარგებლო იყო მისთვის.

მანამ არასდროს არ ყოფილა ჩვენი ლიტერატურა ასე ტენდენციური, რადგან არასოდეს ყოფილა ასე „ერთგული ცხოვრების სი-მართლისა“ (ენგელსი).

ამ მოთხოვნათა შუქზე, რედაქცია მკაცრი შერჩევით ბეჭდავდა ნაწერებს. ამიტომ აქ აღარ ვხვდებით „აპრელბულ ლიტერატურას“, როგორც „ცისკარში“, სადაც ყოველ კალმოსანს ადვილად შეეძლო გალექსილი მოკითხვის ბარათისა და არზის გამოქვეყნება, სადაც ერთმანეთის გვერდით ასე უხერხულად გრძნობდნენ თავს სანტიმენტალიზმი, ცრუკლასიციზმი, რომანტიზმი და რეალიზმი.

„საქართველოს მოამბემ“ მაგრად მიუყვება კარი უნიჭო „პიტი-კოსებს“. ამის დამადასტურებელია, სხვათა შორის, ვანო ბარათაშვილის ერთი ლექსის (ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნა) ისტორია. რედაქცია ვერ გასტეხა მისმა ვერც მულარამ, ვერც მუქარამ. ბოლოს, „შეურაცხყოფილმა“ ავტორმა „ცისკარი“ „გააბედნიერა“ თავისი ნაცოდვილართ და თან მას „საქართველოს მოამბის“ ლანძღვაც დაურთო. ნაწარმოებთა ასეთი მკაცრი შერჩევა მით უფრო დასაფასებელია, რომ ჟურნალს მწერლები აკლდნენ და მხატვრული მასალის სიმცირეს განიციდდა. ამ ვითარებაშიც, იდეურად და მხატვრულად მდარე ორიგინალურ თხზულებებს, რედაქცია კარგ თარგმანს ამჯობინებდა. საყურადღებოა, მაგალითად, რომ მას 1863 წელს პორტფელში ჰქონია ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“.

„საქართველოს მოამბის“ ერთი დიდი დამსახურება ის არის, რომ პოეზიასა და პროზაში კრიტიკულმა რეალიზმმა აქ გაიღვა და დაიმკვიდრა ფესვები. კრიტიკული ტენდენციურობით გამსჭვალულ ამ ნაწერებში მხილებულია სოციალური ჩაგვრა და თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა; მხატვრული ტიპებისა და ხასიათების საშუალებით გაშიშვლებული და უღმობელი სამსჯავროს წინაშეა დაყენებული ბატონყმური წყობილების მთელი სიმანხინჯე. ანტიბატონყმურმა ლიტერატურამ „საქართველოს მოამბეში“ მიადწია კლასიკურ სიმაღლეს და მისი იდეურ-მხატვრული ზემოქმედების ძალა იმით არის განხორციელებული, რომ იგი არა მარტო უარყოფს მანხინჯსა და დრომოქმულს, არამედ გამოსახავს დადებით იდეალებს, აღსავსეა პატრიოტიზმით, ჩაგრულთადმი ღრმა თანაგრძნობითა და ნათელი

მომავლის რწმენით. თაობათა საბრძოლო დევიზად იქცა ამ ქურნალ-
წი დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის ლექსის მონუმენტური ფორმულა:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს!

როგორც პუბლიცისტიკაში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში ქურ-
ნალმა ლაღად გაშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
დროშა. ეროვნული გრძობა და იდეალები გამოხატულია არა დეკ-
ლარაციულად, არამედ რეალური სინამდვილის არსებითი მხარეების
ფუძისეული ასახვით და მის საფუძველზე ფართო სამოქმედო ასპა-
რების წარმოდგენით. თავადაზნაურული ცხოვრების სიმანხვითა
მხილება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს წოდება თავისთავს ერის
ბურჯად სახავდა, წარმოდგენდა ერის განვითარების შემაფერხებელ
მიზეზთა გამომხეურებას, ცრუპატრიოტიზმისა და უნიადაგო ნაციო-
ნალური ყოყლოჩინობის მომაკვდინებელ საშიშროებად მიჩნევას.

„საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის ტრი-
ლოგიის სამივე ნაწილი („გლახის ნაამბობი“, „კაცია-აღამიანი?!“ და
„კაკო ყაჩაღი“) ეროვნულ-სოციალური კონცეფციის განუყოფელ
მთლიანობაში ჩვენების ღრმად ჩაფიქრებული და დიდოსტატურად
განხორციელებული ნიმუშია. ქართული სინამდვილის მართალი ასა-
ხვით ცხადყოფილია, რომ ერი განსაძღელის წინაშე დგას. პრივილე-
გიური წოდება, რომელიც ერის მეთაურად სახავს თავს, ზნეობრივად
და სულიერად გაკოტრებულია: დათიკო („გლახის ნაამბობი“) წოდებ-
რივი ტრადიციებით დაბრმავებული, გაუსწორებელი ეგოისტია: ლუ-
არსაბი, დარეჯანი და იმანი მათნი („კაცია-აღამიანი?!“) სულითა და
ხორციით აშშობრებულან; ზაქროსა და კაკოს ბატონები („კაკო ყაჩა-
ღი“) ყველა მხეცსა და მოთარეშეზე უფრო უღმობელნი და განუკი-
თხეელნი არიან. მათ წრეში არავინაა ისეთი, ვისაც თუნდ, ოღნავ
მაინც შეუთრთოლებს აზრსა და გრძნობას სამშობლოს სიყვარული.
მხოლოდ ყმა გლეხებს — გაბროს, პეპიას, კაკოს, ზაქროს შერჩენით
აღამიანური ღირსებანი: ზნეობრივი სიწმინდე და სულის სიმტკიცე,
რაც აუცილებელია საქართველოს ბედნიერების გამოსაქედად. მაგრამ
ერის ეს იმედი, მისი სასიცოცხლო ენერგია ბატონყმურ ბორკილებში
გათანგულა და სამოქმედო გზა დახშვია. მკითხველი ნათლად ხედავს,
რომ კოლონიალიზმთან ერთად, სოციალური უსამართლობაც არის
სამშობლოს უბედურების მიზეზი, ხედავს, რომ ეს ორი ბნელი ძა-
ლა — შინაური და გარეშე, განუყრელად გადაკეანძვია ერთმანეთს.

რეალური სინამდვილის ამ მრავალფეროვან სირთულეში ასახვა. ეროვნული საკითხის ამგვარი დასმა-გადაწყვეტა სრულიად ახალ მოვლენას წარმოადგენდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

„საქართველოს მოამბის“ ლიტერატურა იდეურად და თემატიკურად მრავალფეროვანია; ეროვნულ-სოციალურ მოტივთან ერთად, მასში ისმის სატრფიალო-აშუღური პოეზიის ხმები, მოჩანს ადამიანის სულიერი სამყაროს სილამაზე, მისი ინტიმური განცდები და შთაბეჭდილებანი, ბუნების სურათები.

„საქართველოს მოამბის“ ერთიან ლიტერატურულ სახეს, როგორც შინაარსით, ისე ფორმით ილია ჭავჭავაძის თხზულებები ქმნიან. ილიამ მხატვრული პრაქტიკით გამოაბრწყინა, რასაც სხვისგან მოითხოვდა. ჩვენი ლიტერატურის ბედნიერებაა, რომ მასში ასე მადლიანად გაერთიანდა დიდი კრიტიკოსი და მხატვარი. როგორც მწერალი, ილია ჭავჭავაძე არსებითად, „საქართველოს მოამბეში“ გაიცინო საზოგადოებამ. აქედან დაიწყო მისი ლიტერატურული დიდება. „ცისკარში“ დაბეჭდილი მისი ლექსები და თარგმანები მკაფიო წარმოდგენას როდი იძლევა მის ტალანტზე. ილია ჭავჭავაძის სამოციანი წლების შემოქმედება, ჩვენი ლიტერატურის ეს მარად ფერუცვლელი განძი, თაქმის მთლიანად, „საქართველოს მოამბეში“ აქცია ხალხის კუთვნილებად. იშვიათად შეხვდებით რომელიმე მწერლის ცხოვრებაში ისეთი შემოქმედებითი ნაყოფიერების, ჩაუქრობელი შთაგონებისა და მოუღლეელი შრომის წლებს, როგორც იყო ილიასათვის 1861 — 1863 წლები. აშკარად ჩანს, რომ ხალხისა და სამშობლოს ბედით აღელვებული მწერალი ჩქარობდა, ცდილობდა დაუყოვნებლივ გამოხმაურებოდა ცხოვრების აქტუალურ მოთხოვნებს, მძლეობდა სიტყვით „წინ წასძლოლოდა ერს“, „მოეწმინდა მისთვის ტანჯვის ცრემლი“.

მკითხველი საზოგადოება ერთბაშად მოხიბლა სინამდვილის მრავალფეროვანმა სურათებმა, შთაბეჭქდაემა ტიპურმა სახეებმა, ნატიფი ფსიქოლოგიზმით გადმოცემულმა გმირთა სულიერმა სამყარომ, მახვილმა და ღრმა აზრებმა, სისხლსავე ხალხურმა მეტყველებამ; ეხლა აეხილათ თვალი, თითქო ეხლდა დაინახეს გარემო სინამდვილე, რომელსაც დაბადებიდან უყურებდნენ. ალ. ცაგარელს კარგად აქვს შენიშნული ილიას შემოქმედების ერთი დიდი სიკეთე — „ილია ჭავჭავაძის ნიჭი, — წერდა ის გაზ. „დროებაში“, — არ არის... ერთგვარი, ერთმხრივი, არამედ დაჰყურებს საგანს ყოველმხრივ და (ერთდრო-

ულად) მრავალ სხვადასხვა ფერ და გვარ საგანს“. ქართველმა მკითხველმა პირველად აქ დაინახა თავისი ცხოვრება „ყოველმხრივ და მრავალ სხვადასხვაფერ და გვარობაში“¹.

„საქართველოს მოამბეში“ მთელი ძლიერებით წარმოდგა ახალი სალიტერატურო ენა, როგორც მხატვრული შემოქმედების ძირითადი ფენომენი, რომელიც ორგანულად ეუფლება მწერლობის ყველა ენარს და ძირეულ გავლენას ახდენს მის იდეურ-ესთეტიკურ სრულყოფაზე. ეს ენა გადამწყვეტ გამარჯვებას აღწევს არა თეორიული კამათით, არამედ სწორუპოვარი შემოქმედებითი პრაქტიკით, რომელიც ერთის შეხებით არღვევს არქაიზმის პოზიციებს. ახალმა აზრებმა ახალი ბობოქარი სული შთაბერა სალიტერატურო ენას, რომელსაც დემოკრატიული შეხედულებები მიჰქონდა ხალხთან. ცხოვრებამ ღვიძლი შვილივით მიიღო იგი და ცხადყო ილია ჭავჭავაძის მოსაზრების სისწორე, რომ: „აზრი და მხოლოდ აზრი აძლევს ენას მნიშვნელობას“.

სალიტერატურო ენის გახალსურება ჟურნალის რედაქტორმა საპროგრამო წერილშივე — „საქართველოს მოამბეზედ“, გამოაცხადა მწერლობის წინსვლისა და მისი საზოგადოებრივი ზემოქმედების უპირველეს პირობად. იგი წერდა: „ლიტერატურა თუმცა დღე და დღე მდიდრდება, ივსება ახალი ნაყოფითა, ახალის იდეებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგენი, როგორც საჭიროა. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაშორდა ხალხის ენასა... თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს“. ამ პრობლემის გაშლილი ანალიზი მოცემულია „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში.“ კონკრეტული მხატვრული მასალის ანალიზით, აქ დაგმობილია მალალფარდოვნება, ენის ბუნებრიობის თვითნებური და თვითმიზნობრივი დარღვევა, მხატვრული ჩანაფიქრის ხასიათისაგან სტილის დაშორება; წამოყენებულია მოთხროვნილება, რომ: „აზრი გამომდინარეობდეს ლაღად, თავისთავად გონებით-

¹ თანამედროვენი ერთხმად გვიდასტურებენ, რომ „ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს გატაცებით კითხულობდა საზოგადოება. „ახალგაზრდობა აღმერთებდა მას“ (Г. Туманов. Характеристики и воспоминания, 1913 г., стр. 182). „ბევრი უკეთესი, რაც კი დაწერა ქართულად, იპოვება „საქართველოს მოამბეში“ და ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის კალამს, რომელმაც თავისის მოთხრობებით, ლექსებითა და სხვადასხვა სტატიებით, დაგვიმტკიცა თავისი ტალანტი“ („მნათობი“, 1869, № 1, გვ. 9).

განა, სადაც არის მოგროვებული და აპირებს გამოხეტქასა, როგორც დაგუბებული წყალი“; ნათელყოფილია, რომ „აზრი სისიამოვნოა წასაკითხავად, (როდესაც) თხზულება დაწერილია საყოველთაო, შინაურულს ენაზედა, რომლითაც ლაპარაკობს ქართველი კაცი თავის სახლში, თავის ცოლ-შვილში, ტოლთან და ამხანაგთანა“.

„საქართველოს მოამბის“ ბრძოლა ენის გახალხურებისათვის წარმოადგენდა მხატვრული ფორმის გახალხურებისათვის ბრძოლის ნაწილს. აქ უურნალს („სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“) თავის უშუალო წინამორბედად გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი მიაჩნდა. ილია და მისი თანამებრძოლები გადაჭრით ებრძოდნენ არქაიზმს, უარგონს, ბარბარიზმს, დიალექტიზმს, მაგრამ ყველა ეს ელემენტი მიზანსწრაფულად მონაწილეობს მათს ნაწერებში, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის ენობრივ-სტილისტური საშუალებანი. ილია თავგამოდებით მოითხოვდა ლიტერატურიდან „ძველი მწიგნობრული ენის განდევნას“, მაგრამ მას მხედველობაში ჰქონდა თვით მწერლისა და არა პერსონაჟის ენა. მისი მღვდელი „გლახის ნაამბობში“ ან ლუარსაბ თათქარიძის სიმამრი გრძელაძე — „კაცია-ადამიანში“ ძველქართულით მეტყველებენ; უურნალი ვერ ითმენდა ბარბარიზმებს, მაგრამ ი. ბერიძის პერსონაჟთა ენა აჭრელებულია სომხური და რუსული წინადადებებით. „კაცია-ადამიანსა“ და „გლახის ნაამბობში“ კახური დიალექტზმებსაც ვხვდებით. ეს იყო ლიტერატურულ-მხატვრული მიზანდასახულობით ენობრივი სიმდიდრის გამოყენების მანამდე არნახული მაგალითი. მწერლის ხელში ის სასწაულმოქმედ იარაღად იქცა დროისა და ადგილის, სოციალური და ეროვნული კოლორიტის გადმოცემისას.

სამწერლო ენაში ენობრივი სიმდიდრის ასე შემოქმედებითად გამოყენების კლასიკური დასაბუთება მოცემულია „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“. ეყრდნობა რა ბ. ბელინსკის სტატიას — „ასი რუსი ლიტერატორი“¹, ავტორი გარკვევით ამბობს, რომ „უწინდელი მწიგნობრული ენით დაწერილი ან იმ არეული უწინდელი და ახლანდელი ენით დაწერილი უურნალი არასდროს არ შეიქმნება სახალხო, ან საზოგადოდ ყველასათვის „წასაკითხავი“. მაგრამ, როცა ენის მხატვრულ ფუნქციას ითვალისწინებს, იქვე შენიშნავს: „სადმართო წერილიდან ამოდებული ზოგიერთი სიტყვაც გამოგვადგებაო.“

საყურადღებოა, რომ „საქართველოს მოამბის“ მხატვრულ ნაწერებში ფართოდ მონაწილეობს ევროპული ენებიდან ახალ შემოტანილი ლექსიკური მასალაც, რომელსაც ძველი თაობა კრიტიკულ წერილებშიაც კი ვერ ითმენდა. სფ. ჩიტორელიძე ამ აუცილებლობასაც

¹ ვ. შაღურაძე, ბესარიონ ბელინსკი, თბ., 1948, გვ. 83.

„საგნის“ ხასიათითა და მწერლის მიზანდასახულობით ასაბუთებს. უცხო ენებიდან შემოტანილი სიტყვები რომ ჩავიტანოთ ფოთში, ჩავყაროთ გემში და თავთავის სამშობლოში გავგზავნოთ, მაშინ „ქართული ენა კალიისაგან მოკმულ ყანას დაემსგავსებაო“, — წერს ის პროგრესის გზაზე ხალხებთან გაცხოველებული ურთიერთობის შედეგად. „აღნაქვის ქართული ენისა იცვლება და, ამას გარდა, უცხო ქვეყნის სიტყვები შემოდის ხმარებაში“.

მხატვრული სტილის საკითხებისადმი ამ რეალისტურმა დამოკიდებულებამ ყოვლისმძლე ენობრივი აღჭურვილობა მისცა ჩვენს სამოციანელებს; ხელოვნურად დახშული კარები ფართოდ გაიღო და ლიტერატურაში მძაფრი სურნელი შემოიტანა ხალხურმა გამოთქმებმა, იდიომებმა, ანდაზებმა, „უხეშობისა“ და „არაკეთილხმოვანების“ გამო ათვალწუნებულმა სიტყვებმა. მხატვრული ენა სისხლსავსე, ძარღვიანი, უხვი და ბარაქიანი გახდა, რამაც ხელი შეუწყო ცხოვრების სინამდვილისა და ადამიანთა მრავალფეროვანი სულიერი სამყაროს უთვალავ თავისებურებებისა და ნიუანსების მხატვრულად ასახვას.

პოეზია

50-იანი წლები კრიზისის ხანა იყო ქართულ პოეზიაში. ამ დროისათვის რომანტიზმმა მთლიანად ამოწურა თავისი იდეურ-მხატვრული შესაძლებლობანი და დაკნინდა. წმინდა ასპარეზს ეპიგონი „პიოტიკოსები“ დაეპატრონენ. პოეტური ფორმა საოცრად გაღარიბდა, ხოლო შინაარსი დავიწროვდა და აჭრელდა. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ძველი მოტივების ნაძალადევი გადამღერება; ახალი საამაყო მემკვიდრეობის ათვისებისა და განვითარების ნაცვლად, მელექსეები შორეულ წარსულს მიუბრუნდნენ: „ვარდბუღბულიანი“ და „სოფლის სამღურავი“ ლიტერატურული გემოვნებისა და ნიჟის საზომად გამოცხადდა, ხოლო ლექსის წერა უსაქმურთა მოღურ გართობად იქცა. პოეზიამ დაჰკარგა საზოგადოებაზე იდეურ-ესთეტიკური ზეგავლენა. გაბატონდა წუთისოფლის მღურვა, სიცოცხლის ამოებზე ოხვრა, სააქაო სოფლის წარმავლობაზე ჩივილი, „პლატონიკური სიყვარული“. „რაკი ყურადღებით გადავიხილეთ მთელი ლექსები 1857—1862 წწ. (იგულისხმება „ცისკრის“ პოეტთა შემოქმედება. — ა. კ.), — ჩვენ შევნიშნეთ, რომ უფრო მომეტებულნი მოლექსენი უკაცრავად არიან პოეზიაზე. არამცთუ პოეზია, ენა დამახინჯებული აქვთ, შეუბრალებლად წამხდარი... ჩვენ შევნიშნეთ, რომ „ცისკრის“ ახალ მოლექსეებს, ზოგიერთთ გარდა, დიდი კავშირი აქვთ ძველებზედა. კავშირი ისტორიული განვითარებისა კი არა, მსგავსებისა. ეხლანდელი

მოლექსენი თითქოს იმას იმეორებდნენ, რაც უწინდელებს უთქვამთ“¹.

ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკული წერილები შთაგონებული იყო ქართულ პოეზიაზე ზრუნვით. ავტორი ხალხის სამსახურისაკენ მოუწოდებდა პოეტებს, ხალხის ცხოვრების, მისი ფიქრისა და აზრის, მისი იდეალებისა და მისწრაფებების ასახვასა და გამოხატვას მოითხოვდა მათგან. მწვავედ ამხელდა იმ კალმოსნებს, რომლებიც ნათელ აზრსა და გრძნობას მსხვერპლად სწირავდნენ რითმას; კრილოსანზე ჩამოყრილი. მარცვლებით ცდილობდნენ ზომისა და რიტმის შენარჩუნებას და სხვას აღარაფერს დასდევდნენ. „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? — კითხულობდა ის, — აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თ. გრ. ორბელიანისა... აბა, ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია... რამდენი ნამდვილობა და კვშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარღვევაში, კენჭსაში და ნატურაში... პოეზია განსხივოსნებაა კვშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჭაქვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა... თქვენ რითმისთვის შეგიწირავთ აზრიც, ფიქრიც, ის ცოტადენი გულის სითბოც, რომელიც ორიგინალშიაო“, — უსაყვედურებდა რ. შ. ერისთავს.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ ამომწურავადაა დახასიათებული ქართული პოეზიის იმდროინდელი მდგომარეობა და დასახუ¹ლია მისი განვითარების მიმართულება და გზები. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში დიდი პატივისცემა აქვს ლექსის მთხველს, ზოლო პროზა აგრე რიგად არ იზიდავს მკითხველს, მეტადრე ხნიერ ხალხს. თუ ვინმემ ორიოდ ლექსი დაწერა, მას უკვე დიდ პოეტად თვლიან. სხვა ქვეყნებში პოეტის გამოჩენა დიდ და იშვიათ ბედნიერებათ მიაჩნიათ. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენში ყოველი ლექსი წამკითხველს პოეზია ჰგონია და ამიტომ „პოეტები მრავალნი არიან და პოეტის ნიჭი კი ცოტასა აქვს“. თადეოზის თხოვნაზე, ამიხსენი რა არის პოეზიაო, სფირიდონი (ი. ჭავჭავაძე) უპასუხებს, მაგისი ახსნა ძალიან ძნელია, დიდ დროსა და ფიქრს მოითხოვსო. თან ირონიულად დასძენს, — გიორგი თუმანიშვილს („ციცკარის“, ვითომდა, პოეტი-თეორეტიკოსი“. — ა. კ.) რომ ჰკითხოთ, მაშინვე აგჩხნის, თუნდ, ლექსადაც გაგცემს პასუხსო. მე კი ბელინსკის თხზულებიდან გადმოგითარგმნი ერთს სტატიას პოეზიაზეო. ამას მოჰყვება ბელინსკის წერილის ვრცელი ზედმიწევნით ნათელი თარგმანი, რომელშიც აქსნილია არამართო პოეზიის არსი, არამედ გაშუქებულია პოეტური შემოქმედებითი პროცესისა და პოეტური კულტურის კარდინალური საკითხები. ეს მოსაზრებანი (პოეტური შემოქმედების პროცესის შესახებ) იმიტაც არის საინტერესო, რომ მან, როგორც ვნახეთ, გამოხა-

¹ „ციცკარი“ 1857 წლიდან 1863 წლამდინა, ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III.

ტულება ჰპოვა ი. ჭავჭავაძის „სხარტულაში“. ეს იყო არამართო მხატვრული სიბრძნის სკოლა შემოქმედთათვის, არამედ იმ რითმის მბეჭდველთა განქიქებაც, რომლებიც ერთმანეთში ურევდნენ პოეტურ შთაგონებასა და თავის მოგიჟიანებას. „...მართლაც, — ეკითხულობთ აქ. — თუ კი მე ზომიერი და გართმული სტრიქონები, რომელშიც კეთილზნობითი და კეთილმოქმედებითი აზრია, მგონია პოეზია.... როგორღა დამარწმუნებთ, რომ პოეზია არის მხატვრობა სიცოცხლის გამოჩინებისა? — თუკი... ზეგარდმო შთაგონება მგონია ზნობითი სიმთვრალე, — (თითქო ბანგი დაუღვევიაო, ან ღვინისაგან შებრუთულაო), გრძობის აღტაცება, გულისკენების ცხედება, რომელიცა მოუწოდებელ, უნიჭო პოეტსა გამოახატვინებს საგანსა რაღაც უგუნური ბროწილითა, ალაპარაკებს ველურის და ძალდატანებულის აღნაქვსებით მიგრეხილ-მოგრეხილი ამბის თქმითა, ჩვეულებრივს სიტყვებს მიაცემინებს ძალდატანებულ მნიშვნელობას..., როგორც ჩამაგონებთ. — ... რომ „ზეგარდმო შთაგონება“ არის ის წუთის ყოფა. როდესაც სული ცხადად და ნათლად ხედავს, არის მშვიდი, მაგრამ ღრმა განხილვა სიცოცხლის საიდუმლოებისა, რომ იგი, თითქოს მისწურო კვერთხით, გამოიყვანს გრძობის მიუწვდომელი წერტილისაგან აზრსა, ნათელს სახესა, სავსეს სიცოცხლით და ღრმა მნიშვნელობითა, და ჩვენს გარეშე მყოფს მოქმედებას, ცხოვრებას, ხშირად ბნელსა და გაუწყობელს, გამოაჩენს ნათლად და თანხმობით წყობილად?... პოეზიაში სიცოცხლე უფრო უკეთეს სიცოცხლედ ამობრწყინდება, ვიდრე თვით სინამდვილეშია“.

60-იანმა წლებმა ქართულ პოეზიაში უდიდესი გარდატეხა შეიტანა. აქაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედებით ახალი ხანა დაიწყო ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში და კრიტიკული რეალიზმის პოეზიამ, რომელიც მანამდე გაუბედავი ცდის ფარგლებს ვერ გასცდენოდა, ერთბაშად კლასიკურ სრულყოფას მიაღწია. ეს არის პატრიოტიზმისა და სოციალური პროგრესის იდეებით შთაგონებული, ნათელი აზრისა და ხალასი გრძობის პოეზია. პოეტის აზრი და განცდა, მისი შთაბეჭდილებანი და განწყობილებანი აქ რეალური სინამდვილის გამოხატულებაა, მისგან მომდინარეა და მის განვითარებას ემსახურება. სტრიქონთა აზრობრივი დატვირთულობა, ინტიმურის ზოგადობამდე ამოღება, საბრძოლო აუღერება, ფორმის ხალხურობამდე გასადავება, ფოლკლორული მონაპოვარის შეთვისება ამ პოეზიის ძირითადი ნიშნებია. მან საგრძობლად გააფართოვა პოეტური ხედვის არე, შემოიტანა ახალი თემები და მოტივები — განაცხოველა და ახალი ელვარება მისცა ძველს. სამოქალაქო-პოლიტიკური ლირიკის გვერდით ჩვენს სამოციანელთა შემოქმედებაში შესაფერი ადგილი უკავია პოეზიის მარადიულ თემებს — სიყვარულსა და ბუნებას.

თერგდალეულებმა მხოლოდ საკუთარი ქმნილებებით კი არ გაამდი-
დრეს ლიტერატურა, არამედ მთელი სიღრმით პირველად იმათ აგრ-
ძნობინეს საზოგადოებას დიდი რომანტიკოსი პოეტების — ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის პოეზიის ძლიერება,
სიამაყით აღიარეს ისინი თავიანთ უშუალო წინამორბედებად. შეიძლე-
ბა ითქვას, რომ ეს პოეტები თერგდალეულებს შემოჰყენენ ჩვენს ლი-
ტერატურაში. „საქართველოს მოამბეში“ ისინი სავსებით ბუნებრივად
გრძნობენ თავს და თავისებურად ავსებენ იმ გულსატკენ ხარვეზებს,
რომელიც „ცისკარში“ აკაკი წერეთლის დარჩენამ გამოიწვია.

ილია ჭავჭავაძე

„საქართველოს მოამბე“ ილია ჭავჭავაძის პოეტური ნიჭითაა გა-
ცისკროვნებული და ჟურნალის ფურცლებიდან იგი გვესახება ახალი
იდეებით შთაგონებული ამ პოეზიის მებრძოლ, მგრძნობიარე ლირი-
კულ გმირად. უპირველეს ყოვლისა, მის ნაწერებში ვგრძნობთ, რა-
ოდენ უსასრულოა პოეტური აზრი და რა მომზიბელელია მისი თვალ-
მიუწვდენელი სიღრმეები. პოეზიის არსსა და საზოგადოებრივ დანიშ-
ნულებაზე თავისი თვალსაზრისი ილიამ დიდი მხატვრული ლაკონი-
ურობით გამოკვეთა ლექსში „პოეტი“, რომელიც ჟურნალის მე-4 ნო-
მერში დიბეჟდა, და ეს თვალსაზრისი სრული სისაყისით განახორცი-
ელა აქ გამოქვეყნებულ დანარჩენ პოეტურ ქმნილებებში.

„პოეტი“ დაწერილია 1860 წ. 4 აგვისტოს და მიძღვნილია ნ. დო-
ბროლიძისადმი, რომელიც „საქართველოს მოამბეში“ ილიას თანა-
რედაქტორი იყო. ამ ლექსის წარმომავლობაზე უმართებულო შეხე-
დულებანი დამკვიდრდა ლიტერატურათმცოდნეობაში. რომანოზ ფან-
ცხავას (ხომლეღის) აზრით, „პოეტის“ დაწერის საბაბი და მასში გა-
მოხატული იდეის წყარო ყოფილა 1860 წელს „სოკრემენიკში“ და-
ბეჟდილი ნ. დობროლიუბოვის წერილი... „განხილვა რუსული ლიტე-
რატურისა“, რომელშიც კრიტიკოსი ა. პუშკინის შემოქმედებას ხალ-
ხისათვის უსარგებლოდ თვლის — ხალხის ტანჯვით არ ეწვის გული
და ფრინველივით უსაგნოდ მღერისო. ზოგიერთი მკვლევარი ა. პუშ-
კინისა და მ. ლერმონტოვის „წინასწარმეტყველის“ სახელით ცნო-
ბილ ლექსებს უკავშირებს ილიას „პოეტს“. ამასთან დაკავშირებით,
ს. ხუციშვილი იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ „პო-
ეტის“ დაწერამდე ილიამ თარგმნა და დაბეჟდა ალ. პუშკინისა და მიხ.
ლერმონტოვის აღნიშნული ლექსები.¹

¹ „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, №3—4, 1947.

რ. ფანცხავას დასკვნა არ გამომდინარეობს კონკრეტული ფაქტების ანალიზიდან, რადგან ილიას „პოეტი“ ჩაფიქრებულია ნ. დობროლიუბოვის აღნიშნული წერილის გამოქვეყნებამდე და ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიების ნაყოფია. ვფიქრობთ, პოეზიის არსს და დანიშნულებაზე ი. ჰავკავაძეს შეეძლო ესარგებლა ბ. ბელინსკის წერილებით, რომლებითაც განსაკუთრებით დაინტერესებული იყო. ალ. პუშკინისა და მ. ლერმონტოვის „წინასწარმეტყველთან“ ანალოგიაც მეტად პირობითია და, არსებითად, მის საფუძველს შეადგენს აზრი პოეტის დანიშნულებაზე. ამ აზრს კი უფრო შორეული წყაროები ეძებნება. შეხედულებათა ეს სხვადასხვაობა იმის მაჩვენებელია, რომ წლების მანძილზე ილია დიდი შემოქმედებითი ტიკვილით ეძებდა ნათელ პასუხს პოეზიის დანიშნულებაზე, ეცნობოდა ყველაფერს, რაც ამ პრობლემას შეეხებოდა, თვალწინ ედგა სამშობლოს ბედი და შეიძლო გასაოცარი სისხარტით გამოექანდაკებია თავისი აზრი და გრძნობა. „პოეტის“ განწყობილება, მისი საბრძოლო შემართება ცხადყოფს, რომ ლექსი 60-იანი წლების იდეათა პირმშოა, ქართული სულით სუნთქავს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებითაა აღსავსე. წარმტაც პოეტურ ფორმაში აქ ცხადადაა გამოხატული დაჩაგრული ხალხის სამსახურის იდეა, წარმოდგენილია მებრძოლი, შეუპოვარი პოეტი-მოქალაქის სახე: ხალხისათვის თავგანწირვა, მისთვის „ტანჯვის ცრემლის მოწმენდა“ პოეტის ერთადერთ მოვალეობადაა მიჩნეული. გასაკვირია, რომ ეს აზრი, რომელიც ასე მკაფიოდაა გადმოცემული ამ ლექსში, მაშინდელმა კრიტიკამ სწორედ ვერ გაიგო. ანტ. ფურცელაძე „ცისკარში“ წერდა: ი. ჰავკავაძე ღმერთს ელაპარაკება და ცილგან მიწაზეა გამოგზავნილი... წესიერების დასამყარებლადო“. ამით რომ გათავებულ იყო, ვიტყვით, ანტ. ფურცელაძე პოლემიკურმა სიტყვარემ შეაეცინაო, მაგრამ ათეული წლების შემდეგ რომანოზ ფანცხავამ უფრო მწვავედ გაიმეორა ეს შეხედულება. იგი ამტკიცებს, რომ ილია რელიგიური რწმენით იყო გამსჭვალული და პოეტს ღმერთის მიერ დანიშნულად თვლიდა¹. ამ პრიმიტიულ თვალსაზრისზე ყურადღების გამახვილება იმიტომ არის აუცილებელი, რომ მისი ანალიზი საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ პოეზიაზე ილიას აზრის ერთ მხარეს, რომელსაც მაშინ აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა. პოეტური ტალანტის გადამწყვეტი როლის უარმყოფელთა პასუხად, ილია ჰავკავაძე, ისე როგორც ბ. ბელინსკი, ხაზს უსვამს ბუნებრივი ნიჭის, „ზეგარდმო შთაგონების“

¹ რომანოზ ფანცხავა, „ილია ჰავკავაძე, როგორც ლირიკოსი“, ჟურნ. „განთიადი“, 1915 წ. № 16; კრებული: „ილია ჰავკავაძე ქართულ კრიტიკაში“, ი. ბოცვაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1957 წ., 140.

როგორც შემოქმედებითი მოღვაწეობის უსათუო ელემენტის, მნიშვნელობას. თეორიულად ამ საკითხს ილია თითქმის ყველა თავის კრიტიკულ წერილში ეხება. „...პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცი...“ — წერდა ის, „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთით რჩეულთა“.

აქ ისევე როგორც ლექსში, — „ღმერთისა“ და „ზეცის“ ცნებები პოეტურად ენაცვლება „ბუნებრივი ნიჭისა“ და „ზეგარდმო შთაგონების“ ცნებებს. ილიას ლექსშიც სწორედ ის აზრია გამოხატული, რომ პოეტური სიტყვით ხალხის სამსახური მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც დაჯილდოებულია ბუნებრივი ნიჭით და მაშინ მღერის, როცა შთაგონება ეწევა.

ილიას თხზულებათა გამოცემებში „პოეტი“, ძირითადად, იმ სახით შევიდა, როგორც „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა. ავტორს მხოლოდ ერთი არსებითი შესწორება შეუტანია ლექსში — „ხალხი“ — შეუცვლა „ერით“, ამ შესწორებას სხვადასხვა მიზეზით ხსნიან, მაგრამ ერთი რამ უდავოდ უნდა მივიჩნიოთ: „ხალხის“ ცნებას ლექსში ორმაგი მკვეთრი ნიუანსი აქვს — სოციალური და ეროვნული. ამ სიტყვის იმდროინდელი გაგების გაუთვალისწინებლადაც, ამაზე მეტყველებს ლექსის საერთო განწყობილება, ხოლო შინაარსი უეჭველს ხდის, რომ აქცენტი ავტორს დაჩაგრული მშრომელი ხალხის მდგომარეობაზე აქვს გადატანილი. ამგვარი გაგება სავსებით შეესაბამება, აგრეთვე, ი. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების ხასიათსა და „საქართველოს მოამბის“ იდეურ-ესთეტიკურ მიმართულებას. ჟურნალსა და მის რედაქტორს განუყოფელ მთლიანობაში ჰქონდათ წარმოდგენილი ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლება, რასაც მისი პოეტური შემოქმედების ანალიზიც ცხადყოფს.

ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის“ პოეტური კრედოს განსაზღვრელ ნაწარმოებთა რიგს ეკუთვნის, აგრეთვე, ამ ჟურნალში დაბეჭდილი მისი ლექსები: „უსულდგმულო ცხოვრება ცის ნიქად ნუ გგონია“ და „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“. საყურადღებოა, რომ ეს ლექსები, აგრეთვე, ამავე ციკლის მესამე ლექსი — „ალექსანდრე ჭავჭავაძეს“, რომელიც „ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა, დაწერილია 1860 წლის აგვისტოში, ე. ი. იმ დროს, როცა დაიწერა „პოეტი“. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ პოეზიის არსის ძიებისას ილია შთაგონებული იყო ქართული სინამდვილით და გავლენების ძიება უაზროა. ლექსს „ალექსანდრე ჭავჭავაძეს“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს პუშკინის სტრიქონები:

Его стихов пленительная сладость
Пройдет веков завистливую даль.

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. აკადემიური გამოცემა, ტ. III, გვ. 120, 250.

ასე რომ, „პოეტში,“ ნ. დობროლიუბოვის წერილის გავლენით, პუშკინთან პოეტური გააქვების დანახვა სრულიად უსაფუძვლო ხდება.

ლექსში „უსულდგმულო ცხოვრება“... საზოგადოებრივი მოღვაწეობა გამოცხადებულია ადამიანის უწმინდეს მოვალეობად, ქვეყნის სამსახური — უკვდავების საწინდარად:

...ცხოვრებას აცისკროვნებს
სული, საქმით მეტყველო;
და ის უბრალო არის,
ვით სულის შთამბერველი.
ნეტა ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქვე ეწაფება
უკვდავების წყაროსა!..

ორი დიდი ქართველი რომანტიკოსისადმი მიძღვნილი ლექსები აღრმავებს და აკონკრეტებს ილიას პოეტური მრწამსის ხასიათს, გვიჩვენებს მშობლიური ლიტერატურის მოწინავე ტრადიციებთან პოეტის სისხლხორციულ კავშირს, მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს მისი შემოქმედების ეროვნულ ფესვებზე. ნიკ. ბარათაშვილს პოეტი თავის წინამორბედად, სულისა და საქმის თანაზიარად თვლის. იმის ნათელსაყოფად, რომ ახალი თაობა მისი საქმის გამგრძელებელია, ილიამ „მერანის“ ორი სტრიქონი დაურთო ეპიგრაფად ამ ლექსს:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირული სულსკვეთება
და გზა უუალო, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

ამ ლექსში პირველად გამოჩნდა ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედების დრმა გაგება. „მერანის“ ავტორში ილია ჰავკვაძემ თავისი „პოეტის“ განხორციელებული იდეალი დაინახა და ნათლად გამოხატა ეს:

არა დედ-მამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვისლა მივანდოთ ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და ლხენა?!

სათაურით — „ერთი მოთხრობის დასაწყისი“, ჟურნალის მე-10 ნომერში დაბეჭდილია „კაკო ყაჩაღის“ პირველი თავები. პოემას ეპიგრაფად უძღვის შ. რუსთაველის სიტყვები:

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

პოემის დაბეჭდილი ნაწილი იწყება სიტყვებით:

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი...

და მთავრდება:

მისებრი შვილი, ბერიც ინატროს,
ეხლანდელ დედამ ველარ გაზარდოს!

ილიას გულით სწაღდა „საქართველოს მოამბეში“ ამ პოემის მთლიანად დაბეჭდვა, მაგრამ ცენზურა ვერასგზით ვერ დაიყოლია.

1864 წელს კირ. ლორთქიფანიძემ „ჩონგურში“ დასაბეჭდად სთხოვა პოეტს თხზულების დანარჩენი ნაწილი, რის თაობაზე ილია წერდა: „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ რომ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნებს აგვირძალავენ, ეს ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს. დასაწყისი მაგისი, რამოდენიც „საქართველოს მოამბეშია“, თუ გნებავს, დაბეჭდე“.

ეს ფაქტიც უტყუარი მაჩვენებელია, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, და საერთოდ, „საქართველოს მოამბის“ იდეურ-პოლიტიკური მისწრაფებანი დიდად სცილდებოდა ლეგალური პრესის ფარგლებს.

ჟურნალში პოემა იქ წყდება, სადაც ზაქრო იწყებს თავისი ბატონის მხეცობისა და მისი მოკვლის ამბავს. აქედან ნათელი ხდება ცენზორის გადაწყვეტილების მოტივი.

რადგან „საქართველოს მოამბეში“ „კაკო ყაჩაღის“ მთლიანად დაბეჭდვა არ მოხერხდა, ზოგიერთები ცდილობდნენ ამით დაეკნინებინათ ამ თხზულების საზოგადოებრივი ზეგავლენის მნიშვნელობა 60-იან წლებში. ასეთი „მკვლევარები“ ვერ ითვალისწინებდნენ, რომ პოემის იმ ნაწილშიც, რომლის დაბეჭდვა ჟურნალმა მოახერხა, მოცემულია ბატონყმური წყობილების გამანადგურებელი მხილება და, არსებითად, მთელი სისრულით ცხადყოფილია პოეტის იდეურ-პოლიტიკური ჩანაფიქრი. გამოქვეყნებული ნაწილის მიხედვითაც, ბატონყმობისაგან თავის დაღწევისა და თავისუფლების მოპოვების ერთადერთ საშუალებად მიჩნეულია შეიარაღებული ბრძოლა, ყაჩაღად გავარდნა. ჟურნალის ფურცლებზე მოქმედებენ იარაღში ჩამჯდარი, ბრძოლის ველზე მყოფი გლეხები — კაკო და ზაქრო. მკითხველი გრძობს იარაღით მოპოვებული თავისუფლების სიტკბოს, ამას სანატრელად ესახება არსენობა, ხოლო რამ მიიყვანა ეს გლეხები აქამდე, რატომ გასცვალეს მშობლიური სახლ-კარი უღრან ტყეზე, — ამის პასუხს თვით არსებული სინამდვილე იძლეოდა. მიზეზები ყოველთვის ცხადი იყო. უნდა ითქვას, რომ ამ ფონზე ცენზორის შემდგომი მოქმედება ფორმალურ კირვეულობად მოჩანს. ჟურნალში დაბეჭდილი ნაწილიც აღსავსეა თავისუფლებისადმი ხალხის სწრაფვით, ყველაფერში იგრძნობა მისდამი შეუკავებელი ლტოლვა.

კაკოსა და ზაქროს პირველი შეხვედრის ეპიზოდში კონდენსირებულად არის ასახული თხზულების იდეურ-პოლიტიკური ჩანაფიქრი:

კაკო: ღიახ, გახლავარ!.. რა გნებავს შენა?
 მხედარი: შენთან სიციცხლე, შენთან სიკედელი,
 შენთან ყოფნა და შენთან ღარჩენა.

კაკო: ხოშ-გელი, ძამო!.. მე ვარ მდიდარი,
 ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა,
 გაშლითა არის ჩემი სახლკარი
 და ვერას მაკლებს აქამდე მტრობა.
 ...ყოველ ხის ძირას ჩემი სახლია,
 საღე მიღამდება, იქ მთიენდება,
 თუმცა ბევრი რამ მე აქ მკალია,
 მაგრამ აქ კირიცი შიადვილდება.
 ...მართალია, ძმაე, კაცი მოსწყინდება —
 ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
 მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
 სადაც ჩვენა ვართ ჩვენი ბატონი!..
 მე თანა მყევანან რკინისა ძმები:
 ჩემი სიათა, დამბაჩა, ხმალი.
 არც მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები,
 მანამ მაქვს მკლავი თაეისუფალი.
 ...ჩემი სიმდიდრე აი, ეს არი!..
 ჩემს სამეფოში არ არის გმობა,
 თუმცე ორგულთან ვარ დაუნღობარი,
 მაგრამ ერთგულთან მეც ვიცი ძმობა!..

ამ თხზულებით „საქართველოს მოამბემ“ უთუოდ მიიტანა მკითხველამდე ბატონყმობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის აზრი, სამაგალითოდ დაუსახა მას გლუხთა წორიდან გამოსული მებრძოლების სულიერი სიმტკიცე და ზნეობრივი სისპეტაკე; ხალხის საყვარელ გმირებად წარმოუდგინა არსენა, კაკო, ზაქრო.

განა პოემის მთელ იდეურ-მხატვრულ კონცეფციას არ სსნის მხედრის (ზაქროს) სიტყვები:

შენი გაცნობა არ არის ძნელი,
 ამაზედ რალა ვილაპარაკო,
 შორს გავარდნილა შენი სახელი,
 ბეშემაც კი იცის, ვინ არის კაკო!
 შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
 ეისაც ენა აქეს, შენ ყველა გაქებს;
 შენი ამბავი, ეხლა მართალი,
 ზღაპრად მიუვა ჩვენ შეილიშვილებს.
 შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
 გამოჰქეციხარ უსამართლობას;
 ამბობენ, თურმე გიყვარს გლუხკაცი,
 ბარაქალა მაგ გულკეთილობას!..
 რომ ბედში მყოფი, შენ ძმად მიგაჩნდეს,
 ეგ ვერაფერი სიყვარულია,

სიტუცა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.
მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლუხკაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
გლუხკაცის ბედი, კირი და ლხენა,
შვილსავეთ კალთით უტარებია.
აბა, კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავ, ჰხურებია;
ნეტა იმ დელას, ვისგანც გაზრდილა
და ვისაც ტუჭუ უწოვებია!..

არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ნაწილით ინტერესგაღვიძებულ მკითხველთა შორის „კაკო ყაჩალი“ არალეგალურად ვრცელდებოდა მთლიანი სახით, ამაზე მიუთითებს, კერძოდ, გიორგი თუმანიშვილის 1864 წლის ხელნაწერი ეურნალი¹.

„კაკო ყაჩალის“ მხატვრული ღირსება, თითქო, არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ლიტერატურული გემოვნების საოცრად სუბიექტურმა ხასიათმა ამ საკითხშიც თავი იჩინა. რომანოზ ფანცხავა გადაჭრით აცხადებდა, რომ „კაკო ყაჩალი“ კრიტიკის შეხებასაც ვერ გაუძლებს ხელოვნურის მხრითო“. სამწუხაროდ, კრიტიკოსიც მოერიდა ამ „საშიშ შეხებას“ და ლიტონი განცხადებით დაკმაყოფილდა: სინამდვილეში ეს პირველი ქართული რეალისტური პოემა მხატვრული სრულყოფის საუკეთესო ნიმუშია. ავტორის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს მოძებნილი აქვს მკაფიოდ გამოძერწილი, მიმზიდველი, დამაჯერებელი სიუჟეტი, რომელიც დიდი ოპტატობითაა ხორცშენსმული და უაღრესად დინამიურად ვითარდება.

ავტორს უზაღო პოეტური ალლოთი აქვს შერჩეული გმირთა ცხოვრების ის ეპიზოდები, რომლებიც აუცილებელია მათი ხასიათის გამოსაველინებლად, მოქმედების მოტივირებისათვის და თხზულების მთავარი იდეის განსახორციელებლად. იგი წარმატებით გადმოგვიშლის გმირთა შინაგან სამყაროს, მუდამ პოულობს უზუსტეს ფსიქოლოგიურ ნიუანსებს დრამატულად დაძაბულ მხატვრულად ძნელგადასაწყვეტ სიტუაციებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ზაქროს სულიერი ბრძოლა ბატონის მოკვლის წინ. ბუნებრივად ამალღებული და დიდია პოეტის ეპიკური თხრობა, გაწმენდილი ყოველგვარი ხელოვნურობისაგან. ლექსი ლაღად მიჰყვება მოქმედებას. ლირიკული დიგრესია ამძაფრებს მოქმედების განვითარებას, წინ სწევს იდეას, ხელს უწყობს შინაარსის მხატვრულ აღქმას („ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს,

¹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, № 427.

მწუხარე იყო ვით გლოვის ზარი(„...). ასევე შესისხლხორცებულია პოემის იდეურ-მხატვრულ ორგანიზმთან ღრმად განცდილი კახეთის პეიზაჟი. თხზულება ისეთი ძარღვიანი ნაქელი ლექსითაა დაწერილი, თვითეული სტრიქონი ისე აქტიურად მონაწილეობს მის რიტმში, რომ შეუძლებელია მას მივუმატოთ ან გამოვაკლოთ რამე. „კაკო ყაჩაღი“ ისე შთამბეჭდავად მოქმედებს მკითხველზე, რომ მისი გმირები და სურათები ერთი წაკითხვის შემდეგაც სამუდამოდ რჩებიან მეხსიერებაში; პოემის სტრიქონები იდიომებივით მყარი და თვითმყოფია. „კაკო ყაჩაღი“ ვაჟკაცის სიმღერაა იდეალურ გმირებზე, რომლებიც ხალხსა და სამშობლოს უნდა მოეველინონ მხსნელად. კაკო ილიას ოცნებით ამოღლებული უსაყვარლესი გმირი იყო. პოემის ერთ ვარიანტს შემორჩენილი აქვს მისდამი მიძღვნილი სტრიქონები:

ღრუბლო, შავო მტურველო,
უსახლო გებრალეზოდეს.
მე კისრად ვიღებ, ღრუბლო,
რაც იმას ვმართლებოდეს.

ეს ლექსი, ცხადია, საბოლოო ტექსტში ვერ მოხვედებოდა, რადგან პოემის დიადი ეპიურობა ვერ შეიგუებდა პოეტის ამ მინაზებულ ლირიზმს. პირიქით, ილია ყოველმხრივ ცდილობს, დაფაროს თავისი ტენდენცია, მოქმედებაში გამოაჩინოს, რაც სათქმელია. ბლაკიაშვილთან მიმავალ ზაქროს არა თავისი, არამედ მეურმის სიტყვითა და ფიქრით მიაცილებს:

თითქოს შეპნატრდა იმას მეურმე,
„ახ, ნეტავი შენ!“ — წაიღულუნა.
და, გაიქნია რა თავი, მერმე
შურით, ხარს შოლტი გაუტყლაშუნა
და მერე ისე უფრო მწუხარედ
თავის სიმღერა დაიღულუნა...

კარგად უთქვამს კიტა აბაშიძეს: „ღრმა გრძნობას ერთგვარი თავშეკავება კიდევ აძლიერებსო“.

„კაკო ყაჩაღის“ იდეურ მიზანდასახულობის თაობაზე პ. ინგოროყვა წერს: „თუ ქართლის დედა“ შთაგონებულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით და მიმართულია ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, „კაკო ყაჩაღი“ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ არის მიმართული“.

ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ; ჭერ ერთი იმიტომ, რომ „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებში“ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაც იგულისხმება, მეორეც იმიტომ, რომ თემატიკისა და იდეის ცნება ერთმანეთს არ ფარავს. ბატონყმობის თემაზე

დაწერილი ილიას ნაწერებიც შთაგონებული იყო „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით“. ილიასა და, საერთოდ, ქართველ სამოციანელთა შემოქმედებაში ამ იდეების გათიშვა შეუძლებელია. სოციალური ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლებაში ილია სამშობლოს განთავისუფლებისა და ბედნიერების წინამძღვარს ხედავდა. სამშობლოსა და ხალხის ბედი მას ერთდროულად ედგა თვალწინ. კაკოსა და ზაქროში ეროვნული გმირის იდეალის თვისებებიც არის გამოხატული. უადგილო არ იქნება ვთქვათ, რომ „კაკო ყაჩაღის“ შთაგონებასა და განხორციელებაში წვლილი შეუტანია ნიკ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“. პარალელები შორს წაგვიყვანდა, მისანიშნებლად საკმაოა შევადაროთ — „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო... რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ სულიცა თქვენი გამოპყლოდათ“ და სხვ. — შემდეგ აღვიღს „კაკო ყაჩაღიდან“:

ნეტა იმ დედას, ვისგანც გაზრდილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია!..
მისებრი შეილი, ბეერიც ინატრის,
ეხლანდელ დედამ ველარ გაზარდოს და სხვ.

იდეურად და თემატურად ამავე პრობლემებს ეხმაურება ჟურნალში დაბეჭდილი ლექსი „გუთნის დედა“, რომლის პირველი ვარიანტი 1858 წ. 4 ივნისსაა დაწერილი, ხოლო საბოლოო რედაქცია 1863 წელს ეკუთვნის. უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ტექსტი, მართლწერის თვალსაზრისით, საგრძნობლად განსხვავდება პოეტის თხზულებათა გამოცემების ტექსტისაგან.

„გუთნის დედის“ სხვადასხვაგვარი იდეური ინტერპრეტაცია არსებობს ლიტერატურულ კრიტიკაში. ზოგიერთის აზრით, ლექსი დაწერილია სიტყვის თავისუფლების დასაცავად, ცენზურის წინააღმდეგ, ხოლო ანტ. ფურცელაძე იმასაც კი საყვედურობდა, — ილია მაღალის ენით ალაპარაკებს გუთნის დედასო. მაგრამ, როგორც არ უნდა მიეუდგეთ საკითხს, აშკარაა, რომ ამ თხზულებაში რეალისტურადაა ნაჩვენები ბატონყმობის უღელში მგმინავი, უფლებააყრილი ქართველი გლეხის მდგომარეობა. ამასთან, ალეგორიულობაც მკაფიოდ მუდგანდება და იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი ილაშქრებს ბოროტებათა მიზეზთა მიზეზის — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და გამოხატავს იარაღით მისი დამხობის აზრს:

...რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს შპრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომა აჩეჩოს შარტო მიწანი,
და არ მოჰსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?..

„გუთნის დედა“ შთამბეჭდავია განწყობილებით, რომელსაც უბედურთადმი გულითადი თანაგრძნობა და სიბრალული იწვევს.

„საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ ილიას თხზულებათაგან ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია „ხმა სამარიდამ“, რომელიც 1857 წელსა დაწერილი. 1863 წ. ილია, უთუოდ, გრძნობდა ამ სოციალური სატირის ტექნიკურ ნაკლოვანებებს (თხზულებათა გამოცემებში იგი საფუძვლიანად დაუხვეწიათ რედაქტორებს!), მაგრამ შინაარსის აქტუალობისა და დაცივნის სიმწვავის გამო, მაინც საპიროდ მიუჩნევია მისი დაბეჭდვა, აქ, მართლაც, ისეთი მკვეთრი საღებავებითაა დახასიათებული ჩინოვნიკის — დიამბეგის სახე, რომ იგი გამოდგებოდა თვითმპყრობელობის ყველა მექრთამე, უღმობელი მოხელის ეპიტაფიად.

მაშინ, როცა ზოგიერთი ასოკრიკიტა კრიტიკოსი გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს დაეძებდა ამ ლექსში, აკაკი წერეთელი წერდა (1864 წელს, „ჩონგურის“ მიმოხილვაში): „როგორც ლექსი ძალიან სუსტია, მაგრამ ამის ერთ სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძოთ, ჩვენი ბულბულები ნაწერებში, რომელშიაც იქნება... მარცვლებიც და რითმებიც, არ გაეცელი და მიზეზიც ის არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ... ჩვენ ვეძებთ ჰქვიან აზრებს და ამას კიდევაც ეპოულობთ ჰავკავადის თხზულებებში“.

როგორც პოეტი, აკაკი მთელი სიღრმით გრძნობს ილიას ლექსის ძლიერებას, მაგრამ, როგორც კრიტიკოსს, დამაჯერებელი პასუხი ვერ უპოვნია ამ სიძლიერის ასახსნელად. ამ თვალსაზრისით, საგანგებო ინტერესს იწვევს „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში დაბეჭდილი ილიას ლექსი „მუშა“ (დაწერილია 1860 წ. 12 ივლისს). მისი საზოგადოებრივი რეზონანსის გასაგებად საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი უმაღლესად რუსულად და იმავე წელს დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზის“ 96-ე ნომერში (მთარგმნელი ვ. გერშენზონი), შენიშვნით: *Оригинал напечатан в первой книжке «Грузинского вестника» за 1863 г.*

არისტოკრატია ერთიანად აღაშფოთა ყურანალში ამ ლექსის დაბეჭდვამ. 1863 წელს დაწერილ სტატიაში ნიკოლოზ ყიფიანს აღნიშნული აქვს: «Говорят, что грузинское общество не станет впредь выпысывать журнал «Грузинский вестник», так как, там пишут все о насильщиках тяжестей и о нищих и притом пишут обо всем этом мужицким слогом»¹.

„მუშა“ დაიბეჭდა ნ. ნეკრასოვის ეპიგრაფით:

*В труде проходит жизнь его
И не приносит ничего.*

ზოგადკაცობრიული ჰუმანისტური იდეა „მუშაში“ ცხოველყოფელ

¹ „მნათობი“, 1960 წ., № 10, გვ. 174.

კონკრეტულ სურათებშია გადაშლილი და უთუოდ იგრძნობა იმდრო-
ინდელი თბილისის კოლორიტი.

ლექსს აქვს მარტივი, მაგრამ მწყობრი სიტყვები და ნათელი კომპო-
ზიცია; ამბის ტევალობა და მოვლენებისადმი პოეტის დამოკიდებულე-
ბა-განწყობილებით იგი თითქოს შეკუმშული ლირიკულ-ეპიკური პო-
ემია. აქტიურ თანაგრძნობას იწვევს მუშის როგორც ფიზიკური ტანჯვა:

„...აგრე ტვირთქვეშა მოკაულხარ, საბრალო შენა“...
„...ოფლი წურწურით პათოსან შუბლით ველერება...“
„...აგერ წამოგწედა, დაგეჯახა და როგორც კოკა...“

ასევე ამ ფონზე გადმოშლილი მისი მგრძნობიარე, ნაზი ადამიანური
სული. ჩამოკონკალი მუშა, რომელსაც კაცად არავენ თვლის, მწარედ
განიცდის ჩაგვრას, დამცირებას, შეურაცხყოფას: „...ჩუმი ღიღინი შენი
ხშირად გულს მიწყლულდება“... „ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი
ცხოვრება“... „რასც მაშინ ჰგრძნობდი, ყოველი ჰსთქვა შენ მწუხარ
თვალმა, შენს ღუმელშია იყო ღეთისა რისხვისა ზარი...“

„მუშა“ იწვევს ჩაგრულთადმი მხურვალე თანაგრძნობას, უფრო
მეტი — სოციალური სინამდვილისადმი ზიზღს და საბრძოლო განწყო-
ბილებას. არსებული სინამდვილისადმი ასეთი მძლავრი პროტესტი ყო-
ველთვის საბრძოლო მოწოდებად გაისმის: ასე მღელვარედ, შეუკავე-
ბელი ენერგიით, ასე მუქი ფერებით, ღრმა ჰუმანიზმით დაწერილი სო-
ციალური ტილო, ცხადია, სხვადასხვაგვარად შესძრავდა მჩაგვრელთა
და ჩაგრულთა გულს¹.

ამრიგად, „საქართველოს მოამბის“ პერიოდში ილიას შემოქმედება
მიმართული იყო არა მხოლოდ ბატონყმობის, არამედ, საერთოდ, ყო-
ველგვარი სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ: „ბატონყმობა მისთვის
მხოლოდ ერთი მხარე იყო სოციალური უსამართლობისა“.

ილია ქაჯკავაძის ლექსებს ბევრი განმქიქებელი ჰყავდა, ისინი
უთაებოლოდ ჩიჩქნიდნენ ცალკეულ სიტყვებსა და წინადადებებს, დაე-
ძებდნენ ენობრივ შეცდომებს, ღარიბულ რითმებს და ვერ ამჩნევდნენ,
რომ ყოველ თვითმყოფ მხატვრულ ძეგლს გააჩნია საკუთარი შინაგა-
ნი ძალა, რომლის ამოხსნა პოეტიკის ხერხების ფორმალური გამოყენე-
ბით, რაღაც არითმეტიკული ანალიზით, შეუძლებელია. ივიწყებდნენ
ბ. ბელინსკის სიტყვებს, რომ „გართმული ჟღარუნების დრო გავიდა.
მათ მაგიერ საჭიროა ღრმა გრძნობები და იდეები, გამოხატული მხატვ-
რული ფორმით“².

¹ ამ ლექსის სტრიქონი „ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ“, 1865 წელს ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა წერილში „იენისის დღეები თბილისში“, რომე-
ლიც „კოლოკოლიში“ დაიბეჭდა.

² ა. ნიკოლაძე, რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ქართული ლი-
ბერატურა, გვ. 31.

ილიას დიდი პოეტური ტალანტის უარყოფილები განსაკუთრებით თავს ესხმოდნენ „მუშას“. ძლიერი ესთეტიკური შთაბეჭდილების ზეგავლენით, 1863 წ. ანტ. ფურცელაძე იძულებული იყო ელიარებინა, რომ „...პოეტი ამ საგანზე ისე წარმოთქვამს თავის მხამსა. — ...ისე გამოგისახავთ და თვალთ დაგანახებთ ამის (მუშის) მღვომარეობასა, შეგიყვანთ იმის გულში...რომ ლექსი სწორედ საუცხოვო სურათების შემცველია“. მაგრამ, კრიტიკოსი იქვე იწყებდა ამ ლექსის ფორმალურ ანალიზს და წარბეზებულად აცხადებდა, მხატვრული თვალსაზრისით „მუშას“ არავითარი ღირსება არ გააჩნიაო. ალ. ცაგარელი ამტკიცებდა, ლექსის გარეგნულ მხარეს ილია არავითარ ყურადღებას არ აქცევს და მხოლოდ იმას ცდილობს, რაც შეიძლება ბევრი აზრი და კაცთმოყვარული გრძნობა ჩასტიოს მასშიო. რომანოზ ფანცხავა უფრო შორს მიდიოდა: „ი. ჭავჭავაძემ ლექსების წერაში ვერ გამოიჩინა თავისი ინდივიდუალური ძალა... ჭეშმარიტი, დიადი მგონის გულისთქმით და ტემპერამენტით არ იყო დასაჩუქრებული ჩვენი ილია... თავისი დიდად საყვარელი იდეები... ლამაზ, მიმზიდველ... ლიტერატურულ ფორმაში ვერ გაახვია... მუშის აღწერა მოკლებულია პოეტურ აღმაფრენას... ჩამოუყვარდება გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძესო“.

აზრისა და გრძნობის გასაოცარი პათოსით აღსავსე, ილიას თვითმყოფი პოეტური შემოქმედებისადმი ამგვარი დამოკიდებულება, უთუოდ, ლიტერატურული გემოვნების დაქვეითებისა და გაშაბლონების გამოხატულება იყო. ილიას პოეზიის ერთ-ერთი ასეთი განმქიქებლის—სილ. ხუნდაძის ასობით ლექსს არ აკლია არც „რითმაცანმულობა“, არც მოშაქრული ეპითეტები, ენობრივად გრამატიკის სახელმძღვანელოსავით დახვეწილია, მაგრამ მკითხველისათვის არასოდეს აუთრთოლებია გული და აღარც ვისმე ახსოვს.

ხშირად ილიას ლექსებზე ამბობდნენ—„ნაწვალეზიაო“ და ავიწყდებოდათ, რომ მწერალი ის კი არ არის, ვისაც წერა შეუძლია, არამედ ის, ვისაც საკუთარი ნაწერის გასწორება-გაუმჯობესების ნიჭი აქვს. ავტოგრაფების შესწავლა ადასტურებს, რომ ილია ხანგრძლივად ატარებდა გულში ღრმად განცდილ აზრს და პირველ ვარიანტში სწორედ მას ანაწილებდა სტრიქონებში და შემდეგ ამდიდრებდა ახალ-ახალი ნიუანსებით, ხვეწდა და სრულყოფდა პოეტურად. არსებობენ სხვა ტიპის პოეტებიც: ისინი ჯერ რითმიან სიტყვებს სვამენ სტრიქონთა ბოლოებში და, განწყობილების მიხედვით მასზე აწყობენ აზრს. აქ უბრალოდ, შემოქმედებითი მუშაობის მანერასა და ტალანტის განსხვავებულ მასშტაბთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ პოეზიის დანიშნულების სხვადასხვაგვარ გაგებასთან.

ილიას, საერთოდ, არ უყვარდა თავის ნაწარმოებებზე ლაპარაკი, მაგრამ ისარგებლა რა ფელეტონური ხერხით, „სხარტულაში“ ბაქიას

(ანტ. ფურცელაძეს) წარმოათქმევინა: „...გამოგილანძღეთ ი. ჰაეჰაე-
ძე, — კაცის შებრალებაზედ რათა ჰსწერს-მეთქი („მუშაში“); ასე რომ,
ილიამ თვითონვე მისცა კრიტიკას ამ ლექსის გასაღები — ჰუმანიზმი,
სოციალური თანასწორობა, ილიას „მუშას“ იდეურ-მხატვრული ზემოქ-
მედების ძალაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი გავლენით ბევრმა პო-
ეტმა სცადა, შეეცვალა ჰანგი. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1877 წელს
დაწერილი გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“.

1859 წელს ილიამ დაამთავრა „აჩრდილის“ პირველი ვარიანტი და
მისი V თავი იმავე წელს გამოაქვეყნა „ცისკარში“ (№ 12), „არაგვის“
სათაურით. 1860 წელს ავტორს ი. წინამძღვრიშვილისათვის მიუზღვია
ამ პოემის ცალკე წიგნად გამოცემის საქმე, მაგრამ ცენზურას ნება არ
დაურთავს. „საქართველოს მოამბეშიც“ მხოლოდ ორი ნაწყვეტის და-
ბეჭდვა მოხერხდა. 1864 წელს კირ. ლორთქიფანიძემ „ჩონგურში“ შეი-
ტანა „ცისკარში“ გამოქვეყნებული V თავი. დრო მიდიოდა, ცხოვრება
იცვლებოდა, მაგრამ ილია ერთი წუთითაც არ წყვეტდა ამ პოემაზე
ფიქრსა და მუშაობას. 1872 წელს საგრძნობლად გადაამუშავა I—
XVIII თავები, რომლებიც ეურნალ „ქრებულში“ დაიბეჭდა. „აჩრდი-
ლის“ საბოლოო რედაქცია 1881 წელს გამოქვეყნდა „ივერიაში“
(№№ 2, 3), მაგრამ ცენზურამ არც ამჯერად, არც 1892 წელს — პოე-
ტის თხზულებათა გამოცემაში, დართო მისი მთლიანად დაბეჭდვის ნე-
ბა. ამის შედეგად, მკვლევართა აზრით, პოემის XXII და XXIII თა-
ვები სამუდამოდ დაიკარგა¹. ამ ხანგრძლივი შემოქმედებითი ისტორი-
ის მქონე თხზულებაში მკაფიოდ აისახა პოეტის სულისკვეთება, საზო-
გადოებრივი შეხედულებანი და ლიტერატურული დაოსტატების გზა.

ეურნალის მე-7 ნომერში დაბეჭდილ ნაწყვეტს სათაურად აქვს:
„ლოცვა აჩრდილისა“ (ფრჩხილებში „აჩრდილთაგან“). ეს ნაწყვეტი
შეესაბამება აკადემიური გამოცემის XXVI და XXVII თავებს. მე-8
ნომერში დაბეჭდილი ნაწყვეტი უფრო მცირეა და შეესაბამება აკა-
დემიური გამოცემის XIV თავს.

„საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ნაწყვეტები სტილის-
ტურად საკმაოდ განსხვავდება პოემის საბოლოო რედაქციის ტექს-
ტისაგან. მაგალითად: აკადემიურ გამოცემაშია (XXVI თავი):

1. „რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯულ ეყოფა“.
 2. „მამა-პაპური სული, გული მოჰმალღე შეილსა“.
- „საქართველოს მოამბეშია“ (შესაბამისად):
1. „რაც უტანჯნია ამა ხალხსა, ტანჯვად ეყოფა“.
 2. „მამა-პაპური ძარღვი, ძალა გადმოეფ შეილსა“ და ა. შ.
- აკადემიურ გამოცემაშია (XXVII თავი):

¹ ი. ჰაეჰაეძე, თხზ. აკადემიური გამოცემა, პ. ინგოროყვას რედაქციითა
და შენიშვნებით, ტ. II, გვ. 365—372.

1. „მწრაფლ გადმოეშო ცისა ლაქვარდსა“...
2. „ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ“...
„საქართველოს მოამბეშია“ (შესაბამისად:)
1. „შყის გადმოეშო ცისა ლაქვარდსა“...
2. „აღმენთო გული გრძნობითა ცეცხლებრ“... და ა. შ.

ავტორმა „აჩრდილი“ უძღვნა თავის იდეურ თანამებრძოლებს ივანე პოლტორაკისა და ილია წინამძღვრიშვილს, რომლებიც, სხვათა შორის, ენერგიულად მონაწილეობდნენ „საქართველოს მოამბის“ გამოცემაში.

„აჩრდილში“ მთელი სისრულით არის გამოხატული ილია ჭავჭავაძის შემოქმედების იდეურ-მხატვრული კონცეფცია, ერთ განუყოფელ მთლიანობაშია განხორციელებული პოეტის ეროვნულ-სოციალური მისწრაფებანი. ავტორს მომარჯვებელი აქვს ორლესული სატყეარი, რომლითაც ერთნაირი სიძლიერით უტევს ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას. პოემის პირველ ვარიანტში ბატონყმობა ისეთი კუთხითაა მხილებული და დაგმობილი, რომ პროტესტს იწვევს არა მარტო ამ სოციალური ინსტიტუტის, არამედ, საერთოდ, ადამიანის ჩაგვრის ყველა სხვა ფორმის წინააღმდეგ. თხზულება გაშუქებულია ადამიანის სიყვარულით, მისი ბედნიერი მომავლისაკენ მგზნებარე სწრაფვით, პიროვნების თავისუფლების იდეით. ჰუმანიზმით, ამაღლებული იდეალებით, საბრძოლო შემართებით მას იმდროინდელ მსოფლიო ლიტერატურაშიც ძნელად მოეძებნება ბადალი. ამიტომაც არ მოხერხდა თვითმპყრობელობის დროს მისი ერთდროულად, სრულად დაბეჭდვა. 60-იან წლებში ცენზურა პოემის იმ ნაწილებს სდევნიდა საგულდაგულოდ, რომლებშიც სოციალური იდეალები იყო ასახული და, კერძოდ, ბატონყმობის მგზნებარე გმობას შეიცავდა. „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ნაწყვეტებს, უმთავრესად, ეროვნული მოტივი აქვს, მაგრამ მონოლითურად შეკრული, ერთი იდეურ-მხატვრული კონცეფციის მქონე თხზულებიდან ამოგლეჯილ ნაწილებს მაინც გამოჰყოლია ყოველგვარი უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება.

აჩრდილის მხურვალე ლოცვა, არსებითად, უკვე შეიცავს ხალხისა და ქვეყნის მდგომარეობის დახასიათებას, მის მომავალზე ოცნებას:

დღეაღ ღვთისაო ეს ქვეყანა შენი ხეჯდრია, —
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა!
სამღეთოდ მიიღე სისხლი, რაიც ამ ხალხს უღვრია,
ღმერთო ძლიერო! ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
ჩაც უტანჯნია ამა ხალხსა, ტანჯვად ეყოფა,
მიეცი ძალა დაერდომილსა კვლავ აღდგომისა!
სახელოენი განუახლე წარსულთ ღღეთ ყოფნა,

მამაპაპური ძარღვი, ძალა გაღმოეც შეილსა!

...მოეც ქართველსა ქართელის ნდობა და აიყვარული,

გული გაუხსენ, რომ უყვარდეს თვისი მამული!..

ჰო, სანერო, ცისარტყელა განავლე ცასა,

რათა წარღვნისა მოლოდინი განუფრთხო
ხალხსა! (ხაზი ჩემია.— ა. კ.).

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები ასე მკაფიოდ, ასე კონკრეტულად, ბრძოლისა და განახლების ამ თვალთახედვით მანამდე არავის გამოუხატავს ჩვენს ლიტერატურაში: „საქართველოს მოამბიდან“ პირველად გაისმა საგანგაშო ზარის ხმა.

მშობელი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლა პოეტს წარმოდგენილი აქვს მოძმე ხალხებთან კავშირში. პოემის ეს ნაწილი თერგდალეულთა პრაქტიკული მოქმედებას, პროგრამის პოეტური ასახვა და შთაგონებულია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის სულით, რაც კიდევ უფრო ნათლად გამოხატულია ილიას სხვა იმდროინდელ ნაწერებში, რომელთა დაბეჭდვა „საქართველოს მოამბეში“ ვერ მოხერხდა („ქართველი სტუდენტების სიმღერა“, „დედა და შვილი“ და სხვ.).

ცენზურას ყოველი ღონე უხმარია ამ საბრძოლო სულისკვეთების შესანელებლად. მე-8 ნომერში დაბეჭდილი XXIV თავის 26 სტრიქონიდან დატოვებულია მხოლოდ 18, — ამოღებულია:

...როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?

როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა,
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?

თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალეება
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბოროტისა...

და ქართველობა საქადულად როდი ექნება

ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შეილსა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პოემა დაწერილია 1859 წელს, ე. ი. კავკასიის ბრძოლების დროს, ძნელი ასახსნელი არ იქნება, რას გულისხმობდა პოეტი კავკასიის ტომთა „ერთ მდინარედ შეერთებაში“.

„საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ნაწყვეტებიც ნათლად გამოხატავს ხალხისა და ქვეყნის განთავისუფლებას მტკიცე რწმენას, უკეთესი მერძისის იმედს. პოეტს სჯერა, რომ კვლავ იხილავს „დიდების ნაშთთა ზედა აღმდგარ სამშობლოს... ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქართველს“.

მე-7 ნომერში დაბეჭდილი „ლოცვა აჩრდილისა“ სწორედ ამ ბედნიერი მომავლის რწმენით მთავრდება:

„მეის გადმოვმოთ ცისა ლაქვარდასა
 შეიდფეროვანი სარტყელი ცისა
 და მოეფინა ჩემს ქვეყანასა
 მახარობელი ტკბილ იმედისა...
 აღმენტო გული გრძნობითა ტეცხლებრ,
 ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,
 და მაშინ ვიციან, რომ მშვენი მისებრ
 მე არ მენახა ჟერ ცისარტყელა.

ის ფაქტი, რომ „საქართველოს მოამბეში“ არც „აჩრდილის“ მთლიანად დაბეჭდვა მოხერხდა, თავისებურად ხაზს უსვამს ამ ჟურნალისა და მისი თანამშრომლების შემოქმედებისა და მოღვაწეობის რევოლუციურ ხასიათს. ამ პოემაში ისე, როგორც „ქართვლის დედაში“, სამშობლოს ბედნიერი მერმისი პოეტს წარმოდგენილი აქვს, როგორც ხალხის რევოლუციური ბრძოლის შედეგი.

პოემის იდეურ-მხატვრული კონცეფციის სრული გაუგებრობის ნაცუფია ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება, რომ, — „აჩრდილი“ წმინდა რომანტიული მიმართულების ნაწარმოებია“ (რომანოზ ფანცხავა).

„აჩრდილში“ მთელი სიღრმით, სწორად არის ასახული რეალური სინამდვილე: კონკრეტული მოვლენების მხატვრული განზოგადებით, ნაჩვენებია ხალხის, როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალის, ცხოვრება და იდეალები. ურდევ მთლიანობაშია წარმოდგენილი ხალხის აწმყო, წარსული და მომავალი, მოცემულია მოვლენების დახასიათება და შეფასება, პოეტი „დადგენილ ფაქტებს იღებს კრიტიკრიუმად კონკრეტული საკითხის გარკვეული გადაწყვეტისათვის“; პოემა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მკაცრ მხილებაზეა აგებული და განვითარების რევოლუციურ ტენდენციას ემყარება. წარსული მომავლის თვალითაა შეფასებული; რომანტიკულ ინდივიდუალიზმს გადაჭრით უპირისპირდება ხალხის კოლექტიური ნებისყოფა. თვით აჩრდილის სახეს, ისე როგორც წარსულის სურათებს, მხოლოდ ლოკალური მხატვრული ფუნქცია აკისრია და ხელს უწყობენ სინამდვილის შემეცნებას. რაკი პოემის მთავარი გმირი ხალხია, და მისი მოქმედების ჩვენება მისი ისტორიის ჩვენებას გულისხმობს, პოეტმაც საქართველოს ისტორიის, ე. ი. ხალხის ცხოვრების გადამწყვეტი მომენტები შემოიტანა ნაწარმოებში.

ყურადსაღებია, რომ იმ დროს ილია საგანგებოდ დაინტერესებული იყო მომავლის, აწმყოსა და წარსულის კავშირურთიერთობით. „აჩრდილს“ ეპიგრაფად აქვს რუსთაველის სტრაქონები:

რა ვარდმან თვისი ყვეილი გაახმოს, დაამკნაროსა,
 იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.

„ქართველის დედას“ (1858 წ.) კი დართული აქვს ილიას მიერ გა-
ლექსილი ლაიბნიცის აზრი:

აწყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავლისა.

„საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ილიას ლექსი „მტკვრის
პირას“ განწყობილებითა და აზრით „აჩრდილის“ იმ თავებს ენათესა-
ვება, რომლებშიც სამშობლოს წარსულზე მწუხარე ფიქრია გამოხა-
ტული.

ლექსები: „იანიჩარი“ და „გ. აბხ.-ს“ პატრიოტული ლირიკის საუ-
კეთესო ნიმუშებია. პირველი დაწერილია პეტერბურგში, 1860 წელს,
აღეგორიულად ასახავს სამშობლოს მძიმე ხვედრს კოლონიალიზმის
პირობებში და პოეტის ნაღვლიან ოცნებას მომავალზე. მეორე (მიძღ-
ვნილი ილიას დისწულის — გიორგი აბხაზისადმი) — უმღერის მომა-
ვალ თაობას, მის წმინდა ვალს სამშობლოს წინაშე, უსურვებს — „ტან-
ჯვის ცრემლი მოსწმინდოს თავის ხალხს“:

...ღმერთო!... აკურთხე ამ ყრმისა ძალნი,
ხალხთ სამსახურად მიეცი ღონე;
...ღმერთო!.. ზოპაღლე მადლი ზეცისა,
შთაპბერე მაგას ძლიერი სული,
რათა შეიქმნეს თავის ერისა
მომჟე ერთგული და მოყვარული.

ილიას აღრინდელი პატრიოტული ლირიკა მსუბუქი სევდით იყო
შებურთული, იმედი აქ იგრძნობოდა და არ ჩანდა, როგორც ღრუბლებში
გახვეული მზე. სამშობლოს ესოდენ მხურვალე სიყვარულს, — სასო-
წარკვეთილების ნაღველი დაჰკრავდა:

არსაიღამ ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არას მეტყოდა,
ზოგჯერ კი — ტანჯვით ამოძახილი
ქართველის გულშია კვნესა ისმოდა!..
ოხ! ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!..

1861 წლის ზაფხულში „მამათა“ და „შვილთა“ შორის „ციხკარში“
გაჩაღებულმა პოლემიკამ, როგორც ირკვევა, ილიას ლირიკაშიც ღრმა
გამოხატულება ჰპოვა. ეს ლექსები გამოირჩევა გრძნობის სიმძაფრით,
პოეტური აზროვნების ლოგიკით, დიდი ვნებათღელვით, გამარჯვების
რწმენით, ბრძოლის დაუოკებელი წყურვილით. სევდა-ნაღველი აქ ყოვ-
ლისმძლე წინსწრაფვას შეუტვლია, ყველა კომპონენტი ნებისყოფის
პათოსს დამორჩილებია, მგრძნობიარე გული და დაუცხრომელი გონება
ერთ ძალად შედუღებულა. ეროვნული გრძნობა ამ ლექსებში ყველაზე

ენებიან, ყველაზე გულსმიმწვდომ გრძნობად ქცეულა, სამშობლოსა და ხალხის სამსახური პიროვნული განცდის დომინანტი გამხდარა.

აქამდე არავინ ამხედრებია ასე მშობელი ერის ნაკლოვანებებს და ასე ღრმად არავის გამოუხატავს მისადმი სიყვარული. ეს ლექსები მკაფიოდ გვაგრძნობინებს, რაოდენ მღელვარე, მდიდარი და მომხიბვლელია ერის მესაიდუმლე პოეტის სულიერი სამყარო, რამდენად შეუსაბამოა მწერლის ხასიათისთვის მოღუენება, უზრუნველყოფა, პიროვნულის გაფეტიშება. უნდა გავიხსენოთ, რომ იმ დროს, 1861 წელს, შეიქმნა მისი „მგზავრის წერილები“, რომლის დაბეჭდვა „საქართველოს მოამბეში“ არ მოხერხდა. მაგრამ, თერგდალეულთა იდეური მისწრაფებების, თაობათა შორის ბრძოლის დასადასტურებლად რომ სხვა არავითარი მასალა არ გადარჩენილიყო, ამ უურნალში გამოქვეყნებული ილიას ლექსებითაც ვიგრძნობდით და გავიგებდით ყოველივეს.

ცხარე პოლემიკის დღეებში (1861 წლის 6 აგვისტოს) დაიწერა და „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა მოქალაქეობრივ-პატრიოტული ვნებათა ღელვით აღსავსე ლექსები: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ და „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“. გავვიძინელებო ჩვენს პოეზიაში სხვა თხზულების პოვნა, რომელშიც ასეთი ემოციურ-ინტელექტუალური ძლიერებით იყოს აღბეჭდილი ეპოქის სუნთქვა, პატრიოტული აღტკინებისა და ბრძოლის განწყობილება. ვერ გადაგვიწყვეტია, რა უფრო ძლიერია აქ, მონუმენტურად გამოკვეთილი აზრი, უზუსტესად გადმოცემული გრძნობა, ნებისყოფის პათოსი, პოეტური მგზნებარება თუ პუბლიცისტური ვნება.

დიდ სიყვარულსა და შთაგონებას მხატვრული აღთქმის ყველა შექურა ერთდროულად აუნთია. ასე გგონია, ცეცხლისმფრქვეველი მთა გიზგიზებსო და რითმების ჩხრეკა, პოეტის „ანბანთთეორეტიკით“ მიკარება, მკრეხელობად გვეჩვენება.

ამ ლექსებში გრძნობ გულისმომწყვლელ ტანჯვასაც, „გზისა სიძნელესაც“ და მისი იერიშით გაბრწყინებულ იმედსაც:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცსცან მე სიყვარული,
პოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება!
შენს ძარღვის ცემას მე უურს ვუგდებ სულგანაბული,
ლაჲ თენდება ესრეთ ჩემი და დღე ლამდება.
დაჲინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იბრძვის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი: მიხარინ, რომ ეგრე შერება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.
მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!..

შეუძლებელია დავეთანხმოთ აკაკი წერეთელს, რომელიც ამ ლექსს ბარათაშვილის — „სული ობოლის“ თითქმის განმეორებად თვლიდა¹. აქ შორეულ მსგავსებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ბარათაშვილის ლექსში დიდი, რომანტიკოსის სულიერი ტკივილი, ეს „საკაცობრიო ჩივილი“, ღრმა პირად განცდაზეა აღმოცენებული, საზოგადოებრივი მოტივი აქ მხოლოდ იგულისხმება და მიზნის გარკვეულობა გამორიცხულია. ასევე შეუძლებელია რომანტიკა დავინახოთ ილიას სტრიქონებში: „...რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაეუზიარო“. პოეტი პირადი ნაღველის თანაზიარს როდი დაეძებს, აქ მკაფიოდ გამოთქმული მიზნისთვის ბრძოლა დგას ლექსის ცენტრში: ავტორი სამშობლოს მიმართავს და თანამებრძოლებს უხმობს. შესაბამისად, ნ. ბარათაშვილის „სული ობოლი“-ს განწყობილება მძიმე სევდაა, ხოლო ი. ჭავჭავაძის ლექსისა — საბრძოლო შემართება. აქ, როგორც აღვნიშნეთ, ილიას ადრინდელი ლექსების სევდანარევი გაურკვევლობის ნატამალიც აღარაა. პოეტის სასოწარკვეთილი წამოძახილი — „მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?“, — მქუხარე ბრძოლის ჰიმნად გარდაქმნილა: მძაფრი სულიერი ტკივილი პატრიოტული ტკივილის ფორმითაა გამოვლინებული და უნებურად გვაგონდება ერთი ადგილი ამავე ეურნალში დაბეჭდილი ბ. ბელინსკის წერილიდან, რომელიც ილიას უთარგმნია: „სრულსა და კარგად მყოფ ბუნების კაცსა მძიმედ აწევს გულსა სვე სამშობლო მამულისა; ყოველ კეთილშობილ ადამიანს ღრმად ესმის თავისიანობა, რომ ის არის სისხლითა და ხორციით ნათესავი მამულისა, სისხლითა და ხორციით შეკავშირებულია სამშობლო მამულთან... ცოცხალ კაცს თავის სულში, თავის გულში და სისხლში აქვს სიცოცხლე საზოგადოებისა: ის ავად გახდება საზოგადოების ავადმყოფობით, იტანჯება იმისი ტანჯვით, ნეტარებს მისი ბედნიერებით...“

სამშობლო ქვეყნის სიყვარული — პატრიოტიზმი უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულისაგან ისე, როგორათაც ნაწილი მთელი-საგან. სამშობლოს... სიყვარული არის ისა, რომა გულით გინდოდეს ნახო, რაც კაცობრიობას გონებაში გამოუხატავს, აღსრულებაში იყოს მოყვანილი და შეძლებისა კვალად შეველოდე მის აღსრულებასა. თუ ასე არა, პატრიოტობა (მამულის მოყვარეობა) იქნება ის, რომ უყვარდეს თავისი მხოლოდ იმისათვის, რომ თავისია და ეჯავრებოდეს ყველასფერი სხვისა, მხოლოდ იმისათვის, რომ სხვისი არის, და ვინ იცის, რანაირად უხარიან და მოსწონს თავისი უმზგავსობა და სახიჩრობა... სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულისაგან“.

¹ ი. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. ბოტყაძის წინასიტყვაობითა და რედაქციით, 1957 წ.

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით შთაგონებულ ასეთ ჯანსაღ თვალსაზრისს ემყარებოდა ი. ჭავჭავაძის პატრიოტული ლირიკა. მის თანამედროვეთა დიდ ნაწილს ვერც კი წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა საქართველოს მომავალზე ფიქრი, როგორ უნდა შეცვლილიყო ამ პატარა, დამონებული ქვეყნის ბედი. თვითონ ილიამაც იდეურ-შემოქმედებითი ძიების ძნელი გზა განვლო ჭეშმარიტების შესაცნობად, ეს გზა აისახა „აჩრდილში“, ამ ძიების ტკივილები კარგად არის გამოხატული 1860 წელს დაწერილ ლექსში „მწუხარება“:

ქვეყანაზედა და ზეცაზედ იყო ღუმილი,
მოლხენით იყენენ უდარდელნი მთიებნი ცისა...
და მე კი მკლავდა მწუხარების წყლულთა ტკივილი,
შიგ გულში შედეა სასიკვდილო გესლი სევდისა,
სული მიგუბდა, გული მტებდა, ტკივილით, ტანჯვით,
თითქოს ჩემს გვაშა ზედ გადესხა ნათი მღულარე,
ძარღენი სკდებოდნენ საშინელის წვითა და დაგვით,
ტენი მწვოდა, გესლი მწვეთდა თვალთაგან მწარე...

1861 წლის ოქტომბერშია დაწერილი ილიას ლექსი „ჩემო კალამო“,... რომელიც „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა. იგი თავისებური პოეტურ-ლიტერატურული მანიფესტია და თავისუფლად გამოდგება ილიას ყველა იმდროინდელი ეროვნულ-სოციალური იდეების შემცველ თხზულებათა ეპიგრაფად, იქნებ, მთელი ჟურნალის ეპიგრაფადაც. ლექსი დათარიღებულია, მაგრამ თარიღიც რომ არ ჰქონდეს, ადვილად მიხვდებით, რომ დაწერილია „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის ბობოქარ დღეებში; „ცისკრის“ 1861 წლის ქარიშხლიანი ფურცლებიდან უშუალოდ შევდივართ ამ ლექსის მღელვარე სამყაროში, სადაც მთელი არსებით მოჩანს ილია და მისი ჟურნალი, ბრძოლას მოწყურებული მათი დაუოკებელი ენერგია, შეურყეველი თვითრწმენა; პუბლიცისტური ლირიკის ეს შედეგრი, რომელსაც ასე ცხლად შემოუნახავს საუკუნის მბორგავი სული, გვხიბლავს გულისშემძვრელი პირდაპირობით, სიწრფელით, სიტყვიერი მასალის შერჩევითა და ლაკონიზმით. სიტყვის ჯადოსნური შეგრძნება და საკუთარ განცდებში წვდომის ალღო პოეტს საშუალებას აძლევს მთელი სისახესით გადმოგვიშალოს თავისი მდიდარი სულიერი სამყარო:

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ემსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ.
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად განვაგდოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად — და შორიდან სეირს ვუყუროთ.
თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გულო, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
ავციოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა
და დაე გუძრახონ — ჩვენ მის ძებნით დაელიოთ დღენი,

ჩენზედ ამბობენ: „ის სიკუდეს ქართლისას ამბობს,
ჩენს ეუღს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრძიყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე ჰსცნობს:
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!..

ჩვენ ვიცით, რომ ამ ლექსის საბაბი კონკრეტულ გარემოებათაგან წარმოქმნილი განწყობილებაა, მაგრამ პოეტის შემოქმედ სულს ის აფორისტულ განზოგადებამდე აუმაღლებია. ამ ლექსით ილიამ შთამბეჭდავად გადმოსცა ლიტერატურის მოუსყიდველობისა და პრინციპულობის აზრი, დახატა შეუპოვარი, ამღლებული პოეტი-მოქალაქის სახე. საბრალოა მოაშქრული, მთვლემარე ლიტერატურული გემოვნება, რომელსაც ილიას სამოქალაქო ლირიკა „მძიმე და მოუხეშავი“ ჰგონია, რომელიც ღრმა ემოციებისაა და ძლიერი ინტელექტის ნაცვლად, თვითმზინაღქცულ მეტაფორებსა და „სიმსუბუქეს“ დაეძებს ლექსში. ერთ არსებად ქცეულ ემოციასა და აზრს იშვიათად მიუღწევია ილიას სამოქალაქო ლექსების სიმადლემდე. მათი პათოსი და აღმაფრენა ნიკ. ბარათაშვილის „მერანს“ უტოლდება.

ვფიქრობთ, იმავე პერიოდში, 1861 წლის შემოდგომაზეა თარგმნილი ადრე შენიეს ლექსი „ზღვათა მფლობელის“, რომელიც „საქართველოს მოამბის“ მე-9 ნომერში გამოქვეყნდა. განწყობილებითა და იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრით იგი უთუოდ ეხმაურება ილიას ლექსს „ჩემო კალამო“. პოეტი უმღერის ვენეციელ გონდელიერს (მენავეს), რომელიც ლაყვარლ ზვირთებთან აბრძოლებს თავის ნავს და ლაღად მღერის:

...ზრუნვას და შიშაა განციცხვისას იგი არა, ჰსცნობს,
არცა დიდებას, არცა სახელს იგი არ ელის
და დამღუპველთა ზვირთთა ზედა მღერით გზას იტკობს.
მეც მისებრ ვმღერი უანგაროდ, შეუშინებლად...
ცხოვრების ზღვაზედ, სად გრივალნი შეუბრალებლად
მშფოთვარე ზვირთთა ზედა ჩემს ნავს ატრიალებენ.

„საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ილიას ლექსები თემატიკურად მრავალფეროვანია. მისივე სიტყვით რომ უთქვათ, აქ თვალწინ გვეშლება „პოეტის სულის მდგომარეობა სხვადასხვა შემთხვევებში და გარემოებაში“. განსაკუთრებით საინტერესოა სატრფიალო ლირიკა, რომელსაც თავისებური აქედერება მისცა ილიამ. ამ ლექსებში იგრძნობა ბრძოლაგადახდილი სულის ვაჟკაცური სინაზე, შვების მომგვრელი სითბო, ღრმა განცდაში ჰკუთვონების ფრთხილი ხედვა, ილიას შემოქმედება, საერთოდ, მომაჯადოებელია არაჩვეულებრივი სულიერი და ეთიკური სიწმინდით, რაც ყველაზე ნათლად მის სატრფიალო ლირიკაში გამოჩნდა. ეს არის გულის სიმღერა ამღლებულ, ჰარმონიულ სიყვარულზე, რომელიც ერთ არსებაში სულის მშვენიერებას მაინც სა-

განგებოდ შექფოფინებს. პოეტი ახლოს ხედავს, მაგრამ, თითქოს, მიკარება ერიდებაო, შორიდან შეჭახარის ტრფიალების საგანს:

...აგწითლებიან ნახი ღოუები,
ლიზილით თრთიან ტუჩთა ლალები;
წრფელი გაქვს ძილი,
ჯოთ ხილვა ცისა,
ზედ გადგა ჩრდელი
ანგელოზთ ფრთისა,
შენ თვითონ წრფელსა
წრფელიც გაქვს ფშვენა,
ნეტა მის ბედსა,
ვისიც ხარ შენა!..

ასეთივე სულიერი სისპეტაკით და „წმინდა სანთფლსავეთ ლბილი“ გრძნობითაა გამთბარი „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ილიას ლექსები: „ლოცვა“, „ციურნი ხმები“ და „სიხარული“. მძალაღი ჰუმანური სუნთქვით, ადამიანის ბუნებაში კეთილი საწყისების წინ წამოწვევითა და სიცოცხლის მშვენიერების ქებათა-ქებით, „ცისკრის“ პოლემიკოსთა მოსაზრების წინააღმდეგ, საესებით შეესაბამებთან „საქართველოს მოამბის“ საერთო სულისკვეთებას.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

„საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი იხსნება ნიკ. ბარათაშვილის ლექსით „შემოღამება მთაწმინდაზედ“, მეორე ნომერში დაიბეჭდა მისი „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო!“

„საქართველოს მოამბის“ გამოცემას რომ შეუდგა, ილიამ ისე გულმოდგინედ დაიწყა ნიკ. ბარათაშვილის დაუბეჭდავ თხზულებათა ძებნა, როგორც ყველაზე საპატიო თანამშრომელს იწვევენ. უმისოდ ვერც წარმოედგინა უურნალი და ბედმაც გაუღიმა. გ. თუმანიშვილის ცნობით, მამამისს, 1862 წელს გადაუცია ახალგაზრდა რედაქტორისათვის ნ. ბარათაშვილის რამდენიმე უცნობი ლექსი¹.

როგორც ვთქვით. უურნალში დაიბეჭდა, აგრეთვე, ნიკ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ილიას ლექსი, რომელსაც ეპიგრაფად აქვს ორი სტრიქონი „მერანიდან“.

ლექსის „შემოღამება მთაწმინდაზედ“ რამდენიმე ვარიანტი არსებობს. „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილია უკანასკნელი, დამუშავებული ვარიანტი, რომელიც თითქმის უცვლელად შესულა აკადემიურ გამოცემაში.

¹ Г. Туманов. «Характеристики и воспоминания», т. II, стр. 280.

ქურნალის რედაქციას საჭიროდ დაუნახავს განემარტა, რომ ლექსი ელეგიურია და სათაურქვეშ სათანადო წარწერაც გაუკეთებია.

„შემოღამება მთაწმინდაზედ“, რომელიც კარგად გამოხატავს ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედების საერთო ხასიათს, სავსებით ესალაგებოდა ქურნალის მიზანდასახულობას. ამ ლექსის ღრმა სევდა, რომელიც „კაცობრიობის კენესა და ჩივილია“, მასში დაგუბებული გოლიათური ენერგია, რომელიც კაცობრიობის ღონეა, ყოველ წუთს მზად არის ეულკანივით ამოხეთქოს. „ფიქრთა ამშლელი“ ბუნება პოეტის სულს შეერთებია და ერთ ნაღვლიან მელოდიად გადაქცეულა. გრძნობ, როგორ ათბობს პოეტი „თავის გულის ცეცხლით მას“ და „გამოსახავს, რაც თვითონ უგრძენია და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისი“. აქაც ხომ ასე მძლავრად იგრძნობა პოეტის მტანჯველი ფიქრი და დაუცხრომელი წვა ამ ქვეყნად ჩვენი არსებობის მიზნის გამოსარკვევად. „საქართველოს მოამბის“ დროშამაც, უდავოდ, დაიმშვენა პოეტის იმედიანი შეძახილი, რომლითაც ეს ლექსი თავდება:

„...მწუხრი გულისა, სევდა გულისა, ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს, რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

ბარათაშვილის შემოქმედებაში რეალიზმთან მიახლოვების გაძლიერებულ ტენდენციას გამოხატავს მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოები — „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“. ეს ნათელი ფერებით შესრულებული ლექსი, სადა მეტყველებით, მკაფიო სახეებით, ეპითეტებითა და შედარებებით, ცხადად ამჟღავნებდა ახალთაობის იდეურ-ლიტერატურულ კავშირს, თავის დიდ წინამორბედთან. მკითხველს ბარათაშვილის სტრიქონებიდან ესმოდა ძველის მოტრფიალეთაგან აბუჩად აგდებული „მდაბიური ენა“ და კარგად შეეძლო ეგრძნო მისი ძარღვიანობა და გამომსახველობითი ძლიერება.

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შეთვალეზიანო,
დღისით მზევ, ღამე მთოვარე, წყნარო და ამოხშიანო!
შენის ლოდინით ვჰსულდგმულვარ, თაყვანს ეპსცემ შენსა სახელსა,
დედის ერთა ვარ, ნუ ზომკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!..

„საქართველოს მოამბეს“ რომ ათვალეგრებთ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს, ნიკ. ბარათაშვილი საგანგებოდ ამ ქურნალისთვის წერდა თავის ლექსებს.

ბრიგოლ ორბელიანი

ახალი თაობა გრ. ორბელიანში მუდამ ხედავდა დიდ პოეტს, ქართული სიტყვის მეუფეს და „საქართველოს მოამბეში“ მისი მონაწილეობაც საამაყოდ მიაჩნდა. მან კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ლექსი გამოაქვეყნა აქ, — „ლოთური მუხამბაზი“, რომელიც თხზულებათა გამოცემებში „მუხამბაზის“ სათაურით იბეჭდება („გინდ მეძინოს...“) ეს არის გრ. ორბელიანის ერთი იმ ლექსთაგანი, რომელიც თავისი დემოკრატიული ბუნებით განსაკუთრებით შეეფერებოდა „საქართველოს მოამბის“ სულიკვეთებას. პოეტი მგზნებარედ უმღერის უბრალო ადამიანის, თბილისელი მოქალაქის ალალ გულს, გამრჯე მარჯვენასა და უმწიკვლო გრძნობას. იგი ახლოს იცნობს ამ ადამიანთა ყოფას, ხასიათსა და სულიერ სამყაროს; გულიანად უყვარს ისინი და ის სიყვარული ამ ლექსსაც დიდ უშუალობას ანიჭებს. გასაოცრად ნაზი და წმინდა მოჩანს ამ თავზებელადებულ ყარაჩოღელთა გრძნობა გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. თავისი რომანტიკული სულით პოეტმა ბუნებრიობის შეულახავად, გააფაქიზა და აამაღლა მათი სიყვარული და მეგობრობა:

...რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ,
ჩემთვის ჩუმად ვამბობ, რა ლამაზი ხარ!..

ლექსი ერთმანეთზე მოულოდნელი შედარებებითა და მეტაფორებით ელავს:

...რტო აღვისა—შენი წელი მგონია,
ზაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები ცაში ელვა მგონია;
ეარღის სუნი — შენი სუნთქვა მგონია...
ათი გზა მაქვს—ათივე შენსკენ მოდის;
ფიქრები მაქვს — წინ შენი სახე მოდის;
მინდა რამ ვსთქვა, შენი სახელი მოდის...

უბრალო ადამიანებზე ცოცხალი ენით დაწერილი „ლოთური მუხამბაზი“ „საქართველოს მოამბიდან“ მალე ხალხში გავიდა და პოპულარულ სიმღერად იქცა.

ალექსანდრე ჰამვაჰაძე

„საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ალ. ჰამვაჰაძის ორივე ლექსი „შენი გონების სხივნი“ და „კმუნების მახვილი გულსა მსობია“, სატრფიალო ხასიათისაა. პირველი მათგანი „ცისკარში“ დაიბეჭდა 1864 წელს (№ 7). სიყვარული ამ ლექსებში წარმოდგენილია უნივერ-

სალურ გრძნობად, რომელსაც შეუძლია ადამიანის მთელი არსება შესძრას და დაღუპვამდე მიიყვანოს. პოეტი თანაბარ ძალას ანიჭებს სიყვარულის სულიერ და ფიზიკურ მხარეს; მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეუძლიათ „იმნათობონ“ და „იმფლობელონ“ ამ ქვეყნად, მაგრამ ყველაფერი ამათა, თუ გული დახშულია სიყვარულისათვის. ამიტომ, ალ. ჭავჭავაძე გრძნობის კულტს აღიარებს:

...მგრძობელობა სჯობს ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა.
მშვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს.

„საქართველოს მოამბეში“ ალ. ჭავჭავაძე ავსებს იმ მწერალთა გაღერებას, რომლებსაც ახალი თაობა ყველაზე მეტად აფასებდა XIX საუკუნეში და თავის წინამორბედებად თვლიდა. თერგდალეულები სწორედ ალ. ჭავჭავაძეს თვლიდნენ ახალი ქართული ლიტერატურის პირველ მერცხლად. იმათ სწამთ, რომ მან გაამრავალფეროვნა მწერლობა, პოეზიას ევროპული ელფერი მისცა და ენაშიც გზა გაუხსნა ხალხურ ნაყადს. ყოველივე ეს თერგდალეულებმა პირველებმა იგრძნეს და ღირსეულად დააფასეს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების „მოქალაქეობრივი კილო“ და უკეთეს მერმისზე მისი ოცნება. ილიამ და აკაკიმ მშვენიერი ლექსებიც მიუძღვნეს მას.

გიორგი ორბელიანი

„საქართველოს მოამბის უკანასკნელი ნომერი იხურება გიორგი ორბელიანის ეპიგონური ლექსით — „ჩემი ეპიტაფია“. მასში არაფერი იპყრობს ჩვენს გულისყურს: არც აზრი, არც გრძნობა, არც ფორმა, არც შინაარსი. ყველაფერი გაცვეთილია, ყველაფერი გადამღერება. ცხადად ჩანს, რომ ცენზურისაგან შევიწროვებულ ყურნალს მასალა დაჰკლებია, თავისი სანაქებო მომთხონელობა შეუსუსტებია და რაც ხელთ მოჰხვედრია, დაუბეჭდავს. ვფიქრობ, იქნებ, რითიმე მაინც მიიქცია ამ ლექსმა ილიას ყურადღება, თუგინდ, იმით, რომ ავტორი წერს: „გმირიც, ღარიბიც, მეფეც ძლიერი, ყველა სიკვდილის შვილია“. მაგრამ ეს ხომ სხვებსაც ათასჯერ და უკეთ უთქვამთ, ან, იქნებ, ლექსის ბოლო სტრიქონების აზრი მოეწონა რედაქტორს:

კაცს შეუძლიან სძლიოს ყოველი,
მარტო დრო მისგან უძლეველია.

რა თქმა უნდა, ურიგო აზრი არაა, მაგრამ „არ ახალია“ და პროზაულადაც არის გადმოცემული. და, ამ ლექსზე თუ მაინც შევჩერდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გაგვესვა ხაზი ცენზურის

სისასტიკისათვის, რომელიც ილია ჭავჭავაძის „აჩრდილსა“ და „კაკო ყაჩაღს“ საწერი მაგიდის უჯრაში ახრჩობდა და ასეთ უნიჭო ნაცოდვილარს აძლევდა ვიზას.

პ რ ო ზ ა

ილია ჭავჭავაძე

„კაცია-ადამიანი?!“

„საქართველოს მოამბის“ დაარსებამდე ქართულ რეალისტურ პროზაში ორი ნაწარმოები იმსახურებდა ყურადღებას — დანიელ ჭონჭაძის „სურამის ციხე“ და ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჭლანუაშვილი“. ორივემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, დააინტერესა მკითხველი და აამაღლა პროზის ავტორიტეტი. აშკარა გახდა, რომ ცხოვრების შინაარსის გართულება-გამრავალფეროვნება, ძველის რღვევა და ახლის აღმოცენება ლიტერატურისაგან მოითხოვდა ახალი იდეების შექმნას სინამდვილის ღრმა ანალიზს, კონკრეტულ მოვლენებზე გულმოდგინე დაკვირვებას, ფართო ტილოებზე საზოგადოებრივი განვითარების პროცესების სისრულით ასახვას. მწერლობის შემეცნებითი ფუნქციის ამაღლებამ დიდი ასპარეზი გადაუშალა პროზას, რომელმაც ამ დროისათვის გაბატონებული პოზიციები დაიკავა რუსულსა და ევროპულ ლიტერატურაში.

დ. ჭონჭაძისა და ლ. არდაზიანის მოთხრობები, უცილობელი იდეური მხატვრული ღირსების მიუხედავად, ვერ იძლეოდა ქართული სინამდვილის მრავალმხრივ კრიტიკას, შემჭიდროებულად ვერ ავლენდა ცხოვრების უარყოფით მოვლენებს და პერსონაჟებიც არ იყვნენ ეპოქის ყველა ძირითად ნიშანთვისების მატარებელნი. საგულისხმოა, რომ „სურამის ციხეში“ არცერთი მეზატონის დასრულებული სახე არ ჩანს, ხოლო ლ. არდაზიანის მთავარი გმირი არ არის თავისი ხასიათისადმი ბოლომდე ერთგული, რასაც რომანის მეორე ნაწილში ცხოვრების განვითარების ტენდენციის ყალბი ვაგება იწვევს.

ქართულ პროზაში კრიტიკული რეალიზმის ტრიუმფი დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანთან“, რომელიც „საქართველოს მოამბის“ მე-4, მე-5 და მე-6 ნომრებში დაიბეჭდა მ. ჭიმშირძის ფსევდონიმით.

ამ მოთხრობის წერა ილიამ 1859 წელს დაიწყო, მაგრამ ყურნალის დაარსებისას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული და 1863 წლის პირველ თვეებშიც უხდებოდა მისი სრულყოფისათვის მუშაობა.

„საქართველოს მოამბეში“ „კაცია-ადამიანის“ გარდა სხვა რომ არაფერი დაბეჭდილიყო, ამითაც შარავანდომოსილი დარჩებოდა ქართული ყურნალისტიკის ისტორიაში.

სინამდვილის ღრმა ანალიზისა და სწორად ასახვის წყალობით, „კაცია-ადამიანში“ მოცემულია ბატონყმობის კონცენტრირებული კრიტიკა; მხილებული და დაგმობილია მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი საფუძვლები; იგი წარმოდგენილია ქვეყნისა და ხალხის თვალშეუდგამ უბედურებათა მიზეზად. ერთიმეორეზე შემაშფოთებელ შთაბეჭდილებას ტოვებს სრულ ნგრევამდე მისული მეურნეობა, ხალხის უმოწყალო ტანჯვა, თავადაზნაურობის სულიერი გაპარტახება და ზნეობრივი სიბილწე, საყოველთაო გაუნათლებლობა, გონებრივი დაქვეითება, ქვეყნის უპატრონობა და უმწურობა. შესაბამისად მრავალფეროვანი და მდიდარია ამ გამანადგურებელი კრიტიკის საშუალებანი — მხატვრულ ასახვაში წარმატებით მონაწილეობს პუბლიცისტიკა და პოლემიკა.

ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელით დავიწყებთ. „კაცია-ადამიანის“ საერთო კონცეფციას მწვავე პოლემიკური ხასიათი აქვს. როგორც ცნობილია, თავადაზნაურობა დეჟინებით იცავდა აზრს. რომ ბატონყმობა ჩვენში „მამაშვილურ“ ურთიერთობას წარმოადგენდა. 1859 წელს ალ. ორბელიანმა ამ საკითხზე საგანგებო წერილიც დაბეჭდა „ცისკარში“ „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“. ავტორი ამტკიცებდა, ყმასა და ბატონს შორის საქართველოში მუდამ მამაშვილური დამოკიდებულება იყო და თავის მოსაზრების დასასაბუთებლად სქეთი მაგალითი მოჰქონდა: „თუ ბატონი ჯოხით სცემდა ყმას. ამ უკანასკნელს ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა ბატონთან შესარიგებლად და თუ ვერ შეურიგდებოდა, ძალიან გული სტკოვდა“.

თავადაზნაურობა დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ანუ ჰებდა ამ გულუბრყვილო „თეორიას“, ირწმუნებოდა. რაკი ჩვენში ბატონყმობა არ არსებობს, მის გაუქმებაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო.

ი. ჰეკიავაძემ ცოცხლად წარმოუდგინა საზოგადოებას ეს „მზრუნველი მამები“ — გაპირუტყვებული ლუარსაბ და დავით თათქარცხელები, თავიანთი კნეინებითურთ, გაიძვერა მოსე გებლასძე და ძმანი მათნი, რომლებსაც არავითარი ადამიანური ღირსება აღარ შერჩენიათ, ინსტირქტებიც კი დაწლუნგებიათ, ნაჯრამ ბატონყმური პრივილეგია, თავიანთი წოდებრივი უფლება ისე გასჯდრმიათ სისხლსა და ხორცში, რომ ერთი წამითაც არ ავიწყდებათ. ლუარსაბს თავის მოფხანა ეზარება, შარვლის ჩაცმის თავი არა აქვს, მაგრამ ყმების დასატუქსავად და დასაშინებლად საიდგანდაც მუდამ იღვიძებს მასში ენერგია; სუყველადფერი დაუქარგავს და თავისი კლასობრივი ბატონობის შეგნება მაინც შერჩენია, რადგან ეს ყოფილა მისი მთავარი თვისება, მისი უზრუნველი არსებობის საფუძველი.

ჩვენ არ ვაპირებთ მტკიცებას, რომ „კაცია-ადამიანი?!“ ალ. ორბელიანის წერილის პირდაპირი პასუხია. თუმცა, საესეებით შესაძლებელია ასეც იყოს. რადგან ცხოვრების კონკრეტული მოვლენა ხშირად იქცევა მწერლის შთაგონების საბაზად. მაგრამ, ეს მოთხრობა რომ ნაცარტუტად აქცევედა ბატონყმობის დამცველთა „მამაშვილურ“ თეორიას, უცნობელია და ეს ხაზს უსვამს მის დიდ ცხოვრებისეულ სიმართლეს, მაღალ მხატვრულ განზოგადებასა და საზოგადოებრივ აქტუალობას. უთუოდ, უფრო ამით აიხსნება, რომ „კაცია-ადამიანის?!“ მთელი რიგი ადგილები ალ. ორბელიანის წერილის პაროდიად მოჩანს.

ერთხელ ლუარსაბმა, როგორც იყო, აითრია წელი და თავის მრუტ-რავს, — დათოს, სამუშაოზე ურმების გაგზავნის ამბავი გამოჰკითხა. რომ გაიგო, ათი ურემი წავიდა და არა თხუთმეტიო, — ყვირილი მორთო: „როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატონი აღარა ვყოფილვარ!.. მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან“.

ეტყობა, თაობიდან თაობაზე გადმოდირდა ყმების ასეთი დაშინება-დაწიოკების ტრადიცია, რომ ლუარსაბს ყველაზე მეტად იგი გასჯლო-მია ძვალსა და რბილში.

მისი რწმენით, ყმა არაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან. ერთგან მწერალი შენიშნავს: ასეთი კაცი უსწავლელადაც იოლად წავა ცხოვრებაში, „ნამეტნავად ჯოგისა და ყმის პატრონი, ყმისა, რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვსო“. ეს სიტყვები რემარკად როდი რჩება მოთხრობაში, მოქმედების განვითარების კვალდაკვალ, მკითხველი სულ უფრო მეტად რწმუნდება, რომ თათქარიძეები ადამიანად არ თვლიან ყმებს, წარამარა ცემენ და აწვალებენ მათ. კნეინა დარეჯანი „იქ მუჯლუგუნებს წაჰკრავდა... გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა... მთელის ღამის ნაგუბარს წამოანთხედა ქვეშევრდომებზედ“:

მისი ღირსეული მეუღლე თითქმის იურიდიული კოდექსის სახით აყალიბებს ამ უფლებას: „ცემა არაფერია, მაგაში ბატონს ვინ დასძრახავს! იმისი ბატონი არა ვარ რომ, მინდა ვსცემ, მინდა არა“.

მოთხრობაში მკაფიოდ ჩანს, რომ ყმას არაერთგვაროვანი საკუთრება არ ვაჩნია, „ყმისა ყველაფერი ბატონისა არის“. როცა მოახლემ დარეჯანს მოახსენა, ელისაბედმა ჩითმერდინი წაარდვა თავის გოგოსო, კნეინამ როდი გაიკვირვა, პირიქით, გამართლებაც დაუწყო რძალს, რომელიც ჰირის დღესავით სძულდა: „წართმევე არაფერი, ეგ, რასაკვირველია, ქალბატონის საქმეა; გოგოც ჩემია და ჩითმერდინიც, მაგრამ გოგოს ჩითმერდინის თავზე შემოკვრა კი სწორედ თავლაფის დასხმაა“.

არც ბატონისაგან მოახლის გაუპატიურება უკვირს ვისმე. როცა გა-

იგებენ, თავადმა ნიკოლოზმა ყმა გოგო საქვეყნოდ გააუპატიურაო, — გულგრილად შენიშნავენ — ჩუმიდ უნდა ექნაო; დარეჯანი გაიოცებს: „ჩუმიდ რომ მოეხდინა, ვინ რას იტყოდლო?“

„კაცია-ადამიანის“ ამ ადგილებს საგანგებოდ იმიტომ გამოეყოფთ, რომ უფრო ნათელი გახდეს „საქართველოს მოამბეში“ ამ მოთხრობის პირდაპირი, კონკრეტულ-პუბლიცისტური მამნილებელი ხასიათი. თხზულების საერთო იდეურ-მხატვრული ანალიზისას ეს მხარე — ბატონყმობის ყველა მანკიერებათა უშუალო მხილება, სამწუხაროდ, მხედველობის გარეშე რჩება. ნაწარმოების იმდროისეული მნიშვნელობის განსასაზღვრელად კი მას, უდავოდ, სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მწერალს საგანგებოდ გაუსვამს ხაზი თხზულების თანადროულობისათვის. მხედველობაში გვაქვს ლუარსაბის, დარეჯანისა და ელისაბედის საუბარი ბატონყმობის გაუქმებაზე, რაც ცხადყოფს, რომ მოქმედება 1861—1863 წლებში მიმდინარეობს.

მართალია, თათქარიძეები ჰკუაჩლუნგი და გულდახშული არიან, მაგრამ მაინც მუდამ გრძნობენ, რომ მათი ბატონობა უსამართლოა. ამიტომ, ძონძებიან ყმებში ყოველთვის ხედავენ თავიანთ საშიშ მტრებს და, თუკი რამ ფიზიკური და გონებრივი ძალა შერჩენიათ, მათ დასაშინებლად და დასაბეჩაველად იყენებენ. დარეჯანი კიდეც ძრწის ამ საშიშროების წარმოდგენით: „ხ ა ნ დ ი ს ხ ა ნ ტ ყ უ ი ლ უ ბ რ ა ლ ო - დ ა ც უ ნ დ ა დ ა ჰ ს ტ უ ქ ს ო... რ ო მ შ ი შ ი დ ა კ რ ძ ა ლ ვ ა ჰ ქ ო ნ დ ე ს, თ ო რ ე მ შ ე ნ ი მ ტ რ ი!“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.). რაღა ვასაკვირია, რომ ბატონყმობის გაუქმების ამბავმა ისინი ააფორიაქა და ლუარსაბის გაბეჭუებულ თავსაც კი ათასგვარი ეშმაკობა მოაგონებინა.

ჩვეულებრივ, თათქარიძეები გოგო-ბიჭების თანდასწრებით ლაზ-ლანდარობდნენ და ვერც ამჩნევდნენ მათ იქ ყოფნას, მაგრამ, როცა ელისაბედმა ბატონყმობაზე ლაპარაკი განიზრახა, გოგო-ბიჭები მაშინვე დაითხოვეს.

ლუარსაბმა რომ გაიგო, „თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო“, ათასგვარი საბუთით სცადა თავის დანუგეშება. „ბატონყმობა ღმერთს დაუწესებია“ და საიქიოსაც არსებობსო, — ირწმუნებოდნენ ის და მისი მეუღლე. მაგრამ, ეტყობა, ეს „საბუთები“ მთლად საიმედოდ არ მიანდათ და თავდასაცავი ზომებიც მიიღეს, „ყმისა და მამულის ბატრონმა“ მოურავს დაუძახა და დამოძღვრა დაუწყო: — „ყმები ჩამოგერთმევაო, რომ ამბობენ, ტყუილია... ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავახრჩობთ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო... ან რა კარგი იქნება

თქვენთვისა, რომ ჩვენ არ გყვანდეთ?.. რა ც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

როგორც ვხედავთ, ლუარსაბი ზუსტად იმეორებს „მამაშვილური თეორიის“ შესვეურთა მოსაზრებებს. მოურავის პასუხი, უთუოდ, ალ. ორბელიანის დასახელებული წერილის ირონიზირებულ პარაფრაზს წარმოადგენს: „ღიახ, შენი ჭირიმე სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ ხანდახან გაგვიწყობით, აგვიკლებთ; წაგვართმევთ — ეგ რა? სულ ჩვენის სიკეთისათვის არის ხოლმე...“ ლუარსაბის გონებას არ სწვდება დათოს ორლესული სიტყვების აზრი და გულდინჯად განაგრძობს დარიგებას: „სხვას არა აქვს შაგის მიგნება, ამბობს, რომ რა ც ჩემია, ჩემი უნდა იყოსო, ბატონი რათ უნდა გვართმევდესო. (ხაზი ჩემია. — ა. კ.) ის კი არ იციან, რომ თუ ბატონი ართმევს რასმეს, სულ იმათ სიკეთისათვის ართმევს“. დარეჯანი კვერს უკრავს ქმარს: „ოღონდაც რეგვენია... მაშ, ბატონი რისა არის თუ არ დაჰსტუქსავს, არ წაართმევს? თუნდ ეგ არ იყოს, უცხო ხომ არ ართმევს, ისევე თავისივე ბატონია“.

ამ უნებურ თვითმხილებაში ბატონყმობის საშინელებათა ამომწურავი დახასიათებაა მოცემული. საერთოდ, კონკრეტული სინამდვილე მოთხრობაში ისე მართლად არის ასახული, რომ ზოგიერთ ისტორიულ ფაქტზე მხოლოდ ამის მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ. დასახელებულ ეპიზოდში მკაფიოდ ჩანს, მაგალითად, რეფორმის პერიოდში ყმაგლეხთა პოლიტიკური განწყობილება. ლუარსაბის ყურამდეც მიუღწევია მათ მღელვარებასა და მოთხოვნებს: „რა ც ჩემია, ჩემი უნდა იყოს, ბატონი რათ უნდა გვართმევდესო“.

მოთხრობაში ყმაგლეხთა ჩაგვრის გაშლილი სურათია მოცემული. მწერალი სიღრმისეულად სწვდება მოვლენებს და მრავალტევადი დეტალებით, სახეებით, შედარებებით მთელი სისაყსით გადმოგვცემს მათ. ამიტომ სიუჟეტიდან ოდნავი გადახვევის გარეშეც, ორიოდ დეტალის გაფართოებით, ილიამ შეძლო დამაჯერებლად ეჩვენებინა მეფის მოხელეთა თვითნებობა და სისასტიკე.

თათქარიძის ეზოს აღწერისას, მწერალს საგანგებოდ აქვს განვრცობილი ბუჩოხედ ღორების ნებივრობის დეტალი, რომელსაც ასე ამთავრებს: „...იმ ღორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ დინჯო... ეგრე ჩვენი გლეხკაცი საალერსოდ წაუთავაზებს ხოლმე ქისტს ახალმოყვანილ პატარძალსა. ვილაცამ ჰსტქვა, „ქართული სიყვარული ლანძღვაო“. მეც ვიტყვი: ქისტი კიდევ საოხუნჯო ალერსია. ადმინისტრაციის კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს: იქ ქისტი შემმეცნებელი საბუთია. ეგ ჩვენი საქმე არ არის“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

ზოგჯერ ეს მამხილებელი ელემენტი „უწყინარ“ შედარებაშიც იჭ-

რება მოულოდნელად, თითქოს, სასხვათაშორისოდ. „შიგ თვითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოენიკის გული“; ხანაც, რეპლიკით კმაყოფილდება მწერალი: „...რომ დიამბეგის სტუმრობა ხუმრობა არ არის — ეს ყოველ გლეხკაცმა ძალიან კარგად იცის“.

„კაცია-ადამიანი?!“ გაშლილია მძაფრი კლასობრივი ანტაგონიზმის ფონზე: ერთ კიდზე მოჩანან მებატონეები, მეორეზე — გლეხები და მკითხველი კარგად გრძნობს ურთიერთობის დაძაბულობას. მართალია, მწერალს ამ მოთხრობაში თათქარიძეებისათვის მეგრძოლი გლეხის ტიპი არ დაუპირისპირებია, მაგრამ, მთელ ნაწარმოებში გაისმის უკმაყოფილო ხალხის ხმა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს მებატონეებს. გლეხებს შეგნებული აქვთ ბატონყმობის უსამართლობა, გრძნობენ, თავადაზნაურების უსამართლობას, მის სულიერ და გონებრივ უსუსურობას, — მსჯელობენ თავიანთ მომავალზე და მოითხოვენ არა მარტო განთავისუფლებას, არამედ პირად საკუთრებასაც („რაც ჩემია, ჩემი უნდა იყოს, ბატონი რათ უნდა გვართმევდესო“). მათ უკვე იციან, რომ ბატონყმობის მოსპობა გარდუვალია: „მითამ მოგახსენებენ. შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ ქვეყნისთვის კარგი იქნებაო“, — ეუბნება ლუარსაბს დათო.

თათქარიძეთა უსაქმურობასა და კჟუანაკლებობას ყველგან უპირისპირდება ყმაგლეხთა შრომისმოყვარეობა და სალი აზრი. მწერლის ფიქრსა და გრძნობას, ხშირად, უშუალოდ გლეხები გამოხატავენ და მწერალიც მათი თვალით უყურებს ბატონყმურ სინამდვილეს. დათოს სიცილად არ ყოფნის ლუარსაბისა და მისი მეუღლის „ბრძნული“ დარიგებანი, გლეხის ბიჭი ნიშნს უგებს „ჯადოთი“ შეშინებულ ბატონსა და ქალბატონს, ხოლო მუშაობით დაღლილი მოსამსახურენი... „გულში ჩაკეტილი გაბოროტებით“ უყურებენ თავიანთ მჩაგვრელებს.

„კაცია-ადამიანი?!“ ბატონყმობის თემაზეა დაწერილი, მაგრამ მხატვრული განზოგადება აქ ისე ფართო და შორსმწვდომია, რომ მასში მკაფიოდ ისმის ადამიანური სინდისის პროტესტი ყოველგვარი ჩაგვრის, მუქთახორობისა და გადაგვარების წინააღმდეგ.

ეროვნული და სოციალური მოტივები „კაცია-ადამიანიში“ განუშორებელ კავშირშია და თანაბარი სიძლიერისაა, მაგრამ საკუთრივ ეროვნული იდეის ადგილის განსაზღვრა ამ თხზულებაში მაშინდელ ისტორიულ გარემოებათა გახსენებასა და გათვალისწინებას მოითხოვს.

საუკუნეთა მანძილზე თავადაზნაურობას თავისი თავი ერის ავანგარდად მიაჩნდა და ყველაფერს, რითაც ქართველი ამყობდა, თავის დამსახურებად თვლიდა. იგი არც შემდეგ აპირებდა ეროვნული ასპარეზის დათმობას, — ქვეყნის მომავალსაც თავის წოდებრივ ინტერესებს უმორჩილებდა და ამით ეროვნული მოღვაწეობის გზას უხშობდა ყველას, ვინც მათ კასტას არ ეკუთვნოდა. ამიტომ, თავადაზნაურობას

ეკორებოდა ხალხის დაბეჩავების, ეროვნული ენერჯის მოღუნების, ზნეობრივი დაცემის, მშობლიური ენის უგულვებელყოფის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების ჩამორჩენის, ნაციონალური გადაგვარების, ე. ი. ერის ცხოვრების, მისი თვითმყოფლობის შერყევის მთელი პასუხისმგებლობა. ყველა ამ ნაკლისა და სიმახინჯის მხილება, როგორც ეროვნული აღორძინებისა და წინსვლის წინაპირობა, — თერგდალეულებმა თავიანთი საბრძოლო პროგრამის პირველ მცნებად გამოაცხადეს. ასეთი მხილება თავისთავად გულისხმობდა თავადაზნაურობისაგან ერის „წინამძღოლის“ გვირგვინის ჩამოხსნას. ეს მიზანი — „ქართველის სიკუდის“ გამომწვევა, — განუყრელად თან ახლდა ილიას იმდროინდელ პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ნაწერებს. იგი „კაცია-ადამიანშიც?!“ ნათლად ჩანს.

ავტორის ჩანაფიქრით, ლუარსაბ თათქარიძე არა მარტო მებატონეა, მისი სიმახინჯე არა მარტო თავადის სიმახინჯეა, — არამედ ამავე დროს, იგი ქართველიცაა (და მაშინდელი წარმოდგენით, არა რიგითი ქართველი, არამედ ერთ-ერთი „ერის წინამძღოლთაგან“) და მისი მანკიერებანი ქართველის მანკიერებაცაა. ეს მხოლოდ ნაწარმოების საერთო იდეურ-მხატვრული კონცეფციიდან როდი ჩანს, ამ მომენტს მწერალი მთელი თხზულების მანძილზე სავანგებოდ უსვამს ხაზს.

„კაცია-ადამიანის?!“ წინასიტყვაობის ერთ-ერთ ვარიანტში ილია შენიშნავს: „ამ გუბეს ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი, ქვეყნის სამასხროდ, ცხოვრებას ეძახიან“ (ხაზი ჩემია. — ა.კ.).

მთავარი გმირის დახასიათებას ავტორი ასე იწყებს: „თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი“.

ლუარსაბის ჩაოხრებული კარმიდამოს აღწერა მთავრდება რეპლიკით: „პატრონს არც კი მოსვლია ფიქრათ, რომ გაეკეთებინა... ე ტ ყ ო ბ ა, რ ო მ ქ ა რ თ ვ ე ლ ი ა“ (ხაზი აქაც და მომდევნო წინადადებებშიც ჩემია. — ა.კ.).

თათქარიძე შეძლებული მემამულეა, „მაშ, რაღათა დგას ასე ცუდად? — მკითხამს გაკვირვებული მკითხველი. ი მ ი ტ ო მ, რ ო მ ქ ა რ თ ვ ე ლ ი ა, მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კარგი საბუთი გითხრათ... დიახ. ამ მშვენიერ სახლში ქ ა რ თ ვ ე ლ ი კ ა ც ი ი დ გ ა“. ფანჯარაზე მინის მაგივრად, გაქონილი ქაღალდია გაკრული, რადგან „მოგონებაში ქ ა რ თ ვ ე ლ კ ა ც ს პ ი რ ვ ე ლ ი ე ვ რ ო პ ი ე ლ ი მ ე ქ ო რ ე ც ა რ ა ჰ ს ჯ ო ბ ი ა“. ლუარსაბს სული არა ჰქონდა, რადგან „ქ ა რ თ ვ ე ლ კ ა ც ს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც გატანილი; — ის „მონაბერი სული“ ქარად ხომ არ მიიღო ჩვენმა თავადმა?“ „ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა, ჭამა და ძილი ხომ რაღა. მეტი რა უნდა ქ ა რ თ ვ ე ლ კ ა ც ს, რ ო მ ე ლ ი ც ბ ე დ ს

და უბედობას ბალნით ზომავს...“ „სიძუნწე და ქართველი ორივე ერთად მოთავსდება?“ დარეჯანმა „არცოდნა ითაკილა ისევე რაღაცა მოჭორება ირჩია „არ ვიცის“ თქმასა, როგორც ამგვარ შემთხვევაში ყველა ქართველმა იცის ხოლმე“ და ა. შ.

თვითონ ლუარსაბი დიდადაც ამაცობს ქართველობით და თავისი მოკლე კეუით იმაზედაც ფიქრობს, რა მოუხდება და რა ავნებს ქართველობას. „რაც სწავლა შემოვიდა, — საყვედურობს ერთგან, — ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა“.

ქართველის სასახელო საქმედ თათქარიძეს ბევრი ღვინის სმა მიაჩნია და არც მამაპაპური ქამარ-ხანჯალი აეიწყებდა. თელეთში მიმავალ „რანდს“ მწერალი ასე აგვიწერს: „მეომრის თვალადობა ჰქონდა... წელზედ ერტყა ქართული ხმალი და გრძელი ლეკური — ხანჯალი. უკან ჰქონდა სევადიანი დამბაჩა“.

თხზულების ეროვნული პათოსი იმდენად ძლიერია, რომ როცა სიტყვა უშუალოდ საქართველოს სვე-ბედს ეხება, მწერალს უძნელდება ლირიკული გადახვევებისაგან თავის შეკავება და პოლემიკას უმართავს ხან თავის გმირს, ზოგჯერ კი საერთოდ, ყველა თავის მოწინააღმდეგეს: „ეპ, ჩემო ლუარსაბ! — აწყვეტინებს „წარსულ დიდებაზე“ ენამკვერობას, — ვიცი გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროსა ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მოვა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმბურვალე, ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი ამშვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს ამშვენებს. კარგი იყო ძველი დრო, მაგრამ არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: „ერთი მაქვს სჯობს ათასს მქონდასო“. ესა ესთქვათ და ენა მოვიკვნიტოთ, თორემ...“

მოთხრობა გამსჭვალულია სანშობლოს წინსვლის, ყოველივე მოძველებულის უკუგდების, ერის ბედნიერი მომავლისაკენ შემობრუნების მხურვალე სურვილით. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ სწორედ ეს არის აქ მთავარი და სხვა ყველაფერი ამ ძირითად იდეურ ჩანაფიქრის ხორცშესხმას ემსახურება. თხზულების დასასრულს ხომ მთელი მახვილი აქეთკენ გადადის: „მარტო ქვეყანაა, მკითხველო, და ურღვეველი და ერთი ლამაზი, გონიერი ქართველის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჰსჯობდეს მამასა“, თორემ ნუ „დაავდებ ძველსა გზასა“, — ეს ჩინეთიდან შემოგვეპარა... ჩემო ძველისმოყვარე, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ქართველო!“

საგულისხმოა, რომ პუბლიცისტური და უშუალო პოლემიკური ჩა-

ნართები თითქმის, მხოლოდ ეროვნული იდეის წინ წამოსაწევადაა გამოყენებული. დრო და დრო ეს გადახვევები „მამათა“ და „შვილთა“ შორის ცნობილი პოლემიკის გაგრძელებად იქცევა: „კარგი რამ არის ქართველი კაცი: — ასე იწყება ერთი ამგვარი პოლემიკური ჩანართი. — ბელსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე — არცერთისთვის გაიხეთქავს თავს და არც მეორისთვის დაიწყობს ბრძოლასა და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი... ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმითი მანაც ვჭობივართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიც ვართო... კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს“.

„კაცია-ადამიანის?!“ ამ იდეურ-მხატვრული კონცეფციის გათვალისწინება იძლევა მოთხრობის ეპიგრაფის — „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირსუკანაო“, — მართებული გაგების შესაძლებლობას. „მოყვარედ“ მწერალი გულისხმობს მშობელ ხალხს და არა თავდაზნაურობას, როგორც ვულგარული კრიტიკა ამტკიცებდა. აღნიშნულ ეპიგრაფს ეხმაურება და ჩვენს მოსაზრებას ანმტკიცებს ეპილოგიც: „იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და მომიგონე ჭორი — შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს — რომ მე ვითომც ქართველოლობას ვღალატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმალავ ზოგიერთ გულმოკლეს პატრიოტივით... ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა; ამას ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენათაც შეძლება აქვს — შენი ცული, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო... ეს მოთხრობა სარკე იყოს... მეც მოყვარესავით გექცევი, — სარკე მოგიტანე. ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?!“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

„კაცია-ადამიანი?!“ .მართლაც იყო ქართული სინამდვილის სარკე; მასში მკაფიოდ ჩანდა ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი ნაკლოვანებები და მანკიერებანი, რომელთა დაძლევა ახალთაობის ეროვნულ-სოციალური იდეალების განხორციელების მთავარ პირობას წარმოადგენდა. მწერალს მხედველობაში ჰქონდა და მისი ღიდი მხატვრული ტილო მოიცავდა ამ ცხოვრების არა ერთ რომელიმე უბანს, არა ერთ რომელიმე წოდებასა და საკითხს, არამედ ეპოქას მთელი თავისი რთული მრავალფეროვნებითა და წინააღმდეგობებით. ამიტომ დასძენდა ილია ეპილოგში: „ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთო“.

მოთხრობის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი, მისი ეპიგრაფის მიზანდასახულობა ზედმიწევნით გამოხატავს ილიას სტრიქონების დედაზრს:

ჩემზედ ამბობენ, „ის სიავეს ქართლისას ამბობს,
ჩვენს ეულს არ მალავს, ეს ხომ ცხალი სიძულელია“.
ბრიყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე გრძნობს —
ამ სიძულელიში რაოდენიც სიყვარულია...

არისტოკრატია, რაკი თავისთავს ერის წინამძღოლად თვლიდა, გაბოროტებით შეხვდა „კაცია-აღამიანს?!“, და სახელი რომ გაეტეხა მისთვის, — ქართველების შეურაცხმყოფელ ნაწარმოებად, პასკვილად გამოაცხადა, ხოლო ლუარსაბ თათქარიძე ქართველის ტიპად მიიჩნია.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხედულებამ ლიტერატურულ კრიტიკაშიც კპოვა გამოძახილი. ჯერ ალ. ცაგარელმა,¹ ხოლო შემდეგ სტ. ჭრელაშვილმა² ლუარსაბ თათქარიძე ქართველი კაცის ზოგად სახედ ჩათვალეს და ამით მისი უარყოფითი თვისებები (სიზარმაცე, უნებისყოფობა, უყაირათობა და სხვ.) ნაციონალური ხასიათის ნიშნებად აღიარეს, რაც მხატვრული შემოქმედებისადმი ისტორიული მიდგომის უგულვებელყოფითა და მოთხრობის საერთო კონცეფციის გაუგებრობით იყო გამოწვეული.

ალ. ცაგარელი სერიოზულ მხატვრულ ნაკლოვანებებს ხედავდა „კაცია-აღამიანში?!“. მისი აზრით, მოთხრობას აკლია მთლიანობა, კომპოზიციური საყრდენი: „პატარ-პატარა, დიდის ხელოვნებით აღწერილი სცენები და სურათები, სხვადასხვა შემთხვევები შეკრებილი ერთად. რომლებსაც ხან სულ არა და ხან ძალიან ცოტა შინაგანი კავშირი აქვთ ერთმანეთთან“. კრიტიკოსი უფრო შორს მიდის, — უსიუეტობას სწამებს მოთხრობას, თითქოს, ყველაფერი მწერლის ნებით კეთდება და არა მოქმედების შინაგანი განვითარების ძალით; მწერალს, „როცა უნდა გაათხროვებს, როცა უნდა — მოჰკლავს... ერთი მოქმედება მეორეს არ ითხოვს“. ეს მოთხრობა ისე უთავებოლოა, რაც გინდა მოუმატე, რაც გინდა, — მოაკელიო.

ეს მოსაზრება რომ სწორი იყოს, „კაცია-აღამიანს“ არავითარი იდეურ-მხატვრული ზემოქმედების ძალა არ ექნებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ალ. ცაგარელს ვერ გაუგია მოთხრობის მხატვრული თავისებურებანი. ამბები, ცალკეული შემთხვევები, რომელთა შესახებ ის ლაპარაკობს, მოთხრობაში მტკიცე მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებაშია და ერთ მთლიანობად წარმოგვიდგება. აქ ავტორის ძირითადი მხატვრული ხერხი დახასიათებაა, რომელსაც ის უნივერსალურად ფლობს. მოქმედ პირთა, გარემოსა თუ მოვლენების აღწერა ყოველმხრივი და ნიუანსურია. ავტორის მიზანსწრაფული, ეპიკური თხრობა

¹ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკის ისტორიისათვის, II, 1956, ს. ხუციშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, გვ. 102.

² ი. ჰავციავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1957, ი. ბოცაძის რედაქციითა და შენიშვნებით.

ხორცს ასხამს და ანსხეულებს სიუჟეტს. ამ საყრდენზე დაფუძნებით ერთმანეთს ცვლის ადამიანთა და მოვლენათა ურთიერთ, დამოკიდებუ-
ლების სურათები, წინააღმდეგობანი და კონფლიქტები.

„კაცია-ადამიანი?!“ გამოირჩევა უჩვეულოდ ვრცელი ექსპოზიციით (მთავარი ამბავი მე-7 თავიდან იწყება), მაგრამ ის იმდენად ტევადი, ექსპრესიული და მიმზიდველია, რომ ასაფრენად გაშლილ ფრთებს მიაგავს. თათქარიძეთა სახლკარის დაწვრილებითი აღწერა ჩვეულებ-
რივი ფონი როდია, ის ნათელ წარმოდგენას ქმნის მათს ხასიათზე და როცა ლუარსაბი და დარეჯანი ძირითად ამბის მონაწილეებად გამოჩ-
ნდებიან, მკითხველი უკვე კარგად იცნობს მათ. ამგვარად, ექსპოზიცია აქტიურად მონაწილეობს სიუჟეტურ კვანძში და, თუმცა მწერალი რამ-
დენჯერმე იხდის ბოდიშს გაჭიანურებისათვის, იგი არამცთუ ანელებს, დიდათაც აცხოველებს ინტერესს, იქნებ მარტივი, მაგრამ მეტად ორი-
გინალურია კვანძიც — ლუარსაბისა და დავითის ოჯახების წინააღმდე-
გობა, რომელიც „ლიტერატურული ეშმაკობის“ გარეშეა გართულებუ-
ლი და განვითარებული (ლუარსაბის დაქორწინება, მოსე გძელაძისა-
გან დავითის მოქრთამვა, სუტკენინას ოინები, ლუარსაბისა და დარეჯა-
ნის უშვილობა, მკითხავის მოწვევა, თელეთს გამგზავრება და სხვ.).

მოთხრობის პროლოგი და ეპილოგი არ არის მისი აუცილებელი, ორ-
განული ნაწილი. ცნობილია, რომ თავდაპირველად ილიას კიდევ უფრო
ვრცელი პროლოგის წამძღვარება სურდა „კაცია-ადამიანისათვის“ და
მისი რამდენიმე ვარიანტიც არსებობს. ლიტერატურათმცოდნისათვის
ისინი, უდავოდ, საინტერესოა, ხოლო მოთხრობისთვის საზიანო და
უსარგებლო. მწერლის მხატვრულ ალღოს ადვილად უგრძნვია ეს და
ხანგრძლივი შესწორება-გადაკეთების შემდეგ, ავტორი მოკლე ეპილო-
გით დაკმაყოფილებულა; მაგრამ ისიც კი იმდროინდელი საზოგადოებ-
რივი აზრისათვის დათმობა-ანგარიშგაწევის შედეგია. „საქართველოს
მოამბეში“ დაბეჭდილ ყველა ნაწერს ამჩნევია მკითხველთა წინაშე ამ-
გვარი ბოდიშების კვალი. მწერალი ცდილობს დაარწმუნოს საზოგადო-
ება, რომ თხზულება კეთილი განზრახვით არის დაწერილი, რომ ის
სარკეა და ა. შ., რათა თავიდან აიცილოს ამა ქვეყნის ძლიერთა რისხვა.
„კაცია-ადამიანს“ ყველაზე უფრო ესაჭიროებოდა ასეთი „მობოდიშე-
ბის ბარათი“. დღევანდელი მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენი
არ არის, რა საფრთხეში აყენებდა ამ მოთხრობით მწერალი თავისთავ-
სა და ქურნალს.

ასე რომ, „კაცია-ადამიანის“ პროლოგსა და ეპილოგს მხოლოდ ის-
ტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს და არ წარმოადგენს მის
ბუნებრივ ნაწილს, მაგრამ „საქართველოს მოამბის“ ტექსტი კანონი-
კური გახდა და ეს ნაწილებიც შემორჩა.

„კაცია-ადამიანზე“ იმდროინდელ საზოგადოების რეაგირების შე-

სახებ ცოცხალი ცნობა შემოგვინახა ანტ. ფურცელაძის რეცენზიამ, რომელიც იმ ხანებში დაიბეჭდა „ლიტერატურნი ლისტოკში“. რეცენზენტი წერს: „ზოგიერთნი არიან აღფრთოვანებულნი ამ მოთხრობით. უმეტესობას არ ესმის იგი სრულიად ან მტრულადაა განწყობილი მისი ავტორისადმი და ამტყუნებს მას ქართველი თავადაზნაურობის „გაშავებაში“. უფრო მეტად გაღიზიანებულნი არიან ისინი, რომელნიც თავისსა და სცენაზე გამოყვანილ პიროვნებათა შორის მსგავსებას პოუბენ. დასასრულ,—ძველი ლიტერატორები—ავტორიტეტები, რომელნიც მიჩვეულნი არიან ქების ჰიმნების წერასა და „მთვარისა და ქალის“ შექებას, აღსდგებიან მთელი ძალით ახალი სიტყვის წინააღმდეგ, უწოდებენ მას პასკვილს, რომელიც არც კი უნდა აიღოს ხელში კეთილზნობრივად აღზრდილმა ადამიანმა“¹.

აქედან ნათელია, რომ საზოგადოებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია და თავადაზნაურობის გული განსაკუთრებით შეუძრავს „კაცია—ადამიანის?!“ ტიპურ ხასიათებსა და სიტუაციებს, რომლის მსგავსი ჩვენს ლიტერატურაში არაფერი ყოფილა. მებატონეები კიდევ სცნობდნენ თავიანთ თავს ლუარსაბსა და დარეჯანში და კიდევ უარყოფდნენ, — პასკვილია, არა გვგავსო (უთუოდ, ასეთი ზემოქმედება ჰქონდა მხედველობაში ბ. ბელინსკის: „Каждый тип для читателя есть знакомый незнакомец“).

ავტორის მისწრაფებაც ხომ ეს იყო. მოთხრობის წინასიტყვაობის ერთ ვარიანტში აკი თვითონვე ეუბნება აშშორებული გუბიდან გამოთრეულ ლუარსაბს: „აბა უფრო მაგისტრის წაგავლე (ხელი), რომ შენ ათასსა ჰგევხარ და ათასი შენაო“.

ცხოვრების დრმა ანალიზმა, მხატვრული დაკვირვების ნიჭმა და შემოქმედებითმა ფანტაზიამ ი. ჭავჭავაძეს ქართული სინამდვილის მოვლენათა ძლიერი განზოგადების საშუალება მისცა. მისი ტიპები მოქმედებენ ცოცხალი სინამდვილის პირობებში. ამ სინამდვილის პირმშონი არიან და, ამავე დროს, მკაფიო ინდივიდუალობითაც გამოირჩევიან. ბევრი რამ საერთოა ლუარსაბსა, დარეჯანსა, დავითსა, მოსე გძელაძესა და ელისაბედს შორის, მაგრამ ისინი ერთმანეთს როდი ჰგვანან. მწერალს ზუსტი მხატვრული მიზანდასახულობითა და სიფრთხილით შეურჩევია და შეუკრავს მათი ხასიათის თვისებები, „განუწმენდია, გადაუდენია და მშვენიერს ყალიბში ჩამოუსხამს“ ცხოვრებისეული მასალა. ზოგჯერ ვეება ზოდისათვის თვალი აურიდებია და პატარა კენჭი აურჩევია ფიგურის გამოსაკვეთად; სენსაციური მოვლენა უყურადღებოდ დაუტოვებია და შეუძმნეველი წვრილმანისათვის ჩაუვლია ხელი, ახლა კი ეს წვრილმანი გაცილებით სენსაციურად მოჩანს. მოთხრობაში

¹ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, 1955, გვ. 374.

ყველაფერი შეხმატკბილებულად მონაწილეობს ტიპური ხასიათის ჩამოყალიბებაში: პორტრეტი, ყოფაქცევა, საქმიანობა, სული, გარესამყაროსთან ურთიერთობა და ისინიც ისე ბუნებრივად, თანმიმდევრულად ვითარდებიან, რომ ზოგი რამ, სხვა ვითარებაში ყალბად, დაუჯერებლად რომ მოგვჩვენებოდა, აქ არავითარ დაექვევებას არ იწვევს. არ გიკვირს, როცა ლუარსაბსა და მის კნეინას რუსეთ-თურქეთის ომის მიზეზად ის მიიჩნდათ, რომ ხონთქარმა ერთი დიდი ალმასი მოჰპარა რუსთ ხელმწიფეს, არც ბუზების თვლა და ჩიხირთმა-ბოზბაშზე პაექრობა გეოციებს, არც ის, რომ ლუარსაბს მიმატება და გამოკლება ვერ გაურჩევია. ამიტომაც ვერ დავეთანხმებით ანტ. ფურცელაძეს, ალ. ცაგარელსა და სხვებს, რომლებიც ბუზების თვლას, „ბოროტისა და კეთილის ხეზე“ საუბარს „გადამლაშებად“ უთვლიდნენ ავტორს. მოთხრობა დიდი მხატვრული ზომიერებითაა დაწერილი და მწერალი კარგად გრძნობს, სადამდე „გაატანს ლურსმანი“. ასეთი დეტალი, ბუზების თვლა, არამც თუ ფრთაწყობილი მოთხრობისათვის, კრიტიკული წერილებისთვისაც არ ყოფილა უცხო. იგი მკაფიოდ ანსახიერებს სიზარმაცესა და უსაქმურობას. ბ. ბელინსკი „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ წერილში ამბობდა: „ღიახ, სიცოცხლე ის არ არის, რომა ამდენ და ამდენი წელიწადი სვა და ჭამო, იცოდვილო ჩინებისა და ფულისათვის და თავისუფალ დროს ხოცო ბუზები, სთელიმო და ითამაშო ქაღალდი. ამისთანა სიცოცხლე უსაბავღესია ყოველ სიკვდილზე, და ამისთანა კაცი უმცირესია ყოველს პირუტყვზე“.

ზოგიერთ კრიტიკოსს მეტისმეტად მუქად მოეჩვენა საღებავები, რომლითაც ლუარსაბისა და დარეჯანის პორტრეტებია დახატული („მრგვალი... როგორც კარგი ნასუქი კურატი... წითელი თურაშაულ ვანლსავით ხაშაში ლოყები“ და ა. შ), მაგრამ ეს ფერები ხომ გმირთა სულიერ სამყაროზეც ამკაფიოებს მკითხველის წარმოდგენას — „როცა სული ჭლჭლდება, ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ყვავის — ხორცი ღნება“. ამასთან, ეს ზერხიც არ იყო უჩვეულო ლიტერატურული აღწერა და არც ტრაფარეტული იყო, რადგან თვით ტიპურობის ბუნებრივად გამომდინარეობდა. ზემოდასახელებულ წერილში ბ. ბელინსკი წერდა: „შეხედეთ როგორი პირუტყვის ცხვირპირი აქვს იმ კაცსა, ნამანარევი და მღვრთე თვალები, საზიზღარის შეხედულობით, — სქელი, ძლივს წმინანვს. ეს არის ეხლა მამღრისად ნასადილევი, — და შეხედეთ რა ნაირის სისხამით უბრილდებენ შავი თვალები იმ გამხდარსა, ფერნაყლულა კაცსა, რანაირი მოძრაობა აქვს იმის სახესა, რამდენი მღვრვალება იმის ხმაში!“

„კაც-დაღანაწმირი!“ — ილია ტიპური ხასიათების შესანიშნავ ოსტატად წარმოვსდგება და ამის წყალობითაა, რომ მცირე მოთხრობაში მკითხველი სინაზლსავად ხედავს მთელს ეპოქას და ასე გგონია, თითქოს მწე-

რალს თავის გამირთა სიციოცხლის ყოველი წუთი დაწერილებით აღუწერია, მათი ცხოვრების არცერთი კუნძული არ გამოუტოვებია. ძალიან დამახასიათებელია ამ მხრივ ვინმე „თორელის“ შთაბეჭდილება: „რა მშვენიერი რამ არის ლუარსაბ თათქარბის მოთხრობა; ბედნიერია ის დარეჯანი და ლუარსაბი, რომელიც ამნაირ კალმის ქვეშ ჩავარდება... ეს მოთხრობა ნამდვილად გადაღებული სურათია. მოვალე რომ ჩაუდგება გაკორებულს და თაროკედელს, ძონძს, და კონკებს აუწერს, — ეს მოთხრობა სწორედ ის არის. ისე ნამდვილად არის აღწერილი, რომ არაფერი არ არის გამოტოვებული“¹.

თვით ისეთი ეპიზოდური სახეებიც კი, როგორც არიან სუტკენინა და მოსე გძელაძე, წარუშლელად რჩებიან მეხსიერებაში და შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ გამირთა წინაპრებადაც იქცევიან. ნაწარმოების ამ ღირსებამ უზრუნველყო მისი წარმატება მკითხველ საზოგადოებაში, რომელიც აქამდე ამა თუ იმ თხზულების აკვარგიანობას სამიჯნურო თავგადასავლებით, ჩახლართული ინტრიგითა და გასაოცარი შემთხვევებით ზომავდა. მწერალი ირონიულად შენიშნავდა ამის თაობაზე: „მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა: აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცის კვლა. არც უიმედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთის სიტყვით, რაც ამშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა... მაგრამ ეს უნდა იცოდე, შენ, მკითხველო, რომ მე... მკითხველის გასართველად არა ვსწერ... მე მინდა ამ მოთხრობამ ჩააფიქროს მკითხველი და თუ მოიწყენს ამის გამო, მოიწყინოს, იმიტომ, რომ ფიქრი და მოწყენა განუყრელნი დამძანი არიან“.

ამ სიტყვებში; არსებითად, განცხადებულია „კაცია-ადამიანის?!“, როგორც სატირული მოთხრობის უანრული ბუნება; ბატონყმობის, თავდაზნაურობის, მათი მფარველი რეჟიმის უღმობელი დაცინვით იგი არა მარტო სიძულვილს იწვევს ამ სინამდვილისადმი, არამედ მომავალზე მწარე ფიქრსაც. დამახასიათებელია ისიც, რომ მოთხრობის შინაარსის განვითარებაში, გამირთა დანახსიათებაში, ეპიზოდებისა და დეტალების გადმოცემაში უპირატესი ადგილი იუმორს უკავია, ხოლო მოთხრობის მთლიანი განწყობილება სატირულ-სარკასტულია. აკი ამიტომაც ამბობს ავტორი: „გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი ისევე ამავე მოთხრობაში გაქვს“.

საერთოდ, ამა თუ იმ მოთხრობის წარმატებისთვის ილიას საკმარისად მიიჩნდა „კარგის ენით დაწერილი კარგი ამბავი“². „კაცია-ადამიანის?!“ ამ მხრივაც ფენომენალური მოვლენა იყო იმდროინდელ ლი-

¹ „მნათობი“, 1869, №9—10.

² „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“.

ტერატურაში. ასე უხვად და შემოქმედებითად მანამ არავის უსარგებ-
ლია ქართული ხალხური სიტყვიერების საგანძურით. თხზულება ხალ-
ხური თხრობის პრინციპზეა აგებული და გაბრწყინებულია ხალხური
გამოთქმებით, ანდაზებით, აფორიზმებით, მოსწრებული სიტყვა-პასუ-
ხით. როგორც ყოველთვის, ილია აქაც სიტყვა-ძუნწი და ამწონ-დამწო-
ნია. ენას, წერის მანერას, საგნისა და მოვლენის ხედვას ღრმა დემოკ-
რატიზმი ამჩნევია, ყველაფერში ხალხის სუნთქვა იგრძნობა და მწერა-
ლიც ვარკვევით მიუთითებს ლიტერატურას დაუშრეტელი ხალხური
სიბრძნისაკენ: „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო“. სა-
და ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი სადაცა ხარ: ხალ-
ხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ, ისიც ვიცი, რაცა გქვიაან: შენ
ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რათვის ე-
ბისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართა-
ლი ხარ“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

მთელი მოთხრობის მანძილზე შეუწინებლად გიზგიზებს მწერლის
მხატვრული გენია, მუდამ ფხიზლადაა მისი მახვილგონიერება და ნა-
წარმოებიც შესაფერისად არის გამშვენიერებული ფრთიანი თქმებით,
შედარებებით, მეტაფორებით: „...მოჩანდა ძველი ჩალური, ღროთა
ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქო გრი-
ლოში წამოწოლას აპირებსო“.

ზოგიერთებმა პლაკატური ტენდენციურობა და, აქედან გამომდი-
ნარე, ფერების მადღრისობა უსაყვედურეს „კაცია-ადამიანის?!“ აეტორს;
მაგრამ ამ მოთხრობაში მართლად ასახული სინამდვილე თავის არს-
შივე შეიცავდა ძლიერ ტენდენციას, რომლის დაფარვა მწერალს არ
შეეძლო, რადგან იგი მოვლენებისა და ხასიათების განვითარების ლო-
გიკით ვლინდება. „კაცია-ადამიანში?!“ სწორედ ეს იწვევს იმ „გადაჭარ-
ბებული პროტესტის“ სულისკვეთებას, რომელსაც ანტ. ფურცელაძე
უჩიენებდა მწერალს. „ტენდენცია სიტუაციიდან და მოქმედებიდან
უნდა გამომდინარეობდეს თავისთავად, ისე რომ განსაკუთრებით არ
უნდა გაუსვა მას ხაზი“, — წერდა ფრ. ენგელსი¹.

ეს პრინციპი უსათუოდ ესმოდა ილიას; მაგრამ ისე ძლიერია მო-
თხრობის პუბლიცისტური პათოსი, იმდენად კრიტიკულია ასახული სი-
ნამდვილისადმი მწერლის დამოკიდებულება, რომ ტენდენცია მკლავ-
დება ლირიკულ გადახვევებში, პროლოგსა და ეპილოგში, სტილშიც, —
კერძოდ, ჰიპერბოლის ხელგაშლით გამოყენებაში, — აეტორის რეპ-
ლიკაში, როგორც მაგალითად: ლუარსაბისთანა ადამიანები „არც თავის
სიცოცხლთ უმატებენ რასმე ამ ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით
აკლებენ“, ან: „ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ როცა

¹ კ. მარკსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1948, გვ. 434.

კნინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალეობის ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძლებოდა“.

„კაცია-ადამიანი?!“ ქართული ცხოვრების ყვეალია“ და მასში ლიტერატურულ გავლენათა ძიება უადგილოა, ცხადია, ი. ჭავჭავაძის იდეურ-მხატვრულ არსენალში ბარაქიანად იყო დაგროვილი ქართული, რუსული და ევროპული პროზის გამოცდილება, შავრამ იგი მხოლოდ დაოსტატების მასალა და შთაგონების შორეული სტიმული შეიძლება ყოფილიყო. „კაცია-ადამიანი?!“ საკუთარ ჰანგზე ნათქვამი საკუთარი სიმღერაა.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ არცერთ ქართულ თხზულებას არ მოუპოვებია ასეთი პოპულარობა. „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდვისთანავე იგი მთელ ხალხს მოედო. „ლუარსაბ თათქარიძეობა“ და „დარეჯანობა“ იმავეითვე ზოგად ცნებებად იქცა; ცალკეულ ეპიზოდებსა და თქმებს ხშირად იყენებდნენ თავიანთ წერილებში „ცისკრისა“ და „დროების“ ავტორები.

1869 წელს ქართველმა სტუდენტებმა „კაცია-ადამიანი?!“ ცალკე წიგნად დაბეჭდეს პეტერბურგში და საზოგადოებამ დიდი სიხარულით მიიღო ის. ივ. ელიოზიშვილი „მნათობის“ მე-11—მე-12 ნომრებში წერდა: „1863 წელს, თავის პირველს გამოსვლის დროსვე მიიქცია ამ მოთხრობამ საზოგადოების ყურადღება... ამ მოთხრობის გამოცემა ყველა მამულიშვილისათვის ძლიერ სასიამოვნო უნდა იყოს, რადგან ის დააკვირებს საზოგადოდ ყველა ჩვენგანს თავის ცხოვრებაზედ და ადრე თუ გვიან აგრძნობინებს ამგვარი ცხოვრების სისაძაგლეს. ისე არ მოქმედებს რა ხალხზედ, როგორც მისი ნამდვილი ცხოვრების აღწერა და იმის ცუდი მხარის ცხადად დანახვება. აი, ეს ღირსება აქვს „კაცია-ადამიანს“ და სასურველია, რომ ეს მოთხრობა მისაწვდომი იყვეს მრავალგვარ მკითხველისათვის“.

„გლახის ნამბობი“

„გლახის ნამბობი“ დაიბეჭდა „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში, მ. ჭიმშირძის ფსევდონიმით. სათაურქვემოთ, ფრჩხილებში აქვს წარწერა: პირველი ხუთი თავი ჯერ არ დაბოლოებული მოთხრობისა. გრ. ყიფშიძის ცნობით, იგი „ჩაფიქრებულია ახალგაზრდობაშივე, როცა იღია ჯერ ისევ რუსეთში იყო და სწავლობდა“¹.

როგორც აღვნიშნეთ, 1858—1859 წლებში... ილიამ დაიწყო დიდი

¹ პ. ინგოროყვა, ი. ჭავჭავაძე, თხზ., აკადემიური გამოცემა, ტ. II.

პროზაული ნაწარმოები, რომელშიც გაერთიანებული იყო იდეა სამი ნაწარმოებისა — „კაცია-ადამიანისა?!“, „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩაღისა“... ილიას კიდევ დაუწერია ამ პროზაული ნაწარმოების ორი ესკიზი (მოთხრობა „კოლა“ — ორი ვარიანტის სახით, და მოთხრობა „კაკო“¹).

„კოლა“ დაწერილია 1859 წ. და „ენათესავება „გლახის ნაამბობს“. გლეხი გაზრო აქ გამოყვანილია გლეხი ზაქროს („კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟის) სახელწოდებით... „კაკო“ დაწერილია 1858—1859 წწ. დასაწყისში, „ზოგად ხაზებში ვადმოცემულია „კაცია-ადამიანის“ თემა, შემდეგ მასთან გადაბმულია თემა „გლახის ნაამბობისა“ (დათიკო, „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟი, წარმოდგენილია ლუარსაბ თათქარიძის შეილად).

იმავე ხანებში ილიამ გადაწყვიტა აღნიშნული მოთხრობის თემა სამი ნაწარმოებში გაეშალა და ერთდროულად შეუდგა ტრილოგიის სამივე წიგნს — „გლახის ნაამბობზე“, „კაცია ადამიანისა?!“ და „კაკო ყაჩაღზე“ — მუშაობას. თემატიკურად და იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრით ეს სამი თხზულება ავტორს განუყოფელ მთლიანობაში ჰქონდა წარმოდგენილი და „საქართველოს მოამბეში“ სამივეს დაბეჭდვა სცადა; „კაცია-ადამიანის?!“ სრულად გამოაქვეყნა, ხოლო „კაკო ყაჩაღიდან“ და „გლახის ნაამბობიდან“ ცალკეული ნაწილების დაბეჭდვა მოახერხა, რადგანაც არც ცენზურა იძლეოდა ამის ნებას და არც მოთხრობა იყო საბოლოოდ დამუშავებული. მაგრამ „გლახის ნაამბობი“ რომ იმ დროისათვის ძირითადად უკვე ჩამოყალიბებული იყო, იქიდან ჩანს, რომ, გ. წერეთლის ვადმოცემით, ავტორი მას ხშირად კითხულობდა ლიტერატურულ საღამოებზე. ცნობილია, რომ 1862 წელს ილია ინტენსიურად მუშაობდა ამ ნაწარმოებზე; ეტყობა, უნდოდა „საქართველოს მოამბისათვის“ მოესწრო. მომდევნო VI—XII თავები მწერალმა 70-იანი წლების დასაწყისში დაწერა (გადაამუშავა საბოლოოდ) და 1873 წელს კიდევ დაიბეჭდა მთლიანად უკრ. „კრებულის“ I—III ნომრებში. „კრებულის“ რედაქცია, სხვათა შორის, აცხადებდა, — მართალია, ამ მოთხრობის დასაწყისი „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა, მაგრამ ჩვენ იმასაც განმეორებით ვებეჭდავთ, რადგან, შესაძლებელია, ყველას არ წაუკითხავს და „საქართველოს მოამბის“ ნომრებიც ახლა ძნელი საშოვნელია.

„გლახის ნაამბობი“ ილიას განსაკუთრებით უყვარდა, თავის პირმშოს ეძახდა და დიდ გულსყურსაც იჩენდა „კრებულში“ მისი ბეჭდვის დროს.

რადგან „საქართველოს მოამბეში“ „გლახის ნაამბობის“ მხოლოდ

¹ ნ. ინგოროვიჩი, ი. ჭავჭავაძე, თხზ. აკადემიური გამოცემა, ტ. II.

ხუთი თავი დაიბეჭდა, — ილიას მოწინააღმდეგეები შეეცადნენ უარყოფით ამ მოთხრობის აქტუალური როლი. ამიტომ, ცხადია, არც „საქართველოს მოამბის“ დაფასება შეიძლებოდა ღირსეულად. სინამდვილეში, საქმე ასე როდი იყო. ჭერ ერთი, თხზულების პირველი სტრიქონებიდანვე ნათლად ჩანს მისი იდეური მიმართულება, მეორეც, გარკვევით იგრძნობა ამ მოთხრობის იდეურ-მხატვრული კავშირი დასახელებული ტრილოგიის ორ დანარჩენ ნაწილთან, რომლებიც „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა. ამასთან, ნაწარმოების შეწყვეტა და დაუმთავრებლობა, ჩვეულებრივ, უფრო აღიზიანებდა და პროტესტანტულად განაწყობდა მკითხველის ფანტაზიას. ცნობილია, რომ „სოკრემენიკი“ ხშირად განზრახავდა ბეჭდავდა თხზულებებს გამოტოვებული, ვითომდა ცენზურის მიერ ამოღებული თავებით („XVI...“). მოთხრობის დაბეჭდილმა თავებმა რომ მკითხველის გული მოინადირა და თავის მიზანს მიაღწია, იქიდანაც ჩანს, რომ „ჩონგურის“ მიმოხილვაში აკაკი წერეთელი 1864 წელს წერდა: „ჩემის აზრით, მისი (ი. ჭავჭავაძის) „კაცია-ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტებად რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში“.

აქ „გლახის ნაამბობის“ მხოლოდ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ნაწილს განვიხილავთ, რათა ვაჩვენოთ მისი აქტუალური მნიშვნელობა იმდროინდელ ანტიბატონყმურ მწერლობაში და ცხადყოფით ამ ნაწარმოების ადგილი „საქართველოს მოამბის“ იდეურ-ლიტერატურულ მიმართულებაში.

მოთხრობა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია მშრომელი გლეხობის სიყვარულით, წოდებრივი თანასწორობის იდეით და მასში თავანკარად არის ხორცშესხმული ილიას ერთი აღრინდელი ლექსის აზრი:

ცართან ძმობას არ ვკადრულობთ,
ზავრამ ენატრობთ გლეხთანათ.

„გლახის ნაამბობი“ ქართველი გლეხკაცის ისტორიაა, მას შემუშარული სიმართლე და უშუალობა ახასიათებს, რადგან ბატონყმური ცხოვრება აქ ყმა-გლეხის თვალთაა დანახული და განცდილი, იგი თვითონ ყვება თავის თავგადასავალს, მწერალი ცდილობს, რაც შეიძლება, დამალოს თავისი ვინაობა და ერთგან შენიშნავს, გაბრიელს თავადიშვილი ვეგონეო. როცა ვიხსენებთ, რომ ილიამ „საქართველოს მოამბესაც“ არ დააწერა „გამოიცემის თავად ილია ჭავჭავაძისაგანო“ (როგორც მიღებული იყო იმ დროს), ამ დეტალსაც ნათელი იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობა ენიჭება.

ნაწარმოების დასაწყისში მწერალი ორიოდ ძლიერი შტრიხით ხატავს ნებისყოფით, ენერგიით, გრძნობითა და აზრით განათებული გლეხის სახეს, რომელიც გადაჭრით განსხვავდება მისი თხზულებების მე-

ბატონეთა ტიპებისაგან; გაბრიელის „დაღლილი და არა უგონო თვალები, პირქუშად და შეწუხებულად მაცურებელნი, სავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონით; ეტყობოდათ ზედ, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი ავდარი შესწრებია და გამოუვლია, მაგრამ არც ცეცხლსა და არც ავდარსა ისე არ მოუკლამთ, როგორც შეეძლოთ“.

მოთხრობას საშუალოდ გამოაქვს ბატონყმობის უმსგავსო საშინელებანი — კაცური ღირსების გათელვა, წელში გამწყვეტი და უმადური შრომა, ძარცვა-გლეჯა. „შვიდი წლიდგან მოკიდებული ოც წლამდინ ჩემი განთიადის დღენი ბატონის სახლში დამიღამებია. ის ღმერთმა იცის ცაში და დედამიწაზედ მე, რაც იქ გულმტკიცებულად მიწევნია უღელი, მაგრამ დამნახავი ვინ იყო, მალალ ღვთის მეტი?“

მხატვრული ზომიერების შესანარჩუნებლად, მწერალს სურს ნაკლებ გამოამჟღავნოს ტენდენცია და, უთუოდ, ამის შედეგია, რომ გაბრიელის ბატონი, კაკოსა და ზაქროს ბატონებისაგან განსხვავებით, „ქეთილ კაცად“ არის გამოყვანილი; მაგრამ, ეს „გულმოწყალე თავადი-შვილი“, დათიკოს ჰირვეულობის დასაკმაყოფილებლად, ტკბილი სიტყვით ართმევს უმწეო ყმას თორმეტი წლის ბიჭს, რადგან: „ბატონის კაცის შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა“. სწორედ ისე ხდება, როგორც „კაკო ყაჩაღშია“ ნათქვამი: „თავადიშვილი კარგი რა არის, ავირა იყოსო“.

ხალხის წარმოდგენაში ბატონყმობა უკიდურესი უბედურების სიმბოლოდ გადაქცეულა. „შენ ბატონის კაცი ხარ? — ჰკითხა მღვდელმა გაბოს. — „ყმა გახლავარ“. მოძღვარმა „უნებურად გაიქნივა თავი, თითქო შეწუხდაო“. თავადიშვილის წყალობა და მისალმებაც კი ტანჯვას აყენებს გლახს. მოხრობელი გამარჯობას ეუბნება გლახას, — „ღმერთმა გადღეგრძელოთ, მიპასუხა იმან სნეულის ხმითა და წამოიწივა პატივსაცემად, რადგანაც თავადისშვილი ვეგონე.

მე შეენიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა, თითქო ტკივილები აეშალნენო, ისე მტკიცებულად აეკრიფნენ წარბები“.

„გლახის ნაამბობი“ ისე გაქლენთილია ბატონყმობის საწინააღმდეგო სულისკვეთებით, რომ ყოველ ეპიზოდში, თითოეულ დეტალში ერთდროულად მქლავნდება მისი სხვადასხვა მანკიერება. მწერალი მუდამ მიგნებულად არჩევს და წინ სწევს ამგვარ სურათებს. მღვდელმა დაჩოქებით მადლობის თქმის ნება არ მისცა გაბრიელს, — „ეგ მეორედ აღარა ქნა, ცოდვააო“, — უთხრა. ამ გულმოწყალებამ გაუხარებელ ყმაბიჭს ათასი მწარე ფიქრი და მოგონება აუშალა: „...მე სულელმა რა ვიცოდი მაშინ იმისთანა კაცის ყადრი. ბატონი რომ სადილიდან ჩამორჩენილ ნესვის ქერქს მომიგდებდა, მაშინვე მუხლზედ საკოცნელად კინწის კვრით წამბარბაცებდნენ; ამან კი... ყმასთან არ ითაკილა ძმობა,

ყმასთანა. რომელსაც, როცა კი ბატონი მოიწადინებს, ქოფაკ ძაღლზე-
დაც გაჰსცვლის“.

ბატონყმურ უსამართლობათა პირდაპირი, დასაბუთებული მხილე-
ბით „გლახის ნაამბობს“ ბადალი არ მოეპოვება ჩვენს ლიტერატურა-
ში. ბატონყმობის შესახებ შეკრებილი მასალა და პირადი დაკვირვება-
ნი მწერალს, ძირითადად, ამ თხზულებაში გამოუყენებია. „კაკო ყაჩა-
ლისა“ და „კაცია-ადამიანის!“ მხატვრული არქიტექტონიკა არ იძლეოდა
„ნელლი მასალის“ ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას, აქ კი მეტი
გასაქანი არსებობდა პუბლიცისტიკის შექრისათვის და მწერალიც მი-
ზანსწრაფულად იყენებს მას. მღვდლის ქადაგებანი, ასე ვთქვათ, აე-
სებს ზოგიერთ ხარვეზს ჟურნალის პუბლიცისტიკაში. მეტად საინტე-
რესოა, ამ თვალსაზრისით, მღვდლისა და გაბრიელის დიალოგი:

— ერთი ეს მითხარი: ხელში ნაპატიები მიმინო უფრო კარგია, თუ
ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდან ხელი არ მოხვედრია?

— რასაკვირველია, ისა, რომელსაც ხელი არ მოხვედრია.

— რათა? ის ხომ უფრო გაპატიებულია?

— ვაი იმ პატივს! ხან ფრთას აუკვრენ, არ გაფრინდესო, ხან — ბო-
ლოს — არ გაიქნივოსო, თვალებს კი ყოველთვის აუბამენ ხოლმე, არა
დაინახოს რაო...

— მეც ევრე მგონია, ჩემო გაბრიელ!.. ახლა რას აქნევენ მიმინო-
სა?

— შე დალოცვილო! ისე მკითხამ. თითქო არ იცოდეო. მწყერებს
აქერინებენ და თითონ კი სეირს უყუჩებენ.

— მერე?

— მერე რა? მწყერებს აბგაში ჩაიწყობენ და შინ წამოვლენ.

— მიმინოს?

— მიმინოს იმას გამოაწიწქნიებენ. რაც კაცის საკმელად არ ვარგა.

— საწყალი!.. „თხის პატრონს არც თხის კულიო“.

მართალია, „საქართველოს მოამბეში“ „გლახის ნაამბობის“ შინა-
არსი მთლიანად გახსნილი არ არის, დათიკოსა და გაბროს ურთიერთო-
ბის მთავარი კოლიზიები არ ჩანს. მაგრამ ავტორს მოძებნილი აქვს წე-
რის ისეთი მანერა, რომელიც საშუალებას აძლევს მკაფიოდ გამოხა-
ტოს თავისი შეხედულებანი ბატონყმობაზე, დაარწმუნოს მკითხველი
მისი მოსკობის აუცილებლობასა და გარდუვალობაში, წარმოუსახოს
მას თავისუფალი მომავალი. ამიტომ მისი მახვილი თანაბარი სიძლიე-
რით სწვდება ყოველგვარ უსამართლობას, როგორც წარსულში, ისე
აწმყოში.

„ვეფხისტყაოსანი“ რომ წაიკითხა, გაბროს მოიხიბლა ავთანდილისა
და შერმადინის — პატრონისა და ყმის, გულითადი ურთიერთობით და
თავისი სიხარული მოძღვარს გაუზიარა, მან კი ნაღვლიანად უთხრა:

„უარესსა ეგა ჰსჯობს!.. იმას კი არ შეედრება რა, როცა ცა ქუდათა გაქვს და დედამიწა ქალამნათა“.

მღვდლის სიტყვებით მწერალი აღვიძებს თავისუფლებისადმი ლტოლვას, ადამიანის სიყვარულს, სანატრელ მერმისზე ოცნებას. მისი გულწრფელი ჭადაგებანი მაცოცხლებელ შუქად იჭრება გაწამებული ყმის გულში. „გამოწურულ ოფლში ამოვლებულ ლუკმასა სჭამდა, მაგრამ კაი კაცობაც მაგაშია“, — ამბობს ის. — „ყველას გულში — ბატონია თუ ყმა... ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის, ძმაო, ხვალ ბედი როგორ გადატრიალდება. ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?“

ქართულ ანტიბატონყმურ ლიტერატურაში მემამულეები, როგორც წესი, წარმოდგენილი იყვნენ პატრიარქალურ, გაუნათლებელ მტარვალებად, რომლებსაც ადამიანის გარეგნობაც კი არ შერჩენოდათ. ასეთებია დურმიშხანისა და ოსმანალას, ზაქროსა და კაკოს ბატონები, ლუარსაბ თათქარიძე და მისი კნენია. იქმნებოდა ერთგვარი შთაბეჭდილება, თითქოს, ყველა ბოროტება მათი ხასიათით იყო განპირობებული და არა მახინჯი სოციალური სისტემით. „გლახის ნამბობის“ ერთი საყურადღებო თავისებურება ის არის, რომ გაბროს ბატონები, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ადამიანები არიან, თითქო გულმოწყალენიც, — ამასთან, დათიკო ნასწავლი, განათლებული, ახალ ცხოვრებას ნაზირები კაცია. მაგრამ მათი ყმების მდგომარეობა არაფრით არ განსხვავდება სხვებისაგან, ისინიც ისე უმოწყალოდ ძარცვავენ, სცემენ, აწიოკებენ, ნამუსს ხდიან თავიანთ გლეხებს, როგორც დანარჩენი თავადიშვილები. ბატონყმობის საწინააღმდეგო მწერლობის ამ მხარეს დიდად აფასებდა ვ. ი. ლენინი. იგი წერდა: „ჭერ კიდევ ნეკრასოვი და სალტიკოვი ასწავლიდნენ რუსეთის საზოგადოებას მებატონე-მემამულის განათლების შელამაზებული და მოკაზბული გარეგნობის ქვეშ დაენახა მისი მტაცებლური ინტერესები, ასწავლიდნენ ზიზღს ასეთი ტიპების ფარისევლობისა და უსულგულობისადმი“¹.

გაბრომ მწარედ გამოსცადა თავადიშვილების ფარისევლური აღერსიც, მათი განათლებულობაც და სიკვდილამდე სანანებლად გაუხედა, რომ მათ დაენდო. „მე რა ვიცოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და ამ სითბომვე ბოლო მომიღო...“

...მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. ეს რო მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამა-პა-

¹ ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 54.

პის სალოცავსა, გულში ნადველს ჩაეიწურავედი და იმის სიყვარულს
კი იქ არ გავიტარებდი!“...

მოტანილი ადგილი ცხადყოფს, რომ „საქართველოს მოამბეში“ ფაქ-
ტიურად გახსნილია „გლახის ნაამბობი“ კვანძი, გამკლავებულია მთა-
ვარი გმირების — გაბროსა და დათიკოს დამოკიდებულების ფინალი.
ამ მოთხრობის საექსპოზიციო ნაწილი, განზრახ შეიცავს მოქმედების
განვითარებისა და კვანძის გახსნის ძირითად ნიშნებს. ამის შედეგია,
რომ მასში უკვე ტრიალებს წოდებათა შეურიგებლობის, კლასობრივი
ბრძოლის სული. თავის თავგადასავალს გაბრიელი ასე იწყებს: „მე ვარ
ნაყაჩაღევი. ჩემი თავი ერთ დროს წმინდა გიორგის ჭვარად იყო და-
ფასებული... ძალი და ღონე ყველაფერში შემწევედა, მაგრამ, ღვთის
წინაშე ვალიარებ, მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი... გული მორბილებული
მქონდა პატარაობითვე“...

მოთხრობის მეხუთე თავი, რომელიც „საქართველოს მოამბეშია“
დაბეჭდილი, ალევგორიულად მთავრდება: „ღმერთო! მოსავალი მოდის
და გულმართლად მოგვამკვივინე ყოველ მუშაკსაო“.

ეს არის მინიშნება „საგლეხო რეფორმაზე“ და მკვეთრადაც აჩენს
მხურვალე სურვილს დაჩაგრულ გლეხთა ნამდვილი განთავისუფლე-
ბისა.

ამრიგად, „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ილია ქავჭავაძის
ტრილოგიის სამივე ნაწილი — „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“
და „კაკო ყაჩაღი“ ღრმად გაელენთილია კლასობრივი შეურიგებლო-
ბისა და ბრძოლის სულისკვეთებით, რის გათვალისწინებასაც დიდი
მნიშვნელობა აქვს ჟურნალის იდეურ-პოლიტიკური მიმართულების
დადგენისათვის. ვ. ი. ლენინი ამ მხარეს საგანგებოდ უსვამდა ხაზს სა-
მოციანელ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მსოფლმხედველობაში.
„ჩერნიშევსკი, — წერდა ლენინი, — გაცილებით უფრო თანმიმდევ-
ვარი და მეტბრძოლი დემოკრატი იყო. (ვიდრე გერცენი. — ა. კ.): მის
თხზულებებს კლასობრივი ბრძოლის სული დასტრიალებს“¹.

„გლახის ნაამბობი“ ძლევამოსილია კაცის სიყვარულითა და სიბრა-
ლულით, ჩაგრულთადმი და უბედურთადმი გულისშემძვრელი თანაგრ-
ძნობით, მათი სვე-ბედის გაუმჯობესების მხურვალე წადილით. ადა-
მიანის სიყვარული, ურთიერთ თანაგრძნობა მასში ზნეობის უწმინდეს
საფუძვლად არის აღიარებული. „ის არა სჯობია ღვთისა და... გეტყვი
ახლა კი, კაცის სამსახურში ამომივიდეს სული!.. ყველაფერი სამღვ-
თოა, — მოძღვრავს მღვდელი გაბრიელს, — რაც კაცის გულს გაუთ-
ბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს. სანთელსავით და სხვისთვის
კი გაუნათებია... ვისაც უნდა, რომ ღმერთი ასახელოს და აღიდოს...“

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 293.

იმან ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წა-საყოლი“.

აქედან აშკარაა, რომ სოციალური უსამართლობის ზნეობრივი სა-ფუძვლების კრიტიკას „გლახის ნამბობში“ მთავარი როლი აქვს და-კისრებული. ბატონყმობა აქ ადამიანის სინდისის შეურაცხყოფელ ინსტიტუტად გვესახება; ბოლოს და ბოლოს, არც სხვისი მჩაგვრელია ბედნიერი, რადგან შეუძლებელია უზნეო ადამიანი ბედნიერი იყოს. ამ ჩანაფიქრის შუქზე უნდა შევაფასოთ მოთხრობაში მღვდლის ადგილიც. იგი რელიგიის ქურუმში კი არ არის, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, არამედ მორალური საზომის სიმბოლოა, რომელიც ქვეყნად გამეფებულ უსამართლობას უპირისპირდება; ავტორმა მასში სიკეთის იდეალი გა-ნასახიერა.

ილიას რეალიზმიდან გადახვევას უსაყვედურებდნენ იმის გამო, რომ გლეხი გაბრიელი მეტისმეტად მგრძნობიარე, გაფაქიზებული გუ-ლის ადამიანად გამოიყვანა და საკმაოდ მაღალფარდოვნად აამეტყვე-ლა. ამას, უთუოდ, მწერალიც გრძნობდა და სათანადო მოტივირებაც ცუდია... გაბრომ საკმაო ზნეობრივი აღზრდა-განათლება მიიღო მღვდელთან. თვით გაბროს ზნეობრივად წმინდა, ხასიათით მტკიცე, კუჟა-გონებით სანაქებო ადამიანის ამაღლებული სახე, მწერალს აუ-ცილებლად სჭირდებოდა თავის მხატვრული იდეალის ხორცშესასხმე-ლად. მას სურდა ეჩვენებინა და კიდევ აჩვენა, რომ ბატონყმობისაგან განაწამები გლეხი ღირსეული ადამიანია და მისი ჩაგვრა-დამონება უსა-მართლობაა. ეს ტენდენცია ფართოდ გავრცელებული იყო იმდროინ-დელ რუსულ ლიტერატურაში. ნ. ნიკოლაძემ ზედმიწევნით გაანალიზა ამის მიხედვით „გლახის ნამბობი“; მოგვიანებით ავტორმაც იგრძნო ეს ნაკლი, მაგრამ გადაკეთება მაინც არ უცდია: „დეე, მაგ პირმშომან ძე-მან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილაო“, — სწერდა ნ. ნიკოლაძეს.

აღნიშნული ტენდენციიდან გამომდინარე, ილია დიდ მნიშვნელო-ბას ანიჭებდა ხალხის სწავლა-განათლებას და ამ მოთხოვნებსაც ფარ-თო დემოკრატიზმამდე მიჰყავდა. „მე მაშინ ბრძიყესა, — ამბობს გაბ-რიელი, — წიგნი მართო სათავედო ხელობა მეგონა, თურმე ნუ იტყ-ვით, ჩვენისთანა საწყალ კაცის შეფერებაც ჰსცოდნია. ღმერთო მაღა-ლო! სადაც შენი მაღლიანი ხელი ურევია, იქ ყველაფერი საყოველთაო ყოფილა“.

„გლახის ნამბობში“, ისე როგორც „კაკო ყაჩაღსა“ და „კაცია-ადა-მიანში?!“, სოციალური იდეა, კერძოდ, ბატონყმობის საკითხი და ეროვ-ნული მოტივი ერთი იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის განუყოფელი ნა-წილებია, არ გავიმეორებთ იმის მტკიცებას, რომ სოციალური გადა-ხალისება ილიას ნაციონალური განთავისუფლებისა და აღორძინების

პირობად მიაჩნდა და მშრომელ გლეხობაში ამ გადახალისების მამოძრავებელ ძალას ხედავდა. „გლახის ნაამბობში“ გარკვევით მქლავნდება პატრიოტული მისწრაფებანი, ვიტყვოდი, ეროვნული პროპაგანდა. „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ეარსკვლავები მაშინ არა ჩანან“.

მოთხრობაში იგრძნობა სამშობლოს ბედით უკმაყოფილობა, მის მომავალზე ზრუნვა, ჯანსაღი ეროვნული სიამაყე. „ვეფხისტყაოსანს“ რომ აძლევს წასაკითხად, მოძღვარი სამშობლოს წარსულსაც მოაგონებს, პატარა გაბროს:

„აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა ჰსჯობია რა. თამარ მეფე ხომ გავიგონია?

— როგორ არა, ლეთისნიერი რამა ყოფილა.

— ლეთისნიერიო!.. რას ამბობ. თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა — ეგ იმის მეფობის დროს გამართულა. მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბა, იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე, — ეგ დალოცვილ მეფე თამარის დედობის დროს მომხდარა... დრო ყოფილა... ქართველობით დაგვიკვებნია და თავი მოგვწონებია“.

„გლახის ნაამბობი“ მაღალი ლიტერატურული კულტურისათვის იმ ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითია, რომელსაც თერგდალეულები და მათი ჟურნალი აწარმოებდა. ეს არის დახვეწილი, იმდროინდელი რუსულ-ევროპული ლიტერატურული გემოვნების დონეზე დაწერილი პირველი ქართული პროზაული თხზულება, რომელიც პირველივე სტრიქონებიდან გვხიბლავს გამომსახველობის მკაფიოობით, სტილის ერთიანობით, თხრობის ბუნებრიობით.

მწვავე სოციალური კონფლიქტების ნაწარმოები იწყება ნაზი პეიზაჟით, რომელიც წარმტაცია ბუნების მშვენიერების პირველყოფილი უშუალობის შეგრძნებით. ღრმა ლირიზმით განცდილ სურათებს მკითხველი შეუმიჩნევლად შეჰყავს ადამიანური ბოროტების სამყაროში, ხოლო ეს კონტრასტი თვით პეიზაჟსაც მძლავრ სოციალურ ფუნქციას აძლევს; იგი თავიდანვე განაწყობს მკითხველს უსამართლობის, გაუტანლობის, ძალმომრეობის წინააღმდეგ: „ბევრჯერ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახავს და ბევრჯერ გაუტაცნია ჩემი გონება მისს თავისუფალ სილამაზესა. გადაუწყვია რა ზურგზედ თავისი შნოიანი რქები, მორბის გამალბებული, ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყევს ნაგეში ძაღლი, ძაღლს ექცევა საწყალი და ზედ კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი“.

ამ დიდ სიბრალულს სითბო და სისათუთე უნდა შეეტანა ადამიანთა გამქისებელ-გაქვავებულ სულში. მწერალი შორიდან უელის, მაგრამ ახლოს სწვდება მთავარ სათქმელს; მას უკვე თვალწინ უდგას თავისი გმირების ბედი, როცა წერს: „თუ გნებავთ, ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველასა აქვს თანასწორი ნება ამ თვალმიუწვდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაეწყობა?... ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიაო“.

ტყვიით განგმირული ირმის „ცრემლმორეული თვალები“, ჟრუანტელის მომგვრელი მისი ტანჯვის სურათი მგრძნობელობის გამახვილებით, სულისა და გულის უსათუთესი სიმების გამოღვიძებით, ფსიქოლოგიურად გვაშაადებს პეპიას, თამროს, გაბრიელის ტრაგედიის განსაცდელად. „ჩვენ თვითონ სულიერთა მეუფენი, — ამბობს მწერალი, — ...ჩვენ თვითონ ღვთის სახისანი ერთიერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილსა... ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქ კვდები, სადაც დაიბადე, ჩვენ, კაცები, ხანდახან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ...“

ირმის სიკვდილი ისეთი ფსიქოლოგიური ნიუანსებითაა გადმოცემული, რომ იგი შეიძლება წინამორბედად მივიჩნიოთ ვაჟა ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობისა“. ეს ჭეშმარიტი შემობრუნება იყო ქართული პროზის განვითარებაში, სადაც ჭერ კიდევ უგემოვნება იყო გამეფებული და იშვიათად თუ შემოიჭრებოდა იმედის მომნიჭებელი სხივი; ახლა კი, ერთბაშად ღაღადა მზემ შემოანათა.

პეინჯაჟი აძლიერებს მკითხველის ინტერესს და იქ, სადაც გაბრიელის თავგადასავალი იწყება, თხრობა საგანგებოდ ცივი და დაშვებულა, თითქოს, მკაფიოდ იჭრება მშრალი რეპორტაჟი და ეს მოჩვენებითი სიმშრალე და გულგრილობა განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს ამბავს, აძლიერებს ნდობასა და ცნობისმოყვარეობას.

მოთხრობა სრულყოფილად არის დამუშავებული; ყოველ ეპიზოდს, თვითეულ დეტალს ამჩნევია ოსტატის ფრთხილი მარჯვენა და გამოუყოფლად შეისისხლხორცებული მთლიან ორგანიზმთან.

„გლახის ნაამბობი“ პირველ პირშია დაწერილი, — გაბრიელი თავის თავგადასავალს გვიამბობს, და ეს თავისებურ მხატვრულ ტაქტს მოითხოვდა. მოთხრობელს არ შეუძლია თავისთავის პირდაპირი შექება, ხოლო „მოქმედებით გამოჩენა“ ყოველთვის არ შეიძლება, ან საკმარისი არ არის. ასეთ შემთხვევაში მწერალი კარგად იყენებს ქვეტექსტებს. გლახუკა ეუბნება გაბრიელს, — მღვდელს ჩემთან ისე არასოდეს უქადაგნია, როგორი გატაცებითაც შენ გელაპარაკებაო.

— ყველაფერი ბედი ყოფილა, ჩემო ძმაო, ვუთხარი მეცა.

— არა, ძმაო, ეგ ბედის საქმე არ არის.

— მაშ, ვისი საქმეა?

— ღმერთისა, რომ შენ ეგეთი გაუჩენიხარ!

მოძღვარი გაბრიელს ჰკითხავს, რამდენი წლისა ხარო და რომ გიყვები, „თოთხმეტისაო“, სახტად დარჩება. ამ მაგალითებით მკითხველისათვის ცხადია, რომ გაბრიელი არაჩვეულებრივად გონიერია და განსაკუთრებულ პატივისცემას იწვევს.

მწერალს გასაოცარი შეგრძნება აქვს სიერცისა, ყოველ საგანს მონახული აქვს მკაფიოდ განათებული კუთხე და დაკისრებული აქვს მტკიცე მხატვრული ფუნქცია. გლახას „გვერდით ედგა ერთი პირმოტეხილი ლიტრა, იქავ ეგდო რუსული სხვილი ტილოს თოფრაკი და ერთი მოზრდილი კომბალი — ეგ ერთგული და უმუხანათო თანამგზავრი ყოველ უბედურისა“.

ზუსტი და ღრთულია ავტორის რემარკები და რეპლიკები, სულით მეტყველია მისი პორტრეტები. გლახას „საზიზღარი სანახაობა ჰქონდა, მინდა ვჰსთქვა, საცოდაეცა, მაგრამ ამის თვალების სიამაყეს ვერ ვაძარკებ მაგას“.

უკვე მითითებული „ღია ტენდენცია“ აქა-იქ ტლანქად იჩენს თავს და ზოგიერთ ადგილს გაზვიადება და მელოდრამატულობა ეტყობა (მტკვარში გადავარდნილი კაცის გადარჩენა და სხვ.).

„გლახის ნაამბობის“ სადა, ნათელი, ხალხური გამოთქმებით დარქევებული, კოლორიტული ნიუანსებით მდიდარი მეტყველება მუდამ გამოდგება ლიტერატურული ენის მაგალითად. აქვე შესამჩნევია ილიას ორატორულ-პუბლიცისტური სტილის ნიშნები, რომლებიც გაცილებით უფრო გვიან, „ივერიაში“ გაბატონდა მის ნაწერებში: „...სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხოვრებისა, აი გასაღები სამოთხისა!“ უთუოდ, აქ მოეძებნება სათავე — „ოთარაანთ ქვრივის“ ამაღლევებელ პათეტიკურ სტილსაც: „რა ვქნა, შენი ჳირიმე? ცრემლი, — წაიქვითინა ბებერმა, — მწუხარების შვილია... თავისთავად მოდის, როცა გული იწურება“.

„საქართველოს მოამბის“ მკითხველს ილიას იმდროინდელ პროზაზე უფრო სრული წარმოდგენა ექნებოდა, ყურნალში „მგზავრის წერილების“ დაბეჭდვა რომ მოხერხებულიყო.

„უცნაური ნიშნობა“ („თბილისის საიდუმლო“)

ი. ბერიძის სათავდასავლო მოთხრობა სამი ნაწილისაგან შედგება. დაბეჭდილია ჟურნალის მე-7, მე-8 და მე-9 ნომრებში. სათაურქვე-
მოთ აქვს წარწერა: ვუძღვნი სამშობლო ლიტერატურის მოყვარეთ.

პირველი თავის ეპიგრაფია იაზიკოვის სტრიქონები:

Из страны, страны далекой,
С Волги-матушки широкой...

ეპიგრაფი მხოლოდ მთავარი გმირის — ნიკიტა მაკარიჩ გუსინინის სადაურობაზე მიგვითითებს. იგი დაბადებულია და გაზრდილია პენის გუბერნიის სოფელ ბოროდოვკაში, „ლარიბი მებატონის ოჯახში“. თბილისში გუსინინი სამხედრო-საინჟინრო ნაწილში მსახურობს, მაგრამ წარუმატებლად — 46 წლისაა და „პორუჩიკობას“ ვერ გასცდენია; ერთადერთი მზრუნველი და გულშემატკივარი ჰყავს მას — ბოროდოვკელი ყმა ტროფიმი.

ქვრივი სალომე უშატოვისა გუსინინს ჰპირდება მდიდარი ქართველი თავადის ყმაწვილ ქალს შეგართვევინებო, თან საქმეს უძნელებს და მაჰანკლობისათვის დიდ გასამრჯელოს ართმევს. იგი ასევე ატყუებს კნენა ოსანასაც, — შენს ქალიშვილს მილიონერ მებატონეს ინჟინერ გუსინინს მივათხოვებო და მისგანაც კარგ „საჩუქრებს“ იღებს.

ოსანას მული — ნატალია, ღურმიშხან გვრიტიევის ქვრივი, წინააღმდეგია, რომ მაშიკო ვილაც ხნიერ, უთვისტომო კაცს მიათხოვონ. თვითონ მაშიკოს ზომ ამისი გაგონებაც არ სურს.

მეორე ნაწილში გადმოცემულია მაშიკოს თავგადასავალი. იგი პირველი ქმრის — ლიალუშკინისაგან ჰყოლია ოსანას. ლიალუშკინი გაფლანგვისათვის ციმბირში გადაუსახლებიათ და იქ მომკვდარა, ხოლო ოსანა თავად ლუკა მელაძეს გაჰყოლია ცოლად. მაშიკო სოფელში იზრდებოდა მამიდა ნატალიასთან (მელაძის დასთან). მასთან ერთად იზრდებოდა მელაძის დისწული — ტიტკო პრასიევი. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ და ცოლქმრობის ფიციც დასდეს.

ნატალიამ წერილით შეატყობინა ტიტკოს, რომ მაშიკოს ათხოვებდნენ, და იმ დროს, როცა ოსანას ოჯახში გუსინინს მოელოდნენ, აღელვებული ტიტკო ჩამოვიდა სოფლიდან.

მომდევნო თავებში აღწერილია თბილისელი ქურდებისა და ყაჩაღების ბოროტმოქმედებანი. პრისტავმა ზენონ ტერენტეიევიჩმა და მისმა მოადგილემ — მებატონე გრიგოლ ბოსორელმა გუსინინს გადაათქმევინეს მაშიკოს შერთვა, — დაარწმუნეს, — გერია, არავითარი ქო-

ნება არა აქვსო. გრიგოლ ბოსორელი დაჰპირდა, ჩემს მდიდარ ბიძა-შვილს—სოფიკოს შეგერთავო.

ბოსორელის რჩევით, გუსინინმა მთელი თავისი ფული და ძვირფასეულობა წაიღო სოფიკოსთან. იქ გუსინინი გაძარცვეს და კიდევ გადაჰყვა ამის ჯავრს. მოთხრობა მთავრდება გუსინინის დასაფლავებით—მის კუბოს მხოლოდ ერთგული მსახური ტროფიმი მიაცილებს.

ამბავი სრულიად მოუწესრიგებელი და აბნეულია; მოთხრობას არავითარი სისტემა არ გააჩნია. მას არ აქვს მწყობრი სიუჟეტი და იდეურ-მხატვრული ხერხემალი. ეპიზოდები შემთხვევით არის ერთმანეთის გვერდით გაწყობილი, დარღვეულია პროპორცია და ავტორი მოკლებულია დროისა და სივრცის გრძობას. უმწეო, სტილისტურად და რიტმულად უწონასწორო და ცვალებადია თხრობა.

ერთადერთი ღირსება აქვს ამ თხულებას, ეს არის ბატონყმობისა და ჩინოვნიკური აპარატის ბოროტებათა მხილება. უთუოდ, ამის გამო დაბეჭდა ილია ჭავჭავაძემ ეს სუსტი მოთხრობა.

ბოროდოვკაში ყოფნისა, ყმა ტროფიმმა დახრჩობას გადაარჩინა პატარა გუსინინი, მაგრამ, ნაცვლად მადლობისა, ბატონებმა ის სცემეს, — შენი ბრალია, რატომ კარგად არ აღევნებდი თვალყურსო.

გუსინინი დღენიადაგ თავში უბარტყუნებს ერთადერთ გულშემატკივარს და მზრუნველს — ტროფიმს: „მამ ბატონს სამსახური არ უნდა? — ყვირის გუსინინი. — მიდღეში ყმამ ბატონი მხრით უნდა ატაროს, მაშ?.. ქვეყანა ასე დაარსებულა და ახლა მაგისტვის დებულებას ხომ ვერავინ მოშლის... რამდენი მაგაზე უფრო ბერეკაეები ემსახურებიან თავიანთ ბატონებს... ეგ მხეცი, ეგა!“

გლეხებსაც ჭირის დღესავით სძულთ თავიანთი ბატონები. მელაძის ყმები, გაქცეულ თავადიშვილს რომ დაინახავენ, სიხარულით ამბობენ: „დედა ვაცხონე იმათი!.. მაგათანას ეგრე უნდა, ჩვენზე რომ გამარჯვებულები არიან და ფიცხლავ ხმალს გვიჭირებენ ხოლმე. აბა ხმალი ეგეთი უნდა. დედა ვაცხონე იმათი!“

კიდევ უფრო საყურადღებოა ჩინოვნიკების ბოროტებათა მხილება. თვით ავტორი სასამართლოს მოხელე იყო და, როგორც ჩანს, ამ საქმეს კარგად იცნობდა.

მოთხრობაში მთელი თავი აქვს დამობილი საციმბიროდ გამზადებულ პატიმართა ცხოვრების აღწერას. ერთ-ერთი მათგანის — თეოდორეს ამხანაგებმა გუშაგი მოქრთამეს და თეოდორე მეტეხიდან გააქციეს. აღწერილია მისი დაბრუნება ყაჩაღთა ბანაკში, ქურდების ფიცი და საუბარი.

„ჯერ სიმდიდრე შეიძინე, მერე ყველაფერი გაქნება — ორდენიც და თანამდებობაც“, — ამბობს ერთი ყაჩაღი.

შემდეგ ირკვევა, რომ ამ ბანდას პოლიციის მოხელეები და თავა-

დები მეთაურობენ. ისინი აიმედებენ ქურდებს, — ნურაფრისა გეშინიათ. — თუ დაგიკერენ, ჩვენ დაგიხსნითო.

ამ ბანდის მეთაურებმა — პრისტავმა ზენონ ტერენტიევიჩმა და მისმა მოადგილემ — თავადმა გრიგოლ ბოსორელმა დალუპეს გუსინინი. ქურდების ბინაზე მიიტყუეს, ვითომ სოფიკოს დასანიშნად, — დაათვრეს და გაძარცვეს.

აშკარად ჩანს, რომ ავტორს საინტერესო ამბები შეუკრებია, მაგრამ ვერ მოუხერხებია მათი მხატვრული წარმოსახვა, ორგანიზება და განზოგადება. იგი მექანიკურად აღწერს ყველაფერს, რაც ხედვის არეში ხვდება და ანგარიშს ვერ უწევს, აქვს თუ არა ამ საგნებს რაიმე ფუნქცია მოთხრობაში. თბილისის ერთი ქუჩიდან მეორემდე დროშკით მოგზაურობა რამდენიმე გვერდზეა გადმოცემული, ისე რომ ავტორს არც ერთი ხე და ქვა არ ჩიება შეუმჩნეველი.

უსუსური და უმდგრადია მოთხრობის ენა, რომელიც, ამასთან, აქრელებულია ვულგარისმებით, ბარბარიზმებითა და არქაიზმებით. დიალოგები გადმოცემულია ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ავტორი თავისებურად „ასაბუთებს“ ამას: რადგანაც ბატონი და მოსამსახურე რუსები არიან, „საჭიროდ დაეინახე ვალაპარაკო ისინი თავიანთი ბუნებითს ენაზედაცო“.

განსაკუთრებული გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოთხრობაში, სუსტად, მაგრამ მაინც, იგრძნობა ეროვნული ათვალწუნება.

მხოლოდ აქა-იქ თუ შეგვხვდებათ ფრთიან გამოთქმებსა და შედარებებს: „დუქნის კლიტეებს ხშირად გაჰკრავდა ფერდს დროშკის ნაპირა ცხენი, როგორც ჩანგალზე მოდებული დიდი თევზი“; „გუსინინი იყო „ზამთრის ნაძვივით თავპირჩამოშვებული და შეჭირხლული“; „მუცელდაშვებული ბატივით მოაბაჯბაჯებდა“ და სხვ.

როგორც ცნობილია, რევოლუციამდელი ქართული ლიტერატურა ძალიან ღარიბია საქალაქო ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებებით და „უცნაურ ნიშნობას“, რომელიც იმდროინდელი თბილისის ფონზეა გაშლილი, უთუოდ, აქვს ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა.

მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა

მოგზაურობის უანრს თერგდალეულები დიდი წარმატებით იყენებდნენ თავიანთ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ შეხედულებათა გამოსახატავად. პირადი შთაბეჭდილებებისა და დაკვირვებების საწყისებზე ისინი თავისუფლად ანვითარებდნენ ახალთაობის იდეებს და მოვლენებისადმი უშუალო დამოკიდებულებაში ამჟღავნებდნენ საკუთარ მისწრაფებებს.

„სტირილონისა და თადეოზის ბაასში“ ილია ჭავჭავაძემ საგანგებოდ განიხილა და დაახასიათა ეს ჟანრი; კარგად აღწერილ მოგზაურობას შეუძლია მთელი ცხოვრება თვალწინ გადაგვიშალოსო. — ამბობდა. მოგზაურმა მიზნობრივად უნდა გადმოსცეს მასალა, წინ წამოსწიოს მთავარი. ხოლო წერილმანი „მეორე პლანზე უნდა იყოს მოხსენებული... მგზავრი რომ... ქვებსა და კენჭებს დაუწყებს სინჯვას,... უშველებელს შენობას ველარ დაინახავსო“. ყურადღება საზოგადოებრივ მოვლენებზე უნდა გამახვილდეს და არა ცალკეულ საგნებზე.

თერგდალეულებმა შემოქმედებითი პრაქტიკით ცხადყვეს მოგზაურობის პოლიტიკურ-ლიტერატურული ძლიერება, უკვდავი თხზულებებით გაამდიდრეს ეს ჟანრი. ასეთებია: ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, გ. წერეთლის „ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა“, პ. ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები“, ნ. ნიკოლაძის „სწავათა შორის“.

ამათგან „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა პ. ნაკაშიძის თხზულება, რომელსაც პუბლიცისტიკის ნაწილში განვიხილავთ, თუმცა, შესაძლებელია მხატვრულ ლიტერატურასაც მივაკუთვნოთ.

ყურნალის უკანასკნელ ორ ნომერში გამოქვეყნდა გაბრიელ რატიშვილის „მცირედი რამ მოთხრობა როსიისა“. ავტორი გიორგი მეთორმეტის თანამედროვე იყო და 1801 წელს გაჰყვა რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილებს. თხზულებაში აღწერილია თბილისიდან პეტერბურგამდე მგზავრობა.

გ. რატიშვილი მძაფრად გადმოგვცემს სამშობლოს ბედით გამოწვეულ ტკივილებს და, ამასთან, ბევრი საინტერესო ფაქტიც აქვს აღწუნხული¹.

დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ა

გ. ერისთავი.

„შეშლილი“

„საქართველოს მოამბეში“ ამ ნაწარმოებს სათაურქვეშ მიწერილი აქვს „კომედია-პოემა“, რაც უთუოდ მის ჟანრობრივ რაობაზე ავტორისა და რედაქციის თვალსაზრისს გამოხატავს. თხზულება დაწერილია მსუბუქი, კარგად გამართული ლექსით, ავტობიოგრაფიული ხასიათის არის და 1838 წლითაა დათარიღებული.

იდეურ-თემატიკურად „შეშლილი“ ავლენს გ. ერისთავის შემოქმე-

¹ იხ. ტრ. რუხაძე, გ. რატიშვილის „მცირედი რამ მოთხრობა როსიისა“.

დების საერთო ნიშნებს და შეესატყვისება თერგდალეულთა ჟურნალის ლიტერატურულ მიმართულებას. მასში მხილებულია ფეოდალური არისტოკრატის ზნეობრივი დაცემა: ფუქსავატი, ანგარებიანი ძველი თაობა დაპირისპირებულია განათლებულ, გულწმინდად მეოცნებე ახალგაზრდობასთან. პოეტი-დრამატურგი გმობს გამეფებულ ამორალიზმს, რომელიც ცხოვრების გზას უხშობს ყოველივე კეთილს და უბედურების მიზეზად აქცევს გულწრფელ სიყვარულს, პოეზიით გატაცებას, ხალხის სამსახურის გულითად წადილს.

თხზულების ახალგაზრდა გმირებს — ბეგლარსა და ტასოს. მტკიცედ სწამთ თავიანთი სიმართლე, ებრძვიან ძველს და ბრძოლაში იღუპებიან. მათი პროტესტი, ნებისყოფა და პრინციპულობა ნათელი დადასტურებაა, რომ მომავალი ახალს ეკუთვნის. ეს პროტესტი ჯერ კიდევ, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიურია; ბეგლარში რომანტიკოსი მეოცნებე და შეამბოხე სჭარბობს ბედის გამოსაჭედად აღმდგარ მოქალაქეს, მაგრამ ტენდენცია აქეთვე არის მიმართული.

ბეგლარმა იცის, რომ სიძველის დამცველთა ბრბომ დაღუპა ბაირონი, ტორკვატო ტასო, დანტე, მაგრამ არ ძალუძს თავი დაიხსნას ვიღაც ანა-ხანუმის ინტრიგის ქსელისაგან.

მისი საცოლე — ტასო, გულმხურვალედ სწყევლის სულმდაბალ მშობლებს, ზნედაცემულ საზოგადოებას:

„მაგრამ უფრთხილდი ამ გარყვნილ სოფელს,
არ ავაჭრინო შენც შენსა მშობელს!
არ გიყილონ ვით ნივთი,
ანუ ბაზრისა ჩითი...
რა თითონ კაცსა მოიწონებენ,
ჩვენც გვეყარებია, ასე ჰკონებენ...“

ტასოს გულწრფელ სიყვარულს ბეგლარის ჯადოსნობით ხსნიან ქალის ხარბი მშობლები, ერთგულებას შეშლილობად უთვლიან მას, ხოლო თავის დახრჩობას — სიგიჟედ. საერთო განწყობილებითა და მოტივით „შეშლილი“. უდავოდ, ენათესავენა ალ. გრიბოედოვის პიესას „ვაი ქკუისაგან“.

ავტორს გმირთა ცხოვრების გადამწყვეტი სიტუაციები შეურჩევია, კომპოზიციურად კარგად გაუმთლიანებია და მოქმედებაც დაძაბულად ვითარდება.

სამსონ აბაშიძე

„ლოტო“

1861 წელს ეს ვოდევილი ავტორს „ცისკრისთვის“ გადაუგზავნია დასაბეჭდად და იმავე წლის იანვარში კიდევ იუწყებოდა რედაქცია—უახლოეს ხანში გამოვაქვეყნებთო. მაგრამ იმ დროს „ცისკარს“ ზღვა მასალა დაუგროვდა ამ თემაზე და, როგორც ჩანს, ამან დააბრკოლა ს. აბაშიძის თხზულების დაბეჭდვა. ეტყობა, განსაკუთრებული ხასიათით არც „საქართველოს მოამბეს“ მიუღია ის და, უთუოდ, მასალის სიმცირის გამო, დაუსტამბავს მე-11 ნომერში. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული ნომრის პირველ სარჩევში იგი ნახსენები არ არის და ტექსტიც შემდეგ არის ჩაკერებული წინ.

ვოდევილში გაკიცხულია თავადაზნაურობის უსაქმურობა, უზნეობა: „ლოტოთი ლოთობა“.

ვოდევილი აგებულია მარტივ ინტრიგაზე და მიუხედავად გაუმართავი ენაია. საკმაოდ ცოცხლად ვითარდება: კერძოდ, მოკლებული არაა იუმორს. აზარტული თამაშის გაკიცხვასთან ერთად, მასში მხილებულია „მაღალი წოდების“ გარყვნილება და დაგმობილია ქართულ ენაში უცხო სიტყვების ხმარება.

ლოტოს თამაშის დროს, ივანეს მოეჩვენა, რომ მეზობლად მჯდომმა ნინომ განზრახ ფეხი ჰკრა სიყვარულით: მანაც მგრძნობიარედ უპასუხა და საქმე იქამდე მივიდა, რომ მაგიდის ქვეშ ბეჭდებიც გაცვალეს. დიდი თანხის წაგების შემდეგ, ივანე გამოარკვევს, რომ ბეჭედი შეუცვალა არა ნინოს, არამედ ლუარსაბს, რომელსაც, თავის მხრივ, ნინოდ მიუჩნევია ის. ლოტოთი გამოთაყვანებულ თავადს „კაცის ვეება ხელიც კი ქალის ხელად მოეჩვენა“. თან, ნინოს მეუღლემ, ლევანმაც გაიგო ამ უღირსი „მეგობრის“ საქციელი.

ამ ვოდევილის თემა და მოტივი ძალიან გაშაბლონებული იყო იმ დროს, თხზულება არც მხატვრულად დგას „საქართველოს მოამბის“ დონეზე და მისი დაბეჭდვა, ვიმეორებთ, ლიტერატურული მასალის კრიზისით იყო გამოწვეული.

მხატვრული თარგმანი

„ცისკარში“ ილია ჭავჭავაძემ ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა მხატვრული თარგმანის საკითხებზე, ხოლო „საქართველოს მოამბეში“, შეიძლება ითქვას, გარკვეულ სისტემად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი. ესეც პასუხი იყო დროის მოთხოვნაზე: საყოველთაო პროგრესმა აუცილებელ მოთხოვნილებად აქცია სულიერ სა-

განძურთა ურთიერთგაზიარება და 50-იანი წლებიდან მთარგმნელებიც წინანდელზე მრავლად მოევიდნენ ჩვენს ლიტერატურას. მაგრამ, ეს სტიქიური თარგმანი იყო მეტწილად. „აქამომდისინ რამდენიც დაბეჭდილა ქურნალში („ცისკარში“) ვადმოთარგმნილი სტატიები, — წერდა ილია „საქართველოს მოამბეში“, — რაც უნდა კარგი იყენენ ნამდვილში ვადმოთარგმნილს აღარა აქვს თითქმის არც ნახევარი ლაზათი. ისინი ისე არ მოსწყველენ ხოლმე წამკითხველს გულსა, როგორც კარგი თხზულება ან საშუალო თხზულება დაწერილი პირდაპირ ქართულ ენაზე... იმ კომედიებს (გ. ერისთავის „გაყრა“ და სხვა. — ა. კ.) ხალხი უფრო სიამოვნებით კითხულობს... ვიდრე შექსპირის დრამებსა, ვადმოთარგმნილს ქართულს ენაზედ“.

ავტორი ამტკიცებს, მთარგმნელმა „სხვისი აზრი ქართულ ენაზე ისე უნდა ვადმოიღოს, რომ ნამდვილსა და თარგმანის აზრს შორის არა იყოს რა ნოტიის ოდენა განსხვავება“. ილია უპირველეს მოთხოვნად თვლიდა აზრის ზუსტად, დაუმახინჯებლად ვადმოტანას. ამასთან, ცნობილია, რომ იგი აქ გულისხმობდა „მშვენიერ სურათთა“ და პოეტის „წუთის გრძნობათა“—ე. ი. ფსიქოლოგიური ნიუანსების აუცილებელ შენარჩუნებას, მაგრამ ისე, რომ „რითმის ტრფიალებით“ აზრი არ დამახინჯებულყო. მთარგმნელმა უნდა მოახერხოს ორიგინალის სულისკვეთებისა და საერთო განწყობილების დაცვა. ამას ნიშნავდა მისი საყვედური 1861 წელს: „სად არის კაზლოვის თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა!“.

ილიამ პირველად დააყენა ჩვენში ვადმოსათარგმნი რეპერტუარის საკითხი და მკიდროდ დაუკავშირა ის თანადროულობის საჭირობორტო მოთხოვნებს. „სტატიის ამორჩევა ვადმოსაღებად არის პირველი და უწარჩინებულესი საქმე, — წერდა ის. — უაზრო სტატიას, თუგინდ ჩინებულადაც იყვეს ვადმოთარგმნილი, მაინც არ ექნება ღირსება და ვერაფერს შეჰმატებს ლიტერატურასა... მთარგმნელი არის თავისუფალი... სტატიის ამორჩევაში... რომელიც... მოეწონება — იმას მოჰკიდებს ხელს... რაც თვითონ წაიკითხა კარგი და მშვენიერი სხვა ენაზედა... სურს თავის მოყვარესაც შეატყობინოს“...

ქართველ მთარგმნელთა გადაუდებელ და საამაყო მოვალეობად ილიას მიაჩნდა პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ბაირონის თხზულებათა ვადმოთარგმნა.

„საქართველოს მოამბის“ რედაქტორს მხატვრული თარგმნა სრულფასოვან შემოქმედებით პროცესად მიაჩნდა და, შესაბამისად, მკაცრ პირობებს უყენებდა ამ საქმით გატაცებულ მწერალს. „მთარგმნელს უნდა ჰქონდეს შემდგომი ღირსება, — წერდა ის, — პირველად იმან უნდა იცოდეს ზედმიწევნით ორი ენა: ერთი ისა, რომლიდანაც თარგმნის და მეორე ისა, რომელზედაც თარგმნის. მეორედ: უნდა ჰქონდეს

გაწმენდილი გემო და განათლებული გონება“. ძნელია ამაზე სწორად და ზუსტად დაფორმულება ამ საკითხისა!

თარგმანის სიაყვარების პასუხისმგებლობას ილია თანასწორად ჰყოფდა მთარგმნელისა და რედაქტორ-გამომცემელს შორის, რადგან: „რედაქტორსაც უნდა ჰქონდეს ღირსება, რაც მივაწერეთ კარგ მთარგმნელსა... ისიც თავისუფალია სტატიების დაბეჭდვაში“.

ამ ამოცანების შექმნე განიხილავდა ილია მხატვრული თარგმანის ენის საკითხებსაც. რადგან ორიგინალისა და თარგმანის აზრს შორის „იოტის ოდენა განსხვავება“ არ უნდა იყოს, რა უნდა ჰქმნას მთარგმნელმა, რომ ქართული ენა ჯერ „იქამდის ხმარებაში შესული არ არის“, რომ სათარგმნს ყველანიუანსი შერჩეს და აზრიც იმავე მნიშვნელობით გადმოიღოს და ერთის სიტყვითვე შეგვესმენინოს? ამის გამო, ნათარგმნში კიდევ დიდხანს შეხედება მკითხველი საჩოთირო სიტყვებსა და ფორმებს. მთარგმნელს დიდი როლი ეკისრება მშობლიური ენის განვითარებასა და გამდიდრებაში.

„საქართველოს მოამბე“ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა მხატვრული თარგმანის ამორჩევა-დაბეჭდვისას. უმთავრესად, იმ თხზულებებს აქვეყნებდა, რომლებიც ეურნალის მიმართულებას შეესაბამებოდა, მის იდეალებს ეხმარებოდა. ამაზე მიგვითითებს, კერძოდ, „ბიძია თომას ქოხის“ დაბეჭდვის სურვილი.

მიხ. ლერმონტოვი

„ჩვენი დროების გმირი“

თხზულება თარგმნა მიხ. ყიფიანმა და დაიბეჭდა ეურნალის ბოლო სამ ნომერში. როგორც ცნობილია, ეს მოთხრობა ხუთი ნაწილისაგან შედგება („ბელა“, „მაქსიმ მაქსიმიჩი“, „ტამანი“, „თავადის ქალი მერი“ და „ფატალისტი“); აქედან „საქართველოს მოამბეში“ დაისტამბა „ბელა“ (№ 10), „მაქსიმ მაქსიმიჩი“ (№ 11) და „ტამანი“ (№ 12).

იმ დროის კვალობაზე, თარგმანი კარგია.

„საქართველოს მოამბეში“ ამ მოთხრობის დაბეჭდვა თითქო პასუხი იყო პეჩორინის შესახებ ზაიცვეის ნიჰილისტური წერილებისა, რომლებსაც ჩვენშიც აღმოუჩნდა თითო-ოროლა თანამგრძობი.

„სიზმარი“ („Сон“)

ეს ლექსი ილიას 1860 წელს უთარგმნია, პავლოვსკში. იმ ხანად ის ძალიან გატაცებული ყოფილა ლერმონტოვის შემოქმედებით და ამას გარდა, უთარგმნია: „პაჯი აბრეკი“, „მწირი“, „სიზმარი“, „წინასწარმეტყველი“, „ციცაბო კლდე“.

თარგმანი ძლიერია აზრისა და განწყობილების სწორი გადმოცემით. მაგრამ ენას ერთგვარი ნაძალადეობა ეტყობა:

შუაღღის მზისა სიცხის ქვეშა დაღისტნის ველად.
ტყვიითა გულში მე უძრავი ვიყავ მწოლელად.
ღრმა წყლული ჩემი ომხივართ აბოლდებოდა,
და წვეთ-წვეთადა მუნით სისხლი მეწურებოდა...

რადგან ავტოგრაფები აღრინდელია, „საქართველოს მოამბის“ ტექსტს დიდი მნიშვნელობა აქვს საბოლოო რედაქციის დადგენისათვის.

ალ. გრიბოედოვი

„უბედური ჰკუისაგან“ („Горе от ума“)

ა. გრიბოედოვის კომედია პირველად გრ. წინამძღვრიშვილმა თარგმნა (პროზად) 1853 წელს და ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

„საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა გ. ერისთავის მიერ პირველი და მეორე მოქმედებიდან ამოკრებილი ნაწყვეტების თარგმანი. გ. ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემაში ეს თარგმანი შეტანილია შენიშვნით: „რამდენიმე ნაწყვეტი“.

„საქართველოს მოამბის“ სასათაურო ნაწილში აღნიშნულია: „უბედური ჰკუისაგან“. კომედია 4 მოქმედებად. ლექსად.

თხზულება ა. გრიბოედოვისა.

ნაწყვეტები უწესრიგოდაა დალაგებული. პირველი მოქმედების მე-3 გამოსვლაში გამოტოვებულია სოფიოს სიტყვები: „ბედნიერნი დროს არ უყურებენ“. მეორე მოქმედება გამოყოფილი არ არის პირველი მოქმედებისაგან და არც მეორე მოქმედების შესამე გამოსვლაა გამოცალკევებული. ზოგიერთი ადგილი გ. ერისთავს კარგად უთარგმნია. მაგალითად, ფამუსოვის სიტყვები ფრანგებზე:

...ღმერთმა დაღუპოს ის წყვეულები,
მათი მუხები და ავტორები,
მათი მოდები, მათი შლაპები,
მათი ლენტები, ქინძისთავეები,
ბისკეიტისა და წიგნის ღუქნები.

საერთოდ კი, თარგმანის ენა და ლექსი მოიკოტლებს. ლექსის ზომის შესანარჩუნებლად, ავტორი აქა-იქ არღვევს ენის ნორმებს:

„შენ თავში გბერავს მხოლოდ ქარები“, „ხალხი ბაზარში მიაშურებენ“; — „მთელი დღე როგორც გიყათ დავდივარ“ და ა.შ.

ნაკლოვანებათა მიუხედავად, ალ. გრიბოედოვის ნაწარმოების გ. ერისთავისეული ლექსითი თარგმანი მინც წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ლექსად „ვაი ჰკუისაგან“ 1901—1902 წლებში თარგმნა და დაბეჭდა განდგილმა (დომინიკა ერისთავმა).

„ოთხი შეხვედრა“

მოთხრობა დაიბეჭდა ჟურნალის მე-3 ნომერში. რუსულიდან თარგმნა მიხ. ჩიკვაიძემ (თარგმანი ხელმოწერილია ინიციალებით „მ. ჩ.“), რომელსაც 24 შენიშვნაც დაურთავს მიზთვის.

თხზულება შედგება ოთხი, სიუჟეტურად შეკავშირებული, ნაწილებისაგან („შემთხვევისაგან“) და იწყება ეპიგრაფით: „От великого до малого один шаг“; რომელიც სავსებით შეესატყვისება შინაარსს.

„პირველი შეხვედრა“. მედიკოს სტუდენტს — პავლე ალექსანდრეს ძეს თავდავიწყებით შეუყვარდა 17 წლის მშვენიერი ქალიშვილი ლენა ჩახლოვისა, რომელიც ეკლესიაში გაიცნო.

„მეორე შეხვედრა“. მდიდრულად მორთულ ეტლში პავლემ თვალი მოჰკრა საქორწინოდ გამოწყობილ ლენას და შეიტყო, რომ შიამი შეყვარებული ცოლად გაჰყვა მეორე გილდიის ვაჟარ შიშკინს.

„მესამე შეხვედრა“. სახელმწიფო ქონების გაფლანგვის გამო, შიშკინი დააპატიმრეს და ლენამ საყვარელი გაიჩინა — ვილაც ფულიანი კავალერისტი. ვილაც გამვლელმა პავლე დაამშვიდა, „რა გული მოგდის, თუ ბევრი ფული გაქვს, ლენა შენც შეგიყვარებსო“.

„მეოთხე შეხვედრა“. პროზექტურაში მორიგეობის დროს, პავლეს გასაკვეთად მიუტანეს მოკლული ქალის გვამი, რომელსაც სახე შერყვნილი ჰქონდა, თმა სისხლშემხმარი, თვალები უაზრო. საავადმყოფო ფურცელში ეწერა: „ელენა შიშკინისა, 23 წლის“. „ათრთოლებულის ხელით დავიწყე ჰრა ელენისი“, — ასე ამთავრებს ექიმი პავლე ალექსანდროვიჩი თავისი სიყვარულის ისტორიას.

მოთხრობაში აღწერილია 1858—1863 წლების მოსკოვის ცხოვრება, ნახსენებია ცნობილი ქირურგი პიროგოვი. მიხ. ჩიკვაიძე იმ დროს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა და, ალბათ, ამიტომ დაინტერესდა ამ ნაწარმოებით.

ანტ. ფურცელაძემ ეს თარგმანი სამართლიანად გააკრიტიკა: „ცისკარში“; მ. ჩიკვაძის ენა ღარიბი და მოუქნელია, მოთხრობას დაკარგული აქვს ყოველგვარი მხატვრული ღირებულება.

ნიკ. პავლოვი

„თანამემგზაური“ (ლექსი)

დაბეჭდილია მე-5 ნომერში, როგორც გიორგი ერისთავის თხზულება, ავტორი (ორიგინალის) მითითებულია ფრჩხილებში: „მიბაძვა პავლოვისა“, დათარიღებულია 1860 წლის 12 დეკემბრით.

საერთო განწყობილებით, ლექსი შეესაბამება ახალგაზრდული ეურნალის მიმართულებას, განსაკუთრებით, ის სტრიქონები, რომლებშიც პოეტი დაუდგრომელი ჰაბუკობის ენერგიას უმღერის: „შორს მზადდებოდა გასაფრენად ჩემი სურვილი“ და სხვ.

ვიქტორ ჰიუგო

„საბრალონი“

„საქართველოს მოამბეში“ ეს რომანი ქვეყნდებოდა დამოუკიდებელი ნუმერაციით, როგორც ცალკე წიგნი. ბეჭდვა ეურნალის მეორე ნომრიდან დაიწყო და უკანასკნელ ნომრამდე გაგრძელდა; სულ დაისტამბა 241 გვერდი. 1862 წლის ნოემბრიდან „საბრალონი“ „ცისკარშიც“ ქვეყნდებოდა, ქუთაისელი მასწავლებლის — გ. დიდებულის თარგმანით.

როგორც ცნობილია, „საბრალონი“ ათი წიგნისაგან შედგება; აქედან „საქართველოს მოამბემ“ მხოლოდ ორი წიგნის დაბეჭდვა მოასწრო. თარგმანი გ. ა. ჩიქოვანს ეკუთვნის.

გ. დიდებულმა და გ. ჩიქოვანმა ფრანგული ენა კარგად იცოდნენ და, ჩვენი დაკვირვებით, ორივე თარგმანი ორიგინალიდან უნდა იყოს შესრულებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ შესაჯერებლად მთარგმნელები რუსულ თარგმანსაც მიმართავდნენ.

„ცისკრის“ 1863 წლის მარტის ნომერში ანტ. ფურცელაძე წერდა: „...მართლაც რომ საქებურია ეს თარგმანი... „ცისკარშიც“ იყო ეს რო-

¹ პავლოვი, ნიკოლოზ ფილიპეს ძე (1805—1864), პოეტი, ბელეტრისტი, კრიტიკოსი. სახელი გაითქვა ბატონყმობის საწინააღმდეგო მოთხოვნებით. მისი წერილები გოგოლთან მოეწონა ბელინსკის და გადაბეჭდა „სოვერენისში“ (1847 წ., № 5, 6, 7).

მანი, მაგრამ ჯერ ერთი... ის იყო ძალიან ურიგოთ თარგმნილი, მეორეც... გ. ჩიქოვანის თარგმნილი უფრო შეესილია და ენაც შეუდარებელივ სჯობიან დიდებულების ენას“.

ვ. ჰიუგოს შემოქმედება მოწინავე ქართველ ახალგაზრდობას იზიდავდა ჰუმანიზმით, ჩაგრულთადმი სიმპათიითა და საფრანგეთის რევოლუციის რომანტიკით.

ანდრე შენიე

„ზღვათა მფლობელის“...

ლექსი თარგმნილია ი. ჰავჭავაძის მიერ 1861 წელს და დაბეჭდილია მე-9 ნომერში: მიეკუთვნება პოეტური კრედოს განმსაზღვრელ თხზულებათა ციკლს და განხილული გვაქვს ი. ჰავჭავაძის ორიგინალურ ლექსებთან ერთად.

ლიტერატურული კრიტიკა

მეცნიერულ საფუძველს დამყარებული ლიტერატურული კრიტიკა ჩვენში „საქართველოს მოამბემ“ დაამკვიდრა. გიორგი ერისთავის „ცისკარი“ და მისი წინამორბედი ქართული გამოცემები საერთოდ არ იცნობდნენ მას, ხოლო ივანე კერესელიძის „ცისკარში“ თერგდალეულებმა (ი. ჰავჭავაძე, კირ. ლორთქიფანიძე, აკ. წერეთელი, სამ. აბაშიძე, ან. ფურცელაძე) მისცეს დასაბამი მეცნიერულ-ლიტერატურულ კრიტიკას. მანამ ცალკეულ თხზულებათა შესახებ კანტიკუნტად დაბეჭდილი გარჩევები ზერელე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვით იფარგლებოდა და ლიტერატურული ცხოვრების საყურადღებო მოვლენები—დადებითი თუ უარყოფითი, — შეუფასებელი რჩებოდა. ამასთან დაკავშირებით, წერილში „შეშლილის“ თარგმანის შესახებ¹ ილია ჰავჭავაძე ირონიულად შენიშნავდა, — თ. რევაზ ერისთავი გულგრილად მოკიდებია ამ პოემის თარგმანს, რადგან უფიქრია, მოდავე არავინ მეყოლებო, სხვას არავის ჰყოლია და მე რაღა ღმერთი გამიწყობო.

„საქართველოს მოამბის“ ლიტერატურული კრიტიკა საკმაოდ გამოკვეთილ მეცნიერულ ესთეტიკას უმყარება და ყურნალის საერთო იდეური პროფილის შესაბამისად, მას მტკიცე მიმართულება აქვს. ლიტერატურული შეხედულებანი აქ მოიცავს ლიტერატურის თეორიას,

¹ „ცისკარი“, 1861, № 4.

ლიტერატურის ისტორიისა და კრიტიკის პრობლემათა მეტად ფართო წრეს. მხატვრული ლიტერატურის არსისა და დანიშნულების, მისი ფორმებისა და განვითარების კანონების, ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის, მხატვრული ასახვის თავისებურებების, ლიტერატურის ხალხურობის, საზოგადოებრივ განვითარებაში მისი როლის განსაზღვრის საკითხები განუყოფლად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთ მთლიან იდეურ-ლოგიკურ სისტემად წარმოგვიდგება.

ამ ფუძისეულ პრობლემებში „საქართველოს მოამბის“ პოზიცია ცხადყოფს, რომ დროის შესაბამისად, იგი შეუპოვრად იბრძოდა მაღალიდეური, აქტიური საზოგადოებრივი შინაარსის ხელოვნებისათვის.

„საქართველოს მოამბის“ ესთეტიკისა და ხელოვნების ფილოსოფიის საერთო საკითხები მეცნიერულ ლიტერატურაში საკმაოდ გაშუქებულია¹ და მათზე მოკლედ შეეჩერდებით იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ჟურნალის ლიტერატურული კრიტიკის ხასიათისა და მნიშვნელობის გამოსარკვევად.

ჟურნალის ესთეტიკურ-ლიტერატურულ შეხედულებათა საფუძველს რუსი რევოლუციონერი დემოკრატების (ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის) ნააზრევი წარმოადგენდა. „საქართველოს მოამბის“ ლიტერატურულ კრიტიკას წარმართავდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც „ცისკარში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებში („შემილილის“ თარგმანზე, „პასუხი“) ბ. ბელინსკის ემყარებოდა, მისი პოზიციებიდან მსჯელობდა კარააშინისა და კოზლოვის შემოქმედებაზე და აქედან გამომდინარე სახავდა ქართული ლიტერატურის განვითარების გზებს. ეს იდეურ-ესთეტიკური თანაზიარობა „საქართველოს მოამბეში“ უფრო მკაფიოდ იგრძნობა; ჟურნალის ლიტერატურული კრიტიკა დიდი რუსი კრიტიკოსის ბრძნული აზრითა და მღელვარებით სუნსაქავს. თერგდალეული კრიტიკოსები არა მარტო მიუთითებენ მასზე, არამედ ყველაზე პრინციპულ ესთეტიკურ-ლიტერატურულ საკითხებზე მსჯელობისას უშუალოდ მას უთმობენ სიტყვას („სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“).

ბ. ბელინსკის კლასიკურ მეშვიდობაზე დაყრდნობით, კონკრეტული მასალის ორიგინალური ანალიზით, მშობელი ხალხის ეროვნულ-სოციალური მისწრაფებების გათვალისწინებით, „საქართველოს მოამბე“ თანმიმდევრულად იბრძოდა „წმინდა ხელოვნების“ წინააღმდეგ, ავითარებდა და იცავდა ხელოვნების რეალისტურ თეორიას, რომელსაც მატერიალისტური ესთეტიკა უღევს საფუძველად.

¹ ბ. დუდუჩავა, ი. ჭავჭავაძის ესთეტიკა, 1960; ე. გაგოძე, „საქართველოს მოამბე“ (ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური იდეები), 1956; ა. თაყაი, ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი, 1954.

ბ. ბელინსკი დამაჯერებლად ცხადყოფდა, რომ: „...აზრი რაღაცა წმინდა, განყენებულ, თავის სფეროში არსებულ ხელოვნებაზე. რომელსაც არაფერი საერთო არ გააჩნია ცხოვრების სხვა მხარეებთან, არის განყენებული, მეოცნებეთა აზრი. ასეთი ხელოვნება არასოდეს და არსად არ ყოფილა“¹.

ამ მხრივ ჟურნალს უთუოდ ახალ შთაგონებასა და თვითდაჯერებას ანიჭებს ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის კიდევ უფრო გაღრმავებული თვალსაზრისი ხელოვნებაზე, როგორც სინამდვილის შემეცნებისა და მასზე ზემოქმედების მძლავრ საშუალებაზე. ამ უკანასკნელ მომენტს ნ. ჩერნიშევსკი ხაზს უსვამდა უკვე თავის ცნობილ დისერტაციაში: „ცხოვრების ხელახლა წარმოქმნა, გამოსახვა — ხელოვნების საერთო დამახასიათებელი ნიშანია, რომელიც მის არსს შეადგენს. ხშირად ხელოვნების ნაწარმოებებს სხვა მნიშვნელობაც აქვთ — ცხოვრების ახსნა; ხშირად იმათ ცხოვრების მოვლენებზე გამოტანილი მსჯავრის მნიშვნელობაც აქვთ“².

„საქართველოს მოამბის“ კრიტიკოსები ღრმად გამსჭვალული იყვნენ იმ შეგნებით, რომ არ არსებობს უაზრო და უმიზნო ხელოვნება. უფრო მეტიც, ხელოვნება ცხოვრებას ასახავს საზოგადოებრივი იდეალების პოზიციებიდან. ამ მიმართებით ილია ჭავჭავაძე ცხოველი მაგალითებით ანეითარებს მის მიერ ლაკონიურად გამოთქმულ შეხედულებას, რომ „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა“. იგი, ისე როგორც „საქართველოს მოამბის“ სხვა კრიტიკოსები, მსგავსად ჩერნიშევსკისა, ხელოვნებისაგან მოითხოვდა არა უნაყოფო სიამოვნებას, არამედ „არსებითს სარგებლობას“. ჟურნალი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ სიმართლე არის მხატვრული შემოქმედების ძირითადი პირობა.

ამასთან, როგორც ილიას ზემოთმოტანილი ციტატიდანაც ჩანს, „საქართველოს მოამბე“ არასოდეს ივიწყებდა ხელოვნების სპეციფიკას და მკაცრად გმობდა შიშველ უტილიტარიზმს. ჟურნალის კრიტიკულ ესთეტიკურ სტატიებში ყურადღება გამახვილებულია მხატვრული ასახვის თავისებურებებზე, მშვენიერების ბუნებაზე, ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის პრინციპულ პრობლემებზე. ილია ჭავჭავაძე არაერთხელ აღნიშნავს, რომ ხელოვნება არ წარმოადგენს სინამდვილის ფოტოგრაფიულ ასლს, რომ „პოეზია არის სიცოცხლე გამჭობინებული, არის სინამდვილე განცხოველებული აზრითა და მხატვრობითა“.

ამით უნდა აიხსნას, რომ მხატვრულ შემოქმედებაში „საქართველოს

¹ В. Г. Белинский, Сочинения, Гослитиздат, 1948, III, стр. 791.

² ნ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 426.

შოამბე“ განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ფანტაზიას, გამონაგონს, შემოქმედის ინდივიდუალობას. ამ თვალსაზრისის ნათელსაყოფად, ილია იმოქმედებს ბ. ბელინსკის სიტყვებს: „ხელოვნებითი ქმნილება, ან თხზულება, რომელიც მოგონებაზედ (გამონაგონზე. — ა. კ.) დაიფუძნება ხოლმე. უმაღლესია ყოველ ქვეშარიტად მომხდარ ამბავზე, — და ისტორიული რომანი ვალტერ სკოტისა რომელისაზე ქვეყნის ხასიათისა... ადათისა შესახებ, ქვეშარიტია ყოველ ისტორიაზე“. ილიას მხედველობაში აქვს, რომ მხატვრულ შემოქმედებაში მოგონილი ამბით დახასიათებულია სინამდვილე.

ხელოვნების სპეციფიკის შესახებ უურნალის გამახვილებული აზრები იმ დროს, სამწუხაროდ, ყველასათვის გასაგები როდი იყო. ილიას ლექსი „პოეტი“, რომელშიც ავტორის ესთეტიკურ-ლიტერატურული კრედოა გამოხატული, ზოგიერთმა კრიტიკოსმა (ანტ. ფურცელაძე და სხვ.) სინამდვილისაგან განდგომად და „ცრუ ოცნებად“ მიიჩნია, პოეტის სიტყვებში:

მე ცა მნიშნავს და ხალხი შზრდის,
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა. —

მათ ქვეყნისაგან მოწყვეტა, თავის თავის გამორჩეულ ადამიანად გამოცხადების სურვილი დაინახეს.

უურნალს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ეს. „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ ილიას მოტანილი აქვს ბ. ბელინსკის ვრცელი ამონაწერები შემოქმედებითი პროცესის ინდივიდუალური ხასიათისა და ხელოვნების ტალანტის განსაკუთრებული როლის შესახებ. ამ გარემოებას საგანგებო ყურადღებას ეაქცევთ, რადგან აღნიშნული ადგილების არასწორ გაგებას შეუძლია ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების გარკვევისას უურნალის პოზიციის მცდარ ახსნამდე მიგვიყვანოს. აქ ნათქვამია: „არ შეუძლიან ყველას, და არც ყველას“ უნდა ესმოდეს მშვენიერება; ის ესმით მხოლოდ მცირედ რიცხვს, ზოგიერთს, ამორჩეულებს, და ამათგანა ცნობილობენ სხვანიცა...

მშვენიერებისა რისაზე გულში ჩარჩენა არის თავისთავად ნიჭი: იგი არ მიიღება არც სწავლით, არც განათლებით, არც გავარჯიშებით, — ეძლევა მხოლოდ ბუნებით. პოეზიის მიხედვრა არის სულის საქმე და მაგ საქმის აღმოჩენა დამალულია ადამიანის ბუნებაში... პოეზია თავდაპირველად მიიღება გულით და შემდგომ იმისაგან გარდაეცემა თავსა. ამისათვის ვისი გულიც ბუნებით მოუხეშავია და უგარძნობელი მშვენიერების გულში ჩანერგვისათვის, მოახვიეთ იმას გარშემო სიყრმიდგანვე ქმნილება, თხზულება ხელოვნებისა, ელაპარაკეთ იმას მთელს

სიცოცხლეში პოეზიაზე, — ის შეიძენს მხოლოდ იმისი ფორმის გარეგანს ვარჯიშსა და დაეჩვევა იმის გარეგანის შეხედულების განსჯასა; მაგრამ ქმნილებისა, თხზულების საგანი დარჩება იმისათვის საიღუმელოდ“.

ერთი შეხედვით, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია ხელოვნების ძეგლთა ყველასათვის მიუწევდომლობაზე, იმაზე, რომ საზოგადოების უმრავლესობა მოკლებულია ესთეტიკურ გრძნობებს. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, თუ ხელოვნების მონაპოვარი უმრავლესობისათვის გაუგებარი იქნებოდა, ცხადია, მისი საზოგადოებრივი ზემოქმედების ფუნქციაც შევიწროებული უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში, ავტორს მხედველობაში აქვს არა ხელოვნების მშვენიერების განცდვა, მისი საზოგადოებრივი ზემოქმედების უნარიანობა, არამედ სინამდვილის მშვენიერების შეცნობა და ხელოვნებაში მისი ასახვა.

ხელოვანს, მწერალს, „საქართველოს მოამბის“ კრიტიკოსების აზრით, მაშინ შეუძლია სინამდვილის მშვენიერების შეცნობა და ასახვა, თუ იგი საზოგადოების აქტიური წევრია, თუ შეთვისებული აქვს ეპოქის მოწინავე შეხედულებანი, ყურს უგდებს ხალხის ცხოვრების მაქისცემას და გამსჭვალულია მისი სასიცოცხლო ინტერესებით. ისინი ამტკიცებენ, რომ სილამაზე მდგომარეობს „ქემშარიტებასა და უბრალოებაში“, რისთვისაც სინამდვილე უნდა აისახოს შეულამაზებლად და დაუმახინჩებლად. ამ მოთხოვნათა შუქზე, ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები თეორიულად ასაბუთებენ და შემოქმედებითი პრაქტიკით ავლენენ იმ ხერხებსა და პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მხატვრულ ლიტერატურაში სინამდვილის ასახვას, — გამოდიან კრიტიკული რეალიზმის მედროშეებად. ხელოვნებას, ლიტერატურას ისინი უყენებენ არა მარტო საერთოდ სინამდვილის ასახვის ამოცანას, არამედ ცხოვრების უკუღმართობის მხილების, გაკიცხვისა და ბრძოლის მოთხოვნილებასაც.

ვ. ი. ლენინის კლასიკური განსაზღვრა რომანტიზმსა და რეალიზმს შორის არსებული ძირითადი განსხვავებისა, მკაფიოდ გვიჩვენებს, რამდენად სწორად ესმოდათ „საქართველოს მოამბის“ კრიტიკოსებს ხელოვნების ამოცანა. „რომანტიკოსი ზურგს აქცევს ნამდვილი განვითარების კონკრეტულ საკითხებს, — წერს ვ. ი. ლენინი, — და ოცნებებს ეძლევა, რეალისტი კი დადგენილ ფაქტებს იღებს კრიტიკიულად კონკრეტული საკითხის გარკვეული გადაწყვეტისათვის“¹.

ლიტერატურის აქტიური საზოგადოებრივი ფუნქციის ღრმა გაგებიდან გამომდინარე, „საქართველოს მოამბის“ კრიტიკა შეუთრყველ არგუმენტებზე დამყარებით ებრძოდა დრომოკმულ ლიტერატურულ

¹ ვ. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 320.

მიმდინარეობებს — რეაქციულ რომანტიზმს, სანტიმენტალიზმს, ცრუ-კლასიციზმს. ამ ბრძოლას საფუძვლად ედო ილია ჭავჭავაძის დებულება: „...რა საჭიროა ეხლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალური სხოლის მწერლების გაცნობა?.. იქნებ ფიქრობენ. რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცდომილება? თუ ამას ფიქრობენ, მაშინ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა...“

ხალხს მოწყვეტილ ლიტერატურულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა „საქართველოს მოამბის“ შეხედულებებს ტიპიურობის შესახებ. ურნალი ხაზს უსვამდა, რომ მწერალი დაჯილდოებულია „ღვთაებრივი“ ფანტაზიის, გამოგონების ნიჭით, რაც საშუალებას აძლევს „გაომნაგონით“, შემოქმედებითი წარმოსახვით, პოეტური ხილვით, ღრმად, განვითარების პროცესში წარმოადგინოს სინამდვილე. ამ მიზანს ხელოვანი, სხვათა შორის, ტიპიური ხასიათების შექმნით აღწევს. ილია ჭავჭავაძის თხზულებებშიც მოცემულია ტიპისა და ტიპურობის ნათელი განსაზღვრა. ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1863 წელსაა დაწერილი „საქართველოს მოამბეში“ დასაბეჭდად და შემდეგ ურნალში გამოქვეყნებულ სხვა სტატიებში გამოიყენა ავტორმა („ციცკარი“ 1857-დან 1863 წლამდინა“), იგი ვრცლად მსჯელობს ვაჟკაცის ქანდაკებაზე: „რაც საზოგადო ნიშნები ჰქონიათ მთელი ქვეყნის ვაჟკაცებს, — წერს ილია, — დიდებულებს, თავგამოდებულებს, ისინი სულ არიან გამოკვეთილნი ამ მარმარილოს სახეზე და ამიტომ ჰგვანან და ამიტომაც ადვილად მიუხვდით გამომკვეთელს აზრსა; და რაც კი კერძობითი ნიშნები ჰქონიათ, რაც კი ერთსა ჰქონია და მეორეს არა, იმათთვის გული არ უთხოვებია გამომკვეთსა, ამიტომ არა ჰგავს. რაც საზოგადო ჰქონია, ის მოუკრეფია გამომკვეთსა და რაც კერძობითი, მისთვის თავი დაუნებებია, ამიტომაც ისინი ჰგვანან კიდეც და არცა ჰგვანან“.

ამ საკითხს ურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი და განსაკუთრებით ვრცლად არის გაშუქებული „სფირიდონისა და თაღვონის ბაასში“. აქ ილია არ კმაყოფილდება საკუთარი საბუთებით, მოაქვს ბ. ბელინსკის ვრცელი ციტატები და მკაფიოდ აჩვენებს კრიტიკული რეალიზმის ხელოვნების მაღალ საზოგადოებრივ როლსა და სინამდვილეზე აქტიური ზემოქმედების უნარს. „ღიას, ლანდშაფტი, დახატული ტილოზე ნიჭიერი მხატვრისაგან, უკეთესია ქვეყანაში ყოველ ჩინებულ სანახავ ადგილზე. რათა? — ვკითხულობთ აღნიშნულ თხზულებაში, — ამისათვის, რომა ამაში არა არის რა შემთხვევითი და მეტი. ყოველი მისი ნაწილი არის შეერთებული, ყველა არის მოხრილი ერთის საგ-

ნისაკენ, ყველანი ერთად შეკრულნი შეადგენენ ერთს მშვენიერს, მრთელს და განუყოფელს ჰაზრსა... სინამდვილე არის წმინდა ოქრო, მაგრამ გამოურჩეველი, ერთად არეული ლითონი და მიწა: სწავლა და ხელოვნება გასწმენდენ ოქროს სინამდვილისას, ვადადნობენ და ჩამოასხამენ ყალიბებში“. ავტორის სიტყვით, ადამიანი ყოველდღე სადილობს, რაინდი სულ იბრძვის, მაგრამ მწერალი ყველა სადილს და ყველა ბრძოლას კი არ აგვიწერს, არამედ მხოლოდ იმას, რომელიც აუცილებელია გმირის ხასიათის გამოსაჩენად. ამ შემოქმედებითი შერჩევისა და განზოგადების წყალობით, „ყოველი პირი გამოყვანილი ხელოვნებითს ქმნილებაში ანუ თხზულებაში არის წარმომადგენელი მრავლისაგან უმრავლესის ერთნაირის, ერთგვარის პირისა და ამისათვისაც ჩვენ ვამბობთ ხოლმე: ეს კაცი ნამდვილი ოტელო არის, ეს ქალი სწორედ ოფელიაა. ესრეთი სახეები, როგორათაც ანეგინი, ლენსკი, ტატიანა, ოლგა. ზარეკვი, ფამუსოვი, სკალაზუბი, მოლჩალინი, რეპეტელოვი, დობჩინსკი, დერკი მორდა... არიან თითქო საზოგადო სახელები და არა საკუთარი“¹.

ტიპისა და ტიპიურობის ილიასეულ გაგებაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობის ცნობილი ვარიანტებიც. მწერალი გადმოგვცემს, რომ წუმბეში, რომელსაც „ქართველები სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან“, მან ყურზედ ხელი ჩააგლო „ერთს ასეთს ტახს“, რომ „უკეთესი აღარ უნდოდა“.

„ვინ ხარ? — ვკითხე მე. — რა სულიერი ხარ?

— კაცი ვარ, ადამიანი. — მომიგო მან.

— რომ არ გეთქო, ღმერთი, რაჯული, ვერ მივხედებოდი. მართლა კაცი ხარ?

— თავი არ მამიკვდება! კაცი ვარ ადამის ტომისა, ყმისა და მამულის პატრონი, ლუარსაბ თათქარიძეს მეძახიან.

— თუ ადამიანი ხარ, მაგ დამპალ გუბეში ბაყაყებთან, კიაყელებთან რა გინდა?

— ბიჭოს!.. მაშ სად უნდა ვიყო?

— კაცებთან, თუ კაცი ხარ.

— კაცები არ არიან, რომ იქ არიან! ათასია ჩემისთანა და ათასზე მეტიც..

— მაშ კაი ნიმუში ხარ შენ, ჩემო ლუარსაბ, თუ აგრეა.

— კარგი, ნუ მასხრობ, მამა ნუ წაგიწყდება! თავი დამანებე. სინათლეზე ნუ გამომიყვანე.

— კიდევაც იმიტომ მინდა ქვეყანას დაგანახო...

— რილა მე წამავლე, შე უღმერთოვ, ხელი, ათასი სხვაა ჩემისთანა.

¹ „საქართველოს მოამბე“, № 8.

— აბა უფრო მაგისთვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგავხარ და ათასი შენა! რაც ბევრს ემგვანები, უფრო კარგია. აქეთ მობრძანდი, აქეთ, შენ ძვირფასი მარგალიტი ხარ“.

ამ თხზულებაში, რომელიც „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა, ილიამ შემოქმედებითი პრაქტიკითაც ნათელყო ტიპიურობის რაობა. „კაცია-ღამიანზე“ თავდაზნაურობის რეაგირებამაც ხომ გაამართლა ყურნალის თვალსაზრისი ტიპისა და ტიპიურობის შესახებ. ლუარსაბის თანამოძმეებმა კიდევ იცნეს თავიანთი თავი თათქარიძეში და აღშუოთდნენ. და მაინც, რადგან არცერთის ზუსტ ფოტოსურათს არ წარმოადგენდა, თვითულმა ისე დაიჭირა თავი, ვითომც, ეს მას არც კი ეხებოდა. ძველი ლიტერატურული თაობის მიერ კრიტიკული რეალიზმის პრინციპების გაუგებრობასა და მიუღებლობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ალ. ორბელიანის კრიტიკული წერილი „სურამის ციხეზე“. ალ. ორბელიანი ასახელებს ღურმიშხანის ისტორიასთან დაკავშირებულ პირობებს: ლაპარაკობს ოსმანლას ბატონზეც და წერს, ბევრი რამ სწორად აქვს გადმოცემული დ. ჭონჭაძეს, მაგრამ ზოგს აკლებს და ზოგსაც უმატებს. „...თუ სწერთ რომანს ან მოთხრობას, რატომ არ გამოკითხავთ მართალსა და ტყუილსა? იმის კეერში შებმა და კალოში სირბილი დედაშვილისა მართალია თუ არა?.. იყო მართალია ერთი საშინელი საცოდაობა, საიდუმლო შურის სიმსხვერპლე, მაგრამ არა ისე, როგორც აღწერს დანიელ ჭონჭაძე, ცოტად კი მიემსგავსება იმას“¹.

ცალკეულ თხზულებათა განხილვისას, „საქართველოს მოამბის“ კრიტიკოსები საგანგებო ყურადღებას აქცევენ თუ „რამდენად სწორადაა ნაჩვენები ტიპიური ხასიათები ტიპიურ გარემოში“. კრიტიკული რეალიზმის პრინციპები მათი კონკრეტული ლიტერატურული კრიტიკის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. ისინი თავს ესხმიან მეცნიერულ საფუძველს მოკლებულ, უპრინციპო, პრიმიტიულ კრიტიკას. „სხარტულაში“, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე ასე აღაპარაკებს „ცისკრის“ რედაქტორს ბაქიასთან (ანტ. ფურცელაძე) საუბარში: „მინდოდა კრიტიკის მნიშვნელობა ისე ამეხსნა, რომ ქვა გამეხეთქა... მაგრამ აი, რა წამოვროშე: „კრიტიკა არის პატივი ლიტერატურული ნწულისათვისმეთქი“. აბა, კრიტიკა ნეხვია?.. მართალია, შენ ჩემის მეგობრობის გამო, შენის კრიტიკებით გულმოდგინეთ მეხმარები, რომ საქმითაც კრიტიკა ნეხვად ვაჩვენოთ... მაგრამ თერგდალეულები არ მოსტყუვდებიან...“

„ცისკრის“ რედაქტორი არა ერთხელ შეეცადა ემართლებინა თავი, რომ ესა თუ ის ნაწარმოები ზოგს მოსწონს, და ზოგს — არა და რომელს დავეუჯეროთ, ვის ვაწყენინოთ. „საქართველოს მოამბემ“ მკითხ-

¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № 1641.

ველს დაანახვა, რომ გემოვნების მრავალფეროვნებისაგან დამოუკიდებლად, მშვენიერებას თავისი ობიექტური კრიტერიუმი გააჩნია. ამასთან დაკავშირებით, ილიამ გადაწყვიტა ამომწურავად გაეშუქებინა 1861 წელს „ცისკრის“ ფურცლებზე გამოთქმული თავისი აზრი, რომ „ამა თუ იმ თხზულების საზოგადოებისაგან მიღება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწერალი ტალანტი“. იგი იქვე შენიშნავდა, რომ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების „ესთეტიკურ... განვითარებას“. ამით უნდა აიხსნას, რომ „საქართველოს მოამბის“ კრიტიკოსებს მხედველობაში ჰყავდათ, როგორც შემოქმედი, ისე მკითხველი, უზრუნალი ყოველმხრივ ცდილობდა აემალლებინა და წარემართა მკითხველის გემოვნება, გაერკვია მისთვის ამა თუ იმ თხზულების მხატვრული ღირებულება, შეექმნა საზოგადოებრივი აზრი.

„სფირიდონისა და თედეოზის“ ბაასში ილიამ დამაჩერებლად აჩვენა, რომ არსებობს მხატვრული ნაწარმოების შეფასების ობიექტური კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც უნდა დაფასდეს ნაწარმოები და გაისინჯოს გემოვნება: ავტორის აზრით, ამ კრიტერიუმის გამოძიშვების ერთ მთავარ საშუალებას კლასიკური მემკვიდრეობის ღრმა ანალიზი იძლევა. როცა კრიტიკა შეიარაღებულია ამ მეცნიერული ცოდნით, როცა მკითხველის ესთეტიკური გემოვნება განვითარებულია ამ საფუძველზე, მაშინ ადვილად შედგენდება და უღონო ხდება „ხელოვანისა“ და მკითხველის კაპრიზები, ყალბი გამომგონებლობა, ლიტერატურული კოაჩიაობა.

თადეოზი ეკითხება სფირიდონს (იგულისხმება თვით ავტორი, ილია ჭავჭავაძე), ზოგს ერთი მოსწონს, ზოგს მეორე და როგორ გაიგოს კაცმა, რა არის კარგი და რა ცუდიო.

სფირიდონი უპასუხებს: „ეს უეჭველად ასე უნდა იყვეს, რომ ყველამ თავისებურად განსაჯოს საგანი, ე. ი. ისე, როგორც ესმის, უნდა წარმოასთქვას აზრი. ეს კია, რომ კაცს ყოველთვის ეყოლება შემმოწმებელი: ისე უთქვამს ის აზრი, როგორც უნდა თქმულიყო... ის აზრი უთქვამს, რაც შეჰფერის საგანს, თუ შემცდარა... რაც კი რამ არის და არსებული ქვეყანაზედ — ყოველისფერს აქვს თავისი კანონი და მიზეზი. უკანონოდ და უმიზეზოდ არაფერი არ გაჩენილა და არც გაჩნდება. ჩვენი აზრიც მაგ კანონების და მიზეზების ცნობილად შედგება. მაგ კანონების და მიზეზების ცოდნაზედ ტრიალებს მეცნიერებაცა, სწავლა და განათლება... ჩვენი ცდა რაში უნდა მდგომარეობდეს? იმაში, რომ რაც ჩვენ წინაპართ გამოუკვლევიათ, უცვნიათ, შეუტყვიათ, ის უნდა ვიცოდეთ, ის შევიტყოთ, ე. ი. უნდა ვისწავლოთ ის, რაც იმათ კანონები აღმოუჩენიათ, ის, რაც იმათ მიზეზები აუხსნიათ, რომ წმინდა, ნამდვილი საგნის მსჯელობა გვექონდეს... ეს „მილორდიანი“, ეს „მხეცური შურისგება“ ჩვენს გონებას არცერთს ცოცხალს აზრს, არც-

ერთს ჰეშმარიტებას არ შემატებს. უნდა გვიშველონ შევიტყოთ ის, რაც ჩვენამდინა ყოფილა, რაც აღმოუჩენიათ, რაკი გვეცოდინება, მაშინ ჩვენ თვითონ უნდა შევეუდგეთ იმის აღმოჩენას, იმის ახსნას, რის ახსნაც იმათ ვერ მოუხწრიათ. ეს ჩვენი ვალდებულება გახლავსთ ჩვენი შთამომავლობის წინაშე“.

მხატვრული ნაწარმოების გაგება, მისი განხილვა-შეფასება, „კარგისა და ავის გარჩევა“, ჟურნალის აზრით, მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა, „მეტადრე იმ შემთხვევაში, როდესაც თხზულებისა ან მოქმედების ცული ან კარგი მხარე ძალიან ცხადად არა ჩანს“... ყველა გეტყვის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ კარგიათ, „მაგრამ რომ მიბრუნდე და მეორეთ ჰკითხო: რა არის „ვეფხისტყაოსანში“ კარგით. მე მგონია, ყველამ ვერ გაგეცს ამაზედ პასუხით... „კარგს მთქმელსა კარგი გამგონე უნდაო“: კარგის გასაგონებლად კაცი მომზადებული უნდა იყვეს, გონება გახსნილი უნდა ჰქონდეს, განათლებული... მაშინ... ცხადად იტყვის, რის მიზეზით არის კარგი ან საბუთით დაამტკიცებს თავის ნათქვამს“. ამ შეგნებით გამსჭვალულ თერგდალეულებს, ცხადია, მწარე ღიმილს ჰგვრიდათ „შინიდან ფეხგაუდგმელი“, „ანბანთ თეორეტიკის“ აბჯარასხმული „ცისკრის“ „კრიტიკოსები“ და „საქართველოს მოამბეც“ ცდილობდა ეჩვენებინა მკითხველისათვის ჰეშმარიტი ლიტერატურული კრიტიკის როლი, აემაღლებინა მისი ავტორიკეტი. მოეპოვებინა ნდობა, დახმარებოდა მხატვრულ ლიტერატურის განვითარებას და მკითხველიც სწორ გზაზე დაეყენებინა. კარგ კრიტიკოსს. განათლებულსა და ერუდირებულს, „საქართველოს მოამბეც“ ჟურნალის მაცოცხლებელ ძარღვად თვლიდა, „კრიტიკოსი არის გამრჩევი თხზულებისა, კრიტიკოსი არის ცხადად მაჩვენებელი ავისა და კარგისა თხზულებაში ან ყოველსავე მოქმედებაში, ის არის დამრიგებელი და მსაჯული...“. წერდა ილია „სფირილონისა და თადეოზის ბაასში“.

ლიტერატურული კრიტიკის მნიშვნელობაზე ჟურნალის რედაქციის თვალსაზრისი მთელი სიცხადით ჩანს ამავე თხზულების ავტორისეულ კითხვა-მიგებაში: „რა გამოვა იმ ჟურნალიდან, რომელსაც არა ჰყავს კარგი კრიტიკოსი?..“

ვერც ერთი ჟურნალი უკრიტიკოდ ვერ იცოცხლებს, კრიტიკა არის იმისი გზის მაჩვენებელი, იმისი წინამძღოლი, იმისი სინათლე და დამრიგებელი. იმან უნდა გამოარჩიოს ავი და კარგი ყოველის სიმართლით და დაანახოს ჟურნალის ყველა მკითხველსა... ყოველი წამკითხველისათვის, მგონია, სასიამოვნო უნდა იყოს ყოველთვის კრიტიკული სტატია, რადგანაც შეუძლიან თავისი აზრი შეამოწმოს იმ კრიტიკითა, ნახოს სხვა როგორ ფიქრობს იმ საგანზედა...“

აღნიშნული ამოცანების შესაბამისად, „საქართველოს მოამბემ“ გარკვევით ჩამოაყალიბა ლიტერატურული კრიტიკის ის ძირითადი

პრინციპები, რომლებიც საფუძვლად ედო ჟურნალში მხატვრული პრო-
დუქციის განხილვა-შეფასებას.

აქ ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. 60-იან წლებში, რო-
გორც ცნობილია, ლიტერატურაში გაბატონებული ადგილი დაიკავა
პუბლიცისტიკამ და ისე ლაღად გაშალა ფრთები, რომ სიტყვეთაჯამულ
მწერლობასაც დაეუფლა. ცხადია, იგი კიდევ უფრო მძლავრად უნდა
გამოვლენილიყო ლიტერატურულ კრიტიკაში, რადგან პუბლიცისტი-
კისა და ლიტერატურული კრიტიკის ამოცანები ერთმანეთს ენათესავე-
ბიან. რუსულ ლიტერატურულ კრიტიკაში პუბლიცისტიკა მანამდეც
აქტიურად მონაწილეობდა, ხოლო 60-იან წლებში ისინი თითქმის გა-
ითქვიფნენ ერთმანეთში. აქედან მოკიდებული ამ სახის ლიტერატუ-
რული კრიტიკა კარგა ხნით გაბატონდა ჩვენში და. სიკეთესთან ერთად,
ცალკეულ პერიოდებში უკიდურესობამდე მისვლის გამო, ერთგვარი
ზიანიც მიაყენა მწერლობის განვითარებას. სხვათა შორის, მხატვრულ-
ესთეტიკურ კრიტიკას ჩვენში დიდი ხნის ისტორია არა აქვს, იგი თით-
ქმის ჩვენს თვალწინ ვითარდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად მას
საწინააღმდეგო ცალმხრიობის, ამჯერად პუბლიცისტური ელემენტის
უარყოფის ტენდენცია აქვს, რაც, აგრეთვე, უაზრო და საზიანოა.

პუბლიცისტიზმის ძლიერი კვალი ამჩნევია „საქართველოს მოამ-
ბეში“ დაბეჭდილ კრიტიკულ წერილებს — გ. წერეთლის „ცისკარს რა
აკაკანებდა?“, კირ. ლორთქიფანიძის „ამაო ამოთა“ და „ბიძია თონიკის
სტატიაზედ“.

მაგრამ „საქართველოს მოამბე“ უკიდურესობამდე არასდროს მი-
სულა: მხატვრული შემოქმედების განხილვა აქ მუდამ გულისხმობს
ფორმისა და შინაარსის ერთობლივ ანალიზს, კრიტიკოსი პუბლიცის-
ტიც იყო და ესთეტიკოსიც. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ჟურნალ-
ლისათვის მაგალითს წარმოადგენდა ბ. ბელინსკის შთამაგონებელი მემ-
კვიდრეობა, რასაც მკაფიოდ ადასტურებს ილიას კრიტიკულ-ლიტერა-
ტურული ფელეტონები: „სხარტულა“ და „სფირიდონისა და თადეოზის
ბაასი“.

ი. ჯავჭავაძემ პირველ კრიტიკულ წერილებშივე იხმარა „ესთეტიკუ-
რი კრიტიკის“ ცნება და პრაქტიკულად აჩვენა, ნაწარმოებთა „შიგნიდამ
და გარედამ“, ე. ი. შინაარსისა და ფორმის მიხედვით, განხილვის საუ-
კეთესო მაგალითი; შეეხო სიუჟეტს, ტიპიურობის საკითხს, მოქმედე-
ბის განვითარებას, მხატვრული ენის სპეციფიკას, რითმსა და რიტმს.
გამომამხევა მთარგმნელის ვითომდა „პოეტკური სილაღენი“, ალოგიზ-
მები; მხატვრული შეუსაბამობანი, ყალბი სიტუაციები და დეტალები.

„საქართველოს მოამბეში“ უფრო სრულად გამოჩნდა ილიას. —
პირველი ქართველი განათლებული და ერუდირებული კრიტიკოსის
ნიჭის ეს დიდი ღირსება. თავის წერილებში იგი მთლიანობაში იძლევა

ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკურ შეფასებას, განიხილავს მას დროისა და ადგილის მიხედვით, გარემოსთან მრავალმხრივ კავშირ-ურთიერთობაში, განსაზღვრავს მის როლს თანამედროვე ცხოვრების განვითარებაში, იკვლევს, როგორ პასუხობს იგი დროის მოთხოვნებს, როგორ ემსახურება ხალხის ინტერესებს.

„საქართველოს მოამბის“ ლიტერატურული კრიტიკის ერთი ფრიად საყურადღებო ნიშანი ისიც არის, რომ იგი არა მარტო განიხილავს და, აკრიტიკებს, არამედ ასაბუთებს და აკანონებს, როგორ უნდა წეროს ავტორმა, მგზნებარედ იბრძვის წამოყენებული აზრების გაბატონება-დამკვიდრებისათვის. „სხარტულაში“ ილია დასცინის „ცისკარს“ რედაქტორს იმის გამო, რომ მან ერთ-ერთ წერილში განაცხადა — ჩვენ არაღის არაფერს ჩავაგონებთ, რადგან XIX საუკუნეში რომელიმე აზრის ჩავგონება უადგილოა, ვისაც როგორ უნდა, ისე იწამოს და გაიგოსო.

მხატვრული შემოქმედების ყოველმხრივ ანალიზს მოითხოვდნენ და მოწინავე იდეურ-ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრებისათვის იბრძოდნენ ჟურნალის სხვა კრიტიკოსებიც. გიორგი წერეთელი წერდა: „სად განუხილავს („ცისკარს“) ასე ვრცლად და მართლად გამოხატული სოლომონ ისაქიჟ მექლანუაშვილის ხასიათი, რომ როგორმე მკითხველის გულში აღედგა ზიზღი ამგვარს მიდრეკილებაზედ“?

თანამედროვეთა გაკვირვებას იწვევდა, რომ ხელოვნების თეორიული საკითხები „საქართველოს მოამბეში“ გაშუქებული იყო ნათელი სტილით, ზუსტად და გასაგებად, ხოლო მხატვრული შემოქმედების ძეგლები განხილული იყო დიდი ლიტერატურული გემოვნებით.

ესთეტიკურ-ლიტერატურულ სფეროში, „საქართველოს მოამბის“ დამოუკიდებელი პოზიციის წყალობით, ჩვენმა მწერლობამ თავიდან აიცილია ნიჰილისტური ესთეტიკის მანკიერება, ვულგარულ-უტილიტარისტულ შეხედულებათა გავლენა, რომელიც არა მარტო დ. პისარევის „რუსკოე სელოში“ მეფობდა, არამედ თერგდალეულთა სათაყვანო „სოვრემენიკსაც“ თავის კვალს ამჩნევდა, რის დასადასტურებლადაც, სხვათა შორის, წარმოადგენდა ნ. დობროლიუბოვის წერილები ლერმონტოვის პოეზიაზე. ილიასა და მის თანამებრძოლებზე. ამ მხრივაც, უთუოდ, ბ. ბელინკის კრიტიკულ-ესთეტიკურმა მემკვიდრეობამ მოახდინა კეთილისმყოფელი გავლენა. ამასთან, ახალთაობის ეროვნული მისწრაფებები, ქართული ლიტერატურის განვითარების ინტერესები უყოყმანოდ მოითხოვდა ხალხის კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებულ პატივისცემასა და დაფასებას. თერგდალეულთა ნაწერების გვერდით, „საქართველოს მოამბეში“ იბეჭდებოდა რომანტიკოსი პოეტების — ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის თხზულებანი. კლასიკური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხ-

ში უურნალი განუხრელად ახორციელებდა მისი რედაქტორის მოწოდებას: „რომ არ გვეყავდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდეც ჰო! რომ გვეყავნან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერ ლექსებში მშვენიერს ენას“¹.

უურნალმა მკაცრად გაილაშქრა ამ საკითხში ანტ. ფურცელაძის ნიჰილისტურ-ველგარული თვალსაზრისის წინააღმდეგ, არ აპატია მას ნიკ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გ. ერისთავის შემოქმედებისადმი უტილიტარული ფრაზებით შენიღბული ბატონკაცური ქედმაღლობა, სამოციანელთა ესთეტიკურ-ლიტერატურული კონცეფციის ცალმხრივი გაგება და გაყალბება. ამ მავნე ტენდენციის ძირშივე აღმოფხვრისა და საჯაროდ გაშაყების მიზნით, ილიამ სუსხიან სატირულ ფორმას მიმართა. „სხარტულაში“ მან სასაცილოდ აიგდო ანტ. ფურცელაძის პრეტენზია, რომ იგი არ დააკმაყოფილა „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილმა ნიკ. ბარათაშვილის ლექსმა — „შემოღამება მთაწმინდაზედ“. ამ ფელეტონში „ცისკრის“ რედაქტორი ეუბნება თავის ბაქიას (ანტ. ფურცელაძეს): „რა ყოჩაღათა ხარ, რომ მარტის კრიტიკაში ნ. ბარათაშვილის ლექსსა მშიერი მივარდი, გეგონა ლობიოს შექამადი დაგვედებოდა და იმის მაგიერ რომ მშვენიერი ლექსი დაგვხდა, — აბა მშვიერს რა გელექსებოდა, — გაკაპასდი და დაიწყე ყვირილი, რომ მადა გამიღვიძა და, კუჭი კი ვერ გამიძლო. პოეზია ლობიოს შექამადის ქოთანი ხომ არ არის, რომ ლობიო გასვლემოს!...“

კრიტიკოსი სულ უფრო მეტ სიმწვავეს აძლევს ნიჰილისტის წინააღმდეგ მიმართულ სატირას... ბაქია სიამოვნებით ისმენს „ცისკრის“ რედაქტორის ლექსს და „ტუჩს ილოკს და ნერწყვი მოსდის, რადგანაც რედაქტორის ყოველი სიტყვა ლობიოში ამოვლებული ლუკმა ჰგონია“.

შთაგონებით დაწერილმა ამ ფელეტონმა დიდი როლი შეასრულა ქართულ ლიტერატურაში, მან სამუდამოდ აბრუ წაუხდინა ნიჰილისტებს, კლასიკური მემკვირეობის უარმყოფელებს.

ლიტერატურულ მემკვიდრეობას „საქართველოს მოამბის“ კრიტიკოსები ისტორიული თვალსაზრისით უდგებოდნენ, წინაპართა დეაწლს აფასებდნენ და ერის კულტურულ საგანძურს მოკრძალებით ეპყრობოდნენ. „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ ნათქვამია: „კაცს რაც შეუძლიან და როგორც გარემოება ხელს მოუწყობს, ის და ისე უნდა მოსთხოვოთ... ჩვენი წინაპარნი ქართველნი იყვნენ ისეთნი, როგორიც უნდოდა იმ დროს: მტრისა და მოყვრის დამხედურნი... რასაკვირველია, სასაცილო იქნება დავემდუროთ იმაზე, რომა რატომ ათიოდე შექსპირი არა ჰყავდათ, ბაირონები, ან რუსთაველები“.

1861 წელს „ცისკარში“ დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის კრიტიკული

¹ „ცისკარი“, 1861, № 4.

წერილების ცხარე ტონმა და მოურიდებელმა შენიშვნებმა უზომოდ განარისხა კომპლიმენტებსა და რევერანსებს დაჩვეული კალმოსნები. იმათ უზრდელობა, უხეშობა, გაბოროტება შესწამეს ახალგაზრდა მწერალს. ილიამ „ცისკარშივე“ დამაჯერებელი პასუხი გასცა ამ ბრალდებებზე, მაგრამ ამის თაობაზე მითქმა-მოთქმა, ამ საბაბით თერგდალეულთა კრიტიკის გაბიაბურება, მისთვის სახელის გატეხვის ცდა მაინც არ შეწყვეტილა. ამიტომ „საქართველოს მოამბე“ ხშირად განიხილავდა ლიტერატურული კრიტიკის ეთიკის საკითხებს. ჟურნალი ცდილობდა დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ „კრიტიკა და ლანძღვა ძალიან შორი შორს არიან ერთმანეთზედა“, რომ კრიტიკის მიზანი არც ძაგებაა და არც დაცინვა: „ის არის დარიგება, შეცდომის ცხადად ჩვენება“, „ბუნდიანი საქმის გამორკვევით და ნათლად დანახვებით“. კრიტიკოსი მწვავედ მიტომ კი არ ლაპარაკობს, ცხარე, ცხოველ სიტყვებს იმიტომ კი არ ხმარობს, რომ შეუტაცხოთა მიაყენოს ვისმე, არამედ „ამაყად და ცხარედ იმიტომ სჯის, რომ ერთის ცხოველის სიტყვით ჩაშალოს შეცდომით ნათქვამი ვისიმე აზრი და ცოტა მკვახედ გამოუღის ლაპარაკი...“

„განსჯაში და დარიგებაში“ ლაპარაკის კილოს დიდი მნიშვნელობა აქვს, — ამბობს სფ. ჩიტორელიძე — ...დარიგებაში დაცინვას ხელი არა აქვს. ან რაღა დროს სიცილია... როდესაც ყველა საქმის გაკეთებას ცდილობს. კრიტიკოსი არის მსაჯული, მაშასადამე... არ უნდა დაფაროს არაჩაიმი სიმართლე მთხველისა და არც შეცდომილება... უსამართლოდ არ უნდა მიუდგეს მტყუანსა და მართალი არ უნდა დასჩაგროს, მაგრამა, რა კრიტიკოსი უნდა იყვეს ისა, რომელიც სწავლით, განათლებით, განმსჯელობით კარგა დაბალი ღირსებისა არის იმაზედა, რომელსაც აძლევს დარიგებასა? კრიტიკოსი ნიჭითა და სწავლით უთუოდ მაღლა (უნდა) იყვეს ავტორზე, თორემ რა დარიგება შეუძლიან?“

„საქართველოს მოამბეს“ სრული უფლება ჰქონდა ასე მკაცრი მოთხოვნა წაეყენებინა კრიტიკოსისათვის, ასე აშკარად ეგრძნობინებინა მოწინააღმდეგე „ძალად კრიტიკოსებისათვის“ გაუნათლებლობა, უგემოვნება და უნიჭობა. ამ ჟურნალის დაარსებამდე ყოველ კალმოსანს უშიშრად შეეძლო რუსულიდან გადმოეთარგმნა ან გადმოეკეთებინა და თავისი სახელით დაებეჭდა, რომელიც გსურთ, თხზულება, რადგან ამის გამგები და გამომწვეურებელი არავინ იყო. „საქართველოს მოამბემ“ პლაგიატის არა ერთი და ორი ფაქტი გამოიტანა სამზიეოზე. „სხარტულაში“ ბაქიას შესახებ ნათქვამია: „ამოუკითხავს ოხუნჯობა რუსულ ჟურნალში („Искра“) და იმოდენა მოხერხება კი არა ჰქონია, რომ ნაქურდული ცხენისათვის კუდი რიგიანად მაინც გაეკრიჭა; რომ არ ეცნოთ“.

აღნიშნული პრინციპული შეხედულებანი საერთოდ ახასიათებს „საქართველოს მოამბის“ ლიტერატურულ კრიტიკას, ერთ მთლიანობაში

წარმოგვიდგენს მის კრიტიკოსთა ნაზრევს, მაგრამ, ამასთან ერთად, ჟურნალში დაბეჭდილ თითოეულ კრიტიკულ წერილს, თითოეულ კრიტიკოსს გააჩნია თავისებურებანი, საკუთარი თემა, იდეურ-ესთეტიკური ანალიზის ორიგინალური ხერხები.

ილია ჭავჭავაძე

„საქართველოს მოამბეზედ“

ილია ჭავჭავაძის წერილი „საქართველოს მოამბეზედ“ ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნდა და, მართალია, პირველ გვერდებზე არ დაბეჭდილა, მაგრამ ცხადია, რომ მას საპროგრამო მნიშვნელობა აქვს, ახალთაობის პოლიტიკურ და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ მანიფესტს წარმოადგენს. ვარიანტული ფრაგმენტები გვარწმუნებს, რომ ილია ხანგრძლივად (ორი-სამი წელი) მუშაობდა ამ სტატიასზე და მასში უაღრესად ლაკონიურად, ზოგადი დებულებების სახით გადმოსცა ახალთაობის შეხედულება-მისწრაფებანი. აზრის სიღრმით. ფილოსოფიური განზოგადებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიმახვილითა და თემის შესაბამისი სტილის სიდიადით ამ წერილს ბადალს ვერ ვუპოვით იმდროინდელ და წინსმწრობ ქართულ ჟურნალისტიკაში. ანტ. ფურცელაძეც კი, რომელიც მუდამ ტენდენციურად განიხილავდა ილიას თხზულებებს, ამ სტატიის შესახებ წერდა: „აღგვიქვამენ ყოველ რიგს სასარგებლო შრომას და ენერგიას შესახებ ჟურნალის კარგად გამოცემისას“¹.

როგორც ვთქვით, წერილში ჩამოყალიბებულია ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებები, რომელთა ანალიზი ნათელყოფს, რომ ავტორი ფილოსოფიაში მატერიალიზმის, ხელოვნებაში კრიტიკული რეალიზმის, ხოლო სოციოლოგიაში რევოლუციონურ-დემოკრატიულ პოზიციებზე დგას.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ბუნებასა და საზოგადოებაში ყველაფერი მარადიული მოძრაობა-განვითარების კანონს ემორჩილება. აწმყო, წარსული და მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების განუყოფელი ნაწილებია. განვითარების კანონით, ახალი ძველისაგან იღებს ყოველივე იმას, რაც კარგია, რაც ახლის შენებისათვის, წინსვლისათვის აუცილებელია. — უკუაგდება უარყოფითს, მოძველებულს, ზელისშემშლელს. ახლის გამარჯვება, ცხოვრების განახლება, ახალსა და ძველს შორის ბრძოლის შედეგია. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარ-

¹ „ცისკარი“, 1863, № 3.

რების იდეას ავტორი უპირისპირებს ბნელეთის მოციქულთა რეაქციულ თვალსაზრისს. რომ ყველაფერი უცვლელი და მარადიულია. აქ ილია ვრცლად შეეხო ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობის საკითხს და გაილაშქრა როგორც სუბიექტური თვალსაზრისის, ისე ობიექტივიზმის წინააღმდეგ. იგი მატერიალისტურად ამტკიცებს, რომ ყოფიერება, ცხოვრება პირველადია, საფუძველია, ხოლო ცნობიერება მეორადი, მასზე დამოკიდებულია, მისი ასახვაა. მაგრამ ილია ხაზს უსვამს ცნობიერების აქტიურ როლს, მის პირუკუ ზემოქმედებას ყოფიერებაზე, ცხოვრებაზე. ცნობიერება გავლენას ახდენს ცხოვრებაზე და ამ გავლენის ძალა იმით განისაზღვრება, თუ რამდენად სწვდება იგი მოვლენების სიღრმეს. მაგრამ ცნობიერებას არ შეუძლია თავს მოახვიოს „ცხოვრებას“ ის, რაც მისგან, მისი განვითარების ტენდენციიდან არ გამომდინარეობს. საზოგადოებრივ ცხოვრებას, — ამტკიცებს ის, — აქვს განვითარების შინაგანი კანონები. ადამიანმა, მეცნიერებამ უნდა აღმოაჩინოს ეს კანონები და მათი დახმარებით გარდაქმნას ცხოვრება, სინამდვილე. ეს ნიშნავს, რომ ილია საკმაოდ გრძნობს განვითარების დიალექტიკურ ხასიათს. მწერალს სწამს, რომ ცხოვრება ამ ურყევყოლოგიით მიიწევს წინ, პროგრესისაკენ და მისი წერილიც წინსვლის, პროგრესის პათოსითაა შთაგონებული. ამ პათოსმა შთაუწერა ილიას მტკიცე რწმენა: „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის დღეში არა!“

აღნიშნულ ფილოსოფიურ-პოლიტიკურ საფუძველს ემყარება ავტორის ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებანი. სტატიაში მატერიალისტურადაა განსაზღვრული მეცნიერებისა და ხელოვნების ამოცანები. მეცნიერულად არის დასაბუთებული კრიტიკული რეალიზმი, გარკვეულია ობიექტურ სინამდვილესთან ხელოვნების დამოკიდებულების, მისი საზოგადოებრივი დანიშნულების საკითხები.

ილია ასაბუთებს, რომ „ხელოვნება იბადება ცხოვრებისაგან და არსებობს ცხოვრებისათვის“. ავტორის მტკიცებანი უნდადაგოდ ტოვებს „წმინდა ხელოვნების“ ქურუმებს. მთელი მისი მსჯელობა მიმართულია იმის დამტკიცებისაკენ, რომ „...ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“.

როგორც ვთქვით, „საქართველოს მოამბეზედ“ ზოგადი ფილოსოფიურ-ესთეტიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი. მიუხედავად ამისა, ლიტერატურისა და ცხოვრების ურთიერთობის საკითხებზე ავტორი მაინც საგანგებოდ, ვრცლად და კონკრეტულად ჩერდება, ცდილობს კრიტიკული რეალიზმის არსებითს მომენტებზე მაინც გაამახვილოს მკითხველის ყურადღება. იგი წერს: „...დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუაჩიროს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბუღბუღ-

საერთო უაზრო შტევენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვქსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსახზარს და გამოსადეგსა“.

სხვათა შორის, ხელოვნების, ლიტერატურის ეს უტილიტალური გაგება ყველამ სწორედ როდი გაიგო. მათ, ვისი მსოფლმხედველობაც ის-ის იყო ფეხს იდგამდა, ილიას მოწოდება — „...ხელოვნებას მოვქსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა“, ნიჰილისტურად გაიგეს. ასე გაიგო ეს მოწოდება ანტ. ფურცელაძემ.

მოსაზრება თითქოს ანტ. ფურცელაძის ნიჰილიზმი დ. პისარევის გავლენით იყოს გამოწვეული, სწორად არ მიგვაჩნია. საერთოდ, ანტ. ფურცელაძე თავიდანვე მძლავრად განიცდიდა ილია ჭავჭავაძის გავლენას და მისი ნიჰილიზმის ძირითად წყაროს ილია ჭავჭავაძის სტატიის მითითებული ადგილის არასწორი, ცალმხრივი გაგება წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ, როცა ანტ. ფურცელაძის ვულგარულ-უტილიტარული თვალსაზრისი მკაცრად გააკრიტიკეს, თავის გასამართლებლად ის ილიას წერილის ზემოთ ციტირებულ ადგილზე მიუთითებდა. — მე რად მაყვედრით ნიკ. ბარათაშვილის ლექსებში „ლობიოს შეჭამადის“ ძებნას, — ილიაც ხომ ხელოვნებისაგან „ცხოვრებაში გამომცხვარ და მშვიერთათვის მოსახზარ პურს“ მოითხოვდაო.

ანტ. ფურცელაძე ივიწყებდა, რომ ილიას ეს საკითხი არასოდეს გაუშუქებია ცალმხრივად. იმავე წერილში იგი ამბობდა: „ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკვესავეთ ცხოვრება გარდმოიქცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოველად იყოს წამომდგარი, ჩვენ წინა, რათა სიტუდეც და სიკეთეც ჩვენში დაეინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვას“, „გაფლარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხეყნასა. რომ ჩემს საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენ გამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა ჰსწვავს და ცრემლს ადენსო; დროა, ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღრუქასა და თვალების სრესასა; დროა, ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში ის აპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა. არცერთის გამოსხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა“...

ილიას სწორი თვალსაზრისი ამ საკითხში იმითაც შეიძლება ავხსნათ, რომ იგი უშუალოდ ბ. ბელინსკის ეყრდნობა. რომლისთვისაც სრულიად უცხო იყო ნიჰილიზმი და ვულგარული უტილიტარიზმი. ზემოთ ციტირებული ადგილი თითქმის სიტყვასიტყვითი განმეორებაა ბ. ბელინსკის ერთ-ერთი სტატიის ნაწყვეტისა, რომელიც, სხვათა შო-

რის, „საქართველოს მოამბეშივე“ დაიბეჭდა („სფირიდონისა და თადე-
ოზის ბაასში“). აქ ბელინსკი ამბობს: „... სინამდვილე არის წმინდა
ოქრო, მაგრამ გამოურჩეველი, ერთად არეული ლითონი და მიწა: სწა-
ვლა და ხელოვნება განსწმენდნენ ოქროს სინამდვილისას, გადაადნობენ
და ჩაასხამენ ყალიბებში“.

საყურადღებოა, რომ ამ წერილში, „საქართველოს მოამბეზედ“,
რომელიც გაკვრით ეხება ლიტერატურის სპეციფიკის საკითხებს, ილია
ვრცლად შეჩერდა მწერლობის, ხელოვნების მამხილებელ დანიშნუ-
ლებაზე. ერთგან ის პირდაპირ აცხადებს: „მოამბე“ ხელოვნების შემ-
წეობით დაუნდობლად გამოჰყენს ჩვენი ცხოვრების ჭუჭყსაკო“. პე-
ორეგან ავტორი უფრო აკონკრეტებს ამ აზრს: „როდი უნდა იწყინოს
ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათაშორის ხელოვნების შინაგან-
ობით დაუნდობლად გამოჰყენს ჩვენი ცხოვრების ჭუჭყსაკა... ვისაც ძა-
ლიან ჰსძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი...“ შემდეგ მო-
ტანილია ნაწყვეტი მისი ლექსიდან („ჩემზედ ამბობენ ის სიცუდეს
ქართველისას ამბობს“). აღნიშნული საკითხით საპროგრამო წერილში
ასეთი განსაკუთრებული დაინტერესება გამოწვეული იყო არა მარტო
იმით, რომ ჟურნალის მომდევნო ნომრებში ილია ჭავჭავაძე ბეჭდავდა
„ჩვენი ცხოვრების ჭუჭყის გამომჟღავნებელი“ თავის ნაწერებს („კაცია-და-
მიანი?!“, „რამდენიმე სურათი... ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და სხვ.), არ-
მედ. და პირველ რიგში, იმით, რომ კრიტიკული რეალიზმის მამხილე-
ბელ ფუნქციას ილია ჭავჭავაძე გადამწყვეტ როლს ანიჭებდა.

როგორც ვნახეთ, ილია განუყოფლად მსჯელობს მეცნიერებასა და
ხელოვნებაზე, ყოფიერებისადმი მათს დამოკიდებულებაზე, საზოგადო-
ების განვითარებაში მათს როლზე. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ილია ქადა-
გებს მეცნიერებისა და ხელოვნების იგივეობას და ვერ არჩევს მათს
სპეციფიკას?

ამ კითხვის დასმა მით უფრო აუცილებელია, რომ წერილი „საქარ-
თველოს მოამბეზედ“ ვრცლად არ აშუქებს ხელოვნების სპეციფიკის
საკითხებს. ილიასაც უგრძობია ეს და საჭიროდ მიუჩნევია განმარტება,
რომ მხედველობაში აქვს მეცნიერებისა და ხელოვნების საზოგადოებ-
რივი დანიშნულება: „მეცნიერება და ხელოვნება — ეს ორივე ერთ და
იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას: ერთ და იგივეს გამოსთქვამენ:
ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვა
და სხვა გზით და სხვა და სხვა ნაირად მოქმედებენ და გამოჰქვამენ“.

მეცნიერებისა და ხელოვნების საზოგადოებრივ დანიშნულებაზე ასე
განუყოფლად მსჯელობს ბ. ბელინსკიც, კერძოდ, იმ ნაწყვეტებშიც,
რომლებიც „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა. „სწავლა და ხელო-
ვნება განსწმენდნენ ოქროს სინამდვილისას“, — ნათქვამია აქ. ეს აზრი
ბელინსკის, შეიძლება ითქვას, უკიდურესობამდეც კი აქვს განვითარე-

ბული. იგი წერს: „პოეზია და სწავლა ერთი და იგივე არის, თუ რომ სწავლაში არ ჩაევაგდებთ მხოლოდ ერთს ცოდნის სქემასა, არამედ შეგნებას მათში მიმალულის აზრებისას. პოეზია და სწავლა ერთი და იგივე არის, თუ სწავლაში ჩაევაგდებთ მთელს სისრულეს ჩვენი სულის არსებობისას“... როგორც ვხედავთ, ძნელად მისაწვდომ ფორმაში, მაგრამ, მაინც აქ ლაპარაკია არა გაიგივებაზე, არამედ შინაარსის, დანიშნულების ერთობლიობაზე. წერილში „Взгляд на русскую литературу 1847 года“ ბ. ბელინსკის მკაფიოდ აქვს ეს აზრი განმარტებული: „...Сознанию искусство может способствовать не меньше науки. Тут и наука и искусство ровно необходимы, и ни наука не может заменить искусство, ни искусство науки“.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ილიას აუცილებლად მიუჩნევია კვლავ მიბრუნებოდა ამ საკითხს. იგი წერს: „...მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალს ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა“.

კრიტიკოსი, როგორც ჩანს, ვერც ამ მოკლე განცხადებას დაუკმაყოფილება და მკითხველს ჰპირდება, მეცნიერებისა და ხელოვნების სპეციფიკის საკითხებს შემდეგ ნომრებში შეეხვედებითო: „...მოგვიტყევოს მკითხველმა, რომ მეცნიერება და ხელოვნება — ეგ უდიდესნი საგანნი — ისე ვაკვრით მოვიხსენიეთ ამ სტატიაში. ჩვენი სურვილი ის იყო, რომ გვეჩვენებინა არა მთელი სრული არსებითი ვითარება, რომელშიც ჩვენს „მოამბეს“ კიდევ ბევრჯერ შეხვედება შემდომშიც ლაპარაკი, არამედ მარტო მათი დანიშნულება, ე. ი. რომ იგინი, ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონისძიებანი, რომელნიც გვშველიან ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გამოყვანასა (ხაზი ჩემია. — ა. კ.).“

„სფირიდონისა და თადეოზის ბაახი“.

საპროგრამო წერილში („საქართველოს მოამბეზედ“) მკითხველთათვის მიცემული დაპირება ილია ჭავჭავაძემ შეასრულა ლიტერატურულ-კრიტიკულ ფელეტონებში, რომლებიც „სფირიდონისა და თადეოზის ბაახის“ სახელწოდებით დაიბეჭდა ყურნალის მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 ნომრებში. მიმზიდველად, დრამატული სცენების ფორმით, ნათელი, ძარღვიანი ენით დაწერილმა ფელეტონებმა იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

ეს ფელეტონები ხანგრძლივი (ოთხი-ხუთი წლის) მუშაობის ნაყოფია: ამ თხზულების ფრაგმენტების, ვარიანტთა ცალკეული ნაწყვეტების შედარება, ერთი მხრივ, სტატიასთან „საქართველოს მოამბეზედ“,

ხოლო, მეორე მხრივ, ჩიტორელიძის ფელეტონებთან, ნათელყოფს, რომ „ცისკრის“ ბანაკთან გაჩაღებული პოლემიკის დროს ილიას გადაუწყვეტია ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ასპექტში დაწერილებით განეხილა ერთადერთი ქართული ჟურნალის ავ-კარგი და ეჩვენებინა ქართული ლიტერატურის წინსვლის გზები. ამ მიზნით მას გულმოდგინედ შეუსწავლია „ცისკრის“ მთელი მხატვრული მასალა მისი დაარსებიდან (1857 წლიდან) 1863 წლამდე და ერთ-ერთი ვარიანტის (ავტოგრაფის) მიხედვით, თხზულებისათვის უწოდებია „ცისკარი“ 1857-დან 1863 წლამდინა“. შემდეგ ილია მორიდებია პოლემიკის გამწვავებას, ნაშრომის ზოგადი ნაწილი თავისი ჟურნალის საპროგრამო წერილად გარდაუქმნია, ხოლო კონკრეტული ფაქტები, წმინდა კრიტიკულ-ლიტერატურული მასალა ჩიტორელიძის „ფელეტონებში“ გამოუქვეყნებია. ასე რომ, ეს ორი თხზულება ერთმანეთს ავსებს, — „ფელეტონები“ პირველი სტატიის („საქართველოს მოამბე-ზედ“) ზოგად დებულებათა კრიტიკულ-ლიტერატურული ილუსტრაციაა. აქ ავტორმა შეგნებულად მიმართა ფელეტონს, რომელიც საშუალებას აძლევდა მწვავე შენიშვნებისათვის ოდნავ ლმობიერი კილო მიეცა, თავისი მოსაზრებანი უფრო შთამბეჭდავად, მხატვრულად გადმოეცა, პრინციპული, რთული ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი საყოველთაოდ გასაგები გაეხადა. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მაშინდელ რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ პრესაში კრიტიკული წერილები ხშირად იბეჭდებოდა ფელეტონის სახით. ამ ფორმით გამოქვეყნდა, მაგალითად, ჩერნიშევსკის „რუსი ადამიანი რანდაუზე“ და „გულწრფელობის შესახებ კრიტიკაში“, სალტიკოვ-შჩედრინის — „წერილები ბიცოლასადმი“ და სხვ.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ხელოვნების, კულტურის, ლიტერატურის, კრიტიკის, ენის, საზოგადოებრივი ცხოვრების, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, აღზრდის, ჟურნალისტიკის საკითხთა მეტად ფართო წრეს მოიცავს. ზოგან ავტორს განმეორებული აქვს აღრინდელ წერილებში გამოთქმული შეხედულებანი, რათა აქ უფრო მკაფიოდ, ღრმად დაასაბუთოს და ცოცხალი მაგალითებით განამტკიცოს ისინი. ლიტერატურის, კრიტიკის მთელ რიგ პრინციპულ, კონკრეტულ საკითხებში ჟურნალის პოზიცია მხოლოდ ამ ფელეტონებშია გადმოცემული. მხატვრული ღირსებითაც ჩიტორელიძის ფელეტონები საყურადღებო ლიტერატურულ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ. ეს ცოცხალი, მსუბუქი იუმორგადეგნებული დრამატული სცენები მახვილგონივრულ დიალოგზეა აგებული, რაც მკითხველს შეუმჩნევლად ითრევს სერიოზულ მსჯელობაში. დიალოგი მიმდინარეობს ორი თაობის წარმომადგენელს — სფირიდონსა და თადეოზს შორის. სფირიდონი ახალთაობის კაცია, ხოლო ბიძამისი თ-

დეოზი, მართალია, ძველი წესისა და რიგის დამცველია, მაგრამ გაჯი-
უტებული არ არის: გაუნათლებელია, გონებაშეზღუდულია, ახალს
ყველაფერს ეჭვით უყურებს, მაგრამ ცნობისმოყვარეა და სურს ყვე-
ლაფერი სწორად გაიგოს. სფირიდონიც სარგებლობს ამ ცნობისმოყვა-
რეობით და დინჯად, მშვიდი ტონით, დაწერილებით უხსნის მას ახალ-
თაობის შეზღუდულებებს. თადეოზი, რომელსაც ბევრი რამ საერთო აქვს
ლუარსაბ თათქარიძესთან, მას ვერაერთარ წინააღმდეგობას ვერ უწ-
ევს; მისი მოსაზრებანი მეტად უმწეო და უსუსურია.

თადეოზი ამბობს, რომ სწავლა-განათლებაზე დრო არ დაუკარ-
გავს: „მაგას რომ გამოვდგომოდი... აქამდისინ ხსენებაც აღარ იქნებო-
ბოდა ჩემი. მაგრამ აი, ხედავ, ჩემის გულჯრილობით ასე მოუთარე ჩემს
თავს, რომ ეხლა ჯანზედაც კარგათა ვარ“. იგი გაკვირვებულია, რომ
ეხლა „ყველა წინ მიდის, ყველა სწავლაშია. ერთი ბეწვა ბავშვები, გა-
მოწივიან (თუ არა), აქეთ გაზეთებსა კითხულობენ, იქით წიგნებსა“.

თადეოზი სთხოვს თავის ძმისშვილს „...ვადმოირბინე ხოლმე ერთს
წუთსა და გარკვევით შემატყობინე ხოლმე ე მაგ „ცისკრის“ აზრიო“.

ამასთან დაკავშირებით, უნდა ვთქვათ, რომ ჩიტორელიძის ფელე-
ტონები დათარიღებულია „1861 წ. თიბათით“, ე. ი. იმ დროით, რო-
ცა „ცისკრის“ ფურცლებზე ახალ და ძველ თაობებს შორის მწვავე პო-
ლემიკა იყო გაჩაღებული. ცხადია, აქ ჩვეულებრივ ფელეტონურ ხერ-
ხთან გვაქვს საქმე, მაგრამ ზოგიერთმა მეკლევარმა 1861 წელი მართ-
ლა თხზულების დაწერის თარიღად მიიჩნია, შინაარსიდან კი ნათლად
ჩანს, რომ ფელეტონები 1863 წლამდე იწერებოდა. მაგალითად. სფი-
რიდონი აკრიტიკებს ალ. ორბელიანის ერთ მოსაზრებას და მოაქვს ცი-
ტატა მისი წერილიდან „რედაქტორთან“, რომელიც 1862 წელს დაი-
ბეჭდა: ჩიტორელიძე კი ამბობს ამ წერილზე: „შარშან თუ შარშანწინ
ვიღაცამ გამოაცხადა ამ ჟურნალშიო“. იქვე გაკრიტიკებულია მოლაყ-
ბის 1862 წლის ოქტომბრის ფურცლები და ა. შ.

ამრიგად, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ აგრძელებს და აგ-
ვირგვინებს ილია ჭავჭავაძესა და ძველ თაობას შორის 1861 წელს
„ცისკარში“ გამართულ პოლემიკას. მაშინ გავლენიან პირთა ჩარევით,
პოლემიკა ნაადრევად შეწყდა და ილიას საშუალება არ მიეცა დაებტუ-
და საპასუხო წერილები, გაებათილებინა მოწინააღმდეგეთა არგუმენ-
ტები. ჩიტორელიძის წერილები ამ ხარვეზს ავსებს. ფელეტონური ხერ-
ხების გამოყენება ავტორს შესაძლებლობას აძლევს თავის თავზე ისე
ილაპარაკოს, როგორც მესამე პირზე.

ამ დავიანებულ პასუხში ილია არცერთს თავის მოწინააღმდეგეს არ
ტოვებს უყურადღებოდ, ააშკარავენს მათ ჩამორჩენილობას, მათი შე-
ზღუდულებების მცდარობას... „აი, ეხლა ჭავჭავაძემ დასწერა ერისთავის
ნათარგმანეზედა კრიტიკული განჩევა, კილოკავად გაჰქენწლა თხზუ-

ლება კნ. ბარბარე ჟორჯაძისა და ამასობაში გაიმართა ჩვენებური ბა-
სი. დახე, მცირედი საქმისაგანა რა ამბავი მოხდება, ერთის ნაპერწყ-
ლითა მთელი ბულული გადაიწვის ხოლმე. ამასთანავე, მეორე შემთხ-
ვევაც მოგახსენოთ: თ. გ. ბარათაშვილს ძალათი დააწერივნეს კრიტიკა,
ამის დასამტკიცებელი თვითონ ავტორის სიტყვები გახლავთ“.

თადეოზი, მართალია, ვერაფერში ერკვევა, მაგრამ მაინც ილია ჭავ-
ჭავაძის წინააღმდეგია, იგი შეშფოთებულია პოლემიკის შედეგად გაე-
რცელებული ათასგვარი ხმებით და საყვედურობს: „...კრიტიკებით
აამსეს ეს ჟურნალი. გადააბრუნებ, კრიტიკა დაგხვდება, გადმოაბრუ-
ნებ, მაინც კრიტიკა... განა ჩვენ არა ვიცით რა, მაგრამ ჩუმათა ვართ,
არც ჭვეყანას ვაწუხებთ და არც ვისმე ვაწყენინებთ. აი, ეხლა რანაი-
რად შეებნენ ერთმანეთსა: ჭავჭავაძე, ერისთავი, კნენია ჟორჯაძისა და
ბარათაშვილი... რანაირად ებრძვიან ერთმანეთსა... ზოგი იძახის, ასო-
ები აღარ გვინდა, ზოგი იძახის — ანბანი უნდა გამოიცვალოსო; ეს არ
მოგეწონსო,რაღაებსაც ამბობენ... მაგრამ სამართლიანად დაუწერეს
კრიტიკა ილია ჭავჭავაძეს. ასე ურჩევნია!“

სფირიდონი იცავს ილია ჭავჭავაძეს (ე. ი. თავისთავს), ასაბუთებს
მის მოსაზრებებს, აურაცხელი მაგალითით ამტკიცებს კრიტიკის აუცი-
ლებლობას, სარგებლიანობას, დასცინის ერთმანეთის შეცდომებზე
ხმის ამოუღებლობას ან მლიქვნელობას, პირფერობას; მოითხოვს პირ-
ში თქმას, მხილებას. თადეოზის წამოძახილზე — „კრიტიკა ლანძღვა-
აო“, — სფირიდონი ამომწურავად უხსნის მას, რომ კრიტიკა არას-
დროს არ არის ლანძღვა და დაცინვა (ეს, ჩვენი აზრით, პასუხია „ცის-
კრის“ რედაქციის იმ „შენიშვნაზე“, რომელიც ი. ჭავჭავაძის „პასუხს“
ჰქონდა დართული 1861 წ. ივნისში).

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ განსაკუთრებით იმით არის
საინტერესო, რომ არც ი. ჭავჭავაძის დანარჩენ, არც იმდროინდელ სხვა
ავტორთა ნაწერებში არ მოიპოვება კონკრეტული მხატვრული მასალის
ასე ფართო, ყოველმხრივი კრიტიკული განხილვა. ეს არის ესთეტიკურ-
იდეური კრიტიკის ბრწყინვალე ნიმუში. ჩამორჩენილ ლიტერატურულ
მიმდინარეობათა უნიადაგობის ჩვენება, ლიტერატურის საზოგადოებ-
რივი დანიშნულების მოთხოვნა, კრიტიკული რეალიზმის პრინციპების
დამკვიდრებისათვის ბრძოლა აქ დამყარებულია ცალკეულ მწერალთა
შემოქმედების, ცალკეულ ნაწარმოებთა დამაჩერებელ, ღრმა იდეურ-
მხატვრულ ანალიზზე. ილიამ პირველ კრიტიკულ წერილშიაც („შემ-
ლილის“ თარგმანის გარშემო) მოგვცა ზოგიერთი მწერლის (კოხლო-
ვის, კარაშინის, ბაირონის) შემოქმედების შეფასება, მაგრამ თემის
ხასიათი ნებას არ აძლევდა ვრცლად გამოეთქვა თავისი შეხედულება-
ნი. „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“, დადებითისა და უარყოფი-
თის დაპირისპირების შექმნე, მხატვრული ანალიზის ისეთი ნიმუშები

მოგვცა, რომლებიც უბადლოდ უნდა მივიჩნიოთ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში.

კრიტიკოსი თავს ესხმის უიდეო, უსარგებლო, „ტენისის ჭყლეტით“ გამოგონილ ნაწარმოებებს და სამაგალითოდ განიხილავს კომაროვის „მილორდ გიორგის“, რომელიც ქართულ ენაზე ხელნაწერებით იყო გავრცელებული „მილორდიანის“ სახელწოდებით. ილია დასცინის უსაქმურ არისტოკრატებს, რომლებიც ამდენ „ჯაფასა სწევენ იმის გადაწერაზედ“. „ის არა სჯობია... — დაასკვნის ავტორი, — ...რომა ამისთანა ზღაპრების თარგმნასა და ბეჭდვასა, თუ მოცალემა, შეძლება, ხალისი და მოხერხება აქვს კაცსა, მოაგროვოს ჩვენი ქართული ზღაპრები და დაბეჭდოს? მე მგონია, ეს უფრო სასარგებლო იყოს“.

ლიტერატურული გემოვნების დაცემის, ცხოვრებისაგან მწერლობის მოწყვეტის, უურნალის მიერ ხალხის ინტერესების გაუგებრობის დადასტურებად მიაჩნია ილიას „ცისკარში“ დაბეჭდილი მოთხრობა „მხეცური შურისგება“. კრიტიკოსი კვალდაკვალ მიყოლებული შენიშვნებით ააშკარავებს სიუჟეტის მხატვრულ სიყალბეს, ეპიზოდების არაბუნებრიობას, მწერლის თვითნებობას; ცხადყოფს, რომ არც ერთი გმირის მოქმედება არ არის მოტივირებული. მწერალი ვერ გრძნობს მოქმედების განვითარების ტენდენციას. მისი გმირები მოქმედებენ არა თავიანთი ხასიათისა და სიტუაციის შესაბამისად, არამედ ისე, როგორც მწერალს მოესურვება. მკითხველი ვერ გაიგებს, „როგორ, რის მიზეზით“ მიღწეა ჯორჯინამ ცოლად გაყოლის პირობა ჯულიოს და რატომ უღალატა შემდეგ. ძალად დახლართული ამბისა და უღიმიამო, ზედაპირული აღწერის გამო ვერაფრითაა შთაბეჭდილებას ვერ ახდენს ჯულიოს მიერ ჯორჯინას წამება და ჰენრიხის (ჯორჯინას ქმრის) მოკვლა. ასეთმა „საკვირველმა“ მონაპორებმა, სენსაციურმა თავგადასავლებმა დიდი ხანია დაკარგეს მკითხველზე ზემოქმედების ძალა... „ამისთანა ამბავი იტალიაშიც მოსწყინდათ... აღარა კითხულობენ ამისთანა საშუალო საუკუნეების თავრეტიანობის ამბავსა“.

ლიტერატურულ ნაწარმოებს უნდა ჰქონდეს ნათელი აზრი, იდეურ-მხატვრული კონცეფცია, უნდა ეხმაურებოდეს ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, ზრდიდეს, სწორ გზაზე აყენებდეს საზოგადოებას. „ან კი რა უნდა მოგვეწონოს ამ თხზულებაში? — დაასკვნის ილია, — ჯულიო მხატვრის ყოჩაღობა ხომ არ უნდა მოგვეწონოს, რომელმაც თავისი მიჯნური ხანჭლებით დაჩხვლიტა; ან იმისი მხატვრობის ხელოვნება ხომ არ უნდა მოვიწონოთ. რომ წამებული ქალის სურათის დასახატავად... ცოცხალი ქალი სტანჯა; ან რა გმირი არის უფალი კაპიტანი ჰენრიხი, რომელიცა დადიოდა და ყვიროდა... რომ ჯორჯინას ის უყვარდა და ამის დამამტკიცებელ საბუთად ჯორჯინას მიცემული ბეჭედი ყელზე ეკიდა და ნაცნობსა და უცნობს უჩვენებდა. რა კარგი, სა-

მაგალითო... კაცი ყოფილა! რა ზნეობითი სწავლა უნდა გამოიყენოს წამკითხველმან ამისთანა მხეცური ამბავთაგანა! ღმერთმა ნუ ქნას და ისეთმა თავრეტიანმა კაცმა რომ წაიკითხოს, რომელსაც ყოველი დაბეჭდილი სიტყვა დიდ ქეშმარიტებად მიაჩნია, ხომ გადაუქცევს კარგი გზიდან. ვინ იცის, რა ცუდ, გამოუტყვეველს ბურანში შეიყვანოს ის კეთილი კაცი, თუ მომატებული გამსჯელობა არა აქვს... რომელი ქართული ზღაპარი არის ამაზე მდარე, თუ მეტადრე კარგი მოლაპარაკეც ამბობს, ისე მოგტაცებს გონებასა, რომ სულაც რომ არ გინდოდეს ყურის ვღება, მაინც გაგაბამს მახეში. დაუგდებ ყურსა და ელი რა მომხდარა ამა და ამ საქმის შემდგომ... ის (თხზულება) არის კარგი, რომელშიც ძვეს რომელიმე აზრი, აქვს რამე საგანი. თუ ესეც არ არის, სულ უკანასკნელი, ერთი ის ღირსება მაინც უნდა ჰქონდეს, რომა კარგად იყოს მოწყობილი და სასიამოვნო ენა ჰქონდეს, ლაპარაკი იყოს კარგად მოხერხებული, შნოიანად“.

თადეოზის თხოვნით, სფირიდონი განიხილავს და აფასებს „ცისკარი“ დაბეჭდილ ლექსებს, მოთხრობებსა და კრიტიკულ წერილებს. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს ნაწარმოებები შექმნილია არა ქეშმარიტი შთაგონებითა და მოწოდებით, არამედ ნაძალადევად, თავის გამოჩენის სურვილით. მას მკითხველის შეურაცხყოფად მიაჩნია გიორგი თუმანიშვილის ლექსი — მიძღვნა ბარბარე ჯორჯაძისადმი („უცხო კალმითა განგვინათლე მარტის „ცისკარი“...) ვაინაჩრობით გალექსილ არზას უწოდებს ან ნაცოდვილარს. მწერალმა მაშინ უნდა მოჰკიდოს ხელი კალამს, როცა მას გულს უნგრევს სათქმელი, როცა ფიქრი, აზრი და გრძნობა მოეძალება... „აზრი უნდა გამოიმდინარეობდეს ლაღად, თავისთავად გონებითგანა, სადაც არის მოგროვებული და დიდხანია აპირებს გამოხეთქასა, როგორათაც დაგუბებული წყალი... ძალად გამოყვანილს წყალს წისქვილის დაბრუნება არ შეუძლიან“. ენება რა გრ. ბარათაშვილის სტატიას, კრიტიკოსი უშუალოდ იჭრება შემოქმედებითი პროცესის არაში. ზოგ კალმოსანს, მისი აზრით, მუზის წვევა ისე წარმოუდგენია, რომ გონება, საღი აზრი უნდა დააკარგეინოს, გააგიყოს, თვალუბი გააშტერებინოს და ის წამოაროშეინოს, რასაც არცერთი ნორმალური ადამიანი არ იტყვის. ასეთი კალმოსნები ძალად იგიუიანებენ თავს და ისეთ სისულელეებს წამოროშავენ და ისეთი ენით, რასაც ჩვეულებრივ, ნორმალურ მდგომარეობაში თვითონაც არასოდეს არ იტყვიან. გრ. ბარათაშვილის სტატია იძულებით არის დაწერილი, იძულებით კი ლიტერატურული ნაწარმოები არ შეიქმნება.

კრიტიკოსი დაწერილებით არჩევს ივ. კერესელიძის „მოგზაურობას“; ნათელყოფს, რომ მის ავტორს არ გააჩნია დროისა და ადგილის გრძნობა, არ ეხერხება სინამდვილის მრავალფეროვნებაში გზის გაკვლევა, ვერ პოულობს მოვლენათა აღწერა-დანახიათების საყრდენ წერ-

ტილს და ამიტომ მის ნაწერში არ ჩანს ცხოვრება, უშუალობა, მხატვრული განცდა. ლიტერატურული ჟურნალის პროფილისათვის შეუფერებლად მიიჩნია ილიას ი. მამაცამვილი წერილი — „პირუტყვით მოშენება“, ხოლო ალ. სულხანიშვილის სტატიას — „აზრი აღზრდასა ზედა ყრმათათა ევროპაში“ ხალხის ინტერესების საზიანოდ თვლის (პედაგოგიურ თხზულებათა მნიშვნელობაზე ზუსტად იმეორებს იმ აზრს, რომელიც „კონრად კიფერის“ წინასიტყვაობაში გამოთქვა). ამ წერილის ენის, შინაარსისა და მიმართულების სიმახინჯის ნათელსაყოფად ოსტატურადაა გამოყენებული პაროდია. კრიტიკოსი მხოლოდ უარყოფით მოვლენებზე როდი ამახვილებს ყურადღებას. მას მოსწონს სამ. აბაშიძის თარგმანი („ნამდვილი შემთხვევა“), აქებს რაფ. ერისთავისა და გრ. ორბელიანის ლექსებს. მაგრამ, ლიტონი განცხადებით არც იქ იზღუდება, — ფსიქოლოგიური ანალიზით სწვდება პოეტის სულიერ სამყაროს, ნათელყოფს უნაზეს განცდათა მხატვრული ასახვის მომხიბლობას. „აქ არის ორი ლექსი, ... წერს ის, — „ნამაზობი მოხუცისა“ და „გამოსალმება“. პირველია თხზულება თავ. რაფიელ ერისთავისა და მეორე თ. გრიგოლ ორბელიანისა. ეს ორი თხზულება ვალექსილია კარგის ხელოვნებითა და გრძნობით, მეტადრე „გამოსალმება“, მოკლედ და მკაფიოდ გამოგჩატამთ ადამიანსა ნამდვილი გრძნობის მქონესა, რომელიც მიმავალია შორს სადმე და ესალმება თავის სატრფოს და იქამდისინ გულმოწყულულია საყვარელის (ადამიანის) განშორებითა, რომ გულში აღმური უტრიალებს და თავისი წვა და დაგვა ვერ წარმოუთქვამს, რადგანაც გული შეჰქმნია ქვად და გრძნობა ცეცხლად აღგზნებია. შემკრთალს და შეჰკირვებულსა ვერ უპოვნია სიტყვა თავისი გრძნობის გამოსათქმელად. მხოლოდ ამ შემთხვევაში, ე. ი. გამოსალმებინ დროს, უძღურს გულს გადმოვიდინება. ცრემლი და იმითი ჩაქრება მკმუნვარების აღი... ეს გრძნობა აღვილი მისახვედრია“.

კრიტიკოსს გული სტკივა, რომ ასეთ კარგ ლექსებს იშვიათად შევვდებით ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში. „პოეტები მრავალნი არიან, მაგრამ პოეტური ნიჭი ცოტასა აქვს“... ზოგს კი „ყველა ლექსი პოეზია ჰგონია და დამწერს პოეტს ეძახის“... სინანულს გამოთქვამს, რომ ქართულ მწერლობაში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ეპოსს, ჩამორჩენილია პროზა; დრამატურგია.

ლიტერატურის არსისა და მისი მაღალი დანიშნულების ცხადსაყოფად, ხშირად ილია სიტყვას აძლევს ბ. ბელინსკის. ჟურნალის მე-8 ნომერში დაბეჭდილი ფელეტონი მთლიანად ბ. ბელინსკის ნაწარმოებების თარგმანს შეიცავს. „მე გადმოგითარგმნით ბელინსკის თხზულებათაგან ერთ სტატიას პოეზიაზეო“, — ეუბნება სფირიდონი თადეოზს და მოაქვს ვრცელი ამონაწერები (გამოკრებით) დიდი რუსი კრიტიკოსის წერილიდან „მ. ლერმონტოვის ლექსები“, თადეოზს უპირს ამ ციტატე-

ბის გაგება და საყვედურობს: „იმოდენა ილაპარაკე, რომა კინაღამ დამეძინა; ყურისგდება მიყვარს, მაგრამა არც ეგრე გაჭიანურებული ვარგაო“. ზოგან, ავტორი საკუთარი სიტყვებით, რაც შეიძლება მსუბუქად, გადმოსცემს ბელინსკის შეხედულებებს ხელოვნებაზე, პოეზიაზე, პატრიოტიზმზე.

ზოგან ილია სიტყვა-სიტყვით იმეორებს საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ“, გამოთქმულ ზოგად დებულებებს ხელოვნებისა და მეცნიერების შესახებ, რათა კონკრეტული მასალით დაასაბუთოს ისინი („უკანონოდ და უმიზეზოდ არაფერი არც გაჩენილა, არც გაჩნდება“ და სხვ.).

ლევან ასათიანი ჩიტორელიძის ფელეტონების ნაკლად თელის მათს ჯდიდ მოცულობასა“ და „სატირის სისუსტეს“,¹ მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკული წერილია და არა იუმორისტული ფელეტონი, იგი მიზნად ისახავდა არა დაცინვასა და მოჭრილ დეკლარაციას, არამედ ფართო წრეებში ახალი თაობის ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებების პროპაგანდას, მწერლობაში ახალი იდეების დამკვიდრებას.

„სხარტულა“

ლიტერატურულ-კრიტიკული პოლემიკის მწვავე სატირულ ფორმას ილია ჭავჭავაძემ მიმართა „სხარტულაში“, რომელიც ჟურნალის მე-7 ნომერში დაიბეჭდა.

„ცისკრის“ 1863 წლის მარტისა და ივლისის ნომრებში ანტ. ფურცელაძემ ვრცელი წერილები გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბის“ შესახებ. იგი დაწერილებით იხილავდა თერგდალეულთა ჟურნალში დასტამბულ ნაწერებს და ტენდენციურად აფასებდა ი. ჭავჭავაძის, ნიკ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, დავ. ყიფიანის, დიმ. ყიფიანისა და სხვათა თხზულებებს. ანტ. ფურცელაძის წერილები, რომლებშიც უთუოდ ჩანდა ენერგია, ნიჭი, ახალთაობის იდეური შემართება, გავლენას ახდენდა მკითხველ საზოგადოებაზე და სახელს უტეხდა „საქართველოს მოამბეს“. მარტის წერილი „საქართველოს მოამბემ“ თითქმის უყურადღებოდ დატოვა, მაგრამ ამით გათამამებული „ცისკრის“ კრიტიკოსი ივლისში ახალი ძალით ეკვეთა თერგდალეულთა ორგანოს. წაყრუება უკვე საზიანო იყო „საქართველოს მოამბისათვის“. ან. ფურცელაძესთან სერიოზული კამათის გამართვა, მისი ყოველი ბრალდების სათითაოდ განხილვა-უპარყოფა დიდ დროს მოითხოვდა, ერთბაშად ყველა მკითხ-

¹ ლ. ასათიანი, ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, 1955, გვ. 186.

ველსაც ვერ დაარწმუნებდა და ამიტომ ილიამ სატირულ ფელეტონს მიმართა.

როგორც ცნობილია, ბ. ბელინსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოწინააღმდეგეთა, უნიჭო თხზულებათა და ავტორთა განმაქიქებელ-გამაბიაბრებელ წერილებს. ასეთი ფელეტონები მკითხველს ძალიან მოსწონსო, — ამბობდა ის. გასაოცარი იუმორითა და სატირით სავსე, „მეხის სიტყვით“ დაწერილმა „სხარტულამ“ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, რომ ანტ. ფურცელაძემ და „ცისკარმა“ არამც თუ ყოველგვარი კრიტიკის ხალისი დაკარგეს, ხალხში თავის გამოყოფისაც რცხვენოდათ. აღსანიშნავია, რომ დიდი ხნის შემდეგაც მკვლევარები ამ ფელეტონის მიხედვით მსჯელობდნენ (ხშირად უსამართლოდაც) „ცისკარზე“, ივ. კერესელიძეზე, ანტ. ფურცელაძეზე, იმდროინდელ პოლემიკაზე.

ამ ფელეტონის მიზანდასახულობას ილია ასე გვიხსნის შესავალში: „ზომას რომ არ გადააცილონ სიხარული „ცისკრის“ დარბაისელმა რედაქტორმა და მისმა აიარმა ქარიანმა ბეჭამ (ანტ. ფურცელაძე. — ა. კ.), მე მინდა ისე, ოხუნჯობის გადავამტერიო ის ღობე, რომლის იქიღამაც დამალულია ბეჭა და კენჭებს ისვრის და უკვირს კიდევ, რატომ ამ კენჭებით ქვეყანა არ ირყევაო. იმასთან „სერიოზნად“ ლაპარაკს თავილობს... „მომამბე“... ამიტომაც მე ვისურვე ისე, სხარტულა ოხუნჯობით იმის შეცნეირების წარმოდგენა... ისეთის თავმოწონებით მოაქვს თავი, ისეთის გაბედვით ლაპარაკობს ფილოსოფიაზედ, პოეზიაზედ... რომ ლმობიერ „ცისკრის“ მკითხველებს მართალი ეგონებათ, რომ ორში თუ სამში ისიც ბრძენი ყოფილაო. მეტის მეტია, ბატონო, მეტად კადნიერად კუნტრუშობს საზოგადოების წინაშე“.

„სხარტულაში“, ისე როგორც „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“, მაგრამ გაცილებით უფრო მწვავედ. გამათრახებულია ანტ. ფურცელაძის, ივანე კერესელიძისა და „ცისკრის“ სხვა თანამშრომელთა (გრ. ბარათაშვილის, დ. ბერიევის და სხვ.) ნაწერები. ნაჩვენებია ცალკეულ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული უსუსურობა, მათი ავტორების უმწეობა, საზოგადოებრივი ინტერესების შეუგნებლობა. გამოაშკარავებულია ანტ. ფურცელაძის კრიტიკული წერილების ტენდენციურობა, მათი ვულგარული უტილიტარიზმი და ნიჰილიზმი. ფელეტონის ავტორს სრულ აბსურდამდე დაჰყავს მოპაექრის შეხედულებანი და ამ ჰიპერბოლით დაუვიწყარ პაროდიას ქმნის ნიჰილისტ კრიტიკოსზე, რომელიც ნიკ. ბარათაშვილის გენიალურ ლექსებში „ლობიოს შეჭამანდს“ დაეძებს და გაჰყვირის: არაფრად არ ვარგა ეს ლექსები — კუჭი არ გამიძლოო.

„ცისკრის“ რედაქტორი მაინც არ არის ანტ. ფურცელაძის კმაყოფილი, იგი მეტ ტენდენციურობას მოითხოვს მისგან: შენ არ იცი,

რომ რუსთაველიც რომ ადგეს საფლავიდან და „მოამბეს“ დაეხმაროს, ისიც უნდა ლანძღოთ“.

ფელეტონის ილიერება ემყარება მოწინააღმდეგეთა ნაწერებში აღმოჩენილ ულოგიკობას, უსისტემობას, მთლიანი და ნათელი ესთეტიკურ-იდეური კონცეფციის უქონლობას, ლიტერატურული პლაგიატის გამოვლინებას. ბაქია იკვების: „ცისკრიდან“ მომარაული ყუმბარები დავაყარე მარტსა და იელისში „მოამბესო“, — ხოლო ივ. კერესელიძე ბაზარში წასასვლელად ემზადება, იქნებ რომელიმე ძველი თხზულება ვიშოვო, გადმოვთარგმნი და ჩემი სახელით დაებეჭდავ, როგორც „შვილი უმანკობისა“ დავბეჭდე, ქართველები მაინც ვერ გაიგებენო. „სხარტულაში“ ბაქია წარმოდგენილია დილეტანტად, რომელსაც არა აქვს კრიტიკოსისათვის აუცილებელი ცოდნა და გემოვნება. მას პირადი მტრობა ალაპარაკებს; ზოლო ასეთი გაბოროტება კრიტიკოსისათვის ცუდი შრჩეველია.

ამ ფელეტონშიც შემოქმედებითი პროცესი ილიას ესმის, როგორც ღრმა აზროვნება და განცდა; დასცინის „ცისკრის“ რედაქტორსა და მის ბაქიას, რომლებსაც მუზა ჭკუიდან შერყევის მოცაქულად მიანიხნიათ... „აი, მიყურე, — უბრძანებს რედაქტორი ბაქიას, — ზეგარდმო შთაგონება მამდის (მართლა თვალებს აბრიალებს, თმას იწეწს, სალოკ თითს ბაქიასაკენ აშვერს და ლექსს ამბობს)“ — ბექაც „გაკაპასებული მოჭყეება ბოდვას, მითომ და კრიტიკასა სწერს... წამოჰკრავს თავის სტატიანზე ფეხს და ყირაზე გადაივლის“.

„სხარტულა“ გეიზიდავს მახვილგონიერული გამოთქმებით და დიალოგებით, ცოცხალი სიტუაციებით, კარგად მიგნებული დეტალებით, შეუწინებელი იუმორითა და ამ ნიადაგზე ბუნებრივად წარმოქმნილი სატირით.

თემატიკურად, შინაარსობრივად, სტილით იგი ილია ჭავჭავაძის სხვა იმდროინდელი წერილების („საქართველოს მოამბეზედ“, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“) ციკლს განეკუთვნება და დიდი როლიც შეასრულა ახალი იდეების დამკვიდრებაში.

ბ. წერიტელი

„ცისკარს რა აკაცანებდა?!”

გიორგი წერეთლის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილი „ცისკარს რა აკაცანებდა“ 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზრის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლია¹. თემატიკით, შინაარსითა და მიმართულებით იგი ძალიან ახლოს დგას ილია ჭავჭავაძის წერილთან „საქართველოს მოამბეზედ“; მაგრამ გ. წერეთელი უფრო ვრცლად და კონკრეტულად ეხება სოციალური ცხოვრებისა და ლიტერატურის საკითხებს, ამასთან, აქცენტი აქ ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ საკითხებზეა გადატანილი და ლიტერატურის პრობლემებიც ამ ასპექტშია განხილული. ავტორი იცნობს და ეყრდნობა, როგორც რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ნაწერებს, ისე გამოჩენილ ევროპელ ფილოსოფოსთა და კრიტიკოსთა ნააზრევს; ახსენებს და იშველიებს ლესინგის „ლაოკოონსა“ და ჰეგელის „ესთეტიკას“².

„ცისკართან“ პოლემიკა, არსებითად, პრინციპულ იდეოლოგიურ პრობლემებზე მსჯელობის საბაზია. ავტორი აქა-იქ კლანჭს გაჰკრავს ქართულ ჟურნალს და იქიდან ამოკრებილ მასალას თავის შეხედულებების დასამტკიცებლად იყენებს.

ხელოვნებისა და ლიტერატურის სამოქმედო ასპარეზს, გ. წერეთლის აზრით, წარმოადგენს არა განუყენებულ ოცნებათა სამყარო, არამედ რეალური სინამდვილე. არ კმარა, რომ ხელოვანი მასალას იღებდეს სინამდვილიდან, მისი შემოქმედება სწორად უნდა ასახავდეს ცხოვრებას და ემსახურებოდეს მას, მონაწილეობდეს მის გარდაქმნაში. კრიტიკული რეალიზმის ამ პრინციპთა მოშველიებით გ. წერეთელი აკრიტიკებს ივ. კერესელიძის ლექსს „ნანა“ და გადმოკეთებულ დრამას „შვილი უმანკოებისა“. ამ თხზულებაში, ამბობს ის, ცხოვრების მრავალფეროვნება გადმოცემულია გაღარიბებულად, სქემატურად, უსიცოცხლოდ. „იგი თავის ვიწრო შეხედულებით ვერ სწვდება რეალურს, მართალ ცხოვრების სიმრავლეგვარეს, სულ იმ დამსხვრეული ფანტაზიიდან, რომელიც ვერ ხედავს უღვეველი ქვეყნის მშვენიერებას“. ეს დრამა უცხო ნიადაგზე დარგული მცენარეა. გადომოკეთებულს, მართალია, ქართული გვარები მიუცია მოქმედი პირებისათვის, მაგრამ მათი ხასიათი და სიტუაციები, რომლებშიც ისინი მოქმედებენ, სრულე-

¹ ჟურნალის გვერდებზე მას აქვს მეორე სათაურიც: „რამდენიმე სიტყვა „ცისკარზედ“. ვფიქრობთ, ეს სათაური „საქართველოს მოამბის“ რედაქციას ეკუთვნის, ავტორისეულ სათაურზე სოლიდურია და უფრო შეესაბამება წერილის შინაარსს.

² ეს. წიგნი, „საქართველოს მოამბის“ თვით, დატულია საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდში.

ბით არ შეესაბამება ქართულ ცხოვრებას; დიასამიძეების სახლობის, გრიგოლისა და მისი დედის მსგავსებს საქართველოში ვერსად შეხედებით, ისინი, შესაძლებელია, „ჰაერში სუფევდნენ“, „ანგლოზის“ (ივ. კერესელიძის ლექსის სათაურია. ა. კ.) მხრებზედ მჯდარი (ავტორი) მოიგლიჯება ჰაერში“, უნდა ცხოვრებაც თან გაიტაცოს, მაგრამ ჰაერში ფრენა ჩვენ არას გვარგია... მწერალს ხალხის ცხოვრების წიაღში უნდა ედგას ფეხი, ეს შექმნატებს მას ძალას, ეს მისცემს შთაგონებას, რადგან „...როგორც დედამიწის შვილები, ჩვენ მხოლოდ დედამიწაზე ვართ წელმაგარი“. გ. წერეთელი ამტკიცებს, რომ ცხოვრებისაგან მოწყვეტის გამო „ცისკრის“ მწერლებმა ავტორიტეტი დაჰკარგეს, ხალხი ხელს არ აწერს უურნალოზე, ეუბნება: „...წადი, როგორც გიფრენია ჰაერში, ისე იფრინეო!“

ცხოვრება მზამზარეული მასალით კი არ ამარაგებს ხელოვანს, არამედ შთაგონებს მას, ხოლო ეს შთაგონება თვალსა და გულს აუხელს, „ნიჟიერ და მამულის მოყვარე მწერალს“ შემოქმედებითი ცეცხლით აღანთებს და მაშინ „...მის გულში, როგორც გაუქრობელი ლამპარი, ისე ანთია მუღამ ერთი წმინდა წადილი, სიკვდილამდინ... რომ ამხნეებს დეაწლისათვის“.

გ. წერეთელი გამანადგურებელი პაროდიით, ჰიპერბოლური ირონიით ესხმის თავს მოლაყბის (ივ. კერესელიძის) მოსაზრებას, რომ — „მწერალი არის მამა ხალხისა“. აქ არ გვაინტერესებს იმის გამორკვევა, რამდენად მართებული იყო საკითხის ასე დასმა, საინტერესოა ავტორის მსჯელობა საზოგადოებისა და მწერლის ურთიერთობაზე, ლიტერატურის როლსა და მოვალეობაზე. აქ გ. წერეთელი მკაფიოდ აყენებს კრიტიკული რეალიზმის პრინციპს, რომ მწერალი უნდა იყოს სოციალური სინამდვილის სიმახინჯეთა მამხილებელი და მის წინააღმდეგ მებრძოლი. „მწერალი... ყველაზე პირველად იმ ქვეყნის შვილია, — წერს ის, — სადაც შრომობს, არის დაბადებული იმ საზოგადოებაში... მაშ, მწერალი უფრო უნდა იყოს საზოგადოების შვილი, ვიდრე მამა... მაგრამ მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი; ის არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამგრძობელი. რაში მდგომარეობს მისი ლეაწლი საზოგადოების წინ? — აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი და ამ ნაკლოვანებების შესახებ, უჩვენოს იმგვარი საშუალებები, რომლებიც, მისი ფიქრით, საუკეთესონი არიან ამ ნაკლულევანებების მოსასპობად“.

ამ საამაყო მისიას ლიტერატურა მაშინ შეასრულებს, თუ იგი ხალხის წინსვლას ემსახურება, თუ ხალხზე ზრუნვით სუნთქავს, მის მომავალზე ფიქრობს. მწერალი მოღვაწე და მებრძოლი უნდა იყოს, საზოგადოების კეთილდღეობისათვის უნდა ზრუნავდეს, თორემ კაცობრიობის სულიერი მონაპოვარი ჰაერში დარჩება გამოკიდებული, რად-

გან“... შექსპირის დრამების გასაგებად საზოგადოებას იმდენად უნდა ჰქონდეს ესთეტიკური გრძნობა გახსნილი, რომ შეეძლოს მის დრამებში თითქოს ლეთიურის ხელით აღმოხატულის ცხოვრების ჰერეტიკა“.

გიორგი წერეთელს ამ შუქზე აქვს განხილული ლიტერატურის ხალხურობის, ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის, ჩამორჩენილ ლიტერატურულ მიმდინარეობათა აეკარგიანობის საკითხები. „საქართველოს მოამბეში“ ამ საკითხებზე არაღის გაუცია მასზე უფრო მკაფიო პასუხი. იგი ნათელყოფს, რამდენად საზიანოა ლიტერატურისათვის მარტოდენ ფორმით გატაცება, შინაარსიდან მისი მოწყვეტა, იდეის უგულვებელყოფა. გ. წერეთელს დამაჯერებლად აქვს ნაჩვენები, რომ ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხის ამა თუ იმგვარი გადაწყვეტა ავლენს ლიტერატურულ მიმდინარეობათა არსს და მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტით, ფორმის გაფეტიშების შემთხვევაში, ლიტერატურა სცილდება და ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს. ამ ფონზე, როგორც მაგალითი, გ. წერეთელმა ამომწურავად დაახასიათა ფსევდოკლასიციზმი, როგორც ანტიხალხური ლიტერატურული მიმდინარეობა. „შემოვიდა ცხოვრებაში ძველის კლასიკურის მეცნიერების მოთხოვნილება. — წერს ის. — მის (ფსევდოკლასიციზმის) გონება მხოლოდ ერთმა ბრკილა სამოსელმა შეიპყრო. მან სტაცა ხელი მხოლოდ ერთს ფორმას; მისი ყურადღება მიიქცია მხოლოდ ერთ ტურფა და მეტად ტკბილის ენით გამოთქმაზედ და არა თვით მასში მყოფ აზრზედ. მისი პოეტები იწყებდნენ იმნაირად ყეფას, როგორც სოფოკლე, ესხელი, არისტოფანე და სხვა გამოჩენილი საბერძნეთის მწერლები; აღწერდნენ იმგვარ გრძნობებს, როგორებსაც თავისი საზოგადოების ნაკლოვანებები აღძრავდა არისტოფანესა და ევრიპიდის გულში. რასაკვირველია, რომ ამგვარ გზაზედ დამდგარი ლიტერატურა და პოეზია სრულიად უნდა განშორებოდა ხალხის ცხოვრებას. შინაგანის ელემენტით განცხოველებული პოეტის სიტყვა უნდა შეცვლილიყო ერთს ყურისმგლეჯელს ცივს ხმაზედ. ლიტერატურამ დაკარგა ცხოვრებაში თავისი მნიშვნელობა, მან ვერ შესძლო მისთვისვე გამოეკვლია გონიერი და საფუძვლიანი დასაწყისები, რომელზედაც მაგრად უნდა დაფუძნებულიყო მომავალი პოლიტიკური წყობილება“. ეს ისტორიულ-ლიტერატურული ექსკურსი გ. წერეთლისათვის თვითმინიანი არ არის. მის საფუძველზე მას აქტუალური დასკვნები გამოაქვს, გზას უჩვენებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ხალხის სამსახურისაკენ მოუწოდებს მას. „ამგვარ გზაზე დამდგარი ლიტერატურა და პოეზია, — დაასკვნის ის. — სრულიად უნდა განშორებოდა ხალხის ცხოვრებას... აი რა მანებელია, როცა ლიტერატურა... არ ემსახურება ხალხის ცხოვრებას, ატარებს დროებას ფუჰ დეკლამაციაში, როდესაც... ხელმძღვანელობს ერთი გარეგანი ბრკილა სახით და ვერ

სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგანს აზრს, ურომლისოდაც თვით ელვარე ფორმაც ფუჭია და მავნებელი“...

აღნიშნულ ზოგად ესთეტიკურ-ლიტერატურულ პრინციპებზე იყო დამყარებული გ. წერეთლის კრიტიკულ-ლიტერატურული პრაქტიკა. ეურნალისა და მწერლისაგან იგი მოითხოვდა მტკიცე იდეურ თვალსაზრისს. ვარკვეულ „აზრზედ და წადილზედ დაფუძნებულ მიმართულებას, რომელიც მუდამ უნდა გაჰყავდეს საზოგადოებაში“. ისინი უნდა გამოხატავდნენ ხალხის გულისწადილს, ააშკარავებდნენ იმას, რაც „სტანჯავს ხალხს“, — მუსრავდნენ იმ ნაკლოვანებებს, რაც წინ უდგება ცხოვრების „კეთილმდგომარეობას“, ჩააგონებდნენ ხალხს მეცნიერებათა (კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა) მიერ გამორკვეულ იმ „ჭეშმარიტებებსა და კანონებს“, რომელთა ძალით უნდა მოისპოს „ხალხის მტანჯველი“ ნაკლოვანებები (სიმახინჯე).

გ. წერეთლის მაღალ ესთეტიკურ გემოვნებასა და სწორ იდეურ თვალსაზრისზე მეტყველებს ისიც, რომ მან არ გაიზიარა ნიჰილისტური შეხედულებანი. იგი მოითხოვდა მხატვრული შემოქმედების იდეურ-ესთეტიკურ განხილვა-შეფასებას, დიდ როლს ანიჭებდა ნიჭს, ღირსეულად აფასებდა კლასიკურ მემკვიდრეობას, დასცინოდა „ცრუ გრძნობასა და აღტაცებას“ და თავისსავე წერილში იძლეოდა ამის შთამაგონებელ მაგალითს. „აბა, მითხარით, — წერდა ის, — რამდენ სტატიაში აუწყა საზოგადოებას „ცისკარმა“ ან პოეზიის მნიშვნელობა, ან მისი ისტორიული არსება და ცვლილება, თუ როგორი შეხედულება ჰქონიათ ელინელთ ქვეყანაზედ, ან როგორის გრძნობით უყურებდნენ ბუნების ზემოქმედებას, ან თუ რა არის პლასტიკური გრძნობა, რომელიც გამოსკვივის თ. რაფიელ ერისთავის ზოგიერთ ლექსებში და ნამეტურ თ. გრიგოლ ორბელიანის სწორედ ხალხურის ელემენტით სავსე პოეტურ გრძნობებში, სადაც ასე გატაცებით არის გამოყვანილი თუ რას შეჰხარის ქართველის გული? აბა თუ შეუნიშნავს... „ცისკარს“ ის რომანტიკული მიდრეკილება, რომელიც ისმის თითქმის ყოველ აკაკი წერეთლის ლექსებში „საყვარელო ალექსანდრადან“ „რუსეთუმეს“ სურათებამდინ...“

სად გვიჩვენა მან ორი ხასიათი ქალისა და ვაჟისა, რომელნიც ასე ღრმად და საკვირველად არიან გამოხატული „სურამის ციხეში?“ სად განიხილა მან ის მიზეზები და გარემოება, რომელმაც შექმნა ეს ხასიათები, ამისთანა ბოლოს ღირსნი, როგორიც ამ რომანშია ნაჩვენები?“

გ. წერეთელი ასევე ქებით იხსენიებს ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“, დიმ. ყიფიანის ნათარგმნ „რომეოსა და ჯულიეტას“ და მუდამ ორიოდვე წინადადებით ახერხებს თხზულებას იდეურ-ლიტერატურული ღირსება-ნაკლოვანების ჩვენებას. ავტორას ლიტერატურულ განათლებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ისიც, რომ

რატურის იმ მხარეს, რაც ლიტერატურას აძლევს დიდს ღონესა და შეადგენს სხვა უპირველესთ საჭიროებასა: ეს საჭიროებაა: შეერთება ლიტერატორებისა და არა ლიტერატორებისა მწერლობის წინ წაყვანისათვის, გავრცელებისათვის, გამდიდრებისათვის...

...რაკი ახალ საფუძველს უნდა დამყარებოდა ჩვენი მწერლობა და მწერლები, ამისათვის, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა, რომ სხვა მხრივთაც ჟურნალი ისევ იმ საფუძველზე ყოფილიყო, ესე იგი მრთელი შრომა ჟურნალისა ერთ კაცს გაეწია. ეს ორივე მხარე ერთმანეთთან არის შეკავშირებული და ამის გამო ქვეყნადეს უნდოდა შეერთებინა რამდენიმე კაცის შრომა ერთადა, ისე იმ გვარად, როგორც რუსეთში და ევროპაში შრომობენ ჟურნალ-გაზეთისათვის... ამგვარად რამდენიმე კაცი ერთად აპირებდა მუდმივ შრომასა. ამგვარად ჟურნალს გარს უნდა მოხვეოდნენ ლიტერატურის კეთილმოღვაწენი და ერთმანეთის შემწეობით და თანამშრომლობით ლიტერატურა დაეყენებინათ ღირსეულს ხარისხზედ...

არც ერთი რედაქცია არც რუსეთში და არც ევროპაში არ არის, რომ გარს ხალხი არ ერტყას. ყოველს რედაქციას ჰყავს წრე, ამხანაგობა, მწერლებისა და აგრეთვე არა მწერლებისა... ვინც ეს გარემოება იცის, რასაკვირველია, რომ უპირველეს საქმეთა სთელის ქართულის ლიტერატურისათვის შეერთებულ შრომასა და ამის გამო „საქართველოს მოამბის“ რედაქტორის აზრის ასრულება დიდი ღვაწლი იქნებოდა ჩვენში... მწერლების წრის შედგენის აზრი ილია ქვეყნადის კრიტიკითგან და იმის ჟურნალითგან იწყება...“¹

ილია ქვეყნადემ 1861 წლიდან გააჩაღა მუშაობა თანამებრძოლთა დასარაზმავად და ჟურნალის გამოცემის უზრუნველყოფისათვის წრის შესაქმნელად. თბილისში მის გარშემო შეიკრიბნენ: პ. უმიკაშვილი, ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, ი. პოლტორაძე, პ. ნაკაშიძე, ი. წინამძღვრიშვილი, მ. ჩიკოძე და სხვ.

„ამათ შემოიღეს კერძო კრებები, სადაც კითხულობდნენ რეფერატებს და სადაც აღტაცებული ჰაბუკი ილია ქვეყნადემ თავის ახალ დაწერილ ლექსებისა და „გლახის ნაამბობის“ თავების კითხვით ამხნევებდა, ასულდგმულებდა თავის საკუთარ წრეს და წრეს გარეშეც არაჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში“². — წერს გ. წერეთელი.

ამასთან, ი. ქვეყნადემ და მისი თანამებრძოლები სისტემატურ მიწერ-მოწერას აწარმოებდნენ პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებთან — კირ. ლორთქიფანიძესთან, გ. წერეთელთან და სხვ. დასავლეთ საქართველოში „საქართველოს მოამბის“ სასარგებლოდ აქტიურ

1 „კრებული, 1872, № 8—9.

2 „კვალი“, 1897, № 46.

მან პირველად ამხილა ზოგიერთი პლაგიატი და მიუთითა ი. კერესე-ლიძის, გრ. რჩეულიშვილის, გ. ბარათაშვილის გადმოკეთებულ თხზუ-ლებათა ორიგინალებზე.

სტატია. დაწერილია მღელვარედ, ნათელი სტილით, პოეტური შე-დარებებითა და მეტაფორებით („სიმაართლის პირდაპირ შეხედვას არ-წივის თვალები უნდა“ და ა. შ.).

„ცისკართან“ ცხარე პოლემიკამ გ. წერეთლის წერილს მაინც ერთ-გვარი დაღი დააჩნია. მისი შენიშვნები და მოსაზრებანი ყოველთვის მართებული არ არის და კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს. მან ტენდენ-ციურად შეაფასა, მაგალითად, ანტ. ფურცელაძის შესანიშნავი წერი-ლი „სურამის ციხის“ შესახებ. ამ სტატიას გ. წერეთელი უსაფუძვ-ლოდ უწოდებს „ცარიელ სიტყვების რახარუხს“. ცხადია, ასეთი მიკე-რძობა ხელს არ უწყობდა საერთო იდეური პოზიციის განმტკიცებას. ანტ. ფურცელაძე, მართალია, „ცისკარში“ თანამშრომლობდა, მაგრამ პრინციპულ საკითხებში იგი ახალთაობას ედგა მხარში.

გ. წერეთელი ვერც ივ. კერესელიძის გადმოკეთებულ დრამას „შვილი უმანკოებისას“ მიუდგა ისტორიული თვალთახედვით. მის მი-ერ მითითებული ნაკლოვანებების მიუხედავად, ამ თხზულებამ მაინც შეასრულა გარკვეული როლი ბატონყმური უსამართლობის მხილება-ში. ასევე დაუმსახურებლად გ. წერეთელმა „ცრუ ოცნების ნაყოფად“ გამოაცხადა ივ. კერესელიძის პატრიოტული ლექსი — „ანგელოზი“ და „სალაყბო ფურცლების“ ავტორს „მეჭრონიკე“ უწოდა. ვერც ალ. ორბელიანის ალეგორიული მოთხრობა — „კუდიანები ბრუტ-საბძელზედ“ გაიგო გ. წერეთელმა სწორად, თავადაზნაურული ყოფის მამხილებელი თხზულება მას ცრუმორწმუნეობის ქადაგებად მოეჩვენ-ნა.

განსაკუთრებით დიდი გაუგებრობა გამოიწვია აკაკი წერეთლის რომანტიკოს პოეტად გამოცხადებამ, მით უფრო, რომ ავტორა არ ცდილა კონკრეტული ანალიზით ცხადეყო ეს მოსაზრება.

მაგრამ ეს მხოლოდ ლაქები იყო მზეზე: გ. წერეთლის „ცისკარს რა აკაკანებდა“ თერგდალეულთა ლიტერატურულ-კრიტიკული მემკ-ვიდრეობის საგანძურში შევიდა. ამ წერილით გ. წერეთელმა შეძლო თავისი საკუთარი ახალი სიტყვა ეთქვა „საქართველოს მოამბეში“, რომელსაც შესამჩნევი ხარვეზი დაეტყობოდა უიმისოდ.

პირილუ ლორთქიფანიძე

„ბიძია თონიკეს სტატიისა გამო“

კირ. ლორთქიფანიძის ეს პოლემიკური წერილი ჟურნალის მე-4 ნომერში დაიბეჭდა. ავტორი აქ მწვავედ ეკამათება ლავრ. არდაზიანს, რომელმაც „ბიძია თონიკეს“ ფსევდონიმით „ცისკარში“ გამოაქვეყნა დრამატული სცენები — „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“¹.

კირ. ლორთქიფანიძე, სხვათა შორის, მხურვალედ იცავს ახალთაობის ლიტერატურულ შეხედულებებს. როგორც ვიცით, ძველი თაობა ილია ჭავჭავაძეს ცილს სწამებდა, ქართულ ლიტერატურას პატივის არ სცემს, წინაპართა ნაღვაწ-ნაამაგარს უარყოფს, ჩახრუხადესა და ანტონ კათალიკოსს საცინლად იგდებსო. კირ. ლორთქიფანიძე ნათლად ასაბუთებს ამ ბრალდებების უსაფუძვლობას და წერს: „ანტონ კათალიკოსი თუ პოეტად არ იცნეს, გეგონება ქართულ ლიტერატურას აგინებენო, არ ყვარებიათ სამშობლო“.

კირ. ლორთქიფანიძე მოითხოვს კულტურული მემკვიდრეობისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. ახალთაობა ყველაფერს აფასებს, რაც ღირსია პატივისცემისა და აკრიტიკებს, რაც გასაკრიტიკებელიაო, — წერს ის.

„ამაო ამაოთა“

ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხს ეხება კირ. ლორთქიფანიძის მეორე წერილიც „ამაო ამაოთა“ — რეცენზია იოანე ბატონიშვილის „კალმასობაზე“. 1863 წელს „ცისკარის“ რედაქციამ ეს თხზულება ცალკე წიგნად გამოსცა დიმიტრი ბაქრაძის წინასიტყვაობით. რეცენზენტის აზრით, „კალმასობა“ არ არის საინტერესო ნაწარმოები, მოკლებულია მთლიანობას, სქემატურია, არა აქვს ნათელი იდეური კონცეფცია, შინაარსობრივად დაულაგებელია, დაწერილია ბუნდოვანი ენით. კირ. ლორთქიფანიძე კონკრეტული მაგალითებით ცდილობს თავის მოსაზრებათა დასაბუთებას, ეკამათება წინასიტყვაობის ავტორს და დაასკვნის, რომ ქართული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა უფრო აქტუალურ თხზულებათა გამოცემას მოითხოვს. წიგნის გამომცემლები, მისი სიტყვით, გატაცებული ყოფილან „წერის პროცესით“ და ანგარიში არ გაუწევიან მკითხველი საზოგადოების ინტერესებისათვის.

გზა და გზა ავტორს რამდენიმე საყურადღებო შენიშვნა აქვს გა-

¹ „ცისკარი“, 1862, № 7.

მოთქმული ლიტერატურის ნაციონალური ხასიათისა და ტიპიურობის შესახებ. იგი არ ეთანხმება დიმ. ბაქრაძეს, რომ „კალმასობაში“ სწორად არის ასახული იმდროინდელი საქართველოს ცხოვრება. ამ ნაწარმოებში, ამბობს კირ. ლორთქიფანიძე, არ იგრძნობა ეპოქის სული, თითო-ორიოლა ყოფითი დეტალი არ იძლევა მის ნაციონალურ ხასიათზე მსჯელობის საბუთს, რადგან „თვით უტალანტო კაცის ნაწერსაც დაეტყობა ნაციონალური თვისებები. „კალმასობის“ პერსონაჟები უსიცოცხლონი არიან, ნაჩვენები არ არიან მოქმედებაში, გარე სამყაროსთან და ერთმანეთთან აქტიურ ურთიერთობაში; ამიტომ, დიმ. ბაქრაძის მსჯელობა მათ „პირადობაზე“ (ტიპიურობაზე? — ა. კ.) რეცენზენტს უსაფუძვლოდ მიაჩნია და წერს: „თუ ზურაბმა ორიოდ მარილიანი ოხუნჯობა წარმოქმნა“, ეს არ ნიშნავს, რომ ის „პირადაა გამოყვანილი“.

„საქართველოს მოამბის“ რედაქციამ გაიზიარა კირ. ლორთქიფანიძის პრინციპული ლიტერატურული შეხედულებანი, მაგრამ რეცენზიისათვის დართულ შენიშვნაში არ დაეთანხმა ავტორის მკაცრ განაჩენს — „კალმასობა“ დიდი არაფერია, მაგრამ რაკი დაიბეჭდა, მაინც არა უშავს რაო“, — წერდა ი. ჭავჭავაძე.

საბავშვო ლიტერატურის საკითხები

„საქართველოს მოამბემ“ ჩვენში პირველად წამოჭრა საბავშვო ლიტერატურის განვითარების პრობლემა და იგი ახალი ადამიანის, მებრძოლი პატრიოტის აღზრდის ამოცანებს დაუკავშირა.

ლიტერატურის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე მსჯელობისას, თავიანთ ნაწერებში მას გაკვრით ეხებიან ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე, ვ. თულაშვილი და დავ. ყიფიანი, ხოლო ეურნალის მე-9—მე-10 ნომრებში საგანგებოდ ამ საკითხს მიეძღვნა ვრცელი წერილი „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“, რომელსაც ხელს აწერს მაქსიმ ლაღანიძე (როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მაქსიმ ლაღანიძე“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმია).

აღზრდის პრობლემა ამ წერილში განხილულია საბავშვო მწერლობის შუქზე, ლიტერატურული თვალსაზრისით¹.

ჩვენი სინამდვილის შესაბამისად, ქართველ ავტორს სათანადო აღ-

¹ პროფ. გ. თავიშვილი ამ თხზულებას „პედაგოგიურ სტატიას“ უწოდებს (იხ. მისი „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში“, 1948, გვ. 368).

გილები „გამოუკრებიან“ (პარაფრაზით) ბელინსკის კრიტიკული წერილებიდან¹ და შიგადაშიგ საკუთარი შენიშვნებიც ჩაურთავს.

ავტორის აზრით, ლიტერატურას უდიდესი როლი ენიჭება ახალგაზრდობის აღზრდაში, რადგან „წიგნი არის სიცოცხლე ჩვენის დროებისა“; — საბავშვო ლიტერატურაზე მსჯელობა აღზრდის უმნიშვნელოვანეს პრობლემებსაც მოიცავს. „მისთვის, რომ არ გავიმეოროთ ერთი და იგივე, — წერს იგი, — ჩვენ (პირდაპირ) შევეუდგებით ბავშვების წიგნებსა, უმთავრეს საგანს ჩვენი სტატისას და მათი თვისებებით გასინჯვით შევასრულებთ ჩვენს შენიშვნას ბავშვების აღზრდაზედ საზოგადოთ“.

საბავშვო ლიტერატურის უპირველესი მოვალეობაა მოზარდში ესთეტიკური საწყისების განვითარება, რომ „ბავშვს პატარაობითვე გავუხსნათ გრძნობა მშვენიერებისა“.

ამიტომ, ლიტერატურული კრიტიკა განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა განიხილავდეს საბავშვო ნაწარმოებებს; იგი, ერთი მხრივ, მიუდგომლად უნდა ურჩევდეს მშობლებსა და ბავშვებს — რა წაიკითხონ, — ხოლო, მეორე მხრივ, არკვევდეს, როგორ უნდა დაიწეროს, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვებისათვის განკუთვნილი თხზულება. მაქსიმ ღალანძე დასძენს, რადგან ქართულ ენაზე ასარჩევ-დასარჩევი ჩვენ არაფერი გვაქვს, მხოლოდ იმაზე ვილაპარაკებთ, როგორ უნდა დაიწეროს კარგი საბავშვო წიგნი.

საბავშვო ლიტერატურა თავისებურ, თვითმყოფ ტალანტს მოითხოვს, ყოველ ნიჭიერ მწერალს როდი შეუძლია ამ ასპარეზზე მოღვაწეობა. საბავშვო მწერალი „უნდა დაიბადოს“ ასეთად. ძალისძილად ვერავენ მიეტმანება მას, რადგან „ეს თავისდაგვარი ნიჭია და აქ საჭიროა თავისდაგვარი გენიოსობაც“ და არა ყოველგვარი მწერალური ნიჭი.

საბავშვო მწერალი განსაკუთრებული სულიერი და ზნეობრივი თვისებებითაც უნდა იყოს დაჯილდოებული. მას უნდა ჰქონდეს „კეთილმობიერი სული“, უნდა იყოს მშვიდი, მოსიყვარულე, უწყინარი, უბრალო, ბავშვურად გულწრფელი და ალალმართალი, — თვითონვე „უნდა იყოს დიდი ბავშვი“.

საბავშვო ლიტერატურაში ავტორი გადამწყვეტ როლს ანიჭებს პოეტურ ფანტაზიას, „რომელსაც... შეუძლიან წარმოადგინოს ყოველისფერი განუსულიერებულად და მრავალგვარ სურათებად“. „ცოცხალი პოეტური ფანტაზია არის მიუცილებელი საჭირო პირობა... ფანტაზი-

¹ უმაჯრესად, 1840 წელს „ოტენესტენიე ზაპისკიში“ დაბეჭდილი რეცენზიებიდან: «Поларок на новый год». «Грифания» და «Детския сказки дедушки Иринея». Е. Одоевского».

ით და ფანტაზიის გამო უნდა მოქმედებდეს მწერალი ბავშვებზე. ბავშვის ფანტაზია არის მფლობელი ნიჭი და ძალი სულისა“.

წერილში ვრცლად არის დასაბუთებული, რომ მხატვრული ნაწარმოები, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოქმედებდეს ბავშვის გრძნობაზე და მხოლოდ მისი მეშვეობით გონებაზე. მოზარდი, უპირველესად, მგრძნობიარე არსებაა. გრძნობით აღიქვამს ყოველივეს. იგი ადვილად გრძნობს ნაწარმოების სიყალბესაც; გრძნობს უფრო სწრაფად, ვიდრე თვით ავტორი და მოზარდილი მკითხველი. მას გულს უკაწრავს და ზიზღით აესებს უმცირესი მხატვრული სიყალბეც კი. მას არ უყვარს ჭარბი პათეტიკა, სენტიმენტალური წიბავლა, დიდაქტიკური ჩიჩინი, გაუთავებელი სენტენციები და რეზონერობა. საჭიროა, „რაც შეიძლება ცოტა იყოს დარიგება, ზნეობითი სწავლა და უსაფუძვლო ლაპარაკი“. მიეცით ბავშვებს ფანტაზიით განცხოველებული ამბები, მიეცით მას ფანტაზიის, ოცნების საშუალება.

ბოროტ ადამიანსაც შეუძლია სიკეთეზე ილაპარაკოს, უნამუსოსაც შეუძლია პატიოსნებაზე წეროს, მაგრამ ნაწარმოებში უნებურად ვლინდება მწერლის ნამდვილი ბუნება და ბავშვის მგრძნობიარე სულს ის არ რჩება შეუმჩნეველი. „სიცოცხლე, სიბო, მიშხიდველობა და პოეზია არის იმის ნიშანი, რომ ადამიანი ლაპარაკობს სულით, დარწმუნებით, სიყვარულით, რწმენით და სწორედ ეს (გულწრფელობა) მოხედება ელექტროსაგებრ მეორე სულსა“, მასაც განაცდევინებს მის მიერ ჭეშმარიტად განცდილს. ამ განცდილის გადმოცემაშია ყველაზე დიდი საიდუმლოება ხელოვნებისა, ლიტერატურისა.

საბავშვო თხზულებაში ყველაფერი დასრულებული, ყველაფერი ამოწურული, ყველაფერი კარმოხურული როდი უნდა იყოს. ადამიანში, განსაკუთრებით ბავშვში, ძლიერია „დაუსრულებელის წადილი“ „სიცოცხლის საიდუმლოების წინათგრძნობა“; რაც ხელოვნების, მხატვრულის, ესთეტიკურის ერთი უდიდესი პირობაა.

„ბედნიერი დასასრული“ აუცილებელი როდია; ხშირად ის კიდევ ანელებს მხატვრული ზემოქმედების ძალას. „თქვენგან დაწერილი მოთხრობა შეიძლება დაბოლოვდეს უბედურებითაც, რომელშიაც კეთილმოქმედება იტანჯება და ბოროტება გამარჯვებულია; მაგრამ თქვენ სრულიად მისწვდებით თქვენს ზნეობითს საგანსა, თუ რომა ყმაწვილნი გულნი თქვენის პატარა წამკითხველებისა მიუდგებიან დატანჯულებსა და არ შეშურდებთ გამარჯვებულებისა“.

წერილში ის აზრია გატარებული, რომ მწერალს დაუსრულებელი სიყვარული და დაუსრულებელი პატივისცემა უნდა ჰქონდეს ადამიანისა.

ადამიანის ბუნება ერთიანია და „დაწერეთ ბავშვებისათვის, მაგრამ, ისე რომ თქვენი წიგნი სიამოვნებით წაიკითხოს დიდმაცა“.

ამ წერილში სრულად გამოვლინდა „საქართველოს მოამბის“ რედაქციის თვალსაზრისი საბავშვო ლიტერატურის პრინციპულ საკითხებზე და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ საბავშვო მწერლობის განვითარებაში.

კ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის გრიგოლ ორბელიანის წარდგინებაში კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი ნათქვამი იყო: „...Вследствие сего и на основании 16 т. 138 мт. XIV т. св. зав. уст. о цензуре, — разрешив издание в Тифлисе означенного грузинского журнала по представленной издателем программе с тем, чтобы в нем не помещалось никаких политических известий, разсуждений...“¹ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

მიუხედავად ამისა, ჟურნალის პროგრამაში ილია ჭავჭავაძე მაინც ითვალისწინებდა ისეთ განყოფილებებს, რომლებშიაც რაიმე ფორმით განიხილავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს. პროგრამაში დასახელებული შვიდი განყოფილებიდან (წმინდა ლიტერატურული, ისტორიული, პოლიტიკური ეკონომიისა და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, იუმორი, ნარევი და დამატება)², აღნიშნული განზრახვის განხორციელებისათვის გამიზნულ განყოფილებებს სათავეში უნდა ჩასდგომოდნენ საგანგებო რედაქტორები — ნაცადი, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები (დავ. ყიფიანი, ი. სერგებრიაკოვი, ნ. ლოლობერიძე), ოფიციალური ნებართვის შესაბამისად, „საქართველოს მოამბე“ წმინდა ლიტერატურულ გამოცემად ითვლებოდა და სატიტულო ფურცლებზე ყველგან „სალიტერატურო ჟურნალად“ მოიხსენიება.

ილია ჭავჭავაძემ მოხერხებულად აუარა გვერდი ოფიციალურ დაბრკოლებებს და პირველსავე ნომერში, წერილში „საქართველოს მოამბეზედ“, არაპირდაპირ, მაგრამ საკმაოდ გასაგებად, ჟურნალის ძირითად ამოცანად საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების განხილვა-გადაწყვეტა გამოაცხადა, ხოლო ჟურნალის წამყვან ძალად პუბლიცისტიკა აღიარა.

ამ წერილში „საქართველოს მოამბეს“ ილია საზოგადოებ-

¹ „ბიბლიოგრაფიის მოამბე“. № 4—5, 1948, ს. ხუციშვილი, ნ. ტატიშვილი, „საქართველოს მოამბე“, გვ. — 290.

² იქვე.

რივე ურნალს არქმევს. „თუ ურნალს უნდა კეთილსინდისიერად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაცივებით თან აპყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმომბილ ფაქტსა თვალი და გონება აღევენოს. ყოველ აზრის საკეთილმოდრობას გზა მისცეს, ყველაფერი შენიშნოს და ყოველისფერს პასუხი გასცეს. ერთი სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა და გასაუმჯობესებლად“. ილიას ამ წერილის მიხედვით, თითქმის ამომწურავად შეიძლება გავიგოთ, რა არის პუბლიცისტიკა, რა ამოცანები დგას მის წინაშე და როგორ ურნალს ეწოდება პუბლიცისტური ურნალი.

როგორც აღვნიშნეთ, „საქართველოს მოამბეს“ ილია უწოდებს საზოგადოებრივს, ოდნავ ტლანქად რომ გავმიფროთ, პუბლიცისტურს, რადგან პუბლიცისტიკა (პუბლიკას) სიტყვა წარმოების მიხედვითაც და შინაარსობრივადაც საზოგადოებრივს ნიშნავს. პუბლიცისტიკა ილიას ესმის სწორად, სახელდობრ, — როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნაწერები აქტუალურ თემებზე. „მოამბის“ უმთავრესი საგანი, — შენიშნავს ილია, — აწინდელი ცხოვრება იქნება თავისი სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა... თუ ჩვენი ურნალი დაპყურებს დღევანდელი ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაპყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვის... რაც შორსა სცემს ურნალის თვალი, მით უფრო კარგია... ურნალი“, რომელმაც გზა უნდა გაუხსნას მოძრაობას.

„საქართველოს მოამბის“ რედაქტორი კარგად ხედავს, რომ პუბლიცისტიკა მუდამ მებრძოლი კლასისა და პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებს ემსახურება. ილია მიუთითებს, რომ პუბლიცისტიკამ წინ უნდა წაიმძღვაროს იდეური დროშა, „უნდა მოგვეცეს პირდაპირი პასუხი ყოველს საჭირო კითხვაზედ, რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებას, ის იქნება საჭირო ჩვენის ურნალისათვის... რამოდენადაც... „მოამბე“... მიაგნობს და შეიტყობს ცხოვრების მაჩისცემასა და შენიშნავს იმ მაჩის მცირედსა ცვლილებებს... იმდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებაში“.

საგლახო რეფორმისა და კაპიტალიზმის განვითარების პირობებში თვით ცხოვრებამ წამოჭრა მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემები, გამოიწვია ქვეყნის შემდგომი განვითარების შესახებ აზრთა შეხლა-შემოხლა. ჩვენში ამას ეროვნული ტყვილიც ზედ ერთვოდა და ყოველივე ეს გადაუდებლად მოითხოვდა ახალი სახის პრესას, მკვეთრი პუბლიცისტური განხრით.

უნდა გავიხსენოთ, რომ რუსულმა ურნალისტიკამაც ანალოგიური გზა განვლო. როგორც ცნობილია, ბელინსკის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ურნალი ხალხის აღზრდის ძირითად როლს მხატვრულ ლიტერატურას აკუთვნებდა, მაგრამ, ჩერნიშევსკისა და დობრო-

ლიუბოვს ეს აღარ აკმაყოფილებდათ; სამოციანი წლების რევოლუციური სიტუაციის პირობებში წამყვანი ადგილი მოითხოვა მომწიფებულ პრობლემებზე პირდაპირმა პასუხმა — პოლიტიკურმა, ეკონომიურმა, ფილოსოფიურმა სტატიებმა, რევოლუციურმა პუბლიცისტიკამ. ამ პერიოდში „საზოგადოებრივ-ლიტერატურული“ ჟურნალიდან „სოცრემენიკი“ გადაიქცა „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მხატვრულ-ლიტერატურულ“ ჟურნალად. დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ჟურნალის სახელი და დიდება სწორედ მისი პუბლიცისტიკაა. მღელვარე პუბლიცისტური წერილების წყალობით ის ხელიდან ხელში გადადიოდა, ამიტომ ათენებდნენ მის კითხვაში ღამეებს ჩვენი პეტერბურგელი სტუდენტები. ამაზევე მიუთითებს „სოცრემენიკის“ სატიტულო ფურცლის წარწერაც: „Журнал литературный и (с 1859 года) политический“. ამასთან დაკავშირებით „სოცრემენიკიდან“ ლიბერალების (უმთავრესად, მწერლების) წასვლის შემდეგ, როცა ახალი რედაქცია შეიქმნა (ნეკრასოვი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი), 1856 წ. სარედაქციო განცხადებაში ნათქვამი იყო: „ჟურნალისტიკა უნდა იყოს საზოგადოების ცოცხალი აზრის გამომხატველი... ჟურნალის ხასიათი რომ ერთი სიტყვით განვსაზღვროთ, ეს სიტყვა იქნება საზოგადოებრივი (გაიხსენეთ ილიას წერილი „საქართველოს მოამბეზედ“).

ილია ჭავჭავაძემ პირველად თქვა ჩვენში, რომ ჟურნალის, პრესის ძირითადი მიზანია არა მკითხველის გართობა, არამედ მისი მსოფლმხედველობის გამომუშავება, დემოკრატიის, პატრიოტის აღზრდა.

„საქართველოს მოამბის“ განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ჟურნალისტიკაში მებრძოლი, რევოლუციური, უფრო ფართე გაგებით, საერთოდ პუბლიცისტური ჟანრის დაფუძნება. მას შემდეგ პუბლიცისტიკამ ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მოგვიანებით, ეს თვალსაზრისი ნათლად გამოხატა „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელმა, ილიას ახლო მეგობარმა პეტრე უმიკაშვილმა: „...უძლიერესი ძარღვნი ჟურნალ-გაზეთებისა პუბლიცისტიკა არისო“.¹ — წერდა ის.

შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ცისკრის“ პუბლიცისტიკა უმწეოდ და უბადრუკად გამოიყურებოდა, ის იყო, რომ მას არ ჰყავდა განათლებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებში გარკვეულ თანამშრომელთა კადრი. პუბლიცისტს კი, სხვა თვისებებთან ერთად, სწორედ ასეთი ფართო და მრავალმხრივი განათლება მოეთხოვება.

1897 წელს ზაქ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა: სტუდენტობის წლებში

¹ საქართველოს კალენდარი, 1904.

ილია „კითხულობდა დასავლეთ ევროპის მეცნიერთა თხზულებებს, სწავლობდა თითქმის ყველა მეცნიერებას. არ დარჩა რომელიმე ევროპის განათლებულ ერთა სამეცნიერო მწერლობა, რომ მას ამაგების გაცნობა არ დაეწყო. ზედმიწევნით შეისწავლა პოლიტიკური ეკონომია, რაც მაშინ ერთობ აღძრული იყო რუსის ყმაწვილკაცებში, ნამეტურ კითხულობდა საფინანსო კითხვების შესახებ წერილებს, იურისპრუდენციას და ბუნების მეცნიერებას, საზოგადო ისტორიას, ახალს ფილოსოფიურს თხზულებებს, ახალსა და ძველ ფილოსოფიურ მწერლებთან შორის აღძრულს სამეცნიერო კამათს“¹.

მკვლევარები ერთხმად ადასტურებენ ილია ჭავჭავაძის ღრმა და მრავალმხრივ განსწავლულობას უკვე იმ პერიოდისათვის. თანამედროვეთა ცნობით, იმდროინდელი ახალგაზრდობა განათლებული იყო, უმთავრესად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურით. სოფ. მგალობლიშვილი იგონებს: „სასწავლებლებში ფუძნდება საიდუმლო ბიბლიოთეკა, სადაც ინახება „სოვრემენიკი“, „ველიკორუსი“, დობროლიუბოვი, პისარევი... ლასალი, პრუდონი“².

ამასვე ადასტურებს „საქართველოს მოამბის“ ბიბლიოთეკის შემონახული წიგნებიც, რომელთა შორის უმრავლესობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და სამეცნიერო ხასიათისაა: ჰეგელის — «Курс эстетики или Наука изящного» — ტოკვილის — «Демократия в Америке 1860 г.», ჯონ გერშელის — „Очерки астраномии“, 1861 წ. და სხვ.³.

ილია ჭავჭავაძეს წარმოუდგენლად მიაჩნდა ჟურნალი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტატიების გარეშე, პუბლიცისტიკის გარეშე. დიდი ჟურნალისტური ერუდიციის, ორგანიზატორული ტალანტისა და პირადი გამბედაობის წყალობით, მან წარმატებით გადალახა სიძნელებები და, არსებითად, შესძლო თავისი ჟურნალი ახალი თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანოდ გადაექცია. იგი მრავალ საშუალებას მიმართავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემების წინ წამოსაწევად. ამასთან, როგორც ჭეშმარიტი სამოციანელი, — პუბლიცისტიკას, პუბლიცისტურ ელემენტს ილია ჭავჭავაძე ლიტერატურის ყველა ენარის, უფრო მეტიც, მეცნიერების ყველა დარგის ორგანულ ნაწილად თვლიდა. „ამიტომ არის, რომ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ყველა მასალა, მოთხრობა და ლექსი, პიესა თუ კორესპონდენცია გააოხიერებულა პუბლიცისტური ნაკადით. ჟურნალის ამოცანების განსაზღვრისას, ილია საგანგებოდ მიუთითებდა, რომ „... მათგან (მეცნიერებისა და ხე-

¹ ზაქ. კიკინაძე, ი. ჭავჭავაძე... გვ. 14.

² ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 71.

³ თ. შავჭავაძისანი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, 1957, გვ. 5.

ლოვნებისაგან. — ა. კ.) (ეურნალმა) ძნელი მისახვედრი ცნობები სა-
ყოველთაო ვასაგებად (უნდა) გაამარტივოს და ამით გააერთიანოს სა-
ქირო სწავლა და ცნობები ხალხში“. ეს ნიშნავს, რომ „საქართველოს
მოამბის“ რედაქტორს მეცნიერული ცოდნის პრობაგანდაც პუბლიცის-
ტიკის ამოცანად მიაჩნდა. ეს თვალსაზრისი ილიამ კიდევ უფრო გააღ-
რმავა ფელეტონში „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“. „უკანონოდ
და უმიზნოდ არაფერი არც გაჩენილა, არც გაჩნდება, — წერდა ის, —
ჩვენი აზრიც მაგ კანონებისა და მიზეზების ცოდნიდამ შედგება. მაგ
კანონებისა და მიზეზების ცნობაზედ ტრიალებს მეცნიერებაც, სწავ-
ლა და განათლება... ჩვენი ეურნალის მოვალეობა ის გახლავთ, რომ
ის აღხსნილი და გამოკვლეული კანონები და მიზეზნი... გვაცნობოს“.
ეს უშუალო გამოსმაურებაა ჩერნიშევსკის სიტყვების: „ეურნალისტიკის
ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა არის მკითხველთა შორის დადებითი
ცოდნის გავრცელება. საზოგადოებას ეურნალში სურს არა მარტო
ეურნალი, არამედ სამეცნიერო კრებულებიც“.

ამ მიზნით დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ მიტჩელის¹ „ზე-
ციური მნათობები“, ი. ოქრომჭედლიშვილის, ს. ბარათაშვილის და სხვ.
ნაწერები.

ქართულ ეურნალისტიკას დღესაც შეუძლია იამაყოს ამ შესანიშ-
ნავი ტრადიციით, რადგან ბურჟუაზიული თეორეტიკოსები სწორედ
ეხლა ცდილობენ დაუპირისპირონ ერთმანეთს მეცნიერება და პუბ-
ლიცისტიკა. ბურჟუაზიული „აკადემიზმი“ ყოველმხრივ ცდილობს
მიაფუჩეჩოს მეცნიერების კავშირი პუბლიცისტიკასთან.

ილიას თვალსაზრისი, რომელიც რუსული რევოლუციური დემოკ-
რატიზმის სათავეებიდან მოედინება, სწორი თვალსაზრისია, — მეც-
ნიერული თეორია ამდიდრებს პუბლიცისტიკას, ხოლო პუბლიცისტიკა
აცოცხლებს მეცნიერულ თეორიას.

„საქართველოს მოამბეში“ წარმოდგენილია პუბლიცისტიკის თით-
ქმის ყველა უანრი: თეორიული სტატიები, თანამედროვე პოლიტიკუ-
რი ცხოვრების მიმოხილვა, ნარკვევი, ფელეტონი, პაფლეტი, რეცენ-
ზია. დამახასიათებელია, რომ რეპორტაჟი და ინფორმაციაც კი (მაგალი-
თად, მეორე და მესამე ნომრების „სხვადასხვა ამბავი“) მიზნად ისა-
ხავს ფაქტების განზოგადებას, მათს პოლიტიკურ გაშუქებას, ამასთან,
პუბლიცისტიკაში აქ გამოვლინებულია გარკვეული პოლიტიკური კუთ-
ხით ფაქტების შერჩევაში.

ეს ნიშანთვისებაც „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკას სრუ-

¹ მიტჩელი (1810—1862) ამერიკელი ასტრონომი. 1860 წელს მოსკოვში
დაიბეჭდა მისი *Небесные светила, или планеты и звездные миры*, აქედან უთ-
არგმნია დიძ. ყიფიანს პირველი ათი ლექცია.

ლიად ახალ მოვლენად წარმოგვიდგენს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. მანამ პრესის ტრიბუნა ჩვენში არავის გამოუყენებია ასეთი მრავალმხრივი, რევოლუციური, დემოკრატიული შეხედულებების პროპაგანდისათვის. როგორც მთელი ჟურნალის, ისე, კერძოდ, მისი პუბლიცისტიკის სულისჩამდგმელი იყო თვითონ ილია ჭავჭავაძე, პირველი ქართველი პუბლიცისტი, რომელიც თავის თავში აერთიანებდა გენიალურ პოლიტიკურ მოაზროვნეს, ფილოსოფოსს, დიდ კრიტიკოსსა და რევოლუციონერ-დემოკრატს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ პუბლიცისტიკური ნაკადი შექრილია „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ყველა ყანრის თხზულებაში. ამ მხრივ, სანიმუშოა თვით ილია ჭავჭავაძის ნაწერები. პუბლიცისტური ლირიკის შესანიშნავი მაგალითებია ლექსები: „ჩემო კალამო“, „ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“, „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „მტკვრის პირას“, „მუშა“, „პოეტი“, „გუთნის დედა“, „ხმა სამარადამ“, ნაწყვეტები „აჩრდილიდან“, „ერთი მოთხრობის დასაწყისიდან“ („კაკო ყაჩაღი“), პუბლიცისტიზმის კვალი ატყვია აგრეთვე „კაცია აღამიანს“, „გლახის ნაამბობს“ და ა. შ.

გველისხმობთ არა მხოლოდ პუბლიცისტურ პათოსს, არა მხოლოდ იმას, რომ ეს ნაწარმოებები მიძღვნილია საჭირობოროტო საკითხებისადმი და გაყდენთილია მებრძოლი სულისკვეთებით, პოლემიკით,— არამედ კონკრეტული ფაქტების გაშიშვლებასა, სამსჯავროზე მათს გამოტანას, მათზე მსჯელობის ფორმასა და პირდაპირ, ჟურნალისტურ განაჩენს.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიგონოთ სტრიქონები:

...ჩემზედ ამბობენ: „ის ქართველისას სიცილეს ამბობს,
ჩვენს ჭუჭყს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულელია!“
ბრძევი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე გრძნობს,
ამ სიძულელიში რაოდენიცი სიყვარულია...

ან

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში,
რასაც ვმზახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრადა მოეფინოთ ხალხში...
ბოროტთ საკლავად მათ სულთხდომის სეირს ეუყურით.

საგულისხმოა, რომ ჩვენ მიერ მოტანილი ნაწყვეტი ლექსიდან „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“, ილიამ გამოიყენა იმავე ნომერში დაბეჭდილ პუბლიცისტურ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“. თავის მხრივ, ეს წერილიც მხატვრული პუბლიცისტიკის ნიმუშია. საჭირობოროტო პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა აქ მხატვრული ორნამენტებით არის შემკული და ავტორიცი შენიშნავს: „კიდევ ვიხდით ბოდიშსა, თუ ეს სტატია მეტაფორებით სავსე ეჩვენოს

მკითხველსაო“. განა ადვილი გამოსაყოფია პუბლიცისტური და მხატვრული ელემენტი ამ წერილის შემდეგ ნაწყვეტში?.. „...უფრო მაცხვონებელია პირველი ქროლვა ახალის ცხოვრებისა — ევ ახალს დაბადებულს ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხარადეს, როგორც ძუძუმძლეველი დედა შეჰხარის ახალგაღვიძებულ ბავშვსა. გული სხვა რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა რიგათა ჰსცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა“. აქ გარკვევითაა მინიშნებული, რომ სიახლის პათოსი, ახლის შეგრძნებით გამოწვეული გულისძგერა მხატვრულ ელფერს აძლევს ცხოვრების საპირბოროტო საკითხებზე მსჯელობას.

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკაზე მსჯელობისას, ანგარიში უნდა გაუწიოთ იმასაც, რომ, — რადგან ჟურნალს აკრძალული ჰქონდა საპირბოროტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა, ე. ი. პუბლიცისტური სტატიების ბეჭდვა, და არც მადაგაუხსნელი მკითხველი იჩენდა ასეთი წერილებისადმი ინტერესს, რედაქცია და თანამშრომლები ოსტატურად იყენებდნენ ე. წ. ჟურნალისტური მოგერიების ხერხს — არსებითად სწერდნენ პუბლიცისტური ხასიათის მასალებს, მაგრამ აქვეყნებდნენ პოლემიკური წერილების („ბიძია თონიკეს სტატიისა გამო“, „ცისკარს რა აკაკანებდა?“, „ამაო ამაოთა“), ფელეტონების („სფირიდონისა და თადეოსის ბაასი“), პამფლეტების („სხარტულა“), დრამატული სცენების (ს. აბაშიძის „ლოტო“), ხოლო ზოგჯერ, სარედაქციო განცხადებებისა (მე-11 ნომრის განცხადება) და თარგმანებისათვის დართული შენიშვნების სახითაც კი.

ამ გარემოებისათვის მკვლევარებს დიდხანს არ მიუქცევიათ ყურადღება და მითითებულ ნაწერებს ისინი განიხილავდნენ, როგორც პოლემიკურს, მაშინ, როცა პოლემიკა მხოლოდ საბაზი იყო. რომელიც ორივე მხარეს საშუალებას აძლევდა გამოეთქვათ თავიანთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი და მკითხველიც უფრო დაეინტერესებინათ. საყურადღებოა, რომ ძველმა თაობამ. მაგ. ალექსანდრე ორბელიანმა, ეს გარემოება უმაღლე იგრძნო.

რადგან ხელისუფლებამ პოლიტიკური განყოფილების ნება არ დართო, რედაქტორი იძულებული გახდა ხერხისათვის მიემართა — პოლიტიკურ-პუბლიცისტური განყოფილების ფუნქცია უწყინარი სახელწოდების — „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილებისათვის დაეკისრებინა. საარქივო მასალებიდან და ჟურნალიდანაც ჩანს, რომ ცენზურა განსაკუთრებით ამ განყოფილებას ავიწროებდა. მაგრამ ჟურნალის ან-

¹ კ. კეკელიძის სახ. ზელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, დიშ. ყიფიანის არქივი, № 414; აგრეთვე, ო. ჰაუკვაძის წერილები ოლღა გურამიშვილისადმი.

ტიბატონყმური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულება სწორედ ამ ხასიათის მასალებს მოითხოვდა და რედაქტორმა ეს ამოცანაც წარმატებით დასძლია. ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, თითქოს „საქართველოს მოამბის“ ეს ნაწილი „Отечественные записки“-ის „Смесь“-სა და „ცისკრის“ „სალაყბო ფურცლებს“ ჰგავდეს¹. უფრო შართებული იქნება, რომ იგი შეეადაროთ „სოვრემენიკის“ პოლიტიკურ განყოფილებას ან „შინაურ მიმოხილვას“, სადაც ნ. დორბოლიუბოვი, ს. სლავუტინსკი და გ. ელისაევი სწერდნენ და რომელიც 1869 წელს ჩამოყალიბდა. რაც შეეხება „სალაყბო ფურცელს“, იგი მართლაც წარმოდგენდა „ცისკრის“ შინაური მიმოხილვის განყოფილებას, მაგრამ მას ემპირიული ხასიათი აქვს, ქრონიკას უფრო ჰგავს, მოკლებულია ფართო განზოგადებას, არ გააჩნია ნათელი, წარმმართველი იდეა და მებრძოლი სულისკვეთება. „სხვადასხვა ამბავის“ — უშუალო წინამორბედად „ცისკარში“ შესაძლებელია მივიჩნიოთ მხოლოდ გიორგი ქართველის სტატია და 1861 წლის იანვრის სარედაქციო წერილი — „რამდენიმე აზრის შესახებ კენჭის გათავებისა“.

„სხვადასხვა ამბავი“ ახალ მიზნებსა და ამოცანებს უსახავდა პრესასა და საზოგადოებას. პირველ ნომერში დაბეჭდილი — „სხვადასხვა ამბავის“ ავტორი ვახტანგ თულაშვილი საკმაოდ ვრცლად ეხება პრესისა და განსაკუთრებით, პუბლიცისტიკის როლს ხალხის ცხოვრებაში. იგი გადაჭრით ამბობს, რომ ქართველი მკითხველის სულიერი მოთხოვნილება გაფართოვდა და მას აღარ აკმაყოფილებს უთავბოლო ზღაპრები და მამაპაპური მასლათი; მკითხველს ახლა აინტერესებს ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა საფუძვლიანი ანალიზი, სერიოზულ, საჭირობოროტო საკითხებზე მსჯელობა; თუ პრესა, ყურნალი ანგარიშს არ გაუწევს ამას, არ იგრობს ისტორიულ პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, მაშინ იგი დაქარგავს ავტორიტეტს, სახელს გაუტეხს ბეჭდვითს სიტყვას.

პუბლიცისტი ორ ნაწილად ჰყოფს ქართველ მკითხველს საზოგადოებას — ერთნი, რომელთაც არაფერი სჯერათ, ხოლო მეორენი, რომელნიც ყველაფერს გულუბრყვილოდ იჯერებენ. ამ უკანასკნელთა კატეგორიას ვახტანგ თულაშვილი მიაკუთვნებს დამყაყებულ, გონებაჩლუნგ ჩინოვნიკებს, „ყმისა და მამულის პატრონებს“, რომლებსაც სავესებით დაუქარგავთ დამოუკიდებელი აზროვნების, ელემენტალური განსჯის უნარი, ადამიანის ღირსების ეს უპირველესი ნიშანი. ავტორი მოურიდებლად ამათრახებს გადაგვარებულ თანამემამულეებს, რომელთაც ახალ ამბად მიაჩნიათ მხოლოდ მთავრობის განქარგულებანი და ათასგვარი მონაპოროი — „თუ რისთვის გამოავდეს

¹ „ბიბლიოგრაფიული მოამბე“, № 4—5, გვ. 339.

სამსახურიდან ესა თუ ეს კაცი, მის მაგივრად ვინ დანიშნეს,.. ვინ არის ნაჩაღნიკად, იმის თანაშემწედ, დიამბეგად, ხომ არ უპირებენ გუბერნატორს გამოცვლას — ასეთებს საზოგადოების საქმე არ აინტერესებთ — დასძენს ავტორი.

ვახტანგ თულაშვილის „სხვადასხვა ამბავი“, რომელსაც ჟურნალის ოცდახუთი გვერდი უკავია, დახასიათებას ისახავს მიზნად. მაგრამ ეს მხოლოდ ჟურნალისტური ხერხია; იგი ღერძია, რომლის გარშემოც თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური პრობლემები ტრიალებს. ერთი შეხედვით, ამ თითქოს უწყინარ მუსიაფში, მიმომხილველი მწვავედ ეხება ხალხის ტყვივლებს. იგი მოითხოვს მკითხველისაგან გაბედულ კრიტიკულ განსჯას, აიძულებს მას, რომ ცხოვრების განვითარების კანონზომიერებით, მომავალი ბედნიერებას მოუტანს ხალხს. „ეს კანონი ჭეშმარიტებისა, — წერს თულაშვილი, — მოითხოვს. რომა სულყველისფერსა, რასაც კი აქვს ჩასახული სიცოცხლე. მოძრაობა და გონიერება, უნდა უთუოდ ცხოვრობდეს, მოძრაობდეს, თავის საჭიროებისათვის ფიქრობდეს თავის შინაგანს ძალასა და სხვადაც აგრძნობინებს, რომ ეგ ძალა სრულიად არ არის ჯერ კიდევ გამჭკრალი“.

„საქართველოს მოამბის“ წამყვანი პუბლიცისტი, „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილების რედაქტორი დავით ყიფიანი კიდევ უფრო ვრცლად განიხილავს ქართული პუბლიცისტიკის ამოცანებსა და თავისი განყოფილების მიზანს.

ჟურნალის უმთავრეს დანიშნულებად დ. ყიფიანს მიაჩნია მკითხველის აღზრდა, მისი იდეური გამოწრთობა, სულიერი და ზნეობრივი გარდაქმნა. პუბლიცისტი გრძნობს, რომ ეს ძნელი მოვალეობაა, დიდ დროს, ტაქტსა და მომზადებას მოითხოვს. ჟურნალმა, განსაკუთრებით შინაურმა მიმომხილველმა, უნდა მოიპოვოს მკითხველის ნდობა, დაიხლოვოს და თავის საბრძოლო რაზმში ჩააყენოს იგი. „ჩვენ ამბებს რომა კითხულობდე ხოლმე, — მიმართავს დავით ყიფიანი მკითხველებს, — ფიქრად საზოგადოდ ქართველობა უნდა გქონდეს განუწყვეტლათა... მარტო შენთან აზრებით შენათესავეება ჩვენთვის საკმაო არ არის, მთელი საზოგადოება უნდა დაეინათესავეოთ. მაგრამ ეს ასე ადვილი არ არის. ამას ბევრი შემზადება უნდა... და ყოველი მეცადინეობა უნდა მოვიხმაროთ“.

ქართულ პრესაში ასეთი მგზნებარე მოწოდება უკვე „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გაისმის, რაც ნათელყოფს ჩვენი ჟურნალისტის დიდი ხნის რევოლუციურ ტრადიციებს.

დავ. ყიფიანი გარკვევით აფრთხილებს მკითხველს, რომ ჟურნალი, მისი პუბლიცისტიკა, კერძოდ, „სხვადასხვა ამბავი“, გასართობად მოგონილი როდია, რომ, — პირიქით — მკითხველი ლიტერატურ-

რული ცხოვრების აქტიური მონაწილეა და ვალდებულია, ავტორთან ერთად იაზროვნოს: „იქნება მეტად მძიმე ტვირთი დაგედოს, მკითხველო, — დასძენს ავტორი, — მაგრამ რა გაეწყობა, უნდა ჰზიდო, ჯიჯო. ყოველმა აზრიანობამ ასე იცის“.

პუბლიცისტიკისაგან ავტორი მოითხოვს იდეათა მწყობრ და ნათელ სისტემას, ჟურნალისაგან — მტკიცე მიმართულებასა და პრინციპულობას. „ყოველ კაცს რომელიც მწერლობის გზას დაადგება, — წერს ის, — აზრების შემკვიდრებული მექონეობა მოეთხოვება. ყოველისფერი, რასაც კი იტყვის, იმ აზრებზე უნდა იყოს დამყარებული და იმ აზრებითგან გამოწურული.“

...იმ აზრების ხასიათსა, იმას, რა ბურჯზეც, საძირკველზე იმართებიან მისი აზრები და იმ ბურჯისაგან ეს აზრები როგორ, რა განზრახვით გამოიწურებიან — იმას ჰქვია მიმართულება. ერთსა და იმავე მიმართულებაზე დააყენე, კაცო, მთელი საზოგადოება და ამითი შემკვიდრებული გზა გაუხსენი წინმაველობასა და ვითომც ყოველი საზოგადოებისათვის სანეტარო კეთილმდგომარეობა შესრულებით დაგიდგენია“.

ავტორი მიზნად ისახავს ამ ფუძემდებელი, სამიმართულებო იდეების გადმოცემას, იმ აზრების ახსნას, რომლებიც „ბურჯად უდევს სხვა აზრებსა“, ე. ი. იდეებისა, რომლებიც ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ უსათუოდ უნდა განხორციელდეს. დაეით ყიფიანი ირონიულად დასძენს, რომ მას მხედველობაში აქვს არა „საიქიო სასუფეველი, არამედ „ქვეყნიერებაში კაცობრივი კეთილმდგომარეობა, ქვეყნიერებაში სიცოცხლის კეთილწარმართება“.

პუბლიცისტმა იცის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას, რომ შესაძლებელია ამ კანონზომიერების შეცნობა და რომ აღამიანს ძალა შესწევს გავლენა მოახდინოს ცხოვრების განვითარებაზე, უკეთესისაკენ წარმართოს ის.

მეტად საყურადღებოა ავტორის მტკიცება, რომ საქართველო კაცობრიობის განუყოფელი ნაწილია და რომ მის ბედს, მის კეთილდღეობას უშუალოდ დამოკიდებულება აქვს საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებთან. ამ დებულებას დავ. ყიფიანი იყენებს ქართული ჟურნალის, მისი პუბლიცისტიკის აქტუალური ამოცანების განსასაზღვრავად და მკითხველს განუმარტავს, — როცა ჩვენ უცხო ქვეყანაზე, იქაურ ბრძოლებზე, იქაურ წესრიგზე გელაპარაკებით, მაშინვე შენი საქართველო წარმოიდგინე, მისი აკვარგი იგულისხმეო...“ ...მოიფიქრე ხოლმე და შენს ფიქრებს თავისუფლება ათხოვე და ნუ შეგეშინდება, იმ შენმა თავისუფალმა ფიქრებმა სადამდინაც უნდა მიგიყვანონ“.

მაისის ნომერში დავ. ყიფიანი ავითარებდა დაწყებულ მსჯელობას

ქართული პუბლიცისტიკის ამოცანების შესახებ და დასკვნის იმ მკითხველებს, რომლებიც „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილებიდან წვრილწვრილი სენსაციური ხაბარის შეტყობას მოელოან,—მაგალითად, იმას „თბილისში ამ ორი კვირის წინად რომ ორი იმერელი ჩამოახრჩვესო“, მაგრამ, — შენიშნავს პუბლიცისტი, — „ამბის შეტყობაში ხომ არ არის საქმე, საქმე ამბის ქეშმარიტი მნიშვნელობის გაგებაშია“.

როგორც ვხედავთ, ავტორს ბრწყინვალედ, სხარტად აქვს დაქერილი პროგრესული პუბლიცისტიკის არსი. ამ ამბავმა, — განაგრძობს ის, — „ვისმე საფიქრებლად აზრები გამოუღვიძა რამე? დაეთანხმა თუ არა?.. ეს ხომ ვიცით, რომა ქვეყანაზე ბევრი რამ განუსჯელად მოხდება ხოლმე, ან ხშირადათა — განსჯითაც, მაგრამ მაინც კი უსამართლოდა?“

პუბლიცისტი სულ უფრო მეტი პოლიტიკური სიმანვილით განაგრძობს მსჯელობას, სულ უფრო ღრმად იჭრება პოლიტიკური პუბლიცისტიკის არსში: „კარგია, რომ კიდევ მაგისთანა მართებლობა გეყავს, რომ არ გგონია, განუსჯელად არავინც არ დაახვეტინოს, არც ჩამოახრჩობინოს, არც კატორგაში გააგზავნინოს. ხომ არც ესა გგონია, მკითხველო? კიდევ ეს არის, რომ არა გგონია. ლიტერატურა კარგათა გრძნობს თავის ვალდებულებას, რომ შენა, მკითხველო, ყოველმა ამბავმა ფიქრები და აზრები მოგივლინოს ხოლმე, ისე, როგორათაც კაცობრივი ღირსება მოგთხოვს და „შგონიაობიობის“ გათავებით არ გაქმაცოფილოს“.

საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობას, უკუღმართ ხელისუფლებასთან ბრძოლას, ავტორი ადამიანის ღირსების, მისი პირადი სინდისის საქმედ აცხადებს, ხოლო პოლიტიკურ ინდეფერენტისმს ზნეობრივი სიშდაბლის ნიშნად თვლის. შინაური მიმომხილველი ნატრობს, ნეტავ, ჩემს კალამს ისეთი ძალა მისცა, რომ „იმოდენი ცნობისმოყვარეობა განგიღვიძოს, ქართველობავ, რომა კაცობრივის ღირსებით განაღვლებინოს ვრცლათა (ე. ი. ნაღვლობის დაქმაცოფილებამდინა) შენს კერძობიობის საქმეებზედაცა, საზოგადოებისებზედაცა“.

პუბლიცისტი მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მოვლენის ღრმა ანალიზს, სხვა მოვლენებთან მის დაკავშირებას, პოლიტიკურ შეფასებას. „ლუკებში სადმე, ან სხვაგან რა მოხდა, რათ მოხდა, რა მიზეზითა მოხდა, ან ყოველსავე ამის ქეშმარიტე მით წარმოდგენა შეუძლებელი რათ უნდა იყოს?“ — ავტორი აღვიძებს მკითხველის ცნობისმოყვარეობას. მას ერთნაირად მნიშვნელოვნად მიაჩნია საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური ცხოვრება: „შენს შინაურობაში მაინც მიიხედ-მოიხედე, — მოუწოდებს მკითხველს. — დააშტერდი მაინცა და იგრძნე იმისი ყოველადწყლული სიღარიბე — სიბილწემდინ ჩაობებული“.

ამრიგად, თვით „სხვადასხვა ამბავშივე“ განსაზღვრულია ამ განყოფილების მიზანდასახელობა და ჩამოყალიბებულია ქართული პუბლიცისტიკის უახლოესი ამოცანები. აშკარაა, რომ „საქართველოს მოამბის“ რედაქციამ შესძლო ხელისუფლების განკარგულებისათვის გვერდის ავლა და ცენზურის მიერ ნებადართული „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილება ფაქტობრივად პოლიტიკურ განყოფილებად გადაქცეა.

საარქივო მასალებით მტკიცდება, რომ დავით ყიფიანის აქ განხილული სტატიის დაბეჭდვა გათვალისწინებული იყო ეურნალის პირველ ნომერში. ნიკ. ყიფიანი სწერს: „ჩვენი დათიკოს წერილი ცენზორმა დააკავა და ეურნალის გამოსვლა გვიანდება“. ილიაც რამდენჯერმე აცნობებდა საცოლეს, ცენზორთან მივდივარ ერთი სტატიის გამო, რომლითაც ძალიან დაინტერესებული ვარ და რომლის დაბეჭდვაც ცენზორს არასგზით არ უნდაო. მაგრამ მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა. ეურნალის პირველ ნომერში დავით ყიფიანისა არაფერი არ დაბეჭდილა, მეორე და მესამე ნომერში „სხვადასხვა ამბავი“ დაახლოებით ისე გამოიყურება, როგორც ხელისუფლების ნებართვის მიხედვით უნდა ყოფილიყო, ხოლო დავ. ყიფიანის დასახელებული სტატია, რომელსაც უდავოდ საპროგრამო მნიშვნელობა აქვს და უცილობლად პირველი ნომრისათვის იყო გამიზნული, მხოლოდ აპრილის ნომერში დაისტამბა, ისიც ცენზურისაგან საგრძნობლად დაჩეხილი (ნებადართულია 30 აპრილს).

ეჭვს არ იწვევს, რომ აღნიშნული სტატია რედაქციას მოუშზადებია (უსათუოდ, ილიას აქტიური მონაწილეობით) როგორც პირველი ნომრის საპროგრამო მოწინავე წერილი და რაკი მისი დაბეჭდვა არ მოხერხდა, იგი სახელდახელოდ შესცვალეს ვახ. თულაშვილის „სხვადასხვა ამბავით“, ხოლო პირველ გვერდზე გაშვებულ იქნა დობროლიუბოვის „მამა ალექსანდრე გავაცი“. დავ. ყიფიანის წერილს, სხვათა შორის, მკითხველი უნდა შეეშზადებინა „მამა ალექსანდრე გავაციის ქადაგებისათვის“ და ამ მიზანს ემსახურებოდა პუბლიცისტიკის დარიგებაც, როცა უტბო ქვეყნებზე ვწერთ, იქაურ ბრძოლებზე გელაპარაკებით, საქართველო წარმოიდგინე, მისი აკვარჯი იგულისხმეო.

იმ მნიშვნელობის შესაბამისად, რომელსაც რედაქცია პუბლიცისტიკას ანიჭებდა, ეურნალში მას წამყვანი ადგილი უკავია.

№ 1: ნ. დობროლიუბოვი — „მამა ალექსანდრე გავაციის ქადაგებანი“.

ი. ჰავჭავაძე — „საქართველოს მოამბეზედ“.

ვ. თულაშვილი — „სხვადასხვა ამბავი“.

№ 2: დავ. ყიფიანი და ესტატე მალალაშვილი — „სხვადასხვა ამბავი“.

№ 3: კ. ზალცმანი (მთარგმნელი ლ. ჯანდიერიშვილი) — „კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის“.

დავით ყიფიანი — „რიგიანი ქართული გრამმატიკის შესამუშავებელ მასალებად“.

დავით ყიფიანი — „სხვადასხვა ამბავი“.

№ 4: კ. ზალცმანი — „კონრად კიფერი“ (გაგრძელება).

კირ. ლორთქიფანიძე — „ბიძია თონიკეს სტატიისა გამო“.

დავით ყიფიანი — „სხვადასხვა ამბავი“.

№ 5: გ. წერეთელი — „ცისკარს რა აკაკანებდა?“

დავ. ყიფიანი — „სხვადასხვა ამბავი“.

ი. ჭავჭავაძე — „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ (გაგრძელება).

ი. ოქრომჭედლიშვილი — „მოკლე განხილვა სოჭხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს“.

კირ. ლორთქიფანიძე — „ამაო ამათა“.

№ 7: პ. ნაკაშიძე — „სამგზავრო წერილები“.

ი. ჭავჭავაძე — „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ (გაგრძელება).

ი. ჭავჭავაძე — „სხარტულა“.

№ 8: კ. ზალცმანი — „კონრად კიფერი“ (გაგრძელება).

ბასტია — „მძარცველების ფსიქოლოგია“ (მთარგმნელი ი. ჭავჭავაძე).

ჭავჭავაძე — „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ (გაგრძელება).

ვიქტორ ჰიუგო — „სიკვდილით დასჯის გადადგმის შესახებ (მთარგმნელი ილია ჭავჭავაძე).“

№ 9 ი. ჭავჭავაძე — „კირაკოზი განძაკეცი“.

კ. ზალცმანი — „კონრად კიფერი“ (გაგრძელება).

№ 10. პრუდონი — „სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“ (მთარგმნელი ი. ჭავჭავაძე).

ი. ჭავჭავაძე — „რედაქციისაგან“.

კირ. ლორთქიფანიძე — „ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“.

ბასტია — „ორნაირი სწავლა“ (მთარგმნელი ი. ჭავჭავაძე).

№ 12. კირ. ლორთქიფანიძე — „ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ (დასასრული).

წარმოდგენილი ნუსხა მრავალმხრივ საყურადღებოა, მაგრამ, პირველ რიგში მოკლედ განემარტავთ, რა მოსაზრება დავუდეთ საფუძვლად ამგვარ კლასიფიკაციას. ხუთივე „სხვადასხვა ამბავი“ რომ პუბლისცისტიკაა, ამაზე საკმაოდ ვილაპარაკეთ და, ვფიქრობთ, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. ასევე უეჭველია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლე-

მიკურო წერილების („ბიძია თონიკეს სტატიის გამო“, „ცისკარს რა აკაკანებდა?“) პუბლიცისტური ხასიათი. „ცისკართან“ პოლემიკა ავტორებს საბაბს აძლევს გამოთქვან საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კრიტიკული შეხედულებანი. კამათს არ იწვევს აგრეთვე, რომ პუბლიცისტურია ნ. დობროლიუბოვის — „მამა ალექსანდრე ვადაცის ქადაგებანი“, ბასტიას — „მძარცველობის ფსიქოლოგია“ და „ორნაირი სწავლა“, პრუდონის — „სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“, კირ. ლორთქიფანიძის — „ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია გვითხრან, რომ პრუდონისა და ბასტიას ნაშრომები პოლიტიკური ეკონომიის ე. ი. მეცნიერების სფეროს განეკუთვნებაო. საქმე ის არის, რომ დასახელებული თხზულებანი, უფრო საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე პირდაპირ, მამხილებელ მსჯელობას წარმოადგენს, ვიდრე კვლევას პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერული კანონების დადგენისას. ვ. ჰიუგოს წერილი სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე ფრანგული პუბლიცისტიკის შესანიშნავ ნიმუშად ითვლება. „კონრად კიფერი“ არსებითად მიმართულია სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ, იძლევა აღზრდის სოციალური საფუძვლების, ე. ი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნაკლოვანებათა და მანკიერებათა კრიტიკას. დავით ყიფიანის „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“ არ არის სპეციალური მეცნიერული გამოკვლევა. იგი ენის გახალსურების თაობაზე გაჩაღებული კამათის გამოხმაურებაა და საჭირბოროტო საკითხებზე ფართო მსჯელობით მიზნად ისახავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეათა პროპაგანდას. ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეზედ“ და მისი ორი სარედაქციო განცხადება აშკარად პუბლიცისტური წერილებია, სადაც ჩამოყალიბებულია ავტორის სოციოლოგიური და ფილოსოფიური შეხედულებები, გარკვეულია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ტენდენცია, ხელოვნებისა და მეცნიერების ურთიერთობა და ცხოვრებისადმი მათი დამოკიდებულება.

მხატვრული პუბლიცისტიკის ნიმუშს წარმოადგენს პეტრე ნაკაშიძის თხზულება; სამგზავრო ნარკვევების ფორმაში, აქ მოცემულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდა და ბრძოლისაკენ მოწოდება. ი. ოქრომჭედლიშვილისა და ბ. ვ.-ს (ი. ჭავჭავაძის) წერილებში, მეცნიერული მიმოხილვის ფორმაში ფაქტიურად დაყენებულია ეროვნული მოღვაწეობის, აქტიური ნაციონალური მოქმედების საკითხი.

კირ. ლორთქიფანიძის „ამაო ამათა“ არის რეცენზია, რომელიც

პუბლიცისტურად აშუქებს ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ მომენტებს.

ილია ჭავჭავაძის „სხარტულა“ და „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ლიტერატურულ-პუბლიცისტური ფელეტონებია. სატირისა და იუმორის საშუალებით, გაშუქებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული პრობლემები. ამავე თვალსაზრისით, შეიძლება პუბლიცისტურ ნაწარმოებად მიგვეჩნია საძსონ აბაშიძის ვოდვეილი „ლოტო“, რომელიც იმ დროის ზნეობრივი და სოციალური სიმახინჯის უშუალო მხილებას წარმოადგენს.

ჩვენს მიერ შედგენილი სარჩევიდან ჩანს, რომ პუბლიცისტიკა ნომრიდან ნომერში სუსტდებოდა და ბოლოს სულ გაქრა. 1863 წლის ზაფხულში ქართული ჟურნალების მიმართ განხორციელებული რეპრესიები ყველაზე მეტად ამ განყოფილებას დაეტყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ „საქართველოს მოამბეს“ აუკრძალეს პუბლიცისტური სტატიების გამოქვეყნება. მეექვსე ნომრიდან გაუქმდა „სხვადასხვა ამბავის“ ნაწილი; რედაქცია შეეცადა, რომ დანაკლისი გადმოთარგმნილი წერილებითა და მათთვის დართული ვრცელი შენიშვნებით შეეცხო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ წამოწყებასაც დიდი დაბრკოლებები გადაეღობა.

ასეთი ღვეწა-შევიწროების მიუხედავად, „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკამ ღრმა კვალი დააჩნია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას. „გარდა სარედაქციო წერილებისა, — აღნიშნავდა არჩილ ჭორჩაძე — ჟურნალის ძიმართულეზა ისახებოდა შინაური ცხოვრების მატთანეში. საუბედუროდ, საცენზურო პირობების გამო, ამ ხასიათის წერილებს ბევრს ვერ ვხედავთ ჟურნალში, ხოლო რაც დაწერილია, დიდი ყურადღების ღირსია“¹.

რამდენიმე თვის განმავლობაში „საქართველოს მოამბემ“ შესძლო უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეკონომიკური, ლიტერატურულ-ესთეტიკური პრობლემების გაშუქება, ქვეყნის საჭიროებათა მიხედვით სასარგებლო შეხედულებების ჩამოყალიბება, მოქმედებისა და ბრძოლის გარკვეული პროგრამის შემუშავება.

მეტად მრავალფეროვანია ჟურნალის პუბლიცისტიკის თემატიკა. დავიწყებული არ არის სოციალური ცხოვრებისა და შეცნეირების თითქმის არც ერთი დარგი, დაწყებული სტატისტიკითა და პედაგოგიკით, მოძმე ხალხთა კულტურული ცხოვრების მატთანემდე.

თითოეულ სტატიას, ყოველ სტრიქონს ემჩნევა რედაქტორის მზრუნველი ხელი. ერის გადაუღებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებ-

¹ არჩ. ჭორჩაძე, თხზ., ტ. V, 1913, გვ. 79.

ლად არის გამიზნული და დიდი პრინციპულობით ხორციელდება ჟურნალის თანამშრომელთა წერილებში გამოთქმული თვალსაზრისი, რომ „ყოველგვარი მიმართულება არის დაფუძნებული რომელიმე აზრზე და წადილზე, რომელიც მუდამ უნდა ვაჰყავდეს მას საზოგადოებაში“.

ახალგაზრდა რედაქტორი მოუხრიდებელი და შეუბოვარი იყო ყოველთვის, როცა საქმე ეხებოდა ჟურნალის იდეურ მიმართულებას. იგი დაუცხრომლად იბრძოდა იმისათვის, რომ ჟურნალს ჰქონოდა საკუთარი სახე. მაგალითად კმაზა თუნდაც ის ფაქტი, რომ ილია არ მოერიდა ისეთ პატივსაცემ პირსაც კი, როგორც იყო სულხან ბარათაშვილი, რომელმაც ჟურნალს თავისი „საქართველოს ისტორიის“ ხელნაწერი გადასცა და სხვა დახმარებაც აღუთქვა; მის ნაშრომს რედაქტორმა საკმაო მწვავე კრიტიკული შენიშვნა დაურთო.

ერთ-ერთ შენიშვნაში იგი მკაცრად აკრიტიკებს აგრეთვე ზალცმანის შეხედულებას ბავშვის ზნეობრივი აღზრდის შესახებ.

კიდევ უფრო სასტიკია ილია თავისი მეგობრებისა და იდეური თანამებრძოლების მიმართ. ჟურნალის მე-6 ნომერში დაიბეჭდა კირ. ლორთქიფანიძის ვრცელი რეცენზია — „ამაო ამათა“, „კალმასობის“ „ცისკრისეულ“ (ბაქრაძისეულ) გამოცემაზე. დართულ შენიშვნაში რედაქტორი აცხადებს, რომ რედაქცია ძირითადად იზიარებს ავტორის მოსაზრებებს, მაგრამ დასძენს: „...თუმცა, მართალია, კალმასობა დიდი არაფერია, მაგრამ მაინც იმის დაბეჭდვაში არა არის რა ცუდი. უკეთესი რომ ამოერჩივათ, კარგი იქნებოდა, რაკი ეგ ვერ მოხერხდა, რა ვუყოთ?“

როგორც აღვნიშნეთ, „საქართველოს მოამბეში“ ნათლად გამოჩნდა თანამედროვე ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამასთან, ეს ენციკლოპედიურობა ორგანულად შედუღებულია პრობლემათა მეცნიერულ გაშუქებასთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ფორმით, ისე შინაარსით „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკა იდგა იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის მოწინავე პუბლიცისტიკის დონეზე, რომლის ისტორიასაც ამშვენებდნენ ვოლტერი და რუსო, დიდრო და ჰოლბახი, მარატი და სენ-ჟუსტი, ჰაინე და ბაირონი, ვიქტორ ჰიუგო... რადიშჩევი და ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, გოგოლი და გერცენი... ეს მოკლე სიაც გვიჩვენებს, რომ გამოჩენილი მწერლები, იმავე დროს დიდი პუბლიცისტებიც იყვნენ.

ჟურნალმა ძიზნად დაისახა საზოგადოების გონებრივი და ესთეტიკური განვითარება, მისი აღზრდა, ცხოვრების ნაკლოვანებათა გამოკვლევა და გამომწვეურება, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრება — ეს იყო ქართული პუბლიცისტიკის ახალი შინაარ-

სი, ახალი იდეები და მათ განხორციელებას ახალი ლიტერატურული საშუალებები, ახალი ფორმა ესაჭიროებოდა.

როგორც ვთქვით, მკითხველი მოუძნადებელი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე სერიოზული წერილებისათვის, უფრო გასართობ მასალას ეტანებოდა. ამ გარემოებამ გარკვეული დიდი დასავა „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკას, მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ იაფი პოპულარობის მოსახვეჭად, ჩამორჩენილ მკითხველთან საპირფეროდ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტები მათ დონემდე არასოდეს დაშვებულან (როგორც ამას „ცისკარი“ სჩადიოდა) და ყოველთვის ცდილობდნენ თვით მკითხველი აეშაღლებინათ, მისი გონება და გემოვნება განევითარებინათ.

მიზანს კი უურნალი აღწევდა აქტუალური თემატიკით. როგორც ჩერნიშევსკი ამბობს, პუბლიცისტის სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ენმაურებოდეს საზოგადოების გარკვეული ნაწილის სასიცოცხლო ინტერესებს. პუბლიცისტი პოლიტიკური ბრძოლის უშუალო მონაწილეა და იგი ერთ-ერთ მხარეს უნდა ეკუთვნოდესო.

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკა გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, ჰუმანიზმით, გმობს ბოროტებას, ამორალიზმს. სამშობლოს სიყვარული, მისი ძალების, მისი მომავლის რწმენა აქ შედუღებულია თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის რეაქციონერთა და ლიბერალთადმი სიძულვილთან. სწორედ ამით არის განპირობებული ილია ჭავჭავაძისა და, საერთოდ, „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკის მწვავე ტონი, ენერგიაშობილი პათოსი, ლიტერატურული წვა. ბელინსკისა არ იყოს, ასე გვონია, ეს ადამიანები საკუთარი სისხლით წერდნენ. ამ სახით ვლინდება უურნალის პუბლიცისტიკის მებრძოლი სული, შემტევი იდეურობა და ღრმა პატრიოტიზმი. გონებაგაღვიძებულ მკითხველს ატყვევებდა აზრის სინათლე, ხატოვანი ენა, პროპაგანდისტის დაჭერებული მანერა. სწორედ ეს გვაძლევს საბუთს ვთქვათ, რომ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკისათვის დაშახასიათებელია არამარტო შინაარსის ღრმა იდეურობა, არამედ აგრეთვე მასთან ორგანულად შერწყმული ნოვატორული ფორმა, მაღალი პუბლიცისტური ოსტატობა.

„მოამბის“ პუბლიცისტებს თავიანთი ძნელი მოვალეობის აღსრულების საწინდრად მიაჩნდათ პუბლიცისტიკის მრავალფეროვნება, უანრობრივი სიმდიდრე. ამიტომაც წამყვანი იდეების პუბლიცისტური პროპაგანდის ფორმად ისინი იყენებდნენ სტატიებს, პამფლეტს, პოლემიკურ წერილებს, პაროდებს, ფელეტონს, ვოდევებს, მეცნიერულ გამოკვლევებს, პროზას თუ პოეზიას.

უურნალში არ დაბეჭდილა არც ერთი შემთხვევითი მასალა. ყვე-

ლაფერი დახვეწილი და საგულდაგულოდ გამოჩაქეთულია. ილიასა და მის თანამებრძოლებს იმთავითვე შეუსისხლხორცებიანთ კალმით — მშრომელის, პრესისა და ლიტერატურის მსახურის ის წმიდათა წმიდა მცნება, რომელსაც სოფ. მგალობლიშვილი ასე გადმოგვცემს: ილია... „წერაში ფრთხილი იყო, ასჯერ გაზომავდა და ერთხელ მოსჭრიდა. მიწამ ისეთს ფორმაში არ ჩამოასხამდა თავის ნააზრევს, რომ კაცი მოეხიბლა, ან თვით მოხიბლულიყო, არ დაანებებდა თავს, ათასწარი გადასხ-გადმოსხამდა სიტყვებს, წინადადებებს და სასტრუქად გაშალაშინებულს და ცეცხლში გამობრძმედილს გაუშვებდა დასაბეჭდათ“¹.

„საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი თხზულებანი ლოგიკურ და მაჯერებლობასთან ერთად გვიხილავს ღრმა ემოციურობით. აქ ხშირად წაშლილია საზღვარი პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის. პუბლიცისტები მოხერხებულად იყენებენ ისტორიულ ეპიზოდებს, ქმნიან სურათებს, პორტრეტებს, პეიზაჟებს. მიმართავენ ლირიკულ იმპროვიზაციას; მათი ნაწერები მდიდარია ხალხური გამოთქმებით. აფორიზმებით, იგავებით, თქმულებებით; ოსტატურად იყენებენ სატირასა და იუმორს. ჰაბუკური ასაკის მიუხედავად, ისინი წარმოგვიდგებიან დაბრძნებულ კაცებად, დარბაისელ მოაზროვნეებად, რომელთათვისაც უცხოა მაღალფარდოვნება, მანერულობა, ყალბი პათეტიკა. აზრის სიქცადე, უბრალოება მათი სტილის შინაგანი ბუნებაა. პუბლიცისტური სტილის ეს შესანიშნავი მემკვიდრეობა უსათუოდ სასარგებლოა ყველა თაობისათვის. როგორც ვთქვით, მან კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ქართულ ჟურნალისტიკაზე, კერძოდ რევოლუციურ პრესაზე და ეს ძვირფასი ტრადიცია დღესაც გვემსახურება.

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტებისათვის დამახასიათებელია პედაგოგიური გასაუბრების მანერა. დავით ყიფიანი, ვახტანგ თულაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ესტატე მაღალაშვილი და სხვ. ლაღად, თავისუფლად ესაუბრებიან მკითხველს, ცდილობენ დაწვრილებით განუმარტონ და გონებაში ჩაუტყდონ წერილის წამყვანი იდეა, გაუღვიძონ ცნობისმოყვარეობა, დააფიქრონ და აამოქმედონ იგი.

ისინი დაინტერესებული არიან არა მარტო იმით, რომ გააგებინონ მკითხველს თავისი აზრი, არამედ იმითაც, რომ გული აუღუღონ მას და ამ აზრის განსახორციელებლად აამოქმედონ. მაგალითად, ვახტანგ თულაშვილი დაუნდობლად კიცხავს საზოგადო საქმეებზე გულგაციებულ მკითხველს. „რაც უნდა მოხდეს და გაიგონონ, — წერს ის, — მაშინვე პირში გაგიცინებენ და თუ ცოტა ოხუნჯიცი არის, მაშინვე გეტყვის „მახლას“, თავს უგემურად გაიქნევს და გაბრუნდება. ამის-

¹ სოფ. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 148.

თანა კაცს იმის ძლიერის „მახლასის“ შემდეგ რაც უნდა უთხრა, რაც უნდა საბუთები წარმოუდგინო ფაქტისა... ვეღარ მოაბრუნებ“...

იმისათვის, რომ გულგრილმა ადამიანებმა „ძველებურად აღარ სწირონ“, საქვეყნო საქმე ღვიძლად მიიჩნიონ და ახალი აზრის მქადაგებელთა ყური მიუგდონ, პუბლიცისტი შავი ფერებით ხატავს მათი უღარდულობის შედეგებს; ეხება რა შორეულ სამხედრო სასწავლებელში გაგზავნილი მცირეწლოვანი ბავშვის მდგომარეობას, დაასკვნის: „...ყველანი იმისათვის უცხონი არიან და ყველასათვის თვითონაც უცხოა; არის მარტო მრავალთა შორის. ტყუილად მიჰმართავს დაღონებულს ცრემლიანს თვალებს იმ მხარესა, საიდანაც შოიყვანეს და რომელსაც იქნება თავის ღღეშიც ვეღარ ნახავს. ტყუილად შოიხედავს გულდამძარბული თავის სამშობლოსაკენ და ვეღარ დაინახავს მშობელსა და ვერც ნაცნობსა...“

თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად, პუბლიცისტი მოხერხებულად იყენებს კონკრეტულ ფაქტებს, ცხოვრებისეულ მოვლენებს; იცავს ადამიანის დამოუკიდებლობას, პიროვნების თავისუფლებას, დასცინის თვალთმაქცებს, მლიქვნელებს, იმათ, ვინც „დააჭერა გული, რომ საკუთარი ფრთის გაშლას ისა სჯობია, რომ ნაჩაღნიკის ან ღიღკაცის ფრთის ქვეშ ამოჯდეს და იქიდან გამოიჭყიტოს“.

ვახტანგ თულაშვილი მწვავედ შეეხო აგრეთვე ჟურნალისტიკას, და, საერთოდ, პრესის ავტორიტეტის საკითხს. კრიტიკა, განსაკუთრებით სატარა, ზუსტი და სამართლიანი უნდა იყოს; „ვისაც დაცინება სურს, ჭეშმარიტებას არ უნდა გადაუდგეს. მაშინ აქვს დაცინებას ძალა და ღირსება, როცა, ვისაც დასცინიან, მართლად და ახად დასცინიან და დასაცინარაც არის“.

დავით ყიფიანის პუბლიცისტური თხზულებანი ყურადღებას იპყრობს დაკვირვების უნარით, საკუთარი ნააზრითა და ნაფიქრით. მისი წერილები დაწერილია მკითხველთან ინტიმური გასაუბრების ფორმით და ხშირად საგაზეთო იერი დაჰკრავს. უნდა ითქვას, რომ ასეთი ფორმა ყველაზე მეტად შეესაბამებოდა პოპულარულ ჟურნალს, რომელიც ილია ჭავჭავაძემ იდეალად დაგვისახა სტატიაში — „საქართველოს მოამბეზედ“.

დავ. ყიფიანის წერილებში მკითხველთან გასაუბრების საბაბად, ჩვეულებრივ, აღებულია საზოგადოებისათვის ცნობილი უბრალო ამბავი, რომლის ყოველმხრივი განხილვა ავტორს ფართო სოციალურ-პოლიტიკური მსჯელობის საშუალებას აძლევს. ხშირად პუბლიცისტი მთელი წერილის მანძილზე რეფერენციით იმეორებს თხზულების წამყვან აზრს, რაც აძლიერებს ემოციურ ზემოქმედებას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკაში დიდი როლი აქვს ემოციას, ფსიქოლოგიზმს. აქ მნიშვნელო-

ვანი ადგილი უკავია რიტმს, ქვეტექსტს, განმეორებებს, ლირიკულ წი-
აღსვლებს, ხოლო ყველაზე მეტად პათოსს, შინაგან მღელვარებას.

პუბლიცისტური სტილის აღნიშნული თვისებები იმ დროს ჟურნა-
ლისტიკას შესაძლებლობას აძლევდა დაემსხვრია ცენზურის ბორკი-
ლები და ნებადართული შინაარსის ფარგლებში ისეთი ზეგავლენა
მოეხდინა მკითხველზე, რომელსაც საცენზურო პარაგრაფთა მთხზველ-
ნი ვერასოდეს წარმოიდგენდნენ. ამისაგან განსხვავებით, შემდგომი
დროის პუბლიცისტიკაში დიდ ადგილს იკავებს სტატისტიკური მო-
ნაცემები და დოკუმენტური მასალა, ციტატები, დასკვნები, განზოგა-
ლებანი.

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკისათვის დაძახანიათებე-
ლია აგრეთვე მრავალპრობლემიანობა. პუბლიცისტი ერთდროულად
განიხილავს საზოგადოების ყველა საჭირობორტო საკითხს — ეროვ-
ნულს, კლასობრივს, პედაგოგიურს, ლიტერატურულს, ზნეობრივს,
და ა. შ. ამ სახით მათი წერილები არსებული ცხოვრების უფრო მძი-
მე სურათს ქმნიდა და უფრო მკაფიოდ მიუთითებდა ყველა ამ მანკის
ურთიერთკავშირსა და მათს გამომწვევ საერთო ძიზეზებზე.

„საქართველოს მოამბის“ პოლემიკურ-პუბლიცისტური ნაწერების
ნიშანდობლივ სტილისტურ თვისებად უნდა მივიჩნიოთ ჰიპერბოლური
ირონია. თითქმის მთლიანად ამ ჰიპერბოლურ ირონიას ემყარება ი. ჭავ-
ჭავაძის — „სხარტულა“, მისივე „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“,
გ. წერეთლის „ცისკარს რა აკაკანებდა?“ ეს უკანასკნელი, მაგალითად,
სასაცილოდ იგდებს მოლაყბის მოსაზრებას, რომ მწერალი მამა ხალ-
ხისა და წერს: „მწერალი არის მამა ხალხისა. ყოველს ჩვენს წლოვანე-
ბითს ყმაწვილს გულში თითოეული მამის სიტყვა არის განუსაზღვრე-
ლი ჭეშმარიტება. აქედან: მოლაყბე არის მწერალი, ჩვენ — მისი შვი-
ლები“.

„მოამბის“ პუბლიცისტები კარგად ერკვევიან იმ საკითხებში, რომ-
ლებზედაც წერენ. ნარკვევში „სოფლიური ეკონომიკის წარმოების გა-
მოფენა“ — ესტატე მალალაშვილი საფუძვლიანად აშუქებს სოფლის
მეურნეობის განვითარების საკითხებს და, ამავე დროს, იჩენს საექსპო-
ზიციო საქმის კარგ ცოდნასა და გემოვნებას.

ილია ოქრომჭედლიშვილის წერილის სქოლიოები სავსეა რუსული,
გერმანური, ფრანგული, სომხური და სხვ. წყაროებით, რაც იმის მა-
უწყებელია, რომ ქართული ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა ახალ
გზას დადგომია.

ილია და მისი თანამებრძოლები პუბლიცისტურ ხელოვნებას რომ
კარგად ფლობდნენ, ეს, სხვათა შორის, „სხარტულადანაც“ ჩანს. დას-
ციინის რა „ცისკარის“ პუბლიცისტებს, ილია წერს: „ეს სიტყვა „მიხა-
რებია“ პუბლიცისტის მანერაა“.

მაგრამ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკას ბევრი ნაკლიც ჰქონდა. ზოგიერთ სტატიის დიდი ადგილი უკავია დიდაქტიკას, გადაჭარბებული როლი აქვს მიკუთვნებული სწავლა-განათლებას, თითქოს მხოლოდ მას შეეძლო სოციალური პირობების გარდაქმნა.

მკითხველთა დამოძღვრის, მათთან გაუთავებელი ჩიჩინის გამო, პუბლიცისტები ზოგჯერ დაუსრულებლივ ტკეპნიან ერთსა და იმავე ადგილს და სტატიაც ხელოვნურად გაჭიანურებული გამოდის.

ავტორები ყოველთვის ვერ ახერხებენ აზრის სხარტად გამოთქმას, ხშირად შორიდან უვლიან არსებით საკითხს. თუმცა, მართალი უნდა ითქვას, რომ ეს საცენზურო პირობებითაც იყო გამოწვეული.

საერთოდ, „საქართველოს მოამბის“ სალიტერატურო ქართული იმ დროისათვის ფენომენალურია და „ცისკრის“ ენაზე შეუდარებლად მალა დგას, მაგრამ პუბლიცისტურ ნაწერებზე ძნელია ამის თქმა. პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ეკონომიკურ პრობლემებზე მსჯელობა მოითხოვდა არა მარტო ლექსიკურ მარაგს, არამედ ახალ სინტაქსურ ფორმებსაც. დასამტკიცებელი დებულებების რთულ წინადადებებში გაშლა სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა პუბლიცისტებს და მათ ნაწერებშიც ხშირად ვხვდებით ზედმეტ „რათამცასა“ და „რომას“. სმენას აქა-იქ ეჩოთირება დაულაგებელი უზომიერო და ტლანქი გამოთქმები.

„საქართველოს მოამბის“ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მისმა მებრძოლმა, რევოლუციურმა პუბლიცისტიკამ და მისი წყალობით ეურნალის პირველმა ნომრებმა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. ერთ კერძო წერილში კირ. ლორთქიფანიძე (1869 წ.) წერდა: „ახალი ეურნალის „მნათობის“ პირველი ორი ნომერი მოვიდა პეტერბურგში და უნდა მოგახსენო, რომ თუ ამისთანა იქნებოდა არ მოველოდი. „მნათობი“ პირველი ნომრიდანვე პრაქტიკულ გზაზე დაძვარა. ამ მხრით იმან გადააჭარბა „საქართველოს მოამბეს“, მაგრამ ისეთი ზემოქმედება არა აქვს „მნათობის“ სტატიებს, როგორც „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომრებს...“

პუბლიცისტიკაში სრულყოფილად გამოვლინდა ეურნალის მთავარი ღირსებანი, რომლებიც გიორგი წერეთელმა ასე დაახასიათა:

„საქართველოს მოამბემ“ დაგმო ძველი ბატონმურის დამოკიდებულება, გრძნობით შეხედა მან თავის ცხოვრებაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და ესევე გრძნობა გადაიტანა საშრობლოზედაც“.

„საქართველოს მოამბის“ მესვეურთა შთამაგონებელ მიზანს ხალხის განთავისუფლებაში აქტიური მონაწილეობა წარმოადგენდა.

თანამედროვენი ერთხმად გვარწმუნებენ, რომ ყურნალის დაარსება ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებულმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ განაპირობა; მშრომელთა ბედობაზე ზრუნვამ აამოძრავა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს ნაზიარები ახალგაზრდობა. „გაცხოველების ხანა იწყება ყმების განთავისუფლების დროდამ, — ვკითხულობთ „საქართველოს კალენდარში“, — მრთელი საქართველოს ხალხისა და საზოგადოების აზრი დიდს შოძრაობაში მოდის... ახალი თაობა გამოდის მწერლობის ასპარეზზედ... რომელსაც სურს ახალის აზრის შემოტანა, მისი ახსნა, წინ წაწევა... ამ განზრახვით ილია ჭავჭავაძე აფუძნებს 1863 წელს... „საქართველოს მოამბეს“... რომელიც მსახური ხდება ერის ცხოვრების ისტორიულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა“¹.

სოციალურ საკითხებში ყურნალის პოზიციას განსაზღვრავდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობა, ამ მოძრაობის მეთაურთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, და, უწინარეს ყოვლისა, საქართველოში ბატონყმობის გაუქმების საშუალოსი. „საქართველოს მოამბის“ სულისჩამდგმელთათვის ამ დროს უკვე ცხადზე უცხადესი იყო მეფის „მანიფესტის“ კულშეკვეცილი ხასიათი. ჩვენი სამოციანელებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ მათმა იდეურმა ქურუმმა ნ. ჩერნიშევსკიმ „61 წლის საგლეხო რეფორმას... სისაძაგლე უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მის მებატონურ ხასიათს“ (ლენინი).

ქართველ ახალთაობას საგმირო საქმეებისათვის სწადადა ყურნალის დაფუძნება და ეს გმირობა ხალხის ინტერესების, გლეხობის ინტერესების დაცვაში უნდა გამოვლენილიყო. როგორც ვიცით, ილია ყმის მიწიანად განთავისუფლებას მოითხოვდა; ცნობილია ისიც, რომ ამის გამო მას სიკვდილით ემუქრებოდნენ რეაქციონერი მემამულეები და ახალგაზრდა რედაქტორს თანამოაზრეთა შეიარაღებული ჯგუფი იცავდა. მაგრამ მემამულეთა წრიდანაც კი ილიას თითო-ორჯერ თანამგრძნობივ გამოსჩენია. „ბატონყმობის ფაქტიურ მასალებში“ აღდგენილია რევან ვაჩნაძის მგზნებარე სიტყვა თავდაზნაურთა კრებაზე, რომელშიც კატეგორიულად მოითხოვს ყმის მიწიანად განთავისუფლებას. თუ ხელისუფლება უარს იტყვის. ჩვენ, მემამულეებმა, უსასყიდლოდ დაუფრიგოთ ყმებს კუთვნილი მიწებიო.

¹ საქართველოს კალენდარი, 1904, გვ. 492.

როგორც ჩანს, ახალი თაობა გლახთა შორისაც აწარმოებდა აგიტაციას, „საძაგელი რეფორმის“ წინააღმდეგ ამხედრებდა ძათ.

ბატონყმობის ფაქტიური მასალების გულმოდგინე შემკრები და შესანიშნავი მცოდნე — ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს „თავდაზნაურები... ასმენდნენ მთავრობას, ბატონყმობის გადავარდნის დღეს ყმები აჯანყდებიანო... — რადგანაც ყმებს ცარიელს, უმიწაწყლოდ ათავისუფლებენ და მებატონეთა კიდევ ამათ სამაგიეროდ ფულსაც უხდიანო. ეს აბრაზებს და აცეცხლებს ყმა-გლეხებსო“¹. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ მთავრობა საგანგებო ჯარს ამზადებდა თურმე მოსალოდნელი აჯანყების თავიდან ასაცილებლად, საეკვო პირებს აპატიმრებდა. ზოგიერთი მემამულე თურმე ტყუილებით ამშვიდებდა მთავრობის მოხელეებს, — გლეხები იმიტომ აპირებენ აჯანყებას, რომ ბატონყმობის გადავდება არ სურთ, მოითხოვენ, ჩვენს საყვარელ ბატონებს ნუ წაგვართმევთო.

ამ ფაქტს და „საქართველოს მოამბის“ მოღვაწეობას შორის ზაქ. ჭიჭინაძე უშუალო კავშირს ხედავს. „საქართველოს მოამბე“, — გვამცნობს იგი, — განდა ჩვენს გლეხკაცთა ცხოვრებისა და ტანჯვის მოამბედ. ამ ჟურნალში შეიკრიბეს თავი ილია ჭავჭავაძის ყველა საუკეთესო მეგობრებმა. ყველა ესენი საუკეთესო და ცუნდაყოფილი ყვენენ დარაზმულნი (ხაზი ჩემია. — ა. კ.). ამის ცხადად დამამტკიცებელია ჟურნალის მიმართულება და ხასიათი“².

თვალის ერთი გადავლებაც ცხადყოფს „საქართველოს მოამბის“ ანტიბატონყმურ ხასიათს.

ჩაგვრია და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსითაა შთაგონებული ამ ჟურნალის მთელი პუბლიცისტიკა. ეს პათოსი უდევს საფუძვლად ილია ჭავჭავაძის საპროგრამო წერილს „საქართველოს მოამბეზედ“, რომელიც უდერს, როგორც საზოგადოებრივი განახლებისა და გადახალისების მხურვალე საგალობელი; ამ წერილის მთელი შინაგანი ლოგიკა, მისი რევოლუციური მღელვარება უსამართლობის გამობითა და თავისუფლების დიდებით არის გასხივოსნებული.

ამ ფაქტის სწორად შეფასებაში დიდად გვეხმარება ვ. ი. ლენინის სიტყვები: „ბელინსკის წერილი გოგოლისადმი, ავტორიტეტულად ბრძანებს „ვეხი“, „ინტელიგენტური სულიერი განწყობილების მგზნებარე და კლასიკური გამოხატულებაა“...

მაშ ასე. ყმა გლეხების სულიერი განწყობილება ბატონყმობის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, „ინტელიგენტური“ სულიერი განწყობილება ყოფილა, ისტორია მოსახლეობის უაღრესად ფართო მასების პროტეს-

¹ ზ. ჭიჭინაძე, ბატონყმობა, გვ. 9.

² ზ. ჭიჭინაძე, ილია ჭავჭავაძე... გვ. 30.

ტისა და ბრძოლისა 1861 წლიდან 1905 წლამდე რუსეთის ცხოვრების მთელ წყობილებაში ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, როგორც ჩანს, „სრული კოშმარი“ ყოფილა. ან იქნებ, ჩვენი ჰქევანი და განათლებული ავტორების აზრით, ბელინსკის სულიერი განწყობილება წერილში გოგოლისადმი დამოკიდებული არ იყო ყმა-გლეხთა სულიერ განწყობილებაზე? ჩვენი პუბლიცისტიკის ისტორია დამოკიდებული არ იყო ბატონყმური ჩაგვრის ნაშთებით ხალხის მპაებრს აღშფოთებაზე?¹

ილია ჭავჭავაძის აღნიშნული სტატიის სოციოლოგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი მაშინდელი სოციალური უსამართლობის უარყოფას წარმოადგენდა. ეს შეხედულებანი ხალხის სულსკვეთების გამოხატულება იყო.

ილია ჭავჭავაძე მკითხველს კპირდება: „ჩვენი „შომამბე“... დაუნდობლად გამოჰტენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცაო“. „ცხოვრების ჭუჭყსში“ რედაქტორი, რა თქმა უნდა, სოციალურ უსამართლობას და, პირველ რიგში, ბატონყმობას გულისხმობდა. უურნალმა, მართლაც, გაბედულად დაიწყო ამ ჭუჭყის სამზეოზე გამოტანა, წინ აღუდგა გაშეფებულ ბოროტებას და ხალხს მონობისაგან თავდახსნის გზაც მიუთითა. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ „წმიდა იყო განზრახვა და სურვილი მისი“, მაგრამ ამ სურვილებს გადაეღობა ცენზურა და რეაქციულ-მეშჩანური წრეები, რომლებსაც ყველაზე მეტად აშფოთებდათ მტკივნეული სოციალური პრობლემების ძირეული ანალიზი, საჭირობოროტო საკითხებზე გულანდილი ლაპარაკი, ბნელი საქმეების საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოტანა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ თავიანთი რისხვა მათ, უწინარეს ყოვლისა, პუბლიცისტიკის წინააღმდეგ მიმართეს და ყოველნაირად ცდილობდნენ ხმა ჩაეწყვიტათ მისთვის. შავი წერტილებით დაფარული უურნალის ფურცლები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ცენზორს „შომამბის“ პუბლიცისტებისათვის ენაზე ხელი წაეელოს, მაგრამ რედაქტორის გამბედაობისა და მოხერხების წყალობით, მოგერიების მრავალფეროვანი საშუალებით უურნალმა ამ პირობებშიც შეძლო მკითხველამდე მართალი სიტყვის მიტანა. ამიტომ, მთლად სწორად არ მიგვაჩნია არჩილ ჯორჯაძის დებულება, რომ „საქართველოს შომამბემ“ მიჰპართა მხატვრულ ფორმას ბატონყმობის დასაგმობად“.

კიდევ უფრო უცნაური და უსამართლოა ივ. გომართელის განცხადება: „ი. ჭავჭავაძემ ვერც „საქართველოს შომამბე“ გამოიყენა და მასში ერთი უბრალო პუბლიცისტური წერილიც არ დაუბეჭდია ბატონყმობის წინააღმდეგ“².

¹ ვ. ი. ლენინი, ობზ., ტ. 16, გვ. 148.

² „კვალი“, 1902, გვ. 570.

ცხადია, ილიას მხატვრულ ნაწერებში დიდი პუბლიცისტური სი-
მახვილითაა დაგმობილი ბატონყმობა და საერთოდ, ყოველგვარი სო-
ციალური უსამართლობა, მაგრამ ამ საქმეში „საქართველოს მოაშბის“
პუბლიცისტიკამაც თვალსაჩინო როლი შეასრულა.

აღწერს რა ხალხის მძიმე ცხოვრებას, ვახტანგ თულაშვილი იმ დას-
კვნამდე მიდის, რომ ბოროტებას, ადამიანის შიერ ადამიანის ჩაგვრას
დღეს თუ ხეალ ბოლო მოეღება. მას სწამს, რომ არსებობს საზოგადო-
ებრივი ცხოვრების განვითარების კანონი, რომელიც „არ დაუპარგავს
ხალხს თავის სურვილსა და არ დაუბრკოლებს მოძრაობას“.

ვ. თულაშვილის წერილი იმით არის საყურადღებო, რომ ავტორი
მოითხოვს სოციალური ცხოვრების ძირეულ ცვლილებებს, არსებული
წყობილების მოსპობას და მის ნანგრევებზე ახალი, სამართლიანი სა-
ზოგადოებრივი ცხოვრების აღმოცენებას. „დაძრული შენობა უნდა
დაიქცეს სრულიად და ახალი შენობა ამოიყვანოს ახალს და უფრო
მკვიდრს საძირკველზედა. ბედნიერია, ვინც ერთს აგურს მაინც ჩააგ-
დებს ამ საძირკველში.“ — მოუწოდებს იგი საზოგადოებას.

„რა სახელმწიფოშიც მოხდენილა რაიმე ცვლილება, ეს მოხდენილა
განათლებულთაგან, რომელნიცა ყველგან... მიიმხრობენ ძდაბიო ხალ-
ხსა. როგორც უძველესსა ძალასა, და იმის შემწეობით აასრულებენ
საქმესა“. ასეთ მოწოდებებს რომ შეიცავდა, სწორედ იმის გამო დაუ-
ჩეხია ცენზორს ეს სტატია, მაგრამ ავტორმა მაინც შეძლო რევოლუ-
ციური სულისკვეთების გამოხატვა.

დავით ყიფიანის აპრილის შინაური მიმოხილვა, რომელსაც ხუთ
თვეს აკაებდა ცენზურა, ბატონყმობისა და სოციალური უსამართლო-
ბის წინააღმდეგ არის მიმართული.

ისტორია, ავტორის აზრით, კაცობრიობის თანდათანობითი განვი-
თარების დადასტურებაა, კაცობრიობა მოქმედებს და ამ მოქმედებით
ცხოვრება იცვლება. პუბლიცისტი დაწვრილებით მიმოიხილავს სხვა-
დასხვა საზოგადოებრივ ფორმაციებს — პირველყოფილ სათემო წყო-
ბილებას, მონათმფლობელობას, ფეოდალიზმს, ავრეთვე რელიგიის
განვითარებას. ფეოდალიზმმა, მისი სიტყვით, არარად აქცია კაცის
უფლება.

დავით ყიფიანი იძლევა ბატონყმობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ
კრიტიკას, გვიჩვენებს მის ანტისაზოგადოებრივ ხასიათს, ნათელყოფს,
რომ იგი კაცობრიობის წინსვლის ბოროტად გადაიქცა.

უნდა ითქვას, რომ ქართულ ჟურნალისტიკას იმ დროისათვის ბა-
ტონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის კარგი ტრადიცია ჰქონდა. „ცისკარ-
მა“ ამ მხრივ სწორი რამ გააკეთა, მაგრამ დავით ყიფიანის სტატიის რა-
დიკალიზმი მაინც სრულიად ახალი მოვლენა იყო.

ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში კლასიკურად უნდა

მივიჩნით მისი მსჯელობა თავისუფალი შრომის პრინციპზე, რომელიც, ს. ხუნდაძის სიტყვით, „პირდაპირ გადაღებული არის ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან“¹.

„საზოგადოების ერთი ნაწილი რომ სულ არ შრომობდეს, — წერს პუბლიცისტი, — და სხვისი შრომით ირჩენდეს თავსა და იმ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთიერთ ნებაყოფლობაზე დამოკიდებული რომ არ იყოს, საზოგადოებისათვის ცუდია თუ არა?“

ამ კითხვაზე, შენა, მკითხველო, რასაკვირველია, შედეგები, იქნება — შეპკრთე კიდევაც... ეს მდგომარეობა ორივე ნაწილისათვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისათვის — სენია...

მე რომ თავისუფალი კაცი არ ვიყო, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა... ჩემი ნებაყოფილობის წინააღმდეგ ბატონმა კალოზე პურის გამწვანებელი რომ გამხადოს, რასაკვირველია, ნახევარ ხორბალს ბზეს გაავაყოლებ. ჩემი ბატონიც რომ დარწმუნებული არ იყოს, რომა სხვისი შრომა აცხოვრებს, რასაკვირველია, უფრო იმხნევებდა... თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია“.

პუბლიცისტის შტკიცებით, შრომა ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს. როცა ნაყოფიერად იმუშავენ, საზოგადოებაც უკეთესად იცხოვრებს. მაგრამ, მაშინ როგორ მოიქცეს საზოგადოება, თუ მისი ერთი ნაწილი შრომას თავს არიდებს? ისეთი წესრიგი უნდა დამყარდეს, რომ პარაზიტები სხვებს არ ჩამოეკიდონ კისერზე: „სახლობის ყველა წევრებზე არის დამოკიდებული, რომა მთელი სახლობის რიგსა ისეთი დაწყობილობა მისცენ, რომელმაცა ყოველი წევრის თავისუფლება არ დაარღვიოს“.

თავის წერილში დავით ყიფიანი საგლეხო რეფორმასაც ახსენებს. ჩანს, მხედველობაში აქვს რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შედეგები და ადგილობრივი რეფორმის პროექტი.

„ამ თავისუფალი შრომის მოკვეთა ჩვენს საზოგადოებაში ასიათასობით გლახს მოსდიოდა, — ამბობს ის, — ახლა გლახებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათ“. ეს გარემოება ავტორს ისტორიული განვითარების პროცესის ბუნებრივ შედეგად მიაჩნია, მაგრამ არც ამით კმაყოფილდება. იგი ახალს და უფარესად საინტერესო საკითხს წამოჭრის: როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოება, თუ „საგლეხო რეფორმა“ იმედებს არ გაამართლებს? „მაშინა სხვა ღონისძიებას შეუდ-

¹ ს. ხუნდაძე, „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, 1927, ტ. 1, გვ. 70, იხ. აგრეთვე: პ. გუგუშვილი, ქართული ეურნალისტიკა, 1941, გვ. 353—365; ს. ბერაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარება ეურნალ „საქართველოს მოამბეში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63, 1956, ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, 1949 წ., გვ. 14.

გება ლიტერატურა. აიღებს იმ სენსა, რომლის სენობაც ცხადია და დაიწყებს შიგავე გვაშში კეპას“.

შემდეგ ავტორი აღნიშნავს: ჩვენ, როგორც ექიმებმა, სენიანი ადგილი უნდა ამოვჭრათ, რომ მთელმა სხეულმა კიდევ დიდხანს იცოცხლოსო.

ძველი ბერძნული ქალაქების რესპუბლიკური მმართველობის მიმოხილვა პუბლიცისტის შესაძლებლობას აძლევს, ქებით შეამკოს ისეთი წყობილება, სადაც „ყველა მოქალაქეს სრული თანასწორობა აქვს“. ამ სტატიაში განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილები, სადაც ავტორი ცხოვრების გარდაქმნის ერთადერთ საშუალებად რევოლუციას აცხადებს და თანამემამულეებს საბრძოლველად აქეზებს, ე. ი. რევოლუციისაკენ მოუწოდებს. ისტორიის გამოცდილებით, დავ. ყიფიანი ასკვნის, რომ „რაკი გარყენილება შეადგება კაცსა (საზოგადოებასა), მაშინ ველარა ეშველება ხოლმე, თუ არა ძირიანი ამოთხრა და განადგურება იმ წესისა და რიგისა, რა წესი და რიგიც საზოგადოებას გარყენის მიზეზს აძლევს“.

საკითხის ისტორიულ ასპექტში დაყენება ავტორს პირობას უქმნის ხმა აღიმაღლოს მონარქიული წყობილების წინააღმდეგ.

ადამიანს... „ყოველი ჭკუა-გონება აერია, — გვეუბნება იგი, — სხვათა შორის ისეთი რამე არწმუნებს ბევრი, რომელსაც კაცი ცხადად ჰხედავდა, რომა მიუღებელი იყო. მაგალითად, საზოგადოებაში რასაც მეფე ისურვებს, უთუოდ ხალხის კეთილმდგომარეობის სასარგებლოდ ისურვებს... თუ მეფის ნებით არის, მაშასადამე, სამართლიანიაო...“

ამ რწმუნებაში ხალხი იქამდე მიდის, რომა თუმცა მზად არის მუშაობაზე, მაგრამა სამუშაოს ვერას შოულობს და ლუქმაპური უჭირს, თავისუფლებას ვილა ჩივის“.

ძნელი შესამჩნევი როდია, რომ ბოლო აბზაცში ავტორი ბურჟუაზიული საზოგადოების უსამართლობასაც გულისხმობს.

„სად არის ხსნა? როგორ უნდა შეიქმნას სამართლიანი წესწყობილება?“ — კითხულობს მძიმე სურათით აღელვებული მკითხველი და პასუხსაც იქვე, დავ. ყიფიანის სტატიაში პოულობს.

დავ. ყიფიანის აზრით, ხალხმა უკვე ირწმუნა უსამართლობის მოსპობის აუცილებლობა. „დაირღვა ხალხის დამძონებელი რწმუნება... მაშინ ხალხი მოჰყვა ქვეყნიერების ბოროტებაზე, იმათი თავისუფლების მომსპელობაზე ღრენასა, და რაკი... საზოგადოებაში უსამართლობა, დაწყობილის ურიგობა იქამდის მივიდა, რომა ხალხსა თავის დამონებაში ლუქმაპურის მოგების ღონისძიება აღარა ჰქონდა... მოხდა ფრანციელების საზოგადო აღრევა, რევოლუცია... გარდაადგეს ყოველი

ძველებური დაწყობილება და რასაც მაშინდელი თანამედროვე სამართლიანობა მოითხოვდა, საზოგადოების რიგი ისე დააწყვეს“.

კაცობრიობის პროგრესის ისტორიას ამით ვამთავრებთო, დასძენს პუბლიცისტი და ცხადი ხდება, რომ რევოლუცია მას პროგრესის მთავარ გზად მიუჩნევია. აშკარაა ისიც, რომ ქართველ პუბლიცისტს არც სიღრანეების ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგები აქმაყოფილებს. იმ დროისათვის გამოსადეგი იყო, მაგრამ კაცობრიობის ისტორია გაწუწუვებული წინსვლის პროცესიაო.

საქმე ის არის, რომ „საქართველოს მოამბის“ მიმომხილველს ისტორია ისტორიისათვის კი არ სჭირდება, არამედ აქტიური პროპაგანდისათვის, მისი მგზნებარე ქადაგება თანამემამულეთადმია მიმართული. „არა მგონია კი, რომ არ შეგეშინდეს, — ეუბნება იგი მკითხველს, — თუმცა ხანჯალიც კიდევ გარტყია ხოლმე და თოფ-იარაღსაც თვეში ერთხელ გასწმენდამ ხოლმე. იქნება, შენი უწინდელი ძველებური, ჩვენებური მამაცობისაგან მართო ეგ გარეგნობა-ტრახახობაღა დაგრჩენია, იქნება ეგ კაცის შადიდებელი გრძნობა დაძდაბლებულ — ლაჩრობათა და სიმხდალედ გარდაგიქცევია!“

დავით ყიფიანის წერილი ნათლად გვიჩვენებს, როგორ ცდებიან ის მკვლევარები, რომელთა აზრით, „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტებმა თითქოს ვერ მოახერხეს ბატონყმობისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ გაბედული გალაშქრება. ვინც გადაჭარბებულად თვლის „საქართველოს მოამბის“ „სოვრემენიკთან“ შედარებას და საეჭვოდ მიიჩნევს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანაშემბრძოლების მსოფლმხედველობის რევოლუციურ-დემოკრატიულ ხასიათს. კლასობრივი საზოგადოების მარადიულობის რეაქციულ თვალსაზრისს დაე. ყიფიანმა საზოგადოების განვითარების დიალექტიკური იდეა დაუპირისპირა.

დავით ყიფიანის წერილს სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვს: სქემატურია, მაგალითად, კაცობრიობის ისტორიაზე მისი მსჯელობა¹, გადაჭარბებითაა შეფასებული ქრისტიანობის როლი და სხვ.

გიორგი წერეთელიც რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან განიხილავს თანამედროვეობის მნიშვნელოვან მოვლენებს; ამასთან, საყურადღებოა, რომ თავისი მოსაზრებების დასასაბუთებლად ისიც ისტორიის მაგალითებს მიმართავს. პუბლიცისტი დარწმუნებუ-

¹ „ცისკრის“ 1863 წლის მე-9 ნომერში დ. ბაქრაძემ სქემატურობის გამო გააკრიტიკა ეს წერილი: „დაურქმევია სხვადასხვა ამბავი“, მაგრამ ესეთი სახელი თავმდაბლობით მოსვლია, თორემ საგანი ამ სტატიისა გვიჩვენებს, რომ იმას უნდა ერქვას „საზოგადო ცივილიზაციის ისტორია“. დაციწვით ბოლოსაც აღარებს დაე. ყიფიანს და დასძენს: „დაე. ყიფიანს რომ ლაპარაკი დაუწყუთ, ფერბახებო და პრუღონებო პირს გამოაიტენავსო“.

ლია, რომ კაცობრიობის წარსული განუწყვეტელი პროგრესის მათ-
წყებელია და ისტორიის ჩარხს უკან ვერაფერს მოაბრუნებს, ყოველივე
დრომოკმული უსათუოდ უნდა მოისპოს. ავტორს მხედველობაში
აქვს საზოგადოებრივი ურთიერთობის მოძველებული ფორმა — ბა-
ტონყმობა, რომელიც აფერხებს ქვეყნის წინმსვლელობას. „რაოდენი-
მე საუკუნის წინ დაარსებული საზოგადო წყობილება და მისგან მო-
საპოვარი საშუალებაც. — ამბობა ის, — ვეღარ აკმაყოფილებს ამ
ცხოვრების მოთხოვნილებასა. აშკარაა, რომ საზოგადო ფორმამ განე-
ლო თავის საუკუნე, დაქველდა და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს და
ან გადაკეთდეს ახლად შემოსული მოთხოვნილებისამებრ... შეიძლება
წინათ დაარსებული საზოგადო წყობილების ფორმა იყოს დამყარე-
ბული იმ გვარ სასტიკს კანონებზედ, რომელიც ჩააგდებს საზოგადო
გონიერებას და მის გამჭვირახობას უძლურებაში“.

გ. წერეთელი განვითარების აუცილებელ პირობად თვლის ბრძო-
ლას. ასაბუთებს, რომ ერთი საზოგადოებრივი წყობილება უბრძოლ-
ველად არ დაუთმობს ადგილს მეორეს. „...არასოდეს არც ერთი ხალ-
ხია ცხოვრება არ დარჩება მუდამ ერთ და იმავე მდგომარეობაში, აღიძ-
ვრის თუ არა ცხოვრებაში იმდენი ძალა, რომ საკმაო იქნება ახალ
საშუალებებერს მოსაპოვებლად და ძველი ფორმის გადასაგდებად,
იმავე წამს ცხოვრების წინმსვლელობაც დაიძვრის და ატყდება გამწა-
რებული ბრძოლა ძველ წყობილებას და ახალ მოთხოვნილებას შუა“.

რედაქცია ცდილობდა სხვადასხვა ხერხით გაეშუქებინა ბატონყმო-
ბის საკითხი. კერძოდ, ამ მიზნით დაიბეჭდა ჟურნალის მე-11 და მე-12
ნომერში კირ. ლორთქიფანიძის („თერგდალეულის“) სტატია — „ჩრდი-
ლოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“.

წინასიტყვაობაში კირ. ლორთქიფანიძე ამბობს: „...დ რ ო ე ბ ი ს
და ხ ე დ ვ ი თ, (ხაზი ჩემია, — ა. კ.) საჭიროდ ვნახეთ წავაკითხოთ
„საქართველოს მოამბის“ მკითხველებს ბიჩერ სტოუს რომანი „ბიძია
თომას ქოხი ანუ ტყვეობა ჩრდილოეთ ამერიკაში“.

კირ. ლორთქიფანიძის წერილის დაბეჭდვა და ბიჩერ სტოუს რო-
მანის თარგმნა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების უმ-
ნიშვნელოვანესი ფაქტია.

უნდა მოვიგონოთ, რომ „სოვრემენიკი“ სისტემატურად აშუქებდა
ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის ამბებს, ხოლო
ბიჩერ სტოუს რომანის რუსულ თარგმანს მეტად საინტერესო ისტო-
რია აქვს.

მრავალი წლის ვაი-ვაგლახის შემდეგ, 1857 წელს ცენზურისაგან
ძლივ-ძლივობით მიიღეს „ბიძია თომას ქოხის“ დაბეჭდვის ნება.

ამის თაობაზე ნეკრასოვი ატყობინებდა ტურგენევს: „უკვე არსე-
ბობს შესაძლებლობა ვთარგმნოთ ბიძია თომას. გადავწყვიტე განსაკუ-

თრებული ხარჯი ვიკისრო და პირველ ნომერს საჩქაროდ დაუმატო ეს რომანი“¹.

იმავე წერილში ნეკრასოვი პირდაპირ ერთმანეთს უკავშირებს ამერიკულ მონობასა და რუსეთის ბატონყმობას: „Надо заметить, что это пришлось очень кстати: вопрос этот у нас теперь в сильном ходу, относительно наших домашних негров“.

ასევე ჩერნიშევსკიც, რომანში „Что делать?“ ერთ-ერთ გმირს ამერიკაში მისი მოღვაწეობის შესახებ ასე ალაპარაკებს: „Тribune“-ში რამდენიმე სტატია დავბეჭდე რუსეთის მთელ საზოგადოებრივ წყობილებაზე ბატონყმობის გავლენის შესახებ.

«Что был недурной новый аргумент аболиционистам против невольничества в южных штатах?»².

კირ. ლორთქიფანიძის თარგმანი არ შენახულა. გადაჭრით არც იმის თქმა შეიძლება, ნამდვილად მას ეკუთვნოდა თუ არა ბიჩერ სტოუს რომანის თარგმანი, მაგრამ ფაქტი საყურადღებოა. უნდა ვიფიქროთ, რომ ცენზურა არც ამ რომანის დაბეჭდვის ნებას დართავდა „საქართველოს მოამბეს“. მისი ბეჭდვა ისე სახიფათო იყო, რომ ნეკრასოვმა თვითონ ცენზორი ნიკოსელსკი მიიწვია მთარგმნელად და ფორმაში ასი მანეთი მისცა, მაშინ, როცა სხვებს მხოლოდ ათ მანეთს უხდიდნენ (ნეკრასოვი ამას „მხეცის გამოკვებას“ უწოდებს).

„საქართველოს მოამბის“ რედაქციას თავიდანვე განზრახული ჰქონდა, რომ ბიჩერ სტოუს რომანი და წერილები ამერიკელ ზანგებზე ბატონყმობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად გამოეყენებინა. დავ. ყიფიანი წერდა: „ჩვენი საუკუნისათვის დიდი მნიშვნელობის ხალხია, ჩვენგან ძალიან შორსა, აიქითა, სადღაც ამერიკაში მცხოვრებლები... ევროპიდან გადავარდნილებისაგან შეძღვარმა, თავისი საზოგადოების დაარსებაში თავისუფლების მოთხოვნილებაზე წესდებულება დაიმკვიდრა. იმ ხალხის ერთობის დარღვევა შეუძლებლად ირიცხებოდა. ეხლა კი იმ ხალხსა რაღაც განხეთქილება მოსვლია... (არ იფიქრო, მკითხველო, რომ ეს შენ არ შეგეხებოდეს)... იმ ხალხის მომეტებულ ნაწილში თურმე თავისებური ბატონყმობა, ე. ი. ბატონ-მონობა არის. მონებად არიან ძველადვე იქა მცხოვრებნი, რომელნიცა სულ სხვა ფერის კაცები არიან, თურმე გაშავებულნი და უთუოდ სისხლიც დაბალი ღირსებისა უნდა ჰქონდესო... ამათა ისე ეკიდებიან, როგორც საქონელსა, ხარსა, კამჩისა... ვაჰყიდიან, იყიდიან, შოლტითა და ხან კეტებითაც ჰკემენ... ერთი სიტყვით, საკუთრებათა ჰყავთ“.

კირ. ლორთქიფანიძის ნაშრომი, ნაწილობრივ, გადმოკეთებულია

¹ Н. А. Некрасов, Полное собрание сочинений и писем, 1952, т. 10, стр. 375.

² Н. Г. Чернышевский, Полное соб. соч., т. XI, стр. 395.

ვ. ობრუჩევის წერილიდან „Невольничество в Северной Америке“, რომელიც „სოვრემენიკის“ 1861 წლის მარტის ნომერში დაიბეჭდა და ავტოგრაფი დატულია მის პირად არქივში, ქუთაისის სასელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

გარდა ვ. ობრუჩევის აღნიშნული წერილისა, კირ. ლორთქიფანიძეს ბევრი სხვა მასალაც გამოუყენებია და ფაქტობრივად, ორიგინალური გამოკვლევა დაუწერია, მაგრამ „საქართველოს მოამბეს“, როგორც ვიცით, პოლიტიკურ თემებზე ორიგინალური სტატიების გამოქვეყნების ნება აღარ ჰქონდა. ამის თაობაზე კირ. ლორთქიფანიძე გულისტყვილით შენიშნავს: „...ძლიერ ადვილი იყო, რომ რაც ამ საგნებზედ რამე ვიცოდით, ჩვენისავე სიტყვებით გვეამბო, ... ისე, როგორც ჩვენ გვინდოდა. ამ შემთხვევაში იმედი იყო, დანაწერი გეარიანი ქართული გამოსულიყო, მაშასადამე უფრო ადვილი გასაგებიც, მაგრამ ჩვენ სხვადასხვა გარეგანი გარემოებებისა გამო, ვირჩიეთ რუსულიდან ორი სტატიის თითქმის მრთლად გადმოთარგმნა და რაც ისტორიას შეეხება, ისტორიის კურსებილდამ გადმოწერა, სიტყვითი სიტყვად თითქმის“...

კირ. ლორთქიფანიძის ვრცელი წერილი გაყდენთილია დემოკრატიული სულისკვეთებით, თავისუფლების პათოსით, ძოწინავე იდეაზრით.

წერილს ეპიგრაფად აქვს ერთი სტროფი ლონგველოს ლექსიდან, რომლის თარგმანი მოთავსებულია სქოლიოში: „ჩვენში არის დატყვევებული და დაბრმავებული სამსონი. მისთვის ღონე მიუხდიათ, ბორკილიც შეუყრიათ, მაგრამ — ვაი! როცა ის ხელებს გაიქნევს ძწუხარებისაგან გატოფებულ“.

ნაშრომის პირველ ნაწილში გადმოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების „გარეგანი და შინაგანი ისტორია... იქაური პოლიტიკური დაწყობილობა, ტყვეობის ისტორია... ეხლანდელი ძღგომარეობა და... მიზეზები ეხლანდელის ომისა“.

ძალალი პუბლიცისტური ოსტატობის წყალობრთ, კირ. ლორთქიფანიძე ერთდროულად ახერხებს ამხილოს ბატონყმობა, გააკრიტიკოს თვითმძყრობელური რეჟიმი და უაღრესად პროგრესული საზოგადოებრივი იდეალები წარმოსახოს. იგი ისეთი კუთხით აშუქებს ამერიკელ ნეგრთა ძღგომარეობას, რომ მკითხველი აშკარად გრძნობს ყოველგვარი ჩავგრის, კერძოდ, ბატონყმობის ანტისაზოგადოებრივი ხასიათს.

სტატიის სქოლიოები სავსეა ვრცელი შენიშვნებით, რომლებშიც დაგმობილია სოციალური უთანასწორობა და განდიდებულია დემოკრატიული წყობილება. განსაკუთრებულ ეფექტს იწვევს ის გარემოება, რომ შედარებითი მასალა ავტორს ქართული სინამდვილიდან აუღლია. მაგალითად, „პრივილეგია“ განმარტებულია ასე: „განსხვავებუ-

ლი ან მომეტებული სიმართლე (უფლება). ჩვენში, მაგალითად, თავადაზნაურებს უფრო ბევრი (პრივილეგია) აქვსთ მიცემული, ვინემ გლეხებს: „იმ საზოგადოებაში, სადა ერთს პირს მეორესი დაჩაგვრა შეუძლიან. იტყვიან, პიროვნებას გარანტია არა აქვსო“.

კირ. ლორთქიფანიძე ცდილობს შკაფიოდ დაანახვოს შკითხველს ბატონყმობის „მატერიალური და ფსიხოლოგიური შედეგები“.

მიმოიხილავს რა ფეოდალური წყობილების საშინელებას, ავტორი დასძენს: „ემზგავსება ჩვენებურს თავადაზნაურების და გლეხობის დამოკიდებულებას („მტაცებლობა: ოში, გზაზე დახვედრა, ძარცვა, კაცის კვლა და სხვა ამგვარი, ხელობა იყო მაშინდელი საერო და სასულიერო კაცებისა“).

ავტორი ცხადყოფს, რომ სოციალური ჩაგვრა ადამიანის სინდისს ეწინააღმდეგება. ამ მიზნით, ის ლიტერატურულ მასალასაც იყენებს. ტყვეს დახვერტენ, თუნდ უბოვონ კუპერის პოემა, სადაც ნათქვამია: „თავისუფლებას ყველაფერზე ძვირად ვაფასებ, მაგრამ რაც უნდა ძვირად მიღირდეს მე ისა, მაინც მირჩევნია ტყვედ გავხდე, ვიდრე შეუწყარო ბორკილი სხვასა“.

კირ. ლორთქიფანიძე ხაზგასმით ამბობს, რომ ეროვნულ-რასობრივი ჩაგვრაც კლასობრივი უთანასწორობისა და ექსპლუატაციის შედეგია. ამერიკელი პლანტატორები ისევე ჩაგრავენ თეთრკანიან შუშებს, როგორც ზანგებს.

ავტორს ღრმად სწამს, რომ უთანასწორობაზე დამყარებული რეჟიმი დიდხანს ვერ გასტანს, რადგან „უსამართლობა და ცუდი საქმე დიდხანს ვერ იმყოფებენ ისე, რომ წინააღმდეგნი არ გაძოჟინდნენ“.

კაცობრიობის მომავალს იგი საყოველთაო ძმობის, თანასწორობისა და დემოკრატიის ტრიუმფს უკავშირებს.

კირ. ლორთქიფანიძეც ხაზს უსვამს თავისუფალი შრომის პრინციპს, როგორც იმ დროის ძირითად ეკონომიურ პრობლემას. „სიყვარული და თანხმობა არიან საჭირო იმისათვის, რომ შრომას მიმზიდველობა და ნაყოფიერება მიეცეს. უიმათოდ შრომა ძლიერ უსარგებლო ტანჯვა იქნება ყველასათვის“. — წერს ის.

ამავე მიზნით — ბატონყმობისა და საერთოდ, სოციალური უთანასწორობის მხილების მიზნით — დაიბეჭდა „საქართველოს შოამბეში“ ბურჟუაზიული ეკონომისტების ბასტიასა და პრუდონის ნაშრომები. პროგრამის შიხედვით, როგორც ვიცით, ყურნალს თავიდანვე ჰქონდა პოლიტიკური ეკონომიის განყოფილება, მაგრამ მე-8 ნომრამდე. ამ განხრით არაფერი გამოქვეყნებულა. აგვისტოში დაისტამბა ბასტიას „მცარცველობის ფიზიოლოგია“, რომელსაც დასმული აქვს პირველი ნომერი. ჩანს, გათვალისწინებული ყოფილა ნარკვევების სერია. მეორე — „ორნარჩი სწავლა“ მხოლოდ მე-11 ნომერში გამოქვეყნდა.

პირველ წერილს დართული აქვს მთარგმნელის — ი. ჭავჭავაძის შენიშვნა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს მის მიზანდასახულობაზე: „არის ერთი პატარა წიგნი დაწერილი გამოჩენილი ფრანციის ეკონომისა ბასტიასაგან: ეკონომიური სოფიზმები. თუმცა მთელი წიგნი ფრიად საგანგებო რამ არის. და სასარგებლოცა, როგორც ყველასათვის, ისე ჩვენთვისაც, მაგრამ მე იქილამაშობილედ მართო ერთი ნაწილი „მცარცველობის ფიზიოლოგია“, რომელიც უფრო მეტად მოედგმის ჩვენს ცხოვრებას (ხაზი ჩემია. ა. კ.) და რომელმაც იქნება გვიშველოს ზოგიერთი რამე გავიგოთ (ხაზი ჩემია. ა. კ.) და ამით ჩვენთვის უნაყოფო არ იქნეს“.

ვერ ვიტყვი, რომ ბასტია,¹ როგორც ეკონომისტი, მარჯვე არჩევანს წარმოდგენდა, მაგრამ ამ არჩევანს ბევრი მიზეზი ჰქონდა და ერთ-ერთი ის იყო, რომ მისი „ეკონომიური სოფიზმები“ სწორედ 1863 წელს დაიბეჭდა რუსულად, და ამიტომ ცენზურას არც ქართული თარგმანის შეჩერება შეეძლო. მთარგმნელის შენიშვნა საკმაოდ თავშეკავებულია — იქნებ, ჩვენი გაჭირვების მიზეზებს შიგვანხვედროსო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი პირობები დიდად განსხვავდებოდა ევროპისაგან, სადაც მუშათა მოძრაობაში უკვე გზას იკაფავდა მარქსიზმი. საქართველოში ჯერ ბატონყმობა მძვინვარებდა და ცენზურას დაქვემდებარებულ გამოცემაში ბასტია კარგი საშუალება იყო ბატონყმობისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ნაშრომში დაგმობილია მძარცველობა, ექსპლოატატორი, რომელიც ასე მიმართავს არასმქონეს: „შენ შრომა, მე — ნაშრომი“. ნათქვამია, რომ ექსპლოატაცია თავის თავშივე შეიცავს აუცილებელი დღეულის მიზეზს: „მცარცველობას ყოველთვის თავის გვამშივე აქვს მომაკვდინებელი სენი, რომელიც ბოლოსაც მოუღებს ხოლმე“. თითქმის ყოველთვის, — ვკითხულობთ აქ, — „ცოტანი ბევრსა ჰჩაგრავენ, მაგრამ ამით უფრო მცარცველობა თავის ბედის წერას ვერ წაუვა ხოლმე, იმიტომ, რომ იგი ღონითა და ძალით ჰწარმოებს... აშკარაა, რომ ღონე და ძალა, როცა იქნება, ბევრის მხარეზე გადავა“.

ბატონყმობის წინააღმდეგაა მიმართული ბასტიას დებულებები: „მონობა მრავალს ნიჭს აუქმებს“... ასე დაემართება (ბოლო მოედება) „იმ მებატონეს, რომელსაც მონის შრომა უფრო ადვილად უჭდება, ვიდრე თავისუფალი შრომა“ და სხვ.

¹ ბასტია ფრედერიკი (1801—1850) — ფრანგი ვულგარული ეკონომისტი, რომელიც კლასთა პარზონიას ქადაგებდა. მარქსმა შეაცრად გააკრიტიკა ნაშრომში „კერი და ბასტია“ (1857).

ბასტიას ძირითადი ნაშრომებია: „ეკონომიური სოფიზმები“ (1846), „ეკონომიური პარზონიები“ (1849).

რელიგიას არ ძალუძს დაჩაგრულთა ხსნა. „აბა, ერთი მაჩვენონ,— ამბობს ეკონომისტი, — რომელიმე ქვეყანა ან დრო, რომელშიც მე-ბატონის ნებაყოფლობით, თავისუფალის და გულშემატკიევარის სურვილით მონობა მოსპობილიყოს?.. საცა გამორჩომის და სარგებლობის გრძნობაა, სარწმუნოება და კაცთმოყვარეობა უღონოა“.

ბატონყმობის დროს ქართველი მკითხველისათვის სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა განცხადებასაც: „საპოლიტიკო ეკონომიამ და-ამტკიცა, რომ ნებაყოფლობითი შრომა თავის ბუნებით პროგრესუ-ლია; ხოლო შრომა მონისა ბუნებით უძრავია“.

ამ ნაშრომში სამღველოებაც ხალხის მძარცველადაა გამოცხადე-ბული; რადგან შეგნება მძარცველობის მტერია, მძარცველები ყოველ-ნაირად ცდილობენ გონება დაუზნელონ ხალხს. მონა თავის ბორკილს უნდა სწყყვილიდეს, მძარცველი კი ცდილობს ისეთი რწმენა შთაუნერ-გოს მას, რომ მონა თავის ბორკილს ლოცავდეს. „ბოროტმოქმედების თვისება ის არის — დასძენს ავტორი, — რომ იმ დრომდინ მოქმედობს, მინამ გასაველი აქვს ხალხში“.

ცენზურა დიდი მორიდებით მოჰკიდებია ამ ნაშრომს და მრავალი ადგილი ამოუშლია. ამასთან, როგორც ჩანს, მეორე ნაწილის დაბეჭდ-ვაც გაუჭიანურებია. მეორე წერილში („ორნაირი სწავლა“) მოცემუ-ლია მძარცველობის საერთო დახასიათება, დაგმობილია ბატონყმო-ბა: „ჩვენ არ შეგვიძლიან უარყვით, რომ ჩხუბი, ტყვეობა, ბ ა ტ ო ნ - ყ მ ო ბ ა... წარმოდგენენ საშინელს მოქმედებას“. ავტორს სწამს, რომ ბოროტება მოისპობა, „ბევრი ბოროტი მინახავს მოსპობილი იმათგან, ვინც მისგან ტანჯულაო“, — გვეუბნება ის.

სოციალური უსამართლობის კრიტიკის თვალსაზრისით საყურად-ღებოა პრუდონის სტატიაც — „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“, რომელიც მეთავე ნომერში დაიბეჭდა. ქართველ მკითხველ-თათვის მეტად საინტერესო იყო პრუდონის მტკიცება, რომ ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებულია არა დოვლათის სიუხვეზე, არამედ „იმაზედ, რომ ის... ყველასათვის მისაწვდომი და თანასწორად განაწი-ლებული იქნეს“. საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლად აქ გამო-ცხადებულია შრომა. „ყველაფერი, რასაც კი ჩვენ ვფლობთ, — წერს პრუდონი, — ...სულ შრომისაგან არის, ყოველი მეცნიერება, ყოველი ხელოვნება, ყოველი სიმდიდრე“.

იმ დროის ევროპის მუშათა მოძრაობისათვის პრუდონიზმი¹ რეაქ-ციული მოვლენა იყო, მაგრამ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი

¹ პ რ უ დ ო ნ ი პ ი ე რ ვ ო ბ ე ფ (1809—1865)—ფრანგი წერილბუტყუაზი-ული პუბლიცისტი და სოციოლოგი, ეულგარული ეკონომისტი. სახელი მოიხვეჭა წიგნით: „რა არის საკუთრება?“ წიგნის ძირითადი დებულება არის: „საკუთრება

ნაწევრები პრუდონის თხზულებიდან, უდავოდ, ხელს უწყობდა სოციალური უსამართლობის კრიტიკას, რადგან პრუდონი მღელვარედ, პათეტიკურად ამხელს სოციალურ უთანასწორობას.

პრუდონისა და ბასტიას ნაწერებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ მკითხველზე, — გ. თუმანიშვილი, ი. მეუნარგია. ნიკ. ყიფიანი, ზაქ. ჭიჭინაძე და სხვ. „საქართველოს მოამბის“ საგანგებო დამსახურებად თელიან ამ სტატიების დაბეჭდვას.

განა შეიძლებოდა ქართველ მკითხველზე შთაბეჭდილება არ მოეხდინა პრუდონის მოწოდებას: „ბოლო მოუღეთ პარაზიტობას (სხვისით ცხოვრებას)!“ — ან პათეტიკურ წაძოძახილს: „აღებმიცემობის შარლატანო, ბაზრის ავაზაკო, ხაზინის მუწუტო, სულმდაბალო მექრთამე! გავვეცალე იქით და შენის საზიზღარის თავისაგან დაიხსენ პატიოსანი შრომა, იმიტომ, რომ თქვენისთანა ხალხის აღსასრული მოდის“...

ამრიგად, მიუხედავად იეზუიტური საცენზურო პირობებისა, „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტებმა შესძლეს გაბედულად აემღლებინათ ხმა ყოველგვარი სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ყურნალის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს კაპიტალისტური წყობილების მხილება. იმ დროს, როცა ლიბერალები ქება-დიდებათ იხსენიებდნენ ბურჟუაზიულ დასავლეთს, „საქართველოს მოამბე“ ნიღაბს ხდიდა მის გარეგნულ ბრწყინვალეობას. ვიქტორ ჰიუგოს წერილი „სიკვილით დასჯის გადაადების საქმეზე“ ქართველ მკითხველს ნათლად უჩვენებდა ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში გამეფებულ ძალმომრეობას. ყურნალის ფურცლებიდან მკითხველს ესმოდა მისთვის სრულიად ახალი ჭეშმარიტებანი, — რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხალხს „უმოწყალოდ ჰყვლეთენ“ და „სხვა და სხვა მონოპოლიები ცბიერების შვილები არიან“.

„საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე პირველად გაიღვა პროლეტარიატის სახელმა და ცნობებმა ევროპის მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობის შესახებ. ჩვენში აქ პირველად ითქვა, რომ კაპიტალიზმის დროს გაკვირება მატულობს, ექსპლოატაცია ძლიერდება, სიღარიბე აუტანელი ხდება.

პრუდონის სტატიაში ხაზგასმულია, რომ საზოგადოების მცირე ნა-

ქერლობაა“. კაპიტალისტურ საკუთრებას პრუდონი წვრილბურჟუაზიული პოზიციებიდან აკრიტიკებდა.

1846 წელს გამოვიდა პრუდონის წიგნი „ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემა ანუ სილატაის ფილოსოფია“, რომელიც მარქსმა გაანადგურა კლასიკურ ნაშრომში „ფილოსოფიის სილატაე“. „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ნაწევრებამოღებულია ამ წიგნიდან.

პრუდონიზმი XIX ს. მეორე ნახევარში გავრცელებული წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმის ერთ-ერთი სახეობა იყო.

წილის სიმდიდრე შრომის ექსპლოატაციის შედეგია, „ღალაა მუშის ნამუშევრიდამ აღებული... შემოსავალი არმიისა — შრომაზედ დადებული ხარჯია, შემოსავალი საკუთრებისა — შრომაზედ დადებული ხარჯია, შემოსავალი ბანკირისა, სოცდაგორისა, ვაქორისა, ჩინოვნიკისა — შრომაზედ დადებული ხარჯია“.

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკა გაშუქებულია საზოგადოებრივი ბედნიერებისაკენ სწრაფვით. იმ დროს, ჩვენში უტოპიური სოციალიზმის პროპაგანდა დიდი მოვლენა იყო, რადგან უტოპიური სოციალიზმი „უღმობლად ამხელს ბურჟუაზიული მსოფლიოს მატერიალურ და ზნეობრივ უბადრუკობას“¹.

ყურნალში დაბეჭდილი ზოგიერთი სტატიის წაკითხვისას შთაბეჭდილება გვიპყრობს, რომ მათი ავტორები მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებასაც ასე თუ ისე იცნობდნენ და თანაუგრძნობდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კირ. ლორთქიფანიძის მსჯელობა „კომუნური საზოგადოების“ შესახებ. მისი სიტყვით, ცხოვრების გამოცდილებამ და მეცნიერულ-პოლიტიკურმა ანალიზმა ადაშიანი თანდათან მიიყვანა ამ იდეამდე: „პარტიების ასწლობითი ბრძოლა ნიადაგ მიიზიდავდა მრავალს მოქალაქეებს იმათ სამშობლოს პოლიტიკური საქმეებისათვის და ამითი, რასაკვირველია, უნათლედებოდათ მათ ჰაზრები სიმართლესა და კანონზომიერებაზედ და ექმნებოდათ ჭეშმარიტის თავისუფლების საჭიროება. კომუნური დაწყობილება, რომელსაც ძლიერ გავსხა ფესვები... მხარს აძლევდა ხალხისაგან თავისი ძალის გრძნობასა“. ამას მოსდევს სქოლიო. „ესთქვათ, რომ არის საზოგადოება, რომელშიც კერძობითი საკუთრება არ არის, ე. ი. საცა მიწა საზიაროა (საერთო, დაუყოფელი), საცა საზოგადოების წევრები ყველაფერს ზიარად მუშაობენ და შრომის ნაყოფს ხარჯავენ, საცა ყველა წევრები თანასწორი სიმართლით სარგებლობენ, ყმაწვილკაცებს საზოგადო ხარჯზედ ზრდიან და ასწავლიან, მმართველობა და მსჯელობა თვითონ ხალხს ეკუთვნის, აი ამისთანა საზოგადოებას უწოდებენ „კომუნას“. (ეს წყობილება ძველს დროში ამა თუ იმ ფორმით ყველა ხალხს ჰქონია)... მუდამ ყოფილან და არიან კიდევ იმისთანა კაცები, რომელნიც სრულს კომუნურს დაწყობილებაში ხედავენ ზოგად წყობილების იდეალსა და ამბობენ, რომ კაცობრიობა ამ იდეალებისაკენ მიისწრაფ-

¹ ფრ. ენგელსი, ანტილიუინგი, 1952, გვ. 307.

ვისო, რომ საზოგადოების ზოგად წყობილ-
ლების პროცესი, წინმსვლელიობა ის არისო,
რომ ახლდებოდესო ძველებური კომუნური
წყობილება. მაგრამ ამასთანავე უფრო იხსნე-
ბოდესო, უფრო სისრულეში მოდიოდესო“.

კირ. ლორთქიფანიძე გამოხატავს ამ იდეალისადმი თანაგრძნობას
და მისი განხორციელების გზაზეც მიუთითებს: „კაცობრიობას
ჯერ ვერ მიუღწევია ამ იდეალთან სხვადასხვა
გარემოების გამო და ამისათვის ყოველი კაცი
იმას უმჯდა სცდილობდესო, რომ ეს გარემოებე-
ბი ლობესავით გადაამტვრიოსო“.

ამომწურავად გაუზიარა რა მკითხველს თავისი თვალსაზრისი, —
ცენზორის თვალის ასახვევად ავტორი დასძენს: „მაგრამ იმათ ვინ აკ-
ყვება!“

კირ. ლორთქიფანიძე შთაგონებით ლაპარაკობს თავისუფლებაზე,
თანასწორობაზე. დემოკრატიულ მმართველობაზე და ერთ-ერთ მსჯე-
ლობას ასეთი მოწოდებით ამთავრებს: „ეს წმინდა თავისუფლება უნ-
და დავიცვათ ჩვენ ყოველს შემთხვევაში და თუმც საჭირო იქნება,
შევიწიროთ მას სიცოცხლე!“

ამ მიმართულებით რომ „საქართველოს მოამბის“ ავტორთა შეხე-
დულებების ილუსტრირებას გამოკუდგეთ, კირ. ლორთქიფანიძის,
დავ. ყიფიანის, ვ. თულაშვილის და სხვ. წერილებიდან მეტად ვრცე-
ლი ამონაწერების მოტანა დაგვიჭირდება.

ფეიქრობთ, წარმოდგენილი მასალაც საკმარისია იმის ნათელსაყო-
ფად, რომ 60-იანი წლების დასაწყისში საქართველომდეც აღწევდა
ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეების ზარის გუგუნე, რომელსაც ხმას
აწვდიდა ჩვენი მაშინდელი სულიერი ცხოვრების მებუჟე — „საქართ-
ველოს მოამბე“.

მროველ-განათავისუფლებელი იდეები ახალიციისშიაში

ქართული ჟურნალისტიკის ჩასახვა-განვითარება უშუალოდაა და-
კავშირებული ეროვნული აღორძინებისათვის ბრძოლასთან.

ამ მხრივ, უეჭველია: „ცისკარმაც“ თვალსაჩინო როლი შეასრულა,
მაგრამ „საქართველოს მოამბემ“ ახალ მიმართულებას მისცა დასაბა-
მი, ახალ საფუძველზე დაამყარა სამშობლოს ბედნიერებისათვის
ზრუნვა. ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხები აქ
მჭიდროდ გადაეკვანძა ერთმანეთს და რუსეთის რევოლუციურ-განმა-
თავისუფლებელ მოძრაობას დაუკავშირდა, ოცნებისა და თეორიული

განსჯის სფეროდან, იგი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და პრაქტიკული მოქმედების სარბიელზე გამოვიდა.

ი. ჰავეჰავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელი შეხედულებანი, მისი ეროვნული სამოქმედო პროგრამა ამ დროს, როგორც პუბლიცისტიკაში, ისე მხატვრულ შემოქმედებაში უკვე მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, მას ძირითადად უკვე დამთავრებული ჰქონდა პუბლიცისტური პროზის შედგენი — „მგზავრის წერილები“.

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობასთან ჟურნალის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების კავშირს გრიგოლ ყიფშიძე ასე განსაზღვრავდა: «Сакартвелოს მოამბე» («Вестник Грузии») ... имел целью выяснить значение освободительного движения, начавшегося в России, собственно для Грузии, а также установить основную точку зрения на существенные стороны жизни грузинского общества»¹.

ამ ამოცანის შესაბამისად, „საქართველოს მოამბე“, უწინარეს ყოვლისა, ფართო პატრიოტულ პროპაგანდას ეწეოდა, ამხელდა სოციალურ და ზნეობრივ სიძახინჯეს, სულიერ დაცემას, გულგატეხილობას, რადგან ღრმად სწამდა, რომ ხალხის ზნეობრივი გაღაგეარება მტერს უადვილებდა მის დამონებასა და დაბეჩაუებას.

ჟურნალმა დიდი ადგილი დაუთმო აღმზრდელობით — პედაგოგიკურ თხზულებებს; დაიბეჭდა კ. ზალცმანის „კონრად კიფერი“, ნ. დობროლუბოვის „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“, რომელშიც ჩამოყალიბებულია მშრომელი, თავისუფლებისმოყვარე, ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანის აღზრდის პრინციპები.

ამავე მიზნით, ჟურნალში გამოქვეყნდა სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“, რომელიც პირველიდან მეშვიდე ნომრამდე განუწყვეტლად იბეჭდებოდა. ვახ. თულაშვილის ცნობით, რედაქციამ ჟურნალის გამოცემის სამზადისის პერიოდშივე ყოველი ღონე იხმარა, რომ მკითხველთათვის საფუძვლიანად გაეცნო სამშობლოს გმირული წარსული².

სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის იდეებს „საქართველოს მოამბეში“ ღრმად ჰუმანისტური ხასიათი აქვს, გაყდენთილია ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. ჟურნალისათვის უცხოა რაიმე ნაციონალისტური განკერძოება. პროგრესული რუსეთისადმი გულწრფელი პატივისცემის, ნდობისა და მხარდაჭერის დადასტურებაა ჟურნალში დობროლიუბოვის, ბელინსკის, ლერმონტოვის, გრიბოედოვისა და სხვათა ნაწერების გამოქვეყნება, მათი დიდი

¹ Гр. Кипшидзе. «Периодическая печать на Кавказе», 1901, ст. 30.

² „დროება“, 1866, № 34.

ავტორიტეტის აღიარება. „საქართველოს მოაზებში“ კარგად არის გაშუქებული მოძმე სომეხი ხალხის ისტორია, დაბეჭდილია ილია ოქრომჭედლიშვილის — „მოკლე განხილვა სომხურის ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს“ და ი. ჭავჭავაძის „კირაკოზ განძაკეცი“.

ასეთივე სიყვარულით ხედებოდა ჟურნალი მსოფლიოს ყველა ხალხის (იტალიელების, პოლონელების, ზანგების და სხვ.) განმათავისუფლებელ ბრძოლასა და წარმატებას. ეს თვალსაზრისი საპროგრამო ფორმულის სახითაა ჩამოყალიბებული ილია ჭავჭავაძის წერილში „საქართველოს მოაზებზედ“. „ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე. — აცხადებდა რედაქტორი, — სიციულე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მეჭონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან“.

მაგრამ, „საქართველოს მოაზებში“ რომ ეროვნული საკითხის გაშუქება-გაგება ზემოთქმულით იფარგლებოდეს, მაშინ „ცისკარსა“ და ამ ჟურნალს შორის არსებითი განსხვავება არ გვექნებოდა. არსებითი განსხვავება იმაშია, რომ „საქართველოს მოაზებში“ ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის იდეებს ქადაგებდა.

„საქართველოს მოაზების“ პუბლიცისტებმა გადაჭრით დასვეს ქართველი ხალხის ნაციონალური ბედ-იღბლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ მათ არასოდეს საექვოდ არ გაუხდიათ საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა. ისინი თავს ესხმოდნენ მხოლოდ ცარიზმს, რომელმაც ფიცშეკრული ქვეყანა კოლონიად გადააქცია.

მაშინდელ საცენზურო პირობებში ამ მეტად საჩოთირო საკითხზე საუბარს ვახტანგ თულაშვილი იგავით იწყებს:

„ირემმა რკით დაუწყო რჩოლვა ცხენსა; ცხენმა სთხოვა შემწეობა კაცსა, რომ მოეშორებინა მომაბეზრებელი ირემი. კაცმა დაადგა უნაგირი ცხენსა და ორივემ ერთად გააგდეს ირემი საძოვრიდგან. შემდგომ ცხენი მიუბრუნდა კაცსა და უთხრა თავის მეჭომაგესა: „დიდად გამაღობ შენა! მაგრამ მოშხადე ესლა კი ეს უნაგირი და გავშორდე ერთმანეთსა მე გო ბ რ უ ლ ა დ (ხაზი ჩემია. — ა. კ.) ან არა და მომიშვი ცოტა მანც მოსართავი და ლავამი, რომ მცირედაც არის სიარული გამაიდვილდეს.“

— რა გეჩქარება? — უპასუხა კაცმა. — უნაგირი მშვენივრად გინდება, შენც ისეთი მორჩილი ხარ, რაცა უნაგირი გადგია და მეც. სწორედ გითხრა, არამც თუ ახლა, საკულავოდაც ფიქრადაც არა მაქვს შენზედ ხელი ავიღო“.

აქედან ავტორი პირდაპირ გადადის მცირე და დიდი ერების (სახელმწიფოების) ურთიერთობაზე, ეხება ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრას და საერთაშორისო ურთიერთობის ფაქტორთა გათვალისწინე-

ბით იმ დასკვნამდე მიდის, რომ დიდთან პატარაჲც უნდა იცხოვროს.

იქნებ, ძლიერმა სამუდამო ბატონობაც შოისურვოსო, — დასძენს „მოამბის“ პუბლიცისტი, — მაგრამ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონი, „რომელიც არ დაუკარგავს ხალხს თავის სურვილსა და არ დაუბრკოლებს მოძრაობას“.

პუბლიცისტი თავს ესხმის ცარიზმს, მის ჩამორჩენილობას: „როცა საქართველომ გამოაცხადა რუსეთის ქვეშევრდომის სურვილი, — წერს იგი, — მაშინ... შემოიტანეს აქ ის დაწყობილობა და... კანონებო, რომელიც იყვნენ... თვით რუსეთში. ცუდი იყო თუ კარგი, მეტი არა ჰქონდათ რა; იმისი თითონაც კმაყოფილი იყვნენ და ჩვენც, რასაკვირველია, გვაკმაყოფილებდნენ“.

ავტორის აზრით, ეროვნული ენერჯის მოსაღწეობლად და ნაციონალური გრძნობის დასაჩლუნგებლად, ცარიზმმა წახალისა ყოველგვარი უზნეობა — შუღლი, კარიერიზმი, მექრთამეობა. ჩინის არქონე კაცად არ ითვლებოდა და ამიტომ ყველა ჩინს მიეძალა. ადამიანი პირადი ღირსებით კი არ ფასდებოდა, არამედ მუნდირით, ამიტომ ყველა ცდილობს „...თვითონაც მალე მიიღოს ჩინი, რომ სხვასაც აშველპინოს თავის წინ ქუდი“. ვ. თულაშვილი ამთარახებს დაკნინებულ, გონებაჩლუნგ „ყმისა და მამულის პატრონებს“, მათს სულიერ არჩევნებს, დასაცინის სხვადასხვა აჯანყებების ჩაქრობაში თვითმპყრობელობის მხარეზე მათს მონაწილეობას და მერე კვეხნას. თითქოს, „იმათ თავიანთი წილი სისხლი დაუღვრიათ კიდეცა მითამ საქართველოს გაძლიერებისათვის“.

ვისტანგ თულაშვილის იდეალია შეგნებული, გაბედული ქართველი პატრიოტი, რომელიც ეროვნულ, საზოგადოებრივ ინტერესებს პიროვნულ ინტერესებზე მაღლა დააყენებს და სიცოცხლესაც შესწირავს მას.

დავით ყიფიანი ეროვნული თავმოყვარეობის გაღვიძებით ცდილობს საბრძოლო სულისკვეთება ჩაუნერგოს მკითხველს. აღსანიშნავია, რომ ამ ხერხს სხვა პუბლიცისტებიც ხშირად მიმართავენ. ესტატე მაღალაშვილი, ერთი შეხედვით, უბრალო რეპორტაჲს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ, ასე ამთავრებს: „პირველ გაჩხრეკაზედვე კაცს აკვირვებდა ის ფაქტი, რომ უმეტესი ნაწილი წარმოდგენილის ნივთებისა იყო ნემენცების კოლონისტებისა... ჩვენ გული გვტკივა, რომ ისინი შეადგენენ ჩვენის ხალხის უმცირესს ნაწილს და იმათი ნამოქმედები კი ჩვენს ნამოქმედებზე გადამეტებული იყო... რა გვეშველება ჩვენ, უბედურებს, როდემდის უნდა პირდაღებული ვრყვნეთ, რომ თავისთავად ლუკმა პირში ჩაგვივარდეს“.

დავით ყიფიანი ყოველნაირად ცდილობს გვერდი აუაროს ცენზურის ბარიერს და შთააგონოს მკითხველს საყოველთაო სახალხო აჯან-

ყების იდეა. იგი არ მალავს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი გამოსვლა სარისკოა: „ამასა შოუსვენრობად შიღებენ და შეგვიძუსრავენ ხოლმე ყოველს ამგვარ სურვილსა“.

მაგრამ, იქვე მისაბამ მაგალითად უსახავს მკითხველს სხვა ხალხთა შეიარაღებულ ბრძოლას თავისუფლებისათვის. ერთგან ირონიულად ამბობს: „სამუდამოდ დამშვიდებულ ლეკებსა რაღაც უსიამოვნობა, რაღაც უემაყოფილება შეხვედროდათ და პატარა, იმ მხარეში ნაწილობითი აღრეულობა გაებედნათ. ბევრი სხვადასხვაგვარი ამბავი მოძხდარა აქ!“

თავისუფლებისათვის შეიარაღებულ ბრძოლას პუბლიცისტი ადამიანის ღირსების ნიშნად თვლის, ხოლო მონურ მორჩილებას სულიერ სიმდაბლედ მიიჩნევს.

იგი საკმაოდ ნათლად მსჯელობს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული სახალხო აჯანყების ხასიათზე, მის მოტივებსა და ამოცანებზე. ქარაგმა აქ ისე გამჭვირვალეა, რომ ირონიის ელფერი გადაჰკრავს. ფაქტიურად, ხელსაც უწყობს ავტორს, რომ უფრო გარკვევით გააგებინოს მკითხველს თავისი აზრი.

„ამგვარი ამბავი რომ მომხდარიყო, — წერს დავ. ყიფიანი, — ვჰსთქვათ, ერთი ხალხი რომელიმე დიდს რომელსავე სახელმწიფოში აღუდგა მართებლობასა. ვჰსთქვათ, მთელ ხალხსა საზოგადო აღრეულობა (ხაზი ჩემია ა. კ.) განეძრახოს და მოეხდინოს კიდევცა. როგორ უნდა გაებედნა მთელ ხალხსა, მკითხველო, ხელმწიფის წინააღმდეგობა? ამგვარი ბოროტება (მთელი ხალხის აღრეულობა ბოროტებაა, მაშ, რა არის)? გული რატომ არ აგელეღებება?! თუ გაჰბედა, რა სამართალი ჰქონდა, რომელი ხელმწიფის სამართლიანობას წინააღმდეგობდა... უმიზეზოდ ხომ ჰქეცანაზე არა მოხდება რა! ამასა რა მიზეზები უნდა ჰქონოდა?“

ცხადია, პუბლიცისტი აქ სახალხო აჯანყების მგზნებარე პროპაგანდისტის როლში გამოდის, ცდილობს ცენზურას დაქვემდებარებული უურნალი ხალხის დასარაზმავად გამოიყენოს.

კომმარული აწმყოდან მკითხველის ყურადღებას ავტორი ნათელი მომავლისაკენ მიაპყრობს და ასე მიმართავს მას: „შენი აწმყო მდგომარეობისაგან ბევრს კეთილს არას მოელი, შენს მყობად კეთილ მიმართულებაზე მაინც იფიქრე!“

დავით ყიფიანის წერილში ჩამოყალიბებულია თერგდალეულთა და მათი მებრძოლი ორგანოს „საქართველოს მოამბის“ სამოქმედო პროგრამის ძირითადი არსი. გახსნილია ყველა ქარაგმა და ნათქვამია, რომ მათს ღროშას წარწერილი აქვს ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების განხორციელება სახალხო აჯანყების გზით.

პუბლიცისტი წერს: „ჩვენს ღროში ერთმა დიდმა აღრეულობამ

იტალიისამ რაღაცა ნაციონალიზმის, ხალხობის აზრი წაძოაყენა წინა, რომლის მოთხოვნებიც ასაკა, მკითხველო, ჭეშმარიტი თერგდალეულობა ეტყობა. ყოველს საზოგადო სახალხო აღრეულობასა, საკვირველია, რომ უთუოდ, ამგვარი რამე მოსდევს ხოლმე თანა. საკვირველია, რომ ეშმაკი და ქაჯი დააყენებს ხოლმე თითქო ამგვარ ბოროტებასა (მთელი ხალხის აღრეულობა ბოროტებაა, მაშ, რა არის?!). სამართლიანობაზე. და თითქო დიდ განმაცოცხლებელ აზრებს რათ უნდა შექოიტანდეს ხოლმე კაცობრიობაში? საკვირველია, ხანდახან კაცობრიობა გაკყვება. ერთ-ორ ჭირვეულ კაცებსა. დაიყინებს ხოლმე რასმე და მანამ თავის გასაოცარ უჭიათობას, თავის ჭირვეულ გულისწადილს არ აასრულებინებს ხოლმე, არ მოეშეება ხოლმე, არა და არა... ამისი განმარტება და დაწვლილებამი შესვლა ძალანაცა მსურდა. მკითხველო, მაგრამ... (ცენზურა...) ...თუნდაც რომ გენაღებოდეს კიდეცა, რომ არ შეიძლება! (ხაზი ჩეზია. ა. კ.).

ეს წერილი, როგორც ვთქვით. საბედისწერო განდა ჟურნალისათვის. „სწვადასხვა ამბავის“ განყოფილება გააუქმეს, პოლიტიკური წერილების გამოქვეყნება აკრძალეს, საზოგადოებრივ თემებზე მხოლოდ თარგმანების ბეჭდვა იქნა ნებადართული; დავით ყიფიანი განდევნილი იქნა ჟურნალიდან, საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ — მაქსიმოვიჩმა სასტიკი გაფრთხილება მისცა რედაქტორს და ჟურნალის დახურვით დაემუქრა. ამ ვითარებაში, ცენზურას დაქვემდებარებულ ჟურნალს სახალხო აჯანყების რევოლუციის პროპაგანდის ერთადერთი საშუალებადა რჩებოდა — სხვა ჩაგრულ ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშუქებით დაერაზმა ხალხი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ეს ხერხი „საქართველოს მოამბემ“ იშვიათი ოსტატობით გამოიყენა!

ჟურნალმა თვალწინ გადაუშალა მკითხველს ზანგების. განსაკუთრებით კი იტალიელებისა და პოლონელების ეროვნული ჩაგვრისა და ბრძოლის სურათები, გააცნო მას სახალხო აჯანყების იდეური და სამხედრო ორგანიზაცია.

წერილები ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ უშუალოდ ეხმაურებოდა ქართველი ხალხის ნაციონალურ-სოციალურ განწყობილებებსა და მისწრაფებებს.

უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც „საქართველოს მოამბემ“ რე-

¹ ესეც ჟურნალის დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან 1862 წლის საცენზურო კანონით აკრძალული იყო უცხო ქვეყნების რევოლუციურ მოძრაობაზე წერილების დაბეჭდვა.

სი რევოლუციონერი დემოკრატებისა და მათი მებრძოლი ორგანოს— „სოვრემენიკის“ ტაქტიკური გამოცდილებით ისარგებლა.

რევოლუციის ლეგალური და არალეგალური პროპაგანდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს, კერძოდ, „სოვრემენიკს“, მიაჩნდა გარიბალდიზე წერა. ამ პროპაგანდის მიზანი იყო ხალხის შეგნების გაღვიძება, რევოლუციისათვის მომზადება.

ლ. ფ. პანტელევი იგონებს: „დიდების უქნობი გვირგვინით შემოსილი გარიბალდის სახე 60-იანი წლების ადამიანთა წარმოდგენაში გადაიქცა ყველა ჩაგრული ხალხის მომავალი ვანთავისუფლების სიმბოლოდ“¹.

„სოვრემენიკი“ დაწერილებით აშუქებდა გარიბალდის რევოლუციურ ბრძოლებს. 1860 წლის ზაფხულში ჟურნალმა გამოაქვეყნა ე. კარნოვიჩის „გარიბალდის ცხოვრება“².

„საქართველოს მოამბემაც“ ამ ნაცად ხერხს მიმართა. — პირველსავე ნომერში დაბეჭდა დობროლიუბოვის თხზულება „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი“³.

გარიბალდის შესახებ სხვადასხვა ცნობები გამოქვეყნებულია ჟურნალის მომდევნო ნომრებშიც, კერძოდ, შესაძენ ნომრის „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილებაში („გარიბალდის მედალი“, „საჩუქრების მირთმევა გარიბალდისადმი“). უნდა გავითვალისწინოთ, რომ „...დობროლიუბოვი დიდი სიმპათიით ეკიდებოდა. გარიბალდის, მის სტატიაში ისეა აღწერილი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომ შკითხველს თავისთავად გამოჰქონდა დასკვნები რუსეთის მონარქიის შესახებ“⁴.

დამახასიათებელია, რომ ნიშნად დიდი პატივისცემისა ნ. დობროლიუბოვი ნეკრასოვს გარიბალდის ადარებდა⁵.

მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა გაფაციცებით თვალს ადევნებდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. არათერს

¹ Л. Ф. Пантелеев, «Из воспоминаний прошлого», стр. 235.

² აქედანაა გადმოკეთებული ა. ფურცელაძის წერილი — „ცხოვრება გარიბალდისა“, რომელიც დაბეჭდა 1863 წ. „ცისკრის“ №№ 1, 2.

³ ორიგინალში: „Отец Александр Гавацини и его проповеди“, არსებითად, დობროლიუბოვის დამოუკიდებელი თხზულებაა. როგორც დასაწყისიდან ჩანს, („1860 წ. სექტემბრის სახვეარში ევროპული გაზეთები ბევრს ლაპარაკობდნენ გავაციზედ“), მან გამოიყენა ევროპული გაზეთების ცნობები, რომლებიც ძალიანად გადაამუშავა და მძლავრი რევოლუციური სული შთაბერა.

⁴ ა. ნიკოლაძე, რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ქართული ლიტერატურა, გვ. 168.

⁵ В. Евгеньев-Максимов, Жизнь и деятельность Н. А. Некрасова, т. II, стр. 171.

ვიტყვი თვით ილიას შესახებ, რომელმაც ლექსიც მიუძღვნა მას. ნ. დ. ყიფიანი, ანტ. ფურცელაძე, პ. უშიკაშვილი და სხვ. გარიბალდის არმიაში მოხალისედ წასვლაზე ოცნებობდნენ.

1860 წელს პეტრე უშიკაშვილს თავის დღიურში ჩაუწერია: „წასვლას უნივერსიტეტში არ ვიცი რით მოვახერხებ... არ ვიცი რა ვქნა, რა იქნება ჩემი ბოლო. ნეტავი გარიბალდი ახლოს იყოს, იქნება იმისაკენ თავი მეკრა; სულ არაფერი, თუ მოვეკვები, კეთილი საქმისათვის მოვეკვები მაინც!“

ნიკ. ყიფიანი 1861 წლის მარტში სწერდა მამას: „ახ, როგორ მადლობელი ვარ, რომ გამომიგზავნე ეს წიგნები, მეტადრე გარიბალდის ბიოგრაფია. მე ძლიერ შემიყვარდა ისა, რაც წავეკითხე... შავისი პატიოსნება და ვაჟკაცობა. მე იტალიაში რომ ვყოფილიყავი, უეჭველათ წავიდოდი სამსახურათ იმის ჭარში. მაგრამ ქართველი რო ვარ, ჩემი ვაღია ვემსახურო საქართველოს და ვიყო იმისთვის სასარგებლო“¹.

ნ. დობროლიუბოვის „მამა ალექსანდრე გავაცის“ წყალობით „საქართველოს მოამბე“ მკითხველს გააგებინა, რომ თავისუფლების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ბრძოლით, რევოლუციით. დობროლიუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიული სულით გამთბარი გავაცის ქადაგებანი ხომ პირდაპირი მოწოდებაა რევოლუციისაკენ.

გავაცი² ეროვნული ერთიანობისაკენ მოუხმობდა თანამემამულეებს: „ეხლა ჩვენ უნდა მტკიცედ ჩავინერგოთ გულში ნაციონალური გრძნობა“.

მის სიტყვაში ნათლად არის ჩამოყალიბებული ძირითადი დემოკრატიული მოთხოვნები, მოცემულია მონარქიის კრიტიკა: „რაც კი რამ გქონდათ ბურბონების დროს, ეგ ის იყო, რომ მოკლებული იყავით ყოველ თავისუფლებასა, მოკლებული იყავით სიტყვის ყოველ თავისუფლებასა, ბეკდვის, ყრილობის, კაცად ყოფნის თავისუფლებასაც კი მოკლებული იყავით... ბურბონებმა თქვენის ცხოვრების დარაჯად თავზედ წამოგაყენათ პოლიცია, რომლის მეოხებითაც თქვენ თვით თქვენივე ნათესაებისაც გეშინოდათ, თვით თქვენივე ცოლშვილისაც!“

ეს დახასიათება ზედშიწევნით შეესატყვისებოდა რომანოვების იმპერიასაც და მკითხველიც, ცხადია, მხოლოდ ასე გაიგებდა მას. ბუნებრივია, იგი მოწოდებდად შიიღებდა გავაცის სიტყვებს: „მარტო რევოლუციას შეუძლიან შექმნა იტალიისაო“.

„მამა ალექსანდრე გავაცი“ ნათარგმნია მღვდლვარედ, მგზნებარებით, რის გამოც, იგი უთუოდ, დიდ ზეგავლენას მოახდენდა ქართველ საზოგადოებაზე, უსამართლობისადმი ბრძოლის სულით აღანთებდა

¹ სსსმ ფონდი, № 14958—ხ.

² ა. ლ. გავაცი ი. (1809—1889) — გარიბალდის თანამებრძოლი.

მას. ქართულ თარგმანშიც თხზულება ძლიერია არა მარტო შინაარსით, არამედ სულისკვეთებითაც.

ორიგინალთან შედარებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მთარგმნელს (ილია ჭავჭავაძეს) შეურჩევია გავაციის ყველაზე ძებრძოლი, ბობოქარი ქადაგებანი, აგრეთვე ის ავტორისეული (დობროლიუბოვისეული) ჩანართები, რომლებშიც მკაცრადაა მხილებული ერაგონული და სოციალური უსამართლობა, ტირანია და ოლიგარხია.

დობროლიუბოვის თხზულება რომ ქართული ჟურნალის კონკრეტული ამოცანებისათვის დაქვემდებარებინა, მთარგმნელს 78 შენიშვნა (თითქმის დამოუკიდებელი პოლიტიკური-ენციკლოპედია) დაურთავს მისთვის (ნაცვლად დობროლიუბოვის 5 შენიშვნისა). თარგმანის შენიშვნები გამსჭვალულია გარიბალდისა და მისი საქმისადმი უზომო სიმპათიით. მთარგმნელი აღტაცებით წერს „გარიბალდის სახელოვან ლაშქრობაზე“, გარიბალდისზე, როგორც „ხალხის შეილსა და ხალხის შეგობარზე“; სქოლიო საშუალებას აძლევს მას ისეთ რამეებზე ელაპარაკოს მკითხველს, რის ნებასაც სხვა შემთხვევაში ცენზურა არ მისცემდა. აქ ყველაფერი მიზანსწრაფულად, პროგრესული ტენდენციურობითაა ახსნილი: „რესპუბლიკა ჰქვიან იმ ქვეყანას, სადაც არ არის ხელშეწყობილი და სადაც მართებლობა არის ხალხისაგან ამორჩეული პირების ხელში“. „რევოლუცია — ხალხის ადგომა წინააღმდეგ მართებლობისა, მოძრაობა ხალხისა“.

ქართველ მკითხველზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ორატორული პათოსით თარგმნილ „გავაციის ქადაგებებს“. როგორც ანტონ ფურცელაძის რეცენზიიდან ჩანს, ნასროლი ზუსტად მოხვედრია ნიშანში. „შემდგომ „გლახის ნაამბობისა“, — წერს ანტონ ფურცელაძე. — არის დიან ღირსეული და ჩინებული სტატია: „მამა ალექსანდრე გავაცი“. სწორედ რომ კარგად ამოურჩევია ეს ამის მთარგმნელსა... ბევრს უშვერსა და უგვანს პირს, როგორც იტალიაში, ეგრეთვე სხვაგანაც ბევრგანა, დასთხრიდა თვალებს თავის სიმართლით ეს ქადაგებები და ეს ქცევა გავაციისა. — და ჟურნალის მოვალეობაც ეს არის, რომ სიმართლე ჩააწუროს ცდომილს ხალხს თვალეში... გავაცი... ქადაგებს ერთობას, ძმობას, სიყვარულს, თავისუფლებას“¹.

„საქართველოს მოამბე“ გამსჭვალულია რევოლუციური პატრიოტიზმით, რაც ძირეულად ანსხვავებს მას ყველა წინანდელი ქართული გამოცემისაგან. ჟურნალის მიმართულებას საფუძვლად უდევს დობროლიუბოვის თეზისი, რომ ხალხის ბედი მისავე ხელშია. ამის შესაბამისად, იგი ხაზს უსვამს ხალხის რევოლუციური ძალების გამოღვიძებას.

„მამა ალექსანდრე გავაციის“ ანალიზის შედეგად, მკვლევარები იმ

¹ „ცისკარი“, 1863, № 3.

დასკვნამდე მიდიან, რომ ეროვნული და სოციალური განთავისუფლების გზად „საქართველოს მოამბეს“ რევოლუციური ბრძოლა მიაჩნდა.

ამ მოსაზრების სისწორეში ყველაზე მეტად გვარწმუნებს „საქართველოს მოამბის“ დამოკიდებულება პოლონეთის აჯანყებისადმი, რომელიც რუსეთის იმპერიის ხალხთა პოლიტიკური ცხოვრების ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა 60-იან წლებში.

როგორც ცნობილია, რუსი რევოლუციონერი დემოკრატები მტკიცედ უჭერდნენ მხარს აღნიშნულ აჯანყებას, იგი რუსეთის პოლიტიკური მოძრაობის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ და დაუზოგავად ებრძოდნენ შოენინისტებს, რომლებიც სასტიკ რეპრესიებს მოითხოვდნენ თავისუფლებისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინი პოლონეთის მოძრაობას თვლიდა 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად¹.

ვ. ი. ლენინს გერცენის უდიდეს დამსახურებად მიაჩნდა პოლონეთის აჯანყებისადმი მხარდაჭერა. „როდესაც რუს ლიბერალთა მთელი ხროვა ჩამოშორდა გერცენს პოლონეთის დაცვის გულისათვის, — წერდა ლენინი, — როდესაც მთელმა „განათლებულმა საზოგადოებამ“ ზურგი შეაქცია „კოლოკოლს“, გერცენი არ შედრკა. მან განაგრძო პოლონეთის თავისუფლების დაცვა... იხსნა რუსეთის დემოკრატიის ღირსება“².

მარქსი და ენგელსი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას 40—60-იან წლებში და რუსი რევოლუციონერი დემოკრატებისაგან მოითხოვდნენ მის მხარდაჭერას³.

60-იან წლებში ქართველ სტუდენტებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ პოლონელ სტუდენტებთან, რომლებმაც შემდეგ აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში. 1861 წელს ისინი ერთად გამოდიოდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა არეულობაში, ერთად იხდიდნენ სასჯელს საპატიმროებში.

გ. წერეთელმა ქართველ და პოლონელ სტუდენტთა ეს საბრძოლო მეგობრობა ვრცლად დაახასიათა „მგზავრის წერილებში“, რომლის მთავარი გმირი ვლადისლავ ხოროშევსკი (ხ-სკი) ილია ჭავჭავაძის წრესთან იყო დაკავშირებული. ხოროშევსკი პოლონელ სტუდენტთა ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა⁴.

¹ В. И. Ленин, Сочин., т. 5, стр. 26—27.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 16.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 403.

⁴ ილია ჭავჭავაძისა და ხოროშევსკის მეგობრული ურთიერთობის შესახებ იხ. „ძველი საქართველო“, ტ. II, 1911, გვ. 13.

ი. ჭავჭავაძის წრის წევრი ბესარიონ ღოღობერიძე სამარინის რევოლუციური ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყოფილა. ამ ჯგუფმა დაბეჭდა და გაავრცელა „№ 15 წრის ცენტრალური რევოლუციური კომიტეტის მოწოდება“. სამარინი და მისი თანამებრძოლები მხურვალე აგიტაციას ეწეოდნენ პოლონეთის აჯანყების სასარგებლოდ, წმიდათა წმიდა საქმეს უწოდებდნენ მას და ყველას მოუწოდებდნენ შეერთებოდნენ ინსურგენტებს. წრემ უშუალო კავშირი დაამყარა აჯანყებულთა ორგანიზაციებთან. წრის წევრთა მიერ შედგენილი რაზმი (15 კაცის მონაწილეობით) ვილნოში გაემგზავრა აჯანყებულებთან შესაერთებლად; მაგრამ მოხალისეები დანიშნულების ადგილზე მისვლამდე დაუპატიმრებიათ. სამწუხაროდ, რაზმის შემადგენლობა უცნობია და არ შეგვიძლია ვთქვათ, იყვნენ თუ არა მასში ქართველები...¹

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი სერგი თუმანიშვილი საჯარო მისაღმებით გამოსულა იმ შემთხვევის გამო, რომ პოლონეთის ნამესტნიკს, დიდ მთავარ კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს თავს დაესხნენ ვარშავაში².

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის დასახმარებლად საქართველოშიც წარმოებდა არალეგალური მუშაობა. ექიმ საბოლშიჩოვის მეუღლეს 1863 წლის გაზაფხულზე დიდი თანხა ჩაუტანია თბილისიდან ოდესაში „აჯანყების სასარგებლოდ, პოლონეთის ცენტრალური რევოლუციური კომიტეტისათვის გადასაცემად“³.

აჯანყების შზადებისა და მიმდინარეობის დროს ილია ჭავჭავაძესთან მოლაპარაკებაში ღამეებს ათენებდა თბილისში მცხოვრები პოლონელი რევოლუციონერი ლეონ პეტრეს ძე-ზაგურსკი⁴.

პოლონელთა პატრიოტულ ბრძოლაზე „ცისკარმაც“ დაბეჭდა თხზულებანი: „პოლშელი პატრიოტი ქალი გენრიეტა პუსტოვოიტოვა“ და მიხ. ჩიგიანის „პატრიოტკა“⁵.

ამ ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის პეტრე ნაკაშიძის სასწრაფო მივლინება პოლონეთს და „საქართველოს მოაშბის“ მე-7 ნომერში დასტამბული მისი „სამგზავრო წერილები“.

პეტრე ნაკაშიძის მებრძოლ პუბლიცისტურ ნარკვევს ყურნალის

¹ Восстание 1863 г. и русско-польские революционные связи 60-х годов, 1960, стр. 317.

² იქვე გვ. 315.

³ მ. ხუციშვილი — „ქართულ-პოლონური მეგობრობის უცნობი ფაქტი“, „ზარია ვოსტოკა“, 1959, 3/Х.

⁴ ზაგურსკი, თბილისის გიმნაზიის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი, ილიას გამზრდელი და მეგობარი. 1863 წ. 2 მარტს ილია სწერდა საცოლეს „ჩემთან ზაგურსკი იყო და ღამის ორის ნახევრამდე დარჩა“.

⁵ „ცისკარი“, 1862, №№ 10, 12; 1865, № 3.

ათიოდე გვერდი უკავია, მაგრამ ფაქტობრივად, იგი ფართოდ გამიზნული თხზულების დასაწყისია. როგორც ჩანს, ავტორს განზრახული ჰქონია მოგზაურობის შთაბეჭდილებების საბაბით, გარკვეულად გადმოეცა ახალთაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი. სამწუხაროდ ჟურნალმა მხოლოდ „პირველი წიგნის“ გამოქვეყნება მოახერხა, პირდაპირი ცნობა. თუ რატომ არ დაიბეჭდა მომდევნო ნაწილები („წიგნები“), არ მოკვებოვება. არ ვიცი, გამოგზავნა თუ არა ავტორმა ეს წერილები თბილისში და, თუ გამოგზავნა, რა ბედი ეწია მათ. მაგრამ, ამ კითხვებზე ერთგვარ პასუხს გვაძლევს თხზულების დაბეჭდილი ნაწილიც.

3. ნაკაშიძის წერილების ადრესატი არის ილია ჭავჭავაძე. ეს ფორმა ნარკვევს ინტიმურ იერს აძლევს.

პეტრე ნაკაშიძე მაშინდელი ქართველებისათვის საკმაოდ შორეული და შინაარსიან, — როგორც თვითონ აცხადებს, — „ტურისტულ მოგზაურობას“ შედგომია. განზრახული ჰქონია მოენახულებინა პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი, — ხმელთაშუა ზღვით ჩასულიყო იტალიაში, სტამბოლზე გამოვლით „მშობლიურ გურიაშიც“ შეეგლო და ისევ თბილისს დაბრუნებოდა.

ეს „ტურისტული მარშრუტი“ დიდად საყურადღებოა, რადგან აქ მთავარი ადგილი უკავია იტალიასა და პოლონეთს, ე. ი. იმ ქვეყნებს, სადაც 60-იან წლებში გაჩაღებული იყო ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა და საითყენაც გული მიუწევდა ყველა ქვეშაირიტ მამულიშვილს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პეტრე ნაკაშიძის „ტურისტული მოგზაურობა“ არ იყო შემთხვევითი ხასიათისა, იგი დაკავშირებული იყო თერგდალეულთა მოქმედების გარკვეულ ამოცანებთან.

პეტრე ნაკაშიძე რომ ჟურნალის კონკრეტულ დავალებას ასრულებდა, ეს უეჭველია. თვითონვე სწერს ილია ჭავჭავაძეს: „მინდა ჩენი მოგზაურობა შენს „მოამბეს“ ეუამბო“. ამრიგად, ქართული პრესის ისტორიაში იგი პირველი კორესპონდენტია, რომელიც ცოცხალ, ორიგინალურ რეპორტაჟს გზავნის უცხოეთიდან.

დასაწყისშივე ჩანს, რომ ავტორს მეგობრული ურთიერთობა აქვს პოლონელ სტუდენტებთან, იცნობს მათ ხასიათსა და მიზნებს, თანაუგრძნობს მათს მხურვალე პატრიოტიზმს.

„სამგზავრო წერილებში“ გადაშლილია ეროვნული ჩაგვრის მძიმე სურათი; ნაჩვენებია იმპერიის ხალხთა აუტანელი ცხოვრება. ეს ფონი ავტორს ესაპირობება საყოველთაო-სახალხო აჯანყების დასასაბუთებლად.

გადაკრული შეკითხვებით, ქარაგმულ ჩაძიებაზე აგებული დიალოგებით პეტრე ნაკაშიძე ახერხებს მკითხველს ნათლად წარმოუდგინოს

პოლიტიკური სიტუაციის სიმწვავე და მკაფიო პასუხი მისცეს ისეთ პრობლემებზე, რომელთა წამოჭრა ლეგალურ პრესაში, ერთი შეხედვით, ყოვლად წარმოუდგენელი იყო. პ. ნაკაშიძე, ამ გზით, განსაკუთრებულ ეფექტსაც აღწევს: პოლიტიკურ საკითხებს შთამბეჭდაობას, მეტემოციურ ძლიერებას ანიჭებს.

მკითხველი რომ მისთვის სასურველ დასკვნამდე მიიყვანოს, პოლონელ სტუდენტებთან დიალოგს პ. ნაკაშიძე ასე წარმართავს:

„როგორ მოგწონს ჩვენი მამულიო“, — მკითხავედა ჩემი კამპანიონი, — თქვენს კავკასს, რასაკვირველია, ვერ შეედრება, მაგრამ ამასაც თავისდაგვარი მშვენიერება აქვსო.

— ქვეყანა ძლიერ კარგია, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ხალხი კი საცოდავია, რომ ასეთ უბედურებაში ჩავარდა ამ უკანასკნელ დროსმეთქი.

— რა უბედურებაშიო?

— ამდენი სისხლისღვრა და კაცის ჟლეტა, მამ რაა, თუ არა უბედურება და ღვთის წყრომა?

— ალბათ, ხალხი არა რაცხს მაგას უბედურებად, თუ ასე არ ზოგავენ სიცოცხლეს საკუთარის თავისუფლებისათვის. — მომიგო იმან. „განა არის ქვეყანაზედ იმისთანა ხალხი ან კაცი, რომელსაც არა ჰსურდეს კეთილი ცხოვრება? ყველასა ჰსურს. მაგრამ ხალხიც არის და ხალხიც. ზოგის სურვილი ისეთივე სუსტია და დაშქქნარია, როგორც თქითონ ხალხია გათელილი და წელმოწყვეტილი. ზოგს კი იმდენად შერჩენია კაცობრიული გრძნობა, რომ მისთვის სიცოცხლე და კეთილი ცხოვრება (თავისუფლება) განუყოფელია, ერთი უმეოროდ იმისთვის მითამ არც კი ყოფილა. იმისთანა ხალხი კი სულ მუდაძა დულს, ან გულისწადილსა ისრულებს ან არა და იმწადილს ზედ შეაკვდება, ამისთანა ხალხს ვერაფერი ვერ შეაყენებს! შიშველის ხელით ზარბაზნებს შოულობს. „ვისაც აქვს ხელები, — ამბობენ ინსურგენტები, — ჯოხს იშოვისო, ჯოხით — თოფსა და თოფით — ზარბაზანსაო“, ისტორია და კაცობრიობა მართო ამისთანა ხალხს ყურადღებას აძლევს და მკვდარ ხალხს კი უშვებს „დაფვლად თვისათა მკვდართა“ (ხაზი ყველგან ჩემია. — ა. კ.).

ანრიგად, „სამგზავრო წერილებში“ მძლავრად გაისმის იარაღის უღარუნი, აჯანყებისაკენ, რევოლუციისაკენ მოწოდება. ავტორი ცდი-

ლობს გმირული სული შთაბეროს თანამემამულეებს, აამხედროს ისინი „ხალხთა საპყრობილის“ იერიშისთვის. ეს არის შეიარაღებული გამოსვლის პროპაგანდა და „საქართველოს მოამბეც“ რევოლუციის აგიტატორად წარმოგვიდგება.

ქართველ მკითხველს პეტრე ნაკაშიძე საოცნებოდ უსახავს პოლონელი პატრიოტების ბრძოლას. ამ მხრივ საინტერესოა პოლონელი სტუდენტების ავტორთან გამომშვიდობების ეპიზოდი ვარშავაში.

„— მშვიდობითო, — შითხრა მან, როცა მე კარში გამოველ, — თქვენთვის მსურს კეთილი მგზავრობა და ჩემთვის კი სიცოცხლე კეთილცხოვრებიანი ან სიკვდილი ვაეკაცურო.“

— სად მიდიხარ? — ვკითხე მე გაკვირვებით.

— „დო ლიასუ“ — წარმოთქვა ყმაწვილმა დაბალის ხმით და მსწრაფლ გაქრა ღამის სიბნელეში.

მერე გავიგე, რომ „დო ლიასუ“ ჩვეულებრივად, ნიშნავს ტყეში შესვლას, მაგრამ ახლანდელ დროში კი აღრეულობაში გარევის მნიშვნელობა აქვს თურმე“.

როგორც ვხედავთ, პ. ნაკაშიძე არ ერიდება საშიშროებას და პირდაპირ ამბობს, რომ პოლონეთში მას საიღუმლო საუბრები ჰქონდა აჯანყებულებთან: ნათლად უჩვენებს თანამემამულეებს აჯანყებულთა გმირობას, უჩვენებს, რომ მჩაგვრელთა ფეხქვეშ მიწა იწვოდა: „ვილნოდგან ვარშავამდის, — წერს ის, — ინსურგენტებმა რამდენჯერმე აგვიხსნეს. წინ რელსები, მაგრამ ჩვენი კისრების საბედნიეროდ, დროზედ ვტყობილობდით ხოლმე“.

პ. ნაკაშიძის ნარკვევის პათოსს წარმოადგენს პოლონელ აჯანყებულთაღმძი უსაზღვრო თანაგრძობა. იგი აჯანყების უშუალო მონაწილის მგზნებარებით ლაპარაკობს სახალხო იერიშებზე, ძმური სიყვარულით წერს პოლონელებზე.

„რაკი რომ ლიტვაში შევედიო... — ამბობს ერთგან, — ჩვენს ვაგონს პოლშელები თანდათან ემატებოდნენ. ასე რომ, რამდენიმე ხანს შემდეგ პოლშურმა ელემენტმა ცხადად აიღო უპირატესობა ამ პატარა სამეფოში, რომელშიც ერთი მოქალაქეთაგანი იყო შენი უმორჩილესი მონა... გააბეს პოლშურს ენაზედ ლაპარაკი... ჩვენს ვაგონს სიცოცხლე შეემატა“.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ცარიზმისაგან ჩაგრულ ხალხთა საბრძოლო სოლიდარობაზე, ურთიერთისაღმი სიმპათიებზე. ვარშავის მახლობლად, სადგურ ლაპში, შემთხვევით მატარებელს ჩამოვრჩი და საშინელი მარტოობა ვიგრძენიო, — გადმოგვცემს იგი — „ყველანი პოლშელები იყვნენ... და... როგორღაც ისე გვერდულადაც მიყურებდნენ... მაგრამო, — განაგრძობს, — რამოდენიმე მინუტში მთელმა საზოგადოებამ გაიგო ჩემი ვინაობა და მაშინ სულ სხვა თეალებით და-

ზიწყეს ცქერა. ყურადღებას და პატრუაცემას, რაც შეეძლოთ, არ მაკლებდნენ. მიწოვეს ერთი... ოთახი სუფთა ქვეშაგებითა, რომელიც მაშინ ჩემთვის დაუფასებელი რამ იყო“.

„სამგზავრო წერილებში“ ხაზგასმულია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში პოლიტიკური შეგნების, ერთსულოვნების მნიშვნელობა: აჯანყების დასაყრდენად მიჩნეული არიან მშრომლები, მათი სოციალური მისწრაფებებით. ეს აზრი ოსტატურად არის გადმოცემული მეფის მოხელის სიტყვებით: „ცუდი ხალხია პოლშელები, — საყვედურობს. იგი, — ამათთანა ბოროტს და დაუმორჩილებელს ხალხს სხვას ვერ ნახავ, — დიდი და პატარა ყველა ტყეში მიიწევს. რა უჭირდათ, მაგალითად, მაშინისტებს ტყეში წასასვლელი? პოლკოვნიკის და ლენერლის ჯამაგირს იღებდნენ. არა, დაჰკრეს, ბატონო, ფეხი და სულ ერთიანად ტყეში შეცვივდნენ. მხოლოდ ეს კი არის იმათში საკვირველი რომ ერთმანეთში დიდი. ერთპირიანობა და სიყვარული აქვთ...“

წერილიდან ჩანს, რომ პეტრე ნაქაშიძე კარგად იცნობდა პოლონეთის აჯანყების ორგანიზაციას, მის მეთაურებს, ბრძოლის მიმდინარეობას. თანამემამულეებს იგი ხატად უჩაბავს ხალხის წიაღიდან გამოსულ გმირებს. ცენზურას რომ თავი დააღწიოს და შთაბეჭდილებაც გააძლიეროს, ავტორი კვლავ მეფის მსახურებს ალაპარაკებს. „ახლა ჩემი კამპანია შედგებოდა სულ აფიცრებისაგან. — წერს იგი. — ის იყო გადაეხანდათ რამდენიმე ომი პოლშელებთან. ერთ მათგანს ბევრი ინსურგენტები დაეხოცა, სხვათაშორის, მათი უფროსი რილსკი, რომელიც იყო აღზრდილი პარიზის საარტილერიო შკოლაში და რომლის ნიქს და ვაჟკაცობას ძლიერ აქებდნენ. მეორე პარტიის უფროსი — როგინსკი ტყვედ შეეპყრა. ეს ყოფილიყო სულ ყმაწვილი, 20 წლის კაცი, მაგრამ ფრიად განვითარებული საომარ ხელოვნებაში (გარიბალდის ადიუტანტობის დროს), ნიჭიანი, ვაჟკაცი და ამასთანავე გასაოცარი მშვენიერების პატრონი. „ჩემს დღეში არ მინახავს კაცი, ასე სრულად შემკული ყოველივე კეთილის ნიჭითო. — ამბობდა ერთი აფიცერი, — ცოდვა კია, რომ მაგისთანა კაცმა სახრჩობელაში უნდა გაჰყოს თავიო“.

ფაქტური მასალის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ავტორი პირადად ნახულს გადმოგეცემს, ნაცნობ-მეგობრებზე გვესაუბრება.

ნარკვევში მოხსენებული ინსურგენტები — რილსკი და როგოვსკი (როგინსკი) — აჯანყების გამოჩენილი ხელმძღვანელები იყვნენ.

თადეუშ რილსკი, კიევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, ამაჲდგ მოსკოველ და პეტერბურგელ სტუდენტთან ერთად 1861 წელს ფარულად გადავიდა საზღვარზე და შეროსლავსკის¹ სამხედრო სკო-

¹ შეროსლავსკი, ლუდვიკ — „რეონდის“ (სახალხო აჯანყების ხელმძღვანელი ორგანო) მეთაური 1863 წელს — 60-იან წლებში პოლონელი მოხალისეებისათვის დაარსა სამხედრო სკოლა; ავტორი წიგნისა „სამხედრო ხელოვნების კურსი“.

ლაში შევიდა. აჯანყების დროს რილსკი ინსურირგენტების დიდ რაზმს მეთაურობდა. პოდლიასკის საეოევოდოში ძლიერი შენაერთის მეთაური იყო პ. ნაკაშიძის ნარკვევში მოხსენიებული რომან როგინსკი.

1863 წლის მარტის მძაფრი ბრძოლების დროს იგი, მართლაც, ტყვედ ჩაიგდო დამსჯელმა ექსპედიციამ. მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, რომელიც სამუდამო კატორღით შეუცვალეს.

როგინსკი¹ ტყვედ ჩაეარდა 1863 წლის 19 თებერვალს (3 მარტს), ე. ი. მაშინ, როცა პეტრე ნაკაშიძე ვარშავაში იმყოფებოდა. ასეთ ცოცხალ, სარწმუნო ცნობებს აწვდიდა პ. ნაკაშიძე „აქართველოს მოამბეს“.

პეტრე ნაკაშიძის ნარკვევში ზუსტად გამიზნულია ყოველი ეპიზოდი, თითოეული სიტყვა; ამიტომ საგანგებო ყურადღების ღირსია ის ადგილები, სადაც პარტიზანული ბრძოლის მეთოდებია დახასიათებული. იგი, ერთგვარად, ქართველი მკითხველისათვის განკუთვნილი სამხედრო ინსტრუქციის შთაბეჭდილებას სტოვებს.

როგორც ვხედავთ, პ. ნაკაშიძის ნარკვევს საერთო არაფერი აქვს იმ დროის მოგზაურთა სენტიმენტალურ დღიურებთან: გარკვეული აზრით, ეს მეომრის რეპორტაჟია ცეცხლის ხაზიდან.

„სამგზავრო წერილები“ გვზიბლავს ეროვნულ-განმათავისუფლებული, საყოველთაო-სახალხო აჯანყების რომანტიკით. რეალისტურ სურათებში მკაფიოდ მოჩანს უთანასწორო შეჯახების სიძნელე, მაგრამ ამას მხოლოდ ვხედავთ, გრძნობთ კი ნაკლებად ვგრძნობთ, რადგან ყველა სიძნელეს გვაეიწყებს ბრძოლის პათოსი, მებრძოლთა ენთუზიზმში, თავისუფლებისაკენ ლტოლვის სიხალისე.

ავტორი მაგალითად სახავეს აჯანყებული ხალხის საბრძოლო მონოლითობას. თავისუფლებისათვის ლაშქრობას ხალხის გული რაღაც წმინდა შუქით გაუსხივოსნებია და დიდისა და პატარისათვის სამშობლოსათვის თავგანწირვა ნეტარებად ქცეულა. დაუეიწყარია, მაგალითად, შემდეგი ეპიზოდი:

„ძლიერ მებრალეობდა საწყალი უპაშპორტო ტყვე: ის მეტად ყმაწვილი იყო იმ საქმისათვის, რომელსაც მას სწამებდნენ; მაგრამ, ესეც კი უნდა თქვას კაცმა, რომ აქაური ხალხისაგან სუყველაფერი მოსალოდნელია. ამას წინათ ერთი ცხრისა თუ ათის წლის ყმაწვილი იდგა ჩემ წინ ვაგონში და დიდი ყურადღებით ჰშინჯავდა გარშემო ტყვეებს.

— ტყეში ხომ არ აპირებ წასვლას? — ვკითხე.

¹ პ. ნაკაშიძის წერილში ნახსენებია როგინსკი, მაგრამ ფაქტობრივად ლაპარაკია როგინსკზე. შესაძლებელია, ამ შეცდომის მიზეზი ის იყოს, რომ პოდლიასკის აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები ფელიქს და კონსტანტინე როგინსკები, რომელთაც პ. ნაკაშიძე კარგად იცნობდა.

— დედა არ მიშვებს! — მითხრა მან.

— თუნდაც რომ გაგიშვას, განა, წახვალ?

— ა იაქვე! (მაშ, არა?) — წარმოსთქვა ყმაწვილმა ისეთის სახით, რომ აღარ ვიცოდი რა მეფიქრნა“.

პ. ნაკაშიძემ გააშიშვლა დაპყრობილ ქვეყნებში მეფის მოხელეთა ბარბაროსული პოლიტიკა, დაანახვა მკითხველს, რომ ძალმობრეობით შეკონჩილებული იმპერია მარტოოდენ ხიშტებზე იდგა.

მეფის მოხელე ბაქიობით ჰყვება პოლონელი პატრიოტის ოჯახზე თავდასხმის ამბავს.

მოკლე თხზულებაში ავტორმა შესძლო დამაჯერებლად ეჩვენებინა თვითმპყრობელური სახელმწიფოს ჯოჯოხეთური რეჟიმი, ტერორისა და თვითნებობის თავზარდამცემი საშუალო; აქვე მან მკაფიოდ დახატა ამ სამყაროში უუფლებობისაგან დაბეჩავებული, მათრახისა და ბორკილის შიშით დამუნჯებული ადამიანის სახე და შესაფერი სახელაყ გამოუძებნა მას.

ავტორი გულახდილად აშობს, მირჩევნია მუნჯივით ვიჯდე, ვიდრე ერთი გაუფრთხილებელი სიტყვისათვის „ვაგზლის ცალკე ოთახში“ სახიფათო გამოძიებას მომიწყობდნენო.

მუნჯობა და „ენამოკუნეტილობა“ ავტორს ჩვეულებრივ მძოვლენად მიაჩნია იმდროინდელ საზოგადოებაში, ხოლო საკუთარი აზრის დაფარვა დიდ სიბრძნედ. „ეპქვი და კაცზედ არ მინდობა დაუნდობლობა კაცზედ, — წერს იგი, — არის მიზეზი, რომ ჩვენ მუდამ მტრების ბანაკში ვგრძნობთ თავს და, რასაკვირველია, ვხმარობთ ყოველ ღონისძიებას. ცბიერებას და ათასგვარ ეშმაკობას, რომ არვის გავეთელინოთ. ჩემი ამორჩეული და საყვარელი იარაღი ამ შემთხვევისათვის განლავს სიჩუმე. დავჯდები ჩემთვის და ვარ ჩუმად, როგორც ფ ი ჩ ხ უ ლ ი. ყველა ჰკვირანი კაციც ასე იქცევა... ზენონმა განგებ მოიკენიტა ენა, რომ ლაპარაკი არ შესძლებოდა. ერთის სიტყვით, — სიჩუმე, ფ ი ჩ ხ უ ლ ო ბ ა დიდი რამ სასარგებლო ნიჭი და ტალანტი არის“.

ასე მოსწრებულად ანასიათებს პ. ნაკაშიძე თვითმპყრობელურ იმპერიას, სადაც ადამიანებს არა მარტო ბეჭდვისა და სიტყვის თავისუფლება ჰქონდათ წართმეული, — ერთმანეთთან საუბრისაც ეშინოდათ.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ქართულ ლიტერატურაში ბევრი არ მოგვეპოვება ისეთი თხზულება, რომელშიც ასე სასტიკად იყოს მხილებული თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული რეჟიმი.

მართალია, „სამგზავრო წერილები“ პოლონეთს შეეხება, მაგრამ ავტორს მშობელი ქვეყანა უდგას თვალწინ, მის ბედზე ფიქრობს. მისი დაცემული ვინაობა აღელვებს და პოლონეთის მაგალითით თანამედროველებს იარაღისაგან მოუწოდებს. იგი მოხერხებულად ურთავს

თხრობაში ეპიზოდებს, რომლებიც მძლავრად შეათრთოლებს ქართველთა თავმოყვარეობას, აგრძნობინებს. პოლონელებთან თანაზიარობას.

განხილული ნარკვევის დაბეჭდვა უთუოდ სარისკო საქმე იყო, დიდს ტაქტსა და გაბედულებას მოითხოვდა რედაქტორისაგან. ამასთან, ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ოსტატურად ფლობს ცენზურის მოგერიების ტექნიკას, ახერხებს ხელიდან დაუსხლტეს ბეჭდვითი სიტყვის ჟანდარმებს.

გარკვეული იდეის საილუსტრაციო დეტალს პ. ნაკაშიძე მუდამ რევოლუციური მგზნებარებით გადმოსცემს, ხოლო მას შემდეგ, რაც მიზანი მიღწეულია, ოფიციალური რეპორტიორის უდარდლოობით შენიშნავს: „ძლიერ მებრალეობდა უგუნური ყმაწვილი კაცი, მაგრამ რაღა დრო იყო! საკვირველია, რომ მთავრობა ამისთანა დროს სტუდენტებს პოლშიაში წასვლის ნებას აძლევს“. ცხარე პარტიზანულ ბრძოლებზე საუბარს ავტორი შემდეგი ირონიული, ვითომდა, მობოდიშებით ამთავრებს: „მაგრამ რაც უნდა მოხდეს, დარწმუნებული უნდა იყო, რომ პოლშის საქმე წასულია ხელიდან...“

ქართულ პუბლიცისტიკაში იშვიათია ასე საქმის ცოდნით, ცოცხლად და გემოვნებით დაწერილი ნარკვევი. პუბლიცისტური მგზნებარება მას ქვემარტივად შთაშავონებელ ძალას ანიჭებს.

პ. ნაკაშიძეს ეპიზოდის შერჩევის არაჩვეულებრივი უნარი აქვს. იგი მწერლის თვალთ სჭვრეტს მოვლენებს, პოულობს უნივერსალურ დეტალს, რის შედეგადაც მისი ეპიზოდები იდეურად და მხატვრულად ტევადი და მრავალწახნაგოვანია. ყურადღებას იქცევს დიალოგების ბუნებრიობა, კოლორიტული პერსონაჟები. გარეგნულად პ. ნაკაშიძე გულგრილი მთხრობელია, ალაგ-ალაგ ცივი და, სწორედ ამიტომ, რომ ამბებს კარგად შეუნარჩუნებიათ შინაგანი მღელვარება. ავტორს საკმაოდ მდიდარი ლექსიკა აქვს, უხვად იყენებს ხალხურ გამოთქმებს („პრისტაული სილა“, „დიდი ლეკი ბიკი“, „არამკითხე მოამბე“ და ა. შ.).

პ. ნაკაშიძე არ იზღუდება ბრძოლის საშინელებათა აღწერით, ტრაგიკული შემთხვევებით, იგი ცხოვრებას ბუნებრივ მრავალფეროვნებაში აღიქვამს და მის თხრობას განუშორებლად თან ახლავს მსუბუქი იუმორი.

„ვარშავის ერთს უკანასკნელ სტანციაში დამხვდა ერთი მშვენიერი პოლშელი ქალი, რესტორანის პატრონი. — გადმოგვცემს ავტორი. — მის თავისუფალ ლაპარაკს, ყოფაქცევას, ყმაწვილურ სიმხიარულეს არ შეიძლებოდა არ გაეხალისებინა კაცი. მგზავრობაში ლამაზი ქალის ნახვას სულ სხვა სიამოვნება აქვს. ასე რომ, ერთმა ჩვენთან მოგზაურმა აფიცურმა ისე შეტოპა პოლშელი ქალის ეშხში, რომ ცოტა გაწყდა ხელი არ სთხოვა სამუდამოდ. მე თუმცე ხელი არა ვსთხოვე, მაგრამ,

სამაგიეროდ, ერთი დიდი სტაქანი პივა დავლიე მის სადღეგრძელოდ. ვსწუხვარ კი, რომ ქალმა არ იცოდა, თუ რა დიდი მსხვერპლი იყო ეგ ჩემგან, რადგან მე პივა ძლიერ მძულს და თუ არ დიდის ეშხის გამო-საცხადებლად და ტრფობის აღტაცებისაგან, არც შემიძლია დავლიო“.

ავტორის მხატვრულ ნიჭზე შეტყუვლებს, აგრეთვე, ნაზ ფერებში შესრულებული ლიტვისა და პოლონეთის პეიზაჟები.

პ. ნაკაშიძის ნარკვევებზე დაწვრილებით შეეჩერდით, რადგან იგი დღემდე არ ყოფილა განხილული და ჭეროვნად შეფასებული. ნიშან-დობლივია, რომ ეს თხზულება დაიბეჭდა „აჩრდილთან“ ერთად და მისი ავტორი ილია ჭავჭავაძის მეგობარი იყო. აქვე დავსძენთ, რომ ილია ჭავჭავაძისა და პეტრე ნაკაშიძის „მგზავრის წერილებს“ იდეურ-რი და მხატვრული ნათესაობა აქვთ ერთმანეთთან (ეროვნული გრძნობა, მეფის ბრძოლი ჩინოვნიკების დაცინვა, ნაციონალური დამოუკიდებლობის იდეა, მოქმედებისაკენ, ბრძოლისაკენ მოწოდება).

„სამგზავრო წერილებმა“, უთუოდ, გამარეოლუციონერებელი, პროპაგანდისტული როლი შეასრულა 60-იან წლებში. „31 შარტისათვის, ამბობდნენ, ვარშავაში პოლშელები რევოლუციას აპირებენო და დიდი მზადებაც იყო მთავრობის მხრიდან“. — ასე ამთავრებს პეტრე ნაკაშიძე თავის „პირველ წიგნს“.

ამ ნარკვევის გაგრძელება აღარ დაბეჭდილა, მაგრამ იმ ნაწილიდანაც, რომელიც „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა, ქართველი მკითხველის ხსოვნაში სამუდამოდ აღიბეჭდა პოლონეთის რევოლუციური ბრძოლის რომანტიკული სურათები, რომელთაც ასე მკვეთრად შემოუნახაზეთ პირველი უშუალობის სიტბო.

აშკარაა, რომ „საქართველოს მოამბე“ რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა, ხალხს საბრძოლველად ამზადებდა და როგორც ვ. ი. ლენინი ჩერნიშევსკის შესახებ წერს, „ცენზურას დაქვემდებარებული სტატიები-ბითაც ახერხებდა რევოლუციონერთა აღზრდას“¹.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა ანკარა სათავეებიდან მოედინებოდა თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები, რამდენად ჯანსაღი იყო მათი ეროვნული მსოფლმხედველობა, საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ერთი ადგილი „სფირიდონისა და თადეოზის ბაასიდან“: ეყრდნობა რა ბ. ბელინსკის წერილს, ილია ჭავჭავაძე ამბობს: „სანშობლო ქვეყნის სიყვარული (პატრიოტიზმი) უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულიდან ისე, როგორც ნაწილი მთელისაგან. სამშობლო მამულის სიყვარული არის ისა, რომა გ უ ლ ი თ გ ი ნ დ ო დ ე ს წ ა ხ ო. რ ა ც კ ა ც რ ა ბ რ ი თ ბ ა ს გ ა მ ო უ ხ ა ტ ა მ ს, ა დ ს რ უ ლ ე ბ ა შ ი ი ყ ო ს. მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი და შე ნ ი ს ძ ა ლ ი ს ა და

¹ ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 97.

შეძლებიან აკვალად შევლოდე მის აღსარულებათუ ასე არაა, პატრიოტობა (მამულსმოყვარეობა) იქნება ის, რომ უყვარდეს თავისი მხოლოდ იშრსათვის, რომ თავისი და ეჯავრებოდეს ყოველისფერი სხვისა მხოლოდ იმისათვის, რომა სხვისა არის“ (ხაზი ჩემია.— ა. კ.)

„საქართველოს მოამბე“ გამსჭვალულა ღრმა ეროვნული ოპტიმიზმით, სამშობლოს მომავალი ბედნიერების რწმენით, — რომ ჩვენშიაც შემოაშუქებს ცისკარი და ქართველობა გაჰყვება „ახალი განათლების მოთხოვნილებასა, რომელსაც საძირკველად უდევს განათლება ჰკუისა და ჰქვიან შეერთება თანასწორობისა, ღმობითი სიყვარული და ამისი გულში ჩანერგვით ხალხი დაადგება (ახალ წესსა) და იგემოვნებს“ (დავ. ყიფიანი).

„სამართლად მოაგა“ და რუსული რევოლუციური-დემოკრატიული კავშირი

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია 50-იანი წლებიდანვე ეწაფებოდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა გამოცემებს. ა. გერცენის „პოლიარნაია ზვეზდა“ და „კოლოკოლი“ შესამჩნევ გავლენას ახდენდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე: დადგენილია, რომ „ცისკარში“ დაბეჭდილ ბევრ წერილს „კოლოკოლის“ კვალი აჩნევია¹. ა. ფურცელაძე წერდა: „На собраниях стали мы читать журналы, газеты и книги с новым направлением, стали к нам подавать даже и заграничные издания“².

1862 წლის „სალაყბო ფურცელში“ ი. კერესელიძე ქარაგმულად წერდა: — რადგან აქ წესიერი ჟურნალის გამოცემა შეუძლებელია, გადაწყვიტე, საზღვარგარეთ წავიდე და იქ, მაიონის, ჰიუგოსა და პრუდონის დახმარებით გამოვეყო. ამასთან, ისეთ დეტალებს ასახელებდა, რომ, უეჭველია, მხედველობაში ჰქონდა აღნიშნულ პირთა „პოლიარნაია ზვეზდას“ პირველ ნომერში დაბეჭდილი წერილები გერცენისადმი, რომლებშიც ისინი მხარდაჭერასაც ჰპირდებოდნენ მას.

მავე უამს ჩვენში ფართოდ ვრცელდება „სოვრემენიკი“, რომელშიც, სხვათა შორის, საქართველოს ცხოვრების ამსახველად მასალებიც ისტამბებოდა. ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ამ ჟურნალში გამოქვეყნებულმა ნ. ჩერნიშევსკის რეცენზიამ თბილისის ლიტერატურულ აღმანახზე — „ზურნა“ (1855 წ. № 2) (7), იქვე ხშირად იბეჭდებოდა აგრეთვე ვაზ. „კავკაზის“ თანამშრომლების — ქართული ლიტერატურის მეგობრების, ვერდერევესკისა და სოლოგუბის ნაწერები: უფრო ადრე „სოვრემენიკში“ გამოქვეყნდა კავკასიის ცთ-

¹ ა. კალანდაძე, ივანე კერესელიძე (მონოგრაფია) 1959, გვ. 59—60.

² Закавказская речь, 1911, № 256.

ნოგრაფიული წერილიც. სტავროპოლში სამსახურის დროს დანიელ კონქაძე ამ უურნალის მხარდამჭერთა არალეგალური წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და, ცხადია, საქართველოში დაბრუნების შემდეგაც განაგრძნობდა ამ მიმართებით მოღვაწეობას.

დემოკრატიულად განწყობილ ქართველ ახალგაზრდობას, რომელმაც 50-იან წლებში განათლების მისაღებად პეტერბურგს მიაშურა, საოცნებოდ ჰქონდა ნეკრასოვისა და ჩერნიშევსკის უურნალთან დაახლოება. როგორც აღვნიშნეთ, დავით ყიფიანი 1857 წელს უნივერსიტეტში შესვლისთანავე დაუშვებობდა ნ. დობროლიუბოვსა და „სოვრემენიკის“ სხვა თანამშრომლებს (ზლატოვრაკი და სხვ.). მალე ნ. ჩერნიშევსკისა და მის ჯგუფს მკიდროდ დაუკავშირდნენ ი. ჰავკვაძე, აკ. წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ნიკ. და ბეს. დოღობერიძეები და სხვ. „სოვრემენიკის“ დროშით, ისინი აქტიურად ჩაებნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში, ერთგულად ამოუდგნენ მხარში თავიანთ რუს მეგობრებს და მათთან ერთად გაიზიარეს პატიმრობა და ყოველგვარი სხვა დევნა-შევიწროება.

ილია ჰავკვაძის წრის წევრები „სოვრემენიკის“ კითხვაში, მის სტატიებზე მღელვარე სჯა-ბაასში ათენებდნენ ჩრდილოეთის თეთრ ღამეებს¹. ისინი მოუთმენლად მოელოდნენ სანუკვარი უურნალის ახალ ნომრებს და ხშირად ანაბეჭდებში ახერხებდნენ საინტერესო სტატიების გაცნობას, ბევრ მათგანს ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნაწერებმა აუხილა თვალი, „დაუსახა ცხოვრების, ბრძოლის საოცნებო მიზანი“².

ამ უურნალის მასშტაბითა და მიმართულებით განსაზღვრავდნენ ისინი მშობლიური კულტურისა და ლიტერატურის მდგომარეობას, მის აწმყოსა და მომავალს. კირ. ლორთქიფანიძის პირად არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ „ცისკრის“ შესახებ კრიტიკულ წერილებზე მუშაობისას, ეს უურნალი მას „სოვრემენიკისათვის“ შეუდარებია და სათითაოდ აღუწუხნავს, როგორც გარეგნული, ისე შინაარსობრივი განსხვავება³.

კირ. ლორთქიფანიძის არქივში შემონახულია კომპლექტები „სოვრემენიკისა“, რომელიც თვით კირილეს მიერ არის დანაწილებული თემების მიხედვით. მასვე ცალკე ტომებად აქვს შეკრული ჩერნიშევსკის ნაწერები „სოვრემენიკიდან“⁴. მის მიერვეა შთაგონებული 1862 წელს „ცისკარში“ დაბეჭდილი სამი თერგდალეულის (კირ. ლორთქი-

¹ Г. Туманов. Характеристики и воспоминания, кн. III, 1907.

² ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 67; „კრებული“, 1873 წ., № 4, გვ. 151—153.

³ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი.

⁴ ნ. ნიკოლაძე, ტ. 1, 1931 წ., გვ. 389. ს. ხუნდაძის რედაქციით და შენიშვნებით.

ფანიძის, ა. წერეთლისა და ს. აბაშიძის) სტატიებიც ახალი ჟურნალის („საქართველოს მოამბის“) მხარდასაჭერად. „სოვრემენიკის“ იდეებითა და სულისკვეთებით იყო აღძრული „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. მის მგზნებარე გალამჟრებაში დროშოვსკულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, ხელოვნების სოციალურ⁽¹⁾ სინამდვილისაკენ შემობრუნებისათვის იგრძნობა დიდი სუნთქვა ნ. დობროლიუბოვის წერილისა — „Когда же придет настоящий день?“ („სოვრემენიკი“, 1860, № 3).

არა მარტო სტუდენტები,—იმ დროს ადგილობრივი მოსწავლე ახალგაზრდობაც გატაცებული ყოფილა ამ ყველაზე მოწინავე რუსული გამოცემათ. ერთ წერილში ნიკოლოზ ყიფიანი დაბეჯითებით სთხოვს მამას, არ დააეიწყდეს „სოვრემენიკის“ გამოწერა.

ილია ჭავჭავაძე მუდამ ჰაბუკუური აღტაცებით ივსებდა რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის მებრძოლ ორგანოს, რომელმაც მძლავრი იარაღით აღჭურვა იგი ქართველი ხალხის ეროვნულ-სოციალური ადეალების განსახორციელებლად¹.

„საქართველოს მოამბეს“ რომ აფუძნებდნენ, ილიასა და მის თანამებრძოლებს სწორედ „სოვრემენიკი“ ედგათ თვალწინ, მისი მაგალითით ხელმძღვანელობდნენ, მის გზას მიჰყვებოდნენ და უთუოდ, დიდად სასიამოვნო იყო მათთვის, რომ მკითხველმა პირველი ნომრის გამოსვლისთანავე იგრძნო და მოიწონა ეს მსგავსება. მხედველობაში ჰქონდა რა „საქართველოს მოამბისა“ და „სოვრემენიკის“ როგორც გარეგნული, ისე შინაარსობრივი ნათესაობა, „ცისკარის“ 1863 წლის მარტის ნომერში ანტონ ფურცელაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, „საქართველოს მოამბემ“ „სოვრემენიკისფერი კაბა ჩაიცვაო“. იმავე ჟურნალის მე-9 ნომერში, განიხილავდა რა დ. ყიფიანის, ი. ჭავჭავაძისა და სხვ. წერილებს, დიმიტრი ბაქრაძე („ულოლიკო“) დაასკენიდა: გეტყობათ იცნობთ ჩერნიშევსკისაც, დობროლიუბოვსაც და „სოვრემენიკსაც“ ყოველდღე კითხულობთო.

1858 წელი გარდამტეხი იყო „სოვრემენიკის“ ძოღვაწეობაში, — აქედან მოკიდებული, ნ. ჩერნიშევსკის ინიციატივით, იგი ლიტერატურულთან ერთად პოლიტიკური ორგანოც გახდა. „საქართველოს მოამბის“ მესვეურთა ყურადღება განსაკუთრებით ამ გარემოებას მიუძღვრია. ჟურნალის პროგრამისა და მიმართულების განსაზღვრისას, თერგდალეულები პირდაპირ დაყრდნობიან „სოვრემენიკის“ გამოცდილებას. ილია ჭავჭავაძის საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ თითქმის სიტყვა-სიტყვით არის გამეორებული „სოვრემენიკის“ 1858

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1955, გვ. 88—93; ტ. III, გვ. 314.

წლის საპროგრამო სარედაქციო განცხადების პრინციპული დებულებები («სოვრემენიკი», 1857), რომელშიც ნათქვამია: „Если определить одним словом характер, который редакция желает иметь характером своего журнала, это слово «общественный». С того самого времени как мы начали издание *«Современника», он всегда стремился к тому, чтобы быть журналом общественным. Горячее сочувствие и твердая поддержка со стороны общественного мнения позволяют нам в настоящее время обещать, что цель, к которой мы всегда стремились, может быть достигнута полнее, нежели прежде».

ილია ჭავჭავაძე წერდა: „...ამგვარ ლიტერატურას ეკუთვნის უზრუნალიცა, ნამეტნავად ის უზრუნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადოებრივი უზრუნალი“ („Общественный журнал“). აი, რა რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენ „საქართველოს მოამბესა“.

ილია მტკიცედ ასრულებდა იმ დაპირებას და ყოველნაირად ცდილობდა, მსგავსად „სოვრემენიკისა“, „საქართველოს მოამბე“ გადაექცია ნამდვილ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანოდ. საცენზურო რეპრესიების გამწვავების გამო 1863 წელს ეს ძალიან ძნელი იყო. როგორც ვთქვით, 1862 წელს მთავრობამ რვა თვით შეაჩერა „სოვრემენიკისა“ და „რუსკოე სლოვოს“ გამოცემა. ხელისუფლების მიერ საგანგებოდ აკრძალვის მიუხედავად, ილიამ შეძლო უწყინარი სახელწოდების „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილება პოლიტიკურ განყოფილებად გადაექცია და ისეთი ნაწერები გამოექვეყნებინა, რომლებიც, რევოლუციური შემართებითა და საზოგადოებრივი სიმწვავით, შეგიძლია თამამად ამოვეყენოთ გვერდში „სოვრემენიკის“ საუკეთესო სტატიებს. ბევრი მაგალითით შეიძლება იმის ცხადყოფა, რომ „საქართველოს მოამბის“ რედაქცია აქაც ფართოდ სარგებლობდა „სოვრემენიკის“ გამოცდილებითა და უზრუნალისტური ხერხებით.

როგორც ვთქვით, ბატონყმობისა და ეროვნული უთანასწორობის დაგმობის მიზნით, მსგავსად „სოვრემენიკისა“, „საქართველოს მოამბეს“ განზრახული ჰქონდა დაებეჭდა ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქობი“. კირილე ლორთქიფანიძის „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და აქაური მონობა“, რომელიც ამ რომანის მკითხველთა გასათვითცნობიერებლად იყო გათვალისწინებული, გადმოკეთებულია „სოვრემენიკის“ 1861 წლის მარტის ნომერში გამოქვეყნებული ვ. ობრუჩევის სტატიიდან: „Невольничество в северной Америке“. თებერვლისა და მარტის „სხვადასხვა ამბავში“ თავმოყრილი წვრილი ინფორმაციების დიდი ნაწილიც იმავე უზრუნალის „Смесь“-დან არის ამოკრებილი. ამ კეთილისმყოფელი გავლენის შედეგია, აგრეთვე, რომ „საქართველოს მოამბემ“ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პუბ-

ლიცისტისა და მეცნიერებას, კერძოდ, ნაშრომებს პოლიტიკური ეკონომიიდან.

ორი უურნალის იდეურ თანაზიარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ე. ზალცმანის „კონრად კიფერს“, რომლის თარგმანი „საქართველოს მოამბემ“ გამოაქვეყნა, „სოვრემენიკმა“ დადებითი შეფასება მისცა ა. ნ. პიპინის რეცენზიაში¹.

„საქართველოს მოამბის“ რედაქცია თვალს ადევნებდა და სათანადო ანგარიშს უწევდა იმ დროის სხვა პროგრესულ უურნალ-გაზეთებსაც, კერძოდ „რუსკოე სლოვოსა“ და „ისკრას“, რასაც ამტკიცებს ილია ჭავჭავაძის ფელეტონები „სხარტულა“ და „სფირიდონისა და თადეოზის“ ბაასი“. ილია ჭავჭავაძის „კირაკოზ განძაკეცი“ გადმოკეთებულია „Русское слово“-ში დაბეჭდილი წერილიდან. „ცისკარში“ მოღვაწე სამოციანელები ამ დროს უფრო „რუსკოე სლოვოთი“ ყოფილან დაინტერესებულნი, — და ანტონ ფურცელაძეს მასში მონაწილეობის მიღებაც კი უცდია. 1863 წ. პისარევისათვის დასაბუქლად გაუგზავნია თავისი მოთხრობა „საძის თავგადასავალი“. თავის მხრივ, ეს თხზულება დაწერილია ნ. ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ?“ მიხედვით, რომელიც სწორედ იმ წელს დაიბეჭდა „სოვრემენიკში“. იქვე 1860 წელს გამოქვეყნებული ე. კარნოვიჩის წერილებიდან გადმოაკეთა ა. ფურცელაძემ „გარიბალდის ცხოვრება“, რომელიც 1863 წელს „ცისკარში“ დაისტამბა.

ამასთანავე, „საქართველოს მოამბე“ კარგად ითვისებდა ადგილობრივ თავისებურებებს და სოციალურ საკითხებს მუდამ კოლონიური ჩავერისაგან განთავისუფლების ამოცანებთან კავშირში განიხილავდა. საყურადღებოა ისიც, რომ „საქართველოს მოამბემ“ არ გაიზიარა არამც თუ „რუსკოე სლოვოს“ ნიპილიზმი, არამედ „სოვრემენიკის“ ერთგვარი გულგრილობაც კი მხატვრული ლიტერატურისადმი, კერძოდ, კლასიკური მემკვიდრეობისადმი. კრიტიკულ წერილებში ხაზგასმულია კლასიკოსთა შემოქმედების დიდი საზოგადოებრივ-ესთეტიკური მნიშვნელობა... ამითვე უნდა აიხსნას, რომ „საქართველოს მოამბე“ გაცისკროვნებულია ბ. ბელინსკის ესთეტიკურ-ლიტერატურულ ნააზრევით. თვით რედაქტორმა გადმოთარგმნა და დაბეჭდა მისი საყურადღებო წერილები პოეზიასა, ხელოვნებასა, აღზრდასა და საბავშვო ლიტერატურაზე. 60-იანი წლების „სოვრემენიკისაგან“ განსხვავებით, „საქართველოს მოამბეში“ წამყვანი ადგილი ეკავა მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც იმავე მიზნებს ემსახურებოდა, რასაც პუბლიცისტიკა.

ამრიგად, „საქართველოს მოამბემ“ განამტკიცა ჩვენში რუსულ.

¹ «Современник», 1864, № 5.

პროგრესული პრესის, კერძოდ, „სოვრემნიკის“ ავტორიტეტი. ამიერიდან ახალგაზრდობა უფრო გატაცებით დაეწაფა მას, უფრო აქტიურად ჩაება რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში; სოფრ. მგალობლიშვილის გადმოცემით, „სასწავლებლებში ფუძნდება საიდუმლო ბიბლიოთეკები, სადაც ინახება „სოვრემნიკი“, „ველიკორუსი“, დობროლიუბოვი, პისარევი, ...ლასალი, პრუდონი“¹.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა კიდევ მეტად დაუკავშირდა „სოვრემნიკს“. 1864 წელს ნ. ნიკოლაძემ ამ ურნალში დაბეჭდა „პროვინციული სურათები“². ხოლო 1865 წელს პარიზიდან პეტერბურგს კირ. ლორთქიფანიძისათვის „სოვრემნიკში“ დასასტამბავად გაუგზავნია წერილები ქართულ ლიტერატურაზე.

კ ო ლ ე მ ი კ ა

რევოლუციური სულისკვეთებით გაყენითილმა პროგრესულმა იდეებმა, რომლებიც ილიამ და მისმა „საქართველოს მოამბემ“ ჩვენს ურნალისტიკაში შემოიტანა, გარდამტეხი ზეგავლენა მოახდინა ქართულ აზროვნებასა და ლიტერატურაზე, შეარყია ძველი თაობის სიმამრები, დააჩქარა ინტელიგენციის დიფერენციაცია და ხელი შეუწყო წინსვლას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ახალთაობამ ძლიერი სული შთაბერა და იმედით აღავსო ყველა, ვისაც ხალხისა და სამშობლოს სამსახური ეწადა. გაქრა ოდინდელი კერპების შიში, დაიწყო ცალკეულ მოღვაწეთა იდეური თვალსაზრისის გადასინჯვა.

ვ. ი. ლენინი საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე ამგვარ გავლენას 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად თვლიდა. „ჩერნიშევსკი იყო არა მარტო სოციალისტ-უტოპისტი, — წერდა ლენინი, — ის იყო აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე“³.

ამ იდეური ზეგავლენის ნიშნები ადრე და მკაფიოდ ჩვენში ურნალ „ცისკარს“ დაეტყო.

1861 წლას შემდეგ „ცისკრის“ რედაქციამაც იგრძნო, რომ შესაძლებელი იყო ურნალის პროგრესულ-დემოკრატიული ტენდენციის გაძლიერება, უფრო მარცხნივ წასვლა, და არა იმ ტეშპით, როგორც

¹ ს. ო. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 71.

² «Литературное наследство», 1949, № 54.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 129.

მანამ, არამედ უფრო სწრაფად, გარდატეხის გზით, ამიტომ. საესებით ბუნებრივია, რომ 1862 წლიდან „ცისკრის“ „მიმართულების მიმცემი“ გახდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით გატაცებული ანტონ ფურცელაძე.

1862 წლის ოქტომბერში „ცისკარში“ დაიბეჭდა „სარედაქციო განცხადება“, რომელსაც საპროგრამო მნიშვნელობა ჰქონდა: „პირველის იანვრიდამ დავიწყობთ „ცისკარში“ გარიზალდის ცხოვრების ბეჭდვასა. ჩვენ დიდათ დამნაშავეთა ვრაცხთ ჩვენსა თავსა, რომ აქამდისინ არ გაეაცანით „ცისკრის“ მკითხველებს ეს გამოჩენილი და სამაგალითო... კაცი, ცნობილი მთელს ხმელეთზედ... გარიზალდი თ ა ნ ა ხ შ ა დ ხ ა ლ ხ ის ს უ რ ვ ი ლ ის ა (ხაზი ჩემია— ა. კ.) თითქმის თავის დღენი იბრძვის იტალიის ერთობისა და კეთილდღეობისათვის“.

რედაქცია არა ერთხელ მოაგონებდა მკითხველს, რომ „...ამ წელიწადს სრულებით სხვა მიმართულებით გამოვა „ცისკარი“... იმგვარ თხზულებებს შემოვიტანთ ჩვენს ჟურნალში, რა გეარსაც მოითხოვს ახლანდელი საჭიროება“¹ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

1862 წლის ბოლოდან „ცისკარს“ უფრო აშკარად ემჩნევა ილია ჭავჭავაძის გავლენა; ეტყობა, რომ იგი ფხიზლად თვალს ადევნებს ილია ჭავჭავაძის ჯგუფის საქმიანობას „საქართველოს მოამბის“ ორგანიზაციის ხაზით.

ერთ-ერთ სტატიას „ცისკრის“ თანამშრომელი ასე ამთავრებს: „შევიტყვეთ, რომ „საქართველოს მოამბეში“ იქნება ბიბლიოგრაფიული სტატია იმ ნათარგმნებზედ, რომელიც ჩვენა გვქონდა მხედველობაში სალაპარაკოთო“².

სარედაქციო-საპროგრამო მნიშვნელობა აქვს „თახედის“ (ანტ. ფურცელაძის) სატირულ ოხუნჯობას — „წავიდა ის დრო“; — რომელიც „ცისკრის“ 1862 წლის დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა.

ამ ნაწარმოების მომქმედ პირებად გამოყვანილი არიან „საქართველოს მოამბისა“ და „ცისკრის“ რედაქტორები, რომლებიც ახალი იდეებისადმი ერთგულებას აღუთქვამენ საზოგადოებას.

იმ დროის მოწინავე ახალგაზრდობაშ, რომელიც სასოებით მოელოდა „საქართველოს მოამბის“ გამოცემას, უკვე ამ ჟურნალის გამოსვლამდე იგრძნო, რომ „ცისკარიც“ იმავე პროგრესული მიმართულებით მიდიოდა, როგორც ილია ჭავჭავაძის ჟურნალი.

1863 წლის 22 იანვარს ნიკ. ყიფიანი, რომელიც იმ პერიოდის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის თვალსაზრისს გამოხა-

¹ „ცისკარი, 1862, ნომერი.

² „ცისკარი“, 1862, № 12.

ტავდა, აღფრთოვანებით აცნობებდა დიმ. ყიფიანს, ქართულ ენაზე ორი პროგრესული ყურნალი არსებობსო, იგი წერდა: „მოამბე“ печатается и печатается отлично. I-ый № выйдет, кажется, к этому воскресенью.. „ცისკარი“ также не унывает, идет теперь прогрессивно: наш Антон Пурцеладзе... сделался сотрудником большим редактора“¹.

შექმნილი ვითარების გამო, ძველი თაობის წარმომადგენლებს, ალ: ორბელიანის ინიციატივით, 1863 წლის იანვრიდან გადაუწყვეტიათ სატირული გაზეთის გამოცემა, „მასხარას“ სახელწოდებით.

ივ. პოლტორაკვი ამის თაობაზე წერდა კირ. ლორთქიფანიძეს 1862 წლის დეკემბერში: „С нового года ожидается издавать в Тифлисе сатирическую газету „მასხარა“ — издатель Губ. маршал кн. А. Орбелиани, Редактора до сих пор не могли приискать“.

ნიკ. ყიფიანის ცნობით, მათ 1864 წელსაც არ აუღიათ ამ განზრახვაზე ხელი.

1862 წლის შემოდგომა ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში აღინიშნა თავისებური შეჯიბრით „ცისკარსა“ და ჯერ ორგანიზაციის პერიოდში მყოფ „საქართველოს მოამბეს“ შორის. ორივე ქართული გამოცემა ერთმანეთს ეცილებოდა იმაში, თუ რომელი უფრო პროგრესული იქნებოდა, რომელი ძედგარად შეებრძოლებოდა სიძველეს. ეს იყო სასარგებლო შეჯიბრება, რომელიც ხელს უწყობდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების უფრო წარმატებით გავრცელებას, მაგრამ, ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს იყო ბრძოლა პრესის ფრონტზე მონოპოლიისათვის, ხელისმომწერთა და თანამშრომელთა მოსახიდად, ზოგჯერ გადმოსაბირებლადაც კი. მიუხედავად ამისა, 1862 წლის მეორე ნახევრიდან „ცისკარი“ ამჟამად კეთილგანწყობილებას ამჟღავნებდა ახალი ყურნალის მიმართ.

ჯერ კიდევ 1862 წლის ივლისში „ცისკარის“ რედაქციის პროზის განყოფილების გამგემ ლავრ. არდაზიანმა, გაკიცხა რა ახალგაზრდობის ერთი ნაწილის უსაქმურობა, დამაჯერებლად დაასაბუთა ქართულ ენაზე გაზეთისა და ახალი ყურნალის გამოცემის საჭიროება. მოუწოდა ხალხს, რომ ერთდროულად მხარი მიეცათ ივ. კერესელიძისა და ილია ჭავჭავაძისათვის².

როცა „ცისკარს“ „საქართველოს მოამბისადმი“ მტრული დამოკიდებულება დააბრალეს, ლავრ. არდაზიანი წერდა: „...ბიძია თონიკე. მოიწვევს საზოგადოებასა, შეეწიოს უ უ ჭავჭავაძესა და კერესელიძეს, რომ ლიტერატურა გაგვიჩაღონ. რაო, აქ ჭავჭავაძეს დასცინის, თუ სურს, რომ ხელი მოემართოს და ნაყოფი გამოსცეს? უ. თერგდალეუ-

¹ სსლმ ფონდი, № 14967—ბ.

² „ცისკარი“, 1862, ივლისი. ბიძია თონიკე, „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე“.

ლი ფიქრობს.... ვითომ ბიძია თონიკე დასცინოდეს უ. ჰაეჰავაძესა... მიზეზი რომ არ ჰქონდა, საიდან დაპადა ეს უმსგავსო აზრი... არა, — ნუ იფიქრებთ, უ. თერგდალეულო, რომ უ. ბიძია თონიკე უ. ჰაეჰავაძეს არ იცნობდეს თქვენზედ უკეთესად. ბიძია თონიკე ძალას ატანს, სირცხვილში აგდებს ყმაწვილკაცებს, რომ გაგვახარონ სწავლის ნაყოფით, მეორეს მხრით, ებრძვის საზოგადოებას, მისცეს ყმაწვილკაცებს. ნამეტნავად, უ. ჰაეჰავაძეს, შემწეობა“¹.

1862 წლის ოქტომბერში „ცისკარში“ დაიბეჭდა შემდეგი განცხადება „ვახარებთ ჩვენის „ცისკრის“ მკითხველთა და ყოველს ქართველს, ვისაც კი უყვარს თავისი სამშობლო ენა, რომ შომაველის წლის იანვრიდან, გამოიყემა თბილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. დარწმუნებულნი ვართ, ჩვენი „ცისკრის“ მკითხველნი მიიღებენ გულმხურვალედ მონაწილეობასა ამ საზოგადოთ სასარგებლო საქმეში, ამასთანავე ვბეჭდავთ ახალის რედაქციის გაშოცემის პროგრამასა“.

ამ განცხადების შემდეგ დაბეჭდილია „საქართველოს მოამბის“ პროგრამა, რომელსაც ილია ჰაეჰავაძე აწერს ხელს.

„საქართველოს მოამბის“ გამოსვლასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო მეტი აღტაცებაა გამოხატული „ცისკრის“ 1863 წლის თებერვლის „თბილისის“ შიმოხილვაში“, რომელიც ივ. კერესელიძის კალამს ეკუთვნის. ავტორი წერს:

„...პირველს დიდმარხვის კვირას გამოვიდა დიდის ხნითგან მოუთმენლივ მოსალოდნელი „საქართველოს მოამბე“. მართლად და, რომ იტყვიან გული დატკბაო, — იამა ყოველს ქართველს, ვისაც კი აქვს მცირედიც არის გრძნობა და უყვარს თავისი სამშობლო ენა, ახლა შეგვიძლიან გაბედვით ესთქვათ, ჩვენც ხალხში ვურევივართო: ერთი ჟურნალის ნაცვლად ორი და სამი გვაქვს, თუ არ შეაქციეს ქართველებმა ზურგი და გაიტანეს. ყველას გემართებს, ვისაც ესმის თავის თავის მოვალეობა, შეეწეოდეთ, რაც ღონე და გული მოგვდევს. ნუ იტყვიან, „ცისკარი“ მოგვდის და „მოამბე“ რა საჭიროაო. ამ აზრით ჩვენ ვერასოდეს ვერ წავალთ წინ. ერთიცა და მეორეც მამულს მსახურობენ: ერთიცა და მეორეც ცდილობენ ერთობის, სიყვარულის და ურთიერთის თანხმობის გავრცელებას; რა ვუყოთ თუ თქვა რამე „ცისკარზედა“, სიყმაწვილეს მიეწერება, როდესაც დამწიფდება, მაშინ სულსხეა აზრისა იქნება“.

1863 წელს „ცისკარი“ იმავე იდეურ პოზიციაზე იდგა, რომელზედაც „საქართველოს მოამბე“, „მამათა“ ბანაკს ამ დროს ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნდა.

¹ „ცისკარი“, 1863, № 6.

ორივე ჟურნალი ილიას იდეურ თანამებრძოლთა ხელში იყო. „ცისკრის“ ფურცლებიდან აღარ ისმოდა ირ. ლორთქიფანიძის, გრიგოლ ბარათაშვილის, ალ. სულხანიშვილის, რევაზ ერისთავის, სარდიონ მესხიშვილისა და ძველი თაობის სხვა წარმომადგენელთა ხმა. მას ილიას იდეური თანამებრძოლები: ანტ. ფურცელაძე, აკაკი წერეთელი, ვასილ მახაბელი, ს. აბაშიძე, პ. ჩარქიშვილი და სხვანი ამოძრავებდნენ. პრინციპულ საკითხებში ისინი იმავე აზრებს ქადაგებდნენ, რასაც „საქართველოს მოამბე“ და ილია ჭავჭავაძე¹.

მიუხედავად ამისა, ამ ორ ჟურნალს შორის მაინც მწვავე პოლემიკა გაჩაღდა. მაგრამ ეფექტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს პოლემიკა ორ იდეურ ბანაკს შორის ბრძოლის გამოხატულებას არ წარმოადგენდა, ისინი ბარიკადის სხვადასხვა მხრიდან არ ერკინებოდნენ ერთმანეთს. კამათი მიმდინარეობდა თვით ქართველ სამოციანელთა, ახალთაობის წარმომადგენელთა შორის. გავისხენოთ თუნდაც, რომ „ცისკრის“ სახელით „საქართველოს მოამბეს“ ეკამათებოდა ანტ. ფურცელაძე — ახალთაობის ერთი თვალსაჩინო მებრძოლთაგანი, რომელიც ამ წერილებში რადიკალურ-რევოლუციურ იდეებს ქადაგებდა. ეს იყო მოწინავე პოზიციებიდან გაჩაღებული ურთიერთ კრიტიკა².

ეს პოლემიკა, ჩვენი აზრით, „სოვრემენიკისა“ და „რუსსკოე სლოვოს“ პოლემიკის ანალოგიურია. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ერთხელ კიდევ მოვიგონოთ, რომ 1863 წელს ანტ. ფურცელაძეს რუსულად უთარგმნია და „რუსსკოე სლოვოსთვის“ (პისარევისთვის) დასაბეჭდად გაუგზავნია თავისი მოთხრობა „სამის თავგადასავალი“.

ზოგიერთი ბრმად მიმბაძველი მკვლევარი „ცისკარში“ „მოსკვიტიანინისა“ და „მაიაკის“, ცარიზმის ამ ყურმოჭრილი ყმების, მსგავს გამოცემას დაეძებდა. სინამდვილეში, „საქართველოს მოამბე“, პირველ რიგში, „ცისკრის“ ადრინდელი ლიბერალური მერყეობისა და 1863 წ. „მემარცხენე“, მონიპილისტ-ფრაზიორობის წინააღმდეგ გამოდიოდა და ამით, სხვათა შორის უფრო მკაფიოდ ავლენდა თავის თანმიმდევრულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებას.

დასაწყისში, როგორც ჩანს, ილიას სასარგებლოდ მიაჩნდა „ცისკართან“ პოლემიკა. ამის თაობაზე იგი ოლღა გურამიშვილს სწერდა: „იქნებ ჩვენი ჟურნალი ხვალ დაიბადოს... აბა, კრიტიკებს მაშინ უყურე, მაგრამ ნუ გეშინია, წმიდა ჭეშმარიტება მუდამ ჩვენს მხარეს იქნება“.

¹ დაწერილებით იხილეთ: ალ. კალანდაძე, „ივანე კერესელიძე“, 1959, გვ. 264—266; ილია ჭავჭავაძის ბრძოლა „საქართველოს მოამბის“ დაარსება-შენარჩუნებისათვის“, 1957, გვ. 74—90.

² ამ კამათის ვაგრძელუბად მიგვაჩნია 1871-73 წწ. „კრებულსა“ და „მნათობს“ შორის გაჩაღებული მეტად მწვავე პოლემიკა, რომელსაც არც ერთი მკვლევარი არ თელის ორ იდეურ ბანაკს შორის ბრძოლის გამოხატულებად. ეფიქრობთ, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს პროგრესულ მოღვაწეთა ლიტერატურულ პაექრობასთან.

„საქართველოს მოამბის“ მიერ წამოწყებული პოლემიკა სავსებით გამართლებული და აუცილებელი იყო. მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების გზების გამორკვევისათვის. ახალი ჟურნალი თავს ესხმოდა „ცისკრის“ მუშაობის ნაკლოვანებებს, მის მანკიერ მხარეებს და ამით ანგარიშს უსწორებდა წარსულის ჩამორჩენილობას, უფრო მკაფიოდ უჩვენებდა მკითხველს თავის მიმართულებასა და მიზანდასახულობას. ამასთან, „ცისკრის“ წარსული ნაკლოვანებების კრიტიკით, „საქართველოს მოამბე“ ცდილობდა საბოლოოდ გადაეჭრა ამ ჟურნალისათვის უკან დასახევი გზა, ყველასათვის ახალი მიმართულების სული შთაენერგა და აღეკვეთა წინა თაობის მერყეობა, დაენახვებინა მათთვის თავიანთი შეცდომები და ნაკლოვანებები, განემტკიცებინა ახლის რწმენა.

„ცისკრის“ კრიტიკა დაიწყო საპროგრამო წერილით: „საქართველოს მოამბეზედ“, სადაც ილია ჭავჭავაძე ირონიულად შენიშნავდა: „...მოამბის“ უფროსი ძმა „ცისკარიც“, რომელსაც ყველაზე უფრო უნდა გახარებოდა, რომ მოძმე ებადებოდა, მშველელი უჩნდებოდა, „ცისკარიც“ კი წინადავე ამინებდა ჩვენ „მოამბეს“, რომ მკითხველებს ვერ იშოვისო, ჩვენ, რასაკვირველია, ამ წინდაუნედავ და უგემურ წინასწარმეტყველებას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ მხლალ „ცისკარს“ რამდენჯერმე არ გამოფთქვა საქვეყნოდ თავისი დაფარული შიში და სამარცხვინო აზრი“¹.

„საქართველოს მოამბის“ რედაქტორს მხედველობაში ჰქონდა ივ. კერესელიძის 1862 წლის „სალაყბო ფურცელი“, რომელშიაც ავტორი ამტკიცებდა, — ვინაიდან ჯერ ჩვენში მწერლები და მკითხველები მცირე რაოდენობით გვყავს, — სჯობს, საერთო ძალით ერთი ჟურნალი გავამაგროთ და თანაც ქართული სკოლების დაარსებაზე ვიზრუნოთ.

ეს შეხედულება სინამდვილის ემპირიული შეფასების ნაყოფი იყო. ილია ჭავჭავაძე რევოლუციურად აფასებდა კონკრეტულ მდგომარეობას და ამიტომ, მიუღებლად თვლიდა „ცისკრის“ რედაქტორის ობიექტივიზმს.

ივ. კერესელიძის ორქოფობამ ახალთაობის აღშფოთება გამოიწვია. ამგვარი „თანხმობის“ ქადაგება, მართლაც, დიდ სიფრთხილეს წარმოადგენდა ახალი იდეების გამარჯვებისათვის. მწვავე იდეური ბრძოლის დროს ასეთი მშვიდობიანი განწყობა ახალმა თაობამ საშიშად ჩათვალა და იერიშიც მიიტანა ივ. კერესელიძეზე. „ობიექტური სიძნელეების“ დასურათხატებას, რომელიც მის „სალაყბო ფურცელშია“ მოცემული, შეეძლო გული გაეტეხა ახალგაზრდობის ერთი ნაწილისათვის; აგი ხელს უშლიდა ძალთა მობილიზებას. „ობიექტურ სიძნელეებს“

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863, № 1.

ილია კარგად იცნობდა, მაგრამ გულს როდი იტეხდა. ამ მერყეობის წინააღმდეგ ბრძოლაშიც მკაფიოდ გამოვლინდა ილია ჭავჭავაძისა და მისი ჟურნალის რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი. ლ. არდაზიანს, ივ. კერესელიძეს, დიმ. ბაქრაძეს და სხვებს არ სწამდათ ახალთაობის ძალა, გადაჭარბებით აფასებდნენ ძველი თაობის ძლიერებას და მათს მერყეობასაც სწორედ ეს იწვევდა. ცნობილია, რომ ამავე შიზენით იყო გამოწვეული გერცენის სტატია „Veri dangeroux“; რომელშიც ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს ურჩევდა, არ შებრძოლებოდნენ ლიბერალებს.

ასევე მკაცრად ვაკრიტიკა „საქართველოს მოამბემ“ ლ. არდაზიანის დრამატული სცენები „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“. დამახასიათებელია, რომ არდაზიანმა ვერ გაიგო, რატომ გამოიწვია მისმა თხზულებამ ახალთაობის გულისწყრომა. ვერ შეაძინია, რომ მის წერილს აკლდა ის შებრძოლი რევოლუციური სული, რომ მისი სტატიაც გამოხატავდა მერყეობას დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის.

1861 წლის პოლემიკის შემდეგ, რეაქციონერები დასცინოდნენ ახალგაზრდებს, სტუდენტებს: „აი, შენ უნივერსიტეტში გაზრდილო, აი, შენ ურწმუნო!“ ასეთ პირობებში ლ. არდაზიანის ლიბერალური „მოგზაურობა“, რა თქმა უნდა, საზიანო იყო; მასში ქარაგმულად გაკენწლილი იყვნენ თერგდალეულები, რომლებიც სრულს მხარდაჭერას მოითხოვდნენ და ოდნავ ინდუფერენტიზმსაც არავის აპატიებდნენ. „აგერ უ. ილია ჭავჭავაძემ ჟურნალი გამოსცა და ნახე ერთი მაინც, გამოცადე ყმაწვილები, ხელს ნუ შეუშლი, დარწმუნებით შეიტყვე, შეუძლიანთ რამე, თუ არა“, — მიმართავდა კირ. ლორთქიფანიძე „ბიძია თონიკეს“.

ყურადსაღებია, რომ რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები იმ დროს, ძირითადად, ლიბერალებთან აწარმოებდნენ ბრძოლას. მათ წინააღმდეგ იყო მიმართული ნ. ჩერნიშევსკის „Русский человек на Rendez Vous“, რომელშიც, ტურგენევის „ასიას“ განხილვის საბაბით, დაგმობილია არათანამიმდევრულობა, მერყეობა, ფრაზიორობა.

„საქართველოს მოამბის“ ამ სწორ თვალსაზრისში დისონანსი შეაქვს ვ. თულაშვილის „შინაური მიმოხილვის“ ერთ ადგილს, სადაც სასტიკად არის გაკრიტიკებული თერგდალეული ახალგაზრდობა. როგორც აღვნიშნეთ, ეს წერილი ნაჩქარევად დაიბეჭდა ჟურნალში (ცენზურის მიერ დაკავებული დავ. ყიფიანის სტატიის შესაცვლელად) და ვეფქრობთ, უყურადღებობით გაეპარა რედაქციას აღნიშნული ადგილი. უთანხმოებაც უთუოდ, ამ ნიადაგზე წარმოიშვა ვ. თულაშვილთან, რომელიც მაშინვე ჩამოშორდა ჟურნალს.

საპასუხო წერილში („ცისკარი“, 1863, ივნისი) ლავრ. არდაზიანი („ალექსი ელბაკიძის“ ფსევდონიმით) გულისტკივილით წერს: „ვიცი

მკითხველს გაუკვირდება, რომ მეც ჩემს კალმით გამოველ სამწერლო ასპარეზზედ, ესეც ვიცი, რომ იქნება გამოჩნდეს ვინმე, მაგალითად ვი-
დაცა „თერგდალეულთა“ (კირ. ლორთქიფანიძე. — ა. კ.) და ჩემი მარ-
ტივი სიტყვა მრუდეთ დაინახოს და მაგიერ მისა, რომ დამბიტკიცო! ჩემი შეცდომა, უმათ ისარკაზმოს, რიტორება უთავებოლოდ, უგზო-
უკვლოდ გამოუჩინოს საქმეში. შევარცხვენ ცილისმწამებელსა... ვიცი, მსწავლელი ჩემი მოპირდაპირე მხოლოდ კალმის წვერით დამიწყებს
ომსა, მაგრამ მე მაქვს სიმართლის ტყვია-წამალი“.

ლ. არღაზიანი კვლავ იმეორებს, რომ ის თერგდალეულების მხა-
რეზეა; რომ მას „კარგა ეყურება ყმაწვილკაცები, წამოესარჩლა ამათ“,
რომ კარგად ესმის ილ. ჭავჭავაძის და მისი ამხანაგების დიდი ღვაწლი,—
რომ ახალთაობის ზოგიერთ წარმომადგენელს შეცდომით მაჩნია „ციის-
კარი“ თავის მტრად და საერთო საქმეს ეს სასურველ ნაყოფს არ მო-
უტანს.

„საქართველოს მოამბის“ მაისის ნომერში დაიბეჭდა გ. წერეთლის
წერილი „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“, რომელშიაც ავტორი მიზნად ისა-
ხავს ანგარიში გაუსწოროს წარსულს და მთელ რიგ მოწინავე შეხე-
დულებებს გამოთქვამს ახალთაობის პოზიციის დასაცავად. ეს წერი-
ლი 1861 წლის პოლემიკის უშუალო გაგრძელებაა. ავტორი უკმაყო-
ფილოა, რომ „ცისკარი“ არც მას შემდეგ დაადგა გარკვეულ მიმარ-
თულებას; 1863 წლიდან, მართალია, ახალ გზას შედგომა, მაგრამ „მა-
გითი პირს მაინც ვერ აგვახვევინებს, რომ დაწვრილებით არ განვიხი-
ლოთ საზოგადოების წინ მისი ექვსი წლის ნაღვაწი“.

პოლემიკა აქ, ისე როგორც „საქართველოს მოამბის“ სხვა წერი-
ლებში, გამოყენებულია საკუთარი ლიტერატურული და სოციალურ-
პოლიტიკური შეხედულებების გადმოცემის საბაბად. ამიტომ, საკუთ-
რივე პოლემიკური ნაწილი მწვავე და ტენდენციურია.

„მანებლსა“ და „თანხმობის“ მქადაგებლებს ასევე დაუნდობლად ეს-
ხმიან თავს ანტ. ფურცელაძე, „ჯვარელი“ (ს. აბაშიძე) და სამოციანელ-
თა სხვა წარმომადგენლები. ამასთან, „ცისკარის“ ფურცლებზე ისინი
აწარმოებენ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ზოგიერთი თხზუ-
ლების პოპულარიზაციას, რითაც ხელს უწყობენ საერთო საქმის წარ-
მატებას.

არჩილ ჯორჯაძესთან კამათის დროს, ა. ფურცელაძე წერდა: „ვე-
კამათებოდი რაშიაც არ ვეთანხმებოდი ილია ჭავჭავაძეს და მის „სა-
ქართველოს მოამბეს“ (მხედველობაში აქვს დიმ. ყიფიანის ნათარჯ-
მნი მიტჩელის „ზეციური მნათობების“ წინასიტყვაობა. — ა. კ.) და სა-
დაც მოსაწონი იყო... აქ წარმოვთქვი... შესხმა-დიდება... ამგვარი შე-
ნიშვნები უფრო მკაცრად მაქვს „ცისკარის“ წინანდელს წერილებზედ.
მამასადამე, „მოამბეს“ კი არ ვებრძოდი, არამედ ამგვარს ნაწერებს,

„ცისკარში“ ყოფილიყო, თუ „მოამბეში“... ესენი ცოდვების დაწამებაა თუ უბრალო კრიტიკული შენიშვნები?.. აღტაცებით ვლაპარაკობდი „აკცია-ადამიანზედ“ რუსულს გაზეთ „ლიტერატურნი ლისტოკში“.

სამწუხაროდ, მომდევნო ნომერებში ეს სასარგებლო პოლემიკა ისე გამწვავდა, რომ ნაწილობრივ არაჯანსაღი, არაობიექტური ხასიათიც მიიღო.

ამ მხრივ განსაკუთრებულ გულსტიკვილს იწვევს ანტ. ფურცელაძის წერილები.

განიხილავს რა „საქართველოს მოამბის“ იანვრისა და თებერვლის წიგნებს, 1863 წლის მარტის ნომერში იგი წერს: „...ამაზედ იჭვი არ არის, რომ ეს ჟურნალი არის გამოცემული კეთილის განზრახვით, ჩვენ მაინც იჭვი არა გვაქვს ამაზედა, მაგრამ ეს კი არ ვიცით; მიჰყვებათ ამ სურვილთან ამის მოთავეებს ენერჯიაცა თუ არა. ჯერ ეს უმთავრესი საჭიროება ოთხს გამოცხადებულს რედაქტორებში, ერთის მეტმა (ი. ჭავჭავაძემ, — ა. კ.) არავენ გამოიჩინა“.

ანტ. ფურცელაძე მკაცრად აკრიტიკებს „მოამბეში“ დაბეჭდილ გ. ერისთავის კომედიას „შეშლილს“ და გაუმართლებლად მიაჩნია მებრძოლი ანაღვანობის ორგანოში ასეთი ვრცელი და, მისი ფიქრით, არააქტუალური ნაწარმოების დაბეჭდვა.

ანტ. ფურცელაძე მთელ რიგ სხვა უმართებულო, ტენდენციურ შენიშვნებსაც გამოთქვამს: სათანადოდ ვერ აფასებს ილია ჭავჭავაძის პოეტურ შედეგებს, დილეტანტურად ჩაჰკირკიტებს თვითეულ სიტყვას, ნაცვლად იმისა, რომ თავისი კრიტიკული წერილებით გზა გაუკაფოს ამ ჩინებულ, დემოკრატიული იდეებით აღსავსე თხზულებებს.

ლიტერატურის საზოგადოებრივი მნიშვნელობის მტკიცებით აზარტში შესული „ცისკარის“ თანამშრომელი ზომიერებას ჰკარგავს და უსუსურობას იჩენს ნ. ბარათაშვილის ლექსის — „შემოღამება მთაწმინდაზედ“ განხილვისას.

უფრო მკაცრი და „საქართველოს მოამბის“ მიმართ უსამართლოა ანტ. ფურცელაძის 1863 წლის ივლისის წერილი „ქართული ლიტერატურა“. ავტორი ერთ სიბრტყეზე აყენებს გრ. რჩეულიშვილსა და ილია ჭავჭავაძეს. ილიას წერილს „შეშლილის“ თარგმანზედ, რომელმაც, უეჭველია, თვითონ ანტ. ფურცელაძეზედაც დიდი გავლენა მოახდინა. „სენტიმენტალურ გალობას“ უწოდებს, უსამართლოდ ემუქრება გ. ერისთავის კომედიებს, — მაგათვისაც მოვიცილო.

ა. ფურცელაძე თანდათან გაიტაცა პოლემიკის გარეგნულმა მხარემ, ხელალებით დაუწყო ძაგება „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ თერგდალეულთა ნაწერებს, ილიასა და დავით ყიფიანს სუმაროკოვობა და ასკაჩენსკობაც დასწამა და „ცისკარის“ აგვისტოს ნომერში „თაფხედის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ცინიკურ რეპლიკებში ჟურნალ-

ლის მიმართ უკადრის გამოხდომამდეც მივიდა („მოამბე“ მეტისმეტი სიკაპასით გოჭნახევიარილა დარჩენილა და ჭლექათ ჩავარდა. ამბობენ, ვითომც უღლეური ყმაწვილი იყვეს“ და ა. შ.), „კაცია-აღამიანისა“ და „გლახის ნაამბობის“ ავტორს ენაც კი დაუწუნა („ჭავეჭავედის კუდმოკ-ვნეტილი ენა და დავით ყიფიანის... ტელემახიდური სლოგი“).

უნდა ითქვას, რომ ა. ფურცელაძე 60-იან წლებშივე გაუღენთილი იყო რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით, მაგრამ იმ დროს, ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლებისაგან განსხვავებით, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა და ნათელი თვალსაზრისი ყველა საკითხზე.

ახალთაობის გამოჩენილი წარმომადგენლები; კირ. ლორთქიფანიძე და გ. წერეთელი სავსებით სწორად აყალიბებდნენ იმ პროგრესულ იდეებს, რომლებსაც „საქართველოს მოამბე“ გამოხატავდა, მაგრამ ზოგჯერ ისინიც გამოთქვამდნენ ამა თუ იმ საკითხზე უმართებულო შე-ნიშვნებს.

აკაკი წერეთლის ლექსებში გ. წერეთელი, მაგალითად, რომანტიკულ მიდრეკილებას ხედავდა; „ცისკარს“ ბრალად სდებდა „სურამის ციხე“, „სოლომონ ისაკიჩ მეჭლანუაშვილი“ და სხვ. საფუძვლიანად არ განგხილავსო.

ანტონ ფურცელაძის რევოლუციურ-დემოკრატიულ წერილებსა და ალ. სულხანიშვილის ულტარაქციულ სტატიებს გ. წერეთელი ერთ-მანეთთან აიგივებდა.

ანტ. ფურცელაძის შესანიშნავ სტატიას „სურამის ციხეზე“, რომელიც მედგარ რევოლუციურ სიტყვას წარმოადგენდა ბატონყმობისა და უსამართლობის წინააღმდეგ და რომელმაც დიდი განგაში გამოიწვია ბატონყმობის დამცველთა ბანაკში, — გ. წერეთელი ასეთ შეფასებას აძლევს: „განა ამას რეცენზია ერქმის?... ახალ ადგმულ ენის ყბედობაა და ქარის მობერილი ჰსჯა“.

1863 წელს რეაქციული ძალები — „მამათა“ ბანაკი, ყველაზე მეტად სწორედ ილია ჭავჭავაძისა და ანტონ ფურცელაძის თხზულებებით იყო გულგანგმირული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალ. ორბელიანი ალტაცებული იყო ანტონ ფურცელაძის ძაგებით: „აბა, აცა, თუ ქერე-ლი ბეჭა პასუხის ღირსად გახადონო“, — წერს ერთ-ერთ წერილში; ამიტომ, არც ანტ. ფურცელაძის ნაწერების ასეთი კრიტიკა იყო გამართლებული.

„საქართველოს მოამბე“ ასევე მწვავედ აკრიტიკებდა დიმიტრი ბაქრაძესაც. მის წინააღმდეგ იყო მიმართული კირ. ლორთქიფანიძის „ამაო ამათა“ და დავით ყიფიანის „ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“. ეს უკანასკნელი ულოგიკობას სწამებდა და დაცინოდა დიმიტრი ბაქრაძის 1860 წ. ქართულ ენის საკითხებზე დაბეჭდილ წერილებს.

„ცისკრის“ 1863 წლის სექტემბრის ნომერში დიმ. ბაქრაძემ („ულო-
ლიკოს“ ფსევდონიმით) გამოაქვეყნა ვრცელი პოლემიკური წერილი —
„ორიოდე სიტყვა უ. დავით ყიფიანის სტატიანზედ „გრამატიკის შესა-
მუშავებელ მასალებად“, რომელშიც ცხარე ტონით ეკამათებოდა დავ.
ყიფიანს, ილია ჭავჭავაძესა და კირ. ლორთქიფანიძეს. ავტორი თავს
იცავდა ბრალდებისაგან, — გრამატიკის საჭიროებას კი არ უარვეყოფ-
დი, არამედ ვწერდი, რომ მართოდენ ის ვერ იხსნის ჩვენს ენას მოსპო-
ვისაგან, — ვერ განაკურნავს ახლანდელს ჩვენს პირს-მეთქი. დიმ. ბაქ-
რაძე ამოდ ცდილობდა აკადემიური სილინჯის შენარჩუნებას („უ.
ყიფიანის ცდა არის მაღალი და პატივსაცემი“), ალაგ-ალაგ თავის
ფსევდონიმსაც ივიწყებდა და პირველ პირში იცავდა დავ. ყიფიანის
მიერ გაკრიტიკებულ თავის ნაწერებს. დიმ. ბაქრაძეს არც ილია ჭავ-
ჭავაძის ნაწერები მოსწონდა, — დაცინვით, — „ლიტერატურობის ტა-
ლანტს“ უწოდებდა მას, კირ. ლორთქიფანიძეს კი უვიცობასა და მ-
კერძობას სწამებდა.“

დიმ. ბაქრაძე დაწერილებით განიხილავდა დავით ყიფიანის წერი-
ლებს, მის აპრილის „სხვადასხვა ამბავს“ ირონიულად ბოკლის „ცივი-
ლიზაციის ისტორიას“ ადარებდა და დასძენდა, „თავდაბლობით მოს-
ვლია“, ასე რომ არ უწოდებიაო. საერთოდ, ამ წერილით დიმ. ბაქ-
რაძე მახვილ პოლემისტად წარმოგვიდგება. ზედმეტი ასოების აღფა-
ბეტიდან ამოღება, თქვენზე ადრე, დ. ჩუბინიშვილმა მოითხოვაო, —
ნიშნის მიგებით ეუბნებოდა თერგდალეულებს; მოპაექრეთა სტატიებში
მთელ რიგ ფაქტიურ შეცდომებს ავლენდა და დაასკენიდა: დ. ყიფიანი
„ლოლიკის ჩანგალს მოსდებს დ. ბაქრაძეს“, თვითონ კი „საგვგე არის
ლოლიკითაო“.

საყვედურები „ცისკრის“ მიმართ, ცხადია, უფრო გამართლებული
იყო. კერძოდ, გ. წერეთლისა და კირ. ლორთქიფანიძის წერილები მიზ-
ნად ისახავდა ახალი ჟურნალის საფუძველთა განმტკიცებას. ამასთან,
ისინი „ცისკარს“ მიუთითებდნენ ნაკლოვანებებზე და ამით ხელს უწყ-
ობდნენ მათ გამოსწორებას. აღსანიშნავია, რომ თვითონ ილია ჭავ-
ჭავაძეც ამ თვალსაზრისით უყურებდა „ცისკრის“ კრიტიკას. უდავოდ,
ეს იყო მისი წერილის — „ცისკარი“ 1857—1863 წლამდინა — ერთ-
ერთი მიზანი. ამ სტატიამი ილია წერდა: „ჩვენ უშიშრად და დაუნდობ-
ლად შევუდგებით „ცისკრის“ განხილვას: ჩვენ არ დავიშურებთ იმის
ძაგებასა, რაც ჩვენის ფიქრით, საქაგელია, იმის ქებას — რაც საქება-
რია. გლახისა არ იყოს, მტრულად მოვეკიდებით „ცისკარს“, რომ თუ
გაძსწორება უნდა, გაძსწორდეს და მოყვრულად გამოადგეს იმ სასა-
ხელო საქმეს, რომელიც უტვირთვია“.

პოლემიკაში არსებითი გარდატეხა შეიტანა ილია ჭავჭავაძემ, რო-
მელმაც თავისი მახვილი ფელეტონებით ნათელი მოჰფინა „ცისკარ-

თან“ პაექრობაში წამოჭრილ ყველა საკითხს, სამხეოზე გამოიტანა მოწინააღმდეგეთა ავლადიდება, ისინიც ჩააჩუმა და მკითხველსაც გაუგებრობის ბურუსი გაუფანტა.

ჩვენი ლიტერატურა ამ პოლემიკას უნდა უმაღლოდეს ილიას ორი უბადლო ფელეტონის დაბადებას, რომლებიც „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა.

„საქართველოს მოამბის“ პოლემიკური ტონი თავიდანვე უფრო საქმიანი და სოლიდური იყო, ვიდრე „ცისკრისა“. გადამლაშებას აქ იშვიათად ვხვდებით (გამონაკლისია კირ. ლორთქიფანიძის სიტყვები ბიძია თონიკეს მიმართ: „მითამ რა კარგია, რომ შენ არც წვერი გაქვს და არც ულვაში, საჭურისს რომ დამსგავსებინარ?“), მაგრამ ა. ფურცელაძემ ისე გაამწვავა კამათი, იმდენი უსაფუძვლო ბრალდება წაუყენა ჟურნალს, ისე დააბნია მკითხველი, რომ კრიტიკულ წერილებში მათი განხილვა — უარყოფა უსარგებლო და უნაყოფო იქნებოდა. საჭირო იყო უფრო ეფექტური საშუალება.

ბ. ბელინსკი ვარკვევით მიჯნავდა ერთმანეთისაგან კრიტიკასა და პოლემიკას, — კრიტიკის მიზანიათ, — ამბობდა, — „Проверка фактов умозрением“, цель же полемики „низшая“ — защита здравого смысла“. — ამიტომაც ოსტატურად დაწერილი, მწვეანე ფელეტონი მას ყოველი გამოცემის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა.

ფელეტონის ჟანრში „საქართველოს მოამბეს“ საკმაოდ მომზადებული ნიადაგი დახვდა. „ცისკართან“ ცალკე განყოფილებაც არსებობდა „სალაყბო ფურცლის“ სახელწოდებით და მკითხველი ისე შეეჩვია მას, რომ აუცილებლად მოითხოვდა ჟურნალისაგან ამ სახის ნაწერებსაც. მაგრამ „საქართველოს მოამბემ“ აქაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი წადგა წინ; მისი ფელეტონი იდეურად უფრო პროგრესულია და მხატვრულად უფრო სრულყოფილი.

ამ ჟანრის ნიმუშად დარჩება მუდამ ილია ჭავჭავაძის „სხარტულა“ და „სფირილონისა და თადეოზის ბაასი“.

„სხარტულას“ დაწერის საბაბი გამხდარა „ცისკრის“ 1865 წლის სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი ანტ. ფურცელაძის („თაგხედის“) პასკვილი „საქართველოს მოამბეზე“.

მსუბუქ დრამატულ ფელეტონში ილიამ მოახერხა აესახა „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეს“ შორის ატეხილი პოლემიკის მთელი შინაარსი, ემხილებინა და გაეკიცხა „ცისკრის“ მესვეურთა ნაკლოვანებანი და შეცდომები, გაეცამტვერებინა მათი ბრალდებები, თვალი აეხილა მკითხველთათვის.

მწერალი მიზანს აღწევს მოწინააღმდეგეთა ნაწერებში ყველაზე კრიუხული შეცდომის, უხერხული გამოთქმისა და უზუსტობის გამოჩენით, ამ შეცდომების მხიარული დაცინებითა და აბუჩად აგდებით.

ერთი-ორი შეცდომისა და უზუსტობის მახვილგონივრული გამოწველი-
ლვით იგი მთელ ნაწარმოებს კვალდაკვალ მიჰყვება და ამასხარავებს.
ამასთან მას ოდნავადაც არ ემჩნევა რაიმე გაბოროტება; იუმორი ცოც-
ხალ მოქმედებასა და დეტალებშია გასულდგმულებული. შინაარსობ-
რივადაც მოპაექრეთა ნაწერების ორი ისეთი თვისება აქვს აქცენტი-
რებული — ტენდენციურობა და უვიცობა (არაკომპენტენტურობა),
რომელთა მხილებით ერთის დარტყმით ეცემა მათი წერილების ავტო-
რიტეტი.

„სხარტულაში“ მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან ივ. კერეა-
ლიძე და ანტ. ფურცელაძე (ქერელი ბექა). სენა იწყება „ცისკრის“
რედაქტორის ოთახის აღწერით; კედელზე ჰკიდია სურათი: „ერთს
ქართველს სტუდენტს კისერი წაუწვდია და თერგსა სვამს. ქერელი ბე-
ქა მიჰპარვია, ბუჩქებში ამოიჭდარა და იმ თერგდალეულსა პურის მარ-
ცვლებს ესერის და თან იძახის: „ჰი! მტვერი კი ავადინე აქაურობას და!“
მეორე კედელზე ჰკიდია „ცისკრის“ რედაქტორის მანიფესტი კახე-
ლებთან“ (ასე უწოდებს ილია დაცინვით „ცისკრის“ 1860 წ. მე-II
ნომერში დაბეჭდილ ი. კერესელიძის ერთ-ერთ განცხადებას, რომელ-
საც სქოლიოში დართული მახვილი რეპლიკებით ამოსუნთქვის საშუ-
ალებას არ აძლევს მთელი ფელეტონის მანძილზე).

დიდგულას თოფზე დაყუდებული „რაინდი“ ბექა, რომელსაც ომ-
გადახდილობა ეტყობა, პატაკს აძლევს მანიფესტით ხელდაშვენებულ
რედაქტორს: „ისკრიდან“ მოპარული ყუმბარები დაეაყარე „საქარ-თვე-
ლოს მოამბეს“ მარტსა და ივლისში... ჩვენი მკითხველების თვალში გა-
მარჯვებული ვრჩებით, ამითაო“.

„ბაქია ბექა“ ტრაბახობს: „ჩავაჩუმე თუ არა „მოამბე“!.. ენა კი
ჩაუვარდათ იმ წყეულ თერგდალეულსაო“. აქ ფელეტონისტი თავი-
სი თხზულების მიზანდასახულობასაც გვიხსნის „მე მინდა ისე ოხუნ-
ჯობით გადავამტერიო ის ღობე, რომლის იქიდაშაც დამალულია ბექა
და კენჭებს ისვრის და უკვირს კიდევ, რატომ ამ კენჭებით ქვეყანა არ
ირყევიაო... იმასთან სერიოზნად ლაპარაკს თავილობს თქვენი „მოამბე“...
მეტისმეტია, ბატონი, მეტად კადნიერად კუნტრუშობს საზოგადოების
წინაშე“.

რედაქტორი სთხოვს ბაქიას, დამშვიდდეს, „ხომ ხედავ, ზედაც არ
გიყურებსო“. ბაქია კმაყოფილია „საქართველოს მოამბის“ დუშილათ:
„კიდევ ეგ გახლავს კარგი და!.. ისინი ჩემთან ბრძოლას თავილობენ
და ხმას არ იღებენ და... მკითხველებს კი ჰგონიათ, მე ისინი შევაშინე,
ღა ვავაკმენდინე“.

შემდეგ, „სხარტულაში“ განქიქებულია „ცისკარში“ დაბეჭდილი
უნიკო თხზულებანი (გრ. ბარათაშვილის, ა. სულხანიშვილის და სხვ.),

ანტ. ფურცელაძის წერილები, მხილებულია პლაგიატი, „ყურმახვილობა“, ფსევდონიმების გამყდვენება, ტენდენციურობა.

ბექა თავს იქებს რედაქტორთან, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლები მიწასთან გაეასწორეთ და ბოდიშს იხდის, ორი კაცი კი ვაქე — ვ. თულაშვილი და გ. ჩიქოვანიო. „რად აქე? — შეუტყეს რედაქტორი, — შენ არ იცი, რომ რუსთაველიც რომ საფლავიდან ადგეს და „მოამბეს“ დაეხმაროს, ისიც უნდა ლანძღო“. ბაქია თავს იმართლებს, ის ორნი თერგდალეულები კი არ არიან, ჩვენი საყვარელი მტკვარდალეულები ყოფილანო.

ერთ ადგილას „ცისკარის“ რედაქტორი ბაქიას აფრთხილებს, წყნარად იყავი, თერგდალეულები არ გააღიზიანო, „ერთი თავზედ ხელი აიღონ და შენთან ლაპარაკი არ ითაკილონ, მერე ხომ შენთან მეც თან გამიტანენ... რაც ცოდვები ჩაგვიდენია, მოგვიკრფვენ და სულ შხამად ამოგვადენენ.“

ასეც მოხდა: „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ ილია თავიდან მიუბრუნდა 1861 წელს „ცისკარში“ იძულებით შეწყვეტილ პოლემიკას და დაწვრილებით დაანანსიათა ამ ჟურნალის ავ-კარგი.

ამ ფელეტონებს უფრო სერიოზული, პოზიტიური ხასიათი აქვს; შესაბამისად, იუმორი რბილი და დაფარულია, ტონი — საღალგობო — საქმიანი. ძველი (თადეოზი) და ახალი (სფირიდონი) თაობა აქ მტრულად არ არიან დაპირისპირებული. თადეოზი ჩამორჩენილი, გონებაგაუხსნელი, ზანტი მოხუცია (ლუარსაბ თათქარიძეს ჩაძოგავს) და ნასწავლი, ენერგიული სფირიდონი მას გულდინჯად, მშვიდად განუმარტავს ახალთაობის მიზნებსა და შეხედულებებს.

ფელეტონის დასაწყისშივე ჩანს, რომ ავტორი ერიდება პოლემიკის გამო მკითხველთა გულისწყრომას: „ჩვენ ვიცით, რომ რა წამსაც .. ამ სტატიის სახელს თვალს მოჰკრავენ, მაშინვე გულმტკიცუნულად წამოიძახებენ: „აი, ბატონო, კიდევ მოჰყვენ ლანძღვასა“..

ილიას 1863 წელსაც უხდებოდა ძველი თაობის წარმომადგენლებთან 1861 წელს გამოჩენილი „სიფიცხისა“ და „მკვახე ტონისათვის“ „თავის მართლება“.

თადეოზი უკმაყოფილოა, რომ ჟურნალი კრიტიკებით აივსო, რომ ერთმანეთს დაუნდობლად შეებნენ ჰაგვქავაძე, ერისთავი, კენინა ჭორჭაძისა და ბარათაშვილი, სფირიდონი კი მოთმინებით განუმარტავს კრიტიკის მნიშვნელობას და თვალნათლივ უჩვენებს „ცისკარის“ ავ-კარგს. ილიას აქ განხილული აქვს გრ. ორბელიანის, რაფ. ერისთავის, ბ. ჭორჭაძის, ივ. კერესელიძის, გრ. ბარათაშვილის, ალ. სულხანიშვილის და სხვ. თხზულებანი; გზა და გზა პასუხს აძლევს სადავო საკითხებზე 1861 წელს შეწყვეტილი პოლემიკის მონაწილეებსაც (გრ. ბარათაშვილს, ბ. ჭორჭაძეს და სხვ.).

ამ ვრცელ ფელეტონში, ფაქტიურად, შეჯამებულია 1861—1867 წლების კამათის შედეგები.

ილიას ფელეტონებმა პოლემიკის ბედი „საქართველოს მოამბის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა; გამარჯვება დამაჯერებელი იყო; „ცისკარს“ პასუხი აღარ გაუცია და ილია ხომ თავიდანვე ერიდებოდა კამათის გამწვავებას.

ჟურნალისტიკის ისტორიაში იშვიათი არ არის, რომ პოლემიკაში დამარცხებული ცენზურასთან აბეზღებს გამარჯვებულს (ცნობილია, მაგალითად, რომ ბულგარინმა დააბეზლა პოლევის „მოსკოვსკი ტელეგრაფი“), მაგრამ 1863 წელს ორივე ქართული ჟურნალი ერთ მიზანს ემსახურებოდა, ხელისუფლება ორივეს ერთნაირი უნდობლობით უყურებდა და მათი პაექრობაც, ასე ვთქვათ, მათსავე „საშინაო საქმეს“ წარმოადგენდა.

მოწინავე აზრის მედროშე „საქართველოს მოამბე“ იყო. იგი ელცა სათავეში „მამების“ წინააღმდეგ იდეურ ბრძოლას; იგი უნათებდა ამ ბრძოლის გზას „ცისკარსაც“.

როგორც აღვნიშნეთ, ორ ჟურნალს შორის პოლემიკის გაგრძელება ილიამ საერთო საქმისათვის საზიანოდ ჩათვალა და ბოლო ნომრებში მთლიანად შეწყვიტა კიდევ „ცისკარის“ წინააღმდეგ შიმართული პოლემიკური წერილების გამოქვეყნება.

კირ. ლორთქიფანიძის არქივში დაცულია ივ. კერესელიძისა და „ცისკარის“ წინააღმდეგ მიმართული პამფლეტი „ჩინმაჩინის გრდემლა და მასხარათ აგდება“, გადათეთრებული „საქართველოს მოამბეში“ დასაბეჭდად. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს თხზულება არ დაბეჭდილა. „საქართველოს მოამბეში“ დასაბეჭდად ნიკ. ყიფიანსაც მზად ჰქონია ფელეტონი „ცისკარის“ წინააღმდეგ, რომელიც მოგვიანებით პოლიციას ჩამოურთმევია მისთვის, პეტერბურგში დაპატიმრების დროს.

გამოცემის სიძნელეები და ცენზურის მიზანები

ჟურნალის თითოეული ნომერი მწვავე დაბრკოლებებთან კიბილში იბადებოდა. ყველაზე გადაულახავ სიძნელეს წარმოადგენდა ცენზურა, რომელიც პირველი ნომრიდანვე კრიკაში ედგა მას.

„№ 1 „საქართველოს მოამბე“ еще не вышел, — аτύობინება ნიკ. ყიფიანი მამას 1863 წლის 5 თებერვალს. — Цензор задерживал долго статьи, наборщиков мало в типографии. Вторую книжку уже начали готовить, боятся, чтоб и она крепко не опоздала, как первая... так, как с «Вестником» случилась такая беда, редакция его принуждена отложить до второго № и Митчелля, и статью одну — Датико нашего, и многие други»

статья. С нашим „თაიგული“ тоже случилось беда... Нам сказали, что тут крепко следят за проявлением какой нибудь „больше“ или менее либеральной идей“...¹

საეკლესიო რეპრესიების გამო, ვერ მოხერხდა ჟურნალში „მგზავრის წერილების“; „კაკო ყაჩაღის“, „აჩრდილის“, „ქართლის დედისა“ (მთლიანად) და ილიას სხვა თხზულებათა გამოქვეყნება; გააუქმეს „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილება; შეაჩერეს პეტრე ნაკაშიძის „სამგზავრო წერილების“, დავ. ყიფიანის, ბასტიასა და სხვათა სტატიების ბეჭდვა.

ადგილობრივი ხელისუფლება შემფოთებით ადევნებდა თვალს „ციცკარსა“ და „საქართველოს მოამბეს“ შორის გაჩაღებულ პოლემიკას და ამჩნევდა, რა დაჟინებით ეწეოდა ეს ორი ჟურნალი ერთმანეთს სულ უფრო მარცხნივ. შესაბამისად, საეკლესიო შევიწროებაც თანდათან აუტანელი ხდებოდა. რედაქციას აიძულებდნენ, საგულდაგულოდ მომზადებული აქტუალური თხზულებები წყალ-წყალა მასალით შეეცვალა.

1863 წლის ნოემბრის ნომერში ილია აღნიშნავდა: „არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებდა, რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამცთუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი ვაბედა, რომ მიჰკარებოდა, — თუმცა ზოგჯერ სცადა კიდევ, — იმავე მიზეზით, რომ „ღრონი მეფობენ“. ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი დააკლდა, „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოდან გასასინჯი იყო“.

წლის მეორე ნახევარში „საქართველოს მოამბე“ გამოუვალ ფინანსურ გაჭირებაში ჩავარდა, რადგან მკითხველთა ერთმა ნაწილმა, რომელიც უკმაყოფილო იყო ამ ჟურნალის მიმართულებით, ხელმოწერის თანხის გადახდაზე უარი განაცხადა. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაბატონებულმა წრეებმა ორივე ჟურნალს ზურგი შეაქციეს, თავისებური ბოიკოტი გამოუცხადეს. „ციცკარის“ აგვისტოს ნომერში „ჯვარელი“ (სამსონ აბაშიძე) აღმფოთებით მიმართავდა საზოგადოებას: „ვინც შენ გზას გიჩვენებს და სიმართლეს გეუბნება... სდევნი საფლავამდე. ღვთის გულისათვის, გასწორდით, გამოიღვიძეთ, კმარა ამდენი ხნის მცონარება. აი ამიტომაც აღიძრა შენი შეილები შენზედ. იმათ გული უკვდებათ, შენ ეგრე დაცემულს და მიწასთან გასწორებულს რომ გიყურებენ“.

„ციცკარისა“ და „საქართველოს მოამბის“ მაშინდელ მდგომარეობაზე მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს ალ. ორბელიანის წერილი „მოთ-

¹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, დიშ. ყიფიანის არქივი, № 414.

მინებისაგან გამოსვლა“, რომელიც 1864 წ. იანვარში დაიბეჭდა, როცა ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, რა ბედი ეწეოდა ერთ ან მეორე ჟურნალს. „ვინ ამბობს კარგი მიმართულება არა აქვთ არც ერთ ქართულ ჟურნალსო, — ვკითხულობთ ამ სტატიაში. — ეს მართალი არ არის; ორივე მიმართულება საგანგებოა... ვის რა ენაღვლება, ჟურნალმა რომ ჟურნალი გალანძლოს, ან მწერალმა მწერალი. ანუ ჩვენსა საზოგადოებას მოსდონ ძლიერი სიტყვები. ღირსნი არა ვართ? მიბრძანეთ, ჩვენს საზოგადოებაში რა არის კარგი? ჩვენი თავის ცნობა გვაქვს? მოლაღატენი არა ვართ ერთმანეთისა? ერთმანეთის დამლუპველნი? თუ მე ამას არ ვიტყვი, ვინ გაბედავს ამისთანა ყაჩაღანასა სიტყვებსა ამისთანა არეულსა დროში?!. მისახვედრი არ არის გონებისაგან, მიზეზიც რა არის ჭავრობისა: ხელსა აღარ მოვაწერთ ჩვენ ჟურნალებსაო, რა არის საზოგადო საენებელი აქა?.. გარედან რომ არეული ყოფინა გვაქვს, გვეკადრება მერე? დავაცალოთ თვით მწერლებსა, იმათ უფრო უკეთესად იციან, როგორც წაიყვანენ ჟურნალების საქმეს... ჩვენს ჟურნალებს არა დააკლდეს რა, არამც თუ დააკლდეს, უნდა ვეცადნეთ, უფრო და უფრო წინ წავიყვანოთ, რომ ბოლოს დროს უენოთ არ დავრჩეთ ჩვენი დაუხედეელის წინკლიანის ენისა გამო, არამც თუ ორი, შეგვიძლიან ათი ჟურნალი გვქონდეს ქართველებსა, ოლონდ სურვილი იყოს ჩვენი... ვისი გამოჯავრებული ვამბობთ: ხელს არ მოუწერთ ჩვენს ჟურნალებსაო? ოჰ, გული თრთის ამ სიტყვებზე. ამით ჩვენს თავს დავაკლებთ, სხვას ვის. ეს იქნება ჩვენი თავის ცხადი მტრობა... აბა ბრძანეთ, ჩვენმა ჟურნალებმა ვის რა დაუშავა, ვის რა აწყენინა, რა არის აქ ცუდი? ცუდი არის ჩვენი ბოროტება“...

როგორც ვხედავთ, 1863 წლის შემოდგომაზე „წარჩინებულ საზოგადოებას“ ქართული ჟურნალების ნამდვილი რბევა მოუწყვია არისტოკრატები არა მარტო ხელისმოწერაზე ამბობდნენ უარს, არამედ ავრცელებდნენ ცილისმწამებლურ ჭორებს, ხელისუფლებასთან აბეზღებდნენ ჟურნალის თანამშრომლებს.

საინტერესო ცნობას გვაწვდის ამის თაობაზე ნიკ. ყიფიანის ერთ ხელნაწერიც: „ამბობენ, რომ მომავალი წლიდან ქართველი საზოგადოება აღარ გამოიწერს „საქართველოს მოამბეს“, — აღნიშნავს ის, — რადგან მასში მხოლოდ მეყურტნე მუშებსა და ლარიზ-დატაკებზე სწერენ და იმასაც მხოლოდ გლეხური ენით. ამბობენ, რომ მომავალი 1864 წლიდან ქართველი საზოგადოება დააარსებს ახალ ჟურნალს, რომელიც დაიბეჭდება „ამირან-დარეჯანიანი“, „ყარამანიანი“... ყოველივე ეს დაწერილი იქნება პლატონ იოსელიანისა და ანტონ კათალიკოსის ლაშქარბუნდოვანი ენით“¹.

¹ „მნათობი“, 1960, № 10; პრ. რატიანი, დასახელებული წიგნი.

საყურადღებოა, რომ „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“ ერთ-ნაირად არ შეხვედრია კარს მომდგარ საფრთხეს. ამ შემთხვევაში მათ სხვადასხვა გზა აირჩიეს და აქ, ჩვენი ფიქრით, თვალნათლივ გამოვლინდა ის განსხვავება, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობასა და ივ. კერესელიძის ლიბერალურ პოზიციას შორის არსებობდა. ილია ჭავჭავაძემ არ დაუთმო არც ხელისუფლებას, არც ცხოვრების ჩამორჩენილობას, უურნალის განწირვა ამჯობინა. ივ. კერესელიძემ ერთსაც დაუთმო და მეორესაც.

გაუფერულდა „საქართველოს მოამბეც“, უურნალში თითქმის მთლიანად შეწყდა ორიგინალური ნაწერების ბეჭდვა. უდავოა, რომ ილიასაც შეეძლო უურნალი მდარე ღირსების ორიგინალური თხზულებებით შეეესო, მაგრამ იგი თავიდანვე პრინციპულად წინააღმდეგი იყო ამისა. მხატვრულად სუსტი და უიდეო თხზულებების ბეჭდვას ილიამ უურნალის დახურვა ამჯობინა.

ასეთი თხზულებების დასტამბევა ილია ჭავჭავაძეს რეალიზმის პოზიციების დათმობად მიაჩნდა. მთელი მისი სარედაქციო მუშაობა სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რომ მწერლობა ხალხისა და საშუალოს სამსახურში ჩაეყენებინა.

ამიტომ, მართალია, უურნალს ნომრიდან ნომრამდე ემჩნეოდა გაღარიბება და პირველი ნომერი უკანასკნელ ნომერზე ყოველმხრივ მაღლა დგას, მაგრამ რედაქციას ერთი წუთითაც არ უღალატნია არჩეული მიმართულებისათვის, არ გადაუხვევია თავისი გზიდან.

ილია სასტიკი წინააღმდეგი იყო, რომ ოდნავდაც კი დაეთმო საზოგადოების ჩამორჩენილობისა და განუვითარებლობისათვის, სუსტი მწერლებისათვის, დაბალი გემოვნებისათვის. „წარსულმა დრომ მრავალჯერ დაგვიმტყიცა, — წერს ის, — რომ რასაც ჩვენ თვითონ ვსთხოვდით ჩვენს უურნალს, რასაც მისგან მოველოდით — ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა... უურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკობებაა, რომელიც უნდა სძლიოს რედაქტორმა და რომლის ძლევაც შეიძლება. ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია. ხოლო, თუმცა გზა გახილული გვექონდა, მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვი, რომ სხვის მოსაწონად არც ერთს ჩვენის გულითადის აზრისთვის არ გვიღალატნია, სხვის მოსაფერებლად არც გრძნობა არ გაგვიყიდნია, რომელიმე ანგარებისათვის ყალბი ვერცხლად არ გაგვიყვანია, ჩვენ დაჩქურებულვართ და სეინდისისათვის კი არ გვიღალატნია, როგორც გონება ჩვენი ჰქრიდა, როგორც გული გვითხრობდა — ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვე-

ძლო და კვლავაც ასე მოვიქცევით, თუნდა რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლო მოეღოს“¹.

1863 წლის შემოდგომაზე, როდესაც ჟურნალი პოლიტიკურ-პუბლიცისტური მასალების დაკავების გამო, ვეღარ აკმაყოფილებდა ილია ჭავჭავაძის წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს და ამის შედეგად, არსებითად, ძოსპობის საფრთხის წინაშე იდგა, — რედაქტორმა კიდევ ერთს, უკანასკნელს გზას მიმართა — მთავრობას პროგრამის შეცვლა სთხოვა, რაც ჟურნალის მეათე ნომერში მკითხველთაც აუწყა.

„დიდი ხანია უნდა გამოცხადებულიყო კიდევ მომავალი წლისათვის ჩვენს ჟურნალზედ ხელისმოწერა, მაგრამ ჯერ ხანად კიდევაც ვაგვიანებთ. — წერდა ის სარედაქციო განცხადებაში. — იმიტომ რომ ჟურნალის პროგრამაში, მისი გამოსვლის დროს რიგი და თითონ ფორმატი გვინდა გამოვცვალოთ. ამის ნების დართვა ვითხოვეთ მთავრობისაგან და მანამ ნება არ მოგვეცემა ხელისმოწერის გამოცხადებას ვერ გავებედავთ“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

ყველა ამ საბუთის მიხედვით, აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძე პოლიტიკური ჟურნალის ნებართვას მოითხოვდა, უკიდურეს შემთხვევაში, „სხედასხევა ამბავის“ განყოფილების აღდგენას და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე ორიგინალური სტატიების გამოქვეყნებას. სხვა მომენტებს რომ ანგარიში არ გავუწიოთ, ჟურნალს არ ჰყოფნიდა მხატვრული ნაწერები, არ ჰყავდა მწერალთა კადრი, არ შეეძლო მხატვრული მასალით მისი უზრუნველყოფა. სამაგიეროდ, „საქართველოს მოამბეს“ ჰყავდა კარგი პუბლიცისტები და რედაქტორიც წამყვან როლს პუბლიცისტიკას აკუთვნებდა.

„სოვრემენიკისა“ და „რუსკოე სლოვოს“ მოღვაწეობით დაშინებული მთავრობა, ცხადია, ილია ჭავჭავაძეს პოლიტიკური ჟურნალის გამოცემის ნებას არ მისცემდა. „საქართველოს მოამბის“ მომდევნო (11) ნომერში დაბეჭდილი სარედაქციო განცხადება (ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით) გვიჩვენებს, რომ ხელისუფლება გულცივად შოეკიდა რედაქტორის თხოვნას. ამასთან, ეს განცხადება ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ილიამ პოლიტიკური ჟურნალის ნებართვა ითხოვა. ილია წერს: „ნაკლოვანება ჩვენს ჟურნალს. რასაკვირველია, ბევრი ჰქონდა. სირცხვილი იქნებოდა ჩვენთვის, რომ ეგ ნაკლოვანება დავფაროთ. ეს მკითხველის და თავის-თავის მოტყუება იქნებოდა და ამაზე შორს ვართ. ყველაზედ დიდი ნაკლოვანება ჩვენის ჟურნალისა ის იყო, რომ... დროების ინტერესი არაა ჰქონდა. ეგ ინტერესია ყოველი ჟურნალის სული, ეგ აცხოველებს, ეგ აბრუნებინებს მას სულსა“.

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863, № 11.

ამ განცხადებიდან ჩანს, რომ ილია ყოველგვარ ღონისძიებას ხმა-რობდა 1864 წელს ეურნალის მუშაობის გასაუმჯობესებლად. როგორც ვნახეთ, იგი ნათლად ხედავდა თავისი გამოცემის ნაკლოვანებებს და მკითხველს ჰპირდებოდა: „...სხვა ნაკლულოვანება, რომელიც ჩვენის საზოგადოების განათლებულმა ნაწილმა შენიშნა, ზოგი იმისთანაა, რომელიც ყოველის ახალ დაწყობილის საქმისათვის აუცილებელია, ზოგი კიდევ იმისთანაა, რომელიც ჩვენს საკუთარს გამოუტყდელობას მიეწერება. დროთა და ჩვენის გამოცდილების შემწეობით შეიძლება, რომ ეგ ნაკლულოვანება აღარ იყოს.

კვლავ იქნება ჩვენს ეურნალს დარი დაუდგეს და კარგი ნაყოფი მოიტანოს; ამისი იმედი მით უფრო არის, რომ ბევრმა აღგვიტყვა გულმოდგინე შემწეობა. ღმერთმა ქნას, რომ იმათ სურვილი, ჩვენს სურვილთან ერთად, უნაყოფო არ დარჩეს.

ეურნალი ისევ თვე და თვე გამოვა იმავე პროგრამით, სიერცით შეიდ თაბახზედ არა ნაკლები“¹.

1864 წლის იანვარში ეურნალის ბედი თვით ილია ჭავჭავაძისათვისაც არ იყო ნათელი. იგი განაგრძობდა მასალების შეგროვებას, თანამშრომლებთან მიმოწერას, მკითხველთა მოზიდვას, მაგრამ აშკარა ხდებოდა, რომ პერსპექტივა უიმედო იყო.

„საქართველოს მოამბის“ ბედი საბოლოოდ 1864 წლის თებერვალში გამოირკვა. „ცისკრის“ მარტის ნომერში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „გაზეთს „კავკაზიდან“ მივიღევით ქართულს ენაზედ დაბეჭდილი „მოამბის“ რედაქციისაგან განცხადება შესახებ „მოამბის“ აღარ გამოცემისა“.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის მიზეზებზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ საქმეში გადაწყვეტი როლი ითამაშა ილიას დაოჯახებამ. პოეტის ცნობილი ბიოგრაფი გრ. ყიფშიძე, მაგალითად, წერს: „მკითხველი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მოეკიდა ახალს ეურნალს („საქართველოს მოამბეს“), მაგრამ, სამწუხაროდ, მისმა არსებობამ დიდხანს ვერ გასტანა: ილიას შეუყვარდა გურამიანთ ქალი ოლღა და თავის საკუთარ საქმეებითა და სამსახურში შესვლის ფიქრით გართულმა, შესწყვიტა მისი ბეჭდვა“².

ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. ცნობილია, რომ ოლღა მხარში ამოუდგა ახალგაზრდა მეუღლეს და ისინი ერთად უძღვებოდნენ ეურნალს. როგორც აღვნიშნეთ, აგვისტომდე რედაქცია დიდი მემამულის ივანე მუხრანსკის სახლში იმყოფებოდა, ხოლო, როცა რეაქციულმა ძალებმა „საქართველოს მოამბეს“ ბოიკოტი გამოუცხადეს, იგი ოლღა გურამიშვილის მამიდას — სილონია ზაქარიას ასულ სავარსამიძის სახ-

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863, ნომბერი.

² ი. ჭავჭავაძე, თბ., 1914, ტ. I, გვ. 18.

ლში გადავიდა. რაც შეეხება „სახელმწიფო სამსახურში შესვლას“, ეს „საქართველოს მოამბის“ დახურვის მიზეზი კი არა, სამწუხარო შედეგი იყო. ცხადია, ყურნალის გამოცემის ოდნავი შესაძლებლობაც რომ ჰქონოდა, ილია სახელმწიფო სამსახურში არ შევიდოდა.

მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, „საქართველოს მოამბე“ საცენზურო კომიტეტის გადაწყვეტილებით დაიხურა. ეს შეხედულებაც ფაქტობრივ მდგომარეობას ეწინააღმდეგება, რადგან „საქართველოს მოამბის“ გამოცემა ცენზურას არ აუკრძალავს, ფაქტებიდან გადახვევა კი სწორ დასკვნამდე ვერ მიგვიყვანს.

„საქართველოს მოამბის“ უკანასკნელი საარედაქციო განცხადებიდან ჩანს; რომ: „ზოგიერთის მიზეზისა გამო „საქართველოს მოამბე“ დრომდე ვერ გამოვა“. როგორც ვხედავთ, ყურნალის გამოცემას, დროებით თვითონ რედაქცია აჩერებდა. აქედან ცხადია, რომ საცენზურო პირობების გამწვავება „საქართველოს მოამბის“ დახურვის არა ერთადერთი, არაშედეგოვანი მიზეზი იყო.

ილიას მოსწრებული გამოთქმა რომ გავიმეოროთ, ყურნალს „კედელი დახვდა წინ“. შექმნილ წინაღობებს ი. ჭავჭავაძე დაუძლეველ დაბრკოლებად თვლის, „რომელთანა ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია“. „დრონი მეფობენ“ — ნათქვამია. ჩვენც, ნებით თუ უნებლიეთ, გულზე ხელი უნდა დაგვეკრიფა!¹

უპკველია, „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს მხედველობაში აქვს ის მიზეზები, რომელთაც ქვეყნის საერთო სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იწვევდა.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის ერთ-ერთი მიზეზი ლიტერატურული მასალის ნაკლებობა იყო. რედაქციამ აღარ იცოდა, რით შეესო ყურნალის ფურცლები. ერთხელ კიდევ მოვიგონოთ, რომ ილიას არ შეეძლო თავის ყურნალში ისე ხელგაშლილად ებეჭდა მდარე ნაწერები, როგორც ამას ივ. კერესელიძე სჩადიოდა. „ცისკრის“ რედაქტორი, უმთავრესად, იმით იყო დინტერესებული, რომ, რადაც უნდა დაჯდომოდა, უზრუნველყო ყურნალის მორიგი ნომრის გამოშვება. ილია კი მასალას იდეური და მხატვრული თვალსაზრისით შერჩევას გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამგვარი შერჩევის შესაძლებლობა იმდროინდელ ქართულ ყურნალს არ ჰქონდა.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის მეორე მიზეზს ხელისმომწერთა შემცირება წარმოადგენდა. როგორც ვთქვით, მკითხველებმა რამდენჯერმე გამოუცხადეს ყურნალს ბოიკოტი, 1864 წლისათვის კი საერთოდ უარი თქვეს მის გამოწერაზე. არისტოკრატ მკითხველებს სძულდათ ახალი ყურნალი, რომელიც მათი კლასობრივი ინტერესე-

¹ „საქართველოს მოამბე“, 1863, №11.

ბის წინააღმდეგ ილაშქრებდა, ხოლო დაბალ ფენებს, რომელთა მისწრაფებებს „საქართველოს მოამბე“ გამოხატავდა, ხელმოწერის თანხის გადახდის საშუალება არ ჰქონდათ, ბევრმა კითხვაც არ იცოდა, მაშინ კი ხელისმომწერთა გარეშე არსებობა ქართულ ჟურნალს არ შეეძლო; „საქართველოს მოამბეს“ მატერიალური შემწე არ ჰყავდა, თვითონ ილიასაც ეკონომიურად ძლიერ უჭირდა. ალ. ხახანაშვილი და ი. მეუნარგიაც ჟურნალის დახურვის მთავარ მიზეზად უსახსრობას თვლიან¹.

როგორც ვნახეთ, ი. ქავჭავაძე, ი. პოლტორაცკი, ნ. ლოლობერიძე, დავ. ყიფიანი, ნ. ნიკოლაძე და სხვანი სწორედ ამ ორ ფაქტორს თვლიდნენ ჟურნალის გამოცემის ძირითად პირობად.

„დროების“ 1869 წლის № 19-ში გ. წერეთელმა სწორად განსაზღვრა „საქართველოს მოამბის“ დახურვის მიზეზები. „...ახლანდელ ჩვენ ღარიბ ლიტერატურაში, — წერდა იგი, — არა თუ ჟურნალის გამოცემა, ორი დაბეჭდილი თაბახის გამოსვლაც შესანიშნავია... ისეთი ჟურნალის დაცემა, როგორც იყო „საქართველოს მოამბე“, რასაკვირველია, ბევრს ჩამოაყრევინებდა ფრთებს და აფიქრებინებდა, რომ ჩვენში უკანალები ჯერჯერობით ვერ იხეიარებენო (ხაზი ჩემია. — ა. კ.). ამ საქმეზე კარგათ უნდა მოიფიქროს „მნათობის“ რედაქციამ: — იმან, მგონია, უნდა იცოდეს — რომელი მიზეზებისა გამო მოკვდა ასე მალე „საქართველოს მოამბე“. ამიტომ, რომ იმას მოაკლდა თანამშრომლები. ჟურნალი უკანასკნელ დროს გათხელდა, სტატიები შემსუბუქდნენ, ამის გამო მეორე წელიწადს რომ ეცოცხლა, რასაკვირველია, ხელისმომწერნი მოაკლდებოდნენ; მესამეს შეიძლება, ოციც აღარ ეყოლებოდა და შემდეგ დაიწყებდა ჰაბანწყვეტით ფორთხვას. ამ ძალღურცხოვრებას „საქართველოს მოამბემ“ ისევ ის ამჯობინა, რომ ერთჯაშად მოესპო თავის თავის არსებობა. (ხაზი ჩემია. — ა. კ.). რედაქციამ უნდა მიიღოს ყურადღებაში თუ რა იშვიათად მოიპოვება ჩვენში ისეთი ჟურნალის ხეირიანი თანამშრომელი და საზოგადო მწერალი, რომელსაც შეეძლოს დაუჯილდოებლად იშრომოს ჟურნალისათვის. (ხაზი ჩემია. — ა. კ.). ეკონომიური გარემოებისა გამო, ყველგან, და აგრეთვე ჩვენშიაც, ნასწავლი და მცოდნე ხალხი თითქმის სულ ღარიბები არიან; ღარიბს, რასაკვირველია, ყველაზე უფრო

¹ ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1913; ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, გვ. 28.

ლუკმა პური სჭირდება, ამის გამო ის ეძებს ისეთს შრომას, რომელიც მას აძლევს ლუკმა-პურს; ის შედის სამსახურში, კეთდება ჩინოვნიკად და ხშირად სამსახურით ისეთნაირად არის შთანთქმული, რომ ვერ ახერხებს საზოგადო-სალიტერატურო საქმეებში მონაწილეობის მიღებას“¹.

გ. წერეთლის „მგზავრის წერილებში“ ჩიკოლიკი ამბობს: „ჩიტორელიძემ (ი. ჰევეკავაძემ) იმითმ დახურა თავისი ყურნალი, რომ სტამბა არ ჰქონდა... და სხვის სტამბაში ძალიან ძვირად უჯდებოდა ბეჭდვა“...

ილია ჰევეკავაძეს არ დაეიწყინა „საქართველოს მოამბის“ გაკვეთილი. პეტრე უმიკაშვილს, რომელიც თბილისში ჩამოსვლასა და ყურნალის გამოცემისათვის ხელის მოკიდებას სთხოვდა, 1872 წელს იგი დუშეთიდან სწერდა: „...ძნელია მაგ „კრებულს“ ნოყიერი საზრდო მივცეთ. რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არა გვყავს... თუ სამსახურიდამ გამოვალ მარტო იმისათვის, რომ ყურნალი გამოვსცე. გფიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია... თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან?) მწერალზედ იმედი მექნება, ანუ უკეთ, მომეცემა, მაშინვე დაეკრავ ფეხს, გადავარდები ბახტრიონ გალავანზედა“.

ამ ორ დაბრკოლებას „საქართველოს მოამბე“ მხოლოდ მაშინ დასძლევდა, თუ მოხერხდებოდა ილიას სანუკვარი ოცნების განხორციელება — ყურნალის გარშემო იდეურ თანამებრძოლთა წრის შექმნა. ახალგაზრდა რედაქტორმა დიდი ენერგია მოახმარა ამ საქმეს. არაფერი დაუშურავს თანამგრძნობთა შესაკავშირებლად, დასაწყისში ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ წრის შენარჩუნება-განმტკიცება მაინც ვერ მოხერხდა. ჩვენში არც საამისო ნიადაგი აღმოჩნდა.

ილიას პირადმა ავტორიტეტმა, ნებისყოფამ, ნიჭმა, გაელენამ შესძლო ახალგაზრდობის ერთი ნაწილის გაერთიანება, აღფრთოვანება, საზოგადო საქმეში ჩაბმა, მაგრამ ბევრი მათგანი მალე ჩამოსცილდა საერთო საქმეს და წრეც დაიშალა. ამ მიზეზის ამოძჭურავ დახასიათებას იძლევა პეტ. უმიკაშვილი „კრებულის“² 1872 წლის მე-8—9 ნომერში. „...ვინც ეს გარემოება იცის (ლაპარაკია სტანკევიჩის წრეზე. —

კ.), რასაკვირველია, რომ უპირველეს საქმეთა სთვლის ქართულის ლიტერატურისათვის შეერთებულ შრომასა, და ამის გამო „საქართველოს მოამბის“ რედაქტორის აზრის ასრულება დიდი ღვაწლი იქნებოდა ჩვენთვის. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იმისი აზრი დღევანდლამდე აზრათ დარჩა და ასრულება არ მიეცა.

თვით „საქართველოს მოამბე“ ამ აზრის აუსრულებლობის გამო

¹ „დროება“, 1869, № 19.

მოისპო. წრე ვერ შესდგა. ის მწერლები, რომელნიც აღტაცებულის ვრძნობით გარს ეხვივნენ პირველს დროში ჟურნალსა, ნელ-ნელა გაიფანტნენ, გავიდნენ ზოგი ადრე, ზოგი გვიან — იმისდაგეარად, აღტაცების ცეცხლი ვის როლის უქრებოდა... როგორც შინაგანი ღირსებისა, აგრეთვე მწერლების წრის შედგენის აზრი ილია ჭავჭავაძის კრიტიკათაგან და იმის ჟურნალითაგან იწყება. შინაგანის ღირსებითა ლიტერატურა წინ მიდის, მაგრამ მეორე მხარე, ესე იგი, წრის შედგენა ჟურნალთან დღევანდლამდე აუსრულებელი რჩება“¹

საინტერესო ცნობებს ვხვდებით ნ. ლოლობერიძის წერილშიც კირილე ლორთქიფანიძისადმი². მისი სიტყვით, ახალგაზრდობა მოუშაღებელი შეხვდა ახალ ჟურნალს და მთელი საქმის სულისჩაძღვლე ილია ჭავჭავაძე იყო, რომელიც, ნ. ლოლობერიძის სიტყვით, „მართლა კარგა შრომობდა“, აიმედებდა და ამხნევებდა ყველას, უნერგავდა გამარჯვების რწმენას. მერყევი თანამგრძნობებისათვის, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ ჟურნალის გამოცემას, ილიას უთქვამს: „სულ ასე ვამბობთ და საქმეს ხელს არ ვკიდებთო“, საერთოდ ამ წერილში ნ. ლოლობერიძე ცდილობს გაამართლოს თავისი უმოქმედობა. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის 1863 წლის 6 მაისის წერილიც³.

ამრიგად, „საქართველოს მოამბე“ საზოგადოებრივი ცხოვრების მოუშვიფებლობის შედეგად დაიხურა. აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ თვით ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჟურნალი მარტო ერთის კაცის ნებით იბადება. არა, თვითონ ცხოვრებავე გვაჩვენებს, ხოლმე იმის საჭიროებას. კაცი კი მხოლოდ მიხვდება ამ საჭიროებას და ჟურნალის გამოცემით პასუხს აძლევს. რაც ცხოვრება უფრო ძლიერია, უფრო ჩანიანია და ღონიერი, იმდენად იმისი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი დიდნი არიან“.

„ცისკრის“ სარედაქციო განცხადებაში ერთგვარი კმაყოფილებაც იყო გამოთქმული „საქართველოს მოამბის“ დახურვის გამო, მაგრამ „ცისკარი“, რომელიც 1863 წლის ბოლოდან ძველ გზას დაუბრუნდა, იღუურად უკვე დამარცხებული იყო. ცხოვრება სულ უფრო წინ მიდიოდა, სულ უფრო „ჩანიანი და ღონიერი“ ხდებოდა, იზრდებოდა მისი „მოთხოვნილებანი და საჭიროებანი“; ამის შესაბამისად, ნოყიერი ნიადაგი შზადდებოდა იმ ნერვის გასახარებლად, რომელიც ახალმა ჟურნალმა დარგო. თესლი, რომელიც „საქართველოს მოამბემ“ ხალხში გადაავლო, ცხოვრების წინსვლასთან ერთად ფესვს იკიდებდა და ძლიერდებოდა.

¹ „კრებული“, 1872, № 8—9.

² ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, № 2173/825.

³ იქვე, № 2173/790.



„საქართველოს მოამბემ“ სამარადეამო კვალი გაავლო ქართველ ხალხის ისტორიაში: წყვილად ღამეში იგი შუქურასავით აენთო იმწვერვალზე, რომლისკენაც ერის რჩეულნი მიისწრაფოდნენ.

ჟურნალმა ფართო პროპაგანდა გაუწია რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის იდეებს, აამოძრავა ხალხი, ბასრი მახვილი ჩასცხნიძველის მქადაგებლებს, თამამად აღმართა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, გააღვივა პატრიოტული გრძნობა, დაანახვითანამემამულეთ, რომ მათი იდეალები განკერძოებული კი არ იყო არამედ მსოფლიოს ყველა ხალხის, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუს ხალხის, სანუკვარ ოცნებათა გამოხატულებასაც წარმოადგენდა; გამოაცოცხლა ქართული მწერლობა, დაამკვიდრა კრიტიკული რეალიზმი და აამაღლა ლიტერატურული გემოვნება. მან გარკვეულად დააჩქარა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება და სწორი მიმართულება მისცა ქართულ ჟურნალისტიკას. „საქართველოს მოამბის“ ღვაწლიცაა, რომ ჩვენში საშუალოდ სახელი გაუტყდა რეაქციულ პრესას. მას შემდეგ ქართულ ენაზე ისტამბებოდა ისეთი შესანიშნავი გამოცემები, როგორცაა: „დროება“, „მნათობი“, „კრებული“, „ივერია“, „იმედი“, „კვალი“ და სხვ. ამ ჟურნალ-გაზეთებს მხედველობაში ჰქონდათ „საქართველოს მოამბის“ მაგალითი. იგი ქართული რევოლუციური პრესის სახელოვანი წინამორბედი გახდა.

„საქართველოს მოამბემ“ გააფართოვა ქართული წიგნის, პრესის მკითხველთა წრე; ხელი შეუწყო მებრძოლ ჟურნალისტთა მთელი თაობის აღზრდას, რითაც ახალი გზა გაკაფა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ქართულ ეროვნულ ინტერესებს შეუფარდა რა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები, რეალური ასპარეზი შეუქმნა სამოქმედოდ გამოსულ ახალთაობებს. რამდენად ცხოველმყოფელი იყო ეს ჟურნალი, როგორი რეზონანსი ჰქონდა მას ხალხში, კერძოდ, მოსწავლეთა და სტუდენტთა შორის, გვიჩვენებს, სხვათა შორის, გიორგი თუმანიშვილის მოგონება: „ეს იყო დიდი იმედების დრო. მეც კი, რვა წლის ბიჭი, დავინტერესდი ჟურნალით. ჭავჭავაძის ჟურნალიდან გავიგე ბელინსკის და დობროლიუბოვის, პრუდონისა და ბასტიას არსებობა... მე ამ შემთხვევაში გამონაკლისი როლი ვიყავი. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს გატაცებით კითხულობდა მთელი მაშინდელი საზოგადოება. ახალგაზრდობა აღმერთებდა მას“¹.

„საქართველოს მოამბის“ უდიდესი საზოგადოებრივი ზეგავლენის

¹ Г. Туманов, Характеристики и воспоминания, т. III, стр. 178.

დადასტურებაა ისიც, რომ მისი პროგრესული ტრადიციები შეძლევ ჩაუქრობლად განაგრძობდა გიზგიზს, გულს უნათებდა ახალგაზრდობას, გამარჯვების რწმენით ავსებდა მას.

„ცისკრის“ მოწინავე თანამშრომლები ილიას ჟურნალში დაბეჭდილი თხზულებებით ცდილობდნენ საზოგადოების გამხსნელებას. პროგრესის სულისკვეთების შენარჩუნებასა და გაღვივებას.

ამ საკითხში კარგად გარკვეულს, ცნობილ ბიბლიოფილს ზაქ. კინაძეს საინტერესო ცნობები შემოუნახავს. „გლებთა წოდებამაც დაინახა ბრწყინვალე მწერლის ნაწარმოებები, — გადმოგვეცუქს იგი, — ამ ნაწარმოებებში მან დაინახა და ამოიკითხა თავისი ცხოვრების ცნობები და ამიტომ მან მოულოდნელის სიხარულის თვლით შეხედა ამ მოვლენას („საქართველოს მოამბეს“)... იმ დროის ქართველთათვის ასეთი ჟურნალის მოვლენა ცის მანანათ უნდა ჩათვლილიყო: მაშინ კი არა და „საქართველოს მოამბე“ დღესაც დიდის სიაშოვნებით იკითხება ჩვენში. დღეს ამ ჟურნალის ნომრებს სანთლით სძებნიან (ხაზი ჩემია. — ა. კ.). ასე იცის მამულიშვილის პრიალა კალამმა. მაღალმა გრძნობამ და ნიჭმა“¹.

„ცისკრის“ თანამშრომელი ანტ. ხუციშვილი საჭიროდაც არ თვლიდა განემარტა, რა დანიშნულება აქვს ჟურნალს, „რადგან იმისი სარგებლობა ძალიან კარგად წარმოგვიდგინა ილია ჭავჭავაძემ „საქ. მოამბეში“. ვისაც სურს, ვრცლად იქ შეუძლიან წაკითხვაო“...

ილია ჭავჭავაძეს სჯეროდა, რომ „საქართველოს მოამბის“ ტრადიციის გაგრძელებას შესძლებდა მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა, რომელშიც წაშყვან ადგილს დაიკავებდა პოლიტიკური ინფორმაცია და პუბლიცისტიკა. ამ მიზნით წამოაყენა მან გაზეთი „დროების“ დაარსების აზრი² და მოწინავე ახალგაზრდობაც შტკიცედ ჰიდიოდა მის მიერ გაკათული გზით. 1866 წელს დაარსებული გაზეთი „დროება“ თავის თავს „საქართველოს მოამბის“ იდეურ მემკვიდრედ ათვლიდა, ხოლო 1869 წელს დაფუძნებულ ჟურნალ „მნათობის“ საპროგრამო განცხადებაში ვკითხულობთ: „...დაუფიქსარია ჩვენთვის ძს უელწადი, როდესაც „საქართველოს მოამბე“ გამოვიდა. იმან მოუტანა საზოგადოებას დაუფასებელი სარგებლობა. არ შეიძლება არ შივაჯოთ ღირებული ჟურნალის მშვენიერს თვისებებს, იმან გაშოიჩინა იმოდენა ნიჭი, იმოდენა გონება, იმოდენა სიმამაცე აზრისა და გონივრული შეხედულებისა, რომ ყოველს გონიერს კაცში მოიპოვებს სრულს ანაგრძნობას და უფრო დააღონებს მას მისი ეს მოულოდნელი და ქარი მოსპობა.

¹ ზ. კინაძე, „ი. ჭავჭავაძე...“, 1897, გვ. 27—29.

² „დროება“, 1876, № 24 (სტეფანე მელიქიშვილის სიტყვა).

ამ ეურნალის მაღლობით ჩვენ წავიკითხეთ ის, რასაც უიძისოდ უთუოდ ვერ წავიკითხავდით და რომლის მსგავსსაც აქამდისაც ვერასა ვპოულობთ ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენ მაშინ პირველად ვსცანით რა ძალა და მნიშვნელობა აქვს ქართველობისათვის რიგიანს ეურნალს, პირველად ვიწყეთ სჯა ჩვენს ცხოვრებაზე და მდგომარეობაზე. ბევრი უკეთესი, რაც კი რამ დაწერილა ქართულად, იპოვება „საქართველოს მოამბეში“ და, სხვათა შორის, ეკუთვნის უ, ილ. ჭავჭავაძის კალამს, რომელმაც თავისი მოთხრობებით, ლექსებით და სხვადასხვა სტატიებით დაგვიმტკიცა თავისი ნამდვილი ტალანტი¹.

„საქართველოს მოამბე“ თავის უშუალო წინამორბედად მიაჩნდა 1871 წელს დაარსებულ ეურნალ „კრებულსაც“.

ქართული პრესის ამგვარებს კარგად ესმოდათ, რომ „საქართველოს მოამბით“ დამკვიდრდა ჩვენში ახალი ტიპის ლიტერატურულ-პოლიტიკური ეურნალი².

ვ. ი. ლენინი 1914 წელს წერდა: „...რუსეთის მუშურ ბეჭდვის სიტყვას თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს—თავდაპირველად მოსამზადებელი, ე. ი. ისტორია არა მუშური, არა პროლეტარული, არამედ „საერთო დემოკრატიული“, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გამათავისუფლებელი მოძრაობისა, ხოლო შემდეგ—თავისი საკუთარი, ოცწლიანი ისტორია პროლეტარული მოძრაობისა, პროლეტარული დემოკრატიისა ანუ სოციალ-დემოკრატიისა“³.

ვ. ი. ლენინის ეს შიტიება საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ „საქართველოს მოამბის“ ადგილი ჩვენი ეურნალისტიკის განვითარებაში. ამ პირველი ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული გამოცემის შესწავლა ცხადყოფს, რომ მისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი სცილდებოდა ცენზურით შებოჭილი პრესის ჩარჩოებს, გამოხატავდა ხალხის ინტერესებს და გამარეველოციონერებელ გავლენას ახდენდა მასზე.

„საქართველოს მოამბე“ ქართული ეურნალისტიკის საბრძოლო მგზნებარებითა და დიადი განახლებისაკენ სწრაფვით ანთებული პირველი ფურცელია.

¹ „მნათობი“, 1869, № 1.

² Гр. Книшндзе, Периодическая печать на Кавказе, 1901, стр 30.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 301.

ჟურნალი «კრეზული»

დაარსება და სარედაქციო-ბეჰნიკური მუშაობის საკითხები

დაარსება

60-იანი წლების ბოლოს ქართულ ენაზე ხუთი პერიოდული გამოცემა გამოდიოდა, მაგრამ მოწინავე საზოგადოება ჯერ მაინც განიცდიდა „საქართველოს მოამბის“ დანაკლისს. მკითხველთა ეს გულსტკივილი გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკას უშუალოდ მის მომდევნო გამოცემებში არ მიუღწევია თერგდალეულთა პირველი ყურნალის დონისათვის. ამას მაშინდელ გამოცემათა მესვეურებიც გრძობდნენ. პროგრესის გზიდან ჩამომდგარი „ცისკარიც“ კი კრძალვით იგონებდა ახალგაზრდობის მეტროპოლიტანს, ხოლო „დროება“ და „მნათობი“ ჯერ განუხორციელებელ იდეალად სახავდნენ მას. კარგად შეუმჩნევია ეს ფაქტი ვახტანგ კოტეტიშვილს: „...თუ რუსეთში იტყოდნენ, ჩვენ ყველანი გოგოლის „შინელიდან“ გამოვედითო, ასევე უნდა ითქვას ჩვენშიაც, რომ „საქართველოს მოამბის“ კალთიდან გამოვიდნენ ყველა მიმართულებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მეცხრამეტე საუკუნეში“¹.

მართალია „დროება“ და „მნათობი“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ „კრებულს“, მაგრამ პრინციპული მასშტაბის გათვალისწინება ცხადყოფს, რომ „საქართველოს მოამბის“ პირდაპირ მემკვიდრეს სწორედ ეს ყურნალი წარმოადგენს. მასში არა მარტო მთელი სისაყსით შენარჩუნებულია, არამედ განვითარებული და ახალი ეითარების შესაბამისად მალალ ხარისხშია აყვანილი თერგდალეულთა პირველი გამოცემის დემოკრატიული ტრადიციები.

როგორც ირკვევა, შეიდი წელი „კრებულმა“ მატერიალურ-ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო დაიგვიანა, თორემ ის დროის მიხედვითაც უშუალოდ უნდა მოქყოლოდა „საქართველოს მოამბეს“.

1864—1866 წლებში („საქართველოს მოამბის“ დახურვიდან „დროების“ დაარსებამდე), ახალი ბეჰდვითი ორგანოს გამოცემის თაობაზე სამოციანელთა შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოშობილა. ერთ ნა-

¹ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს., 1959.

წილს ჟურნალის განახლება მოუთხოვია, მეორეს — გაზეთის დაარსება. გაზეთის დაარსების აზრს იცავენენ ილია ჭავჭავაძე და „საქართველოს მოამბის“ ყოფილი თანამშრომლები. ჟურნალის განახლებას კი უმთავრესად ჩვენი პეტერბურგელი სტუდენტები მოითხოვდნენ; 1865 წელს მათ შორის ცხარე მიმოწერაც გაიმართა. გაზეთის მომხრეთა სახელით პეტერბურგში წერილებს გზავნიდა ნიკო ლოლობერიძე, ხოლო იქიდან სტუდენტთა თვალსაზრისს იტყობინებოდნენ კირილე ლორთქიფანიძე და დავით ლოლობერიძე; ამ პოლემიკური მიმოწერის ფრაგმენტებად უნდა მივიჩნიოთ, კერძოდ, ნიკო ლოლობერიძის ორი წერილი — კირილე ლორთქიფანიძისა და დავით ლოლობერიძისადმი.

სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ცნობათა შეჭერება უეჭველს ხდის, რომ ეს წერილები ნიკო ლოლობერიძეს ადგილობრივი ჭგუფის დავალებით გაუგზავნია. მათში აღბეჭდილია ილია ჭავჭავაძის მოსაზრებანი. იმავე საინციატივო ჭგუფის გადაწყვეტილებით, გაზეთთან ერთად დროდადრო ლიტერატურული დამატებაც („კრებული“) უნდა გამოსულიყო.

ნიკო ლოლობერიძე 1866 წლის 12 იანვარს დავით ლოლობერიძეს პეტერბურგში სწერდა, „დროებას“ ლიტერატურული დამატებაც ექნებაო. გამოვა წიგნად, რომელშიც დაიბეჭდება გრძელი სტატიები, „თარგმანი და ორიგინალები“, საცენზურო კომიტეტს უკვე მივმართეთ ამის თაობაზეო¹.

რამდენიმე დღის შემდეგ (16 იანვარს), ნ. ლოლობერიძეს კირ. ლორთქიფანიძისათვის გაუგზავნია ვრცელი წერილი, რომელიც არსებითად პეტერბურგში მოსწავლე ქართველი სტუდენტებისადმი მიმართული და მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს საკვლევი საკითხის ირგვლივ.

„...ადვილად მიხვდებოდით, ... რა მოსაზრების გამო ვითხოვეთ გაზეთის ნება და არა ჟურნალის. ჩვენის აზრით, გაზეთი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდ სტატიებს ვერ ერეოდნენ ჩვენი მოუშზადებელი მკითხველები. გაზეთის მოკლე სტატიები, რასაკვირველია, უსწავლელს კაცს, გაზეთის ახალ-ახალი ან ხშირათ ცხოვრების შესახები ამბები უფრო გაართობს, ვინემ გრძელი ტრაქტატი რომელიმე საგანზედ. გამოცემა გაზეთისა, უეჭველია, უფრო ადვილია, მინამ ჟურნალისა.

სხვა რომ არა ეთქვათ, გაზეთში ხანდახან ორიგინალური სტატია რომ არ იყოს, არაფერია, უამისოთაც შეიძლება გასართობი და საინტერესო იყოს მაშინ, როდესაც ჟურნალში თუ ერთი ან

¹ ვ. სიფრაშვილი, „უცნობი წერილი“, გაზ. „თბილისი“, 1959., 1/VII.

ორი სტატია არ იქნა ნამდვილი, რაღა ეურნალი იქნება. ამასთანავე, ეურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას ხომ არასდროს არ მოგვეცემდნენ. ნუღაიფეებთ, იმას, რომ ჩვენი გაზეთთან დამატება გამოვაწიგნებათ, რომელმაც უნდა აასრულოს ეურნალის ვალი, რადგანაც ამ დამატებაში დაიბეჭდება გრძელი სტატიები. რედაქციის შეძლებაზედ არის დამოკიდებული, რამდენსაც მოახერხებს, იმდენი წიგნი შეუძლია გამოუშვას წელიწადში ამ დამატებისა“!... (ხზგასმა ყველგან ჩვენია. — ა. კ.)

ამრიგად, წერილებში მეცნიერული სიზუსტით არის შეფასებული ქართული ეურნალისტიკის განვითარების პირობები და, აქედან გამომდინარე, სწორად არის განსაზღვრული მისი წინსვლის გზები, რასაც, უეჭველია, საფუძვლად უდევს „საქართველოს მოამბის“ გამოცდილება და პირადად ილია ჭავჭავაძის დაკვირვება.

უდავოდ, ყოველივე ეს ჰქონდა მხედველობაში სტეფანე მელიქი-შვილს, „დროების“ ათი წლის თავზე რომ განაცხადა: „პირველი აზრი ამ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამოცემელი მე გახლავართ და რომლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ეკუთვნის თ. ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველად გამოთქვა ეს აზრი, „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ“².

„დროების“ პირველმა რედაქტორმა, გ. წერეთელმა, პირველი ნომრის სარედაქციო წერილში აუწყა საზოგადოებას, რომ ეს გაზეთი „საქართველოს მოამბის“ მიმართულებას განაგრძობდა: „ქართულს ენაზედ ჯერ ჩვენ არა გვაქვს ეურნალი, რომელსაც კი თავისი მნიშვნელობა ესმოდეს, ამ სამის წლის წინ დაწესდა „მოამბე“, კარგის მიმართულებით, მაგრამ, საუბედუროდ, ერთი წლის მეტი არ უცხოვრია“³.

„დროება“ „პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი“ იყო და, ცხადია, დროდარო მხატვრულ ნაწერებსაც ბეკდავდა, მაგრამ, მცირე ფორმატის გამო, ვრცელი თხზულებების გამოქვეყნება მას არ შეეძლო. რაკი სათანადო ორგანო არ არსებობდა, შემოქმედებითი იმპულსიც მოდუნდა და, უთუოდ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ იმ წლებში (1864—1870) ჩვენს ლიტერატურას მნიშვნელოვანი არაფერი შემატებია (ი. ჭავჭავაძის „სენენები გლეხთა განთავისუფლების დრო-

¹ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი. კარ. ლორთქიფანიძის არქივი; გ. წერეთელი, თხზ. 1, 1931; ს. ხუნდაძის შენიშვნებით. გვ. 408; კ. მეძველია, კარ. ლორთქიფანიძე (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 102.

² „დროება“, 1876, № 24.

³ „დროება“, 1866, № 1.

დან“ ცალკე წიგნად გამოუციათ და, ეტყობა, ისე მცირე ტირაჟით, რომ ჩვენამდე არც ერთ ეგზემპლარს არ მოუღწევია).

მატერიალური სიციწროვისა თუ მხატვრული მასალის სიმცირის გამო, „ღროებამ“ დიდხანს ვერ შეასრულა საპროგრამო დაპირება, ვერ გამოსცა ლიტერატურული დამატება.

ლიტერატორთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც არ აკმაყოფილებდა „ღროების“ მიმართულება და საზოგადოებრივ-პირადი მოღვაწეობითაც განკერძოებით იღვა (ნ. ავალიშვილი, ანტ. ფურცელაძე, დ. ქაქოძე და სხვ.), 1869 წელს დააარსა საკუთარი ორგანო—ლიტერატურული ჟურნალი „მნათობი“: „ღროების“ ჯგუფი ამ ჟურნალის გამოცემას უკმაყოფილოდ შეხვდა და მალე მათ შორის პოლემიკაც გაჩაღდა.

პეტერბურგელ სტუდენტებს, რომლებზედაც „მნათობის“ პირველ ნომერს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია, თბილისელმა მეგობრებმა წერილობითი კამათი გაუმართეს¹. სერგეი მესხი არ ეთანხმებოდა კირილე ლორთქიფანიძეს „მნათობის“ შეფასებაში და ირონიულად დასძენდა, ნეტავ ვიციოდე, რა მოგეწონა მაც ჟურნალისაო. 1869 წლის 14 ივლისს ს. მესხი უკვე ბევან ხომასურაძეს სწერდა პეტერბურგში: „მნათობის“ ორი ნომერი გამოვიდა. მეორე ნომერში Он заиграет „ღროება“ და ზოგან კიდევ იკბინება ვითომ... კაცს რომ შენი კბენა უნდოდეს, უნდა დაასწრო და პირველად შენ უკბინო, მერე ვეღარ გაბედავს კბენას“².

პოლემიკა, მართლაც, იმ წელსვე დაიწყო და იმთავითვე მწვავე ხასიათი მიიღო. „ღროებაში“ ზედიზედ დაიბეჭდა ს. მესხის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის წერილები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები და სატირულ-იუმორისტული ფელეტონები „მნათობის“ წინააღმდეგ (1869 წ., № 28, ლაზ. მეშვილის — ს. მესხის) წერილი; ნ. ნიკოლაძის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა (1870 წ., № 20) გ. წერეთლის ლექსი „კუხელის სიმღერა“ (1871 წ., № 21), ლექსი „ფუტკარი უთხრა კრაზანას“, (1871 წ., № 33); ვრცელი ფელეტონი „ფუტკარი“ (1871 წ., № 33 და სხვ.). ამ წერილებში ანტ. ფურცელაძეს გაუხსენეს მისი ბრძოლა „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ, განაჩქქეს მისი ლექსები და მოთხრობები („მესამე თაფლიანი თეფში“, „მნათობიდან“ — „ილიას კვებით შევები, შემილეწეს ფერდებია“).

„მნათობის“ თანამშრომლები ვრცლად პასუხობდნენ მოკამათეებს, „ღროების“ ჯგუფს კი ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ბევრი სადავო საკითხი, ბევრი ბრალდება რჩებოდა უპასუხოდ. გაზეთთან ლიტერატურული დამატების გამოცემა ახლა კი, მართლაც, გადაუღებელ ამო-

¹ „საისტორიო მოამბე“, 1960, № 11—12, გვ. 651.

² ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, 1949, გვ. 59.

ცანად იქცა და „დროების“ მესვეურებიც იმ წელსვე შეუდგნენ თადარიგს. ასე რომ, „მნათობთან“ პოლემიკამ ნამდვილად დააჩქარა „კრებულის“ დაარსება და ამდენად, სწორედ უნდა მივიჩნიოთ იმ დროს გავრცელებული აზრი, რომ „მნათობის“ მოკამათე „დროების“ შეთაურებმა ჯიბრით ჟურნალის გამოცემაც განიზრახეს და 1870 წ. მთავრობას თხოვნა მისცეს“...¹.

„კრებულისათვის“ მასალების შეგროვება 1869 წელსვე დაუწყიათ, ხოლო არა უგვიანეს 1870 წლის მაისისა ბეჭდვასაც შედგომიან. საგულისხმოა, რომ ყველაზე მეტ აქტივობას ამ მხრივ სერგეი მესხი იჩენდა. „ნიკოს მიეწერე, — აცნობებდა ის კირილე ლორთქიფანიძეს 1870 წლის 15 თებერვალს, — თუ სანახევროდ შემომიღგება, ამ ორ თვეში გამოვცემთ ერთ დამატებას წიგნათ, რომელიც „დროების“ ხელისმომწერლებსაც დაურიგდება და ცალკედაც გაიყიდება. იმაში დავბეჭდ მაშინ შენს სტატიას. ამას გარდა, მე მაქვს კიდევ სასბორნიკო სტატიები და ლექსებიც, რა კარგი იქნება, რომ ამ სბორნიკისათვის ერთ კარგ პატარა მოთხრობას ან რომანს, რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრებიდან, დაწერდეს ვინმე“².

ერთი თვის შემდეგ, 29 მარტს, მესხი ატყობინებდა მასვე: „ამ წელს ოთხი სბორნიკის გამოცემა შეუძლებელი საქმეა სხვადასხვა მიზეზების გამო. ორი კი შეიძლება. პირველათ, როგორც გწერდი, გამოვა მაისში ან ივნისში და მეორე კი — ნოემბერში ან დეკემბერში. მერე გაისს, ნებართვა უნდა ვითხოვო, რომ დროგამოშვებით სბორნიკების გამოცემის ნება მოგვცეს „დროების“ დამატებისათვის“³.

იმავე წლის ბოლოს, როგორც ჩანს, პირველი ნომერი უკვე გამოსული იყო, რადგან გაზ. „კავკაზის“ 1871 წლის მე-2 ნომერში გამოქვეყნებულია განცხადება: «В типографиях Дубелира и К... Меликова, в библиотеке Иванова и в книжных магазинах Аладатова и Эпифаджнанца поступит на днях в продажу «Сборник» [„კრებული“] (на грузинском языке)» და შემდეგ, მოტანილია პირველი ნომრის სარჩევი.

ჟურნალ „მნათობის“ თებერვლის ნომერში (1871 წ.), რომელსაც 30 თებერვლის საცენზურო ვიზა აქვს, გამოცხადებულია, რომ დუბელირის სტამბაში და სხვ. იყიდება „კრებულის“ პირველი ოთხი წიგნი.

¹ ზ. კიკინაძე, ისტორია ქართლის გაზეთებისა და ჟურნალებისა, 1903, გვ. 38.

² ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი; ს. ზუნდაძე, „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“, 1949, გვ. 79.

³ იქვე- გვ. 77.

ეს ცნობა მთლად საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან, როგორც ირკვევა, პირველი ოთხი ნომერი, მართლაც, ერთმანეთზე მიყოლებით, თითქმის ერთდროულად გამოსულა (№ 1-ის საცენზურო ვიზა გაეცმულია 30 დეკემბერს, № 2-ის 31 იანვრის, № 3-ის—30 მარტს. № 4-ის — 30 აპრილს). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ნომრები 1870 წელს უკვე გამზადებული ყოფილა დასაბეჭდად.

„მნათობის“ იმავე ნომერში გამოქვეყნებულია „კრებულის“ სარედაქციო განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „დუბელირის (გ. წერეთლის) და ამხ. სტამბაში, ამ წლიდან დაწყებული, გამოიცემა ახალი სალიტერატურო ჟურნალი ქართულ ენაზე „კრებული“.

ამ ჟურნალის დანიშნულება ის იქნება, რომ მკითხველს მისცეს სასიამოვნო და საპარგებლო საკითხავი და ცოტ-ცოტათ გააცნოს საზოგადოება როგორც თავის საკუთარ ცხოვრებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხასიათს, იმათს წარსულს და ეხლანდელს მდგომარეობას. ამას გარდა, „კრებული“ თავის ჟურნალებს განსაკუთრებით მიაქცევს კრიტიკულ ნაწილს, რომელიც ეცდება თანადროული აზრის მოძრაობა დაანახოს მკითხველს საზოგადოებას...“ და ა. შ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა ამა წლის დამდეგს. ეხლა, რაკ მთავრობის ნებართვა მივიღეთ „კრებულის“ ჟურნალთ გამოცემაზე, მესამე და მეოთხე წიგნს გამოეცემთ აპრილში და მეხუთეს მაისის ნახევრამდინ...“ და ა. შ.

მოტანილი ცნობების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ: 1) ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის შესახებ „დროების“ მესვეურებმა საცენზურო კომიტეტში განცხადება შეიტანეს 1870 წლის დასაწყისში; 2) ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიღებამდე, 1870 წელს, დასაბეჭდად მოამზადეს და 1871 წლის აპრილის ბოლომდე გამოსცეს ოთხი ნომერი, არა როგორც ჟურნალი, არამედ, როგორც „დროების“ ლიტერატურული დამატება; 3) ყოველთვიური, დამოუკიდებელი სალიტერატურო ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის ნებართვა მთავრობისაგან მიღებული იქნა 1871 წლის აპრილში¹.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდიდან მოკიდებული იურიდიულად „კრებული“ დამოუკიდებელ გამოცემას წარმოადგენდა და მას საკუთარი რედაქცია ჰყავდა, იგი წინანდებურადვე განუყრელად იყო დაკავშირებული „დროებასთან“, რასაც ორივე რედაქცია გარკვევით აუწყებდა მკითხველს. „კრებულის“ საპროგრამო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ორივე გამოცემაზე ერთდროულად შეიძლებოდა ხელმოწერა, ხოლო „დროების“ 1871 წლის მე-15 ნომერში (16 აბ-

¹ „საისტორიო მოამბე“, 1952., № 6. გვ. 202—206.

რილის) ამის თაობაზე ნათქვამია: „კრებულს“ მთავრობის ნებართვა მიუღია ჟურნალად გამოცემაზე და მისი რედაქცია აცხადებს, რომ ამ თვეშივე გამოსცემს ჟურნალის მესამე-მეოთხე წიგნებს.

„კრებულის“ რედაქცია აცხადებს, რომ „დროებაზე“ და „კრებულზე“ ერთად ხელისმომწერა მიიღება. ამას ჩვენ უნდა დაეუმატოთ აქ, რომ ამ ორ გამოცემას¹ შუა, ხელმოწერის გარდა, სხვა კავშირიც იქნება. ორივე რედაქციის აზრით, გაზეთს „დროებას“ ის დანიშნულება უნდა ჰქონდეს, რომ მკითხველი მასში ახალ ამბებს, თანამედროვე ცხოვრების გაკვრით გამოსახვას და დაფასებას პოულობდეს. გაზეთს საკმარისი ადგილი არა აქვს მოთხრობებით, კომედიებით, რომანებით, დაწვრილებული ისტორიული სტატიებით, ვრცელი კრიტიკით და სწავლული გამოკვლევით გააცნოს მკითხველი ძველ და ახალ ბუნების და კაცობრიობის ცხოვრებას. ეს შრომა წიგნის, ჟურნალის საქმეა და ეს საქმე იკისრა „კრებულმა“; ჩვენ კი გვაკისრია გაზეთის საქმე.

ამნაირათ, „კრებული“ და „დროება“ ჩვენ ლიტერატურაში ერთი მეორის დამხმარე და შემავსებელი იქნებიან.

რა ცოდნით და მოხერხებით შევასრულებთ ჩვენ ამ მოვალეობას, ამის განსჯა ჩვენი კი არა, მკითხველის საქმე იქნება. შეძლებისამებრ, ორივე რედაქცია სინდისიანათ მოეკიდება თავის საქმეს².

საერთო მიზნის წარმატებით შესრულებისათვის, ჟურნალისა და გაზეთის რედაქციებს ფუნქციები გაუნაწილებიათ. აქვე დავსძენთ, რომ ჟურნალის არსებობის მთელი ხნის მანძილზე, ეს კავშირურთიერთობა უაღრესად მტკიცე იყო მაგრამ, ჩვენ მაინც არ მიგვაჩნია ზუსტად სიმ. ხუნდაისის მოსაზრებაზე, რომ ეს ორგანო („კრებული“) ფაქტიური დამატება იყო გაზ. „დროებისა“. გარკვეულ პერიოდში, როგორც იურიდიულად, ისე ფაქტიურად, „კრებული“ და „დროება“ დამოუკიდებელი გამოცემა იყო, რომლებიც ერთ საქმეს ემსახურებოდნენ.

სახელწოდება

ჟურნალის სახელწოდება უეჭველად რუსული „სბორნიკის“ მიხედვით არის წარმოქმნილი და ამ სიტყვის პირდაპირი, იმდროინდელ ჟურნალისტიკაში უკვე გავრცელებული მნიშვნელობით არის გამოყენებული. იგი გულისხმობს სხვადასხვა მასალათა კრებულს და წარმოშობილია იმ დროს, როცა მისი გამოცემა „დროების“ დამატებად, ე. ი.

¹ „დროება“, 1871, № 15.

² ს. ხუნდაძე, ნარკვევები... 1941, გვ. 188; აგრეთვე: შ. რაღიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1954, გვ. 364.

მართლაც კრებულად იყო გათვალისწინებული. ჟურნალად გამოცემის ნებართვაც ამ სახელწოდებით მიუღიათ. სახელწოდების შერჩევაშიც, უთუოდ, ჩანს საქმის ინიციატორთა გარკვეული სიფრთხილე; ეტყობა, ისინი მთლად დაწმენებული არ ყოფილან, რომ მაშინდელ პირობებში ნამდვილი ჟურნალის გამოცემას მოახერხებდნენ. კერძო მიმოწერაშიაც „კრებულის“ ხელმძღვანელები თავიანთ ჟურნალს ხშირად „სბორნიკად“ იხსენიებენ. („შენი... სტატია სბორნიკისათვის მაქვს შენახული“, ს. მესხის 1870 წლის 29 აგვისტოს წერილი და სხვ.).

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ კირ. ლორთქიფანიძეს განზრახული ჰქონია „კრება“ ან „კრებული“ ეწოდებინა იმ ანთოლოგიისათვის, რომელიც 1864 წელს „ჩონგურის“ სახელწოდებით გამოსცა პეტერბურგში; მაგრამ ილია ჭავჭავაძემ არ ურჩია ეს: „კრება“ სხვა რიგად ესმის ქართველსა და რუსულიდან თარგმნილსა ჰგავს“.

პროგრამა

„კრებულს“ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სარედაქციო პროგრამა არ წამოუყენებია. 1871 წლის მარტის (აპრილის) „განცხადებაში“ („მნათობი“, 1871 წ., № 2) საპროგრამო იდეურ-ლიტერატურულ მოთხოვნებს, არსებითად, გვერდი აქვს ავლილი. ეს, ჯერ ერთი, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ საზოგადოება მაშინ უკვე კარგად იცნობდა გაზეთ „დროების“ მიმართულებას, რომლის თანამებრძოლაც „კრებული“ თავს აცხადებდა, მეორეც, მთავრობას „კრებულის“ ვრცელი პროგრამა არ დაუმტკიცებია და რედაქციას უფლებაც არ ჰქონდა ხელისმოწერაზე განცხადებაში გადმოეშალა თავისი მიზნები და მისწრაფებანი. ხელისუფლებამ სალიტერატურო ჟურნალის გამოცემის ნებართვა გასცა, საქმის ინიციატორებს კი სრულებითაც არ აკმაყოფილებდათ ეს. მათი იდეალი იყო „სოვრემენიკისა“ და „საქართველოს მოამბის“ მსგავსი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალი. „დროებასთან“ კავშირურთიერთობაზე მითითება, გადაკრულად, „კრებულის“ ამდაგვარ პროფილზე მიუთითებდა, რადგან „დროება“ „პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი“ იყო. სარედაქციო განცხადებაში ჟურნალის იდეური პროგრამა ორად-ორი, მოხერხებულად შეკუმშულ წინადადებაშია გადმოცემული: „ამ ჟურნალის დანიშნულება ის იქნება, რომ მკითხველს მისცეს სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავი და ცოტ-ცოტათ გააცნოს საზოგადოება როგორც თავის საკუთარ ცხოვრებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხასიათს, იმათ წარსულს და ეხლანდელს მდგომარეობას... კრებული“ თავის ყურადღე-

ბას განსაკუთრებით მიაქცევს კრიტიკულ ნაწილს (წაიკითხე: პოლიტიკურს! — ა. კ.), რომლითაც ეცდება თანადროული აზრის მოძრაობა დაანახოს მკითხველს, საზოგადოებას¹.

როგორც აღვნიშნეთ, 1866 წელს ახალგაზრდობამ გაზეთი უმთავრესად იმიტომ ამჯობინა ჟურნალს, რომ „ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას არასდროს არ მისცემდნენ“.

გაზეთს „საპოლიტიკო ნაწილის“ ნებას აძლევდნენ მოკლე ოფიციალური ცნობებისა და მასალების გამოსაქვეყნებლად: „ბიბლიოგრაფიაში“, რომელიც „დროებამ“ (1871, № 15) „კრებულის“ საპროგრამო განცხადების განსამარტებლად გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ იმ მოვლენებს, რომლებსაც „დროება“ გაკვრით გამოსახავს და შეაფასებს, „კრებული“ ვრცელი კრიტიკითა და სწავლული გამოკვლევით გააცნობს მკითხველს („ძველ და ახალ ბუნების და კაცობრიობის ცხოვრებას“) ამასთან, „კრებულის“ წერილებში არა ერთგზის მითითებულა, რომ იგი თავის თავს „საქართველოს მოამბის“ გამგრძელებლად ავიღოს და მის პროგრამას იზიარებს.

„კრებულმა“ ამ მიხვეულ-მოხვეული გზით შესძლო საზოგადოებასათვის ეუწყებია თავისი პროგრამა, იდეური მიმართულება. ცხადია, აქ არაფერს ვამბობთ, თუ როგორ აღასრულა მან ეს განზრახვა, თავის დაპირებისდაკვალად უპასუხა თუ არა ეპოქის მოთხოვნებს, ამის დადგენა მთელი ჩვენი გამოკვლევის მიზანს შეადგენს. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ პირველი ნომრების გამოსვლისთანავე, მოწინავე საზოგადოებამ „კრებული“ პროგრესული, დემოკრატიული მიმართულების სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალად სცნო. საყურადღებოა, რომ თანამედროვეებს „კრებული“, უწინარეს ყოვლისა, სწორედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცემად ესახებოდათ. ლუი ბლანი და პრუდონი, პოლიტიკური და ეკონომიკური კითხვები... „1860-ანი წლების რუსის მწერლებისაგან აღძრული მუშა ხალხის შესახებ კითხვები“, სხვადასხვა რეფორმები, ქალთა მდგომარეობა და განათლება, სასწავლებლები... ლასალი, ჯონ სტიუარტ მილი, — აი, როგორ აღბეჭდილა „კრებულის“ შინაარსობრივი სახე, მაგალითად, ამ ჟურნალის ახალგაზრდა მკითხველის ზაქარია ჭიჭინაძის შესხიერებაში.

მაგრამ ყველაზე მკაფიოდ ჟურნალის პროგრამა ჩამოყალიბებულია ვრცელ წერილში — „კრებულის“ დანიშნულებაზე“, რომელიც 1871 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა ხელმოუწერლად. ამ სტატიის ავტორი არის ნიკო ნიკოლაძე. წერის კულტურით, პუბლიცისტური მანერითა და

¹ „საისტორიო მოამბე“, 1952, № 6, გვ. 203.

სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ანალიზით, ეს წერილი შეიძლება საყურადღებო მოვლენად ჩაითვალოს ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ, ჟურნალად გამოცემასთან დაკავშირებით. „კრებულის“ უწინდელს შინაარსს ახალი ნაწილები— „მიმოხილვა“, „კრიტიკა“ და სხვა დაემატება“. მაგრამ, მისი სიტყვით, მთავარი ეს როდია. „ჟურნალი სხვა რამითაც განირჩევა სხვადასხვა სტატიების კრებისაგან. ხეირიან ლიტერატურაში ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც თავისი საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს, და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ჟურნალის მიმართულებას, მის დროშას და ჩვენი „კრებული“ დარწმუნებულია, რომ ხელცარიელი არ გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე, რომ იმას თავისი საკუთარი მიმართულება და დროშა გამოაქვს“¹.

ამრიგად, ჟურნალის, როგორც პერიოდული გამოცემის, არსებით ნიშნად ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია მტკიცე იდეური მიმართულება და მთელი მისი ამ მიზანსწრაფულობით შერჩევა. ფორმულა, უდავოდ, ქართულ სინამდვილეს ეპასუხება და მასში პოლემიკის დანალექიც შესამჩნევია.

პროგრამის გამოცხადებას, მიმართულებისა და მიზნის გარკვეულად გამოხატვას ნ. ნიკოლაძე პერიოდული გამოცემის აუცილებელ მოვალეობად და წარმატების ერთ-ერთ პირობად თვლის. ჟურნალის „შრომა მით უფრო ადვილდება, რაც უფრო უკეთ და სრულად გაცნობილი აქვს მკითხველს მისი მიმართულება“. ეს მიზანი, ეს გადამწყვეტი საპროგრამო პრინციპი სტატიის დასაწყისში ძალიან ზოგადად არის განსაზღვრული; მას, შეიძლება ითქვას, პროპაგანდისტული დანიშნულება აქვს: „კრებულს ისეთივე მიზანი აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში ყოველ პატიოსან და ხეირიან კაცს, ესე იგი, თავისი საზოგადოების ბედნიერება“.

ნ. ნიკოლაძის ვრცელი საპროგრამო წერილი სწორედ იმის ახსნას ისახავს მიზნად, თუ როგორ ესმის ახალ ჟურნალს „საზოგადოების ბედნიერება“ და რა გზებს სახავს მის მისაღწევად. ამ მხრივ, „კრებულის“ დანიშნულებათვალად დიდად განსხვავდება ილიას წერილისაგან „საქართველოს მოამბეზედ“. ნ. ნიკოლაძეს აინტერესებს კონკრეტული სოციალური საკითხები, მათი ახსნა და გადაუდებელი პრაქტიკული გადაწყვეტა. აქ მთელი სისასისით იგრძნობა რეფორმის დღილი, ახალი გზების ძიება; წინა პლანზე წამოწეულია ეკონომიკური პრობლემები.

¹ ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1932, ტ. II.

ამის შედეგია, რომ საპროგრამო სტატია, არსებითად, ეკონომიკური ხასიათისაა; ფართო საერთაშორისო პარალელებითა და პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების მოშველიებით, იგი შესაფერად მომზადებული, პრაქტიკული ასპარეზით დაინტერესებული აუდიტორისთვისაა განკუთვნილი.

უწინარეს ყოვლისა, მას აინტერესებს, რა უშლის ხელს ბედნიერებას. ამ კუთხით მიდგომა საშუალებას აძლევს, ყურადღება გაამახვილოს თანამედროვე ცხოვრების მტკივნეულ მხარეებზე; ყოველი დებულების საილუსტრაციოდ ავტორს კონკრეტული მაგალითი მოაქვს. მისი აზრით, ბედნიერებას ხელს უშლის რწმენა, რომ ბედნიერება თვით ადამიანმა კი არ უნდა შექმნას, არამედ ზეცამ უნდა მოუვლინოს. ნამდვილად კი, კაცს „ბუნების კანონების გამოკვლევით, მათი გონიერად ხმარებით... როგორც თავისი საკუთარი სხეულის, აგრეთვე გარშემო ბუნების გაუმჯობესება და თავის სასარგებლოდ ხმარება შეუძლია“.

ავტორი გეოგრაფიული ფაქტორის როლსაც ამჩნევს, მაგრამ მას რაიმე გადამწყვეტ მნიშვნელობას როდი ანიჭებს. პირიქით, გარკვევით აცხადებს, — ათასობით მაგალითი ვიცი, რომ ხალხებმა თვითონვე გარდაქმნეს გარემო პირობებიო. ერთი სიტყვით, „კაცის ტვინს და შრომას შეუძლია ბუნების კანონების გამოკვლევით და მათი გრძნობით ხმარებით თავიანთ ბუნების ხასიათის შეცვლა“.

ჩვენს პლანეტას შეუძლია თავის ყველა შვილს მიანიჭოს ბედნიერება. კაცის მოთხოვნილება უსაზღვრო როდია. მისი მთლიანად დაკმაყოფილება არცთუ ძალიან ძნელია. გაიხსენეთ, რა გაუმაძღარია მშვიდრის ფანტაზია და რა იოლად ქრება ის, როცა ცოტაოდენ ნოყიერ საკვებს შესჭამს. ასე რომ, საყოველთაო ბედნიერების მიღწევა საცხებით შესაძლებელია; დედამიწაზე ადამიანთა ყოველგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობა არსებობს. ადამიანი ნიადაგ უნდა ებრძოდეს ბუნებას, იკვლევდეს მას, ცოდნას იძენდეს. „ბუნება არც მტერია კაცისა, არც მეგობარი, არც სიკეთე უნდა მისთვის, არც სიბავ“.

მანამდე ჩვენში არავის მიუცია საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლის ასე სწორი განსაზღვრა, რასაც, სხვა რომ არა ვთქვათ რა, დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა. შეიძლება დავადგინოთ, რომ საპროგრამო წერილის ძირითად პათოსს სწორედ ამის მტკიცება წარმოადგენს. როგორც ბუნების, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები ერთმანეთთან არის ჩართული და ერთი-მეორეზედ დამოკიდებული. მაგრამ, ბუნებასთან ბრძოლა, დოვლათის სიუხვე ჭერ კიდევ არ ნიშნავს საყოველთაო ბედნიერებას, რადგან „ქონვა და მოხმარება ერთი და იგივე საქმე როდია. შეიძლება, რომ... რომელიმე ქვეყანაში საკმაო საზრდო და სიმდიდრე იყოს და ამ ქვეყნის ხალხი კი შიმშილით

კვდებოდეს და გაჭირვებით ცხოვრობდეს, უთავბოლო ან უხეირო განწყობილების გამო“.

აქამდე ავტორი მატერიალისტურ პოზიციაზე იდგა, უაღრესად პრინციპული პრობლემაც წამოჭრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მისცა მას მეცნიერული, მატერიალისტური გაშუქება. „უხეირო განწყობილებაში“, მაგალითად, იგი გულისხმობს, რომ ახალციხის მახრამში შეიძლება ბევრი პური იყოს და უგზოობის გამო იმერეთში ვერ შეიტანონ. ამიტომ პურის მთელ მარაგს მდიდარი ვაჭარი შეისყიდის და შემდეგ მამასისხლად გაჰყიდის. მერედა, რა უშველის ამ „უხეირო განწყობილებას?“... გზების გაყვანა და სხვადასხვა სახის საზოგადო ქველმოქმედება. ეს, რა თქმა უნდა, იდეალისტური, უტოპიური შეხედულებაა.

საერთოდ, სტატიაში მოცემული არაა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მწყობრი თვალსაზრისი და საპროგრამო წერილს ამას ვერც მოვთხოვთ. ბოლოს და ბოლოს, მისი ძირითადი მიზანი იმის განცხადებაა, რომ „კრებულში“ მთავარი ადგილი დაეთმობა საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ეკონომიკის საკითხებს, რადგან „კაცობრიობის ისტორიაში სტრატეგიის და ტაქტიკის მნიშვნელობა პოლიტიკურ ეკონომიას და ზოგიერთ სხვა მეცნიერებას აქვთ“. ავტორი სწუხს, რომ „ჩვენ არაფერი ვაგვეგება ამ ცოდნისა“ და ამის დამამტკიცებელი მაგალითებიც მოაქვს. მისი რწმენით, ქვეყნის მომავალი ამანუა დამოკიდებული. საზოგადოებრივ მეცნიერებას „ისეთი სამეცნიერო კანონები დაუნახავს, რომელთაც ყოველთვის და ყველგან ემონება კაცობრივი საზოგადოება“.

ამრიგად, „კრებულის“ რედაქციის ყურადღება მიპყრობილია ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოშობილი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისაკენ, ეკონომიკური განვითარების გზებისა და ლონისძიებებისაკენ.

ავტორი არაფერს ამბობს სოციალურ-კლასობრივ უთანასწორობასა და ბრძოლაზე, პოლიტიკურ ვადატრიალებებსა და ა. შ. ეტყობა. საცენზურო პირობების გამო, ის მოერიდა მწვავე პოლიტიკური საკითხების წამოჭრას; მაგრამ არც ის იქნება მართებული, რომ არ აღვნიშნოთ საპროგრამო სტატიის სერიოზული ნაკლოვანებანი. უწინარეს ყოვლისა, იგი ცალმხრივი და დაწვრილმანებულა; მას არ გააჩნია „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილის ფილოსოფიური სიღრმე, განზოგადებულობა, თანმიმდევრობა და სიცხადე. ერთი რიგის დეტალების (ეკონომიკის) გამოდევნების გამო, ავტორი ვერ სწვდება ჟურნალის მიმართულების ყველა ასპექტს. მას თითქმის მხედველობიდან რჩება, რომ „კრებული“ ლიტერატურული ჟურნალია; არ ჩანს, რა პოზიციას დაიკავებს ჟურნალი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში. წერილის მიხედვით, ძნელი წარმოსადგენია ჟურნალის პრო-

ფილი და, საერთოდ, ვერ იძლევა იმის სწორ სურათს, რასაც ეურნალი ნამდვილად წარმოადგენდა. ამასთან, საპროგრამო წერილს არ შეეფერება ასეთი მრავალსიტყვიანობა და გაჭიანურება; სრულიად ზედმეტია ქართული პუბლიცისტიკის გაცვეთილი მორალისტური მოტივების გადამღერება, რომ საზოგადო საქმეში უნდა ვიყოთ უანგარო, მიუყვარძობელი, გულწრფელი, პირდაპირი და სხვ. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში ავტორი გადაჭარბებულ როლს ანიჭებს ადამიანთა „ხასიათს, ზნეს, პატიოსნებას“, განათლებულ მოქალაქეებს და, საერთოდ, პიროვნებას. საპროგრამო წერილში ნათლად არ ჩანს, საზოგადოების რომელი ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა „კრებული“, ვისი სახელით, ვისი დროშით გამოდიოდა სამოღვაწეო ასპარეზზე. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ავტორმა ცენზურის შიშით ვერ შესძლო ამის თქმა და მხოლოდ მინიშნებით დაკმაყოფილდა.

ავტორი გრძნობს, რომ ბევრ გარეშე საგანზე მოუხდა საუბარი; მაგრამ ვერ ამჩნევს, რომ ჩამოუყალიბებელი დარჩა ძირითადი დებულებები, ვერ გამოკვეთა ეურნალის პროგრამა.

პროგრესული საზოგადოებრიობა „კრებულს“ აღტაცებით შეხვდა. „დროება“ ხშირად აქვეყნებდა ს. მესხისა და სხვათა ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს (1871, № 1, № 24; 1872, № 14, 1873, № 18, 19 და ა. შ.).

რეცენზენტები მოითხოვდნენ, რომ „დროებას“ ცალკე ბიბლიოგრაფიული განყოფილება დაეარსებინა „კრებულის“ ახალი ნომრების განსახილველად.

„კრებულმა“ თავისთავი მოწინავე შეხედულებების პროპაგანდისტად გამოაცხადა; მან მიზნად დაისახა არა მარტო გაეცნო საზოგადოებისათვის პროგრესული იდეები, ეპოქის დადებითი იდეალები, არამედ კიდევ შეეყვარებინა მისთვის შრომა და ცოდნა, ჩაენერგა და აღეზარდა მასში მაღალი ზნეობა,—შეეძლეებინა და შეეზარებინა მისთვის „განხეთქილება“, ერთმანეთის გლეჯა, ერთიმეორის შეუბრალებლობა“, ე. ი. ყოველივე, რაც „ბოლოს უღებს საზოგადო ბედნიერებას... აბრკოლებს მის წარმატებას“.

ეურნალის საპროგრამო წერილს ნ. ნიკოლაძე საზოგადოების წინაშე მაღალი ვალდებულების აღიარებით ამთავრებდა: „... ლიტერატურული ასპარეზი ვარდებით მოფენილი როდია, ზედ სიარული და მოქმედება მეტისმეტად ძნელია... მაგრამ ამ სიძნელეშიც „კრებული“ ყოველთვის იმ აზრით ჩაიდგამს სულს და სიმბნევეს მოიმატებს, რომ მის შრომას მიზნათ საზოგადო სარგებლობა და სიკეთე აქვს“.

ყველა მკვლევარს „კრებულის“ პირველ რედაქტორად (ზოგიერთს დამაარსებლად და ერთადერთ რედაქტორადაც) გიორგი წერეთელი მი-
ანია. ზ. კიკინაძე: „კრებულის გამოცემა გ. წერეთელმა დაიწყო 1871 წელს“¹. „1871 წ... გამოსვლა იწყო... კრებულმა გ. წერეთლის რე-
დაქტორობით“²; არჩ. ჯორჯაძე: „1871 წლიდან არსდება გ. წერეთლის რედაქტორობით „კრებული“³; გ. ბაქრაძე: „კრებული“-ს რედაქტორ-
გამომცემელი გ. წერეთელი“⁴; ს. ხუნდაძე: „გ. წერეთელი რედაქტო-
რობდა „კრებულს“ 1871—1873 წლებში“⁵; „კრებული“ 1871 წლიდან გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით“⁶; „კრებული“ დააარსა გ. წერეთელმა“⁷. ვ. კოტეტიშვილი: „1871 წელს გ. წერეთლის რედაქტორობით არსდება „კრებული“⁸; შ. რადიანი: „კრებული“ გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა“⁹; დ. გამეზარდაშვილი: „1871 წელს... მისი (გ. წერეთლის) რედაქტორობით გამოსვლას იწყებს... „კრებული“¹⁰ და „გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა „კრებული“ 1871—1893 წლებში“; აბ. მახარაძე: „კრებულის“ პირველი რედაქტორი იყო გ. წერეთელი“¹¹; ი. ბოცვაძე: „კრებული“ დააარსა გიორგი წერეთელმა“¹².

ამასთან, მკვლევართა ერთ ნაწილს, აგრეთვე, ჩვენ მიერ დასახელებულ ზოგიერთ მკვლევარს, ოღონდ სხვა ნაშრომში ან იმავე ნაშრომის სხვა ადგილზე, გ. წერეთელთან ერთად, ნიკო ნიკოლაძეც მიაჩნია „კრებულის“ დამაარსებლად და ხელმძღვანელად: გრ. ყიფშიძე: „...Г. Церетели и Н. Николадзе... были главными сотрудниками и основателями „Кребули“ в 1871 г.“¹³ გ. ბაქრაძე: „კრებულის“ უმ-

¹ ზ. კიკინაძე, „ნიკო ნიკოლაძე“, 1897., გვ. 36.

² ზ. კიკინაძე, „ისტორია ქართულის გაზეთებისა და ჟურნალებისა“, 1903, გვ. 38.

³ არ. ჯორჯაძე, თხზ. ტ. V, 1913, გვ. 126.

⁴ გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკა, 1945, გვ. 8.

⁵ ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 1, 1930, გვ. 381. ს. ხუნდაძის შენიშვნებით.

⁶ ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, გვ. 85.

⁷ იქვე, გვ. 42.

⁸ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს., გვ. 412.

⁹ შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1954, გვ. 364.

¹⁰ დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართ. რელიგოზის ისტ.-დან, 1957, გვ. 443.

¹¹ ა. მახარაძე, ნარკვევები, 1957, I, გვ. 375; — აგრეთვე: „გ. წერეთელი პერიოდული პრესის მოღვაწე“, პუშკინის სახ. თბ. სახელმწ. სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, II, 1942.

¹² ს. მეცხი, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, შენიშვნებითა და წინასიტყვაობით, გვ. 228.

¹³ Гр. Книшидзе. Периодическая печать на Кавказе, 1901, стр. 33.

თავრესი თანამშრომელი იყო სკანდელი (ნკო ნკოლაძე)¹; ვ. კოტეტი-
შვილი: „კრებულს“ უმთავრეს სულისჩამდგმელად ნ. ნიკოლაძეს-
თან ერთად 1871 წელს ჩაუდგა სათავეში...“² ს. ხუნდაძე: „კრე-
ბული“ 1871. წლიდან გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით,
მაგრამ მისი ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა ნ. ნიკოლაძეს³;
აპ. მახარაძე: „1871 წლის დამდეგიდან გამოსვლას იწყებს გ. წერეთ-
ლისა და ნ. ნიკოლაძის ჟურნალი: „კრებული““⁴.

საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა ანგარიში გავუწიოთ
ორ გარემოებას; ერთი: მართალია, ჟურნალად გამოცემის ნებართვა
მიღებული იქნა 1871 წლის აპრილში, მაგრამ მას ფორმალური მნიშ-
ვნელობა ჰქონდა, და არსებითად, არავითარი გავლენა არ მოუხდენია
„კრებულის“ ხასიათზე — პრინციპულად იგი მთლიანია, ერთიანი გა-
მოცემაა პირველი ნომრიდან უკანასკნელ ნომრამდე; მეორე „კრებუ-
ლის“ პირველი ოთხი ნომერი მომზადდა და დაიბეჭდა აღნიშნული ნე-
ბართვის მიღებამდე.

დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ „კრებულის“ დაარსების თა-
ოსნობა სერგეი მესხსა და ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნით. ამ უკანასკნელს
დაევალა „კრებულის“, როგორც „დროების“ ლიტერატურული დამა-
ტების, შედგენა და რედაქცია. პირველი ოთხი წიგნი მისი რედაქტო-
რობით მომზადდა და დაიბეჭდა. ამრიგად, „კრებულის“ დამაარსებელი
და მისი პირველი რედაქტორი ნკო ნიკოლაძეა. ჟურნალს 1872 წლის
№ 10—12-ში იგი წერს: „ჯიბრის“ დაბეჭდვის დროს „კრებული“ ჯერ
კიდევ ჟურნალათ არ გამოდიოდა და მისი რედაქცია გ. წერეთლის
ხელში არ ყოფილა. ამ სტრიქონების დამწერმა (ე. ი. ნ. ნიკოლაძემ—
ა. კ.) მისცა „ჯიბრს“ დიდი მნიშვნელობა და პირველი ადგილი „კრე-
ბულის“ მეორე წიგნში“. წერილში — „ჩემ პიროვნებაზე“ (1873 წ.
№ 7) ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს: „მელაღუმის“ დამწერს (ე. ი. ნ. ნიკო-
ლაძეს), ებარა“, („მელაღუმე“ დაბეჭდილია მე-4 ნომერში).

„დროების“ 1891 წლის № 21-ში (ფელეტონი) ნათქვამია: „... პირ-
ველად უნდა შევნიშნოთ უფ. კუხელს, რომ 1869 წელში „დროების“
გამომცემელი და ახლანდელი „კრებულის“ ერთი და იგივე პირი არ
არიან“. (1869 წლის შესაბამის პერიოდში „დროების“ რედაქტორი
იყო გ. წერეთელი).

გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში, რომელიც კარლ მარქსის სა-
ხელობის საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდში ინა-
ხება, ნიკო ნიკოლაძე გარკვევით აღნიშნავს: „Дело так итти долго не

¹ გ. ბაქრაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

² ვ. კოტეტიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 412.

³ მის. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1954, 11, გვ. 474.

⁴ ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა... 1949., გვ. 85.

მოგლო (მხედველობაში აქვს „დროებასა“ და „მნათობს“. შორის გაჩაღებული კამათი — ა. კ.). В конце года я основал (ხაზი ჩემია — ა. კ.). журнал «Кребули», который и вел единолично до лета 1871 года (ხაზი ჩემია — ა. კ.). когда смерть моего отца заставила меня покинуть Тифлис».

ამავე ავტობიოგრაფიის ერთი ადგილიდან გარკვევით ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში გ. წერეთელი ჟურნალის რიგითი თანამშრომელი იყო: „В „Кребули“ — წერს ნ. ნიკოლაძე, — Я, впрочем дал место и статье Г: Церетели об университете“.

„კრებულის“ პირველ წიგნებზე „დროების“ 1871 წლის № 24-ში გ. წერეთელმა („კრებულის“ მკითხველის“ ფსევდონიმით) გამოაქვეყნა ვრცელი რეცენზია, რომელშიც კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამს ჟურნალის რედაქციის მიმართ. ცხადია, იმ დროს გ. წერეთელი „კრებულის“ რედაქტორი არ იყო.

ეს გარემოება ექვს არ იწვევს. ახლა გამოვარკვიოთ, რა მდგომარეობა შეიქმნა 1871 წლის გაზაფხულიდან, როცა მიიღეს მთავრობის ნებართვა „კრებულის“ ჟურნალად გამოცემის შესახებ. აღნიშნული ნებართვით, „კრებულის“ გამომცემლად და რედაქტორად მთავრობამ დაამტკიცა გ. წერეთელი. კერძოდ, იგი აწერს ხელს „მნათობში“ (1871. № 2), „კრებულსა“ და „დროებაში“ ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სარედაქციო განცხადებებს. მაგრამ საკითხის გარშემო არსებულ ძალას რომ ვეცნობით, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ეს დამტკიცება ფორმალური იყო და „კრებულს“ მას შემდეგაც ნ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, ჟურნალის ფაქტიურ რედაქტორად კვლავ ის დარჩა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთავრობამ ნ. ნიკოლაძეს უარი უთხრა დამტკიცებაზე: შეიძლება, ნიდაგი მოსინჯეს, გამოარკვიეს, რომ ნიკოლაძეს არ დაამტკიცებდნენ და შემდეგ გ. წერეთელი წარადგინეს. მართლაც, ნიკო ნიკოლაძე იმ დროს ემიგრაციიდან ახალდაბრუნებული იყო, პოლიტიკურად საშიშ პიროვნებად ითვლებოდა და, ცხადია, რედაქტორად არავითარ შემთხვევაში არ დაამტკიცებდნენ.

მართალია, ამ მოსაზრებათა უარსაყოფად ან დასადასტურებლად პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ, სამაგიეროდ, უტყუარი ცნობები გავაჩნია საქმის ნამდვილი ვითარების გამოსარკვევად: ე. ი. რმის დასადგენად თუ ფაქტიურად ვინ უდგა სათავეში „კრებულს“.

თავიდანვე ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ გ. წერეთელი, როგორც რედაქტორ-გამომცემელი, ხელს აწერს ჟურნალის მხოლოდ ერთ ნომერს.

ჟურნალად გადაკეთებული „კრებულის“ ვრცელი საპროგრამო წერილი, რომელიც 1871 წლის მე-3 ნომერშია დაბეჭდილი („კრებულის“ დანიშნულებაზედ“) ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის, პერიოდულ გამოცე-

მათა ამ ხასიათის საპროგრამო წერილებს, ჩვეულებრივ, რედაქტორები წერენ.

ზემოაღნიშნულ სარედაქციო განცხადებაში, რომელსაც გ. წერეთელი აწერს ხელს, საგანგებოდ იყო მითითებული, რომ: „კრებულის“ რედაქციაში ნიადაგ მონაწილეობას მიიღებს ნ. სკანდელი“ (ნ. ნიკოლაძე). დანარჩენი თანამშრომლები ცალკე იყვნენ დასახელებულნი. ამით პირდაპირ მინიშნებული იყო, რომ ჟურნალის მეთაურად, ფაქტიურად, კვლავ ნ. ნიკოლაძე რჩებოდა.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, „ნ. ნიკოლაძეს „კრებულში“... დიდი ხმა და გავლენა ჰქონდა... თვით რედაქტორს არ ეკითხებოდა ამდენი“¹.

1872 წლის 2 იანვარს სერგეი მესხი თბილისიდან ატყობინებდა კირ. ლორთქიფანიძეს. „რომ „კრებულის“ წაყვანა ნიკოლაძე მითავა“².

სოფრ. მგალობლიშვილიც გვიდასტურებს, რომ „კრებულის“ სულისჩამდგმელი, მიმართულების მიმცემი და მეთაური ნიკო ნიკოლაძე იყო. „კრებულისა“ და ნიკოლაძის გარშემო შემოიკრიბნენ მაშინდელი ჩვენი მწერლები და მთლად მაშინდელი ინტელიგენცია“³.

„კრებულს“ ნ. ნიკოლაძე საკუთარი ფულით სცემდა, რადგან ქართული ჟურნალის ხელმოწერის თანხა მაშინ ხარჯების ერთი მესამედსაც ვერ ანაზღაურებდა. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძის ფინანსიური დახმარების გარეშე „კრებული“ ვერ გამოვიდოდა. ზ. ჭიჭინაძე ამბობს: „ნიკოლაძე ცხადად დარწმუნდა, რომ საქართველოში რიგიანი ჟურნალის არსებობა დიდ დახმარებას და ხარჯს მოითხოვდა“. „მე თვით ვარ ამის მნახველი, — განაგრძობს ზაქ. ჭიჭინაძე, — რომ მან (ნ. ნიკოლაძემ) 1000 მანეთის ოქრო გადასცა მესტამბეს „კრებულის“ ბეჭდვის ანგარიშში“⁴.

ს. მესხი 1873 წლის 21 მაისს სწერდა კეკე მელიქიშვილს: „შენ იცი, როგორ მოუთმენლად მოველოდით ჩვენ ნიკოლაძის ჩამოსვლას. ყველა სიკეთეს იმისგან, ... იმის ფულუბისაგან მოველოდით. შე და ჩემს გაზეთს, ღვთის მადლით, მაგის ფულუბი არა გვჭირია, მაგრამ... „კრებულისათვის“ გვჭირდება“⁵.

ყველაფრიდან ჩანს, რომ „კრებულის“ სარედაქციო მუშაობა მთლიანად ნ. ნიკოლაძეს აწვა მხრებზე. ამას „კრებულის“ სარედაქციო განცხადებებიც ადასტურებს. 1872 წლის დეკემბრის განცხადებაში

¹ ზ. ჭიჭინაძე, ნ. ნიკოლაძე, 1897, გვ. 34.

² ს. მესხის წერილები, ი. ბოცვაძის წინასიტყვაობით, რედაქციით, შენიშვნებით, გვ. 45.

³ ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 60.

⁴ ზ. ჭიჭინაძე, ნ. ნიკოლაძე, 1897, გვ. 36.

⁵ ს. მესხი, წერილები, დასახელებული გამოცემა, გვ. 60.

(„დროება“, 1873, № 1; „კრებული“, 1872, № 10—12) ნათქვამია: „კრებულის“... რედაქცია და თანამშრომლობა, პატივსადები მიზეზებისა გამო, თითქმის უფრო ხშირად ერთ კაცზედ იყო მიგდებული“.

იმ დროს, საერთოდ, ყველა ნ. ნიკოლაძეს სცნობდა „კრებულის“ მეთაურად. ილია ქაჯავაძე 1871 წლის 19 მარტს სწერდა პეტრე ნაკაშიძეს: „...გიგზავნი... ჩემს „ქართლის დედას“. თუ მოგეწონება, მიეცი ნიკო ნიკოლაძეს დასაბეჭდად“¹.

ა. წერეთელი წერს: „ნ. ნიკოლაძემ საკუთარი ჟურნალი „კრებული“ გაიჩინა, გიორგიმაც რაღაც საქმეს მოჰკიდა ხელი“ („თემი“, 1912, № 93).

საერთოდ, ამ საქმესთან ახლოს მდგომი კომპეტენტური პირები (გრ. ყიფშიძე, გ. თუმანიშვილი) გ. წერეთელთან ერთად ნ. ნიკოლაძესაც თვლიდნენ „კრებულის“ დამაარსებლად და რედაქტორად. გ. თუმანიშვილი, მაგალითად, წერს: „Н. Николадзе... в первой книжке издававшегося им вместе с Г. Е. Церетели... „Кребули“...“²

„ნ. ნიკოლაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის... „კრებულის“ გარშემო ქართული ლიტერატურის მოწინავე ძალების გაერთიანების საქმეში“³ ექვს არ იწვევს, რომ „კრებულს“ ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები აძლევდა იდეურ გეზს. „კრებულის“ საქმე პირველის ნომრიდანვე ბრწყინვალედ წავიდა; (რადგან) ნ. ნიკოლაძის კალამმა ბრწყინვალეობით მორთო იგი, ქართველობას ამცნო და დაუმტკიცა, რომ ქართულს ენაზედ შეიძლება ჩინებული წერილების წერა და წესაობა“ (ზ. ჭიჭინაძე)⁴.

1872 წლის გაზაფხულზე ნიკო ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა. ჟურნალის მე-6 და მე-7 ნომრები მან წასვლამდე გამოუშვა (ცენზურის ვიზა, შესაბამისად: 15 იანვარი და 14 მარტი), მისი წასვლის შემდეგ, 1872 წელს, „კრებულის“ ერთადერთი წიგნი გამოვიდა (№8—9 ერთად. ცენზურის ვიზა: 21 ივლისი); 1872 წლის მე-10, მე-11, მე-12 ნომერი 1873 წელს გამოვიდა ერთ წიგნად (ცენზურის ვიზა — 1873, 20 იანვარი).

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში „კრებულის“ გამოცემა ფაქტობრივად შეწყდა.

იმავე ხანებში გიორგი წერეთელი და სერგეი მესხიცი ემზადებოდნენ

1. ქაჯავაძე, თხზ. აკადემიური გამოცემა, ტ. X, პ. ინგოროვეას რედაქციით, შენიშვნებით. 1961, გვ. 32.

2. Г. Туманов, Характеристика и воспоминания, 1913, стр. 234—235.

3. გ. აბზიანიძე, ნარკვევები ქართული აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 117.

4. ზ. ჭიჭინაძე, ნ. ნიკოლაძე, 1897, გვ. 34.

ხანგრძლივი დროით საზღვარგარეთ წასასვლელად და ჟურნალი მთლად უპატრონოდ რჩებოდა, როგორც ცნობილია, ს. მესხის გამგზავრებასთან დაკავშირებით: (1872, ივლისი) „დროების“ რედაქტორად კირ. ლორთქიფანიძე მიიწვიეს და „კრებულის“ მეთაურობაც მას დაევალა. ზაქ. ჭიჭინაძის გადმოცემით, „მთავრობას თხოვნა მისცეს და... რედაქტორად კირილე ლორთქიფანიძე იქნა დამტკიცებული“¹.

ამასთან დაკავშირებით, ჟურნალის რედაქციამ საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა („კრებული“, 1892, № 10—12; „დროება“ 1893, № 1) 1873 წელს „კრებულის“ გამოცემის თაობაზე. ამ განცხადებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ამ იანვრიდან დაწყებული „კრებულის“ სარედაქციო შრომაში მონაწილეობას მიიღებს უფ. კირილე ლორთქიფანიძე“; ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვ. რიგით თანამშრომლებად არიან დასახელებული.

კირ. ლორთქიფანიძე მაშინვე შედგომა „კრებულის“ ხელმძღვანელობას“². 1873 წლის 29 იანვარს ილია ჭავჭავაძე მას უგზავნის „გლახის ნაამბობის“ დასაპრულს და სწერს: „არ ვიცი, როგორ მოგეწონებაო“.

კირ. ლორთქიფანიძეს გაუძნელდა რედაქტორობა. 1873 წლის პირველი ნომრის გამოცემა მან მაისის ბოლოსდა მოახერხა (ცენზურის ვიზა 26 აპრილი). ამის გამო სერგეი მესხი 1873 წ. 6 ივნისს სწერდა კეკე მელიქიშვილს: „იწერები, მადლობა ღმერთს; „კრებულის“ პირველი წიგნი მივიღეო. მართლაც, რომ მადლობა ღმერთს. ეხლა ივნისია, მეშვიდე წიგნი უნდა მზადდებოდეს, მაგრამ ჯერ მეორეც არ არის მზად და ვინ იცის, როდის დამზადდება. კირილე სრულებით ჟურნალისტი არ არის, იმას ისეთი ხასიათი არა აქვს, რომ ყოველთვის და ყოველ საგანზე შეეძლოს წერა. ჯერ იმას ერთი სტრიქონიც არ დაუწერია „კრებულისათვის“. ამბობს, ამისთანა მდგომარეობაში მე წერა არ შემიძლიაო, ჩემი სახლ-კარი არა მაქვსო, გული მუდამ დამშვიდებული არა მაქვსო! რომ რამე საგანს ვეუბნები — აი, ამაზე უნდა მოილაპარაკო „კრებულში“ მეთქი, ან თვითონ რომ რასმეზე საჭიროთ თვლის დაწერას, ამბობს, რომ მართალია, ამ საგანზე ჟურნალში უნდა ითქვას რამეო, მაგრამ კარგათ არ ვიცი ეს საგანი, ესა და ეს წიგნები უნდა წაკითხული მქონდეს ჯერაო და მერე შემეძლება წერაო! განა, ჩვენ არა

¹ ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართული ჟურნალებისა და გაზეთებისა, გვ. 39; „საისტორიო მოამბე“, 1952, № 6, გვ. 209.

² რა თქმა უნდა, ზუსტი არ არის გ. აბზიანიძის მოსაზრება, რომ 1873 წლის ოქტომბრიდან 1874 წლის ოქტომბრამდე კ. ლორთქიფანიძე „კრებულის“ რედაქციის ერთი ხელმძღვანელი წევრთაგანი იყო. (გ. აბზიანიძე, ნარკვევები... გვ. 343), კირ. ლორთქიფანიძე 1873 წლის იანვრიდან დეკემბრამდე „კრებულის“ რედაქტორი იყო. დაწერილებით დ. ჩიქვილაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 26.

ევრძნობთ, რომ ის საგნები, რომლებზედაც ვწერთ, ჩვენ გარკვევით გაცნობილი არა გვაქვს, მაგრამ ყველა საგნების საფუძვლიანად გაცნობას თუ ვეცადეთ, ჩვენ დღეში ვერაფერი დაგვიწერია“¹.

ამ პერიოდში „კრებულის“ საქმეებს, ფაქტიურად სერგეი მესხი განაგებდა და ნიკო ნიკოლაძეს მასთან ჰქონდა მიმოწერა ცალკეული მასალების, კერძოდ, მისი თხზულების — „სხვათა შორის“ — დაბეჭდვის თაობაზე.

1873 წლის მაისში ნიკო ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და მაშინვე სათავეში ჩაუდგა „კრებულს“. მძიმე სამუშაო დახვდა: ერთდროულად მოსამზადებელი და დასაბეჭდი იყო მე-2, 3, 4, 5, 6, 7, 8-ე ნომრები. ს. მესხი 1873 წლის 5 სექტემბერს პარიზიდან ქუენევაში აცნობებდა კეკე მელიქიშვილს: (ნ. ნიკოლაძე იწერება ქალაქიდან) „საშინელ გაცხარებულ შრომაში ვართო, „კრებულის“ 4, 5, 6, 7 და მერვე წიგნი ამ სექტემბერში უნდა გამოვსცეთო. მასალები სუ მზათ გვაქვსო (თბილისში რომ ვიყო) „სერთუკის კალთას ჩამოვსწევდი“.

მკითხველთა დასაშოშმინებლად „დროების“ 1873 წლის № 35-ში ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა „კრებულის“ რედაქციის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „გამოვიდა და ამ მოკლე ხანში ხელისმომწერებს დაურიგდება „კრებული“ (ამას მოჰყვება მე-7—მე-8 ნომრების შინაარსი. — ა. კ.)... ამ წიგნებისა და აგრეთვე №№ 4, 5, 6-ის აკინძვა და გაგზავნა ცოტათი უფრო მეტს დროს თხოულობს, ვინემ ჩვენ გვგონია, მაგრამ სექტემბრის განმავლობაში კი ხელისმომწერებს ეს გამოსული ნომრები დაურიგდება“.

ამ სარედაქციო განცხადების თაობაზე 1873 წლის 15 ოქტომბერს სერგეი მესხი სწერდა კეკე მელიქიშვილს: „ესეც სექტემბერი გათავდა, ოქტომბერიც დადგა და „კრებულის“ არათუ მერვე, მეხუთე წიგნიც კი არსად ჩანს ჯერ. ნიკოლაძე მარტო შინაარსს აცხადებდა... ახირებულა! შინაარსს თუნდა მთელი წლისას გამოვაცხადებ წინათვე, საქმე სტატიებში და გამოცემაშია. ღმერთმანი, ამნაირად მუდამ მოტყუებით, ჩვენ მკითხველებთან სახელი ვაგვიტყდება და მერე რაც უნდა გამოვაცხადოთ, კაცი აღარ დაგვიჯერებს. ნუთუ, წიგნები თუ მზად იყო, ამდენი ხანი მარტო უდების შეკვრას მოუნდნენ!“

ნ. ნიკოლაძემ არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, გმირული თავდადება გამოიჩინა და მარტოდ-მარტომ მოკლე ხანში შესძლო მთელი წლის ხარვეზის ამოვსება და დაპირების

¹ სერგეი მესხი, წერილები, დასახელებული გამოცემა, გვ. 25. ვთქვით, ამ წერილიდან აშკარაა, რომ კირ. ლორთქიფანიძე ამ დროს „კრებულის“ ხელმძღვანელია. კირ. ლორთქიფანიძის ოფიციალურად დანიშნვის შესახებ იხ. დ. ჩიკვილაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 29.

შესრულება, ოქტომბრის დამდევისათვის გამოუშვა მე-3, მე-9 ნომრები და დასაბუქდად მოამზადა უკანასკნელი მე-10 ნომერი. დამახასიათებელია, რომ ოთხი ნომრის საცენზურო ვიზა გაცემულია სექტემბერში. ამრიგად, 1873 წლის ათი ნომრიდან ცხრა ნიკო ნიკოლაძის გამოცემულია. ამ პერიოდშიც „კრებულის“ მუშაობის საკითხებზე, უმთავრესად, მასთან აწარმოებდნენ მიმოწერას („კრებულის“ გარჩევაც მოგივაო“—წერდა გ. წერეთელი 1873 წლის 16 ოქტომბერს).

1873 წლის ნოემბერში ნ. ნიკოლაძე კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა, 1875 წლამდე დარჩა იქ და „კრებულის“ გამოცემაც შეწყდა.

მაშასადამე, კვლევა-ძიებამ არ დაადასტურა დამკვიდრებული აზრი, რომ 1871—1873 წლებში „კრებული“ გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა. გამოირკვა, რომ: 1) „კრებულის“ დაარსების თაოსნობა ეკუთვნოდა ნ. ნიკოლაძეს; 2) „კრებული“ გამოდიოდა ნ. ნიკოლაძის სახსრებით; 3) „კრებულის“ პირველი რედაქტორი იყო ნ. ნიკოლაძე.— იგი მას რედაქტორობდა 1870 წლის ივნისიდან 1871 წლის აპრილამდე, ე. ი. „კრებულის“ ჟურნალად გამოცემაზე მთავრობის ნებართვის მიღებამდე, როცა იგი ვაზეთ „დროების“ დამატების სახით გამოდიოდა (პირველი ოთხი ნომერი); 4) 1871 წლის აპრილიდან 1872 წლის ბოლომდე „კრებულის“ რედაქტორად ფორმალურად ითვლებოდა გ. წერეთელი; 5) 1873 წლის იანვრიდან დეკემბრამდე ოფიციალურად (ფორმალურად) „კრებულის“ რედაქტორად ითვლებოდა კირ. ლორთქიფანიძე; 6) არსებობის მთელ პერიოდში, 1870 წლიდან 1873 წლის ბოლომდე, „კრებულს“ თითქმის განუწყვეტლად სათავეში ედგა ნიკო ნიკოლაძე; იმ დროსაც, როცა ოფიციალურ რედაქტორებად გ. წერეთელი და კირ. ლორთქიფანიძე ითვლებოდნენ, ჟურნალის ფაქტიური გამომცემელი და რედაქტორი ნ. ნიკოლაძე იყო. „კრებულის“ 22 ნომრიდან 19 ნომერი უშუალოდ ნ. ნიკოლაძის მიერ არის მომზადებული და დაბეჭდილი. ასე რომ, ცდებიან ის მკვლევარები, რომლებიც მას „გიორგი წერეთლის ჟურნალს“ უწოდებენ, სტატიების რაოდენობასა და ღირსება-მნიშვნელობასაც რომ ანგარიში არ გაუწიოთ, — თუ „საქართველოს მოამბის“ ანალოგიით (რომელსაც ილია ჭავჭავაძის ჟურნალს ეძახიან) ამ ჟურნალსაც ვისიმე სახელს შევარქმევთ, მაშინ მას, უდავოდ, ნიკო ნიკოლაძის ჟურნალი უნდა ვუწოდოთ, ან, თუ ეს აუცილებელია, ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის ჟურნალი.

„კრებულის“ პერიოდულობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ზაქ. კიკინაძე რატომღაც ორთვიურ ჟურნალად თვლიდა მას¹; გრ. ყიფშიძე², გ. ბაქრაძე³, შ. რადიანი⁴ და სხვ. ყოველთვიურ ჟურნალად მიიჩნევენ; არჩ. ჭორჭაძე⁵, ვახ. კოტეტიშვილი⁶ და სხვ., საერთოდ, ექვევეშ აყენებენ, რომ „კრებული“ ჟურნალი იყო; ს. ხუნდაძეს, მ. ზანდუკელს, დ. გამეზარდაშვილს, ა. მახარაძეს, გ. აბზიანიძეს, რ. ბოცვაძესა და სხვ., არაპერიოდულობის მიუხედავად, „კრებული“ ჟურნალად მიაჩნიათ.

როგორც ვთქვით, „დროების“ მესვეურებს თავიდანვე ძნელად, თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ მაშინდელ პირობებში ქართული ჟურნალის გამოცემა: ამიტომ გადაწყვეტილი ჰქონდათ „გაზეთთან დამატება გამოეშვათ წიგნებად“, „რომელმაც უნდა აასრულოს ჟურნალის ვალი“. „რედაქციის შექმნაზედ არის დამოკიდებული, — სწერდა ნ. ლოლობერიძე, — რამდენსაც მოისურვებს, იმდენი წიგნა შეუქმნა გამოუშვას წელიწადში ამ დამატებისა“.

1870 წელსაც, როცა „კრებულის“ გამოცემას შედგომიან, ნ. ნიკოლაძე და მისი მეგობრები ამავე აზრისა ყოფილან. ისინი უკვე 1869 წლის ბოლოდან აგროვებდნენ პირველი ნომრების მასალებს⁷ და 1870 წლის ბოლოსათვის ოთხი ნომერი ჰქონდათ გამზადებული დასაბეჭდად. ამან, ეტყობა, დიდი მხნეობა შეჰმატა საქმის ინიციატორებს, — იფიქრეს მომდევნო ნომრებსაც ადვილად მოეპოვებოდათ, — და მთავრობას ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალის გამოცემის ნება სთხოვეს და კრედი მიიღეს. „კრებულის“ საპროგრამო განცხადებაში⁸ ამის თაობაზე ნათქვამია: „კრებული“ გამოვა ყოველთვიურ... პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა ამ წლის დამდეგს. ესლა, რაკი მთავრობის ნებართვა მივიღეთ — „კრებულის“ ჟურნალად გამოცემაზე, მესამე და მეოთხე წიგნს გამოვცემთ აპრილში და მეხუთეს მაისის ნახევარში. დანარჩენი წიგნები გამოვლენ უთუოდ ყოველთვის დასაწყისში“.

¹ ზ. კიკინაძე, ისტორია ქართული გაზეთებისა და ჟურნალების, გვ. 38 (1871 წელს თბილისში გამოსვლა იწყო ორთვიურ ჟურნალ „კრებულმა“).

² Гр. Кипшидзе, Периодическая печать на Кавказе, 1901, стр. 33.

³ ქართული პერიოდიკა, გვ. 8.

⁴ შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1954, გვ. 364.

⁵ არჩ. ჭორჭაძე, თხზ. ტ. V, გვ. 126.

⁶ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს., გვ. 414.

⁷ ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949, გვ. 77.

⁸ ჟურ. „მნ.თობი“, 1870, № 2.

ამ მომენტს ნ. ნიკოლაძეც ხაზს უსვამს საპროგრამო წერილში: „კრებულის“ დანიშნულებაზე¹. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აქ იგი პერიოდულობას ეურნალურობის ერთ მთავარ ნიშნად თელის და ამაზე, როგორც აუცილებელ პირობაზე, ისე ლაპარაკობს: „კრებული“ დღეის იქით ეურნალათ გამოიცემა. ეს ცვლილება მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ „კრებულის“ წიგნები დანიშნულ ვადაზე გამოვლენ, თვეში ერთხელ..“ და სხვ.

რედაქციამაც ხელისმომწერა გამოაცხადა, როგორც ყოველთვიურ ეურნალზე (რაც შემდეგაც ასე მეორდება). 1872 წ. № 7-ის განცხადებაში, მაგალითად, ნათქვამია: „ფასი ნახევარი წლის ანუ ექვსი წიგნისა“ და ა. შ.

დასაწყისში საქმე კარგად მიდიოდა; — პირველი ოთხი წიგნი, რომლებიც 1870 წელს იყო მომზადებული, აკურატულად თავ-თავის დროზე გამოვიდა: № 1—იანვარში; № 2—თებერვალში; № 3—აპრილის დასაწყისში; № 4—მაისის დასაწყისში. მაგრამ, ეს იყო და ეს. მას შემდეგ, „კრებული“ არც ერთხელ აღარ გამოსულა თავის დროზე. მომდევნო № 5 ექვსი თვის დაგვიანებით გამოვიდა; ოქტომბერში და იმ წელს (1871) მეტი აღარც გამოსულა. ამრიგად, 1871 წელს ფაქტობრივად მხოლოდ ეს ერთი ნომერი მომზადდა².

უნდა ვიფიქროთ, რომ რედაქციას იმთავითვე ექვი ეპარებოდა „კრებულის“ ყოველთვიურად გამოცემის შესაძლებლობაში. უთუოდ, ამის შედეგია, რომ „კრებულის“ არც ერთ წიგნს არ აწერია თვე და ნომერი. ესეც თითქო, ერთგვარად საექვოდ ზღის მის პერიოდულობას. ყველა ნომერს ყდასა და სატიტულო ფურცელზე აწერია წელი და „პირველი წიგნი“, „მეორე წიგნი“ და ა. შ.

რადგან რედაქცია ვალდებული იყო, 1871 წელს ხელისმომწერთათვის თორმეტი წიგნი დაერიგებინა, შემოდგომის მიწურულისათვის კი ხუთიც არ ჰქონდა გამოშვებული, — დაიწყო მაშინდელი ქართული ეურნალეებისათვის ტრადიციული მობოდიშებანი. დაგვიანების მთავარ მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ ნ. ნიკოლაძე სხვა საქმეებით იყო დატვირთული და ვერ ასწრებდა. „დროების“ 1871 წ. № 33-ში დაიბეჭდა „კრებულის“ სარედაქციო განცხადება: „კრებულის“ რედაქცია ოიდათ დანაშაულია მკითხველების წინაშე წიგნების დაგვიანებისათვის. მაგრამ დაგვიანების მიზეზი მასზე დამოუკიდებელი გარემოება იყო.

¹ „კრებული“, 1871, № 3.

² ზაქ. კვიციანიძე გამოსული ნომრების რაოდენობით მსჯელობს „კრებულის“ პერიოდულობაზე. რადგან 1871 წელს სულ ხუთი წიგნი გამოვიდა, იგი ასკვნის: „კრებულს“ გამოცემის დრო არ ღუნიშნეს. „გამოსვლა იწყო დრო და დრო, ერთ წელიწადს ექვსი წიგნი გამოიცა“ (ზ. კვიციანიძე, „ნ. ნიკოლაძე“, 1897, გვ. 28). როგორც ზეით ვთქვით, სხვა ადგილას ზ. კვიციანიძე ორთვიურ ეურნალად თვლიდა „კრებულს“.

რედაქციას იმედი ჰქონდა თავის დროზე გამოეშვა „კრებულის“ წიგნები, რადგანაც მის შრომაში ნიადაგმონაწილეობას იღებდა უფ. სკანდელი. მაგრამ უფ. სკანდელს შინაურის გარემოების გამო ტფილისის მიტოვება მოუხდა. ახლა რედაქციამ საჭირო ღონისძიება მიიღო, რომ დაგვიანებული წიგნები ერთთ გამოსცეს და ამ წელსვე „კრებულის“ წიგნები დანიშნულს ვადაზე გამოეყვანოს“.

რადგან ვერც ეს დაპირება შესრულდა, საქმის მეთაურები ძალიან შეშფოთებული იყვნენ. „დიდად სამწუხაროა, — სწერდა 1872 წლის 26 იანვარს სერ. მესხი კირ. ლორთქიფანიძეს, — რომ „მუდამ მნათობს“ დავსტინოდით ღოღიალზე და თითონვე იმაშივე სასაცილო შევიქენით... „კრებულმა“ თითქმის კიდევ გადააჭარბა „მნათობს“ ფქმძიმობაში. მაგრამ რა გაეწყობა... ამ დღეებში გამოვიდა „კრებულის“ მეექვსე წიგნი“...

ასე რომ, 1871 წელს რედაქციამ ვერ შეასრულა თავის ვალდებულება ხელისმომწერთა წინაშე; მასზე ვალად დარჩა შვიდი ნომერი (№№ 6, 7, 8, 9, 10, 11, 12), ამიტომ, 1872 წლის დასაწყისში რედაქციას ახალი ხელისმომწერა აღარ გამოუცხადებია. „ღროების“ 1872 წლის № 1-ში იგი განმარტავდა: „კრებულის“ მეექვსე და მეშვიდე წიგნი ამ მოკლე ხანში გამოვა და ხელისმომწერლებს დაურიგდება. დანარჩენი შარშანდელი წლის ხუთი წიგნი იმ წლის პირველ თვეებში გამოვა. სანამ შარშანდელი ხელისმომწერლები არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი (12 წიგნით), მანამ, სხვადასხვა მიზეზისა გამო, „კრებულზე“ ხელისმომწერა აღარ მიიღება“.

რედაქციას იმედი ჰქონდა, რომ 1871 წლის დავალიანებას (7 ნომერს) 1872 წლის პირველ ნახევარში დაფარავდა. ამიტომ ახალი ხელმომწერაც მხოლოდ ამ წიგნებზე შეიძლებოდა: „ვისაც შარშან ხელი მოუწერია „კრებულზე“, იმათ დანარჩენი შვიდი წიგნი ამ წელს გაეგზავნებათ, ხოლო ახალი ხელისმომწერა მხოლოდ ამ ნახევარი წლის „კრებულზე“ ანუ მომავალს ექვს წიგნზე მიიღება“¹... მართლაც, 1872 წელი მთლიანად 1871 წლის დაფარვას მოუხდა, არც ერთი ახალი, პირობითად რომ ვთქვათ, 1872 წლის ნომერი არ გამოსულა (თუმცა 1871 წლის დავალიანების დასაფარავად გამოსულ ნომრებს 1872 წელი აწერია).

უფრო მეტიც. რედაქციამ ვერც ეს დაპირება შეასრულა: შვიდი წიგნის ნაცვლად, 1872 წელს სამი გამოსცა; № 6 გამოვიდა — იანვარში; № 7 — მარტში; № 8—9 (ერთ წიგნად) — ივლისში. 1871 წლიდან რედაქციას ვალად დარჩა სამი წიგნი, რომელიც ექვსი თვის პაუზის შემდეგ

¹ „კრებულო“, 1872, № 6.

1873 წლის თებერვალში გამოვიდა, ისიც ერთ წიგნად (№ 10, 11, 12).

ს. მესხის ცნობით,¹ ამ ნომრებმა ცენზურის მიზეზით დაიგვიანა.

ასეა თუ ისე, სისტემატურმა დაგვიანებამ საგრძნობლად შეარყია საზოგადოების ნდობა „კრებულისადმი“ და 1873 წლისათვის რედაქციას საგანგებო ზომები მიუღია. განცხადებაში „კრებულის“ გამოცემაზე 1873 წელსა“ („კრებული“, 1872, № 10—11—12) ნათქვამია: „აქამდის „კრებული“ თავთავის დროზე არ გამოდიოდა... ეხლა საქმე გამოიკვალა... რედაქციას იმედი აქვს, რომ მკითხველებს თავთავის დროზედ რიგიანი წიგნები გაუგზავნოს. ამიტომაც რედაქცია აცხადებს ხელისმორწერას... ამ წლის პირველი წიგნი გამოვა იანვრის დამლევს... აპრილიდან დაწყებული „კრებულის“ წიგნები გამოვა თვისა და თვის თავზედ“.

ამ განცხადებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე. ეკრძოდ, ამას უნდა ემყარებოდეს ზაქ. ჭიჭინაძის სიტყვები: „1871 წელს „კრებული“ ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა. 1872 წლის ბოლოს მთავრობას თხოვნა მისცეს „კრებულის“ თვიურად გამოცემაზე. ნებართვა მიიღეს... 1873 წელს „კრებულმა“ თვიურად იწყო გამოსვლა“²...

რაკი ძველი (1871 წლის) დანომერა, როგორც იქნა, მოთავდა, 1873 წლიდან ახალი ნუმერაცია დაიწყო. მიუხედავად საზეიმო დაპირებისა, 1873 წლის პირველი ნომერიც დიდი დაგვიანებით გამოვიდა (მაისში). მასზე პირველად გამოჩნდა სატიტულო წარწერა: „სალიტერატურო ჟურნალი. გამოიცემის ჩყოა (1871) წლიდამ“, რომელიც მომდევნო ნომრებზეც შენარჩუნებულია.

მხარდაჭერისა და საზოგადოებრივი წახალისების მიზნით, „დროება“ განსაკუთრებული სიმპათიით გამოეხმაურა ახალ ნომერს. ს. მესხი წერდა: „ჩვეულებრივი მოლოდინის შემდეგ... როგორც იქნა, ველირსეთ ამ წლის „კრებულის“ პირველი წიგნის გამოსვლას. წარმოიდგინეთ ახალი გათხოვილი ქალი, რომელსაც ქმარი სადღაც გაუქცა და მოსვლას უგვიანებს, თავის ამბავსაც არ ატყობინებს; ეს ებუტება ქმარს, ემუქრება თავის გუნებაში, რომ როცა მოვა, ხმას არ გავცემო... მაგრამ შემოდგამს თუ არა კარებში ფეხს, ის ივიწყებს ყველაფერს, მივარდება და გულში ჩაიხუტებს. ეს შედარება ცოტა არ იყოს, იდილიურია, მაგრამ სწორედ ამ იდილიურ მდგომარეობაში გვაყენებს „კრებული“. ერთი დაგვენახება და მერე რამდენიმე თვით პქრება... მაგ-

¹ „დროება“, 1873, № 13 და 14; აგრეთვე, ს. მესხი, წერილები, 1873 წლის 2 თებერვლის წერილი კეკე ჭელიჭიშვილისადმი.

² ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართლის ჟურნალებისა და გაზეთებისა, გვ. 39.

რამ გამოჩნდება თუ არა, ჩვენ გვაიწყდება ყველა სამღურავეები იმის დანახვაზე და სიხარულით მივეგებებით“¹.

საქმე ვერც შემდეგ გამოსწორდა. „კრებული“, მართლაც, ხან გამოჩნდებოდა, ხან რამდენიმე თვით გაქრებოდა. № 2 (თებერვლის) 30 ივნისს გამოვიდა (ცენზურის ვიზა გაცემულია 27 ივნისს, ხოლო უკანა ყდის წიბოზე. (ფრჩხილებში) დაბეჭდილია: „გამოიცა 30 ივნისს, 1873 წელს“. № 3 (მარტის) გამოვიდა 20 ივლისს (ცენზურის ვიზა გაცემულია 17 ივლისს, ხოლო უკანა ყდის ფრჩხილებში დაბეჭდილია: „გამოიცა 20 ივლისს“). №№ 4, 5—6 (ერთად) მე-7 და მე-8 ნომრები თითქმის ერთდროულად გამოვიდა ოქტომბერში (საცენზურო ვიზა გაცემულია №4—25 სექტემბერს; №5—6—29 აგვისტოს; №7—17 სექტემბერს; №8—27 სექტემბერს). №9 ნომერში გამოვიდა, ხოლო უკანასკნელ, მე-10 ნომერს, მართალია, ცენზურის ვიზა 1874 წლის 1 იანვარს აქვს მიცემული: მაგრამ სინამდვილეში ძალიან დაგვიანებით გამოვიდა (პარიზში 1874 წლის ოქტომბერში მიუღიათ)².

მეთაურები მტკივნეულად განიცდიდნენ შექმნილ მდგომარეობას. „მომწერეთ, „კრებული“ რასა იქს, — სწერდა ს. მესხი 1873 წლის 8 დეკემბერს კირ. ლორთქიფანიძეს, — მეცხრე წიგნის შემდეგ გამოვიდა თუ არა. ეს წელიწადი მიყირკულშია, ხომ ხედავთ, და თუ არ დაუჩქარეთ, წახდა საქმე. მომავალი წლისათვის რას აპირებთ „კრებულის“ თაობაზე, ისიც შემატყობინეთ“³. ასეთივე გულისტკივილს გამოსთქვამს გ. წერეთელი ს. მესხისადმი წერილში (1874 წ. 6 თებერვალს): „ღმერთმა იცის, „კრებული“ გამოვა თუ არა... თუ ღმერთი გწამს, შენ თუ რამე იცი, მომწერე. წარმოიდგინე, ორი წიგნი მივწერე კირილეს და... პასუხი არ მომსვლია. ვინ არიან მშრომელნი ან რას იწყებენ, ან როგორ უნდა წაიყვანონ საქმე, კაცმა არ იცის“⁴.

მკითხველებს კარგა ხანს ეგონათ, რომ „კრებული“, ჩვეულებისამებრ, იგვიანებდა, მაგრამ 1873 წლის მე-10 ნომრის შემდეგ იგი აღარ გამოსულა და ასე, ყოველგვარი განცხადებისა და გაფრთხილების გარეშე, შეწყდა მისი გამოცემა.

„კრებულის“ ფუნქციები კვლავ „დროებას“ დაეკისრა. ს. მესხი აღრეც წერდა: „ვინცა ვართ, ყველანი „დროებას“ დავადგებით, რადგან „კრებულს“ ამნაირათ სიცოცხლე არ შეუძლია“⁵.

¹ დროება, 1873, № 19.

² ს. მესხი, წერილები, გვ. 57.

³ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, კირ. ლორთქიფანიძის არქივი, № 649, ავრეთვე, „საისტორიო მთაბე“, 1960, № 11—12, გვ. 654.

⁴ ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, გვ. 132.

⁵ ს. მესხი, წერილები (1874 წ., 20. I, წერილი კეკესადმი).

1874 წლის გაზაფხულზე გადაწყვეტილი ყოფილა, რომ „კრებული“ აღარ გამოვიდოდა. თებერვალში ს. მესხმა პარიზიდან კირ. ლორთქიფანიძეს გამოუგზავნა ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტის“ თარგმანი. ეს სთხოვა: „თუ „კრებული“ გამოდის, იმაში დაბეჭდეთ“. „მაგრამ, რადგან ჟურნალი აღარ გამოდიოდა, თარგმანი „დროების“ მაისის ნომერში გამოქვეყნდა.

ამრიგად, მთელი თავისი არსებობის მანძილზე „კრებული“ დიდი დაგვიანებით გამოდიოდა. იძლევა თუ არა ეს საფუძველს, რომ იგი არაპერიოდულ გამოცემად მივიჩნიოთ, მის ჟურნალურ ხასიათში ეჭვი შევიტანოთ? რა თქმა უნდა არა. პრინციპულად (იურიდიულად და ფაქტიურად) „კრებული“ ყოველთვიური ჟურნალი იყო. რედაქცია მუდამ ენერგიულ ზომებს იღებდა, რათა უზუნველყო მისი სისტემატურად, ყოველთვიურად გამოცემა, დაგვიანების შემთხვევაში, ბოდიშს იხდიდა მკითხველის წინაშე, ცდილობდა დროულად შეევსო ხარვეზები.

დაგვიანება არაპერიოდულობით კი არ იყო გამოწვეულა, არამედ ქართული ჟურნალისტიკისა და მწიგნობრობის იმდროინდელი პირობებით: „კრებულს“ აკლდა მასალა, არ ჰყავდა არც ერთი თავისუფალი (ხელფასიანი) თანამშრომელი, არ ჰქონდა არათუ ჰონორარის გაცემის, ქალაქის შექმნის სახსარიც კი, იდეგნებოდა ცენზურის მიერ.

ამ მიზეზებით იმ დროის ვერც ერთი ქართული ჟურნალი ვერ გამოდიოდა პერიოდულად. მხოლოდ „ცისკარი“ ახერხებდა ასე თუ ისე სისტემატურად გამოსვლას. ისიც, უმთავრესად, იმის წყალობით, რომ მასალის შერჩევას პრინციპულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა: გაკირვების დროს, ბეჭდავდა თითქმის ყველაფერს. რაც ხელთ მოხვდებოდა. „კრებული“ ამ მხრივ ყველა წინამორბედ და მის თანამედროვე ქართულ გამოცემაზე შეუდარებლად მაღლა იდგა. მას იშვიათად თუ დაურღვევია იდეური გეზის შესაბამისად, მასალის მკაცრ შერჩევის პრინციპი. ყოველი ახალი ნომერი, არა მარტო აგრძელებდა წინა ნომრის ხაზს, არამედ აღრმავებდა, აფართოებდა და მიზანსწრედ უფლად ანმტკიცებდა მას. ამაშია, უწინარეს ყოვლისა, მისი ჟურნალური ხასიათი და ცალკეული ნომრების დაგვიანებით გამოსვლა არავითარ საბუთს არ გვაძლევს აღმანახად ან „დროების“ დამატებად გამოვაცხადოთ ის. სულ დაიბეჭდა „კრებულის“ 22 ნომერი, 18 წიგნად. აქედან: 1871 წელს — ხუთი ნომერი (1, 2, 3, 4, 5); 1872 წელს — ოთხი ნომერი, სამ წიგნად (6, 7, 8—9); 1873 წელს — წინა წლიდან გადმოსული სამი ნომერი, ერთ წიგნად (10 — 11 — 12) და 1873 წელს ათი ნომერი, ცხრა წიგნად (1, 2, 3, 4, 5—6, 7, 8, 9, 10. აქედან მე-10 ნომერი ფაქტობრივად, 1874 წელს გამოვიდა).

ქართული ჟურნალ-გაზეთები დიდი გაჭირვებით ვრცელდებოდა, „ხელისმომწერი სანთლით საძებარი იყო“ და როგორც გამოცემა, ისე ხელმოწერა ქველმოქმედებად ითვლებოდა. „დროებას“ 300 ხელისმომწერი ჰყავდა, „ცისკარს“ — 100, „მნათობს“ — 250, „სასოფლო გაზეთს“ — 300-მდე და „კრებულს“ რაღა მოუგროვებდებოდა?¹ იმდროინდელ ჟურნალებს უმთავრესად ამიტომ არ ესიამოვნათ ახალი მოძმის დაბადება, — ფიქრობდნენ, „სარჩოს გაგვიყოფს“ და ყველანი გავჩანადლებითო. „მნათობის“ 1871 წლის მეორე ნომერში კუხელნა დაუფარავად გამოთქვა ეს აზრი, — „ჩვენი სალიტერატურო ასპარეზი ძალისძალით არის ვადიდებული“, — ჩვენს ხალხს ჯერ ამდენი გამოცემის შენახვის თავი არ აქვსო.

„კრებულის“ მესვეურებმა კარგად გაითვალისწინეს მოსალოდნელი სიძნელები და ეფექტური ღონისძიებანი გაატარეს ჟურნალის გავრცელების უზრუნველსაყოფად.

პირველი ნომერი, რომელიც დღესაც ყურადღებას იქცევს მდიდარი შინაარსითა და გაფორმებით, რედაქციამ უფასოდ დაუგზავნა „დროების“ მკითხველებს. გაზეთებში გამოქვეყნდა განცხადება, რომ: „Сборник“ („კრებული“) разсылается бесплатно всем подписчикам газеты „время“². შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დროების“ მკითხველებს დაეგზავნათ დაახლოებით 350—400 ეგზემპლარი. იმავე განცხადებიდან ვგებულობთ, რომ „კრებულის“ პირველი წიგნი კერძო წიგნის მაღაზიებშიც იყიდებოდა და ამ მიზნითაც არა ნაკლებ 299 ეგზემპლარისა მაინც უნდა დაებეჭდათ; ამასთან, „გამოცემის ნახევარი ხალხში მუქთად რიგდებოდა“³. ამ მონაცემთა საფუძველზე საკმაო სიზუსტით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კრებულის“ პირველი წიგნის ტირაჟი, სულ მცირე, 650 ცალს მაინც შეადგენდა.

ჟურნალს გამოსვლისთანავე დაუპყრია მკითხველი საზოგადოება და მთელი ტირაჟი თვალის დახამხამებაში გავრცელებულა. ამის თაობაზე საინტერესო ცნობებს შეიცავს „დროებაში“ გამოქვეყნებული შემდეგი განცხადება: „ჩვენ ხშირად მოგვდის სხვადასხვა მხრით „კრებულის“ პირველი წიგნის მოთხოვნა. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ არც ერთი ეგზემპლარი აღარ გვაქვს ამ წიგნისა. ასე რომ, იმას ჩვენ „კრებულის“ ხელისმომწერლებსაც ველარ ვუგზავნით... რადგანაც ამ წიგნს ბევრი პირი თხოულობს, ჩვენ მის ხელახლად დაბეჭდვას შევუდგებით და ამ ორი თვის განმავლობაში ვეცდებით გაუუგზავნოთ ჩვენ კორეს-

¹ ზ. ჯიჭინაძე, ისტორია ქართული ჟურნალებისა და გაზეთებისა, გვ. 38.

² Кавказ, 1971, № 2.

³ ზ. ჯიჭინაძე, „ნ. ნიკოლაძე“. 1897, გვ. 36.

პონდენტებს „კრებულის“ პირველი წიგნის მეორე გამოცემა, მაგრამ „კრებულის“ რედაქცია სთხოვს ყველას, ვისაც კი ამ წიგნის შექმნა სურს, დროთი შეატყობინოს რედაქციას თავისი სურვილი, რომ ხელახლად უწიგნო არ დარჩეს, რადგანაც მეორე გამოცემა დაიბეჭდება მარტო ორას ეგზემპლიარათ¹.

იჩვენება, რომ: ა) „კრებულის“ პირველი წიგნის მეორე გამოცემა (200 ეგზემპლარი) პირველი ტირაჟის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა; ბ) პირველი ნომრის ორივე ტირაჟი (ძირითადი და დამატებითი) 800—900 ეგზემპლარამდე აღწევდა; გ) გაითვალისწინებდა რა პირველი ნომრის გამოცემის გამოცდილებას, მომდევნო ნომრებს რედაქცია ამაზე ნაკლები ტირაჟით მაინც აღარ გამოუშვებდა.

ამ ფაქტების შუქზე მთლად სწორად აღარ მოჩანს გრ. ყიფშიძის ცნობა, რომ: „Кребули“ печатался в количестве 500 экз.²

იქნებ გრ. ყიფშიძეს მხედველობაში ჰქონდა ჟურნალის გამოცემის უკანასკნელი პერიოდი ან, უბრალოდ, იმ დროისთვის წარმოუდგენლად მოეჩვენა დასახელებულზე უფრო დიდი ტირაჟი. ყველა აღნიშნული ცნობის შეჯერებით უნდა დაეასკვნათ, რომ „კრებულის“ ტირაჟი სხვადასხვა დროს 500—900 ეგზემპლარს შორის მერყეობდა. ეს სარეკორდო რიცხვია იმდროინდელი ქართული პერიოდული გამოცემისათვის და თავისთავადაც მეტყველებს ჟურნალის ღირებულებაზე.

„კრებულზე“ ხელმოწერა პირველად 1871 წლის აპრილში გამოცხადდა (ჟურნალად გამოცემაზე ნებართვის მიღების შემდეგ); განცხადებები დაიბეჭდა „მნათობში“ (№ 2), „ღროებაში“ (№ 5), „კავკასში“ (№ 1) და სხვ.

შემდეგ განცხადებები ხელმოწერის პირობებსა და გავრცელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, თვით „კრებულშიც“ სისტემატურად ქვეყნდებოდა (1871 წ. № 4, 5, 6, 7, ..., 1872 წ. № 7, 10—1—12. — 1873 წ. № 2, 3 და ა. შ.).

„კრებული“ საქართველოს ყველა კუთხეში ვრცელდებოდა, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებშიც დიდი რაოდენობით იგზავნებოდა და აზღვარგარეთაც (პარიზი, ვენევა, ციურიხი და სხვ.) მიდიოდა³, ხელმოწერის განცხადებები საინტერესო ცნობებს შეიცავს ჟურნალის მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რედაქცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მკითხველებთან, ანგარიშს უწევდა მის მოთხოვნებს, ატყობინებდა ამა თუ იმ ნომრის დაგვიანების მიზეზს, აცნობებდა მომდევნო ნომრებში დასაბეჭდ მასალას.

¹ „ღროება“, 1871, № 33.

² Гр. Кипшидзе, Периодическая печать на Кавказе. 1901, стр. 33.

³ ს. მესხი, წერილები, 1874 წლის 7. X, წერილი კეკე მელიქიშვილისადმი.

„კრებულს“ კორესპონდენტ-გამავრცელებლებიც ჰყავდა სხვადასხვა ადგილას (გერასიმე კალანდარიშვილი და სიმონ ჩომახიძე — ქუთაისში, რაჟდენ ციციშვილი — სიღნაღში, ლევან ჭანდიერი — თელავში, ანა მუსხელიშვილი — ახალციხეში, ზურაბ არუწოვი — ფოთში, დავით ბარნაბიშვილი — მარტვილში, მამია გურიელი — ოზურგეთში, ვ. მიტრი მელვინეთუხუცესი — გორში, ზურაბ მორთულაძე — დუშეთში და ა. შ.; ბეთანელი — პეტერბურგში, ი. მესხი — ციურხში, ბ. ჭაფარიძე — ენევაში და სხვ.)

„კრებულის“ გავრცელებას ხელს უწყობდა გაზ. „დროებასთან“ მისი მჭიდრო კავშირი, საერთო ხელისმომწერა.

„კრებულის“ გამოწერის ფასი პირველივე განცხადების მიხედვით, („მნათობი“, 1871, № 2) განსაზღვრული იყო ასე: წლიურად, თბილისში, გაუგზავნელად: ხუთი მანეთი, — გაგზავნით (ყველგან) — ექვსი მანეთი. „დროებასა“ და „კრებულზე“ ერთად ხელმომწერის თანხა 10 მანეთი. „დროების“ ხელისმომწერთ შეეძლოთ თვით გაზეთის რედაქციაშივე დამატებით გაეგზავნათ სამი მანეთი „კრებულის“ გამოცა-წერად.

რადგან 1871 წელს რედაქციამ ხელისმომწერები ყველა 12 ნომრით ვერ დააკმაყოფილა, 1872 წელს, ერთხანს, ახალი ხელისმომწერა აღარ გამოცხადებულა („კრებული“, 1872, № 1), ხოლო ივნისში („კრებული“, 1872 წ. № 6) ხელმომწერა გამოცხადდა 1871 წელს დარჩენილ ექვს წიგნზე (ვისაც აღრე არ ჰქონდა გამომწერილი). „ამ ნახევარა წლისა... გაგზავნით სამი მანეთი“.

1873 წლისთვისაც ხელმომწერის იგივე პირობები იყო დატოვებული: ერთი წლით, გაუგზავნელად — 5 მან., გაგზავნით — 6 მან. ნახევარი წლით, გაუგზავნელად — 2 მან და 50 კაპ., — გაგზავნით 3 მან „დროება“ და „კრებული“ ერთად, მთელი წლით — 9 მან. — ნახევარი წლით — 5 მან.

ამასთან, „კრებულის“ ნომრები თავისუფლადაც იყიდებოდა სტამბასა და წიგნის მაღაზიებში. ერთი ეგზემპლარის ფასი თავიდანვე განსაზღვრული იყო 50 კაპიკით („კავკაზი“, 1871, № 1). შეიძლებოდა ცალკეული ნომრების გამოწერაც, — გაგზავნით — 60 კაპ. (ზოგ ნომერს კიდევ აწერია უკანა ყდაზე: „ფასი ათი შაური“).

ხელმომწერას იღებდნენ: თბილისში — „კრებულისა“ და „დროების“ რედაქციები, ივანოვის ბიბლიოთეკა; ქუთაისში — გერასიმე კალანდარიშვილი (სასულიერო სასწავლებელში), ს. მესხის ოჯახი და სხვ.

იმ დროისთვის დიდი ტირაჟის მიუხედავად ხელმომწერის თანხა სანახევროდაც ვერ ანაზღაურებდა გამოცემის ხარჯებს. როგორც აღვნიშნეთ, ტირაჟის ნახევარი ხალხში უფასოდ რიგდებოდა და, რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძის ფინანსური დახმარების გარეშე, „კრებული“ ვერ იარსებებდა.

„კრებულის“ პირველი ნომერი დაბეჭდილია ღუბელიორის (გ. წერეთლისა და ამხ.) სტამბაში. მე-6 ნომრიდან (1872 წლის იანვარი) ამ ფირმის სახელწოდება წარმოდგენილია ახლებურად: გ. წერეთლისა და ამხ. (ღუბელიორის) სტამბა.

ღუბელიორის სტამბა დაარსდა მიხ. ვორონცოვის მმართველობის დროს, 1846 წელს. გ. წერეთელმა ის იჯარით აიღო 1870 წელს და საგანგებოდ გადააკეთა „კრებულის“ გამოსაცემად. „კრებულთან“ ერთად ერთხანს ამ სტამბაში „დროება“ და „სასოფლო გაზეთიც“ იბეჭდებოდა. საერთოდ, გ. წერეთელი სტუდენტობის პერიოდშივე დაინტერესებულა სასტამბო საქმით და საფუძვლიანადაც გასცნობია მას პეტერბურგში. მაგრამ, ღუბელიორის სტამბა მარტო გ. წერეთელს არ აუღია იჯარით; ამხანაგობაში (კომპანია), რომლის სახელითაც იგი სტამბას მართავდა, შედიოდნენ, აგრეთვე ნ. ნიკოლაძე, პ. უშიკაშვილი და, შესაძლებელია, ს. მესხიც. ღუბელიორის სტამბის უფროს ასოთამწყობად ექვ. ხელაძე მიიწვიეს. საიჯარო თანხას, თითქმის მთლიანად ნ. ნიკოლაძე იხდიდა, რადგან „ხელისმომწერთა ფული... ქალაღდს... არ ყოფნიდა“¹.

1873 წელს მცირე ხნით „მნათობის“ სტამბაც „კრებულისას“ შეუერთდა; მაგრამ იმხანად საზღვარგარეთ მყოფი ნ. ნიკოლაძის ფინანსიური მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა და მას საიჯარო თანხის გადახდა უძნელდებოდა. ამის თაობაზე ს. მესხი 1873 წლის 21 მაისს კეკე მელიქიშვილს სწერდა: „შენ იცი, როგორ მოუთმენლად მოველოდით ჩვენ ნიკოლაძის ჩამოსვლას. ყველა სიკეთეს იმისგან ან უკეთ რომ ვსთქვათ, იმის ფულებისაგან მოველოდით. მაგრამ სწორედ „ჩიბეცარიელი, მილიონებზე მაღლა მყვირალი“ — გრ. ორბელიანმა რომ სთქვა, ისე ჩამოვიდა, მე და ჩემს გაზეთს, ღვთის მაღლით, მაგის ფულები არა სჭირია. მაგრამ ტიპოგრაფიის გადასახდელად გვეკირდება და „კრებულისათვის“².

ზაქ. ჰიკინაძის ცნობითაც, ნ. ნიკოლაძეს ვალის გადახდა ვერ მოუხერხებია და სამი წლის იჯარის შემდეგ (1870—1893) სტამბა „ისევ პატრონის ხელში გადასულა“ (მოგვიანებით ღუბელიორი და ენთიანჯიანცი გაერთიანებულან)³; 90-იან წლებში ღუბელიორის სტამბა

¹ ზ. ჰიკინაძე, ნ. ნიკოლაძე, გვ. 36; ზ. ჰიკინაძე, ნ. დოღობერიძე, გვ. 135, 182.

² ს. მესხი, წერილები, გვ. 151.

³ „ქართული წიგნი“ (ბიბლიოგრაფია), 1, გვ. 529.

ავლაბარში გადაუტანიათ და იქ, სხვათაშორის, ზაქ. ჰიქინაძეც ბეჭ-
დავდა თურმე წიგნებს¹.

ამასთან დაკავშირებით, „დროება“ — „კრებულის“ მესვეურებს
ს. ზარათოვის თანხით, საკუთარი სტამბის შექმნა განუზრახავთ, ეს
სასტამბო დავიდარაბაც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ 1873 წლის „კრე-
ბულის“ ნომრები არარეგულარულად, დიდი დაგვიანებით გამოდიოდა.
ბოლოს, ჟურნალის რედაქცია იძულებული გამხდარა ს. მელ. ჟიშვილი-
სა და ამხანაგობის სტამბისათვის მიემართა, რომელიც ისედაც დატ-
ვირთული იყო შეკვეთებით; 1873 წლის ივნისიდან (№ 2) „კრებული“
აღნიშნულ სტამბაში იბეჭდებოდა.

აარსებდა რა საკუთარ სტამბას, „კრებულის“ რედაქციას იმედი
ჰქონდა. და ჟურნალმა მართლაც შესძლო რამდენიმე წიგნის გამოცე-
მა; 1871 წელს დასტამბა გ. ერისთავის „დაეა“ და ა. ცხვედაძის ოთხ-
მოქმედებიანი კომედია „ბედნიერი ქორწილი?“, 1873 წელს — ი. ჰაე-
ჰაეაძის „გლახის ნაამბობი“ (ამონაბეჭდი „კრებულიდან“), მაგრამ
უსახსრობის გამო მეტის გაკეთება ვერ შესძლო. სტამბაშივე შეიძლე-
ბოდა როგორც ჟურნალის ნომრების, ისე აღნიშნული გამოცემების
ყიდვა³.

რედაქცია

„კრებულის“ თითქმის ყველა განცხადება რედაქციის სახელით ვა-
მოქვეყნდა. მაგრამ არც საპროგრამო განცხადებაში, არც ჩვენს ხელთ
არსებულ სხვა საბუთებში არ ჩანს, ნამდვილად წარმართავდა თუ არა
ჟურნალს სარედაქციო კოლეგია და ვინ შედიოდა მის შემადგეხლო-
ბაში. მიუხედავად ამისა, მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ „კრებულს“
სათავეში ედგა მუშაკთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც კოლექტიურად,
ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე წყვეტდა როგორც ამა თუ იმ
თხზულების დაბეჭდვას, ისე ჟურნალის მუშაობასთან დაკავშირებულ.
სხვა საკითხებს. ამ ხელმძღვანელ ჯგუფის — რედაქციის — საქმიანო-
ბაში მონაწილეობდნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. უმიკა-
შვილი და კირ. ლორთქიფანიძე (1873 წლიდან). მათი წერილებიდან ირ-
კვევა, რომ, გამოცემის ორგანიზაციულ მხარეზე რომ არაფერი ვთქვათ,
ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს დასაბეჭდ ნა-
წარმოებთა შესახებ, ერთად განიხილავდნენ პოლემიკურ სტატიებს

¹ ზ. ჰიქინაძე, ისტორია ქართულის სტამბისა და წიგნის ბეჭდვისა,
გვ. 46—47.

² „ქართული წიგნი“ (ბიბლიოგრაფია) I, გვ. 47.

³ გაზ. „კავკაზი“, 1871, № 2; „მნათობი“, 1871, თებერვალი.

და განსაზღვრავდნენ ჟურნალის პოზიციას, შეთანხმებულად წყვეტდნენ თანამშრომელთა მოწვევის საკითხს და სხვ.

რედაქციას ჰქონდა მუდმივი ადგილსამყოფელი, სადაც იმართებოდა სხდომები, თხზულებათა კითხვა-განხილვა, ავტორებთან და ხელისმომწერებთან მოლაპარაკება და მიმოწერა.

1871 წლის იანვრიდან რედაქცია მოთავსებული იყო სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში (დუბელირის — გ. წერეთლისა და ამხ.—სტამბასთან ერთად), შემდეგ — ხანის ქუჩაზე, ხატისოვის (ბებუთოვის) სახლში, 1873 წლის დასაწყისიდან კი „ღროების“ რედაქციასთან ერთად, სოლოლაკზე, სოლომონ მირიმიანოვის სახლებში.

ბაქნიაური გაფორმება

1871 წლის თებერვლის სარედაქციო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „კრებული“ გამოვიდოდა „სივრცით თოთხმეტ პატარა თაბახიღვან მოკიდებული ოცამდი“. ჟურნალი ფაქტობრივად უფრო მცირე მოცულობით გამოდიოდა — საშუალოდ, 8-დან 12 თაბახამდე. ამასთან შეერთებული ნომრები, მაგალითად, 1872 წლის X, XI და XII ნომრები ერთად, — დიდად არ აღემატებოდა ცალკე გამოსულ ნომრებს.

გარეგნულად „კრებული“ მიმზიდველ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩახვეული ასოებით შესრულებული სათაური, მოწითალო ყავისფერი ყდა, ზომიერი ფორმატი აშკარად გვიჩვენებს, რომ რედაქციას იმთავითვე საგულდაგულოდ უზრუნია მხატვრული გაფორმებისათვის.

სამწუხაროდ, ასეთი გულმოდგინება არ ემჩნევა მასალის დალაგებას და, საერთოდ, შეუძლებელია რაიმე თანმიმდევრობის დადგენა. ჟურნალი დაყოფილი არ არის რუბრიკებად, განყოფილებებად, სრულიად სხვადასხვა ჟანრისა და დარგის თხზულებანი აღრეულია ერთმანეთში.

რუბრიკების მიხედვით მასალის დალაგების აუცილებლობას ჟურნალის მესვეურებიც გრძნობდნენ; საპროგრამო სტამბაში — „კრებულის დანიშნულებაზედ“, ნიკო ნიკოლაძე მკითხველს ჰპირდებოდა — თხზულებებს შინაარსის მიხედვით დავალაგებთო, ხოლო 1873 წლის 19 თებერვალს ს. მესხს სწერდა: „თუ ძმა ხარ, ეს რუბრიკა -- „სსკათა შორის“ — არ წაშალო“.

მასალის არათანამიმდევრული, გარკვეულ პრინციპს დაუმყარებელი დალაგება „კრებულს“, უეჭველად, უკარგავს ჟურნალის იერს. ხშირად „კრებულის“ კითხვას ნუმერაციის აღრევაც აძნელებს. გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ნაწარმოები („გულივერის მოგზაურობა“, „მიმოძაველი ურია“, „საქართველოს ისტორიული სურათები“ და სხვ.)

დამოუკიდებელი ნუმერაციით იბეჭდებოდა, მრავალი გვერდი სხვა ადგილებშიც შეედომით არის დანომრილი. ცხადია, ამ ვითარებაში გვერდების მითითებას არავითარი აზრი არა აქვს.

აქა-იქ ტექნიკური გაფორმების სხვა ნაკლოვანებებსაც ვხვდებით, ცუდად დაჭრისა და აკინძვის გამო ცალკეული სტრიქონები და სიტყვები დაკარგულია: (1873, № 3 და სხვ.). ყოველ ნომერს წამძღვარებული აქვს სარჩევი („პირველი წიგნის შინაარსი“ და ა. შ.), მაგრამ გაუგებრობას აქაც ვაწყდებით: 1873 წლის მე-3 ნომრის სარჩევეში დასახელებული „მეფის სოლომონ მეორის დრო“ სინამდვილეში აქ დაბეჭდილი არ არის.

შედარებით, უკეთ გამოიყურება კორექტურა. შეცდომები იშვიათია და, რაც არის, მეტწილად გასწორებულია სქოლიოში ან საგანგებოდ ჩართულ გვერდებზე (1872, № 7, 1873, № 1, 2 და ა. შ.). საყურადღებოა, რომ ამ მხრივ ავტორები რედაქციას მკაცრ მოთხოვნას უყენებდნენ და თვითონაც მონაწილეობდნენ კორექტურასა და ტექნიკურ გაფორმებაში; „კრებულში“ „ქართვის ღედის“ დაბეჭდვასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძემ ვრცელი წერილი გაუგზავნა პეტრე ნაკაშიძეს დუშეთიდან და, სხვათა შორის, სთხოვა: „კორექტურა შენთვის მომინდვია“: „გლახის ნამბობის“ კორექტურის თაობაზე 1873 წლის 14 მარტს ილიას ვრცელი წერილი გაუგზავნია კირ. ლორთქიფანიძისათვის, ხოლო „მეფე ლირის“ ტექნიკური გაფორმების შესახებ მას, შეიძლება ითქვას, მთელი ინსტრუქცია გამოუგზავნია პეტერბურგიდან პეტრე უმიკაშვილისათვის: „... ეხლა ორს შეუცვლელს პირობას გიღებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ, რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დაჰტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთ ნომერში სრულად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაციცებულ თვალს მიანდონ“.

ცენზურა

როგორც იმ დროის ყველა ლეგალური გამოცემა, „კრებულის“ ცენზურის არტახებით იყო შებოჭილი. პოლიტიკური დევნისა და ტერორის განუშორებელი შიში ქვეცნობიერად აკონტროლებდა შემოქმედებით პროცესს, არღვევდა მის ბუნებრივ უშუალობას, ფსიქიკურად უქვემდებარებდა მას „აკრძალულის“, „დაუშვებელის“ სუსხიან მუქარას, რაც შეუმჩნევლად აღუწებდა აზრთა, სახეთა და გამოთქმათა იმ სითამამეს, რომელიც ტალანტის სრული გამოვლინებისა და წარმატების აუცილებელი პირობაა. ცენზორის ჩრდილი მწერლის სამუშაო მაგიდას არასოდეს შორდებოდა. 1866 წ. 16 იანვარს ნიკოლოზ

ლოლობრიძე სწერდა კირ. ლორთქიფანიძეს; „წერიის დროს აქაური ცენზურა უნდა იქონიოთ სახეში“.

და, მიუხედავად იმისა, რომ ავტორებსა და რედაქციას ამ საშიშროებათა წინასწარ გათვალისწინებით მომზადებული ნაწერები მიჰქონდათ. საცენზურო კომიტეტში, იქ მაინც ათასგვარ საბაბს პოულობდნენ მათ საწინააღმდეგოდ. ცენზურის გაუთავებელი შარების გამო ჟურნალის ცალკეული ნომრები რამდენიმე თვის დაგვიანებით გამოდიოდა. 1872 წლის ოქტომბრის წიგნი (ისიც მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრები ერთად) ხუთი თვის დაგვიანებით გამოვიდა. ს. მესხი („ს. მ.“) ამის თაობაზე წერდა: „ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ეს უკანასკნელი სამი წიგნი „კრებულისა“ შარშან დეკემბერში იყო სრულიად მზად, მაგრამ შემდეგ იმდენი წვალება, იმდენი წეწაგლეჯა გამოიარა, თუ გარეგანი და თუ შინაგანი მიზეზებისა გამო, რომ გამოსვლით თებერვლის დამლევამდე ვერ გამოვიდა“¹.

1871 წლის № 4 საცენზურო ვიზა გაცემულია 30 აპრილს, ხოლო მე-6 ნომრისა 25 სექტემბერს — ექვსი თვის დაგვიანებით. 1872 წლის მე-8—მე-9 ნომრისა 21 ივლისს, ხოლო მომდევნო ნომრისა კვლავ ექვსი თვის დაგვიანებით — 1873 წლის 20 იანვარს. 1873 წლის მე-5—მე-6 ნომრის ვიზა გაცემულია უფრო ადრე (29 აგვისტოს), ვიდრე მე-4 ნომრისა (25 სექტემბერს).

ხელისუფლებისა და გავლენიან პირთა მითითებით, ცენზურა სტამბაში გავზავნილი ნომრებიდანაც იღებდა ცალკეულ თხზულებებს. 1872 წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილი გ. წერეთლის „ჩვენი საზოგადოების ქრონიკის“ ქვესათაურებში მეორე თავად მოხსენებულია „ლექსთა გაბაასება ძველსა და ახალ თაობას შუა“ (დასახელებულია სარჩევიც), რომელსაც ტექსტში ვერ ვხვდებით. მის ნაცვლად მეორე თავი წერტილებითაა დაფარული.

კომიტეტში რაღაც გასაოცარი გაბოროტებით ჯიჯინდნენ ილია ჭავჭავაძის ნაწერებს. „კრებულში“ დაბეჭდილი თითქმის ყველა მისი ლექსი და მოთხრობა საგრძნობლად დაჩეხილია ცენზურის მიერ. ის თხზულებანი, რომელთა გამოქვეყნება ილიამ „საქართველოს მოამბეში“ ვერ მოახერხა, „კრებულშიც“ დასანანი ხარვეზებით დაიბეჭდა. ილია წინასწარ ითვალისწინებდა ამას და ცენზორთა უნდობლობა-ცოტათი მაინც რომ ჩაეცხრო 1873 წ. 18 იანვარს ნ. ნიკოლაძეს სწერდა: ჩემი „აჩრდილის“ პირველ ნაწილს გიგზავნი. თუ მოგეწონოთ, სრულად დაბეჭდეთ. ვიცი, რომ XVI ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლის. ისევე ისა სჯობია, ჩვენ წინააღმდეგ დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს“. საქმეს ვერც ამ სირფთხილემ უშვე-

¹ „დროება“, 1873, № 13.

ლა. ცენზორი „მაინც აუღელვებია“ „აჩრდილის“ რევოლუციურ პათოსს და, გარდა ამ სტროფისა, XVI თავიდან: („გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან. მთავრის ღიმილზე პატიოსნებას და დაჯანგებულ ბორკილზე სცელიან თავის მამულის თავისუფლებას“, ბევრი სხვა ადგილიც ამოუშლია პოემიდან. სრულებით არ გაუშვეს IX თავი (1873 წ; მე-5—მე-6 ნომრის სარჩევში დასახელებულია, დაბეჭდილი კი არ არის). VIII თავიდან ამოშლილია ბოლო 13 სტრიქონი; XVIII თავიდან — ბოლო 4 სტრიქონი; VII თავიდან ამოღებულია: „წარტყვევნილი ვარ წარსულ დღეთა შენთა ნატვრითა, შენის აწმყოთი სული, გული დამწყულულებია“... „ამ გულში მე მაქვს (შენი აწმყო), შენი წარსული“. VIII თავში ცენზურას ერთი სიტყვის წაშლით (რომელსაც ფრჩხილებში ვათავსებთ) უცდია პოეტის პოლიტიკური მანვილის დაჩლუნვება: („აქ) კაცად-კაცადს, ზნეობით მკვდარსა, ქვეყნის ტივილით არ სტკივა გული“ და ა. შ.)

ლექსში „1871 წლის 23 მაისი („კომუნის დაცემის დღე“) — კომუნის მიმნიშნებელი სახელწოდება ცენზურამ ამოშალა და „კრებულის“ 1873 წლის მე-5—მე-6 ნომერში „პარიჟის“ სათაურით დაიბეჭდა. ცენზურისაგან შებღალული გამოქვეყნდა აგრეთვე ილიას ლექსი „ბედნიერი ხალხი“ (1871, № 5), მაგრამ განსაკუთრებული „წეწვა-გლეჯა“ მაინც „მგზავრის წერილებმა“ განიცადა. დასაბეჭდად წარდგენილ ხელნაწერში ცენზორმა მთლიანად ამოშალა I თავი. III თავიდან ამოაგდო ცნობილი ადგილი: „სიტყვა „რევოლუციამ“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ შშვიდობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადულდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაიწმინდება ზოლმე. ასეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“. ამავე თავიდან ამოღებულია სიტყვები: „მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიაშბოს (თავისი გულისტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი) თავისი იმედი და უიმედობა“; VII თავში ცენზურას არ გაუშვია წინადადება: „ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“. ამოშლილია დასასრულიც: „მიგიხვდი ჩემო მოხევევ, რა ნესტარითაც ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, — ჰსთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიშარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი“ და ა. შ. ილია უზომოდ აუღელვებია ცენზურის სისასტიკეს; „კრებულისათვის“ წარდგენილი, ცენზორის მიერ ნასწორები ავტოგრაფი მას მწარე, დამცინავი შენიშვნებით აუტკრელებია. დასაწყისში, სადაც აწერია: „Дозволено цензурою 23 июля, 1871 г.“ სიტყვასთან „Цензурою“ ილიას ჩაუმატებია: „дурацкою“.

ხოლო სხვა ადგილებზე მისივე ხელით მიწერილია: „ცენზორს სუნის ადღა სცოდნია!“ „ახ, ცენზორო, უნდა!“ და სხვა.

მიუხედავად ენერგიული ცდისა, „კრებულმა“ ვერასგზოთ ვერ მობანებია ილიას პუბლიცისტური წერილის — „ზოგიერთი რამ“, დაბეჭდვა. ავტორი კირ. ლორთქიფანიძეს დუშეთიდან სწერდა: „რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ“ უნდა ჰქონდეს. მაინც, პბეჭდავთ მაგ სტატიას თუ არა. ოღონდ ეგ დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი დავუთმოთ“. მაგრამ, როგორც სჩანს, ვერავითარმა „დათმობამ“ ვერ უშველა. აღნიშნული წერილი მხოლოდ 1876 წელს გამოქვეყნდა „დროებაში“ (14 მარტის ნომერში).

საცენზურო კომიტეტი ჟურნალში დასაბეჭდად წარდგენილ თარგმანებსაც უნდობლად ეკიდებოდა: ნაწყვეტებს ბაირონის „გაიური-დამ“, რომელიც 1872 წ. 10—12 ნომერში გამოქვეყნდა (მ. გურიელის თარგმანით), ბოლოს, სქოლიოში, დართული აქვს რედაქციის შენიშვნა: „ეს ადგილები გამოცვლილია. იქ, საცა საბერძნეთი უნდა იყოს, იმის მაგიერათ თარგმანში საქართველოა მოხსენებული“. მაგრამ, აღნიშნული „ალაგები“ „კრებულში“ არ დასტამბულა, ცენზორს ამოუღია და ამიტომ რედაქციის შენიშვნასაც, ალბათ, ამ ძალმომრეობის მინიშნება ჰქონდა მიზნად.

რედაქცია ცდილობდა გზა გაეწმინდა მოწინავე თხზულებებისათვის და ბევრ გონებამახვილურ ხერხს იყენებდა საცენზურო რეპრესიების მოსაგერიებლად. საინტერესოა ამ მხრივ ილია ქავჭავაძის ლექსის — „მესმის, მესმის სანატრელი“ დაბეჭდვის ისტორია. 1870 წელს ილიას რამდენიმე ნაწარმოები გადაუცია ნ. ნიკოლაძისათვის „კრებულში“ დასაბეჭდად და შემდეგ, სხვათა შორის, ეს ლექსიც წაუკითხავს. ამასთან უთქვამს, ლექსი გარიბალდის შეეხება და ცენზურა მუდამ უარს მეუბნება მის დაბეჭდვაზე. მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძეს ეს ლექსიც წამოუღია, მისთვის ფრჩხილებში წაუშეშვარებია შენიშვნა: „ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნისო“ და ამ გზით ცენზორისათვის ნებართვაც გამოუტყუებია (დაიბეჭდა 1871 წლის პირველ ნომერში).

ჟურნალში ხშირად აკრძალული ლიტერატურიდან ამოღებული ნაწყვეტებიც კი იბეჭდებოდა, ცხადია, ავტორისა და თხზულების სახელწოდების მიუთითებლად. ნ. ჩერნიშევსკის რომანიდან „რა ვაკეთოთ?“ ამოღებული ვრცელი ამონაწერით იწყება ჟურნალის პირველსავე ნომერში დაბეჭდილი ნ. ნიკოლაძის წერილი „საახალწლო“.

ჟურნალის რედაქცია და თანამშრომლები არც ამით კმაყოფილდებოდნენ, ისინი პირდაპირ ბრძოლასაც აწარმოებდნენ ცენზურის წინააღმდეგ, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის. 1873 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა აკაის ცნობილი ლექსი — „რჩევა ახალგაზრდა

მწერლებს“, რომელშიც გამარეებული და დაგმობილია ცენზორთა უვიცობა. „აქაკის მშვენიერი ლექსი ცენზორზე (ტვინმეისტერი) ხომ წაიკითხე?!“ — აღტაცებით სწერდა ს. მესხი კეკე მელიქიშვილს. აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის დაბეჭდვის ნებართვა ცენზორს 1869 წელს გაუცია, მაგრამ „კრებულმა“ მხოლოდ ოთხი წლის შემდეგაც ძლივ-ძლივობით მოახერხა მისი გამოქვეყნება.

ისტორიული მაგალითების მოშველიებითაც „კრებულის“ თანამშრომლები მტკიცედ უნერგავდნენ მკითხველს სიტყვის თავისუფლების აზრს და უჩვენებდნენ მას შეფარვით გამოთქმული იდეების გაგების გზას. პ. უმიკაშვილის ვრცელი წერილი იოსებ მაძინის შესახებ, არსებითად, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების დასაბუთებისა და მოთხოვნის გაბედულ ცდად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება ითქვას, გოცებასაც კი იწვევს ამ აზრების სითამამე. „ის ქვეყანა, საცა აზრი ცენზურას ემორჩილება, — წერს პ. უმიკაშვილი, — რასაკვირველია, პირჩაკეტილია... არიან კიდევ იმისთანა სახელმწიფოები, სადაც არავითარი ცენზურა არ არის, სრული თავისუფლებაა“. თავისუფალი აზრებისათვის „ლიტერატურისა და მწერლების შეეიწროება და დასჯა“, — ავტორის სიტყვით, — მოწინავე ადამიანებს აიძულებს საიდუმლო სტამბები გამართონ და ლიტერატურა კონტრაბანდად შემოიტანონ.

ასე რომ, „კრებულმა“, მართალია, ისტორიულ, უცხოურ მაგალითებზე მითითებით, მაგრამ მაინც გასაგებად გააშუქა არალეგალური პრესის როლი, საქმოდ დაასაბუთა მისი შექმნის აუცილებლობა.

ფსევდონიმები და ანონიმები

XIX საუკუნის ქართულ ჟურნალისტიკას რომ ვეცნობით, ისეთი შთაბეჭდილება გვიპყრობს, თითქოს იმ დროს რაღაც მაგიურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ავტორის ვინაობის დაფარვას. ამ მხრივ არც „კრებულია“ გამონაკლისი; თხზულებათა დიდი ნაწილი აქაც ფსევდონიმებით ან, საერთოდ, ხელმოუწერლად ქვეყნდებოდა. ფსევდონიმების გამყდარების გამო 1870 წელს კ. ლორთქიფანიძემ კინალამ ხელი აღღო „დროებაში“ თანამშრომლობაზე; სერგეი მესხი იძულებული გახდა, ათასგვარი ბოდნითა და განმარტებით შემოერიგებია ის.

„კრებულში“ დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის ოცდარვა ნაწარმოებიდან (იგულისხმება გამოქვეყნებული ერთეული) თორმეტი ფსევდონიმით (სამი ვარსკვლავი) დაიბეჭდა; ნიკო ნიკოლაძის ოცდახუთი ნაწარმოებიდან ოცდასამი ფსევდონიმით გამოქვეყნდა (ნ. სკანდელი), ხოლო ორი — ანონიმურად: გ. წერეთლის ოცდარვა თხზულებიდან თოთხ-

მეტი დაისტამბა ფსევდონიმებითა (გ. გორისელი, „გ.-თელი“, „XX“) და ხელმოუწერლად; მხოლოდ ფსევდონიმებით ბეჭდადნენ თავიანთ ნაწერებს მამია გურიელი, გიორგი ქოჩაკიძე, პეტრე უმიკაშვილი, ივანე მესხი და სხვ., ხოლო კირილე ლორთქიფანიძემ თითქმის ყველა ნაწერი ანონიმურად გამოაქვეყნა.

მიუხედავად ამისა, „კრებულის“ ფსევდონიმებისა და ანონიმების აშიფვრა განსაკუთრებულ სიძნელეს მაინც არ იწვევს, რადგან უმთავრეს თანამშრომელთა ფსევდონიმები ახლა საყოველთაოდ ცნობილია. მაგალითად, სამი ვარსკვლავის ხელმოწერით დაბეჭდილი ყველა ნაწარმოები (უმთავრესად ლექსები) შეტანილია ი. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემებში; ასევე უეჭველია, რომ ნ. სკანდელის ფსევდონიმებით მხოლოდ ნიკო ნიკოლაძე აქვეყნებდა თავის ნაწერებს, — გ.—თელისა და გ. გორისელის ხელმოწერით — გიორგი წერეთელი, ფაზლის ხელმოწერით — მამია გურიელი, მ. პეტრიძის ხელმოწერით — პეტრე უმიკაშვილი, გ. ჭალადიდელის ხელმოწერით — გიორგი ქოჩაკიძე, „ვ. ო.“-ს ხელმოწერით — ვახტანგ ორბელიანი.

ამიტომ, ცხადია, ჩვენ სრულებით არ შევხებით იმ ფსევდონიმებს, რომელთა ვინაობა ყველა წყაროთი დადასტურებულია, აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს და სწორად არის ახსნილი, როგორც ურუნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გამოცემებში, ისე ფსევდონიმების ჯერ დაუბეჭდავ ლექსიკონებში¹. ამ მიმართულებით ჩვენ მხოლოდ იმით დავკმაყოფილდებით, რომ მომდევნო თავში („კრებულის“ შინაარსი) ყველა თხზულების დასახელებისას, ფსევდონიმებთან ერთად, ავტორის გვარსა და სახელსაც მიუთითებთ.

ჩვენი კვლევა-ძიების საგანს მხოლოდ ის ფსევდონიმები და ანონიმები წარმოადგენენ, რომლებიც ან სრულიად გაუშიფრავია დღესდღეობით, ან ეჭვს ბადებს ან ცალკეულ მკვლევართა მოსაზრების დასადასტურებლად რაიმე დამატებითი ცნობა მოგვეპოვება.

ინიციალები, როგორც ყოველთვის, აქაც ფსევდონიმებთან ერთად გვაქვს განხილული, რადგან ქართულ ურუნალისტიკაში მათი არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებიც გვხვდებოდა (ე. წ. „მითვისებული ინიციალები“).

¹ სსსმ ფონდი, გ. ბაქრაძე, „ქართული ფსევდონიმები“, № 12672—ბ და გ. მიკაძე, „ფსევდონიმების ლექსიკონი“, № 22878—ბ.

ალეველი. „კრებულის“ 1872 წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილ „მგზავრის შენიშვნებს“ ხელს აწერს ალ ე ვ ე ლ ი. იმ ფსევდონიმის გახსნა და სრულიად დავიწყებული ავტორის გახსენება უთუოდ შეუძლებელი იქნებოდა, მისთვის სოფრომ მგალობლიშვილს რომ არ მიექცია ყურადღება. იგი წერს: „იასონ ნათაძე... კურსის დამთავრების შემდეგ „კრებულში“ მოათავსა ი. ალეველის ფსევდონიმით „მგზავრის შენიშვნები“, რომლებმაც მაშინდელი ახალგაზრდობის დიდი ყურადღება მიიქცია“¹. ავტორი თავისი „მოგონებების“ სხვა ადგილსაც მიუთითებს, რომ იასონ ნათაძე „კრებულის“ მახლობელი თანამშრომელი იყო (იასონ ნათაძე შრომობდა „კრებულში“). იგი მხოლოდ ინიციალის („ი“) დასახელებაში ცდებოდა: „მგზავრის შენიშვნები“ დაბეჭდილია სახელის ინიციალის გარეშე. პირდაპირ „ალეველის“ ხელმოწერით, მაგრამ ამას, ცხადია, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ამ ცნობას სავესებით დამაჯერებლად ხდის ისიც, რომ იასონ ნათაძე, მართლაც, სოფელ ალევიდან იყო და იმ დროს იქაური სხვა არავინ მოღვაწეობდა ჩვენს ლიტერატურაში.

ამასთან, „მგზავრის შენიშვნებში“ ავტორს აღწერილი აქვს მშობლიური კუთხის (ღუშეთის რაიონის) ბუნება და ყოფა.

ამასვე ადასტურებს ლიტერატურული მუზეუმის ფონდში დაცული ფსევდონიმთა ლექსიკონებიც².

ი.—ი 1873 წელს „კრებულის“ მე-8. და მე-10 ნომერებში დაბეჭდა მეტად საყურადღებო პედაგოგიური წერილები სათაურით „ჟმავილეების აღზრდა შვეიცარიაში“, რომელსაც ხელს აწერს ი.—ი. რადგან ამ სტატიებში საკმაოდ ღრმად არის განხილული პედაგოგიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ერთი შეხედვით, შესაძლოა, გვეფიქრა, რომ მათი ავტორი იაკობ გოგებაშვილია (ი.—ი), რომელიც იმ დროს უკვე დიდ როლს ასრულებდა ქართულ პედაგოგიკაში და, ამასთან, დაახლოებულიც იყო „კრებულთან“. მაგრამ, როგორც ირკვევა, ი. გოგებაშვილს არაფერი დაუბეჭდავს ამ ჟურნალში.

საკითხის გარკვევა აუცილებელია იმიტომაც, რომ ეს ფსევდონიმი, რატომღაც შეტანილი არ არის ლიტერატურული მუზეუმის ფსევდონიმთა ლექსიკონში³. ი. ბოცვაძეც ასახელებს რა ივანე მესხის ფსევ-

¹ სოფ. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 51.

² სსმ ფონდი, № 22878—ბ. და 12672—ბ.

³ სსმ ფონდი, № 12672—ბ, მაგრამ დადასტურებულია (დასაბუთების გარეშე) ნაშრომებში: ს. ხუნდაძე, „მასალები ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის“, 1949, გვ. 61; „ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. I; გ. აზნაიანი, „ნარკვევები ქართული აზროვნების ისტორიიდან“, 1959.

დონიშებს „დროებასა“ და „კრებულში“, ამ ინიციალებზე არაფერს ამბობს¹.

არსებითი მნიშვნელობის ცნობას ამ საკითხზე გვაწვდის დავით მესხი, რომელიც თავისი ძმის, ივანეს შესახებ წერს: „იგი ქართულ მწერლობაში ჩაბმული იყო. ჯერ კიდევ ციურხიდან გამოგზავნილი მთელი რიგი წერილები სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე იბეჭდებოდა ჟურნალ „კრებულსა“ და „დროებაში“.

„კრებულის“ წერილში ავტორი, სხვათა შორის, აღნიშნავს; „აი, მე რას ვიწერებოდი შარშან „დროებაში“ ციურხიდან“, და მიუთითებს კორესპონდენციაზე, რომელიც ივანე მესხის ხელმოწერითაა დაბეჭდილი 1872 წლის მე-17 ნომერში.

„ი. — ი.“-ს ფსევდონიმით ივანე მესხი თავის წერილებს აქვეყნებდა, როგორც „კრებულის“ სტატეებამდე, ისე შემდეგაც. ამ ფსევდონიმით არის დაბეჭდილი, კერძოდ, მისი „რომის პაპის ამბავი“ („დროება“, 1873 წ. 10), „მადნის წყლებიდან...“ (კროიციანის წყლები, სადაც მაშინ ივანე მესხი დროებით სამკურნალოდ იყო წასული ციურხიდან) და მრავალი სხვა. მაგრამ, რაც ყველაზე უფრო ყურადსაღებია, ამ ფსევდონიმითვე გამოაქვეყნა მან ნეკროლოგები თავისი მეგობრების ვლადიმერ ნიკოლაძისა და ბესარიონ ჭაფარიძის შესახებ („დროება“, 1872, № 22 და „ივერია“, 1877, №44).

(ი. მ.; ი. მ.-ი) ამ ინიციალებით ჟურნალში დაიბეჭდა გოგოლის „შინელი“ თარგმანი (1871 წ. № 4). საკითხის ვარკვევის აუცილებლობა გამოწვეულია ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით: „გიორგი ჩიქოვანმა „კრებულში“ გოგოლის მოთხრობები სთარგმნა და დაბეჭდა „თუ რაზედ მოუვიდათ ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიტოროვიჩთან“ და „შინელი“².

ამ ცნობის პირველი ნაწილი ექვს არ იწვევს; 1871 წლის მე-3 და მე-4 ნომერებში გ. ჩიქოვანის ხელმოწერით მართლაც დაიბეჭდა თარგმანი „რაზედ მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიტოროვიჩთან“, ხოლო „შინელი“, როგორც აღვნიშნეთ, „ი. მ“-ის ინიციალებითაა დაბეჭდილი: ანგარიშგასაწევია ისიც, რომ „დროებასა“ (1874—1878 წწ.) და „შრომაში“ (1880—1881 წწ.) ამ ინიციალებით ნაწერებს აქვეყნებდა იონა მელნარგია, შესაძლოა, აგრეთვე ამ ინიციალებით ივანე მაჩაბელსაც დაებეჭდა თავისი ნაწერები.

მაგრამ არც ზაქ. ჭიჭინაძის ცნობას, არც დასახელებულ ვარაუდებს, არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

„შინელი“ რომ გ. ჩიქოვანის გადმოთარგმნილი არაა, ამას, სხვათა

¹ ს. მესხი, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციითა და შენიშვნებით, გვ. 223.

² ზაქ. ჭიჭინაძე, დავით ერისთავი, 1892, გვ. 72.

შორის, სტილიტური დაკვირვებაც ცხადყოფს: იგი აჭრელბულია იმერული დიალექტიზმებით: „ქუჩერმა მიხვდა იმის ხმაზედ“, „არაფელი“ და ა. შ. ყურნალის მეოთხე ნომერში, სადაც მოთხრობის დასაწყისი დაისტამბა, მთარგმნელი მითითებულია მხოლოდ სარჩევში („ნათ. ი. მ.-სა“), ხოლო მეხუთე ნომერში, სადაც დასასრულია გამოქვეყნებული, ტექსტის ბოლოს მიწერილია: „ნათ. ი. ი.-სა“. როგორც ზემოთ დავადგინეთ, „ი.-ი“ ივანე მესხის ინიციალებია და, მაშასადამე, „ში-ნელის“ თარგმანიც მას ეკუთვნის. დადგენილია, აგრეთვე რომ აღნიშნული ინიციალებით („ი. მ“) ივანე მესხს სხვა ნაწერებიც აქვს გამოქვეყნებული: „დროების“ 1868 წლის 45-ე ნომერში თარგმანი ნ. ნეკრასოვის ლექსისა „კარგი ზნის კაცი“; 1869 წლის მე-10 ნომერში — გოც-მილერის ლექსისა „კრიტელი დედაკაცი მორეაში“, „სასოფლო გაზეთის“ 1869 წლის მე-13 ნომერში წერილი „რამდენიმე წლის ყმაწვილს უნდა დააწყებინოთ კითხვა და წერა“ და ა. შ.

„ი. მ.“ (ი. მ-ი) ივანე მესხის ინიციალებადაა მიჩნეული ლიტერატურული მუზეუმისეულ „ფსევდონიმთა ლექსიკონებშია“¹ ამავე აზრისაა ი. ბოცვაძეც².

დ. მ. „კრებულის“ 1872 წლის №10—12-ში დაბეჭდილ ლექსს „ჩიტი“ ხელს აწერს დ. მ.

ქართულ ყურნალ-გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში ეს ინიციალები აუხსნელადაა დატოვებული, ხოლო ლიტერატურული მუზეუმის ფსევდონიმთა ლექსიკონებში სრულებით არ არის შეტანილი. სიმნელეს ისიც ქმნის, რომ ამ ინიციალებით იმ დროს რამდენიმე ლიტერატორი წერდა ან შეეძლო ეწერა. ესენი იყვნენ: დიმიტრი მგალობლიშვილი (მგალობელოვი), რომელსაც, სხვათა შორის, „ცისკარის“ 1864 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნებული აქვს ნ. ნეკრასოვის ლექსის თარგმანი — „როს სიბნელისაგან შეცდომილების“; სხვადასხვა დროს ამ ინიციალებით დაბეჭდილია, აგრეთვე, „რამდენიმე ჰაზრი საზოგადოს ცხოვრებისათვის“ („ცისკარი“, 1859; № 1); „ბავშვის ჩივილი“ (ლექსი) დობროლიუბოვიდამ („სასოფლო გაზეთი“, 1869, № 21); „ყელის ტკივილი“ (თარგმანი რუსულით. („სასოფლო გაზეთი“, 1871, № 8, 9). აღნიშნულ პერიოდში ხშირად იბეჭდებოდა ცნობილი პოეტის დაღით მაჩაბლის ლექსებიც. „დროებაში“ თავის ნაწერებს უკვე აქვეყნებდა დავით მიქელაძეც. ამ ინიციალებს მოგვიანებითაც ვხვდებით „ივერიაში“ („წერილი პეტერბურგიდამ“, 1891, № 24).

მაგრამ აღნიშნულ ავტორთა ნაბეჭდი და ხელნაწერი მასალების გაცნობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ „კრებულში“ გამოქვეყნებული ლექსი — „ჩიტი“ არც ერთ მათგანს არ ეკუთვნის.

¹ სსმ, №№ 12672—ხ და 18833—ხ.

² ს. მესხი, წერილები, გვ. 233.

„ღ. მ“-ს ინიციალების მქონე ავტორთაგან „კრებული“ — „დროე-
ბასთან“ მაშინ ყველაზე მეტად დაახლოებული იყო დიმიტრი მეღვინე-
ნეთხუციშვილი (მეღვინეთხუცესოვი), რომელიც ამ გამოცემათა გამა-
რცელებელ-კორესპონდენტად იყო გორში და ხშირად აქვეყნებდა თა-
ვის ლექსებსა და წერილებს ჯერ „ცისკარში“, ხოლო შემდეგ, „დროე-
ბასა“ და „სასოფლო გაზეთში“. 1866-70 წლებში მას ბევრი კორეს-
პონდენცია, საკუთარი და ხალხური ლექსი დაუბეჭდავს „დროებაში“;
„სასოფლო ბანკების დაარსების აუცილებლობა გორის მაზრაში“
(„დროება“, 1867, № 51), „მოგონება“ (ლექსი, „დროება“, 1869, № 10);
„სევილი გუნდნი შემომხვევიან“ (ლექსი, „დროება“ 1868, № 2). მასვე
ეუთვნის „დროებაში“ დაბეჭდილი და თავის დროზე საკმაოდ გახმა-
ურებული კომედიები: „კატა აწონა“ („დროება“, 1869, № 39) და „უბე-
ღური მოარშიყე“ („დროება“, 1870, № 9).

„დიმიტრი მეღვინეთხუცესოვი კარგი მწიგნობარი და საქართვე-
ლოს ისტორიის მოყვარე იყო. სწერდა ქართულად და რუსულადაც.
საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრი იყო. გარდაიცვალა
1880 წელს“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში
დაცულია დიმიტრი მეღვინეთხუცესი-შვილის ლექსთა საკმაოდ მოზ-
რდილი რვეული, რომელშიც, მართალია, „ჩიტი“ შეტანილი არ არის,
მაგრამ თემატიკურ-მხატვრული ანალოგია სარწმუნო საფუძველს გვა-
ძლევს განვაცხადოთ, რომ „კრებულში“ დაბეჭდილი ლექსის ავტორი
ის არის.

„X X“ ამ ფსევდონიმით დასტამბულია ორი მეტად საინტერესო კრი-
ტიკულ-ბიბლიოგრაფიული „შენიშვნები“ (1872, № 7 და № 8—9).

მასზე ყურადღების გამახვილება, მიუხედავად იმისა, რომ პირველი
წერილი შეტანილია ქრესტომათიაში „ქართული ლიტერატურული
კრიტიკის ისტორიისათვის“², გამართლებულია შემდეგი მიზეზებით:

1. ემყარება რა გ. წერეთლის ფსევდონიმთა გაშიფვრის სარწმუნო
წყაროებს. ს. ხუნდაძე „X X“-ს მის ფსევდონიმად თვლის. მაგრამ აღ-
ნიშნავს, ამ ფსევდონიმით „დროებაში“ ბეჭდავდა თავის ნაწერებსო,
„კრებულზე“ კი რატომღაც არ მიუთითებს;³ 2. ეს ფსევდონიმი: ამო-
უხსნელად არის დატოვებული ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალი-
ტიკურ ბიბლიოგრაფიაში. 3. იგი სრულებით არაა მოხსენიებული ლი-
ტერატურული მუზეუმის ფსევდონიმთა ლექსიკონებში.

საკითხის გადაწყვეტა გაადვილებულია იმით, რომ აღნიშნული

¹ „საქართველოს კალენდარი“, 1893, გვ. 428.

² ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის, ნაწ. 11, 1956, ს. ხუ-
ციშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გვ. 139.

³ გ. წერეთელი, თხზ. ტ. I, 1931 წ.

ფსევდონიმის საიდუმლოება პირველი „ბიბლიოგრაფიული შენიშვნების“ დაბეჭდვისთანავე გამჟღავნებულა.

ამ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში“ განჭიკებულია ანტონ ფურცელაძის „მაცი ხეიტია“ და სხვა ნაწერები.

ანტონ ფურცელაძემ „მნათობის“ იმავე წლის მე-2 ნომერში უკასუხა „შენიშვნების“ ავტორს და მისი ვინაობაც გაამჟღავნა. აგი, სხვათა შორის, წერდა: „მე ვიწყებ უფ. წერეთლიდგან, რადგან ეს უფრო ღირსშესანიშნავი მოვლინებაა. ერთს ადგილას, „კრებულის“ მეშვიდე ნომერში ამბობს წერეთელი: „ვאי უფრო იმ ჟურნალსა, სადაც ფურცელაძე ჩასდგამს ფეხსა“ (ციტატი ამოღებულია „XX“-ს „შენიშვნებიდან“) და ა. შ.

ანტ. ფურცელაძის ამ წერილს გ. წერეთელმა, თავისი სახელისა და გვარის ხელმოწერით, პასუხი გასცა „დროების“ 1873 წლის პირველ ნომერში, სადაც დაადასტურა, რომ „ბიბლიოგრაფიული შენიშვნების“ ავტორი თვითონ იყო; ფსევდონიმი „XX“ მას ეკუთვნოდა.

ა ნ ო ნ ი მ ე ბ ი

„საზრდო და იმისი მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში“ ეს მეცნიერულ-პუბლიცისტური სტატია „კრებულის“ 1871 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა. იგი ნაწილია ვრცელი, კომპილაციური საბუნებისმეტყველო-სოციალური თხზულებისა, რომელიც მთლიანი სახით („საზრდოს“ სათაურით) დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და კირილე ლორთქიფანიძის ავტოგრაფს წარმოადგენს.

ამ თხზულების ხელნაწერი ავტორს ჰერ კიდეც 1869 წელს გაუგზავნია სერგეი მესხისათვის „დროებაში“ ფელეტონებრივ დასაბეჭდად. მესხს ეს სტატია გაზეთისათვის შეუფერებლად მიუჩნევია და საერთოდ არ მოსწონებია. კ. ლორთქიფანიძემ, როგორც ჩანს, სისტემატურ მიმოწერას აწარმოებდა ამის თაობაზე „დროების“ რედაქტორთან. 1870 წლის 15 თებერვალს ს. მესხი მას ატყობინებდა: „... ამ ორ თვეში გამოვსცემთ ერთ დამატებას წიგნათ... იმაში დავბეჭდავ მამინ წენს სტატიას“.

ს. ხუნდაძის აზრით, „კირ. ლორთქიფანიძის მრავალი წერილი იბეჭდებოდა ხელმოუწერლად... „კრებულში“¹. სამწუხაროდ, მკვლევარი არ ასახელებს, რომელი „წერილები“ აქვს მხედველობაში.

¹ ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 1, 1931., გვ. 378; ს. ხუნდაძე, მასალები ქართულ ლიტერატურის... ისტორიისათვის, გვ. 79.

ჩვენი აზრით, ამ ჟურნალში კირ. ლორთქიფანიძეს მხოლოდ ეს ერთი სტატია აქვს გამოქვეყნებული.

„შვილი მეცხრამეტე საუკუნისა, ესკიროსის წიგნებიდან“ ესკიროსის წერილები („კრებული“, 1873, № 2) გადმოკეთებულია ბრწყინვალე ლიტერატურულ-პუბლიცისტური ხელოვნებით და გამსჭვალულია დემოკრატიული სულისკვეთებით.

მართალია, ეს თხზულება ხელმოუწერლად დაიბეჭდა, მაგრამ სტილისტური ანალოგია და ზოგიერთი გარემოების გათვალისწინება ცხადყოფს, რომ იგი ნიკო ნიკოლაძის კალამს ეკუთვნის.

1873 წლის პირველი ნომრიდან ნ. ნიკოლაძემ „კრებულში“ დაიწყო საინტერესო პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნება სათაურით: „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, რომელშიც მხილებულია ოლიგარქია და ტირანია, გაშუქებულია თანამედროვე პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრობლემები და გამოთქმულია დემოკრატიული შეხედულებები საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ.

ამ წერილის გაგრძელება, დაპირებისამებრ, „კრებულის“ მომდევნო ნომერში უნდა დასტამბულიყო, მაგრამ მის ნაცვლად დაიბეჭდა „შვილი მეცხრამეტე საუკუნისა. ესკიროსის წიგნებიდან“.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნ. ნიკოლაძის აღნიშნული წერილის გაგრძელება ცენზურამ დააკავა და ავტორმა იგი იმავე პრობლემებზე სახელდახელოდ გადმოკეთებული ესკიროსის წერილებით შეცვლა. საკითხის ამ მხარეს შუქს ჰფენს ესკიროსის წერილებისათვის სქოლიოში დართული შენიშვნა, რომელიც უეჭველად ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის: „ჯერჯერობით, ჩვენ ვეღარ ჩავუერთეთ „კრებულში“ „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“. იმის მაგივრად და დასამატად ვბეჭდავთ ესკიროსის თხზულების ნაწილს, რომლისგანაც ცხადად ჩანს, თუ როგორ უყურებდნენ ნაპოლეონ მესამის მმართველობას და იმ მმართველობის შედეგებს განათლებული წინააღმდეგობი“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

ესკიროსის წერილები გადმოთარგმნილია ფრანგული ენიდან, როპელსაც „კრებულის“ თანამშრომელთაგან სრულყოფილად მხოლოდ ნიკო ნიკოლაძე ფლობდა.

ცნობილია აგრეთვე, რომ ქართველი პუბლიცისტებიდან საფრანგეთის საშინაო პოლიტიკის საკითხებით, განსაკუთრებით, ნაპოლეონ მესამის პერიოდით, ნიკო ნიკოლაძე იყო დაინტერესებული.

პუბლიცისტური სტილის ის ორიგინალური მანერა, ევროპულ პოლიტიკაზე ლაღი მსჯელობა, რომელიც ესკიროსის წერილების ქართულ თარგმანში იგრძნობა, „კრებულის“ პუბლიცისტებიდან, მხოლოდ ნ. ნიკოლაძისათვის იყო ხელმისაწვდომი.

„დოქტორ კრუპოვის თხზულებიდან, კაცობრიობის სულის ავად-
მყოფობაზე“ (რუსულით თარგმნილი გ. წერეთლისაგან).

ამ თხზულების ავტორის ვინაობა დიდხანს გაურკვეველი იყო. მკვლევარებს დოქტორი კრუპოვი ავტორად მიაჩნდათ. დავით კარი-
კაშვილი, მაგალითად, წერდა: „კრებულში“ დაიბეჭდა სამეცნიერო
წერილები დოქტორ კრუპოვისა — კაცობრიობის სულის ავადმო-
ფობაზე“¹. უკანასკნელად დადგინდა რომ ნაწარმოების ავტორი არის
ალექსანდრე გერცენი².

ერკმან-შატრიანი, „დალოცვილი ძველი დროება“. მთარგმნელის
შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება: ჟურნალ-გაზეთების ანა-
ლიტიკურ ბიბლიოგრაფიაში საკითხი ღიადაა დატოვებული; ვერც იმ-
დროინდელ პრესასა და არქივებში წაეაწყდით რაიმე მითითებას, მაგ-
რამ სჯამო. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი ნიკო ნი-
კოლაძეს ეკუთვნის.

„კრებულის“ 1871 წლის პირველ ნომერში ნ. ნიკოლაძემ გამოაქ-
ვეყნა წერილი „ახალი საფრანგეთი. ისტორიული სურათები. I. საფრან-
გეთის მდგომარეობა წარსულ საუკუნეში“.

აღნიშნულ თხზულებაში ავტორი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს
საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციაში გლეხთა მონაწილეობის საკი-
თხისადმი და ამ მიზნით, სხვათა შორის, ერკმან-შატრიანის „გლეხკა-
ცის ისტორიასაც“ ემყარება.

უფრო ადრე წერილში „ევროპის ცხოვრება“, რომელიც „სოვრე-
მენოსტის“ 1868 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა, ნ. ნიკოლაძემ სა-
განგებოდ შეაქო ერკმან-შატრიანის შემოქმედება, თავისი პოლიტიკუ-
რი შეხედულებების საილუსტრაციოდ გამოიყენა იგი და დასძინა: „ამ
წერილებს ზღაპრული მოწონება ჰქონდათ“. სავსებით ბუნებრივია, რომ
ერკმან-შატრიანის შემოქმედებით გატაცებულ მწერალს, რომელიც იმ
დროს ქართული მხატვრული თარგმანის დარგშიც ინტენსიურ მუშაო-
ბას ეწეოდა, საფრანგეთის შესახებ „კრებულში“ დაბეჭდილ პუბლი-
ცისტური წერილების მთელი ციკლის გაგების გასაადვილებლად მკ-
თხველისათვის უცნობი ფრანგი მწერლების შემოქმედების ნიმუშიც
გაეცნო.

„დალოცვილი ძველი დროება“ წერის მანერით, ლექსიკითა და გრა-
მატიკულ-სტილისტური თავისებურებებით ძალიან ახლოს დგას „გუ-
ლივერის მოგზაურობის“ ნიკოლაძისეულ თარგმანთან.

თარგმანი რომ ს. მესხსა და გ. წერეთელს არ ეკუთვნის, იქიდანაც
ჩანს, რომ ისინი თვითონვე განიხილავენ მას თავიანთ რეცენზიებში.

¹ „ქართული წიგნი“, 1927, გვ. 150.

² შ. სააკაძე, „გერცენი და საქართველო“, „მნათობი“, 1962, № 4.

ს. მესხი „დროების“ 1871 წლის 39-ე ნომერში წერდა: „დალოცვილი ძველი დროება“, ერკმან-შატრიანისა, ლამაზი, აზრიანი მოთხრობაა, აქ არის აწერილი ერთი ეპიზოდით დიდი რევოლუციის წინა დროების გლეხთა ცხოვრებისა საფრანგეთში: მაგრამ ეს ერთი ეპიზოდით რიგიან სინათლეს ჰფენს იმ დროების ხალხის გაჭირვებულ ცხოვრებასა, და უჩვენებს დიდი რევოლუციის წამდელს მიზეზსა“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

ნ. დობროლიუბოვი, „გარდაცვალებაზედ“ (ლექსი) (1873, № 1) „როცა ზამთარში გაჭირვებული...“ (ლექსი) (1873, № 8). „კრებულში“ ნ. დობროლიუბოვის ოთხი ლექსი დაიბეჭდა: 1. „შე ამობრწყინდა, დაჰხედა მთასა“ (1871, № 4); 2. „შეხვედრა“ [„ერთხელ ქუჩაზედ პირგამხმარი ყმაწვილი შემხვდა...“] (1871, № 4); 3. „გარდაცვალებაზედ“ (აი, სიკვდილსა კიდევ აცხადებს, დღეს გაზეთებში შავი არშ...“); და 4. „როცა ზამთარში გაჭირვებული, ღონემიხილი, მშვირ-მწყურვალი...“

პირველი ორი ლექსის თარგმანი („შე ამობრწყინდა, დაჰხედა მთასა“, და „შეხვედრა“) თომა კარგარეთლის ხელმოწერით გამოქვეყნდა, ხოლო მესამე („გარდაცვალებაზედ“) და მეოთხე („როცა ზამთარში გაჭირვებული“) — ანონიმურად.

თომა კარგარეთელი კირილე ლორთქიფანიძის ფსევდონიმია.

რაც შეეხება ორ ხელმოწერულ თარგმანს, სარწმუნო წყაროებიდან ჩანს, რომ ისინიც კირილე ლორთქიფანიძეს ეკუთვნის.

1902 წელს ზ. ჭიჭინაძე წერდა: „კირილე ლორთქიფანიძე პატივცემული პირია ქართულ მწერლობაში. იგი თავის ნაწერებს გვარსაც არ აწერდა. სხვათა შორის, მისგან ნათარგმნი ლექსები „კრებულში“ ნათლად ბრწყინავენ. ეს ლექსები დღესაც დიდს ხალისით იკითხება ლექსები გახლავთ... დობროლიუბოვისა...“¹

ამასთან, დობროლიუბოვის ლექსთა თარგმანები შეტანილია კირილე ლორთქიფანიძის ნაწერებში, რომელიც 1905 წელს გამოვიდა ქუთაისში, თომა კარგარეთლის ფსევდონიმით. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კირილე ლორთქიფანიძის არქივში, მისი თარგმანების, კერძოდ, „კრებულში“ ხელმოწერლად დაბეჭდილი დობროლიუბოვის ლექსის — „გარდაცვალებაზედ“, ავტოგრაფიც აღმოჩნდა. ჟურნალის ტექსტსა და ლორთქიფანიძესეულ ხელნაწერს შორის მეტად უმნიშვნელო, ორთოგრაფიულ-გრამატიკული ხასიათის განსხვავებებია.

¹ ზ ა ქ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართული გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემისა, 1903, გვ. 39.

ნიკიტინი, „მთესველი“ (ლექსი) იდეურ-მხატვრული ნიშანთვისებებით ეს თარგმანიც იმ ლექსთა ციკლს განეკუთვნება, რომელიც კირილე ლორთქიფანიძემ 1873 წელს, თავისი რედაქტორობის პერიოდში, ანონიმურად გამოაქვეყნა ჟურნალში. მართალია, მკვლევარები (ზაქ. ჰიჰინაძე, ს. ხუნდაძე, კ. მეძველია, ა. ნიკოლაძე, გ. აბზიანიძე და სხვ.) მას იმ ავტორთა შორის არ იხსენიებენ, რომელთა ლექსებს კირილე ლორთქიფანიძე ხელმოუწერლად ბეჭდავდა „კრებულში“, მაგრამ ეს მხოლოდ იმით შეიძლება ავხსნათ, რომ ნიკიტინი არ ეკუთვნოდა სახელგანთქმულ ავტორთა რიცხვს.

ფაქტია, რომ კირილე ლორთქიფანიძე 60-იან წლებში დიდად გატაცებული ყოფილა რუსული დემოკრატიული პოეზიის მოქალაქეობრივი მოტივებით; იგი ისეთ თხზულებებს თარგმნიდა, რომლებშიც გამოხატულია სოციალური უთანასწორობის გმობა, სევდიანი განწყობილებით გადმოცემული უკმაყოფილება, ადამიანთა საკეთილდღეოდ მოქმედებისა და ბრძოლისაკენ მოწოდება, საზოგადოებრივი სიამამის ქადაგება. ნიკიტინის „მთესველსაც“, უდავოდ, ამით მიუპყრია მთარგმნელის ყურადღება¹.

პლემჩეევი, „სიმღერა ვანდგომილთა“ (ლექსი) (1873, № 2). „კილოს მიმოქცევა“ (ლექსი) (1873, № 7). 1869 წლის 17 მაისს სერგეი მეცხი სწერდა კირილე ლორთქიფანიძეს: „მართალია, ჩემდა სამწუხაროდ, შენი პლეშჩეევის ლექსები (ხაზი ჩემია, — ა. კ.). არ გაუშვა ცენზორმა — ეს „მარსელიოზააო“, ამბობს“.

„კრებულში“ გამოქვეყნებული პლემჩეევის ლექსების გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ ზემოაღნიშნულ წერილში მათ შესახებ უნდა იყოს ლაპარაკი².

ამასვე ადასტურებს კირ. ლორთქიფანიძის სხვა პოეტურ თარგმანებთან მათი ანალოგია. ისეთივე მძიმე პოეტური მეტყველება, ნაძალადევი ფრაზები, გრამატიკულ-სინტაქსური ლაფსუსები, იმერული დიალექტიზმები, მარცვლის დაკლებით შერყეული რიტმი და ნაღვლით შეფერილი საბრძოლო განწყობილება.

„კრებულის“ იმ ეგზემპლარში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით (კ. მარქსის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის ფონდი), ლექსი „კილოს მიმოქცევა“ მთარგმნელს — კირ. ლორთქიფანიძეს თანქრით ჩაუსწორებია.

ს. ხუნდაძე, მართალია, ლექსის სათაურებს არ ასახელებს, მაგრამ

¹ „სანთური“, 1905, გვ. 27.

² ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. I, 1931, გვ. 378; ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურის... ისტორიისათვის, 1949, გვ. 57; გ. აბზიანიძე, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1959, გვ. 343.

გარკვევით აღნიშნავს, რომ კირ. ლორთქიფანიძეს „გადმოთარგმნილი აქვს პლეშიჩევის... ლექსები“.

ვიქტორ ჰიუგო, „ვინც ხიცრუის და ბოროტების დროს“. ზაქარია კიკინაძე წერს: „... კირ. ლორთქიფანიძე თავის ნაწერებს გვარსაც არ აწერდა... მისგან ნათარგმნი ლექსები „კრებულში“ ნათლად ბრწყინავენ... ეს ლექსები გახლავთ ვიქტორ ჰიუგოსი“¹ და სხვ. (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

ლექსის სტილისტურ-პოეტური ხელწერა არაერთარ ექვს არ იწვევს, რომ ეს თარგმანიც კირილე ლორთქიფანიძისეულია.

1862—1870 წლებში კირ. ლორთქიფანიძე სულიერად აუფორიაქებია იმ ადამიანთა ბედს, რომლებმაც ხალხის ინტერესებს შესწირეს სიცოცხლე და უმადურთაგან დაეიწყებულ იქნენ. მის ყველა იმდროინდელ პოეტურ თარგმანს წითელ ზოლად გასდევს ეს ინტონაცია. ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებიდანაც სწორედ ამ ხასიათის ლექსები ამოურჩევია და იმავე განწყობილებით უთარგმნია².

შ ი ნ ა ა რ ს ი

1871 წ.

№ 1 (1870 წ., 30 დეკემბერი)³.

1. სა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო, ანუ ომის შემდეგ ღამე ლხინი ერეენის სიახლოვეს, თ. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა;

2. დ ო ქ ტ ო რ ი კ რ უ პ ო ვ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ი თ გ ა ნ, კაცობრიობის სულის ავადმყოფობაზე, რუსულით თარგმნილი გ. წერეთლისაგან. [ნაწყვეტი ალ. გერცენის რომანიდან — „ექიმი კრუპოვი“];

3. ს ა ტ რ ფ ო ვ! ხ შ ი რ ა დ ლ ა დ ი ფ ი ქ რ ი, ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

4. ა ხ ა ლ ი ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი, ისტორიული სურათები. 1. საფრანგეთის მდგომარეობა წარსულ საუკუნეში. ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

5. მ ე ს მ ი ს, მ ე ს მ ი ს, ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი... ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

¹ ზაქ. კიკინაძე, ისტორია ქართული გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემისა, გვ. 39.

² „სანთური“, გვ. 17.

³ ფრჩხილებში აღნიშნულია ცენზურის ნებართვის თარიღი, მაშასადამე, ნომრის ფაქტიურად გამოსვლის დრო.

⁴ ოთხკუთხა ფრჩხილებში გაშიფრულია ფსევდონიმები და ანონიმები (დასაბუთება იხ. შესაბამის თავში).

6. მორიგის ლაშქრობის განჩინება მეორის ერეკლის მეფისა;

7. საახალწლო (საუბარი მკითხველებთან), ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

8. დამატება: გულივერის მოგზაურობა, თხზულება ჯონათან სვიფტისა, ნ. სკანდელის ნათარგმნი [ნ. ნიკოლაძე];

№ 2 (1871 წ., 31 იანვარი)

1. ჯიბრი, კომედია ორ მოქმედებად, გ. წერეთლისა;

2. განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა, ბატონიშვილის ვახტანგისა;

3. მოთხრობა, ჯაზედ მოუვიდა ჩხუბი ივან ივანის ივან ნიკიფოროვიჩთან, თხზულება ნ. გოგოლისა, რუსულით გ. ჩიქოვანის ნათარგმნი;

4. უცხო თემის ყარობ მთქმელსა, ლექსი ***-ისა [ი. ჭავჭავაძე];

5. აჰ, სად არიან, სიჭაბუკევე... ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

6. ჩვენი ახალგაზრდობა (საუბარი მკითხველთან), ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე].

7. მგზავერის წერილებიდან, ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

8. დამატება: გულივერის მოგზაურობა, თხზულება ჯონათან სვიფტისა, ნ. სკანდელის ნათარგმნი [ნ. ნიკოლაძე].

№ 3 (1871 წ., 30 მარტი)

1. „კრებულის“ დანიშნულებაზედ [ნ. ნიკოლაძე];

2. მოთხრობა, რაზედ მოუვიდა ჩხუბი ივან ივანის ივან ნიკიფოროვიჩთან, თხზულება ნ. გოგოლისა, რუსულით გ. ჩიქოვანის ნათარგმნი (დასასრული);

3. ჩემო მკვლელო! ვიცო, ვიცო... ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

4. გლახაკების ომები გერმანიაში, თხზულება ბორნესი. თარგმანი ნ. ანტონოვისა;

5. დეინე დამ, ლექსი ***-ისა [ი. ჭავჭავაძე];

6. საზრდო და მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში. [კირ. ლორთქიფანიძე];

7. დედა და შვილი, დრამული ეპიზოდი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

8. საზოგადო საქმეები, ახალგაზრდობის აღზრდა ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

9. კრიტიკა და იმის მნიშვნელობა ლიტერატურაში ი. ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

10. დამატება გულივერის მოგზაურობა. ნათარ. ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

№ 4 (1871 წ., 30 აპრილი)

1. შელალუმე, ძველი და ახალი ამბები, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

2. „ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის“. ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

3. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველის ძველათა, გ. გორისელისა [გ. წერეთელი];

4. მიბაძვა ღვინისადმი, ლექსი ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

5. ინგლისზე, ლენინსი, ნათარ. ვლ. ნიკოლაძისა;

6. რა დაუქარგავთ ქალებსა და რას დაეძებენ ისინი? ს. მესხისა;

7. ვოლტერის თქმული, ლექსი, ნათ. ალ. ჭავჭავაძისა.

8. „ვარდის ხმაზედ“, ლექსი აკ. წერეთლისა;

9. შინელი, გოგოლისა, ნათ. ი. მ-სა [ივანე მესხი];

10. ორი ლექსი დობროლიუბოვიდამ, ნათ. თომა კარგარეთელისა [კირ. ლორთქიფანიძე];

11. ფელეტონი ფიქრი ლიხის მთაზე, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე].

№ 5 (1871 წ., 25 სექტემბერი)

1. მგზავრის წერილები დამ. ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

2. ოთხი ლექსი. ა) „ვაი, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“; ბ) „პოი, წარმავალნო გზასა, ქალნო“; გ) „ვისაც გსურთ ჩემთა ჰამბავთა ცნობა“; დ) „ხელოქა ჭკვიანის ლექსი“... ალ. ჭავჭავაძისა;

3. შინელი, მოთხრობა ნ. გოგოლისა, რუსულით ნათარგმნი ი. მ-საგან [ივანე მესხი], დასასრული;

4. უბრაული მელოდია, ლექსი მ. ფაზელისა [მამია გურიელი];

5. ჩემს ძმას და მეგობარს, ლექსი მ. ფაზელისა [მამია გურიელი];

6. დავა, კომედია ხუთ მოქმედებად, გ. ერისთავისა;

7. დალოცვილი ძველი დროება, მოთხრობა ერკმან-შატრიანისა [თარგმანი ნ. ნიკოლაძისა(?)];

8. ჩვენი ისტორიის მასალები. სამეგრელოს მთაყრის გრიგოლ დადიანის განაჩენი სამართალი;

9. ერობა, მისი დანიშნულება და წესდება, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

10. რა გვეჭირვება? ა. წერეთლისა;

11. ბედნიერი ხალხი, ლექსი, ***-სა [ი. ჭავჭავაძე];

12. ნადირობა, ლექსი აკ. წერეთლისა.

1872 წ.

№ 6 (1872 წ., 15 იანვარი)

1. დემონი, ლერმონტოვის პოემა, თარგმნილი რუსულით, ფაზელისა [მამია გურიელი];

2. დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია, კომედია ხუთმოკმედებად, გ. ერისთავისა (დასასრული);

3. საუბარი ორთა შუა, თ. აკ. წერეთლისა;

4. საქართველოს ისტორიის მასალები — ხევისურების ჩვენება იმათ მიწა-წყლის შესახებ კავკასიის ქედს იქით;

5. საზოგადო საქმეები, ბანკის საქმე ჩვენში. ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

6. დამატება: გულივერის მოგზაურობა, ნათარგმნი ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

№ 7 (1872 წ., 14 მარტი)

1. პოემიდან „რაშიდ ვარდიძე“, მ. ფაზელისა [მამია გურიელი];

2. სურათები ჩვენი ცხოვრებიდან, რაფ. ერისთავისა;

3. მგზავრის შენიშვნები ალექსელისა [იასონ ნათაძე];

4. სცენები საპატომროში, აკ. წერეთლისა;

5. სახალხო ლექსები;

6. საქართველოს ისტორიის სურათები. მეოთხე საუკუნე, გ. გორისელისა [გ. წერეთელი].

¹ თბილისში უნივერსიტეტის ლაარსების შესახებ.

7. ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა, გ. გორისელისა [გ. წერეთელი];
8. ზვირთები მოღუდუნებენ, რომანსი ნ. ბარათაშვილისა;
9. არსენა (კრიტიკული განხილვა), პ. პეტრიძისა [პ. უმიკაშვილი];
10. ირლანდიისადმი, ლექსი ტ. მურისა, რუსულითგან გადმოღებული ი. ჭავჭავაძისაგან;
11. ჩვენი საზოგადოების ქრონიკა, გ. წერეთელისა;
12. ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, ** [გ. წერეთელი];
13. დამატება: ქართული პოეზიის ნიმუშნი და იმათი განხილვა, ნიმუში პირველი — „იანიჩარი“ ილ. ჭავჭავაძისა, ნ. დიმიტრიძის [ნიკოლოზ ყიფიანი];

№ 8—9 (1872 წ., 21 ივლისი)

1. რამდენიმე ხანა პოემისა „აჩრდილი“, ი. ჭავჭავაძისა;
2. ჩვენი ცხოვრების ყვაველი, გ. თე-ლისა [გ. წერეთელი];
3. აღმოჰხდა მნათი, ლექსი ნ. ბარათაშვილისა;
4. პიერ ჰუგენენი, ეორჟ ზანდის რომანი, თარგმნილი №—№ [პ. უმიკაშვილი(?)];
5. იოსებ მაძინი, მ. პეტრიძისა [პეტრე უმიკაშვილი];
6. სახალხო ლექსი (ერეკლეს გლოვა);
7. პოემიდან „უბედურნი“, გ. ჭალადიდელისა [გ. ქოჩაქიძე];
8. საქართველოს ისტორიული სურათები. მეხუთე საუკუნე გ. გორისელისა [გ. წერეთელი].!
9. კითხვა, ლექსი ფაზელისა (მამია გურიელი);
10. შეერთებული შრომა ჩვენი სლიტერატურისათვის, მ. პეტრიძისა [პ. უმიკაშვილი];
11. სატრაფოსადმი, ლექსი ფაზელისა [მამია გურიელი];
12. საამხანაგო ბანკები, იმათი მნიშვნელობა და დაწყობილობა, გ. წერეთლისა;
13. ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, ** [გ. წერეთელი];
14. დამატება: მიმომავალი ურია. ფრანცუზულით გადმოღებული ს. ალექსეევ-მესხიევისაგან, [ეფენი სუ];

1. რამდენიმე ხანა პოემისა „ჩრდილი“, ჰავკავაძისა;
2. ძუნწი გმირი, თხზულება პუშკინისა, თარგმნილი რაფ. ერისთავისაგან.
3. მავნე სულები, ამბავი მოხვევის ცხოვრებიდან, დ. ყ. [დიმიტრი ყაზბეგი];
4. ჩენი ცხოვრების ყვაელი (გაგრძელება) გ. თელისა [გ. წერეთელი];
5. ძველი მაგრისი, ლექსი მ. მ. [ვანტანგ ორბელიანი];
6. წყლებზე, უქმი ტურისტის მოთხრობა, დ. ერისთავისა;
7. იმერეთის მეფის სოლომონის, უკანასკნელი დღეები;
8. ბაირონის გიჟურიდან, თარგმნილი ფაზელისა [მამია გურიელი];
9. მეთექვსმეტე საუკუნე ევროპის განათლებისა [ნ. ცხველაძისა];
10. ჩიტი, ლექსი დ. მ. [დიმიტრი მეღვინეთუციშვილი];
11. მცირე ტომთა ენებზე, მ. პეტრიძისა [პ. უმიკაშვილი];
12. თბილისის გაოხრებაზე, ლექსი [ა. ბასტამაშვილი];
13. ამ დროის ვითარება, გ. წერეთლისა;
14. ჩენი მწერლობა, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე].

1873 წ.

№ 1 (1873 წ., 26 აპრილი)

1. გლახის ნაამბობი, მოთხრობა ი. ჰავკავაძისა;
2. ჩემს მეგობარს ნ...ს, ლექსი აკ. წერეთლისა;
3. ნიკ. ბარათაშვილის წიგნები, ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა;
4. გლახური სიმღერა...;
5. ნაპოლეონ მესამის ცხოვრება, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];
6. გარდაცვალებაზედ, ლექსი ნ. დობროლიუბოვისა [მთარგ. კ. ლორთქიფანიძე];
7. ჩენი ცხოვრების ყვაელი (გაგრძელება), მოთხრობა გ. თელისა [გ. წერეთელი];
8. დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომი-

¹ „კრებულში“ შეცდომით დაბეჭდილია: „ი. დ. ერისთავისა“.

ური მოძრაობა თავისი მიზეზებით XVI საუკუნეში (დასასრული), ნ. ცხვედაძისა;

9. აჩრდილი, პოემა, ხანა IV—VIII, ი. ჭავჭავაძისა;

10. ახალი ახალგაზრდობა, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე].

№ 2 (1873 წ., 27 ივნისი)

1. გლახის ნაამბობი, მოთხრობა, თავი VI—VIII, ი. ჭავჭავაძისა;

2. დამქროლა ქარმან სასტიკმან, ლექსი ნ. ბარათაშვილისა;

3. სხვადასხვაგვარი სიყვარული, ლექსი აკ. წერეთლისა;

4. ჩვენი ცხოვრების ყვაეილი, მოთხრობა, თავი XVI—XXI, გ. თელისა [გ. წერეთელი];

5. სიმღერა განდგომილთა, პლეშიევიდან [მთარგ. კ. ლორთქიფანიძე];

6. შვილი მეცხრამეტე საუკუნისა, ესკიროსის წიგნებიდან (გადმოკეთებული ნ. ნიკოლაძის მიერ);

7. რამდენიმე ხანა პოემისა „აჩრდილი“, XI—XXIV თავები, ი. ჭავჭავაძისა.

8. გვართა ბრძოლა საქართველოში გ. გორისელისა [გ. წერეთელი].

№ 3 (1873 წ. 17 ივლისი)

1. გლახის ნაამბობი, თავი IX—XI, მოთხრობა ი. ჭავჭავაძისა;

2. ორი სურათი, ლექსი აკაკი წერეთლისა;

3. გლეხური სიმღერები, ილია ჭავჭავაძის შეგროვილთაგან.

4. ნიკ. ბარათაშვილის წიგნები, ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა (დასასრული).

5. რჩევა ახალგაზრდა მწერლებს, ლექსი აკ. წერეთლისა;

6. ნაპოლეონ მესამის ცხოვრება: თავი III—XI, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];

7. მეფის სოლომონ მეორის დრო, მოხუცების ნაამბობთაგანი;¹

¹ დასახელებულია სარჩევში.

8. რათ გიკვირს, მიკვირს, ის გულისწამი, ლექსი გ. ქალაღიდელისა [გ. ქოჩაქიძე];
9. სახალხო ლექსი პ. უმიკაშვილის შეკრებილთაგან;
10. ჩვენი მწერლობა: გრ. ორბელიანი, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];
11. ფელეტონი: ამ დროის მოძრაობა, სტატია გ. წერეთლისა.

№ 4 (1878 წ., 25 სექტემბერი)

1. სხვათა შორის, ნაგრძნობი და განაგონი ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე].

№ 5—6 (1878 წ., 29 აგვისტო)

1. ეგმონტი, გოეტეს ტრაგედია, პირველი ნაწილი, თარგმანი გ. წერეთლისა;
2. გვართა ბრძოლა საქართველოში (გაგრძელება), გ. გორისელისა [გ. წერეთელი];
3. აჩრდილი, ხანა IX და XIII, პოემა ი. ჭავჭავაძისა;
4. გლახური სიმღერები, ი. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი.
5. მგზავრის წიგნები, პირველი ნაწილი, გ. წერეთლისა.
6. ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი, ლექსი ი. ჭავჭავაძისა.
7. რუსეთის ცხოვრება, მიმოხილვა, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];
8. მთესველი. ნიკიტინიდან, ლექსი [მთარგ. კირ. ლორთქიფანიძე];
9. ჩვენი მწერლობა „გლახის ნაამბობზე“, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე].

№ 7 (1878 წ., 17 სექტემბერი)

1. კილოს მიმოქცევა, პლემჩევივიდან, ლექსი [მთარგ. კირ. ლორთქიფანიძე];
2. ქართული სახალხო პოეზია, გლახური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისაგან.
3. ეგმონტი, გოეტეს ტრაგედია (დასასრული), ნათ. გ. წერეთლისა;

4. გლახური სიმღერა, ილია ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი;
5. ჩემ პიროვნებაზე, პოლემიკური სტატია ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე].

№ 8 (1873 წ., 27 სექტემბერი)

1. სკაპენის ცულუტობა, მოლიერის კომედია, ნათ. აკ. წერეთლისა;
2. ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში, სტატია ი. ი. [ივანე მესხი];
3. ამერიკული ქალაქი, სტატია გ. ზედგენიძისა;
4. გლახური სიმღერები, ი. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი;
5. როცა ზამთარში გაჭირვებულნი, დობროლიუბოვიდამ, ლექსი [მთარგ. კირ. ლორთქიფანიძე];
6. თანამედროვე მწერლობა, ანრი როშფორი, ნ. სკანდელისა [ნ. ნიკოლაძე];
7. ვინც სიცრუის და ბოროტების დროს. ლექსი ვიქტორ ჰიუგოსი [მთარგ. კირ. ლორთქიფანიძე].

№ 9 (1873 წ., 6 ოქტომბერი)

1. მგზავრის წიგნები, ნაწილი მეორე: კიკოლიკის ცხოვრება, გ. წერეთლისა.

№ 10 (1874 წ., 1 იანვარი)

1. მეფე ლირი, ხუმრობებებიანი შექსპირის ტრაგედია. ინგლისურიდან გადმოღებული ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისაგან;
2. სახალხო პოეზია, ძველებური მესტვირული ლექსები და მღაბიური ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისაგან;
3. იოანე გუსი, სტატია დ. ჩხოტუასი;
4. დურგალი, ლექსი გ. ქალადიდელისა [გ. ქოჩაქიძე];
5. ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში, წერილი ი.—ისა [ივანე მესხი];
6. გლახური სიმღერები, ი. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი;
7. სიმღერა, ლექსი აკ. წერეთლისა;
8. ნობათი, ფელეტონი მ. პეტრიძისა [პ. უმიკაშვილი];
9. „კრებულის“ დამატება; წიგნი რედაქტორთან და უკანასკნელი სიტყვა, ანტონ ფურცელაძისა.

ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც 1866 წელს ახალთაობამ ჟურნალის გამოცემას გაზეთი ამჯობინა, იმის შიში იყო, ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას არ მოგვეცემნო! მაგრამ სულ მალე ყველა დარწმუნდა, რომ ხელისუფლება არც „დროებას“ აძლევდა დამოუკიდებელი პოლიტიკური მსჯელობის უფლებას, სამაგიეროდ, ოთხი-ხუთი წლის მანძილზე ჟურნალისტები კარგად დახელოვნდნენ და ისწავლეს, როგორ უნდა აევეოთ გვერდი ამ სიძნელისათვის. ცხოვრებაც აღარ ითმენდა, — გაზეთით ინტერესგაღვიძებულა მკითხველი საზოგადოებრივი მოვლენების უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვდა.

სარედაქციო განცხადებებსა და საპროგრამო წერილებში საგანგებოდაა გაშუქებული ჟურნალის პუბლიცისტური მიზანდასახულება.

ნ. ნიკოლაძის საპროგრამო წერილი — „კრებულის“ დანიშნულებაზედ“ მთლიანად ჟურნალის პუბლიცისტური პროფილის დახასიათებას ეძღვნება. ავტორი ვრცლად განიხილავს პუბლიცისტური გამოცემის მნიშვნელობას, რომლის არსსაც, მისი სიტყვით, ის წარმოადგენს, რომ „საზოგადო მდგომარეობა გამოხატოს და საზოგადო მიზანს მიუახლოვოს თავისი საზოგადოება... გამოიკვლიოს საზოგადო საჭიროება და გამოძებნოს ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია თანადროული ცხოვრების გაუმჯობესება“.

ნ. ნიკოლაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1869—1870 წლიდან) „დროებაშიც“ იგრძნობა პუბლიცისტიკის გაძლიერება და, — რადგან ეს ორი გამოცემა ერთი იდეური მიმართულების ორგანოები იყვნენ, — პუბლიცისტიკის დარგში განსაკუთრებით შესამჩნევია ეს ერთიანობა. ის, რაც გაზეთში „გაკვერით გამოსახვას და დაფასებას პოულობდა“, „კრებულში“ დაწვრილებითი ისტორიული სტატიებით, ვრცელი კრიტიკით, ბუნებისა და კაცობრიობის ცხოვრების შესახებ სწავლული გამოკვლევებით“ შუქდება². გაზეთი და ჟურნალი ერთმანეთს აესებდნენ. ამასთან, როგორც „დროება“, ისე „კრებული“ თავიანთ თავს „საქართველოს მოამბის“ საქმის გამგრძელებლად თვლიდნენ. მაგრამ შვიდი წელი, რომელიც „კრებულს“ „საქართველოს მოამბისაგან“ აშორებს, მეტად მდიდარი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებით, რასაც უეჭველად გავლენა უნდა მოეხდინა პუბლიცისტიკაზე, როგორც სოციალური მოვლენებისადმი ყველაზე

¹ ნ. დოღობერიძის წერილი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმი, კირ. ლორთქიფანიძის ფონდი; გ. წერეთელი, თბ. ტ. I, 1931, ს. ხუნდაძის შენიშვნები, გვ. 498.

² „დროება“, 1871, № 15.

სწრაფად მგრძობიარე უნარზე. ბატონყმობის გაუქმების გამო ზოგიერთი პოლიტიკური საკითხის აქტუალობა ამ ხნის განმავლობაში განელდა, სამაგიეროდ, ახალი ტკივილები და ახალი პრობლემები წარმოიშვა. ქვეყანა, ხალხი მოუშზადებელი შეხვდა შეცვლილ ვითარებას, რომელიც მრავალ ამოცანას უსახავდა თვითეულ სოციალურ ჯგუფსა და მათი ინტერესების გამომხატველ სულიერ ძალებს. გადაუდებელ მოთხოვნილებად იქცა ანალიზი წარსულისა და გათვალისწინება მომავლისა; პუბლიცისტიკაც წინანდელზე შეუდარებლად უფრო მაძიებელი და ანალიტიკური გახდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპულ საკითხებზე საერთო თვალსაზრისი რედაქციას ბექდვით ორგანოში გაერთიანების საფუძვლად მიაჩნდა. „კრებულის“ პუბლიცისტიკა ამ მხრივაც სანიმუშოა; მისი იდეური მიმართულება ზედმიწევნით მონოლითურია. თუ „საქართველოს მოამბეში“ ერთგვარი გადახვევა მაინც შეიმჩნეოდა (დომ. ჭიფიანის „ზეციური მნათობების“ წინასიტყვაობა, ვ. თულაშვილის „შინაური მიმოხილვის“ რამდენიმე ადგილი), აქ თითქმის შეუძლებელია რაიმე წინააღმდეგობის აღმოჩენა. „კრებული“ ცდილობდა, ერთ გარკვეულ გზაზე დაეყენებია მკითხველი და შეთანხმებული აზრის განმტკიცებისათვის დაემორჩილებინა ყველაფერი. იგი იდეურ თანამოაზრეთა წრეში გამომუშავებულ შეხედულებათა დამამკვიდრებელი და თანმიმდევრულად გამტარებელი პოლიტიკური ორგანო იყო. იდეური მიმართულების ცნება, რომელსაც ჩვენში ილია ჭავჭავაძემ და „საქართველოს მოამბემ“ მისცეს დასაბამი, სამოციანელთა ახალმა ჟურნალმა გააღრმავა და იმ დროის კვალობაზე პარტიული პრესის გაგებამდე ააბაღლა. ჯერ კიდევ საპროგრამო წერილში ნ. ნიკოლაძე დაბეჯითებით აცხადებდა, რომ „ქურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც თავისი საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს, და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ქურნალის „მიმართულებას“, მის დროშას და ჩვენი „კრებულიც“ დარწმუნებულია, რომ... ი მ ა ს თ ა ვ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი მი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა და დ რ ო შ ა გა მ ო ა ქ ე ს“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

ჩვენს პრესაში ნ. ნიკოლაძე პირველი ლაპარაკობს პარტიულ თანაზიარობასა და პარტიულ დისციპლინაზე, პირველი მოითხოვს არსებული საპირისპიროდ „საკუთარი სამაგიერო გაწყობილებისა და მოაზრების წარმოდგენას“, „სიტყვისა და მოქმედების ისეთ თანხმობას“, რომელიც სიმტკიცეს აძლევს მებრძოლს და აჩქარებს სანატრელი იდეალის მოახლოებას. მებრძოლი იდეურობით გაყდენთილი, დაკონკრეტებული სამოქმედო პროგრამა „კრებულის“ პუბლიცისტი-

კას საპატიო ადგილს ანიჭებს არა მარტო ქართულ, არამედ მაშინ-
დელი რუსეთის ხალხთა ჟურნალისტიკაშიც.

პრესას, განსაკუთრებით პუბლიცისტიკას, ამ სტატიებში ხალხის
წინამძღოლის მისია აქვს დაკისრებული. ხალხთან დაახლოების, ხალ-
ხის შემკვიდროების მისწრაფება ყველაფერში თვალნათლივ ჩანს.
მასობრიობა, მკითხველთა წრის გაფართოება, საზოგადოების ყველა
ფენაში შეღწევა „ქრებულს“ წმიდათაწმიდა ვალად გაუხდია. პუბ-
ლიცისტიკის მიზანია, „მკითხველი საზოგადოების და ხალხის თავი-
საკენ ვადაყვანა“, — წერდა ნ. ნიკოლაძე.

„ქრებულში“ მხილებულია ევროპის ბურჟუაზიული პრესის მოს-
ყიდულობა, გამომზეხურებულია ხალხისადმი ღალატის მაგალითები და
პრესის მოვალეობად გამოცხადებულია მასების პოლიტიკური გათვით-
ცნობიერება და საჭირობოროტო სიტუაციებში სწორი ორიენტირება.

პუბლიცისტიკის მიზანდასახულებათა გაფართოებამ ბუნებრივად
გამოიწვია მისი თემატიკური და ჟანრობრივი გამრავალფეროვნება.¹
უნდა ითქვას, რომ იგი სრულად მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, სახელმწიფო წყო-
ბილებსა და ხალხის მდგომარეობის საჭირობოროტო საკითხებს, მეც-
ნიერებისა და აღზრდის სხვადასხვა პრობლემებს. აქ წინა პლანზე
იწევს ისეთი თემები, რომლებსაც ადრინდელ ჟურნალებში ან სრუ-
ლებით ვერ ვხვდებით ან გაკვირვებით იყო მოსხენიებული: რეფორმის შემ-
დგომ პერიოდის სოფლის ცხოვრება, ქვეყნის კაპიტალისტური განვი-
თარება, ტექნიკა, ეკონომიური თეორიები, მუშათა მოძრაობა, ბანკე-
ბი და ასოციაციები, ქალთა ემანსიპაცია, საკაცობრიო ცივილიზაციის
ისტორია, საერთაშორისო პოლიტიკა, უმაღლესი განათლება, მედიცი-
ნა, ბიოლოგია; ახალ ჭრილში შეუქდება ტრადიციული თემები და
პრობლემებიც. ს. მესხი ამის თაობაზე შენიშნავდა: „ათასი კითხვებია
ცხოვრებაში აღძრული“ და პუბლიცისტი ვალდებულია ყველაფერი
გააშუქოს და ახსნასო!.

ამ ვითარებაში თავისთავად ისპობა ის მრავალთემიანობა და მრავ-
ალპრობლემიანობა, რომელიც „საქართველოს მოამბის“ პუბლი-
ცისტიკისათვის იყო დამახასიათებელი. ყოველი წერილი ერთ რომე-
ლიმე თემას, ერთ გარკვეულ საკითხს ეძღვნება.

ადრინდელ გამოცემებთან შედარებით „ქრებულში“ უფრო ფარ-
თოდაა წარმოდგენილი შინაური და საერთაშორისო ქრონიკა, პოლი-
ტიკური მიმოხილვა, თეორიული წერილები, ნარკვევები, განსაკუთ-
რებით კი, პუბლიცისტურ-მხატვრული მოგზაურობანი; განათლებული
ახალგაზრდები, რომლებმაც ბევრი რამ ნახეს და გამოსცადეს, მოგზა-

¹ „ღრობა“, 1873, № 13.

ურის შთაბეჭდილებათა საბაბით გადასცემენ მკითხველს თავიანთ სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ შეხედულებებს.

მაგრამ „კრებულში“ (აგრეთვე იმ პერიოდის „დროებაში“) წამოყენებული არც ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულება არ უპირისპირდება და არ ეწინააღმდეგება „საქართველოს მოამბის“ იდეებს; პირიქით, „კრებული“ იცავს, აღრმავებს, ავითარებს და პროპაგანდას უწევს მათ.

როცა ე. წ. „პირველ“ და „მეორე დასს“ შორის განსხვავებაზე ლაპარაკობს, პროფ. სიმ. ხუნდაძე აღნიშნავს, რომ „60-იანი წლების მეორე, და 70-იანი წლების პირველ ნახევარში ინტელიგენციის ყურადღება სხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური საკითხებისადმი იყო მიპყრობილი, ვიდრე 60-იანი წლების პირველ ნახევარში“¹.

სახელოვანი მეცნიერის ეს მოსაზრება სწორია, მაგრამ ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება თაობათა შორის განსხვავების საფუძვლად. საქმე ის ხომ არ არის, როგორი ვითარება იყო, არამედ ის, — როგორი იყო ამ ვითარებისადმი დამოკიდებულება. ერთი თაობის („დასის“) ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის წინაშე, მისი მოღვაწეობის მანძილზე, ცხოვრების განვითარების ლოგიკით, ცხადია, სულ ახალ-ახალი პრობლემები წამოიჭრება და, თუ ამ პრობლემების ახსნა-გადაწყვეტაში აზრთა სხვადასხვაობა არ იჩენს თავს, მაშინ გათიშვის შესახებ ლაპარაკიც შეუძლებელია. ამასთან შეუძლებელია მაშინდელ „დასებს“, არა მუშურ, არა მაქსისტულ პარტიებს მოეთხოვოთ ბოლომდე მტკიცე, ყოველმხრივ შეთანხმებული, ჩამოყალიბებული და თანმიმდევრული პოლიტიკა. მოძრაობის საწყის საფუძველთა პრინციპებზე მარტოდენ გაღრმავება-განვითარება, აგრეთვე, არ იძლევა დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის შესახებ დასკვნების გამოტანის მიზეზს. ს. ხუნდაძეს, როგორც ჩანს, სწორედ ასეთი გაღრმავება-განვითარება მიუჩნევია იდეური დაპირისპირების საბუთად. სოციალური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების დონის შესაფერისად ილია ჭავჭავაძეს („საქართველოს მოამბეს“) ახალთაობის სოციალურ-ეროვნული იდეები გადმოცემული აქვს ზოგად ფორმებში, საერთო დებულების სახით, ხოლო „ახალი ახალგაზრდობა“ („კრებული“), როგორც ვთქვით, ანაწევრებს, აკონკრეტებს, გაშლილი სახით იძლევა იმავე ზოგად დებულებებსა და პრინციპებს.

თვით „კრებულის“ პუბლიცისტიკაში თაობათა დამოკიდებულების, კერძოდ, „ახალთაობის“ პრობლემას დიდი ადგილი უკავია; ამ საკითხს, საკმაოდ ვრცლად განიხილავენ პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი, ხოლო ნ. ნიკოლაძემ მას საგანგებო წერილები მიუძღვნა: „ჩვენი ახ-

¹ ს. ხუნდაძე, „ნარკვევები“.. 1941, გვ. 184.

„აღგაზრდობა“, „კრებულის“ დანიშნულებაზედ“, „საზოგადო საქმეები“, „ახალგაზრდობის აღზრდა“; „ჩვენი მწერლობა“, „ახალი ახალგაზრდობა“.

ილია ჭავჭავაძესა („საქართველოს მოამბე“) და გ. წერეთელ-ნ. ნიკოლაძის („დროება“-„კრებული“) ჯგუფს შორის იდეური მიმართების თაობაზე ზემოთქმული თვალსაზრისის სისწორეში განსაკუთრებით გვარწმუნებს მათი იდეური წყაროების ერთიანობა. დადგენილია, რომ ქართველ სამოციანელთა (თერგდალეულთა, „საქართველოს მოამბის“) იდეურ წყაროსა და საფუძველს ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის პროგრესულ ტრადიციებთან ერთად რუს რევოლუციონერ დემოკრატთა მოძღვრება წარმოადგენდა. ამის საპირისპიროდ „ახალი ახალგაზრდობის“ („დროება“-„კრებულის“) ჯგუფის იდეურ წყაროდ ს. ხუნდაძე ფაქტიურად ევროპულ სოციოლოგიას მიიჩნევდა („ეს ჯგუფი შეიარაღებული იყო ევროპიული მეცნიერებით: პოლიტიკური ეკონომიის პრინციპებით და საზოგადოების დებულებებით“)¹. „კრებულის“ პუბლიცისტიკის შესწავლამ ეს მოსაზრება არ დადასტურა.

„კრებულის“ პუბლიცისტები (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, დ. ჩხატუა, ბ. ჭაფარიძე), მართალია, ახლოს გაეცნენ ევროპის სოციოლოგიურ თეორიებს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობისათვის შესაფერისი და სანუგეშო მათ იქ ვერაფერი ჰპოვეს და რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებისადმი ერთგული დარჩნენ. უცხოელ სოციოლოგთა ცალკეულ შეხედულებებს ისინი მხოლოდ გაკვირვით, სასხვათაშორისოდ იხსენიებენ, სრულად არ გადმოსცემენ არც ერთის მსოფლმხედველობას და ხშირად კიდევ აკრიტიკებენ მათ. ის დროა, რომელზედაც ნ. ნიკოლაძე „კრებულის“ საპროგრამო წერილში ლაპარაკობს, კვლავ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებითაა აელვარებული. ეს უზრუნველყოფს სტიუარტ მილსა და პრუდონს, ლუი ბლანსა და ლასალს კი არ აღიარებს ავტორიტეტებად, არამედ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნააზრევში პოულობს იდეურ საზრდოს. მაშინდელი ქართული პრესა, მემუარული და ეპისტოლარული მასალები ექვემდებარებულად ამტკიცებს, რომ 70-იან წლებში ჩვენში არა თუ შენელებულა, უფროც გაძლიერებულა რუსი რევოლუციონერი დემოკრატებისადმი ინტერესი. ს. მგალობლიშვილი, ი. მანსვეტაშვილი, ი. მეუნარგია, ალ. ყიფშიძე და იმ დროს მოსწავლე სხვა გამოჩენილი მოღვაწეები ერთხმად გვიდასტურებენ, რომ ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის, პისარევის ნაწერები, „სოვრემენიკი“ ხელიდან ხელში გადადიოდა, ახალგაზრდობა მათ აღმერთებდა, „მათი

¹ ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორია საქართველოში, ტ. I გვ. 78.

სახელი მთელ მოწინავე თბილისს პირზე ეყვრა“. ეს საეცებით ბუნებრივითაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ პრობლემებზე („რეფორმის“ შეფასება, გლახთა მდგომარეობა, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა) ჯერ კიდევ არავინ იძლეოდა მათზე უფრო გარკვეულ პასუხს, ამასთან, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ერთგულ მოწაფეებს არც მოგვიანებით დაუხრიათ რევოლუციურ-დემოკრატიული დროშა, 70-იან წლებშიც ისინი რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ავანგარდში მიდიოდნენ.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ „კრებულის“ პირველსავე ნომერში ნ. ნიკოლაძემ საპროგრამო ხასიათის წერილი — „საახალწლო“ — ჩერნიშევსკის ვრცელი ციტატით დაიწყო, რომანის „რა ვაქეთოთ?“ — სიტყვებით წარმოგვისახა ამ ეურნალის წარმოდგენა მომავალზე. ავტორის მიუთითებლად (რადგან ჩერნიშევსკის ხსენება აკრძალული იყო) ქართველ პუბლიცისტს ვრცელი ამონაწერი მოაქვს ვერა პავლოვნას მეოთხე სიზმრიდან.

ნ. ნიკოლაძის წერილებში იმის ახსნასაც ვპოულობთ, თუ რით იყო გამოწვეული 70-იან წლებში ქართველ სამოციანელთა ერთგულება რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მოძღვრებისადმი. მიმოხილვაში „რუსეთის ცხოვრება“ ნ. ნიკოლაძე იმ თეზისს ემყარება, რომ „ჩვენი მამულის ბედი და მომავალი მტკიცედ დასკვნილია რუსეთის მდგომარეობაზე და რუსეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას ნიადაგი აქვს ჩვენი ქვეყნის იღბალზე“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.). შესაბამისად, ნ. ნიკოლაძის აზრით, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა თვალს უნდა ადევნებდეს და კვალში უნდა მიჰყვებოდეს რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობას, მასში უნდა ეძებდეს და პოულობდეს შთამაგონებელ ძალას, იდეურ წყაროს, მომავლის ჩირაღდანს. ნ. ნიკოლაძე იქვე დასძენს, რომ, მართალია, 60-იანი წლების მოძრაობაზე უკეთესი ჯერჯერობით რუსეთს სხვა არაფერი შეუქმნია, მაგრამ სულ მალე ის ახალი ძალით იფეთქებს და გავიყვოლიებს: „...ამისთანა იშვიათი პირები რუსეთს ჰყოლია ხოლმე, მაგალითად — ...ბელინსკი, დობროლიუბოვი და სხვები უკეთესებიც (იგულისხმება ჩერნიშევსკი. ხაზი ჩვენი ა. კ.). და თუმცა ამჟამათ, „რუსეთს ამისთანა მოთავე აკლია (ხაზი ჩემია. — ა. კ.), ამისაგან სრულებით ის დასკვნა არ უნდა გამოგვყავდეს, ვითომ, შემდგომიაც შეუძლებელი იყოს მისი გამოჩენა და მოქმედება. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არც შემუძლებელი, არც ნამეტნათ მოუორებელი საქმეა. როცა ეს იმედი ასრულდება, რუსეთის გონებით

მოძრაობას იმ ერთობის და ერთკილოიანი მოქმედების გზა დაენიშნება, რომელიც საზოგადოებას წარმატებას ანიჭებს“.

როგორც ვხედავთ, ევროპის სოციალური თეორიებისადმი „კრებულის“ ფრთხილ და კრიტიკულ დამოკიდებულებას უაღრესად პრინციპული საფუძველი ჰქონია; შესაძლებელია დავსძინოთ: საფუძველი სწორი და წინასწარმეტყველურიც.

საძიებელ საკითხზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს ნ. ნიკოლაძის ვრცელი თხზულება „სხვათა შორის“. რევოლუციონერი დემოკრატიზმისადმი შეურყეველი რწმენა აქ გადმოცემულია არა მხოლოდ ცალკეული გამონათქვამებით, არამედ ნაწარმოების მთლიანი კონცეფციით. ავტორს აღწერილი აქვს ევროპაში მოგზაურობა, სადაც ის პირადად ესაუბრა ლუი ბლანსა და სხვა გამოჩენილ თეორეტიკოსებს. ვგრძნობთ, რომ იგი ძალიან კარგად იცნობს მათ შეხედულებებს; ეპაექრება და აკრიტიკებს მათ, — ეკამათება ლუი ბლანს ფრანგი ხალხის პოზიციებიდან, პროგრესული კაცობრიობის სახელით. ავტორი განუზომელ მოწიწებას გრძნობს პარიზელ კომუნარტადმი, მაგრამ ასეთივე მოწიწება არ იგრძნობა ლუი ბლანისა და სხვა თეორეტიკოსების მიმართ. იგი ხელცარიელი, თითქოს, იმედგაცრუებული ბრუნდება რუსეთში, რათა აქ კვლავ აღტაცებით მოიყაროს მუხლი სამოციანელთა მოძღვრების წინაშე. აქ უკვე აშკარა კონტრასტთან გვაქვს საქმე. თხზულება გაყდენთილია რუსეთისა და მისი მოწინავე შვილებისადმი პატივისცემით, მისი მომავლის რწმენით. იგი ნეკრასოვის სტრიქონებით დასტირის ბრძოლაში დაცემულ სამოციანელთა წმინდა საფლავებს და აქ ყოველი სიტყვა გაისმის, როგორც მათი საქმიანადმი ერთგულების ფიცი.

ნ. ნიკოლაძე დაინტერესებულია 70-იანი წლების რუსეთის ცხოვრებით, დაეძებს მასში ახალ ცხოველ აზრს, მაგრამ ამაოდ, ვერც აქ პოულობს „სოვრემენიკსა“ და ჩერნიშევსკიზე უკეთესს ვერაფერს: გული უკვდება, რომ მათ ხსოვნას დავიწყების ფერფლი ეფინება. „ჩვენი მეხსიერება და მოგონება... (იმათ) ნათელ და წმინდა ხსოვნას მოვანდომოთ, რომლებმაც თავიანთი მოვალეობა მტკიცედ აასრულეს, საქმით სიტყვა ამართლეს და რწმენისათვის, კეთილი საქმისათვის, მამულისათვის თავი დადვეს!.. მათი სწავლა, მათი ცხოვრება, მათი გზა: და ბედი ჩვენი სამკვიდრებელია. ამის მეტი ნათელი არა უღირსებია რა ჩვეთვის არა და უმზადებია რა“ (ხაზი ჩემია. — ა. ე.).

ამ გულწრფელ აღსარებას იმასლა დავუმატებთ, რომ რუს სამოციანელთადმი ასეთივე შეურყეველი პატივისცემითაა გამსჭვალული ს. მესხის წერილი „რა დაუჟარგავთ ქალებსა და რას დაეძებენ ისინი“, დავით ერისთავის — „წყლებზე“ და სხვ.

ამრიგად, „კრებულის“ პუბლიცისტთა წერილების გაცნობას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მათი სოციალური შეხედულებების ძირითად თეორიულ-იდეურ წყაროდ კვლავ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ნააზრევნი რჩება; უცხოურ თეორიებს ისინი თავიანთ მოძღვრებად არ აღიარებენ, ავტორიტეტად არ თვლიან და უცხოელ სოციოლოგთა გამონათქვამებს გაკვირვებით, სხვათა შორის იხსენიებენ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დმი ინტერესის გაძლიერებას საფუძვლად უდევს იმის რწმენა, რომ სოციალური განვითარება კანონზომიერი მოვლენაა და ამ კანონების შეცნობა საეცებით შესაძლებელია. ნ. ნიკოლაძის სიტყვით, საზოგადოებრივ მეცნიერებას „ისეთი სამეცნიერო კანონები დაუნახავს, რომელთაც ყოველთვის და ყოველგან ემონება კაცობრივი საზოგადოება“. რაკი თანამედროვე ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების ახსნა-შესწავლა საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნად გამოცხადდა, ჟურნალიც მეტ ადგილს უთმობს მას.

„კრებულის“ პუბლიცისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი წყობილება, მისი „კანონები და საქციელი ღმერთისგან დაფუძნებული და სამუდამოდ დაწესებული არაა“ და ამიტომ „მათი შეცვლა შესაძლებელი და სასარგებლო საქმეა“. ისტორიულ წერილებშიც ისინი სოციალურ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას და საზოგადოებრივი წყობილების განვითარებას უჩვენებენ მკითხველს, ამხელენ რელიგიასა და სქოლასტიკას, მოითხოვენ თავისუფალ აზროვნებას.

„კრებულის“ პუბლიცისტიკაში გაბატონებულ ადგილს ეკონომიკური საკითხები იკავებს, წამყვანი როლი პოლიტიკურ ეკონომიას ენიჭება. რედაქციის აზრით, მას „კაცობრიობის ისტორიაში სტრატეგიისა და ტაქტიკის მნიშვნელობა აქვს“¹.

„პოლიტიკური ეკონომიის და საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები იმრიგათვე აუცილებელი და შეურყეველი არიან, როგორც თვით ბუნების კანონები“. თუ „საქართველოს მოამბე“, ამ მხრივ არსებითად ორიოდ თარგმანით დაკმაყოფილდა, აქ პოლიტიკური ეკონომიის პრობლემებს, თითქმის, ყველა პუბლიცისტი ეხება; პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც ცხოვრებამ დააყენა, თვითთული მათგანი ამ მეცნიერების თვალსაზრისით განიხილავს. ნ. ცხვედაძეს „ეკონომიური აზროვნება“ რენესანსის, კაცობრიობის გონებრივი პროგრესის ერთ უმთავრეს ნიშნად მიაჩნია².

¹ „კრებულის“ დანიშნულებაზედ“, „კრებული“, 1871, №3; „საზოგადო საქმეები“, „კრებული“, 1872, № 6.

² „კრებული“, 1873, № 1.

პუბლიცისტებს სწამდათ, რომ სოციალური ცხოვრების მოვლენათა ამგვარი ანალიზით, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ავტორიტეტის განმტკიცებით, ისინი ხელს უწყობდნენ ხალხის გამოფხიზლებას, მისი პოლიტიკური შემეცნების გამომუშავებას და, ბოლოს და ბოლოს, გაბატონებული უსამართლობის წინააღმდეგ მის ამხედრებას. ყოველივე ამით ისინი ფაქტიურად ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდნენ მკითხველს, — რომ „ეხლანდელი წესები და ჩვეულებები შეურყეველი არ დარჩებიან“, რომ — „ყველა თეორიას იმდენი ფასი აქვს, რამდენათაც ისინი... კაცობრიობის სამსახურს გვასწავლიან“¹.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ „კრებულის“ ყველა პუბლიცისტს ყოველთვის სწორად ესმის მეცნიერული ცოდნის, სწავლა-განათლების, თეორიის მნიშვნელობა? არა, არ ნიშნავს. ზოგიერთი ავტორის წერილში კვლავ შესამჩნევია ცოდნის, თეორიის გადაჭარბებული შეფასება, მისი თავისთავადი ყოვლისშემძლეობის აღიარება (ალეველი, ნაწილობრივ, ე. ნიკოლაძის „კრებულის“ დანიშნულებათაზე“ და სხვ.).

„კრებულის“ პუბლიცისტის ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი მისი პრაქტიციზმია. კორესპონდენციული მანერა აქ ისე გაბატონებულია, რომ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკა მასთან შედარებით აბსტრაქტულადაც კი გვეჩვენება. „რა ვქნათ?“ „რა ვკეთოთ?“, „როგორ გავაკეთოთ?“, „რა გვიშველის?“ აი, უმთავრესი კითხვები, რომლებზედაც ამ ჟურნალში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები უპასუხებს.

პუბლიცისტიკის წამყვანი თემა სამეურნეო-ტექნიკური საკითხები გახდა. საპატიო მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა იმაზე მსჯელობამ, თუ როგორ შეიძლება ხრიოკი, ჭაობიანი ადგილები ადამიანმა სამოთხედ აქციოს. ლამაზ, მაგრამ უსარგებლო ფრაზას პუბლიცისტიკაში მაზანდა გაუვიდა. სიტყვა და სადღეისო საქმე ერთმანეთს გადაეჯაჭვა. პუბლიცისტი თვითონაც „საქმის კაცად“, პრაქტიკოსად იქცა.

ნ. ნიკოლაძის წერილის „ჩვენი ახალგაზრდობა“ ძირითად პათოსს პრაქტიკული მოღვაწეობისაკენ მისწრაფება წარმოადგენს. ერობა, მიწა-წყლის გამოყენება, გზების გაყვანა, საავადმყოფოებისა და სკოლების დაარსება; ასეთივე სულისკვეთებითაა გამსჭვალული მისი სტატია „ახალი ახალგაზრდობაც“. ამ ახალგაზრდობისათვის „პატიოსანი მამართლეობა მარტო ლაზათიანი სიტყვების გამოთქმაში კი არა, საქმით (უნდა) გამოიხატებოდეს. ის საქმეს ეძებს და აფასებს“.

„საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებს „კრებულის“ პუბლიცისტები უმთავრესად ზოგადობას, არაკონკრეტულობას, არაპრაქტიკულობას უსაყვედურებენ. ნ. ნიკოლაძე ამას ძირითად განმასხვავებელ

¹ „კრებულო“, 1873, № 2, გვ 81.

ნიშნადაც თელის. მისი სიტყვით, „ძველმა თაობამ“ (იგულისხმება „საქართველოს მოამბის“ ჯგუფი. — ა. კ.) ბანკის დაარსება მოინდომა, ტყეილა იბზუილა“, „სასწავლებლის გამართვისათვის მარტო შეუჩა-ცხყოფა დამისახურა“...¹ ცხოვრება, ეპოქა, ყოველ თაობას ან ერასა და იმავე თაობას, სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებს. ზოგჯერ საჭი-როა ეკონომიური ცვლილებები, ზოგჯერ — სამხედრო სწავლა. ზოგ-ჯერ, „როცა ეკონომიური ცვლილებები ხეირიანი დგებიან, ხალხი მშვიდობიანათ შრომობს და ცხოვრობს... საჭიროა მწარმოებელი თა-ობა, შრომაში გამოცდილი, ალებ-მიცემობის მცოდნე, გზების და გამ-საღებელი ადგილების გამომძიებელი“².

პრაქტიციზმის სულისკვეთებითაა გამსჭვალული „კრებულში“ გა-მოქვეყნებული გ. წერეთლის პუბლიცისტური წერილებიც. პრაქტი-კული უმოქმედობა და უინიციატივობა მას ერის გადაგვარებისა და დაღუპვის მომასწავებლად მიაჩნია. იგი მღელვარედ წერს საერთო-სახალხო თვითმოქმედებაზე, როგორც ახალ ვითარებაში ერის გადა-რჩენის აუცილებელ პირობაზე. მოდუნებულ, მთვლემარე, უმეცარ ხალხს შთანთქავს და გააჩანაგებს კაპიტალისტური ევროპა, რძღვან „იმათ აქვთ ფული, ჩვენ არა, იმათ აქვთ სწავლა, ჩვენ — არა. იმათ იციან ყოველნაირი ხელობა, ჩვენ კი არა ვიცით რა. იმათ აქვთ ქარხ-ნები, ჩვენ კი — არაფერი“. მთელს ჩვენს სიმდიდრეს ისინი ჩაიგდებ-ბენ ხელში და ჩვენსავე მამულში მოჭამაგირებდალ გაგვიხდიან³.

ქართული ეროვნულ-სოციალური სინამდვილის მოვლენათა ანა-ლიზი „კრებულის“ პუბლიცისტებს წინანდელზე უფრო ფართოდ გა-დააქვთ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში, უფრო ხშირად მიმართავენ უცხოურ პარალელებს. ამ მხრივ, „კრებულის“ პუბლი-ცისტის დევიზად იქცა ნ. ნიკოლაძის დებულება, რომ „ბოროტების ძირი არის არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიურიც“⁴.

ხალხთა ცხოვრების პირობების გაცნობა, საერთაშორისო საქმეებ-ში გარკვევა ცოტად თუ ბევრად განათლებული ადამიანის საარსებო მოთხოვნილებად იქცა. გ. წერეთლის „მგზავრის წერილების“ მთავა-რი პერსონაჟი ხ-სკი გაკვირვებით კითხულობს: „ღმერთო ჩემო, მაშ, კაცია ის, თუ ახლანდელი ევროპის ცხოვრების მოძრაობას ყურს არ აღევნებს!“

„კრებულის“ პუბლიცისტები საერთაშორისო ცხოვრების იმ მოვ-ლენებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის-თვისაც აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა. იმ წერილებშიაც კი, რომ-

¹ „ახალი ახალგაზრდობა“, „კრებული“, 1873, № 1.

² ნ. ნიკოლაძე, „ახალი ახალგაზრდობა“, „კრებული“, 1873, № 1.

³ „საამხანაგო ბანკები“, „კრებული“, 1872, № 8—9.

⁴ ნ. ნიკოლაძე, რჩული ნაწერები, ტ. I, გვ. 173.

ლებიც სხვადასხვა ხალხთა შორეულ წარსულს შეეხებოდა, ავტორები თანამედროვე საქართველოს საპირბოროტო პრობლემებს ეხმიანებოდნენ. რეფორმაციისადმი, ლუთერისადმი მიძღვნილ სტატიაში ნიკ. ცხვედაძე ვრცლად ლაპარაკობს ქართველ გლეხთა ჩაგვრაზე ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ქართული ენის დევნაზე, ქართველი თავად-აზნაურობის ფუქსავატობაზე და ა. შ.¹

ჯერ „დროებამ“, ხოლო შემდეგ „კრებულმა“ საძირკველი ჩაუყარა და დაამკვიდრა ჩვენში საერთაშორისო ინფორმაცია და მიმოხილვა, პოლიტიკური ცნობიერების ვრცელი ასპარეზი გადაუშალა ქართველ კაცს. იმდროინდელი ქართველი მკითხველი საფრანგეთ-პრუსიის ომის ან პარიზის კომუნის ამბებს უკეთ იცნობდა, ვიდრე სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ ყირიმის ომის ამბებს იცნობდნენ.

მხოლოდ ხალხოსანმა პუბლიცისტებმა აიგდეს სასაცილოდ „დროება“ — „კრებულის“ გატაცება საერთაშორისო პრობლემებით. ისინი ტენდენციურად, შეიძლება ვთქვათ, დემაგოგიურადაც მიუდგნენ ამ საკითხს. სტეფანე ჭრელაშვილი ამბობდა: „ქართველი საზოგადოება, მთელი ხალხი სწყულებოდა შიმშილითა და უმოსავლობით, ამ დროს ჩვენი მწერლები გაცხარებით ბაასობდნენ ლუი ბლანზე, რომფორებზე და გამბეტაებზე... ბოკლისა და დარვინის თეორიების მეტს ვერასა კპოულობდნენ სალაპარაკოდ... ელაპარაკობოდნენ ქართველ მკითხველებს მეცნიერებისა და ცხოვრების უკანასკნელ სიტყვაზე... რა მედარვინ-ბოკლება, შე მამაცხონებულო, ლამის არის სული ამომხდეს სიღარიბისა..., უსამართლობისა და შევიწროებისაგან... (მათ) ნაწერებს რომ შეხედოთ, გეგონებათ, ევროპელ პუბლიცისტებს ვკითხულობო“².

სტეფანე ჭრელაშვილს მოვლენებისადმი ღრმა ისტორიულ მიდგომას ვერ მოვთხოვთ, ვერც სოციალური ასპექტის გამახვილებას ვუსაყვედურებთ, მაგრამ, ისე კი, უდავოა, რომ საერთაშორისო ცხოვრების ფართო გაშუქებით, 70-იანი წლების პროგრესულმა პრესამ ნაყოფიერი ნიადაგი მოუშადა შემდგომი პერიოდის რევოლუციურ აზროვნებასა და მოძრაობას. ჩვენს ყურნალისტებს კარგად ესმოდათ, რომ ისინი მომავლის თესლს აღვივებდნენ, დაჩაგრულ ხალხს განთავისუფლების გზას უშუქებდნენ და საშინაო თუ საგარეო მდგომარეობის დახასიათებით, გაბედული მოქმედებისათვის ამზადებდნენ. მათ სწავლათ ხალხი, სწამდათ მისი ბედნიერი მომავალი და მათი პუბლიცისტური ნაწერებიც ოპტიმიზმითაა განათებული: ოპტიმიზმი ასულდგმულებს „კრებულის“ პუბლიცისტთა მხურვალე პრაქტიკულ საქმიანობას, აქტივობასა და ახალი გზების ძიებას. „დღეს უფრო ნათლად ჩანს საქ-

¹ „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავის მიზეზებით XVI საუკუნეში“, „კრებული“, 1872, 10—12.

² „ქართული მწერლობა“, ყურნ. „იმედი“, 1881, № 1.

მე, ჩანს ასპარეზი, ჩანს გამარჯვების იმედი“¹, წერდა ნ. ნიკოლაძე. თუმცა მათ ისიც იცოდნენ, რომ „ძალიან იშვიათად მოხდება... კაცს თავისი აზრის ასრულება თავისსავე სიცოცხლეში ენახოს“².

პუბლიცისტიკა უსათუოდ მამხილებელი უნდა იყოს, მაგრამ მხილებით არასდროს არ უნდა დაკმაყოფილდეს, თვითონვე უნდა ცდილობდეს ცხოვრების გაუმჯობესებას, საზოგადოების მდგომარეობისა და მოთხოვნების მიხედვით უნდა წარმართავდეს საზოგადოებრივ აზრს, ეძებდეს „ასრულების გზას“.

ეურნალის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სერიოზულ საშინაო და საერთაშორისო საკითხებზე იგი თითქმის მხოლოდ ორიგინალურ სტატიებს ბეჭდავდა. ამ მხრივაც მას ვერც ერთი მაშინდელი ქართული გამოცემა ვერ შეედრება; 60-მდე პუბლიცისტური წერილიდან მხოლოდ ოთხია გადმოთარგმნილი ან გადმოკეთებული. ამასთან დაკავშირებით ს. მესხი აღტაცებით წერდა: „ეს სამი ერთად გამოსული წიგნი „კრებულისა“ მდიდარია სტატიების სხვადასხვაფერობით... რომელნიც ორს გარდა, ყველა ორიგინალური არიან“.

რედაქცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წერილების „თვისებასა და ღირსებას“. თანამშრომლები ერთმანეთს არ ინდობდნენ, მკაცრად მოითხოვდნენ ღრმა ანალიზს, დახვეწილ სტილს, ნათელ დასკვნებს. პუბლიცისტთა ტემპერამენტისა, განათლებისა და სხვა განსხვავების მიუხედავად, „კრებულის“ პუბლიცისტიკას უდავოდ გააჩნია ერთიანი სტილი, რომელიც მაღალი კულტურით, სიმყარითა და ღრმა მეცნიერულობით გამოირჩევა.

პუბლიცისტური სტილის, საერთოდ, პუბლიცისტური ოსტატობის საკითხი, „კრებულამდე“ პრინციპულად არც ერთ ქართულ ორგანოს არ აღუძრავს. ამ ეურნალის რედაქცია და თანამშრომლები არა მარტო პრაქტიკულად იბრძოდნენ ჩვენი პუბლიცისტიკის აღმავლობისათვის, არამედ თეორიულ მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ პუბლიცისტურ ხერხებსა და საშუალებებზე, ავრცელებდნენ რუსული და ევროპული პუბლიცისტიკის გამოცდილებას.

პუბლიცისტური ოსტატობის ცალკეულ მხარეებს შეეხებით: გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ი. ნათაძე, ნ. ცხვედაძე, ხოლო ნ. ნიკოლაძემ ამ საკითხს მიუძღვნა ვრცელი წერილი — „თანამედროვე მწერლობა“³, რომელშიც საფუძვლიანადაა დახასიათებული ევროპული, კერძოდ, ფრანგული პუბლიცისტიკის სტილისტური თავისებურებანი. ამ საინტერესო ნაშრომში ნ. ნიკოლაძე ღრმად სწვდება პუბლიცისტური ხელოვნების საიდუმლოებას, ადგენს მიზნისა და შინაარსისად-

¹ „ახალი ახალგაზრდობა“, 1873, № 1.

² პ. უმიკაშვილი, „ოსებ მაძინი“, „კრებული“, 1872, № 8—9.

³ „კრებული“, 1873, № 8.

მი ფორმის შესატყვისობის ნიშანთვისებებს, არკვევს პუბლიცისტიკის სხვადასხვა ჟანრის (სახეობის) სპეციფიკას, განიხილავს და აფასებს იმ დროის გამოჩენილ პუბლიცისტთა შემოქმედებას. პუბლიცისტიკის სინონიმად ავტორი აქ „პოლიტიკური მწერლობის“ ცნებას იყენებს და მისი შინაარსისა და ფორმის განვითარებით განსაზღვრავს ამა თუ იმ პერიოდში ხალხის საზოგადოებრივ აქტივობასა და ინტელექტუალურ-სულიერ დონეს.

უთუოდ ამ დაუოკებელი წინსწრაფვითაა განპირობებული პუბლიცისტიკის პირდაპირობა, ცხარე, ბეჭითი ტონი; პუბლიცისტი „ულაპარაკოდ“ თავს გვახვევს საკუთარ აზრს. საჭიროდ არ თვლის, გაგვაცნოს და განიხილოს ერთმანეთის საწინააღმდეგო ან, საერთოდ, განსხვავებული თვალსაზრისი; საკითხს მხოლოდ იმ კუთხით და იმ მასშტაბით აშუქებს, რაც აუცილებელია მკითხველისათვის მისი შეხედულების შთასაგონებლად. ამ ნიშნების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ „კრებულში“ ფრანგული პუბლიცისტური სტილი მეფობს. ჩვენი პუბლიცისტები ხომ, მართლაც, აღტაცებული იყვნენ ფრანგული პუბლიცისტიკის პირდაპირობით, ნიშანში სწრაფი დამიწებით, გონებამახვილური შთამაგონებლობით. ფრანგების ცოდნა... „ჰიპოთეზა, თეორია ან დედაზარი, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ელვასავით გაჰკრავს ცოდნის ნისლიან ცაზე, ბნელ მხარეებს გაანათებს, გზას აღმოაჩენს, მიზანს უჩვენებს“¹.

სამეურნეო-ტექნიკურ საკითხებზე დაბეჭდილი სტატიებიც კი მებრძოლი ტონითაა დაწერილი; ხშირად მოდავე ან მისი თვალსაზრისი არ ჩანს, მაგრამ პუბლიცისტი მაინც იბრძვის, თავის აზრს მაინც უხილავ მოკამათესთან პაექრობის ფორმით გადმოსცემს².

მოხდენილი ფორმა „კრებულის“ პუბლიცისტებისათვის აზრის სწორად გადმოცემის ღონისძიებას წარმოადგენდა; მათთვის უმთავრესი აზრი იყო და არა ლამაზი ფრაზა, მკითხველის დარწმუნება და არა გაკვირვება, შინაგანი ლოგიკა და არა ფეიერვერკი. „ფრაზებით ბეზიაჩვენის დროს აკვირვებდა ხალხს განსვენებული მარლინსკი. ფრაზები მოძველდნენ. ეხლა მკითხველი აზრს თხოულობს, ახალს, მარჯვე, სწორ აზრს და არა ფრაზას... ამნაირი ფრაზები მოსპო და მოკლა მეცნიერებამ, რომელიც თხოულობს ფაქტს და ფაქტზე დამყარებულ აზრს და არა სიტყვებს... უმნიშვნელო კრიკინს“³.

„კრებულის“ პუბლიცისტიკა წინანდელზე მომზადებული აუდიტორიისათვის იყო გამიზნული. ძალად გაუბრალოება, გაპრიმიტიულება ავტორებს დაუშვებლად მიაჩნდათ, მაგრამ საყოველთაო-სახალ-

¹ „სხვათა შორის“, „კრებული“, 1873, №4.

² „იმ დროის მოძრაობა“, „კრებული“, 1873, № 3.

³ ნ. ნიკოლაძე, „ივერიის პირველი ნომერი“, „დროება“, 1877, № 26.

ხო გასაგებრობას თავიანთ წმინდა მოვალეობად თვლიდნენ და ამას მაღალი პუბლიცისტიური ოსტატობით აღწევდნენ. პუბლიცისტიკის არსებით ნიშანს შეადგენს მოვლენების ანალიზი, კონკრეტული კვლევა-ძიება, ფაქტების მიმოხილვა და განზოგადება, საქმიანობა, ინტელექტუალიზმის გაძლიერება. „კრებულის“ პუბლიცისტებს კონკრეტული მასალის გარეშე საზოგადოებრივ მოვლენებზე მსჯელობა ვერ წარმოუდგენიათ. სტატისტიკური მონაცემები მათთვის ძირითადი მამტიკიცებელი საბუთია. კარგად მეტყველი ციფრობრივი შჯალებითაა აღჭურვილი ნ. ნიკოლაძის წერილები: „სხვათა შორის“, „ახალი საფრანგეთი“, გ. წერეთლის „ამ დროის ვითარება“, „საამხანაგო ბანკები“, ს. მესხის „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი?“, ნიკ. ცხვედაძის „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა“ და ა. შ. ეს დასაბუთებისა და დარწმუნების მეტად ეფექტური საშუალება იყო. თურქეთის მონობაში მყოფი აჭარისა და ჭანეთის მძიმე მდგომარეობას ვერც ერთი პათეტიკური შეძახილი ვერ წარმოუსახავდა მკითხველს ისე რელიეფურად და დამაჯერებლად, როგორც ნ. ნიკოლაძის მიერ მოტანილი სტატისტიკური მონაცემები ამ პროვინციების სახალხო მეურნეობის, განათლების, მოსახლეობის მატერიალური პირობების, აღებმიცემობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ. „საამხანაგო ბანკების“ მნიშვნელობას გ. წერეთელი პაქართველოსა და გერმანიის ეკონომიკის დამახასიათებელი ციფრობრივი მასალით ასაბუთებს. საკამათო საკითხებზე მსჯელობისას, პუბლიცისტები მკითხველს ურჩევენ „სტატისტიკურ ცნობებს ჩახედეთ და იქ შეიტყობთ“¹.

სიახლედ უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა და მოაზროვნეთა შეხედულებების ციტაცია (ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი, ბოკლი, შლოსერი, ბიუნზერი, შულცე-დელიჩი და სხვ.).

ამ ნოვატორულ ხერხებთან ერთად, „კრებულის“ პუბლიცისტები ოსტატურად იყენებდნენ ქართული პუბლიცისტიკის, კერძოდ, „საქართველოს მოამბის“, საუკეთესო ტრადიციებს, განსაკუთრებით, საზოგადოებრივ მოვლენათა დახასიათების ლიტერატურულ-მხატვრულ მეთოდს. სიმახვილე ენიჭება პოლიტიკურ სატირას, უფრო ფუნქციონალური ხდება იუმორი, გამჭვირვალობა ემატება ალეგორიასა და ქარაგმას, შენარჩუნებულია პორტრეტი, პეიზაჟი, დიალოგი. ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. ნათაძე, დ. ჩხოტუა, ნ. ცხვედაძე მიზნობრივად იყენებენ ხალხურ გამოთქმებს, შედარებებს, ფრთიან სიტყვებს, იგავებს. „საზოგადო სარგებლობაზე“ გავრცელებული უკუღმართი შეხედულებ-

¹ გ. წერეთელი, „ამ დროის ვითარება“, „კრებული“, 1872, № 10—12.

ბის განსაქიქებლად. ნ. ნიკოლაძე ასეთ მხატვრულ ანალოგიას მიმართავს: „ვის არ მიაჩნია ეს სიტყვები იმ უცნაურ და თვალთმაქცურ მაკრატლათა, რომლითაც ადვილად შესაძლებელია „საზოგადო მატყლით“ თავისი საკუთარი ტყავის და სხეულის გათბობა?!“

საინტერესო პუბლიცისტურ მანერას წარმოადგენს ე. წ. „უსიტყვოდ თქმა“, რომელიც საცენზურო პირობებით იყო გამოწვეული. ავტორი უშუალოდ არ გადმოგვცემს სათქმელს, მაგრამ სათანადო სიტუაციის შექმნით, საესებით გვაგებინებს თავის აზრს.

უთუოდ ამავე ნიადაგზე აღმოცენდნენ „კრებულის“ მქადაგებელი გმირები“, რომლებიც ახალი იდეების პროპაგანდას ეწევიან პუბლიცისტურ ნაწერებში, განსაკუთრებით, სამგზავრო წერილების ფორმით დაწერილ თხზულებებში (ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ გ. წერეთლის „ეკოლოგი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“, იასონ ნათაძის „მგზავრის შენიშვნები“, დ. ერისთავის „წყლებზე“), ისინი გვევლინებიან უშუალოდ ავტორის, ლირიკული გმირის ან მისი რუბორის სახით, ფართოდ მსჯელობენ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე, გამოაქვთ მათ შესახებ პირდაპირი მსჯავრი, გამოთქვამენ გაბედულ შეხედულებებს. ასეთებია: ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ მთხრობელი და მოხვევ, გ. წერეთლის — ხოროშევსკი, ი. ნათაძის — მთიული და სხვ.

„კრებული“ თავს ვერ მოიწონებს მალაქარისხოვანი ფელეტონით, რომელიც მაშინ ევროპული, განსაკუთრებით, ფრანგული პუბლიცისტის წამყვან ქანრად ითვლებოდა. ამ მხრივ ის დიდად ჩამოუვარდება „ცისკარსა“ („სალაყბო ფურცელი“) და „საქართველოს მოამბეს“ („სხარტულა“, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“). ჟურნალის მეთაურებს კარგად ესმოდათ მისი მნიშვნელობა. 1869 წლის 5 დეკემბერს, ნ. ნიკოლაძე სწერდა ს. მესხს: „საქმე ფელეტონშია, Игривый, остроумный, заманчивый и дельный, სადაა ამნაირი ფელეტონი? ვეცადოთ, რომ ეს რუბრიკა კარგად ავაესოთ, დანარჩენი ადვილი საქმეა“.

რუბრიკა მართლაც არსებობდა, მაგრამ იქ დაბეჭდილ გ. წერეთლის, პ. უმიკაშვილისა და თვით ნ. ნიკოლაძის ფელეტონებს აკლია მარილი, სიმსუბუქე, სილაღე, გონებაშახვილობა და მიმზიდველობა. „კრებულის“ ვერც ერთმა ფელეტონისტმა ვერ შესძლო არა თუ საკუთარი სტილის, მანერისა და კილოს გამომუშავება, არამედ მისთვის შესაფერი თემების მიგნება. აქ არც ძლიერი სატირია, არც მოხდენილი იუმორი, არც ამბის მთავარი რგოლია გამოძებნილი, არც საკითხისადმი მიდგომის კუთხე ჩანს. ლაპარაკია ყველაფერზე და არაფერზე; წვრილმანი და სერიოზული ერთნაირი ენითა და კილოთია დახასიათებული. ეს უგერგილო ფელეტონები მითქმა-მოთქმისა და

გაქილვის საგანი გამხდარა იმ დროს. ს. მესხი 1873 წ. 22 სექტემბერს კეკე მელიქიშვილს ასე უზიარებდა თავის შთაბეჭდილებას: „პირველი ნახევარი (შესავალი) გ. წერეთლის ფელეტონისა¹ სწორედ რომ უბრალო და უაზრო ყბედობაა, და როგორც მივსწერე, სრულიადაც რომ არ გამოეშვა, უკეთესი იქნებოდა, მაინცა და მაინც არც მეორე ნახევარია ერთობ აზრიანი და კარგი...“ ფელეტონისტმა „ერთ რომელსამე ისეთ უმთავრეს შემთხვევას უნდა მოაეღოს თვალი, სტაცოს ზელი თავში, გამოსწიოს, რომ იმას თან წარმოადევნოს დანარჩენნი... მისცეს ურთიერთშორის დამოკიდებული წყობა, ახსნას იმათი მთელი ცხოვრების ვითარება, იმისი ეხლანდელი მოძრაობა და მომავალი ბედობლი“.

დადებით ტრადიციებთან ერთად, „კრებულის“ პუბლიცისტიკაში აღრინდელი სტილის ზოგიერთი მანკიერებაც გადმოვიდა. ასეთ რეციდივად მიგვაჩნია ცალკეული ადგილების გაჭიანურება, მკითხველთან ზედმეტი ფამილარობა; ქართული პუბლიცისტიკის იმ დროისათვის უკვე გაცვეთილ მოტივებად გვეჩვენება ყურნალში აქა-იქ გაბნეული მოწოდებანი, რომ საზოგადო საქმეში უნდა ვიყოთ უანგარო, მიუყერძობელი, გულწრფელი და ა. შ.

მიუხედავად პრობლემატიკის გართულებისა და ანალიზის გარმავეებისა, პუბლიცისტიკის ენა წინანდელზე მეტად დაუახლოვდა სალაპარაკო მეტყველებას. ე. წ. „სადღესასწაულოები“ და „ტელემახიდური“ პერიოდები მოკლე, მკვირცხლმა ფრაზებმა შეცვალა. მეორე მხრივ, „კრებულის“ სტატიებში „საქართველოს მოამბეზე“ უფრო ხშირად გვხვდება პროვინციალიზმები (იმერიზმები) და ბარბარიზმები. ყურადსაღებია, რომ რუსიციზმებთან ერთად („კუჩერი“, „კნუტი“, „ბალაჩი“ და სხვ.), ამ ყურნალში ფრანგული, გერმანული და ინგლისური ბარბარიზმებიც მოიპოვება („კელნერი“, „კურზალი“, „კამელია“, „მადამ“, „მესიე“, „ოტელო“ და ა. შ.).

როგორც რაოდენობით, ისე მნიშვნელობით პუბლიცისტიკას წამყვანი ადგილი უკავია „კრებულში“. ამ მხრივ ის „საქართველოს მოამბეზე“ უფრო ახლოსაც დგას „სოკრემენიკთან“. რედაქციის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ყველა ნომერში ახერხებდა პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნებას და მხედველობიდან არ გამოორჩენია მაშინდელი საშინაო თუ საერთაშორისო მდგომარეობის არც ერთი საყურადღებო ფაქტი. საზოგადოებრივ მოვლენათა პუბლიცისტური განხილვა მოცემულია აგრეთვე ლიტერატურულ კრიტიკასა და მხატვრულ ნაწარმოებებშიც. პუბლიცისტიკის მკვლევარი, ცხა-

¹ ივულისხმება „ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“, 1873, № 3.

დია. გვერდს ვერ აუვლის ამ ყურნალში დაბეჭდილ პოლემიკურ სტატიებსა და მეცნიერულ-პოპულარულ გამოკვლევებს.

„კრებულში“ პუბლიცისტური თხზულებანი გამოაქვეყნეს ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, პ. უმიკაშვილმა, ნ. ცხვედაძემ, ს. მესხმა, დ. ჩხოტუამ, გ. ზედგინიძემ, დ. ერისთავმა, ი. მესხმა, კირ. ლორთქიფანიძემ, რომელთაგან ამ ყურნალს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სახეს პირველი სამი აძლევდა. საერთოდ კი, „კრებულის“ პუბლიცისტის სულისჩამდგმელი და მთავარი მამოძრავებელი ძალა ნიკო ნიკოლაძე იყო. ამ ყურნალში მან 15 პუბლიცისტური წერილი გამოაქვეყნა. ასე თუ ისე, იგი საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს შეეხო. თუ „კრებულის“ პუბლიცისტიკა, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ ქართული პუბლიცისტიკის ახალ, მაღალ საფეხურად მიგვაჩნია, ეს, უწინარეს ყოვლისა, ნ. ნიკოლაძის დამსახურებაა. მან ახალი თემები და პრობლემები, მათი გაშუქების ახალი საშუალებანი შემოიტანა ჩვენს პუბლიცისტიკაში, საგრძნობლად გააფართოვა მისი ჩარჩოები, დაამკვიდრა მაღალი პუბლიცისტური კულტურა, განამტკიცა მისი მეცნიერულ-თეორიული საფუძველი, მძლავრი გაქანება მისცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებასა და მოღვაწეობას. რუსულ და ევროპულ ყურნალისტიკაში მიღებულმა გამოცდილებამ, ფართო განათლებამ და ერუდიციამ მას რეფორმატორის როლი არგუნა ჩვენს პუბლიცისტიკაში. მის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი პუბლიცისტიკის მძლავრი მოქალაქეობრივი პათოსი. ნიკოლაძის მაშინდელი წერილები დიდ პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენდა მკითხველზე, განსაკუთრებით, მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

გ. წერეთელი უმთავრესად საქართველოს სამეურნეო-კულტურული ცხოვრების საკითხებს აშუქებდა და ამ მიზნით ფელეტონის ან მხატვრული ნარკვევის ფორმას იყენებდა. მის ნაწერებში ჩანს ჩვენი ცხოვრების ღრმა ცოდნა, ეპოქის გადაუღებელ მოთხოვნათა შეგრძნება, სასარგებლო მოღვაწეობის ენთუზიაზმი და პოლიტიკური ალლო, ამასთან, რა დასამალია, რომ ამ ნაწერებს აჩქარება ეტყობა; აქა-იქ საკითხები, ფაქტები, ავტორის მოსაზრებანი უსისტემოდაა გადმოცემული და განხილული; მჩატე და დაუწმენდავია ენა.

პ. უმიკაშვილის სტატიები თვითმყოფი მსჯელობითა და პრაქტიკული დასკვნებით გამოირჩევა. ავტორი საკუთარ დაკვირვებებსა და ადგილობრივ გამოცდილებას ემყარება. შეიძლება ითქვას, რომ იგი მთლიანად ქართული პუბლიცისტიკის ტრადიციებზე დგას. მის ნაწერებში ყველაზე უფრო შესამჩნევია ფამილარობა, გაჭიანურებული მსჯელობა.

„კრებულის“ პუბლიცისტიკამ დიდად შეუწყო ხელი ხალხის ნა-

ციონალურ-სოციალურ გათვითცნობიერებას. მეითხველთა პოლიტიკურ შეგნებას მან მძლავრი შუქი მოჰფინა. საჭირობოროტო საკითხთა ღრმა თეორიულ განხილვასთან ერთად საზოგადოებაზე შთამავგონებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ეურნალის მოქალაქეობრივი გამბედაობა, ჭეშმარიტად რაინდული თავდადება.



„საქართველოს მოამბისაგან“ „კრებულს“ სულ რაღაც შვიდი-რვა წელი აშორებს, მაგრამ მათ საგრძნობლად განსხვავებულ სოციალურ ვითარებაში მოუხდათ მოღვაწეობა და ამან გადამწყვეტი გავლენა მოახდინა თვითეულის სოციალურ პრობლემატიკაზე. პირველის სოციალური შეხედულებანი, ძირითადად, ბატონყმური ინსტიტუტის კრიტიკასა და მისი გაუქმების პერსპექტივებს ასახავს, ხოლო მეორესი — ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათსა და ტენდენციებს.

ვ. ი. ლენინი 1911 წელს წერდა: „1862—1904 წლების პერიოდი იყო სწორედ ასეთი მსხვრევის ეპოქა რუსეთში, როცა ძველი სამუდამოდ, ყველას თვალწინ ინგრეოდა, ახალი კი მხოლოდ ეწყობოდა, ამასთან, ამ მოწყობის შემომქმედი საზოგადოებრივი ძალები საქმით, ფართო საერთო-ნაციონალური მასშტაბით, მასობრივი, აშკარა მოქმედებით სულ სხვადასხვაგვარ ასპარეზზე პირველად მხოლოდ 1905 წელს მოგვევლინენ“¹.

ბატონყმური რეფორმა, რომელიც თავისი შინაარსით ბურჟუაზიული იყო², ახალი ამოცანების წინაშე აყენებდა საზოგადოების ყველა ფენას, ყველა კლასსა და წოდებას, ახალ ძიებასა და ახსნას, ახლადწამოჭრილი საკითხების ახლებურად გაშუქებას მოითხოვდა სულიერი სამყაროს ჭურჭმთაგან. საწყის საფეხურზე „მანიფესტის“ გატარებისა და უშუალოდ მის მომდევნო წლებში, როცა „კრებული“ გამოდიოდა, ამ საკითხთაგან უმთავრესი, პირველადი მნიშვნელობა თვით აღნიშნული რეფორმისა და მისი პირდაპირი შედეგების შეფასებას ჰქონდა.

ვ. ი. ლენინს სამოციანელთა იდეოლოგიის ერთ-ერთ ნიშნად მიაჩნდა საგლეხო რეფორმისა და მისი უშუალო შედეგების მკაცრი კრიტიკა³. საგულისხმოა, რომ სამოციანელთა მემკვიდრეობის შესაფასებლად ვ. ი. ლენინმა განიხილა სკალდინის პუბლიცისტური ნარკვე-

¹ ლენინი, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 1957, გვ. 124.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.

³ ლენინი, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 1957, გვ. 52—54.

ვები, რომლებიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1870 წელს, იმ დროს, როცა „კრებულის“ გამოცემა დაიწყო. „დროება“, განსაკუთრებით კი, „კრებულის“ პუბლიცისტიკა ამ მნიშვნელოვან საკითხზე ქართველ სამოციანელთა პოზიციის გარკვევის საკმაოდ შესაძლებლობას იძლევა.

უწინარეს ყოვლისა, ისინი ასაბუთებდნენ, რომ „რეფორმა“ იმპერატორის მოწყალეობას კი არ წარმოადგენდა, არამედ განვითარების კანონზომიერებით იყო გამოწვეული და ბატონყმობის უღელქვეშ ტანჯულ გლეხთა აჯანყებებმა დააჩქარა. „კრებულის“ პუბლიცისტებს კარგად ესმოდათ, რომ თვითმპყრობელობა მემამულეთა ინტერესებით ხელმძღვანელობდა, რომ მას არ სურდა და არც შეეძლო გლეხთა ქეშ-მარიტი განთავისუფლება.

გლეხობის ეკონომიკურ გაჩანაგებაზე, სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ბატონყმობის ნაშთების არსებობაზე წერენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ი. ნათაძე.

„კრებულის“ პუბლიცისტიკა გვიჩვენებს, რომ მოწინავე ახალგაზრდობის წინაშე „რეფორმის“ შემდეგ წინანდელზე მწვავედ დაისვა გლეხთა მდგომარეობის საკითხი. წერილში „ჩვენი ახალგაზრდობა“ ნ. ნიკოლაძე ხაზს უსვამს, რომ ბატონყმური დამოკიდებულება, არსებითად, შენარჩუნებულია და ზოგიერთი „განათლებული“ ცრუ მოქადაგეც კი არ თმობს თავის პრივილეგიებს.

ეურნალი მკაცრად უპირისპირებდა ერთმანეთს თავადაზნაურობასა და ხალხს, ამხელდა მემამულეთა წოდებრივ ფანატიზმს, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი მათ გულგრილობას, სიზარმაცეს, მუქთახორობას, ეგოისტურ პრივილეგიათა შენარჩუნებისათვის ბრძოლას.

„ამ წოდების ოდენა უზნეობა და ქვეყნის გამცემლობა არც ერთს წოდებას არ მიუძღვის. ერთ მხარეზე ესენი იყვნენ, მეორეზე — მშრომელი ხალხი“. იმას წამხდარი აქვს ზნე, ხასიათი. უსაქმურია, ზარმაცია, სახელგატეხილია. ხალხი ჯანმრთელია. „მომავალიც ამ ჯანით ლონიერ ხალხზე ტრიალებს... ბურთი და მოედანი იმათ დარჩება“¹.

როცა პ. უმიკაშვილისა და ი. ნათაძის ფელეტონებში აღწერილ სოფლის სურათებს ვეცნობით, შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ბატონყმობა ჯერ კიდევ ხელუხლებელია. ბრიყვი თავადები, რომლებსაც ეჩვენებათ, გლეხები ძალიან გაგვითამამდნენო, ჯოხით სცემენ მათ².

„კრებულის“ პუბლიცისტიკაში ასახული „განთავისუფლებულ“ გლეხთა ცხოვრება თითქმის არაფრით განსხვავდება ბატონყმობის დროინდელი სურათებისაგან; სრული სიცხადით ჩანს, რომ ამ მხრივ

¹ გ. წერეთელი, „ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“, 1873, № 3.

² პ. უმიკაშვილი, „ნობათი“, „კრებული“, 1873, № 10; ი. ნათაძე (ალეველი) „მგზავრის შენიშვნები“, „კრებული“, 1872, № 7.

არაფერი შეეცლილა, ხოლო გლებთა ხმამაღალი ჩივილი იმის მაუწყებელია, რომ „რეფორმას“ მათი სოციალური ინსტიქტი უფრო გაუმახვილებია. ამით უნდა აიხსნას, რომ 70-იანი წლების დასაწყისში არნახული პოპულარობა მოიპოვა „არსენას ლექსმა“, რომელშიც ხალხმა ნათელი მომავლის იმედი შეიგრძნო. „კრებულის“ პუბლიცისტებმაც არსენა თანამედროვეობის გმირად გამოაცხადეს; მიზანი, რომლისთვისაც ის იბრძოდა, ჭერეთ აღუსრულებელ მიზნად აღიარეს. „არსენა მარტო ბატონყმობის წინააღმდეგ კაცთა ჰგონიათ და სხვა არაფრათა, — წერდა პ. უმიკაშვილი, — მაგრამ კარგათ რომ დავაკვირდეთ, ბევრს და ბევრს სხვა მხარეს დავინახავთ... არსენაში გამოითქვა ბუნებითი ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთისათვის თავის აღება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალასთან, როგორც არ უნდა იყოს ეს ძალა... ვინა შრომობს გლებკაცზე მეტსა, ვის აწევს იმოდენა მძიმე ტვირთი, როგორც გლებკაცს?.. მაგრამ ნაყოფი კი არა გამოდის რა!.. ვისაც ხალხი უყვარს და თავის სიყვარულს საქმეებით აჩენს, იმას როგორ არ შეიყვარებს ხალხი!.. ხალხს შორეულ, უცხო სიცოცხლედ არ მიაჩნია არსენას სიცოცხლე, და იმისი აზრები ძალიან არა ჰშორდება არსენას აზრებსა... არსენას ცხოვრება ხალხის შემავლელიანებელი სიცოცხლე იყო და ხალხის ცხოვრების გამომთქმელია... (რადგან) ამ ცხოვრების გარემოება არ იცვლება (ხაზი ჩემია. — ა. კ.); ძნელია ამგვარი მკაცრი და სასტიკი ცხოვრება“¹.

„კრებულის“ პუბლიცისტები ცხადყოფდნენ, რომ მეფის „მანიფესტმა“ ვერ განკურნა მშრომელთა სოციალური ტკივილები, ხალხი ახალი წინააღმდეგობებისა და განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა; მაგრამ, ისინი მამხილებელის როლით არ დაკმაყოფილებულან. შეეცადნენ კიდევ გაეანალიზებიათ რეფორმის შედეგად შექმნილი მდგომარეობა, ამოეცნოთ განვითარების ტენდენცია და უახლოესი პერსპექტივებიც დაესახათ.

შემდგომი გზების განსაზღვრა ისტორიული ამოცანა იყო და, შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალიზმის განვითარების აღიარებით, „კრებულის“ პუბლიცისტებმა ეს ამოცანა სწორად გაიგეს. „სიმართლეა ის, — წერდა ვ. ი. ლენინი 1911 წელს, — რომ რუსეთში მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის უახლოესი ამოცანების თვალსაზრისით, 1861—1905 წლების პერიოდისათვის (და ჩვენი დროისათვისაც), თუ „ერთადერთ მნიშვნელოვან“ არა, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა საკითხი, თუ „როგორ ჩამოყალიბდება“ ეს წყობილება, ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც მეტად სხვადასხვა-

¹ პ. უმიკაშვილი, „არსენა“, „კრებულო“, 1872, № 7.

გვარ ფორმებს ღებულობს ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში, საფრანგეთში და სხვაგან¹.

„კრებულის“ პუბლიცისტიკის ძირითად საგანს, უმთავრეს თემას სწორედ იმის გამორკვევა შეადგენდა, თუ „როგორ ჩამოყალიბდება“ ეს წყობილება, ბურჟუაზიული წყობილება საქართველოში.

ნ. ნიკოლაძის საპროგრამო სტატიას „კრებულის“ დანიშნულებაზე², იმის დაუცხრომელი კვლევა ამოძრავებს, თუ „რა გზით უფრო სასარგებლოთ შეიძლება სხვადასხვა სიმდიდრის შექმნა, ერთი სიმდიდრის მეორეში გაცვლა, რანაირად უნდა მოქმედებდეს ამ შემთხვევაში საზოგადოება და მისი წარმომადგენელი მმართველობა და რა გაწყობილება გამოსადეგია ამ საქმეებში“.

გ. წერეთლის, თითქმის, ყველა პუბლიცისტური წერილი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო განვითარების საკითხს ეძღვნება, იძლევა რა 1863—1872 წლების სოციალური მოვლენების ანალიზს, გ. წერეთელი დაასკვნის, რომ მომავალი ვაჭრობა-მრეწველობას ეკუთვნის და თავად-აზნაურობა, რომელიც ფულს ბანქოში ფლანგავს, დასაღუბავადაა განწირული³.

გ. წერეთელი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ სავაჭრო-სამრეწველო განვითარება აწმყოს ძირითადი ტენდენციაა, და მისგან თავის დაღწევა, შინაური კარების გამოკეტვა წარმოუდგენელია და ამას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. ფოთის რკინიგზამ, რომლის გაყვანის ნებართვა ჩვენთვის არავის უთხოვნია, სარგებლობის ნაცვლად, ზარალი მოგვაყენა, ჩალვადრები უსაქმოდ დაყარა, საზღვარგარეთის იაფმა საქონელმა ჩვენსას მაზანდა დაუტყა და „გაყიდვის მაგიერათ, ღორებს შევაჭამეთ“, გამოჩნდა, რომ რკინიგზა გაკეთებულია ფულიან კაცებისა და ყოველნაირ ხელობაში გაწერთილი კაცებისათვის⁴.

ერთი წლის შემდეგ, გ. წერეთელი უკვე ალტაცებით აღნიშნავდა, რომ რკინიგზამ ყველაფერი შეატრიალა, რომ გურულებს კურტანი აუციდნიათ, რომ მეგრელები და იმერლები სავაჭროდ შორს წასულან და რომ, ყველაფერი ეს ხდება „საქართველოს საკეთილდღეოდ“⁵.

ვაჭრობა, ფული, რკინიგზა „კრებულის“ პუბლიცისტებს სამრეწველო განვითარების პირობად მიაჩნიათ, უმთავრესი კი მათთვის სწორედ საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაა. გ. წერეთელი ნიდაგ იმ აზრს ქადაგებს თავის წერილებში, რომ სამრეწველო-ტექნიკურ ჩამორჩენილობას შეუძლია ჩვენი ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანოს, ევროპის მოჯამაგირედ გადააქციოს⁶.

¹ ლენინი, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 1957, გვ. 122.

² გ. წერეთელი, „ჩვენი საზოგადოების ქრონიკა“, „კრებული“, 1872, №7.

³ გ. წერეთელი, „საამხანაგო ბანკები“, „კრებული“, 1872, № 8—9.

⁴ გ. წერეთელი, „ამ დროის მოძრაობა“, „კრებული“, 1873, № 3.

⁵ გ. წერეთელი, „საამხანაგო ბანკები“, „კრებული“, 1872, № 8—9.

ნ. ნიკოლაძის ნარკვევში „სხვათა შორის“ ფაბრიკანტი და მისი თანამგზავრები ფართოდ მსჯელობენ მრეწველობის მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე; პუბლიცისტი ციფრობრივი მასალით უჩვენებს მკითხველს, თუ რა სწრაფად აღწევენ ამ ასპარეზზე წარმატებას მოხერხებული, ინიციატივიანი ადამიანები, რა უპირატესობანი გააჩნია კაპიტალისტურ წარმოებას ფეოდალურ მეურნეობასთან შედარებით.

„კრებულის“ პუბლიცისტური წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ადამიანთა სამეურნეო ინტერესებმა და ცნობისმოყვარეობამ დედამიწის ზედაპირიდან მიწის წიაღში გადაინაცვლა, ქვანახშირისა და ნავთის მაძიებლები მთა და ბარს შეესივნენ. ხრიოკ ადგილს ფასი დაედო, შავი ქვა პატიოსან თვლებს გაუტოლდა. პუბლიცისტები პოეტური შთაგონებით წერენ ახალ საბადოებსა და სამრეწველო წამოწყებებზე. მათ წერილებში აქამდე უცნაური სათაურები ჩნდება: „ნახშირის სენი“, „მადნეული სენი“, „გიყები მადნის ძიებით“ და ა. შ. არკვევს რა ტყიბულის ქვანახშირის მნიშვნელობას, გ. წერეთელი შენიშნავს, რომ ეს „ურგები“ ადგილი, რომელსაც ორიოდ წლის წინ ზედაც არაეინ უყურებდა, ახლა ასიათასობით მანეთად იყიდება. ავტორის ირონია ამ ფელეტონში იმ თანამემამულეთა წინააღმდეგაა მიმართული, რომლებიც იოლ გამდიდრებაზე ოცნებობენ და „ნაცვლად ნაყოფიერი შრომის დაწყებისა“, უცხოელებს კიტრის ფასად აძლევენ მადნეულით საესე ადგილებს¹.

„კრებულის“ პუბლიცისტებს მტკიცედ სწამთ, რომ ბურჟუაზიული გზას მოჰყვება წარმოების განვითარება, ტექნიკის აღმავლობა, სიმდიდრეთა დაგროვება, მეცნიერების წინსვლა, მაგრამ მათი ნაწერების ანალიზი, უდავოდ გვიჩვენებს, რომ ევროპის ბურჟუაზიული წყობილება ჩვენი პუბლიცისტების იდეალს არ წარმოადგენდა, როგორც ადგილობრივი, ისე ევროპის სოციალური ცხოვრების ეკონომიკურ-პოლიტიკური მიმოხილვით, ისინი მკაფიოდ უჩვენებენ მკითხველს, რომ კაპიტალიზმის დროს ქონებრივი უთანასწორობა ღრმავდება, კლასობრივი წინააღმდეგობა მწვავედება, სილატაკე და შევიწროება ახალ ფორმებს იღებს. ობიექტურად, კაპიტალიზმისადმი, ბურჟუაზიული დასავლეთისადმი მათს დამოკიდებულებაში ვლინდება მშრომელთა, ხალხის, კერძოდ, გლეხობის სულისკვეთება, განწყობილება. ისინი შეგნებულად ებრძვიან კაპიტალისტური წყობის აპოლოგიას, იხედებიან უფრო შორს, მის მიღმა, მაგრამ ეს შორეული მეტისმეტად ბუნდოვანად და ზოგად კონტურებში ესახებათ.

ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, დ. ერისთავი, დ. ჩხატუა, ი. ნათაძე და სხვ. სიმდიდრის დაგროვებას თავისთავად არ

¹ გ. წერეთელი, „ამ დროის ვითარება“, „კრებული“, 1872, № 10—12.

თვლიან ხალხის ბედნიერების გარანტიად. ისინი იქვე სვამენ მომდევნო კითხვას: როგორ არის ეს სიმდიდრე განაწილებული საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის? „ქონვა და მოხმარება ერთი და იგივე საქმე როდია. — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — შეიძლება, რომ... რომელიმე ქვეყანაში საკმაოდ საზრდო და სიმდიდრე იყოს, და ამ ქვეყნის ხალხი კი შიმშილით კვდებოდეს და გაჭირვებით ცხოვრობდეს, უთავბოლო ან უხეირო გაწყობილების გამო“¹.

აღნიშნულ სტატიაში, ალბათ, საცენზურო პირობების გამო, ავტორმა ვერ მოახერხა წამოყენებული დებულების სწორად გაღრმავება, მაგრამ შემდეგ წერილებში, როგორც მან, ისე დანარჩენმა პუბლიცისტებმა, საკმაო სიცხადით გადაუშალეს მკითხველს კაპიტალიზმის დროს სოციალური უთანასწორობისა და კლასობრივი ჩაგვრის სურათი?

ბურჟუაზიული ურთიერთობის ანტიხალხურ ხასიათს „კრებულის“ პუბლიცისტები ნათელყოფენ ინგლისის, გერმანიისა და, განსაკუთრებით, საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მაგალითებითა და ანალიზით. უდავოდ ამ მიზნით, სტატიებში: „ახალი საფრანგეთი“, „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, „შვილი XIX საუკუნისა“, „სხვათა შორის“, „ანრი როშფორი“, — ნ. ნიკოლაძემ მოგვცა საფრანგეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების, ბურჟუაზიული რევოლუციების, — XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე პარიზის კომუნამდე, — გაშლილი და ამომწურავი დახასიათება. ამ წერილებში აქცენტირებულია ბურჟუაზიის ანგარება, მშრომელთა ინტერესების საპირისპიროდ, ფეოდალურ არისტოკრატიასთან მისი კავშირი. ამ ნიშნებს იგი ხედავს როგორც 1789 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ისე ნაპოლეონ მესამის ბატონობის ხანაში პრუსიასთან ომისა და პარიზის კომუნის დროს. იძლევა რა 1789 წლის რევოლუციის შეფასებას, ნ. ნიკოლაძე წერს: „რევოლუციამ ხალხს პირადი უფლებები და თანასწორობა მიანიჭა დანარჩენ წოდებებთან, მაგრამ სიღარიბე და მძიმე შრომის გამოუდევრობა... ამ ხალხს უთანასწორობას აგრძნობინებდა და უმჯობესი ბედის სურვილს აღუძრავდა“².

ბურჟუაზიული ევროპის ცხოვრებაზე დაკვირვებას ქართველი პუბლიცისტი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ეკონომიკური ბატონობა პოლიტიკური ბატონობის საფუძველს წარმოადგენს. „კანონმდებლობა საერთოდ და კერძოდ — ძალიან ემორჩილება მქონებელ კლასებს და ძალიან დაუნდობელია უქონელთადმი“³.

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრებულის“ დანიშნულებაზედ“, „კრებული“, 1871, № 3.

² პ. უმიკაშვილი, „ნობათი“, „კრებული“, 1873, № 10.

³ ნ. ნიკოლაძე, „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, „კრებული“, 1873, № 3.

⁴ „კრებული“, 1873, № 8.

კირ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი მკაცრად აკრიტიკებენ იმ ბურჟუაზიულ თეორიებს, რომლებიც სოციალური გაჭირვების მიზეზად ბუნების მოვლენებსა და სხვა შემთხვევით ფაქტორებს აცხადებდნენ. კერძოდ, მათ წერილებში ძირფესვიანად განქიქებულია ყბადაღებული ჰარბი მოსახლეობის თეორია¹.

კირ. ლორთქიფანიძე მკითხველს აფრთხილებს, ამერიკისა და ინგლისის მოჩვენებითმა ფუფუნებამ შეცდომაში არ შეგვიყვანოსო. ეს ფუფუნება გარეგნულია და თვით ცხოვრებას რომ ჩაუკვირდეთ, შეამჩნევთ, რომ „შრომის კანონი“ იქაც ირღვევაო. ერთნი განცხრომით ცხოვრობენ, მაგრამ „იმათ გვერდში ჰსდგას მრავალი შემადრწუნებელ სიღარიბეში ჩავარდნილი კაცი, რომლებიც იხოცებიან უცების ან ნელნელა შიმშილით“.

„კრებული“ სოციალური ურთიერთობის თვალთახედვით აშუქებს კაცობრიობის ისტორიის ძირეულ მოვლენებს და მკითხველი გრძობს, რომ ეს ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა. ამ აზრითაა გამსჭვალული ნ. ნიკოლაძის „ახალი საფრანგეთი“, ნ. ცხვედაძის „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავის მიზეზებით XVI საუკუნეში“, პ. უმიკაშვილის „იოსებ მაძინა“, დავით ჩხოტუას „იოანე გუსი“ და სხვა სტატიები.

პუბლიცისტებს მრავალი მაგალითი მოაქვთ იმის დასამტკიცებლად, რომ გადაწყვეტ მომენტებში ბურჟუაზია თავადაზნაურობასთან ერთად გამოდიოდა ხალხის წინააღმდეგ. ეხებიან რა იტალიის, ინგლისის, ჩეხეთის, საფრანგეთის, გერმანიის საზოგადოებრივ მოძრაობას სხვადასხვა პერიოდში, ისინი ყველგან გამოყოფენ ორ ნაქადს — ხალხურს და ბურჟუაზიულ-ლიბერალურს, რომელიც მუდამ კომპრომისითა და ღალატით ამთავრებს წამოწყებულ საქმეს. „კაცობრიობის ცხოვრებაში შენიშნულია, რომ ყოველთვის იმას უფრო მეტად აქვს კეთილშობილური აზრები, რომლებსაც სჩაგრავენ, მინამ იმას, ვინც სხვას სჩაგრავენ“.

სოციალურ ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს „კრებულის“ პუბლიცისტები კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციების შედეგად აცხადებდნენ. ესეც ერთ-ერთი ნიშანია, რომ „კრებულის“ პუბლიცისტები უარყოფდნენ კაპიტალიზმის განვითარების ლიბერალურ-მემამულურ გზას და გლახურ-დემოკრატიულ გზას აღიარებდნენ².

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ „კრებულის“ (აგრეთვე „დროე-

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრებულის“ დანიშნულებაზედ, „კრებული“, 1871, № 2; კირ. ლორთქიფანიძე „საზრდო“, „კრებული“, 1871, № 3.

² Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX в., кн., I, стр. 299.

ბის“) პუბლიცისტებს ჰქონდათ მტკიცედ ჩამოყალიბებული იდეური მოძღვრება, ეპოქის მიერ წამოჭრილი მწვავე სოციალური საკითხების გადაწყვეტის კონკრეტული პროგრამა? არა! როგორც „კრებულში“ გამოქვეყნებული, ისე მათი სხვა იმდროინდელი ნაწერების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მათ არ გააჩნდათ თანმიმდევრული მსოფლმხედველობრივი კურსი, შორსმწვდომი გეგმა, ლოგიკური და პერსპექტიული თვალთახედვა. ისინი გარდატეხისა და იდეური ძიების ხანაში მოღვაწეობდნენ, ზოგად დემოკრატიულ მოთხოვნათა მხურვალე დამცველებად გამოდიოდნენ, ხალხის საყოველთაო ბედნიერებაზე ოცნებობდნენ და, თავიანთ ფართო პუმანისტური მისწრაფებების შესაბამისად, სწრაფად ამოძრავებელი ცხოვრების მიერ წამოჭრილ სულ ახალი და ახალი კითხვების პასუხს ხან რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებაში პოულობდნენ (უმთავრესად); ხან ევროპის ძველ და ახალ უტოპისტთა და სოციოლოგთა ნაწერებში. ეს იყო გულწრფელი, ქვეყნისა და ხალხის ჭეშმარიტი ინტერესებით შთაგონებული იდეური ძიება.

სხვათა შორის, ამით უნდა აიხსნას, რომ ნ. ნიკოლაძის საპროგრამო წერილები: „კრებულის“ დანიშნულებაზედ“, „ახალი ახალგაზრდობა“, მოკლებულია პოლიტიკურ კონკრეტულობასა და მკაფიობას, თუმცა ავტორს კარგად ესმის, რომ არსებულის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე თავის თავად მოითხოვს „საკუთარი სამაგიერო განწყობილებისა და მოსაზრების წარმოდგენას“.

სოციალურ ურთიერთობათა საკითხზე მათი მსჯელობა ზოგად დემოკრატიულ ხასიათს ატარებს; „კრებულის“ მიზნად ნ. ნიკოლაძემ „საზოგადოების ბედნიერება“ გამოაცხადა. ასეთ ბედნიერებად მას მიაჩნია, რომ „ყოველ კერძო პირს, საზოგადოების წევრს, მისი სხუელის და გონების ძალა რაც შეიძლება სრულად გაეხსნას და ცხოვრებაში ამ ძალას რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება მიეცეს“. საყურადღებოა ისიც, რომ, მისი აზრით, „საყოველთაო ბედნიერების მიღწევა სავსებით შესაძლებელია“ და „კაცობრიობა ერთს დროს ისეთ ნაირად გაიწყობს თავის ცხოვრებას, რომ არავინ სხვას ტვირთად არ აწევს, სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს და ძალისადაგვარად, ტვირთს უადვილებდეს. ერთმანეთში განხეთქილების და წინააღმდეგობის მაგიერ, ეს სწავლა აარსებს საზოგადოებრივ გარმონიას, გონიერ ერთმანეთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას“.

აქ, უდავოდ, ლაღად გადმოცემულ სოციალისტურ თვალსაზრისთან გვაქვს საქმე, მაგრამ ვინაიდან პუბლიცისტი მიზნის ვანხორციელების გზებსა და საშუალებებზე თითქმის არაფერს ლაპარაკობს, მის ლამაზ სურვილებს უტოპიური ხასიათი აქვს, განურჩევლად იმისა.

ემყარებოდა თუ არა ის უტოპიური სოციალიზმის თეორიას. მაგრამ ამ სახითაც კი, მსგავს შეხედულებებს უეჭველად დიდი გამათვითნობიერებელი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დემოკრატიული იდეალების წარმოსახვა, ნიადაგს უმზადებდა ჩვენში სოციალისტური აზროვნების აღმავლობას, მეცნიერულ სოციალიზმს.

„კრებულის“ პუბლიცისტიკა აღსაქვია სოციალური პროგრესის სულისკვეთებით, საზოგადოებრივ ბოროტებაზე სიმართლის გამარჯვების რწმენით, ხალხის ძლევამოსილების პათოსით. კაცობრიობის ბედ-ილბაღს ხალხი გადაწყვეტს. ყველა წერილში ვგრძნობთ, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალა ხალხია და, გმირი ის არის, ვინც ხალხის ნება-სურვილს გამოხატავს და ის გაიმარჯვებს, ვინც ხალხის ინტერესებს იცავს. ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სოციალურა მოძრაობის დახასიათებისას ნ. ცხვედაძე, პ. უმიკაშვილი, ნ. ნიკოლაძე, დ. ჩხოტუა დამარცხების უმთავრეს მიზეზად ნიადაგ იმას აცხადებენ, რომ მეთაურებმა „ვერ შესძლეს ხალხის სურვილი პირდაპირ გამოეტანათ“. ამასთან, ხალხი ამ ნაწერებში მუდამ გაიგივებულია მშრომელებთან, დაჩაგრულებთან. ავტორები წამდაუწუმ იმ აზრს უნერგავენ მკითხველს, რომ „მეფეებისა და მღვდლებისა კი არ უნდა იყოს ქვეყანა, არამედ ხალხისა... ხალხმა უნდა განაგოს თავისი საქმე, თავისი ცხოვრება“¹.

„კრებულის“ პუბლიცისტიკა დიდი დამაჯერებლობით ამხელდა სქოლასტიკურ აზროვნებას, სოციალური ცხოვრების მოვლენებზე რელიგიურ ცრურწმენას, განათლების, აღზრდის კლასობრივ ხასიათს.

ხალხის ინტერესებისათვის თავდადება ამ ნაწერებში ადამიანის ყველაზე წმინდა მოქალაქეობრივ მოვალეობად და ზნეობის უპირველეს ღირსებადაა გამოცხადებული. მხოლოდ საერთო საქმისათვის თავგანწირული ადამიანები ამშვენიერებენ, აუკეთესებენ და ასახელებენ კაცობრიობას. ადამიანები „საზოგადოების საქმისათვის უნდა ცხოვრობდნენ და საზოგადო მიზნისათვის უნდა კვდებოდნენ“ (ნ. ნიკოლაძე).

არავითარ ექვს არ იწვევს და ამ საკითხს შეგვიძლია ვრცლად არც შევეხოთ, რომ „კრებულის“ პუბლიცისტები გადაჭრით ილაშქრებდნენ მონარქიის, აბსოლუტიზმისა და ყოველგვარი დესპოტურა ხელისუფლების წინააღმდეგ, რესპუბლიკური წყობილების მხურვალე დამცველებად გამოდიოდნენ. არსებითად, ეს იდეა უდევს საფუძვლად ნ. ნიკოლაძის სტატიებს: „ახალი საფრანგეთი“, „ნაპოლეონ III“, „თანამედროვე მწერლობა“, პ. უმიკაშვილის „იოსებ მაძინი“, ნიკ. ცხვედაძის „XVI საუკუნე“. ნილაბს ხდის რა ლუი ბონაპარტეს ავაზაკურ

¹ პ. უმიკაშვილი, „იოსებ მაძინი“, „კრებული“, 1872, № 8-9.

პოლიტიკას, ნ. ნიკოლაძე დაასკვნის: „დიდად სამწუხარო და საშიში საქმეა საზოგადო ბედისა და მომავლის ერთი კაცისათვის მინდობა, მისი ტვინით ცხოვრება, მის უკან სდევნა“.

ხალხი თვითონვე უნდა განაგებდეს თავის საქმეებს, რისთვისაც ის უერთო საარჩევნო უფლებებით უნდა სარგებლობდეს და აღმასრულებელი ხელისუფლება მის წინაშე პასუხს აგებდეს.

იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე საუბარი პ. უმიკაშვილს საშუალებას აძლევს, მკაფიოდ გამოხატოს თავისი დემოკრატიულ-რესპუბლიკური შეხედულებანი, დაგმოს მონარქია, როგორც ხალხის უბოროტესი მტერი და წარმოუსახოს მკითხველს პროგრესული საზოგადოებრივი წყობილების იდეალი, სახელმწიფო წყობილება „რესპუბლიკური იმიტომ უნდა იყოს, — ვკითხულობთ მის წერილში, — რომ ყოველნი კაცნი...: კანონით უნდა იყვნენ თავისუფალნი და თანასწორნი. მხოლოდ რესპუბლიკური წესები აძლევენ კაცს ამ მომავალსა, რადგანაც უმაღლესი უფლება უნდა ეკუთვნოდეს თვით ხალხსა... პოლიტიკურის, მოქალაქეობრივის, სისხლის სამართლის ერთობის უქონლად, აღზრდისა და ამორჩევის უფლებების ერთობის უქონლად... წინსვლა შეუძლებელია“.

საინტერესოა, რომ სტატიაში „ერობა“ ნ. ნიკოლაძემ სხვა კუთხეც გამოძებნა ამ მიუღდგომელი ციხე-სიმაგრის საიერიშოდ. ავტორს სრულებითაც ვერ აქმაყოფილებს ეს კულშეკეცილი „ერობა“, მაგრამ თუ მაინც და მაინც მასზე წერს, მხოლოდ იმიტომ, რომ მასში რესპუბლიკური დაწყობილების მარცვალს ხედავს, „ჩვენ მდგომარეობაში ყველა ეს უფლებები ძლიერ შესანიშნავი და სანდომი არიან, — გადაკრულად შენიშნავს ის, — ...მათი ღირსება ჩვენ თვალში უფრო გადიდდება, როცა ჩვენ გავიხსენებთ, რომ ერობის... ყველაზე უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვაველევიანებს, ჩვენ პატრონათ ჩვენვე გვხდის, და ეს გარემოება, მარტო ეს, — ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ! — გვაძლავს კაცობის ხარისხზე, ადამიანის ღირსებას გვაძლავს და გვაჩვენებს უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

მაღალ სოციალურ იდეალებთან ერთად „კრებული“ მათი განხორციელებისათვის საჭირო მორალური თვისებების გამომუშავებასაც ხელს უწყობდა; იგი ქადაგებდა საბრძოლო დისციპლინას, საქმისადმი ერთგულებას, სიტყვასა და მოქმედების ერთიანობას, უანგარობას, ხასიათის სიმტკიცეს. პუბლიცისტები დიადი საქმეებისათვის წამებულ ადამიანთა სახეებისაკენ მიაპყრობენ მკითხველის ყურადღებას, მათი მაგალითით სურთ საზოგადოების აღზრდა. მხოლოდ ერთი სიტყვით

რომ მოგვთხოვოს „კრებულის“ პუბლიცისტიკის არსის გადმოცემა, ეს სიტყვა თავისუფლებანიჭებოდა. განთავისუფლებისაკენ სწრაფვითაა გაშუქებული ყველა წერილი, ყოველი სტრიქონი.

მიუხედავად იმისა, რომ „კრებულში“ აქა-იქ გვხვდება ევროპელ სოციოლოგთა სახელები და ციტატები (შლოსერი, მოლეშოტი, ლუი ბლანი, პრუდონი, გერვიმნიუსი, ციმერმანი, სპენსერი, დრეპერი, მილი, შულცე-დელიჩი, ლასალი და სხვ.), როგორც აღვნიშნეთ, ამას პირდაპირი კავშირი არა აქვს ამ ქურნალის თანამშრომელთა მსოფლმხედველობასთან. ისინი ან, სხვათა შორის არიან დასახელებული, ან გაკრიტიკებული არიან. ან კიდევ დამოწმებული არიან რომელიმე კონკრეტული საკითხის გასარკვევად. „კრებულის“ პუბლიცისტთა მსოფლმხედველობა გამომუშავებულია სოციალური სინამდვილის მოვლენებზე უშუალო დაკვირვების შედეგად და მას ასაზრდოებს, ერთი მხრივ, რუსული და ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების ტრადიციები, ხოლო, მეორე მხრივ, ევროპის იმდროინდელი საზოგადოებრივ-რევოლუციური მოძრაობა, რომელზედაც უკვე გავლენას ახდენდა მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება. ახალი დროის მოვლენებში „კრებულის“ პუბლიცისტები იმის ნიშანს ხედავენ, რომ მოახლოვდა ეს მიზანი, რომელიც მათ გულმომაკედინებელ სიშორეში ეჩვენებოდათ, როცა ცხოვრებაში ფეხი შედგეს¹.

თუ ევროპაში გავრცელებული რომელიმე იდეური მოძღვრების რაიმე გვარ ზეგავლენაზე ვილაპარაკებთ, მაშინ „კრებულის“ პუბლიცისტთა წერილების ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, ასეთი გავლენა მათზე მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას მოუხდენია. ამის საბუთს იძლევა მათ მიერ ევროპის იმდროინდელ პოლიტიკურ მოვლენათა შეფასება, მალთუსის „თეორიის“ განჭიქება, ევროპაში გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლებისადმი დამოკიდებულება, საერთოდ, კაპიტალიზმის პირობებში ანტაგონისტური კლასების ურთიერთობის დახასიათება და პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მისიის ერთგვარი შეგრძნება.

განიხილავს რა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგებს, ნ. ნიკოლაძე ლაპარაკობს უმუშევრობაზე, კრიზისებზე, მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობაზე, კონკურენციის შედეგად ატეხილ ომებზე; ბურჟუაზიის აღზევებაზე და რომ ყოველივე ეს „საგანგებო ცეცხლს უკიდებდა მუშა ხალხის დაცემულ იმედს“. პუბლიცისტი განიხილავს იმ დროს ევროპაში გავრცელებულ სხვადასხვა თეორიებს, თუ როგორ და რა საშუალებით შეიძლება „მუშა ხალხის ფეხზე წამოყენება“ და დაასკვნის: „თითქმის ყველა იმ საზოგადო აზრს და-

¹ ნ. ნიკოლაძე, „ახალი ახალგაზრდობა“, „კრებული“, 1873, № 1.

ადგა, რომ მუშა ხალხის ბედს გააუმჯობესებს მარტო მისი ეკონომიკური განთავისუფლება — პატრონების დამოკიდებულებიდან“ ავტორი არ თანაუგრძნობს ასოციაციების თეორიას, არ მიაჩნია ეს მუშათა ხსნის გზად. ბოლოს და ბოლოს, ვრცელი მიმოხილვის შემდეგ იგი გადმოსცემს ახალ თეორიას, რომელშიც მეცნიერული სოციალიზმის სული იგრძნობა და სრულ სიმბათიას უცხადებს მას: „მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სანამ ეხლანდელი კანონმდებლობა და ეკონომიური და პოლიტიკური განწყობილება თავიდან ბოლომდე არ შეიცვლება, მანამდე მუშა ხალხის ბედი... ვერ გაუმჯობესდება და მისი ნამდვილი განთავისუფლება არასგზით არ მოხდებაო. ხალხის ბედნიერებისა და გათავისუფლებისათვის საჭიროა ცვლილებების მოხდენა არამარტო პოლიტიკურ წესში, მთელ საზოგადოებრივ განწყობილებაშიც და კანონშიც“ (ხაზი ჩემია. — ა. ე.).

„კრებულის“ პუბლიცისტთა, ისე როგორც მთელი ჩვენი მაშინდელი მოწინავე მოაზროვნეების ყურადღება, რუსეთისაკენ იყო მიპყრობილი; იქიდან მოელოდნენ სულიერი და პოლიტიკური მოძრაობის ახალ ნაკადს, ახალ იდეურ მიმართულებას, რომელიც სამოციანი წლების მოძრაობაზე მაღალი საფეხური იქნებოდა და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს შესაფერ პასუხს გასცემდა. ასეთი ნაკადი მაშინ ჯერ კიდევ არ ჩანდა, მაგრამ ჩვენი პუბლიცისტები დარწმუნებული იყვნენ და კიდევ წინასწარმეტყველებდნენ, რომ იგი უსათუოდ გამოჩნდებოდა და ჩვენ ქვეყანასაც გაიყოლიებდა. ასე გვესმის ჩვენ, კერძოდ, ნ. ნიკოლაძის მსჯელობა რუსეთის 60—70-იანი წლების იდეურ მოძრაობაზე¹.

„კრებულის“ პუბლიცისტთა სოციალური მსოფლმხედველობის ხასიათზე ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების დადასტურებად მიგვაჩნია აგრეთვე პარიზის კომუნისადმი მათი დამოკიდებულება და ის პოლიტიკური დასკვნები, რომლებიც აქედან გამოჰქონდათ. პარიზის კომუნა მათ განიცადეს და აღიქვეს არა როგორც უცხო და შორეული რამ, არამედ როგორც საყოველთაო, საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი მოვლენა, რომელიც ყველა ხალხის, კერძოდ, ქართველი ხალხის, უახლოესი მყობადის ძირითად ტენდენციასაც გამოხატავდა. აქ საქმე გვაქვს არა გულგრილ რეპორტაჟთან და მშრალ პუბლიცისტურ ანალიზთან, არა ფილანტროპიულ თანაგრძნობასთან, არამედ მუშათა კლასობრივი ბრძოლის სისხლხორცეულ გაგებასა და უშენიშვნო მხარ-

¹ ნ. ნიკოლაძე, „რუსეთის ცხოვრება“, „კრებული“, 1873, № 5—6.

დაქერასთან. გარკვეული აზრით, „კრებულის“ პუბლიცისტები (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ბ. ჭაფარიძე, ი. მესხი, დ. ჩხოტუა) ჩვენ ამ ბრძოლის უშუალო მონაწილეებადაც კი გვესახებოდა.

საფრანგეთ-პრუსიის ომის ფონზე პუბლიცისტებმა ღრმა პოლიტიკურ ასპექტში გააშუქეს პარიზელ კომუნართა ისტორიული ბრძოლა. მათ ნაწერებში შთაბეჭედავდა გადმოცემული ფრანგი მშრომელების უტეხი ნებისყოფა, სოციალური სამართლიანობისათვის თავდადება, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთდროული ამხედრება, პრუსიელთაგან სამშობლოს დასაცავად, უწინარეს ყოვლისა, თვით ქვეყნის შიგნით რეაქციის დაძლევის აუცილებლობის შეგნება.

ქართველ პუბლიცისტთა სტატიები დაწერილია უჩვეულო მღელვარებით; აქ ერთმანეთს ცვლის რეპორტაჟი და მხატვრული აღწერა, ანალიზი და წინასწარგანკვერტა. შეუძლებელია საგანგებო გულისყურით არ მოვეყიდოთ ჩვენი პუბლიცისტის ამ საამაყო ფურცლებს, რომლებიც ესოდენ თანადროულად ყდერს, რომლებსაც ასე თბილად შეუნახავთ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის გულისძგერა პარაზის კომუნის დღეებში, რომლებშიც ასე სისხლხორცეულადაა გაერთიანებული ეროვნული და საკაცობრიო ინტერესები.

გაკვრით თუ საფუძვლიანად, პარიზის კომუნას „კრებულის“ თითქმის ყველა პუბლიცისტი შეეხო, მაგრამ უშუალო შთაბეჭდილებათა საფუძველზე დამყარებული ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ანალიზით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნ. ნიკოლაძის თხზულებებს: „სხვათა შორის“, „ნაპოლეონ III“ და „თანამედროვე მწერლობა“,— აგრეთვე, დავით ერისთავის ნარკვევს „წყლებზე“.

ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“ დაწერილია პარიზში, სადაც პუბლიცისტი კომუნის დამარცხებიდან ერთი წლის შემდეგ მივიდა, მას, როგორც წმინდათაწმინდა სახსოვარი, ისე შემოუვლია კომუნართა ბრძოლასთან დაკავშირებული მემორიალური ადგილები, უსაუბრნია კომუნის გამოჩენილ მეთაურებთან, მუშა კომუნარებთან, ყურნალისტებთან, ვასცნობია მთელ იმდროინდელ პრესას და, ყოველივე ამის შედეგად, ნათელი აზრი შეუქმნა მათ კომუნის წარმოშობის მიზეზებზე, პოლიტიკურ ხასიათზე, დამარცხების მიზეზებსა და კომუნის საკაცობრიო მნიშვნელობაზე. მისი წერილიდან მკითხველს თვალწინ უდგება მუშათა გმირული, კლასობრივი ბრძოლის სურათები.

კომუნის მიზნებისა და ამოცანების ღრმა გაგება იგრძნობა ლუი ბლანთან საუბარში. ქართველი პუბლიცისტი მემარცხენე პოზიციიდან აკრიტიკებს ლუი ბლანსა და მის პარტიას; იგი ცხარედ ეკამათება გამოჩენილ ფრანგ სოციალისტს, მერყეობასა და არათანმიმდევრობას უკიყინებს მას. კომუნას მუშათა კლასობრივი მოთხოვნილებანი უნდა განეხორციელებია და ბურჟუაზია დაეთრგუნაო, ეუბნება. „მე და

კი შევნიშნე, რომ არც ნამეტანი თქვენს პარტიას უქნია ამ ხალხის გულის მოსაგებად. გამბეტას იდეალი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, რომელშიც ხალხს თავისუფლება ეძლევა — როგორც უნდა, ისე უშველოს თავს და თუ ვერა მოახერხა რა, შიმშილით მოკვდეს... უმჯობესი თქვენი პარტიის წევრები, რომლებიც მის ნამდვილ ძალას... შეადგენდნენ, დახვრიტეს... მოძრავი, აღმტაცი მუშა ხალხის უმჯობესი ნაწილი ამოეღიტეს...”

ნ. ნიკოლაძის წერილი საყურადღებო შენიშვნებს შეიცავს კომუნის სტრატეგიისა და ტაქტიკის ცალკეულ საკითხებზე. ჯერ ლუი ბლანთან, ხოლო შემდეგ გაზეთ „რადიკალის“ მთავარ რედაქტორ გიოსთან კამათში ქართველი პუბლიცისტი გადამწყვეტ როლს ანიჭებს მოსაზრადებელ მუშაობას, პარტიულ დარაზმულობას, კონსპირაციას, ხელისუფლებისათვის მოულოდნელ ორგანიზებულ გამოსვლას, მტრის პროვოკაციულ განზრახვათა გამოცნობას, მუშათა მებრძოლი ბირთვის გადამწყვეტი იერიშებისათვის შენარჩუნებას, „პარტიულ დისციპლინას“, „საერთო მიზანსა“ და „პირდაპირ მოქმედებას“.

პარიზის კომუნაზე „კრებულში“ დაბეჭდილ მასალებს რომ ვეცნობით, გაკვირვება გვიპყრობს: აქ ხომ ჩვენი თანამედროვე თვალსაზრისია გამოხატული, მათში ხომ სწორადაა შეფასებული კომუნართა ბრძოლის კლასობრივი ხასიათი და ყველა ხალხის სოციალური მოძრაობისათვის ამ გაკვეთილის მნიშვნელობა! ეს უდავო დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენი პუბლიცისტები იმ დროს რევოლუციური დემოკრატიის მოწინავე ხაზზე იდგნენ, უეჭველია, რომ პარიზის კომუნამ დიდი ზეგავლენა მოახდინა მაშინდელ ქართულ სოციალურ აზროვნებაზე და მან მხატვრულ ლიტერატურაშიც ჰპოვა მძლავრი გამოძახილი (ი. ქავჭავაძის „პარიზის კომუნის დაცემის დღე“, „აჩრდილი“, ანტ. ფურცელაძის — „ვაი მართალთა“ და სხვ.).

ამჟამად, რომ სოციალურ საკითხებზე თავისუფალი მსჯელობა შეუძლებელი იყო, ბევრი რამ უთუოდ ქარაგმულადაა გადმოცემული. მაგრამ ისიც, რის გამოხატვა „კრებულის“ პუბლიცისტებმა მოახერხეს, გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მათ მსოფლმხედველობაზე. ჩვენს ქვეყანაში ისინი თავიანთი დროის მოწინავე იდეალთა მოციქულები იყვნენ, ხოლო, პრინციპული არსით, მშრომელთა საერთაშორისო სოციალური მოძრაობის ნიადაგზე აღმოცენებული ეს იდეალები დვიძლი და მახლობელი იყო, როგორც რუსეთის, ისე ყველა ქვეყნის ხალხისათვის, რაც იმის მაუწყებელია, რომ ახალი ეპოქა სულ უფრო მეტად აახლოვებდა და ანათესავებდა ხალხთა სოციალურ ინტერესებს და მისწრაფებებს. დროის კვალობაზე, უურნალი მშრომელი ხალხის იდეებს გამოხატავდა, მის სოციალურ განწყობილებებსა და მისწრაფებებს ასახავდა, საეხებით ერთგული იყო გ. წერეთლის განცხადებისა: „მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინ წამოწევა, აი, ერთი

დიდათ სანუეგუო ნიშანი ამ დროებისა. მაშ, გაუმარჯოს მშრომელს ერს და იმის მოთავე მშრომელს, განათლებულს ახალგაზრდობას. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში ამათს ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრობაზე დამოკიდებულია“.

„კრებულში“ (აგრეთვე, „დროებასა“, „მნათობსა“ და „სასოფლო გაზეთში“) ხშირად ქვეყნდებოდა წერილები საბანკო საქმესა და კოოპერირებაზე. ამ საკითხებს მაშინ ევროპულ და რუსულ პუბლიცისტიკაშიც დიდი ადგილი ეკავა.

ჩვენში ბანკის საკითხი აქტუალურად საგლეხო რეფორმის წინ წაშორქა. დიმიტრი ყიფიანმა, როგორც თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა, საგანგებოდ ურჩია ამ წოდებას, რომ თანხის ნაწილი, რომელსაც მთავრობა ყმების განთავისუფლების საქომპენსაციოდ უხდიდა მას, სათავადაზნაურო ბანკის დასაფუძნებლად გადაედო. მისი მტკიცებით, ეს ღონისძიება მემამულეებს საშუალებას მისცემდა, თავი დაეცვათ ბურჟუაზიის ეკონომიკური შემოტევისაგან, შეენარჩუნებინათ და განეერთარებიანთ მეურნეობა, არ შემოჰფლანგოდათ მიღებული ფული, თანდათან შეთვისებოდნენ ახალ საზოგადოებრივ ვითარებას. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობისა და ორგანიზაციული მიზნების გამო საქმე გაკვიანურდა: 70-იანი წლების დასაწყისიდან „საბანკო მოძრაობას“ ახალთაობა ჩაუდგა სათავეში და მას უფრო ფართო მიზნები დაუსახა. მასზე დიდი ეროვნული და სოციალური იმედები დაამყარა. 1872 წლიდან პრაქტიკული საქმიანობაც გაჩაღდა: ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყაზბეგი რუსეთს გაგზავნეს ნებართვის მისაღებად და შესაფერისი წესდების შესამუშავებლად. პრესაში ცხარე პოლემიკა გაჩაღდა როგორც განზრახული ბანკის, ისე, საერთოდ, საბანკო საქმის გარშემო. პუბლიცისტები ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამდნენ იმის შესახებ, თუ რომელი პროფილის ბანკი აჯობებდა ჩვენთვის, რა პოლიტიკურ და ეკონომიურ წინამძღვრებს უნდა დამყარებოდა ის, ვის უნდა მიეღო მონაწილეობა, როგორ უნდა გაენაწილებინათ ან გამოეყენებინათ მოგება და ა. შ.

იოლი გამდირების მოსურნე არისტოკრატებისა და მათი იდეოლოგებისაგან განსხვავებით „კრებულის“ პუბლიცისტებს ბანკი ყოველის გამკურნებელ მალამოდ არ მიუჩნევიათ. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ვერავითარი ბანკი და ასოციაცია ვერ დააყუჩებდა იმ სოციალურ ტკივილებს, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ. ბანკს ისინი თვლიდნენ ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების მასტიმულირებელ ძალად, რომელსაც მათი აზრით, შეუძლია გააადვილოს სამეურნეო განვითარების წინააღმდეგობათა გადალახვა და დროებით მაინც შეამსუბუქოს მოსახლეობის საერთო მდგომარეობა.

1870 წელს ნ. ნიკოლაძემ „დროებაში“ დაბეჭდა ვრცელი სტატია

„ბანკის თაობაზედ“, რომელშიც მწვავედ დააყენა ბანკის დაარსების საკითხი. თავის მოსაზრებას ავტორი საქართველოს მეურნეობის მძიმე მდგომარეობით ასაბუთებდა. ადგილ-მამული მოუველეღია და მის ასალორძინებლად არავითარი სახსარი არ მოგვეპოვება, ყველგან „ფული მჭირია ისმისო“.

1871 წელს წერილში „ერობა“ („კრებული“, № 5) საქართველოს სამეურნეო მდგომარეობის დახასიათებასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე გაკვრით შეეხო ბანკის საკითხს და მის ამოცანად კვლავ „ადგილობრივი მეურნეობისა და აღებ-მიცემობის ამალღება და გავრცეღება“ გამოაცხადა. ავტორი იქვე დასძენდა. „საერობო ბანკის გაწყობაზე აქ ჩვენ ბევრს არას ვიტყვი, იმიტომ, რომ ამ მოკლე ხანში ამ საგანზე ცალკე სტატიის დაბეჭდვას ვაპირებთ შესახებ ჩვენი ბანკები-საო“.

ეს „ცალკე სტატია“ სახელწოდებით „ბანკის საქმე ჩვენში“ ავტორმა ერთი წლის შემდეგ გამოაქვეყნა¹. იძლევა რა რეფორმის შემდგომ დროინდელი სამეურნეო პირობების დახასიათებას, ნ. ნიკოლაძე მას „ავადმყოფობის კრიზისს“ აღარებს და სასწრაფო, გადაუღებელ ღონისძიებას მოითხოვს. „ამ რიგათვე ჩვენს საზოგადოებას ამ მოკლე ხანში ან სრული ეკონომიური დაღუპვა ეღის, ანდა, ნელინელი და მძიმე გამომთღლება, ყუათზე, ღონეზე მოსღლა, — ესე იგი, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობღება“, — წერს ის. სასწრაფო ღონისძიების გამოსაძებნად, — პუბლიცისტის სიტყვიტ, — პოლიტიკურ ეკონომიას უნდა მიღმართოთ. ეს მეცნიერება, რომელიც „საზოგადოებრივი ცხოვრების ექიმია“, მეურნეობის გამომჯობინების ერთ-ერთ საშუაღებად კრედიტს (სესხს) და „მის მმართველ ბანკს“ თღლის.

არსებული ბანკის ნაკლად პუბლიცისტს მიაჩნია მაღალი სარგებელი (ორი აბაზი). ძვირსარგებლიანი ფუღის მეურნეობაში დაბანღება კი უაზრობაა, რადგან ამ გზით ვერავითარი წამოწყება ვერ იხეირებს— შემოსავალი სარგებლის გადახდას მოუნღება; მცირესარგებლიანი კრედიტი სამეურნეო ინიციატივის წახალისებაა, ხოლო მაღალსარგებლიანი დეგრადაციის პროცესის დამაჩქარებელია, მას ვერავითარი მეურნეობა ვერ გაუღლებს, კრედიტორი მას უმიზნოდ დახარჯავს და ასეთი ბანკიც სიკეთის ნაცულად, ზიანს მოიტანს.

ნ. ნიკოლაძე საზოგადოებას აფრთხიღებს, რომ კრედიტის არამიზნობრივი გამოყენების მიზეზით ბანკი იძუღებული გახღება საწინდრები (გირაო) გაპყიდოს და ეს ღიდ ზიანს მიაყენებს ქვეყანას, რადგან ეროვნული მიწა-წყალი ფუღიანი ხალხის, ე. ი. უცხო ვაჭრებისა და კაპიტალისტების ხელში გადავა.

¹ „ღრობა“, 1870 № 17.

პუბლიცისტი ეროვნულ საფრთხესაც ხედავს ამ მოსალოდნელობაში და მისი კვლევა-ძიებაც, არსებითად, ამ საფრთხის აცილებისკენაა მიმართული. განიხილავს რა ანაბრების შესაძლო წყაროებს, ავტორი ორ მათგანზე ამახვილებს ყურადღებას: 1. მდიდართა მიერ შესახად შეტანილი კაპიტალი და. 2. ობლიგაციები. ძირითად წყაროდ მას სწორედ ეს უკანასკნელი მიაჩნია და ადგილობრივი პირობებისათვის ყველაზე შესაფერისად „საზოგადო ადგილ-მამულის კრედიტს“ თვლის, როგორც ბანკის ერთ-ერთ ფორმას, თანაც ისეთ „კრედიტს“, რომელიც გრძელი ვადით იძლევა ფულს, რადგან „ჩვენი აღებ-მიცემობა ჯერ მეტისმეტად თოთოა“ და „ხანგრძლივი კრედიტი გვეჭირია“. მაგრამ, ასეთ ბანკს ხომ ბევრი ფული ესაჭიროება, საიდან უნდა ვიშოვოთ ის? ნ. ნიკოლაძე რჩევას იძლევა, რომ ქართული ბანკის ობლიგაციები უცხო ქვეყნებში გაასაღონ, მთელი მხარის ფინანსიური გარანტიით. რადგან „მთელი მხარე არასოდეს გაკოტრდება¹. და ამიტომ, უცხოელებიც ხალისით შეიძენენ ობლიგაციებს. რაკი ამ „კრედიტის“ გარანტიად ავტორს მთელი საზოგადოება მიაჩნია, მათ „საზოგადო ბანკებს“ უწოდებს.

აღნიშნულ მტკიცებაში ობიექტურად ეროვნული ბურჟუაზიის მისწრაფებანია გამოხატული. ეს ფაქტი ძალიან საინტერესოა იმ მხრივ, რომ როგორც კი პუბლიცისტი, რომელიც ადრე განხილულ წერილებში ბურჟუაზიის მოწინააღმდეგედ წარმოგვიდგება, — ჩვენი ქვეყნის კონკრეტული სამეურნეო ამოცანების ახსნა-გადაწყვეტას შეეცდება, ბურჟუაზიის ინტერესთა გამომხატველად გვევლინება და ეს სავესებით ბუნებრივია, რადგან ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარება იმ დროს განვითარების ძირითადი და პროგრესული ტენდენცია იყო. მაგრამ „კრებულის“ პუბლიცისტთა მსოფლმხედველობის დემოკრატიული ხასიათი აქ იმით მელაღვნდება, რომ ისინი ბატონყმობის ნაშთთა შეზრდის წინააღმდეგ მოქმედებენ, მემამულურ მეურნეობათა როლის იგნორირებას ახდენენ და მთელი აქცენტი ეკონომიურ განვითარებაში თავისუფალ მონაწილეობასა და საზოგადო თაოსნობაზე გადააქვთ. ჩვენი აზრით, ეს შეადგენს საბანკო საკითხებზე ნ. ნიკოლაძისა და „კრებულის“ სხვა პუბლიცისტთა შეხედულების არსს. მაგრამ სოციალურ-ეროვნულ ინტერესთა ამგვარი შეხამების ცდას დროდარდო ისინი ანტიისტორიულ და ანტინაციონალურ რეცეპტებამდე მიჰყავდა. ამის ნიშანია ნ. ნიკოლაძის და გ. წერეთლის ზოგიერთ იმდროინდელ წერილში უცხოური კონცენსიებით, უცხოელ კაპიტალისტთა შორის საბანკო ობლიგაციების გაერცელებით გატაცება. მაგრამ ეს არ წარმოადგენს მათი მსოფლმხედველობის არსებით ნიშანს, ეს მხო-

¹ „კრებულო“, 1872, № 6.

ლოდ მაძიებელთა უნებური შეცდომებია. საკმაოა ითქვას, რომ იმავე წერილებში, სადაც უცხოურ კონცესიებსა და კრედიტზე ლაპარაკობენ, ყველა ამ ღონისძიების ერთ უმთავრეს დანიშნულებად უცხოელ კაპიტალისტთაგან ჩვენი ქვეყნის დაცვას თვლიან.

ნ. ნიკოლაძის ამ წერილს ს. მესხმა საგანგებო რეცენზია მიუძღვნა „დროებაში“ და მთლიანად გაიზიარა მისი დებულებები¹.

ამ შეხედულებებს, ჩვენი აზრით, უტოპიური ხასიათი ჰქონდა. სხვა რომ არა ვთქვათ რა, ქართულ ბურჟუაზიას მაშინ საამისო ეკონომიური პოტენციალი არ გააჩნდა და ჩვენში მთავარ შემძლებელ კლასს კვლავ თავიდანაწარმოება წარმოადგენდა და ამიტომ ახალ დაარსებულ ბანკსაც საფუძვლად მისი ქონება დაედო.

საბანკო საქმისადმი დიდ ინტერესს იჩენდა და პრინციპულად ასეთ-სავე პოზიციასზე იდგა გ. წერეთელიც². მანვე წამოჭრა თბილისისა და ქუთაისის ბანკების გაერთიანების საკითხიც. შექმნილ ვითარებაში ბანკი მას სამეურნეო-ეროვნული კატასტროფისაგან თავდასნისს ერა თადერთ საშუალებადაც კი ეჩვენებოდა³.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გ. წერეთლის სტატია „საამხანაგო ბანკები, იმათი მნიშვნელობა და დაწყობილება“⁴, რომელშიაც პუბლიცისტი საყოველთაო სარგებლიანობის თვალსაზრისზე დგას. უფრო ადრე, აკრიტიკებდა რა „ურთიერთდობის საზოგადოების“ წესდებას, გ. წერეთელი დაბალი ფენების მხარდაჭერასა და წახალისებას მოითხოვდა⁵.

ჩვენი პუბლიცისტები შეუწებლად იკვლევდნენ ამ საკითხს და სულ უფრო რწმუნდებოდნენ, რომ სათავადაწნაურო ბანკი საერთო საქმეს ვერ უშველიდა. სულ მალე გ. წერეთელმა ურთიერთდობისა და ურთიერთდახმარების პრინციპზე დამყარებული საამხანაგო ბანკების პროპაგანდა წამოიწყო „კრებულში“. როგორც თვითონ ამბობს, ამ ტიპის „საერთო და სასოფლო ბანკების“ იდეა მას ევროპიდან გადმოუღია. ამ პროექტს ის უეზარი გამდიდრების იმედით კი არ მოუხიზლავს, არამედ სახალხო თვითმოქმედებისა და კოლექტივიზმის სულისკვეთებით; გვემის გადმოცემისას პუბლიცისტი ზოგად სოციალურ ეთიკურ ტენდენციას მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე პრაქტიკულ მხარეს.

„საამხანაგო ბანკებით“ გატაცება მშრომელი ხალხის, ახლად ჩასახული მუშათა კლასის ბედ-იღბალზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი.

¹ „დროება“ 1872, № 14.

² „ჩვენი საზოგადოების ქრონიკა“, „კრებული“, 1872, № 17.

³ „რა გეპიკრება?“ „კრებული“, 1871, № 5.

⁴ „კრებული“, 1872, № 8—9.

⁵ „ჩვენი საზოგადოების ქრონიკა“, „კრებული“, 1872, № 7.

„ხელმოკლე შეძლების ხალხი, ქალაქის ამქრობა იქნება თუ სოფლის მუშა, გაჭირვებაში ხელის გასამართავად შეამხანაგდებიან, ერთმანეთს პირს აძლევენ საერთო ფულის სესხებაზე“.

ავტორს გადმოუთარგმნია და თავისი წერილისათვის დაურთავს „როესივენის მოსესხე ამხანაგობის წესდება“, იმ იმედით. „იქნებ, ღმერთმა ქნას, და ჩვენშიც ვინმემ ითავოსო.“ მაგრამ ამ განცხადებიდან და თვით წერილის ტონიდანაც ჩანს, რომ პუბლიცისტს, მაინცა და მაინც არც ამ ღონისძიების იმედი აქვს და ისიც გამწვავებულ სოციალურ ვითარებაში საშველის ძიებათა ერთი მორიგი რგოლია. გ. წერეთელი აქ ხშირად იმოწმებს შულცე-დელიჩის მოსაზრებებს მუშათა ასოციაციების შესახებ. ამ წერილს „დროებაც“ მიესალმა,¹ მაგრამ ჩვენ მაინც არავითარი საბუთი არ გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ამხანაგობებსა და ასოციაციებს „კრებულის“ პუბლიცისტები რაიმე სერიოზულ როლს ანიჭებდნენ სოციალური ცხოვრების გარდაქმნაში. აქ „კოოპერატიული სოციალიზმის“ აღიარებაც ჩანს. ესეც. მათი კონცეფციით, მშრომელთა მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთ შემამსუბუქებელ ღონისძიებად წარმოგვიდგება, ერთგვარ სოციალურ ექსპერიმენტად გვესახება. ამასთან კოოპერირების იდეა ჩვენში უფრო ადრე გავრცელდა. 1866 წ. შულცე-დელიჩის გეგმებზე დიშ. ბაქრაძემ წერილები გამოაქვეყნა „დროებაში“². იმავე დროიდან სხვადასხვა სახის „ამხანაგობების“ დაარსებაც შეინიშნება. მაგრამ კოოპერირებას, როგორც სოციალურ მოძღვრებასა და მოძრაობას, „კრებული“ არ თანაუგრძნობდა, კარგად ამჩნევდა მის უტოპიურ ხასიათს. შულცე-დელიჩის და ლასალის უტოპიზმი გააკრიტიკეს როგორც „მნათობმა“ (ანტ. ფურცელაძე), ისე „კრებულმაც“ (ნ. ნიკოლაძე).

ევროპის სოციალური აზროვნების მიმოხილვისას ნ. ნიკოლაძე ამ საკითხსაც ეხება; — ზოგიერთის აზრით, ასოციაციები — შეერთებული შრომა და ცხოვრება მშრომელთა ხსნა, მაგრამ აქაც მრავალი მიმდინარეობა გაჩნდა და სასიკეთო პირი არც ამ თეორიას უჩანსო. სწორედ ასოციაცია-კოოპერირების უტოპიურ თეორიათა უარყოფას მიჰყავს ის იმის აღიარებამდე, რომ „სანამ ეხლანდელი კანონმდებლობა და ეკონომიკური და პოლიტიკური განწყობილება თავიდან ბოლომდე არ შეიცვლება, — მანამდე მუშა ხალხის ბედი ვერ გაუმჯობესდება და მისი ნამდვილი გათავისუფლება არას გზით არ მოხდება“³.

გ. წერეთელი, მართალია, იწონებს სხვადასხვა — „ურთიერთმოშმარებელთა“ და „ურთიერთ ნდობის საზოგადოებათა“ დაარსებას. იქნებ, ცოტა მაინც დაგვიფაროს მსხვილი მრეწველებისა და ვაჭრები-

¹ იხ. ს. ე. რ. მ. ს. ხ. წ. წერილი, „დროება“, 1873, № 13.

² „ისტორიული მოძრაობა განახლებისა“, „დროება“, 1866, № 5—20.

³ ნ. ნიკოლაძე, „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“, „კრებული“ 1873, № 3.

საგანო, მაგრამ დიდ იმედს არ ამყარებს მათზე; ბოლოს და ბოლოს, ასეთ გაერთიანებებსაც შეძლებულთათვის მოაქვთ სარგებლობა, ღარიბებს კი ვერაფერს შევლისო. ჩვენს უფულო, უმიწაწყალო და უუფლებო გლეხობას ხომ საამისო გზაც დახშული აქვსო.

„კრებულის“ პუბლიცისტიკაში დიდი ადგილი უკავია ქალთა ემანსიპაციის საკითხს, რომელიც ჩვენს პრესაში პრინციპულად მხოლოდ „საქართველოს მოამბის“ შემდეგ წამოიჭრა და უშუალო გამოხმაურება იყო ევროპისა და რუსეთის ქალთა გამანთავისუფლებელი მოძრაობისა, რაც იმ დროს სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. ამ საკითხს არც ერთი პუბლიცისტი არ ტოვებს უყურადღებოდ, ხოლო სერგეი შესხმა ვრცელი წერილიც მიუძღვნა: „რა დაუქარგავთ ქალებს და რას დაეძებს ისინი?“¹

როგორ ესმით „კრებულის“ პუბლიცისტებს ქალთა ემანსიპაცია, რა უფლებების მიცემას ისწრაფიან დედაკაცთათვის? მათი ნაწერების შესწავლა ცხადყოფს, რომ ისინი აქაც რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციაზე დგანან, — მოითხოვენ სრულ გათანასწორებას ოჯახსა და საზოგადოებაში, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

პუბლიცისტები მხარს უჭერენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის პოლიტიკურ მოთხოვნებს, „სრულ თანასწორობასა და თვითმოქმედებას“. მათ განუყოფელ კავშირში აქვთ გააზრებული ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი თანასწორუფლებიანობა.

„კრებული“ ყოველმხრივ მხარს უჭერდა და ახალისებდა ქართველ ქალთა პოლიტიკურ-კულტურულ აქტივობას, რომელიც 70-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა. ამ ნაწერებმა, სხვათა შორის, ბევრი საყურადღებო ისტორიული ცნობაც შემოგვინახა. 1868 წელს ქართველ ქალებს პეტერბურგში პეტიცია გაუგზავნიათ ქალებისათვის უნივერსიტეტში სწავლის უფლების მინიჭების შესახებ. „კრებულის“ მესვეურთა რჩევითა და დახმარებით 1872 წელს რამდენიმე ქართველი ქალიშვილი (კეკე მელიქიშვილი, ოლა გურამიშვილი, ეკატერინე ნიკოლაძე, ოლიმპიდა ნიკოლაძე) შეეცადნენ გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად.

„კრებულმა“ სიხარულით აცნობა მკითხველს 1871 წელს თბილისში „ქართველ ქალთა ამხანაგობის“ დაარსება (ეკ. მელიქიშვილი, ეკ. გაბაშვილი, ო. გურამიშვილი), ხოლო ნ. ნიკოლაძემ ვრცლად და დიდი გულთბილობით განიხილა ამ საზოგადოების მიერ 1872 წ. გამოცემული პირველი წიგნი: „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულე-ბათა“.

¹ „კრებული“, 1871, № 4.

ქალთა ემანსიპაციის საკითხზე „კრებულის“ თვალსაზრისი მკაფიოდ გამოხატავდა ამ ჟურნალის საერთო იდეურ მრწამსს, შეესაბამებოდა მის იდეურ მიმართულებასა და სოციალურ-პოლიტიკურ იდეალებს. ეს განმანათლებლურ-დემოკრატიული შეხედულებანი ხელს უწყობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ქალთა აქტიურ მოღვაწეობას და მტკიცე საფუძველს ქმნიდა უფრო ფართო და რევოლუციური მოქმედებისათვის.

განურჩევლად თემისა და კონკრეტული მიზანდასახულობისა, „კრებულის“ პუბლიცისტთა სტატიები სამშობლოს ინტერესებითაა შთაგონებული, ეროვნული აღორძინების სულით მეტყველებს. ჟურნალი წმიდად ინახავდა და მალე ეზიდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშას, ახალ შუქს ჰფენდა ამ მოძრაობის იდეებს, რასაც საფუძველად ედო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის ჭანსალი შეფასება, მომავლის რწმენა, აქტიურა მოქმედება და ხალხურობა, რადგან მხოლოდ ხალხის წიადში ღვიოდა პატრიოტული გრძნობა, მხოლოდ იგი ინახავდა დედაენას და, ამასთან, განსაკუთრებით განიცდიდა ეროვნული ჩაგვრის სიმძიმეს. მეფის რუსეთი ხომ მარტოდენ მემამულე-კაპიტალისტთა მიერ ხალხის ექსპლოატაციის ქვეყანა არ იყო, იგი ეროვნული ჩაგვრის სახელმწიფოსაც წარმოადგენდა, რომელსაც ვ. ი. ლენინმა ხალხთა საპყრობილე უწოდა.

„კრებული“ თანმიმდევრულად ამხელდა ცარიზმის დამპყრობლურ-დისკრიმინაციულ პოლიტიკას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში — მართვა-გამგეობაში, ეკონომიკაში, განათლებისა და კულტურის დარგში, ამჟღავნებდა ხელისუფლების ცალკეულ ღონისძიებათა რეაქციულ არსს, მცირე ერებისადმი უსულგულობასა და სისასტიკეს, ცხადყოფდა, რომ მთავრობა ყოველმხრივ ამუხრუჭებდა განაპირა მხარეთა სამეურნეო-კულტურულ პროგრესს. მაგალითად, იმ საბაბით, თითქოს ადგილობრივი მოსახლეობა საამისოდ მომზადებული არ იყო, ისეთი უსუსური უწყების შემოღებასაც კი აჭიანურებდა, როგორც იყო „ერობა“. ჟურნალი ფარდას ხდიდა ამ სიყალბეს, ამტკიცებდა, რომ ქართველებს სხვაზე ნაკლებ როდი შეგვიძლია სიკეთის შეფერება!

მოვლენების ღრმა ანალიზისა და კონკრეტული მხილების ფონზე პუბლიცისტები დაჩაგრულ-დაცემული სამშობლოს საერთო სურათსა

1 ნ. ნ. ი. ლ. ძ. ე. „ერობა“, „კრებული“, 1871, № 5.

წარმოგვისახავენ: ამ სურათებში აღბეჭდილია მშობელი ქვეყნის მშვენიერებაც, სასოწარკვეთილი მდგომარეობაც და მისდამი უსაზღვრო სიყვარულიც. — ლამაზია ის, აყვავებული, ნარნარ ვარდით გადაშლილი, მაგრამ გარეგანი სილამაზის მეტი არაფერი ღვივის და აცხოველებს ამ საყვარელ ქმნილებას. — ჩივის საზღვარგარეთ გემით მიმავალი ნ. ნიკოლაძე. — იმას აკლია ძლიერი შემაერთებელი ხელი, აკლია ძალის მიმცემი ერთობის სიციხველე... ნუთუ ჩვენი ქვეყანაც „ვერ აყვავდა, ისე დაქნა ნისლიან დღის განთიადზე?“... ლეინემ სიკვდილის წინ ერთი ლექსი დასწერა, რომელშიც საყვარელ არსებას მიმართავს. ნეტავ, ულრან ტყეში გტოვებდე და არა ამ საძაგელ ადამიანთა შორისო. მოიყვანეთ, ვინც ვინდათ ჩემს ადგილზე, შეხედოს აქედან ჩვენს ქვეყანას, ჩაუფიქრდეს მის ბედს, გააცანით მისი მდგომარეობა... „თუ მისი გული დაწურულ ღრუბელივით არ დაპატარავდეს, თუ... ნადველი ყელში არ ამოუვიდეს, მაშინ შემაბით ყულზე ამ ხომალდის ქვაბი და ჩამიშვით ამ ზღვის უფსკრულში... რა გინდ ბინძური კაცის ხელში ჩავარდეს შენი საყვარელი არსება, რაგინდ გაიბილწოს ის მის აღერსში... გული მაინც არ გითმენს და... დახსნის სურვილით მაინც ივსება... გემი მიმაფრენს, მაშორებს ჩემს საყვარელ ქვეყანას... სჩანს მარტო ნისლი, ნისლი, ნისლი...“¹

ყურნალი რაინდული შემართებით იცავდა ეროვნული თვითმყოფობის ყველა ელემენტს, პირველ რიგში, დედაენის უფლებასა და სიწმინდეს, რაც სავესებით ბუნებრივია, რადგან ის იმ წლებში გამოდიოდა, როცა მთავრობამ გააფთრებული იერიში მიიტანა ნაციონალურ ენებზე, როცა რეაქციული პრესა ამ ენების სრულ მოსპობას მოითხოვდა, როცა ადგილობრივი ენები სკოლიდან გამოდევნეს, როცა ხელისუფლების რუპორმა გაზეთმა „კავკაზმა“ უსირცხვილოდ მოითხოვა აჭაური ენებისა და მწერლობის „გაუქმება“. პ. უმიკაშვილმა, ნ. ნიკოლაძემ, ნ. ცხვედაძემ, ა. წერეთელმა, პირდაპირ თუ არა პირდაპირ, მკაცრი და დასაბუთებული პასუხი გასცეს მამუზლარა ჟურნალ-გაზეთებსა და მათ სულისჩამდგმელებს. „კრებულის“ ფურცლებზე იმათ ნათელპყვეს დედაენის როლი ერის საზოგადოებრივ-სულიერ ცხოვრებაში. ნ. ცხვედაძე კათოლიკური ეკლესიის უდიდეს ბოროტებად და მის წინააღმდეგ ხალხთა ამხედრების ერთ უმთავრეს მიზეზად დედაენათა იგნორირებას აცხადებდა².

„კრებულის“ პუბლიცისტური ნაწერები აღვივებდა ჯანსაღ ეროვნულ გრძნობასა და თვითშეგნებას, მკითხველს განუმტკიცებდა ნაციონალური ღირსების სულისკვეთებას. „მამულის სიყვარულის ჩანერგ-

¹ ნ. ნიკოლაძე, „სხვათა შორის“, „კრებულის“, 1873, № 4.

² ნ. ცხვედაძე, „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა“, „კრებულის“, 1872, № 10—12.

ვა ჩვენს პუბლიცისტებს ლიტერატურისა და პრესის საძაფო მოვალეობად მიაჩნდათ. ამ მიზანს ემსახურებოდა, სხვათა შორის, მათ წერილებში უხვად ციტირებული პატრიოტული მოწოდებანი, სხვადასხვა ხალხის ეროვნულ გმირთა სიტყვები და წერილები, ამონაწერები მამულისადმი ერთგულების ფიციდან, პროკლამაციებიდან და მანიფესტებიდან, სახელგანთქმულ მწერალთა და პოეტთა თხზულებებიდან¹.

ეროვნული გრძნობისა და თვითშეგნების განსამტკიცებლად, „კრებული“ მიზანსწრაფულად იყენებდა საქართველოს ისტორიას; გმირული წარსულის მაგალითებით ცდილობდა თანამემამულეთა გამხნევებას, მაგრამ ყურნალი შიშველი პროპაგანდისა და თვითრეკლამის გზას არ დადგომია. აღნიშნულ მიზანთა მიღწევის საუკეთესო საშუალებად მას წარსულის კრიტიკული ანალიზი და მასზე დამყარებული ეროვნული თვითშეგნება მიაჩნდა.

თავიანთი ეროვნულ-სოციალური იდეალების განმაბრციელებელ ძალად სამოციანელები ხალხს თვლიდნენ და, როგორც აწმყოსა და მომავალში. ასევე წარსულშიაც. მისი ცხოვრებითა და ბრძოლით იყვნენ დაინტერესებული. „კრებულში“ მათ წამოაყენეს საქართველოს სოციალური ისტორიის შექმნის საკითხი, მოთხოვნეს ხალხს. როგორც მთავარი მამოძრავებელი ძალის ჩვენება ჩვენს ისტორიაში. პროგრამული მნიშვნელობა ჰქონდა ნ. ნიკოლაძის სიტყვებს: „ჯერჯერობით, საქართველოს ბერიანი ისტორიის დაწერა შეუძლებელია, ჩვენ გვაქვია მასალები, რომლის შემწვობით ჩვენ უნდა შეგვეძლოს აზრის შედგენა მაშინდელი ხალხის მდგომარეობაზე, მოქმედებაზე და მიმართულებაზე, მაშინდელ ჩვეულებებზე და ზნეზე... რა სჭიროდა, რა უნდოდა ხალხს, რას ეძებდა, რას არა. ხალხი ზომ ისტორიის პირველი მოქმედი პირია და რანაირად დაიწერება ისტორია თუ მის პირველ მოქმედ პირზედ სრულიად არაფერი გავება გვაჭკს?“² უთუოდ ამ მოსაზრებით ბელმდვანელობდა რედაქცია, როცა ყურნალში შემოიღო საგანგებო რუბრიკა: „ჩვენი ისტორიის მასალები“.

თავის ისტორიულ გამოკვლევებში გ. წერეთელი ცდილობს გვიჩვენოს ხალხის ცხოვრება, სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტები, კავკასიელი ხალხების ინტერესთა ერთიანობა. გამოკვლევები დაწერილია ბელეტრისტულად, პატრიოტული მგზნებარებით, მაგრამ აშკარად შეინჩნევა, რომ ავტორს აქვია მასალა, კრიტიკულად ვერ ეკოდება წყაროებს, ემოცია სჭარბობს ლოგიკას, ხარვეზებს ფანტაზიით ავსებს. ასე რომ, მიუხედავად კეთილი განზრახვისა, ამ თხზულებებს

¹ პ. უშიკაშვილი, „როსებ ნაწანი“, „კრებული“, 1872, № 8—9; დ. ერისთავი, „წილებზე“, „კრებული“, 1872, № 10—12 და სხვ.

² ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „დროება“, 1872, № 10—12.

რომანტიკულ-სუბიექტური ელფერი დაჰკრავს და სწორად მიგვაჩნია მის. გაფრინდაშვილის მოსაზრება, რომ „ეს გამოკვლევები უმთავრესად პროპაგანდისტული ხასიათისაა“¹, რასაც, სხვათა შორის, თვით გ. წერეთელიც აღიარებდა ავტორეცენზიაში: „ამ სტატიას („საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველის ძველით“) არა აქვს სამეცნიერო საფუძველი... (მაგრამ ბევრი ისეთი მზარე აქვს) რომ „თვალს აუხელს ბევრს ჩვენებურ მკითხველს“² ისტორიულ ნაწერებში გ. წერეთელი პრაქტიკულ წინადადებებს აყენებდა, — მოითხოვდა ქართული გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებას, საქართველოს რუკების გამოცემას და აქტუალური მნიშვნელობის დასკვნებიც გამოაქონდა.

„კრებული“ შეუპოვრად გამოდიოდა ეროვნული ინტერესების დასაცავად, მედგრად უხვდებოდა ჩვენი ხალხისა და კულტურის ავადმზრახველებს. ფრიალ დამახასიათებელია ამ მხრივ გ. მუხრანსკის რენეგატული გამოხდომის მხილება.

„კრებულმა“ გ. მუხრანსკის ბროშურის გამოსვლისთანავე გამოაქვეყნა პ. უმიკაშვილის პოლემიკური სტატია — „მცირე ტომთა ენებზე“³, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე. 1873 წლის 30 მარტს ს. მესხი სწერდა შვეიცარიაში მყოფ კეკე მელიქიშვილს: „პეტრე უმიკაშვილის სტატია შენ ძალიან მოგწონებია, ისე მოგწონებია, რომ მეხვეწები, თვალები ამოვუქოცნო“.

პ. უმიკაშვილის სტატია დაწერილია მწვავედ, გაბედულად; მასში განსაკუთრებით იგრძნობა მისი პოლემიკური სტილის მანერა, რომლის შესახებაც თვითონვე შენიშნავდა ხუმრობით: „ტკბილი, მშვიდი კაციაო, ამბობენ ჩემზე და ტკბილის კაცის მათრახმა სუსხი კარგი იცის“. პ. უმიკაშვილი ავლენს ავტორის ულოგიკობას, „პოგოდინის აფორიზმებზე“ დამყარებულ მის დოგმატურ მსჯელობას. მას ბევრი ფაქტი მოაქვს იმის დასადასტურებლად, რომ „ხალხი და სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის“; ერთ სახელმწიფოში შეიძლება რამდენიმე ხალხი ცხოვრობდეს და თვითველ მათგანს თავისი დედაენა შენარჩუნებული ჰქონდეს. ზოგჯერ სხვადასხვა ენის მქონე ხალხები ერთ სახელმწიფოს ქმნიან (შვეიცარია), ხანაც, ერთი და იგივე ენის მქონეთ სხვადასხვა სახელმწიფო აქვთ (გერმანია და ავსტრია; ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები). პ. უმიკაშვილი რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით უდგება ეროვნულ საკითხს. მისი აზრით გადაამწყვეტია არა ენობრივი ერთიანობა ან განსხვავება, არამედ ხალხის სოციალური

¹ მ. ხ. გაფრინდაშვილი, გ. წერეთლის მსოფლმხედველობა, 1955.

² „კრებულის“ მკითხველის“ ფსევდონიმით: „დროება“, 1871., № 24.

³ „კრებული“, 1872, №№ 10—11—12.

ინტერესები. წერილში მეცნიერულადაა გამოაშკარავებული რასობრივი თეორიის სოციალური არსი; ცალკეულ შემთხვევებში ავტორი დარჯინის შეხედულებებსაც იშველიებს.

ეროვნული კონსოლიდაციისა და გაერთიანების ინტერესებით იყო შთაგონებული ის დიდი ყურადღება, რომელსაც „კრებული“ და მისი პუბლიცისტები თურქეთის უღელქვეშ მყოფი აჭარისადმი იჩენდნენ.

ნარკვევში „სხვათა შორის“ ნ. ნიკოლაძე იძლევა იმდროინდელი აჭარისა და ჭანეთის პოლიტიკური, ეკონომიური, საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობის ნათელ დახასიათებას, იყენებს სტატისტიკურ მასალებს, გადმოგვცემს აჭარელთა ეროვნულ სულისკვეთებას, ნათლად გვაგარძნობინებს მისი განთავისუფლებისა და დედა საქართველოსთან შემოერთების გარდუელობასა და ისტორიულ სამართლიანობას. ავტორი ღრმად განგვაცდევინებს, რომ აჭარა საქართველოს დვიძლი შვილია, რომ ის თვალისჩინივით უფრთხილდება დედაენას, ეროვნული სიამაყით უყურებს დამპყრობლებს, მთელი არსებით გრძნობს მშობელ ერთან სისხლხორცეულ კავშირს. ყოველივე ეს ავტორის გულისტივილს იწვევს, — ასე მგონია, აქ ყველაფერი საყვედურს მეუბნება, — „არა გრცხვენია?.. შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არა ჰქონია და არა აქვს და ეს ძვირფასი თვალი, რომელიც ჩვენი იყო, რომლის გარშემო დღესაც ჩვენი ქართველი ხალხი ცხოვრობს, — დაკარგული და მივარდნილია“..

ეროვნული კონსოლიდაციის ამგვარი გაგება, მიტაცებული კუთხეების ბედ-იღბალზე ასეთი ზრუნვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ნიშანია, მაგრამ, ამ აღმავლობაზე უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური აღორძინების პროგრამა, რომელიც „კრებულ“ — „დროებამ“ წამოაყენა და ის პრაქტიკული საქმიანობა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ.

სამეურნეო-ეკონომიური ჩამორჩენილობა, ეპოქის მაჯისცემის შეუცნობლობა, „კრებულმა“ ეროვნული კატასტროფის მომასწავებლად გამოაცხადა. ქვეყნის სამრეწველო-ტექნიკური დაწინაურება გამოცხადებულია მისი შემდგომი წინსვლის ქვაკუთხედად; სამეურნეო განვითარება აღიარებულია პირველი რიგის ეროვნულ ამოცანად.

პუბლიცისტურ წერილებში ფართო მსჯელობაა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებზე, მათი ინტენსიურად და რაციონალურად გამოყენების საშუალებებზე, რკინიგზებისა და გზატკეცილების გაყვანაზე, სამეურნეო-ტექნიკური სასწავლებლების დაარსებაზე.

ჟურნალი სამაგალითოდ სახავს ზოგიერთი ქართველის სამეურნეო თაოსნობას, მაგრამ ეროვნული თვითკრიტიკა, საერთოდ, წინსვლის აუცილებელ პირობადაა მიჩნეული. პუბლიცისტები ბევრ ნაკლსა და მანკს ამჩნევენ თანამემამულეებში. ეროვნულ ხასიათში და მათ გამო-

ზეურება-გაკიცხვას პატრიოტულ მოვალეობად თვლიან; ზოგჯერ კრიტიკა ძალიან მკაცრადაც გვეჩვენება. ნ. ნიკოლაძის აზრით... „ამისთანა წინაპარს ამისთანა შთამომავალი შეჰფეროდა?... ბევრი თაობა ჩავა საფლავში და დაიბადება ჩვენში, სანამ ჩვენი გული ისევ გავეკაცდება, სულის დიდებას და გმირობას შეიძენს, შრომასა და ლტოლვას შეეჩვევა... ჩვენ სხვის შეძენილს და ნაშრომს მივჩვენებთ...“¹

„კრებულმა“ გააღრმავა და განამტკიცა სოციალური და ეროვნული იდეალების ის განუყოფელი ერთიანობა, რომელიც „საქართველოს მოამბემ“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფუნდამენტად გამოაცხადა.

სამშობლოს სამეურნეო-ეკონომიკურ აღორძინებაზე ფიქრი სრულებით არ გამორიცხავდა შესაფერ სიტუაციაში ხალხის რევოლუციურ-შეიარაღებული გამოსვლის აუცილებლობას. პირიქით, პ. უმიკაშვილის „არსენა“ და „იოსებ მაძინი“, ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“, „ნაპოლეონ III“, გ. წერეთლის, ნიკ. ცხევდაძის, დ. ჩხოტუას და სხვათა სტატიები აშკარად მიუთითებდნენ ამ გზაზე. აღნიშნული წერილების მთელი პათოსი და შინაარსი რევოლუციური აჯანყების დასაბუთება და პროპაგანდაა. ეურნალი ხალხისა და მამულისათვის თავგანწირვას, გამბედაობასა და საბრძოლო შემართებას ქადაგებს, ჩვენი ხალხის ყველაზე დიდ სიამაყედ ის მიაჩნია, რომ „არცერთ ერს დემიწის ზურგზე... ასე ძვირათ არ დაუფასებია თავისი სამკვიდრებელი და არცერთს ასე ძვირათ არ დაჯდომია“. სწორედ ამ რწმენას ემყარება ის ეროვნულ-სოციალური ოპტიმიზმი, რომლითაც გაულენთილია „კრებულის“ პუბლიცისტიკა. გულისმომწყველი აწმყოს ფონზე აქ მუდამ მოჩანს ბედნიერი, აყვავებული სამშობლო და განთავისუფლებული ხალხი. „ჩვენი მიმართულება, რომელიც სუსტი და უიმედოა, შემდეგში, მომავალი თაობისათვის, მომავალი მოთავეების ხელში ყოვლისმძლეველი და შეუშუსვრელი შეიქმნება. აი ჩვენი პროგრამა და ჩვენი იმედი“².

„კრებულის“ პუბლიცისტიკაში არათუ ეროვნული მძულვარების ვერავეითარ ნიშანს ვერ ვხედავთ, — იგი მთლიანად გამსჭვალულია ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. ხალხთა ურთიერთობის საფუძვლად გამოცხადებულია მშრომელთა ბედის თანაზიარობა, ინტერესთა ერთიანობა, განთავისუფლებისათვის ბრძოლა; უბრალო ადამიანისათვის სამშობლოზე ოცნება არის ოცნება ეროვნული და სოციალური შევიწროებისაგან განთავისუფლებულ სამყაროზე, საყოველთაო საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. ამიტომ ხალხთა კეშმარიტი მეგობრობის საფუძველი

¹ ნ. ნიკოლაძე, „ფიქრი ლიხის მთაზე“, „კრებულო“, 1871, № 4.

² ნ. ნიკოლაძე, „სხვათა შორის“, „კრებულო“, 1873, № 4.

თავისუფლება და თანასწორობაა. ეროვნული გრძნობა აღიარებულია ადამიანის ღირსების ერთ უმთავრეს ნიშნად, რომლის შებღალვა არავის უნდა ეპატიოს. ხალხთა მეგობრობის იდეა გაცივსკოვნებულია ახალი, რევოლუციური დემოკრატიის ჰუმანიზმით, რომელიც კაცთ-მოყვარეობის ბრჭყევილა პრინციპით კი არ კმაყოფილდება, არამედ აქტიურად იბრძვის უსამართლობისა და ეროვნული მძულეარების წინააღმდეგ, დადებითი იდეალების განსახორციელებლად. „კრებულში“ დაგმობილია არა მარტო ცალკეულ პირთა ნაციონალისტური პოზიცია, არამედ სახელმწიფოთა შოვინისტური, დიდმპყრობელური პოლიტიკაც. ცალკეული ერებისა და ქვეყნებისადმი დამოკიდებულებაში ეს მომენტი გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ჩვენი პუბლიცისტების ოვლსაზრისზე.

გ. წერეთელი პუბლიცისტური ზედმიწევნობით აანალიზებს კოლონიალიზმის ბუნებას, მის დამლუპველ გავლენას ხალხთა ცხოვრებასა და კაცობრიობის განვითარებაზე. პუბლიცისტი ისტორიული მავალითებით ასაბუთებს, რომ კოლონიური რეჟიმი დამლუპველია არამარტო დაპყრობილი, არამედ დამპყრობელი ხალხებისათვისაც; იგი მხოლოდ ფიზიკურ ძალმომრეობას ემყარება. ამიტომ დიდი, „მუშტიკრივში და ხანჯლის ხმარებაში უფრო ხერხიანი“ ქვეყანა განუკითხავად სპობს მცირე ერებს, რომლებიც, იქნებ, გონების ძალითა და ჰკუის თვისებით ბევრად სჯობიან მას; ასე გაანადგურეს რომაელებმა ბერძნები, ეგვიპტელები, ასურები, ებრაელები. ეს „წარჩინებული, ქვეყნის საუნჯე ხალხები რომ არ დაეთატრათ და შთაენთქათ“, ვინ იცის, „კაცობრიობა რამდენი საუკუნით წინ იქნებოდა ახლა, რამდენად უფრო ბედნიერი იქნებოდა“. მაგრამ ბარბაროსულმა დამპყრობლურმა პოლიტიკამ არც რომაელებს დააყენა კარგი დღე. „ამ დიდებულის ხალხების სისხლში თვითონაც დაიხრჩო“.

გ. წერეთელი თანამედროვე სამყაროშიც ანალოგიურ სურათს ხედავს, — „დღესაც კაცობრიობა იმგვარადვე სდევნის განსხვავებას, მრავალგვარობას. ჩემი შენ არ მოგწონს და შენი — მე; მე მინდა ჩემს წესზე მოგაქციო, არც დასაჩავრავად ვზოგავთ ერთმანეთს“¹.

პრუსიული მილიტარიზმისადმი ზიზღითაა გაუღენთილი ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორს“, „ნაპოლეონ III“, „თანამედროვე მწერლობა“, დავ. ერისთავის „წყლებზე“.

პუბლიცისტები კარგად ასაბუთებენ, რომ ომი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა დაჩავრულთა უფლებებს იცავენ. „სხვა—ომი კი... ღმერთმა დასწყევლოს. ომი, რომელიც არის სხვა ქვეყნის დასაპყრობად აღძრული, ის ომი არის წყეული, ამისთანა ომში მებრ-

¹ გ. წერეთელი, „მგზავრის წიგნები“, „კრებული“, 1873, № 5—6.

ძოლნი არიან ხალხის სისხლით შესვრილნი და ადრე თუ გვიან რომ არ გადახდესთ ეს უსამართლობა, არ იქნება... ამისთანა ჯარს და მხედრობას გმირული სული არ უდგია“.

ხალხთა მეგობრობის ყველაზე პროგრესულ ნიშანს „კრებულის“ პუბლიცისტიკაში წარმოადგენს ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი აქტიური მხარდაჭერა. გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებში“ ხალხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის მთელი ისტორიაა გადმოცემული — უძველესი დროიდან მოყოლებული XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. პუბლიცისტს სწორად აქვს შენახული სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებანი. ეს მსჯელობა იმდენად დასაბუთებული და დემოკრატიულია, რომ დღემდე ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას. ავტორს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანები აქვს ჩამოყალიბებული, განსაზღვრული აქვს ამ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. იგი კარგად იცნობს გამათავისუფლებელ მოძრაობაში მოწინააღმდეგე ძალთა თანაფარდობასა და ინტერესთა ჭიდილს. გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მებრძოლთა სულისკვეთებას: „იცი, ამისთანა გამწარებულს მამულის მებრძოლს რანაირი შეხედულება აქვს ბრძოლის ჟამს? ის საშიშია, იმის სახეს ვერავითარი მხნე და ბრძოლებში გამოცდილი მებრძოლი ვერ გაუმაგრდება... ავსტრიის ჯარი იტალიაში კი ვერ იბრძოლებს აგრე. იმათ არა აქვთ მაგისთანა გამამხნევებელი საგანი... იტალიელი იბრძვის თავის ქვეყნისათვის, თავის დაჩაგვრის... წინააღმდეგ... ავსტრიელი სალდათი მოსული უცხო კაცია იტალიაში. ის იპყრობს ქვეყანას, ართმევს საკუთრებას თავის უფროსის ბრძანებით. ნუთუ ამ უსამართლობისათვის ისე აუდუღდება გული ავსტრიელ სალდათს, როგორც იტალიელს? ერთი გრძნობს თავის მხარეზე სიმართლეს, მეორე — ძალას“¹.

„კრებულის“ პუბლიცისტები ყოველ ერში არჩევდნენ ორ მხარეს — პროგრესულსა და რეაქციულს, — მხარს უჭერდნენ პირველს და ებრძოდნენ მეორეს. ისინი მკაფიოდ განასხვავებდნენ თვითმპყრობელურ რეჟიმს რუსი ხალხისაგან, გვიჩვენებდნენ ორ რუსეთს და ცარიზმის წინააღმდეგ რუსი ხალხის საამაყო შვილთა თავდადებულ ბრძოლას.

„კრებულის“ პუბლიცისტიკა ხელს უწყობდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულ სხვადასხვა ერის მშრომელთა შეკავშირებას, ძირს უთხრიდა თვითმპყრობელობის გამთიშველ, წამქეზებლურ, ხალხთა ერთმანეთზე წასისინების პოლიტიკას. იგი დღემდე აღმზრდელია როგორც ასრულებდა, — ავითარებდა ქართველ მკითხველში მაღალ პოლიტიკურ შეგნებასა და მორალურ თვისებებს.

¹ გ. წერეთელი, „მგზავრის წიგნები“. „კრებული“, 1873, № 3.

პედაგოგიური შეხედულებანი ორგანულად შესისხლბორცებულია ეურნალის საერთო იდეურ მიმართულებასთან და ემყარება, ერთი მხრივ, აღზრდის საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებს, ხოლო, მეორე მხრივ, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებს, რუსული და მსოფლიო პედაგოგიური აზროვნების თეორიასა და პრაქტიკას. საერთოდ, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, „კრებული“ ფართოდ და მეცნიერული სიღრმით აშუქებდა სწავლა-აღზრდის საკითხებს.

ისტორიული ფაქტებითა და თანამედროვეობის კონკრეტული მაგალითებით, „კრებული“ ნათლად უჩვენებდა მკითხველს აღზრდის წოდებრივ-კლასობრივ ხასიათს; ყოველი კლასი, მისი ინტერესეაიჲ გამომხატველი ყოველი ხელისუფლება ცდილობს, თავის პოლიტიკურ ინტერესებს დაუმორჩილოს სწავლა-განათლება, აღზარდოს ერთგულ, მორჩილ მსახურთა კადრი¹.

ცარიზმის განათლების სისტემის ანალიზით ნ. ნიკოლაძე ცხადყოფდა აღზრდის პოლიტიკურ ხასიათს. 1863 წელს პოლონეთის აჯანყების გამო კატკოვმა და მისმა „მოსკოვის უწყებებმა“ დაგმეს „რეალური აღზრდა“ და უპირატესობა „კლასიკურ აღზრდას“ მისცეს. კატკოვი ამტკიცებდა, რომ „რეალურმა აღზრდამ“ „გაასულელა“ და „გაათამამა ახალგაზრდობა“, აღარც ღმერთი სწამს და აღარც მეფეო. ხელისუფლებამ ყურად იღო კატკოვის რჩევა და კვლავ „კლასიკურ“ სისტემაზე გადავიდა². „კრებული“ მოითხოვდა ძირეულ გარდაქმნებს, ახალ მიზნებს უსახავდა ჩვენს სკოლას. „კაცი ეძებს აღზრდაში ცხოვრებისათვის გამოსადეგ იარაღს, ... რომელსაც მისი შრომის გაადვილება და მისი მღგომარეობის გაუკეთესოება შეეძლება. აღზრდით შეძენილ ცოდნას, კაცის აზრით, მისი ღონისძიებების გადიდება და მის გონების და ზნეობის დატკობა უნდა ჰქონდეს მიზნათ“. „სწავლა-აღზრდა საერთო საზოგადოებრივი საქმეა, დიდ გავლენას ახდენს მის ბედსა და უბედობაზე“, მის მომავალზე, ბრძოლასა და ცხოვრებაზე³.

ცხოვრება ბრძოლაა, — მომავალში თუ ბრძოლა არა, შრომა მაინც იქნება, — და ესეც ბუნებასთან ბრძოლაა, — აღზრდის მიზნებიც აქედან გამომდინარეობს: „...ამზაირი ბრძოლისა და შრომისათვის დაამზადოს ყმაწვილი, ესე იგი, გაცნოს იმას ბუნება თავისი ძალებით, აჩვენოს ამ ბუნების სარგებლობის გზა და დაწვრილებით დაანახოს ის გაწყობა და წესი, რომელიც საჭიროა გონიერი და ძმური ცხოვრებისათვის, ერთი სიტყვით, გაუნათლოს და დაუიარაღოს გონება“⁴.

ამ დებულებაში კონდენსირებულია ეპოქის ყველა ძირითადი მო-

¹ პ. უმიკაშვილი, „ოსებ მაძინი“, „კრებული“, 1872, № 8—9.

² ნ. ნიკოლაძე, „ახალგაზრდობის აღზრდა“, „კრებული“, 1871, № 3.

³ იქვე.

⁴ იქვე.

თხოვნა, უარყოფილია ცალმხრივი განათლება, სწავლის იდეალად აღიარებულია ბუნებისა და საზოგადოების ღრმა ცოდნა, რომელიც საზოგადოების „გონიერი და ძმური ცხოვრების“ მოსაწყობად იქნება გამოყენებული, — ბრძოლის გზით „საზოგადოებას გააუკეთესებს“, და ამით ბუნებისაგანაც მეტ სარგებლობას მიიღებს. აღზრდას წაყენებული აქვს საზოგადოებრივად სასარგებლო პრაქტიკული ამოცანები, ადამიანის გონებრივი და ზნეობრივი ამაღლება, სოციალური ბორკილებისა და ბუნების მონობისაგან მისი განთავისუფლება. სასწავლებელმა დამოუკიდებელი, პატიოსანი, გონიერი, სამართლიანი, მებრძოლი და ინიციატივიანი მოქალაქე უნდა აღუზარდოს საზოგადოებას.

უდავოა, რომ ეურნალის პედაგოგიურ შეხედულებათა არსს პატრიოტულ-დემოკრატიული აღზრდის პრინციპი განსაზღვრავს. ხალხისა და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანია „კრებულის“ იდეალი; ადამიანი, რომელმაც იცის, რა მოწოდება აქვს, სწამს საზოგადოების მომავალი, იბრძვის და შრომობს მშრომელთა ინტერესებისათვის და ამ ბრძოლასა და შრომაში გრძნობს ბედნიერებას, ადამიანი არ უნდა იყოს „თავისი მდგომარეობის ყურმოჭრილი ყმა“¹.

მხოლოდ დემოკრატიულ-პატრიოტულ აღზრდას შეუძლია ადამიანის ზნეობრივად ამაღლება, რადგან მორალის საფუძველია საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა. „რათ ვარგა მარტო თავი გქონდეს „განათლებული“, თუკი, ამასთან გულიც არ გინათებს და როგორც კაცი არ ვარგინარ?“² ამ მიზანს სკოლა მაშინ მიაღწევს, როცა ყოველგვარი ცენზი გაუქმდება და ადამიანი მარტოდენ პირადი ღირსებით დაფასდება; „ახალგაზრდას... გმირობა და ტალის ხასიათი მთელ სხეულში უნდა უჯდეს... ნიადაგ საზოგადოების სიკეთეზე უნდა ფიქრობდეს“³.

მწვავე პოლემიკის საგანს წარმოადგენდა იმ დროს უმაღლესი და საშუალო სკოლების ტიპიზაციის საკითხი. ადარებდა რა „კლასიკურ“ და „რეალურ“ გიმნაზიებს, მათ შორის არსებულ განსხვავებას ნ. ნიკოლაძე უწოდებდა „განსხვავებას ორნაირი აღზრდის სისტემას შორის“. ეურნალი უარყოფდა „კლასიკური“ გიმნაზიების დამკვიდრებულ ტიპს, სადაც ლათინური და ბერძნული ენები ბატონობდნენ, — უპირატესობას აძლევდა „რეალურ გიმნაზიას“, საბუნებისმეტყველო და ცხოვრებაში გამოსადეგი ტექნიკური ცოდნით, მაგრამ საშუალო სკოლის იდეალად ისეთ სასწავლებელს სახაევდა, რომელიც ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო განათლებით ხელს შეუწყობდა ახ-

¹ ნ. ნიკოლაძე, „მელაღმე“, „კრებული“, 1871, № 4.

² ი. მ. მ. ს. ნი, „ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში“, „კრებული“, 1873, № 19.

³ ნ. ნიკოლაძე, „ფიქრი ღიზის მთაზე“, „კრებული“, 1871, № 4.

აღგაზრდობის ყოველმხრივ, პარმონიულ აღზრდას, გააცნობდა მას „როგორც საზოგადოებას, ისე ბუნებას“¹. საერთოდ კი, მრეწველობისა და ტექნიკის აღმავლობის პირობებში სავესებით ბუნებრივია ჩვენი ავტორების გატაცება ზუსტი მეცნიერებით, სახელოსნო სასწავლებლებით, ბუნებისმეტყველებით, მედიცინით.

1871 წელს საქართველოში იმპერატორი ალექსანდრე II ჩამოვიდა. სხვათა შორის, გადაწყდა, რომ მისთვის რაიმე სასარგებლო დაწესებულების დაარსება ეთხოვათ. „მამებმა“ (გრ. ორბელიანი, მიხ. თუმანიშვილი და სხვ.) დაიჩინეს სამხედრო სკოლა ვთხოვოთ, — ახალთაობა კი (ი. ჭავჭავაძე, მ. თარხნიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ბეს. დოლობერიძე და სხვ.) უმადლეს სასწავლებელს ამჯობინებდა. ეს საკითხი ცხარე პოლემიკისა და ბრძოლის საგანი გახდა, ერთი მხრივ, როგორც ჩანს, თვით ახალთაობის წარმომადგენელთა შორისაც. ახალთაობის წრეში აზრთა სხვადასხვაობა იმას გამოუწვევია, თუ რომელი ტიპის სასწავლებელი აჯობებდა საქართველოსათვის — უნივერსიტეტი თუ რომელიმე ტექნიკური ინსტიტუტი. პოლემიკა უმთავრესად „დროება“ — „კრებულში“ გაჩაღდა.

„კრებულში“ ამ საკითხს პირველად ნ. ნიკოლაძე შეეხა („ახალგაზრდობის აღზრდა“, 1871, № 3). მსჯელობდა რა საერთოდ აღზრდის ხასიათსა და მიზნებზე, აგრეთვე, საქართველოს მაშინდელ სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის თავისებურებებზე, ავტორი ცალცალკე ახასიათებდა სხვადასხვა ტიპის უმადლეს სასწავლებელთა ამოცანებს და ასკენიდა. რომ ჩვენთვის „პრაქტიკულ მხარეს“ მეტი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ, ერთი რომელიმე სპეციალური სასწავლებლის (სამეურნეო აკადემია, ტექნოლოგიური ინსტიტუტი და სხვ.) დაარსება გვირჩევენიაო.

არსებითად, აღნიშნული წერილის პასუხად, გ. წერეთელმა 1872 წელს (№ 26) „დროებაში“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია: „საჭიროა კავკასიაში უნივერსიტეტი თუ არა?“

ამ წერილში ავტორმა ვერ შესძლო თავის შეხედულებათა ყოველმხრივ დასაბუთება და იმავე ხანებში „კრებულშიც“ (1871, № 5) დაბეჭდა უფრო განვრცობილი წერილი: „რა გვეპირვება?“.

უწინარეს ყოვლისა, გ. წერეთელი ამტკიცებს, რომ კავკასიაში უმადლესი სასწავლებლის დაარსება გადაუდებელ საჭიროებად იქცა და რომ, ეს სასწავლებელი „ჩვენსავე ნიადაგზე უნდა გაიხნას“.

ავტორი ცალცალკე ახასიათებს საინჟინრო აკადემიას, ტექნოლოგიურ ინსტიტუტს, სამეურნეო აკადემიას და საბოლოოდ უნივერსი-

¹ ნ. ნიკოლაძე, „ახალგაზრდობის აღზრდა“, „კრებულში“, 1871, № 3; იხ. |ლ. ზამბახიძე, „ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური იდეები“, გვ. 193.

ტეტზე ჩერდება, რადგან: „უნივერსიტეტში გამოზრდილს ყოველ საქმეში თვალი აქვს ახელილი, ყოველს საქმეს გონება უწვდება და ცხოვრების მოთხოვნილების გაგებაში განსაკუთრებით გონება ფხიზელია“ (თუკი მოინდომებს, ყოველგვარი ხელობის შესწავლაც ადვილად შეუძლია). „სისხლში აქვს გამჭდარი საზოგადოების სიკეთის წადილი,.. სადაც ვასაჭირია, იქ ეტანება“. ქალაქი, სადაც უნივერსიტეტი არსებობს. მუდამ გამოირჩევა კულტურით, ზნეობით, განათლებით, ს:ჩ:ო. გადოებრივი მოძრაობით. უნივერსიტეტის დაარსება გაამრავლებს გიმნაზიებს და გააუმჯობესებს მათ მუშაობას. უნივერსიტეტში პირდაპირ შედის გიმნაზიადამთავრებული, ჯერეთ გაურყენელი ახალგაზრდა, რაკი უნივერსიტეტი დაარსდება, დღეს-ხვალ, სხვა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებსაც გახსნიანო. „ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას თუ რამე უშველის, ისევ უნივერსიტეტი“, — ასე ამთავრებდა გ. წერეთელი თავის სტატიას.

ჩანს, ნ. ნიკოლაძე არ ეთანხმებოდა ავტორის მოსაზრებებს, მაგრამ წერილი კამათის წესით გამოუქვეყნებია (იმ დროს თვითონ იყო რედაქტორი)!

აღნიშნულ დავას პრინციპული ხასიათი არ ჰქონდა, რადგან ავტორები არსებითად ერთ პოზიციაზე იდგნენ, — არც ნ. ნიკოლაძე უარყოფდა უნივერსიტეტის დიდ მნიშვნელობას და არც გ. წერეთელი მოითხოვდა მხოლოდ უნივერსიტეტს.

განათლების სფეროშიც ძირეული გარდაქმნები „კრებულის“ პუბლიცისტებს შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ იმ ეროვნულ-სოციალურ იდეალთა განხორციელების პირობებში, რომლებსაც ისინი ემსახურებოდნენ.

მხატვრული ლიტერატურა

„კრებულმა“ შეამკიდროვა ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ძალები, გზა გაუხსნა ახალგაზრდა პოეტებსა და პროზაიკოსებს, აზიარა მკითხველი მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს, გააძლიერა მხატვრული სიტყვის გავლენა საზოგადოებაზე. აქ მთელი სისავსით იგრძნობა ლიტერატურული ცხოვრების მრავალფეროვნება, მისი იდეური და მხატვრული დადუღება. ჩვენი რეალისტური ლიტერატურის ამ აყვავების წლებს ნ. ნიკოლაძე „დავაჟაკების პერიოდად“ თვლიდა,

¹ პირადად მე მიხდოდა იმპერატორისთვის „ერობა“ გვეთხოვათ (იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. I; დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, 1962-423-38—39).

ხოლო „კრებულში“ დაბეჭდილი ლექსებსა და მოთხრობებს „საქრესტო-მათიო ნაწერებს“ უწოდებდა. განიხილავდა რა 1871 წლის ნომრებს, ნიკ. ყიფიანი წერდა: „ამ ხუთი წიგნით „კრებულის“ რედაქციამ მეტი შესძინა ლიტერატურას, ვიდრე ზოგიერთმა გამოცემებმა ათი-თხუთმეტი წლის ლოდითა“¹. უურნალის წარმატება განპირობებული იყო ცხოველმყოფელი იდეებით, თემების აქტუალობით, ცხოვრებისეული მოვლენების ღრმა მხატვრული ანალიზით, უბრალოებითა და სიმართლით. ყველაფერში იგრძნობა ლიტერატურული ჰორიზონტის გაფართოება და გემოვნების დახვეწა. აქტიური ხედვის არეში შემოდის და ბუნებრივ საშენ მასალად იქცევა მსოფლიო ლიტერატურის მხატვრული სახეები. არასოდეს ჩვენს ლიტერატურაში არ შეიმჩნეოდა ევროპული მწერლობისადმი ასეთი ინტერესი, არასოდეს არ შეიმჩნეოდა რუსულ ლიტერატურასთან, განსაკუთრებით, თანადროულ, სწორედ იმ დღეების რუსულ ლიტერატურულ სინამდვილესთან ის სისხლხორცეული კავშირი, რომელსაც „კრებულში“ ვხედავთ. მხედველობაში გვაქვს არა თარგმანები, არამედ ორიგინალურ მხატვრულ, პუბლიცისტურ და კრიტიკულ ნაწერებში გამოყენებული და მითითებული მხატვრული სახეები, როგორც ჩვენი მკითხველისათვის ნაცნობი სამყარო, როგორც მხატვრული აზროვნების აქტიური მასალა, როგორც ლიტერატურული ასოცირების ელემენტი; „მე მზად ვიყავ ჩემქდარიყავ ვაგონში, როგორც პატივცემული რეპეტილოვი და მეტქვა: „წამიყვანეთ სადმე!“ მანილოვის ფანტაზიებში წავედი“; გათენებისას იაგნიცკიმ „წამიკითხა პუშკინის ლექსი „მეთევზეები“; მომაგონდა ის ადგილები „ვაი ჭკუიდან“²; ნ. ნიკოლაძის ნარკვევის — „სხვათა შორის“, იდეურ პათოსს აძლიერებს მასში ჩართული ნეკრასოვის ლექსები. მთლიანად მოაქვს ნ. ნეკრასოვის „Родная земля, назови мне такую обитель“, პ. უმიკაშვილს³. ნ. ჩერნიშევსკის რომანიდან („Что делать?“) ამოღებული ვერა პავლოვნას მეოთხე სიზმართ (თარგმანითურთ) იწყებს ნ. ნიკოლაძე ფელეტონს „საახალწლო“⁴ და სხვ.

ჩვენს მწერლებს შესისხლხორცებული ჰქონდათ რუსული ლიტერატურის უახლოესი მონაპოვარიც. „თუ რუსეთის გაცნობა გსურთ... წაიკითხეთ შჩედრინის თხზულებანი. აი, ის იცნობს ჭეშმარიტად რუსეთს“. „...მაშინ აღარ იქნებიან პროფესორები, რომელთაც ოსტროვსკის სახელი გაგონილიც არა აქვთ...“ — ამბობს დავით ერისთავის მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი.

„კრებულმა“ აღამაღლა ქართული ლიტერატურული ტრადიციის

¹ ნ. ყიფიანი, „გასართობი საუბარი“, „დროება“, 1872, № 2.

² დავ. ერისთავი, „წყლებზე“, „კრებული“, 1872, № 10—12.

³ პ. უმიკაშვილი, „არსენა“, „კრებული“, 1872, № 7.

⁴ „კრებული“, 1871, № 1.

როლი აქტიურ შემოქმედებით პროცესში; მან არათუ დასძლია ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი წინა წლებში შესამჩნევი ერთგვარი ინდიფერენტიზმი, არამედ წარმატების პირობად გამოაცხადა მისი შემოქმედებითი ათვისება.

ყურადღებას იქცევს უურნალის ჟანრობრივი მრავალფეროვნება. „კრებულში“ იბეჭდებოდა პოემები, ლირიკული და სატირული ლექსები, მოთხრობები, რომანები და ნარკვევები, ფელეტონები და დრამატული სცენები, კომედია, ტრაგედია და დრამა, ხალხური ლექსები, ანდაზები, სიმღერები და გამოცანები; განსაკუთრებით მდიდრადაა წარმოდგენილი „მოგზაურობანი“.

ლიტერატურული პროდუქციის ასეთი სიუხვე და მრავალფეროვნება, განსაკუთრებით დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ უურნალი, საერთოდ, მასალის ნაკლებობას განიცდიდა და პარალელურად არსებულ „ცისკარსა“ და „მნათობში“ იმ დროს ღირსშესანიშნავი, თითქმის არა დაბეჭდილია რა. ვინც 60—70-იანი წლების ქართულ ლიტერატურას იცნობს, კარგად მოეხსენება, რომ 1863 წლიდან („საქართველოს მოამბის“ დასურვიდან 1871 წლამდე „კრებულის“ დაარსებამდე) და 1873 წლიდან („ივერიის“ პერიოდამდე), თითქმის არც ერთი რიგიანი თხზულება არ დაწერილა. ეს ფაქტი კარგად გვიჩვენებს ლიტერატურული უურნალის როლს მწერლობის განვითარებაში, კერძოდ, „კრებულის“ დამსახურებას.

რედაქციამ შემოქმედებითი ურთიერთობა დაამყარა იმ დროის ყველა ნიჭიერ მწერალთან; მისი დაკვეთითა და წახალისებით დაწერა ილია ჭავჭავაძემ „გლახის ნამბობის“ მეორე ნაწილი, დაამთავრა „აჩრდილი“, საბოლოოდ გაჩაღხა „დედა და შვილი“, „მგზავრის წერილები“ და სხვა ნაწარმოებნი. ამავე სტიმულის ნაყოფია: დ. ერისთავის „წყლებზე“, ი. ნათაძის „მგზავრის შენიშვნები“ და ბევრი სხვა თხზულება. ამ საქმეში რომ უურნალი თვითდინებას ვაპყობოდა, იგი ერთ წელსაც ვერ გასტანდა და მრავალი შესანიშნავი ლექსი თუ მოთხრობა, რომელიც დღეს ფასდაუდებელ განძად მიგვაჩნია, უთუოდ, არ გვექნებოდა.

რედაქციის წევრები სოფელ-სოფელ დადიოდნენ მასალების შესაკრებად (პ. უმიკაშვილი სამჯერ ასულა სტეფანწმინდას ღიმ. ყაზბეგთან მოთხრობებისათვის), მაგრამ იდეურ-მხატვრულ მომთხოვნელობას რედაქცია მაინც არ ასუსტებდა და მკაცრი შერჩევით აქვეყნებდა თხზულებებს, — ითვალისწინებდა: „შეგვეფერება ჩვენ თხზულება, ექნება იმას მკითხველ საზოგადოებაზე რამე ზემოქმედება თუ არა?“ (ნ. ნიკოლაძე). ამასთან, დაბეჭდვის საკითხს მთელი რედაქცია წყვეტდა, რადგან ერთი კაცის „გემოვნებას... სასტიკს საზღვარს ვერავინ განუსაზღვრავს“ (პ. უმიკაშვილი). უნიჭო, უიდეო ნაწერები კი,

როგორც ჩანს, „კრებულს“ ბლომად მისდიოდა. ე. წ. „უიღბლო გენიოსები“ ხოლო ლიტერატურას ყოველყამს ჰყოლია აკეიატებული; ამ ასპარეზიდან მოძალადეთა გაძევება ისე ადვილი როდია, როგორც ოპერის სცენიდან უნიჭო მომღერლის სტვენა-ყიყინით დაფრენა. ბევრი ძალად პოეტი აეკეიატებია ხოლმე პოეზიას, ხმის ჩახლეჩამდე „მღერის“ და ჩვენც გვაიძულებს მოვუსმინოთ. „კრებული“ დიდ პრინციპულობას იჩენდა მათ მიმართ, — უკანვე უბრუნებდა ავტორებს დაწუნებულ ლექსებსა და მოთხრობებს¹.

რეცენზიებში, სხვათა შორის, კატეგორიულად დგას „სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავ“ ნაწარმოებთა შექმნის საკითხი². გასართობობა, სასიამოვნო საკითხაობა, ხალისიანობა ერთ-ერთი უმთავრესი ღირსებაა, რომელსაც მოითხოვდნენ მხატვრული ლიტერატურისაგან. „რაც იწერება ქართულად, — ვკითხულობთ ნიკ. ყიფიანის რეცენზიაში, — იმასაც კითხვით ძალიან ნაკლებად კითხულობენ. უბედურება ის არის, რომ ლიტერატურა... კითხვის ხალისსაც ვერ პბადებს ქართველ საზოგადოებაში... „კრებულის“ გამომცემლებს მოუნდომებიათ... ისეთი საქმე, რომელიც აქამომდე ყველა მწერალსა და მთხვევლს ავიწყებოდა: განუღვიძოს მკითხველს სურვილი და ხალისი კითხვისა, შეაყვაროს ქართული წიგნის კითხვა“. „...ჩვენი საზოგადოება ახლა ასეთ გონებით მდგომარეობაშია, რომ იმას კითხვაში წახალისება ეჭირება. არაფერი არ წახალისებს ისე ჯერ შეუჩვეველს კითხვაში, როგორც კარგი მოთხრობები, რომანები, კომედიები და ლექსები. რასაკვირველია საქირაა რომ სიამოვნების გარდა, ეხლანდელ ნაწერებში ჩვენი მკითხველი სარგებლობას ხედავდეს“, — წერდა სერ. მესხი.

მხატვრული ნაწერების დამაინტერესებელ მხარეზე, მის „თავშესაქცევრობაზე“ ასევე დაბეჯითებით წერდნენ, აგრეთვე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი.

ღრმა იდეურობით, დემოკრატიული შინაარსითა და რევოლუციური სულით „კრებულის“ ნაწერები ახალი საფეხურია ჩვენს ლიტერატურაში, წინსვლაა კრიტიკული რეალიზმის გზაზე, განვითარებაა „საქართველოს მოამბის“ ლიტერატურული ტრადიციებისა; იგი პროგრესული ტენდენციურობით ასახავს ქართველი ხალხის სოციალურ ცხოვრებას, აელენს მის შინაგან წინააღმდეგობებს, უარყოფს მოძველებულს და წინ სწევს ახალსა და საიმედოს, წარმოაჩენს საზოგადოებრივი უკუღმართობის ფესვებს. მხატვრულად განსახიერებული ყოველი ფაქტი, თვითეული მხარე ადამიანის სულის გამოვლინებისა შეიგრძნობა როგორც დიდი საზოგადოებრივი სინამდვილის განუყოფე-

¹ ნ. ნიკოლაძე, „ჩემ პიროვნებაზე“, „კრებული“, 1873, № 7.

² „ღრობა“, 1871, № 16.

ლი ელემენტი და ნიშანთვისება; ხელს უწყობს მის შემეცნებას, მის საიდუმლოებებში ჩაღრმავებას, ამადლებს საზოგადოებრივ შეგნებას, განამტკიცებს ადამიანური ღირსებისა და მოვალეობის აზრს, ჰკმობს ბოროტებას, წარმოსახავს უკეთესი მერმისის იდეალს.

„კრებულის“ პოეზიასა და პროზაში, დრამატურგიასა და ზეპირ-სიტყვიერებაში გადმოცემულია ხალხის მწუხარება, მისი ფიქრი და ოცნება, მისი უკმაყოფილება და ლტოლვა, დიდ სოციალურ მოკლენათა სიღრმისეული, ტენდენციური და პერსპექტიული ასახვა განაპირობებს ამ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ზემოქმედების ძალას. სხვადასხვა თხზულებაში, სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად ირეკლება კაცის ბედი და უბედობა, მაგრამ მიზეზთა მიზეზი პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნული უთანასწორობა ყოფილა მუდამ. თემების, სიუჟეტების, თვით ქანრებისადმი ინტერესიც კი, საზოგადოებრივი ცხოვრების კარნახით, მათი სოციალური აქტუალობით არის განსაზღვრული. სიახლენი თავს იჩენს როგორც თემატიკაში, ისე იდეურ-მხატვრულ გადაწყვეტაში.

მაშინაც კი, როცა ამ თხზულებებში ინტიმური განცდებია გამოხატული, როცა წინა პლანზე ერთი ან რამდენიმე ინტელიგენტია წამოწეული, ამ განცდათა სიღრმეში, ამ პერსონაჟთა სიტყვასა და საქმეში ხალხის ხმა ისმის, — ხალხის განწყობილება იგრძნობა. ხალხი ისტორიის მამოძრავებელი ძალაა, ხალხი უკმაყოფილოა, ხალხი მართალია, ხალხი მებრძოლია, ხალხი წარსული, აწმყო და მომავალია; რა აწუხებს ხალხს, რა მოუხდება ხალხს, რა სატკივარი აქვს და რა წამალი ესაჭიროება მას; აი, რა კითხვებზე უპასუხებს თითქმის ყველა ნაწარმოების დედააზრი. ხალხის სამსახური ჩვენი მწერლების იდეური ჩირაღდანი და მათი ნაწერების უკვდავების საწინდარია. ისინი სტიქიურად, მხოლოდ „მინიჭებული მადლით“ როდი აღწევდნენ ამას, — თავადაც ხალხში ტრიალებდნენ, მის გულსა და სულს იცნობდნენ და ღრმად შეგნებული ჰქონდათ, რომ: „ჩვენს მწერლობას ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასიათი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ გავიცნობთ ხალხის გონებასა და მოსაზრებას, როცა ჩვენ იმის ლაპარაკსა და ენას მივჩვევით და იმნაირს წერაში გავიწაფებით, რომელსაც პირდაპირ ხალხის გრძნობამდინ და გონებამდის მიღწევა შეეძლება. მარტო ამით მოვიპოვებთ ჩვენ ხალხის გულსა და გავლენას და მარტო ამით შევძლებინებთ იმას (მწერლობას) ხალხის სამსახურს“¹.

ლიტერატურამ თავს იღო ხალხის ზნეობრივი და პოლიტიკური აღზრდის ამოცანა, მისი გათვითცნობიერება და მომზადება, ერთგვარი სოციალური ანალიზი. ყოველივე ამის შედეგად ახალი განათება ეძ-

¹ ნ. ნ. კ. ო. ლ. ა. ქ. ე. „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1873, № 5—6.

ლევა ჩვენი მწერლობის წარმმართველ მოტივს — პატრიოტიზმს. ეროვნული იდეა დიდი შთამბეჭდაობითა და რეალისტური სიმართლით ელინდება სხვა იდეებთან განუყოფელ კავშირში, რომელიც, თავის მხრივ, ცხოვრების მრავალფეროვნების სწორად ასახვიდან გამომდინარეობს. სოციალური ურთიერთობის მწვავე მოვლენისაგან განყენებულად, თვითმიზნურად მისი მოწყვეტა და „მალა დაყენება“ არ ყველა ბუნებრიობას, გულწრფელობას, ამიშვლებდა ტენდენციას. „კრებულის“ ავტორები განსაკუთრებულ ეფექტს აღწევენ სოციალური და ეროვნული თავისუფლების იდეათა სიღრმისეული ერთიანობის ჩვენებით. სოციალური კონფლიქტების ფონზე ხშირად პატრიოტული გრძნობა თითქოს მოულოდნელად შემოიჭრება წინა პლანზე, ბუნებრივად მოჰყვება სოციალური წინააღმდეგობების გარმავებას, სიუჟეტისა და ხასიათების ლოგიკურ განვითარებას, თავს იჩენს ცხოვრების კანონზომიერ დინებაში, როგორც მისი განუშორებელი რამ ნაწილი. იგი ახლა წინანდელზე უფრო ღრმად მოტივირებულია, რადგან უშუალოდ ცხოვრებისეულ მოვლენებში, ცოცხალ სიტყვასა და მოქმედებაში მჟღავნდება.

თვალსაჩინო ისტორიულ მოვლენათა ახლებური ინტერპრეტაცია, წარსულის სოციალური თვალთახედვით გაშუქება, აქტუალურ საზოგადოებრივ ამოცანათა მიხედვით, ფაქტების ნამყოს, აწყყოსა და მყოზადში გადაადგილება, ცნობილი ამბების ახალ იდეურ-მხატვრულ ასპექტში წარმოსახვა და, აქედან გამომდინარე, ისტორიული მასალისადმი თავისუფალი დამოკიდებულება, ისტორიულ მოვლენებში ჩაღრმავება მწერლებს საშუალებას აძლევს, უფრო მკაფიოდ წარმოაჩინონ ხალხის როლი, ხოლო ხალხის წარსულისა და აწყყოს რეალისტური ასახვა — მისი სულისა და გულის, აზრისა და გრძნობის, ჩვეულებისა და ადათის „წარმომშობი ერის შნოსა და კილოზედ“¹ გამოხატვა აფართოებს ჩვენი ლიტერატურის ნაციონალურ ხასიათს. ამ დროს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეები უშუალოდ იჭრება და ეღენთავს მხატვრულ ლიტერატურას, რასაც ასაზრდოებს როგორც ეროვნული ნიადაგი, ისე რუსეთისა და ევროპის რევოლუციური მოძრაობა და მწერლობა. ი. ტურგენევის გენიალურმა რომანმა „წინა დღით“ და რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მგზნებარე წერილებმა ხალხთა პატრიოტული შემართება შარავანდედით შემოსა. დიმიტრი ინსაროვი და ელენა სტახოვა თავისუფლებისათვის მებრძოლთა, ყველა კეთილშობილ ადამიანთა საოცნებო გმირებად იქცნენ. მთელი რუსეთი აღაფრთოვანა ელენა სტახოვას წამოძახილმა: „სამშობლოს გან-

¹ ალ. უ ა გ ა რ ე ლ ი, „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, „დროება“, 1870, № 2.

თავისუფლება! ამ სიტყვების წარმოთქმაც კი შიშს მოჰგვრის ადამიანს, იმდენად დიდია ის“.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან უჩვეულოდ გაფართოვდა ქართველი კაცის საერთაშორისო-პოლიტიკური ხედვისა და ინტერესების არე, რამაც მხატვრულ ლიტერატურაზე სათანადო გავლენა მოახდინა. საფრანგეთ-პრუსიის ომი და პარიზის კომუნა ქართული ლიტერატურის აქტუალურ თემებად იქცნენ. „კრებულის“ მხატვრულ ნაწერებში ქართველ კაცს პირველად ვხვდავთ ევროპის სარბიელზე, პარიზისა და ვენეციის ქუჩებში, იქაური ცხოვრებისა და საქმეების მონაწილედ და, ცხადია, ამ გარემოებამაც თავისი ნიუანსები შემოიტანა ლიტერატურაში, გაამრავალფეროვნა ხასიათები, სიტუაციები, პოლიტიკური კონფლიქტების შინაარსი. ქართულ ლიტერატურაში გაცილებით უფრო ფართოდ, ვიდრე ოდესმე, მკვიდრდება უცხოური თემა, — საკაცობრიო სულიერი საგანძურებიდან მხატვრულ მეტყველებაში ახალი ეპითეტები, შედარებები და პარალელები შემოვიდა.

„მგზავრის წერილებში“. გ. წერეთელმა თავისებურად სცადა, რომ საერთაშორისო თემებისათვის მოქალაქეობრივი უფლება დაემკვიდრებია ჩვენს ლიტერატურაში. მიიმწყვდია რა ღრმად განათლებული, მოწინავე პოლონელი რევოლუციონერის ხ-სკის პოლემიკის ქარცეცხლში, ავტორმა გამანადგურებლად დასცინა გონებაშეზღუდულ კიკოლიქს. „ღმერთო ჩემო! მაშ, კაცია ის, ვინც ეხლანდელ ევროპის ცხოვრების მოძრაობას ყურს არ უგდებს!“ — ამბობს ხ-სკი.

გ. წერეთლის „მგზავრის წერილების“ ერთ ნაწილში მოქმედება პეტერბურგში მიმდინარეობს, ხოლო მოთხრობის მთავარი გმირი არის პოლონელი სტუდენტი, რომელიც თვით ავტორის ზნეობრივ-პოლიტიკურ იდეალს განასახიერებს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენს სამოციანელებს ეს იდეალი ყველა მოწინავე, დაჩაგრული, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის საერთო იდეალად მიაჩნდათ და ამით სავსებით გადალახული ჰქონდათ ეროვნული შეზღუდულობა. დ. ერისთავის პერსონაჟები ფრანგები და გერმანელები არიან; ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“ თითქმის მთელი ევროპის ფონზე იშლება. ანტ. ფურცელაძის ერთ-ერთი მოთხრობის („ვაი მართალთა“) გმირი — მიხაკო, ქართველი კაცისათვის უცხო გარემოში — პარიზის კომუნის ბარიკადებზე, ცნობილი დელაკლუზის გვერდით აღმოჩნდა.

შორეული ჰორიზონტებიდან სამშობლოს ეს ახლებური ხილვა, კაცობრიულის ეს მახლობელი განცდა ამდიდრებს და აფაქიზებს პატრიოტულ შეგნებას. სამშობლოზე პოეტური წარმოდგენა გაფართოვდა და ამაღლდა, შეცნობადი გახდა, რომ პატარა საქართველო თვალუწყედნი მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია.

„კრებულის“ შემოქმედება ღრმად ჰუმანისტურია და ამ მხრივაც

წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში; ადამიანისადმი თანაგრძნობა, გაჭირვებულის სიბრალოლი, დაცემულის აღდგენა, მოყვასისათვის თავგანწირვა აქ თვით ადამიანობის გადაწყვეტ თვისებად გვესახება და სოციალურ-ეროვნული ასპექტიც მუდამ საგანგებოდაა განათებული. ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისით, ადამიანთა შორის მტრობისა და სიძულვილის მიზეზი ის არის, რომ ისინი არ იცნობენ ერთმანეთს, არ სურთ ერთმანეთის სულში ჩახედვა, გაურბიან, და ამიტომ, უფრო შორდებიან ერთმანეთს. დიდმა ჰუმანისტმა მწერლებმა მიზნად დაისახეს გადმოეშალათ დაჩაგრულ ერთა და კლასთა შვილების ცხოვრება და სული. ასეა ეს ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“, „საბრალონში“, „კაცი, რომელიც იცინის“, დიკენსისა და ბიჩერ-სტოუს რომანებში. ლევ ტოლსტოიმაც ამ მიზნით გვიჩვენა „პატი მურატში“ უშიშარი და გონებაგამჭრიახი მთიელი. ლიტერატურა თავისებური ხელოვნებაა ადამიანის სიყვარულისა; ყველა ღირსშესანიშნავი ნაწარმოები კაცთსიყვარულით სუნთქავს და გვაღელვებს; განურჩევლად იმისა, დადებითი გმირები მოქმედებენ მასში, თუ უარყოფითი, მწერალსა და მკითხველს გულს უთრთოლებს ადამიანის სიყვარული, მისი ბედი. რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს ჰუმანისტური სულისკვეთება ლიტერატურის უდიდეს მონაპოვრად მიიჩნდათ. ბ. ბელინსკისადმი მიძღვნილ ლექსში ნ. ნეკრასოვი განსაკუთრებული პათოსით გამოჰყოფდა ამ მხარეს. ხელოვანს ყველგან და ყოველთვის ადამიანის სიყვარულით სავსე გული უნდა უძღოდეს ლამპარად. მაგრამ კაცთმოყვარეობის მორალისტურ გაგებას, „შემწყნარებლურ ჰუმანიზმს“ (მაგ., დიმიტრიანის „ზვიმა“), „კრებულის“ ნაწერებში სამართლიანობის დამკვიდრებისათვის ბრძოლა, რევოლუციური დემოკრატიული ჰუმანიზმი სცვლის. რადგან ჩვენი მწერლების შემოქმედებითი მეთოდი—კრიტიკული რეალიზმი, ემყარებოდა დადებით იდეალებს—სოციალურ და ეროვნულ თანასწორობას, პატრიოტიზმს, ჩაგრულ ხალხთა მხარდაჭერას, ბუნებრივია, რომ ეროვნული სოლიდარობის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეას დიდი ადგილი უკავია მათ თხზულებებში. მას საფუძვლად უდევს ეროვნულ და სოციალურ ვანთაქისუფლებებზე განუყოფელი წარმოდგენა, მსოფლიოს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პათოსი, ხალხთა მეგობრობისადმი მიდგომის რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისი, რომელიც ყოველ ერში გმობს რეაქციულს და მხარს უჭერს პროგრესულს. იგი მწვავე სოციალური კონფლიქტების ფონზეა გადატანილი და მკაფიოდ გამოკვეთილი სოციალურ-კლასობრივი ასპექტი გააჩნა.

პატრიოტულისა და ზოგადკაცობრიულის ეს ურღვევი მთლიანობა, რომელსაც ინტერნაციონალიზმამდე მიყვავართ, კარგად ჩანს იმ ნაწარ-

მოებებში, რომლებიც ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი და სოციალურ-კლასობრივი ბრძოლებისადმი მიძღვნილი (გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“, დ. ერისთავის „წყლებზე“, ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“, ი. ჭავჭავაძის „კომუნის დაცემის დღე“ და სხვ.).

თხზულებანი პარიზის კომუნაზე (ნ. ნიკოლაძე, დ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე) საინტერესოა როგორც რევოლუციურ-ჰუმანისტური სოლიდარობის თვალსაზრისით, ისე ქართველი ინტელიგენციის სულიერ-პოლიტიკური ბიოგრაფიის გასათვალისწინებლად.

ხალხთა საბრძოლო სოლიდარობის ამგვარი გაგება, მისი დემოკრატიული ფორმა და შინაარსი, სინამდვილის უარყოფითი მხარეების მხილება და დადებითი იდეალების განხორციელების რწმენა აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ქართველ სამოციანელთა კრიტიკულ რეალობზე. ყველა ხალხისადმი გულწრფელი პატივისცემით გაუღენთილი ნაწარმოებები ჩვენს მკითხველს უვითარებდა სპეტაკ მორალურ თვისებებს, ამალღებულ აზრსა და გრძნობას, დიდ აღმზრდელობით როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. იგი ხელს უწყობდა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ამხედრებულ სხვადასხვა ერის მშრომელებთან შეკავშირებას, ძირს უთხრიდა თვითმპყრობელობის გამთიშველ, წამქეზებლურ პოლიტიკას.

„კრებულის“ ნაწიერები გამოირჩევა ღია ტენდენციით, მოვლენებისა და სიტუაციებისადმი დამოკიდებულების პირდაპირი გამოხატვით, რაც უდავოდ, ავტორთა პოლიტიკური მგზნებარების დადასტურებაა, მაგრამ მათი შემოქმედების ლიტერატურულ ღირსებაზე კი უარყოფითად მოქმედებდა, თუმცა ეპოქის სულისკვეთების გამო ეს ნაკლოვანებანი იმ დროს არცთუ ისე საჩოთირო იყო. გ. პლენანოვი არ ფარავდა ნ. ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ?“ გამჭვირვალე ტენდენციურობასა და მხატვრულ სისუსტეს, მაგრამ აღფრთოვანებით წერდა, რომ ამ თხზულებამ დიდი ზნეობრივი სიწმინდე და სიმტკიცე ჩაუნერგა მოწინავე რუსი ინტელიგენციის მთელ თაობებსო. საყურადღებოა, რომ „კრებული“ სამაგალითოდ თვლიდა პარიზის კომუნის მონაწილე ფრანგ მწერალს როშფორს, რადგან მის ნაწარმოებებში პოლიტიკური მიზანი პირდაპირ ჩანს.

„კრებული“ დაჟინებით იცავდა პუბლიცისტურ სტილს, ასაბუთებდა მის უპირატესობას და ზოგჯერ ყოველივე ზღვარსაც შლიდა მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკას შორის; შეუძლებელია დავივიწყოთ, რომ ამ პერიოდში ი. ჭავჭავაძის „გლებთა განთავისუფლების სცენებს“ „კაცია-ადამიანზე?!“ მალა აყენებდნენ და „დიდი ლიტერატურის“ ნიმუშად თვლიდნენ; ფსიქოლოგიური ჩარღმავება, ლირიკული წიადსვლები, ემოციური კონფლიქტები, თითქმის სანტიმენტალიზმად გამოცხადდა და ყველაფერი ეს, მართლაც იყო სანტიმენ-

ტალიზმის რეაქცია. „კრებულის“ შემდეგ ამ ტენდენციამ ცალმხრივი მიმართულება მიიღო; 1878 წელს გ. თუმანიშვილი უკმაყოფილოდ შენიშნავდა: „ჩვენს ახალ მწერლობას უფრო პუბლიცისტიკური ხასიათი აქვსო“¹.

დადებით გმირთა ასეთი მდიდარი გალერეა, ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლ ადამიანთა ასეთი მთლიანი ხასიათები, „კრებულამდე“ ჩვენს ლიტერატურაში არ გვხვდება. ეს მოქადაგე პერსონაჟები, მეტწილად მთხრობელი (ლირიკული გმირის) სახით წარმოსდგებიან, რაც უთუოდ ამძაფრებს შთაბეჭდილებას. განსაკუთრებით შესამჩნევია სხვა ერის დადებით გმირთა წინა პლანზე წამოწევა.

ახალმა შინაარსმა, მისმა ახლებურმა გააზრებამ, ახალმა თემებმა და მასალამ თავისებური კვალი დააჩნია მხატვრულ ფორმას, გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ამ იდეათა ასახვის საშუალებანი.

სოციალურ იდეათა გამოვლენის თემატური არე ვრცელი და მრავალფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება, ხოლო ასახვის საშუალებათა არსენალიც მდიდარი და ამოუწურავია. მას მრავალი ასპექტი გააჩნია და, თუ ლიტერატურის ისტორიკოსისათვის იგი უკვე საყურადღებოა თავისთავადაც, როგორც საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების გამომხატველი ლიტერატურული ფაქტი, — შემოქმედებითი ტრადიციის გასათვალისწინებლად, ამასთან ერთად, აუცილებელია აღნიშნული სპეციფიკის თვალთახედვით გავაანალიზოთ ამა თუ იმ იდეაზე შექმნილ თხზულებაში როგორ და რამდენად არის მიღწეული ცხოვრების ასახვის სიმართლე და სისრულე, სახეთა ტიპიურობა, სურათთა შთაბეჭდაობა და ესთეტიკური დამაჯერებლობა.

ამ მომენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან: „უინტერესო რომანი, უინტერესო პიესა იდეების, აზრების, სახეების სასაფლაოა. მკითხველს ვერაფრით აიძულებ, რომ შეიცნოს სამყარო მოწყენილობის გზით“ (ალ. ტოლსტოი), ა. ფურცელაძის ნაწარმოებებს „მაცი ზვიტია“, „სამის თავგადასავალი“, „ვაი მართალთა“, „მართა“, „ჩვენებური საქმის ბოლო“ და სხვ., ეპოქის ისეთი მოწინავე იდეები უდევს საფუძვლად, ჰუმანიზმის ისეთი მაღალი იდეალები ამოძრავებს, მხატვრულადაც რომ შესაფერ დონეზე იდგნენ (ასახვის სიცხადით, ცხოველმყოფელობით, ხელშესახეობით რომ გვიზიდავდნენ), ისინი უეჭველად მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში დაიმკვიდრებდნენ ადგილს.

რა თქმა უნდა, ტალანტსა და ოსტატობასთან ერთად ღიდ რთლს ასრულებს ცხოვრების, კერძოდ, არჩეული თემის მთლიანი სამყაროს ცოდნა. იგი არსებითად განსაზღვრავს მწერლის, როგორც მხატვრის

¹ „ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან“, I.

უშუალობას. მისი როგორც მოქალაქის გულწრფელობა, ხელოვნებისათვის საკმარისი არ არის. მწერალი ღრმად უნდა იცნობდეს, გრძობდეს ასასახავს, — გულითა და გონებით სწვდებოდეს მას, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია, რომ იგი უშუალო და გულწრფელი იყოს, ხოლო გულწრფელობის გარეშე მხატვრობა არ არსებობს. საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვა, ხალხის ცხოვრების პირობების, ბრძოლის ჭკევის, მიდრეკილების, ზნე-ჩვეულების, ტრადიციის, შინაგანი ბუნების შეგრძნობა, შეცნობა, გარდასახვა, მხატვრული ლიტერატურის ურთულესი ამოცანაა და დიდ გამოცდილებას, დაკვირვებას, გათანაზიარებას მოითხოვს. უამისოდ შეუძლებელია რომ ნაწარმოებმა დიდი მღელვარება. სიყვარული (თუნდ, სიძულვილი), სიხარული ან სევდა განგვაყდევინოს. და რადგან მხატვრულ ფანტაზიასაც კონკრეტული შთაბეჭდილებები ასაზრდოვებს და ამოძრავებს, მწერალი ახლოს უნდა იცნობდეს ხალხის ცხოვრებას...

ლ. ტოლსტოი წერდა: „მე დიდი ხანია გამომიმუშავდა ჩვევა, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები სამი მხრივ განვსაჯო: 1. შინაარსის მხრივ; რამდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა ხალხისათვის ის, რაც ახლებურად აღმოაჩინა მხატვარმა, რადგან ყოველი ნაწარმოები მხოლოდ მაშინ არის ხელოვნების ნაწარმოები, როცა ხსნის ცხოვრების რომელიმე ახალ მხარეს; 2. რამდენად კარგი, ლამაზი და შეთანხმებულია მისი ფორმა; 3. რამდენად გულწრფელად აღწერს მხატვარი საგანს, ე. ი. რამდენად სწამს მას, რასაც ასახავს“.

რაოდენ გულწრფელიც არ უნდა ყოფილიყო ანტონ ფურცელაძის სიმპათია ფრანგი ხალხისადმი, „მაცი ხეიტიაში“ წარმოდგენილი საფრანგეთის ცხოვრება მაინც მოკლებული იქნებოდა მხატვრულ გულწრფელობას, რადგან მწერალი არ იცნობდა ამ ცხოვრებას. აუცილებელია დიდი სიკეთე, წრფელი გული, შინაგანი სითბო, — როგორც კარამზინი ამბობდა, — მაგრამ მაშინაც ყველაფერი ამოა, თუ მწერალი ხალხის ცხოვრებას არ იცნობს.

ქართულ ლიტერატურაში პირველად გამოჩნდა დიდი ქალაქის სურათები, უცხოელ მუშათა ბრძოლა და განწყობილება, რის შედეგადაც, ქართულ პროზაში გაძლიერდა წერის ექსპრესიული მანერა, დინამიზმი, აჩქარებული, თითქმის, უპაუზო რიტმი, საბრძოლო ინტონაცია (გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“, დ. ერისთავის „წყლებზე“, ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“, აგრეთვე, ანტ. ფურცელაძის „ვაი მართალთა“, რომელიც იმ დროს დაიბეჭდა და ფრიალ საინტერესოა ჩვენი დებულების საილუსტრაციოდ).

თხზულებები, რომელთაც ფონად საფრანგეთ-პრუსიის ომი და პარიზის კომუნა აქვთ („წყლებზე“, „სხვათა შორის“, „ვაი მართალთა“), ახალ, ორიგინალურ ფურცელს წარმოადგენს ქართული პროზის ის-

ტორიაში. ამ ნაწარმოებებში უჩვეულოა წერის ექსპრესიული მანერა, რომელიც სწორად ვადმოგვეცემს დიდი, მებრძოლი ქალაქის აჩქარებულ სულსა და მღელვარებას. სურათები სულმოუთქმელად სცვლიან ერთმანეთს, გვაგრძნობინებენ მდგომარეობის დაძაბულობას, მოახლოებულ ტრაგედიას. ასეთ აბოზოქრებულ ენებათა ლელვას, დაჭიმულობასა და პათეტიკას ალ. ყაზბეგის რომანებამდე ვერ ვხვდებით და ამიტომ ამ ფრაგმენტებს ქართული პროზის სტილის განვითარების გასათვალისწინებლად უდავოდ მნიშვნელობა აქვს. მკითხველს იპყრობს მოქმედების განვითარების სისწრაფე და დინამიზმი და ყოველივე ამას თითქოს თავისთავად წარმოუშვია ჩვენი იმდროინდელი პროზისათვის უჩვეულო რიტმი — აჩქარებული, თითქმის უპაუზო. ლექსიკური მასალაც — ბრძოლის, იმედის, გამხნევების, პროტესტის, შეუზღუებლობის გამომხატველი სიტყვა-გამოთქმები აძლიერებს საიერიშო ინტონაციას.

დესპოტურ საცენზურო პირობებში გაბედულ შეხედულებათა გამოთქმის მოთხოვნილებამ გააძლიერა მხატვრულ ლიტერატურაში ალეგორიის, კერძოდ, ალეგორიული სატირის მნიშვნელობა (ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“, ი. ნათაძის „მგზავრის შენიშვნები“ და სხვ.). ალეგორიის აზრი მკითხველამდე ადვილად აღწევდა. უფრო მეტი, კიდევ აცხოველებდა და უფრო გასაგებადაც ხდიდა შემოქმედის ჩანაფიქრს და, ამავე დროს, ცენზურას პირდაპირი საბუთიც არ ჰქონდა, ხელი ჩაეულო ავტორის „დანაშაულისათვის“. „კრებულის“ თანამშრომლები, ამ მხრივაც დიდად დახელოვნებულ ოსტატებად წარმოგვიდგებიან. მკრელი და „შარმოუღებელი“ ალეგორია, თითქმის ათავისუფლებდა მათ საცენზურო შეზღუდვისაგან. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე, მწვავე პოლიტიკურ შეხედულებათა დიალოგებში გადატანა, ვითომდა, სასხვათაშორისო რეპლიკები, ეპიგრაფები, ანდაზები, მოხერხებულ ადგილას ჩართული უცხოელ კლასიკოსთა ლექსის სტრიქონები, ისტორიულ-პოლიტიკური კონტრასტები, ათეისტური პაუზა, — უსიტყვოდ თქმა, „გამოტოვებული თავები“ — მწვავე ადგილების განზრახ გაწყვეტა.

„დროებასა“ და „კრებულში“ სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის პროცესი გაძლიერდა, მწერლობის ენა უფრო დაუახლოვდა ხალხურ მეტყველებას დასავლური დიალექტებიდან შემოსული ლექსიკური მასალითა და გამოთქმის იერით უფრო დინამიკური, მოქნილი და ტემპერამენტიანი გახდა. არქაიზმის საკითხებზე პოლემიკა ჩაცხრა „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბესთან“ შედარებით.

ქართული ენის ბუნებისა და ისტორიული განვითარების ზოგად პრობლემებს განიხილავს გ. წერეთელი ვრცელ გამოკვლევაში: „ფი-

ლოლოგიური განხილვა ქართული ენისა¹. ემყარება რა მიუღერის, შლეიხერის, პატკანოვის, ბუსლაევის, სტოიუნინისა და იმ დროის სხვა ენათმეცნიერთა ნაშრომებს, ავტორი იძლევა ქართული ენის ფონეტიკის დახასიათებას და ცდილობს გაარკვიოს სალიტერატურო ენისადმი დიალექტების მიმართება. რამდენადაც მცდარი და ნაკლული არ უნდა იყოს მისი შეხედულებანი, როგორც ასეთი კვლევა-ძიების ერთ-ერთი პირველი ცდა, აღნიშნული ნაშრომი უეჭველად ინარჩუნებს ისტორიულ-ფილოლოგიურ მნიშვნელობას.

ჟურნალი ვერ ურიგდება „გრძელ, დახლართულ, გადაკვარაჭინებულ“ ფრაზას, — სამწერლო ენის იდეალურ თვისებად სიმარტივესა და უბრალოებას აცხადებს, მოითხოვს, რომ ნაწერს „ხალხის ან საზოგადოების ნამდვილი ლაპარაკის კილო ჰქონდეს“².

სალიტერატურო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნება, საერთოდ, ხელს უწყობს მხატვრულ სრულყოფას, სულიერ და საზოგადოებრივ მოვლენათა არსში წედომას, ემოციურობას, პერსონაჟის მეტყველების ინდივიდუალიზაციას, ეროვნული და სოციალური კოლორიტის გამახვილებას; მაგრამ „კრებული“ ამ მხრივ ყოველთვის ვერ ინარჩუნებს ზომიერებას; ხშირად უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს დიალექტიზმები („იმერიზმები“) და ბარბარიზმები.

მხატვრულ აღმავლობას ხელს უწყობდა აგრეთვე ზეპირსიტყვიერების მძლავრი ზემოქმედება: ფოლკლორულ წყაროს ხალხური სიბრძნე, სინათლე და უბრალოება შემოჰქონდა ლიტერატურაში; მკაფიოდ იგრძნობა, რომ ჩვენს მწერლებს „ყური უთხოვებიათ ხალხური პოეზიისათვის, მის ხასიათს გააცნობიან, მისი სულით აღვისილან, ჩვენი ხალხის ენა, მოაზრების კილო, აზრისა და გრძნობის გამონატყულება... საფუძვლიანად დაუნახავეთ და შეუსწავლიათ“³.

ამ ნაშრომის მიზანს „კრებულში“ დაბეჭდილ ნაწარმოებთა ამომწურავი ანალიზი არ წარმოადგენს. ბევრი მათგანი საკმაოდ შესწავლილია და ასეთ შემთხვევაში უმთავრესად იმ საკითხთა კვლევა-ძიებით ვკმაყოფილდებით, რომლებიც უშუალოდ, ჟურნალში მათ გამოქვეყნებასთან ან ჟურნალის საერთო იდეურ-ლიტერატურული სახის ჩვენებასთანაა დაკავშირებული.

¹ „კრებული“ 1872, № 7.

² ნ. ნიკოლაძე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873, № 8.

³ ნ. ნიკოლაძე, „გლახის ნაამბობზედ“, „კრებული“, 1873, № 5—6.

პოეტური ტალანტი იშვიათი და უთუოდ ყველაზე ნანატრი მადლია. ჩვენს ლიტერატურას ამ მხრივ საყვედური არ ეთქმის, მაგრამ ზოგჯერ ისიც გრძნობდა პოეტების ნაკლებობას. 50-იანი წლების დასასრულიდან 80-იან წლებამდე ქართულ პოეზიას ახალი ვარსკვლავი აღარ შემომატებია. მოლექსე ბევრი გვყავდა, პოეტები კი — ცოცხა.

„კრებულის“ დიდი დამსახურება ის არის, რომ მან შეამქვიღოვა და განამტკიცა ქართული პოეზიის ფრონტი, შემოიკრიბა თავისი დროის ყველა სასიქადულო პოეტი — ილია და აკაკი, გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, — ფართო სარბიელი გადაუშალა ნიჭიერ ახალგაზრდებს — გ. ჭალადიდელსა და მ. გურიელს, — მიაკვლია და გამოამზეურა სახელოვანი რომანტიკოსების — ალ. ჭავჭავაძისა და ნიკ. ბარათაშვილის ლექსები და ყოველივე ამით მკითხველს მთელი საუკუნის პოეტური მაჯისცემა აგრძნობინა.

ახალი დროის პოეტთა შემოქმედებაში ძლიერდება მოქალაქეობრივი მოვლეობის მოტივები, გაბატონებულ ადგილს იკერს პოლიტიკური. ლირიკა, მწვავე სატირა, — მძაფრდება საბრძოლო ინტონაცია, ორატორულობა, პათეტიკური მეტყველება.

„კრებულში“ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები არ დაბეჭდილა (ყურნალის თანამშრომლები გ. წერეთელი და პ. უმიკაშვილი იმ დროს ცალკე წიგნებად სცემდნენ მათ); გარდამავალი ხანის მწერლობიდან გამოქვეყნდა მხოლოდ ავთანდილ ბასტამაშვილის ლექსი „ტფილისის გაოხრებაზე“, რომელშიც აღწერილია აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დანგრევა. პოეტი დასტირის საქართველოს მწარე ხვედრს და შურისძიებისაკენ მოუწოდებს მეფე ერეკლეს („ბატონს“);

...უეცს მიუხტნენ, გაუოხრონ ჩჳული იმანი,
ომი აჰიდონ, ზედ მოჰფინონ ცეცხლის წვიმანი.
დრო-ჟამმა უყოს მაგიერი ფასლირებულო.
მიკვირს, ბატონი თუ რას ფიქრობს მოთმინებულს.

ამ ლექსს პოეტური ღირსება არ გააჩნია და ეტყობა, ყურნალმა ის გამოაქვეყნა როგორც გარკვეული ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი. ამას ისიც ადასტურებს, რომ ა. ბასტამაშვილის მიერ გადმოცემული ფაქტები გ. წერეთელს იმავე ნომრის პუბლიცისტურ წერილში გამოუყენებია ფეოდალური საქართველოს შინაურ განხეთქილებათა დასახასიათებლად.

¹ „კრებული“, 1872, № 10—12 (სქოლიოში შენიშვნით: „ეს ლექსი ავთანდილ ბასტამაშვილის ქალაღებში იპოვა მისმა ასულმა და გადმოგვცა დასაბეჭდათ“).

ალ. ჰავაშავაძის სახელით „კრებულის“ 1871 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნდა ოთხი ლექსი: 1. „ვაი სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“; 2. „პოი წარმავალნო გზასა ქალნო“; 3. „ვისაც ვჰსურთ ჩემთა ჰამბავთა ცნობა“; 4. „ხელოქა ჰკვიანის ლექსი, თავის გულიდამ ამოღებული, თავის საყვარელთან მიწერილი“ (საერთო რუბრიკით: „ალექსანდრე ჰავაშავაძისაგან თქმულნი“).

ოთხივე ლექსი ილია ჰავაშავაძეს გადაუტია „კრებულის“ რედაქციისათვის. სქოლიოში ნათქვამია: „ეს ლექსნი დავით რეკტორის, ესე იგი ცუკიას ხელით არის გადაწერილი. ოთხივე ესენი რედაქციას თ. ილ. ჰავაშავაძემ ვადმოსცა დასაბეჭდად“.

ალ. ჰავაშავაძის თხზულებათა 1940 წლის გამოცემაში პირველი ლექსი შეტანილია სათაურით: „ვაჰ, სოფელსა ამას“¹. „კრებულისა“ და 1940 წლის გამოცემის ტექსტთა შორის განსხვავება ორთოგრაფიული და ნაწილობრივ სტილისტური ხასიათისაა.

სტრიქონში „ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით“ 1940 წლის გამოცემას აღდგენილი აქვს სიტყვა „ხელმწიფენი“, რომელიც ცენზურის მიზეზით „კრებულის“ ზოგ ცალში სულ გამოტოვებულია (პუნქტირით), ხოლო ზოგიერთში — წარმოდგენილია გაწყვეტილად: „.....ნი“.

შესწორებათაგან „კრებულის“ წაკითხვა მართებულად მიგვაჩნია მხოლოდ ერთ შემთხვევაში: „...შურით შეკრულნი“ (და არა „შურით შემკულნი“, როგორც ეს 1940 წლის გამოცემაშია).

მეორე ლექსი 1940 წლის გამოცემაში შეტანილია სათაურით: „ოჰ, წარმავალნო“².

„კრებულში“ ამ ლექსს დართული აქვს (სქოლიოში) ი. ჰავაშავაძის შენიშვნა: „ეს, მგონია, კაზარმობის დროების ლექსია“; მაგრამ ი. გრიშაშვილს დადგენილი აქვს, რომ იგი დაწერილია არა 1832 წელს („კაზარმობის დროს“), არამედ პოეტის პირველი პატიმრობისას — 1804 წელს.

მესამე ლექსი 1940 წლის გამოცემაში შეტანილია სათაურით: „ვისაც ვსურთ“³. ხელნაწერში მას სათაურად ჰქონია: „დღუგაის მუშა, ხარიბა ჰაფშას ხმა“⁴. სქოლიოში ამ ლექსსაც აქვს ი. ჰავაშავაძის შენიშ-

¹ ალ. ჰავაშავაძე, თხზულებანი, 1940, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, გვ. 30.

² იქვე, გვ. 32.

³ იქვე, გვ. 34.

⁴ იქვე, გვ. 219, აგრეთვე: კ. კეკელიძის სან. ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 1512.

ენა: „ესეც კაზარმობის ლექსი უნდა იყოს“, მაგრამ ი. გრიშაშვილი მასაც 1804 წლით ათარიღებს.

რაც შეეხება მეოთხე ლექსს, ი. გრიშაშვილი წერს: „კრებულში: „დაბეჭდილია ერთი უცნაური ლექსი, რომელიც ა. ჭავჭავაძისათვის მიუკუთვნებიათ“¹. მკვლევარს ეს ლექსი კიდევ ერთ „უცნაურ“ ლექსთან ერთად, „შენიშვნებში“ შეუტანია და პეტიტით აუწყვია. ჩვენი აზრით, მართო „უცნაურობა“ არ გამოდგება ამ ლექსის უარსაყოფად. „უცნაურობას“, ალბათ, ი. ჭავჭავაძე და „კრებულის“ რედაქციაც გრძნობდა, მაგრამ მაინც ჩათვალეს „ალ. ჭავჭავაძის თქმულად“. ისინი უთუოდ სათანადო (იმ დროისთვის ანლობველ) ტრადიციასაც ემყარებოდნენ. ამასთან, ლექსი შეტანილია ალ. ჭავჭავაძის ხელნაწერებში, კერძოდ, დავით რექტორისეულ ხელნაწერში². 1886 წელს „თეატრმა“ კვლავ გამოაქვეყნა იგი „შენიშვნებში“: „ეს სახუმარო ლექსები ვითომ სომხისაგან იყოს ნათქვამი, ეკუთვნის ალექსანდრე ჭავჭავაძის კალამს და მისთვის ვებეჭდავთ“³.

„ხელოქას ლექსი“ აღმოსავლურ-აშუღღური პოეზიის ეპიგონთა საწინააღმდეგო სატირაა და მასში რელიეჟურად მკლავნდება ახალი პოეტური კულტურის რეაქცია, „ეროპეიზმის“ მოციქულთა პოეტური კრედო იდეურ-ესთეტიკური მრწამსითა და სტილისტური ხერხებით, იგი იმავე ციკლს განეკუთვნება, როგორცაა ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიური“, გ. ორბელიანის „სავათნოვას მიბაძვა“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“ და სხვ. ისიც უნდა ითქვას, რომ ი. გრიშაშვილს შეუძლებლად არ მიაჩნია, რომ ეს ლექსი ალ. ჭავჭავაძეს ეკუთვნოდეს: „იქნება, ალ. ჭავჭავაძემ ოხუნჯობისათვის ხელოქას მიაკუთვნა თავისი საკუთარი ლექსი“⁴. ვფიქრობთ, აქ მართლაც საქმე უნდა გქონდეს იდეური მიზანდასახულობის შესაფერ პოეტურ მანერასთან.

იდეურ-შინაარსობრივად „კრებულში“ დაბეჭდილი ალ. ჭავჭავაძის ლექსები საკმაოდ ეხმიანება ახალთაობის განწყობილებას და ზოგად პოლიტიკურ იდეალებს. მათში გარკვეულად იგრძნობა თავისუფლებისაკენ ღტოლვა, საერთოდ. დემოკრატიული სულისკვეთება, ტირანიისა და სოციალური ჩაგვრის გმობა. ლექსში „ვაჰ, სოფელსა ამას“ პოეტი ერთგვარ რეალისტური სიცხადითაც კი ამხელს მახინჯ სინამდვილეს — ღარიბ-ღატაკთა მტრებს, მტაცებლებსა და მოძალადეებს, სოციალურ უთანასწორობას, ხალხთა გამაჩანაგებელ ომებს; არც

¹ ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, გვ. 285.

² კ. ეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ., № 1512, № 1511.

³ „თეატრი“, 1886, № 2.

⁴ ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 286.

ხელმწიფესა და მის მოხელეებს ინდობს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ლექსი მთავრდება ძლიერი. იმედია სტრიქონებით, რომელთა წინასწარმეტყველურ აზრს 70-იანი წლებისათვის არათუ დაკარგული ჰქონდა მნიშვნელობა, უფრო მეტი აქტუალობითაც კი ქდერდა:

რომელნი აწარებთ ღარიბთა ცხოვრებას
და მსოფიო ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
იოლოდეთ წათთან თანაწროობას.
არ მარადის იშვ:თ
ღდაბალთ ჩავერით, მტაცებლობით და ხევეით!

რაც არ უნდა ვთქვათ, უდავოა, რომ ეს ნაწარმოები საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ზოგადდემოკრატიული სულითა და XIX საუკუნის დასაწყისის ყველაზე პროგრესული იდეებითაა შთაგონებული და გამსჭვალული.

ამ ლექსის პუბლიცისტური კილო მეტად მახლობელი უნდა ყოფილიყო „კრებულისათვის“.

სამართლიანი ბრძოლისათვის დასჯილი ადამიანის გულის მღუღარება და დატყვევებულ სამშობლოზე უნუგეშო სევდაა გამოხატული ლექსებში: „ოჰ, წარმავალნო“ და „ვისაც გსურთ“. პირველში მოწოდება და საბრძოლო წაქეზებაც ისმის.

ამ ლექსთა პატრიოტული იდეა და დაუმორჩილებლობის სულისკვეთება ახალ ვითარებაშიც ინარჩუნებდა ცხოველმყოფელობას.

გრიგოლ ორაბლიანი

ლიტერატურული მემკვიდრეობითობის საუკეთესო დადასტურებაა, რომ „კრებულის“ პირველი ნომერი იწყება დიდი რომანტიკოსის გრ. ორბელიანის პოემით „სადღეგრძელო“. ამ ჟურნალშივე ნ. ნიკოლაძემ პირველად მოგვცა როგორც აღნიშნული პოემის, ისე გრ. ორბელიანის მთელი შემოქმედების სწორუპოვარი იდეურ-მხატვრული ანალიზი.

„კრებულში“ პოემა იწყება სტრიქონებით:

აწ საღ არიან იგინი, მას ჟამსა ლხინში ვინც ივენენ?
ძმანი და ტოლნი, ვაჟკაცი, რომელნი ლხინით გვალხენდენ?

გრ. ორბელიანის თხზულებათა 1959 წლის გამოცემაში ეს ადგილი (მიძღვნა) გადატანილია პოემის დასასრულს (ეპილოგად).

„კრებულში“ „სადღეგრძელო“ მთავრდება სტრიქონებით:

დასრულდა, გაქრა სიზმარებრ ესე ლხინიყა ღამისა,
წარვიდეთ, სადაც მიგვიწოდს ხმა საიღუმლო მხვედრისა!..

1959 წლის გამოცემაში¹ პოემა ამ სტრიქონებით მთავრდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიძღვნას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, აქ სულ ბოლოს არის დართული.

1871 წელს ივ. კერესელიძემ „საღლეგრძელო“ ცალკე წიგნად გამოსცა და მას საფუძვლად დაედო „კრებულის“ ან „კრებულში“ გადაცემული ხელნაწერის ტექსტი.

პროფ. აკ. გაწერელიას დასკვნით, „კრებულის“ ტექსტი საფუძვლად დაედო პოემის შემდგომ გამოცემებსაც, გარდა 1928 წლის გამოცემისა, რომელშიც გამოტოვებულია იმპერატორის საღლეგრძელო.

ეურნალში პოემას წამძღვარებული აქვს მიძღვნა: „თ. ალ. ვ. ორბელიანს“, რომელიც თორმეტ სტრიქონს შეიცავს და პოლემიკური პროლოგის ხასიათი აქვს: „ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა, ვერა ვჰსთქვი? და ვერ ვჰსთქვი რაცა, ის წყლულად გულს დაშთა და მით ვიტანჯი!“ როგორც ამ მიძღვნიდან და პოემის სქოლიოებიდან ჩანს, ალ. ორბელიანს რჩევა-დარიგებით დიდი დახმარება გაუწევია პოეტისათვის; ის, ასე ვთქვათ, მთავარი კონსულტანტი ყოფილა ისტორიულ საკითხებში, ბევრი შენიშვნაც მიუცია ავტორისათვის და, როგორც ირკვევა, საბოლოო რედაქციაც დაუწუნებია, არ ურჩევია გადაუშუშავებლად მისი გამოქვეყნება. ერთ ბარათში, რომელიც ალ. ორბელიანის სიცოცხლის ბოლო წელსაა დაწერილი, პოეტი ასე „იგერიებს“ მის შენიშვნებს: „პაველმ ჰსთქვა: რაცა დავჰსწერე, დავჰსწერე: მეცა მოგახსენებ, რაცა შემეძლო, ის შევიძელ. კარგია და გვათავოთ! ნულარ შემიყვან განსაცდელში სხვადასხვა თხრობებით... ჩვენი ისტორია სავსეა დიდი საქმეებით, დიდი მამაცობით და მამულისათვის თავდადებით სიყვარულითა. ყოველთა ამათთვის დიდი მწერლობა უნდა და მას მწერალსაცა „საწერელი ზღვა უნდა“ და მე კი კოდაზე პატარა წყაროს მეტი არა მაქვს“.

ჩვენს მიერ ციტირებული მიძღვნის სტრიქონებშიც ნაწილობრივ ამ გაპაექრებისა და მობოდიშების კვალი ჩანს. განწყობილებათა და მიზანდასახულობით მიძღვნა პოეტის წინასწარ მობოდიშებას წარმოადგენს, ავტორის პოეტურ კრედოს გვაცნობს და მკითხველს ამბის მოსასმენად ამზადებს. ამდენად, იგი წინათქმამა და პოემის პროლოგად უნდა მივიჩნიოთ (როგორც ყოველი მიძღვნა). ამ მხრივ, ჩვენი აზრით, „კრებულის“ ტექსტი შესწორებას არ მოითხოვდა. ვფიქრობთ, თხზულების იდეურ-მხატვრული ლოგიკით, პოემა ისე უნდა დაიწყოს და დამთავრდეს, როგორც „კრებულშია“.

„საღლეგრძელომ“ დაბეჭდვისთანავე მიიქცია ყურადღება. პირვე-

¹ გრ. ორბელიანი, თხზულებანი, ა. გაწერელიას რედაქციით, 1959, გვ. 89—147.

ლი რეცენზია ივ. კერესელიძემ გამოაქვეყნა „ცისკრის“ 1871 წლის მე-2 ნომერში („ბიძია დონიკეს“ ფსევდონიმით)!

1871 წელს პლ. იოსელიანმა „კავკაზში“ (№ 22) განიხილა „სადღეგრძელო“ და აზრი გამოთქვა, რომ იგი ყუქოვსკის პოემის — „Певец во стане русских воинов“ — მიბაძვას წარმოადგენდა. პლ. იოსელიანის დაბეჭდილებით ტონი გვაფიქრებინებს, რომ აზრი „სადღეგრძელოს“ ყუქოვსკის პოემასთან ნათესაობის შესახებ მას თვით გრ. ორბელიანისაგან უნდა ჰქონდეს გაგონილი, მაგრამ ამ მოსაზრებაში, მაინც ცხარე კამათი გამოიწვია.

პლ. იოსელიანის ბიბლიოგრაფიული შენიშვნის გამოსვლისთანავე დაიბეჭდა ნ. ყიფიანის რეცენზია „კრებულის“ პირველ და მეორე ნომრებზე, რომელშიც იგი ამბობს: „ვისაც არ შეუძლიათ გარეგანი შეხედულებისა (ფორმისა) და შინაგანი თვისებების ერთმანეთში გარჩევა, ჰგონიათ, რომ ეს თხზულება („სადღეგრძელო“, ა. კ.) არის რუსი პოეტის ყუქოვსკის პოემის მიბაძვა („Певец во стане русских воинов“). ყუქოვსკის პოემა ითვლება რუსულ ლიტერატურაში ძალიან სუსტ თხზულებად და იმისი წაკითხვა თავიდან ბოლომდე ძნელია იმ მიზეზით, რომ ამ გაგრძელებულ პოემაში აზრი ნაკლებათ სუფევს. „სადღეგრძელო“ სავსეა აზრითა და გრძნობითა, ზოგიერთი სურათი ამ თხზულებისა უღვიძებს მკითხველს ერთს უმაღლესთაგანს გრძნობას და მოჰყავს მოძრაობაში ყოველი ჯერ არ გაყინული გულის პატრონი... არა! ეს პოემა მხოლოდ ფორმით ემსგავსება ყუქოვსკის პოემას, შინაარსი კი არის განსაკუთრებით ქართული“.

პ. უმიკაშვილის მიერ 1873 წელს გამოცემული გრ. ორბელიანის თხზულებათა მიმოხილვის საბაბით, ნ. ნიკოლაძემ იმავე წელს გამოაქვეყნა „კრებულში“ საინტერესო წერილი, რომელშიც ვრცლად დაახასიათა გრ. ორბელიანის შემოქმედება. კრიტიკოსის აზრით, „სადღეგრძელო“ უმჯობესი ლექსია გრ. ორბელიანისა და ერთი უმჯობესთაგანი მთელ ჩვენს მწერლობაში“. ახალთაობა პოემას მოუხიბლავს სამშობლოზე ამაღლებული ფიქრით, საზოგადო გრძნობით, პატრიოტული თავდადების სულით.

ყოველ ეპოქას თავისი ხასიათი, თავისი განწყობილება და მოთხოვნილება გააჩნია. ამის შესაბამისად ხელოვნების ზოგი ნაწარმოე-

¹ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის ქრესტომათიაში (II) ეს ფსევდონიმი აუხსენლადა დატოვებული (გვ. 120). სხვათა შორის, ამავე წიგნში (გვ. 548) ივ. კერესელიძის ფსევდონიმი „კუდაბზიკაძე“ ანტ. ფურცელაძის ფსევდონიმადაა გამოცხადებული და მას აქვს მიკუთვნებული პოლემიკური წერილი: „ჩვენი ნიკარქეიების ანუ ორი ვირის თავის მხაბავზე“, რაც გაუგებრობის შედეგად ასეთივე მტდარი შეხედულება აქვს ამ საკითხზე გამოთქმული ი. გრიშაშვილსაც (იხ. აკაკი წერეთელი, დრამატ. თხზ. ტ. V).

ბის მნიშვნელობა ხან სუსტდება და თითქმის ქრება კიდევ, ხანაც მკვედრებით აღდგება, არნასულ ცხოველყოფილობასა და ზემოქმედებას შეიძენს. „სადღეგრძელო“ იმ დროს დაიბეჭდა, როცა პატრიოტული გრძნობა იღვევებოდა, „თავდადებასა და მსხვერპლად შეწირვას“ ღირსეული ასპარეზი არ უჩანდა; ახალთაობა ამ დევნის, მოღუწებისა და ეროვნული პესიმიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა და გრ. ორბელიანის პოემაც, ცხადია, ვაჟკაცური შემართებისა და მამულისათვის თავდადების საგალობლად აჟღერდა. პოემაში აღწერილი ქართველი ხალხის გმირული წარსული მკითხველს აწმყოს კონტრასტად ესახებოდა და ეპოქაც კონკრეტულ შინაარსს აძლევდა პოეტის სიტყვებს:

გმირო, მამულის მაღიღწო, თქვენა ხართ ჩვენი ღიღება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით ალტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწვდება!
...ჰე, მამულო, სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გულო
არ ათრთოლდეს სიხარულის ალტაცებითა აღვსილო?
ვინ გიხილოს დროსა საშისს, არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არ დააქლას თავი თვისი, შენ ღიღებას ვითა მსხვერპლი.

„სადღეგრძელოს“ ხალასი ეროვნული გრძნობა, სამშობლოს დირსებით გამოწვეული სიამაყე, მისი ბედნიერებისათვის თავდადება ობიექტურად გამათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებს უპასუხებდა. აკი, ამიტომაც აიტაცა და გულთან ახლოს მიიტანა ხალხმა ამ პოემის სტრიქონები:

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი — გულადი, პურადი, მებრძოლო შავის ბედისა?
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალო, მოყვარე თავის მიწისა?..

და ბოლოს, პოემის დემოკრატიული მოტივებიც ხელს უწყობდა ახალთაობის სოციალურ იდეალთა დამკვიდრებას. მართალია, ზოგად პოეტურ ფორმაში ნებისთ თუ უნებლიეთ, მაგრამ მაინც გასაგებად და გულში ჩამწვდომად, მგოსანი თავისუფლებასა და თანასწორობას აღიღებდა. მაშინდელი მდებრიო მკითხველი მეტად კონკრეტულ მნიშვნელობას აძლევდა პოეტის ზოგად სენტენციურ და პუმანისტურ გამოწონათქვამებს და, როგორც ხშირად ხდება მხატვრულ ლიტერატურაში, ზოგად პოეტური სახეები მამხილებელ ხასიათსა და ახალ სოციალურ სიმახვილეს იძენდა. ხალხმა თავის გულისხმად მიიღო და ანდაზად აქცია პოემის ბევრი ადგილი:

რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვეკმნეთ ნუგეშ-მცემელი?

თუ არა ვსლდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
 სხვის კენესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი.
 ამ აზრის გულსა დანერგვით ვსლდევნიდეთ სულმოკლეობას,
 ვსლდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა უსამართლობას...
 ჰოცით ნიქსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას,
 ნიქს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს და არა გვარიშვილობა!

„სადღეგრძელო“ ახალთაობისათვის წარმტაცი იყო არაჩვეულებრივი ბატალური სცენებით, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის უბადლო სურათებით.

„ქრებული“, რომლისთვისაც ხელოვნება შინაარსისა და ფორმის განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენდა, აღტაცებული უნდა ყოფილიყო პოემის მაღალმხატვრულობით; მტკიცედ შეკრული მრავალმოტივიანობით (სამშობლო, სიყვარული, ბუნება, კაცთმოყვარეობა), მომხიბლავი პეიზაჟებით, ნაქედი ლექსით, ფრთიანი სიტყვებით, აფორისტული თქმებით, ოდნავ ამძლავებული, მაგრამ სადა, ხატოვანი ენით. „პოეტური ფერის, შედარებებისა და სურათების ძალა ამ მხატვრობაში სწორედ შეუდარებელი რამ არის“, — წერდა ნ. ნიკოლაძე.

ორიგინალური და შინაარსის შესატყვისი, ტევადი და ხალისიანია პოემა კომპოზიციურადაც. ღრმავაზრიანად შერჩეულ სახელოვან ისტორიულ გმირთა ხილვა პოეტს საშუალებას აძლევს საქართველოს მთელი გმირული წარსული გადმოუშალოს მკითხველს, — სადღეგრძელოები ღირიკული დიგრესიის როლს ასრულებს, ავტორის გულისთქმას გვამცნობს და ისტორიულ სურათებს ახლებურად ასხივოსნებს. აღნაგობის ამ ნიშნით „სადღეგრძელოსა“ და ი. ჭავჭავაძის „აჩრდილს“ ერთგვარი ნათესაობაც აქვთ ერთმანეთთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნ. ბარათაშვილმა მხოლოდ 60-იან წლებში, გარდაცვალებიდან ორ-ათეული წლის შემდეგ ჰპოვა ჭეშმარიტი აღიარება და როცა მისი სიღიადე იგრძნეს, პოეტის არქივი მიმოფანტული აღმოჩნდა. ფასდაუდებელ რელიკვიად იქცა თითოეული ლექსი თუ ბარათი. ყველა ჩვენი ჟურნალ-გაზეთი ნ. ბარათაშვილის ახალი ლექსებით ცდილობდა მკითხველთან თავმოწონებას. იმ დროს მისი პოეზიის ბევრი თაყვანისმცემელი დაეძებდა სანუკვარ ხელნაწერებს, მაგრამ ყველაზე მეტი ამაგი მისმა სულიერმა, იდეურმა მემკვიდრეებმა — თერგდალეულებმა დასდეს საამაყო წინამორბედს.

ჯერ „საქართველოს მოამბეში“, შემდეგ კირ. ლორთქიფანიძის „ჩონგურში“ დაიბეჭდა რამდენიმე ახალი ნაწარმოები. ბოლოს „ქრებულმაც“ ისახელა თავი და მკითხველს ნ. ბარათაშვილის ოთხი უც-

ნობი ლექსი და რვა კერძო წერილი გააცნო. იშვიათი აღმონაჩენით განხარებული რედაქცია იუწყებოდა: „დასაბეჭდად ვიშოვეთ ნ. ბარათაშვილის ლექსები და მისი მიწერ-მოწერა, რომელიც ძვირფასია ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის“¹.

ნ. ბარათაშვილის ახალი ნაწერების მიკვლევა და „კრებულში“ გამოქვეყნება უმთავრესად პ. უმიკაშვილისა და ი. ჭავჭავაძის დამსახურებაა. როგორც ცნობილია, პ. უმიკაშვილი 1858 წლიდან აგროვებდა სათაყვანო მგოსნის ხელნაწერებს და ნ. ბარათაშვილის ის ლექსებიც, რომლებიც „ცისკარში“ 1860 წლის შემდეგ დაიბეჭდა, მისი მონაპოვარი იყო.

„კრებულის“ 1872 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის ლექსი „ზვირთები მოდუღუნებენ“ სათაურით: „რომანსი“. იმავე წლის მე-8—მე-9 ნომერში — ორი ლექსი: „აღმოჰხდა მნათი“ და „არ უკიჟინო, სატრფოო“; 1873 წლის მე-2 ნომერში — „დამქროლა ქარმან სასტიკმან“.

პირველ ლექსს — „რომანსი“ სქოლიოში აქვს შენიშვნა: „ეს ლექსი, როგორც გვახსოვს, არასოდეს არა ყოფილა დაბეჭდილი“. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში აღნიშნული ლექსი შეტანილია სათაურით: „ქეთევან“. ამავე სათაურით დაიბეჭდა იგი 1945 წლის აკადემიურ განოცემაში².

„კრებულის“ მიერ მიცემული სათაური — „რომანსი“ ჩვენ გაუგებრობის ნაყოფად მიგვაჩნია. შინაარსობრივად ლექსს, მართალია, სასიმღერო-სატრფილო ხასიათი აქვს, მაგრამ ავტოგრაფებში (ოთხი ავტოგრაფი არსებობს), მას სათაურად აქვს „ქეთევან“. იმ ავტოგრაფს, რომელსაც 1945 წლის გამოცემა ემყარება (თაყაიშვილისეული), ხელით მიწერილი აქვს: „რომანსი“. ჩანს, ეს სწორედ ის ავტოგრაფია, რომლიდანაც „კრებულს“ აღნიშნული ლექსი გადაუბეჭდავს³.

გარდა სათაურისა, „კრებულისა“ და 1945 წლის აკადემიური გამოცემის ტექსტს შორის სხვა ორთოგრაფიულ-სტილისტური განსხვავებებიც არსებობს.

გ. აზნაიანიძის აზრით. ლექსში იგულისხმება ქეთევან შალვას ასული ერისთავი (1819—1907) — ელიზბარ შანშეს ძე ერისთავის (1808—1871) მეუღლე, ყაფლან ორბელიანის დისწული და პოეტის შორეული ნათესავი⁴. შეაძლებელია, „კრებულს“ რედაქციამ ამ ლექსს სა-

¹ „კრებული“, 1872, № 10—12, სარედაქციო განცხადება.

² ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, აკად. გამოცემა ქ. აკეელიძის მთავარი რედაქტორობით, 1945, გვ. 4.

³ ქ. აკეელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 2516.

⁴ გ. აზნაიანიძე, „ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი“, „ლიტერატურის მატანი“, 1940, № 1—2, გვ. 379.

თაური („ქეთევან“) იმტომ შეუტყალა („რომანსი“), რომ ქეთევან ერისთავი იმ დროს ცოცხალი იყო.

„კრებულში“ ამ ლექსს თარიღი არ უზის, ხოლო 1922 და 1945 წლების გამოცემებში, ავტოგრაფების მიხედვით, დათარიღებულია 1835 წლით.

მეორე ლექსი — „ღმობხდა მნათი“... პოეტის თხზულებათა ახალ გამოცემებში, ძირითადად, ამავე სახით და ასევე უსათაუროდაა შეტანილი¹.

ყურნალში ეს ლექსი უთარილოდ დაიბეჭდა, ხოლო 1922 წლის და მომდევნო გამოცემებში, ავტოგრაფთა მიხედვით, თარიღად მითითებულია 1840 წელი. მესამე ლექსიც — „არ უკიჟინო, სატრფოო...“, მეორესთან ერთად, „კრებულის“ 1872 წლის მე-8—9 ნომერში გამოქვეყნდა.

1945 წლის საიუბილეო გამოცემა, ისევე, როგორც 1922 წლისა, ტექსტის გაცილებით უფრო სწორ გაგებას გვაძლევს და ეს ბუნებრივია, რადგან ის ავტოგრაფთა შეჯერების საფუძველზეა დადგენილი (ორივე ეს გამოცემა, ძირითადად „თაყაიშვილისეულ“ ავტოგრაფს ემყარება). „კრებულში“ კორექტურულ შეცდომებს რომ ყურადღება არ მივაქციოთ, აქა-იქ თვითნებური ამოკითხვის („შესწორების“) შემთხვევებიც გვხვდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ „კრებულის“ ტექსტის ზოგიერთი ადგილი ჩვენზე უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს და ისინი მით უფრო ანგარიშგასაწევად გვეჩვენება, როცა ავტოგრაფიული ვარიანტებიც მხარს უჭერს. ასე, მაგალითად, პირველ გასწორებაში „გარსა მოვალო“ დადასტურებულია „ვეზირიშვილისეულ“ ვარიანტში; მეოთხე გასწორება („იყენენ მარადის, მარადის“) გვხვდება „ვეზირიშვილისეულ“, „ერისთავისეულ“ და „მარკო ორბელიანისეულ“ ვარიანტებში²; „კრებულის“ „სოფლის გასათავებლად“, აგრეთვე, დადასტურებულია „ვეზირიშვილისეული“ ვარიანტის მიხედვით. „კრებულში“ არც ამ ლექსს უზის თარიღი; 1922 და 1945 წლების გამოცემებში დათარიღებულია 1841 წლით.

მეოთხე ლექსში — „ღამქროლა ქარმან სასტიკმან“² 1945 წლის გამოცემასთან შედარებით მხოლოდ ორიოდ ორთოგრაფიულ განსხვავებას ვპოულობთ, რაც იმის შედეგია, რომ როგორც „კრებულის“, ისე 1945 წლის გამოცემის ტექსტი მომდინარეობს ერთიდაიგივე ავ-

¹ ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1922, გვ. 18; თხზულებანი, 1945, გვ. 23, (მე-17 ლექსი); თხზულებანი, 1954, გვ. 32.

² ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945, გვ. 39; 1922 წლის გამოცემა, გვ. 54. 1873 წელს კირ. ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ეს ლექსი „კრებულისათვის“ ილია ჭავჭავაძეს გადაუცია დასაბეჭდად (საუთარო ხელით გადაწერილი).

ტოგრაფიდან, რომელსაც 1922 წლის გამოცემაში „მაიკო ორბელიანის-ეული“ ეწოდება, ხოლო 1945 წლის გამოცემაში — „საგინაშვილის-ეული“. ავტოგრაფს თარიღი არ უზის, და ამიტომ ლექსი უთარიღოდ დაიბეჭდა როგორც „კრებულში“, ისე 1922 წლის გამოცემაში, მაგრამ საიუბილეო გამოცემაში (1945 წ.) პირობითად 1842 წლით დაუთარიღებიათ.

დიდი ინტერესი გამოიწვია „კრებულში“ ნიკ. ბარათაშვილის კერძო ბარათების დაბეჭდვამ; ინტერესი გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ ჩვენში ეს ლიტერატურულ-ეპისტოლარული მასალის გამოქვეყნების პირველი შემთხვევა იყო, არამედ იმითაც, რომ წერილები შუქს ჰფენდა პოეტის რომანტიკულ სულიერ სამყაროს და, რაც მთავარია, მისი მხატვრული შემოქმედების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

ნ. ბარათაშვილის კერძო წერილების გამოქვეყნების თაოსნობა ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის. მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ოთხი ბარათის დედნები მას თავის დის — ლიზას (ალექსანდრე საგინაშვილის ძეუღლის), საოჯახო არქივში უპოვნია და სიძისაგან მათი გამოქვეყნების ნებართვაც მიუღია (როგორც ჩანს, არც მთლად ადვილად). 1872 წლის 9 დეკემბერს „კრებულის“ მაშინდელ რედაქტორს, კ. ლორთქიფანიძეს, ი. ჭავჭავაძე სწერდა: „ძმავ კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორ კარგად შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაიციხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰჩანს, მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. გთხოვ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო: „ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენმა ერთმა პატივცემულმა პირმა ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემ. ვისაც ესმის, რაგვარი მნიშვნელობა აქვს ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, — იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების გარდმომცემელსა“.

ამგვარი კმევა საჭიროა, ჩემო კირილე! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „Мир управляется слабостями людскими“.

ნიკ. ბარათაშვილის ოთხივე ეს წერილი (მაიკო ორბელიანისადმი), ილია ჭავჭავაძის ზემოთ ციტირებული სარედაქციო წინათქმით, გამოქვეყნებულია „კრებულის“ 1873 წლის პირველ ნომერში. პირველი წერილი დათარიღებულია: „წელსა 1842-სა ოქტომბრის 31-სა“, მეორე: 10-სა აგვისტოს 1845“; მესამე უთარიღოა: „საყვარელო დაო, მაიკო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოვიცან...“; მეოთხე წერილი ავ-

ტრაგრაფში დათარიღებულია 1845 წლის 9 დეკემბრით. მაგრამ 1922 წლის გამოცემაში გაუსწორებიათ, ნ. ბარათაშვილი 9 ოქტომბერს გარდაიცვალა და აქ 9 თებერვალი უნდა იყოსო.

ს. მესხი უთუოდ საზოგადოების საერთო შთაბეჭდილებას გამოხატავდა, როცა წერდა: „ამ წიგნებში და განსაკუთრებით, პირველ მათგანში ნათლად იხატება ის სულის ბრძოლა, ის „ობლობა“ და ჰაზრის თანაზიარის ნაკლებობა, რომელიც ასე მშვენიერად გამოხატულია იმის ლექსებში („ჩემს მერანს“, „სული ობოლი“ და სხვ.)... ეს წიგნი 1842 წელშია დაწერილი. თუ ეხლანდელს ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში ფარნით ძლივს მოსძებნის კაცი... თითო-ორი სანუგეშო და გულის დამამშვიდებელ მოვლენას, წარმოდგინეთ ამ ოცდაათის წლის წინათ რა უნდა ყოფილიყო. როგორ უნუგეშოთ, ობლად და გულმოკლულად უნდა ეგრძნო თავი... ისეთის მაღალ გრძნობისა და იდეალების კაცს, როგორც ნ. ბარათაშვილი იყო?..“

დანიტერესებულ მკითხველთა თხოვნით ნ. ნიკოლაძეს კვლავ უთხოვია ილიასათვის ნიკ. ბარათაშვილის წერილები, მაგრამ ილია სწერს: „ბარათაშვილის ოთხი წიგნის მეტი ჩემს დას და სიძეს არ ჰქონდათ და ოთხივე მანდ გამოგიგზავნეთ“.

იმავე წელს გრ. ორბელიანის თანხმობით პეტრე უმიკაშვილს გადმოუწერია ნიკ. ბარათაშვილის ოთხი წერილი მისდამი: 1841 წლის 28 მაისისა; 1841 წლის 18 ოქტომბრისა; 1842 წლის 2 მაისისა და 1843 წლის 21 აგვისტოსი, აგრეთვე მეხუთე უთარილო წერილის ნაწყვეტი, რომელსაც ხელნაწერში აქვს გადამწერის შენიშვნა: „ეს ცალ ფურცელზედ იყო ნაწერი. წელიწადი არ არის დანიშნული (უნდა კვითხო გრ. ორბელიანს)“.

„კრებულის“ 1873 წლის მე-3 ნომერში დაბეჭდილ ამ ოთხ წერილს სქოლიოში აქვს რედაქციის შენიშვნა: „ეს ძვირფასი წიგნები მიწერილია თ. გრიგოლ ორბელიანთან, რომელსაც მათი დასაბეჭდად გადმოცემისათვის უგულითადეს მადლობას ვუძღვნით“. ოთხივე წერილი დათარიღებულია და დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

გრ. ორბელიანისადმი მიწერილი ოთხივე წერილი შემდეგ გამოცემებში პ. უმიკაშვილისეული ნუსხის მიხედვით იბეჭდებოდა, რაღა ავტოგრაფები გაიბნა.

„კრებულში“ დაბეჭდილი ლექსები და ბარათები აფარაობდა და აღრმავებდა ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წარმოდგენას, აფაქიზებდა გემოვნებას, ნათლად აჩენდა პროგრესულ თაობათა სულიერ კავშირსა და ლიტერატურული ტრადიციების განუწყვეტლობას. ახალგაზრდობამ საკუთარი სულის სწრაფვა და ნათელი ოცნების გამოსხივება იგრძნო პოეტის სიტყვებში:

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთა დღეთ ვარსა მოვავლო,
სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;
მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველი და ვარდი.

ვახტანგ ორბელიანი

თანამედროვენი ვახტანგ ორბელიანს სიტყვაძვირ პოეტად თვლიდნენ; ათასში ერთხელ თუ დაწერდა რასმეს და დაწერილს იშვიათად იუ გაიმეტებდა დასაბუქლად. გასულ საუკუნეში მას მაინც დიდი პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი.

„კრებულის“ 1872 წლის მე-10—12 ნომერში ვახ. ორბელიანის „ქველი მაგრიის“ დაიბეჭდა ინიციალებით — „ვ. ო.“, რომლის მნიშვნელობა მაშინდელი მკითხველისათვის უკვე კარგად იყო ცნობილი. პოეტის თხზულებათა 1881 წლის (ზ. ჭიჭინაძისეულ) გამოცემაში ეს ლექსი „ქველი დმანისის“ სათაურით შევიდა და შემდგომ გამოცემებშიც ამ სათაურით იბეჭდებოდა.

„კრებულისა“ და უკანასკნელი გამოცემის (1949 წ.) ტექსტს შორის, გარდა შეცვლილი სათაურისა, ორთოგრაფიულ-სტილისტური განსხვავებებიც შეინიშნება. სხვათა შორის, 1894 წლის გამოცემაში სქოლიოში დართული აქვს შენიშვნა, რომელიც 1949 წლის გამოცემაში აღარ შეუტანიათ: „სოფელი დმანისი მდიდრის შენობათა ნანგრევებით ორბელიანის მამულშია, მაშავერის წყალზე. მამულის გაყოფის შემდეგ ერგო ავტორს“. 1894 წლის გამოცემაში შეცდომით არის აღნიშნული, თითქო პირველად ეს ლექსი „კრებულის“ 1873 წლის მე-10—12 ნომერში დაიბეჭდა.

არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქველი მაგრიის“ „კრებულის“ იდეურ მიმართულებას საეცებით შეესატყვისებოდა. თავისი მინორული განწყობილებითა და უსასოო სევდით იგი პესიმისტური სულის გოდებად, წარსულზე უნუგეშო ოხერად გვესახება. მაგრამ, იმდროინდელი მკითხველი მას, უწინარეს ყოვლისა, აღიქვამდა, როგორც არსებულის უარყოფას, აწმყოთი უქმყოფილებას და რამდენადაც სუსტი და პასიური არ უნდა ყოფილიყო ეს უარყოფა, მაინც სინამდვილისადმი პროტესტის გამოხატულებად გაიზიარდა. საგულისხმოა, რომ „ივერიის“ რეცენზენტი ამ ლექსში „დაკარგულს ბედნიერებაზედ წუხილთან“ ერთად მომავლის იმედსაც ხედავდა;² პოეტი „მამულის სიყვა-

¹ ვ. ორბელიანი, თხზულებანი, 1894 გამოცემა მარიამ ორბელიანისა, გვ. 51; ვახ. ორბელიანი. 1949, რაულენ გვეტაძის რედაქციით, გვ. 25.

² „ივერია“, 1881, № 8.

ვარულს უსახავდა გულში ქართველს“ და ამის ახალთაობისათვისაც სასიციოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ვახ. ორბელიანის შემოქმედებისადმი ახალთაობას წმიდა ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესიც ჰქონდა. მას ეწადა, უფრო ღრმად ჩასწვდომოდა წინა თაობის სულიერ სამყაროს, უფრო მკაფიოდ წარმოესახა ნ. ბარათაშვილის საზოგადოებრივ-ლიტერატურული გარემო, მის თანამედროვეთა და თანამოდელაწეთა ფიქრი და გრძნობა.

ილია ჭავჭავაძე

„კრებულის“ პოეტური სუნთქვა, მისი იდეური და მხატვრული სი-ახლენი ცხადად და სრულყოფილად ილია ჭავჭავაძის ლექსებსა და პოემებში იგრძნობა. რაოდენობის მიხედვითაც ილიამ ყველაზე მეტი პოეტური ნაწარმოები გამოაქვეყნა ამ ჟურნალში და ეს თხზულებანი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის უძვირფასეს ნაწილს შეადგენს. ათი ლექსი და ორი პოემა! — ასეთია ი. ჭავჭავაძის წვლილი „კრებულის“ პოეზიაში. გარდა ამისა, ნიკ. დიმიტრიძის კრიტიკულ წერილში მთლიანადაა მოტანილი მეთერთმეტე ლექსი „იანიჩარი“, რომელიც პირველად „საქართველოს მოამბეში“ დაისტამბა. ამასთან გადაწყვეტილი ყოფილა „კაკო ყაჩაღის“ მთლიანად დაბეჭდვაც, რაც, ჩანს, საცენზურო პირობების გამო ვერ მოუხერხებიათ; „კრებულის“ 1873 წლის მე-5-6 წიგნში ნ. ნიკოლაძე საზოგადოებას აცნობებდა: „რამდენიმე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ“, რომლის ზოგიერთი ნაწყვეტი „საქართველოს მოამბეში“ და „ჩონგურში“ იყო დაბეჭდილი, და რომელიც სრულიად „კრებულში“ მალე დაიბეჭდება“ (ი. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში პ. ინგოროყვა წერს, რომ „კრებულში“ დაიბეჭდა, აგრეთვე ილიას ლექსი „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“¹. ეს სატირა 1871 წელს არის დაწერილი, — შენიშნავს პ. ინგოროყვა — ავტორის სიციოცხლეში იგი ორჯერ დაიბეჭდა: 1871 წელს „კრებულში“ (№ 5) და 1892 წელს. შემდეგ მკვლევარს განხილული და შეფასებული აქვს „კრებულის“ ტექსტი. სინამდვილეში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“ პირველად „ივერიაში“ (1879 წ., № 2, გვ 57—61) გამოქვეყნდა. პ. ინგოროყვა ამის მიხედვით ათარიღებს როგორც ამ ლექსს, ისე ორ ხელნაწერს: S—4993 და 5169², რაც, აგრეთვე ექვს იწვევს. შინაარსისა და რეალიების მიხედვითაც, აღნიშნული სატირა 1878—1879 წწ. უნდა იყოს დაწერილი).

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 391, პ. ინგოროყვას რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით.

² იქვე.

„კრებულში“ იბეჭდებოდა ილიას როგორც ახალი, ისე ადრინდელი ლექსები. რედაქციამ ისეთი ნაწარმოებების გამოქვეყნებაც შეძლო, რომლებსაც ცენზურა წლების განმავლობაში აკავებდა. განსაკუთრებით საინტერესოა „კრებულის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული ცნობილი ლექსის „მესმის, მესმის სანატრელი“ დაბეჭდვის ისტორია.

როდესაც ნ. ნიკოლაძე „კრებულის“ გამოცემას შესდგომია, იგი 1871 წელს ილიას სწვევია ღუშეთში... ილიას გადმოუცია „კრებულში“ დასაბეჭდად თავისი ლექსები, ამავე დროს, წაუკითხავს ეს ლექსიც — „მესმის, მესმის სანატრელი“ და თან დაუმატებია, რომ ეს ლექსი გარიზალდის ეხება, რომ მან რამდენჯერმე სცადა ამ ლექსის დაბეჭდვა, მაგრამ ამაოდ.

ნ. ნიკოლაძეს თავის თავზე აუღია ცენზურისათვის თვალის ახვევა¹. უდავოდ, ამ მიზნით, ცენზურის მოსაგერიებლად, „კრებულში“ (სქოლიოში) ლექსს დართული აქვს შენიშვნა: „ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნის“. ავტოგრაფში, ცხადია, ლექსს ასეთი შენიშვნა არ აქვს და იგი, როგორც სამართლიანად შენიშნავს პ. ინგოროყვა, დაწერილია იმ დროს (1860 წ. 29 ივლისს), როცა გარიზალდი გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა, — 10 ივლისს აიღო მესსინა, სიცილიიდან მატერიკზე გადმოვიდა და ნეაპოლის მეფე დაამარცხა.

„კრებულში“ ლექსი ჩვეულებრივ უსათაუროდაა დაბეჭდილი, ხელმოწერილია ფსევდონიმით („***“) და დათარიღებულია 1860 წლის 29 ივლისით. აკადემიური გამოცემის I ტომში იგი თითქმის უცვლელად არის შეტანილი². აკადემიურ გამოცემასთან შედარებით „კრებულის“ ტექსტს ზოგიერთი საინტერესო სტილისტურ-პუნქტუაციური თავისებურება გააჩნია, რაც უთუოდ დროის სულისკვეთებას გამოხატავდა და იმისათვის იყო გამიზნული, რომ მკითხველს უფრო ადვილად შეეცნო ლექსის იდეა.

ამ ლექსს გასაოცარი ცხოველყოფილობით შემოუნახავს იმ დროის უშუალო შთაბეჭდილება, რომლის შესახებ გ. წერეთელიც წერს თავის „მგზავრის წიგნებში“: ხოროშევსკი გაგიყვებული შემოეარდა ჩვენთან და დაიძახა: „გარიზალდი ნეაპოლში შევიდაო“... ნ. ნიკოლაძის ცნობაც რომ არ არსებობდეს, ეს ჩვენებაც, მოწინავე სტუდენტობის საყოველთაო აღტაცებაც, საკმარისი იქნებოდა იმის დასადასტუ-

¹ პ. ინგოროყვას შენიშვნა, იქვე, გვ. 381—382 (ნ. ნიკოლაძის ნაშრომის მიხედვით).

² ი. ჰაეკაეაძე, თხზულებანი, ტ. I, პ. ინგოროყვას რედაქციით, გვ. 62 ამ გამოცემის შენიშვნაში — გვ. 433 შეტდომითაა აღნიშნული, თითქოს, „კრებულში“ დაწერის ადგილიც — პავლოვსკი იყოს მითითებული).

რებლად, რომ გარიბალდის გადამწყვეტ გამარჯვებათა დღეებში დაწერილი ლექსი პოეტმა თავის საყვარელ გმირს მიუძღვნა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებითაა გამსჭვალული „კრებულში“ გამოქვეყნებული ილიას ბევრი სხვა პოეტური ნაწარმოებიც. ამ პერიოდში შეიქმნა ჩვენი ცხოვრების მახინჯი მხარეების მამხილებელ და თან იმედით საესე ილიას ლირიკულ-სატირულ ნაწარმოებთა ციკლი: „რჩევა“, „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“, „ბედნიერი ერი“, „იროლანდიისადმი“ (თომას მურის მიხედვით), რომელთაგან პირველი ორი „დროებაში“ გამოქვეყნდა, ხოლო უკანასკნელი ორი — „კრებულში“.

„ბედნიერი ხალხი“ 1871 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნდა ფსევდონიმით („***“) და თარიღის აღნიშვნით: 1871 წ. 29 აგვისტო. აკადემიურ გამოცემაში (აგრეთვე, სხვა გამოცემებში) იგი დაბეჭდილია „ბედნიერი ერის“ სათაურით¹. ამ ორ ტექსტს შორის განსხვავება გამოწვეულია საცენზურო „შესწორებებით“. რამდენიმე მკაცრი მამხილებელი გამოთქმა „კრებულში“ ამოღებულია.

აკადემიურ გამოცემაში გამოტოვებულია „კრებულის“ ტექსტის ქვესათური: „იტალიანელი პოეტის მიბაძეა“.

საგულისხმოა, რომ აქ, ისე როგორც „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ „პოეტში“, „ერის“ სინონიმად გამოყენებულია „ხალხი“, რომელიც ორგვარი ნიუანსის — ეროვნულის და სოციალურის მატარებელ სიტყვად გვესახება.

ამ მწვავე სოციალური სატირის უშუალო იმპულსს წარმოადგენდა საქართველოში იმპერატორ ალექსანდრე მეორის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ძველ და ახალს თაობას შორის ატეხილი დავა. მშობელი ერის მანკიერებათა ძაგებით, პოეტი მისდამი უსაზღვრო სიყვარულსა და თანაგრძნობას იწვევს, მისი განახლების მხურვალე სურვილს გამოხატავს. ასეთი იდეურ-მხატვრული გააზრებით ეს ლექსი კარგად წარმოგვისახავს ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების მამხილებელი ხასიათის თავისებურებას, რომელიც დევიზის სახით იყო წამოყენებული ადრინდელ ლექსში: „ჩემო კალამო“, — ეს არის — „სიძულველში“ გამოხატული სიყვარული“. საზოგადოებამ სამშობლოსადმი ტკივილიანი სიყვარული იგრძნო ამ, ერთი შეხედვით, ღვარძლიან სატირაში. „რამდენი კმაყოფილება და თან მწარე ღიმილი მოგვეგვარა ქვენ (ილია ჭავჭავაძის) ამ მშვენიერმა და გესლიანმა — „ბედნიერმა ხალხმა“, — წერდა ს. მესხი იმავე წელს „დროებაში“².

„კრებულის“ რედაქციის დიდი გამარჯვება იყო ი. ჭავჭავაძის

¹ იხ. ტ. I, გვ. 83.

² „დროება“ 1871, № 39.

დრამატული პოემის—„დედა და შვილის“ გამოქვეყნება. ცენზურის მიზეზით ეს საბრძოლო ნაწარმოებიც დიდხანს იდო პოეტის საწერი ძაგიდის უჯრაში. პირველი ვარიანტის წერა ილიამ 1869 წლის 14 ივლისს დაასრულა, მაგრამ დაბეჭდვა ვერ შესძლო. 1879 წელს, უთუოდ, „კრებულის“ რედაქციის თხოვნით, პოეტი კვლავ მიბრუნებია და გადაუყეთებია პოემა.

1871 წლის 19 მარტს იგი პეტრე ნაკაშიძეს სწერდა: „...გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღენევს ჩემს „ქართლის დედას“. თუ მოგეწონება, მიეცი ნიკოლადეს დასაბეჭდათ... შენთან მიწერილი ძღენის ლექსიც დააბეჭდინე ამასთან ერთად...“

პოემა სულ მალე, 1871 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა, მაგრამ ცენზურის სისასტიკემ მას შიშიმე დალი დააჩნია, რედაქცია იძულებულა გახდა სათაურშივე ჩაემატებინა შენიშვნა: „დედა და შვილი“ დრამული ეპიზოდი თამარ მეფის დროებიდამ ოსმალოებთან ომის წინ“. ავტორის მიერ წარდგენილ ორიგინალში პოემას სათაურად ჰქონია „ქართლის დედა“, რომელიც ცენზორს ამოუშლია და ავტორს პირველი ვარიანტის სათაური („დედა და შვილი“) აღუდგენია; ნაცვლად „კრებულის“ შენიშვნისა („თამარ მეფის დროებიდამ...“) პირველ ვარიანტში პოემას სრულიად საწინააღმდეგო აზრის შემცველი სათაურქვეშა წარწერა ჰქონია: „სცენა მომავალ ცხოვრებიდან“¹.

1879 წელს, როცა პოემა მეორედ დაიბეჭდა „ივერიაში“ (№7—8), ავტორი და ახლა უკვე თავად რედაქტორი — ცენზურის თვალსაზრევად ახალ შენიშვნას ურთავს მას: „ეპიზოდი დაერთ აღმაშენებლის დროითაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოს“. ამ ნაძალადევი შენიშვნების გარეშე „ქართლის დედა“ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემაში დაიბეჭდა.

ავტოგრაფთან² შედარებით და შინაარსის ანალიზით პ. ინგოროყვამ აღადგინა პოემის აუთენტიკური ტექსტი და ცხადყო, რომ მასში ასახულია არა წარსული, არამედ გამობატულია საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის სურათი³.

„კრებულში“ პოემა იწყება პეტრე ნაკაშიძისადმი მიძღვნილი ლექსით, რომელსაც თარიღად აქვს: 1871 წლის 18 მარტი. ბოლოს აკტორი ხელს აწერს ფსევდონიმით — „***“.

1951 წლის აკადემიურ გამოცემაში პოემა დაბეჭდილია ავტორისეული (საბოლოო ვარიანტის) სათაურით: „ქართლის დედა“ (სცე-

¹ ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, № S—4993.

² სსსრ ფონდი № 121—ხ; ხელნაწერთა ინსტიტუტი, №5024—(„კრებულისეული“ ავტოგრაფის განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს გავარკვიოთ ის ცვლილებები, რომლებიც პოემამ ცენზურის ბრძკვალუბში განიცადა).

³ ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, გვ. 361—364 № 478.

ნა მომავალი ცხოვრებიდან); სათაურს მოსდევს ეპიგრაფი: „გაგვიძელ, ბერო მინდიავე, მუხლი მაიბი მგლისაო, გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო“, რომელსაც აწერია: „ხალხური სიმღერა“. „კრებულში“ ეს მინაწერი (ეპიგრაფი) მიძღვნიტს ლექსს მოჰყვება და აწერია: „გლეხური სიმღერა“, რაც, სხვათა შორის, უფრო სწორად გამოხატავს ილიას თვალსაზრისს ხალხური პოეზიის არსზე. აკადემიურ გამოცემაში მიძღვნა დათარიღებული არ არის, რაც მართებულად არ მიგვაჩნია.

„კრებულისეულ“ სტრიქონს: „მხოლოდა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი“ ...აკადემიური გამოცემა ასწორებს ასე: „მხოლოდდა“... რაც, ჩვენის აზრით, გაუმართლებელია. დედას მხოლოდ ერთი შვილა ჰყავს და „კრებულის“ ტექსტიც აზრის სწორ გაგებას ემყარება. სტრიქონის: „მამ შვილნი თვისნი, შვილო ჩემო, არ ჰყვარებიან,“ — შემდეგნაირი სწორება: „მას... არ ჰყვარებიან“, — აგრეთვე უმართებულ შესწორებად მიგვაჩნია; დარღვეულია რიცხვში შეთანხმება. „ისმის ჯარების ორპირი სიმღერა“ აკადემიურ გამოცემაში იკითხება ასე: „ისმის ჯარების სიმღერა ორ-პირად“. ჩვენის ფიქრით, ასეთი გადაადგილება სიტყვა „ორპირის“ ორაზროვნებას მაინც არ ცვლის... ვერ დავეთანხმებით აგრეთვე სტრიქონის: „აჰა, მოვდივარ! აბა, დედი, იმაგრე გული!“ შემდეგნაირ რედაქციას: „...მოვე გული“. ეს ხელოვნური ფორმა უდავოდ ასუსტებს პოეტურ შთაბეჭდილებას და, ჩვენის აზრით, მას „კრებულისეული“ „სიმაგრე“ სჯობია.

მიუხედავად სათაურის შეცვლისა, მადეზორიენტირებული შენიშვნისა და ცენზურის მიერ მთელი რიგი ადგილების ამოღებისა, იდეურ-მხატვრულად მონოლითურ ამ ნაწარმოებს „კრებულში“ მაინც საე-სებით შენარჩუნებული აქვს პატრიოტული მგზნებარება და საბრძოლო სულსკვეთება. გარდა იმისა, რომ ილიას თანამებრძოლებმა და მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცოდა პოემის აქტუალური მიზანდასახულობა, საერთო ჟღერადობისა და ინტონაციის მიხედვითაც აშკარა იყო, რომ პოეტი მომავალ მებრძოლებს უმღეროდა. ცენზურას შეეძლო ცალკეული ადგილები ამოეღო, მაგრამ არ ძალუძდა ჩაეხშო საერთო სულსკვეთება, რომლითაც თვითეული სტრიქონია გაქლენთილი, დაბოლოს, თვით მიძღვნითი ლექსიდანაც აშკარა იყო, რომ ავტორი მყობადს უმღეროდა და არა წარსულს:

აჰა, იმ დროთაგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი ღვთიურ სხივით გაბრწყინებული,
ღღესაც გულში გვაქვს მტაცეე რკულად, ძმაო, მე და შენ.

„ქართლის დედა“ იყო პოეტური ხილვა დიადი გამათავისუფლებელი ბრძოლისა; მწერალმა მკაფიოდ წარმოსახა საყოველთაო, სა-

ხალხო აჯანყების სურათი: ნათლად წარმოაჩინა მისი მოტივები, მიზნები და პერსპექტივები; მგზნებარედ უმღერა თავდადებას. სურათის გრანდიოზულობით, სიუჟეტური შეკრულობით, იდეის სიცხადითა და აზრის პოტენციური დიაპაზონით ამ პოემას ბადალი არ მოეძებნება მშინდელ ჩვენს ლიტერატურაში. ნაწარმოებში ღრმა ფილოსოფიურ-პუბლიცისტური პათოსითაა გახსნილი თავისუფლებისა და მშვიდობის მიმართება. მეგობრობის საფუძველი თავისუფლებაა, თავისუფლებისა — ბრძოლა. დაჩაგრული ვერავის აპატიებს ბოროტებას; შიურაცხოფილისა და ფეხქვეშათელილის შურისგება ადამიანური, ქუმანისტური მოქმედებაა. თანამედროვეობის იდეურ მწვერვალზე უნდა მდგარიყო პოეტი, რომ ასე სწორად განეჭვრიტა და აესახა მოწინავე კაცობრიობის იდეალი. ამის შედეგია, რომ პოემას დიდი ძლელვარება და უშუალობა შემორჩა. ი. ჰავკავაძემ ძლიერი ხელით გადასწია შავბნელი აწმყოს ფარდა და თანამედროვენი გმირული მგრძობის მშვენიერებას აზიარა; ნათლად აგრძნობინა მათ, რომ თავისუფლება განუყოფელია და საყოველთაო, რომ ხალხები მხოლოდ სისხლიანი ბრძოლით მოიპოვებენ მას. ასეთივე დემოკრატიულ-ქუმანისტური სულითაა აღსავსე „კრებულში“ დაბეჭდილი ილიას ლექსი — „პარაი“ (1871 წლის 23 მაისი. კომუნის დაცემის დღე) და პოემა „აჩრდილი“, რომელნიც ერთიანი იდეური მსოფლშეგრძნებითა და მხატვრული გააზრებით არიან შედუღაბებული. ამ ერთიანობას, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიული იდეებისათვის გულწრფელი მღელვარება ქმნის.

„პარაი“ 1873 წლის მე-5—6 ნომერში დაბეჭდა ავტორის სახელისა და გვარის მოწერითა და თარღის აღნიშვნით: 1871 წლის 29 მაისი. აკადემიურ გამოცემაში ლექსი შესულია ავტორისეული სათაურით: „1871 წელი 23 მაისი. („კომუნის დაცემის დღე)“¹. „კრებულში“ კომუნის ხსენება ცენზურას აუკრძალავს, და საერთოდ, ცენზურა შემდეგაც სდევნიდა ამ ლექსს. 1883 წელს გაზეთ „შრომაში“ (ქუთაისი) არ გაუშვიათ კეზელის წერილი, რომელშიც ილიას ამ ლექსის ორი სტროფი ყოფილა ციტირებული². სარჩევში ეს ნეიტრალური და არაფრისმთქმელი სათაური („პარაი“) „კრებულის“ რედაქციას პირველი სტრიქონით შეუცვლია: „ტვირთმძიმედ და მაშვრალთ მხსნელი“.

„კრებულისა“ და აკადემიური გამოცემის ტექსტი იდენტურია.

1 წინა თავში უკვე აღვნიშნეთ, როგორი ფართო გამოხმაურება ჰპო-

¹ ი. ჰავკავაძე, თხზულებანი, ტ. I, პ. ინგოროყვას რედაქციით, 1951, გვ. 77.

² ს. ხუციშვილი, „ქართული პრესის ისტორიის ერთი სტრიქონი“, გაზ. „თბილისი“, 1959, № 142.

ცა პარიზის კომუნამ ქართულ ჟურნალი ტრაქაში, მაგრამ აპოთეოზს, ილიას ლექსი წარმოადგენს. ილიამ პოეტურ იდიომად აქცია მოწინავე ადამიანთა ფიქრი პარიზის კომუნაზე, სწორუპოვარი შემქმედრობითა და უბრალოებით გამოხატა კომუნის ინტერნაციონალური ბუნება და სამართლისოდ შემოგვიანხა თანამედროვეთა პირველგანცდის სითბო და უშუალობა. ლექსი გაშუქებულია ფრანგი ხალხის, როგორც მებრძოლი, რევოლუციური ტრადიციების მქონე ხალხის, ღრმა პატივისცემით. მასში არაჩვეულებრივი სიცხადით არის გამოვლინებული ეროვნულისა და სოციალურის განუყოფელი ერთიანობა, ხალხის ღირსების შეფასება კაცობრიობის საერთო კეთილდღეობაში მის მიერ შეტანილი წვლილის მიხედვით.

მეტად მძიმე იყო პოეტის ამოცანა, როცა ის ხელს ჰკიდებდა კალამს პარიზის კომუნაზე ლექსის დასაწერად; სადად და უბრალოდ უნდა გადმოეცა კომუნის საკაცობრიო-ისტორიული მნიშვნელობა, ეგრძნობინებინა ფრანგი ხალხის გმირული სული, ხაზი გაესვა მისი რევოლუციური ტრადიციებისათვის და, საერთოდ, რაინდული ისტორიისათვის. ქართველ მკითხველში გაედვიძებინა კომუნარებისადმი ძმური სიყვარული, ჩვენი ხალხის ღვიძლ საქმედ წარმოედგინა მათ: ბრძოლა, სამარცხვინო ბოძზე გაეკრა კომუნის მტრები, ე. ი. ყველა მძარცველი და ექსპლოატატორი, დაბოლოს, ჩაენერგა კომუნართა დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენა. ავტორის ეს ფართო ჩანაფიქრი ამ პატარა ლექსში მთელი ძლიერებითაა გამოხატული და ამით ერთხელ კიდევ ვგრძნობთ, რა დიადია პოეზია, რომელსაც შეუძლია ასე ლაკონიურად და შთამბეჭდავად გადმოგვეცეს ის, რასაც მრავალტომიანი გამოკვლევა დასჭირდებოდა. ლექსში არ გვხვდება არც ერთი უფუნქციო სიტყვა. პირიქით, თითოეულ სიტყვას, ჯერ ფრაზის და შემდეგ მასთან ერთად მთელი თხზულების საერთო იდეურ-მხატვრულ შინაარსში რამდენიმე ფუნქცია აქვს დაკისრებული, რაც მთელ ნაწარმოებს ერთ ენერგიამოჭარბებულ ამოძახილად აქცევს. მაგალითად, ერთადერთი სიტყვით — „კვლავ“, ილია ახერხებს პარიზის კომუნა წარმოსახოს ფრანგი ხალხის გმირული ისტორიის ფონზე, ხაზი გაუსვას ამ ერის რევოლუციურ ტრადიციებს, დაგვანახოს. რომ იგი მარცხდებოდა, მაგრამ ბრძოლას არ წყვეტდა და არც ამ დამარცხების შემდეგ შეწყვეტს. პოეტი უსაზღვრო მოწინააღმდეგეებს თავისუფლებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი ხალხის წინაშე. ამ ერთი სიტყვის მუდამ ოპტიმალურ ადგილზე დასმით წარმოჩენილია პარიზის კომუნის ეროვნულ-სოციალური და საკაცობრიო ხასიათი. სტროფშიგნითა კონტრასტები სიმართლისათვის დიადი ბრძოლისა და დამარცხებისა, რომლებსაც სიტყვა „კვლავ“ აერთიანებს,

ნათელ წარმოდგენას იძლევა ხალხის გაუტეხავ ნებისყოფასა და დაუთკებელ ენერჯიაზე:

კ ვ ლ ა ვ ეწაშა მოყვასთათვის,
საოცარი იგი ერი,
კ ვ ლ ა ვ დიდგა დიდ წამების
მან ვეირგეინი მშვენიერი.
კ ვ ლ ა ვ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
კ ვ ლ ა ვ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.
კ ვ ლ ა ვ შეფერხდა ისტორია,
განახლების შედგენე ძალნი
და კ ვ ლ ა ვ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

ორი მხატვრული სახე — „დიდ წამების მშვენიერი ვეირგეინი“ და „გამარჯვებულ მტარვალთა დღესასწაული“ მთელი სისავსით გამოხატავს ორ მოპირდაპირე ბანაკს, ორ სამყაროს, კეთილისა და ბოროტის მარადიულ ბრძოლას.

შეუძლებელია საგანგებო გულისყურით არ მოვეკიდოთ ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის ამ საამაყო სტრიქონებს, რომელთაც ასე თბილად შემოუნახავთ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის გულისძგერა პარიზის კომუნის დღეებში, რომლებშიც ასე სისხლბორცულადაა გაერთიანებული ეროვნული და საკაცობრიო ინტერესები და ლიტერატურაში ხალხთა ინტერნაციონალური ძმობის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს.

უთუოდ ამ ლექსის უშუალო შთაბეჭდილებით „კრებულის“ იმავე ნომერში ნ. ნიკოლაძე ორ პერიოდად ჰყოფდა ილია ჭავჭავაძის პოეტურ შემოქმედებას. „უწინდელ მის ლექსებში, — წერდა კრიტიკოსი, — სხვა მწერლობების კილო, ენა, მანერა და აქა-იქ გრძნობა და აზრი მოჩანდა. იმათში ჭავჭავაძის პიროვნული თვისება, მისი საკუთარი ორიგინალობა და სხვა ჩვენ მწერლებზე უპირატესობა, აზრის ძალის მეტი, თითქმის არა იყო რა, ეხლანდელ მის ლექსებში კი, საზოგადოთ, სულ სხვა თვისებებს ვხედავთ ხოლმე. იმათში სჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა და თან ნამდვილი გრძნობის შეუფერავი და მაინც ლაზათიანი გამოთქმა“¹.

აღნიშნული ნიშან-თვისებების მიხედვით, ი. ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედების გამოიყენა მართებულად არ გვეჩვენება. „ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა და სურათის უბრალოება“ მის

¹ ნ. ნიკოლაძე, „გლახის ნაამბობზე“, „კრებული“, 1873, №5.

„უწინდელ ლექსებშიც“ არის, მაგრამ 70-იანი წლების ნაწერებში რომ მოქალაქეობრივ-პოლიტიკური მოტივების გამახვილება და ფორმის შემდგომი დემოკრატიზაცია შეიმჩნევა, ეს აშკარაა და ნ. ნიკოლაძესაც, ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში. ამ თვალსაზრისით, ე. ი. ილიას პოეტური შემოქმედების იდეურ-მხატვრული განვითარების თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს „აჩრდილს“, რომელიც ნ. ნიკოლაძის მიერ შემოსაზღვრული დროის (60—70-იანი წწ.) მთელ მანძილზე, თითქმის განუწყვეტლად იწერებოდა, იხვეწებოდა და ახლდებოდა. ეს პოემა ილიას პოეტური შემოქმედების ისტორიის სანდო მატიანაა.

„აჩრდილის“ წერა ილიამ 1858 წელს დაიწყო პეტერბურგში და იქვე დაასრულა 1859 წლის 26 იანვარს. ორი ათეული წლის განმავლობაში პოემამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, მაგრამ ავტორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი და მისი სიუჟეტურ-კომპოზიციური სტრუქტურა არსებითად ისეთივე დარჩა, როგორც ამ პირველ ვარიანტშია. თხზულება შთაგონებულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით, წარმოადგენს ამ მოძრაობის პირველ მხატვრულ დოკუმენტს, პოეტურ ფორმაში ხორცშესხმულ სამოქმედო პროგრამას, რომლის სულისკვეთება და პრინციპული არსი აღნიშნული მოძრაობის საფუძვლად იქცა და სოციალური და ეროვნული თავისუფლების განუყრელი ერთიანობის დემოკრატიული გადაწყვეტით ბოლომდე შეინარჩუნა იდეურ-პოლიტიკური, აგრეთვე მხატვრული ცხოველმყოფელობა და აქტუალობა. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ ბატონყმობის დროს დაწერილი პოემა იდეურ-პოლიტიკური რადიკალიზმით წინ უსწრებდა თავის ეპოქას, შორეულ პერსპექტივებს წარმოსახავდა და თავისი არსით იმ პერიოდისათვის არალეგალური ლიტერატურის სფეროს განეკუთვნებოდა. ამით აიხსნება, რომ ქართულ ლიტერატურაში ეგოდენი დევნა არც ერთ თხზულებას არ განუცდია, თვითეული თავი, თვითეული სტრიქონი ცენზურასთან თითქმის ოცი წლის ბრძოლით იქნა გატანილი, ისიც ათასგვარი მოხერხებითა და მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით.

როგორც ირკვევა, პოემის ხელნაწერი ილიას დამთავრებისთანავე გამოუგზავნია „ცისკარში“ დასაბეჭტად და მზრუნველობა თავისი მეგობრის — ილია წინამძღვრიშვილისათვის მიუზღვია, მაგრამ საქმე თავიდანვე გაძნელებულა. 1859 წლის ოქტომბერში „ცისკარმა“ (№ 10) შედარებით უწყინარი თავის გამოქვეყნება შესძლო დამოუკიდებელი ლექსის სათაურით — „არავგს“. ილიას დიდად აღელვებდა ამ ნაწარმოების ბედი; 1860 წლის შემოდგომაზე ი. წინამძღვრიშვილს სწერდა:

„მომწერე, ჩემი „აჩრდილი“ და „ჰაჯი-აბრეკი“ რა ყოფაში არიანო! „საქართველოს მოამბეშიც“, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა და, ცხადია, საცდელს არ დააკლებდა, ილიამ მხოლოდ სამი თავის გამო-
ქვეყნება შესძლო; ასე რომ, „კრებულის“ დაარსებამდე მკითხველი „აჩრდილს“ ორიოდ ნაწყვეტით იცნობდა; სხვა ნაწარმოებებთან ერთად ახალი ჟურნალისათვის ილიას „აჩრდილიც“ იმთავითვე გადაუ-
ცია, მაგრამ რედაქციას მხოლოდ 1872 წლის მე-8—9 ნომრიდან მო-
უხერხებია ბეჭდვის დაწყება. მართალია, დიდი ხარვეზებითა და სა-
ცენზურო დამახინჯებებით, მაგრამ პირველად მაინც „კრებულმა“ გა-
აცნო ეს პოემა საზოგადოებას. 1951 წლის აკადემიური გამოცემის
მიხედვით, „კრებულში“ 17 თავი დაიბეჭდა 25 თავიდან. აღნიშნულ
ნაკლოვანებებთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ ჟურნალში „აჩრ-
დილი“ თანმიმდევრულად ვერ იბეჭდებოდა — ჯერ ბოლო თავები და-
ისტამბა, შემდეგ — დასაწყისი.

გარდა IX თავისა², რომელიც ცენზურამ მთლიანად ამოაგდო, „კრე-
ბულში“ პოემა დაიბეჭდა I—XVIII თავები. ეს არის ილიას მიერ სა-
განგებოდ „კრებულისათვის“ გადამუშავებული „აჩრდილის“ მესამე
ვარიანტის პირველი ნაწილი. პოემის ბოლო ნაწილი (XIX—XXV) პო-
ეტს არც შეუსწორებია და, მაშასადამე, არც დასაბეჭდად წარუდ-
გენია. როგორც ცნობილია, პოემის ეს მეორე ნაწილი საქართველოს
ისტორიულ წარსულს ასახავს და სწორედ იმ ხანებში, 1872 წლის
ივლისში, ილია დ. ერისთავს სწერდა, ამ „აჩრდილმა“ ტყაყი გამა-
ძრო, მთავარი ხალხია და ჩვენს ისტორიაში ხალხი არა ჩანსო. საგუ-
ლისხმოა, რომ ამასობაში გრ. ორბელიანის „საღლეგრქელოც“ გამო-

¹ პ. ინგოროციას აზრით (იხ. ქვეყნაძე, თხზ., 1951, ტ. I, გვ. 268),
ეს წერილი 1861 წლის აპრილში უნდა იყოს გამოგზავნილი პეტერბურგიდან და
მასში აღნიშნულ ნაწარმოებთა ცალკე წიგნად გამოცემა უნდა იგულისხმებოდეს.
მკვლევარს არავითარი საბუთი არ მოაქვს თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად,
ხოლო მოტანილი ამონაწერი ამის საფუძველს არ იძლევა. ფაქტებს კი, სულ სხვა
დასკვნამდე მიყვავართ. 1861 წლის აპრილში ილია საქართველოში იყო. წერილი
გამოგზავნილია არა უგვიანეს 1860 წლის ოქტომბრისა, რადგან „ჰაჯი-აბრეკი“,
რომლის შესახებაც ილია სწერს, „ცისკრის“ 1860 წლის მე-11 ნომერში უკვე და-
იბეჭდა. ამასთან, ილიამ კარგად იცოდა, რომ ცენზურა, რომელიც „აჩრდილის“
ცალკეულ თავებსაც კი არ უშვებდა „ცისკარში“, მისი ცალკე წიგნად გამოცემის
ნებას არ ღართავდა. ილიასა და წინამძღვრიშვილის მიმოწერიდან სხვა ბარათები
არ შემორჩენილა, მაგრამ აღნიშნული ამონაწერის ტონიც გვიჩვენებს, რომ ილია
პირველად არ მიმართავს მეგობარს ამ თხოვნით. ბარათში ილია „ცისკარში“ და-
საბეჭდად წარდგენილ ხელნაწერებზე წერს და განსაკუთრებით, სტატიაზე — რე-
ვაზ შალვას ძე ერისთავის „შეშლილის“ თარგმანის გამო; „აჩრდილის“ დაბეჭდ-
ვის იმედი კი, ეტყობა გადაწურული აქვს.

² ეს თავი სარჩევში აღნიშნულია („კრებული“, 1873, 5—6), მაგრამ ცენზურას
არ გაუშვია.

ვიდა და „აჩრდილის“ ავტორს სრულებით ცეცხლად მიიზიდავდა, მსგავსად რომანტიკოსი პოეტისა, ფარნაოზისა და მირიანის აჩრდილების გამოწვევა.

„აჩრდილი“ მთლიანად 1881 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ 2, 3), მაგრამ ზოგიერთი ადგილი („გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან“ — მომდევნო სამი სტრიქონი) არც იქ გაუშვა ცენზურამ.

ილიამ კარგად იცოდა, როგორ სიძნელებთან იყო დაკავშირებული „აჩრდილის“ დაბეჭდვა და 1871 წლის 18 იანვარს ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „ჩემი „აჩრდილის“ პირველ ნაწილს გიგზავნი. თუ მოგეწონოთ სრულიად დაბეჭდეთ. ვიცი, რომ XVI ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს („გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან“ და სხვ. — ა. კ.) ცენზორი ამოშლის. ისევ ისა სჯობია, ჩვენ წინადავე დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს“. საქმეს ვერც „წინადავე დასწრებამ“ უშველა, „ადელევებული ცენზორი“ დიდხანს აქიანულებდა ცალკეული თავების დაბეჭდვას და დუშეთში მყოფ ილიას ხშირად უხლებოდა რედაქციისათვის მიმართვა... „უმიკოვს ჩემი „აჩრდილი“ აქვს, — სწერდა კირ. ლორთქიფანიძეს, — VII, VIII და IX მუხლი, დაბეჭდვ, იმ სათაურით, როგორც ადრე იყო დაბეჭდილი „კრებულში“¹.

საცენზურო და ტექნიკური მიზეზების გამო „კრებულისა“ და აკადემიური გამოცემის ტექსტს შორის საგრძნობი შინაარსობრივ-სტილისტური განსხვავებაა.

მაგრამ, საცენზურო დევნის მიუხედავად, ამ უტრნალში „აჩრდილის“ სავსებით შენარჩუნებული აქვს მხატვრული მთლიანობა, რევოლუციურ-დემოკრატიული სული და ამადელევებლად წარმოგვისახავს ლალ პოეტურ ოცნებას სოციალურ და ეროვნულ თანასწორობაზე. სანატრელი მომავალი, რომელიც პოეტს „შრომის სუფევის“ სამყაროდ ესახება, გასხივოსნებულია კაცთა შორის სიყვარულის ხილვით. მყობადის კონკრეტულ იდეალს განსაზღვრავს არა მაცდური ფანტაზია, განყენებული კეთილი სურვილი და ზოგადი მინიშნება, არამედ წარსულისა და აწმყოს სინამდვილიდან აღებული ჩაგვრათანასწორობის, ბრძოლისა და ძმობა-სოლიდარობის სურათები. ამიტომაც ესოდენ დამაჯერებელი და იმედის მომნიჭებელია ავტორის რწმენა:

შრომის სუფევა მოვა მაშინა
ქეშპარტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით...

¹ ცენზორის მიერ ნაჭიფნი „აჩრდილის“ „კრებულისეული“ ავტორგრაფი დაცულია კირ. ლორთქიფანიძის არქივში (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი).

მაგრამ ამ პოემიდან რომ დემოკრატიული იდეების, მომავლის რწმენის, ჰუმანიზმის, ხალხთა ძმობის, რევოლუციური ბრძოლის საილუსტრაციო ადგილების მოტანას შევეუდგეთ, მისი მთლიანად გადმოწერა დაგვეჭირდებოდა. ბოლოსდაბოლოს, საქმე ცალკეული სტრიქონები კი არ არის, არამედ ნაწარმოების მთლიანი პათოსია, რომელიც ეპოქის ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივ-ეროვნული მისწრაფებებისადმი უგულწრფელესი ერთგულებითაა წარმოქმნილი.

ი. ჰავჭავაძისათვის თავისუფლება უნივერსალურად ფართო ცნებაა, ადამიანური არსებობის დიადი მრავალფეროვნებაა. აი, როგორმა მსოფლშეგრძნებამ, სამყაროს როგორმა აღქმამ განსაზღვრა „აჩრდილის“ არაჩვეულებრივი მასშტაბურობა დროსა და სივრცეში, აი, რამ განაპირობა მისი ბუნებრივი მრავალმოტივიანობა. წარსულის სურათები, რომლებიც პოემის ბოლოშია გადატანილი, აწმყოსა და მყობადის კონტრასტადაა წარმოსახული და თანამედროვეობის ცნოველი სულითაა გააქტივებული. ილიამ ისტორიაშიც გვაგრძნობინა ხალხის კოლექტიური ნებისყოფა და გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ მეფეთა ჩრდილებზე მალა ერის ერთიანი შემართება და შემოქმედება დააყენა. რევოლუციურ-დემოკრატიული ჰუმანიზმით გაყვნილი პოემა პატრიოტულისა და ინტერნაციონალურის ერთარსებას უმღერის. ამ განუყოფელი კავშირის აზრი პოეტს მეტად ორიგინალურად და ფაქიზად აქვს ხორცშესხმული. სანატრელი გმირი, რომელსაც პოეტი დაჩაგრულთა მხსნელად მოუხმობს, საერთო ინტერესების დამცველია; თუმც პოემაში ქართველ გმირთა სახეებია გაცოცხლებული, მაგრამ პატრიოტის ზოგადი სახის გამოსაქანდაკებლად, პოეტი შეგნებულად არღვევს ვიწრო ეროვნულ ჯებრს. და მის დამახასიათებელ ზოგად ნიშნებს იღებს:

წმინდაა იგი, ვისაც ელირსა
მამულისათვის თავის დადება,
...მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს.

ილია კვალდაკვალ მიჰყვებოდა ცხოვრებას. „აჩრდილის“- პირველ ვარიანტში მას განაწამები ყმები ედგნენ თვალწინ; მესამე ვარიანტის წერისას, პარიზელ კომუნართა შემტევი გუგუნი ესმოდა და ამან რევოლუციური მგზნებარება შეჰმატა პოემას. „ქართველის დედა“, „აჩრდილი“ და ლექსი პარიზის კომუნაზე თავისუფლების ერთი უჩვეულო ჰიმნი იყო, რომელიც მკითხველს „კრებულის“ ფურცლებიდან ესმოდა.

„აჩრდილი“ თვალს ვერ მოგვეჭრის საზეიმო რითმაკაზმულობით, ბრჭყვიალა პოეტური სამკაულებით, ალაგ-ალაგ, საკმაოდ მძიმეცაა,

ზოგან ნაძალადევე გამოთქმებსაც ვხვდებით, მაგრამ, რაღაც გრძნეული ალლოთი შერჩეული და ზუსტად თავის ადგილზე ნათქვამი, ერთიან პათოსს დამორჩილებული და საერთო სულისკვეთების ახალი შუქით აელვარებული ეს არასწორი ფორმებიც კი, არა მარტო კანონიერ უფლებას იხვეჭს, არამედ კიდევ გვხიბლავს მოულოდნელად შეძენილი ორიგინალობით.

თავისებური გაგებით, „აჩრდილი“ ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების სათავეა, მასში, თითქმის ყველა მისი ნაწარმოების შორეული საწყისებია თავმოყრილი და მთელი მისი შემოქმედების საერთო სული ტრიალებს.

„კრებულში“ ილიამ სტუდენტობის დროს დაწერილი რამდენიმე სატრფიალო ლექსიც გამოაქვეყნა. 1871 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა: „სატრფოვ, ხშირად ლალი ფიქრი“, მე-2 ნომერში — „ახ, სად არიან, სიკაბუყევე, სიტყბონი შენნი?“ და „ჩ...სს“ („უცხო თემის ყარიბ მთქმელსა, რათ აღმიგზენ სიყვარული?“), მე-3 ნომერში — „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი“; მე-4 ნომერში დაისტამბა ფილოსოფიურ-ლირიკული ლექსი — „ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის“. ყურნალში ეს ლექსი დაიბეჭდა ფსევდონიმით (***) და უთარილოდ. „სატრფოვ, ხშირად ლალი ფიქრი“ აკადემიურ გამოცემაში შეტანილია სათაურით „ს...ჩ...სას“ (გვ. 59) და ავტოგრაფის მიხედვით დათარიღებულია 1860 წლის 21 ივლისით. ტექსტა შორის განსხვავება სტილისტურ-ორთოგრაფიული ხასიათისაა. იმავე პერიოდს ეკუთვნის (1860 წლის 22 ივლისი) ლექსი — „ჩ...სას“ („უცხო თემის ყარიბ მთქმელსა“)..., რომელიც აკადემიურ გამოცემაში (გვ. 60) აგრეთვე, მცირე სტილისტურ-ორთოგრაფიული სხვაობითაა დაბეჭდილი. „ახ, სად არიან, სიკაბუყევე სიტყბონი შენნი“ აკად. გამოცემაში (გვ. 49) დათარიღებულია 1859 წლის 30 ნოემბრით, „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი“, — აკადემიურ გამოცემაშიც (გვ. 65) ზუსტად ისეა დაბეჭდილი, როგორც „კრებულში“¹.

ეს ლექსები მომხიბლავია გრძნობის სისპეტაკით, ჰაეროვნებითა და ნაზი სულიერი აღმაფრენით. ცეცხლოვანი სამოქალაქო-პოლიტიკური ლექსების გვერდით, სატრფიალო ლირიკა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პოეტის შინაგანი სამყაროს სიმდიდრესა და კეთილშობილებაზე. ილია წარმტაც ოცნებათა აღმძვრელ სიყვარულს უმღერის. კონკრეტული იმპულსი მის ლექსებში მხოლოდ ამ ოცნებათა შორეულ მიზეზად შეიქნება. ორი ლექსი-„ს...ჩ...სას“ და „ჩ...სას“, სოფიო ჩაიკოვსკაიას ეძღვნება, მაგრამ ქალიშვილის პორტრეტი არც ერთგან არ ჩანს; ამ ლექსების მიხედვით, იმის თქმაც არ შეიძლება, იცნობდა

¹ შედომითაა მიითვებული, ეს ლექსი ყურნალის მე-2 ნომერში დაიბეჭდა.

თუ არა პოეტი მას. აქ ქალიშვილთან დიალოგიცაა, ალერსიც, „ტუჩის ტუჩთან ჩაკონებაც“, მაგრამ ყველაფერი „სუბუქ ფრთით“ ამალღებული ფიქრის ნაყოფია, თვით ლირიკული გმირის საერთო სულიერი ლტოლვის, მისი უაღრესი თავშეკავებისა და მოკრძალების გამოვლენაა. მატერიალურისა და სულიერის ასეთ მიმართებასა და გააზრებული გრძნობის სიციხადეში მელანქოლია ამ ლექსების რეალისტური ხასიათი. ჩვენი აზრით, ს. ჩაიკოვსკაიასადმი შორით ტრფიალების სტიმულითაა აღძრული მესამე ლექსიც — „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი“, რომელიც იმავე ხანებშია დაწერილი. გზავნიდა რა ამ ლექსებს „კრებულში“ დასაბეჭდად, ილია სალადობო მობოდიშებით სწერდა: „...ტრფიალების ლექსს ჩემსას გიგზავნი... ხანდისხან ამისთანა ლექსებზეც მსდომებია იმ უღარღელს და ცრულ მოტრფიალეს ქვეყანასა“¹. „კრებულში“ დაიბეჭდა აგრეთვე ილიას მიერ გადმოკეთებული პაინეს ორი ლექსი, რომლებსაც თარგმანებთან ერთად ვაწვებთ.

პაპაი წარმთელი

ორი დიდი სამოციანელის — ილიასა და აკაკის მხატვრული ქმნილებანი, მათი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში ერთმანეთის გვერდით „კრებულში“ გამოჩნდა. ორივეს ერთი მიზანი ასულდგმულებდა, ორივე სამშობლოსა და ხალხს უმღეროდა, მაგრამ თითოეულს მკაფიოდ განსხვავებული ხმა, გამოკვეთილი პოეტური ინდივიდუალობა ჰქონდა და მრავალ ხმაზე აქლერებული პატრიოტული სიმღერაც უფრო ფართო აუდიტორიას სწვდებოდა, უფრო მეტად იპყრობდა მკითხველთა გულს.

„კრებულში“ დაიბეჭდა აკაკი წერეთლის რვა ლექსი: 1. „ვარდის ხმაზედ“ (1871, № 4); 2. „ნადირობა“ (1871, № 5); 3. „მუხამბაზი“ (1872, №10—12); 4. „ჩემს მეგობარს ნ-ს“ (1873, №1); 5. „სხვადასხვაგვარი სიყვარული“ (1873, №2); 6. „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“ (1873, № 3); 7. „ორი სურათი“ (1873, № 3); 8. „სიმღერა“ (1873, № 10). გარდა ამისა, ფელეტონში „სტენა საპატიმროში“ ჩართულია ლექსი „აქედამ და ციმბირამდე დიდი ბიჭი იქნება“.

„ვარდის“ ხმაზედ“ ჟურნალში დაიბეჭდა ქვესათაურით: „ეუძღვნე ან. მუსხელიანსას“: აკადემიურ გამოცემაში იგი შეტანილია შეცვლილი სათაურით „ჩონგური“ („მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს“). დათარიღებულია „კრებულში“ დაბეჭდვის

¹ ი. კ ა ვ ე ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1951, პ. ინგოროყვას შენიშვნებით 39. 412.

მიხედვით 1871 წ¹. მიძღვნა, რომელიც ერთადერთ ხელნაწერში გვხვდება, ამოღებულია.

„ნადირობა“ აკადემიურ გამოცემაშიც (გვ. 141) იმავე ხათაურით, ქვესათაურით („ვეუძღვნი ჩემს ძალს“) და თარიღით (1864 წ.) არის დაბეჭდილი. ორ ტექსტს შორის რამდენიმე პრინციპული სტილისტურ-აზრობრივი ხასიათის განსხვავებაა. სტრიქონში, — რომელიც აკადემიურ გამოცემაში ასე იკითხება: „საზრდოს სუნით დაეძებენ“, — პირველი სიტყვა ცენზურას ამოუღია, მაგრამ იმ ეგზემპლარში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, ხელით ჩაუწერიათ: „ჩ...“ (ჩინებს). ორიგინალში, მართლაც, „ჩინებს“ უნდა ყოფილიყო, თორემ: „საზრდოს“ ცენზორი რას ერჩოდა! აკადემიური გამოცემის ტექსტში იმ სიტყვის შეცვლით („ჩინებს“ — „საზრდოს“), ეს ლექსი პოლიტიკურ-სატირულ სიმახვილეს კარგავს; „კრებულიდან“ ცენზორს მთლიანად ამოუღია სტროფი:

თავსხვილაა და შავპირი,
ჩამოუგდია ქვიქვირი,
ეხლა ვიცი, ვინც ბრძანდება,
ბატონია ღიღი ვირი.

აკადემიურ გამოცემაში ვკითხულობთ:

მაგის ყველას ეშინია,
რადგანც აქვს ღიღი ზინია.

„კრებულში“ ეს უკანასკნელი სიტყვა ამოშლილია, მაგრამ ხელით ჩაუწერიათ: „ჩინია“, აკადემიური გამოცემის ტექსტი უშინაარსია: ცენზორი, ცხადია, „ზვინს“ არ ამოშლიდა; შინაარსისა და სატირის მიხედვით, აქაც „ჩინია“ უნდა იყოს.

„მუხამბაზი“ („ნახევარი ცხოვრების გზა განვლიე“) აკადემიურ გამოცემაშიც (გვ. 256) დაბეჭდილია იმავე სათაურით და თითქმის უცვლელად.

„ჩემს მეგობარს ნ...ს“ აკადემიურ გამოცემაში შეტანილია სათაურით: „ჩემს მეგობარს“ (გვ. 269); მიძღვნა ამოღებულია, თუმცა ის ავტოგრაფშია არის. დათარიღებულია „კრებულში“ დაბეჭდვის მიხედვით (1873 წ.). „სიმღერა“ აკადემიურ გამოცემაში (გვ. 274) სრულიად უცვლელადაა შეტანილი და დათარიღებულია „კრებულში“ დაბეჭდვის მიხედვით: 1873 წ.

„კრებულში“ გამოქვეყნებული აკაკის ლექსები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მისი პოეზიის თემატიკასა და მოტივებზე, იდეურ მი-

¹ ა. წერეთელი, თხზულებანი, გ. აბზიანიძის რედაქციით, ტ. I, გვ. 208; „კრებულში“ დაბეჭდილი ყველა ლექსი შეტანილია I ტომში.

მართულებასა და ლიტერატურულ ღირსებაზე. ეს ნაწერები საინტერესოა მხატვრული მასალის მიგნებითა და უშუალო შეგრძნებით, მსუბუქი პოეტური ენით, მწვავე სატირით, პუბლიცისტური მამხილებლობით და განაჩენით. ხალხის სამსახურს, მისი ინტერესებისათვის ბრძოლას, მაღალი იდეალების დამკვიდრებასა და ბოროტების დამხობას აკაკი მწერლის წმინდა ვალად რაცხს.

ყოველდღიური ნაკლის ალეგორიული გმობა, ხოლო ზოგჯერ უმნიშვნელო ფაქტიც, აკაკის ლექსში ისეთ შინაგან პათოსს იძენს, რომ ლექსის იდეას შორსმწვდომი განზოგადება ეძლევა. დღეს ადვილად ვერც კი დავიჯერებთ, რომ აკაკის ლირიკული შედეგები — „სიმღერა“, რომელიც თაობათა საბრძოლო ჰიმნად და ახალი ლექსების შთაგონებად იქცა, 1873 წელს რამდენიმე ქართველი ქალიშვილის საზღვარგარეთის უმადლეს სასწავლებელში წასვლის საბაბით დაიწერა¹. ეს ლექსი საუკეთესო მაგალითია აზრისა და გრძნობის შეერთებისა, ნათელი პოეტური აზროვნებისა და ლაკონიზმისა. ოპტიმისტური ლექსები იმ დროს არა ერთი და ორი დაწერილა, მაგრამ ამ ლექსის ხალისიანი ტონი, ძლიერ შესამჩნევი, რღაც გამახალისებელი სევდით შეფერადებული ლაღი, მაჟორული ჟღერა გულმიმტაცი და გადაადგები. მისი საბრძოლო სულისკვეთება ეპოქის ჩარჩოებიდან ამოდის და უფრო შორეულ ხანას ეხმიანება:

დაგვიზამთრდა, სუსხმა დაგვკრა,
ტყბილტაროსი შეგვეცვალა
და უწყალო ქარიშხალმა
აორკეცა თვისი ძალა...
ღე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას,
ქარიშხალმა გებეროს ველით,
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!

ბასრი პოლიტიკური სატირის ნიმუშებია „ნადირობა“ და „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“. პირველში მხილებულნი არიან არისტოკრატები და მეფის მსხვილი ჩინოსნები, ხოლო მეორეში — საცენზურო ტერორი, საერთოდ, თავისუფლებისა და, კერძოდ, ხელოვნების ყოველგვარი შეზღუდვა.

დიდი გამოხმაურება გამოიწვია ლექსმა „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“. აქაც, ისე როგორც წინ დასახელებულ ლექსში, ავტორი ისეთ გამკვირვალე ალეგორიას მიმართავს, რომელიც არსებითად აზრის პირდაპირი მნიშვნელობის დაფარვის ხერხს კი არა, მისი მეტი რელიეფურობით გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს.

¹ ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, 1940, გვ. 270.

აკაკი ამ ჟურნალშიც ალეგორიის დიდოსტატად გვევლინება. ალეგორიულია მის ლექსებში კონკრეტული მხატვრული სახე, ცალკეული სიტყვები, ლექსის მთლიანი აზრი. ლექსი — „ჩემს მეგობარს...“, რომელიც თითქოს სატრფიალო-ინტიმური ხასიათისაა, ნამდვილად მწვავე საზოგადოებრივ-ეროვნულ ტკივილს გამოხატავს.

ბუნების სურათისა და ლირიკული გმირის სულიერი განწყობილების კონტრასტი ფართო მასშტაბის სოციალურ ალეგორიას ქმნის ლექსში — „ორი სურათი“. „მუხამბაზის“ მტანჯველი საზოგადოებრივ-ეროვნული სევდა იმედის ხალისიან, ნათელ ფერებში გადადის.

მამია გურიელი

დღეს ძნელი წარმოსადგენია, თუ დიდების რა მაღალ მწვერვალზე იდგა ამ შვიდი-რვა ათეული წლის წინათ მამია გურიელი. ყველა ქართული გამოცემა აღტაცებით ბეჭდავდა მის ლექსებს, აქებდნენ კრიტიკოსები, კრებულებსა და ანთოლოგიებში შექპონდათ მისი ნაწერები. ხშირად, გვარსაც არ აწერდნენ მის ლექსებს, საკმარისი იყო მხოლოდ „მამია“¹ — ისე როგორც: ილია, აკაკი, ვაჟა; ერთ წიგნად სცემდნენ „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავ ადგილებსა და მამია გურიელის ლექსებს². მისი სახელი რაღაც რომანტიკული შარავანდედით იყო მოსილი. ბევრს ლაპარაკობდნენ მის სენსაციურ სამიჯნურო თავგადასავლებსა და სასამართლო პროცესებზე, ტოლუმბაშობასა და დეკლამატორობაზე. მამია თარგმნიდა ჰომეროსს, ბაირონსა და ლერმონტოვს. ლაისტი და თხორევესკი მამიას ლექსებს რუსულად და გერმანულად თარგმნიდნენ; მამიას ლექსებს სკოლაში ასწავლიდნენ; მის ლექსებზე კომპოზიტორები მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ. მამია შოთა რუსთაველის როლს თამაშობდა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ სურათებში.

„კრებულის“ დაარსების დროს მამია გურიელი სახელმძღვანელო მგოსანი იყო. მისი პირველი ლექსი („ფარვანა“) 1860 წლის „ცისკარის“ იანვრის ნომერში დაიბეჭდა. „დროებაში“ გამოქვეყნდა „შოშია“ (1867, № 17), „ძმავ, მეგობარო, აზრით, გონებით!“ (1867, № 51), „ადამიანი“ (1868, № 2), „ფანტაზია“ (1868, № 17), „სნეული“ (1870, № 14) და სხვ.

ისე როგორც სხვა ჟურნალ-გაზეთებში, მამია „კრებულშიც“ ფაზელის ფსევდონიმით აქვეყნებდა ნაწერებს. აქ მისი შვიდი ნაწარმო-

¹ „ჩანგი“, ვ. აბაშიძის გამოცემა, 1892 წ.

² „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი ადგილები და რამდენიმე ლექსი მ. გურიელისა... 1897.

ები დაიბეჭდა: „ებრაული მელოდია“ (ბაირონიდამ), (1871, № 5); 2. „ჩემს ძმას და მეგობარს ჯამბაკურს“ (1871, № 5); 3. „დემონი“, ლერ-მონტოვის პოემა (1872, № 6); 4. პოემიდან „რაშიდ ვარდიძე“ (1872, № 7); 5. „კითხვა“ (1872, № 8—9); 6. „სატრფოსადმი“ (1872, № 8—9); 7. ბაირონის „გიაურიდამ“ (1872; № 10—11—12).

„ჩემს ძმას და მეგობარს ჯამბაკურს“ 1897 წლის გამოცემაში დაბეჭდილია სათაურით: „ჩემს ძმას ჯაბას“ (გვ. 67), მცირეოდენი სტილისტურ-ორთოგრაფიული შესწორებებით¹.

„რაშიდ ვარდიძე“ ნაწყვეტია პოემის „რაშიდ ვარდან-ოღლი“, რომელიც 1897 წ. გამოცემაში შეტანილია მთლიანად (გვ. 339); ამავე დროს „კრებულში“ გამოქვეყნებული ნაწყვეტი (შესავალი) დაბეჭდილია ცალკე ნაწარმოებად, შეცვლილი სათაურით — „რაშიდ ვარდან-ოღლი“ (გვ. 116).

„კითხვა“ სრულიად უცვლელადაა დაბეჭდილი 1897 წლის გამოცემაში (გვ. 122), მაგრამ 1873 წლითაა დათარიღებული, მაშინ, როცა ეს ლექსი 1872 წლის „კრებულში“ დაიბეჭდა.

„სატრფოსადმი“ 1897 წ. გამოცემაში (გვ. 13) შეტანილია უზნიშვნელო შესწორებებით.

მ. გურიელის აღნიშნულ ნაწარმოებთა ძირითადი მოტივი სამშობლოა, პოეტი საქართველოს დიდებას უმღერის, მაგრამ არ ჩანს, როგორ აქვს წარმოდგენილი ახალი საქართველო, არ ჩანს, რაზე ამყარებს მისი განთავისუფლებისა და ბედნიერების იმედს. როგორც ცალკე რეალიზების, ისე საერთო სულისკვთების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მას რესტავრაციის იდეა ამოძრავებს. მის ლექსებში ძველის განცდა უფრო მტკივნეული და თვალსაჩინოა, ვიდრე ახლისა. საბრძოლო მოწოდებაც არქაულ ხასიათს ატარებს, მოკლებულია ქმედით ძალას, ანგარიშს არ უწევს სინამდვილეს („ჩემს ძმას და მეგობარს ჯამბაკურს“).

მამია გურიელს თითქმის სრულებით არ აინტერესებს ეროვნული ბრძოლის სოციალური მხარე. მის შემოქმედებაში არ იგრძნობა თანამედროვეობის რთული და ღრმა საზოგადოებრივი ტკივილები; იგი უადრესად ცალმხრივი და შეზღუდულია. მისი ეროვნული მისწრაფებები პრინციპულად განსხვავდება თერგდალეულთა მსოფლმხედველობისაგან და დაშორებულია „კრებულის“ მაგისტრალურ ხაზს. იგი ვერ ხედავს ხალხს, ვერ ამჩნევს დიდ სოციალურ ძვრებს და ამიტომ მისი ეროვნული გრძნობა ავადმყოფურია, ხოლო მსოფლშეგრძნება — ღრმად პესიმისტური. პოეტი თითქოს თავს იიშვებებს: „ჭერ გულში შიში არ შემდისო“, მაგრამ იქვე ასე მიმართავს ჯამბაკურს: „ვნედაჲ,

¹ დაბეჭდილია მ. გურიელის თხზულებების 1940 წლის გამოცემაშიც, გვ. 29.

რომ. ...იქვები შემოგებარა მაგ ლომებრ მკერდში, მისთვის, რომ უკვალოდ წარხდნენ ფიქრები და მათგან არა გვრჩება რა ხელში.“ „იგი ცრემლით გლოვობს“ არა მარტო წარსულს, არამედ საკუთარ იმედებსაც. პოეტისათვის, რომელიც ძველით ძველის აღდგენაზე ოცნებობდა, საკვებით ბუნებრივია სამყაროს პასიური ჰვრეტა, სასოწარკვეთა, უსასობაში გადასული ჰედონიზმი და ეროტიკა. (ლექსი „კითხვა“).

„აუსრულებელი სურვილის სიყვარული!“ — ასე ახასიათებს მ. გურიელი თავის ეროვნულ მრწამსს, რომელიც თავისი სოციალური არსით არაჯანსაღია, არარეალური და ანტიდემოკრატიულია.

არათუ სამოციანელთა, არამედ გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობასთან შედარებითაც კი მ. გურიელის შემოქმედება კამერული, არაეპოქისეული და ნაციონალისტურია. ეს მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობა დიდ ზიანს აყენებდა მის მხატვრულ ნაწერებს. მ. ლერმონტოვის „დემონის“ სტრიქონი: „Нежальи робкие грузиниы“, მაშინამ თავისებურად გადმოაკეთა: „ფრთხალი ოსები გაიქცნენ მთაში“, ხოლო ბაირონის „გიაური“ მთლიანად საქართველოს ფონზე გადმოიტანა და მასში თამარისა და დავით აღმაშენებლის სადიდებლები ჩაურთო.

შეიძლება ითქვას, რომ მ. გურიელის ლექსები პოეზიის სამყაროს არ განეკუთვნება. მათში არ ჩანს პოეტური გრძნობის სინატიფე. აზრის მოხდენილობა და სიღრმე, სამყაროს პოეტური აღქმა: მისი ლექსები მთლიანად აღწერითი ხასიათისაა და ძალად გალექსილ ამბებს მოგვავაგონებს. მისი ემოციები დემონსტრატიულია, ალგორიები — გულუბრყვილობამდე ტენდენციური. აზრი — უხეშად მიკერძობული, ხოლო გამონათვის საშუალებები — პროზაული. მ. გურიელს არ გააჩნდა სიტყვისა და ფრაზის შეგვრძნება, მხატვრული ლოგიკა და, სამწუხაროდ, არც ლიტერატურული პასუხისმგებლობა: აშკარად ჩანს, რომ იგი სერიოზულად არ ამუშავებდა თავის ნაწერებს. ყოველივე ამას ზედ ერთვის აუტანელი ენობრივი ნატურალიზმი, როგორც ლექსიკის („გაისურსნიან“; „გაეიყნილი“, „სახსალით“), ისე სტილის თვალსაზრისით („ჩვენ ხალხსა ვრაცხდით, რაღაც წმინდებად“; „მათზე ნაყოფნიც კარგნი გამოვლენ“ და ა.შ.).

ი. მეუნარგიას გადმოცემით, მ. გურიელი გადაჭარბებული წარმოდგენისა ყოფილა თავის პოეტურ ტალანტზე. ჩვენ კი გვგონია, რომ იგი თვითონაც გრძნობდა თავის სისუსტეს (პოემა „რამიდ ვარდიძის“ დასაწყისი).

მაშ, რით უნდა აეხსნათ, რომ „კრებულმა“ ასე ფართო ადგილი დაუთმო მ. გურიელის ლექსებს? გარდა მამიას პოპულარობისა და პოეტების ნაკლებობისა, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ეს ნაწარმოებებიც ერთგვარად ხელს უწყობდა ეროვნული გრძნობის გამო-

ვიძებას და, მართალია, სხვა იდეური პოზიციიდან, მაგრამ მაინც გადაჭრით გმობდა არსებულ სინამდვილეს, წარმოადგენდა ერთგვარ პროტესტს თვითმპყრობელობისადმი, შეიცავდა მის ცალკეულ მანკიერებათა მხილვას. ამ აზრით, გარკვეულ ეტაპზე და გარკვეული მასშტაბით, მამია სამოციანელთა იდეურ თანამგზავრად წარმოგვიდგება. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა პოემა „რაშიდ ვარდიქი“.

ამ ნაწარმოებს პოეტო თითქმის ოც წელს წერდა (1872—1889 წწ.). პოემას საფუძვლად დაედო ი. ჰავკევაძის „იანიჩარის“ დედააზრი. ბედუქულმართობით შორს გატყორცნილი რაშიდი თურქების ჯარის ოფიცერია და თავისუფლებისმოყვარე შეემთიელებს (იუგოსლავია) ებრძვის, მაგრამ მის გულში სამშობლოს ხმა არ გაშქრალა და როცა მიჯნური მის ტანჯვას იგრძნობს და ეტყვის: „მერმე რა გინდა ამათ ჯარებში, შენი მამულის მესისხლეებთანო?“ — ის ყველაფერს მიატოვებს და გადაიქარგება.

პოემის შესავალში (რომელიც „კრებულში“ დაიბეჭდა) პოეტი სასტიკად კიცხავს საზოგადოებაში გამეფებულ გაუტანლობას. კარიერიზმს, ეგოიზმს, მლიქვნელობას, ჩინ-მედლებით გატაცებას. აბსტრაქტულად აქ მომავლის იმედიც იგრძნობა და ახალთაობისადმი სიმპათიაცაა გამჟღავნებული.

მრუხდავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, მ. გურიელის შემოქმედებას მაინც შერჩა ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა. იგი, უწინარეს ყოვლისა, წარმოდგენას იძლევა ეპოქის ლიტერატურული ცხოვრების მრავალფეროვნებაზე, მის განვითარებაში მიმდინარე წინააღმდეგობაზე.

გიორგი ჰალადიძელი

გიორგი ჰალადიძელი (გ. მ. ჭოჩაკიძე) „კრებულის“ ახალგაზრდა თანამშრომელთა ჯგუფს ეკუთვნის. იგი დავით ჩხორტუას, ივანე მესხის, ბესარიონ ჭაფარიძისა და ვლადიმერ ნიკოლაძის თანაკლასელი, მეგობარი და იდეური თანამოაზრე იყო. „კრებულის“ დაარსებისას მკითხველს უკვე კარგად იცნობდა მის ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებს, რომლებიც „დროებასა“, „სასოფლო ვაზეთსა“ და „მნათობში“ დაიბეჭდა. საყოველთაო ინტერესი გამოიწვია მისმა ლექსებმა: „დარჩენილი ჩერქეზი“, „მენავე“, „მოგონება“ („მანსოვს პირველად სასწავლებელში წასაყვანადა მე გამამზადეს“), „ელეგია“, „იმედი“, „საზანდრული“, „ქება შრომას“, „ფაცხა“ და სხვ. ამავე პერიოდში გ. ჰალადიძელი ბეჭდავდა „სცენებსა“ და ფელეტონებს („ციც-

ცივი ამბები“, „ჩვენებური სტენები“ და სხვ.); 1871 წელს ნ. ნიკოლაძემ საგანგებოდ განიხილა გ. ჭალადიდელის ნაწერები,¹ ხოლო ა. წერეთელმა მას ლექსიც მიუძღვნა. უკვე იმ დროს მღეროდნენ მის ლექსებს: „მოგონება“, „ფაცხა“ და „ქალაქელი ბიჭი ვარ“. ი. მანსვეტაშვილის გადმოცემით, ახალგაზრდობა მას აღმერთებდა, საზოგადოებას ის დიდ იმედად, ახალ ვარსკვლავად მიაჩნდა. 1870 წელს ს. მესხი უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ნ. ნიკოლაძის კრიტიკული შენიშვნების გამო „ჭალადიდელს უეჭველი ნიჭი აქვს“ და ხელი უნდა შევეწყუთოთ. ა. ხახანაშვილის სიტყვით, გ. ჭალადიდელს „ილიასა და აკაკის ღირსეულ მემკვიდრეთ თვლიდნენ“².

მაგრამ მალე პოეტი სამხედრო სამსახურში შევიდა და, აკაკის თქმით, „თავისი ნიჭი ზარბაზნების კვამლში გახვია“. პირველ ხანებში გ. ჭალადიდელი მანის აქტიურად მონაწილეობდა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

„კრებულში“, რომელსაც გ. ჭალადიდელი რუსეთიდან უგზავნიდა თავის ნაწერებს, მისი ოთხი ლექსი დაიბეჭდა: 1. პოემიდან — „უბედურნი“ (1872, № 8—9); 2. „გორდის მთაზე“ (1872, № 10—12); 3. „გუძღენი ნ. ს.“ (1873, № 3); 4. „ღურგალი“ (1873, № 10).

პოემა „უბედურნი“ 1875 წელს მთლიანად დაისტამბა „დროების“ კალენდარში. იგი სრულად არის შეტანილი გ. ჭალადიდელის თხზულებათა 1940 წ. გამოცემაშიც. „კრებულის“ ნაწყვეტი I, II და III თავებს შეესაბამება (გვ. 78); „უბედურნი“. პოემა ჩერქეზეთის ცხოვრებიდან“; დათარიღებულია: 1872 წ., კრასნოე სელო (დაბეჭდილია 1947 წლის გამოცემაშიც, გვ. 45). „კრებულისა“ და უკანასკნელ გამოცემათა ტექსტს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება.

ლექსი — „გორდის მთაზე“ უცვლელადაა დაბეჭდილი პოეტის თხზულებათა გამოცემებში. „ეუძღენი ნ. სკანდელს“ (გვ. 58) და რამდენადმე განირჩევა „კრებულის“ ტექსტისაგან.

„ღურგალი“ უცვლელადაა შეტანილი 1947 წ. გამოცემაში.

საზოგადოებრივი შინაარსითა და ლიტერატურული ღირსებით, „კრებულში“ დაბეჭდილი გ. ჭალადიდელის ოთხივე ნაწარმოები საინტერესოა. პოეტი სამშობლოს აღორძინებასა და შრომის განთავისუფლებას უმდერის, მტკიცედ დგას ჩვენი მწერლობის დემოკრატიულ პოზიციებზე და, როგორც იდეურად, ისე ფორმის მხრივ, მასში თავისებური სიმახვილე და ნიუანსებიც შეაქვს.

პოემა „უბედურნი“, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ლირიკულ სიუჟეტზეა აგებული. გულში ღრმად ჩარჩენილი ჭაბუკობის დროინდელ

¹ ნ. ნიკოლაძე, „ჭალადიდელის ლექსებზე“, „დროება“, 1871, №26.

² А. Х а х а н о в, «Очерки по истории грузинской словесности», 1895.

შთაბეჭდილებას პოეტი ფართო აზრობრივ და ემოციურ განვითარებას აძლევს, აქტუალურ ეროვნულ-სოციალურ განზოგადებამდე აპყავს. პოემის ლირიკულ გმირს (ასე ეუწოდოთ მას!) შავი ზღვის პირას შავთვალა ჩერქეზი ქალიშვილი შეხვედრიო; ჭაბუკ ოფიცერს შებრალებია ცხარედ მტირალი უცხო ასული და ძმობა შეუფთცავს. მაგრამ ქალს უარი უთქვამს: შენ ჩემს მოძმეებს გულს უგმირავდი, რის საფასურად მკერდზე ჭვარი ჩამოგიკიდნია და შენი მეგობრობა რად მინდაო. ჭაბუკს გული მოუკლა ქალიშვილის მხილებაჲ. იგი ახლა შორეულ ჩრდილოეთშია, მაგრამ ზღვის პირად მტირალი ქალი არ ავიწყდება.

ნაწარმოებში რელიეფურად და შთამბეჭდავადაა ხორცშესხმული ჩაგრულ ხალხთა სოლიდარობის იდეა. პოეტი მკაცრად უპირისპირდება ძველი თაობის თვალსაზრისს კავკასიის მთიელებთან ომის სამართლიანობაზე (დაე. მაჩაბლის პოემა „მთიული“, გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“ და სხვ.). იგი, არსებითად, გრ. ორბელიანის აღნიშნული ლექსის პასუხიცაა და საგულისხმოა, რომ ქრონოლოგიურადაც ემთხვევა მას. პოემაში მხატვრულად გაშლილი და ნათელყოფილია ილიას „აჩრდილის“ იდეა კავკასიის ერთა საბრძოლო სოლიდარობისა და ინტერესთა განუყოფლობის შესახებ. რენეგატ თავადაზნაურთა მთელი თაობის მხილებად გაისმის ჩერქეზი ქალიშვილის სიტყვები. ქალიშვილის საქმრომ უარი თქვა ჯალათის მოწყალებაზე, დათმო სიცოცხლე, შეყვარებული. და მკერდი მიუშვირა მტარვალთა ტყვიას. იდეური თვალთახედვით, ეს პოემა ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა თავისებური წინამორბედი.

გ. ჭალადიდელმა დაგვანახა მეფის არმიაში მოხვედრილ პატიოსან ადამიანთა, თვითმპყრობელობის უნებლიე მსახურთა დიდი სულიერი ტრაგედია. გამოხატა მათი სინდისის ქენჯნა და პროტესტი. ჩვენ ვგრძნობთ, რა მტანჯველად განიცდიდნენ ეს ადამიანები ხალხის საწინააღმდეგო მხარეზე დგომას და ვიცით, რომ გადამწყვეტ მომენტში ისინი ხალხთან იქნებიან. აკი ასეც ამთავრებს ლირიკული გმირი ჩერქეზის ასულთან ოცნებითს დიალოგს:

შენებრ, იცოდე, ჩემო შავთვალავ,
არც მე ვარ ბედის კმაყოფილია

პოეტური ტემპერამენტის, პატრიოტული აღტკინებისა და შემოქმედებითი წვის დადასტურებაა „გორდის მთაზე“. ამ ლექსს გასაცარი შინაგანი სიბო და მღელვარება გამოჰყოლია. მისი მაჟორული უღერა ნათლად გამოხატაჲს მაღალი საზოგადოებრივი იდეალებისადმი ერთგული პოეტის ოპტიმისტურ განწყობილებას. მცირე ფორმის ნაწარმოებში იდეალურადაა კონდენსირებული წარსულის, აწმყოსა და

მომავლის ერთიანი შეგრძნება. ლექსი გვხიბლავს უშუალოდით, უბრალოებით, შინაგანი დიალოგებითა და აღმავალი ექსპრესიულობით, ეს ლექსი, რა თქმა უნდა, უნაკლო არაა, მაგრამ აღნიშნულ ღირსებათა გამო მაინც მეტად საინტერესო მოვლენაა იმდროინდელ ლიტერატურაში.

ნ. ნიკოლაძისადმი მიძღვნილი ლექსი ერთგვარი გაპაექრებაა იმ კრიტიკული წერილისა, რომელშიც მან გ. ჭალადიდელის შემოქმედება განიხილა; ნაწარმოებში დეკლარაციულად დადასტურებულია ერთგულება „შრომის, ერთობისა და ბრძოლისადმი“. ნათქვამია, რომ პოეტი მუდამ წინა ხაზზე უნდა იდგეს და „ქვეითკირივით გულმაგარი“ იყოს, როგორც მეთმარი ბრძოლის ველზე; მაგრამ, გარშემო ტანჯვა, ოხერა-წუხილი გამეფებულა და ამიტომ, არ უნდა გაგიკვირდეს, თუ პოეტის სტრიქონებს სევდაც გაერევა.

გ. ჭალადიდელი ლირიკოსის საუკეთესო ღირსებებით იყო მადლმოსილი. მას ჰქონდა მგრძნობიარე გული, მეოცნებე ბუნება, შთაბეჭდილებიანი ხასიათი, ემოციური ფანტაზია; შეეძლო შეემჩნია და განეცადა სხვათათვის შეუმჩნეველი და უგრძნობელი, შეეძლო ფრთა შეესხა უცაბედად გაღვებულ გრძნობისათვის, საყოველთაოდ ექცია ინტიმური, და, ძალიან დასანანი ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ტრაგიკული მოვლენა, რომ ასეთ კაცს არ შეეძლო მთელი თავისი ნიჭი და უნარი პარნასზე მიეტანა. იგი თითქოს თავისთვის წერდა, თავისი სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გადაჰქონდა ჭალალზე დიდი დარდი და სიხარული, დახეწას კი, რაც უკვე საზოგადოებაში გასატანადაა აუცილებელი, ვერ ასწრებდა და ვერ ახერხებდა. ამიტომ გ. ჭალადიდელის პოეზიაში ჩვენ ისეთ ნიშნებს ვხვდებით, რომლებმაც მის შემოქმედებაში ვედარ ჰპოვა კლასიკური სრულყოფა და მოგვიანებით, სხვათა ნაწარმოებში განვითარდა; ისეთ თესლს ვამჩნევთ, რომელიც წლების შემდეგ, სხვათა შემოქმედებაში აღმოცენდა და სათანადო ნაყოფი გამოიღო. თემის, მხატვრული ჩანაფიქრის, მანერისა და ინტონაციის მხრივ, თუ კანონმდებლად არა, გ. ჭალადიდელი, ცალკეულ შემთხვევაში, პირველ მერცხლად მაინც გვევლინება. ასე ვუყურებთ, კერძოდ, მის საინტერესო ლექსს „დურგალი“, რომელშიც შრომის რიტმი და დემოკრატიული ფენების ხმა გვესმის. ეს ის ხმაა, რომელსაც ი. დავითაშვილის ლექსებიდან ვიცნობთ, და რომელიც შემდეგ ირ. ევლოშვილის შემოქმედებაში გაძლიერდა და დავაჟკაცდა.

იდეური რადიკალიზმით, პოეტური ოსტატობით, ლექსის სიმსუბუქით, შელოდიურობით და შინაარსის შესატყვის რიტმულობით, ენის სიტყვადითა და უბრალოებით, გ. ჭალადიდელის ლექსები თავისებურ ელფერს აძლევდა „კრებულის“ პოეზიას, გვერდს უმშვენებდა თავის

საამაყო მასწავლებლებს — ილიას და აკაკის. გვჯერა იმ ალტაცებულ სიტყვების გულწრფელობა, რომელიც გ. ჭალადიდელს 1873 წელს ჩაუწერია თავის დღიურში: „რა ძალა გაქვს პოეზია!.. შენ ხარ სარკე კაცის გულის. იმ შემთხვევაში, როცა გული ამადლებულია ცის სიწმინდეში და მოშორებულია კაცობრიობის უძირო ამაობას. მაშ, რა გჯობია შენ და რა გაწმენდს კაცობრიობის ზნეს, თუ არა შენ?“

ლიბიბრი ვაღვიწმინტოვი

„კრებულის“ 1872 წლის მე-10—მე-12 ნომრებში „დ. მ“-ს ინიციალებით დაბეჭდილი ლექსი „ჩიტი“ მარტივი ალეგორიული ნაწარმოებია და არც ფორმით, არც შინაარსით სერიოზულ ყურადღებას არ იმსახურებს. ცარიზმის მონობაში მყოფი საშობლოს მდგომარეობას ავტორი გალიაში დატყვევებული ჩიტის ბედს ადარებს, რაც იმ დროისათვის ძალიან ტრივიალურ-ალეგორიულ ხერხად უნდა ჩაითვალოს. მოძველებული ჩანს ლექსის სტილისტურ-მხატვრული ინვენტარიც.

პომეტური თარგმანი

„კრებულმა“ პრინციპულად წამოჭრა მხატვრული თარგმანის საკითხი და, როგორც თეორიულად, ისე შემოქმედებითი პრაქტიკით დიდად შეუწყო ხელი მთარგმნელობითი ლიტერატურის განვითარებას.

მწერლებს, რომელთაც ამა თუ იმ მომენტში არ გააჩნდათ რაიმე გადაუდებელი მხატვრული ჩანაფიქრი, პირდაპირ ურჩევდნენ, ხელი მოეკიდათ თარგმანისათვის.

უპირველესი პირობა, რომელსაც რედაქცია და კრიტიკოსები მთარგმნელისაგან მოითხოვდნენ, მასალის იდეური შერჩევა იყო. შეეფერება თუ არა ესა თუ ის ნაწარმოები ჩვენი ხალხის პოლიტიკურ ინტერესებს, მის თანამედროვე სულიერ და ინტელექტუალურ მოთხოვნებს, „ექნება იმას მკითხველ საზოგადოებაზე რაიმე ზემოქმედება თუ არა?“¹ აი, რა იყო ყველაზე მთავარი და საჭირობო. თუ არჩევანს იდეური გამართლება ჰქონდა, კრიტიკა მზად იყო ბევრი სისუსტე ეპატიებინა მთარგმნელისათვის.

ამ იდეური პრინციპის შედეგია, რომ „დროების“ „კრებულის“ და „მნათობის“ ფურცლებზე, თითქმის მხოლოდ სამოქალაქო ლირიკის

¹ ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872, № 2.

ნიმუშები იბეჭდებოდა და ეს, უპირატესად, ნეკრასოვისა და დობროლიუბოვის ლექსები იყო.

საგრძობლად გაძლიერდა ინტერესი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებისადმიც. ყურნალ-გაზეთებში სულ უფრო ხშირად ქვეყნდება ბაირონის, შილერის, გოეთეს, ჰაინეს, ბერანეს, ჰიუგოს ლექსები.

გაიზარდა მხატვრული მომთხვენელობაც, მთარგმნელისათვის აუცილებელ პირობად იქცა ენების საფუძვლიანი ცოდნა, ლიტერატურული ტალანტი, უანრობრივი პროფესიონალიზმი, საერთო განათლება. განიხილავს რა ი. ბაქრაძის გადმოთარგმნილ ბაირონის „დონ-კუანს“, — ნ. ნიკოლაძეს ინგლისურ ენაზე მოაქვს ვრცელი ადგილები და ცხადყოფს თარგმანის შეუსაბამობას ორიგინალთან.

კრიტიკამ საესებით სამართლიანი და ძალიან მკაცრი პირობები წამოაყენა. მთარგმნელი აუცილებლად შემოქმედებითად აღფრთოვანებული უნდა იყოს სათარგმნი ნაწარმოებით. სისხლხორცეულად უნდა შეიგრძნოს ორიგინალის სულისკვეთება, თვითეული დეტალის მხატვრული ნიუანსები, შეიგრძნოს ავტორის ჩანაფიქრის ყოველი ხვეული, განიმსჭვალოს თხზულების აზრითა და გრძნობით, ალღო აუღოს დედნის კილოს, რიტმს, ინტონაციას; ამოშიფროს მხატვრული სახეები, შეამჩნიოს კოლორიტი, მკაფიოდ წარმოსახოს ხასიათთა ბუნება. „თარგმანის დროს იგივე გრძნობა და იგივე მიმართულება გაუქდეს ტვინში, რომელიც თვითონ მწერალს ამოქმედებდა“. ნ. ნიკოლაძე „დონ ჟუანის“ მთარგმნელს უსაყვედურებს, რომ მას არ ესმის დედნის აზრი, ირონია, კილო... ის სამართებელივით მჭრელი ირონია, რომლითაც სავსეა ეს პოემა, ის მდულარე გრძნობა და ბრაზიანი სიძულვილი, რომლითაც სავსეა ეს პოემა“. შილერის — „ფიასკოს შეთქმულების“ თარგმანის მთავარ ნაკლად კრიტიკოსს ის მიაჩნია, რომ მთარგმნელს „ენის კილოც ვერ მიუგვია“. ეს იყო რეალისტური თარგმნის მოთხოვნები, რომელიც დედნის სწორ დახვევას გულისხმობდა და განწყობილებას მხატვრული შინაარსის განუყოფელ ნაწილად თვლიდა.

თარგმნა სრულფასოვან შემოქმედებით აქტად გამოცხადდა. პოეტურ ნაწარმოებთა თარგმნა პოეტთა პრივილეგიად იქნა აღიარებული; ლექსის მთარგმნელი უეჭველად თვითონაც კარგი პოეტი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ აღნიშნულ მოწოდებათა სიმალღეზე მდგომი მთარგმნელები, განსაკუთრებით პოეტები, იმ დროს ძალიან ნაკლებად გვეყავა და „კრებული“ იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. ყურნალს არ აქვს ერთიანი მთარგმნელობითი მეთოდი ან სტილი. რეალისტური თარგმანის გვერდით (ასეთია, ჩვენი აზრით ილია ჭავჭავაძის — „ირლანდიისადმი“, „ღვინეღამი“), გვხვდება რომანტიკულ-სუბიექტურ

(მ. გურიელს) და ემპირიულ-ნატურალისტური (კირ. ლორთქიფანიძის) თარგმანები. მასშინ როდესაც ილიას თარგმანები ზუსტად ასახავს ორიგინალის იდეურ-მხატვრულ არსს, მ. გურიელს ტენდენციურად შეაქვეს მასში ცვლილებები, ხოლო კირ. ლორთქიფანიძე სიტყვა-სიტყვით, ფოტოგრაფიულად გადმოსცემს დედნის შინაარსს. მაგრამ ხელიდან ეცლება პოეტური სახეები და ფერი. ილია ქავეკავადის თარგმანები ადეკვატურია, ხოლო მ. გურიელისა — სახეშეცვლილი. როცა ილია საგრძნობლად შორდება დედანს, ან ის შთაგონების შორეული იმპულსია მისთვის, ავტორის მითითებას მაინც ეთიკურ მოვალეობად მიიჩნევს, მაგრამ ლექსს მიბაძვად თელის, — რადგან აქ წინა პლანზე იჭრება „თვითმოქმედი“ ძალი შემოქმედობისა“.

ა. ხ. აუჰაინი

„კრებულის“ 1872 წლის მე-10—12 ნომერში მთლიანად დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის მიერ თარგმნილი პუშკინის „ძუნწი გმირი“ („Скупой рыцарь“). თხზულება გამართულია ათმარცვლიანი რითმიანი ლექსით, მწყობრად და თანმიმდევრულად. თარგმანის მიხედვით ორიგინალის დედააზრს მკითხველი ადვილად გაიგებს, მაგრამ მის მხატვრულ ბრწყინვალეობას ვერ იგრძნობს. მდაბიური ენა, ფამილარული კილო და გაუბრალოებული ლექსი ნაწარმოებს უკარგავს დრამატიზმს, შინაგან ცხოველყოფილობასა და სიდიადეს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ რაფიელ ერისთავს ორიგინალის არც ერთი დეტალი არ გამოუტოვებია და შინაარსობრივად არ შეუუცვლია, — თარგმანი მაინც გადმოკეთებად ან გადმოქართულებად უნდა მივიჩნიოთ. იმ დროს გავრცელებული თვალსაზრისის შესაბამისად, მთარგმნელს მხედველობაში ჰყავს რუსული ენის უმეცარი, ე. ი. დაბალი განათლების მკითხველი და აშკარად ეტყობა, რომ ცდილობს პოემის აზრი როგორმე მათ შეგნებამდე დაიყვანოს. ამ მიზნით ზოგიერთ ადგილს ის ხელოვნურად ავრცობს და აქა-იქ კიდევ აჭიანურებს.

Какой удар! Проклятый Граф Де Лорж!
 ახ, დელორჟ, დელორჟ! მოგტყუეს კისერი,
 შენ შეგაჩვენა ჩემმა გამხენმა!
 Как из стрелях вы вышли его.

უზანგობი დააცლევინეთ, ცხენიდან მარჯვეთ გადმოუძახეთ.
 Закрыв лицо! — შეპყვირა უცებ, ორიგ ხელები
 გან მიიფარა ლამაზ თვალებზედ.

ალბერ: Что он говорит бездельник Соломон?..
 ნეტა, რა გითხრა იუდას კერძმა, ცრუ სოლომონმა?

პოემა ამ პრინციპითაა გადმოთარგმნილი და მთარგმნელი, არსებითად, ტექსტის კომენტატორად გვევლინება. ჩვენი აზრით, „ძუნწი გმირი“ პოეტურ თარგმანს არ წარმოადგენს, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი განმანათლებლური თარგმანია და, ამ მხრივ, თავის დროზე მნიშვნელობაც ჰქონდა, — ხელს უწყობდა მდაბიო მკითხველთა შორის დიდი რუსი პოეტის შემოქმედების პოპულარიზაციას..

მ. ი. ლერმონოვი

ჩვენი მწერლები მუდამ არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენდნენ მ. ლერმონოვის შემოქმედებისადმი, კერძოდ, ქართულ თემაზე შექმნილი პოემებისადმი, მაგრამ ეს თხზულებანი ძნელად დასაპყრობ მწვერვალებად მიაჩნდათ და სახელდახელო იერიშს ერიდებოდნენ. ი. ჰაუჭავაძე ირონიულად შენიშნავდა რევან ერისთავს, კიდეც კარგი, რომ პუშკინისა და ლერმონოვისთვის არ მოგიციდნია ხელიო. ასე რომ, გაბედულ ცდად უნდა ჩაითვალოს მამია გურიელის მიერ „დემონის“ გადმოთარგმნა („კრებული“, 1872, №6). თარგმანი, რომელიც 1871 წელსაა შესრულებული, შეტანილია აგრეთვე პოეტის თხზულებათა 1897 წ. გამოცემაში, უმნიშვნელო სტილისტური შესწორებებით.

თარგმანი შეიცავს „დემონის“ პირველ ნაწილს მთლიანად და მეორე ნაწილს — პირველიდან მეორემეტე თავამდე. თუმცა X თავი ცალკე გამოყოფილი არ არის. ამრიგად, მ. გურიელს არ უთარგმნია XII, XIII, XIV, XV და XVI თავები. „კრებულში“ პოემა პუნქტირით თავდება, ხოლო 1897 წლის გამოცემაში აღნიშნულია, რომ „ბოლო აკლია“.

როგორც ცნობილია, „დემონი“ ლერმონოვის შემოქმედებაშიც გამოირჩევა ფილოსოფიური სიღრმით, ძლიერი ხასიათებით, ფილიგრანული დახვეწილობითა და შესაფერისი მონუმენტური სტილით. ამ პოემაში, რომელზედაც პოეტი თორმეტ წელს მუშაობდა, სრულად აისახა მისი იდეურ-მხატვრული მრწამსი. მიუხედავად მისტიკურ-ფანტასტიკური გარესამოსელისა, ფილოსოფიური გააზრებით, „დემონი“ რეალიზმთან მიახლოებაა, თანამედროვეობის მტკივნეულ პრობლემათა პასუხია. ამ ჩანაფიქრის ამოუხსნელად „დემონის“ ადექვატური თარგმნა ყოვლად წარმოუდგენელია. გარეგნულად მამია გურიელი ორიგინალის ტექსტს კვალდაკვალ მიჰყვება, მაგრამ შინაგანი განწყო-

ბილებით, საერთო იდეური კონცეფციით, სუბიექტურ ინტერპრეტაციას გვაძლევს. როგორც ჩანს, დემონი მისთვის მარადიული ბოროტი სულია, რალაც ლუციფერისა და მეფისტოფელის მსგავსი სატანაა. აქ თითქმის არ იგრძნობა მღვდლარე ადამიანური ტრადიცია, იმ ბოროტებათა შორეული წვდომა, რომელთა მიზეზით დემონი შერს იძიებს.

ალარაფერს ვიტყვით მ. გურიელის პოეტურ შესაძლებლობაზე, რაც „დემონის“ მსგავს ნაწარმოებთა თარგმნის აუცილებელი პირობაა. ამას ემატება უმწეო ქართული, ტლანქი რაციონალური ტენდენცია და ზერელობა.

მ. გურიელის თარგმანში სტრუქტურულად თითქმის ყველაფერი სწორად არის გადმოღებული, მაგრამ არც ერთი სახე, არც ერთი სიტუაცია, გადმოცემული არაა ზუსტად. მხატვრული ძლიერებით, დედნის სულის შემანარჩუნებელი კონტექსტებით:

1. Давно отверженный служил
в пустыне мира без приюта.
სოფლის ყრუ ველში ის დაბორცავდა
ღობას უმინზოდ, უნავსაყუდროდ.

2. И башни замков на скалах
Смотрели грозно сквозь туманы —
у врат Кавказа на часах
сторожевые вслужавы!
И дик и чуден был вокруг.

და ბურჯნი კოშკით მალა ელდეებზე
სატიკათ სჭერეტდნენ მალა ჟანღებთა:
კავკასის კართან მყოფი გუშაგზე
მცველები იღგნენ უზარმაზრებთა.
მხეცებრივ უცხო იყო ირგვლივათ...

3. Но если речь твоя лукава.
მაგრამ თუ ენა შენი კრელია და ა. შ.

მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს დიალექტიზმები, ბარბარიზმები, ნაძალადევი ენობრივი ფორმები: „კნიაენა თამარ“, „ყოველთვინ“, „ქალებთ შუა“, „ჩოხის სახლებს“, „რომლებს“, „მის უკან ჟაჟვი აქლემებისა, გრძელ წყრეთ შარაზე მილოდლებიან“: „თვალები ირგვლივ იყურებიან“, „დღეებთ ხსოვნება“, „მის თვალების წინ იგუფებოდა“, „იგრიხებოდა ძვირ სანახავათ“, „მან... შეეხო“ და სხვ.

„დემონი“ შთაგონებულია საქართველოს სიყვარულით და ღრმად გამსჭვალულია საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი, მისი ბუნებისა და ისტორიისადმი უსაზღვრო პატივისცემით გამოწვეული პოეტური აღმაფრენით. იდეალურნი არიან თამარი და მისი საქმრო, რო-

მელმაც სასოწარკვეთილ მდგომარეობაში „ააელვარა ხელში ყირიმი, ასკუპა ცხენი, გაიჭრა ბრძოლად“. ქართველთა ასეთი სიმამაცის მიუხედავად, ნაწარმოების საერთო ჩანაფიქრის მიხედვით, ისინი მაინც უნდა დაღუპულიყვნენ დემონთან ბრძოლაში და აი, აქ პოეტი რამდენიმე სიტყვას ხმარობს სასიძო თავადის ყმების აღსანიშნავად და უკანასკნელ სტრიქონში უარს არ ამბობს რითმად მოვარდნილ ერთ-ერთ სინონიმზე: „...нежалн робкие грузины“, რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუარ იმას, რომ დემონის (ეშმაკის) ნებით, თავადის მხლებლები დამარცხდნენ. ეს მომენტი, სხვათა შორის, სწორად არის გაგებული და გადმოცემული „დემონის“ უკანასკნელ (რ. თვარაძის) თარგმანში:

არ უბრძოლია ამაღას დიღხანს:
მხლურად გაიქცნენ თავადის ყმები.

მ. გურიელი ამ ადგილსაც ტენდენციურად თარგმნის:

დიღხან ომი არ გაგრძელებულა:
ფრთხალი ოსები გაიქცნენ მთაში.

მაგრამ ამ თვითნებობის გამო მთარგმნელი წინააღმდეგობაშიც ვარდება, რადგან მომდევნო თავში ნათქვამია:

Но злая пуля осетина
Его во мраке догнала.

პოემის მთლიან, ამაღლებულ ინტონაციას არღვევს რიტმული მეტყეობა, რასაც რვა და ათმარცვლიანი ლექსის მონაცვლეობა იწვევს.

ასეთი არსებითი ნაკლოვანებებითაც კი „დემონის“ თარგმანი მაინც საკმაოდ დამაინტერესებელია. აქა-იქ კარგ პოეტურ სტრიქონებსაც ვხვდებით:

|| Терек, прыгая, как львица
С косматой гривой на хребте.
თერგი მხტობარე, ვით ღომი შამშში,
ხუპუპის ფაფრით ქედშემკობილი.

კარგი მთარგმნელი იმ დროს სანთლით საძებნელი იყო და ლიტერატურული საზოგადოებრიობა ამ დარგში მცირეოდენ წარმატებასაც აღტაცებით ეგებებოდა. ამით უნდა აიხსნას, რომ მ. გურიელის თარგმანს დიდი ქება ხვდა წილად. „კრებულის“ მეექვსე წიგნის ბელეტრისტიკულ ნაწილში, — წერდა ს. მესხი, — ყველაზე პირველათ მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას მშვენივრათ ნათარგმნი უფ. ფაზელისაგან ლერმონტოვის პოემა „დემონი“. ...ზოგიერთი ადგილები

თარგმანისა და ლექსის ძლიერებითა და გამოთქმის სიმკვირცხლით სრულიად არ ჩამოუდგებიან უკან თვით ორიგინალსა¹.

მესხის ორიოდ შენიშვნით უკმაყოფილო მთარგმნელმა „თავის გასამართლებლად“ „დროებაში“ საპასუხო წერილი დაბეჭდა².

6. დობროლიუბოვი

„კრებულში“ დაბეჭდილია ნ. დობროლიუბოვის ოთხი ლექსი: „შეხვედრა“ (1871 წ., № 4), „შე ამობრწყინდა, დაჰხედა მთასა“ (1871 № 4), „გარდაცვალებაზედ“ (1873 წ. № 1) და „როცა ზამთარში გაკირვებული“ (1873 წ. № 8). პირველი ორი თომა კარგარეთელის ხელმოწერით გამოქვეყნდა, ხოლო დანარჩენი — ხელმოუწერლად. ოთხივე ლექსი კირ. ლორთქიფანიძის მიერაა გადმოთარგმნილი 1868 წელს პეტერბურგში ყოფნის დროს. კირ. ლორთქიფანიძის თარგმანები (თომა კარგარეთელის ფსევდონიმით) 1905 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა, ამასთან, ზოგიერთის ავტოგრაფი დატულია მის პირად არქივში (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში).

თარგმანში ლექსის სათაურები ან სრულებით არ არის მითითებული ან გამოცვლილია, რის გამოც ორიგინალთან მათი შედარება ყოველთვის ვერ ხერხდება.

„შეხვედრის“ თემაზე 1856 წელს ნიკ. დობროლიუბოვს რამდენიმე ლექსი დაუწერია. ისინი შეიძლება ერთმანეთის ვარიანტებადაც მივიჩნიოთ, მაგრამ ამ პოეტის თხზულებათა კრებულებში ცალკე ნაწარმოებებად არის შეტანილი. ძნელი სათქმელია, რომელი ვარიანტიდანაა შესრულებული კირ. ლორთქიფანიძის თარგმანი. მართალია, ის ზუსტად ემთხვევა შემოკლებულ ვარიანტს („Встреча“), მაგრამ მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა შეეფერხებია ადგილობრივ ცენზურას მისი დაბეჭდვა (რასაც ს. მესხი აცნობებდა კირ. ლორთქიფანიძეს). მოკლე და განვრცობილი ვარიანტის („Перед дворцом“) დასაწყისი და დასასრული ერთნაირია, მაგრამ მოკლე ვარიანტში გამოტოვებულია მეფის სასახლის შეჩვენება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კირ. ლორთქიფანიძემ ვრცელი ვარიანტი გადმოთარგმნა და რაკი ცენზურამ შუა ნაწილი (მეფის გმობა) ამოაგდო, თარგმანი შემოკლებულ ვარიანტს დაემთხვა.

ეს სიუჟეტისანი, პუბლიცისტური ლექსი აგებულია სოციალურ კონტრასტზე. პოეტი შეხვდება გათოშულ, მშვიერ, უპატრონო ბავშვს;

¹ „დროება“, 1872, № 14.

² იქვე, № 20.

ებრალება, მაგრამ არაფერი აქვს, რომ დაეხმაროს. პირდაპირ კი მო-
ჩანს მეფის სასახლე, სადაც უსაქმურები დროს ატარებენ და ხალხის
ბედ-იღბალზე არ ფიქრობენ:

Так безмятежно в нем царь русский пировал
Нищей ни вопль, ни стои́ ему не слышен.
По прихоти бросать он может миллионы,
Именьё у рабов, их жизнь, их честь отнять,
влететь, чтоб за него на смерть шли легионы.
Чтоб дочерью ему пожертвовала мать...

...Недиво, Русь, что в тьме, в лохмотьях,

в униженьи,

Замерзшии чувствами, терпя духовный глад, —
Хоть в ад ты бросишься по царскому веленью;
Вся жизнь твоя теперь — позорный, душный ад!

ცხადია, აქაური ცენზურა ამ სტრიქონებს არ გაუშვებდა და, ამი-
ტომ, თარგმანში სოციალური კონტრასტი დარჩა, მაგრამ მეფის სასა-
ხლისა და ხალხის დაპირისპირება ნათლად აღარ ჩანს.

„გარდაცვალებაზედ“ თარგმანია ნ. დობროლიუბოვის ლექსისა, —
„На смерть осины“², რომელიც 1857 წელსაა დაწერილი და მკაც-
რად ამხელს მეფის თეოთმპყრობელობას.

„დიდკაცების“ წინააღმდეგ მიმართული მწვავე სატირაა — „Ког-
да, среди зимы холодной...“³ („როცა ზამთარში გაჭირვებული“).

კირ. ლორთქიფანიძეს ლექსი თითქმის სრულებით არ ეხერხება;
მას ამ ნაწარმოებთა მებრძოლი იდეურობა აინტერესებს და აზრს პე-
დანტური სიზუსტით გადმოგვცემს. მისი თარგმანები პწკარედებს
მოგვაგონებს:

В лохмотьях, худенький, болезненный и бледный,
Дрожа от холода, с заплаканным лицом,
На площади меня раз встретил мальчик бедный
И сжалиться над ним молил меня Христом.
ერთხელ ქუჩაზედ პირგამზდარი ყმაწვილი შემხვდა,
იყო სნეული, ფერმიხდილი, თვალნამტირალი,
ძონძი ტანთ ეცა, სიცივისგან ის კანკალებდა,
ქრისტეს გულისთვის შეწევნასა მოხოვდა საწყალი.

არცთუ ისე ხშირ, რთულ პოეტურ სახეებს მთარგმნელი პროზაუ-
ლად გადმოგვცემს:

Ребенка я обнял с тоскою и любовью,
И долго плакал с ним... о нем и о себе.
ყმაწვილსა დაეუწყე მოფერება სიყვარულითა,
და მწარე ფიქრმა ჩვენს ხედღრზედა იქ შემოპყრო მე.

¹ Н. Добролюбов. Стихотворения, 1948, стр. 36 («Перед дворцом»)
к 49 («Встреча»).

² იქვე.

³ იქვე, გვ. 47.

ორიგინალისადმი მეტისმეტი ერთგულების გამო, ზოგიერთ ადგილს თარგმანში დაკარგული აქვს სიცხადე და დობროლიუბოვის პოეზიისათვის დამახასიათებელი პუბლიცისტური სიმახვილე. მაგალითად:

Плурый же, смерть, в моей отчизне,
Все в ней отжившес рази,
И зиямя новой, юной жизни,
На грудах трупов водрузи!
(«На смерть осомы»).
განსცხრი, სიკვდილო, მწუხარე მხარეს,
რაც აქ მიხრწნილა, შთანთქე, გაჟანტე,
და ხრწნილებისა ახალ სამარეს
ახალ ცხოვრების დროშა აღმართე!

კირ. ლორთქიფანიძის თარგმანებში ბარბარიზმები და დიალექტიზმებიც გვხვდება („სტოლები“, „ზალა“, „ბალის მუზიკა“, „ყმარწვილი“ და სხვ.), მაგრამ ამ ლექსებში მაინც დიდი სითბო, შინაგანი მღელვარება, პროტესტი და საბრძოლო განწყობილება იგრძნობა. ეს თხზულებანი სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა მკითხველ საზოგადოებაზე და ხალხოსან პოეტთა (ნ. ლომოური, ი. ბაქრაძე და სხვ.) შემოქმედებას თავისებური კილოც კი მისცა.

განიხილავდა რა ნ. ნიკოლაძის წერილს — „ახალი ახალგაზრდობა“, ს. მესხი შენიშნავდა: „ჩინებულად გადმოთარგმნილი დობროლიუბოვის ლექსი („გარდაცვალებაზე“) სკანდელის სტატიას“ ეპიგრაფად მოუხდებო.

ა. ნ. პლუშჩევი

ალექსი ნიკოლოზის ძე პლუშჩევის შემოქმედება, რომელიც ლერმონტოვისა და ნეკრასოვის სამოქალაქო ლირიკის შემაერთებელი საფეხური იყო, საგრძნობი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენში. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა, როცა ჩერნიშევსკის საქმესთან დაკავშირებით, 1863 წელს პლუშჩევი პასუხისგებაში მისცეს და მომდევნო წლებში მამხილებელი ლექსების მთელი ციკლი გამოაქვეყნა. პლუშჩევი ცნობილი იყო, როგორც საკუთარი საბრძოლო ნაწარმოებებით, ისე ტარას შევჩენკოს, შანდორ პეტეფის, თომას მურის და სხვა მოწინავე მწერალთა თარგმანებით.

ადგილობრივი ცენზურა მკაცრად სდევნიდა პლუშჩევის ნაწერებს. 1869 წლის 17 მაისს ს. მესხი კ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „...ჩემდა სამწუხაროდ, შენი პლუშჩევის ლექსები არ გაუშვა ცენზორმა — ეს მარსელისააო“, ამბობს“.

„კრებულში“ დაიბეჭდა პლემჩევის ორი ლექსი: „სიმღერა განდგომილთა“ (1873, № 2) და „კილოს მიმოქცევა“ (1873, № 7). არც ერთ მათგანს მთარგმნელი ხელს არ აწერს, მაგრამ როგორც ანონიმების გაშიფვრისას ვთქვით, ორივე კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის.

ორიგინალთან შედარებით, გამოირკვა, რომ კირ. ლორთქიფანიძეს ლექსის სათაურები შეუცვლია. „სიმღერა განდგომილთა“-ს დედანში სათაურად აქვს „Apostaten Marsch“ (Мотив одного немецкого поета) და დათარიღებულია 1865 წლით¹.

ლექსში მხილებული არიან ლიბერალები და სულმოკლე თანამგზავრები, რომლებმაც რეაქციის შედეგად, ზურგი შეაქციეს მოწინავე იდეებს და მტრის მხარეზე გადაბარდნენ. ლექსს, რომელიც კირ. ლორთქიფანიძეს ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოუღია, უალრესად აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვისაც; ის სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მერყევ ელემენტებს და ხელს უწყობდა მებრძოლთა შემკვიდროებას. თარგმანში კარგად არის შენარჩუნებული თხზულების აზრი და პუბლიცისტური მგზნებარება.

Пресмыкаться в грязь, ноги сильным лизать,
За подачку от них продавать убежденье,
Кто отважн и чист, на того клеветать,
Чтоб изведал беду и гоненье, —
Вот оно, призванье наше!..

ძირს ლაფში ბორღღვა, დიდკაცების ფეხებზე ხევენა,
მათგანს მოგდებულს ლუკამაია გაცვლა რწმუნების,
ვინც ბოროტს ებრძვის, თავს არა ჰხრის, იმათი დევნა,
რომ მათ სცნონ გემო უბედურების.

„განდგომილთა სიმღერა“, არსებითად, იმ ადამიანთა დიდების ჰიმნად უღერს, რომლებიც ბოროტების წინაშე ქედს არ იხრიდნენ და თავიანთი სიცოცხლე ხალხის ინტერესების სამსხვერპლოზე მიჰქონდათ.

ლექსს „კილოს მიმოქცევა“ სათაურად აქვს „Новый год“ და მიღწენილია ნ. ნეკრასოვისადმი²

ორიგინალში ეს ლექსი ორი ნაწილისგან შედგება; პირველი თავი წარმოადგენს მიძღვნას იმ მებრძოლთადმი, რომლებიც სამართლიანი ბრძოლისათვის დასაჯეს, მაგრამ ვერ შეარყიეს; იმათადმი, ვინც, კვლავ, შეუპოვრად განაგრძობს ბრძოლას; მეორე თავი „დიდკაცებისა“ და შოლალატეების წინააღმდეგ მიმართული სატირაა. თარგმანში მესამე თავიც გვხვდება; ეს არის ხალხის სამსახურისაკენ მოწოდება. ძნელი დასაშვებია, რომ ეს დამატებული ნაწილი თვით კირ. ლორთქიფანი-

¹ А. Н. Плещеев, Избранное, 1960, стр. 219.

² იქვე, გვ. 186.

ძეს ეკუთვნოდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული სტრიქონები მას პლემშევეის რომელიმე ისეთი ნაწარმოებებიდან აქვს ამოღებული, რომელიც პოეტის თხზულებათა კრებულებში აღარ შესულა.

საერთოდ, კირ. ლორთქიფანიძეს ამ ლექსის აზრიც უცვლელად აქვს გადმოღებული:

Всем, достигнутым несчастьем,
Всем, кого меж нами нет,
«С новым годом, с новым счастьем!»

ვისაც დაგესწროთ გზაზე აუღარი,
ვინაც ჩვენს შორის აღარ ხართ დღესა,
ყველას გულითად სალაშს გიგზავნი
და მოგილოცავ თან ახალ წელსა.

მართალია, მაღალი პოეტური კულტურით არც ეს თარგმანები გამოირჩევა, მაგრამ კირ. ლორთქიფანიძეს, სწორედ ისეთი ლექსები შეურჩევია, რომლებშიც მთავარია აზრი და სიმართლისადმი ერთგულების სულისკვეთება. დაბოლოს, ეს ლექსები საინტერესოა იმით, რომ მათში ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლთა გმირული სახეები იგულისხმება.

ი. ს. ნიკიტინი

პლემშევეის ზემოგანხილულ ლექსთა მოტივზეა დაწერილი „კრებულის“ 1873 წლის მე-5—6 ნომერში დაბეჭდილი ივანე საბას ძე ნიკიტინის ლექსი—„მთესველი“. 50-60-იან წლებში ნიკიტინი დიდად სახელმოხვეჭილი პოეტი იყო და რუსი რევოლუციონერი დემოკრატები ღირსეულად აფასებდნენ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შექმნილ მის თხზულებებს.

თარგმანი თუმცა ხელმოუწერელია, მაგრამ, როგორც ვთქვით, კირ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის.

ორიგინალში ამ ლექსს ცალკე სათაური არ აქვს; იგი 58-ე ნომრით არის შეტანილი ციკლში: „Пахарь“¹. სარეფრენო სტროფის მიხედვით, ეს ლექსი კირილეს ოთხ ნაწილად გაუყვია. შინაარსს მთარგმნელი სწორად გადმოგვცემს, მაგრამ პოეტური აღტაცება, შინაგანი პათოსი და ლაკონიზმი, რომელიც ნიკიტინის ლექსებს ახასიათებს, შეცვლილია პროზაული თხრობით, რის გამოც თარგმანს აკლია სიცხადე და მხატვრული სინატიფე:

¹ И. С. Никитин, Сочинения, 1955 г. стр. 38.

Медленно движется время,—
 веруй, надейся и жди...
 Зрели, наше юное племя!
 Путь твой широк впереди.
 ნელ-ნელა მიდის მუდამ დროება,
 გვმართებს იმედი, ლოდინი ჩვენა...
 იმრავლე, ჩვენო ახალთაობაჲ, —
 წინა მოგელის შარაგზა შენა.

ფრთიანი, ნათელი მეორე სტრიქონი, რომელიც ამ სტროფის მხატვრულ ღერძს შეადგენს, თარგმანში უფერულად, ნაძალევი კონსტრუქციითაა გადმოცემული. ეს საერთო უფერულობა, ფრაზის მოუქნელობა და მძიმე ენობრივი კონსტრუქციები ამდაბლებს კირ. ლორთქიფანიძის თარგმანთა მხატვრულ ღირსებას.

ვოლტერი

„ეურნალში დაიბეჭდა ალ. ჭავჭავაძის მიერ გადმოთარგმნილი „ვოლტერის თქმული, ხოლო ფრანცუზულის ენისაგან თარგმნილი ქართულსა ენასა ზედა თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისა მიერ“ (1871 წ., № 4). 1881 წ. ეს თარგმანი შეტანილ იქნა ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში (გვ. 71), აგრეთვე, პოეტის ნაწარმოებთა შემდეგ გამოცემებშიც; შემონახულია ავტოგრაფიც. მასზე ბევრს არაფერს ვიტყვი, რადგან ლევ. ასათიანს¹, ი. გრიშაშვილს², გ. გაჩეჩილაძეს³ აკ. კენჭოშვილს⁴ და სხვა მკვლევარებს საკმაოდ ვრცლად აქვთ განხილულ-შეფასებული.

„კრებულში“ მისი გამოქვეყნება, ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა ალ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, გამოხატავდა ფრანგ განმანათლებელთა ნააზრევისადმი ინტერესს. ვოლტერის „ტაქტიკა“, ჩვენი ფიქრით, უფრო აზროვნების დოკუმენტია, ვიდრე ლიტერატურისა. ჭერ მწიგნობარ მათეოზთან, ხოლო შემდეგ „ტაქტიკის“ ავტორ გენერალთან პაექრობაში, ავტორი გმობს ომებს, სისხლის ღვრას, სამხედრო ტექნიკას.

¹ ლ. ასათიანი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1958, გვ. 10 („ვოლტერიანობა საქართველოში“).

² ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, ი. გრიშაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით.

³ გ. გაჩეჩილაძე, „მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები“. 1959, გვ. 37, 39, 40.

⁴ აკ. კენჭოშვილი, ალ. ჭავჭავაძე (მონოგრაფია), 1953.

აჰა-მეთქი ესე წიგნი, ვს რა მამეც, შე წყეულმან?
...ზენარას ჩვენთვის ორი ხელი, ათი თითი და შეძლება
ამისთვის არ ზოუცია, რომ ვისწავლოთ დღის მოკლება.

მაგრამ გენერალი ასაბუთებს, რომ სამხედრო ტექნიკა და ხე-
ლოვნება აუცილებელია თავდასაცავად.

თუ ძალღებს არ შეინახავ, ვინ მოუვლის აბა ცხვარსა?
...დამიჯერეთ, ყველა ბრძოლა უსამართლო ნუ გგონიათ!..

მოპაექრე რწმუნდება, რომ ქვეყნის დასაცავად მზადყოფნა მართ-
ლაც აუცილებელია, — მაგრამ ნატრობს, ნეტავ ისეთი დრო დადგე-
ბოდეს, როცა სამხედრო ხელოვნება და ტექნიკა „ობხად დარჩეს და
უხმარად“.

ეს განმანათლებლურ-ჰუმანისტური თვალსაზრისი მახლობელი და
საესეებით მისაღები იყო ჩვენი სამოციანელებისათვისაც.

ბ ა ი რ ო ნ ი

ინგლისელი გენიოსის დაუოკებელმა მგზნებარებამ, პიროვნების
თავისუფლებისაკენ უსაზღვრო ლტოლვამ, გრძნეულმა პოეტურობამ
და ზნეობრივმა სიწრფელემ მოაჯადოვა ჩვენი ლიტერატურული ახალ-
გაზრდობა. „მგზავრის წერილებში“ ილიამ ბაირონი დაუდგარ
თერგს შეადარა და შთაგონებით უმღერა მის მომხიბლავ სიდიადეს,
ხოლო უფრო ადრე, 1861 წელს, ის წერდა: „ბაირონს... ცრემლის ნა-
ცვლად მდუღარე ტყვია სცვივა თვალთავან და კალმის მაგიერ ხელთ
ეპყრა მეხი“. ნარკვევში — „სხვათა შორის“ გამეფებული ბოროტე-
ბით გულმოკლული ნ. ნიკოლაძე ბაირონის სტრიქონებით ემშვიდო-
ბებოდა სამშობლოს:

Всѣи меня куда шибудь,
Лишь не к зем.те родной.

ეს არაჩვეულებრივი პატივისცემა არაჩვეულებრივ პასუხისმგებ-
ლობას აკისრებდა ბაირონის მთარგმნელს. განიხილავდა რა „მნათობ-
ში“ დაბეჭდილ „დონ ჟუანის“ თარგმანს (მთარგმნელი ი. ბაქრაძე),
ნ. ნიკოლაძე შენიშნავდა: „მისდგომიან ეს ვაებატონები... ბაირონს და
აწიოკებენ უმადლოდ და უღვთოდ... ვინ „მნათობი“ და ვინ ბაირონის
„დონ ჟუანი?“ ის სამართებლივით მკრელი ირონია და მდუღარე
გრძნობა და ბრაზიანი სურვილი, რომლითაც საესეა ეს პოემა“...¹

სამწუხაროდ, ვერც „კრებულმა“ შეძლო მკითხველთათვის ბაირო-

¹ ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872, № 10—12.

ნის სრულფასოვანი თარგმანების მიწოდება. მამია გურიელის მიერ გადმოთარგმნილი „ებრაული მელოდია“ (1871, № 5) და „გიაური“ (1892, № 10—11—12) მეტად მკრთალ წარმოდგენას იძლევა დიდი პოეტის შემოქმედებაზე¹.

ბაირონს დაწერილი აქვს „ებრაული მელოდიების“ მთელი ციკლი, რომელმაც რუსეთში იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია. სხვადასხვა დროს იგი თარგმნეს ნ. მარკევიჩმა („Новости литературы“ 1825 г.), ოზნობიშინმა, ნ. ბერგმა, პ. კოხლოვმა, ვ. კოსტომაროვმა და სხვ. ამ ციკლის ერთ-ერთი ლექსი — „სტიროდეთ!“ ილია ჭავჭავაძემ გადმოთარგმნა სტუდენტობის დროს.

როგორც შედარებამ დაგვარწმუნა, მამია გურიელის „ებრაული მელოდია“ გადმოღებულია მიხ. ლერმონტოვის კლასიკური თარგმანიდან, რომელიც შესულია ციკლში „Душа моя мрачна“. იგი ორი ნაწილისაგან შედგება, მეორე ნაწილი რუსულად ნ. გენდიჩის უთარგმნია². მიხ. ლერმონტოვის თარგმანი პირველად 1839 წ. დაბეჭდილა „Отечественные записки“-ს IV ტომში; ბაირონის თარგმანები იბეჭდებოდა აგრეთვე ჟურნალში „Библиотека для чтения“. აქვე დავსძენთ, რომ აღნიშნული ჟურნალები მაშინ ქართულ ლიტერატურულ წრეებშიც ფართოდ ვრცელდებოდა.

მ. გურიელი თარგმანს ნ. ნიკოლაძეს მიუძღვნის, მაგრამ არ ვიცით, მოეწონა თუ არა ბაირონის თაყვანისმცემელ კრიტიკოსს ეს ნობათი. ლერმონტოვის თარგმანთან შედარებით იგი უდავოდ სუსტია, ენა ფერმკრთალი და მოუქნელია, ჩამქრალია ნიუანსები, ალაგ-ალაგ ბუნებრივი მგზნებარება შეცვლილია მანერულობით, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მამიას თარგმანში მაინც იგრძნობა პოეტური მღელვარება, ბოზოქარი სული. ერთი შეხედვით, ეს გასაკვირიცაა, რადგან მთარგმნელის მხატვრული, კერძოდ, ენობრივი საშუალებანი, მეტად შეზღუდული ჩანს, მაგრამ ამ ნაკლს სძლევეს ორიგინალის პათოსის ინტუიტიური წვდომა და ჰარბი ემოციურობა, რომელიც განწყობილებას ქმნის. ამ ლექსის თარგმნისას კი ასეთი შინაგანი გამსჭვალვა აუცილებელი პირობა იყო და მას ბევრი ნაკლის არიდება შეეძლო. მაგალითისათვის მოვიტანთ მ. ლერმონტოვისა და მ. გურიელის თარგმანის ორიოდ ადგილს:

Душа моя мрачна. Скорей, певец, скорей!
Вот арфа золотая:
Пускай персты твои, промчавшись по ней,
Пробудят в струнах звуки рая.

¹ ი. შეუნარაიას შეკითხვაზე; მ. გურიელს თავის ყველაზე საყვარელ პოეტებად რუსთაველი და ბაირონი დაუსახლებია. იხ. მ. გურიელის თხზულებანი, 1897.

² Сочинения Лорда Байрона, в переводах русских поэтов, изд. Н. В. Гербея, 1864 г., стр. 14.

სული მაქვს მეტად შორებულს, მალე, მგოსანო, მალე, მიშველე!
აი, ჩანგურიც შენ ოქროსა.
დე, მაგ თითებით, ტრფობისა ეშხით, მკედარი სიმები გააცხოველე!
დე, მათ გამოსცენ ხმა სამოთხისა.

Я говорю тебе: я с тех хочу, певец,
Иль разорвется грудь от муки.

შეს გეუბნები, ჩემო მღერალო, მე ცრემლები მსურს, მხოლოდ ცრემლები, თორემ დარდებით გული გააქდება!

თარგმანი უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ მასში არ იყოს გაუგებარი და პროვინციული გამოთქმები: „გაისურსნიან“, „გაუიჟინილი“, „სახსალით“. მცირეოდენი ენობრივ-სტილისტური შესწორებებით ეს თარგმანი შეტანილია მ. გურიელის თხზულებათა 1897 წლის გამოცემაში (გვ. 70).

ტენდენციური თარგმანის ნიმუშად მიგვაჩნია „გიაური“. „კრებულში“ ამ პოემის შესავალი ოთხმოცდათვრამეტი სტრიქონი დაიბეჭდა, ხოლო ორიგინალში ის ათასრვაას სტრიქონს აღემატება. ბაირონი საბერძნეთის გარდასულ დიდებას უმღერის, მის აწმყოს დასტირის და აღორძინებაზე ოცნებობს. მამია გურიელი თავიდანვე სცვლის პოემის ფონს და არსებითად შესავალშივე ცდილობს ბერძნული პეიზაჟები ქართულით შესცვალოს, ხოლო სადაც სიუჟეტური ნაწილი იწყება, მთარგმნელი უცერემონიოდ გადადის საქართველოს ცხოვრებაზე. ბაირონი შრისხანედ გმობს თურქ დამპყრობლებს, ოსმალურ ტირანიას და, ცხადია, ამ სახით გადმოკეთებული პოემა ცენზურას არ მოეწონებოდა — მან ცარიზმის საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. გაგრძელებაც ამიტომ აუკრძალავთ. დასასრული ცენზურის წერტილებითაა დაფარული, ხოლო სქოლიოში რედაქცია შენიშნავს: „ეს ალაგები გამოცვლილია. იქ, საცა საბერძნეთი უნდა იყოს, იმის მაგიერათ თარგმანში საქართველოა მოხსენებული“. ამ შენიშვნით რედაქციამ მაინც აკრძნობინა მკითხველს მთარგმნელის იდეური ჩანაფიქრი.

მ. გურიელის თხზულებათა 1897 წლის გამოცემაში ცენზურის მიერ აკრძალული ადგილებიც შეტანილია და, ამის მიხედვით, შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ მთარგმნელის (ან გადმოკეთებლის) შემოქმედებით მეთოდზე. „გიაურში“ მთარგმნელს ასეთი ადგილები შეაქვს:

ქართლო, შენა ხარ, ოჰ, დალუპულო,
ნუთუ ეს არის შენი შეენება?
აქ შოდი, მონავ ძალწაღებულო,
არ მწამს, არ მჭერა მე ეს ჩვენება.
...რა გამოხსნისთვის ომი ასტყდება
ერთხელ ველებში საშობლოსა...
და გამარჯვებით დაგვირგვინდება.

იერთა მიწის სული ცხოველი
თქვენგან ხსნას ელის მტრების ხელიდამ.

მთარგმნელი აქებს დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს... ერთი სიტყვით, მის თარგმანს როგორც იდეურად, ისე მხატვრულად ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო ბაირონის პოემასთან. ინგლისელი პოეტის თხზულებას იგი საკუთარ შეხედულებებს უსადაგებს, სუბიექტურად სცელის და „ასწორებს“. შესავეალში გამოტოვებულია ბაირონის მიძღვნა სემუილ როჯერსისადმი და წინათქმა.

ასე რომ, ენობრივ და პოეტურ უმწეობას „გიაურის“ თარგმანში ზედ დაერთო სუბიექტური მიდგომა, რამაც მას მთლიანად გამოაცალა იდეურ-მხატვრული შთაბეჭედაობა. მაგრამ „გიაურის“ თარგმანი საყურადღებოა არა მხოლოდ როგორც პირველი ცდა, არამედ, როგორც ჩვენი ინტელიგენციის სულიერ სწრაფვათა დოკუმენტი.

ჰაინრიჰ ჰაინე

ჰაინეს სამოქალაქო და სატრფიალო ლირიკას ჩვენში მუდამ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. და 50-იანი წლებიდან მოყოლებული, მისი ნაწერები თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში იბეჭდებოდა. განსაკუთრებით მოხიბლული იყო მისი შემოქმედებით ი. ჭავჭავაძე, რომელსაც ეკუთვნის „ქრებულში“ დაბეჭდილი ორი ლექსი — ერთი თარგმანი, ხოლო მეორე — მიბაძევა. საგულისხმოა, რომ ალ. ცაგარელი ილია ჭავჭავაძესა და ჰაინრიჰ ჰაინეს პოეზიას შორის გარკვეულ კავშირსაც ხედავდა.

პირველ ლექსს სათაურად აქვს — „ლეინედამ“ (1871, № 3) და დაბეჭდილია ფსევდონიმით („***“), უთარილოდ. აკადემიურ გამოცემაში იგი შეტანილია თარგმანებში, რამდენიმე ენობრივ-სტილისტური შესწორებით და დათარიღებულია ავტოგრაფის მიხედვით (1858 წ., პეტერბურგი).

ლექსი ეკუთვნის ცნობილ ციკლს — „Lyrisches Intermezzo“ (1822—1823 წწ.) და შედარების საფუძველზე დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ გადმოთარგმნილია ორიგინალიდან. როგორც ჩანს, უნივერსიტეტში სწავლის დროს, ილია გერმანულ ენას იმდენად ფლობდა, რომ შეეძლო მხატვრული ნაწერები უშუალოდ ორიგინალიდან ეთარგმნა:

„Lehne deine Wang an meine Wang
Dann liessen die Tränen zusammen
Und an mein Herz drück fest dein Herz,
Dann Schlagen zusammen die Flammen!
Und wenn in die grosse Flamme fließt
Der Strom von unsern Tränen

Und wenn dich mein Arm gewallig umschliesst
Sterb'ich vor Liebesehnen!*

ჰაინეს ეს მეექვსე ლირიკული ინტერმეცო ილიას ნათარგმნი აქვს არა მარტო ორიგინალის სიზუსტით, არამედ ისეთი სინტაქსურ-სტილისტური კონსტრუქციით, რომელიც ქართულია და გერმანულის ენობრივ მიმართებას შეესატყვისება:

ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა,
რომ ცრემლნი ჩვენნი ერთად შეერთდნენ,
გულით მოეპყარ ჩემს გულს მხურავლსა,
რომ ერთის ცეცხლით ორნიე აენთნენ.
და როს იმ ცეცხლსა ძნელ განშორების
დაესხმის ღვარი მღულარე ცრემლის,
მე, მაგრად მოგხვეე შენს ტანს რა ხელით,
მოკვდები ტანჯვით და ნეტარებით.

უკანასკნელის წინა სტრიქონი, რომელიც აკადემიურ გამოცემაში შეცვლილია („გადაგეხვევი რა ორიე ხელით“) აშკარად მიუთითებს ორიგინალთან უშუალო კავშირზე: „მე მაგრათ“ („Gewaltig“) მოგხვეე... ხელით (Mein Arm umschliesst) მთარგმნელს აბსულუტური სიზუსტით აქვს ასახული დედნის შინაარსი და განწყობილება, იგი ორივე ენის სტიქიას ერთდროულად და ერთნაირად განიცდის და ორიგინალზე მეტ აზრობრივ ერთნაირობასაც კი აღწევს: პირველი და მეორე სტრიქონი ჰაინესთან ხელოვნური კავშირითაა („Dann“) შეერთებული, ხოლო ილიასთან ეს კავშირი უფრო უშუალო და ორგანულია: თარგმანი სიტყვით სიტყვამდე ზუსტია, მაგრამ მხატვრული სახეები არცთუ შენარჩუნებულია, უფრო გაძლიერებულიცაა:

„Dann schlagen zusammen die Flammen“
„რომ ერთის ცეცხლით ორნიე აენთნენ“.

მთელ ლექსში ილიას მხოლოდ ორად ორი საკუთარი სიტყვა ჩაურთავს: „ძნელ განშორების“, რაც ცხადად წარმოაჩენს იმას, რაც ორიგინალში მხოლოდ იგულისხმება (განშორება). ჩვენი აზრით, ეს ლექსი ადექვატური, რეალისტური თარგმანის კლასიკური ნიმუშია.

მეორე ლექსი, რომელსაც „კრებულში“ (1871, № 4) „მიბაძვა ღვინესადმი“ აწერია, აკადემიური გამოცემის რედაქტორს, აგრეთვე „თარგმნილ ლექსებში“ შეუტანია (გვ. 241), მაგრამ კვლევა-ძიებას სულ სხვა დასკვნამდე მივყავართ. ჰაინეს ლექსს, რომელიც ილიას აქვს მხედველობაში, ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო მის „მიბაძვასთან“. ჰაინეს ლექსი, არსებითად, სატრფიალო ხასიათისაა, ხოლო ილიასი — მთლიანად პატრიოტულია. ილიას ჰაინეს ლექსის პირველი სტრიქონი აუღია

* Heinrich Heine, Gesammelte Werke, I, Bd., Berlin, 1956.

და მისთვის ახალი სული შთაუბერავს, ახლებური განვითარება მიუცია: „Ich hatte einst ein schönes Vaterland. „მეცა მქონია კარგი მამული“. ამ სტრიქონის შემდეგ, ჰაინესა და ილიას ლექსი სულ სხვადასხვა გზით მიემართება:

Der Eichenbaum —
Wuchs dort so hoch,
Das Veilchen
Es war ein nickten sanft.
Das küsste mich auf deutsch und sprach auf deutsch
(Man glaubt es kaum, wie gut es klang), das wort:
Ich liebe dich!
Es war ein Traum!

ეს ლექსი შეტანილია ციკლში „უცხოეთში“ — „In der Fremde“.

მეცა მქონია კარგი მამული!..
თურმე სცხოვრობდა იქ სიყვარული,
თურმე იქ ჰყენდა ბელი მღიმარი,—
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი.
თურმე იქაცა ბრწყინავდნენ ღღენი,
იქაც სცხოვრობდნენ ერთგულნი ძენი,
თურმე გაეღოთ მაშინ ცისკარი, —
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი!

ზოგორც ვხედავთ, ეს არც თარგმანია და არც გადმოკეთება. ილიას ლექსი ქართული სინამდვილითაა შთაგონებული. ჰაინეს ლექსში, რა თქმა უნდა, ასახულია სამშობლოდან განდევნილის სევდა, მაგრამ ილიას ლექსში ეროვნული ტრაგედიის, ნაციონალური კატასტროფის განწყობილება ქმნის მთავარ პათოსს. შეიძლება ითქვას, რომ ილიას ლექსს იმპულსი მისცა ჰაინეს ერთადერთმა ფრაზამ: „Ich hatte einst ein schönes Vaterland“ და მას შეეძლო სრულებითაც არ მიეთითებინა ამ იმპულსზე, მაგრამ, როგორც ყოველ სხვა საქმეში, ილია ლიტერატურული ეთიკის მხრივაც, უსაზღვროდ კორექტული იყო. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ილია მკვეთრად მიჩნავდა ერთმანეთისაგან თარგმანს, გადმოკეთებასა და მიბაძვას. ავტორის ეს მითითება („მიბაძვა ღეინესადმი“) არავითარ საფუძველს არ გვაძლევს, რომ ლექსი — „მეცა მქონია კარგი მამული“ თარგმანებში შევიტანოთ; იგი ი. ჭავჭავაძის ორიგინალური ლექსია.

„კრებულმა“ ქართველ მკითხველს ჰაინე პირველად გააცნო, როგორც ორიგინალური, მგზნებარე პუბლიცისტი. 1871 წლის მე-4 ნომერში დაიბეჭდა ვლ. ნიკოლაძის მიერ გადმოთარგმნილი წერილი „ინგლისზე“, რომელშიც პოეტი მკაცრად ამხელს პრუსიულ მილიტა-

¹ Heinrich Heine, Gesammelte Werke, I Bd., Berlin, 1956; S. 453.

რიზმს, უპირისპირებს მას ინგლისის ბურჟუაზიულ დემოკრატიას და აღტაცებულ სტრიქონებს უძღვნის თავისუფლებას: „ჩემი გულის ყველა კუნჭულში ბულბულებმა გალობა დაიწყეს — „სალამი, თავისუფლების მხარე!“ — ვიფიქრე მე. „სალამი თავისუფლებაც, განახლებული ქვეყნის ახლო მზეო! მისი ძველი მზეები — სიყვარული და სარწმუნოება დაქცენ და გაცივდნენ. იმათ განათება და გათბობა აღარ შეუძლიათ!.. თავისუფლება შექმნილა ისეთ რწმუნებათ, რომელსაც მდიდრებს კი არა, ღარიბებს უქადაგებენ“.

თომას მური

დიდი ინგლისელი პოეტის (ეროვნებით ირლანდიელის) თომას მურის შემოქმედება ნაციონალური თავისუფლების სულითაა გამსჭვალული. ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით შთაგონებული მისი პოეზია, რომელიც ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული, მთელი მსოფლიოს აღტაცებას იწვევდა. ბაირონი აღფრთოვანებული იყო მისი პატრიოტიზმით, გულწრფელობითა და პოეტური ოსტატობით, ხოლო ბელინსკიმ მსოფლიო ღირიკული პოეზიის საგანძურში მიუჩინა ადგილი მის ლექსებს.

„კრებულში“ (1872 წ., № 7) დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის თარგმანი — „ირლანდიისადმი“, „ირლანდიური მელოდების“ („Irish Melodies“) ციკლს ეკუთვნის¹. როგორც მთარგმნელი მიუთითებს, გადმოღებულია რუსულიდან („Отечест. записки“, 1871 г., декабрь). ისე როგორც ორიგინალი, თარგმანიც სამი რვასტრიქონიანი სტროფისაგან შედგება და კარგად გადმოგვეცემს სამშობლოს ტკივილიან სიყვარულს, მისადმი თავდადების ღვაწლიან ფიცს. ამ ლექსს გ. გაჩეჩილაძე მართებულად ადარებს ილიას — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“². პატრიოტული მხურვალეობა, წმინდა ფიცი და მსხვერპლად შეწირვის სიხარული საერთო განწყობილებასა და პათოსს ქმნის.

„ირლანდიისადმი“ უმნიშვნელო სტილისტური შესწორებებით არის დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში (გვ. 273).

¹ The poetical Works of Thomas Moore. Edinburge — London, გვ. 429.

² გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები 1959,

ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედება დიდი ხანია იქცა ყველა ჩაგრულ-თა და მებრძოლთა ერთგულ თანამგზავრად და სულიერ საკურველად. არათუ XIX საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის დროსაც მისი ლექსები ბრძოლისაკენ მოუხმობდა პატრიოტებს, იმედსა და მხნეობას ჰმბ-ტებდა ხალხს. ფრანგი პარტიზანები არაღეგალურ ფურცლებად ბეჭ-დაედნენ მის საიერიშო სტრიქონებს. ჩვენში ჯერ კიდევ 30-იან წლებ-ში ყოფილა პოპულარული ჰიუგოს შემოქმედება, კერძოდ, მისი პო-ეტური ნაწარმოებები. ჰიუგოს რამდენიმე ლექსი აღ. ჰავვაეაძესაც უთარგმნია, ხოლო საზოგადოებრივი აზრის აღმავლობასა და რეალი-ზმის დამკვიდრებასთან ერთად, ეს ინტერესი დღითიდღე ძლიერდებოდა. „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „მნათობი“ ჰიუგოს ახალ-ახალ ნაწარმოებებს აწვდიდა მკითხველს. „დროება“ და „კრებული“ პოეტის სამოქალაქო ლირიკას აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას.

„კრებულში“ გამოქვეყნებული ლექსი „ვინც სიცრუის და ბოროტების ჟამს“ (1873, № 8) ხელმოუწერლად დაიბეჭდა, მაგრამ, ცნობილია, რომ მთარგმნელი კირ. ლორთქიფანიძეა.

ეს ლექსი დაწერილია 1854 წელს, პოეტის ექსორიის დროს, და მიმართულია ნაპოლეონ მესამის პლუტოკრატული რეჟიმის წინააღმდეგ. ჰიუგო მასში მკაცრად ამხელს რენეგატებს, იმპერატორის უსირცხვილო ლაქიებს და აღიღებს თავისუფლებისათვის თავდადებულ მოღვაწეებს.

ჰიუგოს ლექსთა ფრანგულ გამოცემებში ჩვენ ამ ლექსის ორიგინალს ვერ წავაწყდით, მაგრამ იგი გადმოკეთებული უნდა იყოს ლექსიდან, რომელიც რუსულ თარგმანში ასე იწყება:

Мрак светом озарил, измену мы свершили.
Так мыслит мгла, наш день вчерашним днем гоним.
Неблагодарной ночью зарю провозглашает.
«Сократ-изменник, смерть ему!» — Судья взывает.

აღსანიშნავია, რომ „კრებულში“ ეს ლექსი მოსდევს ნ. ნიკოლაძის წერილს „თანამედროვე მწერლობა“, რომელშიც აღწერილია პროგრესული მწერლის რომუფორის დევნა და დასჯა და შინაარსით მის პოეტურ ილუსტრაციას წარმოადგენს¹.

¹ სანთური, ნათარგმნი ლექსები, თომა კარგარეთელისა, 1905, გვ. 17 (კ. ლორთქიფანიძის ცნობით, გადმოღებულია ს. დუნოვის რუსული თარგმანიდან).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი. ქავჭავაძის მოთხრობებს, — „კრებულში“ ეს უანრი მთლიანად პუბლიცისტური პროზით არის წარმოდგენილი. იდეურად, ეს ნაწარმოებები მალალ საფეხურს წარმოადგენს ქართული პროზის განვითარებაში, — გამსჭვალული არ.ან დემოკრატიზმის, ხალხურობის, პროგრესის სულით, ხოლო მხატვრულად შესაფერ სრულყოფას ვერ აღწევენ. ჩაღრმავებული სოციალური ანალიზი, პუბლიცისტური პათოსი და მებრძოლი იდეურობა ის დანდებითი თვისებებია, რომლებიც შემკვიდრეობად ეძლევა მომდევნო პერიოდის ბელეტრისტიკას.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან პუბლიცისტური პროზის გაბატონება სავსებით კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს; იგი გამოწვეული იყო, უწინარეს ყოვლისა, სოციალური პირობების გარდამავალი ხასიათით, ბატონყმობის გადაყარდნის შედეგად საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაწყებული ახალი გზების ძიებით, რაც მდგომარეობის მეცნიერულ ანალიზს, მსჯელობას, კამათს, მოვლენების პირდაპირ შეფასებას და პუბლიცისტურ განსჯას მოითხოვდა. ლიტერატურა, განსაკუთრებით პროზა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეპოქის დაკვეთას ასრულებდა.

ილია შავვაშავაძე

„გლახის ნაამბობი“

მოთხრობის დასაწყისი 1863 წელს დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“. მისი პირველი ვარიანტი 1859 წელს ეკუთვნის, მაგრამ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად ავტორს ის სიუჟეტურ-კომპოზიციურად გარდაუქმნია, რაც ხელმეორედ დაწერას უღრიდა¹. როგორც ჩანს, მაშინ ილიამ ამ მეორე ვარიანტის დამთავრება ვერ მოასწრო ან იმედი არ ჰქონდა, რომ ცენზურა ნებას დართავდა. შემდეგ მას ძალიან აღელვებდა მოთხრობის ბედი და, როცა „კრებულის“ რედაქციამ დაბეჭდვით სთხოვა, დამთავრებინა თხზულება, ისიც დიდი აღტაცებით შეუდგა საქმეს და მოკლე ხანში დაასრულა. 1872 წლის 9 დეკემბერს ილია სწერდა კ. ლორთქიფანიძეს, დღეს მივყავ ხელი „გლახის ნაამბობის“ გაგრძელებასო. მოთხრობის ბეჭდვა რედაქციას უახლოესი

¹ ა. ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, „საქართველოს მოამბე“, 1963., გვ. 168.

ნომრისათვის დაუგეგმავს და, ვტყობა, კიდევ აჩქარებდნენ ავტორს. „გაგრძელება („გლახის ნაამბობისა“) მზადდება. — აცნობებდა ილია 1873 წლის 18 იანვარს ნ. ნიკოლაძეს. — ...წერ, მაგრამ, არ ვიცი, როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით, „ნაამბობის“ შესასრულებლად“... მწერლის იმდროინდელ მიმოწერას საყურადღებო ცნობები შემოუნახავს მის დაძაბულ, აღფრთოვანებულ შემოქმედებით მუშაობაზე. 29 იანვარს ილიას ყოველმხრივ განუსრულებია მოთხრობა და, როგორც მისი ძუნწი გამონათქვამებით შეიძლება დავასკვნათ, კმაყოფილიც დარჩენილა. აღნიშნული მიმოწერის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1872—73 წლებში ილია მოთხრობის პირვანდელ ვარიანტს კი არ ასწორებდა, არამედ დეტალებში ზანგრძლივად და ღრმად გააზრებული სიუჟეტის მიხედვით ახლად წერდა დარჩენილ ნაწილს, მაგრამ პრინციპული იდეურ-მხატვრული მონახაზით „გლახის ნაამბობი“ უცვლელი დარჩა, თუშცა, შეუძლებელია დაეუშვათ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების იმ მნიშვნელოვან მონაკვეთს, რომელიც პირველ და მეორე ვარიანტს (ავრეთვე, „საქართველოს მოამბესა“ და „კრებულში“ დაბეჭდილ თავებს) ერთმანეთისაგან აშორებს, არავითარი გავლენა არ მოეხდინოს მასზე. ყურნალის რედაქციას, კერძოდ ნ. ნიკოლაძეს, ავტორისათვის რჩევა მიუცია, რომ გადაეკეთებინა „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული პირველი ექვსი თავი. ნ. ნიკოლაძის კრიტიკული წერილი საშუალებას გვაძლევს დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ, რა ხასიათისა უნდა ყოფილიყო ეს რჩევა, რადგან მღვდლისა და გაბროს სახეებს კრიტიკოსი იდეალიზირებულ, შელამაზებულ სახეებად თვლის: უთუოდ მათ „გადამუშავებას“ მოითხოვდა, მაგრამ ილია არ დათანხმებულა და რედაქციისათვის მითითება მიუცია, „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ექვსი თავი უცვლელად გადაებეჭდათ „კრებულში“. „გლახის ნაამბობის“ გასწორება ფიქრად აღარ მიაქვს. — სწერდა ის ნ. ნიკოლაძეს 1873 წლის 18 იანვარს. — დე, მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზე, როგორც თავდაპირველ შობილა“.

რაც შეეხება მოთხრობის დანარჩენ ნაწილს (VII—XII თავებს), ოდნავ მაინც ემჩნევა მხატვრული ასპექტის გადასინჯვა, მღვდლის სახე თითქმის უჩინარდება და ყურადღების ცენტრს უშუალოდ სოციალური კოლიზია იპყრობს. პირველად „კრებულში“ გამოქვეყნებულ ახალ, VII თავს, მწერალი ერთგვარი მობოდიშებითაც კი იწყებს: „მე იმ მღვდელზე სიტყვა ძალიან გავაგრძელე, ბატონო, და ყბედობაში ნუ ჩამომართმევთ“...

მაგრამ, ეს მეტად ზომიერი, ტაქტიკური სელა სრულებით არ არღვევს მოთხრობის იდეურ-მხატვრულ სტრუქტურასა და განწყობილების მთლიანობას. პ. ინგოროყვა სამართლიანად შენიშნავს, რომ შთა-

ბეჭდილება ისეთია, თითქო „გლახის ნამბობი“ ერთის მიდგომით და ერთის განწყობილებით არის ნაწერიო“¹.

1873 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა I—V თავები, მე-2 ნომერში — VI—VIII თავები, ზოლო მე-3-ში — უკანასკნელი IX—XI თავები. (აკადემიურ გამოცემაში XI თავი გამოყოფილია და სიტყვებიდან — „ამით გაათავა გლახამ თავისი ნამბობი“... XII თავი იწყება). „კრებულში“ გამოქვეყნებისთანავე მოთხრობამ არაჩვეულებრივი გამოხმაურება ჰპოვა; „როგორც ეტყობა, კარგი წიგნი კი იქნება ეს პირველი წიგნი, — სწერდა ს. მესხი 1873 წლის 26 თებერვალს საზღვარგარეთ მყოფ კეკე მელიქიშვილს, — ჯერ მარტო ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობის“ გაგრძელება რათაც გინდა ელირება“. (კეკე მელიქიშვილს მოთხრობა მაინცდამაინც არ მოსწონებია; 1873 წლის 22 სექტემბრის წერილი ს. მესხისადმი).

მოთხრობის ავტარგიანობაზე აზრთა სხვადასხვაობა ყველაზე მკაფიოდ აისახა ნ. ნიკოლაძის კრიტიკულ წერილში — „გლახის ნამბობზედ“. რომელიც „კრებულის“ იმავე წლის მე-5—6 ნომერში გამოქვეყნდა. კრიტიკოსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „გლახის ნამბობში“ ჩვენ წინ ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზა გამოურჩეველი მწერალი დგას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას გავლენა აქვს, რომელსაც მიბაძვა თავიდან ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილოთი, სხვისი ენით ლაპარაკობს“.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი არ ემყარება ნაწარმოების კრიტიკულ, იდეურ-მხატვრულ ანალიზს; ის წინასწარ გამზადებული სქემით სინჯავს თხზულებას და გეთავაზობს დასკვნებს, რომლებიც ნაწარმოებიდან კი არა, ამ სქემიდან გამომდინარეობს. კრიტიკოსი საკმაოდ გვიანებით და აბსტრაქციულად იყენებს ნ. ჩერნიშევსკის შესანიშნავ წერილს: „Не начал ли переменны?“, რომელშიც დაგმობილია სინამდვილის შელამაზებული და, ამდენად, არარეალისტური ასახვა ზოგიერთი რუსი მწერლის ბატონყმობის წინაპერიოდის ნაწარმოებებში (გრიგორევიჩი, პოტეხინი, პისემსკი, მარკო-ვოვჩეკი და სხვ.) და ყველა მათ ნაკლოვანებებს მექანიკურად მიაწერს „გლახის ნამბობს“; ლაპარაკობს „უცხო გავლენაზე“, მაგრამ არ ასახელებს, ვის და რა გავლენას გულისხმობს. ნ. ჩერნიშევსკის მხედველობაში ჰყავდა მწერლები, რომლებიც „Идеализировали мужицкий быт“. მაგრამ განა შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ „გლახის ნამბობში“ ქართველი გლეხის ყოფა გაიდვალებული?! ნ. ჩერნიშევსკი აკრიტიკებს აღნიშნულ მწერლებს იმის გამო, რომ ისინი გლეხობისადმი სიბრალულის

¹ ი. კაკაბაძე, თხზულებანი, ტ. II, პ. ინგოროყვას რედაქციით და შენიშვნებით.

აღძვრით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ, განა გვაქვს საბუთი, რომ „გლახის ნაამბობი“ გლახისადმი სიბრალულის გამოწვევით კმაყოფილდება?! მხოლოდ იმ ნიშნის მიხედვით, რომ გაბრო რუსთაველის აფორიზმებით ლაპარაკობს, კრიტიკოსი მას გლახის „შელამაზებულ“ სახედ თვლის. მართალია, ნ. ნიკოლაძე მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკაზეც ლაპარაკობს, მაგრამ, არსებითად, მის წერილში თავს იჩენს პუბლიცისტიზმისავე მოწოდება. იგი მოითხოვს, რომ მწერალი ღიად ჩანდეს ყველგან და ყველათერაში, უშუალოდ ქადაგებდეს და პირდაპირი განაჩენი გამოჰქონდეს. ნ. ნიკოლაძის წერილში მკაფიოდ გამოვლინდა პუბლიცისტური პროზის გაბატონების ტენდენცია. კრიტიკოსი იქამდე მიდის, რომ ილია ჭავჭავაძის „გლახთა განთავისუფლების სცენებს“ მის „კაკო ყაჩაღსა“ და „გლახის ნაამბობზე“ მაღლა აყენებს.

ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, „გლახის ნაამბობი“ მხოლოდ იმითაა საყურადღებო, რომ ის „მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენებს, მის უწინდელ გზას გვაცნობს, მის პირველ ენის ამოდგომას გვასწავლის“.

ამრიგად, „გლახის ნაამბობი“ კრიტიკოსმა მხოლოდ ილიას შემოქმედებითი დაოსტატების ისტორიის დოკუმენტად გამოაცხადა, და „კაკო ყაჩაღთან“ ერთად მას „ყმაწვილური ცდა“ უწოდა, ხოლო „გლახთა განთავისუფლების სცენები“ — დავაუკაცებელი გონების ნაყოფად მიიჩნია. აშკარაა, რომ ტენდენციური, არათანმიმდევრული, მექანიკურად გადმოტანილი თვალსაზრისის გამო, ნ. ნიკოლაძემ გააზვიადა, არა სწორად ახსნა „გლახის ნაამბობის“ ნაკლოვანებანი და ვერ მოგვცა მისი სწორი შეფასება და მართებულად ვერ განსაზღვრა მისი ადგილი ქართული რეალისტური ლიტერატურის განვითარებაში.

მაგრამ განვლილმა საუკუნემ საესებით გააქარწყლა ნ. ნიკოლაძის ეს მოსაზრება: „გლახის ნაამბობი“ სამუდამოდ დამკვიდრდა ქართული კლასიკური ლიტერატურის საგანძურში და მას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის, არამედ გააჩნია ღრმა ესთეტიკურ-შემეცნებითი ღირებულება, იკითხება, ისწავლება და თანამედროვენი კინოფილმშიც მღელვარედ განიცდიან მოთხრობის გმირთა ბედს. ი. ჭავჭავაძე საერთოდ არ გაჰყვა მითითებულ გზას, მისი შემოქმედების გეზუშუქად აღმართულია არა „გლახთა განთავისუფლების სცენები“, არამედ „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“ „სახარჩობელაზედ“ და „ოთარაანთ ქვრივი“.

ნ. ნიკოლაძე, უწინარეს ყოვლისა, არადამაჯერებლად თვლის გაბროს სახეს, რადგან ის „ყველა ღირსებით და უმანკოებით ავსილია“, მაღალფარდოვნად ლაპარაკობს და ჩამოყალიბებული ზნეობრივი კოდექსით ხელმძღვანელობს. მოთხრობის საერთო გამიზნულობით, მთავარი გმირის ეს თვისებები წარმოგვიდგება არა როგორც მისი ხასია-

თი, არამედ როგორც ხასიათის განვითარების ნიშნები და ამ განვითარების საფეხურთა ანაბეჭდები. მწერალი წინასწარი ტენდენციით შექმნილ ტრაფარეტს, რაღაც გაყინულ იდეალურ მანეკენს კი არ გვთავაზობს, არამედ გმირის განვითარების რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე გზას გვიჩვენებს და ეს გარემოება თავისთავადაც გამორიცხავს გლახის იმ შაბლონურ გაიდეალებას, რომელსაც ნ. ჩერნიშევსკი გულისხმობდა და რასაც ნ. ნიკოლაძე „გლახის ნაამბობს“ მიაწერს. ყოველ ადამიანს, გლეხი იქნება თუ ინტელიგენტი, თავისი ცხოვრების გზა, თავისი ინდივიდუალობა გააჩნია, რომელსაც ვერც სინამდვილე და ვერც ხელოვნება პროკრუსტეს სარეცელს ვერ მოუზომავეს, მაგრამ ეს ინდივიდუალობა არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს და ხშირად ხელს უწყობს სინამდვილის არსებითი მხარეების წარმოდგენას. გაბრო დაუმეგობრდა მცოდნე, ქველმოქმედ მღვდელს, რომლისგანაც ბევრი რამ ისწავლა. ასეთი რამ იშვიათი, მაგრამ სავესებით შესაძლებელი მოვლენა იყო; იგი გმირის ცხოვრების, მისი ხასიათის განვითარების ერთი ეპიზოდია, ფართო მხატვრული პლანის ერთ-ერთი კუთხეა, რომელმაც სხვა ეპიზოდებთან და მონახაზებთან კავშირურთიერთობაში მეტი ეფექტით უნდა გამოაეღინოს მწერლის ჩანაფიქრი, ნაწარმოების ძირითადი იდეა. ესეც არ იყო, მღვდელი, რომელიც ავტორის იდეალს გამოხატავს, ერთადერთი ნათელი სახეა. ერთადერთი სიხარულია გაბროს ცხოვრებაში, ეს კეთილი სახე ერთადერთი მხარეა იმ კონტრასტისა, რომლის მეორე მხარე მთლად ბოროტებითაა აღსავსე ამიტომ, დაუჯერებელია ნ. ნიკოლაძის აზრი, თითქოს ავტორს მღვდელი ნაძალადევად, მხოლოდ „გაბროს გასანათლებლად“ შემოეყვანოს მოთხრობაში. გაბროს ბატონები, თითქო კეთილი ადამიანები არიან. ესეც იშვიათი, მაგრამ სავესებით შესაძლებელი მოვლენა იყო და ესეც მხოლოდ ფართო მხატვრული პლანის ერთ-ერთი კუთხეა, რომელსაც თხზულების მთლიან გააზრებაში ენიჭება აუცილებლობის ფუნქცია. გაბროს ვერ უშველა ვერც მღვდლისაგან შეძენილმა ცოდნამ და მორალმა, ვერც ბატონებთან „კეთილმა ურთიერთობამ“ და რადგან ის განათლებულია, ე. ი. იშვიათი და განსაკუთრებულია, არაჩვეულებრივად და განსაკუთრებულადაც განიცდის ბატონების ვერაგობას, უსამართლობას, არ ეუბება მას, ადამიანური ღირსების მთელი შეგნებით აღუდგება უსამართლობას, კლავს ბატონს, გაიჭრება ტყეში. იშვიათის, ინდივიდუალური შტრიხების შერჩევით, მწერალმა გამოაქანდაკა სახე, რომელიც კონცენტრირებულად ასახავს გავრცელებულს, არსებითს — ბატონყმურ ჩაგვრას, სოციალურ უსამართლობას, ექსპლოატაციას. რა შეიძლება აქ ვუსაყვედუროთ ავტორს? — იშვიათი, ინდივიდუალური ნიშნების შერჩევა? მხატვრული გამონაგონი? მაგრამ, ამის გარეშე ხომ საერთოდ, შეუძლებელი იქნებოდა ცხოვრების ტიპური მოვლენების

შთამბეჭდავად ასახვა? „შეფერვა“-„შელამაზებაზე“ ლაპარაკი ხელოვნებაში მაშინ შეიძლება, როცა უხეში ტენდენციით მინიჭებული თემა სება მხატვრული მოტივაციის გარეშე ეძლევა პერსონაჟს ან სურათს და ეს აშკარად არღვევს მის მთლიანობას, ლოგიკურ ბალანსს. ნ. ნიკოლაძეს „გლახის ნაამბობის“ ანსამბლში ასეთი წინააღმდეგობა არ უძებნია და უამისოდ, ცალკეული ეპიზოდების ავკარგიანობაზე ლაპარაკი ყოველად წარმოუდგენელია. არ არსებობს ისეთი ეპიზოდი, დეტალი ან სურათი, რომელიც ყველგან და ყოველთვის გამოუსადეგარი იყოს. საკმე ისაა, როგორი, სად და რა ფუნქცია აქვს დაკისრებული მას.

ნ. ნიკოლაძეს სურს დავეარწმუნოს, რომ მოთხრობის მთავარი გმირი „პეიზანის“ იდილიური სახეა, მაგრამ ამის დამტკიცება ყოველდღე შეუძლებელია, რადგან გაბროს ხასიათი სოციალური კონფლიქტების დუდილში ყალიბდება და შინაგანი, ადამიანური ბუნების წინააღმდეგობათა სუსტ და ძლიერ მხარეთა განუწყვეტელ ჭიდილში ვითარდება, ამასთან, ეს წინააღმდეგობანი, ეს სუსტი და ძლიერი მხარეები ინდივიდუალურია და ზოგადიც, ისინი რეალისტურად ასახავენ იმდროინდელ გლეხთა უკმაყოფილებასა და უმწეობას, პროტესტსა და საბრძოლო გაქანების შეზღუდულობას. გაბროს ძვირად დაუჯდა ჭეშმარიტების შეცნობა, დასაწყისში ის კლასობრივად ბრმაა, გაუთვითცნობიერებელია, დათიკოს ერთგულია და რამდენადაც უფრო ძნელი გზით არის მიღწეული ჭეშმარიტება, იმდენად უფრო ძვირფასი და დამარწმუნებელია, იმდენად უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, გლეხთა ეს პერსონაჟები, რომლებიც ნ. ჩერნიშევსკის ჰყავდა მხედველობაში, შექმნილი იყვნენ ბატონებისათვის, მთავრობისათვის სიბრალულის გამოსაწევეად, მაშინ, როცა ადამიანური ღირსების დასაცავად იარაღშემართული გაბროები ძრწოლას ჰკვირიდნენ ბატონებსა და მთავრობას. ეს შიში მით უფრო ძლიერი იყო, რომ გაბრომ გადალახა მათდამი მოკრძალების ზღუდე, მწარედ გამოსცადა მათი თვალთმაქცობა. ვერც მღვდლის ქადაგებებმა, ვერც „კეთილმა ბატონებმა“ ვერ მისცეს მას ჭეშმარიტი ცოდნა, პირადმა გამოცდილებამ, გაბატონებულმა სოციალურმა წყობილებამ აიძულა დაეგმო ერთიცა და მეორეც, წასულიყო თვით ცხოვრების მიერ ნაჩვენები გზით. მღვდლის მაღალზნეობრივი ქადაგების შედეგად გაბრო ერთ ხანს თვითონაც მონაწილეობდა თანამომე გლეხების ჩაგვრაში, მხარში ედგა „კეთილ ბატონს“, და საჭირო იყო თვით უსამართლო ცხოვრების ძლიერი დარტყმა, რომ ცხადად ეგრძნო მისი და მისთა მსგავსთა უბედურება. ინდივიდუალურისა და საზოგადოებრივის, პიროვნულისა და კლასობრივის ასეთ რთულ კონფლიქტში აელენს მწერალი მოთხრობის წარმართველ იდეას. ეს ცხოვრება მხოლოდ გაბროს ცხოვრება როდია, იგი ქართველი გლეხ-

კაცის ისტორიაა გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში და ამიტომაც შემორჩენია მხატვრული ცხოველმყოფელობა. გაბრო ამალლებული სახეა, მწერლის იდეალია, მაგრამ ამალლებულია სინამდვილის ნიშანთვისებათა ფარგლებში და არა სინამდვილისათვის თვითნებურად მინიჭებული, ძალად თავსმოხვეული ატრიბუტებით. ამიტომაც არ შეიძლება რაღაც „შეფერვასა“ და „შელამაზებაზე“ ლაპარაკი.

ამასთან, გაბროს ხასიათი ერთგვარ კონტრასტულ ფუნქციას ასრულებს პეპიასთან მიმართებაში, — ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს ავლენენ და, ამ სახით, უფრო რელიეფურად წარმოგვისახავენ მაშინდელი სოციალური ბოროტების არსს. მკითხველი გრძნობს, რომ გაბროს ხასიათი საკმაოდ დაურბილებია ბატონთან სიხალოვესა და მღვდლის ქადაგებებს, ერთ ხანს მას ნდობაც კი ჰქონდა დათიკოსი, ხოლო მძიმე უღლის საკუთარი კისრით გამწვევი პეპია ერთ ნაბიჯზედაც არ ენდობა ამ „კეთილ ბატონებს“; არათუ ბატონებს, პეპია მათ შინამოსამსახურეებსაც არ ენდობა; როცა დათიკომ მის ერთადერთ ქალიშვილს თვალი გააყოლა ეკლესიაში, მოხუცმა უმალ იგრძნო, რომ უბედურება არ ასცდებოდა, თვითნებობისაგან ველარაინ დაიფარა. უმალ იგრძნო, რადგან ასეთი ბოროტება და თვითნებობა ცხოვრების ნორმად იყო ქცეული. გულში ჩამწვდომი, ცხოვრებისეული მისი თვითეული ნაბიჯი, ყოველი სიტყვა, ტანჯვა, ქალიშვილზე ოცნება, დაბატიმრება, გაქცევა და სიკვდილი.

„გლახის ნაამბობის“ ძლიერება ის არის, რომ აქ ყველაფერი სოციალური ბოროტების მხილებას ემსახურება, პერსონაჟები, ეპიზოდები, თვითეული მხატვრული კომპონენტი ბუნებრივად ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს ამ მიზანდასახულობით. დიდი მხატვრული ტექტით არის შესრულებული დათიკოს ტიპიური სახე. იგი ინდივიდუალური და იშვიათია გაბროსადმი კეთილგანწყობილებით, ქალაქური დარდიმანდობით, რის გამოც თანშეზრდილ ყმას, თითქოს კიდეც უყვარს. ასეა, სანამ სწავლობს, სანამ ყველა უფლება ხელთ არ უპყრია, მაგრამ, საკმაოა, მამის სიკვდილის შემდეგ მის „ტახტზე“ აბრძანდეს, რომ სოფლელთა რისხვად იქცეს, საკმაოა, თანშეზრდილი ყმა მის წუთიერ წადილს წინ გადაუდგეს, რომ სამუდამოდ გასწიროს. მწერალი გვარწმუნებს, რომ დათიკო „პირადად“ ცუდი კაცი არ არის, მაგრამ ის მებატონეა და ამიტომ, შეუძლებელია კარგი იყოს. მისი ბოროტება მისი წოდების ბოროტებაა, მისი სისაძაგლე სოციალური სისტემის სისაძაგლეა. დათიკო არც კი გრძნობს, რომ ბოროტებას სჩადის, მშვიდად, საკუთარი „კანონიერი“ უფლების შეგნებით ეუბნება გაბროს: „ქალი ჩემიაო“; როცა გაბრო კლავს, არც მაშინ განიცდის სინდისის ქენჯნას, შთაბეჭდილება რჩება, რომ მისი რწმენით, სიმართლეს შეეწირა. ამ გააზრებით, დათიკო ზიზღისა და შეჩვენების ღირსია იმდე-

ნად, რამდენადაც საზიზღარი და შესაჩვენებელია უსამართლო საზოგადოებრივი წყობილება, თვითნებობა და უთანასწორობა, რომელსაც ის განასახიერებს. ეს არის მწერლის გამარჯვება, მისი რეალისტური შემოქმედებითი მეთოდის ტრიუმფი, ტიპიურობის ძალა. გასაოცარი სიზუსტით, მრავალპლანიანობითა და გამოშუქების უნარით გამოირჩევა მოთხრობის დეტალები, ეპიზოდები, დიალოგები. გავიხსენოთ თუნდაც. რა ინტენსიურად ვლინდება დათიკოს ხასიათის სოციალური ბუნება იმ მომენტში, როცა ის თავზარდაცემულ პეპიას უღარდელად მიაძახებს ხალხში: კაი საპროშტავი გოგო გყოლიაო.

„გლახის ნაამბობის“ ოსტატურად გამოძერწილ ტიპურ სახეებზე რომ ვფიქრობთ, გაუგებრობად გვეჩვენება ნ. ნიკოლაძის მიერ მისი იმ ნაწარმოებებთან გაიგივება, რომლებიც „გადაკრულ-გადმოკრული სულის წამივით ჰბედავდა ხოლმე თუ არ გამოეთქვა, ცოტაოდნით მაინც გაეხსენებია მკითხველისათვის „გლეხთა მდგომარეობა“. შემოქმედებითი ფანტაზიის შემბოჰველ ტრაფარეტად გვეჩვენება კრიტიკოსის მტკიცება, თითქოს მოძველებული ყოფილიყოს „ბატონყმობის საქმის სიყვარულის ასპარეზზე გადატანა“. სიყვარული ადამიანური არსებობის განუშორებელი თვისებაა და არც ცხოვრებაში, არც ხელოვნებაში არასოდეს არ ჰკარგავს მნიშვნელობას. „გლახის ნაამბობში“ ის სიღრმისეულად აელენს გმირთა ხასიათსა და სოციალური წყობილების სიმახინჯეს, ბუნებრივად ესატყვისება სიუჟეტის თვითმყოფობას და, ამდენად, განუშეორებელია. არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა, რომ მწერალს, უსათუოდ, გაპირუტყვებულ გლეხთა სახეები ეჩვენებინა; ყმა გლეხთა შორის მადლმოსილი გენიოსებიც იყვნენ და გაპირუტყვებული ადამიანებიც, — ავტორს შეეძლო ერთი აერჩია და მეორეც, — შეეძლო ორივეს ტრაგედიით გაეხსნა სოციალური წყობილების ბუნება. მოაზროვნე, მგრძნობიარე, გულმართალი გაბროს ხასიათი უფრო ფართო პლანშიც კი ამხელს სოციალურ უსამართლობას, გვიჩვენებს არა მარტო ბატონყმობის, არამედ ყოველგვარი ჩავკრის, უთანასწორობისა და პრივილეგიის ბოროტებას, წარმოგვისახავს კაცთმოყვარეობის მაღალ ჰუმანისტურ იდეალს. ამით უნდა აიხსნას, რომ „გლახის ნაამბობს“ ისეთივე აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა 70-იან წლებში, როცა ის „კრებულში“ დაიბეჭდა, როგორც 50-იან წლებში, როცა ბატონყმობა არსებობდა. ბატონყმობა მოიკლო, მაგრამ უთანასწორობა, რასაც ეს თხზულება გმობს, კვლავ არსებობდა.

ი. ჭავჭავაძემ მხატვრული სიღრმით დაგვანახა გლეხის კლასობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შემართება და მერყეობა. მწერალი „არსენას ლექსის“ სიტყვებით ამართლებს გაბრიელის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას: „მდი-

დარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსა“, ხოლო ამ სიტყვებში გამოხატული კლასობრივი მორალი, რომელიც თხზულების ეთიკურ ნორმად წარმოგვიდგება, ძალას ინარჩუნებდა და ახალ ელვარებას იძენდა ყოველგვარ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში. ცხოვრების სინამდვილესთან ჰიდილში, მღვდლის რელიგიური ქადაგებანი გაბრიელის შეგნებაში საწინააღმდეგო ზნეობრივი ფორმულების სახით ყალიბდება. „ის დალოცვილი მღვდელი, — ამბობს გლახა, — ზშირად მარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატიება უნდაო. მეც ვამბობ, მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს, და გულში კი სხვა ბალღამი ტრიალებს... სულ ტყუილია! მაინც ადამიანს მტერი არ შეჰყვარებია“... უსამართლოდ დასჯილ გაბრიელს ყველაზე მეტად ის ადარდება, რომ „უხეიროდ თავი წაიხდინა... უხეირობით მტერს გზა დაუცალა“, რომ ვერ დაასწრო და ადრე არ მოკლა დათიყო.

გაბროს მიერ დათიკოს მოკვლა შორსმწვდომი სოციალური მნიშვნელობის ფაქტია, რადგან ღრმად გააზრებული, მოტივირებული და გამართლებულია. გადაწყვეტილება იმდენად ძლიერი და დასაბუთებულია, რომ ოდესმე ღეთისმომშიმ გაბრიელს აღარც მისი ერიდება. „ღმერთი დაინახავს ამას, — ის გულთამხილავია — დაინახავს, შემობრალებს და შემიწყალებს, თუ არა და, ის ქნას, რაც ჩემს ბედისწერას ჩემთვის გაუწყებია!“ იმისათვის, რომ ამ გმობას ის ძლიერება და ზანგრძლივი ზემოქმედების უნარი ჰქონებოდა, როგორც აქვს, აუცილებელი იყო, გმირს ცხოვრების ისეთი გზა გაეგლო, როგორც მან განვლო. გაბრო და არსენა ოძელაშვილი ერთნაირი მორალით მოქმედებენ, მაგრამ გაბრო კლასობრივად უფრო შეგნებული და შეუპოვარია. მოთხრობა, მართალია, ბატონყმობის თემაზეა დაწერილი, მაგრამ მისი მოტივი ადამიანის თავისუფლება და თანასწორობაა, იგი დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის იდეებითაა გაცისკროვნებული და ეს არის მისი უკვდავების საწინდარი. თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ ვერავეითარი კერძო დამოკიდებულება, ვერავეითარი სუბიექტური ფაქტორი ვერ დაიხსნის სოციალურად დამონებულ ადამიანებს, რომ ხალხის ბედნიერებისათვის აუცილებელია ძირეული სოციალური ძვრები.

„გლახის ნაამბობში“ გამოხატულია ამ დიდი გარდატეხის იმედი, ხალხის ბედნიერების რწმენაც: „რა ეუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ?—ამბობს მოძღვარი.—ვინ იცის, ძმაო, ხვალ ბედი რომ ვადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?“

„გლახის ნაამბობს“ აქტუალობას ანიჭებდა ისიც, რომ მასში დაგმობილია არა მარტო ბატონყმობის ინსტიტუტი, არამედ ცარიზმი და მისი ანტიხალხური აპარატი, რომელიც ბატონყმობის შემდეგაც უცვლელი დარჩა, — მოსყიდული მოხელეები და სასამართლო. 70-იან წლებშიც მხურვალედ და მომწოდებლად ისმოდა უსამართლობით გა-

ტანჯული გაბროს დალადისი: „ღმერთო!.. შენი ჯოჯოხეთი იმასთან სამოთხეა... რაღას უცდი და არ წარღენი ამ ცოდვით სავსე ქვეყანას!“ მწერალი უკვე აქ ლაპარაკობს ჩაგრულსა და მჩაგვრელს შორის „ჩატეხილ ხიდზე“, რომელსაც ველარაფერი გაამთელებს და რასაც შემდეგ მთელი ნაწარმოები („ოთარაანთ ქვრივი“) მიუძღვნა.

„გლახის ნაამბობი“ მიმზიდველია მწყობრი, უაღრესად ნათელი და ტევადი. ჩანაფიქრის ყოველმხრივ გამოვლენის უნარიანი სიუჟეტით, რომელიც მხატვრული ზომიერებით ვითარდება. საყოველთაო აღტაცება გამოიწვია მოთხრობის მდიდარმა, ნიუანსურმა, გლახური ანდაზებითა და ძარღვიანი გამოთქმებით განცხველებულმა ენამ. ცხოვრების ღრმა ცოდნა, ლიტერატურული დაკვირვების ნიჭი და ენის სტიქიის შინაგანი შეგრძნება მწერალს საშუალებას აძლევს მოკლე დიალოგებითაც მკაფიოდ გამოკვეთოს დიამბეგის, ვაჭრის, მოსამსახურე ბიჭის კოლორიტული სახეები. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ენობრივი ადკაზმულობის წყალობით, სწორუპოვარ ნიმუშად რჩება ჩვენს პროზაში პეპიასა და თამროს საუბარი.

ნაწარმოებს დიდ ღირსებას მატებს თავშეკავებული, მშვიდი, მაგრამ აღმადლებული და შინაარსის მიხედვით მომართული ტონი. თუმცა. უნდა ითქვას, რომ მღვდლის, და აქა-იქ გაბრიელის მეტყველებას ერთგვარი არტისტიზმი ემჩნევა (გაბროსა და თამროს პირველი შეხვედრა). არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ზოგიერთ ადგილზე მგრძნობიარობა სენტიმენტალიზმამდე მიდის. ასეთია, ჩვენი აზრით, გაბრიელისა და თამროს ქალაქში შეხვედრის სცენა. ხასიათის ლოგიკის მიხედვით, მთლიანად დამაჯერებლად არ მიგვაჩნია დათიკოს მიერ პეპიასა და გაბრიელის განთავისუფლება; სიუჟეტურად და ეთიკურად ამ ეპიზოდს მოთხრობაში დიდი ფუნქცია აქვს დაკისრებული, მაგრამ, გაგებდავთ და ვიტყვით, რომ მწერალს შეეძლო ამ მიზნით უკეთესი გზა გამოენახა.

სოციალური გადახალისების სულით, „გლახის ნაამბობი“ უაღრესად პატრიოტული ნაწარმოებია და სამშობლოს სიყვარულით, მის კეთილდღეობაზე მხურვალე ოცნებითაა შთაგონებული. ილიას აქაც უსამართლობით გატანჯული გლახობა მიაჩნია ერის ბურჯად; საციმბიროდ გამზადებული გაბრიელი, რომელსაც ათასგვარი ბოროტებით მოუშხამეს გული, მაინც სათუთად ინახავს სამშობლოს სიყვარულს.

იმ დროს, როცა ჩვენს პროზაში პუბლიცისტიზმისაკენ გადაქარბებული ლტოლვა იგრძნობოდა, როცა ენობრივი ნატურალიზმი ფესვს იდგამდა, როცა მხატვრულ სურათებს მსჯელობა სცვლიდა, „გლახის ნაამბობის“ გამოქვეყნება „კრებულში“ დიდი ლიტერატურული მნიშვნელობის მოვლენა იყო. მკითხველმა მასში ქართველი გლახიკაციის ისტორია შეიციწო, თავისი მდგომარეობა და მოვალეობა უფრო ნათ-

ლად იგრძნო. რამდენად თანადროული და ახალი იყო ამ მოთხრობის შინაარსი იქიდანაც ჩანს, რომ ორი ათეული წლის შემდეგ „ქრისტი-ნეში“ ეგ. ნინოშვილი თავისებური ფორმით კვლავ მიუბრუნდა მის ზო-გიერთ იდეურ-მხატვრულ პასაჟს.

1873 წელს „კრებულის“ რედაქციამ ცალკე წიგნად (ამონაბეჭდი) გამოსცა „გლახის ნაამბობი“, მაგრამ მისადმი ინტერესი დღითიდღე მატულობდა და 1879 წელს ხელმეორედაც გამოვიდა. ამ გამოცემას დართული აქვს ა. საფაროვის ფრიალ საინტერესო წინასიტყვაობა, რომლის ერთი ნაწყვეტიცაა გვესურს დავამთავროთ ეს ნარკვევი: „გლახის ნაამბობში“ ჩვენ ვხედავთ გაცილებით მომეტებულს, ვიდრე იმას, რაც დაინახეს მასში ბევრმა ჩვენთაგანმა — არა მარტო ბატონყმობა-ზე გველაპარაკება ჩვენ ისა, ამ მოთხრობას აუშლია უფრო მაღალი დროშა... აქ არის გამოყვანილი გლეხკაცობის უკეთესი იდეალი... უმაღ-ლესი ლტოლვა გაუმჯობესებისა“.

„მგზავრის წერილები“

„მგზავრის წერილების“ ბეჭდვა ჟურნალის 1871 წლის თებერვ-ლის ნომერში დაიწყო და აქ II, III და IV თავები გამოქვეყნდა; I თავი დასახელებულია, მაგრამ წერტილებით არის დაფარული, ცენ-ზურას აუკრძალავს. არ ჩანს ქვესათური: „ვლადიკავკაიამ ტფი-ლისამდე“. II თავი იწყება ისე, როგორც აკადემიურ გამოცემაშია: „ამ ყოფით გაეშორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემის ქვეყნისაკენ ვქენი“. IV თავი (ე. ი. ჟურნალის ამ ნომრის ტექსტი) მთავრდება წინადადე-ბით: „მოდრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. გაგრძელების ბეჭდვა, ეტყობა, ცენ-ზურამ შეაფერხა და ბოლო V, VI, VII თავები მხოლოდ მე-5 ნომერში დაისტამბა; სქოლიოში მითითებულია, რომ „პირველი სამი თავი ამ „წერილებისა“ „კრებულის“ მეორე წიგნში იყო დაბეჭდილი. VIII თავი, რომელიც აკადემიურ გამოცემაში ცალკეა გამოყოფილი, ჟურ-ნალში VII თავთანაა შეერთებული, უკანასკნელი აბზაცი ამოგდებუ-ლია და „კრებულის“ ტექსტი ასე მთავრდება: „მიგიხვდი, ჩემო მოხე-ვე, რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეთი“.

ილიას ავტოგრაფი, რომელიც „კრებულის“ რედაქციამ ცენზორს წარუდგინა, ამჟამად კ. ლორთქიფანიძის არქივშია დაცული და საშუ-ალეა გვეძლევა დავრწმუნდეთ, რა განსაცდელი გადახდენია ამ ხელ-ნაწერს. გარდა იმისა, რომ ცენზურამ მთლიანად აკრძალა I თავი, თხზუ-ლების სხვა ნაწილებიც დაასახინრა. III თავში გამოტოვებულია: „სი-ტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო!“... ამავე თავიდან

ამოზლილია: „მაგრამ მაშინ რა ვქნათ, რომ ჩვენმა ქვეყანამ გამიყო-
ლიოს და მიაგბოს თავის გულისტკივილი, თავისი გლო-
ვის და ფარული მიზეზი, თავისი იმედი და უი-
მედობა“. ამოგდებული ან შეცვლილია მთელი რიგი სხვა ადგი-
ლებიც.

ცენზორის თავგასულობით აღშფოთებულ მწერალს, ამ უტიფრად
ნაჭიჩგნი ადგილებისათვის რეპლიკები მიუწერია: „ცენზორს სუნის
აღება სცოდნია“; „უნდა. ახ, ცენზორო!“ მას ცენზორის მიერ ამოშ-
ლილი ორიოდ ადგილის აღდგენაც მოუხერხებია¹.

ერთიანი სუნთქვით შექმნილ თხზულებას უხეშმა ოპერაციებმაც
ვერ მოაკლო იდეური ცხოველმყოფელობა და მხატვრული ბრწყინვა.
ფართო საზოგადოებამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ „მგზავრის წე-
რილები“ სასწაულებრივ მოვლენად მიიღო. ნ. ნიკოლაძემ ის სრულ-
ყოფის ჩინებულ მაგალითად აღიარა. ნიკ. ყიფიანს ვრცელი ამონაწერი
მოაქვს თავის რეცენზიაში და აღტაცების შეძახილებით კმაყოფილ-
დება.

თხზულებას პირობით თუ მიეკუთვნებთ „მოგზაურობის ყანრს“,
თორემ გააზრებითა და განხორციელებით ის უდავოდ მხატვრულ გა-
მონაგონს ემყარება და მგზავრობის რეალიებს მასში იმაზე დიდი როლი
არ აქისრია, რასაც, ჩვეულებრივ, ცხოვრებისეული მასალა ლიტერა-
ტურულ წარმოსახვაში, პოეტურ ხილვაში ასრულებს. მისთვის ორგა-
ნულად შეუთავსებელია რეპორტაჟი, აღწერითობა, ფაქტობრივი სი-
ზუსტე, დოკუმენტურობა, ხოლო პუბლიცისტური შინაარსი აბსოლუ-
ტურად პოეტური და სურათოვანია. ასეთი აღმაღლება, პოეტურობა
და სურათოვნება ანიჭებს მას განსაცვიფრებელ პუბლიცისტურ ტევა-
დობას, რომლის წყალობითაც, თექვსმეტგვერდიან ნაწარმოებში წა-
მოჭრილი და გადაწყვეტილია ჩვენი პუბლიცისტის თითქმის ყველა
მნიშვნელოვანი პრობლემა. ამით უნდა აიხსნას, რომ თანამედროვეებ-
მა „მგზავრის წერილები“ ეპოქის საბრძოლო-სამოქმედო პროგრამად
მიიჩნიეს და მასში არა პროკლამირება, არამედ დასაბუთების რალაც
საოცარი ლოგიკა იგრძნეს. ავტორმა განუყოფელ მთლიანობასა და
მრავალგვარ მიმართებაში წამოჭრა ეროვნული და სოციალური სა-
კითხები, მკითხველს მისცა არსებულის გაშლილი კრიტიკა და მომავ-
ლის იდეალი, განსაზღვრა მებრძოლი ახალთაობის მორალი, აგრძნო-
ბინა მას ახალი დროის ტკივილები და საზოგადოებრივი ცხოვრების
სარბიელზე მოახლოებული ძვრები.

დროის თავსატეხი ამოცანები „მგზავრის წერილებში“ გაშუქებუ-
ლია გარდუვალი პროგრესის სულისკვეთებით, რაც ნაწარმოების ერ-

¹ ი. ვ ა ე ქ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, პ. ინგოროყვას შენიშვნები, გვ. 579—592.

თან პათოსს ჰქმნის. ეს არის ბრძოლის, განახლებისა და გადახალისების პათოსი, რომელიც გადამდები ძალით შეიგრძნობა ყოველ სურათსა, სიტუაციასა და სიტყვაში. „რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტვამაქით. — ამბობს ლელთ ღუნია. — რაი არნ მშვიდობა? უხმარს სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ჭვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის?.. ცარიელ მშვიდობა მიწაშიც გვეყოფის“.

ბრძოლისა და მშვიდობის მიმართება, რომელსაც ილია „აჩრდილსა“ და „ქართლის დედაში“ ეხება, აქაც კეთილისა და ბოროტის დამოკიდებულების ჭრილშია გაშუქებულ-გადაწყვეტილი; წინსვლის, მარადიული განვითარებისა და აღორძინების სული ტრიალებს „მგზავრის წერილების“ ყოველ სტრიქონში, ხოლო ამოთეოზს თერგისა და მყინვარის, დღისა და ღამის დიდი შთაგონებით შესრულებული კონტრასტები წარმოადგენს.

ღიად გარდაქმნათა და განუწყვეტელი პროგრესისაკენ ამ ვნებიან ლტოლვას, სამყაროს ასეთ მსოფლშეგრძნებას შეეძლო წარმოეშვა რევოლუციის ღაღადისი ამ ნაწარმოებში, რაც უნივერსალური განზოგადების ფორმულით თავდება: „რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს“. ადამიანის უსახლვრო სიყვარულს, მისი შემოქმედებითი ძლიერებისა და გარდამქმნელი როლის შეგნებას მწერალი რევოლუციურ ჰუმანიზმამდე მიჰყავს. ადამიანი ბუნების მეუფე და ამა ქვეყნის სჯულმდებელია; ახალი დროის მოწოდებად გაისმის: „ვაი, რა ცარიელია ეს სავესე ქვეყანა უდადამიანოდ!“

რევოლუციური ჰუმანიზმის პათოსი განსაზღვრავს „მგზავრის წერილებში“ სოციალური და ეროვნული თავისუფლების განუყოფლობას და, საერთოდ, ადამიანის თავისუფლების იდეას. შეუძლებელია დავეთანხმოთ იმ აზრს, თითქოს ამ ნაწარმოებში ეროვნული პრობლემა იყოს წინ წამოწეული. მხატვრული ნაწარმოების არსი ყალიბდება არა ცალკეული გამონათქვამებით, არამედ ყველა იდეური და მხატვრული კომპონენტის ერთიანობით, საერთო სულისკვეთებითა და პათოსით. ზემოაღნიშნულთან ერთად, უნდა გავიხსენოთ, რომ მოხვევე ლელთ ღუნია, რომლის პირითაც თვით ავტორი გვიქადაგებს, ერთნაირი გულმხურვალეობით ლაპარაკობს ეროვნულ და სოციალურ შევიწროებაზე, მჭიდრო კავშირს ხედავს მათ შორის. საყურადღებოა, რომ „მგზავრის წერილებში“, ხელისუფლებასთან ერთად, მჩაგვრელ სოციალურ ძალად წარმოდგენილი არიან ჩარჩ-ვაჭრები; ხალხს მიწა-წყალი არ ყოფნის, „ვასატან-ვასასყიდი“ არაფერი აბადია, „ქირით ნაშოენი ფული კი ჭიბეში არ რჩების“, „ვერ მოსარიგებელ, ვერ შესათამაშებელ ვაჭრის კერძია“, ამიტომ, „ცარიელ სტვამაქით“ სიცოცხლეს,

ხალხს ბრძოლა ურჩევნია. სოციალური პირობები ნაწარმოებში ეროვნული განწყობის მოტივად გვესახება. მოხვევს სულს უფორიაქებს მძიმე საზოგადოებრივი ცხოვრება, გაბატონებული სოციალური მორალი. მისი საუბარი, ერთდროულად, სოციალური და ეროვნული ტიპივით არის გამსჭვალული და სავსებით ეხმიანება რუსეთიდან მოშავალი ავტორის ფიქრებს; საერთო იდეალი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სახით ვლინდება. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო!“, — ამბობს ლელთ ღუნია და თხზულების უკანასკნელ სტრიქონებში ავტორიც გადაჭრით ამქლავნებს თავის თანაგრძნობას. ავტორს ამ მკაფიო ფორმულისათვისაც რომ არ მიემართა, „მგზავრის წერილების“ საერთო განწყობილებითაც შევიგრძნობდით მის ღევის: „შორს ცარიზმისაგან!“, — მაგრამ როგორც ახლა, ასახსნელი დარჩებოდა მისი კონკრეტული შინაარსი, რადგან შეუძლებელია, მხატვრულ ნაწარმოებს ასეთი უმი და მზამზარეული პასუხი მოეთხოვოთ.

„მგზავრის წერილები“ გაქლენთილია დემოკრატიულ რუსეთთან ხისხლბორცეული კავშირის გრძნობით, ეს, უწინარეს ყოვლისა, იმ იდეების ხასიათში ვლინდება, რომლებიც თხზულებების მამოძრავებელ ღერძს წარმოადგენს. ავტორი დასაწყისშივე მიგვანიშნებს, რომ რუსეთში მიღებული ცოდნის უუქზე სამშობლოს ბედი მას ახლებურად ესახება. „მგზავრის წერილების“ უმნიშვნელოვანესი მხატვრული თავისებურება ფართო პლანის ალეგორიულობაა. ამასთან, მთლიანად ნაწარმოებსაც და მის ცალკეულ კომპონენტებსაც ერთსა და იმავე ღროს პირდაპირი მნიშვნელობაც აქვს და ქარაგმულიც. მწერალი უბედლო თვალსაჩინოებით იყენებს სიმბოლურ სურათებსა და გამოთქმებს. სიმბოლიკა უაღრესად გამჭვირვალეცაა და ძნელად ექვმისატანიც. ქართულ ლიტერატურაში პოლიტიკური ალეგორია ასე წარმატებით არავის მოუმარჯვებია. როცა მწერალი „დამღოვრებული“ თერგის ღალატზე გვესაუბრება, კანშეცვლილ თანამემამულეებს კიცხავს; — „ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან!“, — შესძახებს ბნელ ღამეს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს გამეფებული ბოროტების წინააღმდეგ შეძახილია. მრავალმხრივი ალეგორია, ნათელი სიმბოლიკა, გამახვილებული ქვეტექსტი, ინტონაციური გრადაცია მწერალს საშუალებას აძლევს ორიოდე მონახაზით შექმნას გრანდიოზული სურათი, ორიოდ წინადადებით დაახასიათოს მოვლენის არსი, მცირე ნაწარმოებით ფარდა ახადოს სოციალური სინამდვილის მთელ ბოროტებას. მკითხველზე ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ის, რაც მან პირდაპირ თქვა, არამედ უფრო მეტად ის, რაც სიტყვით არ გამოუთქვამს, მაგრამ გვაგრძნობინა.

„მგზავრის წერილები“ ისე მღიდარი მხატვრული საშუალებითა:

დაწერილი, რომ პოეტის სრული კურსის საილუსტრაციო მასალად გამოდგება. ამ პატარა თხზულების პეიზაჟები, პორტრეტები, სურათები, დიალოგები, შედარებები, დეტალები, სიტყვიერი ინვენტარი სქელტანიან რომანსაც სრულყოფილად გამართავდა. თხზულებას დიდ მომხიბლობას ანიჭებს მასალისადმი მწერლის უაღრესად თავისუფალი დამოკიდებულება, ლაღი, მოქნილი, ემოციური თხრობა, შინაარსის შესატყვისად გრადაციის შინაგანი შეგრძნება, მსუბუქი, პოეტური ენა, მაჟორულიდან მინორულზე, კომიკურიდან ტრაგიკულზე ბუნებრივი გადასვლა, ხალხური უბრალოება და ფილოსოფიური სიღრმე. ამ ღირსებებით „მგზავრის წერილები“ მარად ფერუცვლელ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის.

იშვიათი ლაკონიზმია საკირო იმისათვის, რომ მცირე ტილოზე სინამდვილის ასე რთული და მრავალფეროვანი სურათი აღიბეჭდოს. ილიას დეტალები, პასაჟები და სიტუაციები მაქსიმალურად შემქმნდრობული და მეტყველია.

„მგზავრის წერილები“ დიდ ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენდა იმ თვალსაზრისითაც, რომ, როცა „კრებულში“ ენობრივი ნატურალიზმის ტენდენცია იგრძნობოდა, ილია ქვეკავაძემ სამწერლო და დიალექტიკური მეტყველების შემოქმედებითი შეწყობა-შემშვენების კლასიკური ნიმუში უჩვენა თანამედროვეებს. ლელთ ღუნისა მოხევეური კილო ორგანულად ესიტყვებოდა მისი ხასიათის შინაარსს, სისხლსავე ავლენდა მისი აზრების თვითმყოფობას და პატრიოტულ-რომანტიკულ იერს აძლევდა მის სახეს. „მგზავრის წერილებმა“ სწორი გეზი უჩვენა მხატვრულ-პუბლიცისტურ პროზას, რომელიც ლიტერატურული დაქვეითების ნიშნებს ამჟღავნებდა „კრებულში“.

გიორგი ვარათელი

„მგზავრის წიგნები“

„მგზავრის წიგნების“ დასაწყისი დროგამოშვებით, 1867 წლიდან 1870 წლამდე, ქვეყნდებოდა „დროებაში“. „კრებულის“ 1873 წლის მე-5—6 ნომერში თხზულების პირველი ნაწილი მთლიანად დაიბეჭდა. ამასთან დაკავშირებით აღნიშნული ნომრის სარედაქციო განცხადებაში ნათქვამია: „რადგანაც „დროების“ ძველი ნომრების შოვნა ახლა სრულიად შეუძლებელი საქმე შეიქმნა, მკითხველი, იმედი გვაქვს, არ დაგვემდურება ამ წიგნების გადმობეჭდვისათვის, მით უფრო, რომ ეხლა ისინი შესწორებულად და სრულად იბეჭდებიან“.

„კრებულის“ 1873 წლის მე-9 ნომერი მთლიანად ამ თხზულების მეორე ნაწილს დაეთმო, მასში არავითარი სხვა მასალა არ დაბეჭდილა;

სარჩევსა და სასათაურო გვერდზე აღნიშნულია: „მგზავრის წიგნები“. ნაწილი მეორე. კიკოლიკის ცხოვრება“.

თხზულებამ დიდი სენსაცია გამოიწვია. ნ. ნიკოლაძის გადმოცემით, „როცა... პირველი ხანების ბეჭდვა დაიწყო ბ-ნ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებისა,“ მკითხველებში თითქმის იმგვარივე მოძრაობა შეიქმნა, როგორც ცოტათი უწინ ბ-ნ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანმა“ მოახდინა... ყოველი ახალი ხანა მისი „მგზავრის წიგნებისა“ ახალ აღტაცებას, ახალ უმაღლეს ლოდინს იწვევდა“¹.

პრესაში მხოლოდ გრ. ორბელიანმა გააკრიტიკა და დაიწუნა ახალი ნაწარმოები².

ჩვენი აზრით, გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“ აღტაცებული ქების ღირსიც იყო და მკაცრი კრიტიკის საბაბსაც იძლეოდა.

ამ ნაწარმოებში ავტორმა სცადა მთელი სისრულით აესახა თანამედროვე ცხოვრება, მოეცა ბატონყმობის დროინდელი საქართველოს სურათი, ეჩვენებინა ქართველი ინტელიგენციის პროფილი, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, წარმოედგინა გაძლიერებული დიფერენციაციის პროცესი. „მგზავრის წიგნების“ ვადაკითხვაც კი ცხადყოფს, რომ მწერალს არაჩვეულებრივი პოლიტიკურ-ლიტერატურული დაკვირვებისა და ანალიზის ნიჭი გააჩნია, ფართო ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილება აქვს, ღრმად იცნობს სინამდვილეს და დიდძალი შემოქმედებითი მასალა დაუგროვებია.

მასალის სიუჟეტურ-კომპოზიციური ორგანიზმების ფორმად ავტორს კიკოლიკის თავგადასავალი აურჩევია და მისი ცხოვრების დაწვრილებით აღწერა გადაუწყვეტია. დასაწყისში მთავარ გმირს იმერეთსა, ლეჩხუმსა და სვანეთში ვხედავთ, შემდეგ პეტერბურგში სწავლის პერიოდს ვეცნობით, დაბოლოს, მას თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ვიხილავთ. მასალის ხასიათისა და მხატვრული გააზრების შესაბამისად, ნაწარმოებში მკვეთრად მერყეობს ლიტერატურული ასახვის ფორმა, სუსტდება განზოგადების ძალა და სტილის ცხოველმყოფელობა. პირველ ნაწილში გ. წერეთელი რეალისტი მხატვრის შესანიშნავ ტალანტს ამჟღავნებს და ხალხის დუხჭირი ცხოვრების ფონზე ოსტატურად ქმნის კიკოლიკის, ჩიკოლიკის, კუდაბზიკას, გლახათუნელის ტიპიურ სახეებს. პერსონაჟთა ხასიათები გახსნილია ბუნებრივ, კარგად მოტივირებულ სიტუაციებში, ავტორს მოძებნილი აქვს ორიგინალური, უადრესად კოლორიტული ნიშან-თვისებები, რომლებიც ზომიერად, ლოგიკურად და შთამბეჭდავად ვლინდება პორტრეტსა, მოქმედებასა, ეთიკასა და მეტყველებაში. მისი ენა, აქ, ძირი-

¹ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთლის პირველი შრომა, „მოამბე“, 1894, № 3.

² „ცისკარი“, 1874, სექტემბერი, ოქტომბერი.

თადად, ფერადოვანი, მდიდარი და ნიუანსურია, გადმოცემის მანერა სურათოვანი და გარეგნულად მიუცერძოებელი. ეს მხატვრული თვალთახედვა მწერალს საშუალებას აძლევს უხვად, მაგრამ მიზნობრივად გამოიყენოს ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, მოქმედების არეში მოაქციოს ჩინებულად შესრულებული პეიზაჟები და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, შეამჩნიოს ცხოვრებასა და ხასიათში მანამდე შეუმჩნეველი თვისებები, ჩანასახის ფორმაში მიაქციოს ყურადღება იმ სიახლეებს, რომლებიც შემდეგ სინამდვილის არსებით ნიშნებად იქცევა. ამით უნდა აიხსნას, რომ 80—90-იანი წლების ზოგი ლიტერატურული სახე (დავ. კლდიაშვილის, ეგ. ნინოშვილის და სხვ.) „მგზავრის წიგნების“ პირველ ნაწილში პოულობს დასაბამს. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ არა რემინისცენციებსა და გავლენაზე, არამედ განვითარების ტენდენციის ადრეულ შეცნობაზე, ლიტერატურული დაკვირვების არაჩვეულებრივ ნიჭზე.

თხზულების პირველ ნაწილში ავტორმა უდავოდ მიაღწია დასახულ მიზანს; მკითხველს ამახსოვრდება თავკერძა და თვალთმაქცი კიკოლიკი, ლაზღანდარა ჩიკოლიკი, ფხუკიანი აზნაური კუდაბზიკა, ქვეყნის ჭირ-ვიარამზე დაფიქრებული მთხრობელი, იმერელი ლუარსაბ თათქარიძე — დაზგა, დაბეჩავებული ხალხის ცხოვრების სურათები. მაგრამ ამ ნაწილშიც შეიმჩნევა ზოგი ისეთი მიდრეკილება, რომელიც მომდევნო თავებში თხზულების არსებით თვისებად იქცა; ეს არის ფოტოგრაფიულობამდე დასული დეტალიზაცია, აღწერითობა, სიტყვაშეშლვა, მსჯელობა და უადგილო სიტყვიერი ანალიზის მომარჯვება.

ნაწარმოების კომპოზიციური რღვევა, ჩვენი აზრით, იმის შედეგია, რომ მწერალს წინასწარ არ გაუაზრებია მისი კონკრეტული გეგმა და არ ჩანს საერთო პროპორციის შეგრძნება. ეტყობა, დასაწყისში ავტორმა ვერ აითვისა მასალის ძირითადი ნაწილი და, რადგან თხზულებას დინამიური სიუჟეტი არა აქვს, იძულებული გახდა დარჩენილი მასალა უმად, დაუკავშირებლად შემოეტანა მომდევნო თავებში. პირველი ნაწილის გმირები ქრებიან და მხოლოდ დასასრულში გამოჩნდებიან; მათ ადგილს ახალი პერსონაჟები იკავენენ, სურათებსა და მოქმედებას სიტყვა სცვლის, მხატვრული წარმოსახვით გამდიდრებულ-გარდაქმნილი ავტობიოგრაფიული თავგადასავალი მშრალ დოკუმენტურობამდე ეშვება. მელიქალა, ბლუკუნა, ჩიტორელიძე და სხვანი ავტორის ნაცნობ-მეგობრები, საყოველთაოდ ცნობილი პირები იყვნენ. ეს ფაქტი თავისთავად გვიჩვენებს — ნაწარმოების თითქმის მთელ მეორე ნახევარში რამდენად დაშორდა ავტორი ქვეშაირი მხატვრული ლიტერატურის მოწოდებას. მიუხედავად ამისა, „მგზავრის წიგნების“ ამ ნაწილსაც განუზომლად დიდი ისტორიულ-შემეცნებითი

მნიშვნელობა აქვს და მრავალმხრივ იპყრობს ჩვენს ყურადღებას. სიუჟეტისა და კომპოზიციური მთლიანობის დანაკლისს წარმატებით ანაზღაურებს ეროვნულ-საზოგადოებრივი მოვალეობის პათოსი, რომელიც იდეურად და განწყობილებით აერთიანებს თხზულების სხვადასხვა ნაწილს. გ. წერეთელს განხილული და შეფასებული აქვს უახლოესი დროის მეტად აქტუალური მოვლენები, ახალთაობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მისწრაფებები, მისი საზოგადოებრივი და ლიტერატურულ-ჟურნალისტური მოღვაწეობა. „მგზავრის წიგნები“ ჩვენი ინტელიგენციის სულიერი ცხოვრების ბიოგრაფიაა, 60-იანი წლების საქართველოს მატიაწეა და, ამ თვალსაზრისით მისი ანალიზი აუცილებელია როგორც, საერთოდ, საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების ისტორიისათვის, ისე, კერძოდ, „კრებულის“ შესაფასებლად. „მგზავრის წიგნებში“ გ. წერეთელმა სცადა საერთაშორისო თემებისათვის მოქალაქეობრივი უფლება დაემკვიდრებინა ჩვენს აზროვნებასა და მწერლობაში.

ნაწარმოებში ავტორს გამოკვეთილი აქვს რამდენიმე ცოცხალი ხასიათი, რომელთა შორის განსაკუთრებით მკაფიოა პოლონელი სტუდენტი ხ-სკი.

გ. წერეთელმა ხ-სკში გამოაქანდაკა ახალი თაობის იდეალი, დადებითი გმირის განსხვავებული სახე, რომელსაც ბადალი არ მოეძებნება ჩვენს მაშინდელ მწერლობაში.

თუმცა ხ-სკი „მგზავრის წიგნების“ მხოლოდ ერთ თავში გვხვდება და, ერთი შეხედვით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ლოკალურ, ეპიზოდურ პერსონაჟთან, მაგრამ, არსებითად, მისი ხასიათი ტონს აძლევს მთელ თხზულებას და, როგორც კიკოლიკის კონტრასტი, როგორც უარყოფითი გმირების მუდმივი დაპირისპირება, მთელი ნაწარმოების მანძილზე აქტიურად მოქმედებს. ყურადსაღებია, რომ მწერალი მას აქა-იქ კვლავ მოიგონებს კიკოლიკის ხასიათის დასაპირისპირებლად. ხ-სკის მტკიცედ სწამს დაჩაგრულ ხალხთა გამარჯვება და ეს რწმენა ისტორიულ გამოცდილებასა და ფაქტების კონკრეტულ, მკაცრ ანალიზს ემყარება. მას არ სწამს ფუჭი ოცნება, მის ყურადღებას ძალმომრეობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მაგალითები იზიდავს. ხ-სკის სიტყვები მოქმედებაა. მისი იმედი ხალხის ფართო ფენების უძლეველობის შეგნებას ემყარება.

„მგზავრის წიგნებში“ მოცემულია იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართო ანალიზი, გამოკვეთილია გარიბალდის შთამბეჭდავი სახე.

გ. წერეთლის რევოლუციონერი გმირი დაჩაგრულ ხალხთა თავგანწირულ ბრძოლას თვლის გამანადგურებელი სისტემისაგან თავდახსნის საშუალებად.

ხ-სკის დიალოგებში ხალხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის მთელი ისტორიაა გადმოცემული — უძველესი დროიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. მწერალი კარგად ამჩნევს ცალკეულ ეპოქასა და ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თავისებურებებს. ჩვენთვის საინტერესო პრობლემების დასმა-გადაწყვეტით, ხ-სკის მსჯელობანი იმდენად პროგრესულია, რომ დღესაც შენარჩუნებული აქვს ცხოველმყოფელობა.

დაჩაგრული ხალხის შვილი ხ-სკი გ. წერეთლის ნაწარმოებში მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულთქმით არსებობს; არათუ სხვა ინტერესი, ამის გარეშე მისთვის სიცოცხლეც ფუჭია. ამ სიმბოლურ სახეში ავტორმა განახორციელა საერთოდ დაპყრობილი ხალხების იდეალი. ხ-სკის სიხარული, ტანჯვა თუ ოცნება ყველა ჩაგრული ხალხის მოწინავე შვილთათვის მახლობელი და სანუკვარი იყო.

ხ-სკის სიტყვებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანებია ჩამოყალიბებული. კონკრეტულად არის განსაზღვრული ამ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. იგი კარგად იცნობს მოწინააღმდეგე ძალთა თანაფარდობასა და განწყობილებას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხის სულისკვეთებას. „იცი, ამისთანა გამწარებულს მამულის მებრძოლს რანაირი შეხედულება აქვს ბრძოლის ეამს? ის საშიშია; იმის სახეს ვერავეთარი მხნე და ბრძოლაში გამოცდილი მებრძოლი ვერ გაუმაგრდება“.

მწერალმა ეპოქის მოწინავე ადამიანის ყველა თვისება გააერთიანა ამ პოლონელ სტუდენტში. მის მოწოდებებს დენტის სუნი ახლავს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ცეცხლმოღებულ ბარიკადიდან გველაპარაკებოდეს.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას არ შეუქმნია ხ-სკის მსგავსი ინტერნაციონალისტის, ხალხთა ძმობის თანმდგომის სახე; იგი ხალხთა მეგობრობის რიგითი მქადაგებელი როდია, ჩაგრულ ერთადმი უბრალო თანაგრძნობით როდი ემყოფილდება. იგი მათ მოუწოდებს საბრძოლო კავშირისაკენ, ურთიერთ დახმარებისაკენ და პრაქტიკულადც მოღვაწეობს ამ მიმართულებით. ამდენად, ხ-სკი რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტად, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წინამორბედად წარმოგვიდგება.

პოლონელ სტუდენტთა მეთაური ხშირად ტრიალებს ქართველთა წრეში, უხსნის მათ, — ჩვენ თუ ერთმანეთი კარგად არ გავიცანით და ერთმანეთის გულისპასუხი არ შევიტყვეთ; კარგად ვერ წავიყვანთ საქმესო.

ხ-სკი „მგზავრის წიგნების“ ერთადერთი სრულყოფილად დადებითი პერსონაჟია. იგი მკვეთრად უპირისპირდება ქართველ კიკოლიკს და

პოტენციურად აგრეთვე ჩიკოლიკს, კუდაბზიკასა და სხვებს. აქ უთუ-
ოდ თავისებურად შეღავნდება მწერლის ჩანაფიქრი, რომელიც მარტო-
დენ ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის ვიწრო ეგოისტური
მისწრაფებების ჩვენებით კი არ ამოიწურება, არამედ იმასაც ცხად-
ყოფს, რომ მეთაურის არჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნე-
ბას როდი ენიჭება, მთავარია კაცის პირადი ღირსებანი, და სჯობს, სხვა
ურის კარგ ადამიანს ვაპყვე, ვიდრე უღირს თანამემამულეს.

ხ-სკის ზნეობრივი სიწმინდე და ინტელექტი ქართველი სტუდენ-
ტების თვალში სრულ არარაობად აქცევს კიკოლიკს, რომელიც ცდი-
ლობს თავი გაასაღოს მათ მეთაურად.

კიკოლიკი უგუნური და ბლენძიაა, მას იმის უნარიც არ გააჩნია,
რომ მშვიდად მოისმინოს ხ-სკის ჭკუადსაღები საუბრები — თავი ისე
უჭირავს, აქაოდა, ეს ხომ ჩვენც ვიცითო. გულში კი მხოლოდ ჩინოე-
ნიკობაზე ოცნებობს და დიდ საქმეებზე ლაქლაქი ახალგაზრდა თანა-
მემამულეთა ხელში ჩასაგდებად სჭირდება.

კიკოლიკი ამაოდ ცდილობს თავისი სულელური რეპლიკებით გაა-
ქარწყლოს ხ-სკის დასაბუთებული, ცეცხლოვანი სიტყვების გავლენა
ქართველ ახალგაზრდებზე.

ხ-სკი დიდხანს ითმენდა კიკოლიკის უხეშ გამოხდომებს, ეგონა,
მხოლოდ უცოდინარობით მოსდისო, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ
კიკოლიკს თანამემამულეთა შორის ყალბი ავტორიტეტის შენარჩუნება
ეწადა და ქეშმარიტებას არად ავდებდა, — გადაწყვიტა კვალში ჩად-
გომოდა და საჯაროდ ჩამოეხადა მისთვის ყალბი ღიღების გვირგვინი.
მან უამრავ შეცდომაში დაიჭირა კიკოლიკი და ახალგაზრდა ქართველ
სტუდენტთა თვალწინ გააწითლა თვითმარქვია მეთაური, დაამტკიცა,
რომ იგი ვაზეთებსაც არ კითხულობდა.

შერცხვენილი კიკოლიკი გაცხარებული მივარდა მას: „სტყუიო!“, —
მაგრამ ახალგაზრდა სტუდენტები თვითონაც რწმუნდებიან, რომ ცრუ-
ობდა კიკოლიკი, ხოლო „ხ-სკის თავის დღეში ერთი ტყუილი არ უთქ-
ვამს“.

ხ-სკი მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის იდეალად, მუდმივ შთა-
მაგონებელ მაგალითად იქცა და მწერალიც ამ საზომით აფასებს ქარ-
თველ ინტელიგენციას; ხ-სკი თვალწინ უდგას სამეგრელოსა და სვა-
ნეთში, თბილისსა და ქუთაისში, — „საქართველოს მოამბესა“ თუ
„დროებაზე“ მსჯელობისას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის ბობოქარი პოლონელი
თავის ქვეყანაში წავიდა სამოქმედოდ, მაგრამ მისგან მიღებული შთა-
ბეჭდილება ჩვენს ახალგაზრდებს უფრო უცხოველდებოდათ, მისი სა-
ხე მკაფიოდ ედგათ თვალწინ.

ცნობილია, რომ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნების“ პერსონაჟებს

პროტოტიპები ეძებნებათ ავტორისავე ნაცნობ-მეგობართა წრეში და მწერალს დოკუმენტური სიზუსტით აქვს აღწერილი მათი ცხოვრება და საქმიანობა.

ზუსტად დადგინდა, რომ ხ-სკი სხვა არავინაა, თუ არ პეტერბურგის უნივერსიტეტის პოლონელი სტუდენტი ვლადისლავ ხოროშევსკი, რომელიც თავის თანამემამულეთა აღიარებულ მეთაურად ითვლებოდა და მეტად დაახლოებული იყო ქართველ სტუდენტთა წრესთან. ცხადია, მას კარგად იცნობდა გ. წერეთელიც, — და რომელსაც, სხვათა შორის, ნიკო ნიკოლაძეც იხსენიებს მოგონებებში¹.

იმის ცხადსაყოფად, თუ გ. წერეთელს რაოდენ უტყუარად აქვს გადმოცემული მისი სახე, მოვიტანთ ორიოდ დოკუმენტურ ცნობას: «Мысль о необходимости совместных действий русских и польских революционеров была распространена и среди части польского революционно-настроенного студенчества. В Московском университете идею дружбы между польскими и русскими студентами горячо отстаивал один из руководителей студенческих выступлений 1861 года поляк Болеслав Комышко. Л. Ф. Пантелеев много рассказывает о влиятельном в среде Петербургских студентов поляков Владиславе Хорошевском, который, — «Придя к убеждению, что обоюдный интерес требует возможно большего сближения русских и поляков, сейчас же принялся проводить свои идеи в Корпорации (польской студенческой). Он предложил польскому огулу в Петербурге установить связь с русскими студенческими организациями... Участие русских студентов в демонстрации студентов поляков побудило последних принять участие в похоронах Шевченко, совместно с русскими и украинцами. В Хорошевский произнес здесь блестящую речь, которая затем была напечатана в украинском журнале «Основа».

В марте 1861 г. по инициативе русских студентов Петербургского Университета и при содействии Хорошевского состоялось Совещание представителей польских и русских студенческих организаций».

ცნობაში, რომელიც ამ თათბირის თაობაზე III განყოფილების ჯანუშმა წარუდგინა უფროსს, ვლადისლავ ხოროშევსკი პირველად დასახელებული².

1861 წლის დასაწყისში, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინიციატივით, ვარშავაში ტარდებოდა რუსეთის უნივერსიტეტის პოლონელ სტუდენტთა ყრილობა, სადაც როგორც ამ ღონისძიების ერთ-

¹ ნ. ნიკოლაძე, ტ. I, 1931 წ., გვ. 44—47. ავტორს ვ. ხოროშევსკის მეტად საინტერესო მხატვრული პორტრეტი აქვს მოცემული. იხ. აგრეთვე „ძველი საქართველო“, ტ. II, გვ. 13 (მითითებულია, რომ ვ. ხოროშევსკი ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი იყო).

² ЦГИАМ, Ф. I, эксп. 1861, д. 439, л. 1.

ერთი მთავარი ხელმძღვანელი, დააპატიმრეს ვ. ხოროშევსკი, რომელსაც შემდეგ მაინც მისცეს სწავლის გაგრძელების უფლება.

ნ. ჩერნიშევსკის მითითებით 1861 წლის სტუდენტთა მოძრაობის მონაწილეთა მხარდასაქვერად „ლიტერატურულ ფონდთან“ შექმნილი „მოსწავლე ახალგაზრდობის დამხმარე კომიტეტი“ შედიოდნენ ვ. ხოროშევსკი და ლოლობერძე¹.

საექვო აღარ უნდა იყოს, ხ-სკის სახე, ვლადისლავ ხოროშევსკისთან პირადი მეგობრობის, შეხვედრებისა და პოლიტიკური საუბრების უშუალო, ცოცხალი შთაბეჭდილებებითაა შექმნილი.

გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“ თანამედროვე ვითარებაში ყოველმხრივ გარკვეული ქართველის იდეალის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა და ეს იდეა, არსებითად პუბლიცისტური ხერხით არის გახსნილი.

გ. წერეთელი მაშინაც არ ღალატობს ამ ხერხს, როცა უყურებს გმირს, ფიქრობს მასზე და ამით საშუალება ეძლევა ფსიქოლოგიურად გახსნას ხასიათი.

შეუძლებელია, მხატვრის ნაკლად მივიჩნიოთ ეს, — საქმე გვაქვს ეპოქის სტილის ნიშანთვისებასთან, რომელიც საშუალებას აძლევდა მწერალს სათანადოდ გადმოეცა თავისი აზრი და გრძნობა.

როგორც იდეური ჩანაფიქრით, ისე მხატვრული განხორციელებით გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“ ქართული ლიტერატურის ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოებია, ხოლო გულმოდგინე სარედაქციო დამუშავებით, ადვილად შეიძლებოდა ზოგიერთი ნაკლის თავიდან აცილება.

პუბლიცისტური პათოსი და ინტელექტუალიზმი ამ ნაწარმოების მთავარი ღირსებაა და ამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ საზოგადოებრივი პრობლემები მასში ეპოქისეული სისრულითა და სიმართლითაა გაშუქებული.

თხზულების მეორე ნაწილში მწერალი მთლიანად შებოქილი ჩანს ამ პათოსით, მისი მრავალსიტყვაობა ყოველთვის ვერ ემსახურება მხატვრული განზრახვის ხორცშესხმას, სურათოვანი დეტალის გამკაფიოებას, ზოგან სიტყვა ჩანაფიქრის ასპექტგარეშე რჩება და ეფექტურად ვერ მონაწილეობს მიზნის მიღწევაში, მაგრამ ეს ლიტერატურული პუბლიცისტიზმის საერთო ნაკლია.

„მგზავრის წიგნების“ მხატვრულ ღირსებას ჩრდილს აყენებს ენობრივი ნატურალიზმი, რომელიც გაბატონებულია როგორც პერსონაჟთა, ისე ავტორის მეტყველებაში. გრ. ორბელიანმა ძირითადად სწორად, სალიტერატურო ენის სიწმინდის გულწრფელი სურვილით გა-

¹ Восстание 1863 г. И русско-польские революционные связи 60-х годов, 1961 г.

მოაშვევა ავტორის შეცდომები, მაგრამ თვით ნაწარმოები სუბიექტურად შეათვალი; მისი იდეური თვალსაზრისის ნათელსაყოფად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იგი კიკოლიკისადმი ამჟღავნებს სიმპათიას¹.

როგორც იდეურად, ისე მხატვრული გააზრებითა და განხორციელებით, გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“ „კრებულის“ ერთ-ერთ ყველაზე ტიპურ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ.

„ჩვენი ცხოვრების ყვაილი“

„მგზავრის წიგნებთან“ ბევრი რამ საერთო აქვს „კრებულში“ დაბეჭდილ გ. წერეთლის მეორე ვრცელ თხზულებას „ჩვენი ცხოვრების ყვაილი“, რომელმაც მაშინ ცხოველი ინტერესი გამოიწვია, ხოლო დღეს თითქმის მთლად დავიწყებულია. იგი გამოქვეყნდა ჟურნალის 1872 წლის მე-8—9, მე-10—12 და 1873 წლის პირველ და მეორე ნომრებში.

როგორც ირკვევა, ცენზურა ამ ნაწარმოებს განსაკუთრებით აუხირდა და რამდენჯერმე კიდევ შეაჩერა მისი ბეჭდვა. „შარშანდელი „კრებულის“ უკანასკნელი ნომრები ჯერ კიდევ არ გამოსულა, — სწერდა ს. მესხი 1873 წლის 26 თებერვალს კეკე მელიქიშვილს, — რადგან ცენზორი კიდევ მოუბრუნდა გ. წერეთლის მოთხოვნას და კიდევ წაშალა რაღაცეები“. პროფ. ს. ხუნდაძის აზრით, ცენზორს „ის ადგილი ამოუღია, სადაც აღწერილი იყო პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის არეულობის ისტორია“. მართლაც, „კრებულის“ 1873 წლის მე-2 ნომერში, სადაც ღიტიოს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი იწყება, აღნიშნულია: „დასასრული I ნაწილისაო“, მაგრამ გაგრძელება ჟურნალში აღარ დაბეჭდილა.

„ჩვენი ცხოვრების ყვაილი“ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. „კრებულში“ დაბეჭდილი ნაწილი ავტორის (ღიტიოს) ბავშვობასა და ყრმობას გვამცნობს, გასული საუკუნის 50-იანი წლების ამბებს გადმოგვცემს. უანრობრივი თავისებურების გამო აქ კიდევ უფრო წაშლილია საზღვარი პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის; შეიძლება ითქვას, რომ პუბლიცისტურია როგორც ამოცანა, ისე მისი შესრულების ხერხი.

მთავარი შინაარსი ნაწარმოებში ათასგვარი ერთმანეთთან დაუნათესავებელი ამბებითაა შესულდრული. ხშირად შწერაღოს თითქმის მთლიანად ავიწყდება ღიტიოს თავგადასავალი და უმიზნოდ, სიუჟეტთან ყოველგვარი მიმართების გარეშე, მოსაბეზრებელი დაწვრილებით აღ-

¹ „ცისკარი“, 1874, სექტემბერი-ოქტომბერი.

წერს თონიკე კვიმატაძის ცხოვრებას ან გაუთავებლად გვესაუბრება გზად შემოყრილ რომელიმე შემთხვევით პერსონაჟზე. მოულოდნელად ჩნდება ლეგასა და კატუნის უთავბოლო ბიოგრაფია; სარბიელზე კვლავ გამოდის ნაწარმოებისათვის ფუნქციონირებადი ევერია, რომელსაც დიტო ჰანბალისა და სციპიონის ამბებს უყვება; დასასრული არ უჩინანს იმის დასურათხატებას, თუ როგორ აჯობა დიტომ ჰინკას და უშინშრად ავიდა სერზე; ამ პატარა ეპიზოდისათვის ავტორს ახალი პერსონაჟის შემოყვანაც სჭირდება და მკითხველი იძულებულია გაეცნოს ვინმე მოსე სეფისკვერაძის გაუთავებელ ისტორიას. არაფერს მკითხველი, თვითონ მწერალიც ვერ ერევა ასეთ მოუწესრიგებელ, ულოგიკო, არეულ-დარეულ სიუჟეტს და ნაწარმოებში განმეორებებსა და წინააღმდეგობებსაც ვამჩნევთ. ზოგი ადგილი, რომელიც ფართო სიტყვიერ ქსოვილს მოითხოვს, შეკუმშულია, ხოლო რომელსაც ლაკონიური მოხაზვა ესაჭიროება, გაზვიადებული და გაჰიანურებულია. ალაგ-ალაგ, როგორც იტყვიან, მწერალი „ჭიქაში ქარიშხალს ატრიალებს“, არ აცლის, რომ მოქმედება თავისით განვითარდეს. ოქმის სიზუსტითაა აღწერილი, როგორ იპარავენ ქათმებს დიტო და მისი ამხანაგები, როგორ ცხოვრობდა თონიკე კვიმატაძე; შეუთავსირებელი და მომაბეზრებელია დიალოგები. პერსონაჟთა სიტყვა და საქმე არ შეესატყვისება მათ ბუნებას; ისინი ფერმკრთალნი, უსახურნი და უსიცოცხლონი არიან, არსებობენ არა საკუთარი სიცოცხლით, არამედ ავტორის დაყინებით. ყოველივე აღნიშნულის გამო, ამბებს აკლია მოტივაცია, მხატვრული დამაჯერებლობა გაუგებარია, რატომ და როგორ გაწყვეტა ცხრა წლის დიტომ თონიკე კვიმატაძე? რატომ დაუშვეგობრდა ყვერია დიტოს? როგორ გადაურჩა ლეგა სასჯელს? ავტორს აკვიტებული აქვს ბანალური გამოთქმები და შედარებები.

ენობრივი ნატურალიზმი, რომელსაც „მგზავრის წიგნებშიც“ ვამჩნევთ, „ჩვენი ცხოვრების ყვავილში“ აუტანელი ზდება; ნაწარმოებები დამძიმებულია დიალექტიზმებითა და ბარბაროზმებით, უმართებულო სტილისტურ-სინტაქსური გამოთქმებით, რის გამოც, უგვანი თარგმანის შთაბეჭდილებას სტოვებს. უნიფიცირებული და გამოფიტულია პერსონაჟთა მეტყველება — ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებთ პატარა დიტოს, მოხუცი გლეხის თონიკეს, „პედაგოგ“ ყვერიასა და გიმნაზიის დირექტორის ლაპარაკს. რიტმი და სტილი უმდგრადი და აჭრელეულია.

აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, „ჩვენი ცხოვრების ყვავილს“ უკვალოდ არ ჩაუვლია; გ. თუმანიშვილის გადმოცემით, ახალგაზრდობა მას გატაცებით კითხულობდა. იგი სხვათა შორის, წერს: „Роман «Цветок нашей жизни» по своей психологии детской жизни и идеализации наших людей во многом напоминает луч-

შიე произведений А. Шемора-Махайлова („Гнылая болота“, „Жизнь Щупова“ и пр.) „ჩვენი ცხოვრების ყვაილის“ გ. თუმანიშვილი გ. წერეთლის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად თვლის.

რა იყო ამ მოწონების და პოპულარობის მიზეზი? — უწინარეს ყოვლისა, თხზულების იდეური აქტუალობა და ავტორის დიდი მოქალაქეობრივი შემართება. გ. წერეთელმა მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა ეპოქის ერთი ყველაზე საწირობოროტო საკითხი — აღზრდის საკითხი და ცხოვრების მწვავე ეროვნულ-პოლიტიკურ დუღილში გააშუქა ის: გაბედულად დაგმო ცარიზმის საგანმანათლებლო სისტემა. და მასთან ერთად, არსებული რეჟიმის მთელი სიმახინჯე. მოთხორობაში ჩანს, როგორ აბეჩაებდა მაშინდელი სკოლა ადამიანს სულიერად, როგორ აჩლუნგებდა გონებრივად და აკნინებდა ზნეობრივად.

ნაწარმოებში მხილებულია თვითმპყრობელობა და მისი სახელმწიფო აპარატი. მაგრამ, „ჩვენი ცხოვრების ყვაილი“ ძლიერია არა მარტო მხილებით, არამედ თავისუფლების პათოსითაც, მოძველის რწმენით. ავტორი სამაგალითოდ გვისახავს იმ უბრალო ადამიანებს. რომელთაც „არ გაქრობიათ თავისუფლების სიყვარული და თანასწორობის გრძნობა... თვითარსებობის და დამოუკიდებლობის ცეცხლი. — რომელთა გულში „მონობრივ გრძნობას ფესვი არ გაუდგამს“.

ნიკი. ენერჯია, კეთილი ლტოლენი, რომელიც დიტოს სკოლამ და გადაგვარებულმა ოჯახმა შეუმტრა. ნოყიერ ნიადაგს პოულობს ხალხში. გლეხთა წრეში. სადაც ის პირველად შეიცნობს თავის ღირსებასა და ნაკლს. მოვალეობასა და მოწოდებას. თონიკე კვიმატაძე, მარინე და მათი თანამოძმე გლეხები კვლავ გამოადვილებენ მის ჩაფერფლილ სულში ადამიანურ საწყისებს.

ისე როგორც „მგზავრის წიგნებში“, ამ თხზულებაშიც იდეალურ აღმზრდელად, თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანად გ. წერეთელმა პოლონელი მოღვაწე წარმოგვიდგინა. „მგზავრის წიგნების“ — ზოროშევსკი (ზ-სკი) და „ჩვენი ცხოვრების ყვაილის“ უმანსკი სხვადასხვა ვითარებაში განვითარებული ერთი და იგივე მხატვრული სახეა. ხასიათით, აღზრდის მეთოდითა და პოლიტიკური მიწრაფებებით. უმანსკი მოთხორობაში უარყოფილი სინამდვილის სრული კონტრასტია. მოწაფეებთან მას მეგობრული ურთიერთობა აქვს, მკაცრი, მაგრამ სამართლიანია, პირადი მაგალითითა და გონივრული საუბრებით ბავშვებს მაღალ ზნეობრივ თვისებებს უნერგავს, გამფუძვლულ წესებს არ ებუება და კაცთმოძულეებს პირში ამხელს; უყვარს ახალგაზრობა და მტკიცედ სჭერა მისი მომავალი.

„ჩვენი ცხოვრების ყვაილის“ საერთო მხატვრული მარცხი მით

1 Г. Туманов, «Характеристики и воспоминания», III, 1913, 372.

უფრო დასანანია, რომ მებრძოლ იდეურობასთან ერთად, მასში პატრიოტული მგზნებარებითა და ლიტერატურული გემოვნებით დაწერილ რამდენიმე ადგილსაც ვხვდებით; ცოცხლად ჰყვება თონიკე კვიმატაძე ომის (1854—1856 წლების) ამბებს, რომელთაც საინტერესო ისტორიული აქსესუარები აქვთ შემონახული; მიმზიდველად და დახატული ზოგიერთი პეიზაჟი; საკმაო ფსიქოლოგიური ნიუანსებითაა გაღმოცემული ღიტოსა და მარინეს სიყვარული.

„ჩვენი ცხოვრების ყვავილს“, ისე როგორც საერთოდ გ. წერეთლის მხატვრულ ნაწერებს, უდავოდ აკლია მხატვრული დამუშავება, ენობრივ-სტილისტური დახვეწა; მას ნაჩქარევი შრომის დაღი აქლევია, მაგრამ იდეური თვალსაზრისით ეპოქის სუნთქვას გამოხატავდა და დღესაც ინარჩუნებს ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობას.

აპაკი წარათელი

„საუბარი ორთაშუა“

აკაკის ეს პატარა მოთხრობა „კრებულში“, თითქოს განკერძოებით დგას. ამ ჟურნალისათვის ჩვეული პუბლიცისტური პირდაპირობითა და პათოსით როდი განიხილავს ყოველდღიურ მოვლენებს. მწერალს, ერთი შეხედვით, უფრო მარტივი, მაგრამ, არსებითად, გაცილებით უფრო რთული გზა აურჩევია იმავე მიზნის მისაღწევად. ნაწარმოებში მშვიდი, ჯიკური თხრობით არის გაღმომლილი ბატონყმობისაგან ახალგათავისუფლებული გლეხის ფიქრები და ტკივილები, მისი მიმნდობი, მიაპიტური ხასიათი. გლეხკაცი კიკო ადამიანური უბრალოებისა და სიკეთის განსახიერებაა. მას არ შეუძლია და უთუოდ არც სურს, მაღალფარდოვანი სიტყვებით დაგვისურათოს თავისი მდგომარეობა, მაგრამ გულუბრყვილო საუბარში მკითხველი კარგად გრძნობს მის გულისტკივილსაც და სიცოცხლის მარადიულ ხალისსაც. მძიმე ცხოვრებას საიმედოდ გამოუწვრთნია და გამოუკვრავს მისი ნებისყოფა; იცნობს ამ ცხოვრებას და აშკარაა, რომ მას ველარაფერი დასცემს, ველარაფერი წარუკვეთს იმედს. კიკოლა ხალხის შვილია, ხალხის ფიქრითა ფიქრობს და ხალხის ენით მეტყველებს. მწერალი საკუთარ გულივით იცნობს მის გულს, მის ფიქრსა და სურვილს. იგი არც მის ღირსებას აზვიადებს, არც ნაკლს. ფუნჯის ერთი მოსმით ავტორმა თავისებურად აღბეჭდა. მშრომელი გლეხის ნათელი სახე და სულიერი კეთილშობილება. სურათის ფონი შეფერადებულია იმერეთის ესთეტიკური პეიზაჟებითა და ხალისიანი სათავგადასავლო შემთხვევებით.

„მელალუმე“

როგორც იდებურად, ისე მხატვრულად ეს თხზულება გ. წერეთლის „ჩვენი ცხოვრების ყვავილს“ ენათესავენ; ორივე ავტობიოგრაფიულია, თემად ორთავეს აღზრდის პრობლემა აქვს და ერთიცა და მეორეც პუბლიცისტური პროზის (თუ მხატვრული პუბლიცისტის) ნიმუშია.

„მელალუმე“ 1871 წლის მე-4 ნომერში დაიბეჭდა. ჟურნალის გვერდზე იგი მოთხრობად მოიხსენიება. ავტობიოგრაფიული რეალები მასში ადვილად შესამჩნევია; მთავარი პერსონაჟი — სინკო მდიდარი ვაჭრის შვილია, ჭერ ქუთაისში სწავლობს, შემდეგ — პეტერბურგში, ხოლო 1864 წელს პარიზში მიემგზავრება. მაგრამ მწერალი გამონაგონითაც ამდიდრებს პირად თავგადასავალს — ზოგ რამეს თვით მიიწერს, როგორც მთხრობელი, ზოგსაც სინკოს ბიოგრაფიას უმატებს და ფინალსაც ფანტაზიის მოშველიებით ქმნის.

„კრებულში“ დაბეჭდილი არც ერთი ნაწარმოები ისე სასტიკად არ გაუკრიტიკებიათ, როგორც „მელალუმე“. პირველი უარყოფითი რეცენზია თვით ჟურნალის ოფიციალურმა რედაქტორმა გ. წერეთელმა გამოაქვეყნა¹.

ანტ. ფურცელაძემ, რომელსაც „კრებულთან“ და განსაკუთრებით ნიკ. ნიკოლაძესთან ცხარე პოლემიკა ჰქონდა, ხელზე დაიხვია „მელალუმის“ ნაკლოვანებანი და ცდილობდა ოდიოზურ მოვლენად გაეხადა ის². ასე რომ, ბოლოს თვითონ ავტორიც იძულებული გახდა, ელიარეზინა ამ მოთხრობის სისუსტე³.

კრიტიკოსთა შენიშვნები ჩვენ სწორად მიგვაჩნია. „მელალუმე“ სქემატური, უსიუჟეტო და უკომპოზიციო ნაწარმოებია. მასში დარღვეულია როგორც ამბის, ისე ხასიათის განვითარების ლოგიკა, პროპორცია და შინაარსობრივი თანმიმდევრობაც კი. თემას არ აქვს გამოძებნილი ემოციურად ეფექტური კუთხე. საგნის ან ამბის სპეციფიკისა და ფუნქციისაგან დამოუკიდებლად, ზოგი ადგილი კონსპექტურად შეკუმშულია, ზოგიც — ნაძალადევად გაკიანურებული. გაუთავებელი დიდაქტიკური ჩიჩინი და ათასგვარი უადგილო დამოძღვრა აღუნებს ისედაც სუსტ რიტმს.

სინკოს ამბავი ჭიუტი ცალმხრივობითაა გაგრძელებული; ავტორს ავიწყდება, რომ მკითხველი შეიძლება დააინტერესოს ადამიანის ბედ-

¹ „დროება“, 1871, № 24.

² „მნათობი“, 1872, № X—XI—XII.

³ „კრებული“, 1872, № 10—12.

მა. ერთდროულად მრავალ ასპექტში განვითარებულმა მისმა ცხოვრებამ და არა სქემატურ სამოსელში გახვეულმა მორალმა. ცხადია, მხატვრულ ნაწარმოებში მთელი ძალა ხასიათის ერთ ნიშან-თვისებაზე უნდა იყოს კონცენტრირებული, ყველაფერი ამ მიზანსწრაფულობით უნდა შეირჩეს, მწერალი გარკვეულ კვალში უნდა ჩაუდგეს გმირებსა და მოვლენებს, მაგრამ კარგ ნაწარმოებში ეს ნიშანთვისება მუდამ უნივერსალურ როლს თამაშობს და ერთდროულად საზოგადოებრივისა და პიროვნულის მრავალ მხარეს ამკლავნებს.

ფერმკრთალი და ნატურალისტურია მოთხრობის ენა. მიუხედავად ყოველივე ამისა, პუბლიცისტური ხერხით მწერალმა ამხილა არისტოკრატიული ახალგაზრდობის ფუქსავატობა. უმიზნობა და დილეტანტობა, მაშინდელი აღზრდის სიმახინჯე და სოციალური უთანასწორობის ბოროტება. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძე მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული ყოფილა. რამდენიმე ადგილი მას კარგი ლიტერატურული ალღოთი და ფსიქოლოგიური ტაქტით აქვს შესრულებული. საკმაოდ ექსპრესიულადაა დახატული ვენის არისტოკრატიული ქუჩა—გრაბენი.

„სხვათა შორის“

„კრებულის“ 1873 წლის მე-4 ნომერი მთლიანად ნ. ნიკოლაძის ამ თხზულებას უკავია. მასში აღწერილია 1872—1873 წლების მოგზაურობა რუსეთსა და ევროპაში და, როგორც ქვესათაურიდანაც ჩანს, ავტორის „ნაგრძნობსა და განაგონს“ ემყარება. ჟანრობრივად ის მხატვრულ პროზასაც შეიძლება მივაკუთვნოთ და პუბლიცისტუკასაც, ორივესთვის საკმაო საფუძველი მოგვეპოვება. უშუალოდ მოგზაურობის რეალიებსა და შთაბეჭდილებებს ავტორი ემოციურად, ფერადოვანი ენითა და ლიტერატურული სახეებით გადმოგვცემს, ხოლო გზადაგზა წამოჭრილ პრობლემებს ღრმა სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავს. ჩვენი აზრით, ნ. ნიკოლაძემ ამ თხზულებაში მიაგნო თავისი ტალანტის, ტემპერამენტისა და ინტერესების გამოხატვის შესაფერ ფორმას. აქ ის შებოჭილი არ არის არც ლიტერატურული პირობითობით, არც სიუჟეტისა და კომპოზიციის მკაცრი მონახანით; ფართო შემოქმედებით თავისუფლებას გრძნობს და წარმატებითაც აღწევს დასახულს მიზანს, — კაცობრიობის პროგრესულ მისწრაფებათა ფონზე გვიჩვენებს ჩვენი ახალთაობის ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალს.

პირველი თავი („გამოსალმება“), რომელშიც ფოთიდან გემით გამგზავრებაა მოთხრობილი, 1872 (№ 11) „დროებაშიც“ დაიბეჭდა. გარდა ამისა, ნაწარმოები თორმეტი თავისაგან შედგება, „კრებულში“

კი თერთმეტი დაიბეჭდა, რადგან ორი: „სოხუმი“ და „ციურიხი“ ცენ-
ზურას ამოუღია და სათაურებიღაა დარჩენილი; გამოქვეყნებულ ნა-
წილშიც ბევრი ადგილი ამოშლილია.

ნაწარმოები ყურადღებას იპყრობს მრავალფეროვანი თემატიკით,
პოლიტიკური საკითხების ღრმა ანალიზითა და სტილის ერთიანობით.
იგი ნათელ წარმოდგენას იძლევა ავტორის პუბლიცისტურ ერუდიცი-
ასა და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში საერთაშორისო მოვლენე-
ბის ფართო რეზონანსზე. „სხვათა შორის“ გაქვნილია თავისუფლე-
ბისათვის ბრძოლის სულით, განახლების პათოსით, მოტივირებული
ოპტიმიზმით. იგი მაღალი მოქალაქეობრივი მღელვარებით განგვაკლდე-
ვინებს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას, საფრანგეთის შინაპოლი-
ტიკურ დუდილს, პარიზის კომუნას. მასში რაღაც საოცარი ორატო-
რული ხელოვნებითა და რომანტიკული მომხიბლაობითაა გაცოცხლე-
ბული 60-იანი წლების მთვინეობანი. აგზნებული მეტყველება, პათეტი-
კური მონოლოგი, შინაგანი ექსპრესია გადაძვლები ძალით აღადგენს
ბობოქარი დროის სულს, უშუალო, რიტმული და ინტენსიური თხრო-
ბით, მწერალი პარიზელ კომუნარტა გმირული ბრძოლის თანაზიარად
ხდის მკითხველს, ურბანისტული დინამიზმი და ნერვეული დაძაბულო-
ბა შემოაქვს ჩვენს ლიტერატურაში.

მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს
თხზულების დასაწყისი და მეოთხე თავი. მწერალს სევდადაკრული მე-
ამბოხის განწყობილებით აქვს აღწერილი სამშობლოსთან გამოსალმე-
ბა, რასაც სავსებით ეხმიანება ბაირონის, ბარათაშვილის, ჰაინეს, მარ-
თლაც და, უნებურად მოვარდნილი სტრიქონები.

მეოთხე თავი — „ტრფობა და ექვიანობა“, რომელსაც ავტორი „პა-
წაწინა მოთხრობას“ უწოდებს, არსებითად დამოუკიდებელ ნოველას
წარმოადგენს; თხზულებაში ის საღაღობოდ არის ჩართული, მაგრამ,
ჩანს, ავტორი მძაფრად განიცდის მასში წამოქრილ ფსიქოლოგიურ
პრობლემას. სატრფიალო თავგადასავალი მას მიმზიდველად აქვს გად-
მოცემული, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ პრობლემა აინტერესებს და
არა ამბავი; ამიტომ როლები და ქცევის ნორმები წინასწარ განაწი-
ლებულია.

დავით ერისთავი

„წყლებზე“

ძველი უურნალ-გაზეთის გადათვალთვლებისას, არცთუ ისე იშვია-
თად გვხვდება ხავსმრკიდებული ნაწერი, რომელიც დაშორებულია
ჩვენს აზრსა და გრძნობას, დაბეჭდვისთანავე დაძველებულა და დროს,
ამ ყველაზე მკაცრს მსჯავრმდებელს, დავიწყებისთვის მიუცია. მაგრამ

ათასში ერთხელ ისეთ ქმნილებასაც გადავეყრებით, რომლის მივიწყება და გარდასული ხანისთვის გატანება დაგვენაწიება. იგი უნებურად იქცევა ჩვენს ყურადღებას და გვაიძულებს, პატივისცემით მოვეპყრათ; მას ჯერ კიდევ არ მოსდებია სიძველის მტვერი, ჯერ კიდევ ახლის სხივით ელავს და ბევრ რამეს ეუბნება ჩვენს გულსა და სულს. ასეთია, ჩვენი აზრით, დავით ერისთავის მოთხრობა „წყლებზე“. ფერუცელელი იდეებით, დახვეწილი განცდით, გაფაქიზებული გემოვნებით, ის ლიტერატურული ცხოვრების დადებით ტენდენციებს გამოხატავს. ქართველ მწერალს ორგანულად აღუქვამს იმდროინდელი ევროპის სინამდვილე. შეიძლება ითქვას, მასში ყველაფერი ევროპელის თვალითაა დახატული და შეფასებული. ფართო საერთაშორისო დიპაზონი, ინტელექტუალური სიღრმე, სერიოზულ საკითხებზე ერუდირებული სჯა; ცხოვრების ცოდნა, პატრიოტული მხურვალება, — მიუხედავად ნაკლოვანებებისა, — ამ ნაწარმოებს უდავოდ ანიჭებს როგორც შემეცნებითსა და აღმზრდელიობითს, ისე ესთეტიკურ ღირებულებას. მისი ავტორი იმ დროს უკვე სახელმძღვანელო მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო, ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი და ქართული პრესის ამავდარი.

ქვესათაურში ნაწარმოებს „უქმი ტურისტის მოთხრობა“ ეწოდება და დაწერილია დ. ერისთავის საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1872 წლის 31 აგვისტოს სოფ. ოძისში.

თანამედროვეებს ეს თხზულება მოსწონებიათ¹.

მოთხრობის შინაარსი საფრანგეთ-პრუსიის 1870-71 წწ. ომის სოციალურ-სულიერი სინამდვილის ფონზე იშლება და მოქმედება ავსტრიის საკურორტო ქალაქ ემსში მიმდინარეობს. ცხადია, მწერალი ასეთ ვრცელ თემას მოკლე ნარკვევში ვერ ასახავდა და მკითხველს უცნობ სამყაროზე ვერავითარ წარმოდგენას ვერ მისცემდა, რომ ბელტრიზირებისათვის არ მიემართა, ემოციური ქარგა არ გამოენახა და დამახასიათებელი ამბები სიუჟეტურ ერთობლიობაში არ განევითარებია. საზოგადოებრივი მოვლენები ადამიანთა თავადასავალში, მათს ურთიერთობასა და ინტიმურ დამოკიდებულებაში მკლავდებდა. სიუჟეტურ ხლართში ბუნებრივად ვლინდება სოციალური წინააღმდეგობანი, პერსონაჟთა ხასიათი და, საერთოდ, ავტორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი. ექსპოზიციის თვალწინ გვეხატება ომისდროინდელი საკურორტო ქალაქი, სადაც ევროპელ არისტოკრატებს შეუყრიათ თავი და ყველა თავისებურად განიცდის ან არ განიცდის შემაშფოთებელი ბრძოლის ამბებს; აქ ფრანგებიც არიან და გერმანელებიც,

¹ „დროება“, 1873, № 13, 14, (ს. მესხის რეცენზია); Г. Туманов, დასახ. წიგნი: 83. 21.

რუსი პროფესორი იაგნიციკი და ქართველი სტუდენტიც, რომელიც თხზულებაში მთხრობელის როლს ასრულებს. ისინი შემთხვევით და, ასე ვთქვათ, „კურორტული სიადვილით“ გაეცნენ დაბაისელ ქალსა და მასთან მყოფ ორ ქალიშვილს. უცხოელებს მოეწონათ ლამაზი, მგზნებარე, მაგრამ მოკრძალებული სტუდენტი.

სტუდენტსა და ჟანას ერთმანეთი შეუყვარდათ. ამ სატრფიალო თავგადასავალში ვლინდება მოწინავე სოციალურ-ეროვნული იდეები, იგრძნობა ეპოქის სუნთქვა და ნაწარმოების ღირსებასაც ეს შეადგენს. მოთხრობის გმირები გვხიბლავენ მხურვალე პატრიოტული გრძნობით, სამშობლოს ბედნიერებისათვის თავდადებითა და გმირული სულით. მოქმედება, ბრძოლა, თავგანწირვა პატრიოტიზმის დედაარსად არის მიჩნეული. ქალიშვილი მაგიდაზე წიგნს დაინახავს და აღტაცებით წამოიძახებს:

— ...ვის მოუტანია „Patrie“ სარდუსი? გინახავთ ეს პიესა?

— ღიახ, მინახავს.

— გახსოვთ შესანიშნავი ფრაზა, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს მთელი პარიზი? „Je suis femme et la patrie à moi c'est l' amour“.

ეს ადგილი, სხვათა შორის, გვიჩვენებს, რომ დავით ერისთავი ადრევე დაინტერესებულა ვიქტორიენ სარდუს „Patrie“-თი, რომლიდანაც ათიოდე წლის შემდეგ თავისი დიდებული „სამშობლო“ გადმოაკეთა.

ავტორს სიცოცხლის მომწყველელ ტკივილად, ენით გამოუთქმელ უბედურებად ესახება ეროვნული ღირსების შელახვა. მისი გმირები ეროვნული დამცირებით დასწრებულ ადამიანებს მოგვაგონებენ; იტანჯებიან და ტანჯვით იმეცნებენ, რომ ამ სწეულებას მარტოდენ ბრძოლა და გამარჯვება განკუთრნავს.

მაგრამ დ. ერისთავს რომ ნაციონალური გრძნობა ცალმხრივად, მაშასადამე, არაჯანსაღად წარმოედგინა, მაშინ მისი მოთხრობა სერიოზული ყურადღების ღირსი ვერ გახდებოდა და მის შეხედულებებს რევოლუციურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობასთან საერთო არა ექნებოდა რა. მწერალი მხურვალედ თანაუგრძნობს ჟანასა და მის თანამემამულეთა ტრაგედიას და სოციალურ სფეროში ეძებს მტრობასა და სიძულვილის ფესვებს; მისი მიზანი ამ საზოგადოებრივი უსამართლობის მხილება და დაგმობაა, იგი „მამულისადმი სწეულებით სიყვარულს“ უწოდებს ჟანას ნაციონალურ გრძნობას და კიცხავს გამეფებულ ძარცვა-გლეჯას, მილიტარიზმსა და კოლონიალიზმს, რომელთაც ასეთ „სულიერ ავადმყოფობამდე“ მიჰყავს ადამიანი.

მოთხრობა დღესაც აქტუალურია ანტიმილიტარისტული სულით, პრუსიული მხედრონის მხილებით, მკითხველი ზიზღით იმსჭვალება

„პარიზის გმირი დამპყრობლებისადმი“, რომლებსაც მუსიკითა და ყვავილებით ხედებიან და ახალი სისხლისღვრისათვის აქეზებენ.

მწერლის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა არც ამით იფარგლება. ომთან ერთად ის პასიურ პროტესტსა და თვალთმაქცურ პაციფიზმსაც გმობს. მოთხრობაში გარკვევით ისმის მოწოდება: „ომი ომ! ბრძოლა ომის გამჩაღებლებს“. ეს უკვე ნათელ წარმოდგენას იძლევა ავტორის მისწრაფებათა უაღრესად დემოკრატიულ ხასიათზე, რომელსაც დღემდე არ დაუქარგავს სასიცოცხლო მნიშვნელობა. რა არის ცარიელი თანაგრძნობა, რა არის უღიმღამო პაციფიზმი? — „გულგრილობა მიღწეული მასხარათ ავღებამდინ, პროფანაცია კაცობრიობის ღირსებისა, კაცთმოყვარეობა მიღწეული გარყვნილებიდან“. „თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა, მშვიდობა და სინათლე!“ — აი, ხალხთა იდეალი, აი ყველა ადამიანის კეთილშობილი ბრძოლის მიზანი! ამ სიტყვებით მთავრდება პარიზის კომუნართა ბარიკადებზე გმირულად დაცემული მამის წერილი ჟანასადმი.

დ. ერისთავი ევროპის ცხოვრებას აღწერს, მაგრამ მოხერხებული ჩანართებით ცხადად მიგვანიშნებს ხალხთა თანაზიარობაზე, მომავლის იდეალის განუყოფლობაზე. პროფესორ იაგნიცკისა და ქართველ სტუდენტს თავიანთი სამშობლო ელანდებათ, მისი ბედი აფიქრებთ.

ამ დიდი სოციალური დატვირთვის მიუხედავად, მოთხრობა საინტერესო და შთამბეჭდავია, რადგან საზოგადოებრივი პიროვნულში ვლინდება, ადამიანთა გრძნობებსა და ხასიათში ირეკლება.

სოციალური უკუღმართობა გაუშლელად აზრობს ახალგაზრდულ ვნებებს; გრძნობა და მოვალეობა ერთმანეთს დაპირისპირებია, განცდა გონების ცივ-სამსჯავროს დაქვემდებარებია; ჟანა ცრემლით ეთხოვება შეყვარებულს, გულში იკლავს მის ტრფობას და ჩუმად მიდის ემსიდან, — როგორც თვითონ წერს: „თქვენ რომ შემერთეთ, ყველაფერზე ხელი უნდა ამეღო... ჩემი შვილები ფრანგები აღარ იქნებოდნენ“ და, მაინც, ემუდარება: „ხანდახან მოიგონეთ ხოლმე თქვენი საბრალო ჟანა“.

მოთხრობაში ისეთ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს ვხვდებით, რომ დ. ერისთავი დაკვირვებულ, ადამიანის სულის მცოდნე შემოქმედად უნდა ვაღიაროთ. განსაკუთრებით საყურადღებოა სტუდენტისა და ჟანას გაცნობის ეპიზოდი, ბალში სეირნობა, ციხის ნანგრევებზე ერთად ასვლა. ამ მხრივ საინტერესოა ისიც, რომ გმირის პორტრეტს ავტორი მუდამ მისთვის ყველაზე დამახასიათებელი მოქმედების დროს გვიხატავს, ე. ი. ფსიქოლოგიურ პორტრეტს ქმნის.

ამასთან, მცირე ფორმის ნაწარმოებში ასოცირების გზით მწერალი გმირთა მთელ თავგადასავალს წარმოგვისახავს. უფრო მეტი, ჟანას მამა კარგა ხანია ბარიკადებზე დაიღუპა, მაგრამ მისი სახე მოთხ-

რობაში მინც აქტიურად მონაწილეობს და მკითხველი ნათლად გრძნობს მის ხასიათს.

გაღამებებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დავ. ერისთავმა მაღალი ინტელექტისა და ნებისყოფის ფრანგი პატრიოტი ქალიშვილის მიზიდველი სახე შექმნა. განვითარების შინაგანი ლოგიკის შესაბამისად შერჩეული ეპიზოდებითა და დეტალებით დავ. ერისთავი უთუოდ აღწევს ამ ხასიათის მთლიანობას, მისი წერილი, პარიზის დაცვის ამბავთა მოყოლა, თავშეუკავებელი აპლოდისმენტი „კურზალში“, მოარშიყე პრუსიელი ოფიცრის გაცურება, სტუდენტთან გამოცნაურება და დამეგობრება, მწვერვალზე ერთად ასვლა, ფორტეპიანოს აკომპონემენტზე მგზნებარე სიმღერა, დედისადმი სინაზე, დაბოლოს, ემსიდან გაქცევა და უკანასკნელი ბარათი სრულად ავლენს სამშობლოსათვის თავგანწირული, ჰკვიანი, კეთილი, პრინციპული, მგრძობიარე და მიამიტი ქალიშვილის სულს. ვგრძნობთ, რომ მისთვის განუკურნავ სულიერ ტრავმად იქცა სამშობლოს დამარცხება. რეცენზიაში ს. მესხს მთლიანად მოაქვს მისი მშვენიერი „პატრიოტული წერილი“.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორი იავნიკი მოთხრობის ეპიზოდური პერსონაჟია, მასზე დაკისრებული იდეურ-მხატვრული მისიის შესაბამისად, მწერალმა კარგად გამოძეარწა მოწინავე რუსი ინტელიგენტის სახე.

აღნიშნულ ღირსებათა მიუხედავად, განხილულმა მოთხრობამ ლიტერატურაში შესაფერი ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ეს, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ პერსონაჟებს, სიტუაციებს, ეპიზოდებს აკლია ხორცმესხმა და დასრულება. ავტორს არ ძალუძს სიტყვიერი ქსოვილი ისე გაშალოს, რომ ამან ხელი შეუწყოს კონკრეტული ჩანაფიქრის მეტი მკაფიობით წარმოჩენას. მწერალი ჩქარობს და მოთხრობას ალაგ-ალაგ კონსპექტური ხასიათი აქვს. აქედანვე მომდინარეობს, ალბათ, ზოგიერთი სიტუაციის მელოდრამატულობაც.

ღიმიტრი შაზაგვი

„მავნე სულები“

„მავნე სულებს“ ს. მესხი ეთნოგრაფიულ ნაწარმოებად თვლიდა, მაგრამ მის მხატვრულ მხარესაც ჭეროვნად აფასებდა¹.

ქართული პროზის განვითარების გზაზე ეს ეტიუდი როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ან უკეთ, ფორმისა და შინაარსის თავისებური შესატყვისობით, ცალკე დგას. ეტიუდში არსებითია არა მოხევეე-

¹ „ღრობა“, 1873, № 13.

ბის ცრუმორწმუნეობა, არამედ წარმოდგენა პირველყოფილი უშუალო-
ბის ძლიერ, ნებისყოფიან ადამიანებზე, ბოროტ ძალთა წინააღმდეგ
მათს ბრძოლაზე. ნაწარმოები, უწინარეს ყოვლისა, იწვევს გრანდიო-
ზულისა და იშვიათის შეგრძნებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამყა-
რო თავისი დევებითა და მისნური შელოცვებით, ერთი შეხედვით შე-
იძლება მისტიკურადაც მოგვეჩვენოს, კონკრეტული ისტორიული ფო-
ნით, ეთნოგრაფიული კოლორიტით, ადამიანური ხასიათის წინ წამო-
წვეითა და მხატვრული ხედვის მანერით, სავსებით რეალისტური და
ცხოვრებისეულია.

გულუბრყვილოა ფიქრი, თითქოს აქ რაღაც, უბრალო „მოხეურის
ამბის ჩანაწერთან“, გვეკონდეს საქმე; მოთხრობას ოსტატის ხელი
ეტყობა და პირველი სტრიქონიდანვე იგრძნობა თხრობის ორიგინა-
ლობა. მწერალი ორიოდ სიტყვით ახერხებს პანორამის შემოხაზვას და
უზუსტესი საღიალოგო სიტყვით, ერთბაშად გადადის ამბავზე, რომე-
ლიც სწრაფად, საინტერესოდ ვითარდება. რემარკები ისე დროული,
ბუნებრივი და ლაკონიურია, რომ შეუმჩნეველიც რჩება, რადგან უშუ-
ალოდ ამბის მთლიანობაში აღიქმება. საერთოდ, ავტორის სიტყვა ამ
თხზულებაში დიდი მიზანსწრაფულობით გამოირჩევა. მოკლე დიალო-
გით საკმაოდ დრამატული სიტუაციას ქმნის. პანტომიმური ლაკონიზმი
მისი სტილის უპირველეს ღირსებად გვესახება.

„მავნე სულები“ მომხიბლავია ენობრივი ეგზოტიკით. მართალია,
მოხეურ დიალექტს გრ. ორბელიანმა და ილ. ჭავჭავაძემაც მიმართეს,
მაგრამ დიშ. ყაზბეგის მოხეური უფრო ფეროვანი და პოეტურია; მას-
ში იგრძნობა ფრაზისა და სიტყვის ბუნებრივი სტიქია.

ცხადია, ეს ერთადერთი ესკიზი მწერლის ტალანტზე განვრცობილი
მსჯელობის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ დიშ. ყაზბეგს რომ თუნ-
დაც, რამდენიმე ასეთი მცირე ფორმის ნაწარმოები დარჩენოდა, უეჭ-
ველად საპატიო ადგილს დაიმკვიდრებდა ჩვენს მწერლობაში.

იასონ ნათაძე

„მგზავრის შენიშვნები“

ერთადერთი ნაწარმოების მიხედვით მწერლის შემოქმედებით შე-
საძლებლობაზე გადაჭრილი დასკვნის გამოტანა ძნელია. მაგრამ ი. ნა-
თაძის ორიგინალური ნარკვევის ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ,
რომ ახალგაზრდა ავტორს მომადლებული ჰქონია მხატვრული დაკ-
ვირების ნიჭი, ლიტერატურული ალღო და პოეტური აღმაფრენა; ასე-
ვე, უდავოა, რომ ის კარგად იცნობდა ხალხის ცხოვრებას, მტანჯველად

განიცდიდა დროის სოციალურ-ეროვნულ ტკივილებს და გულანთებული ოცნებობდა საყოველთაო გადახალისებაზე. მწერალი ცდილა, ყველა მწუხარება, ფიქრი და გრძნობა გადმოეშალა ამ ნაწარმოებში და ერთდროულად ის აღმწერიცა, მქალაგებელიც და მხატვარიც.

ი. ნათაძე პუბლიცისტური შეუპოვობით ამხელს საზოგადოებრივ უთანასწორობას, პირდაპირ მსჯავრს სდებს სოციალურ სიმანჩინჯეს. მისი იდეური მრწამსი ასახავს ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოქმნილ სახალხო იმედგაცრუებასა და უკმაყოფილებას. ეს პოლიტიკური განწყობილება ამთლიანებს თხზულების ორივე ნაწილს.

ნარკვევში კარგადაა წარმოსახული სოციალური კონტრასტები. მკაცრ მხილებად გაისმის „განთავისუფლებულ“ ყმათა გოდება. ი. ნათაძემ მკითხველი შეახება „განთავისუფლებული“ გლეხის ქოხში— დაანახვა, რომ „ნაგავსა, მკვარტლსა და უწმინდურობაში“ სული ეხუთება მშრომელ კაცს, ერის იმედს.

ი. ნათაძის ნარკვევში შესამჩნევია ქართველ მთიელთა ყოფის გაიდეგლება. ავტორი მიმზიდველად წარმოგვისახავს მათ რაინდულ სულს, ხასიათის სიმტკიცეს, ზნეობრივ სისპეტაკეს. თუ ილიას „მგზავრის წერილებსა“ და დიმ. ყაზბეგის „მავნე სულსსაც“ მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ეს ტენდენცია კანონზომიერ მოვლენად უნდა ვაღიაროთ და არსებული სინამდვილისადმი დაპირისპირების ფორმად მივიჩნიოთ. 80-იან წლებში ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მან სრულყოფილი სახე მიიღო. მწერალი ცდილობს, თვალწინ გადმოგვიშალოს გრანდიოზული პეიზაჟებისა, ათასწლოვანი ლეგენდებისა და შეუბღალავი ადათების ზვიადი სამყარო. შესაბამისად, თხზულებაში დიდი ადგილი უკავია ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალას; ვფიქრობთ, არც ერთი ჩვენი იმდროინდელი პროზაიკოსი არ დაიწუნებდა არაგვის, საქართველოს სამხედრო გზის, ღრუბლიან მთათა ესთეტიკურ პეიზაჟებს, რომელშიც ფერთა ზომიერი შეზაება და მშვიდი მოკრძალებული აღტაცება იგრძნობა.

თუ, მიუხედავად ამისა, ი. ნათაძის „მგზავრის შენიშვნები“ აქტიურ ლიტერატურულ ფონდს მაინც ვერ შერჩა, ამის მიზეზი თემატიკოკომპოზიციური ქაოტურობა, თხრობის რყევადობა და სტილისტური უწონასწორობაა. ავტორს ვერ მოუსწრია საკუთარი ხელწერის გამომუშაება; იგი ლიტერატურული რემინისცენციების ტყვეობაშია; თავადი კუდაბზიკიძე გ. წერეთლის დაზგას („მგზავრის წიგნები“) მოგვაგონებს, ხოლო მთიული მასპინძელი — ილიას მოხვევს ენათესავება. მაგრამ, ვისაც 70-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის სულიერი ბიოგრაფია აინტერესებს, ი. ნათაძის ნარკვევს უყურადღებოდ არ დატოვებს და მასში მაშინდელი მოწინავე ახალგაზრდობის ბრძოლისა და მისწრაფებების ბევრ ღირსშესანიშნავ შტრიხს იპოვის.

ბელეტრისტული თარგმანი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთი ყველაზე უღიმღამო და მტკივნეული ადგილია. 80-იანი წლებამდე ჩვენს მწერლობას არც ერთი მაღალმხატვრული ნაწარმოები არ შემატებია. ეს დიდად დასანანი და, ერთი შეხედვით, ამოუხსნელი მოვლენაა, რადგან გასული საუკუნე რუსული და ევროპული პროზის აყვავების ხანა იყო და ქართველი ინტელიგენციაც ალტაყებით ეწაფებოდა მას.

ამ ხარვეზების მიზეზი ის უნდა იყოს, რომ XIX საუკუნის რუსული და ევროპული პროზა უაღრესად კონცენტრირებულ ჟანრად იქცა და მასში მთელი სისრულით წარმოსდგა ახალი ცხოვრების მრავალმხრივ განვითარებული და გართულებული შინაარსი, სამეურნეო-ტექნიკური ცვლილებებით, ყოფითი ნიუანსებით, აზროვნებისა და მოქმედების გაფართოებული მასშტაბებით და, შესაბამისად, გამდიდრებული სულიერი, ინტიმური სამყაროთი. უუფლებო, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი, სახელმწიფოებრიობას მოკლებული ხალხის ენას არ ძალუძდა ამ შინაარსისა და ფორმის ადექვატურად ასახვა; საჭირო იყო საერთო აღმავლობა, ყველა დარგში ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის დაუცხრომელი მოსამზადებელი მუშაობა, რომ ქართული ენა კვლავ ფართო ასპარეზზე გასულიყო და ამით მთელი ერი კაცობრიობის ყველა უახლოეს მონაპოვარს ზიარებოდა.

6. პოეზილი

„რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“

მოთხრობის I, II და III თავები დაიბეჭდა „კრებულის“ 1871 წლის მე-2 ნომერში, ხოლო IV, V, VI და VII თავები მე-3 ნომერში. ტექსტობრივად გ. ჩიქოვანს არაჩვეულებრივი სიზუსტით უთარგმნია ეს ნაწარმოები. შეიძლება ითქვას, რომ ის არც ერთ სიტყვას უყურადღებოდ არ ტოვებს და უშეცდომოდ გადმოსცემს აზრს. თარგმანი საინტერესო საკითხავია და, საერთოდ, სწორ წარმოდგენას იძლევა ორიგინალის შინაარსსა და მხატვრულ ღირსებაზე. მთარგმნელი ორივე ენის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს და ხშირად წარმატებითაც პოულობს შესატყვის გამოთქმებს.

ორიგინალთან შედარებით თარგმანი მაინც ფერნაკლული და უნიფიცირებული ჩანს. სახოვანი გამოთქმები აქა-იქ სტანდარტებითაა შეფცვლილი. თხრობა მოკლებულია სიმკვირცხლესა და თანმიმდევრულ რიტმს. გვხვდება რუსიციზმები.

„შინელი“

ივანე მესხის მიერ გადმოთარგმნილი ეს მოთხრობა მთლიანად დაიბეჭდა „კრებულის“ 1871 წლის მე-4 და მე-5 ნომრებში. სიტყვა-სიტყვითი თარგმანის წყალობით მკითხველისათვის გასაგებია შინა-არსი და მწერლის იდეური ჩანაფიქრი, მაგრამ ესთეტიკურ-ლიტერატურული ღირსება ნაწარმოებს დაკარგული აქვს. მთარგმნელს არ გააჩნია რიტმისა და ფრაზის გრძობა, არ ჩანს ყველა კომპონენტთა ერთიანი აღქმა და საერთო პათოსი. ენა გაღარიბებული და გაუბრალოებულია¹.

ალ. ვერცენი

„დოქტორ კრუპოვის თხზულებიდან. კაცობრიობის სულის ავადმყოფობა და იმის გადამღებობა“.

ალ. ვერცენის ეს მწვავე სოციალური რომანი, რომელშიც მაშინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სიმახინჯეა მხილებული, „კრებულის“ პირველსავე წიგნში (1871 წ.) დაიბეჭდა. ცენზორის თვალის ასახვევად, მთარგმნელს (გიორგი წერეთელს) ავტორის ვინაობა არ გამოუმჟღავნებია და რომანი „დოქტორ კრუპოვის თხზულებად“ წარუდგენია. ორიგინალში ნაწარმოებს სათაურად აქვს: „Доктор Крупов. О душевных болезнях вообще и об Эпидемическом развитии оных в особенности, Сочинение доктора Крупова“².

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები ოსტატურად გამიზნულ ალეგორიულ ჩანაფიქრზეა აგებული, ცენზურამ იმთავითვე შეამჩნია მისი პოლიტიკური მიზანდასახულობა: თხზულებათა კრებულის შენიშვნაში ალ. ვერცენი წერს: «Этот небольшой отрывок был помещен в „Современнике“ 1847 года (№ 9. а. к.) с значительными пропусками, сделанными цензурой. Мы его печатаем теперь в настоящем виде“.

ორიგინალსა და გ. წერეთლის თარგმანს შორის არსებული განსხვავება გვაფიქრებინებს, რომ ქართული ტექსტი თხზულების ადრინდელი (შესაძლებელია, თვით „სოვრემენიკის“) გამოცემიდან არის გადმოთარგმნილი. თარგმანი, უშუალოდ, პირველი თავით იწყება, ხოლო დედანში მას საკმაოდ ვრცელი შესავალი უძღვის (მიძღვნა „ექიმებისადმი“).

I და II თავები გ. წერეთელთან შეერთებული და საგრძნობლად

¹ „დროება“ 1871, № 39.

² А. И. Герцен. Сочинения, I, 1958, стр. 379.

შემოკლებულია, ამასთან, დიალოგები, პირდაპირ, თხრობაშია ჩართული. „ამონაწერები ჟურნალიდან“ („Выписки из журнала“) თარგმნილია ორიგინალის თანამიმდევრობით: 1. Суб'ект 29 („ოცდამეცხრე გვაში“); 2. Чувство любви („სიყვარულის გრძობა“); 3. Отношение к детям („იმისგან შვილების ყურისგდება“); 4 „სამოქალაქო და საზოგადოებრივი ყოფაქცევა“; მაგრამ ჩანს, ცენზურის მიზეზით, გამოტოვებულია: „Отношения к церкви и государству“.

ორიგინალი და თარგმანი მთავრდება ერთნაირად: „ახსნითი დამატება ავტორისაგან“ („Об'яснительное прибавление от автора“). ქართულ ტექსტში შემორჩენილია ზოგი ისეთი ადგილიც (მაგალითად, სლავიანოფილობაზე), რომელიც რუსულ აკადემიურ გამოცემაში არ გვხვდება.

თხზულება გადმოთარგმნილია პუბლიცისტური მღელვარებითა და გამახვილებული სოციალური პათოსით, — ძირითადად — გამართული ენითა და მყარი სტილით. გ. წერეთელი ცდილობს ადვილად გააგებინოს მკითხველს ავტორის ალეგორიულად შეფარული აზრი, — დაანახვოს ბატონყმური უსამართლობა, სოციალური ჩაგვრა, სახელმწიფო აპარატის ბოროტებანი, ზნეობრივ კოდექსად ქცეული ამორალიზმი. რთული მხატვრული სახეებისა და იდიომების გადმოცემისას ის ყოველთვის მოწოდების სიმადლეზე ვერ დგას (იდიომა: „Губа то не дыра“ — გაუბრალოებულად თარგმნის: „დახე, აი, თუ შემჭამს“); ზოგან ბარბარისმებსა და დიალექტიზმებსაც თავს ვერ აღწევს, მაგრამ „დოქტორ კრუპოვის“ თარგმანი როგორც იდეური თვალსაზრისით, ისე ლიტერატურულად მაინც იმ დროის ღირსშესანიშნავ ფაქტად უნდა ვადიაროთ.

ჯონათან სვიფტი

„გულივერის მოგზაურობა“

ნ. ნიკოლაძეს, რომელმაც „კრებულის“ 1871 წლის პირველი ნომრიდან დაიწყო „გულივერის მოგზაურობის“ ბეჭდვა, თარგმნისათვის გარკვეული იდეურ-ლიტერატურული მიზანდასახულობით მიუყვია ხელი. ის აქტუალურ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ნაწარმოების განმანათლებლურ-დემოკრატიულ მისწრაფებებს, ფანტასტიკურ სამოსში გახვეულ მის ალეგორიულ მამხილებელ ხასიათს. სეიფტი მას პოლიტიკური ალეგორიისა და სატირის ვირტუოზად მიაჩნდა¹.

ნ. ნიკოლაძის თარგმანი 1871 წლის პირველ, მე-2, მე-3 და 1872:

¹ ნ. ნიკოლაძე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873, №8.

წლის მე-6 ნომრებში დაისტამბა. „გულივერის მოგზაურობა“, როგორც ცნობილია, ოთხი ნაწილისაგან შედგება: 1. „მოგზაურობა ლილიპუტთა ქვეყანაში“, 2. „მოგზაურობა ბროდლინგნაგს“; 3. „მოგზაურობა ოაპუტუში, ბაონიბარბში, ლაგნეგში, გლაბდობრიბში და იაპონიაში“; 4. „მოგზაურობა გუიგნმების ქვეყანაში“. აქედან ნ. ნიკოლაძემ გადმოთარგმნა და „კრებულში“ გამოაქვეყნა პირველი ნაწილი („მოგზაურობა ლილიპუტს“) მთლიანად და მეორე ნაწილის („მოგზაურობა ბროდლინგნაგს“) დასაწყისი.

პირველი ნაწილის პირველი თავი ნ. ნიკოლაძეს ზუსტად უთარგმნია; მეორე თავში ერთი აბზაცია გამოტოვებული და მოქმედება პირდაპირ იმპერატორთან შეხვედრით იწყება; დასაწყისი მესამე თავშიც გამოტოვებულია; IV, V და VI თავები უცვლელადაა გადმოთარგმნილი, ხოლო VII თავში არ ჩანს, თუ როგორ გადასცა მეგობარმა საბრალდებულო აქტის პირი გულივერს და ერთბაშად მოდის „კვინბუ ფლესტრინზე (მთაკაცზე) დაწამებანი“. უკანასკნელი VIII თავი გადმოთარგმნილია ზუსტად.

„კრებულის“ 1872 წლის მე-6 ნომერში მეორე ნაწილის („მოგზაურობა ბროდლინგნაგს“) პირველი თავის მცირე ნაწყვეტი (დაახლოებით ერთი მესამედი) გამოქვეყნდა და ამით, კიდევ შეწყდა ამ საინტერესო თარგმანის ბეჭდვა. მკითხველმა გაიგო, როგორ მივიდა გულივერი ბუმბერაზთა ქვეყანაში, შემდეგ თავგადასავალს კი „კრებულში“ დასტამბვა აღარ ღირსებია.

„გულივერის მოგზაურობას“ ნ. ნიკოლაძე, როგორც ჩანს, ნაწილ-ნაწილ თარგმნიდა და ფელეტონებად აწვდიდა ჟურნალს. მოუცვლელია და საზღვარგარეთ გამგზავრების გამო მას მთელი წლის განმავლობაში (1871 წლის მარტიდან 1872 წლის ივნისამდე) ვერ მოუხერხებია მომდევნო თავის მომზადება, 1872 წლიდან კი კვლავ საზღვარგარეთ წასვლის გამო, საერთოდ, ხელი აუღია თარგმანზე. სარედაქციო განცხადებიდან ჩანს, რომ მკითხველები რედაქციას სთხოვდნენ, განეგრძო „გულივერის მოგზაურობის“ ბეჭდვა.

ნ. ნიკოლაძის თარგმანი ინგლისურიდანაა შესრულებული. იმდროინდელ რუსულ თარგმანებთან შედარებით მასში ბევრ განსხვავებას ვხვდებით; რუსულ თარგმანში გულივერი 1724 ლილიპუტს აღემატება, ქართულში კი — 1874-ს; რუსულ თარგმანში ლილიპუტთა იმპერატორის სახელია კელინ-დეფერ-პლიუნ, ქართულში — კაბინ-დეფერ-ფლიუნ. ხომალდს, რომლითაც გულივერი გაემგზავრა, რუსულში ჰქვია „ადვენჩერ“, ქართულში — „შემთხვევა“. რუსულისაგან განსხვავებით ამ გემის კაპიტანი ჯონ ნიკოლა ლივერბულებია, რაც ორიგინალიდან მომდინარეობს. თარგმანში კარგადაა შენარჩუნებული ორიგინალის საქმიანი კილო, მოჩვენებითი სერიოზულობის ნიუანსი.

„მიმომავალი ურია“

სარდიონ მესხიშვილს „მიმომავალი ურიას“ სრული თარგმანი 1862 წ. ჰქონდა მზად, მაგრამ „ცისკარმა“, რომელსაც მაშინ ფაქტიურად ანტ. ფურცელაძე განაგებდა, ეს ნაწარმოები სასაცილოდ აიგდო (თუმცა, რედაქცია უკვე შეჰპირდა მკითხველს, დაებეჭდავთო); მთარგმნელმა სცადა, ცალკე წიგნად გამოეცა ის. მაგრამ ვერ მოასწრო და მრავალწლის შრომის ნაყოფი დაუბეჭდავი დარჩა. „კრებულის“ 1872 წლის მე-8—9 ნომერში მისი ერთი ნაწილი დაიბეჭდა დამატების სახით.

გაგრძელება არც „კრებულში“ დასტამბულა, არც ცალკე წიგნად გამოსულა. ანტ. ფურცელაძემ ამჯერადაც არ შეიწყენარა ეს თარგმანი და ჟურნალს დიდ ცოდვად ჩაუთვალა მისი გამოქვეყნება¹.

„მიმომავალი ურია“ ფრანგული ორიგინალიდანაა ნათარგმნი. ექვნი სუს კოლოსალური რომანი ტეტრალოგია² და, როგორც ჩანს, სარდიონ მესხიშვილს ოთხივე ტომი ჰქონია თარგმნილი. „კრებულში“ დასტამბულია I ტომის პირველი ნაწილი: „კაპილიონი თეთრის შევარდნისა“; თავი 1. მორაკ; 2. მგზავრნი; 3. მოსელა. 4. ვარდი და ზამბახი; 5. სიმონ გენერლის დღიურაკის დანაკვეთი; 6. გალიები; 7. ბურმისტრი; 8. სამართალი; 9. განჩინება. მეორე ნაწილიდან — „შუაურსინული ქუჩა“ დაბეჭდილია სამი თავი: 1. მოხსენებანი; 2. ბრძანებანი; 3. მიმომავალი ურია.

ამ კაპიტალური თარგმანის თავის დროზე დაუბეჭდაობა და ხელნაწერის დაკარგვა დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, რადგან მთარგმნელს უშუალოდ ორიგინალთან ჰქონდა საქმე, მას ქართულ ენობრივ სამყაროში, უმთავრესად, ძველ ქართულ ძეგლებში, დაუძებნია შესატყვისი გამოთქმები, ახალი დროისა და ევროპული ცხოვრების გამოსახატავად საჭირო სიტყვები და ფორმები. ამ მხრივ „მიმომავალი ურიას“ თარგმანს, თანდართული ლექსიკონით, უნიკალური მნიშვნელობა აქვს. ლექსიკონი იმით არის საინტერესო, რომ ახსნილი სიტყვების ფუნქციასა და ნიუანსს თვით ტექსტში ვეცნობით.

ენობრივი შემკულობით, სტილისტური წვდომითა და თხრობის თანმიმდევრობით, ექვნი სუს ქართული თარგმანი ქების ღირსია; ის არცთუ ისე არქაულად ჟღერს, როგორც ანტ. ფურცელაძეს მოეჩვენა, — ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ, დიდად არ განსხვავდება ზოგიერთი თანამედროვე ისტორიული რომანისაგან.

¹ „მნათობი“, 1872., № 10, № 11, 12.

² Eugène Süe, Oevres, Le Juif Errant, Paris, 1863.

ეყენი სუ ფრიად პოპულარული მწერალი იყო; ლიბერალურ-ფილანტროპიული სულით გამსჭვალულ მის რომანებს ბევრი მკითხველი ჰყავდა; „პარიზის საიდუმლოებებს“ ბ. ბელინსკიმ საგანგებო წერილიც მიუძღვნა და სუს ტეტრალოგიის თარგმნა ჩვენი ლიტერატურის ფართო ინტერესებზე მიუთითებს.

ჟორჟ ზანდი

„პიერ ჰუგენონი“

„კრებულის“ 1871 წლის მე-8—9 ნომერში, სადაც ამ თხზულების დასაწყისი დაიბეჭდა, აღნიშნულია, რომ „შემდეგი იქნება“, მაგრამ გაგრძელება აღარ გამოქვეყნებულა.

ორიგინალში ჟორჟ ზანდის რომანს სათაურად აქვს: „Le Compagnon du Gour de France“ და ორი ნაწილისაგან შედგება; პირველი ნაწილი ოც თავს შეიცავს, მეორე — თოთხმეტს. პირველი და მეორე თავები შინაარსეულად, საკვებით შეესატყვისება ორიგინალის შესაბამის ადგილს, ხოლო III თავიდან გადმოთარგმნილია მხოლოდ დასაწყისი, დაახლოებით ერთი მეათედი ნაწილი. ამრიგად, რომანის 34 თავისაგან „კრებულმა“ მხოლოდ პირველი ორი თავისა და III თავის მცირე ნაწყვეტის დაბეჭდვა მოახერხა. მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოების გადმოთარგმნა საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიის საყურადღებო ფაქტია.

1865 წელს „პიერ ჰუგენონის“ რუსული თარგმანი, გარკვეული პოლიტიკური მიზნით, ცალკე წიგნად გამოსცა „სოვრემენიკმა“.

„პიერ ჰუგენონი“ ჟორჟ ზანდის სოციალური რომანების ციკლს ეკუთვნის და 1848 წლის რევოლუციის უშუალო გაელენითაა დაწერილი. მწერალს ცხოველი სურათებით აქვს ნაჩვენები მშრომელთა ადამიანური უფლებებისათვის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ქართული ტექსტი, როგორც ჩანს, ზემოდდასახელებული რუსული გამოცემიდან არის გადმოთარგმნილი. ამის საბუთად უნდა მივიჩნიოთ თარგმანის სათაური „პიერ ჰუგენონი“. ამასთან, 1865 წლის რუსული გამოცემის ეგზემპლარი, რომელიც ამჟამად კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდში ინახება, „კრებულის“ თანამშრომლის, პეტრე უმიკაშვილის, პირადი საკუთრება ყოფილა და ამ წიგნზე შემორჩენილი შენიშვნები გვაფიქრებინებს, რომ მთარგმნელიც ის უნდა იყოს. ასეთსავე დასკვნამდე მივყავართ სტილისტურ-ტექსტოლოგიურ ანალიზსაც. ადვილი შესამჩნევია რუსული ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია.

თარგმანს დაკარგული აქვს უორე ზანდის სტილის მხატვრული სი-
ცხადე და თხრობის ბუნებრივი წყობა. გვხვდება უზუსტობანი, ვულგა-
რული პარაფრაზი („В готическом стиле“, გოთური სილამაზით“) და
აღმოსავლური დიალექტიზმები („უთქომს“, „შაგირდი“, „მიმალამს“
და სხვ.). შესაძლოა, „კრებულში“ გაგრძელების ბეჭდვა სწორედ იმ-
ის გამო შეწყდა, რომ მთარგმნელმა თავი ვერ გაართვა ტექსტს.

ერკმან-შატრიანი

„დალოცვილი ძველი დროება“

70-იანი წლებიდან ერკმან-შატრიანის შემოქმედება ჩვენში დიდი
პოპულარობით სარგებლობდა. მათი მოთხრობები ქვეყნდებოდა „დრო-
ებასა“ და „ივერიაში“, ხოლო 1896 წელს ივ. მაჭავარიანის მიერ გად-
მოთარგმნილი, ჯერ „მოამბეში“; ხოლო შემდეგ ცალკე წიგნად დაბეჭ-
დილი — „გლეხკაცის ისტორია“ სახალხო ნაწარმოებად იქცა. ქარ-
თველ მკითხველსაც იზიდავდა გამრჯე, გულმართალ გლეხთა ცხოვრე-
ბისა და რევოლუციური ბრძოლის სურათები, უკეთეს მერმისზე ფიქ-
რი, ეს ღირსება აქვს „კრებულში“ გამოქვეყნებულ მოთხრობასაც—
„დალოცვილი ძველი დროება“, რომელშიც საფრანგეთის რევოლუ-
ციის წინა პერიოდის გლეხთა ცხოვრებაა ასახული.

ორიგინალსა და თარგმანს შორის შინაარსობრივი განსხვავება არ
არის; მოთხრობა გადმოთარგმნილია სრულად ორივე თავი, (მაგრამ
ქართულში პირველი თავის სასათაურო ნიშანი მითითებული არ
არის).

1871 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა ერკმან-შატრიანის „История
школьного учителя“, ეიულ კლარეტის წერილი, რომელშიც „კრე-
ბულში“ დაბეჭდილი მოთხრობაც („Доброе старое время“) არის
შეტანილი, მაგრამ ქართული თარგმანის შედარებამ, ერთი მხრივ, ორი-
გინალთან, ხოლო, მეორე მხრივ, რუსულ გამოცემასთან, დაგვარწმუნა,
რომ ის უშუალოდ ფრანგულიდან არის შესრულებული. მაგალითად,
რუსულ თარგმანში ვკითხულობთ: „Просветить народ, сообщить
ему историю его предшественников, значит утвердить демокра-
тию на утесе наших. Вне этого нет спасения“. ქართულში: „საფ-
რანგეთს კი მხოლოდ მაშინ ეღირსება ბედნიერება, როცა მღაბიო ხა-
ლი განათლდება“.

ჩვენი აზრით, თარგმანი უნდა ეკუთვნოდეს ნ. ნიკოლაძეს, რომელიც
ძალიან გატაცებული იყო ერკმან-შატრიანის თხზულებებით და სტა-
ტიკაში „ევროპის ცხოვრება“ („სოკრემენოსტი“, 1868, № 1) აღნიშნავ-
და, რომ ამ მწერლებს „ზღაპრული მოწონება ჰქონდათ“.

დრამატურგია

გ. ერისთავი

„დავა“

„კრებულის“ 1871 წლის მე-5 ნომერში „დავას“ წამძღვარებული აქვს სარუდაქციო განცხადება: „ეს კომედია თ. გ. ერისთავის თხზულებებში არ იყო დაბეჭდილი სხვადასხვა მიზეზების გამო და აქ პირველად იბეჭდება“..

პირველი ორი მოქმედება ჟურნალის მე-5 ნომერში (1871 წ.) დაიბეჭდა, ხოლო მომდევნო სამი — მე-6 ნომერში, რომელიც 1872 წელს გამოვიდა. იმავე წელს „კრებულიდან“ ამონაბეჭდი ტექსტი ცალკე წიგნდნაც გამოიცა. „კრებულიდანვე“ გადაბეჭდეს ის გ. ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემაში. მოგვიანებით, როცა ავტოგრაფიკ აღმოჩნდა, „კრებულის“ ტექსტმა პირველწყაროს მნიშვნელობა დაკარგა.

პიესის იდეურ-მხატვრულ ღირსებათა გამო კრიტიკოსებს, კერძოდ „კრებულის“ თანამშრომლებს, ერთსულოვანი თვალსაზრისი არ გამოუხატავთ. „დროების“ 1871 წლის 39-ე ნომერში ს. მესხი წერდა: „...ღარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ... როგორც თითქმის გ. ერისთავის ყველა კომედიებს, ამასაც შესანიშნავი სცენიკური ღირსება აქვს“... მაგრამ ბეჭდვის დამთავრების შემდეგ ს. მესხი ერთგვარი იმედგაცრუებით შენიშნავდა: „ქართულს კომედიაში... მთელი მოქმედება რუსულად დაწერილი — ძალიან გვეჩოთირება“¹.

კიდევ უფრო კარდინალურად შეუცვლია აზრი „კრებულის“ „სარუდაქციო განცხადების“ ავტორს, გ. წერეთელს, რომელიც რეცენზიაში „ენახე და მეწყინა“, ამბობს: „დავა“, როგორც კომედია, არც კი ღირს ლიტერატურაში მოსახსენებლად“².

„კრებულში“, საერთოდ, შესამჩნევია გ. ერისთავის დრამატურგიული შემკვიდრეობისადმი უარყოფითი თუ არა, გულგრილი დამოკიდებულება მაინც.

მაგრამ „კრებულის“ კრიტიკოსთა აღნიშნული მოსაზრებანი საკუთარი ესთეტიკურ-ლიტერატურული იდეალის გამოკვეთასთან დაკავშირებითაა გამოთქმული, პოლემიკურ ხასიათს ატარებს და გ. ერისთავის დრამატულ შემოქმედებაზე სწორ წარმოდგენას ვერ იძლევა. ისინი ისტორიული თვალსაზრისით ვერ მიუღწევენ ქართული დრამა-

¹ „დროება“, 1872, № 14.

² ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ს. ხუციშვილის რედაქციით; 1956, გვ. 194.

ტურგის ფუძემდებელს და მის ნაწერებს იგივე მოთხოვნები წაუყენეს, რასაც თავიანთ თანამედროვეებს უყენებდნენ.

ქრონოლოგიურად „დავა“ გ. ერისთავის პირველი დრამატული თხზულებაა და ავტორმა მასში საკმაო ოსტატობით ასახა თავისი დროის ძირითადი საზოგადოებრივი ტენდენციები — ბატონყმური მეურნეობის კრიზისი, თავად-აზნაურობის ეკონომიკური და ზნეობრივი დაქინება, კაპიტალიზმის აღმავლობის პირობებში წარმოშობილი სოციალური კონფლიქტები, მეფის ჩინოვნიკური აპარატის გაზრწნა, ხოლო ბეგლარის სახით, რომელიც ავტობიოგრაფიული პერსონაჟია, ეროვნულ-ეთიკური იდეალიც გამოგვიჩატა. გ. ერისთავს კომიკური სიტუაციების გამახვილებული შეგრძნება აქვს და „დავას“, ისე როგორც ამ უანრის ყველა მის ნაწერს, მაღალ მხატვრულ ეფექტს აძლევს სიცილი — კომედიაში მხილებისა და უარყოფის ეს უძლიერესი იარაღი.

3. წარათელი

„ჩიბრი“

„კრებულში“ დაბეჭდილ არც ერთ ნაწარმოებს არ გამოუწვევია ისეთი აზრთა სხვადასხვაობა და პოლემიკა, როგორც ამ ორმოქმედებიან კომედიას მოჰყვა. ს. მესხმა ის ქართული მწერლობის დიდ მიღწევად გამოაცხადა; ნ. ყიფიანმა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებსა“ და გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოსთან“ ერთად „პირველი ადგილი“ მიაკუთვნა „საზოგადოდ ჩვენს ლიტერატურაში“², ხოლო ნიკო ნიკოლაძის მტკიცებით, „ჩიბრი“ ძლიერ შესანიშნავი თხზულებაა³.

ნიკ. ყიფიანის მომდევნო წერილიდან ირკვევა, რომ რეცენზენტთა ხელგაშლილ ხოტბას საზოგადოების გაკვირვება გამოუწვევია.

ანტ. ფურცელაძემ „ჩიბრის“ ქება ლიტერატურული უპრინციპობისა და მიკერძობების მაგალითად დასახა და კომედია მკაცრად განაქიქა, მასში მხატვრული სიყალბე და იდეური უსუსურობა აღმოაჩინა⁴.

„კრებულის“ ტექსტის ანალიზიდან ჩანს, რომ ნაწარმოები ავტორს დამუშავებული არ ჰქონია და დაბეჭდვის შემდეგაც არსებითი ცვლილებები შეუტანია მასში. კომედია აგებულია მარტივ ყოფით სიუ-

¹ დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები, 1961, გვ. 137.

² ნ. ყიფიანი, „გასართობი საუბარი“, „დროება“ 1871, № 6.

³ ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872, № 10—12.

⁴ „მნათობი“, 1871., № 10—12.

ჟეტზე, ელემენტარული კომპოზიციური გეგმით. თემატიკური აქტუა-
ლობის პირდაპირი გაგებით „ჯიბრი“ იმ დროისათვის საჭირბოროტო
ნაწარმოებად ვერ ჩაითვლება. მაგრამ ის ფაქტი, რომ „ჯიბრი“ სოცია-
ლურ პრობლემატიკაში ჩაღრმავების საბაზს იძლეოდა, უდავოდ მეტყ-
ველებს ავტორის დაკვირვების უნარსა და ნაწარმოების პუბლიცისტურ
აქტუალობაზე. მაგრამ თხზულების განმსაქიქებლებს მხედველობაში
ჭკონდათ არა საზოგადოებრივ პრობლემათა პუბლიცისტური აღძვრა,
არამედ მათი მხატვრული ასახვა, კერძოდ, მისი დრამატული აკარ-
გიანობა.

ა. ფურცელაძემ, მართალია, ძალიან ბუნდოვნად, მაგრამ ძირითა-
დად სწორად მიგვაჩინა „ჯიბრის“ მხატვრული სისუსტის მიზეზები:
ემპირიული ჰერეტიკა და ფაქტოგრაფია. თხზულებაში ასახული სინამ-
დვილე მოკლებულია შინაგან ემოციურობას; ის შემოქმედის განცდა-
ში კი არ არის გარდატეხილი, არამედ ნატურიდანაა გადმოწერილი და
პუბლიცისტური პირდაპირობითაა კომენტირებული. პორტრეტები,
სიტუაციები, დიალოგები უშუალოდ ცხოვრებიდან, შემოქმედების
ბრძმედში გაუტარებლადაა შემოტანილი ნაწარმოებში. ეს გარემოება
ნ. ნიკოლაძესაც შეუმჩნევია.

„დაგეროტიპულ გადმოხატვასა“ და „შეუფერავ სინამდვილეს“
თავისთავად შემოპყვა ერთგვაროვან ფაქტთა მოზღვაება, არაარსე-
ბითისა და წერილმანის მიერ პრინციპულის დაჩრდილვა, მწერლის
სწორი იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის მიფერმკრთალება. ჩანს უარ-
ყოფითი მოვლენის ზედაპირი, მაგრამ დაფარულია მისი სიღრმე, გა-
მოუმჟღავნებელია მისი არსი. თუ პუბლიცისტურ მსჯელობას არ მივ-
მართავთ და პირდაპირ მხატვრულ სახეთა ანალიზიდან ამოვალთ, მკი-
თხველზე (ან მაყურებელზე) უშუალო შთაბეჭდილებას გავითვალისწი-
ნებთ, მაშინ აღწერილი უბედურების მიზეზად სოციალური სისტემა
კი არ წარმოგვიდგება, არამედ პერსონაჟთა (მგელია, დილვარდისა, კი-
კოლა) პირადი ხასიათი, მათი წინასწარ მოცემული ბუნება. ამის მიზე-
ზი ისიცაა, რომ თხზულებაში არ არის არათუ დადებითი გმირი, და-
დებითი იდეალიც კი; არ არის სიცილი, რომელიც ამ იდეალს უნდა გა-
მოხატავდეს; ამ თვისებათა გარეშე კი კომედიურობა გამორიცხულია.
ნ. ყიფიანმა, ეტყობა, იგრძნო ეს დედაარსეული ნაკლი და შეეცადა
დაემტკიცებინა, რომ კიკოლა დადებითი გმირია, მაგრამ კრიტიკოსის
მთელი მონოლოგი ქვიშაზეა აგებული, რადგან კიკოლა მხოლოდ ვე-
რაგობით, ფლიდობითა და ბოროტებით დგას დილვარდისასა და ძგე-
ლიაზე მალა. თავის „პეკუსასაც“ პირადი კარიერისათვის იყენებს და
არაეითარ დადებით საზოგადოებრივ იდეალს არ ამჟღავნებს, ბეკი-
ჩას, ყურმოჭრილ ყმად რჩება და ცინიკურად დასცინის მის მიერ და-
ლუბულ, მსახეით ბოროტ ადამიანებს.

ნაწარმოების მარცხზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ კომედიის გარეგნული ნიშანთვისებები აქვს მიკუთვნებული და სიცილს კი არ იწვევს, რაც იმის მაუწყებელია, რომ მოკლებულია კრიტიკისა და უარყოფის მხატვრულ ზემოქმედებას. ს. მესხიე კი, რომელმაც ეს ნაწარმოები პირველად შეაქო, იძულებული იყო ეთქვა, რომ „ჯიბრი“ არ არის სასაცილო. მასში არ გვხვდება „მოულოდნელი და სასაცილო შემთხვევები, სცენიკური ეფექტი და მოძრაობა“. „კომედიურობა“ მხოლოდ იმით ვლინდება, რომ დიღვარდისა და მგელია ყოფითი ბანალობით ერთმანეთს სხვადასხვა ცოდვებს აყვედრიან. თხზულებაში გაყინული მდგომარეობა და მზამზარეული პერსონაჟებია წარმოდგენილი; არ არის განვითარების უნარიანი წინააღმდეგობა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის კონფლიქტი; დაპირისპირება ემპირიული ყოფითი ხასიათისა და არ იძლევა იდეური კოლიზიის შექმნის საშუალებას. ამიტომ, მოქმედებაც ერთხაზოვნად მიმდინარეობს; არ შეინიშნება კვანძი, კულმინაცია; მკითხველი თითქმის არაფერს მოელის და ავტორს შეუძლია წერტილი დასვას, სადაც მოისურვებს. გაურკვეველია, რას უარყოფს მწერალი, რადგან ბოროტება, რომელიც გულს უნდა გვიმღვრევდეს, საბოლოოდ იმარჯვებს — დაუნდობელი მგელიას ადგილს მასზე უფრო ფლიდი და ვერაგი კიკოლა იჭერს. რაკი პერსონაჟთა ხასიათები თხზულებაში წინასწარ გამზადებულია და ახალ-ახალ სიტუაციებში ახალ-ახალ თვისებებს ვეღარ ამჟღავნებენ, ეს სიტუაციებიც უფუნქციო და შინაარსგამოცლილი რჩება.

ნ. ნიკოლაძემ კომედიის ამ ნაკლის გამართლება ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების სიმარტივეთა და ადამიანთა ვნებების სიღარიბით სცადა, თითქოსდა, მარტივი ადამიანის შინაგანი სამყაროს გახსნა აუცილებელია არ იყოს ან მხატვრული ოსტატობა არ სჭირდებოდეს.

მითითებულ ნაკლოვანებათა გამო „ჯიბრმა“ მალე დაჰკარგა სოციალური სიმწვავე და მორალისტურ ნაწარმოებად იქცა. მკითხველის შთაბეჭდილება იმით შემოიფარგლა, რომ თხზულებაში გაკიცხულია შური, კინკლაობა, ინტრიგა, კიკოლას სამოქმედო დევიზი: — „წამკიდებელი, წაჰკიდე, ორივეს თავი წაწყვიტე!“.

გ. წერეთელმა ვერც კომედიისათვის შესაფერ სტილისტურ ფორმას მიაგნო. ის სიტყვიერ ქსოვილსა და ენობრივ ჩარჩოსაც ვერ პოულობს კომიკური სიტუაციის გადმოსაცემად ან მახვილი თითქმის გასაფორმებლად; ზოგჯერ „ვერ ასწრებს“ ამ სიტუაციის დაჭერას, ეფექტური მომენტი შეუმჩნეველად ეცლება ხელიდან. პერსონაჟთა მეტყველება არ შეესატყვისება მათ ხასიათსა და მდგომარეობას, არ არის ერთიანი და ჩამოყალიბებული. დიღვარდისას მეტყველება ხან ნატურიდან გადმოწერილი იმერული მანერით ხასიათდება, ხანაც — მოლიერის გმირებს მოგვაგონებს.

„ჯიბრს“ დიდად ვნებს ენობრივი ნატურალიზმი და ეოდვეილური ვულგარიზმი.

კრიტიკის მხურვალე მხარდაჭერის მიუხედავად, გ. წერეთლის კომედია ვერც სცენაზე, ვერც ლიტერატურაში ფეხი ვერ მოიკიდა და მალე თვით ავტორმაც იგრძნო მისი სისუსტე. 1874 წ. 9 ივნისს ს. მესხს სწერდა: „სერგეი, ჩემი კომედია გავათავე. სულ რომ არ ვარგოდეს, „ჯიბრს“ მაინც ხუთჯერ სჯობია“¹.

რატ. ერისთავი

„სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“.

60-იანი წლების ბოლოდან ქართულ პრესაში ხშირად ქვეყნდება ყოველდღიურ საჭირბოროტო, საყოფაცხოვრებო თემებზე დაწერილი „სცენები“, რომლებიც უანობრივად რაღაც გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს პროზას, დრამატურგიასა და პუბლიცისტიკას შორის. მისთვის დამახასიათებელია მონტაჟური კომპოზიცია, უსიუჟეტობა, მსჯელობითი დიალოგი და მონოლოგი, ყარგონულობამდე მსუბუქი ტონი და იუმორესკა. ამ სახის ნაწერებით სახელი გაითქვეს აკ. წერეთელმა, რატ. ერისთავმა, პ. უმიკაშვილმა.

„კრებულში“ გამოქვეყნებული რატ. ერისთავის „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ „სცენების“ იმ ციკლს ეკუთვნის, რომელიც მწერალმა „დროების“ 1870 წლის №№ 20, 27, 31, 40 და 49 და 1871 წლის მე-2 და მესამე ნომერში დაბეჭდა. ისინი უცვლელადაა შეტანილი რატ. ერისთავის თხზულებათა 1937 წლის გამოცემაში².

აბაჰი წარათელი

„სცენა საპატიმროში“

ეს ერთადერთი „სცენა“, რომელიც ამ უანრის ოსტატმა აკ. წერეთელმა „კრებულში“ გამოაქვეყნა (1872, № 7). ის უცვლელადაა დაბეჭდილი აკაკის თხზულებათა აკადემიური გამოცემის IX ტომში (გვ. 97, შენიშვნები — გვ. 393—398).

თხზულებას, საერთო გააზრებით, მკვეთრი სოციალური უღერადობა აქვს. თვითმპყრობელური ციხის სურათებით, მწერალი ამხელს გო-

¹ „მნათობი“, 1929, № 11—12, გვ. 278.

² რატ. ერისთავის თხზულებანი, ტ. III, შ. რადიანის რედაქციით, გვ. 101.

ნებაჩლუნგ მოხელეთა თვითნებობას; სამართლის ელემენტარულ ნორმათა იგნორირებას, ხალხის დუხჭირი მდგომარეობის გამო დანაშაულის ზრდას, ცხოვრების ფსკერზე დაშვებულ ადამიანთა სულიერ დაკნინებას; ნათლად ჩანს, რომ იმეამად ჩატარებული სასამართლო რეფორმა ხალხის მოტყუებისა და ძარცვის ახალ საშუალებად იქცა.

„სცენა საპატიმროში“ საყოვალდებოა მხატვრული ფერწერის თვალსაზრისითაც. საღებავთა ზუსტი, და ამდენადვე ძუნწი შერჩევით, ავტორი ეთნოგრაფიულ და სოციალურ ხასიათთა არაჩვეულებრივ კოლორიტულობას აღწევს. ნაპერწყლიანი, მახვილგონიერი წმინდა „აკაცისებური ოხუნჯობით“ ახერხებს პორტრეტისა და შინაგანი ბუნების ერთობლიობაში წარმოსახვას. ორიოდ რეპლიკითა და რემარკით მკითხველს შთამბეჭდავად წარმოუდგება ქართლელისა და იმერლის, მეგრელისა და გურულის, ოსისა და სომეხის საქმიანობისა და ქცევის, მეტყველებისა და ტემპერამენტის თავისებურებანი, ამით იყო გამოწვეული ს. მესხის აღფრთოვანებული რეცენზია¹.

თარგმანი

თეატრის აღდგენაზე მეოცნებე სამოციანელებს დიდად აფიქრებდათ ჩვენი დრამატურგიის სავალალო მდგომარეობა და მუდმივი სცენის საფუძველთა მოსამზადებლად აუცილებლად მიაჩნდათ, როგორც მრავალფეროვანი რეპერტუარის შექმნა, ისე, საერთოდ, თეატრალური და დრამატული კულტურის ამაღლება. ორივე ამ ამოცანას ერთდროულად ემსახურებოდა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა დრამატული ნაწერების თარგმნა. სამოციანი წლების ბოლოდან ამ ჟანრის თხზულებებს წამყვანი ადგილი უკავია ჩვენს მთარგმნელობითს ლიტერატურაში. არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ სხვა ჟანრებისაგან განსხვავებით, დრამატულ თარგმანს ხელი მოჰკიდეს სახელმწიფოებრივმა მწერლებმა, ქართული სიტყვის დიდოსტატებმა. მოკლე ხნის მანძილზე მათ არა თუ შესამჩნევად გაამდიდრეს ჩვენი რეპერტუარი, არამედ მანამ არნახულ სიმადლემდეც აიჭვანეს ლიტერატურულ-თეატრალური გემოვნება, სტილისტურ-სცენური საფუძველი მოუმზადეს, მძლავრი ბიძგი მისცეს ორიგინალურ დრამატურგიასაც. საკმარისია ითქვას, რომ „კრებულში“ დაბეჭდილი თარგმანები ეკუთვნის ი. ჰავციავაძეს, ი. მაჩაბელს, აკ. წერეთელს და გ. წერეთელს.

¹ „ღრობა“, 1872, № 19.

„მეფე ლირი“

„მეფე ლირის“ პირველი მოქმედების გამოქვეყნებით („კრებული“, 1873, № 10) დასრულდა შექსპირის ქართული თარგმანის მოსამზადებელი ხანა, რომელიც სამ ათეულ წელს გაგრძელდა და სათავე დაედო მისი უკვდავი შემოქმედების ადექვატურ თარგმანს. აქვე დავსძენთ, რომ ეს იყო, საერთოდ, პირველი რეალისტური თარგმანი ქართულ დრამატურგიაში. რომ არაფერი ვთქვათ „ჰამლეტის“ არდაზიანი-სტულ გადმოღებაზე, ვერც დიმიტრი ყიფიანის დიდი მონდომებით შესრულებული თარგმანები იძლეოდა შექსპირის სილიაღზე რაიმე წარმოდგენას. შექსპირის მადმერთებელ ჩვენს სამოციანელებს. არც დაუმაღავთ ამ ხარვეზით გამოწვეული გულისტკივილი.

თხზულების პირველი მოქმედება „კრებულში“ დაბეჭდილია სათაურით: „მეფე ლირი“. ხუთმოქმედებიანი შექსპირის ტრაგედია, ინგლისურიდან გადმოღებული ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისაგან“.

შარავანდედით მოსილი მწერლისა და ახალბედა მთარგმნელის შემოქმედებითი თანამშრომლობა მაშინ ბევრისთვის გაუგებარი უნდა ყოფილიყო და დღესაც საკამათოა, რომელმა რა წვლილი შეიტანა საერთო საქმეში, მაგრამ უდავო უნდა იყოს, რომ ამ თანამშრომლობის გარეშე ჩვენ არ გვექნებოდა არა მარტო „მეფე ლირი“, არამედ ივანე მაჩაბლის ბრწყინვალე დამოუკიდებელი თარგმანებიც. ახალგაზრდა მთარგმნელს ილიამ უეჭველად განუმტკიცა საკუთარი ძალის რწმენა და მასვე უთუოდ გადამწყვეტი როლი აქვს იმ დიადი შესატყვისის სტილის მიგნებაში, რომელიც შექსპირის ქართულ თარგმანთა კლასიკურ ლირსებას შეადგენს. ისე კი, ეს მეგობრობა და თანამშრომლობა ბედნიერმა შემთხვევამ გამოიწვია. აქ ურიგო არ ექნება, მოვიგონოთ, რომ ილია სტუდენტობიდანვე მოხიბლული ყოფილა „მეფე ლირით“ და 1859 წელს, თბილისში ყოფნის დროს, ამ ტრაგედიის „ცოცხალ სურათებში“ ლირის როლი შეუსრულებია. საფიქრებელია, რომ ეს ადგილები „ცოცხალი სურათებისათვის“ მისი თარგმნილი იყო.

ამ შეერთებული შრომის ხალისსა და წარმატებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ის შემოქმედებითი სიხარული, რომელიც ილიას იმდროინდელ წერილებს შემოუწინაჩავს.

დაუმთავრებიათ თუ არა პირველი მოქმედება, ილიას „კრებულის“ რედაქციისთვის გამოუგზავნია ხელნაწერი და, თარგმანის ბედით შემოფოთებულს, მალე მთელი ინსტრუქციაც მოუყოლებია მისი დაბეჭდვის ტექნიკურ თავისებურებათა შესახებ. „კრებულის“ რედაქციამ ზუსტად შეასრულა ილიას მითითებანი; თარგმანი ერთ ნომერში გამოქ-

ვეყნდა, „გაუტეხავი სტრიქონით“ დაიბეჭდა და კორექტურულ შეცდომებსაც თითქმის ვერ ვხვდებით.

ილიასა და ვანოს, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით, ერთი გაუნღლებელი შთაგონებით უთარგმნიათ ეს ტრაგედია. პირველი მოქმედება ჯერ კიდევ დაბეჭდილი არ იყო, რომ პ. უმიკაშვილს აცნობებდა: „თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშინ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებას დღეს გავათავებთ და პირველს სიკეკლუცით არ ჩამოუვარდება“.

ილიამ არ იცოდა, რომ „კრებულის“ მე-10 ნომრის გამოსვლა ძალიან დაგვიანდა და 1874 წლის 1 იანვარს მეუღლეს აცნობებდა: „აქამდინ ჩვენს თარგმნის ლირს წაიკითხავდი. მომწერე, როგორ მოგეწონა... სწორედ ახალწლის პირველ დღეს სრულიად გავათავეთ თარგმანი“.

„მეფე ლირი“ მთარგმნელებს პეტერბურგის ქართველ ინტელიგენტთა წრეშიც წაუკითხავთ (გ. შერვაშიძის ოჯახში) და დიდი აღტაცება გამოუწვევიათ.

1874 წლის მარტში ტრაგედიის სრული თარგმანი ილიამ თბილისში ჩამოიტანა და „კრებულის“ რედაქციას გადასცა დასაბეჭდად (იმ ხანად ვასილ მაჩაბელს სწერდა: „ვანოს უთხარი, რომ ლირი მივეცი „კრებულში“ დასაბეჭდავად“). მაგრამ „კრებულის“ გამოცემა სწორედ იმ ნომრით შეწყდა, რომელშიც „მეფე ლირის“ პირველი მოქმედებაა დასტამბული და მომდევნო ოთხი მოქმედება მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გამოქვეყნდა „ივერიაში“.

„ქართული მწერლობის“ სერიით 1877 წელს „მეფე ლირი“ ცალკე წიგნად გამოვიდა. პირველი მოქმედება მასში, ძირითადად, იმ სახითაა დაბეჭდილი, როგორც „კრებულში“ გამოქვეყნდა, მაგრამ მთარგმნელებს, როგორც ჩანს, თარგმანზე მუშაობა არ შეუწყვეტიათ და სტილისტურად ცალკე გამოცემის ტექსტი უფრო დახვეწილია.

ილიასა და ივანე მაჩაბლის შემოქმედებითი ურთიერთობისა და მთარგმნელობითი მეთოდის ხასიათზე წარმოდგენას იძლევა „მეფე ლირის“ საერთო ავტოგრაფი და ინგლისური ორიგინალის მათი სამუშაო ეგზემპლარი, რომლებიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება.

აღნიშნული ავტოგრაფის მიხედვით შესაძლოა ვიფიქროთ, რომ თხზულების მომეტებული ნაწილი ილია ჭავჭავაძეს უთარგმნია,¹ მაგრამ ასეთი დასკვნა მართებული არ იქნება, რადგან საერთო სახელით გამოქვეყნება თანაბარი წვლილისა და თარგმანის ორგანული ერთობლიობის დადასტურებაა.

¹ დ. შულღიაშვილი, „სამშობლოს დიდი მომავე“, გაზ. „კომუნისტი“, 1962, № 252.

მთარგმნელთა შენიშვნები გვიჩვენებს, რომ ისინი საფუძვლიანად გასცნობიან „მეფე ლირისა“ და, საერთოდ, შექსპირის შესახებ არსებულ მდიდარ ლიტერატურას და კრიტიკულად მიდგომიან სადავო ადგილებს. ერთგან ნათქვამია: „გამოჩენილი კრიტიკოსი შექსპირისა სტივენსი ამბობს ამ შაირზედ, რომ სხვისაგან ჩამატებულიაო. ჩვენც სტივენსს დაუუჯერეთ და არ ვსთარგმნეთ“.

გ. გაჩეჩილაძის დასკვნით, „მეფე ლირის“ თარგმანი მაინც საკმაოდ დაშორებულია დედანს¹.

მოლიერი

„სკაპენის ცულლუტობა“

„კრებულის“ 1873 წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილ „სკაპენის ცულლუტობაში“ ა. წერეთელმა შეძლო შეენარჩუნებინა შინაგანი ხალისი, სცენურობა და საერთოდ განწყობილება. მან ქართული სული შთაბერა ფრანგულ ნაწარმოებს. აშკარად იგრძნობა, რომ მას იმდენად დედნისადმი ერთგულება არ აინტერესებდა, რამდენადაც ქართული მკითხველის მოთხოვნები, ამ შემოქმედებითი კონცეფციითაა განსაზღვრული თარგმანის სუსტი და ძლიერი მხარეები. აკაკი ხშირად სცილდება ორიგინალს, მაგრამ არ ლაღატობს ჩვენი მკითხველისა და მაყურებლის მოლოდინს. ამ თავისებური გადმოკეთების წყალობით ქართველმა საზოგადოებამ მშობლიური ნაწარმოებივით მიიღო „სკაპენის ცულლუტობა“.

„კრებულში“ დაბეჭდვისთანავე, 1874 წლის დასაწყისში „დროება“ იუწყებოდა: „ჩვენ შევიტყეთ, რომ მომავალ კვირას... აქაურ ქართველ სცენისმოყვარეთა „სკაპენის“ წარმოდგენა განუზრახავთ. წინაღვე დარწმუნებული ვართ, რომ ეს მახვილი, ცოცხალი კომედია მოლიერისა, რომელიც თითქო, ჩვენი ცხოვრებიდან არის ამოღებული, ჩვენს ქართულ სცენაზე ძლიერ კარგი გამოვა“.

1873 წელს „სკაპენის ცულლუტობა“ ქუთაისში დაიდგა. შემდეგ ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა, რომ პროვინციელი სცენისმოყვარენიც დაინტერესებულან. 1875 წელს ის სუჯუნაში, წევაში და სხვა სოფლებშიც წარმოიდგენიათ. ამასთან დაკავშირებით „დროება“ წერდა: „სკაპენის ცულლუტობა“ სწორედ ნამდვილ სახალხო კომედიად გადაიქცა. ჩვენში, სადაც არ გინდა, იქ არდგენენ მოლიერის ამ მახვილ კომედიას“².

¹ უ. შექსპირი, „ტრაგედია“, ტ. II, 1954, გვ. 778—802.

² „დროება“, 1875, № 80.

თბილისში „სკაპენის ცულლუტობა“ პირველად 1880 წლის 23 იანვარს წარმოუდგენიათ კოტე მესხის საბენეფისოდ და ეერანტის როლი თვით აკაკის შეუსრულებია.

1909 წელს გამოცემლობა „სორაპანმა“ მოლიერის თარგმანები ცალკე წიგნად გამოსცა და მასში „სკაპენის ცულლუტობის“ აკაკისეული თარგმანიც შეიტანა. მოლიერის კომედიების 1937 წლის გამოცემაშიც აკაკის თარგმანია დაბეჭდილი, მაგრამ მნიშვნელოვანი სტილისტურ-ენობრივი შესწორებებით¹.

სამაგიეროდ, პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, რომელსაც ი. გრიშაშვილის საინტერესო შენიშვნები ერთვის, კომედია კვლავ ზუსტად „კრებულის“ ტექსტის მიხედვითაა დასტამბული². ჩვენი აზრით, მცირე ჩაღხის გაკვრა აქაც აუცილებელი იყო, რადგან თარგმანს დიდ ჩრდილს აყენებს და, თითქმის, მხატვრულ ღირებულებასაც უკარგავს ორიგინალს დაშორებული და ვულგარული, ენობრივად გაუმართავი და ტლანჭი გამოთქმებით.

მაგალითად, ორიგინალში ვკითხულობთ: „Silv. Mafoi, je m'y trouve autant embrasse que Vous, — et j'aurais bon besoin que L'on me conseillât moi-même“³. აკაკის თარგმანში ეს ადგილი შეცვლილია და ბოლოს, მოლიერის სტილისათვის შეუსაბამო ფრივოლური ფრაზაც აქვს მიკვრებული: „არ ვიცი, ღმერთმანი, თქვენი არ იყოს, მეც ძალიან თავბრუ მესხმის, ნეტავი კი ვინმე მირჩევდეს რამეს, თორემ, მიწამდის მეტანიას ვუზამ“. ხშირად ვხვდებით გაუმართავ და უაზრო წინადადებებს: „თავს მთხლეს გადამადენს“, „გამკუჭეთ მაგ თქვენი ხმლით“ და სხვ.

„სკაპენის ცულლუტობა“ აკ. წერეთელს რუსული თარგმანიდან გადმოუღია, მაგრამ ტექსტს იმდენად თავისუფლად ეკიდება, რომ ძნელი დასადგენია, სახელდობრ, რომელი თარგმანით ისარგებლა მან.

¹ მოლიერი, კომედიები, პ. კეშელავასა და ირ. ქავეარაძის რედაქციით. 1937, გვ. 273.

² აკ. წერეთელი, თხზულებანი, ტ. X, ი. გრიშაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, 1959, 151.

³ Le Faurberies de Scopin, Comédie en trois actes, par Molière. Paris, 1866.

„ეგმონტი“

სერიოზული ყურადღების ღირსია გ. წერეთლის მიერ გადმოთარგმნილი „ეგმონტი“, რომლის დასაწყისი (ორი მოქმედება) „კრებულ-ს“ 1873 წლის მე-5, ხოლო დასასრული (მომდევნო სამი მოქმედება) იმავე წლის მე-7 ნომერში დაიბეჭდა. თარგმანი დღემდე ინარჩუნებს ლიტერატურულ ეშხს, რადგან გ. წერეთელი მღელვარედ განიცდის ტრაგედიას და შემოქმედებითი უშუალობით გადმოსცემს ორიგინალის სულს.

როგორც ირკვევა, „ეგმონტის“ თარგმანი გ. წერეთელს მეგობარ ლიტერატორთა წრეშიც წაუკითხავს და ყველას მოსწონებია. 1873 წელს საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ წერილში ნ. ნიკოლაძე სთხოვდა კირ. ლორთქიფანიძეს, არ დაეგვიანებია ტრაგედიის გამოქვეყნება. ეს ინტერესი გამოწვეული იყო „ეგმონტის“ დემოკრატიული სულისკვეთებითა და განმათავისუფლებელი ბრძოლის რომანტიკით. ესპანელ დამპყრობლებთან ბელგიელების შებმა გოეთეს წარმოსახული აქვს ხალხის მასობრივი მხარდაჭერისა და პატრიოტული შემართების ფონზე. ამამაღლებელი და წამქეზებელია თვით ეგმონტის ძლიერი ხასიათი.

გ. წერეთლის თარგმანი უშუალოდ გერმანიულიდანაა შესრულებული. შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ის საერთოდ არ იცნობდა, ან ყოველშემთხვევაში, მუშაობის დროს მას ხელთ არ ჰქონია რუსული თარგმანები. ქართული ტექსტი ზუსტად მიჰყვება დედანს და მთარგმნელი მხოლოდ ისეთ შეცდომებს უშვებს, რომლებიც გერმანულის არასწორი ამოშიფერიდან მომდინარეობს: რუსულ თარგმანთან შეჯერებით ამ ხასიათის შეცდომებს იგი უთუოდ თავიდან აიცილენდა: სამაგიეროდ ბევრი ადგილი ქართულ თარგმანში უფრო სწორად და ზუსტადაა გადმოღებული, ვიდრე რუსულში.

1956 წელს, თითქმის, 90 წლის შემდეგ, გამოქვეყნდა ვახტანგ ბენუქელის მიერ შესრულებული „ეგმონტის“ ახალი თარგმანი, რომელიც როგორც მხატვრული ღირსებით, ისე ორიგინალთან სიანლოვით გ. წერეთლის თარგმანზე უკეთესია, მაგრამ ახალი გამოცემის შენიშვნებში, ჩვენი აზრით, მაინც უნდა მოეხსენებიათ, რომ ეს თხზულება XIX საუკუნეში ითარგმნა¹.

მოქმედ პირთაგან, დედნის Wilhelrn von Oranien გერბელის 1866 წლის თარგმანში მოხსენებულია, როგორც Вильгельм Оранский— ვ. ბენუქელთან — ვილჰელმ ორანელი, ხოლო გ. წერეთელთან — ვილ-

¹ გოეთე, დრამები. 1956 წ., თარგ. ვ. ბენუქელისა, გვ. 213.

კელმ ორანელი—თავადი. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი უფრო შეე-
საბამება დედნის აზრს, რადგან მარტოდენ „ვილჰელმ ორანელში“ და-
კარგულა ის მნიშვნელობა, რასაც მას ორიგინალში „von“ აძლევს.
რუსულში კი, აზრი სავსებით გასაგებია. მაკიაველის შესახებ დედანში
ნათქვამია: „In Dienste der Regentin“ რუსულში: „Приближенный
правительницы“ 1956 წ. ქართულ თარგმანში: „მმართველის მრჩევე-
ლი“. გ. წერეთლის თარგმანში: „სახელმწიფო მოხელე რეგენტინისა“.
აქაც, ჩვენი აზრით, გ. წერეთლის თარგმანი უფრო შეესატყვისება
დედანს. სილვა, გომეცი. დედანში: „Unter Alba dienend“, გერბელის
თარგმანში: „Приближенные Герцога Альби“, 1956 წლის თარგ-
მანში: „ალბას ხელქვეითნი“; გ. წერეთელთან: „ალბას ხელქვეით მო-
სამსახურენი“; „სოესტი“: „Nun schiesst nur hin daß es alle wird!
Ihr nehmt mir's doch nichts. Drei Ringe schwarz, die habt Ihr
Euere Tage nicht geschossen. Und so wä'r ich für dies Jahr
Meister“. გერბელთან: «Да, стреляй же, наконец! Как ты там не
старайся, а верх надо мной не возьмешь. Шутка ли-три чер-
ных круга прастрелил! Тебе во всю жизнь этого не сделать! И
так, на этот год победителем буду я».

1956 წლის თარგმანში: „აბა, ესროლეთ და გავათათო! მაინც ვერ
მაჯობებთო, სამს შეე წრეს თქვენს სიტოცხლეში ვერ მოახვედრებთ.
წელს მე დავრჩები გამარჯვებული“; გ. წერეთელთან: „ესროლეთ და
მორჩით! სანაძღოს მაინც ვერ წამართმევთ. სამს შავს წრეს თქვენს
დღეშიაც ვერ გახვრეტთ. იქნება ამ წელს მე გავხდე უფროსი“.

მოტანილი ტექსტიდანაც ჩანს, რომ გერბელის თარგმანი, საერთოდ,
უმწეო, უსუსური და გაკვიანურებულია, ხოლო გ. წერეთლისა — დედ-
ნის შესატყვისი და საკმაოდ გამართული, არაფრით არ ჩამოუვარდება
ახალ თარგმანს, — ერთადერთი სიტყვა („უფროსი“) რომ არ აფუ-
კებდეს შთაბეჭდილებას (ეს სიტყვაც გვიჩვენებს, რომ ის დედნის
პირდაპირი მნიშვნელობით გავების ნაყოფია („Meister“). ამ სახის
უზუსტობებს კი, როგორც აღვნიშნეთ, გ. წერეთელთან ხშირად ვხვდე-
ნით, რაც ზოგჯერ ანაქრონიზმსაც იწვევს: „Armbrust“, რუსულად
თარგმნილია: „Самострел“, ვ. ბეწუჯელის მიერ: „მშვილდისრები“;
ხოლო გ. წერეთელთან: „თოფი“. „Spannt die Armbrust“. („Начи-
нает натягивать тетиву“. „მოსწევს მშვილდის ლამბს“ (ვ. ბეწუჯე-
ლი). თოფს ათამაშებს (?) (გ. წერეთელი). „Krämer“ მეწვრილმანე
(ვ. ბეწუჯელი), ვაჭარი(?) (გ. წერეთელი), „Egmonts Wohnung“,
Дворец Эгмонта (გერბელი); ეგმონტის სასახლე (ვ. ბეწუჯელი), ეგ-
მონტის სადგომი (გ. წერეთელი); მაგრამ: „Klärchens Wohnung“:
კლერხენის ბინა (ვ. ბეწუჯელი); ვფიქრობთ, მართებული არ უნდა
იყოს ერთი და იგივე სიტყვის ხან სასახლედ და ხან ბინად თარგმნა.

შეიძლება, მხოლოდ იგულისხმებოდეს, რომ ეგმონტის ბინა სასახლეს წარმოადგენს. როცა სასახლეზეა ლაპარაკი, გოეთე წერს; „Eulenburgische Palast“.

ღურგალი: „Geh deines Pfads und sei ruhig!“ — „Иди своею дорожью и говори тише“; (გერბელი); გასწი შენს გზაზე, ნუ ყვირიხარ (?) (ვ. ბეწუჯელი); წადი შენს გზაზე და მშვიდად იყავი (ვ. წერეთელი).

კერძო სახელი — Wansen შესაღარებელ ტექსტებში განსხვავებული ფორმებით გვხვდება: Фаизен (გერბელი), ფანსენი (?) (ვ. ბეწუჯელი) და ვანზენ (ვ. წერეთელი). ვ. წერეთელი შეცდომით თარგმნის „ოილენბურგს“ („კულენბურგი“), რაც აგრეთვე გოთური ასოების არასწორი ამოკითხვით უნდა იყოს გამოწვეული.

ვ. წერეთელს სუსტად აქვს ნათარგმნი ლექსები, მაგრამ შინაარსობრივად აქაც სხვებზე მეტ სიზუსტეს იცავს: „Glücklich allen ist die Seele, die liebt“; „Счастье знает лишь любовь святая“ (?) (გერბელი); ბედი მაქვსო (?) მხოლოდ მან თქვას (?), ვისაც უყვარს მთელი გულით“ (?) (ვ. ბეწუჯელი); „ბედნიერია ის გული, ვინც გაიცნო სიყვარული“ (ვ. წერეთელი)¹.

სალიტერატურო ენის მაშინდელი მდგომარეობის კვალობაზე, „ეგმონტის“ თარგმანი დასაწუნი არაა, მაგრამ თანამედროვე სტილისა და ენობრივი ნორმების თვალთახედვით ზოგი რამ საჩოთირო და გაუგებარია: „ვინც თავს იფარავს, თავისთავზედაც ეჭვი უნდა ჰქონდეს“; „ქვეყანაზე იმისთანათ თოფს ვერვის ისერის“; „გვარიანი ხანია, რაც მყავს“; „უკან იხვოდა“ და ა. შ.

მაგრამ თარგმანი, საერთოდ, ორიგინალზე აღრე ძველდება და მისი აკყარგიანობის განსაზღვრა განსაკუთრებით მოითხოვს ისტორიულ მიდგომას; ამ თვალსაზრისით კი გოეთეს დიდებული ტრაგედიის სრული და შინაარსობრივად ზუსტი, უშუალოდ ორიგინალიდან შესრულებული თარგმანი ჩვენი მთარგმნელობითი ლიტერატურის დიდ მიღწევად უნდა ვაღიაროთ.

ფოლკლორი

ხალხური სიტყვიერების ძეგლთა სისტემატური პუბლიკაცია და პროპაგანდა ჩვენში „კრებულმა“ წამოიწყო. წინანდელ ქართულ გამოცემებში ფოლკლორული მასალა იშვიათად და სასხვათაშორისოდ იბეჭდებოდა. „კრებულმა“ კი საგანგებო რუბრიკი დააწესა ამ ხასი-

¹ Goethes Sämliche Werke, IX B. Stuttgart, 1863, s. 155. Leme. B. Cor, m. III, 1866.

ათის თხზულებებისათვის და ჟურნალის მხატვრულ საგანძურში ხალხურ პოეზიას რაოდენობრივად და ღირსებითაც, ფრიად საპატიო ადგილი უკავია.

რედაქცია და თანამშრომლები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ხალხური სიტყვიერების ძეგლთა შეგროვებისათვის საზოგადოებრივი მოძრაობის ხასიათი მიეცათ, დაეიწყებინა და დაღუპვისაგან ეხსნათ საუკუნეთა გრივალს გადარჩენილი შედეგები. ჟურნალში ხალხური პოეზიის უბრწყინვალესი ნიმუშებია დაბეჭდილი. თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ილია, რაფეელი და პეტრე ყოველ მომდევნო ნომერში ახალ-ახალ შედეგებს აქვეყნებდნენ და საყოველთაო ინტერესის აღსაძრავად თავიანთი მდიდარი კოლექციებიდან უკეთესთაგან საუკეთესოს არჩევდნენ. ამიტომ „კრებულის“ პუბლიკაცია ქართული ხალხური პოეზიის „პატარა საუნჯეს“ წარმოადგენს და მკითხველი მასში ბევრ ისეთ ნაწარმოებს შეხვდება, რომელიც დღესაც ამ პოეზიის სიამაყედ მიგვაჩნია.

„კრებულში“ დაბეჭდილი მასალა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. წამყვანი ადგილი აქ ლირიკასა და პოეტურ ეპოსს უკავია. ილიას ჩანაწერებში საყოფაცხოვრებო, საწეს-ჩვეულებო თხზულებანი თითქოს იგნორირებულიცაა, და უპირატესობა საგმირო, ისტორიულ, სოციალურ, ფილოსოფიურ და სატრფიალო ლექსებს ენიჭება.

ჩვენი აზრით, ფოლკლორისადმი ინტერესი ამ პერიოდში ძირითადად ლიტერატურულ-ესთეტიკური და აქტუალურ-პოლიტიკური მოტივებით იყო იმპულსირებული, ხოლო წმიდა მეცნიერული ამოცანა მეორე პლანზე იდგა. ხალხის პოეტურ მემკვიდრეობაში 60-იანი წლების რეალისტებს მდიდარი და ცხოვრებაში ნაწრთობი მხატვრული ტრადიცია იზიდავდა. ზეპირსიტყვიერებას ისინი ხალხურობის წყაროდ, შემოქმედებითი შთაგონების ელექსირად თვლიდნენ.

ხალხურ შემოქმედებას სამოციანელები მნიშვნელოვან როლს აუთუნებდნენ პოეტური აზროვნებისა და მეტყველების გამრავალფეროვნებასა და გამდიდრებაში. გამქისებულ-გამოფიტულ სამწერლო ენას ზეპირსიტყვიერებისაგან უნდა გადასდებოდა ენის ბუნებრივი სტიქია, მისი სილბო და სიძლიერე, მომხიბლავი უბრალოება, ლაკონიური სიმკვირცხლე.

ხალხურ სიტყვიერებასთან სამოციანელთა შემოქმედებითს თანაზარობას განამტკიცებდა აგრეთვე სამყაროს რეალისტური აღქმიდან მომდინარე მხატვრული სახეების სიმართლე, ცხოვრებისეული უშუალობა და ნათელი ფერები.

მაგრამ ფოლკლორის ესთეტიკურ ფენომენს „კრებული“ მის სოციალურ შინაარსსაც უკავშირებდა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს

ერთდროულად აქტუალურ პოლიტიკურ ამოცანათა თვალსაზრისითაც არჩევა. ზეპირსიტყვიერება ეურნალის თანამშრომლებს ხალხის ცხოვრების უტყუარ მათიანედ მიაჩნდათ; სწამდათ, რომ ამ თხზულებებმა საუკუნეთა ქართველში გამოატარეს მშრომელთა ფიქრი და ლტოლვა, თავისუფალი მომავლის იდეალი.

ფოლკლორის სოციალური მოტივებისადმი განსაკუთრებული ინტერესის დადასტურებაა „არსენას ლექსის“ შესახებ „კრებულში“ დაბეჭდილი პ. უმიკაშვილის წერილი.

„კრებულში“ დასტამბული ძეგლები ჩაწერილი და მომზადებულია იმდროინდელი ფოლკლორისტიკის ფრიად მაღალ დონეზე¹.

„კრებულის“ ფოლკლორისტული მოღვაწეობა, რომელიც ახალთაობის სოციალური იდეალებითა და ლიტერატურის ხალხურობისაკენ სწრაფვით იყო შთაგონებული, ამ დარგის აღმავლობის მძლავრ სტიმულად იქცა ჩვენში.

ლიტერატურული კრიტიკა

კრიტიკის დარგშიც „საქართველოს მოამბის“ ტრადიციათა უშუალო გამგრძელებელია „კრებული“. მან დაიცვა, განამტკიცა და განავითარა რეალიზმის პრინციპები. როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ახალი გაქანება მისცა სალიტერატურო კრიტიკას, ძირითადად სწორი პასუხი გასცა თანამედროვეობის მოთხოვნებს. არც ერთ წინმსწრობ ქართულ გამოცემაში არ ყოფილა კრიტიკა ასე მრავალფეროვანი, ქმედითი და პროფესიულად სრულქმნილი.

გარდა იმისა, რომ ლიტერატურულ მოვლენებს გაკვირვებით თითქმის ყველა პუბლიცისტი ეხება, ეურნალში დაიბეჭდა მხატვრული შენობ-მედების პრობლემური და ყოველდღიური სასიცოცხლო ამოცანებისადმი მიძღვნილი წერილები.

ეურნალის კრიტიკას ტონს აძლევდა ნ. ნიკოლაძე, რომელმაც ახალი საფეხური გაკრა ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზრის განვითარებაში და წერილების ციკლით — „ჩვენი მწერლობა“ — პირველად მოგვცა თანამედროვეთა შემოქმედების ღრმა ანალიზი.

ნ. ნიკოლაძის წერილები დღესაც გვხიბლავს ფართო ერუდიციით, პრინციპულობით, უზადო ლიტერატურული გემოვნებითა და ესთეტიკური თვალსაზრისის მთლიანობით. ეგრძნობთ, რომ ავტორს მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულებანი გააჩნია და ყველა ნაწერში შეუ-

¹ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, 1961, 33-16.

პოვრად და თანმიმდევრულად იბრძვის მათი დამკვიდრებისათვის. საგულისხმოა, რომ ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას, ის თავის ადრინდელ წერილებსაც იმოწმებს. ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსის მანიფესტური მთლიანობა, საერთოდ, ნიშანდობლივია „კრებულისათვის“. ასევე ნიშანდობლივია მისთვის ანალიზის კონკრეტულობა და დასკვნათა პრაქტიკული მიზანდასახულობა. კრიტიკა, როგორც ლიტერატურული სინამდვილის აქტიური მშენებელი, ცოცხალ შემოქმედებითს პრაქტიკას ემყარება, მისგან ამოდის, მის გაუმჯობესებასა და წარმატებას ემსახურება. იგი რეზონერი კი არ არის, ანალიტიკოსი და თანაშემოქმედი. მხატვრული შემოქმედებისადმი კრიტიკის მიმართების ამგვარმა გაგებამ მწვავედ აგრძნობინა ჩვენს მოღვაწეებს მწერალთა მემკვიდრეობის სრული, მეცნიერული გამოცემის აუცილებლობა. ჩვენი კრიტიკის „დასაფასებელი მასალა ნამეტანათ დაბნეული და გაცალცაყვეებულია და ის ვერ ადგენს ყოველმხროვანს აზრს მწერლის წარსულ ნაწერსა და ამ ნაწერის ნამდვილ ხასიათზე“. — წერდა ნ. ნიკოლაძე — ბევრი ისეთი მწერალი გვყავს, რომ ყველა ლიტერატურას დაამშვენებდა, მაგრამ მკითხველი არ იცნობს მათ. ახალ ლექსს მაშინ კითხულობს, როცა „უწინდელი ლექსის შთაბეჭდილება დავიწყებულია“¹.

ამ დებულებიდან გამომდინარე, 1873 წელს ნ. ნიკოლაძემ გადაჭრით მოითხოვა ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და სხვათა თხზულებების სრული კრებულების გამოცემა.

კონკრეტული ანალიზის პრიმატით უნდა ავხსნათ ისიც, რომ პრობლემური შეხედულებანი „კრებულში“ მუდამ ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვასთან დაკავშირებითაა გამოთქმული და მხატვრული მასალა საილუსტრაციო ფონს კი არ წარმოადგენს, არამედ ამოსავალი წერტილია. რაკი კრიტიკის ობიექტად ყოველდღიური მხატვრული პროდუქცია იქცა, კრიტიკული წერილები უმთავრესად წიგნის „მიმოხილვასა“ და „ბიბლიოგრაფიული შენიშვნების“ სახით იბეჭდებოდა. ასეთ „ბიბლიოგრაფიულს შემეცნებას“ გ. წერეთელი მაღალი რანგის კრიტიკად თვლის, რომელმაც „დამჭდარი მოსაზრებით უნდა აგვიხსნას, რა არის სასარგებლო ან მავნებელი ახალს ლიტერატურულს მოვლინებაში“².

უკვე ეს ფაქტივ მიგვანიშნებს, როგორ ესმოდა „კრებულს“ კრიტიკის ამოცანა და ხასიათი. მაგრამ, ჟურნალის თანამშრომლებმა სრული სიცხადითაც გამოთქვეს და დაასაბუთეს ამ საკითხზე თავიანთი შეხედულებანი. ვრცელ წერილში — „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა

¹ ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1873, № 3.

² „ღრობა“, 1871, № 24.

ლიტერატურაში“ (1871 წ. № 3), ნ. ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა „განმანათლებლური კრიტიკის“ ძირითადი პრინციპები, დაგმო დოგმატურ-სქოლასტიკური კრიტიკა, უარყო ავტორიტეტთა ბრმა თაყვანისცემა და კრიტიკა შემოქმედებით აქტად გამოაცხადა. მართალია, ეს ისტორიული ამოცანა ჩვენში პირველად ილია ჭავჭავაძემ გადაწყვიტა, პირველად მან გაილაშქრა გაბატონებული ფორმულებისა და რღაც ხელუხლებელი „ანბანთ თეორეტიკის“ წინააღმდეგ, მაგრამ დროის შესაბამისად მისი წერილების ძირითად პათოსს პოლემიკა შეადგენდა და პრობლემების დანაწევრებულ პოზიტიურ ახსნას ჭეროვანი ადგილი ვერ დაეთმობოდა. ნ. ნიკოლაძის წერილში მეცნიერული მტკიცებით არის მოცემული ლიტერატურის ძეგლთა იდეურ-ესთეტიკური შეფასების კრიტერიუმი; ნაჩვენებია საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელი როლი შემოქმედლისა და შემოქმედების არსის ჩამოყალიბებაში; მრავალ ასპექტსა და განუყოფელ ურთიერთკავშირშია განხილული კრიტიკის მიზნები, ხასიათი და მოწოდება. ნაწარმოების მრავალმხრივი ანალიზით, კრიტიკოსი თვალნათლივ ავლენს მის არსს და ამით შუამავალი ხდება მწერალსა და მკითხველს შორის.

ნ. ნიკოლაძე მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან კრიტიკის ფუნქციას დადებითი და უარყოფითი ნაწარმოების შეფასებისას. მაღალიდებული და მაღალმხატვრული შემოქმედების განხილვისას კრიტიკოსი, უწინარეს ყოვლისა, ავტორის იდეებისა და ესთეტიკური იდეალის პროპაგანდისტი და პოპულარიზატორია. ის მაგალითად უსახავს მკითხველს მწერლის შეხედულებებს, განმარტავს შემოქმედებითს ჩანაფიქრს და ხელს უწყობს ავტორის კეთილ მისწრაფებათა დამკვიდრებას, რითაც ეფექტურ დახმარებას უწევს როგორც მწერალს, ისე მკითხველ საზოგადოებას. „კრიტიკის დახმარებით თხზულების სურათს ღირსეული დაფასება, ახსნა და გავრცელება ეძლევა. კრიტიკა უხსნის მკითხველს რა ძალა და მნიშვნელობა, რა ხასიათი და გავლენა აქვს მწერლის თითოეულ სურათს, რას ნიშნავს წერილმანამხარეები, ერთი სიტყვით, ათასნაირად უტრიალებს და უსინჯავს მკითხველს იმ ხასიათს და სურათებს, რომლებიც მწერლის თხზულებაში გაკვრით თუ არა, ისე ვერ გამოჩნდებოდნენ... კრიტიკა პირდაპირ ამბობს,.... აი, რასა და რას წარმოგვიდგენს ჩვენი იმ საგნების, ხასიათების და მდგომარეობის გასინჯვა, აი, რა და რა აზრს სძრავს და რა გრძნობებს ბადებს ჩვენში ეს თხზულებათ... კრიტიკა ამხსნელი, განმმარტებელი და ადგილის მაჩვენებელია“.

ამ დასკვნის გამოსატანად ნ. ნიკოლაძეს, სხვათა შორის, საფუძველს აძლევდა ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის მთელი ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა. გ. ვ. პლენანოვის სიტყვითაც, ბელინსკის წერილების წაკითხვის შემდეგ მკითხველი მისთვის

შეუმჩნევლ მრავალ აზრს, ბევრ ახალ მხარეს იპოვიდა პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის ნაწერებში, ახლებურად გადაეშლებოდა თვალწინ მათი შემოქმედების ხასიათი. კრიტიკის ოპტიკური აღქურვილობა ნაწარმოებში ხშირად ისეთ თვისებებსაც ავლენს, რომელიც შეუიარაღებელი თვალისათვის დაფარული რჩება.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ხელოვნის გამომსახველობითი არსენალი ზღვარდებულია, ხოლო კრიტიკოსს საშუალება აქვს მრავალგვარ კრილში გადაიტანოს და გააშუქოს საგანი, მრავალმხრივ აწონ-დაწონოს, შეადაროს საზოგადოებრივი ცხოვრების „დანარჩენი ნაწილების მოქმედებას და მოძრაობას“, გარკვეული მიზნით, დაშალოს და ახალ-ახალ შესაძლო ვარიაციებში გაამთლიანოს ის, რათა ზედმიწევნით სწორად განსაზვროს მისი ხასიათი და ბუნება.

ნ. ნიკოლაძე მართალია, როცა გვარწმუნებს, ყველა მკითხველი ყველაფერს როდი გაიგებსო, მაგრამ მის მტკიცებაში, მაინც შესამჩნევია „განმანათლებლური კრიტიკის“ რეცეპტი, რომლის მიხედვითაც, კრიტიკოსს ძალიან ცოტა ლაპარაკი უხდებოდა თვით ნაწარმოების შესახებ და ძალიან ბევრისა — ნაწარმოების გამო.

ნ. ნიკოლაძე, როგორც ჰეშმარტი სამოციანელი, კრიტიკას სოციალური მხილების როლს ანიჭებს და მხატვრული ნაწარმოების ანალიზით საზოგადოებრივ მოვლენათა განსჯა-შეფასებას მოითხოვს. მკითხველთა სოციალური გათვითცნობიერება მას კრიტიკის საპატიო მოვალეობად მიაჩნია, ხოლო კრიტიკოსს საზოგადოებრივი აზრის ორგანიზატორად თვლის.

ამ გაგებიდან გამომდინარე, ლიტერატურის კრიტიკოსი ფილოსოფოსი და სოციოლოგიც უნდა ყოფილიყო. მას, უწინარეს ყოვლისა, სოციალური თვალსაზრისით უნდა გადაეწყვიტა, თუ როგორ შესძლო მწერალმა სინამდვილის ასახვა, — რა უნდა ეჩვენებინა და რა გვიჩვენა. ეს თვალთახედვა, ნ. ნიკოლაძის აზრით, განსაკუთრებით საჭიროა ყალბი ტენდენციების გამოსავლინებლად და უარყოფითი, ხელმოცარული ნაწარმოების ანალიზის გზით საზოგადოებრივ აზრზე არსებითად იმავე ზემოქმედების მოსახდენად, რასაც ჩვეულებრივ დადებითი ნაწარმოების განხილვით ვაღწევთ. „როცა კრიტიკა მახინჯ თხზულებას სინჯავს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ის თავდაპირველად იმ ცხოვრების ნაწილს იღებს, რომელიც უნდა გამოეხატა მწერალს და მის აღწერილობას აღარებს: კრიტიკა ამბობს: აი, რას წარმოგვიდგენდა ჩვენ ნამდვილი ცხოვრება, — აი, რა და რა მხარეზე უნდა მიექცია მწერალს ყურადღება, — აი, რა და რა უმთავრესი საფუძველი და ნაყოფი აქვს ამ ცხოვრებას და აი, მესამე მხრივ, რანაირათ, რა სუსტათ გამოუხატავს ეს საგანი მწერალს, რა დაბნეულად და შეუფარებლად აუწერია იმას ცხოვრება“. როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძეს გონება-

მახილურად აქვს განსაზღვრული „კრიტიკოს განმანათლებლის“ მოვალეობა ორსავე შემთხვევაში, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ლიტერატურული ფაქტის ანალიზი, თუ მას სწორ სოციალურ კუთხეს გამოვუძებნით, პრინციპულად, ერთნაირი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შეხედულებათა გასაცრელებლად.

მრავალმხრივ განხილვა-შეფასების ისტორიულ-შედარებითმა მეტოდმა დიდად აამძლია მწერლის პირადი ცხოვრების მნიშვნელობა მისი შემოქმედების ხასიათის განსაზღვრაში. ჯერ იპოლიტ ტენმა, შემდეგ გეორგ ბრანდესმა მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების შერწყმული ანალიზით საყოველთაო სახელი მოიხვეჭეს.

უთუოდ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ 70-იანი წლებიდან გაფაციცებით დაიწყეს ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიული მასალების შეგროვება. „კრებულშიც“ გამოქვეყნდა პოეტის კერძო წერილები. ნ. ნიკოლაძემაც ბიოგრაფიული მომენტებით სცადა გრ. ორბელიანის შემოქმედების ცალკეულ საკითხთა ახსნა.

მხატვრული ლიტერატურის ანალიზში „კრებულმა“ პრინციპული მნიშვნელობის ფაქტორად აღიარა მწერლის ცხოვრება, ხელოვანის სულიერი ბიოგრაფია, რადგან შემოქმედებითი მოღვაწეობის საფუძველს თვით შემოქმედის ტალანტი და მისი ინდივიდუალური თავისებურებები წარმოადგენს; კრიტიკას არ შეუძლია შესცვალოს ამ ტალანტის ბუნება, — წაართვას მას ის, რაც აქვს და მიანიჭოს, რაც არ გააჩნია. „კრიტიკაზე ამ მხრით მარტო ის მოვალეობა ძევს, რომ გასინჯოს, ვის როგორი ნიჭი უხმარია და როგორი მომხდურობა გამოუჩენია თავისი გრძნობის გამოთქმის დროს“¹.

აღნიშნული თვალსაზრისი ზუსტად ასახავს დობროლიუბოვის „რეალური კრიტიკის“ დებულებას. რომ კრიტიკა შეისწავლის და არ აწესებს: არ მოითხოვს, რომ მწერალმა წეროს გამოჭრილი შაბლონის მიხედვით და არა ისე, როგორც სურს; არამედ „განიხილავს მხოლოდ იმას, რასაც შემოქმედელი ქმნის“ და „საკუთარ მოსაზრებებს თავზე არავის ახვევს“. მაგრამ არც დობროლიუბოვს და არც ნ. ნიკოლაძეს ეს დებულება „ჩაურევლობის“ პრინციპად არ გამოუცხადებიათ. როგორც ვნახეთ, ნ. ნიკოლაძე მას ტალანტის ინდივიდუალობის ჩარჩოვებით შემოსაზღვრავს და კრიტიკას ფრიად ფართო ასპარეზს უტოვებს, როგორც შინაარსის, ისე ფორმის სფეროში. უწინარეს ყოვლისა, კრიტიკის მოვალეობად მას ნაწარმოების პროგრესული ინტერპრეტაცია და შემოქმედის იდეალური გამოწრთობა მიაჩნია. მართალია, კრიტიკა მწერლის ტალანტს ვერ შესცვლის და ყოველგვარი ტალანტისათ-

¹ ნ. ნიკოლაძე, „გრიგოლ ორბელიანი“, „კრებული“, 1873, № 3.

ვის გამოსადეგ შაბლონს ვერ გამოსჭრის, მაგრამ მას შეუძლია სწორი გზა უჩვენოს შემოქმედს, დაეხმაროს მას თემისა და მასალის შერჩევაში, გაარკვიოს ცხოვრების ტენდენციათა ამოცნობაში და ყურადღება გაუმახვილოს არსებით მხარეებზე, რაც, ცხადია, ასახვის მხატვრულ სპეციფიკაშიც თავისებურ გამოხატულებას ჰპოვებს. ამ საკითხს ძალიან დიდ ადგილს უთმობს როგორც ნ. ნიკოლაძე, ისე პ. უმიკაშვილი. ნ. ნიკოლაძის აზრით, ცხოვრებაში ზოგი მოვლენა იშვიათია, ზოგი კი ძალიან გავრცელებული. ზოგი საზოგადოებრივად საინტერესოა, რადგან მსგავს მოვლენათა ხასიათს აჩენს, ზოგი კი — სრულიად უმნიშვნელოა, რადგან „არაფერს არ აჩენს“. „რა ნაირათ აიწერება ცხოვრება; როგორ გამოიხატება მისი მოვლენანი?“ — კითხულობს კრიტიკოსი. — ყოველი მოვლენა ღირსია აწერისა თუ ზოგიერთები, და რითი უნდა იხელმძღვანელოს მწერალმა ასაწერი მოვლენის არჩევის დროს? ნ. ნიკოლაძეს ორი მაგალითი მოაქვს თავისი მოსაზრების საილუსტრაციოდ. 1. მოწაფემ ვერ აიტანა მასწავლებლისაგან დევნა და თავი ჩამოიხრჩო; 2. მოწაფემ შეცდომით შაქრის ნაცვლად „თაგვის წამალი“ ჩაყარა წყალში და მოიწამლა. პირველი შემთხვევა მნიშვნელოვანია, რადგან რელიეფურად ავლენს არსებული აღზრდის სიმახინჯეს, ხოლო მეორე უმნიშვნელოა, რადგან არაფერს არ ავლენს. პირველი მოწაფის ბედი (თუნდ, თხზულება სუსტად იყოს დაწერილი), „ააღლეებს, დააფიქრებს და კვალს დასტოვებს, თითქმის, ყველა მკითხველის გულსა და ტვინში“¹.

ერთი სიტყვით, მწერლის მიმართ კრიტიკას დაკისრებული აქვს საზოგადოებრივი აღმზრდელის ფუნქცია, რათა „ქეშმარიტი ტალანტი არ დაიღუპოს“ (ჩერნიშევსკი), გზას არ ასცდეს და ნიჭი უსარგებლოდ ან საზიანოდ არ გამოიყენოს. ნ. ნიკოლაძე დარწმუნებულია, რომ ამგვარი კრიტიკის უქონლობამ დიდი ზიანი მრავნა ჩვენს ლიტერატურას. მწერლებმა არ იცოდნენ, „თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოვრებას და რა ადგილი... უნდა მიეცეს მწერლობაში რომელსამე შემთხვევას, მოვლენას, ხასიათს და მდგომარეობას“.

„კრებული“ გმობს სუბიექტურ მსჯავრდებას, რომელიც შემდეგ იმპრესიონისტული კრიტიკის სახელით გახდა ცნობილი და რომელიც შეფასების ერთადერთ საზომად აცხადებს ფორმულას: „მე მომწონს“ ან „მე არ მომწონს“, — იგი აუცილებლად სცნობს ხელოვნების ძეგლთა ღრმა ანალიზს, მათი საზოგადოებრივი სარგებლიანობის პოზიციებიდან და გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევს სოციალურ-პოლიტიკურ ინტერპრეტაციას. აქედან გამომდინარე, კრიტიკოსი კომენ-

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“, „კრებული“, 1871, № 3.

ტატორი კი არ არის, არამედ თანაშემოქმედია, რომელიც ნათელს ჰფენს ავტორის იდეას, სხვის მატებს მის ჩანაფიქრს და თავისებურად აგვირგვინებს მის წამოწყებულ საქმეს. მაგრამ ამ დებულებას ნ. ნიკოლაძე უკიდურესობამდე მიჰყავს და ამით ის უნებურად ამცირებს როგორც შემოქმედის, ისე მკითხველის როლს, მხატვრულ ნაწარმოებს იგი ადარებს კალატოზის მიერ ამოყვანილ კედლებს, რომელსაც შეერთება ესაჭიროება. რას ჰგავდა ეს კედლები? „მოქონდა იმას ის სარგებლობა, რომელიც უნდა მოეტანა სახლს, რომლისთვისაც დანიშნული იყო ეს კედლები და რომელიც უკედლოდ ვერ გაიმართებოდა? — ეს მაგალითი ნამდვილი გამოსახვაა იმ ურთიერთდამოკიდებულებისა, რომელიც არსებობს ლიტერატურასა და კრიტიკას შუა. კრიტიკას კედლების შეერთება, დაგვირგვინება, გამოყენება აქვს მინდობილი, საზოგადო ლიტერატურის საქმეში“. ამ ტლანქ მაგალითში მიჩქმალულია ლიტერატურის უშუალო ზემოქმედების უნარი და ხელოვნების ნაწარმოებთა სრულქმნის შესაძლებლობა, რაც კრიტიკას „კედლების“ ნებისმიერი შეერთების უფლებას უტოვებს. ყოველ შემთხვევაში, აუცილებელი იყო ხაზგასმა, რომ ხელოვნების ყოველი ჰემმარტი ძეგლი თავისთავად დასრულებულია და ის, რასაც ნ. ნიკოლაძე „კედლების ამოყვანას“ უწოდებს, ამ დასრულების ფარგლებს ვერც გადასცდება და ვერც უღალატებს. მაშინაც კი, როცა კრიტიკოსი ნაწარმოებში წინ სწევს იმას, რაც თვით მწერლისთვის მკაფიოდ შეცნობილი არ არის (როგორც, მაგალითად, ნ. დობროლიუბოვის მიერ ი. ტურგენევის „წინაღობით“ ინტერპრეტაცია), იგი ამ მხატვრულად დასრულებულის სფეროში მოქმედებს; მაგრამ, შემდგომი მსჯელობიდან ირკვევა, რომ ნ. ნიკოლაძეს ძირითადად მაინც სწორად ესმის შემოქმედისა და მომხმარებლის ურთიერთობაში კრიტიკის როლი. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კრიტიკა ტონს აძლევს საზოგადოებრივ აზრს, — უფრო მეტი, — ქმნის და წარმართავს ამ აზრს, გავლენას ახდენს საზოგადოების ესთეტიკურ გემოვნებაზე, გზას უჭირს ან გზას უკაფავს ნაწარმოებს, იმის მიხედვით, საზიანთა თუ სასარგებლოა საზოგადოებისათვის. „ხელმძღვანელი კრიტიკა ნიდაგ ტონს უნდა აძლევდეს თავის ლიტერატურას და ისე უნდა მიმართავდეს მის ძალას და შრომას, როგორც საუკეთესო იქნება საზოგადო ცხოვრებისათვის“.

ამ მხრივ კრიტიკა ეფექტურ დახმარებას უწევს როგორც საზოგადოებას, ისე მწერალს, რომელსაც ყოველთვის ეშინია, რომ მკითხველი ვერ გაუგებს, სწორად ვერ ამოიცნობს მის ჩანაფიქრს და ამიტომ იძულებულია, ჰარბი ფერი შეუჩიოს თხზულებას, გააუხეშოს ტენდენცია და ლომის სურათს კანკალით წააწეროს: „ძალი არ გეგონოთ, ლომიაო!“ იქ, სადაც კრიტიკა მოწოდების სიმალღეზეა, ხელოვანს ამ

გაუგებრობის შიში აღარა აქვს და უფრო თავისუფლად და ფაქიზად ქმნის თავის ნაწარმოებს.

ეს, ერთი შეხედვით, მარტივი დებულება დიდად ამადლებს კრიტიკის მოვალეობასა და პასუხისმგებლობას. ნ. ნიკოლაძე კრიტიკისაგან მოითხოვს არა მარტო იმის ახსნას, რა და როგორ არის ასახული, არამედ, გარდა ამისა, და ამიტომ, რატომ ასეა ასახული და არა სხვაგვარად? რატომ ასეთია ეს ნაწარმოები და არა სხვაგვარი? შეიძლებაოდა თუ არა ყოფილიყო სხვაგვარი და, სახელდობრ, როგორი? რა შეიძლებაოდა მომატებოდა ან მოკლებოდა მას? მისი რწმენით, ამ საკითხების გადაწყვეტა უსათუოდ მოითხოვს როგორც ასახულისა და ასასახავის შეპირისპირებას, ისე თვით ნაწარმოების გენეზისის შესწავლას. კრიტიკამ გულმოდგინე ანალიზით უნდა გამოავლინოს თხზულების აზრი, ყოველმხრივ განსაჯოს ის და მასზე დამყარებული განაჩენიე გამოიტანოს, ამიტომ კრიტიკული ნაშრომის ძალა ღრმა არგუმენტირებაში ვლინდება. მხოლოდ ამ საძიკველს შეიძლება დაემყაროს კრიტიკის სამართლიანობა, სიმკაცრე და ქმედითობა, ხოლო უპრინციპობის, მამებლობისა და შიშის პირობებში კრიტიკას საფუძველი გამოთხრილი აქვს და მას ან პანეგირიკი სცვლის ან განუკითხავი სახრე. ამ ვითარებაში არათუ, საერთოდ, ლიტერატურას მოელის დაკინება, არათუ საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალას დაჰკარგავს ის, თვით მწერალიც ვერასოდეს ეღირსება თავისი ავკარგის გაგებას, საკუთარი თავის შეცნობასა და სწორი გზის გამონახვას.

3. უმიკაშვილიც მდელგარედ, დიდი გულსტიკივლით ლაპარაკობს მებრძოლი, მოუსყიდველი, პრინციპული კრიტიკის აუცილებლობაზე. ვერავითარი ქება ვერ განადიდებს უნიკო ნაწარმოებს და ვერავითარი ძაგება ვერ დააკნინებს კარგს, რადგან ნაკლი და ღირსება თვით ნაწარმოების არსადაა ქცეული და მისი უზენაესი მსაჯული საზოგადოება და ისტორიაა, ხოლო უპრინციპო ქება-ძაგებას მხოლოდ კრიტიკის ავტორიტეტის დაკნინება-შერყევა შეუძლია. დიად მწერალთა დი ნაწარმოებთა განდიდებით კრიტიკა საკუთარ დიდებას ქმნის: უნიკო ნაცოდვილართა გამათრახებით კრიტიკა ლიტერატურისა და საზოგადოების ღირსებას იცავს. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, კრიტიკა არსებით მხარეებს უნდა ირკვევდეს და ერიდებოდეს წერილმან შარებასა და კრიკაში ჩადგომას.

„კრებულის“, ისევე როგორც „საქართველოს მოამბის“, ლიტერატურული კრიტიკა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკურ შეხედულებებს ემყარება, მაგრამ თუ „საქართველოს მოამბისათვის“ უშუალო წყარო ბელინსკი იყო, „კრებული“ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ახალი მემკვიდრეობით საზრდოობს, რომელიც, პირველ რიგში, ქართული ლიტერატურული სინამდვილის სულითაა განცხობ-

ველებული, ხოლო, მეორე მხრივ, ევროპის ესთეტიკური აზროვნების შუქზეცაა წარმოსახული¹.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ესთეტიკურ-კრიტიკული მემკვიდრეობისადმი ასეთი ერთგულება არათუ ამდაბლებს, არამედ შარავანდელით მოსავს „კრებულის“ კრიტიკოსთა სახელს, რადგან რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებანი მსოფლიო ლიტერატურული აზროვნების მონაპოვართა ათვისება-გადამუშავების საფუძველზე აღმოცენდა და იმდროინდელი განვითარების უმაღლეს დონეზე იმყოფებოდა. ასევე ცხადია, რომ თვითმყოფი და მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე დავეყვავებული მოღვაწენი შემოქმედებითად იყენებდნენ ყველაფერს, რაც ამ ლიტერატურის შემდგომი აყვავებისათვის აუცილებლად მიაჩნდათ. „კრებულის“ კრიტიკულ წერილთა ანალიზი ექვს ან იშვევს, რომ ისინი (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, ნ. ცხვედაძე) მეტ-ნაკლები სისრულით უშუალოდ ევროპის ესთეტიკურ-კრიტიკული აზროვნების მონაპოვარსაც იცნობდნენ.

„კრებულის“ კრიტიკოსებს თავიანთი ესთეტიკური შეხედულებანი მწყობრად არ ჩამოუყალიბებიათ, მაგრამ კრიტიკულ წერილებში, ამ „ქმედით ესთეტიკაში“ (ბელინსკი). მაინც გამოვლინდა მისი თვალსაზრისი მშვენიერების ბუნებაზე, ხელოვნებისა და სინამდვილის მიმართებაზე.

ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულება ნ. ნიკოლაძესთან ესთეტიკის ქვაკუთხედადაა წარმოდგენილი და მის ყველა წერილში მოცემულია ამ პრობლემის ისეთი კონკრეტული გადაწყვეტის ცდა, რომელიც ეფექტურ იარაღს მისცემს კრიტიკოსს ხელოვნების ძეგლთა, ამ შემთხვევაში ლიტერატურულ ნაწარმოებთა შეფასებისათვის. ავტორის დასკვნა მუდამ იმ დებულებათა ერთობლიობით ხასიათდება, რომ: ხელოვნების საგანი სინამდვილე; რომ ხელოვნებას შეუძლია სინამდვილის შეცნობა და ასახვა; ხელოვნების სპეციფიკას სინამდვილის მხატვრული სახეებით გარდასახვა შეადგენს; ხალხის, პროგრესის სამსახური მისი წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

ავტორის ძირითადი მატერიალისტური ესთეტიკური თვალსაზრისი, რომ ხელოვნება სინამდვილის ასახვაა, მცხ წერილებში გამდიდრებულია ხელოვნების აქტიური საზოგადოებრივი ფუნქციის აღიარებით. „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ილია ჭავჭავაძისა და გ. წერეთლის ცნობილ სტატიებთან შედარებით სიახლე აქ ამ უკანასკნელ მომენტზე ყურადღების გამახვილებაში უნდა ვეძიოთ. ჩვენს ესთეტიკურ აზროვნებაში იმ დროს სავსებით გაბატონებული

¹ ნ. ნიკოლაძე „ჩემს პიროვნებაზე“, „კრებული“, 1873, № 7.

იყო ფორმულა, რომ „სიცოცხლე დედნათ უნდა ჰქონდეს ყოველთვის ხელოვნებასა“ (ალ. ცაგარელი).

„დროება“ — „კრებულის“ თანამშრომელთა ნაწერებში ამ ფორმულის გაშლილ პოპულარიზაციაზე, ეტყობა, გადამწყვეტი ჯავლი მოუხდენია ნ. ჩერნიშევსკის ცნობილ განსაზღვრებას — „მშვენიერება არის ცხოვრება“, რომელიც კრიტიკული რეალიზმის აქტუალურ საბრძოლო ლოზუნგს, იდეალისტური ესთეტიკის ანტითეზას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე მშვენიერების ბუნების განმსაზღვრელ რალატუნივერსალურ დოგმას.

ნ. ნიკოლაძის შეხედულება სავსებით ეხმიანება ჩერნიშევსკის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ხელოვნების ამოცანაა ცხოვრების ხელახლა წარმოქმნა და რომ ამ გარდმოსახვის დროს ხელოვნება ვალდებულია მოგვეცეს ცხოვრების ახსნა, მსჯავრი დასდოს ცხოვრების მოვლენებს და დაეხმაროს საზოგადოებას სინამდვილის სხვადასხვა მხარეებისადმი თავისი დამოკიდებულების განსაზღვრაში. პირველი დებულების პრინციპული არსი ლიტერატურის ისტორიისათვის, რა თქმა უნდა, ახალი არ იყო. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ კიდევ ბუალო მოითხოვდა სინამდვილისადმი (ბუნებისადმი) ერთგულებასა და სიუყუტების ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას.

ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულებაზე ჩვენს კრიტიკაში აღრე გამოთქმულ მოსაზრებებს, უმთავრესად, იმ მიმართულებით აღრმავებენ, რომ ხელოვნება სიღრმისეულად უნდა ასახავდეს ცხოვრებას, ამჩნევდეს განვითარების ტენდენციას და ერთგვარად წინ უსწრებდეს საერთო აზრს; ხელოვანი მტკიცე მსოფლმხედველობრივი პოზიციებიდან უნდა სწვდებოდეს და ასახავდეს მოვლენათა არსს.

ისინი სინამდვილისადმი მაქსიმალურ ერთგულებას მოითხოვენ და სჭერათ, რომ ამ გზიდან შვირე გადახვევაც კი შეარყევს მკითხველსა და მწერალს შორის ნდობას, რადგან „მკითხველს ნიადაგ ის აზრი აქვს თავში“, მართალია თუ არა, რასაც მწერალი წერს (ნ. ნიკოლაძე)¹.

„კრებულის“ კრიტიკოსები იმის აღიარებით არ დაკმაყოფილებულან, რომ ხელოვნება სინამდვილის მხატვრული ასახვაა. მათ ბევრი საყურადღებო მოსაზრება აქვთ გამოთქმული თვით ამ ასახვის ხასიათზე, მის სპეციფიკაზე, რეალიზმის პრობლემაზე. აღნიშნულ მოსაზრებათა არსი იმაში მდგომარეობს, რომ ასახული სინამდვილე სავსებით უნდა შეესატყვისებოდეს ობიექტურ სინამდვილეს, სრული ჭეშმარიტებით გადმოსცემდეს მის ბუნებას და ამიტომ გარდმოსახვა თვით რეალური ცხოვრების ფორმაში უნდა განხორციელდეს. ამ ვითარებაში

¹ ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872, № 10—12.

კრიტიკა მკაცრად აყენებს ცხოვრების შესწავლის ამოცანას. ხელოვანი გულგრილი მეთვალყურე კი არ უნდა იყოს, არამედ ღრმა ანალიტიკოსი, დამკვირვებელი და აქტიური მონაწილე საზოგადოების ბრძოლისა.

ქართული ლიტერატურის ნაკლოვანებებს, ზოგიერთი მწერლისა და თხზულების მარცხს ნ. ნიკოლაძე და პ. უმიკაშვილი ცხოვრების უცოდინრობით, სოციალურ პრობლემებში გაურკვეველობით ხსნიან. ნ. ნიკოლაძემ თითქმის მთელი წერილი („კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“) მიუძღვნა ამ საკითხს.

ავტორის დასკვნით, ცხოვრებისეული მხატვრული გარდასახვართული პროცესია და ვინც სინამდვილეს არ იცნობს, ვერ შესძლებს სინამდვილის ფორმაშივე მის გადმოცემას.

როგორც ვნახეთ, კრიტიკოსს მოუთმენლად მიაჩნია ხელოვანის ნეიტრალიზმი, ცხოვრებიდან მექანიკური გადმოწერა, გარდმოსახულ სინამდვილეში „ჩაურევლობა“, ასახულისადმი საკუთარი დამოკიდებულების დაფარვა: რადგან არსებული სოციალური სინამდვილე საზოგადოებრივი და დასაგმობია. ნაწარმოები მისი ანალიზისა და უარყოფის სულათ უნდა იყოს გამსჭვალული. მაგრამ ხელოვნება ამ მიზანს სრულყოფილად მაშინ მიაღწევს, თუ საზოგადოებრივი სინამდვილეს უკეთესი სინამდვილის იდეალსაც დაუპირისპირებს, თუ გარდმოსახულში შენარჩუნებული. განვითარებული და ნათლად გამოხატული იქნება უკეთესისათვის ბრძოლის ტენდენცია, რომელიც ყოველი სინამდვილის არსებითი ნიშანია. „როგორც საზოგადოების ზნეობითი ამაღლებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მწერლობას უკეთესი ცხოვრებისა და განწყობილების ნათლად გამოხატული იდეალი ჰქონდეს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — იმნაირადვე საჭიროა, რომ... მკითხველს თანამედროვე ცხოვრების ნამდვილ ძალას, მდგომარეობას და ხასიათს აცნობდეს“¹.

აღნიშნული მოთხოვნები ხელოვნებას უპირატესად ძნელ ამოცანას აყისრებს, რადგან ცხოვრების სინამდვილე იმდენად რთული და მრავალფეროვანია, რომ მისი გადმოწერა წარმოუდგენელია, ხოლო სინამდვილის სინამდვილისავე გრძნობად-კონკრეტულ ფორმაში გარდმოსახვა მთელი სისრულითა და მრავალფეროვნებით მის აღქმასა და შექმნა-აღდგენას გულისხმობს. ამ დიდი შემოქმედებითი აქტის წინაპირობას ხელოვანის ტალანტი და მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული დაკვირვებისა და განცდის უნარი წარმოადგენს, რომელიც კლასიკური მემკვიდრეობის თავისებურად განცდა-ათვისების

¹ ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“. „გლახის ნამობობედ“, „კრებულო“, 1873, № 5-6.

საფუძველზე დამყარებულმა დაოსტატებამ უნდა შეავსოს და გაამდიდროს. როგორც ერთ (რეალური სინამდვილის დაკვირვება, განცდა, აღქმა) და მეორე (სინამდვილის სინამდვილისავე ფორმაში გარდმოსახვა), ისე მესამე შემთხვევაში (დაოსტატება) არსებითს მნიშვნელობას ნ. ნიკოლაძე ტიპიურის ფენომენს ანიჭებს. „ეს ცხოვრება ისე ვრცელა, იმას იმოდენა შეუნიშნავი მხარე და ღრმა საფუძველი აქვს, წერს კრიტიკოსი, — რომ მისი დაკვირვება, ერთბაშად დანახვა და აწერა ძლიერ იშვიათი გონებისთვისაა შესაძლებელი“¹. ამოცანის სირთულის შესაბამისად ხელოვნებასაც საკუთარი და ძლიერი იარაღი გააჩნია ამ სირთულის დასაძლევად. მწერალი „ნიადაგ იმას უნდა ცდილობდეს, რომ მიიღოს აზრი ცხოველ სურათად ჩაიჭრას მკითხველის ტვინში... ამ მიზეზით, პოეტები ნიადაგ სურათებს (образы) ხმარობენ, ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ მათი აზრი მკლეთ და უხორციელოთ კი არა, შედარებითა და სურათით გაცხოველებული და ახსნილი გამოვიდეს... პოეტური სურათი, პოეტური „ფერი“ იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვით გამოხატული სურათი თითქმის უნებურათ შეეთვისოს მკითხველის გონებას..., ისე რომ, ყოველთვის, როცა მკითხველი იმისთანა საგანს ან შემთხვევას გაიხსენებს, რომელსაც რაიმე მსგავსება აქვს პოეტისაგან გამოთქმულ აზრთან ან გამოხატულ საგანთან, პოეტის სურათი და შედარება... თვალწინ დაუდგეს“².

ნ. ნიკოლაძე და პ. უმიკაშვილი ასაბუთებენ, რომ რეალისტური მხატვრული სახე, რომელსაც ინდივიდუალური, მაგრამ სინამდვილისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები გააჩნია, სავსებით ძალმოსილია ცხოვრების არსის გადმოსაცემად. მხატვრული მიზანდასახულობით შერჩეული და გამთლიანებული შემთხვევები და ფაქტები ცხოვრების კანონზომიერი განვითარების გამოხატულებად წარმოგვიდგებიან და ამიტომ მწერალს მიზნად უნდა ჰქონდეს „საერთო სურათების შეკრება და ერთ საზოგადო სურათად გადაქცევა“ (ნ. ნიკოლაძე).

ტიპიურის ბუნების ცხადსაყოფად ნ. ნიკოლაძეს ორი საინტერესო მაგალითი აქვს განხილული. ერთი, რომელსაც გაკვრით უკვე შევხებით, ხელოვნებაში გავრცელებულისა და იშვიათის, კანონზომიერისა და შემთხვევითის ადგილსა და მიმართებას შეეხება. მასწავლებლისაგან დევნილი მოწაფის თვითმკვლელობა გავრცელებულის, საზოგადოებრივად საყურადღებოს ილუსტრაციადაა წარმოდგენილი, რადგან მსგავს შემთხვევათა ხასიათს ავლენს და თანამედროვე აღზრდის სიმახინჯეს ამხელს. მაგრამ ტრაგიკული ბედი ბავშვისა, რომელმაც შეცლომიტ

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“, „კრებულები“, 1871, № 3.

² ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“. „გრ. ორბელიანი“, „კრებულები“, 1873, № 3.

კიქაში „თავის წამალი“ ჩაიყარა, — შემთხვევითი და იშვიათია, — საზოგადოებრივად მნიშვნელოვანს ვერაფერს ავლენს. თავჩამოხრჩობილი „ყმაწვილის ბედი იმისაგან პოულობს თავის დიდ მნიშვნელობას, რომ ის წარმომადგენელია მრავალი ყმაწვილების და თითქმის მთელი თაობის ბედის და მდგომარეობის, მასში გამოიხატა საზოგადო. მდგომარეობა და დამხრჩვალნი ყმაწვილი უბრალო კერძო პირისაგან; ტიპათ შეიქმნა“¹.

ავტორს შეიძლება შევედავოთ სტატიკური, არა ხელოვნებისეული მაგალითის ინტერპრეტაციაში, რადგან ჩვენთვის სრულიად უცნობია. როგორც ერთი, ისე მეორე მოსწავლის დანარჩენი ნიშანთვისებები და გარემო, ხოლო ხელალებით რომელიმე შემთხვევის ტიპიურად ან არატიპიურად გამოცხადება შეცდომად მიგვაჩნია, მაგრამ ის უეჭველად, სწორად მსჯელობს დროისა და სისტემის დამახასიათებელ თვისებაზე, როგორც ტიპიურ აუცილებელ ნიშანზე. კერძო შემთხვევები და ფაქტები, მისი მტკიცებით, ლიტერატურული გამოსახვის ღირსი მაშინ არის, როცა თვითველი მათგანი „წარმომადგენელია მრავალი სხვა თავისგვარი მოვლენებისა“.

ტიპიურში ბრსებითი როლის წარმოსაჩენად ნ. ნიკოლაძეს მაგალითად მოაქვს იმ კაცის დაუკვირებლობა, რომელსაც პირველად უჩვენეს ასანთი და როცა სთხოვეს აეწერა ის, თქვა, რომ ეს არის „პაწაწინა ჩხირები შეღებილი თავებით“. მან ვერ შეამჩნია „უმთავრესი ხასიათი და მნიშვნელობა; იმას არ უთქვამს, რომ, როცა ამ ჩხირების შეღებილ წვერს კოლოფის ხორკლიან თავზე... გაჰკრავენ, ჩხირს ცეცხლი წაეცილება“. ამ მაგალითის კრიტიკოსი მოხერხებულად იყენებს იმ მწერალთა გასაბიჯებულად, რომლებიც ვერ ამჩნევენ და ვერ ასახავენ ცხოვრების ტიპიურ მოვლენებს და უსარგებლო წერილმანებს არიან გადაყოლილი.

ნ. ნიკოლაძეს ნაჩვენები აქვს, რომ ტიპიურის გზით გარდმოსახული სინამდვილე რეალური ცხოვრების არსს კი არ წარმოადგენს, არამედ მისი განცხოველებული სურათია და უფრო ღრმა და სრულ წარმოდგენასაც იძლევა მასზე, რადგან მრავალ ნიშანდობლივ თვისებათა ორგანულ მთლიანობაში მხატვრულ წარმოსახვას ემყარება. „ის ცხოვრება, რომელიც თხზულებაშია გამოსახული, მკითხველს ნაცნობ და თან უცნობ საგნათ ეჩვენება“². — ასე ეხმიანება ჩვენი კრიტიკოსი ბ. ბელინსკის ცნობილ დებულებას, რომლისადმი ერთგულება უფრო აღრე ი. ჭავჭავაძემ დაადასტურა „საქართველოს მოამბეში“.

მაგრამ, ვინც ვერ ამჩნევს სინამდვილის არსებით მხარეს, განვი-

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“. „კრებული“, 1873, № 3.

² ნ. ნიკოლაძე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებულა“, 1873, № 8.

თარების ტენდენციას, ისე წარმოგვისახავს ცხოვრებას, როგორც „პა-
წაწინა ჩხირებს შეღებილი თავებით“, ასეთ ნაწარმოებში ცხოვრება
ერასოდეს წარმოგვიდგება თავისი წინააღმდეგობებითა და მოთხო-
ვნილებებით, ათასგვარად დახლართული ვენებებითა და გრძნობებით.
ყველაფერი მკრთალად, ერთნაირად უფერულად გამოჩნდება. უმნიშ-
ვნელოს გაზვიადება და მნიშვნელოვანის დაქინება სინამდვილის და-
მახინჯებულ სურათს მოგვცემს, მომხმარებელს დააბნევს და მცდარ
გზაზე დააყენებს.

ძალიან საყურადღებოა, რომ ამ ვითარებაში ასახვის ხასიათს ნ. ნი-
კოლაძე უშუალოდ აღქმის ხასიათთან აკავშირებს, ხოლო ეს უკანას-
კნელი მას შემომქმედის მსოფლშეგრძნების გამოვლინებად მიაჩნია;
ცხოვრების ყველა მოვლენა ყველაზე ერთნაირ შთაბეჭდილებას როდი
ახდენს. „კაცის ტვინი მარტო ისეთ შემთხვევებს იგებს და გრძნობს,
რომელიც მის საკუთარ შინაგან მდგომარეობას შეეხება... ის აკვირ-
დება, იკვლევს და იგებს მარტო იმ მოვლენას და შემთხვევას, რომე-
ლიც ცხოვრებას მისთვის განსაკუთრებით შესანიშნავი და ნაცნობი
გაუხდია“. როცა მწერალს „ხეირიანი კაცური ცხოვრების იდეალი
გააჩნია“, მაშინ ღრმად უკვირდება და მძაფრად აღიქვამს არსებობას
და საზოგადოებრივად აუცილებელს; ადვილად იგრძნობს, „რით უნდა
იხელმძღვანელოს ასაწერი მოვლენის არჩევის დროს“, — შეარჩევს
იმას, რაც „წარმომადგენელია მრავალი სხვა თავის გვარი მოვლენე-
ბისა“.

ნ. ნიკოლაძე ძალიან ვერცლად და ძირითადად სწორად განიხილავს
იშვიათისა და გავრცელებულის, შემთხვევითისა და კანონზომიერის,
ტიპიურისა და ინდივიდუალურის მიმართებასა და ადგილს ცხოვრე-
ბასა და ხელოვნებაში, ტიპიური ვითარებისა და ხასიათების წარმოქ-
მნაში: მაგრამ, ჩვენი აზრით, საკმაოდ ვერ აფასებს კერძობობის,
შემთხვევითისა და იშვიათის ფუნქციას ცხოვრებასა და ხელოვნებაში,
სახელდობრ, ტიპიურს შენებაში. ყოველივე შემთხვევითი და „წერილ-
მანი“ მას არა თუ „აღწერის“, დაკვირვების ღირსადაც არ მიაჩნია,
უფრო მეტი ასეთი მოვლენები და ფაქტები მისთვის სინამდვილის გა-
რეშეც კი დგას. კარგად რომ ჩაუუკვირდეთ, აქ ტონთან გვაქვს საქმე
და არა თვალსაზრისთან, ხოლო ეს ტონი კრიტიკული რეალიზმის დამ-
კვიდრების პათოსით იყო გამოწვეული. მაგრამ მას ტიპიურის გაგებაში
ჩრდილოვანი მხარეც თან ახლდა, რადგან კერძობობითი, „შემთხვევი-
თი“ და იშვიათი ტიპიური მხატვრული სახის შეგნებაში არსებით
ფუნქციას ასრულებს: „История имела бы очень мистический ха-

1 ნ. ნიკოლაძე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873, № 8.

რაქტერ, если бы „Случайности“ не играли никакой роли“ (მარქსი)!

„შემთხვევითი“, ძალიან იშვიათით კანონზომიერისა და ძალიან გავრცელებულის დახასიათება მხატვრული ლიტერატურის უფლება-მოსილი და ნაცადი საშუალებაა, მაგრამ ამ გარემოებისათვის „კრებულის“ კრიტიკოსებს სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის ლიტერატურული სინამდვილე ამდაგვარი ანალიზისთვის მდიდარ მასალას იძლეოდა (გოგოლის „რევიზორი“, „მკვლარი სულები“, ი. ჭავჭავაძის „კაცია-აღამიანი?!“ და სხვ.). ამავე კატეგორიის ხარვეზთა რიგს მიეკუთვნება სინამდვილის გარდმოსახვაში შემოქმედებითი ფანტაზიის, მხატვრული გამონაგონის როლის საკითხიც, რომელმაც საკმაო გაშუქება ვერ ჰპოვა „კრებულის“ კრიტიკოსთა ნაწერებში, თუმცა, როგორც ვნახეთ, ცხოვრების ცალკეულ მოვლენათა შორის შინაგანი კავშირის გამონახვა და ტიპიურის გზით სინამდვილის ახლებურად წარმოქმნა, მათი გაგებით, შემოქმედებითი ფანტაზიის ცხოველ მონაწილეობასაც გულისხმობს. ამასთან, „კრებულის“ კრიტიკოსები გარკვევით მიგვიანიშნებენ ტიპიურში ზოგადისა და ინდივიდუალურის მიმართებაზე; მათთვის საესეებით ნათელია, რომ ტიპის სიცოცხლისუნარიანობას ეს ერთობლიობა განსაზღვრავს და მართოდენ ზოგად ნიშანთვისებათა სქემა ვერასდროს გადმოსცემს სინამდვილის მართალ სურათს. ლიტერატურული მასალის ანალიზისას მკაფიოდ ვლინდება იმის შეგნება, რომ „ყოველი პირი ტიპია, მაგრამ, ამასთან, სრულიად დამოუკიდებელი პიროვნებაცაა“ (ენგელსი). ამ მხრივ სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს კრიტიკოსთა, კერძოდ, პ. უმიკაშვილის, მოსაზრებანი დადებითი ტიპის (გმირის) ხასიათის შესახებ. აქ პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, რომ ეს შეხედულებანი ფოლკლორული ნაწარმოების („არსენას ლექსის“) განხილვასთან დაკავშირებითაა გამოთქმული, რადგან ამ საბაბით კრიტიკოსი რეალიზმის არსებით პრობლემებს ეხება. არსენა მისთვის ტიპია და ისეთი დადებითი ტიპია, რომელშიც მომავლის სახეა გამოხატული, ხალხის იდეალია განხორციელებული.

სინამდვილის მართალი ასახვა, სინამდვილისავე ფორმაში მისი ისტორიულ-კონკრეტული წარმოქმნა და დადებითი იდეალის შუქზე განვითარებადი ტენდენციების ჩვენება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ხელოვნებამ ღირსეულად აღასრულოს თავისი უწმინდესი ვალი — ხალხის სამსახური. ხელოვნების „სამსახურებრივი ფუნქცია“ „კრებულის“ ყურადღების ცენტრში დგას. უკლებლივ ყველა კრიტიკული წერილის მთავარ პათოსს ხალხის სასიცოცხლო ინტერე-

¹ Маркс и Энгельс, Избр. письма, 1947, стр. 364 (წერილი ლ. კუგელმანი-სადმი).

ნებთან ლიტერატურის სისხლბორცეული კავშირის მტკიცება შეადგენს. ხელოვნება მშრომელთა სულისკვეთებას, მათ მისწრაფებებს უნდა გამოხატავდეს, მათ სამართლიან ბრძოლას უნდა ემსახურებოდეს. პ. უმიკაშვილს ნათლად გამოკვეთილი აქვს სამოციანელთა თვალსაზრისი ლიტერატურის ხალხურობის ამ უმთავრეს საკითხებზე: „უნდა ვიცოდეთ... როგორ ვაფასებთ ყველაფერს და მათ შორის სიტყვიერების ნაწარმოებსა. ყოველი მწერლის და თხზულებით... სასწორსაზომი ის არის, რამდენად ჰხატავს და გამოსთქვამს მწერალი ანუ თხზულება, რომელისამე დროს და ხალხის ბუნებითს წადილს და სურვილს, ბუნებითს ლტოლვილებას“¹

კრიტიკოსი მშრომელთა სოციალური, კლასობრივი მოთხოვნებისა და ბრძოლის აქტიურ მხარდაჭერას მიიჩნევს ლიტერატურის უპირველეს მოვალეობად. კარგი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც მშრომელთა ინტერესებს ემსახურება, — ცუდია ყველაფერი, რაც ხალხის ბრძოლას ეწინააღმდეგება, აყალიბებს ან გვერდს უვლის.

აღნიშნულ წერილში, იმ დროის კვალობაზე, პ. უმიკაშვილს ფართოდ გააზრებული და ღრმად გაანალიზებული აქვს ლიტერატურის ხალხურობის პრობლემა. ამ მხრივ მან უდავოდ ახალი სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში; მწერლობას მაგალითად დაუსახა თვით ხალხური შემოქმედების კლასობრივი სიმახვილე და საბრძოლო განწყობილება; დაანახვა მას შემოქმედებითი მოღვაწეობის კეთილშობილური ასპარეზი, ცხოველყოფელი თემები და მოტივები. ხალხურობის პრინციპში სოციალურ-კლასობრივი ასპექტის ამგვარი გამახვილება ქართული კრიტიკული რეალიზმის თეორიულ საფუძველთა განმტკიცების უდავო მაჩვენებელია.

სინამდვილე „კრებულის“ კრიტიკოსთათვის ხალხის ცხოვრებაა, ხოლო მის არსებით მხარეს სოციალური უფლებებისათვის ბრძოლა შეადგენს. ამიტომ კრიტიკოსები განყენებულად არასდროს არ ლაპარაკობენ სინამდვილის ასახვაზე, ისინი მუდამ ხაზს უსვამენ „ხალხის მოთხოვნილებებს“². „ლიტერატურის... დანიშნულება იმაში მდგომარეობს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ ნამდვილად, სწორედ და გონიერად გამოხატოს ხალხის ყოფაცხოვრება, ხასიათი, ზნე, მოთხოვნილება და აზრი“.

„კრებულის“ კრიტიკა უფრო შორს მიდის, თანმიმდევრულად ავიტარებს იმ აზრს, რომ ლიტერატურა პოლიტიკური ბრძოლის აქტიური იარაღია; სინამდვილის მართალი ასახვით, რელიეფურად ავლენს სოციალური ცხოვრების წინააღმდეგობებს, მომაკვდავსა და განვითარე-

¹ ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872, № 10—12.

² ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა“, „კრებული“, 1871, № 3.

ბადს, რეგრესულსა და პროგრესულს, რითაც თვალს უხელს მკითხველს და ხელს უწყობს მასების პოლიტიკურ გათვითცნობიერებასა და საბრძოლო დარაზმებას. პოლიტიკური შემეცნება და საბრძოლო აღდგენა ყოველი მოწინავე ნაწარმოების აუცილებელი თვისებაა¹.

ლიტერატურა არათუ უნდა ეხმიანებოდეს ხალხის გულისწადილს, უნდა წარმოშვას და განაცხოველოს ის.

იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაგალითზეც პ. უმიკაშვილმა ნათლად წარმოაჩინა მხატვრული ლიტერატურის პოლიტიკური როლი. გარკვეულ პერიოდში, მისი სიტყვით, ლიტერატურა პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი ასპარეზიც იყო და მან მტკიცე საფუძველი მოუშადა შეიარაღებულ აჯანყებას.

„კრებულის“ კრიტიკოსთა აზრით, ლიტერატურა აღნიშნულ მიზანს, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ სიმახინჯეთა მხილებით აღწევს. გაბატონებული სისტემის კონცენტრირებული კრიტიკა თვალნათლივ ამეღავენებს მისი მოსპობის გარდუვალობას. ნ. ნიკოლაძე არაერთგზის შეეხო კრიტიკული რეალიზმის ამ პრინციპულ საკითხს, და ბევრი საყურადღებო მოსაზრებაც გამოთქვა. ჯერ წერილში „ლიცენსი და თეკერეი“. რომელიც „დროებაში“ დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ „კრებულის“ სტატიებში მან ფართოდ დაახასიათა პოლიტიკურ ბოროტებათა მხატვრული მხილების მნიშვნელობა და თავისებურებანი.

რამდენად ღიდ როლს ანიჭებდა ნ. ნიკოლაძე სოციალური სინამდვილის მკაცრ მხილებას, იქიდანაც ჩანს, რომ მის წერილებში მხატვრული სრულყოფის ნიმუშად თითქმის ჰუდამ დასახელებულია სეიფტის, სერვანტესის, მოლიერის, გოგოლის შემოქმედება, — ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ მისი აზრით, ნაწარმოები მით უფრო შთამბეჭდავი და სასარგებლოა, რაც უფრო ძლიერია მასში სოციალური ბოროტებისადმი ზიზღის აღმძვრელი სატირა, რაც უფრო სარკასტული ტონი აქვს მას. არსებითად, ამ საკითხს მიუძღვნა მან „კრებულში“ დაბეჭდილი ვრცელი წერილი — „თანამედროვე მწერლობა“, რომელშიც ნაპოლეონ მესამისა და პარიზის კომუნის დროინდელი ფრანგული მამხილებელ-სატირული ლიტერატურაა განხილული.

„კრებულის“ კრიტიკა თანაბარი სიძლიერითა და განუყოფელ ერთიანობაში განიხილავდა ლიტერატურის როლს, როგორც სოციალური, ისე ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლაში, მაღლა სწევდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, პატრიოტიზმის დროშას, რაც გამოხატულებას კპოვებდა მთელ მის მრავალფეროვან წედომაში შინაარსისა და ფორმის ხაზით, ლიტერატურის ნაციონალური ხასიათის განსაზღვრიდან დაწყებული ეთნოგრაფიული ელემენტების გათვალისწინებამდე.

¹ ნ. ნიკოლაძე, „გლახის ნაამობზე“, „კრებული“, 1873, № 5—6.

გრ. ორბელიანისა და ი. ჯავახიშვილის შემოქმედებაში ნ. ნიკოლაძე ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათის, მისწრაფებების, ყოფისა და ფსიქიკური წყობის თავისებურებათა გამოხატვას აფასებდა. მას აინტერესებს, როგორ აისახა მათ ნაწერებში „ჩვენი ქვეყნის ბუნება“, „ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა... ლაზათიანი გამოთქმა“; უთხოვებიათ თუ არა ყური ჩვენი ხალხის პოეზიისათვის, გასცნობიან თუ არა მის ხასიათს, დაუნახავთ და შეუთვისებიათ თუ არა „ჩვენი ხალხის მოაზრების კილო; აზრისა და გრძნობის გამოხატულება“.

მაგრამ, ხელოვნების სოციალური განპირობებულისა და „საზოგადოებრივი მოვალეობის“ საკითხები „კრებულს“ არასოდეს განუხილავს ცალმხრივად, მისი სპეციფიკისაგან მოწყვეტით. კრიტიკოსები განუყოფელ მთლიანობაში იძლეოდნენ იდეოლოგიური შინაარსისა და ესთეტიკური ღირსების ანალიზს. თეორიულ წერილს „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა...“ ნ. ნიკოლაძე იმის მტკიცებით იწყებს, რომ ხელოვნების არსს შეადგენს ხატვა, ჩვენება. ლიტერატურა „ხატავს ხალხის მდგომარეობას... ეკონომიური და პოლიტიკური მწერლობა — იკვლევს მის მოთხოვნილებას ...ფილოსოფია — არჩევს მისი აზრის მოძრაობას“. ამ შედარების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნ. ნიკოლაძისათვის მეცნიერებისა და ხელოვნებას შორის განსხვავებას ქმნის ჰეგელიანობის გამოსახვის საშუალება, — მეცნიერება ლოგიკის ენით სარგებლობს, ხოლო ხელოვნება — მხატვრული სახეებით შეტყუვლებს და ორთავეს შინაარსს ობიექტური სინამდვილე წარმოადგენს, ასეთი შედარება მთლად ნათელი ვერ არის, რადგან ის არ გამოირიცხავს ხელოვნების თვით შინაარსის თავისებურების იგნორირებას, რადგან ხელოვნების შინაარსი, მისთვის დამახასიათებელი ფორმის ჩარჩოებში, უკვე სპეციფიკური შინაარსია, — მართალია, სინამდვილის წარმოსახვის შედეგია, მაგრამ მხატვრულ ფორმაში წარმოსახვისა, ე. ი. შემოქმედებითი აქტის პრუდუქტია. მაგრამ ხელოვნების ფორმისა და შინაარსის ეს განუყოფელი ერთიანობა „კრებულის“ კრიტიკოსებისათვის სახსრებით ნათელია. მათ მტკიცედ სწამთ, რომ ლიტერატურაში ფორმა უშინაარსოდ და შინაარსი უფორმოდ არ არსებობს.

ნ. ნიკოლაძე, პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ყიფიანი და სხვ. მუდამ ფორმისა და შინაარსის განუყოფელ ერთიანობაში განიხილავდნენ მხატვრულ ნაწარმოებს და მათი წერილების მეტწილი იდეური პათოსის შთაბეჭდილებით, საზოგადოებას რომ ცალმხრივი წარმოდგენა არ შექმნოდა, საგანგებოდაც მიუთითებდნენ მხატვრობაზე, როგორც სინამდვილის გარდასახვის აუცილებელ პირობაზე. ხაზს უსვამდნენ, რომ ხელოვნება იქ იწყება, სადაც შინაარსი მხატვრულ ფორ-

მაშინ გააზრებული და გადმოცემული. „პოეტის ნიჭისა და ძალის დასაფასებლად, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ყველაზე უწინ იმ მხარეს უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება, თუ როგორი ხელოვნებით, როგორი მხატვრულობით, სისწორით და სიმძარჯვეთ გამოთქვამს ის თავის აზრსა და გრძნობას და რა სინამდვილე და სიღრმე აქვს თვითონ ამ აზრსა და გრძნობასა...“. ეხება რა გრ. ორბელიანის პოეზიის ფსიქოლოგიურ წვდომას, კრიტიკოსი დასძენს: „ეს თვისება ხელოვნების თითქმის უკანასკნელი სიტყვაა. იმ მხრით მაინც, რომელიც აზრისა და გრძნობის ტანსაცმელს, გარეგან ფორმას შეეხება“¹.

„კრებულს“ სავსებით შეგნებული აქვს, რომ ფორმის გაბატონება რეაქციულ კლასთა იდეოლოგიას ასახავს, ართმევს ხელოვნებას საზოგადოებაზე ზემოქმედების უნარს, აკნინებს და უკარგავს არსებით ფუნქციას. უურნალი გადაჭრით გმობს „წმინდა ხელოვნებას“, ფორმალიზმს, ლიტერატურულ სნობიზმს. ნ. ცხვედაძე პრინციპულ ნაკლად მიიჩნევს, რომ შუა საუკუნეებში სქოლასტიკისა და მისტიციზმის ზეგავლენით იტალიელებს „დიდი მნიშვნელობა უძლევიან თხზულების გარეგანი მხარისათვის და უყურადღებოდ გაუშვიან შინაგანი მხარე“². პ. უმიკაშვილის აზრით, საზოგადოების წინსვლისათვის საზიანო იყო ლეოპარდის, მანცონის, გროსის, პელიკოს, დაზელიოს შემოქმედება, რადგან ისინი ხალხისათვის ძნელად მისაწვდომი ფორმით წერდნენ და ადამიანს მორჩილების სულს უნერგავდნენ³.

ნიკო ნიკოლაძემ არა ერთხელ ამხილა უიდეო, ბულვარული, მაკვირია — სენსაციური თხზულებანი, — „La petite Pesse“ („მკირედი მწერლობა“), რომელიც „ხალხს აძინებს“⁴, ათასგვარ რამე-რუმეზე მკლბანელი „ათასობით და ათასობით შეხვდება კაცი უცხო ქვეყნების მწერლობაში და რუსეთშიც“. ეს მისტიკური თავგადასავლები, სულიერი სუროგატები ლიტერატურის „ბალასტს შეადგენს“ და ჰემშარბიტ ხელოვნებასთან საერთო არა აქვს რა. მაკვირია ამბობს: „ახირებული ჩვეულებების“ აღწერამ შეიძლება გაგვაოცოს, მაგრამ ვერც ესთეტიკურ სიამოვნებას მოგვანიჭებს და ვერც ცოდნას შეგვიძენს.

ამასთან ნ. ნიკოლაძე მიგვანიშნებს, რომ „პოლდეკოკები და ემსები“ გაბატონებულ წრეთა სოციალურ დაკვეთას ასრულებენ, ხალხს

¹ ნ. ნიკოლაძე, „გრ. ორბელიანი“, „კრებული“, 1873, № 3 (ტერმინების გამო: „ტანსაცმელი“, „გარეგანი ფორმა“ ჩვენ, ცხადია, ავტორს ვერ გამოვედამებთ).

² ნ. ცხვედაძე, „კრებული“, 1873, № 3.

³ პ. უმიკაშვილი, „იოსებ მაძინი“, „კრებული“, 1872, № 8—9.

⁴ ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872, № 10—12.

სიფხიზლეს უღუნებენ და მწვევე საზოგადოებრივი პრობლემების გაგებას უძნელებენ. იგი პირდაპირ წერს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული და ხშირად როგორც პრესა, ისე ლიტერატურა მოქრთამულია.

„კრებული“ არც მეორე ცალმხრივობას — უტილიტარიზმს სცნობდა: კრიტიკოსები ერთგულად მიჰყვებოდნენ „საქართველოს მოამბისა“ და ილია ჭავჭავაძის მიერ გაკვლეულ გზას, მაღალ მოთხოვნებს უყენებდნენ მხატვრულ ფორმას, პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ მის უგულვებელყოფასა და გაღარიბებას. პოლემიკურ წერილში „ჩემს პიროვნებაზე“ ნ. ნიკოლაძე აცხადებდა, რომ ის არ თანაუგრძნობდა პისარევს, ხოლო სტატიაში „ჩვენი მწერლობა“ მკაცრად აკრიტიკებდა ანტ. ფურცელაძის უტილიტარულ შეხედულებებს. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ „კრებული“ იმ დროს გამოდიოდა, როცა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსი გამოიცვალა, ახალი მწვევე პრობლემები წამოიჭრა და ლიტერატურას ახალ-ახალი, ჭერ კიდევ ნედლი მასალა და დაუმუშავებელი თემები მოეძალა. კრიტიკა დაჩქარებით მოითხოვდა ამ სიახლეთა ასახვას და იდეურობის მტკიცების აზარტით ზოგიერთ ადგილს მაინც დაჰკრავს უტილიტარიზმისა და ფორმისადმი ნიპილისტური დამოკიდებულების ელფერი. მაგრამ, ვიმეორებთ, რომ ეს გარეგანი შთაბეჭდილებაა.

აღნიშნული სოციალური ცვლილებების გამო „კრებულის“ კრიტიკაში, ისევე როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, „საქართველოს მოამბესთან“ შედარებით შესამჩნევად გადიდდა პუბლიცისტიზმის ხვედრითი წონა. ძალიან ხშირად, მხატვრული ნაწარმოების ანალიზი აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობის საბაზად იქცევა; კრიტიკოსები პუბლიცისტური სიღრმით იხილავენ და აფასებენ პოლიტიკურ მოვლენებს. ნ. ნიკოლაძე კრიტიკოსისაგან საზოგადოებრივ მეცნიერებათა საფუძვლიან ცოდნასაც მოითხოვს, რადგან მას ერთდროულად მოუხდება ნაწარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დახასიათება, ცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება, მათი განხორციელების გზის გამოძებნა. ერთი სიტყვით, რაკი კრიტიკა საზოგადოებრივი აზრის წამმართველი და დამრანზმველი ძალაა, ვალდებულია, კიდევ სწავლობდეს და ფართოდ აშუქებდეს მას. იგი გარკვეულად წერს, რომ „კრიტიკა ნიადაგ პუბლიცისტურ დანიშნულებას უნდა ასრულებდეს, და თითონ მწერლობის სარგებლობის და საქმის მაღლა მთელი ხალხის... სარგებლობას უნდა სთვლიდეს“¹. ავტორი აქ რუსულ კრიტიკას იმოწმებს და აშკარაა, რომ მხედველობაში ჩერნი-შევსკისა და დობროლიუბოვის ნაწერები აქვს.

¹ ნ. ნიკოლაძე, „გლახის ნაამბობზე“, „კრებული“, 1873, № 5—6.

ამავე არგუმენტაციით კრიტიკოსები მხატვრულ ლიტერატურაშიც მოითხოვდნენ პუბლიცისტიზმის გაძლიერებას. ნ. ნიკოლაძის წერილებში, განსაკუთრებით, წერილში „გლახის ნაამბობზე“, ეს მოთხოვნა შემოკმედეგებითი წარმატების აუცილებელ პირობად არის მიჩნეული. მისი აზრით „ხელოვნური მწერლობა და პატიოსანი, გონიერი, გულენიანი და გამოსადეგი პუბლიცისტიკა, თითქმის, ერთი და იგივე საქმეა“. ვრცელი მიმოხილვით ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მწერალი უშუალო პუბლიცისტური მსჯელობით უნდა ერეოდეს ნაწარმოებში, — „პირდაპირ სჯიდეს და აფასებდეს გამოხატულ მოვლენას... ფელეტონური ლიტერატურა ნამდვილი ხელოვნური მწერლობის ნაწილს შეადგენს“. ამგვარი გაგებიდან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძეს ქართული ლიტერატურის მიღწევად მიაჩნდა ი. ჭავჭავაძის „გლებთა განთავისუფლების სცენები“. ამიტომ მოსწონდა მას ფრანგული „ფელეტონური ლიტერატურა“ თავისი მქადაგებელი გმირებითა და საზოგადოებრივ საკითხებზე პირდაპირი მსჯელობით¹. მოსწონდა საერთოდ ლიტერატურის რაციონალისტური პათოსი, მაგრამ არ იფიქვებდა, რომ თვით პუბლიცისტურ ელემენტსაც მაშინ აქვს ძალა, როცა ნაწარმოების იდეა ძირითადად „სურათების ოსტატური შეზავებით“, „სურათების ძალით“ არის გასულდგმულებული.

კრიტიკაში პუბლიცისტიზმის როლის ასეთი გაგება ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ პროგრესულ ტრადიციად უნდა ვაღიაროთ, გ. ვ. პლუხანოვის აზრით, „ქეშმარიტად ფილოსოფიური კრიტიკა, ამასთანავე, არის ქეშმარიტად პუბლიცისტური კრიტიკა“. იგი დაუნდობლად აელენს ყალბ იდეას, უარყოფს მხატვრულ ღირსებას მოკლებულ ნაწარმოებს და ეს ობიექტური კრიტიკა პუბლიცისტურია იმდენად, რამდენადაც ქეშმარიტად მეცნიერული².

ამასთან, ნ. ნიკოლაძეს მხატვრული რეალიზმის იმ პრინციპის არსიც ესმოდა, რომელსაც ფრ. ენგელსი ასე აყალიბებს: „რამდენადაც დაფარულია ავტორის აზრები, იმდენად უყეთესია ხელოვნების ნაწარმოებისათვის: „რეალიზმი, რომელსაც მე ვგულისხმობ, ვლინდება ავტორის შეხედულებათა მიუხედავად“³. ნ. ნიკოლაძის სიტყვით, კრიტიკამ იმის მიხედვით უნდა შეაფასოს თხზულების ავკარგიანობა „აშკარად ჩანს თუ არა მწერლის აზრი, პირდაპირი სიტყვებით გამოთქმულია ის, თუ სხვადასხვა ხელოვნური და ნიჭიერი სურათების რაზმით არის შემკული და მიფარული“⁴.

ეს აზრი ზემოთ განხილულ შეხედულებებს კი არ ეწინააღმდეგება,

¹ ნ. ნიკოლაძე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873, № 2.

² გ. ვ. პლუხანოვი, თხზულებანი, ტ. X, გვ. 192.

³ К. Маркс и Ф. Энгельс. Избр. письма, 1947, стр. 405.

⁴ ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა“, „კრებულო“, 1871 № 1.

არამედ გვიჩვენებს კრიტიკოსის კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას თვითიული მწერლისა და ნაწარმოებისადმი.

უკვე აღნიშნული მომენტებიც ადასტურებს, რომ „კრებული“ თანმიმდევრულად აღრმავებდა და განამტკიცებდა ქართული კრიტიკული რეალიზმის თეორიულ საფუძვლებს, პრინციპულად წინააღმდეგი იყო ზედაპირული აღწერითობისა, შემოქმედებაში სოციალურ მომენტთა დაჩრდილებისა და სტატიკური თხრობისა, ადამიანურ ვენებათა ცალმხრივი და საზოგადოებრივად განუპირობებელი წარმოსახვისა. მხატვრულ ნაწარმოებს კრიტიკა ყოველმხრივი მრავალფეროვნებისა და ყოველმხრივი სიღრმის თვალთახედვით განიხილავდა. ანალიზისას ის თვითონაც ასრულებდა სოციალურ ბოროტებათა მამხილებლისა და მსჯავრმდებლის როლს. კრიტიკოსები, ყალბი „ტენდენციურობის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რადგან შინაგან, მხატვრულ დასაბუთებას მოკლებული ასეთი „ტენდენციურობა“, გარკვეულ ისტორიულ სიტუაციაში, მათი აზრით, ზიანსაც აყენებდა მოწინავე იდეათა წარმატებას.

მაგრამ 90-იანი წლების პოლემიკის დროს გ. წერეთელმა გადაჭრით განაცხადა, რომ „პირველი დასის“ „შეფერილ რეალიზმს“ „მეორე დასმა“ („დროება“—„კრებულის“ ჯგუფმა) სიტყუაკაზმულ მწერლობაში „შეუფერავი რეალიზმი“ დაუპირისპირა. იმ მკვლევარებმა, რომელთაც გ. წერეთლის „დასების თეორია“ გაიზიარეს, ამ მომენტსაც ყურადღება მიაქციეს და მას შემდეგ „შეუფერავი რეალიზმი“ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ სადავო საკითხად იქცა. ჩვენი დაკვირვებით, „შეუფერავ რეალიზმზე“ მსჯელობისას, მეცნიერები მისი, როგორც განსაკუთრებული, ახალი შემოქმედებითი მეთოდის ან ლიტერატურული მიმდინარეობის არსებობის ნიშანდობლივ თვისებებს ვერ აღგენენ, ფაქტიურად, მას ნატურალიზმად ან კრიტიკულ რეალიზმად თვლიან. ცხადია, განმასხვავებელ, პრინციპულ ნიშანთვისებათა გაურკვეველად, „შეუფერავ რეალიზმზე“, როგორც მეთოდზე ან მიმდინარეობაზე, ლაპარაკი ყოველად შეუძლებელია და, ამდენად, ის შემთხვევითი კატეგორიის ფაქტად, ლიტერატურათმცოდნეობაში პოლემიკის ნიადაგზე შემოჭრილ ცნებად უნდა მივიჩნიოთ.

ვფიქრობთ, ამ უცნაურ, კონკრეტულ შინაარსსა და ფუნქციას მოკლებულ ტერმინს, რომელსაც არ იცნობს არც რუსული, არც რომელიმე სხვა ლიტერატურა, შუქს ჰფენს მისი წარმოშობის ისტორია.

ცნების გაჩენას საბაბი მისცა „კრებულში“ დაბეჭდილმა ნ. ნიკოლაძის კრიტიკულმა წერილებმა, ვამბობთ: საბაბი მისცა, — რადგან „შეუფერავი რეალიზმის“ ტერმინი ნ. ნიკოლაძესა და „კრებულს“ არ უხმარიათ, ის გაცილებით უფრო გვიან, 90-იან წლებში გაჩნდა. თვითონ ნ. ნიკოლაძე კი თითქმის ყველა წერილში ლაპარაკობს მხოლოდ სინამდვილის „შეფერილ“ და „შეუფერავ“ ასახვაზე, ამასთან, მისმა

ოვალსაზრისმა ამ საკითხზე „კრებულის“ ფურცლებზევე განიცადა ევოლუცია. „შეფერილისა“ და „შეუფერავის“ ცნება ნ. ნიკოლაძემ პირველად 1872 წელს გამოიყენა გ. წერეთლის „ჯიბრის“ ანალიზისას. „ჯიბრს“ — გადაყავართ სრულიად უცნობ წრეში... — წერდა ის, — იქ ჩვენ ნამდვილ, შეუფერავ, ცოცხალ ნაცნობებს ვხედავთ თითქმის დეგეროტიკული სიმართლით გადმოხატულებს“¹. (ხაზი ჩემია. — ა. კ.).

ამ მტკიცების მიხედვით, შთაბეჭდილება რჩება, რომ ნ. ნიკოლაძეს „შეუფერავი“ ასახვის არსებით მხარედ სინამდვილის დეგეროტიკული, ფოტოგრაფიული გადმოწერა მიაჩნდა, ე. ი. ის, რასაც ნატურალიზმის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად ვთვლით, უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ „კრებულის“ ადრეულ წერილებში ფოტოგრაფიული აღწერითობა ან სიზუსტე მას მხატვრული ლიტერატურისათვის შთლად მიუღებლად არ ეჩვენებოდა, თუმცა არც ღირსებად მიიჩნევდა. ზოგი ლიტერატურულ თხზულებაში „იმნარიათვე დაუფასებლად ხატავს ცხოვრებას, — წერდა ის, — როგორც ფოტოგრაფი“². მაგრამ ეს ლიტერატურულ-ესთეტიკური ძიების გავლენა იყო და, როგორც ჩანს, უკვე ნათელ იდეურ თვალსაზრისზე დამყარებით, კრიტიკოსი არა მარტო მხატვრული შემოქმედებითი მეთოდის ყველა ასპექტის გარკვევისაკენ ისწრაფვოდა, არამედ მისი გადმოცემის შესაფერ ფორმებსაც ეძებდა. ამ ძიებაში კი, ნატურალიზმისაკენ გადახრა სავსებით მოულოდნელი არ უნდა იყოს, რადგან, როგორც ს. მ. პეტროვი წერს: „Формула реализма — «Воспроизведение действительности такой, как она есть» не содержит в себе необходимого ограничения реализма от натурализма, дает возможность натуралистического изображения действительности, не обеспечивает воссоздания той совершенной истины жизни, какую дает реалистическое искусство“³.

მაგრამ ჩვენ მიერ მითითებულ ორსავე შემთხვევაში ნ. ნიკოლაძეს არ ავიწყდება მხატვრული წარმოსახვის შემოქმედებითი ხასიათი, მომდევნო წერილებში კი — „შეუფერავი“ ასახვა მისთვის, ერთსა და იმავე: დროს, იდეური შინაარსის კატეგორიაცაა და მხატვრული ფორმისაც.

„შეუფერავი“ და „შეფერილი“ ასახვის თაობაზე ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისი მთელი სიცხადით გამოჩნდა წერილში „გლახის ნამბობზე“. აქ კრიტიკოსი თითქმის ყოველ აბზაცში იყენებს ამ სიტყვებს,

¹ ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებულო“, 1872, № 10—12.

² ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“, „კრებულო“, 1871, № 3.

³ С. М. Петров. Проблемы реализма в художественной литературе, 1962 г., стр. 92.

მაგრამ იყენებს არა დამოუკიდებლად, არამედ როგორც პარალელურ, სინონიმურ ფორმას სიტყვებისას: „მოუფრთხილებელი... შეუფერავი“, „შეფერილი... გალამაზებული“, „სენტიმენტალური და შეფერილი“, „შეუფერავად და სწორედ“, „შეკეთებული“ ... „შეფერილი“, „განგებ გასუფთავებული და გალამაზებული“ და ა. შ. აღნიშნული წერილი, მართლაც კრიტიკული რეალიზმის პრინციპთა დასაბუთება-განმტკიცებას ისახავს მიზნად და, მაშასადამე, მიმართულია ლიტერატურაში ცხოვრების სინამდვილის შელამაზების, „განგებ გასუფთავების“, „შეკეთების“ წინააღმდეგ, მოითხოვს სინამდვილის სწორ, ღრმა, მაღალ-იდეურ და მაღალმხატვრულ ასახვას.

კრიტიკოსს საზიანოდ, „შეფერილად“ მიაჩნია გაშიშვლებული უმოტივაციო ტენდენცია, ცხოვრების, მოვლენათა ნებისმიერი „შეკეთება“, ყალბი პათეტიკა, სენტიმენტალიზმი: სინამდვილის ფორმაში წარმოსახული სინამდვილე სწორი და ამაღლებული უნდა იყოს, სწვდებოდეს მოვლენათა არსს, რომ „მკითხველს თანამედროვე ცხოვრების და განწყობილების ნამდვილ ხასიათს აცნობდეს“. ნ. ნიკოლაძე ყურადღებას ამახვილებს ტიპიზაციის მომენტზე, ლიტერატურის მამხილებელ როლზე და ილაშქრებს როგორც ნატურალიზმის, ისე აღწერითი რეალიზმის აღმავლობისათვის. მას „შეფერილად“ მიაჩნია 50-იანი წლების იმ რეალისტთა ნაწარმოებები, რომლებშიც გლეხი ანგელოზად იყო წარმოდგენილი, „შეუფერავ გრძნობის ადგილზე იდგა ნასწავლი კაცი გლეხურ სამოსელში“. ეს იდეური ტენდენცია, ავტორის მტკიცებით, არღვევდა მხატვრულ ფორმას, ხოლო სინამდვილის სწორი, „შეუფერავი“ ასახვა მაღალმხატვრულობის გარანტია იყო. ლაპარაკობს რა სინამდვილის სწორ ასახვაზე, კრიტიკოსი გვაფრთხილებს: „აქედან არავენ ის დასკვნა არ უნდა გამოიტანოს, ვითომ მწერლობას ჩვენის აზრით, ნიადაგ... დღითი დღიური ცხოვრების ფოტოგრაფიული გამოხატვა უნდა ჰქონდეს სახეში“. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ კრიტიკოსს ადრე ნეიტრალურ ფორმაში გამოთქმული (წერილში „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“), ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული „ფოტოგრაფიული ასახვა“ აქვს მხედველობაში. აქ იგი კრიტიკული რეალიზმის მხატვრულ საშუალებათა ფართო დახასიათებას იძლევა. ამავე მიზანს ემსახურება მოთხოვნა პუბლიცისტიზმის გაძლიერებისა მხატვრულ ლიტერატურაში.

სინამდვილის „შეფერილი“ ასახვა, ნ. ნიკოლაძის აზრით, ასუსტებს რეალიზმს, უარყოფით გავლენას ახდენს ნაწარმოებზე; მაგრამ, კრიტიკოსი აქაც კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას იჩენდა და დასძენდა, რომ ხანდახან, ბრძოლის დროს, გამოსადეგია „ზოგიერთი წოდების ან გრუპების შეფერვა და ცამდე აყვანა“, ე. ი. დაჩაგრული და მებრძოლი

კლასების სასარგებლოდ გადაჭარბებული, აშკარა ტენდენცია. ერთი სიტყვით, ნ. ნიკოლაძის წერილებში ლაპარაკია არა რაღაც „შეუფერავ რეალიზმზე“, არამედ კრიტიკულ რეალიზმზე. საკითხს სრულ სიცხადეს მატებს იმის გამორკვევა, თუ რომელ მწერალთა შემოქმედება, რომელი ნაწარმოებები მიაჩნდა ნ. ნიკოლაძეს სინამდვილის „შეუფერავი“ ასახვის მაგალითად. ასეთ მწერლად ის ილია ჭავჭავაძეს, მის „კაცია-ადამიანს?“, „გლახთა განთავისუფლების სცენებას“ და „კრებულში“ დაბეჭდილ მის ლექსებს ასახელებდა.

ჩამოთვლის რა „შეუფერავი“ ასახვის ნიშნებს, კრიტიკოსი წერს: „ამებზე ჩვენ ლაპარაკი იმიტომ ჩამოვადგეთ, რომ ი. ჭავჭავაძის თხზულებებში ჩვენ ვხედავთ მოთვლილი მოთხოვნილებების რიგიან გაგებას და დაკმაყოფილებას. მისი „კაცია-ადამიანი?“ საქმოდ გვიჩვენებს, რომ... იმას მალე გაუვია იმ მიმართულების სისუსტე (იგულისხმება „შეფერილი“ ასახვა. ა. კ.), რომელზედაც ჩვენ ამ სტატიის დასაწყისში ვლაპარაკობდით და მალე გაუცენია ნამდვილად ხელოვნური მწერლობის კილო და პირობები. „კაცია-ადამიანიში?“ გამორჩეული საგანი სწორეთ ისეა აწერილი, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს და დაფასებულია პირდაპირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაბმით. „გლახების განთავისუფლების სცენები“ ერთი მხრივ ამნაირივე ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ და ჩინებულათ აკმაყოფილებენ, და მეორე მხრივ, თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას, საზოგადო საქმეს და საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ, სჯიან აგრეთვე ოსტატურად და სურათების ძალით. ჭავჭავაძის ლექსები და „მგზავრის წერილები“ ხომ ჩინებულად ამ დანიშნულებას ეთანხმებიან... მისი ლექსების გრძნობა და მისი სარკაზმის ძლიერება ამითში მეტისმეტათ სანუგეშო გავლენას წარმოგვიდგენენ... ახლანდელ მის ლექსებში ჩანს ჩვენი ხალხის ენა,... სურათის უბრალოება... ნამდვილი გრძნობის შეუფერავი... გამოთქმა“.

ამ ვითარებაში სრულიად გაუგებარია, რას ემყარებოდა გ. წერეთელი, როცა „პირველ და მეორე დასს“ შორის, თავის შემოქმედებასა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას შორის, გამმიჯნავ ხაზად „შეუფერავ რეალიზმს“ თვლიდა. „კრებული“, 70-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკა არავითარ საბაზს არ იძლეოდა ამისათვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „კაცია-ადამიანი?“ და „გლახთა განთავისუფლების სცენები“ ხომ წინ უსწრებდა ე. წ. „მეორე დასის“ მხატვრულ შემოქმედებას!

ნ. ნიკოლაძისათვის რომ „შეუფერავი“ ასახვის ცნება მთლიანად

¹ ვ. ი ა ხ ა ნ ი ა, „შეუფერავი რეალიზმის გაგებისათვის“, თბ., 1968.

თავსდებოდა კრიტიკული რეალიზმის ჩარჩოებში და არავითარ განსაკუთრებულს, თუ გნებავთ, იქიდანაც ჩანს, რომ ამ ცნებას იგი იყენებს როგორც ქართველ და რუს მწერალთა, ისე ფრანგი რეალისტების შემოქმედების დასახასიათებლად. „ხელოვნური გამოჩარხვით, შთაბეჭდილების ძალით, ცხოვრების ნამდვილი და შეეფერავი გამოხატვით ვიქტორ ჰიუგო ამ საგანში (გამენის ხასიათის აღწერაში. — ა. კ.) მაინც ვერ შეედრება... ანრი მონიეს“¹. რომელორის ნაწერები, მისი სიტყვით, „ფეროვანი და შეეფერილი“ როდია... მარტო შესანიშნავს, გამოაშქარავებულს, ყველაზე უფრო შესამჩნევს შტრიხებსა და ხაზებს ნიშნავს და წვრილმან შეეფერვას არ დასდევს“².

როგორც ვხედავთ, „შეუფერავი“ ასახვის ცნება აქაც საცემბით ემთხვევა კრიტიკულ რეალიზმს და „შეფერვა“ სხვა არ არის რა, თუარ „შელამაზების“, „შეკეთების“ სინონიმი. მაგრამ, საკითხავია, საიდან გაჩნდა ჩვენს ლიტერატურაში ეს სიტყვა, რომელსაც პოლემიკის დროს ხელი ჩასჭიდა გ. წერეთელმა და შეეცადა მისთვის თავისებური გაგება მიეცა?

ამ კითხვის პასუხსაც ნ. ნიკოლაძის იმავე წერილში ვპოულობთ, რომელშიაც მან აღნიშნული ცნების ამომწურავი დახასიათება მოგვცა („გლახის ნაამბობზე“) ერთ გვერდზე ის ოთხჯერ ახსენებს „სოვრემენიკს“ და ამბობს, რომ იმ ნაწარმოებთა წინააღმდეგ, რომლებშიც გლახთა ცხოვრება „შეფერილად“ იყო ასახული, „პირველი ხმა... მათი სისუსტის შესანიშნავათ, მარტო გლახების განთავისუფლების შემდეგ, 1861 წლის ნოემბერში მოისმა. თვითონ „Современник“-მა გამოთქვა სხვა უფრო ხელოვნური თხზულების საქიროება თავისი უფროსი თანამშრომლის სტატიით „Не начало ли перемены?“ („Совр“, 1861 № 11). ნ. ნიკოლაძე დაწერილებით განიხილავს ამ წერილს და ქართულ ლიტერატურაზეც ავრცელებს მის მთავარ დებულებებს.

აღნიშნული სტატია ნ. ჩერნიშევსკიმ ნ. ვ. უსპენსკის მოთხრობებს მიუძღვნა და ეს ანალიზი კრიტიკული რეალიზმის ახალი აღმავლობის, ლიტერატურის პოლიტიკური სიმახვილის, სიტყვაკაზმულ მწერლობაში პუბლიცისტიზმის გაძლიერებისათვის გამოიყენა; კრიტიკოსმა მკაცრად გაილაშქრა გლახთა ცხოვრების იდეალიზაციის, შელამაზებისა და „შეფერვის“ წინააღმდეგ, როგორც ახალ ვითარებაში იდეურად მანკიერი და მხატვრულად უსუსური საშუალების წინააღმდეგ. „Он (Н. В. Успенский) пишет о народе правду без всяких прикрас, — წერდა ნ. ჩერნიშევსკი, — ...По вашему мнению, источник непобедимого влечения к прикрасам и ванию народных нравов и понятий был и похвален и чрезвычайно печален», გა-

¹ ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872, № 10—12.

² ნ. ნიკოლაძე, „თანამედროვე მწერლობა“, „კრებული“, 1873, № 8.

ნიხილავს რა მოთხრობას «Старуха», შენიშნავს: «Какая идельная история готова рисоваться перед вашею фантазиею, по привычке к прежнему прикрашиванию!»¹ და ა. შ.

ნ. ჩერნიშევსკის ყველა მოთხრობა აქტუალური პუბლიცისტური თვალსაზრისით აქვს განხილული და ხაზს უსვამს, რომ უსპენსკის შემოქმედებაში ახალი ტონი იგრძნობა: „Г. Успенский выставил нам русского простолюдина, простофилю... Говорите с мужиком просто и непринужденнее и он поймет вас“.

კრიტიკოსი აქ ხშირად მიმართავს სიტყვას: „прикрас“, „прикрашивание“, რომელიც რუსულ ლიტერატურულ კრიტიკაში მანამდეც იყო გავრცელებული და სინამდვილის შელამაზების მნიშვნელობით იხმარებოდა. რადგან ჩვენში ეს სიტყვა დამკვიდრებული არ იყო, თარგმანში ნ. ნიკოლაძეს რამდენიმე სიტყვა უხმარია, მისი აზრის გადმოსაცემად: „შელამაზება“, „შეკეთება“, „შეფერვა“.

მაგრამ რუსულ ლიტერატურაში ფიქრალაც არავის მოსელოა, რომ ეს სიტყვა ან ამ წერილის აზრი კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებული რაღაც ახალი შემოქმედებითი მეთოდის ან მიმდინარეობის დასაწყისად გამოეცხადებია. მით უფრო არ უნდა გამხდარიყო ამის საფუძველი ნ. ნიკოლაძის წერილი, რომელშიც უფრო ვრცლად და ნათლად გადმოცემული კრიტიკული რეალიზმის არსი. ნ. ჩერნიშევსკისაგან განსხვავებით, ქართველი კრიტიკოსი შეეცადა ნეგატიური მასალის ანალიზით ცხადყო თავისი თვალსაზრისი და ნიმუშად „გლახის ნამბობი“ აეღო. მაგრამ, როგორც ამ ნაწარმოების განხილვისას აღვნიშნეთ, მისი არჩევანი სწორად არ მიგვაჩნია.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, რუსული ლიტერატურისაგან განსხვავებით, შესაძლოა, ქართული ლიტერატურული სინამდვილე მოითხოვდა ამ საკითხის წამოჭრას? კრიტიკული რეალიზმის პარალელურად, შეიძლება, ჩვენში, იმ დროს, მართლაც, არსებობდა რაღაც განსხვავებული ლიტერატურული მიმდინარეობა ან შემოქმედებითი მეთოდი „შეუფერავი რეალიზმის“ სახით? როგორც მხატვრული ლიტერატურის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, 70-იან წლებში, კერძოდ „დროება“ — „კრებულში“, ამის მსგავსს ვერაფერს ვპოულობთ. სტილის, თემატიკის, ტიპის ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით, ცალკეულ მწერალთა და ნაწარმოებთა შორის განსხვავებას, ცხადია, ვამჩნევთ, მაგრამ, შემოქმედებითი ინდივიდუალობა, როგორც ცნობილია, ერთი და იგივე შემოქმედებითი მეთოდისა და მიმდინარეობის შიგნითაც თავს იჩენს და ხშირად ძალიან მკვეთრალაც.

ამ მიზეზებით უნდა აიხსნას, რომ 70—80-იან წლებში არც კრიტიკაში, არც მწერლობაში „შეუფერავი რეალიზმის“ ხსენება არ არის და

¹ Н. Г. Чернышевский. Полное собрание сочинений, т. VII, 1950 г., стр. 856, 857, 860...

90-იან წლებშიც ის სრულიად უნიადაგოდ, შემთხვევით გარემოებათა გამო, ამოტივტივდა ზედაპირზე. ვ. კოტეტიშვილი სწორად შენიშნავდა, რომ „...იმ დროს... ილია, ნიკოლაძე, პ. უმიკაშვილი და გ. წერეთელი ეკუთვნოდნენ „ერთ სკოლას“, რომელსაც ის „მხატვრული რეალიზმის“ სკოლას უწოდებს“¹.

„კრებულმა“ ღრმა იდეურ ასპექტში და უზადო გემოვნებით გააშუქა მხატვრული სტილის საკითხები, — გამოავლინა ცალკეულ მწერალთა სტილის თავისებურებანი, როგორც შინაარსისა და ფორმის ერთიანობით განსაზღვრული ფაქტი, ფართო მსჯელობის საგნად აქცია გამოსახვის ენობრივ-სტილისტური საშუალებანი, ყურადღება გაამახვილა შინაარსისა და სტილის მიმართულებაზე, მხატვრული მეტყველების პრინციპულ საკითხებზე. თითქმის მთლიანად მხატვრული სტილის პრობლემას მიეძღვნა ნ. ნიკოლაძის წერილი „თანამედროვე მწერლობა“, რომელშიც განხილულია ფრანგული კრიტიკული რეალიზმის სტილისტური თავისებურებანი, ახსნილია „სტილის განვითარებული ხასიათი“ პროზაში, პუბლიცისტიკაში, სატირულ ნაწარმოებებში, დახასიათებულია „პამფლეტური კილო“, ნაჩვენებია სტილის ევოლუცია სხვადასხვა დროს, ეპოქისეულ განწყობილებათა გარდატეხა მხატვრულ მეტყველებაში, კრიტიკოსი მუდამ ხაზს უსვამს, რომ სტილს შინაარსი განსაზღვრავს და მათი ერთობლიობა ქმნის მხატვრულ ღირებულებას; არ მოსწონს ნაწარმოები, რომლის შინაარსსაც „სხვა კილო, სხვა წერა, სხვა გრძნობა შეეფერება“².

კრიტიკოსის დადლებულ, დაწმენდილ გემოვნებაზე მეტყველებს ისიც, რომ სიცხადე, სიმსუბუქე, დიადი უბრალოება მას განვითარებული ტალანტის თვისებად მიაჩნია, ხოლო ბუნდოვანებას, მანერულობას, ექსცერცისისა და მხატვრული მოუმწიფებლობის ნიშნად თვლის. ძირითადად ამ საზომით გაპყო მან გრ. ორბელიანის შემოქმედება ორ პერიოდად.

სინათლე, მკაფიობა, სურათოვნება, საყოველთაო გასაგებობა, შთამბეჭდაობა — აი მოთხოვნები, რომელთაც „კრებულის“ კრიტიკოსები მხატვრულ სტილს უყენებენ.

კრიტიკოსებს დიდ ღირსებად მიაჩნიათ. როცა მწერალს, მიუხედავად თემატიკის, მოტივების, სიუჟეტების მრავალფეროვნებისა, შეუძლია თვითეულ მათგანს საკუთარი კილო გამოუნახოს, თუ შეიძლება ითქვას, საკუთარი სტილისტური პანგი-შეუწყოს.

კრიტიკას მხედველობიდან არ რჩება ნაწარმოებთა მხატვრული ორგანიზაციის საკითხები. უფრო მეტიც: იდეურ-ესთეტიკური ანალიზი, თითქმის მუდამ, თხზულების არქიტექტონიკის ამოცნობის, შემოქმე-

¹ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს., გვ. 416.

² ნ. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა“, „კრებული“, 1872, № 10—12.

დის ჩანათქვისადმი მისი შესატყვისობის კვლადკვალ შეფასების შუქზე ვითარდება. ასე განიხილავს ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანის „სადღეგრძელს“, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“, პ. უმიკაშვილი — „არსენას ლექსს“ და სხვ. ნ. ნიკოლაძე ავლენს გრ. ორბელიანის ლექსთა „იარალისა“ და „მუხამაზის“ კომპოზიციურ თავისებურებებს, ნათელყოფს ნაწილთა შორის სისხლხორცეულ კავშირს, კომპოზიციის შინაარსობრივ და მხატვრულ განპირობებულობას.

აღამიანთა შინაგანი სამყაროს, მისი სულიერი ცხოვრების ასახვას „კრებულის“ კრიტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ეს ინტერესი სავსებით კანონზომიერი იყო, რადგან აღამიანის სულიერი სამყაროს ყოველმხრივი ამოხსნა და ჩვენება რეალიზმის ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნაა.

ნ. ნიკოლაძე ხელოვნების სფეროს არც აკუთვნებდა სქემატურ, დუნე ნაწარმოებებს, რომლებშიც, თანამედროვე ტერმინით რომ ვისარგებლოთ, რომბოტები, შინაგან სიცოცხლეს მოკლებული მანეკენები დალაციებენ; მისი ფიგურალური გამოთქმით „ნამდვილი კაცის სხეული არ ასხიათ ამ ჩხირებს, ნამდვილი კაცის გული არ სძვრის მათ მკერდში, ნამდვილი კაცის ტეინი არ მოქმედებს მათ შეღებილ თავებში“¹.

შინაგანი ბუნების გადმოშლა მისთვის მხატვრული ხორცშესხმის უპირველესი პირობაა.

კრიტიკა ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა და მხატვრული ხასიათების გახსნისა და შეფასებისას; როგორც ჩანს, ჩვენი ავტორებისათვის სავსებით ნათელი იყო ხასიათის სოციალური და ფსიქოლოგიური დეტერმინიზმი და ამ თვალსაზრისითაც მსჯელობდნენ ხასიათის ცხოვრებისეულ სიმართლეზე, მთლიანობაზე და განვითარების ლოგიკაზე.

კლასიციზმის ერთხაზოვან და რომანტიზმის ცალმხრივ ხასიათებს რეალიზმმა სოციალური სინამდვილით განპირობებული მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი ბუნება, უმთავრესად, ტიპური ხასიათები დაუპირისპირა.

გ. წერეთლის „ჯიბრის“ ანალიზისას, ნიკ. ყიფიანმა სცადა ეჩვენებინა, რომ პიესის გმირები ცალკეულ ვნებათა მშრალ სქემებს კი არ წარმოადგენენ, არამედ თავიანთ აღამიანურ ბუნებაში კეთილის საწყისებსაც ატარებდნენ, ხოლო მანკიერებანი, რომელიც მათი ხასიათის ძირითად ნიშნად ქცეულა, სოციალური სინამდვილის პროდუქტია². ს. მესხის აზრით, პატრიოტი გმირის (როსსელის) ხასიათის მთლიანობა კი არ არღვევს, არამედ აძლიერებს მასში აღამიანურ ვნებათა ჭიდილს.

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“, „კრებული“ 1871, № 3.

² „ღროება“, 1873, № 14.

ეს ცხადია, ვნებათა ქაოსს არ მოასწავებს, რადგან ყურადღება მუდამ ერთ ვნებაზე, ერთ მთავარ თვისებაზეა კონცენტრირებული. „ზოგი ხატავს კაცის გულს და გრძნობას სიყვარულში, ზოგი... შეძენაში, ზოგი — შურის ძალას კაცის ხასიათში“¹.

კრიტიკა მწერლობისაგან მოითხოვდა უშიშარ, შეუპოვარ, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ გმირებს. პ. უმიკაშვილი მიუთითებდა მებრძოლი იტალიური ლიტერატურის მაგალითზე, რომელმაც ლეოპარდისა და დაზელიოს მორჩილ, პასიურ სულს დაუპირისპირა „ხასიათები, რომლებიც არა ჰგვანან უბრალო კაცების მქრალს, უღონო სიკეთესა და მქრალს უღონო ავობასა“².

ნ. ნიკოლაძემ გამოააშკარავა ლიტერატურაში „ხორციელი სიყვარულის“ სოციალური არსი და დაგმო დეკადენტური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი „გრძნობათა ქაოსი“ და ზნეობრივი აღვირახსნილობა, რომელიც „ფრთებსა ჰკვეთს ყოველ პოეტურ ოცნებას და გრძნობის გტაცებას“. კრიტიკოსს ზნეობრივი დაცემის, ხელოვნების დამდაბლების მაუწყებლად მიაჩნია სექსუალიზმი, პორნოგრაფია, ეროტიზმი. უარყოფს რა ეპიგონთა ანარქიულ გრძნობიერებას, ლიტერატურას „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე მიუთითებს „აიღეთ, „ვეფხისტყაოსანი“... ნახეთ რა სიმადლეზე იყვანდა ის გრძნობას, სიყვარულს. კეთილშობილურ აღტაცებას, რა პოეტური სხივით მოსაედა... გრძნობიერებას, თავგანწირულებას, სულის სიმადლეს, სიყვარულის ეშხს“.

ნ. ნიკოლაძე იმედის ნიშნად თვლის გრ. ორბელიანის სტრუქტურებსაც: „გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს?“

„კრებულის“ კრიტიკოსთა შეხედულებანი და ბრძოლა ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვის, ჯანსაღი გრძნობებისა და საზოგადოებრივი მორალისათვის ნიადაგს აცლიდა დეკადენტურ რომანტიზმს, გზას უღობავდა ნატურალიზმს და ფრიად მნიშვნელოვან უბანზე განამტკიცებდა კრიტიკული რეალიზმის პოზიციას.

ჩვენი ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების სიახლედ უნდა ვაღიაროთ, რომ იმდროინდელი მეცნიერების მონაპოვართა დონეზე „კრებულის“ კრიტიკოსები, კერძოდ ნ. ნიკოლაძე, საკმაოდ ღრმად იჭრებიან შემოქმედის ლაბორატორიაში, ცდილობენ გაარკვიონ შემოქმედებითი პროცესის რაობა, ესთეტიკური აღქმისა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საკითხები. მოგვცენ ამ რთული პრობლემის როგორც ფსიქოლოგიური, ისე სოციოლოგიური ახსნა.

ლ. ნ. ტოლსტოის სიტყვით: „Искусство есть микроскоп, кото-

¹ ნ. ნიკოლაძე, „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“. „კრებული“, 1871, № 3.

² პ. უმიკაშვილი, „იოსებ მაძინი“, „კრებული“, 1872, № 8-9.

рый наводит художник на тайны своей души и показывает общине всем людям тайны”¹.

გოეთეს სიტყვებიც, რომ მწერალმა „ხელი უნდა ჩააეღოს ინდივიდუალურ შტრიხებს“, ადამიანის შინაგანი სამყაროს ამოცნობისა და გადმოცემის უნარს გულისხმობს. მაგრამ ამ შემთხვევაში, საშუალება და მასალა თითქმის ერთ პლანზე განლაგებული ფაქტორებია, ერთ არსებაში გაერთიანებული პირობებია, რადგან უმთავრესი თვისებაა იმისა, რასაც ხელოვნების ტალანტს ვუწოდებთ. ცხადია, სრულებითაც არ უარყოფთ ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილების როლს ამ თვისებების ფორმირებაში, მაგრამ ერთსაც და მეორესაც საამისოდ განსაკუთრებული ნიადაგი უნდა დახვდეს, ხოლო ამ ნიადაგზე წარმოქმნილი ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილებაც განსაკუთრებული ხასიათისაა. შემომქმედი სხვას ვერასოდეს გადასცემს იმას, რაც მასში არ არის, რის განცდას თავად მოკლებულია, რისი არსებობაც მისთვის უცნობია; თვით გადაცემას სასურველი ზემოქმედება არ ექნება, თუ ის ისეთი სიძლიერითაა განცდილი და გააზრებული, რომელიც ყველასთვის ან ბევრისთვის ჩვეულებრივია, რადგან განსაკუთრებულ ნიადაგზე წარმოქმნილი განსაკუთრებული განცდის გადაცემა განსაკუთრებულია და ხელოვანის ტალანტის არსს შეადგენს. რამდენადაც შემომქმედი ამ უნარით ნაკლებ დაჭილდობებულია, იმდენად ნაკლებინდივიდუალურია, იმდენად უფრო ადვილად ექცევა მსგავსი ნიმუშის ტყვეობაში და უნებურად უფარდებს მას საკუთარ გრძნობებს, აზრსა და მათი გადმოცემის ფორმებს ბაძავს. ბუნება და ცხოვრება ყველაზე ერთნაირ შთაბეჭდილებას როდი ახდენს, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — რასაც ზოგი გულგრილად გვერდს აუვლის, პოეტურ ბუნებას ძირფესვიანად შესძრავს, — სიყვარული ბევრის გულს აანთებს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია მისი პერიპეტეიების სიტყვით გადმოცემა, სხვისთვის განცდევინება, ე. ი. სრულიად და სწორად, მის მიერ განცდილის გაგებინება. ამის მიზეზი ისაა, რომ გრძნობიერება, „კაცის გულის ცხოვრება“ ყველაზე ძნელი და უცნობი საგანია ქვეყნიერებაზე. გრძნობის, განცდის, შთაბეჭდილების თავისებურება შემომქმედებითი მოღვაწეობის წინაპირობაა; შემომქმედება, ასე ვთქვათ, უკვე ამ თავისებური განცდით იწყება, რაც ხელოვნების ტალანტის განსაკუთრებული თვისებაა, „პოეტების საიდუმლოებაა“.

ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, მწერალს მხატვრული კანონიერების ვერავითარი ცოდნა, ვერავითარი გარეგნული ბრწყინვალეობა ვერ დაიხსნის შემომქმედებითი მარცხისაგან, თუ „გრძნობის სიცხოველე“, „გულის სიფხიზლე“, „შთაბეჭდილების ადვილად მიღების“ უნარი, ერთი

¹ Л. Н. Толстой о литературе (сборник), 1955, стр. 310.

სიტყვით, გრძნობიერება არ გააჩნია. საყურადღებოა, რომ შექსპირის, გოეთეს და მოლიერის გვერდით, ამ მხრივ ნ. ნიკოლაძე სტერნი-სა და ლაროშფუკოსაც მაგალითად სახავს.

ხელოვანს უნდა შეეძლოს ცხოვრებაზე დაკვირვება და მისი განსაკუთრებული გრძნობიერებით აღქმა; საკუთარ გულში წვდომა, თვით-დაკვირვება და მისი გადმოცემა ისე ზუსტად, რომ ეს გრძნობა სხვისთვისაც გასაგები და შთაბეჭდილებიანი იყოს; სხვათა, მრავალთა გულში წვდომა, სხვისი ფიქრისა და აზრის ამოცნობა და მისი, აგრეთვე, ყველასათვის გასაგებად და შთაბეჭედავად გადაცემა. „გრ. ორბელიანს შესძლებია, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ღრმად გრძნობა, მისი ღრმად გამოხატვა, მაგრამ „მუხამბაზი“ გვიჩვენებს, რომ ის სხვის გულშიაც გამჭირაბათ იცქირება... სხვის მაგიერ გრძნობაც შესძლებია... ეს თვისება მეტისმეტად შესანიშნავია მწერლობაში. როცა პოეტი იმოდენათ სწორეთ და ნამდვილათ მოახერხებს სხვისი გრძნობისა და ხასიათის გაგებას, ისე ჩაძვრება მის გულში... რომ არათუ მისი გრძნობა გამოხატოს, მისი ჩვეულებრივი ენაც იხმაროს, რომ მეითხველს დააიწყედეს, რომ მის წინ პოეტი მღერის და წერს და ეგონოს, ნამდვილათ გამოხატული პირის ხმა მესმისო,... მის სხეულს ხელს ეკიდებო,... პოეტს ხელოვნებაში უზენაეს სიმალემდე მიუღწევია. ეს თვისება ხელოვნების თითქმის უკანასკნელი სიტყვაა“.

იდეალისტურ ესთეტიკას შემოქმედებითი აქტი ირაციონალურ მოვლენად მიაჩნია; კანტის აზრით, შეუძლებელია აიწეროს და მეცნიერულად აიხსნას რანაირად ქმნის გენიოსი თავის ნაწარმოებს; თვით გენიოსმაც არ იცის ამ სასწაულთმოქმედების საიდუმლოება. ნ. ნიკოლაძე მხატვრული ასახვის მატერიალისტური გაგების პოზიციაზე დგას. ხელოვანის ტალანტი, განსაკუთრებული „გრძნობიერება“ და განცდილის გაგების ნიჭი მისთვის მისტიკური, ზებუნებრივი კატეგორიები კი არაა, არამედ მატერიალური სინამდვილით განპირობებული მოვლენებია: „რა მიზეზია, რომ... ეს პოეტები... სულ სხვანაირათ გრძნობენ და იგებენ თავიანთი და სხვების გულის მოძრაობას და ტკივილს?.. თავიანთი ნაწი გრძნობიერებით, ფიზიკური ნერვებით, მიმხვდლომი გონებით და ძლიერი ტვინით... მათ გულს დაფარული და საიდუმლო აღარა აქვს რა და რადგანაც კაცის გული საყოველთაოდ თითქმის ერთნაირია, სხვების გულშიც ისინი ადვილად არჩევენ გრძნობების ნიშნებს. რაკი თვითონ საგანი მათ გაცნობილი და ნაგრძნობი აქვთ, მისი გამოხატვაც უადვილდებათ“.

აქ საყურადღებოა, რომ როგორც ხელოვანის განცდებისა და შთაბეჭედილებების წყაროდ, ისე მათი გადმოცემისა და საყოველთაო გასაგებების საფუძვლად კრიტიკოსს ობიექტური სინამდვილე და მისი კანონზომიერება მიაჩნია.

თვით აღქმის, უშუალო შთაბეჭდილებათა მიღების დროს, ამ შთაბეჭდილებათა ამა თუ იმგვარ ხასიათზე გავლენას ახდენს შემოქმედელის განწყობილება, მსოფლმხედველობა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი პროლექტია. აქედან გამომდინარე, შემოქმედლის განწყობილებას, იდეურ თვალთახედვას, კრიტიკოსის პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს, თვით „შემოქმედებითი მოღვაწეობის“ საწყის ფაზაშიც. ე. ი. აღქმის, „შთაბეჭდილებათა მიღების“ დროს. მაშასადამე, ტალანტს საზოგადოებრივ სინამდვილე წარმართავს. ერთსა და იმავე მოვლენას ერთი ერთნაირად განიცდის, მეორე — მეორენაირად; შეიძლება, სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებაც მიიღოს. „ერთი და იმავე მოვლენას ორი-სამი კაცი სულ სხვანაირათ გრძნობს. ერთს ეს მოვლენა აატირებს, მეორეს გააცინებს და მესამეს, იქნება, სულაც ვერა აგრძნობინოს“.

ასე რომ, ნ. ნიკოლაძის აზრით, ხელოვანის ტალანტი სავსებით კანონზომიერი, სოციალური სინამდვილით წარმართული, მაგრამ ძალიან იშვიათი მოვლენაა. „გრძნობიერება, კაცის გულის ცხოვრება, კაცის ტვინის ძაფების ხასიათი ყველაზე ძნელი და უცნობი საგანია ქვეყნიერებაზე“.. აი რისთვისაა იშვიათი პოეტური ტალანტი. „იმათთვის გასაგებია ისეთი მოვლენები გრძნობისა, რომელიც არ ესმის და არ ეჩვენება დანარჩენ კაცობრიობას“. აქედან კრიტიკოსს ის დასკვნა გამოაქვს, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობა აუცილებელი მოვალეობაა მხატვრული ტალანტისა. ის, რაც ძალიან იშვიათია, ძალიან დიდ გაფრთხილებას მოითხოვს და უსარგებლოდ არ უნდა დაიკარგოს. „მაღალი და პატიოსანი გრძნობა, კეთილი სულის მოძრაობა, მშვენიერი ლტოლვილება და გულის სიმაღლე ნიადგად მხედრათ რგებიან უმჯობეს პოეტებს, უგონიერეს კაცის გულის მცნობელებს. ეს სიმაღლე პოეტს მარტო თავისთვის კი არ უნდა ჰქონდეს შენახული: მისი დანიშნულების უმაღლესი გვირგვინი იმაში მდგომარეობს, რომ იმავე სიმაღლემდე ასწიოს და აამალოს მკითხველის გრძნობა და ხასიათი, და მის გულში ის წმინდა ალი და გრძნობა ჩანერგოს, რომელიც ადამიანის გულის გაცნობამ და გამოკვლევამ პოეტის გულში დაბადა“.

კრიტიკა ტალანტის ბუნებას ვერ შესცვლის, მას შეუძლია მიმართულება მისცეს ტალანტს, წარმართოს ის, მოუპოვოს აღიარება და, რადგან მსოფლმხედველობას, შემოქმედლის განწყობილებას, უშუალოდ აღქმისა და შთაბეჭდილებათა მიღების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, კრიტიკა ვალდებულია ისე აღზარდოს, ისეთ გზაზე დააყენოს შემოქმედი, რომ „მისი გრძნობა და აზრი შემცდარი და ხალხისათვის სავნებელი არ იქნეს“.

პ. უმიკაშვილს, გ. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს საყურადღებო შეხედულებანი აქვთ გამოთქმული ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის

შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე, მათი ლექსების პატრიოტულ აულერებაზე, საზოგადოებრივ მოტივებზე, ხოლო ნ. ნიკოლაძემ გრ. ორბელიანის პოეზიის ისეთი ღრმა ანალიზი მოგვცა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას. ეს წერილი იდეურ-ესთეტიკური კრიტიკის ბრწყინვალე მაგალითია. კრიტიკოსმა სწორად გააშუქა გრ. ორბელიანის შემოქმედების ძირითადი მოტივები: პატრიოტიზმი, სიყვარული, ჰუმანიტური იდეალები. გამოავლინა მასში საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კვალი, კერძოდ, 1832 წლის შეთქმულების ზემოქმედება, გვიჩვენა პოეტის სუსტი და ძლიერი მხარეები; დაჰყო მისი შემოქმედება პერიოდებად და თვითეული მათგანის (1832 წლამდე და შემდეგ) დახასიათებით მთლიანი სურათიც წარმოგვიდგინა.

ამავე პოზიციიდან ნ. ნიკოლაძემ დაწვრილებით განიხილა ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და, ძირითადად, სწორად განსაზღვრა მისი განვითარების გზა. წერილში „გლახის ნაამბობზე“, რომელიც ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელ თეორიულ ნაშრომთა ოქროს ფონდს განეკუთვნება, მან ნათლად ჩამოაყალიბა მხატვრული ლიტერატურის ამოცანები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ყურადღება გაამახვილა ილიას შემოქმედების ხალხურობასა და პოლიტიკურ აქტუალობაზე, ცხადყო მწერლის სისხლხორცეული კავშირი ხალხურ სიტყვიერებასთან, დაგვანახვა მისი ლიტერატურული ოსტატობა და მაღალი იდეურობა.

დაბოლოს, „კრებულის“ კრიტიკა გამოიჩინა როგორც მაღალი ლიტერატურული გემოვნებით, ისე დახვეწილი და ნათელი სტილით, ყველაფერში იგრძნობა, რომ ჩვენს კრიტიკოსებს მხატვრის ხედვა აქვთ და თავადაც შემოქმედნი არიან. თემისა და მასალის შესაბამისად თითოეულ წერილს საკუთარი კომპოზიცია, ენა და კოლორიტი გააჩნია. ლიტერატურული ტემპერამენტი, ხატოვანი თქმები, მხატვრული შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები, რიტორული ფიგურები, ალაგ-ალაგ სუსხიანი ირონია და თამამი ასოციაციები ამ ნაწერებს ისეთ მომხიბვლელობას ანიჭებენ, ურომლისოდაც მხატვრულ შემოქმედებაზე, ხელოვნებაზე მსჯელობა ხატიპარიობა იქნებოდა.

პ ო ლ ე მ ი კ ა

საზოგადოებრივმა ცვლილებებმა, ახალი გზების ძიებამ, იდეოლოგიურ სფეროში გაძლიერებულმა დიფერენციაციამ 70-იან წლებში შესამჩნევად გაამწვავა ქართულ პერიოდულ გამოცემათა პოლემიკა, რომელიც, ერთი მხრივ, ძველსა და ახალ თაობას შორის, ხოლო, მეო-

რე მხრივ, თვით ახალი თაობის შიგნით მიმდინარეობდა. ახალთაობის ორგანოები: „დროება“, „კრებული“ და „მნათობი“ რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლას ერთიანი ფრონტით განაგრძობდნენ, მაგრამ პრობლემების მრავალფეროვნებით, შინაარსის სიღრმითა და აქტუალობით ამჯერად მათი ცხარე კამათი იპყრობს ყურადღებას.

„მნათობთან“ პოლემიკა „კრებულმა“ „დროებისაგან“ მიიღო მემკვიდრეობად. ჯერ კიდევ 1869 წელს, როცა ცნობილი გახდა, რომ ნიკ. ავალიშვილი „მნათობის“ გამოცემას აპირებდა, „დროების“ მაშინდელმა რედაქტორმა ს. მესხმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც მიზანშეუწონლად თვლიდა ახალი ყურნალის დაარსებას. მისი აზრით, ქართველი საზოგადოება ვერ შესძლებდა ერთდროულად „დროებისა“ და „მნათობის“ შენახვას. ამით უნდა აიხსნას, რომ „მნათობის“ პირველი ნომერი (ნიკ. ინაშვილის წერილი: „საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ყურნალი?“) პოლემიკური გამოწვევით იწყება.

მთლიანად ამ პოლემიკურ საკითხს მიეძღვნა, ფაქტიურად, ყურნალის რედაქტორის ნიკ. ავალიშვილის საპროგრამო წერილი „მნათობზედ“, რომელიც აპრილის ნომერში დაიბეჭდა.

„მნათობის“ გამოსვლას „დროება“ დაუფარავი უკმაყოფილებით შეხვდა. ს. მესხი, რომელსაც გ. წერეთელმა 1869 წლის აპრილში გადასცა „დროების“ რედაქტორობა, 14 ივლისს ბეჟან ხამასურაძეს გულახდლილად აცნობებდა: „მნათობის“ ორი ნომერი გამოვიდა. მეორე ნომერში ზოგან კიდევ იკბინება ვითომ... კაცს რომ შენი კბენა უნდოდეს, უნდა დაასწრო და პირველად შენ უკბინო, მერე ვეღარ გაბედავს კბენას“.

გაზეთმა მართლაც „დაასწრო კბენა“; იმავე წელს (№ 25) დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის (ანჩისხატისუბნელის) ფელეტონი: „თბილისში გასერიანება“, რომელშიც ავტორი „მნათობს“ „უსიცოცხლო ყურნალს“ უწოდებდა და აშკარად მოუწოდებდა პოლემიკისაკენ.

გაზეთის 28-ე ნომერში თვით ს. მესხის („ლაზარე მე-შვილი“) პოლემიკური წერილიც გამოქვეყნდა და იქიდან მოკიდებული, პაექრობა სულ უფრო გამწვავდა.

1869 წელს „მნათობის“ მომდევნო ნომრები აღარ გამოსულა, 1870 წლის პირველ ნომერში კი ნ. ავალიშვილმა ა. კუხელის ფსევდონიმით, გამოაქვეყნა სტატია: „წერილი რედაქტორთან. რამდენიმე სიტყვა... ქართულ წარმოდგენებზედ და „დროების“ ფელეტონისტის უფ. ანჩისხატელის აზრზედ“.

თებერვლის ნომერში აღნიშნული წერილის გაგრძელებასთან ერთად დაიბეჭდა დ. ჯანაშვილის ფელეტონი „ცრუპენტელაობა დროს გატარებისათვის“, რომელშიც გაკრიტიკებულია პ. უმიკაშვილის საპა-

სუხო წერილი („დროება“, 1879, № 40). ავტორს ხალხის განათლებასა და სხედასხვა ამხანაგობების დაარსებაზე გადააქვს სიტყვა, ამასთან ლაპარაკობს რა ორივე გამოცემის საერთო მიზანზე, მარტის ნომრის გაგრძელებაში გადაკვრით მისი განხორციელების განსხვავებულ გზაზეც მიუთითებს: „ბ. უბნელო! „დროებასაც“ ის სურს, რაც „მნათობს“. მით ორივეს ერთი მიზანი აქვთ. რასაკვირველია, საცა ერთი მიზანია, — იქ ერთნაირი მოქმედებაც იყოსო, — თქმა არ შეიძლება. მიზნის აღსასრულებლად ყველას ხელში თავისი ხერხი აქვს“, ხოლო ვისაც ცუდი გზა და ხერხი ამოუჩრჩევია, პატიოსნად და მშვიდად უნდა გამოვარკვიოთო.

1870 წელს, „დროების“ მხრივ, პოლემიკას ნ. ნიკოლაძე ჩაუდგა სათავეში. მე-16 ნომერში მან „მნათობის“ 1879 წლის პირველი ნომრის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა დასტამბა, რასაც პოლემიკური წერილების მთელი სერია მოაყოლა „დროებაში“ (1870, № 20, 21; 1871, № 13 და სხვ.).

კ. ლორთქიფანიძემაც, რომელიც ადრე აღტაცებული იყო „მნათობის“ პირველი ნომრებით, მხარი დაუჭირა თანამოაზრეებს და, „ცივისულის“ ფსევდონიმით, „დროების“ 1870 წლის 36 ნომერში დაბეჭდილ წერილში — „წიგნი მიწერილი მეგობართან“, სასტიკად განაქიქა „მნათობის“ მხატვრული ნაწერები. იმავე წლიდან გ. წერეთელმაც დაიწყო „მნათობის“ წინააღმდეგ ფელეტონების ბეჭდვა („კუხელის სიმღერა“¹, „ფუტკარმა უთხრა კრაზანას“², „ორიოდე ეკალი ჩვენს ახალგაზრდა მწერლობაში“³ და სხვ.).

გაზეთს „მნათობის“ ვრცელ წერილებზე ასეთივე ვრცელი პასუხის გაცემის საშუალება არ ჰქონდა, რამაც, როგორც აღვნიშნეთ, ერთგვარად დააჩქარა „კრებულის“ გამოცემა.

„კრებულის“ გამოცემის შემდეგ „მნათობის“ პოლემისტებს ანტონ ფურცელაძე შეემატა, ხოლო „კრებულის“ წამყვანი თანამშრომელი გახდა ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ამ ორი უურნალის პაექრობაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ „მნათობელმა“ ზოილმა ორიოდ მათრახი მაინც არგუნა.

ასე რომ, „კრებულის“ გამოსვლის მომენტში ორი მოპაექრე ბანაკის შემადგენლობა სავსებით გარკვეული იყო. „კრებულის“ გარშემო შემოიკრიბნენ თერგდალეულები (უმთავრესად, „საქართველოს მოამბის“ ყოფილი თანამშრომლები): ილია ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, ნ. ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ხოლო „მნათობის“ გარშემო უმთავრესად ანტონ ფურცე-

¹ „დროება“, 1871, № 21.

² „დროება“, 1871, № 33.

³ „დროება“, 1871, № 24.

ლადის დროინდელი მემარცხენე პოზიციაზე მდგომი „ცისკარის“ ყოფილი თანამშრომლები: ანტ. ფურცელაძე ნ. ავალიშვილი, დ. ჯანაშვილი, ვას. მაჩაბელი, დ. ბაქრაძე, აგრეთვე, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში იმ დროს (70-იან წლებში) მყოფი სტუდენტები: ნიკ. ინაშვილი. მოსე ქიქოძე და სხვ. ძალთა ასეთი განაწილება, ერთი მხრივ, ვარკვეულ წარმოდგენას ქმნის პოლემიკის იდეურ მიმართულებაზე, ხოლო. მეორე მხრივ, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ გენეზისის მიხედვით, „მნათობისა“ და „დროება“-„კრებულის“ პაექრობა გაგრძელება იყო „საქართველოს მოამბესა“ და ანტ. ფურცელაძის „ცისკარს“ შორის 1863 წელს გაჩაღებული პოლემიკისა, რასაც თვით მოკამათე-ნიც არა ერთხელ აღნიშნავდნენ.

„მნათობში“ შესამჩნევია უცხოური სოციოლოგიური თეორიებით განსაკუთრებული დაინტერესება, მათი შერჩევისა და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოპერირების სურვილი; გლახთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ასოციაციებისა და ამხანაგობების იდეის პრაქტიკული ანალიზი, მაშინ, როცა „კრებული“ ამ თეორიებს სასხვათაშორისოდ უყურებს და, როგორც აღვნიშნეთ, კიდევ აკრიტიკებს, — მთელს იმედს მრევველობის განვითარებაზე ამყარებს, სამოციანელთა პოზიციაზე მტკიცედ დგას და რუსეთში ახალი ძალის გამოჩენას ელის, რომელსაც საქართველოც გაჰყვება. „კრებულში“ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს ურყევე ავტორიტეტებად სცნობენ, „მნათობში“ კი მათ თითქმის სრულებით აღარ ახსენებენ. „მნათობი“ თანამედროვე (70-იანი წლების) რუსულ აზროვნებასა და ევროპის სოციოლოგიაში ეძებს დასაყრდენს; ცდილობს, რუსეთის ხალხოსნობასა და ევროპის უტოპიურ სოციალიზმს შორის კონკრეტული კავშირი გამოიხატოს და ამ ნიადაგზე საქართველოს პირობებისათვის შესაფერი დოქტრინა გამოიმუშაოს. „კრებულს“ ევროპაში უშუალოდ მუშათა რევოლუციური მოძრაობის გამოცდილება იზიდავს, რომელსაც რუსი რევოლუციონერი დემოკრატების თვალთახედვით აფასებს და ბუნდოვნად, მაგრამ მაინც, ჩვენი ქვეყნის მომავალსაც რუსეთში მსგავსი მოძრაობის განვითარებას უკავშირებს. ორივე ურნალის ძირითად ნიშანს ახალ ვითარებაში იდეური გზების ძიება წარმოადგენს, ამასთან, ამ გზების განსხვავებული მიმართულებაც ისახება, მაგრამ მიზანი ერთია: თავისუფალი, დემოკრატიული, საყოველთაო კეთილდღეობას მიღწეული საქართველო.

„მნათობს“ იმათივე ეტყობოდა ხალხოსნური ძიებანი. 1869 წლის აპრილში დიმ. ჯანაშვილმა, რომელიც ანალოგიური შინაარსის წერილებს „ცისკარსა“ და „დროებაშიც“ აქვეყნებდა, ვრცელი სტატია დაბეჭდა „მუშათა ასოციაციებზე“. ეყრდნობა რა ამერიკელი ეკონომისტის კერის თეორიას, ავტორი ამტკიცებს, რომ „ასოციაცია და შე-

ერთებული მოქმედება საჭირონი არიან კაცისათვის, რათა იმან მოიპოვოს უფლება ბუნების ძალაზე“. დიმ. ჯანაშვილი დაწვრილებით ეხება „სოფლის სავაჭრო მაღაზინების“, „სასოფლო ბანკების“ მნიშვნელობასა და სტრუქტურას. მისი უტოპიური შეხედულებით, „კაცს განათლებამ უნდა მისცეს ცხოვრების სახსარი“. როცა პ. უმიკაშვილმა ეს წერილი მკაცრად გააკრიტიკა („დროება“, 1870, №40), დიმ. ჯანაშვილმა „მნათობის“ 1870 წლის თებერვლის ნომერში დრეპერის შეხედულებანი დაიმოწმა და განათლებას კვლავ გადამწყვეტი როლი მიანიჭა ხალხის ცხოვრებაში. საგულისხმოა, რომ დიმ. ჯანაშვილი იმოწმებს რუსულ ჟურნალ „დელოს“, რომელიც პისარევის „რუსკოე სლოვოს“ მეშვეობით იყო და ნაროდნიკულ-უტოპიური სოციალიზმის იდეებს ქადაგებდა.

ცხარე პოლემიკა გამოიწვია „მნათობის“ 1870 წლის იანვრის ნომერში დაბეჭდილმა მ. ქიქოძის სტატიამ: „საქართველოს მომავალი“, რომელშიც ავტორი რეფორმის შემდგომ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობს. მ. ქიქოძე აღნიშნავს, რომ ევროპის კაპიტალისტურ განვითარებას მუშებისათვის ბედნიერება არ მოუტანია. მისი აზრით, საჭიროა, რომ „გლეხები უმიწოდ არ დააგდონ“, რომ — გაიზარდოს ნიადაგის ნაყოფიერება და ამისთვის გავრცელდეს განათლება, განსაკუთრებით, სამეურნეო განათლება. მ. ქიქოძე დარწმუნებულია, რომ „შრომის განაწილებით“, სასოფლო-სამეურნეო „სახოვადობრივი სკოლების“ მოწყობით, ამხანაგობების დაარსებით, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებით, „ჩვენს ქვეყანას შეუძლიან მეტად უხვად დააჯილდოვოს თადარიგიანი მშრომელი“. თავის შეხედულებათა დასასაბუთებლად ის უკრიტიკოდ იშველიებს ადამ სმიტის, ჟიულ სიმონის, ლიბიხის, დრეპერის ციტატებს. მისი აზრით, პოლიტიკურმა ეკონომიამ უკვე აღმოაჩინა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების წამალიც, გამოარკვეისო: „თუ რომ ჰსურთ ფულის პატრონებს... მუშებმა იმათი კაპიტალი... სინდისიანად აწარმოონ. კაპიტალისტებმა, შემოსავალშიც წილი უნდა დაუღონ მუშებს და არ დააჯერონ მართო ქირას“, — ამას მოითხოვს შრომის ნაყოფიერების პრინციპი.

მ. ქიქოძის შეხედულებანი ევროპის უტოპიური სოციალიზმისა და რუსული ნაროდნიკობის თავისებურ ნარევს წარმოადგენს. იმ დროს ამ შეხედულებებს, უეჭველად, ჰქონდათ სოციალურ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ეს თვალსაზრისი არ იყო 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატიკულ მოძღვრებასთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯი; ავტორის ილუზია იქამდე მიდიოდა, რომ ეგონა, ამ გზით, „ჩვენი ხალხი დროზედ მოესწრება ეკონომიურ კეთილმდგომარეობასო“. ეს, დაახლოებით, ის შეხედულებანი

იყო. რომელსაც რუსეთში 1866 წელს დაარსებული ლიბერალურ-ნაციონალური გაზეთი „ნედელია“ ქადაგებდა.

წერილში — „გზებისა და ბოგიერების მნიშვნელობა“, რომელიც იმავე წლის მარტისა და აპრილის ნომრებში დაიბეჭდა, მოსე ქიქოძე უფრო აღრმავებს თავის სამეურნეო-კულტურტრეგერულ თვალსაზრისს.

ამ თვალსაზრისს, როგორც ჩანს, „მნათობის“ სხვა თანამშრომლებიც და რედაქციაც იზიარებდა. კერძოდ, ასეთივე აზრია გატარებული ნიკ. შაროვეის წერილში — „ორიოდე სიტყვა ჩვენს ეხლანდელს საკიროებაზედ“ (1871, № 4) და ნ. ავალიშვილის (ა. კუხელის) „მიმოხილვაში“ (1871, თებერვალი), სადაც ის მ. ქიქოძის წერილს იცავს. 1870 წლის მარტის ნომრის „მიმოხილვაში“ თორელი თანამედროვეობის აქტუალურ ამოცანებად აცხადებს მეღვინეთა ამხანაგობების (კომპანიების) დაარსებას, ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლას. გლეხთა განათლებას და ა. შ. ამავე მიზანს (გლეხობის სამეურნეო გათვითცნობიერება, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება) ემსახურება ალ. ვაბაშვილის მიერ გადმოთარგმნილი ა. სკაჩკოვის წერილიც: „საუბარი ჩინეთის მეურნეობაზედ“.

საყურადღებოა დ. ჯანაშვილის, ნ. ავალიშვილის, ნიკ. შაროვეის, თორელისა და „მნათობის“ სხვა პუბლიცისტთა კორესპონდენციული სტილიც. რომელიც შემდეგ ხალხოსანთა ნაწერების დამახასიათებელ თვისებად იქცა.

რევოლუციონერ-დემოკრატთა პოზიციებზე მყოფ „კრებულს“, რომლის გულისყურსაც ევროპის მუშათა რევოლუციური მოძრაობა იპყრობდა, „მნათობის“ ილუზიები და უტოპიურ თეორიათა ყოველი-განმკურნავ ღონისძიებად გამოცხადება ვერ დააკმაყოფილებდა. როგორც აღვნიშნეთ, ეს თეორიები ნ. ნიკოლაძემ სასტიკად გააკრიტიკა, ხოლო „მნათობში“ მათ მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება არ იგრძნობა. „დროებასა“ და „კრებულში“ ათობით წერილი დაიბეჭდა მუშათა კლასობრივ ბრძოლაზე, პარიზის კომუნაზე, გლეხთა შეიარაღებულ მოძრაობაზე, ხოლო „მნათობში“ ასეთ მასალებს ვერ ვხვდებით. გამონაკლისია ანტ. ფურცელაძის წერილები. პოლემიკურ სტატიაში — „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“ ის მკაცრად აკრიტიკებს როგორც შულცე-დელიჩის, ისე ფერდინანდ ლასალის „ასოციაციების თეორიას“ და მუშათა რევოლუციური ბრძოლის, პარიზის კომუნის მაგალითზე მიუთითებს. „ჩვენ უნდა ველოდოთ ღროს“ და მანამ კი, როგორმე თავს ეუშველოთო, — დასძინს ის და ამ ფორმულით „კრებულის“ — იდეური პოზიციის არსს უფრო გამოხატავს, ვიდრე „მნათობისას“, სადაც თვითონ თანამშრომლობდა. უნდა დავსძინოთ, რომ „კრებულის“ თანამშრომლებთან შედარებით, თვით ანტ. ფურცელაძეც

მეტ მორჩილებას იჩენდა ევროპის უტოპიური თეორიებისადმი. ის დიდ დანაშაულად უთვლიდა ნ. ნიკოლაძეს, რომ მან „კრებულში“ („სხვათა შორის“) ლუი ბლანთან შეკამათება გაბედა¹.

„მნათობი“ უშენიშნოდ ბეჭდავდა ევროპის უტოპისტი ეკონომისტების სტატიებს (ჯონ სტიუარტ მილი, 1870, № V, VI), ხოლო „კრებულში“ ასეთი წერილები არ დაბეჭდილა. გ. წერეთელი კიდევ დასცინოდა დრეპერებითა და ბოკლებით „მნათობის“ ბრმა გატაცებას, წამდაუწუმ ახსენებთ და მნიშვნელობა არ გაგეგებათო?²

ამ ვითარებაში სავესებით გასაგებია იმ ცხარე პოლემიკის ხასიათიც, რომელიც მნათობელ მოსე ქიქოძესა და კრებულელ ნიკო ნიკოლაძეს შორის ზემოაღნიშნული საკითხების გარშემო გაიმართა. ნ. ნიკოლაძე აშკარა სკეპტიციზმს გამოხატავდა ევროპის უტოპიურ თეორიათა ყოვლისშემძლეობისადმი.

გარკვეული აზრით, შეიძლება ვ. ი. ლენინის სიტყვით ვთქვათ, რომ „მნათობი“ იყო გამოცემა „Сделавший народнические прибавки к программе революционной демократии“. და, რომ ეს იყო Шаг назад от Чернышевского»³.

„მნათობისა“ და „კრებულ“-„დროების“ პოლემიკას მიზეზები მხატვრული ლიტერატურის სფეროშიც ეძებნება; იგი კრიტიკული რეალიზმის სიწმინდისათვის ბრძოლასთანაა დაკავშირებული.

„მნათობს“ ნიკიერი მწერლები არ ჰყავდა, „კრებულმა“ კი საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი და ლიტერატურული ცხოვრების შესაქე გახდა. „დროებამ“ და „კრებულმა“ ეს უპირატესობა კარგად გამოიყენეს „მნათობთან“ პოლემიკურ ბრძოლაში. კირ. ლორთქიფანიძემ ჩვენი ლიტერატურის იდეურ-მხატვრული დაქვეითების მომასწავებლად გამოაცხადა „მნათობის“ მთელი პოეტური შემოქმედება.

კრიტიკოსი ხაზს უსვამს ეურნალში დაბეჭდილ ლექსების თემატიკურ ერთფეროვნებასა და შაბლონურ ხასიათს⁴.

„კრებულის“ კრიტიკოსთაგან განსხვავებით, რომლებიც, როგორც ვთქვით, მხატვრულ ანალიზს იძლეოდნენ, „მნათობის“ მესვეურნი, განსაკუთრებით, ანტ. ფურცელაძე, მხოლოდ იდეური შინაარსისადმი იჩენდა ინტერესს და, არსებითად, ფორმის იგნორირებას ახდენდა. კრიტიკული რეალიზმის სიწმინდისათვის თანმიმდევრულად მებრძოლი „კრებული“ ასეთ ცალმხრივობასა და უტილიტარიზმს, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა.

ყველაფერი, რაც აქამდე ვთქვით, პოლემიკის პრინციპულ ხასიათს

¹ ა. ფურცელაძე, „წიგნი რედაქტორთან“, „კრებული“, 1873, № 10.

² გ. წერეთელი, „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, „კრებული“, 1872, № 7.

³ В. И. Ленин, соч. т. 20, стр. 100.

⁴ „დროება“, 1870, № 36.

შეეხება, მაგრამ მოპაექრებმა, სამწუხაროდ, მალე გადალახეს ლიტერატურული ეთიკის ზღვარი და კამათი პირად კინკლაობად, ისეთ უხეშ და შეურაცხმყოფელ ურთიერთ თავდასხმად იქცა, რომლის მსგავსსაც იშვიათად თუ ვიპოვით ქართული პოლემიკის ისტორიაში.

პოლემიკის გამწვავებამ „მნათობის“ ჩარხი უკუღმა დაატრიალა. ანტ. ფურცელაძესა და რედაქციის დანარჩენ წევრთა შორის განხეთქილება წარმოიშვა, რამაც სულ მალე ეურხალიც გადაიყოლა. თითქმის შესრულდა „დროება“-„კრებულის“ წინასწარმეტყველება — ანტ. ფურცელაძე „მნათობს“ შეიწირავსო.

ანტ. ფურცელაძეს აღარავითარი საშუალება არ ჰქონდა, რომ ნ. ნიკოლაძის „კრებულსა“ და „დროებაში“ გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილებზე პასუხი გაეცა. ამის გამო, გამწვავებული კამათი სისხლისღვრით კინალამ დამთავრებულა. ზაქ. ჭიჭინაძის გადმოცემით, მელიქიშვილის სტამბაში, სადაც „კრებულთან“ ერთად, „მნათობის“ სალიკვიდაციო ნომერიც (1872, მე-10, მე-11, მე-12) იბეჭდებოდა, ნ. ნიკოლაძე და ანტ. ფურცელაძე გაცეცხლებულან და ზაქ. ჭიჭინაძის მორიდებული გამოთქმით, „ჩხუბს უკიდურეს წერტილამდე მიუღწევია“¹.

იონა მეუნარგიას კი, რომელიც მაშინ სემინარიაში სწავლობდა, 1873 წლის 21 ოქტომბერს თავის დღიურში ჩაუწერია: „ფურცელაძემ თავისი სიბეცე გუშინწინ დაამტკიცა, ნიკოს რომ რევოლუციური ესროლა და ნიკომ თავისი კარგი კაცობა, რომ არ უჩივლა“². ამასვე ადასტურებს სოფრ. მგალობლიშვილიც („დაუჩრულებელი პოლემიკა კინალამ სისხლისღვრით გათავდა“)³.

„მნათობისა“ და „დროება“-„კრებულის“ პოლემიკამ, მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი იდეების გარკვევასა და დამკვიდრებაში, გამოაცოცხლა საზოგადოებრივი აზრი, დააჩქარა მისი დიფერენციაციის პროცესი.

თვით პოლემიკური ნაწერები ბევრ საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობას შეიცავს, მაგრამ მკაცრ კრიტიკულ მიდგომასა და მიუკერძოებელ ანალიზს მოითხოვს. ერთი რომელიმე მხარის (სულ ერთია, ნ. ნიკოლაძე იქნება ის, თუ ანტ. ფურცელაძე) შეხედულებათა უკრიტიკოდ გაზიარება, როგორც ამას არჩ. ჯორჯაძე სჩადიოდა, სწორ დასკვნებამდე ვერ მიგვიყვანს.

ლიტერატურულ-მხატვრული თვალსაზრისით, „მნათობისა“ და „დროება“-„კრებულის“ პოლემიკურ ნაწერებს არ მიუღწევიათ იმ სრულყოფისა და ცხოველყოფილობისათვის, რომლითაც „საქართვე-

¹ ზაქ. ჭიჭინაძე, „ნიკო ნიკოლაძე“, გვ. 35.

² ლიტერატურის მატრიანე, № 3—4, გვ. 204.

³ ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 61.

ლოს მოამბის“ პოლემიკური ფელეტონები გამოირჩევა (ილია ჭავჭავაძის „სხარტულა“, „სფირილონისა და თადეოზის ბაასი“) და რომელთა გავლენა აშკარად ეტყობა გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის წერილებს.

პოლემიკის გამწვავებამ უთუოდ დააჩქარა „მნათობის“ მოსპობა. 1872 წლის უკანასკნელი, სამი გაერთიანებული ნომერი დიდი დაგვიანებით გამოვიდა და ამით ჟურნალის გამოცემაც შეწყდა. ერთი წლის შემდეგ მას „კრებულიც“ მიჰყვა.

„კრებულის“ დახურვის მიზეზთა გარკვევისას, უწინარეს ყოვლისა, უურადღებავს იპყრობს ფაქტი, რომ 1873—1874 წლებში ჟურნალის მესვეურები: გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე (დროგამოშვებით) და ს. მესხი საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ და, მაშასადამე, არ შეეძლოთ მისი ხელმძღვანელობა; როგორც „დროება“, ისე „კრებული“ ერთ კაცს — კირ. ლორთქიფანიძეს დააწვა მხრებზე და ასეთი მძიმე საქმის გაძღოლა მისთვის ადვილი როდი იქნებოდა.

ნ. ნიკოლაძის უშუალო ხელმძღვანელობის გარეშე „კრებულს“ არსებობა გაუჭირდა. ამ ჟურნალს ის უდგამდა სულს, ის ატოცხლებდა თავისი ნაწერებით და ინახავდა მატერიალურად. 1873 წლის მაისამდე, როცა ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ იყო, იმ წლისა მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა, ხოლო ივნისიდან ნოემბრამდე, როცა თბილისში იმყოფებოდა, ზედიზედ ცხრა ნომერი გამოუშვა. ნოემბერში ნ. ნიკოლაძე კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა და 1875 წლამდე აღარ დაბრუნებულა. მისი წასვლის შემდეგ, არც ერთი ნომერი არ მომზადებულა (უკანასკნელი მე-10 ნომერი მან სტამბაში დატოვა) და „კრებულის“ გამოცემაც შეწყდა, რაც, მართლაც, გვაფიქრებინებს, რომ ნ. ნიკოლაძის, აგრეთვე, გ. წერეთლისა და ს. მესხის საზღვარგარეთ ყოფნას „კრებულის“ ბედ-იღბალზე დიდი გავლენა მოუხდენია, მაგრამ ეს არ არის მისი მოსპობის მთავარი და, მით უმეტეს, ერთადერთი მიზეზი.

უმთავრეს მიზეზთაგან, პირველად უნდა დავასახელოთ ქართულ პერიოდულ გამოცემათა ტრადიციული სიძნელეები: ლიტერატურული მასალის ნაკლებობა და ფინანსიური ხელმოკლეობა, ხელისმომწერთა სიმცირე.

„კრებულს“, ისე, როგორც ყველა პროგრესულ გამოცემას, გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა ცენზურასთან, რომელიც სულ უფრო მეტი უნდობლობით ეკიდებოდა მას და რამდენიმე თვეობით აჩერებდა გასაავრცელებლად გამზადებულ ნომრებს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად „კრებულის“ დახურვის ერთ უმთავრეს მიზეზად იდეური დიფერენციაციის გაძლიერებული პროცესი უნდა მივიჩნიოთ. „დროება“-„კრებულის“ წრეში, თერგდალეულთა

შორის, უკვე აშკარად იგრძნობა ძალთა ერთგვარი გადაადგილება; თანდათან ისახება ახალი დაჯგუფებანი; — დუდილისა და ძიების ხანა, რომელიც რეფორმის შემდეგ დაიწყო, ახალ ფაზაში შედის და 80-იანი წლების დასაწყისისათვის, როცა აღრე ჩასახული ჯგუფების იდეური პროფილი უფრო ნათლად გამოიკვეთა, გარკვეულ კონსოლიდაციასაც აღწევს. გარღმავდა და საკმაოდ გამწვავდა ის უთანხმოებანი, რომელთა შესახებ ნ. ნიკოლაძე „კრებულში“ წერდა: „...განა ამ სტრიქონების დამწერი ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად, გ. წერეთელს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს ან სერ. მესხს? ან, განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა, ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვაზე, ჩვენ სხვადასხვა აზრისა ვართ“¹.

1874—1875 წწ. განხეთქილებამ „დროების“ რედაქციაშიც იჩინა თავი.

1875 წლიდან „კრებულის“ ფუნქციები „დროებაზე“ გადავიდა; ამასთან დაკავშირებით ს. მესხმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა. 1874 წლის 26 იანვარს ის კ. მელიქიშვილს გაზეთის რეორგანიზაციის ვრცელ გეგმას აცნობდა და, სხვათა შორის, წერდა: „დიდი სიამოვნებით დავებუქდავ („დროების“) ფელეტონებში აგროთვე სხვადასხვა მოთხრობებს, როგორც ორიგინალურს (განსაკუთრებით ჩვენი ცხოვრებიდამ); აგრეთვე ნათარგმნთაც“.

1875 წ., როგორც აღვნიშნეთ, ს. მესხმა „დროების“ სარედაქციო კოლეგიაც გადაახალისა და გაზეთის გამოცემაც კვირაში სამჯერ დაიწყო. მანამდე კი მხოლოდ ერთხელ გამოდიოდა. მაგრამ საზოგადოება მაინც მტკივნეულად განიცდიდა „კრებულის“ დახურვას.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ „კრებულის“ აღდგენის ცდა კარგა ხანს არ შეწყვეტილა. „დროების“ 1877 წლის 175-ე ნომერში ვკითხულობთ: „ამ დღეებში რამდენიმე ყმაწვილკაცს, ქართული ლიტერატურის გულშემატკივარს, მოლაპარაკება ჰქონიათ ისე ჩინებულად დაწყებულის და ასე უდროოდ მოსპობილის ჟურნალის „კრებულის“ განახლებაზედ“.

1879 წელს კვლავ უცდიათ „კრებულის“ განახლება, ა. სარაჯიშვილის რედაქტორობით².

1874 წ. მიხ. გურგენიძეს (შემდეგ „იშედის“ რედაქტორს) ჟურ. „კოლხიდის“ გამოცემა უთხოვია; 1880—1883 წლებში ნ. ნიკოლაძემ და გ. წერეთელმაც სცადეს ილუსტრირებული ჟურნალის — „კანდელის“ („შუქურას“)³ გამოცემა, მაგრამ ხელისუფლება ქართულ პრესას. კერძოდ, ჟურნალებს, ეპკვით ეკიდებოდა.

„კრებული“, ისე როგორც მაშინდელი „დროება“, ჩვენი ხალხის

¹ „კრებული“ 1872, 10—12.

² „დროება“ 1879, № 116.

³ ზ. შველიძე, „ქართული პრესის ისტორიიდან“, ვახ. „თბილისი“, 1952,

ყველაზე მოწინავე მისწრაფებათა გამომხატველი იყო იმ პერიოდში; გაძლიერებული რეაქციის დროს ისინი ასახედნენ მშრომელთა ფართო ფენების პოლიტიკურ განწყობილებას, რევოლუციურ-დემოკრატიულ სულისკვეთებას; იბრძოდნენ ბატონყმობის ნაშთების მოსპობისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; გაბედულად ერკინებოდნენ თვითმპყრობელობის რეაქციულ პოლიტიკას. გზას უკაფავდნენ ახალ, უფრო პროგრესულ იდეებს და ნიადაგს უშზადებდნენ ხალხის ფართო რევოლუციურ მოძრაობას, აღვივებდნენ განთავისუფლების გმირულ სულს. კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის მხილებით, უტოპიური სოციალიზმის იდეათა პროპაგანდით, ევროპის მუშათა მოძრაობის პოპულარიზაციით, მათ გააძლიერეს ცარიზმის, თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიისადმი ზიზღი, შთააგონეს ხალხს ადამიანთა თანასწორობის, ძმობისა და ერთობის სოციალისტური იდეები.

„დროება“-„კრებული“ მტკიცედ იცავდა თერგდალეულთა, 60-იანი წლების რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ტრადიციებს და მასზე დაყრდნობით, ეძიებდა განახლების გზებს; ინახავდა „იმ დროებათა ტრადიციებს, როცა საფრანგეთი მთელს ევროპაში აერცვლებდა სოციალიზმის იდეებს და როცა ამ იდეების შეთვისება რუსეთში გერცენისა და ჩერნიშევსკის თეორიებსა და მოძღვრებას იძლეოდა“ (ვ. ი. ლენინი)¹.

60—70-იანი წლების ქართული ლიტერატურული პრესა ჭანსაღი სულით აღავსებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

პეტრე უმიკაშვილი

დიდი თანამედროვენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ. პეტრე უმიკაშვილს ღრმად განათლებულ, ერუდირებულ ლიტერატორად და ჟურნალისტად თვლიდნენ. ნახევარი საუკუნის მანძილზე პ. უმიკაშვილი იყო ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი, ლიტერატურული და პოლიტიკური თანამესაგრი.

„დროება“-„კრებულის“ ხელმძღვანელთაგან ილია უმუშალოდ პეტრე უმიკაშვილთან იყო დაკავშირებული. მას უგზავნიდა თავის ნაწერებს. აცნობდა შემოქმედებითს გეგმებს, უმხელდა შემოქმედებითი დუმილის მიზეზებს. 1873 წელს ილიამ პეტრე უმიკაშვილს გამოუგზავნა სარედაქციოდ ივანე მაჩაბელთან ერთად გადმოთარგმნილი „მეფე ლიარის“ პირველი ნაწილი.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 307—308.

3. უმიკაშვილს წილად ხედა ბედნიერება პირველთაგანს წაეკიახა „კაცია ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩალი“ და „აჩრდილი“, „დიმიტრი თავდადებული“ და „ოთარაანთ ქვრევი“; პირველთაგანს გამოეთქვა თავისი ავტორიტეტული აზრი „საქართველოს მოამბისა“ თუ „ივერიის“ შესახებ. 1890 წ. 31 მარტს ილია სთხოვდა, როგორც ჩანს, ცოტა შემოძწყურალ მეგობარს: — „ძმოდ პეტრე, ჩემო კარგო მეგობარო!.. რაღაცაზე ნაწყენი ყოფილხარ და უნდა მითხრა. ამას თხოულობს ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა. „ივერიაზე“ გვექნება ლაპარაკი და მინდა... შენი რჩევა გავიგონო“.

მიუხედავად დაბალი სოციალური წარმოშობისა და სიღარიბისა პეტრე უმიკაშვილმა თავისი დროისათვის ჩინებული განათლება მიიღო და მთელი ცოდნა, მთელი სიცოცხლე მშობელი ხალხის უანგარო სამსახურს მოახმარა.

თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი მოღვაწეები, რომელთაც პეტრე უმიკაშვილისოდენა ამაგი მიუძღოდეთ მშობელი ერის წინაშე. ჩვენი ხალხის ყოველ კეთილნამოქმედარს წარსული საუკუნის მეორე ნახევარში სამარადეუმოდ აღბეჭდვია მისი ნათელი ხსოვნა. საერთო ვითარებისდაკეცვალად, მაშინდელ ქართველ მოღვაწეს, ერთდროულად მრავალ სხვადასხვა ასპარეზზე უხდებოდა შრომა; მრავალ უყურადღებოდ დარჩენილ და გადაუდებელ საქმესა და დარგს უნაწილებდა თავის ნიქს, ცოდნასა და ენერგიას, მაგრამ პეტრე უმიკაშვილი ამ მხრივაც შეუდარებელია: კულტურისა და მეცნიერების ზოგიერთ დარგში ის იყო არა რიგითი მუშაკი, არა უბრალო მოყვარული და ენთუზიასტი, არამედ ფუძემდებელი. (ფოლკლორისტიკა, ეურნალისტიკის ისტორია, თეატრის ისტორია და სხვ.) ამასთან, უაღრესად ძლიდარი და მრავალფეროვანია პ. უმიკაშვილის ლიტერატურულ-პუბლიცისტური შემკვიდრეობა, რომელიც ჰერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი; არ მოგვეპოვება მონოგრაფიული გამოკვლევა და ნაწერთა სრული ბიბლიოგრაფია. ღირსეულად დაფასებულია მხოლოდ მისი ფოლკლორისტული მოღვაწეობა. ამიტომ სავსებით გასაგებია ამ დღემამდარის თანამედროვეთა გულისტკივილი, რომელიც ასე კარგად გამოუხატავს ეკატერინე გაბაშვილს: „არიან იმისთანა პირნი, რომელთა პიროვნება და ღვაწლი დაუეიწყარნი უნდა იყვნენ საზოგადოებრივად და ამგვარ პირთ ეკუთვნოდა, უეპველად „ჩვენი პეტრე“, როგორც მას უწოდებდა ყოველი ინტელიგენტი ქართველი. დღეს კი „ჩვენი პეტრე“. ეს მთელი მესამოცე წლებიდან დაწყებული 1904 წლამდე მოამაგე და საზოგადო მოღვაწე, მთელი სიგრძე-სიგანით, თავისი მნიშ-

13. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, შენიშვნებითა და წინასიტყვაობით, 1937 წ.

უნელობით დაეწყებულა. ეს დიდი უმადურობაა, და როგორც ყოველი უმადურობა, „მე გულს მტკენს“¹.

პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი დაიბადა თბილისში 1838 წლის 23 ოქტომბერს. მამამისი წერილ ვაჭრობას ეწეოდა, მაგრამ, რაკი ფრანგული ენა კარგად იცოდა, მოგვიანებით საფრანგეთის კონსულ შევალის-ესთან დაიწყო მდივან-თარჯიმნად სამსახური და რაძდენიმე ხნით საფრანგეთშიაც კი გაჰყვა მას.

დედა პეტრესი — მარიამ სტეფანეს ასული კაკალაშვილი, „ძმომენი, ჭკვიანი, შორსმჭკრეტელი და საკვირველის ესთეტიკურის გემოვნების“ ქალი იყო².

1843 წელს ხუთი წლის პეტრეს მამა გარდაეცვალა. დედა-შვილს მეტად მცირე სარჩო-საბადებელი დარჩათ და აუტანელ გაჭირვებაში ჩაიცივდნენ.

დაწყებითი განათლება პეტრემ მიძინების (კათოლიკეთა) ეკლესიის სამრევლო სკოლაში მიიღო. სწავლა თბილისის კომერციულ გიმნაზიაში განაგრძო, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ, 1854 წლიდან — პირველ გიმნაზიაში გადავიდა, რომელიც 1860 წელს დაამთავრა. უნდოდა უნივერსიტეტში შესულიყო, მაგრამ სახსარი არსაიდან ჩანდა და მოამაგე დედისათვის გაჭირვება რომ შეეძსუბუქებინა, სამსახურის ძებნას შეუდგა. პეტრე უმიკაშვილის „დღიურები“, რომელიც მის არქივშია დაცული, მკაფიოდ წარმოგვიდგენს მაშინდელი ქართველი ახალგაზრდის ტრაგედიას. 1860 წელს ერთ „დღივაცისაგან“ გამოძევებულ პეტრეს ჩაუწერია: „თვალეში რომ შეხედო, გაუმადრობისა და ხარბობის მეტს ვერასა დაინახავ იმათს გამომეტყველებაში... ვაი შენი ბრალი, მთელი ბუნების შემგინებელო, შემარცხვენელო ადამიანო! ოხერო და ტიალო, შენთან მოდის ობოლი, შეწუხებული ყმაწვილი კაცი. გთხოვს პირდაპირ, იქნებ ერთი რაძე ადგილი უბოძო. შენი ხელის გამართვა ეს არის, რომ საათობით ბალკონში აცდევინებ“.

ამ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში პეტრე უმიკაშვილი „ცისკრის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს დაუახლოვდა და მისი დავალებით, ჟურნალზე ხელმოწერის სიას კარდაკარ დაატარებდა. ამასთან, ქართული წიგნების გამოსაცემი ფონდის შესაქმნელად მსურველებს აგროვებდა, მაგრამ არც ერთი, არც მეორე საქმისგან არაფერი გამოუვიდა. „დღიურებში“ მწარე ნაღველით წერს უსაქმურებზე, რომლებიც ზოზლით ხვდებოდნენ ქართული წიგნისა და ჟურნალის შიკრიკს.

ამავე პერიოდს ეკუთვნის პ. უმიკაშვილის ლიტერატურული დებიუტი. „ცისკრის“ 1860 წლის მე-12 ნომერში დაიბეჭდა მის მიერ გად-

სსლმ, ფონდი № 17020—ბ.

² პ. უმიკაშვილის ავტობიოგრაფია, „ვერია“, 1904, № 123.

მოკეთებული კარამზინის—„მწერალს რა ეპირება?“ ეს თავისებური პასუხია იმ სულიერ ტკივილზე, რომელიც მას ყველაზე მეტად სტანჯავდა; ლიტერატურა უსათუოდ ჰუმანისტური უნდა იყოს, მწერალი სიკეთეს უნდა ქადაგებდეს და თავადაც სიკეთეს განასახიერებდეს. შემოქმედება და შემოქმედი განუყოფელი იდეურ-მორალური კატეგორიაა; არ კმარა ნიჭი და ცოდნა, შემოქმედებაში გადაძწყვეტი როლი კეთილ, სათნო გულს ეკუთვნის. ლიტერატურამ უნდა აღკვამალოს, გულქვა ადამიანი კი აღმაძღვლებელს ვერას შექმნის. მწერალს „სიყვარულის სუნთქვა უნდა აღვიძებდეს“. კარამზინის ლიტერატურული შეხედულებებიდან პ. უმიკაშვილს შეურჩევია ის, რაც რეალიზმის ნიშანთვისებასაც შეადგენს — ხალხის გაქირებული ცხოვრების ასახვა მისდამი თანაგრძნობის პოზიციიდან.

საყურადღებოა, რომ ამ წერილისათვის დართულ შენიშვნაში პ. უმიკაშვილი აუცილებლად თვლის უან-უაკ რუსოს თბზულებათა ქართულად გადმოთარგმნას და გადაკვრით ახალი ქართული ჟურნალის ან გაზეთის დაარსებაზედაც მიანიშნებს: „ყველაფერი ხომ პატარა „ცისკარში“ ვერ დაისტამბება“.

„ცისკარში“ თანამშრომლობის დროს, პეტრე უმიკაშვილს შეუგროვებია ქართული ხელნაწერები, ჩაუწერია საინტერესო ფოლკლორული მასალები, რომლებიც შოგვიანებით გამოაქვეყნა; აღმოუჩენია ნ. ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი, რომლებიც „ცისკარში“ დაიბეჭდა.

პ. უმიკაშვილი განუდრეკელი სიმტკიცით მიჰყვებოდა არჩეულ გზას, თვითგანვითარებით იმდიდრებდა ცოდნას, ხარბად ეწაფებოდა ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ნაწერებს. მონაწილეობდა არალეგალურ წრეში, კითხულობდა „კოლოკოლსა“ და „სოვრემენიკს“ (სხვათა შორის, 90-იან წლებში გ. თუმანიშვილს მისგან შეუძენია „სოვრემენიკის“ სრული კოლექცია 1858 წლიდან მოყოლებული).

მთელი წლის მანძილზე მას ერთი წუთითაც არ სტოვებს უნივერსიტეტზე ფიქრი. „ან მერმისს როგორ წავალ მე უნივერსიტეტში?“ ჩივის ოცდაორი წლის ჰაბუკი. — ... (არა, უნდა წავიდე)... „მე ბევრი რამ მაქვს ასასრულებელი მამულისათვის... წასვლას უნივერსიტეტში არ ვიცი რით მოვახერხებ არ ვიცი, რა ვქნა, არ ვიცი, რა იქნება ჩემი ბოლო, ნეტავი, გარიბალდი ახლოს იყოს, იქნება, იმისკენ თავი მეკრა; სულ არაფერი თუ მოვკვდები, კეთილი საქმისათვის მოვკვდები მაინცა“.

პ. უმიკაშვილის ცხოვრებაში იმედი და რწმენა შემოიტანა 1861 წელმა, როცა მისთვის ეგოდენ საოცნებო უნივერსიტეტიდან სამშობლოში დაბრუნდნენ მოწინავე ახალგაზრდები. იგი ილია ჭავჭავაძის წრის ერთი ყველაზე მოქმედი წევრი გახდა და სიკვდილამდე აღარ განშორებია მას.

1861 წლის 27 ივნისს, თაობათა შორის გაჩაღებული პოლემიკის ქარცეცხლში, ილიას შეხედულებების, ილიას წერილებისა და ლექსების დასაცავად საინტერესო სტატია დაუწერია, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არის გამოქვეყნებული. პ. უმიკაშვილს დიდი ამაგი აქვს „საქართველოს მოამბის“ დაარსებასა და მუშაობაში. იგი დღენიადავ მხარში ედგა ილიას. ჟურნალის გასავერცელებლად დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასწორებდა დასაბუქდად მასალებს და, როგორც ამ ჟურნალის ერთადერთი კორექტორი, თავს ედგა თვითულ ნომერს.

ოჯახი რომ შეენახა და უნივერსიტეტში შესასვლელად ცოტაოდენი თანხა შეეგროვებია, აღნიშნულ წლებში პ. უმიკაშვილი ბევრ მომქანცველ და უმადურ საქმეს ეწეოდა: მდიდარ ოჯახებში რეპეტიტორად მიდიოდა, ერთხანს ბატონიშვილ ერეკლეს მიერ დაარსებულ სკოლაში ქართულ ენას ასწავლიდა, ხოლო 1862—1864 წლებში თვეში თორმეტ მანეთად, ტერ-აკოფოვის პანსიონში მსახურობდა აღმზრდელ-მასწავლებლად. ასეთ პირობებში შეადგინა და 1864 წელს გამოაქვეყნა „ქართული ანბანი“, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა; ეს წიგნი ქართული ენის ყველა წინანდელ სახელმძღვანელოს სჯობდა და ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოსვლამდე იხმარებოდა სკოლებში.

მომჭირნეობით დაზოგილი თანხითა და ნასესხები ფულით, ბოლოს და ბოლოს, პეტრე უმიკაშვილმა შესძლო სანუკუარი ოცნების განხორციელება — 1864 წლის შემოდგომაზე პეტერბურგს გაემგზავრა და უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შევიდა.

გულმოდგინედ მეცადინე პეტრე სტუდენტთა მოძრაობაშიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა; დაახლოებული იყო რუს რევოლუციონერებთან და თანამემამულეთა შორის. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. 1867 წელს მან წარმატებით ჩააბარა გამოცდა და ქართული ენის მასწავლებლის მოწმობა მიიღო.

სტუდენტობის დროს, 1866 წელს, თბილისში დაიბეჭდა მისი წიგნი: „ძველი ხალხების ცხოვრება. ინოვაციები, ეგვიპტელები“. 1866 წლიდანვე „დროებაში“ აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებსა და კოროსპონდენციებს.

1868 წლიდან 1893 წლამდე პ. უმიკაშვილი ქართულ ენას ასწავლიდა თბილისის პირველ გიმნაზიასა და ქალთა ინსტიტუტში. იმ დროს ეს პატრიოტული მოღვაწეობის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის უფლებათა დამკვიდრების ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი უბანი იყო¹.

ქართული ენის სწავლების ასპარეზზე სერიოზული შოკლენა იყო

¹ სსკმ, ფონდი, № 17020—ხ.

1878 წელს დაბეჭდილი წიგნი — „დედანი ქართული წერისა. მრგვალი ხელი. ნუსხური ხელი. შედგენილი და გამოცემული პეტრე უმიკაშვილის მიერ“. საკმარისია ითქვას, რომ აღნიშნული გამოცემა ქართული წერის პირველი ნიმუშია. „კრებულში“ დაბეჭდილი წერილების მიხედვით, პეტრე უმიკაშვილი 60-70-იანი წლების ერთ უნიჭიერეს მოაზროვნედ. კრიტიკოსად, პუბლიცისტად და ფელეტონისტად წარმოგვიდგება. წერილებში „არსენა“ (1872, № 7), „იოსებ მაძინი“ (1872, № 8—9) და „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“ (1872, № 8—9), მას მხატვრული ლიტერატურის კარდინალური საკითხები აქვს განხილული. სამწუხაროდ, ამ ყოველმხრივ საინტერესო წერილებისათვის დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ და პირველი ორი სტატია ქართული ლიტერატურული კრიტიკას ქრესტომატიაშიც არ არის შეტანილი.

პ. უმიკაშვილს ლიტერატურული კრიტიკის მიზნად მიაჩნდა „განმტკიცება მწერლობისა და მისი გავლენისა საზოგადოებაზე“. იგი მატერიალისტური ესთეტიკის თვალსაზრისით განიხილავდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარების პრობლემურ საკითხებს და ზოგიერთ მათგანზე, როგორც, მაგალითად, ლიტერატურის ხალხურობაზე, ისეთი საყურადღებო და კონკრეტული შეხედულებანი აქვს გამოთქმული, რომელთა მსგავსს იმ დროის სხვა ქართველ კრიტიკოსთა ნაწერებში ვერ ვხვდებით.

კრიტიკოსისაგან პ. უმიკაშვილი მოითხოვდა მხატვრული ნაწარმოების ღრმა ანალიზს, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვით, ბელოვანის ჩანაფიქრის ამოხსნასა და შეფასებას, მისგან გამომდინარე დადებითი იდეალების პროპაგანდას, დაბოლოს, შემოქმედებითი პროცესის ხასიათის ამოცნობასა და მასზე დაკვირვებით გამოტანილ დასკვნათა განზოგადებას. ამ ამოცანების შექმნე, მას ამო დაშვროქმად ეჩვენებოდა „ძველთა კრიტიკოსთა“ მიერ „ასოების და სიტყვების ქექვა-და აზრების სრულიად დაუდევნელობა“.

„კრიტიკოსის საქმე ის არის, — წერდა პ. უმიკაშვილი, — (გამოარკვიოს), გაიგოს თუ არა მწერალმა ერის საწადელი, რომელიც ან უკვე გაღვიძებულია ან მალე გაიღვიძებს ჟამთა ვითარების ძალით. მას უკან—რამდენად გაიგოს და გამოხატა? ძირითვან აუღია საგანი თუ მარტო გარეგანი შეხედულება? გარეგანი გამოხატვა და წარმოდგენა საგნისა როგორ ეთანხმება მწერლის მხედველობას და გრძნობას და გრძნობის ძალასვე“. აი, ჩვენი ზომა და სასწორი ყოველის თხზულებისა და მწერლის დაფასების დროს!

როგორც ვხედავთ, ავტორს ძალიან რთულად ესახებოდა კრიტიკო-

¹ „კრებული“, 1872, № 7.

სის მოვალეობა და, სხვათა შორის, კიდევ ურჩევდა მათ: „თვალი ადევნეთ და გადაიკითხეთ ძველი და ახალი კრიტიკოსები, ბელეტრისტები, პოეტები, ისტორია ლიტერატურისა“ და ა. შ. კრიტიკა ძლევამოსილია მაშინ, თუ ის ემყარება მეცნიერულ კანონებს, ისტორიის გამოცდილებას და არა სუბიექტურ გემოვნებას, რადგან „გეშოვნებას სასტიკ საზღვარს ვერავინ განუსაზღვრავს“ და თვით დიდი როლი ენიჭება მის წარმართვასა და რეფორმაციასში.

როგორც ჭეშმარიტი სამოციანელი, პ. უმიკაშვილი უკომპრომისოდ ილაშქრებდა განუყენებელი, თითქოსდა ცხოვრებაზე მალლა მდგომი, სინამდვილეში კი ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, „წმინდა ხელოვნების“ წინააღმდეგ და ეს ნიშანი გამიიჭნავ ხაზად მიაჩნდა ხელოვნების ისტორიაში: „ძველი მწერლები უფრო ხელოვნებისათვის სწერდნენ, ახლები კი უფრო ხალხის ცხოვრებისთვის.“ — ამბობდა ის და ამ „ახალში“, როგორც ვნახავთ, კრიტიკული რეალიზმის ხელოვნება იგულისხმებოდა. ამ განუყენებლობისა და პასიურობისათვის კიცხავდა პ. უმიკაშვილი ლეოპარდის, მანტონის, გროსის, პელიკოს, დახელიოს, რომლებიც, მისი სიტყვით: „აღამიანს მორჩილების სულს უნერგავდნენ“.

ჩვენ ვერ გავვაოცებხ იმის დადგენა, რომ პ. უმიკაშვილს ხელოვნების ასპარეზად საზოგადოებრივი ცხოვრება მიაჩნია და ხელოვნის მოვალეობად — რეალურის რეალისტური ასახვა. მაგრამ საქმე ის არის, რომ კრიტიკოსი ფორმალური აღიარებით არ კმაყოფილდება და საკმაო სისრულით მსჯელობს ამგვარი ხელოვნების არსსა და სპეციფიკაზე. კერძოდ, მკაფიოდ აყალიბებს თვალსაზრისს, რომ ხელოვნება სიღრმისეულად უნდა ასახავდეს ცხოვრებას, მწერალი მისი განვითარების ტენდენციას უნდა ამჩნევდეს და ამით ერთგვარად წინ უსწრებდეს საერთო აზრს, ხელს უწყობდეს სინამდვილის სწორ შემეცნებას, რისთვისაც ასახვა მის მსოფლმხედველობრივ პოზიციას უნდა ემყარებოდეს და შეესაბამებოდეს, და, ამასთან, მძლავრ ესთეტიკურ ზეძოქმედებას ახდენდეს.

აქედან გამომდინარეობს და ამ დებულებათა პრინციპულ საყრდენს წარმოადგენს ავტორის მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულება ლიტერატურის ხალხურობის შესახებ. ლიტერატურის ყურადღების ცენტრში ხალხის ინტერესები უნდა იდგეს, რა აწუხებს და რა მოუხდება ხალხს, რა სატკივარი აქვს და რა წამალი ესაჭიროება; კრიტიკოსის მსჯელობის საფუძველზე, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ხალხი მას ისტორიის მამოძრავებელ ძალად მიაჩნია და ამ ცნებაში ისტორიული კატეგორიის ნიშნებს ამჩნევს.

ეს თვალსაზრისი იმდენად სწორი და დასაბუთებულია, რომ სისხლხორცეულად ეხმიანება ლიტერატურის დანიშნულებაზე, მის ხალხურობაზე ჩვენს წარმოდგენას. პ. უმიკაშვილს ის მრავალი კუთხით აქვს

განხილული და აწონილ-დაწონილი. ხალხი უკმაყოფილოა, ხალხი მართალია, ხალხი მებრძოლია, ხალხის ინტერესების გამოხატვა, მისთვის ბრძოლა ხელოვნების უკვდავების საწინდარია. კრიტიკული რეალზმის ეს პრინციპული მოთხოვნა ავტორს თითქოს, შკაფიო ფორმულის სახით ჩამოუყალიბებია: შემოქმედების ხარისხი განპირობებულია ხელოვნანის მიერ ხალხის ბუნებითი საწადელის შეგნებისა და მართლად ასახვის ხარისხით. უკვდავია ის, რაც ამა თუ იმ ეპოქაში ხალხის უმთავრეს საზრუნავ საგანს, გადაშფყვეტ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს. ლიტერატურა ხალხის ინტერესების გამოხატვის ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, — ზოგიერთ ისტორიულ მონაკვეთში კი:— შეიძლება ერთადერთი საშუალებაც იყოს. ასეთ საშუალებას წარმოადგენს ის პოლიტიკური ტერორის ეპოქაში, როცა ხალხს თავის მისწრაფებათა გამოთქმის სხვა შესაძლებლობა წართმეული აქვს, — როდესაც სწავლა და გონება შევიწროებულს მდგომარეობაშია და ადამიანის გონების საჭიროებას არ აკმაყოფილებს“. ამ უკანასკნელს ვითარებაში: „ლიტერატურა... აღზრდის ადგილსაც იჭერს“. ასეთ წყვილად შივ ხელოვნებას ძალა შესწევს გამოაფხიზლოს ხალხი, ამხედროს და დარაზმოს იგი თავისი ინტერესების დასაცავად. რეალისტმა მწერლებმა „ბევრი სარგებლობა მოუტანეს ხალხსა, მამულის სიყვარულის ჩანერგვითა და უბედურების მდგომარეობის შექმნებითა“.

ლიტერატურის ხალხურობის წარმოსაჩენად, პ. უმიკაშვილი ევროპული მწერლობის მაგალითებსაც იშველიებდა. მაძინის შემოქმედებამ, მისი სიტყვით, იეზუიტური დევნის გარემოცვაში, ბრძოლისათვის გამოაწრთო იტალიელი ხალხი, ნიადაგი შეუმზადა გარიბალდის და მასზე არანაკლები როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მას ბევრი საბუთი მოაქვს იმის ნათელსაყოფად, რომ სინამდვილისაგან მოწყვეტილი, ცხოვრების საჭირობოტო მოთხოვნილებებისაგან განზე გამდგარი, კეკლუტური ქედმალლობით თავის თავში ჩაკეტილი ხელოვნება ხალხის გულში ვერასოდეს იპოვის ბინას, და მაშასადამე, ვერც დამკვიდრდება. მაღალმხატვრულია ის, რაც ხალხის ფართო წრეებს შესძრავს, რაც საყოველთაო, სახალხო ყურადღების საგნად იქცევა; ვიწრო, კამერული ხელოვნება უმწეოა, ყალბი და დღემოკლეა.

უთუოდ, ყურადსადები ფაქტია, რომ „მამათა“ ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლაში რეალიზმისა და ხალხურობის პრობლემას პ. უმიკაშვილი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა. „ძველი თაობა“, მისი აზრით, ხელოვნურად თიშავდა ლიტერატურას ხალხისაგან, განზრახ აუცხოებდა და გაუგებარს ხდიდა, ხალხისათვის შეუღწეველ ნატუქში ამწყვედევდა მას.

ამ თვალთახედვით განიხილავს პ. უმიკაშვილი ლიტერატურის თე-

მატიკისა და ჩანაფიქრის მხატვრული გადაწყვეტის ყველა საკითხს; ის, რაც ხალხის ინტერესებს გამოხატავს, მუდამ აქტუალურია და, ამიტომ, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს მწერალი ისტორიულ თემატიკას მიმართავს თუ თანადროულს. ხალხის ბრძოლას მუდამ შეიძლება თანადროული აუღერება მიეცეს. „არსენას ლექსის“ პოპულარობის, მაგალითზე კრიტიკოსს ზედმწევნით აქვს ამოხსნილი ლიტერატურის ხალხურობის ნიშნები. იგი ნათელყოფს ცხოვრებისა და ხელოვნების სისხლხორცეულ, კანონზომიერ კავშირს, რომელიც თვით რეალური სინამდვილის მოვლენათა არსითაა განსაზღვრული.

პ. უმიკაშვილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურა ჩაგრულთა ინტერესების ქომავია და რომ მის ხალხურობას ექსპლოატირებულთა მისწრაფებების აქტიურ ფორმაში ასახვა წარმოქმნის, ხალხის იდეალი შეიძლება გამჟღავნებული იქნეს ცხოვრების როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეების ჩვენებით, მაგრამ ხალხს სულ უფრო მეტად მისი წიაღიდან გამოსულ მებრძოლთა დადებითი სახეები იზიდავს. ქართულ კრიტიკაში პ. უმიკაშვილმა პირველად დააყენა დადებითი გმირის საკითხი, პირველმავე მოგვცა ამ საკითხის ღრმა ანალიზი. ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ იდეურ მებრძოლთა სახეების შექმნა, მას ლიტერატურის სიდიადის დაღასტურებად მიაჩნია. მშრომელ კლასებს სასიცოცხლოდ ესაჭიროებათ თავიანთი იდეალის კონკრეტული განსახიერება. ლიტერატურის საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი ფუნქციის ასეთი გაგება უშუალოდ ეხმიანება უფრო მოგვიანდ პერიოდის—90-იანი წლების კრიტიკული რეალიზმის პრინციპულ თავისებურებებს. საგულისხმოა, რომ მოგვიანებით პ. უმიკაშვილი ამ ღირსების გამო მიესალმა ე. ნინოშვილის „სიმონას“.

ხალხის ინტერესების გამომხატველი გმირთა სამყარო სოციალურად შეზღუდული არაა, ისინი შეიძლება განსხვავებულ სფეროში მოღვაწეობდნენ, საზოგადოების სხვადასხვა ფენას ეკუთვნოდნენ, მაგრამ მათ შეგნებული აქვთ მოცემულ ეტაპზე ხალხის საჭიროებანი.

კრიტიკოსის მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ხალხი საკუთარი განწყობილებისა და მისწრაფებების პოზიციიდან აფასებს ხელოვნების ნაწარმოებს და ვერავითარი ქება-დიდება ვერ აიძულებს მიიღოს ის, რაც მისაღები არაა, და უარყოს ის, რაც მის საწაღელს გამოხატავს. ამ თეორიული დებულების საბუთად ის „არსენას ლექსისა“ და არსენას სახის უკვდავებას თვლის.

კრიტიკული რეალიზმის თეორიის თვალსაზრისით, პ. უმიკაშვილი საინტერესო დასკვნამდე მიდის: დადებითი გმირი მარადიულია, როგორც ხალხის იდეალი. მისი ცხოვრება ისევე ეკუთვნის აწმყოსა და მომავალს, როგორც ეკუთვნოდა წარსულს, არსენა ცოცხლობს, რად-

გან ხალხის განთავისუფლებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა გრძელდება: „ხალხს შორეულ, უცხო სივრცეებზე არ მიაჩნია არსენას სივრცეზე და იმისი აზრები (დღესაც) ძალიან არა შორდება არსენას აზრებსა“.

ჩვენ საგანგებოდ გამოვეყავით პ. უმიკაშვილის შეხედულებანი ხელოვნების არსის, კერძოდ, ლიტერატურის ხალხურობის შესახებ, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მის წერილებშიც ეს საკითხი განცალკევებით იდგეს. პ. უმიკაშვილს წუთითაც არ ავიწყდება ხელოვნების სპეციფიკა; შემოქმედებითი ძეგლის განხილვა მისთვის ფორმისა და შინაარსის ერთდროული და ერთმანეთისაგან განუშორებელ გათვალისწინებას გულისხმობს და თუ იდეა წამყვანია, ხელოვნება მაინც იქ იწყება, სადაც მას შესაბამისი მხატვრული ფორმა აქვს გამოძებნილი, — ამდენად, როგორც მოცემული ძეგლის ატრიბუტები, ხელოვნებისათვის ისინი ერთად იბადებიან და ერთად არსებობენ, და, რაკი ასეა, დემოკრატიულ შინაარსს დემოკრატიული ფორმა შეესაბამება და ხალხის სასარგებლო იდეა მისთვის გასაგებ, მისაწვდომ და მიმზიდველ ფორმაში უნდა იქნეს განსახიერებული. იგი, უწინარეს ყოვლისა, უბრალოებით, მკაფიოებითა და მხატვრული სახეების განათებით უნდა გამოირჩეოდეს: მწერლის ენა, სტილი, მანერა, მოსახვის საშუალებათა ერთობლიობა საყოველთაო, ადვილად გასაგები უნდა იყოს. ყოველივე ეს კი, დიდ ნიჭთან ერთად, დაძაბულ შემოქმედებით შრომას მოითხოვს, რადგან უბრალოება სიმარტივეს არ ნიშნავს და ბუნდოვნება სიზარმაცის ნაყოფია. მხატვრული სახის გამკაფიოება ზედმეტის, აუცილებლისა და ქარბის თვალთახედვით მის მკაცრ აწონ-დაწონასა და დახვეწას მოითხოვს. „ერთი უპირველესი პირობა მწერლისა ის არის, რომ მკითხველისათვის გასაგები იყოს მისი ნაწერი“¹.

ხელოვნება მხოლოდ ადამიანთაღმე მიმართებაში, ლიტერატურა მხოლოდ მკითხველთაღმე მიმართებაში ავლენს თავის არსებობას და ამ მიმართების გარეშე იგი მკვდარია. უნდა შევნიშნოთ, რომ ფორმის დემოკრატიზაციის მოთხოვნას პ. უმიკაშვილი ზოგჯერ თითქოს-გადაქარბებულ უტილიტაროზმამდე მიჰყავს. ერთგან, მაგალითად, წერს: „რა დროს დეფისები და ტირებია, როდესაც ძველი მწერლობა კვდება და თავგების კერძათა ხდება?“

მაგრამ ეს პოლემიკის კოცონიდან ავარდნილი ნაპერწყლებია და ავტორის პრინციპულ თვალსაზრისს არ გამოხატავს. პირიქით, როგორც „კრებულში“, ისე შემდგომ გამოქვეყნებულ წერილებში, ფორმის მი-

¹ პ ე ტ რ ი ძ ე, „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“, „კრებულში“, 1872, № 8—9.

მართ პ. უმიკაშვილი მეტად მკაცრ მომთხონელობას იჩენდა. „ნინოშვილის მოთხრობებს ხელოვნება, ფორმა აკლიაო“, — საყვედურობდის. ეხებოდა რა „მომბეში“ დებუქდილ გვაზავას ლექსებს, შენიშნავდა: „ჭერ, უნდა აეღოთ მთელი შინაარსი „შინშეში“ და გაერკვიათ. რამდენად არის იდეა გამოყვანილი. — გვაზავას ამ ლექსებში რომ სურათები გვარიანად არის გამოხატული, ეს უეჭველია; — ფორმა ლექსისა გარეგანის მხრით პოეტურია, პარმონიულია და სიხანლე სიმსუბუქე აქვს, როცა სხვებს, არც ერთს პოეტს ჩვენი დროისას არ ეტყობა. ჭერ ჩვენს დროში პოეტი მარტოდ ერთადერთი ვაჟა ფშაველაა სხვებმა ძველ აქამომდე მეღექსეებმა, ლექსებს თავი უნდა დაანებონ სჯობია, აზრი და იდეა არა კმარა, გარეგანი ფორმა უნდა და ამის უფალი ჩვენში ვაჟა ფშაველაა“.

ლიტერატურას პ. უმიკაშვილი გმირული ბრძოლის სარბიელად თვლის. მხდალ მწერალს ამ ასპარეზზე წარმატების მიღწევა არ შეუძლია, რადგან თამამი აზრებისა და გაბედული გამოთქმების გარეშე, სისხლსავსე სახალხო ნაწარმოები ვერ შეიქმნება და მშიშრული სტილი მუდამ ფერმკრთალი და მოდუნებულია. ხელოვანი სინამდვილი გულგრილი მჭერეტელი კი არ არის, არამედ საზოგადოებრივი მოვლენებისა და ფაქტების ამწონ-დამწონი და მსჯავრმდებელია.

როცა ლიტერატურა შებოჭილია, როცა „ყოველი გაბედული ან ახალშემოდებული სიტყვა და ცოცხლად გამოთქმული აზრი“ ცენზორს ანრისხებს, „ხოლო ლიტერატურა ერთადერთ ასპარეზად რჩება, სადაც საზოგადოების სურვილი და საჭიროება უნდა გამოითქვას, მწერალმა გადაკვრით, გადასხვაფერებით, ალეგორიულად მაინც უხდა. გამოხატოს ეს ტკივილები და განაცხოველოს... იმედი და აჩვენოს ღონისძიება იმ დროის მდგომარეობის შეცვლისა“. იგი მოწოდებული კრიტიკულად შეხედოს სინამდვილეს, დაგმოს არა მარტო ცალკეული მანკიერებანი, არამედ მთელი მახინჯი სოციალური სისტემა.

პ. უმიკაშვილი არა ერთგან ამახვილებს ყურადღებას ლიტერატურის მიზანდასახულ ტენდენციურობაზე. მოჩვენებითი მიუკერძოებლობა. ნეიტრალიზმი ხელოვნების არსის დალატად, თვითმკვლელობად მიიჩნია.

ამ შეხედულებებს მნიშვნელობა ჰქონდათ როგორც კრიტიკულ რეალიზმის საფუძველთა განმტკიცების, ისე წმინდა საბრძოლო პოლიტიკური თვალსაზრისით და ავტორი აქ საკუთარი მაგალითით ავლენდა ლიტერატურის (ამ შემთხვევაში ლიტერატურული კრიტიკის) დრმა ტენდენციურობას. იშველებს რა იტალიური ლიტერატურის გამოცდილებას, პ. უმიკაშვილი ასკვნის: „გამოჩნდნენ ისეთი მწერლები, რომლებიც ნიადაგ ვაშს ქადაგებდნენ მუდმივ ბრძოლას კაცის უფლებისა და სიმართლისათვის, თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობა“.

ბისა და გონების გახსნისათვის, ქადაგებდნენ ბრძოლას შინაური ჩაგ-
რისა და უცხო ქვეყნელთა გავლენისაგან... ეს მწერლები ცდილობდ-
ნენ გაემხნევებინათ მაგალითებითა თუ რა შეუძლია ძლიერის ნებისა
და მოწადინე კაცსა“. ასეთი ტენდენციურობის ნიშნულად მოაქვეს გვარა-
ცის სიტყვები: „ეს თხზულება იმიტომ დაწერე, რომ იტალიის მტრებ-
თან სხვაგვარი ომის გამართვა არ შემეძლო“.

როცა პ. უმიკაშვილის აღნიშნულ სტატიებს ამ თვალსაზრისით ვი-
ხილავთ, გვაოცებს კიდევ მათი რადიკალიზმი, თანამედროვე შეხედუ-
ლებებთან მათი სიახლოვე. პ. უმიკაშვილი აქ ზოგადად როდი ლაპა-
რაკობს ლიტერატურის ტენდენციურობაზე, იგი მტკიცე მსოფლმხედ-
ველობრივ ტენდენციას ქადაგებს და ხელოვნების უმთავრეს: პათოსად
არსებულის უარყოფას თვლის. „ლიტერატურა, მწერლობა, -- წერდა
ის „კრებულში“ — ცხოვრების ერთი წინწაჭყენებელი ძალაა. იგი ჩვენ
ორგვარად უნდა განვსაჯოთ: ან უნდა იყოს ერი წინწასვლის მუშა. ესე
იგი ემსახურებოდეს ერში სიკეთის ჩამოგდებას ან უნდა ეწინააღმდე-
გებოდეს... მხარის დაუჭერლობაც ისეთივე საქმეა, როგორც წინააღმ-
დეგობა, მაშასადამე, ორგვარია მწერლობაც: ერთი არის სიკეთის ნაშ-
დელი და არა ცრუმშველელი, მეორეა — დამაბრკოლებელი“.

პ. უმიკაშვილს კარგად ესძის, რომ ცხოვრების ძარბალი ასახვა შე-
უძლია მხოლოდ იმ შემოქმედს, რომელიც ღრმად იცნობს ცხოვრებას,
აქვს მდიდარი ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილება, — ხალ-
ხის განწყობილებებსა, სულისკვეთებასა და ადამიანთა ხასიათებზე თა-
ვსებური, ორიგინალური დაკვირვების უნარი.

მაგრამ, ეს ერთი აუცილებელი პირობათაგანია მხოლოდ და ძარ-
ბოლოდენ ის არ იძლევა სინამდვილის მხატვრული ასახვის გარანტიას,
თუმცა. ისიც უნდა ითქვას, რომ ცხოვრების მოვლენებზე ორიგინა-
ლური დაკვირვების უნარი თავისთავადაც ლიტერატურული ტალანტის
გამოვლინებაა, მაგრამ იგი გამოვლინებაა ამ ტალანტის ერთი მხარისა,
მწერლის ნიჭი კი უაღრესად შრავალმხრივია. „ღვთით მომადლებულ“
უთვალავ ნიშანთებისათა უბედნიერესი შერწყმაა. პ. უმიკაშვილს მო-
ეწონა ე. ნინოშვილის „სიმონა“, რადგან „მის ავტორს დაკვირვება
ეტყობა ცხოვრებისა, იცის ცხოვრება“, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ
ამ მოთხრობას „ხელოვნება, ფორმა აკლია“, ფორმა მისთვის მარტო
ნიჭისა და გეშოვნების წარმოჩინება კი არ არის, არამედ ოსტატის გულ-
მოდგინე, შეუპოვარი შრომის ნაყოფიცაა.

ბ. უმიკაშვილი მხატვრული ფორმის ზოგიერთ საკითხს ეხება და
თავის წერილებში ცდილობს გაარკვიოს, როგორ უნდა მიანიჭოს შე-
მოქმედმა აზრს შესაფერისი მხატვრული ძლიერება. ყურადღებას გან-
საკუთრებით ცხოვრებისეული მასალის მიზანსწრაფულ შერჩევასა და
განზოგადებაზე ამახვილებს.

ხელოვანის ყურადღებას განსაკუთრებით სინამდვილის ის ფაქტები იპყრობს, განურჩევლად თვით ცხოვრებაში მათი მნიშვნელობისა, რომლებიც ადამიანის სულზე უშუალო და სწრაფი რეაქციის უნარით არიან აღჭურვილი, რომლებიც სიტუაციებისა და ხასიათების ბუნებრივ თანმიმდევრობას ორგანულად შეესიტყვებიან; ლაკონურად გადმოსცემენ არსებობს, ხელს უწყობენ ხასიათის გამთლიანებას, მის მონოლითურობას, ემორჩილებიან მხატვრული ძეგლის შინაგან ლოგოსს. მხატვრული ნაწარმოების გმირები ერთსა და იმავე დროს ჩვეულებრივი ადამიანებიც არიან და არაჩვეულებრივიც. ცხოვრებაში მათ მსგავსებს ვერ ვხვდებით და კიდევ ვხვდებით; მათი გარეგანი ცხოვრება შემოქმედისათვის მათივე სულიერი სამყაროს გამოსაყვეთი მასალაა, გამოქანდაკების საძირკველია.

ამ თვალსაზრისით, „არსენას ლექსი“ პ. უმიკაშვილს მაღალმხატვრულ ნაწარმოებად მიაჩნია, შემოქმედს მასში მიზანდასახული სიძუნწით შეურჩევია ცხოვრებისეული მასალა, სახალხო გმირის ღრმად ემოციური სულიერი სამყარო გამოუსახავს, არსენას ძლიერებასთან ერთად არც მისი ხასიათის სუსტი მხარეების ჩვენებას მორიდებია. მის საზოგადოებრივ მოქმედებაში ღრმა შინაგანი იმპულსები შეუმჩნევია, იგი მუდამ მწვავედ განიცდის და იტანჯება, ოცნებობს, თავის ყოველ მოქმედებას წინასწარ სასწორზე აგდებს.

გადმოშლის რა გმირის ხასიათის განვითარების სურათს, პ. უმიკაშვილი ამბობს, რომ არსენაში შემოქმედმა იდეური, შეგნებული მებრძოლის იდეალი განასახიერა და მისი სუსტი და ძლიერი მხარეების ბუნებრივ ერთიანობაში შერწყმით, იგი ხალხისათვის მახლობელი გახდა. არსენას, როგორც მხატვრული ნაწარმოების გმირის სიძლიერე, საკუთარი ხასიათისადმი ერთგულებაშია. იგი ბავშვობიდან სიკვდილამდე კეთილია, დიდსულოვანი და გულჩვილია. „არსენა კაცს კი არ სდევნიდა, სდევნიდა იმ უსამართლობას, რომელსაც კაცი დაუჩაგრავს და იმისთანა კაცებსა სდევნის, რომელთაც ამ უსამართლობის მხარე დაუჭერიათ“.

აქ უნდა დავსძინოთ, რომ პ. უმიკაშვილი „არსენას ლექსის“ პირველი კრიტიკოსი იყო; „კრებულში“ დაბეჭდილი მიმოხილვით მან დიდად შეუწყო ხელი ამ თხზულების სწორად გაგებასა და პოპულარიზაციას: დაინახა მასში ლიტერატურის ხალხურობის საუკეთესო მაგალითი და, რაც მთავარია, გამოიყენა იგი ახალთაობის პოლიტიკური იდეების პროპაგანდისათვის. „არსენას ლექსის“ იდეა მან ჭრეტთ განუხორციელებელ მისწრაფებად, აქტუალურ საბრძოლო დევიზად გამოაცხადა; „იმისი სიცოცხლე ხალხის სიცოცხლე იყო; მწუხარება და იმედი ორისავე ერთი იყო და არსენას ცხოვრება ხალხის შემავლენებელი სიცოცხლე იყო და ხალხის ცხოვრების გამომთქმელია... ამ

ცხოვრების გარემოება არ იცვლება. ძნელია ამგვარი მკაცრი და სასტიკი ცხოვრება!..“

პ. უმიკაშვილის მსჯელობა აქ სავსებით დასაბუთებულად მიგვაჩნია. ვეთანხმებით იმაშიც, რომ ამ ნაწარმოებში არსენა თავისი ხასიათის განვითარების ლოგიკით იღუპება, რომ იგი დიდსულოვანია და პირადი ვაგლახი და მწუხარება არად მიაჩნია და... თავის საკუთარს მტერს დანაშაულობას აპატიებს, ხოლო ხალხის დამჩაგრელს გარემოებას სდევნის დაუდგრომლად..., მაგრამ ერთგვარ გაუგებრობას იწვევს კრიტიკოსის აზრი ამ ლექსის ფინალის შესახებ. ჭერ ერთი, არსენას დაღუპვა მას თვითმკვლევობად მიაჩნია, და მეორეც: ამ დაღუპვის მიზეზად ხალხისაგან აღიარებული და პატივცემული ადათის შეგნებულ დარღვევას თვლის. შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ შემთხვევაში გიორგი კუჭატელს ის არსენაზე მალა აყენებს. „არსენას ადათი არად მიაჩნია. — წერს პ. უმიკაშვილი, — თუნდა წითელი პარასკევი იყოს, თავისებურად შეექცევა... და აი, არსენა ხალხის მოყვარე და ხალხისაგან შეყვარებული, როდესაც ხალხის ადათის ასრულებას უარსა ყოფს და აქაც თავისუფლება უნდა... ამ დროს თითქოს ბედიც ხელს იღებს... არსენა ისე კვდება, როგორც დაიწყო სიცოცხლე, ყოველს წინ უბნდება, ყველა გარემოებას ხელს უბრუნებს, რაც კი იმის ხასიათის წინააღმდეგია“.

ჩვენი აზრით, კრიტიკოსი აქ ოდნავ წინააღმდეგობრივ თვალსაზრისს ავითარებს; რაკი არსენა ბოლომდე თავის ხასიათის ერთგულია, თხზულების ფინალში ხალხის მიერ აღიარებული და პატივცემული ადათის დარღვევასთან არ უნდა გვეკონდეს საქმე. თავისდაუნებურად პ. უმიკაშვილს ინდივიდუალიზმის ძლიერი ნიშანი შეაქვს გმირის ხასიათში. ეს უთუოდ იმ ფსიქოლოგიური ძიების შედეგია, რომელსაც ავტორი დიდ ადგილს უთმობს თავის წერილში. ხასიათის შიგნით დადებითისა და უარყოფითის მუდმივი ბრძოლა მას მისი მთლიანობისა და მხატვრული დამაჯერებლობის საწინდრად მიაჩნია. განიხილავს რა აბანოდან არსენას გაქცევის ეპიზოდს პ. უმიკაშვილი წერს: „უფროსი გულჩვილი კაცია და როგორც კაცს ებრალება არსენა... ეს ადგილი ჩვენის აზრით მეტისმეტად ტრაგიკულია, სულისგამტანჯველი ადგილია. უფროსი გამოყვანილია კაცად“. საერთოდ, აბსოლუტურად კეთილისა და აბსოლუტურად ბოროტის სახეს პ. უმიკაშვილი შემოქმედების ბუნების საწინააღმდეგოდ თვლის და როგორც კეთილი, ისე ბოროტი სახე ლიტერატურაში თავისებურად ამალეებული და არაჩვეულებრივია.

ხასიათის ამგვარი გამოქანდაკება, მისი აზრით, შესაძლებელია ერთდროულად მრავალი ნიშანთვისების ფონზე. ერთი მათგანის აქცენტირებით, ნაწარმოების გმირთათვის ისეთი თვისებების მინიჭებით, რომლებშიც კონცენტრირებულად, მრავალსახოვნად ელინდება ეპო-

ქის სული, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს გზა მისთვის მხატვრული ტიპიზაციის გზაა. „არსენას ლექსის“ ანალიზსაც იგი აქ მომენტზე ყურადღების გამახვილებით ამთავრებდა: „...ზოგს არსენას მარტო ბატონყმობის წინააღმდეგ კაცთა ჰგონიათ და სხვა არაფრათა. მაგრამ, კარგად რომ დაეაკვირდეთ, ბევრს სხვა მხარეს დაეინახ-ვთ ამ სახალხო ლექსში გამოხატულია არა ერთი და ორი მხარე ჩვეულის ცხოვრებისა, არამედ მრავალი სხვადასხვა მხარე. აქ ყოველივე ერთად შეერთდა, შეკავშირდა და ერთ ვრცელ ხალხის ცხოვრების სურათად წარმოგვიდგა. არსენაში გამოითქვა ბუნებითი, ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთისათვის თავის აღება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალასთან, როგორც არ უნდა იყოს ეს ძალა“.

პ. უმიკაშვილის ეს საყურადღებო დებულება ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს „ღროებასა“ და „კრებულში“ დაბეჭდილი ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოებისა („გლახის ნაამბობი“, „ჯიბრი“ და სხვ.) და პუბლიცისტური წერილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტუალობის ამოსახსნელად.

იხე როგორც იმ დროის სხვა კრიტიკოსები, პ. უმიკაშვილიც დიდ ყურადღებას უთმობდა მწერლის მოქალაქეობრივი ვალისა და საზოგადოებრივი მორალის საკითხებს. მისი რწმენით: ხელოვანის სიტყვა და საქმე განუყოფელი უნდა იყოს. ხელოვანი თავისი იდეალებისადმი ერთგულების პირად მაგალითს უნდა უჩვენებდეს ხალხს. „არასდროს არ უნდა გავყოთ კაცი ორად, — წერდა კრიტიკოსი, — ეს კაცი, როგორც კაცი ასეთია და, როგორც მწერალი ასეთიაო... ყველა კაცი პატიოსანი კაცი უნდა იყოს და მწერალი ხომ უფრო უმეტესად“¹.

მწერლობის განვითარებაში პ. უმიკაშვილი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ლიტერატურულ ტრადიციას, როგორც სულიერი საგანძურის გამდიდრება-გაფართოებისა და მხატვრული დაოსტატების დაუმრეტელ წყაროს. თანამედროვე თხზულებების ანალიზისას, იგი ხშირად იყენებდა, როგორც ევროპული და რუსული, ისე ქართული კლასიკური ლიტერატურის მაგალითებს, ჯანსაღად აფასებდა ძველ მწერალთა მემკვიდრეობას და, სხვათა შორის, ანტონ კათალიკოსის ნაწერებსაც („წყობილსიტყვაობას“) პატივისცემით იხსენიებდა.

აქ ორიოდ სიტყვით მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ პ. უმიკაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურისა და ქალთა ლიტერატურული მოღვაწეობის გამოჩენილი ენთუზიასტი და წამძალისებელი იყო. „გამაწვილებსათვის წერა, — ამბობდა ის, — ყველაზე ძნელი ხელოვნებაა... დიდად სასიქადულო სახელად უნდა ჩაეთვალოს ეს ყოველს მწერალს. ყმაწვილის სულისა და სხეულის აღზრდაზე უდიდესი საქმე განა არის

¹ პეტრიძე, „მეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“, „კრებულ“, 1872, № 8—9.

რამე მკვიდრი, და ნაყოფიერი მომავლის ბედნიერების აშენებისათვის?”

ქალთა ლიტერატურული მოღვაწეობის საკითხი ჩვენში მთელი პრინციპულობით პირველად „დროება“—„ქრებულმა“ დააყენა. ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა და ს. მესხმა მას საგანგებო წერილები მიუძღვნეს და ეროვნულ-ლიტერატურული საქმიანობის მნიშვნელოვან უბნად გამოაცხადეს. პ. უმიკაშვილი არა მარტო ბეჭდვით ექომაგებოდა ამ საქმეს, პირად მზრუნველობასაც იჩენდა ლიტერატორ ქალთა წრის მიმართ¹.

თანამედროვეთა გადმოცემით პ. უმიკაშვილი საერთოდ ლმობიერი და მოკრძალებული ადამიანი იყო, მაგრამ საზოგადოებრივ საქმეებში, განსაკუთრებით ლიტერატურაში, როგორც მისი კრიტიკული წერილებიდანაც ჩანს, მოურიდებელი და მეტად მკაცრიც ყოფილა. ეკ. გაბაშვილის სიტყვით, „დაუზოგავი კრიტიკოსისა და პირში მთქმელი კაცის“ სახელი ჰქონდა გაეარდნილი.

პ. უმიკაშვილის კრიტიკული წერილებისათვის დამახასიათებელია გადაჭრებულ პუბლიცისტიზმი, იმდენადაც კი, რომ მათ შორის ზღვარის გავლება გვიძნელდება. ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა მისთვის ხან ფონს, ხანაც — საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს სოციალურ პრობლემებზე მსჯელობისათვის.

როგორც პუბლიცისტი, პ. უმიკაშვილი გამოირჩევა მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვებით, თემატიკის მრავალფეროვნებითა და დიდი ნაყოფიერებით. მის კალამს ეკუთვნის ასობით ფელეტონი, პოლიტიკური მიმოხილვა, თეორიული, ისტორიული და მეცნიერული სტატია, კორესპონდენცია. მოკლე ნარკვევში არა თუ მათი ანალიზი, უბრალო ჩამოთვლაც შეუძლებელია.

ნ. ნიკოლაძესა და გ. წერეთელთან ერთად პ. უმიკაშვილი ტონს აძლევდა „დროებისა“ და „ქრებულის“ პუბლიცისტიკას; საშოციანელთა იდეური მსოფლმხედველობის მომარჯვებით, ისტორიული გაშოცდილების გათვალისწინებით, რუსეთის ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობის მაგალითების მოშველიებით, იგი საფუძვლიანად განიხილავდა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეროვნული მდგომარეობის საჭირობორტო საკითხებს. მისი პუბლიცისტური სტილის უმთავრესი ღირსება ინტიმურობა და გულმტკივნეულობაა. ერთ კერძო წერილში ამბობს: „მე ჩემის გულის სისხლით და მწარე გრძნობით ვწერ. თუ მიცნობთ წერაში, ხომ გეცოდინებათ, რომ ეცდილობ მკითხველს ჩემი რწმენა, ფიქრი, აზრი, და გრძნობა გადავცე“.

მრავალპრობლემურობის წყალობით, პ. უმიკაშვილის პუბლიცის-

¹ სსლმ, ფონდი, № 17020—ხ.

ტურ წერილებში მოცემულია მაშინდელი საზოგადოებრივი სინამდვილის შემქმნელობითი დახასიათება; ავტორს ყველაზე უფრო ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოქმნილი სოციალური ურთიერთობის საკითხები აღელვებს, მას ღრმად შეგნებული აქვს, რომ საზოგადოების ბედნიერებას სოციალური თანასწორობის საფუძველზე აღმოცენებული საყოველთაო მატერიალური კეთილდღეობა განაპირობებს. იგი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ამ მხრივ, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში „რეფორმას“ არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია. ფელეტონში — „ნობათი“ („კრებული“, 1873 წ. № 10) აღწერს რა მშრომელთა შევიწროებული ცხოვრების სურათებს, პუბლიცისტი დაძინს, რომ გადასახადებითა და მემამულეთა თვითნებობით გამწარებულ ხალხს ბატონყმობა ენატრება.

მართალია, პ. უმიკაშვილის წერილებში არ ჩანს ევროპული ეკონომიკური თეორიებით დაინტერესება, რაც, საერთოდ, „დროების“, „კრებულისა“ და „მნათობის“ პუბლიცისტიკის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს, მაგრამ ეკონომიკას ისიც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. კაცობრიობის ისტორიის წარმმართველ ძალად თვლის.

„ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“, პ. უმიკაშვილის აზრით, ცხოვრების მოწესრიგების უმთავრესი მიზანია. იგი ამჩნევს, რომ ყველა ბოროტების მიზეზი სოციალური უთანასწორობაა, რომ შრომის ნაყოფი არამშრომელთა საკუთრებაა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს კლასთა შორის წინააღმდეგობის გაძლიერება და კლასთა ბრძოლა განსაზღვრავს. „ვინა შრომობს გლეხკაცზე მეტს. ვის აწევს იმოდენა მძიმე ტვირთი, როგორც გლეხკაცსა?.. მაგრამ ნაყოფი კი არა გამოდის რა, — ამბობს ერთ-ერთ წერილში. —...თუ ვისმე სიმდიდრე უშოვნია, სხვისი შრომით უშოვნია“.

პ. უმიკაშვილი ამის კონსტატაციით არ დაკმაყოფილებულა: კლასობრივი ბრძოლის გზას ის განთავისუფლების ერთადერთ გზად გვისახავს და დარწმუნებულიც არის, რომ ხალხი გაიმარჯვებს. როცა ხალხს სათავეში ჩაუდგებიან მოწინავე ადამიანები, როცა გამოჩნდება წინამძღვარი, რომელიც დაზარალებულს მიიმხრობს და გაიყოლიებს. ბოლოსდაბოლოს, ხალხს „თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“ ცალკეულად მიეცემა“.

70-იან წლებში ჩვენი სამოციანელების მიერ არსენას დროშის აფრიალება, მისი ღვაწლის ახლებური ინტერპრეტაცია მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ერთი მეტად საყურადღებო ნიშანია.

„დროებასა“ და „კრებულში“ დაბეჭდილი პ. უმიკაშვილის სტატიები, არსებითად, სოციალურ-ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებაა. თანასწორობა, თავისუფლება აქ ადამიანური ღირსების საფუძველად გამოცხადებული, ხოლო მათთვის თავგანწირ-

ვა ყველაზე დიდ კეთილშობილებად. „სიყვარული და თავისი ნამდვილი ადამიანური ღირსების გრძნობა, თავისუფლების გრძნობა, კაცის პირველი ფეხზე წამომყენებელია. — წერს პ. უმიკაშვილი. — თუ მყუდრო ოჯახური ცხოვრება გინდა, მაშინ ბრძოლას თავი უნდა დაანებო და ბევრი დაშკირებაც მოითმინო“. ფართო საზოგადოებრივი მოძრაობის საფუძველი ჩაგრულთა მიერ საკუთარი უფლებისა და მოვალეობის შეცნობაა. იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაგალითით, პუბლიცისტი ამტკიცებს, რომ აღნიშნული მიზეზის გამო, გაბატონებულთა სახელმწიფო ცდილობს ჩაახშოს ჩაგრულთა შორის საკუთარი მდგომარეობის შეგნება, „პატიოსნური გრძნობა მოქალაქისა“. ამხელს რა თავისუფალი აზრის შემპოროკვე ტირანულ რეჟიმს, პ. უმიკაშვილი დაასკვნის, რომ განთავისუფლებისაკენ მისწრაფება უკვდავია: „უსამართლობას რაც უნდა ფესვები გაედგას, კაცში სიმართლის გრძნობა და სეინდისი თავის დღეში არ გამოიღევა, რაც უნდა... აუკრძალონ და დაუშალონ... უაზრობას ადამიანი ვერ შეძლებს“. „ადამიანებმა მკვიდრად ჩაინერგეს გულში აზრი პოლიტიკური თავისუფლებისა“.

წერილში „იოსებ მაძინი“ პ. უმიკაშვილი სხვადასხვა აჯანყების დამარცხების მთავარ მიზეზად იმას თვლის, რომ „აჯანყებულებს არ ჰქონდათ ერთი პირი და ერთი განსაზღვრული პლანი“. პუბლიცისტი მოხერხებულად იყენებს უცხოურ თემას და გაბედულ შეხედულებებს გამოთქვამს სახალხო აჯანყების ორგანიზაციის შესახებ. მისი სიტყვით, „რევოლუცია აუცილებელია ძველის კანონებისა და წესის შეცვლისათვის... ხალხი არ კმაყოფილდება წვრილ-წვრილ ცვლილებებსა, მოითხოვს კაცობრიულ უფლებასა, სიმართლესა, კანონიერებასა, თავისუფლებასა, დამოუკიდებლობასა და ერთობასა... მეფეებისა და მკვლელებისა კი არ უნდა იყოს ქვეყანა, ხალხისა, ერისა უნდა იყოს. ხალხმა უნდა განაგოს თავისი საქმე, თავისი ცხოვრების წადილის აღსრულებისათვის საჭიროა ხალხის პოლიტიკური აღზრდა... მხოლოდ რესპუბლიკური წესები აძლევენ კაცს მომავალსა, რადგანაც უმაღლესი უფლება უნდა ეკუთვნოდეს თვით ხალხსა“.

პ. უმიკაშვილი დაწერილებით აღწერს „კარბონართა საზოგადოების“ სტრუქტურას, „ახალგაზრდა იტალიის“ ორგანიზაციას, 1830 წლის რევოლუციისა და პარიზის კომუნის ისტორიას. როცა „ევროპის შეერთებულ შტატების“ იდეას ეხება, დასძენს, ამაში უთუოდ ჩვენ, ქართველებიც ვიგულისხმებით.

საერთოდ, სოციალური და ეროვნული განთავისუფლების საკითხებს პ. უმიკაშვილი მუდამ მჭიდრო ურთიერთკავშირში განიხილავს და სოციალური თავისუფლება ნაციონალური თავისუფლების გარანტიად მიაჩნია. ერის წარსული მისი ნაციონალურ-პოლიტიკური ოპტიმიზმის.

სათუქველია. როგორც ქართველებს, „არც ერთ ხალხს დედაშიწის ზურგზე, არც ერთ ერს ისე ძვირად არ დაუფასებია თავისი სამკვიდრებელი და არც ერთს ისე ძვირად არ დასჯდომია ის... (ქართველებში) ისტორიით აღზრდილი და განმტკიცებული გრძობით“, ის აზრი დამკვიდრდა, „რომ ბრძოლითა და მეცნიერებით ყოველისავე ბოროტების და სიავის მოსპობა შეიძლება“.

წარსულის ავკარგიანობას პ. უმიკაშვილი სოციალური თვალსაზრისით აფასებს. საქართველოს ისტორიაში საამაყოდ ის მიაჩნია, რომ სევანეთსა და ხევსურეთში ბატონყმობა არ არსებობდა, რომ „ქალი სახალხო მსჯელობაში მონაწილეობდა“ და სხვ.

ეროვნული გათვითცნობიერების მიზნით პ. უმიკაშვილს აუცილებლად მიაჩნდა ევროპის ჩაგრულ ხალხთა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების პროპაგანდა. ამ მხრივ „დროებასა“ და „კრებულში“ მან ყველაზე მეტად განავითარა „საქართველოს მოამბის“ ტრადიცია, ახალი სულიერი საზრდო მისცა გარიბალდის, მაძინის, კოშუტის ბრძოლით დაინტერესებულ ქართველ მკითხველს.

მაძინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებით პ. უმიკაშვილმა თანამედროვეებს თვალწინ გადაუშალა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი სურათი. პუბლიცისტი ვრცლად განიხილავს იტალიელთა მდგომარეობას წარსული საუკუნის პირველ ნახევარში, ლაპარაკობს როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ ჩაგვრანზე, ცხადყოფს შინაური და გარეშე მტრების კავშირს, რომელიც ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს წერილი განსაკუთრებულ ყურადღებას იძიებს იპყრობს, რომ მის ავტორს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატების პირობად კარგად ორგანიზებული, მიზანსწრაფული იდეოლოგიური მუშაობა მიაჩნია და ამ თვალსაზრისით კონკრეტულად ირკვევს ლიტერატურის, პრესის, სკოლის, სხვადასხვა ლეგალური და ფარული ორგანიზაციების მოსაშაადებელი მუშაობის როლს. საზოგადოების იდეური აღზრდის მიზანია, თვითეულ ადამიანს შესისხლბორცებული ჰქონდეს თავისი მოქალაქეობრივი ღირსების, ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების გრძნობა. წერილში პ. უმიკაშვილს ჩაურთავს „ახალგაზრდა იტალიის“ პროგრამა, კარბონართა, ფიცა, ამონაწერები პატრიოტული წერილებიდან და მოწოდებებიდან, რაც, უთუოდ, მამულისადმი თავდადების სულისკვეთებას გამოიწვევდა.

ავტორის რწმენით, იტალიის მაგალითს საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იქვე დასძენს, რომ „ახალგაზრდა იტალიის“ მაგალითით შეიქმნა ფარული საზოგადოებანი — „ახალგაზრდა უნგრეთი“, „ახალგაზრდა პოლონეთი“, „ახალგაზრდა გერმანია“ და სხვ., რომელთაც ჩვენ, ქართველებმაც, უნდა მივბაძოთ.

ფართო გამოხმაურება გამოიწვია ეროვნულ საკითხზე „კრებულ-

ში“ დაბეჭდილმა მისმა მეორე წერილმა: „მცირეთა ტომთა ენებზე“, რომელშიც გამანადგურებლად გაკრიტიკებულია 1872 წელს გაზეთი „კავკაზის“ მიერ გამოცემული გ. მუხრანსკის ბროშურა: „О существе национальной индивидуальности“...

მეცნიერების სხვადასხვა დარგის უახლოეს მონაპოვრებზე დაყრდნობით, პ. უმიკაშვილი თვალნათლივ ავლენს გ. მუხრანსკის რეაქციულ იდეოლოგიას და ააშკარავებს მისი წიგნის პროვოკაციულ ხასიათს. მკითხველთათვის ცხადი ხდება, რომ აღნიშნული ბროშურა ხელისუფლების დაეაღებით დაიწერა და გამოქვეყნდა. მცირე ერების გათქვეფისა და მოსპობაზე გ. მუხრანსკის თვალსაზრისს პ. უმიკაშვილი უპირისპირებს დემოკრატიულ პრინციპებზე აღორძინებულ სახელმწიფოში ხალხთა ძმური თანამშრომლობის იდეას.

იგი ისტორიული მაგალითებით ამტკიცებს, რომ ენობრივი მრავალფეროვნება არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების ხელშემშლელ ფაქტორს, პირიქით, ყოველ ხალხს, რაგინდ მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს, თავისი წვლილი შეუტანია და შეაქვს კაცობრიობის ისტორიაში.

მეცნიერულ საბუთიანობასთან ერთად, პ. უმიკაშვილის წერილი შთაბეჭდავია პოლიტიკური შემართებით, პოლემიკური სიმახვილითა და წამოჭრილი პრობლემის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტუალურ ამოცანათა ასპექტში გაშუქებით. გ. მუხრანსკის „დოგმატიკური აფორიზმები“ ავტორს დარღვეული აქვს სოციალური სინამდვილის მოვლენებისადმი მატერიალისტური, რევოლუციური-დემოკრატიული მიდგომით. ამა თუ იმ ფაქტის მნიშვნელობას ის საზოგადოებრივ განვითარებაში მისი როლით განსაზღვრავს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყველაფერი, რაც მომხდარა, „ისტორიის ნამდვილ კუთვნილებად არ ჩაითვლება“. და „არ გვიმტკიცებს, რომ სულ ასე უნდა იყოს“.

ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა პ. უმიკაშვილს შესაძლებლად მიაჩნია სოციალური მოწესრიგების, საყოველთაო კეთილდღეობის პირობებში. ხალხთა საზოგადოებრივი ინტერესები, მიუხედავად ეროვნული განსხვავებისა, ერთიანია. „უმაღლესი ერთობა ხალხების ერთმანეთთან კავშირი ყოფილა, რომელიც წარმოსდგება ენის ერთობისაგან კი არა, არამედ საზოგადო ცხოვრების ინტერესებისაგან“.

ნაციონალური საკითხის ამგვარი გაგება იმის მაუწყებელია, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სწორი გზით ვითარდებოდა, საღ, ინტერნაციონალურ საძიკველს ემყარებოდა; სულ უფრო მეტად მტკიცდებოდა მისი რევოლუციური-დემოკრატიული პოზიციები.

პ. უმიკაშვილის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები ყოველდღიურობის მწვავე პრობლემებით იყო ნაკარნახევი. განხილული საკითხების თემატიკა, შიშართულება და სტილიც, ძირითადად ადრული და განპირობებულია თაობათა ბრძოლის მეორე ტურით. რომელიც 70-იანი წლების დასაწყისში გაჩაღდა. გ. მუხრანსკის ბროშურის ანალიზით, ავტორმა საყოველთაოდ ამხილა „მამების“ ეროვნული რენეგატობა, წერილში „იოსებ მაძინი“ გარკვეულად დაუპირისპირა მას ახალთაობის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი იდეოლოგია; გამოკვლევაში „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“ ჩამოაყალიბა იმავე ახალთაობის პოლიტიკა პრესისა და საგანმანათლებლო მოღვაწეობის სფეროში, ხოლო „არსენას ლექსის“ განხილვაში — ძველი თაობის შემოტევისაგან დაიცვა კრიტიკული რეალიზმის პოზიციები, ენისა და ლიტერატურის შესახებ სამოციანელთა შეხედულებანი.

პ. უმიკაშვილის ნაწერებში დიდი ადგილი უკავია მაშინდელი ჩვენი პუბლიცისტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს — ქალთა ემანსიპაციას. გასაკვირი ის კი არ არის, რომ ავტორი აღიარებს და თავგამოდებით იცავს დედაკაცის უფლებებს, არამედ იმის ღრმა გაგება, რომ ამ უფლებათა განხორციელება მხოლოდ სოციალურ გარდაქმნათა საფუძველზეა შესაძლებელი.

ჩვენი აზრით, პ. უმიკაშვილის წერილებიდან ყველაზე საყურადღებოა „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“. ეს პირველი მეცნიერული გამოკვლევაა ქართულ ჟურნალისტიკაში და XX საუკუნის დასაწყისამდე ამ საგანზე უკეთესი არც არა გამოქვეყნებულა. ნაშრომის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლის საფუძველზე, მასში განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების გზა, ავტორის დასკვნებს უაღრესად აქტუალური, პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიას პ. უმიკაშვილი განიხილავს რევოლუციურ-დემოკრატიული თვალთახედვით და იმ პრინციპით ხელმძღვანელობს, რომ პრესა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა და იდეური ბრძოლის იარაღია. ამასთან დაკავშირებით ის წარმატებით იყენებს რუსული და ევროპული ჟურნალისტიკის გამოცდილებას.

პირველ ქართულ გამოცემებს, პ. უმიკაშვილის აზრით, საზოგადოებაზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია, რადგან მათ ეროვნული სული არ ედგათ და მკითხველის ინტერესსაც ვერ აკმაყოფილებდნენ; მხოლოდ სოლომონ დოდაშვილის „თბილისის უწყებებს“ შეეძლო ხალხის გულისაკენ გზის გაკვლევა, მაგრამ არ დასცალდა.

ქართულ პერიოდიკაში ფუძემდებლის როლი გ. ერისთავის „ცისკარმა“ შეასრულა, — აქედან დაიწყო ქართული ჟურნალისტიკის უწყვეტი განვითარება; — „მოხდა ბეჭდვითი დაახლოება მწერლებსა,

რომლებიც აქამდე გაფანტულნი იყვნენ“. გ. ერისთავის, ხოლო შემდეგ ივ. კერესელიძის ჟურნალისტური მოღვაწეობა ავტორს უკვდავ ეროვნულ გმირობად ესახება. სათანადოდ ითვალისწინებს რა იმ სიძნელეებსაც, რომელთა გადალახვა მათ მოუხდათ, პ. უმიკაშვილი დამაჭერებლად ავლენს „ცისკარის“ ნაკლოვანებებს. ეს ჟურნალი არ ემყარებოდა იდეურად შემჭიდრობებულ წრეს, მას არ ჰქონდა გარკვეული მიმართულება და ამის გამო არ აწარმოებდა მასალის შერჩევას. რედაქტორი „მარტო თავისი გემოვნებით“ ხელმძღვანელობდა.

ბ. უმიკაშვილის გამოკვლევა გამოირჩევა ისტორიული მიდგომით: მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ახალთაობა ივ. კერესელიძეს ეკამათებოდა. ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები ავტორს მიაჩნდა არა „ცისკარის“ რედაქტორის დანაშაულად, არამედ იმდროინდელი საზოგადოებრივი ვითარების შედეგად. სავსებით სწორია მისი დასკვნა, რომ გ. ერისთავი და ივანე კერესელიძე „იმ დროს ისე ეკუთვნიან, როგორც ეხლანდელი დაწინაურებული კაცები ეხლანდელს დროსა“.

ქართული ჟურნალისტიკის ფერისცვალებას, მის თვისებრივ შემობრუნებას პ. უმიკაშვილი ხედავს „საქართველოს შოაშბეში“. ეს პირველი გამოცემაა. რომელსაც მტკიცე იდეური მიმართულება გააჩნია, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლ თანამოაზრეთა წრეს ემყარება და, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, მასალას მკაცრი შერჩევით ბეჭდავს. „მკითხველმა საზოგადოებამ აქ პირველად ნახა და შეიტყო, რა არჩევით უნდა იბეჭდებოდეს ნაწერი, რა სიცოცხლე უნდა ეტყობოდეს მას“.

პ. უმიკაშვილმა მოგვცა „საქართველოს შოაშბის“ დახურვის მიზეზები: საფუძვლიანი ანალიზი და, რაც უფრო საგულისხმოა, განაზოგადა კიდევ თავისი დასკვნა, რითაც ასე ვთქვათ, სახელმძღვანელო პრინციპით შეაიარაღა ჩვენი ჟურნალისტიკა. მკვლევარმა ნათელჰყო, რომ ყოველ გამოცემას გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა უნდა ასულდგმულბდეს და ჟურნალ-გაზეთი იდეურ თანამებრძოლთა ფართო წრეში უნდა იყოს ფესვგადგმული. პ. უმიკაშვილის გამოკვლევის ეს წარმმართველი დებულება, მისივე სიტყვით, ჟურნალისტიკის დარგში ილია ჭავჭავაძის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობიდან გამომდინარეობდა.

იდეური პლატფორმა, პოლიტიკურ თანამოაზრეთა ორგანიზაციული გაერთიანება, პ. უმიკაშვილის აზრით, პროგრესის საწინდარია, ჟურნალისტიკის განვითარების აუცილებელი პირობაა. მასობრიობის, კოლექტიურობისა და იდეური შემჭიდროებისაკენ მოუწოდებდა ის თანამოკალმეებს.

ბრძოლისათვის, „წადილის აღსრულებისათვის“ ხალხის პოლიტიკურ აღზრდას, „ქადაგებას, საზოგადოებრივი აზრების გავრცელება-მოფენას“ პ. უმიკაშვილი პრესის უმთავრეს ამოცანად თვლიდა. ამით უნდა

აიხსნას, რომ მან გაბედული იერიში მიიტანა პოლიციური ცენზურის წინააღმდეგ, დაასაბუთა და კატეგორიულად მოითხოვა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება; წერილში „იოსებ მაძინი“ თანამემამულეებს, ფაქტობრივად არალეგალურ გამოცემათა საჭიროებაც უკარნახა.

პ. უმიკაშვილი ნაყოფიერი ფელეტონისტი იყო. „პეტრიძის“, „ანჩისხატისუბნელის“, „ანჩისხატელის“ ფსევდონიმებით, ხანაც ინიციალებით მას ათობით ფელეტონი აქვს გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, მან საკუთარი კვალი მაინც ვერ აღბეჭდა ქართული ფელეტონის განვითარებაში. იგი ვერ ახერხებდა კონკრეტული თემის შერჩევას, წვრილმანში მრავალმხრივ ჩაღრმავებას. მცირეთი დიდის წარმოჩენას, სერიოზულზე მსუბუქად წერას; შინაგანი შებოქილობის გამო მას უნებურად ხელიდან ეცლება იუმორისტული სიტუაცია, აკლია ამბები-სადმი სწრაფი რეაქცია. ამიტომ ვერც „კრებულში“ დაბეჭდილი მისი ფელეტონი „ნობათი“ ახდენს სასურველ ეფექტს. ავტორი საჭირობოროტო საკითხებს ეხება, მაგრამ მისი ჩანაფიქრი მკითხველამდე ვერ აღწევს. კორესპონდენტულ რეპორტაჟს უადგილო პუბლიცისტური მსჯელობა მოსდევს, დაუკავშირებელი ამბები ნაადრევად ცვლიან ერთმანეთს: არსებითად, ეს ქრონიკაა და პ. უმიკაშვილის ფელეტონიც „სალაუბო ფურცლებს“ ენათესავენ.

პ. უმიკაშვილი შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობაში. 1874-78 წლებში იგი „სასოფლო გაზეთს“ რედაქტორობდა და, შეიძლება ითქვას, ახალი სული შთაბერა ამ გამოცემას: გააფართოვა მკითხველთა წრე, დაიახლოვა სოფლელი კორესპონდენტები, შემოიღო ხალხური ლექსების ბეჭდვა, გააძლიერა სალიტერატურო ნაწილი.

80-იან წლებში ს. მესხი ხშირად ავადმყოფობდა და „დროებას“, ფაქტიურად, პ. უმიკაშვილი უძღვებოდა.

საგანგებო ნარკვევი შეიძლება მიეძღვნას პ. უმიკაშვილის საგამომცემლო მოღვაწეობას. ამ მხრივ, მან, ერთმა კაცმა, გაცილებით მეტის გაკეთება შეძლო, ვიდრე იმ დროის სხვადასხვა „გამომცემელთა ამხანაგობებმა“.

პ. უმიკაშვილი თვითონ აგროვებდა ხელნაწერებს, ერთმანეთთან ადარებდა მათ, არჩევდა სრულ, საიმედო ტექსტს, ურთავდა ბიოგრაფიებსა და შენიშვნებს. მის გამოცემებში დღეს ბევრი შეცდომა შეგვიძლია აღმოვაჩინოთ, მაგრამ იმის დავიწყება შეუძლებელია, რომ ის ამ საქმის მეკვლე იყო. 1870 წელს მან გამოსცა დ. გურამიშვილის „ღავითიანი“ (ნ. ბერძნიშვილთან და გ. წერეთელთან ერთად); 1871 წელს — სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, 1873 წელს — გრ. ორბელიანის ლექსები; 1876 წელს — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები; 1881 წელს — ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები;

1884 წელს — „ვისრამიანი“ (ილ. ჭავჭავაძესა და ალ. სარაჯიშვილთან ერთად); 1886 წელს — ვახტანგ VI „დასტურლამალი“ და სხვ.

პ. უმიკაშვილმა საკუთარი ხარჯით დაბეჭდა ათობით „სახალხო წიგნი“, რომელთაგან ზეური რამდენჯერმეც გამოვიდა („ბეჟანიანი“, „ქალ-ვაჟიანი“, „ალექსიანი“, „ვარდ-ბულბულიანი“, „არსენას ლექსი“ „ცოტრიანი“ და ა. შ.).

პ. უმიკაშვილს შეკრებილი ხალხური სიტყვიერების მასალები (მეცნიერული კვლევისათვის საჭირო მონაცემებით) ქართული ფოლკლორისტიკის ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს.

ფერც ქართული თეატრის ისტორია დაიწყო პ. უმიკაშვილს სახელს. 50-იანი წლებიდან მოწოდებული, ის თავს ევლებოდა მშობლიურ სცენას; აქვეყნებდა თეატრალურ რეცენზიებს, მართავდა სცენის მოყვარეთა წარმოდგენებს, თავისი წვლილი შეჰქონდა რეპერტუარში. 1879 წელს პ. უმიკაშვილი მუდმივი ქართული თეატრის აღდგენის ერთ-ერთი მესვეური იყო. მან დააფუძნა დრამატული საზოგადოების ბიბლიოთეკა, შეაქო რეკვიზიტი, შეკრიბა აქა-იქ გაბნეული პიესები. ჩვენი თეატრის მემკვიდრისათვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს, 1900 წელს უფრანლ „მოამბეში“ დაბეჭდილ მის წერილს — „ქართული თეატრი და ლიტერატურა“.

პ. უმიკაშვილი დრამატული ნაწერებითაც შეელოდა ქართულ სცენას. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ორიგინალური და გადმოკეთებული პიესა: „მისიანი“ (1879 წ.), „მახლასა ჯოჯოხეთში“ (1881 წ.), „ალერსთა ბადე“ (1886 წ.), „დამარცხებულნი“ (1889 წ.), „ბენეფისის წინ“ (1900 წ.) 1898 წლის პირველ იანვარს ქართულმა დრამატულმა რასმა წარმატებით დადგა მისი „სამზადისი“ („სცენები ქართული თეატრის დაფუძნების დროისა“), რომლის მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან ქართული სცენის პირველმოღვაწენი: გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ქეთევან ორბელიანი, ტაშო გაგარინისა და სხვ.

პ. უმიკაშვილი მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა მხატვრულ თარგმანს; მისთვის შესაფერი „სასაუბრო სტილის“ გამომუშავებას მომავლის ამოცანად თვლიდა და თვითონვე სცადა მაგალითის მიცემა; 1898 წელს „მოამბეში“ (№ 10) გამოაქვეყნა უნგრელი მწერლის კოლომონ მაკსატიის „გლეხმა ჩომოკმა როგორ იყიდა ცელი“.

განსაკუთრებით საინტერესოა პ. უმიკაშვილს თარგმნილი „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“, რომელიც ჯერ „მოამბეში“ (1899 წ.) დაიბეჭდა, იმავე წელს ცალკე წიგნად გამოვიდა, ხოლო 1933 წელს განმეორებით გამოსცა „ფედერაციაში“. ამ გამოცემის რედაქტორი ავ. გაწერელია მას „მშვენიერ თარგმანს“ უწოდებს და, სხვათა შორის, ამბობს: „ქართული ფოლკლორიდან ნასესხები გამოთქმები ამ თარგმანს

კარგ საკითხავ წიგნად ხდისო“: თარგმანი შესრულებულია პანტელეი-ვის 1897 წლის რუსული გამოცემიდან.

როგორც მოაზროვნე, მწერალი და მოქალაქე, პ. უმიკაშვილი უაღრესად მონოლითური პიროვნება იყო; მუდამ კვალდაკვალ მიჰყევბოდა ცხოვრების აღმავლობას, აღტაცებით ეგებებოდა ყოველ სიახლეს; გამსჭვალული იყო საყოველთაო პროგრესის პათოსით, სჭეროდა, რომ „ყველაფერი იცვლება, ყველაფერი უმჯობესდება“.

1893 წელს პ. უმიკაშვილი ნიკო ლოღობერიძემ მიიწვია შავი ქვის წარმოების საქმეთა მმართველად; 1893—1894 წლები მან ზესტაფონში გაატარა, 1894—1898 წლები კი—ბათუმში. ამ პერიოდშიც ის მოუღალავად განაგრძობდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას: თანამშრომლობდა რაფ. ერისთავის იუბილეს მოწყობაში, ზრუნავდა „ქართული სალიტერატურო ფონდის“ დაარსებისათვის.

1899 წლიდან პ. უმიკაშვილი თბილისის სათავადაზნაურო ბანკში მსახურობდა.

გარდაიცვალა 1904 წლის 25 მაისს და 28 მაისს დიდი პატრივისცემით დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზე (1946 წლის 30 ნოემბერს მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს).

პ. უმიკაშვილის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას რომ ვეცნობით, გულწრფელ აღსარებად წარმოგვიდგება მისი სიტყვები: „ჩემი სურვილი იყო დავხმარებოდი მკითხველის აზროვნების გაღრმავებას, აღმეძრა მასში ქვეშაარტების სიყვარული, კაცობრიობისა და სამშობლოს სიყვარული, თვითმცნობელობა, თვითმოქმედება, და საზოგადოდ, მოქმედება ქვეყნისა და ერის წარმატებისათვის“.

ნიკოლოზ ყიფიანი

„ნიკოლოზ ყიფიანს თვალსაჩინო ადგილი უკავია, როგორც ქართულ ლიტერატურაში, ისე ბელგიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. — წერდა პროფესორი ჟერეიკო ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი ნიკ. ყიფიანის ერთ-ერთი ნაშრომის წინასიტყვაობაში, — არც ტალანტით. არც შრომისმოყვარეობით, არც პატრიოტული მგზნებარეობით, დაბოლოს, არც ტრაგიკული ბედით იგი სახელოვან მამას არ ჩამოუვარდებოდა“¹. — დასძენდა უცხოელი მეგობარი.

¹ La Géorgie et deux grandes géorgiennes dans le passé: La Reine Chamar; La Reine Kélevane... Avec une préface de M—lle L. Golejko. („საქართველოს და წარულ დროთა ორი დიდი ქართველი: თამარ მეფე და ქეთევან დედოფალი —, ქ-ნ ჟერეიკოს წინასიტყვაობით...“), სსლმ ფონდი, № 1529 ბ.

დღეს ყველამ ვიცით, რომ ქართულ მწერლობაში ნიკოლოზ ყიფიანს არ დარჩენია დიდი კრიტიკოსის ან პუბლიცისტის სახელი, მაგრამ; შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს, რომ მისი ბიოგრაფია შეუდარებელი სისავესით წარმოგვისახავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე, დემოკრატიული ინტელიგენციის პროფილს და უაღრესად ნათელ წარმოდგენას იძლევა 60—70-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის მისწრაფებებსა და ბრძოლასზე.

ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი დაიბადა 1847 წელს თბილისში. მამამისი იმ დროს უკვე სახელმწიფო მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო; სამსახურითაც დიდად აღზევებული — მეფისნაცვალ ვორონცოვის კანცელარიის დირექტორი. მეუღლეც ღირსეული ჰყავდა დიმიტრის — დუშელი მემამულის, გენერალ იაგორ (გიორგი) ჭილაშვილის უმცროსი ასული ნინო, რომელმაც 1844 წელს ეკატერინეს ინსტიტუტი დაამთავრა პეტერბურგში.

თბილისის არისტოკრატია მოხიბლული იყო ნინო იაგორის ასულის მშვენიერებით, მისი დახვეწილი მანერებით, ფორტეპიანოზე დაკვირვით, უზადო ფრანგულით. მხიარული, ცოცხალი ხასიათით. 17 წელი შეუსრულდა, როცა დიმიტრი ყიფიანთან ჯვარი დაიწერა (1844 წ. 22 იანვარს) და თითქმის 45 წელი მასთან ერთად ეწეოდა ცხოვრების უღელს, — „გახდა მისი ნამდვილი მეგობარი და ამხანაგი, ბედსა და უბედობაში განუყრელი, ნუგეშმცემელი გულშემატკივარი“. იგი აღმერთებდა ქმარს და სხვაგვარად არ მიმართავდა, თუ არ „ღვთიურო დიმიტრი“ („Божественный Дмитрий“).

ნინო ჭილაშვილი გატაცებული იყო ლიტერატურით, მუსიკით, თეატრით და, სხვათა შორის, გ. ერისთავის „გაყრის“ პირველ წარმოდგენაში ივანეს საცოლის როლიც შეუპარულებია.

შვილების აღზრდა. განსაკუთრებით პირველი ვაჟისა, ახალგაზრდა კოლ-ქმარს წმიდათაწმიდა ვალად მიაჩნდა და პირადად ხელმძღვანელობდა მას. ოთხი-ხუთი წლის კოლას დედა უკვე ასწავლიდა ფორტეპიანოზე დაკვირვას, ცეკვას, ხატვასა და ფრანგულ ენას. ბავშვს ქართული ზღაპრებით ართობდნენ და დედაენის ჯავარს უსისხლბორცებდნენ: დიმიტრი ყიფიანის დედობილი მარია ივანოვა („ბაბაშა“, ფეოდოროვის ქვრივი, თვით ქართველი) და დუშელი გლეხის ქალი ანიკა¹.

როცა კოლა რვა წლისა გახდა. მამამ აღმზრდელ-მასწავლებლად მოუყვანა ფრანგები: „მოსიო გილიარ. მოსიო ტურეს, მოსიო დორეს“, მაგრამ მალე შეამჩნია, რომ მათ ხელში ბავშვი სწავლისადმი განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენდა. და დაითხოვა ისინი, შვილის აღზრდა კი

¹ ნ. ყ. ყიფიანი, „ცხოვრება დიმიტრი ყიფიანისა“, „მოამბე“, 1894, № 4.

თავის ბიძაშვილს, ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ზაალის ძე ყიფიანს შიანდო. ნიჭიერ პედაგოგს დიდი გავლენა მოუხდენია შეგიღრბზე, პირველად აღუძრავს მასში ცნობისმოყვარეობა და სწავლის წყურვილი. „რაკი მიხაკოსთან კარგად ვიწყე სწავლა, — იგონებდა ნიკ. ყიფიანი 40 წლის შემდეგ, — მამაჩემმა დამაყენა ფორტეპიანოს მასწავლებელი მოსიო სიმონ, ხატვის მასწავლებელი პოლინდორ ივანიჩ ბაბაევი, ფრანგული ენისა — კიკამპოა, ასე რომ, მიხაკოს გარდა, კიდევ სამი მასწავლებელი მყავდა“¹.

დიმიტრი ყიფიანის სახლი იმ დროს ჩვენი კულტურული ცხოვრების ცენტრი იყო, სადაც თავს იყრიდნენ გამოჩენილი ადამიანები, რომელთა ნახვა შთაბეჭდილებიან ბავშვს ათასგვარი ფიქრითა და ოცნებით ავსებდა. სამარადეთამოდ აღებეჭდა მის სულს მომზიბღელი საუბრები გ. ერისთავისა, მანანა ორბელიანისა, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებისა, პლატონ იოსელიანისა, — სამუდამოდ დამამხსოვრდა გრაფი სოლოგუბი და ვერდერევესკი; ბერჟე და ინგლისელი მოგზაური კამერონი, გრაფი დე-როზმარდუკი და ალექსანდრე დიუმა. თვითონაც ხშირი სტუმარი იყო ვახტანგ ორბელიანის ოჯახისა, სადაც თანატოლი და სეხნია, შემდეგ კი ჰირის თანამოაზრე ეგულებოდა, — აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახისა, რომელიც ნათესავად მოხვდებოდა და სადაც მუდამ სიყვარულით ეგებებოდნენ ეკატერინე და ნინო, დავითი და მისი ქალ-ვაჟნი.

ყველგან, სადაც პატარა კოლას უხდებოდა ყოფნა, ფრანგულად ან რუსულად ლაპარაკობდნენ, დედაც ფრანგულად ელაპარაკებოდა, მასწავლებლებიც. მისი წერილები დედისადმი, რომელთა დიდი ნაწილი შენახულია; დაწერილია ფრანგულად, ინგლისურად ან რუსულად².

მამა შიშობდა. ბავშვს დედაენა არ გაუცხოებოდა და ყოველნაირად ცდილობდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში მის გაწაფვას. ამ დიდ საქმეს ის პირად მოვალეობად თვლიდა. ერთ წერილში კოლა საგანგებოდ სწერდა მამას: „В особенности занимаюсь Грузинским языком... Михаю, наш учитель грузинского языка, уехал... я купил Лексикон Чубянова (Это ужас, как там исковеркан наш родной язык!)“... читал „Гискар“. „ვეფხისტყაოსანი“ (очень нравятся)“³. — ატყობინებდა მამას 1860 წლის 9 სექტემბერს⁴. 13—14 წლისა ქართულად ლექსებსა თხზავდა და მამა კმაყოფილი იყო: „Стихи Коли хороши“. უზიარებდა თავის შთაბეჭდილებას შეუღლებს 1861 წლის 79 იანვრის წერილში⁵. ამყობდა, რომ მისმა 13 წლის ვაჟმა უკვე

¹ ნ. ყიფიანი, „მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი“, „ქვალი“, 1893, № 15.

² სსსმ, ფონდი № 14969—ბ და სხვ.

³ სსსმ, ფონდი № 14969—ბ.

⁴ იქვე, № 14823—ბ.

ბრწყინვალედ იცოდა რუსული, ფრანგული, ინგლისური, იტალიური და დედანასავე ჩინებულად ფლობდა.

დომიტრი ყიფიანი ოჯახის წევრებს უკითხავდა თავის მოთხრობებს, წერილებსა და თარგმანებს, აჩვენებდა ბავშვებს სერიოზულ კრტიკულ მსჯელობას, უვითარებდა ლიტერატურულ გემოვნებას.

1857 წელს ნიკოლოზი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს, ბეჯითი სწავლითა და კარგი ყოფაქცევით აქაც ასახელა მშობლები. „Мне пишут“ — ატყობინებდა დომიტრი 1860 წელს მეფულეს, — что Коля хорошо учится и большею частью сидит в учебной. За это я целую его крепко“.

დედას იგი დაჰყავდა იტალიურ ოპერაში, წარმოდგენებზე, ლექციებზე: 1859 წელს ბავშვზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გალახოესკის ლექციებს მინერალოგიის და ფიზიკის საკითხებზე, ბოგაჩევის მოხსენებას ვულკანიზმზე და სხვ.

მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი, ასე ვთქვათ, ნებადართული ატმოსფერო იყო, რომელშიც ნიკოლოზ ყიფიანის სული და გონება იწვრთნებოდა, მთავარი სამყარო კი, სადაც მისი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა, უნდა ეიფიქროთ, რომ მშობლებისა და გიმნაზიის მეთვალყურეობის გარეშე იმყოფებოდა; ოჯახში ღრმად შეთვისებული რწმენა სიკეთისა, ქეშმარიტებისა და სიყვარულისა ახალ ნიადაგზე იდგამდა ფესვსა და ძალიან სწრაფადაც ვითარდებოდა.

პატარაობიდანვე მისი ქეშმარიტი აღმზრდელები და სულიერი მოძღვარი გახდნენ ჩვენი გამოჩენილი სამოციანელები: ანტონ ფურცელაძე, მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი და დავით ქარხოსროს ძე ყიფიანი, რომლებიც მასზე 7—10 წლით უფროსნი იყვნენ. ბავშვი ხარბად უსმენდა ჯერ მის. ყიფიანის მიმზიდველ საუბრებს სამყაროს აგებულებაზე, ხოლო 1859 წლიდან ანტონ ფურცელაძეს დაუშეგობრდა და მისი რევოლუციურ-დემოკრატიული საქმიანობის თანაზიარი გახდა.

ანტონ ფურცელაძე დომიტრი ყიფიანის ბიძაშვილი იყო (დედის მხრივ) და თბილისში ჩამოსვლისთანავე მათ ოჯახში ცხოვრობდა. როგორც ცნობილია, მისი იდეური მრწამსი სწორედ აღნიშნულ წლებში ყალიბდებოდა. ყიფიანების სახლში ის დღენიადაგ რუსეთიდან მიღებულ დემოკრატიული მიმართულების წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს დასციკონებდა და ამ მღელვარე შთაბეჭდილებებს პატარა, ცნობისმოყვარე მეგობარს უზიარებდა. მისთვის ჩვეული. გაცხარებით ეპაექრებოდა ყველაზე მწვავე საკითხებზე და წასაკითხ მასალას ურჩევდა.

1859—1860 წლებში ანტონ ფურცელაძემ და მისმა მეგობრებმა ფარული წრე შექმნეს და დაბალი წრეებიდან გამოსულ, საკმაოდ გამობრძნედილ მეგობრებთან ერთად (პ. უმიკაშვილი, ვახ. თულაშვილი,

კ. ივანოვი, კიენაძე, სარქისოვი, მდივანი და სხვ.)¹, მასში 13 წლის ნიკოლოზ ყიფიანიც შევიდა. ანტონ ფურცელაძის ცნობით, ამ წრეში ბატონყმობისა და ხელისუფლების წინააღმდეგ მსჯელობდნენ, საზღვარგარეთელ არაღვგალურ გამოცემებსაც კითხულობდნენ (იგულისხმება გერცენის გამოცემები) და ყრმა თანამებრძოლს, რომელიც ფურცელაძის სიტყვით, უკვე იმ დროს ძალიან დიდ იმედებს იძლეოდა, ყოველგვარ საიდუმლოს უმეღავნებდნენ.

ნიშნად იდეური თანაზიარობისა, 1861 წელს ანტონ ფურცელაძემ 14 წლის ნ. დ. ყიფიანს-მიუძღვნა ნ. ნეკრასოვის ლექსის „ოდეს შემგის კვალად ბრძოლის ხმა“ თარგმანი, რომელიც ეურნალ „ცისკარის“ მე-11 ნომერში დაისტამბა.

სხვათა შორის, თვითონაც ადრე დაახლოვებია ეურნალ „ცისკარს“; „ამ. დღეებში მე და კოტე კალოუბანსკი ვიყავით კერესელიძესთან,— სწერდა 1861 წლის 17 მარტს მამას.—იქ მე გავიცანი ჩვენი პოეტი ქალი ბარბარე ჯორჯაძე. ძალიან კარგი და ჰკვიანი ქალი მეჩვენა... კერესელიძეს ჭუთაისიდან ბაქრაძის წიგნი მოსვლია (ეს წიგნი „ცისკარში“ დაბეჭდა იმან, რომელიც დღეს გამოვიდა). იქ წარმოუდგენიათ „გაყრა“ და კიდევ რაღაც კომედია „კალმასობა“; რაც რომ ფული შეკრიბეს, სულ ქართული წიგნების დასაბეჭდათ გადადეს, კერესელიძე ცდილობს, რომ აქაც წარმოადგინონ „გაყრა“ და შენი ნათარგმნი „რომეო და ჯულიეტა“². ამას ზედ დაერთო, რომ 1860 წელს პეტერბურგიდან ჩამოვიდა მისი ნათესაეი დ. ყიფიანი, დობროლიუბოვის მეგობარი, ილია ქავჭავაძის უახლოესი თანამებრძოლი.

აქედან მოკიდებული შშობლებმა ნიკოლოზის აღზრდა ფაქტიურად დავითს მიახდეს. ერთ წერილში დიმიტრი მეუღლეს სწერდა: „Службы Датико не захател и в Тифлисе и не мудрено, он был бы у всех бельмом на глазу, потому, что он и душою и умом лучше многих, очень многих“³.

მიუხედავად კანდიდატის დიპლომისა, დავით ყიფიანს სახელმწიფო სამსახურის ნება არ დართეს და 1860—1863 წლებში ის მთელ თავისუფალ დროს უმცროსი ბიძაშვილის აღზრდას ანდომებდა. ყიფიანების მიმოწერიდან ჩანს, რომ ისინი განუწყვეტლივ ერთად ყოფილან. 1862 წლის 3 აგვტოს დავითი ნინო იავორის ასულს ამშვიდებდა, კოლა ერთი წუთითაც არ მშორდებო. „დათიკო ინსტიტუტიდან ახლად ჩამოსული იყო, მე ვიყავი 16 წლისა, — იგონებდა 90-იან წლებში ნიკოლოზ ყიფიანი, — მახსოვს ბიძია ქაიხოსრო რა სიხარულით გვიყურებდა, დილიდან საღამომდე რომ ეწერდით ამ წერილებსა“.

¹ «Закавказская речь», 1911 г. № 257.

² სსლ მფონდი, № 14958—ბ.

³ იქვე, № 14802—ბ.

უმადლესი განათლების მქონე ბიძაშვილი ჰაბუკს, უწინარეს ყოვლისა, იტაცებდა პოლიტიკური საუბრებით, პეტერბურგის სულიერი ცხოვრების დახასიათებით, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვთან შეხვედრების შთაბეჭდილებებით, საზოგადოებრივ მეცნიერებათა უახლესი ცნობებით. 1863 წლის 24 — ივლისს კოლა ამის თაობაზე ქარაგმულად სწერდა დედას: „Я защищаюсь с помощью Датико науками кое какими“.¹

ანტონ ფურცელაძისა და დავით ყიფიანისაგან დემოკრატიული იდეებით შთაგონებულ გიმნაზიელს მხურვალედ სურდა ეს იდეები თავისი მეგობრებისათვის გაეზიარებინა, სასწავლებლებშიაც ეპოვნა თანამოაზრენი.

1860 წელს მამას სწერდა: „გამომიგზავნე „Записки Гарибальди“... „Жизнь Гарибальди“, книгу, которую подарил мне Датико“.²

ალსანიშნავია, რომ აქ, საერთოდ, პირველად ვხვდებით გარიბალდის სახელს ქართველი კაცის ნაწერში.

1861 წლის მარტში ნიკ. ყიფიანი მამას სწერდა: „ახ, როგორ მადლობელი ვარ, რომ გამომიგზავნე ეს წიგნები, მეტადრე გარიბალდის ბიოგრაფია. მე ძლიერ შემეყვარდა ისა, რაც წაეიკითხე... მაგისი პატიოსნება და ენაუკობა. მე იტალიელი რომ ვყოფილიყავი უეჭველად წავიდოდი სამსახურში იმის ჯარში, მაგრამ ქართველი რომ ვარ, ჩემი ვალია ვემსახურო საქართველოსა და ვიყო იმისთვის სასარგებლო ყოველთვის“.³

იმავე დროს ნიკ. ყიფიანს დაუწყია გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალის — „თაიგულის“ გამოცემა, რომელიც სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოშიც ვრცელდებოდა და მალე საცენზურო კომიტეტის მკაცრი მსჯელობის საგნადაც გამხდარა.

ამ ჟურნალის ხასიათსა და მიმართულებაზე საკმაო წარმოდგენას იძლევა ერთი ადგილი ნიკ. ყიფიანის 1862 წლის 25 დეკემბრის წერილიდან: „Наш „Букет“ вышел бы уже, но остановило его еще одны маленькое улучшение: нам хочется поместить в нем портрет раненного Гарибальди“, რომელიც კოსტიამ და გიმნაზიელმა სულთანოვმა გადმოხატეს ლონდონის „ილუსტრირებული ჟურნალიდან“.⁴

ჟურნალს ასულგმულებდა ნიკ. ყიფიანის თაოსნობით ორგანიზებული წრე. რომლის შესახებაც ის წერდა: „У меня собирался кружок товарищей (в гимназии)... бывали у меня тогда Кананов, Мгебров, Цхведадзе, Гогешавили, братья Цветковы и. т. д.“.⁵

¹ სსმ ფონდი, № 15128—ბ.

² იქვე, № 15149—ბ.

³ იქვე, № 14958—ბ.

⁴ სსმ ფონდი, № 14963—ბ.

⁵ იქვე, № 15158—ბ.

გამნაზიაში სწავლის დროს, ნიკ. ყიფიანს შეუდგენია „სოლომონ დოდაშვილის ვრცელი ბიოგრაფია“; 1859 წლიდან დაუწყია ხალხური ლექსების, განსაკუთრებით, არსენა ოძელაშვილზე გამოთქმულ ლექსთა შეკრება, რომელიც მანვე გამოსცა პირველად.

1860—1863 წლებში ნიკ. ყიფიანის ინიციატივით გამნაზიის წრე ხშირად აწყობდა ქართულ წარმოდგენებს, რომელთაც უფროსებიც ესწრებოდნენ. რუსული და უცხოური ენებიდან თარგმნიდნენ მხატვრულ და მეცნიერულ-პუბლიცისტურ თხზულებებს; როგორც 1863 წლის 22 იანვრის ბარათიდან ჩანს, წრის ექვს წევრს შეერთებული ძალით უთარგმნია „მსოფლიო ისტორიის ნარკვევები“.

კოლას უკვე გადაკითხული აქვს ასობით წიგნი ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, მისი სიტყვით რომ ვთქვათ — „გამანხნევებელი და წამქეზებელი ბიოგრაფიები სხვადასხვა ასპარეზზედ მოქმედი კაცებისა და ქალებისა“. მის საყვარელ გმირთა გაღერებაში უკვე მკაფიოდ არიან გამოქანდაკებული სახეები ბელინსკისა, დობროლიუბოვისა და ტურგენევისა, ვიქტორ ჰიუგოსი და გამბეტასი, გლადსტონისა და კასტელარისა, ჟორჟ ზანდისა და ეანა დარკის, ვაშინგტონისა და ლინკოლნის, შილერისა და ჰაინესი, როშელისა და გარიბალდის. „У меня есть, милый папаша, маленькая просьба к тебе. — სწერდა 1862 წლის 25 დეკემბერს, — если ты будешь выписывать в будущем 1863 году газеты и журналы, то выпиши... газету «Современное слово» и журнал «Современник»!.. Это два издания лучше всех других изданий русских“².

ნიკოლოზ ყიფიანის 1862—1863 წლის კერძო წერილები ბევრ ისეთ საკითხს ჰფენენ შუქს, რომელთა პასუხს იმდროინდელ ჟურნალისტიკაში ვერ ვპოულობთ. ამ ბარათებსა და ნიკ. ყიფიანის გამოუქვეყნებელ მოგონებებში დამარწმუნებლად ცხადდება, რა განუზომელი გავლენა ჰქონია ჩვენს საზოგადოებასა და მოსწავლე ახალგაზრდობაზე რევოლუციონერ-დემოკრატიულ მოძრაობას, მოწინავე რუსულ ლიტერატურას. „От „Накануне“ я был в восторге. — წერს ნიკ. ყიფიანი, — Помню прекрасную личность Инсарова, этого патриота — болгар, готовящегося на борьбу против угнетателей родной земли. Эта личность патриота, борца за свободу родины врезалась в моей памяти навсегда.“

მაშინ გამოაქვეყნა დობროლიუბოვმა თავისი სტატია: „Когда же придет настоящий день?“ ...Это заглавие романа означает „Накануне освобождения родины от угнетателей“ и Добролюбов задался вопросом — Когда же придет настоящий день освобождения нашей (русской) родины от угнетателей... сочинения Добролюбова имеют огромное воспитательное значение и очень содей-

¹ სსმ ფონდი, № 14967—ბ.

² სსმ ფონდი, № 14967—ბ.

ствуют умственному и нравственному развитию молодежи... Хорошие вещи необходимо читать и перечитывать... „Отцы и дети“ я прочитал тоже, когда мне было 16 лет. Прочитав „отцов и детей, со мною произошла интереснейшая история. Я вообразил, что я нечто в роде Базарова, а что мой отец... нечто в роде Николая или Павла Кирсанова!...

სხვა წერილებიდანაც ასევე ჩანს, რომ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში, როცა ნიკ. ყიფიანი ძალიან ბევრ რუსულ და ევროპულ წიგნს კითხულობდა, მათ ნიადაგზე აღძრულ ფიქრთა ავტორიტეტულ პასუხს „სოვრემენიკში“, ჩერნიშევსკის, დობროლინოვისა და ანტონოვიჩის წერილებში პოულობდა. მათი დახმარებით მიიკვლევდა გზას საზოგადოებრივი და მხატვრული აზროვნების რთულ ლაბირინთში და მის წერილებშიც განუწყვეტლივ ვხვდებით ამ საღმერთებელ სახელებს.

ტურგენევით გატაცება მას ხელს არ უშლიდა სწორად ამოეშიფრა „მამებისა და შვილების“ იდეური ქარაგმა და თავისი დამოუკიდებელი დასკვნის შესაძოწმებლად, გაფაციცებით თვალს ადევნებდა ბაზაროვის გარშემო „რუსკოე სლოვოსა“ და „სოვრემენიკს“ შორის ატეხილ პოლემიკას: „Правда была, по-моему, на стороне „Современника“ и Антоновича. — წერს ის, — этот роман был написан против молодежи, против нового движения в русской жизни“.

ევროპელი მწერლებისაგან ჭაბუკის გული ფრიდრიხ შილერისა და ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედების რევოლუციურ რომანტიკასა და გაფაქიზებულ სულიერ სიწმინდეს მოუხიბლავს. „Les Misérables“ — это чудная, чудная вещь,—ეკითხულობთ ერთ-ერთ წერილში.—В этом романе ты встретишь очаровательную личность епископа Мирреля... В моей религии первое место занимают Виктор Гюго, Шиллер и Жорж Занд».

მხატვრულ ნაწერებში გიმნაზიელს სიკეთისა და ქეშმარიტების პათოსი ატყვევებდა, ხოლო ამ ლიტერატურულ შთაბეჭდილებებს გამგებული ბოროტების საიდუმლოებათა გამოცნობის აუცილებლობამდე მიჰყავდა, ამიტომ მის წერილებში სულ უფრო ხშირად ვხვდებით მიკლლის, ბოკლის, შლოსერის, გერვენიუსის, შერერისა და რიტერის სახელებს. 1864 წლის 21 ივნისს მამას ატყობინებდა „Мне подавалась политическая экономия Милля и очень заинтересовала меня. Все это время я занимаюсь почти исключительно этим предметом“.

(რაც შეიძლება მივეძაღები ბოკლს, შლოსერს, გერვენიუსს...)².

გზა, რომელიც ნიკოლოზ ყიფიანმა აქამდე განვლო, თითქოს სავესებით საკმარისი იყო ახალი ადამიანის ხასიათისა და იდეური მრწამ-

¹ სსმ ფონდი, № 15165—ბ.

² სსმ ფონდი, № 14970—ბ.

სის ჩამოსაყალიბებლად. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა; 1862 წელს იგი მიაბარეს დავით ყიფიანის ახალგაზსნილ პანსიონში — ქართული თავისუფალი აღზრდის ამ პირველ ტაძარში.

ეს სასწავლებელი ილია ჭავჭავაძის წრის თაოსნობით დაარსდა და მისი აღზრდის სისტემას საფუძვლად დაედო რევოლუციონერ-დემოკრატიკული პედაგოგიკური შეხედულებანი.

კოლა და მისი უმცროსი ძმა კოტე ამ ახალი პანსიონის პირველი მოწაფეები იყვნენ. უფროსი ვაჟის დაეინებულნი თხოვნით, მამა კიდევ ჩქარობდა მათს იქ მიბარებას.

პანსიონში პედაგოგებად მიწვეულნი იყვნენ სამოციანელები, ილიას თანამებრძოლები. ისტორიას ამ სკოლაში ასწავლიდა ნიკო ლოლობერიძე. გეოგრაფიას, პოლონელი ემიგრანტი ზაგურსკი, არითმეტიკას — ბესარიონ ლოლობერიძე, ქართულ ენასა და სიტყვიერებას — გ. წერეთელი. რუსულ ენასა და სიტყვიერებას — სპოროვი, ფიზიკას — მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული — ყორღანოვი, ხატვას — საბაევი. ამასთან ზაგურსკი, მოსიო შარლე და თვითონ დავით ყიფიანი კოლას ცალკე გაკვეთილებსაც უტარებდნენ ახალსა და კლასიკურ ენებში¹.

სახელმწიფო სასწავლებლებისაგან განსხვავებით, დ. ყიფიანის პანსიონში დიდი ყურადღება ექცეოდა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს, აგრეთვე, მოსწავლეთა თვითმოქმედებას. ეწყობოდა წარმოდგენები, ლექცია-მოხსენებები, დისპუტები, გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალები, ღირსეული ადგილი ეკავა ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას.

ნიკ. ყიფიანი აღფრთოვანებული იყო ახალი სასწავლებლით, სადაც მის დაუცხროშელ ცნობისმოყვარეობასა და სამოღვაწეო მოქმედებისაკენ სწრაფვას ფართო გასაქანი მიეცა. „...Мы мальчики грузины старшего класса, делаем сборник грузинских стихов. Нам помогают Датико, Амаля“) მარკევიჩი, დავით ყიფიანის მეუღლე. — ა. კ.). — სწერდა მამას 1862 წლის დეკემბერში.

1863 წელს ახალთაობამ დააარსა საკუთარი ბექტდვითი ორგანო — „საქართველოს მოამბე“, რომლის ერთ-ერთი მესვეური და თანარედაქტორი დავით ყიფიანი იყო. გარდა ამისა, ჟურნალში დიმიტრი და მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანებიც თანამშრომლობდნენ. ამან საზოგადოებრივი ცხოვრება ერთბაშად გამოაცოცხლა, გაჩაღდა პოლემიკა, განახლდა მაშინავე იდეებისათვის ლაშქრობა. 16 წლის ნიკოლოზ ყიფიანი მხურვალედ მონაწილეობდა ჟურნალის ორგანიზაციაში და მრავალმხრივ დახმარებას უწევდა მას.

¹ სსსრ ფონდი №№ 14958, 14959, 14968—ბ.

ჭერ კიდევ 1862 წლის დეკემბერში აღტაცებული ატყობინებდა მამას: «Кстати надо сказать, что число подписчиков на «Грузинский Вестник» доходит до 500. Это очень довольно. Но Чавчавадзе еще не получил букв, так, что не может еще приступить к печатанию. Впрочем, ожидает на днях»¹.

10 ნოემბერს მამას სთხოვდა, პირველ ნომბრისათვის უეჭველად მოემზადებინა მიტჩელის ლექციები, ხოლო მისი შეკითხვის პასუხად, საქმის ცოდნით განუმარტავდა: მე ვკითხვ დათიკოს, რომელ განყოფილებაში დაბეჭდავთ მიტჩელის ლექციებს, რომ პროგრამის მიხედვით, სამეცნიერო განყოფილება არა გაქვთ მეტი? მან მიპასუხა: „В программе этого отдела не вписали... Но, что для науки всегда будет место в „მომამბე“². 25 დეკემბერს კი აცნობებდა: „Лекции Митчеля) т. е. твой перевод я отнес в тот же день И. Чавчавадзе. Он был очень рад и благодарен».

მამას მისთვისვე მიუზღვია აღნიშნული წერილის კორექტურისათვის თვალისდევნება, რის შესახებაც სწერს: „Ты пишешь, чтоб корректура была тщательная, она будет, кажется, очень тщательна так, как в «Вестнике» корректор хорош, т. е. аккуратен. Это один мой приятель — Умиков. (და თუ არ მომეწონა მე თვითონ გავასწორებო. — ა. კ.).

როგორც ირკვევა, ამ ლექციების ბოლო ნაწილი ნიკ. ყიფიანს უთარგმნია³.

1862 წლის დეკემბერში სასწრაფო საქმის გამო დავით ყიფიანი პეტერბურგს გამგზავრებულა და თავისი საპროგრამო „შინაური მიმოხილვის“, ქართული დემოკრატიული პუბლიცისტიკის ამ ბრწყინვალე ნაწარმოების დამთავრება და სტილისტური დამუშავება კოლასთვის დაუვალებია. დათიკომ დამავალა მძიმე საქმე, — სწერს მამას, — „Эта его статья для „Грузинского Вестника“, которую он не успел ни кончить ни обработать. Приходится мне сделать это“ (1862 წ. 18 დეკემბერი)⁴. უფრო ადრე, 10 ნოემბერს, აცნობებდა: „დავიწყე ვალტერ სკოტის თარგმნა, მინდა დაბეჭდო „საქართველოს მოამბის“ მარტის ან აპრილის ნომერში⁵.

შემონახულია ფრაგმენტები და რუსული კონსპექტური თარგმანი ნიკ. ყიფიანის პოლემიკური ფელეტონისა, რომელიც „ცისკარის“ წინააღმდეგაა მიმართული. ეს თხზულება დაწერილია არა უგვიანეს 1863 წლის ნოემბრისა, ილია ჭავჭავაძის „სხარტულას“ გავლენით⁶ და, რო-

¹ სსლმ ფონდი, № 14963—ბ.

² იქვე, № 14959—ბ.

³ იქვე, № 14960—ბ.

⁴ სსლმ ფონდი, № 14962—ბ.

⁵ იქვე, № 15959—ბ.

⁶ წერილში ნათქვამია: „ახლა „ცისკარიც“ მოინდომებს „სხარტულას“ შემოეგმას.

გორც ავტორის განცხადებიდან ჩანს, „საქართველოს მოამბეში“ დასაბუთად ყოფილა მომზადებული, მასში გაკრიტიკებულია ივ. კერესელიძის 1862 წლის „სალაყბო ფურცელი“, მისი ავტორის მერყეობა, აგრეთვე. მხილებულია ანტონ ფურცელაძის ტენდენციურობა და უპრინციპობა. ეტყობა, ეს წერილი „საქართველოს მოამბის“ მოულოდნელი დახურვის გამო¹ დარჩა დაუბეჭდავი.

ის ფაქტი, რომ 1863 წელს ნიკ. ყიფიანი „საქართველოს მოამბის“ მხარეზე დადგა, უდავოდ, მისი იდეური სიმტკიცის მაჩვენებელია. მით უფრო, რომ მისი პირველი პოლიტიკური მოძღვარი, ანტონ ფურცელაძე შეეცადა გადამწყვეტ მომენტში თავის „ცისკარში“ გვერდით ჰყოლოდა იგი. ამასთან, ნიკ. ყიფიანსაც შეუმჩნევია, რომ კერესელიძის ჟურნალიც ახალი გზით აპირებდა წასვლას. „ცისკარი“ тоже не унывает,— სწერდა ის 1863 წლის 22 იანვარს. — Идет теперь прогрессивно: Наш Антон Пурцеладзе... сделался сотрудником большим редактора»¹.

„საქართველოს მოამბის“ გავლენით, ნიკ. ყიფიანს თავისი ხელნაწერი ჟურნალისათვის ისეთი მიმართულება მიუცია, რომ საცენზურო კომიტეტს ჯერ შეუჩერებია, ხოლო შემდეგ კატეგორიულად აუკრძალავს მისი გამოცემა. ამ საქმით დაინტერესებულ მამას ატყობინებდა: „Ты спрашиваешь о нашем журнале. Я очень рад, что он тебя интересует. Второй № не вышел еще... К сожалению, из Кутаиса ничего не пишут: послать им экземпляры, или нет? (1862 წ., 30 ნოემბერი). „თაიგული“ наш выходит, я доволен этим номером (1862 წ., 18 დეკემბერი)“... 1-й № „საქართველოს მოამბე“ еще не вышел: цензор задерживал долго статью... Так, как с „Вестником“ случилась такая беда, редакция его принуждена отложить до второго номера... многие статьи... с нашим „თაიგული“ тоже случилась беда... Нам сказали, что тут крепко следят за проявлением какой-нибудь более или менее либеральной идей“².

მამა-შვილს ერთმანეთთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა; დიმიტრი ვეიას ერთგულ თანამებრძოლად და მესაიდუმლედ თვლიდა. მათი იმდროინდელი პოლიტიკური საუბრების თაობაზე, ნიკ. ყიფიანი 1893 წელსაც კი გადაკვრით წერდა: „გულით ვწუხვარ, რომ „სხვადასხვა მიზეზების გამო“, არ შემიძლია დაწვრილებით გვიამბოთ, რა და რა საგანზედ გვქონდა ბაასიო“³.

1863 წელს, როცა მსხვილ მემამულეთა სურვილის წინააღმდეგ.

¹ სსმ ფონდი, № 14967—ხ.

² კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, დიმიტრი ყიფიანის ფონდი № 414; სსმ ფონდი № № 14960—14962—ხ.

³ „კვალი“ 1893, № 15.

დომ. ყიფიანი გუბერნიის მარშლად იქნა დასახელებული, ნიკოლოზიც აქტიურად მონაწილეობდა საარჩევნო ბრძოლაში, ეთათბირებოდა ამ საქმეზე მამას, ესწრებოდა კენჭისყრას და უფრო იმსკველებოდა „პატრიოტებისადმი“ სიძულვილით. ყოველივე ეს ამაღლებულად აქვს აღწერილი თავის მოგონებებში¹.

დავით ყიფიანთან ერთად იგი დიდი გატაცებით შველოდა მამას ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებული მასალების შედგენაში, საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად წამოწყებულ მუშაობასა და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ასეთი გონებრივი განვითარებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრთობის სკოლა ჰქონდა გამოვლილი 17 წლის ნიკოლოზ ყიფიანს, როცა 1864 წელს მშობლებმა პეტერბურგს გაგზავნეს უმაღლესი განათლების მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი უფრო ადრეც, 1860 წელს იბარებდა შვილს პეტერბურგში, იქაურ სასწავლებელში შესაყვანად, მაგრამ მეუღლე ვერ დაითანხმა².

13 ივლისს დავით ყიფიანის თანხლებით ნიკოლოზი პეტერბურგს გაემგზავრა. დიმიტრი მეუღლეს სწერდა: „Вот и решил я самому отвезти моего Колю и Датико в Орпири, посадить их на парад, благославить их возвратиться назад“³.

თვითონ ნიკოლოზს კი დღიურში ჩაუწერია: „Часа через два мы оставляем Квишхет; Тут же начались прощания со мною на 4 или 5 лет... В Петербурге мы приедем к первым числам августа“⁴.

1864 წლის შემოდგომიდან ნიკოლოზი დაბინავდა დავით ყიფიანის ცოლის — ამალია მარკვეიჩის მშობლების ოჯახში. მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა აგრეთვე დეიდამისი, ლიზა ნაზაროვა (ქილაშვილი), რომლის მეუღლესაც დიდი თანამდებობა ეკავა.

ღვიძლი შვილივით მიიღეს იგი ეკატერინე ჭავჭავაძის (დადიანის) ოჯახშიც. „Она меня приняла очень любезно, просила, навещать часто“. — ატყობინებდა იმავე წელს დედას. ეკატერინე მაინც საყვედურს უთვლიდა დიმიტრის, კოლა იშვიათად მოდის ჩვენსაო⁵.

1864 წლიდან ნიკ. ყიფიანი ერთდროულად ემზადებოდა გიმნაზიის ატესტატის მისაღები და უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდებისათვის. რადგან ხელისუფალნი დავით ყიფიანის პანსიონში სწავლას ანგარიშს არ უწყევდნენ, ნიკოლოზი მშობლებს სთხოვდა, თბილისის გიმნა-

¹ ნ. ყიფიანი, „ცხოვრება დომ. ყიფიანისა“, „მოამბე“, 1894, სსლმ ფონდი, № 14968—ბ.

² იქვე, № 15066—ბ. № 14790—ბ.

³ იქვე, № 14877—ბ.

⁴ იქვე, № 14877—ბ.

⁵ სსლმ ფონდი, № 14953—ბ.

ზიარე რომ ესწავლობდი, იმის ცნობა გამომიგზავნეთო. როგორც წერილებიდან ჩანს, ძალიან ბეჭითად მეცადინეობდა და დედასაც იმედს აძლევდა: „Папаша мне сказал, чтобы я вернулся в Грузию только тогда когда я буду чувствовать себя полезным для нее. А так, как, я непременно хочу вернуться, то надо сделаться полезным для Грузии, значит быть хорошим человеком“ (15.XII. 1864 г.)

პირველმა გამოცდებმა იმედები გაუტრუა მას. მართალია, ფრანგულ ენაში ხუთიანი მიიღო, მაგრამ ძველ ისტორიაში სქოლასტიკოსმა პედაგოგებმა ჩასჭრეს. მან მხოლოდ 1867 წელს შობაზე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა, ისიც იმ პირობით, რომ კურსის დასთავრებამდე გიმნაზიის ატესტატიც უნდა აეღო. მაინც დარწმუნებული იყო, რომ განუწყვეტელი ბეჭითი მუშაობა სასურველ ნაყოფს მოიტანდა და მამისათვის მოცემულ ფიცს შეასრულებდა. პეტერბურგს რომ ჩამოვედი, — წერს ერთ ბარათში, — მაშინ იმედი მქონდა, რომ 1865 წელს შევიდოდი და 1869 წლის სექტემბერში დავამთავრებდი უნივერსიტეტს. თუ მართლაც კანდიდატობას მივალწვევ 69-ში, მაშინ არაფერი არ დამიკარგავს, თუ 70-ის აგვისტოში ან სექტემბერში დავამთავრებ, გამოვა, რომ ერთი წელი დამიკარგავს. პირობას ვაძლევ მამას, რომ 70-ის შემოდგომაზე მაინც დავამთავრო¹.

დიმიტრი თითქმის ყოველ წელს ნახულობდა შვილს პეტერბურგში და ძალიან კმაყოფილი იყო მისი სწავლითა და ყოფაქცევით. 1868 წელს იგი, სხვათა შორის, პეტერბურგიდან პარიზსა და ლონდონს გამგზავრებულა², ხოლო 1867 წელს უმცროსი ვაჟი კოტეც პეტერბურგს ჩაუყვანია სასწავლებლად.

ნიკოლოზი მეტად თავდაპირველ, სტოიკურ ცხოვრებას ეწეოდა სატანტო ქალაქში. მშობლებს სთხოვდა, უფრო ნაკლები რაოდენობით გაეგზავნათ ფული, ხოლო დანაზოგს ღარიბ ამხანაგებს უნაწილებდა, ან ახალი წიგნების შესაძენად ხარჯავდა³. სალომე დადიანთან (შემდეგ მიურატისა) და ამალია მარკევიჩის უმცროს დასთან. მისი ურთიერთობის გარშემო გავრცელებული ჭორის თაობაზე მამას სწერდა: „Эти 5—7 лет я должен употреблять единственно только на то, чтоб сделать из себя человека... конечно, я не буду избегать ни молодых людей, ни молодых девушек, наоборот, я буду стараться сблизиться и с теми и другими, но не для любви и не для сентиментальных вздохов... Если и кому вздумается влюбить меня в себя, я отвожу ей словами Рахматова: „некогда, моль, дражайшая“⁴...

¹ სსმ ფონდი, № 15143—ბ; 15144—ბ.

² იქვე, № 15100—ბ.

³ იქვე, № 15132—ბ.

⁴ იქვე, № 14989—ბ.

მართლაც, პეტერბურგში მისვლისთანავე ნიკ. ყიფიანი თავდავიწყებით დასწაფებია იქაურ კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. უკვე 1864 წლის ოქტომბერში გაუცვნია რომელიღაც რედაქტორი ქალი, რომელიც თავის ჟურნალში ნათარგმნ რომანებს ბეჭდავდა და, კიდევ უცდია მასში მონაწილეობა. დედ-მამისადმი წერილები საესეა შარლინსკის, მიხაილოვისა და სხვა თეატრთა სპექტაკლების მიმოხილვით. ერთმანეთს სცვლიან ერმიტაჟის, ფრანგული კომედიის, მუზეუმების, კუნსტაკამერის, ზამთრის სასახლის, სამხატვრო აკადემიის გამოფენათა შთაბეჭდილებანი. ესწრება შექსპირის წარმოდგენებს და ამ საქმით დაინტერესებულ მამას დაწერილებით აცნობს თავის მოსაზრებებს, პროფესიული სიზუსტით მსჯელობს გამოჩენილ რეჟისორთა და წახიობთა ხელოვნებაზე¹.

მაგრამ ყოველივე ეს ნებადართულის სფეროში შედიოდა. წერა-ღების გაცნობა კი იმასაც გვაგრძნობინებს, რომ ქართველი სტუდენტი იმთავითვე გაყდენთილა პეტერბურგის რევოლუციური სუნთქვით და თბილისის არალეგალურ წრეებში აღმოცენებულ განწყობილებებს იქ ფართო გასაქანი უპოვია. მას სისტემატური მიმოწერა აქვს თბილისელ მეგობრებთან: ანტ. ფურცელაძესთან, კოტე კალოუბანსკისთან, კიკნაძესთან, კ. ივანოვთან; ვკითხულობ დარვინს, ბოკლს, მილს. — ატყობინებს დედას². ვცდილობ ვიშოვო „სოვრემენიკის“ ნომრები“. — სწერს მამას³.

ახალ შექმე მშობლიურ კულტურასა და ლიტერატურასაც ახალი ბრწყინვა ეძლევა. ბარათაშვილის შემოქმედებით მოჯადოებული, 1865 წელს მამას სთხოვს: „ნეტავ ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი? შენ, მგონია, იცნობდი, სწავლა სად მიიღო? სამსახურში ყოფილა თუ არა? ყოფილა სადმე ან რუსეთში, ან იქით — სპარსეთში? რა ხასიათის იყო? საზოგადოებაში რა იყო? საზოგადოება როგორ უყურებდა?“⁴.

დიდი პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის გასახსნელად ესოდენ მარჯვედ დასმულ კითხვებზე იმავ წლის 5 აპრილს დიმიტრი ყიფიანმა უპასუხა ვრცელი წერილით, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ერთ-ერთ უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს⁵.

საერთოდ, წერილებში მშობლებისადმი ნიკ. ყიფიანი არაჩვეულებრივად გულახდილია. მამას არ უმაღლავს თავის პოლიტიკურ შეხედულებებსა და განწყობილებებს, გულმხურვალედ თანაუგრძნობს მის საზოგადოებრივ წამოწყებებს და იმასთან დაკავშირებით, რომ საადგილმამულო

¹ სსლმ ფონდი, № 15132—ხ, 15135—ხ. და სხვ.

² იქვე, № 15138—ხ.

³ იქვე, № 14997—ხ.

⁴ სსლმ ფონდი, №883—ხ.

⁵ № 14920—ხ.

ბანკის დაარსების გეგმა მსხვილ მემამულეთა წინააღმდეგობის წააწყდა, სწერს: „ჩვენი კეთილმდგომარეობისა და წინსვლის ერთი დამაბრკოლებელი — ჩვენი გაუთლელი პატრიციები არიან და მეორე — ეგ მთავრობა. ორბელიანებსა, მუხრანბატონებსა და სხვა ბატონსა და ქათმის ბატონებს, შენ ყოველთვის დაამარცხებ, ეგ მთავრობა თუკი ვერ დაამარცხე, საზოგადო საქმეს მაინც არ გადასდგები და ქვეყნის თვალში მაგითი მთავრობა უფრო დაეცემა. აბა ვნახოთ, რას იზამს მთავრობა!“¹

ამ წერილების პოლიტიკური სითამამე გაკვირვებას იწვევს. ნიკ. ყიფიანი უსაზღვრო სიძულელილს გამოხატავს მეფის ხელისუფლებისადმი. ჩვენთვის ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აქ საერთოდ, მაშინდელი მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის პოლიტიკური სულისკვეთება მჟღავნდება, და, რამდენადაც, ცენზურით შეზოქილ პრესაში ამ ფაქტის ასე პირდაპირ დადასტურებას ვერ ვხვდებით. „არა გწყალობენ, რაღა! — სწერს მამას 1865 წლის 13 იანვარს, — ჯანი გავარდეთ. თუ არა გწყალობენ! რად გვინდა მაგათი წყალობა... ამისთანა მთავრობასაც რა ვუთხრა, შეარცხვინა ღმერთმა?.

ამ შეუთქავებელ პროტესტს მხოლოდ პირადი, ოჯახური უკმაყოფილება როდი იწვევს. იგი არანაკლებ მტკივნეულად განიცდის მთელი ხალხის, რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციის, მის სათაყვანო მოძღვართა ტრაგედიას. 1865 წელს მამას ატყობინებდა: კიდევ ახალი ამბავი: «Один русский публицист и литератор -- Серно-Соловьевич (в роде Чернышевского) ссылается в Сибирь, в рудники. ესეც პროგრესი და განათლება! ესეც მთავრობა!»²

ამ დროს ნიკ. ყიფიანი თავს უკვე ახალთაობის წარმომადგენლად თვლის. თაობისა, რომელმაც, მისი აზრით, თერგდალეულთა საქმე წინ უნდა წასწიოს, უფრო მეტი გაბედულება და თავდადება გამოიჩინოს. 1865 წ. 8 მაისის წერილში იგი ამ ახალთაობის სახელით ლაპარაკობს: „Здесьняя молодежь (которая будет по всей вероятности, гораздо лучше, толковее своих предшественников (წვეროსანოვ), в восторге от твоего дела“.

მშობლებისათვის მოულოდნელმა ამ პოლიტიკურმა განწყობილებამ ნიკ. ყიფიანი ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლამდე მიიყვანა.

1868 წლის 28 სექტემბერს იგი დაიჭირეს და პეტერბურგის პოლიციის სატუსაღოში მოათავესეს; როგორც საშიში პოლიტიკური დამნაშავე. გაჩხრეკის დროს მის ბინაში აღმოაჩინეს დიდძალი აკრძალული

¹ № 149996—ბ.

² № 14981—ბ.

³ სს.ლმ ფონდი, № 14981—ბ.

ლიტერატურა და ნაწერები, რითაც აშკარა¹ გახდა, რა მოღვაწეობას ეწეოდა პეტერბურგში¹.

მასთან ერთად დააბატიმრეს რუსი რევოლუციონერები ვასილ სუფ-შინსკი და ეკატერინე სოლოდოვიკოვა.

1864 წელს ნიკ. ყიფიანს „ლა კლოშედან“ უთარგმნია ვრცელი სტა-ტია: „ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი“; 1866 წელს ქართულ ენაზე პირველად უთარგმნია რევოლუციური ჰიმნი „მარსელიეზა“; 1867 წელს — სენ-სიმონის სიტყვა მუშებისადმი. ორგანიზაციული კავშირი დაუმყარებია რუს (ტკაჩევი, ნაჩაევი, ელპიდინი, სუფშინსკი და სხვ.) და ფრანგ რევოლუციონერებთან. 1867 წელს დაუარსებია კავკასიელ სტუდენტთა ფარული სალარო; ამ მიზნით, აღურიცხავს პეტერბურგში მოსწავლე ყველა კავკასიელი სტუდენტი² და ბ. კოშმინის სიტყვით, განზრახული ჰქონია მთელი რუსეთის სტუდენტთა საიდუმლო პოლი-ტიკური ორგანიზაციის შექმნა³. 1867 წლის 18 ნოემბრის წერილში ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი, რომლითაც პოლიციამ ნ. ყიფიანის რე-ვოლუციური საქმიანობის კვალს მიაგნო. იგი წერდა: „ერთი თვის წინათ შეეგროვდით ჩვენ პირველად ოცდაათი ოდე კაცი, ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ მოვაწყოთ და დავამყაროთ ერთმანეთ შორის კავ-შირ-ურთიერთობა. საქმე, რომელიც ჩვენ გვიანტერესებდა, რომლის-კენაც ჩვენ მივისწრაფოდით, ეს იყო გაერთიანება, ჭერჯერობით თუნ-დაც მარტო კავკასიელ ახალგაზრდობისა... სხვა დროს მე თქვენ დაწვ-რილებით გიამბობთ იმ გეგმების შესახებ, რომელთა განხორციელება განზრახული აქვს რამოდენიმე კაცს და მათ შორის მეც“. ამ საბრძო-ლო სულისკვეთებით გაუღწილ წერილში ნიკ. ყიფიანი გარკვევით წერს: „სალარო მე მაინტერესებს. როგორც ახალგაზრდობის ორგანი-ზაციული გაერთიანების ატრიბუტი“, რომ... „ახალგაზრდობა... გამოი-ჩენს მზადყოფნას გააკეთოს საქმე და გამოიჩენენ სიმტკიცეს, წავიდ-ნენ ცეცხლში, როცა გაისმება ხმა და როცა გამოჩნდება ადამიანი, რომელიც წინ გაუძღვება მათ“⁴.

მამხილებელ მასალად, გარდა ზემოაღნიშნულისა, ნიკ. ყიფიანს წა-რუდგინეს სალაროს წესდება, წვერთა სია, წრეების დებუტატთა ან-გარიში, მისი მიმართვა წრეების დებუტატთა კრებისადმი, ამონაწერე-ბი „ქოლოკოლიდან“ და „პოლიარნაია ზევზდიდან“, სერნო-სოლოვიე-ვიჩის პასუხი გერტენს; ჩერნიშევსკის, პისარევის, მიხაილოვის, პრუ-

¹ დაწერილებით იხ. პროკ. რატიანი, „თერგდალეულთა რევოლუციური მოღ-ვაწეობის ისტორიიდან“, 1962 წ.

² „დროება“, 1871, № 14.

³ Б. П. Козьмин, Революционное подполье в эпоху «белого террора», М., 1929, стр. 23.

⁴ პროკ. რატიანი, „თერგდალეულთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან“, 1962 წ.

დონის პორტრეტები და ფოტოსურათები, მისი ხელით ჩაწერილი პოლიტიკური გამოცანები და სხვ.

პოლიციისათვის აშკარა გახდა, რომ ხელთ ჩაუვარდა აქტიური რევოლუციონერი, რომელიც თითქოს, ემიგრანტთა ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული. პოლიცია ყოველნაირად შეეცადა, რომ მისი საშუალებით გაეხსნა ფარული რევოლუციური ორგანიზაციების ქსელი, მაგრამ გამოძიების პროცესშიც ნიკ. ყიფიანმა დიდი სიმტკიცე და მოხერხება გამოიჩინა. პოლიციამ მისგან ვერ გაიგო ვერავითარი ახალი ცნობა.

ნიკ. ყიფიანი დარწმუნებული ყოფილა, რომ რუსეთში აჯანყებ. იფეთქებდა და მეფის მთავრობა დაემხობოდა. 1867 წელს - გი ალგუნებით სწერდა მამას: ხმა გავრცელდა, რომ მანდ ამბობება ფაიწყო თბილისის მოსახლეობა აღსდგა და თბილისს თუშ-ფშავე-ხევისურთა ჟარი უახლოვდება. „უნდა გამოგიტყდეთ, რომ მაშინ სისხლი მრდულდა, ვფიქრობდი, შეგვეძლო მე და ჩემს ამხანაგებს მთელი ქვეყანა გადაგვეტრიალებინა, — წერდა ის მოგვიანებით, — ...თითქოს ცეცხლმოდებული გვექონდა... ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობდით წაღმა უკულმა ყოველისფერზედ და ბევრსაც ვფიქრობდით, რომ... ქვეს გაეხეთქავდით... რაკი მიდულდა სისხლი, საფიქრებელი, სალაპარაკო და გასაზიარებელი ბევრი მქონდა და მსმენელი კი, ვინც შემხედებოდა ხოლმე იღლებოდნენ ჩემი... ქადაგებით“¹.

მეტად გავლენიანმა ნათესაებმა (ბუტკოვი, ნაზაროვი, ერისთავი დადიანი, ჩიქოვანი და სხვ.) ნიკ. ყიფიანი მაინც გადაარჩინეს მძიმე სასჯელს, მას „უსასტიკესი გაკიცხვა“ გამოუცხადეს, დროებითი საიდუმლო მეთვალყურეობა დაუწესეს, ქალაქიდან გასვლა აუკრძალეს და 1868 წლის 10 ოქტომბერს, თავდებით, საპატიმროდან გამოუშვეს.

ამ რეპრესიებმა ნიკ. ყიფიანი ვერ გატეხა; რამდენიმე თვის შემდეგ, 1869 წლის დამდეგს, მან უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო პეტერბურგელ სტუდენტთა გამოსვლებში, რის გამოც, კვლავ დააპატიმრეს. ამჯერად ვეღარ გასტრა ვერც ნათესაეების შუამდგომლობამ, ვერც მამის მუდარამ. საბრალმდებლო დასკვნაში ჩაუწერეს: „ეწეოდა პროპაგანდას დაბალი წოდების ხალხში, უმთავრესად იმ მიზნით, რომ დამახინჯებულად წარმოედგინა გლეხთა მდგომარეობა და გამოეწვია... გაუგებრობა და არეულობა, 1870 წლის დადგომასთან დაკავშირებით“

როგორც მძიმე დამნაშავე, იგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს, სწავლის უფლება აღუკვეთეს და ადმინისტრაციული წესით, პოლიციის თანხლებით საქართველოში გამოაგზავნეს.

შემდეგ ბევრს ეცადა ღიმიტრი, რომ შვილისათვის ოლესაში ან ხარ-

¹ „კვალი“, 1893, № 15.

კოვში სწავლის გაგრძელების ნება მიეცათ, გამოცდების ჩასაბარებლად დაეშვათ, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ნიკ. ყიფიანის იმდროინდელი აქტიური რევოლუციური მოღვაწეობა გაშუქებულია ისეთ ნაშრომებში როგორცაა: „Деятели революционного движения в России“ და ბ. პ. კოზმინის — „Революционное подполье в эпоху „Белого террора““.

ნიკ. ყიფიანი არც საქართველოში დაბრუნების შემდეგ აპირებდა ბედთან შერიგებას. განზრახული ჰქონდა, შეუპოვრად განეგრძო ბრძოლა, მაგრამ ხელისუფალთა მიერ ოჯახის, განსაკუთრებით, საყვარელი მამის გაძლიერებული დევნა, აიძულებდა მეტი თავშეკავება გამოეჩინა. „როდესაც დავბრუნდი პეტერბურგიდან, — წერს ის, — ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, დამაბრუნეს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან... ჩემი მოსვლა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ჩემი მოყვანა თბილისში მიხაკომ შეატყობინა მამაჩემს... მამაჩემთან და მიხაკოსთან საუბრებმა გადამაყენა იმ გზიდან, რომელსაც სტუდენტობაში დავადექი და რომელსაც შეეძლო, ძალიან შორს და ძალიან მოშორებულადაც წავეყვანე“¹.

პეტერბურგელ ამხანაგებთან კავშირი ნიკ. ყიფიანს მაინც არ გაუწყვეტია. 1869 წლის 11 სექტემბერს იგი გ. ნაცვლიშვილს სწერდა: „ჩემი ანდერძის ამსრულებლად, რაც მე პოლიციამ პეტერბურგში სიცოცხლე მომისპო, დარჩი შენ... უპირველეს ყოვლისა, „სოვრემენიკი“, თუ რამე წმინდა გაგაჩნიათ ამ ქვეყნად, შემინახეთ, შეაგროვეთ... ყდაში ჩასვით, განსაკუთრებით ჩერნიშევსკის სტატიები...“

საერთოდ, დაპატიმრებებმა, პოლიტიკურმა დევნამ და იმედების დამსხვრევამ ნიკ. ყიფიანს უკურნებელი სულიერი ტრავმა მიაყენა; კალაპოტიდან ამოაგდო და მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ, რომ მან მისი შესაფერი კვალი ვეღარ დააჩნია ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მთელი სიცოცხლის მანძილზე, როგორც თვითონ, ისე მისი ოჯახი გაძლიერებული პოლიტიკური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. თანამდებობაზე, საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს ან სასწავლებლის დაარსებაზე ფიქრიც არ შეეძლო. ათი წლის შემდეგ, როდესაც ის ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მზრუნველთა საბჭოს წევრად აირჩიეს, პოლიციის სამმართველომ ეს ქვეყნის დაქცევად მიიჩნია. პ. პისჩუროვი სრულიად კონფიდენციალურად ატყობინებდა და ურჩევდა დიმიტრი ყიფიანს: „მისმა იმპერატორობითმა უმალღესობამ ზელმწიფემ დიდმა მთავარმა, მეფის მოადგილემ ინება მიეღო ს. პეტერბურგიდან ცნობები შესახებ იმისა, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სამზრუნველო საბჭოში შედიან ისეთი პირები, რომელნიც ან პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი კავკასიის რევოლუციონური წრის კამო ან მასთან ახლოს იდგნენ. ამ პირთა შორის... აღნიშნულია... ნიკო-

¹ „კვალი“, 1893, № 15.

ლოზ ყიფიანი. დიდი მთავრის, მეფის მოადგილის ბრძანებით წარმოებულ ძიების ცნობებით აღმოჩნდა, რომ ნიკოლოზ ყიფიანი 1869 წელს უმაღლეს სასწავლებელში მომხდარ არეულობათა გამო გადმოსახლებულ იქნა ს. პეტერბურგიდან კავკასიაში და იმყოფებოდა პოლიციის თვალყურისდევნების ქვეშ... მან სახელი გაიტეხა პოლიტიკური კეთილსაიმედობის მხრივ და გამოააშკარავა ისეთი შეხედულებანი, რომელნიც არ ეთანხმებიან მთავრობის ნებასა და განზრახვებს... დაარწმუნეთ ნიკოლოზ ყიფიანი, რომ ნებაყოფლობით უარი განაცხადოს აღნიშნული სკოლის საბჭოს წევრის სახელწოდებაზე¹.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი ფრთაშეკვეცილი იქნებოდა ადამიანი, რომელსაც ასეთ უბრალო რამეზეც კი კრიკაში უღებოდნენ.

თითქმის ორი წელი (1869—1871) ნიკოლოზ ყიფიანი სრულიად უსამ. სახუროდ იყო, შეტწილად ქვიშხეთში ცხოვრობდა და ხშირად ავადმყოფობდა. 1871 წელს, ორლოვსკისა და ნიკო ჭავჭავაძის შუამდგომლობით, მას, და მასთან ერთად უნივერსიტეტიდან გარიცხულ ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანს, კერძო ადვოკატობის ნება მისცეს. „გამაწვეს „ოკრუენოი სულში“, — წერს ნიკ. ყიფიანი, — კანდიდატად სასამართლო თანამდებობისა... თავმჯდომარის თანაშემწე ვ. მ. გრაბოვსკი მანდობდა ხოლმე ბრალდებულთა დაცვას. „სასოფლო გაზეთის“ 1871 წლის 24-ე ნომერში დაბეჭდილია განცხადება: „ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი სადავოსა და სამსჯავრო საქმეების წარმოებას კისრულობს ყოველ სამსჯავრო ადგილებში“. საზღვარგარეთ წასვლამდე იგი მხოლოდ ამ ხელობას ეწეოდა და კეთილსინდისიერი ვექლის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი. თვითონვე ამბობს, საქმეს მანამ ხელს არ მოვკიდებდი, სანამ ღრმად არ დავრწმუნდებოდი, რომ ბრალდებული უდანაშაულო იყო. სხვადასხვა დროს, იგი წარმატებით გამოსულა განმარტებულ პროცესებზე, როგორიც იყო, მაგალითად, „ნიჟარაძეების საქმე“ („დროება“, 1871, № 37), „ლევან მელიქოვის საქმე“ („დროება“, 1872, № 4), „ზაალიშვილებისა და ივანე მესხის საქმე“ („დროება“, 1872, № 49) და სხვ. ამ თემაზე იგი პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა ქართულ და რუსულ გაზეთებში.

დაბრუნებისთანავე ნიკ. ყიფიანი გატაცებით ჩაება ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობაში. 1879 წლის ბოლოს ქვიშხეთში მან უფასო სახალხო სასწავლებელი გახსნა და ერთ წელზე მეტ ხანს ასწავლიდა გლეხის ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას, არითმეტიკასა და სხვა საგნებს².

იმავე დროს მხარში ამოუდგა „დროების“ რედაქტორად ახალდანიშ-

¹ ს. ხუნდაძე, „დიმიტრი ყიფიანი“, 1936, გვ. 212.

² „კვალი“, 1893, № 15.

ნულ სერგეი მესხს, რომელსაც პეტერბურგში ყოფნისას დაუახლოვდა: შველოდა მას მატერიალურად, აწვდიდა მასალებს, ესმარებოდა გაზეთის გავრცელებაში. სოფრ. მგალობლიშვილის ცნობით, იგი „დროების“ ჯგუფის ერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო¹. „გოგებაშვილის სახლი, — წერს, სხვათა შორის, ს. მგალობლიშვილი, — ის იყო იმ დროს, რაც სტანკევიჩისა რუსეთში. აქ დაიარებოდნენ: ს. მესხი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე, ნ. ყიფიანი და სხვ.“²

ნ. ყიფიანმა ჩვენში ერთმა პირველთაგანმა მიჰყო ხელი სახალხო წიგნების გამოცემას. „სასოფლო გაზეთი“ 1872 წლის 19-ე ნომერში იუწყებოდა: „გამომცემელი ნიკოლოზ ყიფიანი აპირებს ამ მოკლე ხანში შეუდგეს სახალხო წიგნების გამოცემას“.

უკვე იმავე წელს გამოვიდა „არსენას ლექსი“, მესტვირისაგან თქმული სახალხო პოემა, ნიკოლოზ ყიფიანისაგან გამოცემული... და მენახირის-ნამბობი, პოემიდან „კაკო“. ყდაზე აღნიშნული იყო, რომ შემოსავალი (ფასი 5 კაპიკი) „სახალხო წიგნების გამრავლებას“ მოხმარდებოდა. ეს იყო „არსენას ლექსის“ პირველი გამოცემა და ტექსტიც თვით ნიკ. ყიფიანს ჩაეწერა, ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე, 1859 წელს. გამოცემა სწრაფად გავრცელდა, საზოგადოება მოწონებით შეხვდა და სერ. მესხმა მას აღტაცებული რეცენზია უძღვნა.

ნიკ. ყიფიანი ცხოველ ინტერესს იჩენდა ქართული თეატრისადმიც. 70-იან წლებში მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში თბილისსა და ქვიშხეთში („დროება“, 1875, № 94), შემდეგ კი, „მოძრავ დრამატიულ დასში“, ვასო აბაშიძესთან, მაკო საფაროვასთან, კოტე ყიფიანთან და სხვებთან ერთად („დროება“, 1879, № 149). 1871 წლიდან, სერგეი მესხსა და ნიკ. ავალიშვილთან ერთად, წარმოდგენას მართავდა ხურაბ ანტონოვის თხზულებათა გამოცემისათვის ფონდის შესაქმნელად („დროება“, 1871, № 6), რის თაობაზეც თვითონვე დაბეჭდა ვრცელი რეცენზია (1871, № 6). აქ მას განხილული აქვს ორი სპექტაკლი „ტივით მოგზაურობა“ და „ცოლის შერთვევინება“. აქებს იმ დროს აცენაზე ახალ ფეხადგმული ნ. ავალიშვილის, ელენე ყიფიანის, ლადო აბაშიძის, ბაბო ხერხეულიძის „სცენურ ნიჭს“ და კიცხავს ქართული და რომანური წარმოდგენებისადმი საზოგადოების გულგრილობას.

პუბლიცისტურ წერილებში ნიკ. ყიფიანი საჭირობოროტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე აშახვილებდა ყურადღებას, გმობდა ინტელიგენციის ეროვნულ ინდიფერენტობას, არისტოკრატიის დროს-ჯარებას მუშტაიდში, „სანსუში“ და „მონპლეზორში“. „მოაგროვეთ ეს ვული და ნიჭიერი ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავ-

¹ ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, 1938, გვ. 180.

² იქვე, გვ. 45.

ნეთ. რამდენი გამოგვიზრდია საზოგადო ხარჯით უნივერსიტეტში ან გიმნაზიებში? რამდენი შკოლა გამართულა ჩვენის მეცადინეობით, საზოგადოების ხარჯით?”

ნიკ. ყიფიანმა მწვავედ დასვა პროფესიული განათლების საკითხიც, რასაც ის პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი ერის მომავლისათვის საზიანოდ თვლიდა, რომ არა გვეყავს სასოფლო მეურნეობის მკოდნენი, აგრონომები, ტექნიკოსები, ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები, რომ მთელს ქვეყანაზედ შეიძლება აღმოჩნდეს სამი ქართველი აგრონომი, ოთხიოდე ექიმი, ხოლო ტექნიკოსი და ინჟინერი — არც ერთი. სამაგიეროდ, შეიძლება მოვაგროვოთ ორასი ან სამასი ადვოკატი, ათასი და ვინ მოსთვლის რამდენი ჩინოვნიკი და კიდევ უფრო მეტი სამხედრო მოსამსახურე!

მიუხედავად მკაცრი ცენზურისა და განსაკუთრებული პოლიტიკური დევნისა, ნ. ყიფიანის სტატიებს არც პოლიტიკური სიმწვავე აკლიანხშირად გაკვირვებასაც იწვევს ავტორის პუბლიცისტური შემართება. ძალიან საყურადღებოა, ამ მხრივ, მისი „გასართობი საუბარი“ („დროება“, 1872, № 2), რომელშიც არსებული პოლიტიკური რეჟიმისადმი უსაზღვრო სიმულვილია გამოქვეყნებული. ვერ მოგილოცავთ ახალ წელს, — ამბობს ის, — ვერ გეტყვით მრავალს ამ დღეს დაესწარით მეტი.

ნიკ. ყიფიანს ეკუთვნის პირველი სტატია ფერეიდნელი ქართველების შესახებ „ქართველების კოლონია სპარსეთში“ („დროება“, 1872, № 13). ავტორს გადმოცემული აქვს ფერეიდნელ ათამა ონიკაშვილთან საუბრის შინაარსი და ამ ფაქტს პატრიოტული პროპაგანდისათვის იყენებს. ფერეიდნელთა და აჭარელთა მაგალითი მას ქართველთა ეროვნული სიმტკიცისა და გამძლეობის დადასტურებდად მიაჩნია.

ასეთსავე მიზანს ისახავს 1875 წელს დაბეჭდილი წერილი „საქართველოს ისტორიის სურათები“ („დროება“, № 6), რომელშიც განხილულია 1753 წელს პარიზში გამოსული პეისონელის წიგნი საქართველოს შესახებ. პუბლიცისტი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ევროპას დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საქართველოზედ და ევროპის ქვეყნები დიდ მყობადსაც მოელოდნენ საქართველოსაგან“.

ნიკ. ყიფიანი მრავალმხრივ საზოგადოებრივ-ეურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, მაგრამ, მოწოდებით, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურის კრიტიკოსი იყო. მისი პუბლიცისტური სტატიები ლიტერატურული პოზიციებიდან და ლიტერატურული თვალთახედვით არის დაწერილი. ხშირად, სოციალურ მოვლენებს ის მხატვრული შემოქმედების ფაქტებით აშუქებს და, უნდა ითქვას, ამაში დიდად ხელს უწყობს,

¹ „დროება“, 1871, № 44.

როგორც ქართული და რუსული, ისე ევროპული მწერლობის საფუძველიანი ცოდნა.

კრიტიკულ-ესთეტიკურ მრწამსით ნიკ. ყიფიანი ტიპიური სამოციანელია. ბელინსკის, განსაკუთრებით კი ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მოძღვრება ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ მისთვის ურყევ ავტორიტეტს წარმოადგენს. ხელოვნება მის წარმოდგენაში განუყოფელად დაკავშირებულია ხალხის ინტერესების, მისი ფიქრისა და გრძნობის გამოხატვასთან, კაცობრიობის უსპეტაკესი იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლასთან. ლიტერატურულ ქურუმებად ის მხოლოდ დიდ ჰუმანისტებს აღიარებდა. ლიტერატურას ახალგაზრდობის, მთელი ხალხის გონებრივი, ზნეობრივი და პოლიტიკური აღზრდის მძლავრ საშუალებად თვლიდა¹. ხელოვნების წმინდა ვალია, — ამბობდა ის, — აღძრას სიყვარული კეთილისა, ჭეშმარიტისა და მშვენიერისა. ამ მხატვრული იდეალის მთელი სისავსით განხორციელება მხოლოდ რეალისტურ ხელოვნებას შეუძლია. იდეურობა, აზრობრივი მიზანდასახულობა ყოველი შემოქმედებითი ნაწარმოების უპირველესი პირობაა. მხატვრულ ძეგლში შინაარსი უნდა კლინდებოდეს ცხნადად, სხარტად და მწყობრად, ის, რაც ამ თვისებებს მოკლედ შეუძლია, „უფერული და უაზრო აქიაბაქია“². ნიკ. ყიფიანს არ მოსწონს გრენვილ მურიეს ნაძალადევად შეთხზული „ხუთი წელი ესპანეთის წინასტერში“; მისი რწმენით, რაც ცხოვრების სინამდვილისაგან დაშორებულია, რაც ფიქრსა და გრძნობას ვერ სწვდება, მეხსიერებას არ აღებეჭდება, არ ზრდის და არ ასწავლის, — მხატვრული შემოქმედებას გარეშე დგას. „იმისთანა დრამები, — წერს ნიკ. ყიფიანი, — როგორც „მური“ და მური... ან რა დასაწერი იყო, ან რა წასაკითხი, ან რა დაამახსოვრებელი“³.

სამაგიეროდ, ის სიხარულით ხვდებოდა ხალხის ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებს, სწორად აფასებდა და გზას უკაფავდა მათ. ჯერ კიდევ 1871 წელს აღნიშნავდა „...ხეირიანი რა გვაქვს? ერთი — „სცენები მიროვოი პოსრედნიკთან“ და ერთიც კიდევ — რა? აღარაფერი!“³ ასევე, პირველთაგანი მიესალმა ისეთ თხზულებებს, როგორცაა ნიკ. ლომოურის — „ალი“, ეკ. გაბაშვილის — „რომანი დიდ ხევში“ და „სხვადასხვაგვარი ქორწილი“, რაფ. ერისთავის — „სამშობლო ხეესურისა“, ი. გოგებაშვილის — „რანი ვიყავით გუშინ“ და სხვ.

რადგან მწერლობის ერთ საპატიო ამოცანად ნიკ. ყიფიანს ხალხის ფართო ფენებში კითხვის სურვილის აღძვრა მიაჩნდა, იგი ისეთ ნაწე-

¹ სსლმ ფონდი, № 15165—ბ.

² ნ. ყიფიანი, „ახალი მოღვაწეობა ქართულ მწერლობაში“, „დროება“, 1883, № 87, 88.

³ „დროება“ 1871, № 8.

რებს ანიჭებდა უპირატესობას, რომლებშიც „შინაარსი გადმოცემული“ ხალისიანად, ლამაზად და მსუბუქად“. ამის მაგალითად თვლიდა ტურგენევის რომანებს, ვ. პიუგოს „საბრალონს“, „კაცი, რომელიც იცინის“ და სხვ. ამ მწერალთა შემოქმედება მას, უწინარეს ყოვლისა, ხიბლავდა მდიდარი სიუჟეტით, ზნეობრივი სიფაქიზითა და რომანტიკული შეფერალებით.

ნიკ. ყიფიანის ლიტერატურულ გემოვნებასა და მიმართულებაზე მკაფიო წარმოდგენას ვეძლევა მისი ვრცელი წერილი კირ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული „ჩონგურის“ შესახებ, რომელიც დათარიღებულია 1865 წლის 9 მარტით, ე. ი. დაწერილია აკაკი წერეთლის ცნობილი რეცენზიის დაბეჭდვამდე¹.

აკ. წერეთლის რეცენზიასთან შედარებით ამ წერილს ის ღირსება აქვს, რომ „ჩონგურში“ დაბეჭდილ ნიკ. ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ფონზე აქ თვით აკაკის ლექსებიცაა განხილული და შეფასებული. „მშვენიერია ილია ჭავჭავაძის „არაგვი“ და უფრო მშვენიერი — აკ. წერეთლის „ამაო ძებნა“ — ამ „არაგვის“ პასუხი: ...„იანიჩარი“, „გუთნის ღედა“ — ჭავჭავაძისა, „მუშური“, „სიმღერა მკის დროს“, „აპელაციის მცოდნე“ — წერეთლისა, „ლოთური მუხამბაზი — გრ. ორბელიანისა, ერთი მეორეს სჯობია“.

მაგრამ ნიკ. ყიფიანის წერილი სახელდახელო პანეგირიკი როდია; მასში რელიეფურად ვლინდება ავტორის ლიტერატურული გემოვნება და იდეური მრწამსი. იგი „ჩონგურის“ ჩრდილოვან მხარეებსაც ამჩნევს და პროფესიული სიზუსტითაც ასაბუთებს თავის კრიტიკულ შენიშვნებს. არ მოსწონს, მაგალითად, რაფ. ერისთავის „ყადის ჯორი“, რადგან ამ ლექსის იდეა გამოხატულია არა სპეციფიკური პოეტური საშუალებებით, არამედ დეკლარაციულად, განმარტებით, ასახვაში მგოსნის უადვილო, გულგრილი და მშრალი ჩარევით.

რა თქმა უნდა, რაფ. ერისთავის შემოქმედების ამგვარი შეფასება დღეს არათუ სასტიკად, უსამართლოდაც მიგვაჩნია, მაგრამ მისი მაშინდელი ლექსები უეჭველად იძლეოდა მკაცრი კრიტიკის საფუძველს; 80-იან წლებში კი ნიკ. ყიფიანიც აღტაცებული იყო პოეტის ახალი ლექსებით.

ნიკ. ყიფიანმა რამდენიმე წერილი მიუძღვნა „კრებულში“ დაბეჭდილ მხატვრულ ნაწარმოებებს. 1871 წლის თებერვლის სტატიაში — „გასართობი საუბარი“², იგი გაკვირვებით შეეხო ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“, ილია ჭავჭავაძის — „მგზავრის წერილებს“ და გ. წერეთლის — „ჯიბრს“, ხოლო იმავე წლის მარტში ვრცელი რეცენზია დასტამბა „დროებაში“³.

¹ სსმ ფონდი № 14989—ბ.

² „დროება“, 1871, № 6.

³ „დროება“, 1871, № 8.

აღნიშნულ რეცენზიაში ნიკ. ყიფიანმა პირველმა ცხადყო, რომ გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოსა“ და ჟუკოვსკის პოემის „Певец во стане русских воинов“-ს შორის პრინციპული განსხვავება არსებობს. საინტერესოა, რომ ამ საკითხს იგი წყვეტს არა ფორმის ატრიალურთა გათვალისწინებით, არა კომპოზიციური აღნაგობის მონაცემებითა და პარალელური პასაჟების ძებნით, არამედ ძირითადი მხატვრული ჩანაფიქრის, იდეური მიზანდასახულობის, ერთიანი მხატვრული ყდურადობისა და საერთო ინტონაციის საფუძველზე. „სადღეგრძელო“ კრიტიკოსისათვის, უწინარეს ყოვლისა, მხურვალე, მებრძოლი სწავლისკვეთების პატრიოტული თხზულებაა. იგი ქართული ეროვნული სულითაა გაუღენთილი.

ამგვარი პარალელების ძებნა ნიკ. ყიფიანს ფორმალისტური კრიტიკის ექსცერისისად მიაჩნია და საბუთიანადაც ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

„მგზავრის წერილების“ განხილვისას, კრიტიკოსი მწერლის იდეათა პროპაგანდისტად გამოდის, ვრცელი ამონაწერები მოაქვს ნაწარმოებიდან და ცდილობს შთააგონოს საზოგადოებას მათი აქტუალური მნიშვნელობა.

ნიკ. ყიფიანის ამ წერილიდან გარკვევით ჩანს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტულ-პოპულარიზატორულ აქცენტს ლიტერატურულ კრიტიკაში.

ემყარებოდა რა კომედიისათვის დართულ შენიშვნას, ს. მესხი ფიქრობდა, რომ გ. წერეთლის „ჩიბრში“ ბატონყმობისდროინდელი იმერეთის ცხოვრებას ასახავდა. ნიკ. ყიფიანის აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტისას ანგარიში უნდა გაეწიოს არა სქოლიოს ან ქრონოლოგურ მონაცემებს, არამედ თხზულებაში გამოხატულ იდეურ ტენდენციებსა და პერსონაჟთა ინდივიდუალურ ნიშანთვისებებს. შინაარსის ანალიზს კრიტიკოსი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ „ჩიბრში“ არსებული სინამდვილეც მოჩანს და განვითარების ტენდენციაც იგრძნობა. ერთი შეჯეღვით. კიკოლა (კომედიის მთავარი გმირი) არაფრით განსხვავდება სხვა პერსონაჟებისაგან; მაგრამ თუ კარგად დავეუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ მის ბუნებაში უკვე შეჭრილია ახალი დროის, ახალი ადამიანის თვისებები. იგი მოხერხებული, ინიციატივიანი და მიზანსწრაფულია. მართალია, ჭერჭერობით, ყოველივე ეს ძველი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ სიტუაციებში ვლინდება, მაგრამ თვით ხასიათის აღნიშნული ნიშნები ახლახან შეცვლილი სინამდვილის ჩარჩოებში ვეღარ ეტყვა. ამ საინტერესო მსჯელობის საფუძველზე, ნიკ. ყიფიანს მეტად საგულისხმო დასკვნა გამოაქვს: „კიკოლა იმ წრეში, რომელიც გამოხატულია კომედიაში, არის კაცი მომავლისა“. ნიკ. ყიფიანს მიაჩნია, რომ „ჩიბრში“ ასახულია გარდამავალი ხანა, ახლის საწყისი პროცესები,

ამიტომ ის, რაც ახალია, ჯერ კიდევ ფერმკრთალად გამოიყურება, მაგრამ მისი განვითარების ტენდენცია ამ სიტუაციაში მაინც ტიპურია. თხზულების პერსონაჟებსა და სიტუაციებზე ჩვენს წარმოდგენას ის განსაზღვრავს. თუ როგორი ეფექტურობით არიან ისინი გამოყენებული სინამდვილის დაახასიათებლად.

დაბოლოს, ამ წერილში ნიკ. ყიფიანი გაკვრით, უარყოფითის ჩვენებით დადებითი იდეალის წარმოსახვის საკითხსაც შეეხო. მისი აზრით, გადაწყვეტია არა მასალა, არამედ მწერლის პოზიცია, ასახვის მიმართ დამოკიდებულება და მასზე აღმოცენებული მკითხველის განწყობა.

დღეს აშკარაა, რომ მიუხედავად ნათელი თვალთახედვისა და ამ წერილში მოცემული მწყობრი შინაარსობრივ-მხატვრული ანალიზისა, ნიკ. ყიფიანი აზვიადებდა „ჯიბრის“ მნიშვნელობას, მაგრამ აზვიადებდა არა მიკერძოების გამო, როგორც მისი მოპაექრენი წერდნენ, არამედ უნებურად. თხზულების საერთო იდეური კონცეფციისადმი უსაზღვრო სიმპათიის გამო. გარდამავალ პერიოდებში პოლიტიკური ვნება ხელოვნების კრიტიკაზე იშვიათად როდი ახდენს ამგვარ ზეგავლენას.

ნიკ. ყიფიანმა საყურადღებო წერილები დაბეჭდა ქართული მხატვრული თარგმანისა და ქალთა სამწერლო მოღვაწეობის შესახებ, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლიტერატურული ცხოვრების როგორც ერთ, ისე მეორე სფეროში.

წერილში „ახალი მოღვაწეობა ქართულ მწერლობაში“, რომელშიც განხილულია ეურნალ „ქართული ბიბლიოთეკის“ პირველი ნომერი,¹ ნიკ. ყიფიანმა მწვავედ დააყენა სათარგმნი ლიტერატურის შერჩევის საკითხი. მკაცრად განიხილავდა რა ქართულად გადმოთარგმნილ ევგენია ტურის „აკლდამებსა“ და გრენვილ მურიეს „ხუთი წელი ესპანეთის მონასტერში“, კრიტიკოსი მოითხოვდა, რომ ქართველი მთარგმნელები არ გამოსდევნებოდნენ სენსაციურ და მოდურ თხზულებებს, იდეური თვალსაზრისით შეერჩიათ ნაწარმოებები და უპირატესობა მუდამ მებრძოლი, პატრიოტული მოთხოვნებისათვის მიენიჭებიათ.

რადგან ლიტერატურულ პრინციპულობას ნიკ. ყიფიანი ზნეობრივ ნორმად თვლიდა, იგი სათაყვანებელ დას (ელენეს) და მამასაც არ მოერიდა, პირველს დაუწუნა „ქართულ ბიბლიოთეკაში“ დაბეჭდილი თარგმანები, ხოლო მამის შესახებ 1872 წელს წერდა: „სამწუხაროა, რომ უფ. დიმიტრი ყიფიანი ზოგჯერ იღებს კალამს იმისთანა თხზულებების სათარგმნელად, როგორიცაა ოქტავ ფულიეს „რომანი ლარიბ ყმაწვილი კაცისა“².

ჯერ 1872, შემდეგ 1883 წელს ნიკ. ყიფიანმა ფართოდ გააშუქა ქარ-

¹ „დროება“, 1883, №№ 87, 88.

² „დროება“, 1872, № 2.

თველ ქალთა ლიტერატურული მოღვაწეობა და სოციალური და ეროვნული ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენად აღიარა ის; მაგრამ, კრიტიკამ რომ მწერალ ქალს რამე შეღავათი მისცეს, ეს როგორც მისი, ისე ლიტერატურის შეურაცხყოფა იქნებოდაო. ნიკ. ყიფიანი სასტიკად, მაგრამ საბუთიანად, აკრიტიკებს ბარბარე ჯორჯაძის, ნინო ორბელიანის, ეკატერინე ლორთქიფანიძის, ანასტასია ნიკოლაძის ნაწერებს, აღტაცებულია ასპარეზზე ახალგამოსული ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობებით.

1875 წელს ნიკ. ყიფიანი დაქორწინდა, შეირთო გურული თავადის მიხეილ ერისთავის ასული ანასტასია (ტასო), რომელსაც ბავშვობიდან იცნობდა (დიმიტრი ყიფიანი და მიხეილ ერისთავი ახლო მეგობრები იყვნენ). ლიტერატურითა და ეროვნული მოღვაწეობით გატაცებულ ცოლ-ქმარს იმედი ჰქონდათ, რომ ოჯახსაც მოაწყობდნენ და ქვეყანასაც სამსახურს გაუწევდნენ, მაგრამ ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდათ.

მთავრობა სამსახურის ნებას არადა არ აძლევდა, კერძო ადვოკატობასა და მასთან დაკავშირებულ ადგილიდან ადგილზე ხეტიალს ზარალი მოჰქონდა; ოჯახის შესანახავად სარგებლით აღებული ვალები სწრაფად იზრდებოდა, მამას, რომლის მთელი ქონება (პენსიაც კი) დადიანების საჩივრის გამო, დაგირავებული იყო, აღარავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლო. უკვე 1877 წელს ნიკოლოზ ყიფიანს მოსვენებას არ აძლევდნენ მევალები¹. განსაკუთრებით გულს უკლავდა, რომ მისი მევალები მამამისს აწუხებდნენ, ემუქრებოდნენ, რის გამოც შვილების მიმართ უაღრესად მოკრძალებული დიმიტრიც იძულებული ხდებოდა უფროსი ვაჟისათვის საყვედურის წერილები მიეწერა.

სილარიბემ, განუწყვეტელმა ნერვიულობამ, ნათესაებთან უთანხმოებამ, ცოლ-ქმარი თანდათან გააუცხოვა და 1883 წლიდან სამუდამოდ დააშორა ერთმანეთს. ბავშვები დაიქსაქნენ; უფროსი ქალიშვილი ვეტა (ელისაბედი, დაბადებული 1876 წ.) ხან ბაბუასთან და ბებიასთან იმყოფებოდა ქვიშხეთში, ხანაც — მამიდასთან (ლოლა ლორთქიფანიძისთან), ქუთაისში; უმცროსები — ნინო და ვარია, მამამ ბათუმში წაიყვანა, სადაც 1883 წლიდან ადვოკატად (Поверенный по судебным делам Кутаисского судебного округа) იყო და თვითონ ზრდიდა. ყველაზე უმცროსი, ვაჟი, დედასთან დარჩა².

ნიკ. ყიფიანს ამ პირობებშიც არ აუღია ხელი საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობაზე; 1883 წელს მან სიტყვა წარმოთქვა გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე, იმავე წელს წერილები გამოაქვეყნა:

¹ სსმ ფონდი, № 14922—ბ.

² იქვე, № 14923—ბ, 15952—ბ.

„დროებაში“. 1887 წელს მამის ვერაგულმა მკვლელობამ მისი სულიერი მდგომარეობა საბოლოოდ შეარყია, არა მარტო იმიტომ, რომ მამა ერთადერთი მეგობარი და საღმერთებელი პიროვნება იყო, არამედ იმიტომაც, რომ ეს მკვლელობა მის თვალწინ მზადდებოდა და მან ამ საქმის მთელი საიდუმლოება იცოდა.

ღმიტრის სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახის საქმეები ერთბაშად აიძვრა. ძმებს — ნიკოლოზსა და კოტეს, ურთიერთშორის ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ; ქონების გაყოფა, რომელიც ღმიტრამ 1886 წელს დაიწყო, ვერ მოასწრო და ამ ნიადაგზე ეს უთანხმოება მეტისმეტად გამწვავდა. ქვიშხეთი კოტეს დარჩა, ნიკოლოზსა და ლოლას დედისეული პატარა მამული ერგოთ დუშეთში და ამან ძმება ერთმანეთს გადაჰკიდა. იმავე ხანებში ნიკოლოზს ვაჟიშვილიც გარდაეცვალა და სასოწარკვეთილმა გადასწყვიტა სამუდამოდ მიეტოვებინა საშობლო. 1890 წლის ივნისში იგი ბათუმიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა და ამ გადაკარგვის საიდუმლოება მხოლოდ თავის უფროს ქალიშვილს, 14 წლის ვეტას გაანდო!

იმ იმედით, რომ გავლენიან პირთა შემწეობით რაიმე სამუშაოს იშოვიდა და საცხოვრებელ ადგილს ამოირჩევდა, — 1890 წლის ზაფხული ნიკ. ყიფიანმა კარლსბადში გაატარა, მაგრამ, რაკი მოლოდინი არ გაუმართლდა, სექტემბერში პარიზს გაემგზავრა.

მისი მაშინდელი მდგომარეობის შესახებ „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ: „...შორის ქვეყნიდან გადმოვარდნილს ამ უცხო ქვეყანაში, სადაც ერთი ნაცნობიც კი არ მოეპოვებოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი შრომით და მხნეობით გაეკვლია გზა. ორიოდ მანეთი, რომელიც ჩამოჰყვა, უკვე გამოლეოდა; დღეს-ხვალ სახლიდან დაითხოვდნენ და ცის ქვეშ დარჩენილს შიმშილით სიკვდილი მოელოდა. ორმოცი სანტიმილი ედო ჯიბეში. ეს უკანასკნელი ფული მიჰქონდა რედაქციაში განცხადების დასაბეჭდათ“.

საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ამ წერილებში დაწვრილებითაა აღწერილი, როგორ ჭოჯოხეთურ პირობებში აღმოჩნდა სამშობლოდან დევნილი, სამოციანი წლების ჩვენი ერთი თვალსაჩინო ინტელიგენტი. განცხადება დაიბეჭდა, მაგრამ იტალიური ენის შესასწავლად მისი კარი მაინც არავის შეუღია. კომისიონერთა დავალებით, კარდაკარ წიგნის

¹ „ლიტერატურულ მატრიანეში“ (1—2) შეტყობით არის აღნიშნული, თითქოს, ნიკ. ყიფიანი „ერთი რომანტიკული ისტორიის გამო“ 1895 წელს გარდახვეწილიყოს საზღვარგარეთ. „რომანტიკული ისტორია“ რომ არაფერ შუაშია, უკვე ვნახეთ, რაც შეეხება თარიღს, 1890 წლის 8 მარტს ნ. ყიფიანი ჯერ ისევ ბათუმშია (იხ. ნ. ნიკოლოზის კატალოგი, 176), ხოლო იმავე წლის ივლისში იგი კარლსბადშია (სსსმ ფონდო, 14 15170—ბ).

ვეება ამანათებს ატარებდა ზურგით, კაპიკის პურს ყიდულობდა და ქუჩაში ჰამდა, სანმიშელის მოედანზე ხელგაწვდილი იდგა¹.

1891 წლის ოქტომბერში გადაუწყვეტია კიდევ საქართველოში დაბრუნება, მაგრამ ჯერ სამგზავრო ფული ვერ უშოვია, შემდეგ კი, ბედის საძიებლად ნიცაში წასულა და იქ ავად გამხდარა. მის წერილებში უკვე ერთმანეთს ეხაცვლება იმედი და ეჭვი, რწმენა და სასოწარკვეთა. „Вероятно, когда я возвращусь к вам, мы с твоею мамою помиримся и мы все заживем счастливо... Я боюсь вообще строить планов о будущем, потому, что многие мои мечты, многие мои надежды и ожидания, которыми был воодушевлен, не осуществились, разлетелись в прах“. — სწერდა 1891 წლის ზაფხულში ვეტას.

სამშობლოდან მიღებული ცნობები უნუგეშო იყო: გარდაიცვალა საყვარელი და ლოლა, საამაყო ბიძაშვილი და აღმზრდელი მიხაკო ყიფიანი, — ყველაფერს მევალეები დაეპატრონენ, ყველაზე მახლობლებმაც გასწირეს და დაივიწყეს; ქორები, ცილისწამება, მუქარა... საბოლოოდ გადაწყდა საზღვარგარეთ დარჩენა, გზის გაკაფვა, შვილების წაყვანა.

1891—1895 წლებში ნიკ. ყიფიანი ხან ნიცაშია, ხან — ენევეაში, ხანაც — პარიზსა და ამსტერდამში, რადგან მუდმივ სამუშაოს ვერსად პოულობს და ამიტომ ვერც შვილების წაყვანას ახერხებს.

ნიკ. ყიფიანს იმ პირობებშიც არ შეუწყვეტია ლიტერატურული მოღვაწეობა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობა. „ივერიის“ 1891 წლის 214-ე ნომერში დაიბეჭდა მისი ვრცელი ფელეტონი „წერილი ნიციდან. გარიბალდის ძეგლის გახსნა“, რომელშიც კვლავ იგრძნობა სამოციანელი რევოლუციონერის ახალგაზრდული მგზნებარება, ყმობისდროინდელი მისწრაფებების ერთგულება. ავადმყოფი, ძიუსაფარი ქართველი ლიტერატორი საგანგებოდ მისულა ნიცაში, რათა გარიბალდის ძეგლის გახსნას დასწრებოდა და თავისი შთაბეჭდილებანი თანამემამულეთათვის გაეზიარებინა. ნიკ. ყიფიანის წერილში გარიბალდი წარმოდგენილია არა მარტო იტალიის გამანთავისუფლებლად, არამედ პარიზის კომუნართა ქომაგადაც, ყველა ჩაგრულის მეგობრად. დიდებული მონუმენტის აღწერას ავტორი სიმბოლურად ამთავრებს: ამხედრებული გარიბალდი ხალხს მიუძღვის, თითქოს გესმით მისი მკექარე: „Avanti!“, „წინ!“

დასაბეჭდ მასალებს ნიკ. ყიფიანი მეუღლეს უგზავნიდა. 1892 წელს ვეტას სწერდა: „На днях я отправил вашей маме мои рукописи для напечатания... Биография моего отца, история последних дней, воспоминания мои о Михако Кипиани и воспоминания мои о Давиде Кипиани“.

¹ „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2834.

აქ მოხსენებული ნაწერებიდან პირველი სამი ცნობილია, ხოლო მეოთხე — „მოგონებანი დავით ყიფიანზე“, რომელსაც უეჭველად მნიშვნელობა ექნება ქართველ სამოციანელთა მოძრაობის შესასწავლად ჟერჯერობით მიკვლეული არ არის.

მიმზიდველად დაწერილი მოგონება „მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი“, 1893 წელს დაიბეჭდა „კვალში“ (№ 15) და ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს ჩვენს წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ნიკ. ყიფიანმა პირველმა მოჰქიდა ხელი სახელოვანი მამის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის შესწავლას, შეკრიბა და განიხილა მდიდარი მასალა, რომელიც მუდამ საჭირო იქნება მკვლევარისათვის. 1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“ (№ 4) დაიბეჭდა მოზრდილი ნაწილი მისი მონოგრაფიული ნარკვევისა: „ცხოვრება დიმიტრი ყიფიანისა“, რომელიც იმავე წელს ცალკე წიგნად გამოვიდა (ამონაბეჭდი „მოამბიდან“). იგი დაწერილია უბრალოდ, მაგრამ მღვლეარედ და საბუთიანად. ცენზურისა და ხელისუფლების შიშით, ჟურნალმა ბოლო თავების გამოქვეყნება ვერ მოახერხა, მაგრამ მკითხველი მაინც გრძნობს, ვინ დაანთხია თავდადებული მოხუცის სისხლი სტაეროპოლში. „მერე რა მოხდა და რა-ნაირად, ამის დაწერილებით მოთხრობა ამჟამად შეუძლებელია“, ასე ამთავრებდა მწერალი თავის წიგნს.

ამ თხზულების დასასრული „დიმიტრი ყიფიანის უკანასკნელი დევნა“, დაიბეჭდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1912 წელს, გაზეთ „თემში“ (№ 95); დოკუმენტური სიზუსტით, დამაინტერესებლად მასში მხილებულია კავკასიის მთავარმართებლის ვერავალი ინტრიგა.

1895 წელს ნიკ. ყიფიანი ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში დამკვიდრდა და სიცოცხლის უკანასკნელი წლები იქ გაატარა.

ბელგიაში ნიკ. ყიფიანი ინკოგნიტოდ ცხოვრობდა და ცნობილი იყო, როგორც რუსი პროფესორი ივან მარტინოვი. მას მეგობრული დახმარება გაუწია პოლონელმა პროფესორმა ქალმა ჟეტეიკომ, რომელიც ბრიუსელის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ლაბორატორიას განაგებდა. 1898 წელს ნიკოლოზი იმავე უნივერსიტეტის რუსული სიტყვიერების კათედრის პროფესორად დანიშნეს და მისი მატერიალური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. უმცროსი ქალიშვილები — ნინო და ვარო, მაშინვე ბრიუსელში დაიბარა, უმაღლეს სასწავლებელში შეიყვანა და მათზე მუდმივი მზრუნველობით სიხარული და ბედნიერება დაიბრუნა. ნიკ. ყიფიანი ჭაბუკური ენერგიით შეუდგა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას. საერთოდ, ნიკ. ყიფიანი ავადმყოფურად მგრძნობიარე და მოსიყვარულე, ბავშვურად მიმნდობი და აღტაცებულად გულწრფელი კაცი იყო. ეს იყო მისი ნაკლიცა და ღირსებაც, მიზეზი მისი პირადი ბედნიერებისა და უბედურებისა.

საოცნებოა ისეთი უშუალო, გულღია მეგობრობა, როგორიც მას თავის

ქალიშვილებთან ჰქონდა. მათი მიმოწერა ამაღლებული მშობლიური სიყვარულის, სულიერი სიწმინდის, ადამიანის მშვენიერების არაჩვეულებრივი დოკუმენტია. ყოველდღიური ცხოვრების წერილმანებთან ერთად, ისინი გულწრფელად უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვზე, ტურგენევსა და ვიქტორ ჰიუგოზე, დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძეზე, ოჯახის წევრებსა და მახლობლებზე.

ერთ წერილში ნიკ. ყიფიანი სწერდა ვეტას: „Ты ошибаешься, не относя к разряду светлых личностей твою маму и мою мать, не ставя их на ряду с твоим дедушкой и Лёлей... Ты должна любить ее (маму) больше всех на свете, больше, чем меня“... „ვარიკო და ნუცა, რომ მოვიდნენ ჩემთან და შენ არ მოხვედი, ძალიან გულს დაძაყდა, მაგრამ ეგება მალე მოხვდება შენცა და გამახარო... მე უთქვენოდ ჭავრიტ მოკვდი ამდენ ხანს... ვარიკოს და ნუცას მე თვითონ ვუვლი და სულ ჩემთან არიან“¹.

ჭერ არს, აქვე ვთქვათ, რომ ნიკ. ყიფიანის ქალიშვილები სასახლო მამულიშვილები გამოვიდნენ. ბარბარე (ვარო) ყიფიანმა, რომელსაც პროფესორი ჟეტეიკო ხელმძღვანელობდა, 1904 წელს საინტერესო მოხსენება წაიკითხა ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე. მთელი დარბაზი აღტაცებით შეხვდა ქართველ მეცნიერ ქალს და „ყველაზე მეტ ტაშს პროფესორი თარხნიშვილი უკრავდა“, — იტყობინებოდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“².

ნიკ. ყიფიანი მაინც მძიმედ განიცდიდა სამშობლოდან მოწყვეტას; ეკატერინე გაბაშვილი გადმოგვცემს: „ბელგიის ქალაქ ბრიუსელში 1904 წელს შეეხვდი სტუდენტ ქალებს, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილებს: ნინოს და ვაროს... წარმომიდგინეს ვიღაც პროფესორი რუსული ენისა ივან ივანიჩ მარტინოვი, რომელიც მაშინვე ვიცანი: ეს ამ ქალების მამა იყო, დიმიტრის უფროსი შვილი, კოლა ყიფიანი, ჩვეუმი კარგად ცნობილი ვეჭილი და საზოგადო მოღვაწე. შემდეგ, რაღაც ოჯახური უბედურების გამო უგზო-უკვლოდ დაკარგული... მის ხმას, ძველებურად იშვიათის ჰარმონიით სავსეს, ქვითინი შეეპარა... ველარ ვიხილავ იმათ, ველარ მოვეხვეყი ძმურად, მეგობრულად... მე რენეგატი ვარ... ბავშვებიცა და მამაც ნამდვილი ქართველი ინტელიგენტები იყვნენ“³.

სინამდვილეში ნიკ. ყიფიანს არაფერი ჰქონდა თავის თავის სასაყვედურო; ის უცხოეთშიც ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს და, გვგონია, მანამ არც ერთ ქართველს არ გაუწევია ჩვენი ისტორიის, ლი-

¹ სსსმ ფონდი, №№ 15158—ხ, 15167—ხ.

² „ცნობის ფურცელი“, 1904, 2/15 სექტემბერი.

³ „ლიტერატურული მათიანე“, 1940, 1—2.

ტერატურისა და კულტურის ისეთი ფართო პროპაგანდა დასავლეთში, როგორსაც ის ეწეოდა. ბრიუსელის წლები არა მხოლოდ მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის მთელ პერიოდს წარმოადგენს, საერთოდ ჩვენი კულტურული მათიანის ერთი მეტად, საყურადღებო ფურცელიცაა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველწყაროებს მოკლებული იყო და პირადი ბიბლიოთეკაც ბათუმში დარჩა¹, ნიკ. ყიფიანმა გადაწყვიტა დაეწერა და ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე გამოეცა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ნარკვევები: „Если бог поможет, — სწერდა ვეტას, — Я намерен много работать по истории нашей родины. В нашем прошлом много, много очень интересного. У меня почти готов целый ряд этюдов по истории Грузии“².

მართლაც, ბრიუსელის უნივერსიტეტის ფირმით, 1905 წელს ლიეჟში დაიბეჭდა მისი საკმაოდ ვრცელი ნაშრომი: „La Géorgie et deux grandes géorgiennes dans le passé: La Reine Tamar, La Reine Ketevane (Dédédié, a' trois géorgiennes, petites filles de Dimitri Kipiani). („საქართველო და წარსულ დროთა ორი დიდი ქართველი: თამარ მეფე და ქეთევან დედუფალი“).

წიგნი გამოვიდა ფსევდონიმით: „Vetninwar“, რომელსაც პროფესორი ეტეიკო წინასიტყვაობაში ასე განმარტავს: „ვეტას, ნინას და ვარიასი ვარ“.

ეს ნაშრომი მარტოოდენ თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის მოღვაწეობას როდი ეხება; ავტორი უცხოელ მკითხველს აცნობს საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას, ბუნებას, ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს. განხილული აქვს შოთა რუსთაველის, ნიკ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და სხვა ძველ და ახალ მწერალთა შემოქმედება. ინტერესს იწვევს მის მიერვე ლექსად გადათარგმნილი კარგა მოზრდილი ნაწყვეტი ხალხური ბალადისა. წიგნი დაწერილია პატრიოტული მღელვარებით პოეტურად, როგორც მაგალითად: „წარსულის საუნჯენი, შეიძლება არც ერთ ქვეყანაში არ გამოიყურებოდეს ისე ცოცხლად, ისე გულისშემძვრელად, ისე მახლობლად და თანადროულად, როგორც საქართველოში. აქ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამთ, რომ ისტორიულ ძეგლს არ შეხვდეთ“ და ა. შ.

პროფ. ეტეიკოს, აგრეთვე ნინო, ვარო, ვეტა ყიფიანების ცნობით, აღნიშნულ ნაშრომს ვარდა, ნიკ. ყიფიანს „მრავალი რუსული, ფრანგული და ქართული ხელნაწერები ჰქონია დასაბეჭდად გამზადებული

¹ სსმ ფონდი, № 15166—ხ. ერთგან ამბობს, ძნელია წერა, „როცა ასე დამორბეული ვარ საქართველოს და როდესაც ხელში არა მაქვს მასალა“, „კვალი“, 1893, № 15.

² № 15166—ხ.

სოციალიზმის, პედაგოგიკის, ლინგვისტიკის, ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე“.

1903 წელს ნიკ. ყიფიანს ანტონ ფურცელაძისათვის ასეთი საპასუხო წერილი გამოუგზავნია: „მინდა გამოგიგზავნო ერთი ორიოდე, სამიოდე ჩემი ნაწერი. ამასთან ნიმუშად გიგზავნი ერთს ამ ნაწერთაგანს. მინდა გთხოვო, დააბეჭდინო, როდესაც სულ ყველა, რაც მაქვს დასაბეჭდი, მოგივა. თავდაპირველად მინდა გთხოვო დააბეჭდინო ერთი ლექსი, რომელსაც შენ გიძღვნი და რომლის სათაური არის „ვისაც ვახსოვარ“. სულით და გულით ქართველი ვარ, დავრჩი ქართველი... თუმცა გადმომტყორცნა ბედმა... საქართველოდამ ცხრა შთას აქეთა... რა დამავიწყებს ჩვენ საქართველოს, ჩვენს რუსთაველსა ან ბარათაშვილს... როგორ მიეცემა დავიწყებასა ჩემი მშობელი, დაუვიწყარი და თავდადებული დიმიტრი ყიფიანი...“

გიგზავნი ექვს ჩემ ლექსს — ნაწერსა. ერთი ამათგანი — „კენი“, ვერ დაიბეჭდება, მგონია; შენი აზრი მომწერე, თუ როგორ გეჩვენება ეს ექვსი ლექსი... ქართულად ნაწერი საქართველოს წარსულის შესახებ, ისტორიული მოთხრობანი და სხვ. მაქვს, რამდენიმე თითქმის გათავებული. რომ ვიცოდე, უპატრონებ, გამოგიგზავნი“.

60-იან წლებში პეტერბურგში, 90-იან წლებში ბათუმში, 900-იან წლებში ბრიუსელში დაკარგულ აუარებელ ხელნაწერებთან ერთად, ანტ. ფურცელაძისათვის გამოგზავნილი ეს ლექსები და მოთხრობებიც დაკარგულია, და, რაღა გასაკვირია, ამ საოცარი ბიოგრაფიის ადამიანის ტალანტსა და ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე სრული, სამართლიანი წარმოდგენა რომ არ გვქონდეს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, გადაქარბებული არ იქნება ვთქვათ, რომ ნიკ. ყიფიანს (ივანე მარტინოვს) მაშინდელი ბელგიის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაშიც კარგა შესამჩნევი კვალი აღუბეჭდავს. ერთ იქაურ გამოცემაში ნათქვამია: „Il était un des pionniers les plus ardents du féminisme et prit une large part à l'oeuvre des féministes belges“¹.

იმავე წყაროს თანახმად, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებში ნიკ. ყიფიანს ამ საკითხზე ასობით პუბლიცისტური წერილი და კორესპონდენცია ჰქონია გამოქვეყნებული. როგორც ირკვევა, იგი სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებსა და კრიტიკულ წერილებს პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში. 1903 წელს პარიზის ყოველდღიურ გაზეთ „აურორეში“ ორ თვეს განუწყვეტლად იბეჭდებოდა მისი ფელეტონები „მუჟიკის“ ფსევდონიმით. სამწუხაროდ, ყოველივე ეს ხელმიუწვდომელი, შეუკრებავი და შეუწყავლელია, თორემ ჩვენს

¹ „ის იყო ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მგზნებარე პიონერი და დიდ მონაწილეობას იღებდა ბელგიის ქალთა მოძრაობაში“.

წინ უფრო ნათლად წარმოსდგებოდა ნიკოლოზ ყიფიანის — ევროპული მასშტაბის ქართველი კრიტიკოსის, ჟურნალისტის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის სახე. მაგრამ ნიკ. ყიფიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ავტორიტეტზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ბელგიაში მას რამდენიმე სრულიად ეროვნული საზოგადოება დაუფუძნებია, რომლებიც შემდეგ დიდხანს განაგრძობდნენ არსებობას.

სხვათა შორის ბრიუსელში ის განთქმული ყოფილა, აგრეთვე როგორც პოლიგლოტი—უნივერსიტეტში, სანლუის ინსტიტუტში, უმადლეს კომერციულ სასწავლებელში, რუსულთან ერთად, ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებსაც ასწავლიდა; პოლიგლოტთა წრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო, არაჩვეულებრივი ზნეობრივი სიფაქიზით, თავაზიანობითა და მაღალი ინტელიგენტური თვისებებითაც ბრიუსელში დიდი პოპულარობა მოუპოვებია და დაუეჭვარი სახელი დაუტოვებია. მის ახლომცნობთაგან „ცნობის ფურცლისათვის“ გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ვისაც გაგონილი მაინც აქვს, რა ძნელია ევროპაში ლუკმაპურის შოვნა, ადვილად მიხვდება, რომ მართლა გააკვირველის ხასიათისა და ენერჯის ადამიანი უნდა ყოფილიყო ნიკ. ყიფიანი, რომ მიუხედავად იმ საშინელი მდგომარეობისა, რომელშიც მას მიუხედა იქ ცხოვრების დაწყება, მაინც შესძლო ისეთი საპატიო სახელის მოპოვება, რომელიც მან დაიმსახურა მთელ ბრიუსელში, რომ ვამბობ, მთელ ბრიუსელში მეტეი, გადაჭარბებით არ მომდის, რადგან, მართლაც მთელი განათლებული ბრიუსელი კარგად იცნობდა როგორც განათლებულ, დაუღალავს და დაუზარებელ მუშაკს, რომელიც ყოველ პატიოსან საქმეს პირნათლად ემსახურებოდა.

განა გასაკვირველი არ არის, რომ ბელგიის მთავარ ქალაქში, სადაც სწავლულნი და განათლებულნი უხეად მოიპოვებიან, ერთ გადახვეწილ ქართველს წილად ხედა დაეფუძნებია ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი საზოგადოებანი: „La Ligue du droit des femmes“ და „La Sociéte de L'amelioration du Sort de la femme: ნიკ. ყიფიანის მეთაურობით დაარსდა „Cercle polyglotte“, სადაც ის რუსული ენის განყოფილებას განაგებდა¹.

ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში ნიკ. ყიფიანს განუცხადებია: „La Paix du monde veut que toutes les femmes soient unies sans li[ff]erance de classes, de Races et de religions“².

ნიკ. ყიფიანი ორატორული ხელოვნებითაც განთქმული ყოფილა ბრი-

¹ „ცნობის ფურცელი“, 1905, 2 ივნისი („ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ლიგა“, „ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების საზოგადოება“, „პოლიგლოტთა წრე“).

² მსოფლიო მშვიდობა მოითხოვს, რომ ყველა ქალი, განურჩევლად კლასისა, რასისა და სარწმუნოებისა, გაერთიანდნენ.

უსელში. „იმ კრებას, რომელზედაც იგი ვერ დაესწრებოდა ხოლმე, უსიციოცხლოდ უნდა ჩაეეღო. იმის მოხსენებების დროს დარბაზი ხალხით იყო გაქვდილი“.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, ნიკოლოზ ყიფიანს მაინც უჭირდა ცხოვრება, ცდილობდა შეიღებინათვის არაფერი მოეკლო, თვითონ კი ბევრ რასმეს იკლებდა. 1904 წლის სუსხიანი ზამთარი ზაფხულის პალტოში გავატარეო, — იწერებოდა ერთ წერილში და მევალებებისაგან შეწუხებულ უფროს ქალიშვილს ეეტას სთხოვდა: „ერთის სიტყვით, რალა გეხვეწოთ, მიშველეთ საჩქაროდ, თუ დროით მიშველით, უბედურებას გადამარჩინოთ“.

სიღარიბემ და „გადაჭარბებულმა შრომამ ნიკ. ყიფიანს ძალზე შეურყია ჭანმრთელობა და ექიმებმა აუკრძალეს მუშაობა. — ამბობს ბრიუსელიდან გამოგზავნილ წერილში ეინმე „ბ-ლი“, მაგრამ ნ. ყიფიანი, რომლისთვისაც მუშაობა თვით სიციოცხლე იყო, არ დაემორჩილა ექიმების გადაწყვეტილებას. პირიქით, ჩვენი ხალხის გამოღვიძების ამბებმა უალრესად აუშალა მუშაობის საღერღელი (იგულისხმება 1905 წლის რევოლუცია. — ა. კ.).

თითქოს გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, მან მოისურვა უკანასკნელი ფიქრი ისევე სამშობლოსაკენ მიეპყრო... სიკვდილის წინ თვითონ შეასწორა თავისი რღტორიული ნარკვევების კორექტურა და ეს იყო მისი უკანასკნელი შრომა¹.

ნიკ. ყიფიანი გარდაიცვალა 1905 წლის პირველ მაისს, 3 მაისს დღი პატივისცემით დაასაფლავეს ბრიუსელში — „მის კუბოსთან თავი მოეყარეს უნივერსიტეტის წარჩინებულმა პროფესორებმა, სხვადასხვა საზოგადოებათა წარმომადგენლებმა, პოლონელმა და რუსმა ახალგაზრდობამ, გულდაწყვეტილი ქართველების პატარა კოლონიამ“.

ეკ. გაბაშვილი, რომელსაც იმხანად კვლავ მოუხდა ბრიუსელში ყოფნა და შემდეგ, ენერგიულად ცდილობდა, რომ ქართველ საზოგადოებას დანმარება აღმოეჩინა ნიკ. ყიფიანის დაობლებული ქალიშვილებისათვის, წერს: დამინახეს თუ არა, შემოამტირეს: „მამა აღარ გვეყავსო, მეგობარო კატო, ძვირფასი მამა, დაუენწყარი, შეუღარებელი მამა, ერთადერთი დასაყრდენი ამ ქვეყანაზე“².

პროფ. ეეტეიკოს წყალობით ნიკ. ყიფიანის ქალიშვილებმა დაამთავრეს ბელგიაში სწავლა და ბევრი რამ გააკეთეს, როგორც მამის სახელის უკვდავსაყოფად, ისე სამშობლოს სასარგებლოდ: სხვათა შორის, ბარბარე ყიფიანის თაოსნობით 1910 წელს ბრიუსელის ინტერნაციონალურ მუზეუმში ქართული სექციაც დაუარსებიათ³.

¹ „ცნობის ფურცელი“, 1905, 2 ივნისი.

² „ლიტერატურული მატთანე“, 1940, № 1—2.

³ სსღმ ფონდი, № 15272—ბ.

70—80-იანი წლების ქართული ჟურნალ-გაზეთების მკითხველს მუდამ მიიზიდავს, ფართო თვალთახედვით, პატრიოტული ტკივილით, დაწერილი პუბლიცისტური წერილები და კორესპონდენციები, რომლებსაც ივანე მესხი („ი.—ი.“, „ი. მ.—ი“) აწერს ხელს. იგი ერთი მათგანი იყო, ვისაც ბრძოლაში გამოწრთობილი მამულიშვილები თავიანთ ღირსეულ ცვლად და შემდგომი წარმატების იმედად თვლიდნენ.

ივანე მესხმაც, მესხების სახელოვანი ოჯახის შვილმა, პირნათლად განვლო ხანგრძლივი მოღვაწეობის გზა და წმიდად მოიხადა ვალი ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

ივანე დაიბადა 1849 წელს ქუთაისში, არქიელის გორაზე, პაპის — ანდრია მარჯანიშვილის ოჯახში. დარიბმა აზნაურმა, ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს უბრალო მოხელემ სისო მესხმა და მისმა მეუღლემ მაგდანა მარჯანიშვილმა ცამეტი საამაყო შვილი (რვა ვაჟი და ხუთი ასული) აღუზარდეს საქართველოს.

ბავშვობა ივანემ სოფ. რიონში, მამისეულ ოჯახში გაატარა. მისი პირველი მასწავლებელი იყო დედა (კოტე მარჯანიშვილის მამიდა), რომელიც საინტერესო ქართულ და რუსულ წიგნებს უკითხავდა და არითმეტიკაში ავარჯიშებდა.

50-იანი წლების ბოლოს მესხების ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში („სილაზე“) გადავიდა და ივანე მშობლებმა იქაურ გიმნაზიაში მიიბარეს. როგორც ყველა და-ძმა, ისიც იმთავითვე გამოირჩეოდა სიბეჭითით, სწავლისადმი მხურვალე ინტერესით, და თავის თანაკლასელ გ. ჭალადიდელთან ერთად ეწაფებოდა ლიტერატურას, წერდა ლექსებს და, სხვათა შორის, ვატაცებული ყოფილა მუსიკათაც.

„ივანე დიდი მოყვარული იყო მუსიკისა, — წერს მისი უმცროსი ძმა დავით მესხი, — ჩინებულად უკრავდა თარზე... უნდა გავიხსენო ანდრია მრეველიშვილის ლოტბარობით შესანიშნავი მგალობელთა გუნდი გიმნაზიის ეკლესიისა. ამ გუნდში გამოირჩეოდა ივანე მესხის მოძახილი (ალტი) და ზორბა მათაკოვსკის ბანი. ეს მათაკოვსკი იყო მამა რევოლუციის დიდი პოეტის ვლადიმერ მათაკოვსკისა“¹.

ეპოქის მოწინავე აზრებით გულანთებულ ჭაბუკს გიმნაზიაში სწავლის დროს უთარგმნია ნეკრასოვისა და დობროლიუბოვის ლექსები. რომლებიც „დროებაში“ დაიბეჭდა. ეს ახალგაზრდული პოეტური ცდები საყურადღებოა, უწინარეს ყოვლისა, იდეური ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

5. ნეკრასოვის „კარგი ზნის კაცი“, რომელიც „დროების“ 1868

¹ დ. მესხი, მოგონებანი, 1940, გვ. 38.

წლის 45-ე ნომერშია დაბეჭდილი, გმობს გაბატონებული წრეების ცრუ მორალს. მწვავე სატირით, მაშინდელი სოციალური სინამდვილის მკაცრი მხილებით მოუხიბლავს ახალგაზრდა მთარგმნელი, აგრეთვე, დობროლიუბოვის ლექსს „ამა დროის სიმღერა. ვუძღვნი ყოველთა საქმის მცოდნეთა“ („დროება“, 1868, № 51).

საზოგადოებრივი უსამართლობით გამოწვეულ ამ მტკივნეულ განცდებს ბუნებრივად უერთდება დაჩაგრულ სამშობლოზე გულსმომწყველელი ფიქრი, მისი განთავისუფლების მხურვალე სურვილი... ქვეყნის ავ-კარგის შეცნობით აფორიაქებული გიმნაზიელი თარგმნის და „დროებაში“ (1869, № 10) ბეჭდავს გოცე-მიღერის ლექსს „კრიტიკელი ღელაჯაყი მორეაში“.

ივანე მესხს პუბლიცისტიკაშიც იმ დროს უცდია კალამი და აღსანიშნავია, რომ პირველივე წერილის თემად სწავლა-აღზრდის საკითხი ამოურჩევია, რომელმაც მალე მთავარი ადგილი დაიკავა მის მოღვაწეობაში.

1869 წლის ივნისში, გიმნაზიის დამთავრებისთანავე, სერგეის რჩევით ივანე პეტერბურგში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად.

1869 წლის 2 ივლისს ს. მესხი სწერდა პეტერბურგში მყოფ კირ. ლორთქიფანიძეს: „ამ წიგნს ჩემი ძმა მოგიტანს, შენ ხომ იცი, ოტჩენაში ხარ და ამიტომ კეთილ გზაზე უნდა დააყენო ჩემი ძმა, ეს შენი ვალია. პირველად შენთან ჩამოხტება, შენ მოუნახე სახლი, დაარიგე, როგორც რიგია, თორემ ჯერ სულ გამოუცდელია. სთხოვე, რომ იაროს შენთან და ელაპარაკე სხვადასხვა საგნებზედ. კეთილი წადილები აქვს, მაგრამ ეს არ არის საკმაო კაცისათვის. ეჭიშობას რომ აპირებს, მე ძალიან მომწონს“.

უმცროსი ძმისადმი ასეთივე სიყვარულითა და მზრუნველობითაა გამთბარი ს. მესხის სხვა წერილებიც კირ. ლორთქიფანიძისადმი (1870 წ., 15 თებერვლის და სხვა).

ივანემ იმავე წელს ჩააბარა გამოცდა პეტერბურგის სამხედრო-ქიურგიალ აკადემიაში და კიდევ მიიღეს, მაგრამ 1869 წელს, სტუდენტთა გამოსვლებისა და ამის შემდეგ გაძლიერებული რეპრესიების გამო, ბევრ ქართველ მეგობართან ერთად, ისიც იძულებული გახდა სასწავლებლისათვის თავი დაენებებინა და მშობლიურ ქუთაისს დაბრუნებოდა.

1870-71 წლებში ი. მესხი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-ჟურნალისტურ საქმიანობაში: როგორც „დროების“ მუდმივი კორესპონდენტი, სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს საჭირობორტო საკითხებზე და დიდ მუშაობას ეწეოდა „კრებულის“ დასაარსებლად და გასავერცელებლად. 1871 წელს იგი ამ ჟურნალის მთავარი წარმომად-

გენელი იყო ქუთაისში: „ხელისმოწერა მიიღება... ივანე მესხთან, სი-
ლაზე“, — ვკითხულობთ „კრებულის“ პირველსავე სარედაქციო გან-
ცხადებაში!

პეტერბურგში გატარებულ ერთ წელს ამაოდ არ ჩაუვლია; ივ. მეს-
ხის წერილებში ახლა უფრო იგრძნობა მწუავე საზოგადოებრივი მოვ-
ლენებისადმი ინტერესი, სოციალურ წინააღმდეგობებში წვდომის უნა-
რი. უთანასწორობისადმი შეურივებლობა. მისი რეპორტაჟი და კო-
რესპონდენცია პოლიტიკურად მიზანსწრაფული, იდეურად შეუპოვა-
რი ხდება; ყოველდღიურ წერილმანებზე წერისას, ავტორი ახერხებს
ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებების წინ წამოწევას, მისი პროტეს-
ტის გადმოცემას. სათაურის მიხედვით, უწყინარ კორესპონდენციაში —
„გეგუთის რკინისგზაზე...“ („დროება“, 1871 წ., № 17), ივანე მესხი
მუშათა ცხოვრების შემაშფოთებელ სურათს გვიხატავს.

„საწყალი მუშა“ — აღმოხდება ახალგაზრდა ავტორს და ეს წამოძა-
ხილი ნაუკუნის შემდეგაც გვაგრძნობინებს ხალხის მდგომარეობას კე-
ფორმის შემდგომ დროინდელ სოფელში: უმიწობა, უგზობობა, უწყლო-
ბა, შიმშილი, გაუნათლებლობა, ცრუმორწმუნეობა, სოციალური დიე-
ნა — აი, როგორ წარმოგვიდგება მაშინდელი იმერული სოფლის სუ-
რათი ივ. მესხის წერილების მიხედვით. ათასში ერთგან, ფარღალა
ფიცრულში შეყუდრებული სკოლა, სადაც „ფეხ და თავშიშველი ყმაწ-
ვილები“ იყინებინან; სასამართლოს კანკებთან ატუზული გლეხები, „უფ-
როსის მოლოდინში რომ ფეხზე წყდებიან“ და „მჭევრმეტყველებაში
გასავარჯიშებლად მოსული ადვოკატები“, რომლებმაც იციან: „ოლონდ
სათვალეები გაიკეთე, სერთუკი ჩაიცვი და გაჭირვებული მთხოვნე-
ბი ბუზივით დაგესვიან“; შარიანი მეზობელი, რომელიც საჩივლელად
მოსულა, „სტუმარმა ქვეშაგები დამეჭმუჭნაო“²; გლეხის ამონაკენისი:
„ოლონდაც ცივი წყალი და მჭადი მქონდეს და სხვას არას ვინატრებ-
დიო“; „ჩრდილოეთის ნათება“ და ხალხის ოხვრა: — „უეჭველად წარ-
ღენის ნიშანიო“ ან „ნემეცებს პარიჟი დაუწვავთ და იმის სხივი ზე-
ცას მოსდებიო“³; გლეხები წელზე ფეხს იდგამენ და ამ ჯოჯობეთური
სურათის ფონზე. „კეთილშობილები იმას აკეთებენ, რასაც სხვა სო-
ფელში: ან მწყერობენ, ან კურდღლობენ, ან ნარდს არახუნებენ... რის-
თვის იმუშავენ, როცა იციან, თუ გლეხები ცოცხალი იქნებიან, შიმ-
შილით არ დაიხოცებიან. გლეხების ჩამორთმევა იმათ არაფრით ატყ-
ვიათ, ისევე ის გლეხები უმუშავენ მიწას, ისინი კი, იმის მეტს არა-
ფერს აკეთებენ, რომ შემოსაველს კრეფენ მამულებიდან“⁴. ამრეზით

¹ „მნათობი“. 1871, თებერვალი.

² „დროება“, 1870, 48.

³ „დროება“, 1870, 42.

⁴ „დროება“, 1870, 44.

უყურებენ ახალგაზნად სკოლას: „ჩემს შვილს გამურული გლეხის ბიჭს როგორ ამოუეჭენ გვერდშიო“¹.

თემის შესაბამისად მრავალფეროვანი და ზუსტად გამიზნულია აეტორის გამოქსახვლობითი საშუალებანიც: საქმიანი რეპორტაჟი, აღწერითი თხრობა, ალაგ-ალაგ გამოცოცხლებულია ცხოვრებიდან ამოტანილი დიალოგებით, გლეხური გამონათქვამებით, ანდაზებით, ირონიული და სატირული კილოყავით, მიხეველ-მოხვეული ქარავით, ზოგჯერაც გამომწვევი რეპლიკით. ასობით უსაქმურ თავადთა შორის, აეტორს ერთი ისეთიც შეხვედრია, რომელიც გლეხებთან ურთიერთობას არ უკადრისობს: „ნეტავი როგორ უყურებენ დანარჩენი კეთილშობილები ამ მართლა კეთილშობილს?“ — კითხულობს ის. ან არ აძლევენ შკოლას... რას უნდა მივაწეროთ ამგვარი გულგრილობა ჩვენი კეთილშობილებსა ამისთანა კეთილ საქმეში?“².

ივ. მესხის ეს წერილები ხალხის ბედით შეშფოთებული, მის მომავალზე მწარედ ჩაფიქრებული ეამთაღმწერლის მიერ შექმნილი ჩვენი მაშინდელი ცხოვრების მატრიანაა.

ცოდნას მოწყურებული. ქვეყნის საკეთილდღეო სამსახურს მოწადინებული ახალგაზრდა, 1871 წლის შემოდგომაზე შვეიცარიაში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. ამ იშვიათმა შემთხვევამ მთელი ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და „დროებაც“ ალტაცებით გამოეხმაურა საზღვარგარეთ სწავლის მისაღებად წასულ „პირველ მერცხლებს“.

ივანე მესხი და მისი ამხანაგები კარგად გრძნობდნენ იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც ეს საზოგადოებრივი ყურადღება აკისრებდაო. „სწორედ საფუძველი ჰქონდა „დროებას“ ამ მოვლენას დაჰხარებოდა. — წერს ის, — ვამბობ „მოვლენას“. რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ საზღვარგარეთის უნივერსიტეტში ერთდროულად სამი ქართველი შეუდგა მეცნიერების შესწავლას“.

სერგეი მესხი, ამ ჰაბუცების მთავარი მრჩეველი და დამრიგებელი, 1872 წლის 26 იანვარს კირ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „ჩემი ძმა ივანე ეხლა ციურისშია. ის და ვლ. ნიკოლაძე ერთად წავიდნენ. ამათ გარდა, ოთხი სხვები არიან ახლა ჩვენები შვეიცარიაში: ძიგოევი და ჯაფარიძე ეენევაში, და სუმბათოვი... და ქადაგოვი — ციურისში. ეს კიდევ არაფერი: ერთი ჩვენებური ქალიც მიდის მალე იქ. მედიცინის შესასწავლად! კარგად შემომხედე!“...

მართლაც, სულ მალე, არა ერთი, არამედ ხუთი ქართველი ქალი-

¹ „დროება“ 1870, № 46.

² „დროება“, 1870, № 38.

³ „დროება“, 1872, № 22.

შვილიც გაემგზავრა იქ უმაღლესი განათლების მისაღებად და შვეიცარიაში მოწინავე ქართველ სტუდენტთა ძლიერი კერა შეიქმნა. ერთ კორესპონდენციაში ივ. მესხი ამბობს: აქ, შვეიცარიაში იმიტომ წამოვედით, რომ „ცოტა მეტი თავისუფლებაა“... „საზოგადოდ შვეიცარიას ბევრი სხვა მშვენიერებაც აქვს, რომელიც იზიდავს ახალგაზრდობას“¹.

ივანე და მისი ქართველი მეგობრები ჩასვლისთანავე დასწავებიან იქაურ ცხოვრებას, გასცნობიან სტუდენტთა მეთაურებს, დაახლოვებიან მოწინავე საზოგადოებას. ისინი სისტემატურად ესწრებოდნენ სტუდენტთა სხდომებს, ლექციებს, დისკუსიებს, მონაწილეობდნენ პირველი ინტერნაციონალის ადგილობრივი სექციების საქმიანობაში, ისმენდნენ პარიზის კომუნის გამოჩენილ ხელმძღვანელთა მოხსენებებს და, რაც ყველაზე საყურადღებოა, დადიოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში წარმოების ორგანიზაციისა და მუშათა შრომის პირობების შესასწავლად.

ურთიერთდახმარებისა და აზრთა გაზიარების მიზნით, 1873 წელს ქართველმა სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს საზოგადოება „უღელი“, რომელსაც ივანე მესხი ჩაუდგა სათავეში (საზოგადოებას თავმჯდომარე არ ჰყავდა, ივანე აღმასრულებელი მდივანი იყო). საზოგადოების მიზანი იყო, გარს შემოეკრიბა საზღვარგარეთ მოსწავლე ჩვენი ახალგაზრდობა, დაერაზმა იგი ცოდნის შესაძენად, მეცნიერების დასაუფლებლად: ლექცია-საუბრები გაემართა ქართულ ცხოვრებაზე, გაეცნო საქართველოს ისტორია, შეედგინა და გამოეცა ქართული სახელმძღვანელოები. ამ მიზნით, კომისიაც გამოუყვიათ; ივანეს არითმეტიკის სახელმძღვანელოს შედგენა უკისრია და კიდევ შეუსრულებია ეს ვალდებულება².

რამდენადაც „უღელის“ სხდომაზე საერთაშორისო-პოლიტიკურ თემებზე კითხულობდნენ მოხსენებებს და მისი წევრები, როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკურ ორგანიზაციებთანაც იყვნენ დაახლოებული, ამ საზოგადოებას ფაქტიურად, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა.

საზოგადოების სხდომათა სამ ოქმს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ივანე მესხი აწერს ხელს.

როგორც ს. მესხის 1873 წლის 30 მარტის წერილიდან ჩანს, „ივანე მესხმა იკისრა სხვადასხვა სახელმწიფოთა მმართველობის მექანიზმი გააცნოს ამ წრეს“.

„უღელის“ წევრები და მათი აქტიური მხარდამჭერნი ქართველ მკითხველს ფართოდ აცნობდნენ ამ საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს; „ღროების“ 1873 წლის მე-16 ნომერში ვკითხულობთ: „ქართველი

¹ „ღროება“, 1872, № 17.

² დ. მესხი, მოგონებანი, 1940, გვ. 16.

სტუდენტები... ყოველ მხრით დაბრკოლებას გრძნობდნენ და შევიწროებულს მდგომარეობაში ვარდებიან, ამათ ვერ დაუმსახურებიათ ის სანატრელი დახმარება საშობლოდან, რომელსაც ასე ძლიერ საჭიროებენ... „აუცილებელია ურთიერთდაახლოება, ამიტომ „ციურისის ქართველებმა გადაწყვიტეს. დაეარსებინათ წრე, რომელშიც საზოგადოდ საზღვარგარეთ მყოფ ყველა ქართველსაც უნდა მიეღო მონაწილეობა“. საზოგადოების წევრები თავთავიანთი დარგიდან ერთმანეთს წაუკითხავენ ლექციებს, რომლებსაც შემდეგ საერთო ძალით გადაამუშავებენ. „ეს ნაწარმოებები თბილისში გაიგზავნება ქართულ გამოცემათა რედაქციაში, ანდა, ცალკე წიგნებით დაიბეჭდება“.

„უღელმა“ „დროება“-„კრებულის“ მეთაურთა დიდი ინტერესი გამოიწვია, უწინარეს ყოვლისა, კოლექტივიზმის სულისკვეთებით, ქვეყნის საკეთილდღეოდ შეერთებული შრომის მაგალითით. ამ საზოგადოების უნარიანი წარმართვით ივანე მესხმა ფართო სახელი და ავტორიტეტი მოიხვეჭა, როგორც შევიცარიაში მყოფ მეგობართა წრეში, ისე საქართველოში. ძირითადად, ის აწესრიგებდა საზოგადოების წევრთა და ქართულ ჟურნალ-გაზეთთა შორის კავშირ-ურთიერთობას. „ქენევიდან მოგვივით... ბეთანიშვილის წერილი“ „უღელთან“ მიწერილი, — აცნობებდა 1873 წ. 23 დეკემბერს ს. მესხი დავით მიქელაძეს, — რომელიც პირველს ფურცელს გარდა (როგორც თითონაც ჩემს ძმას სწერს), გამოსადეგი იქნება დასაბეჭდად... დღეს მეორე იმდენივე წერილი მივიღე მე ჩემი ძმისაგან... და ქენევაში გაუგზავნე „უღელის“ წევრებს წასაკითხად და მერმე მანდ გამოგზავნიან რედაქციაში, მგონი, „კრებულისათვის“ კარგად გამოდგეს“.

გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა იმდროინდელი მიმოწერიდან მკაფიოდ შეგვიძლია აღვადგინოთ ივანე მესხის, როგორც ენერგიული, პრინციპული, უანგარო, სასარგებლო საქმეთა დაუცხრომელი ინიციატორის სახე. სერ. მესხიც აღტაცებული იყო ძმის აქტიუობითა და კეთილსინდისიერებით. ბარათებში კეკე მელიქიშვილისადმი, ის წერდა: „ივანეს უთხარი, რომ იმის სტატია საზოგადოება „უღელის“ თაობაზე ძალიან კარგია, გონიერი სტატია“ (1873 წ., 20 აპრილი); „ყველა ჩვენებურ ყმაწვილებში მანდ ყველას ივანე უნდა სჯობდეს“; „უღელზე“ (ყველაფერი) ივანეს აცნობე, როგორც საქართველოს კონსულს (ელჩის“); „რაც კი დაგვირღებდა, შეგიძლია ივანეს მიმართო და ის დაგეხმარება ისე, როგორც მე... შენ შეგიძლია მიმართო იმას ისე, როგორც შენს ძმას... და მე დარწმუნებული ვარ, არაფერს არ დაზოგავს შენთვის“ (1873 წ., 20 თებერვალი); „ივანე რომ ყოფილიყო მანდ... მაგისთანა ჩუპრული საქმე არ მოგივიდოდათ. მე მივწერ ივანეს ამ ამბავს და იმედი მაქვს... როგორც საქართველოს ელჩისგან, დიდი სამღურავე მოგვივით“.

ივ. მესხი ურთიერთდახმარებისა და ძმური მხარდაჭერის მაგალითს უჩვენებდა ყველას. თვითონ მძიმე ავადმყოფი და მატერიალურად ხელ-მოკლე, უკანასკნელ კაპიკს უნაწილებდა ამხანაგებს, განსაკუთრებით ქართველ სტუდენტ ქალებს. 1873 წლის 29 აგვისტოს ოლღა გურა-მიშვილს სწერდა: ერთმა პირმა, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდებს დასახმარებლად გადასცა ფული და მოწიწებით გთხოვთ, ეს ფული თქვენ და სხვა სტუდენტმა ქალებმა გაინაწილოთ!

1873 წელს ივანემ ციურიხიდან „კრებულში“ დასაბეჭდად გამოგზავნა ვრცელი სტატია „ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში“, რომელიც იმავე წლის მე-8 და მე-10 ნომრებში დაიბეჭდა.

ეს სტატია იმ დროის ქართული პედაგოგიური აზროვნების ღირსშესანიშნავ მოვლენად იქნა აღიარებული: აღზრდის საკითხები მასში სოციალური ცხოვრების მწვავე პრობლემებთან კავშირშია განხილული და ავტორი ცნობილ პედაგოგთა შეხედულებებს იშველიებს.

მართალია, ივანე ჯერ ციურიხის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მედიცინას თავი გაანება და იქაურ პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დროება“-„კრებულში“ დაბეჭდილი მისი პედაგოგიური წერილები, სწორედ ის გადამუშავებული ლექციებია. რომლებსაც „უღელის“ სხდომებზე კითხულობდნენ და საერთო ძალით ქართულ ყურნალ-გაზეთებში გამოსაქვეყნებლად ამზადებდნენ.

შესავალში ავტორი ამბობს: რადგან ზოგიერთმა ქართველმა შეი-ლები სწავლის მისაღებად შვეიცარიაში გამოგზავნა და ამის გამო მათ აქა-იქ კიდევ დასცინიან, გადაეწყვიტე ჩვენს საზოგადოებრიობას დაწერილებით გავაცნო აქაური აღზრდის სისტემაო.

ქართველ პედაგოგს ყველაზე უფრო თავისუფალი აღზრდის პრინციპი იზიდავს და საგანგებოდ გამოჰყოფს მოზარდთა და უფროსების, კერძოდ, ბავშვისა და აღმზრდელ-მასწავლებლის დამოკიდებულებას საკითხს. იმ დროის ჩვენი სასკოლო ცხოვრებისათვის, სადაც „ლინეიკასა“ და „როზგს“ ჯერ კიდევ გასავალი ჰქონდა, ამ საკითხს აქტუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა და ივ. მესხის წერილი მამხილებელ როლსაც ასრულებდა. „იმისთანა ქვეყანაში და იმისთანა სასწავლებლებში, — წერს ივ. — სადაც მასწავლებლები მათი ბავშვების ამხანაგები, მეგობრები და ტყბილი მოსაუბრენი იქნებიან და არა რაღაც ღმერთებრივ ბატონები და მზრძანებლები. (სადაც) ყოველი ორი სიტყვის შემდეგ „სამშობლო“ და მისი სამსახური ისმის“, წარმატებაც მეტი იქნება.

1 ნ. ნიკოლაძის პირადი არქივის კატალოგი, თ. შავჭავჭავაძის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გვ. 63.

ბავშვის გონებრივ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში ავტორი გადამწყვეტ როლსა და პასუხისმგებლობას სკოლას ანიჭებს, თუ ბავშვი სწავლაზე გულს იკრუებს, ამის მიზეზს მართო „სკოლის გარეთ მის ცხოვრებაში კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ თვით სკოლაში და ამ უკანასკნელის სწავლის მსვლელობაში“.

ბავშვზე უნდა ვიმოქმედოთ მტკიცე დისციპლინით, წესიერი მოპყრობით, ტკბილი სიტყვით და არა სხვადასხვა მკაცრი სასჯელით.

მაგრამ ივანე მესხს კარგად ესმის აღზრდაში, მოქალაქეობრივი ხასიათის ჩამოყალიბებაში სოციალური ფაქტორის როლი და, ამიტომ, თავის წერილებში ვრცლად ეხება შვეიცარიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას, — ყურადღებას ამახვილებს მის დემოკრატიულ მხარეებზე.

წოდებრივი პრივილეგია, მოქალაქეთა უფლებრივი უთანასწორობა, მისი რწმენით, წინასწარ არღვევს აღზრდის საფუძველს.

ივ. მესხი ამტკიცებს, რომ განათლება საველდებულო და უფასო უნდა იყოს, რომ სკოლა და მშობელი შეერთებული ძალით უნდა იღვწოდნენ ბავშვის აღზრდისათვის, რომ „მშობელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სკოლის საქმეებში“. ავტორი ერთმანეთისაგან განუყოფლად თელის და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას: „რათ ვარგა მართო თავი გქონდეს „განათლებული“, თუკი, ამასთან, გულიც არ გინათებს და როგორც კაცი, არ ვარგინარ!“

აღზრდის საკითხი, ისე როგორც ყოველი საზოგადოებრივი პრობლემა, მხოლოდ ხალხის აქტიური და ფართო მონაწილეობით შეიძლება გადაიჭრას. „დროება“-„კრებულის“ პუბლიცისტურ სულს ორგანულად ეხმიანება, კერძოდ, ავტორის მსჯელობა „სახალხო თვითმოქმედებაზე“: ივანე მესხი აღტაცებულია პესტალოცის პედაგოგიური მეშვეობით: — „შვეიცარიის სანაქებო შვილს“ უწოდებს მას და მოსწონს, რომ „შვეიცარიაში სკოლა ეკლესიის გავლენისაგან განთავისუფლებულია“.

მეორე სტატიაში („კრებული“, 1873, № 10) ივ. მესხს განხილული აქვს სასწავლო დისციპლინების პროგრამა და მათი სწავლების მეთოდიკა ცალკეული კლასების მიხედვით. ამასთან იგი იწონებს, რომ სწავლება საკლასო ოთახის კედლებით არ იზღუდება და მასში დიდი ადგილი უკავია ექსკურსიებს, მოგზაურობებსა და თავისუფალ გაკვეთილებს.

ამ წერილიდან, სხვათა შორის, ვგებულობთ, რომ ციურიხში, ბეისტის პანსიონში, 1872 წლიდან სწავლობდნენ: ნაცელიშვილი (12 წლისა), ნიკოლაძე (12 წლისა) და ქუთაისელი ნიკიტინი (11 წლისა).

„დროებასა“ და „კრებულში“ გამოქვეყნებული წერილებითა და კორესპონდენციებით შვეიცარიაში მყოფმა ქართველმა ახალგაზრდებმა უდავოდ ხელი შეუწყვეს ქართული პუბლიცისტიკის გამოცოცხლე-

ბას, საზოგადოებაში დემოკრატიული შეხედულებების გავრცელებასა და არსებული სოციალური სინამდვილისადმი კრიტიკული თვალსაზრისის განმტკიცებას. ისინი მოხერხებულად სარგებლობდნენ პირადი შთაბეჭდილებების ფორმით და ვითომდა უბრალო კორესპონდენციებში მკითხველს საოცნებოდ უსახავდნენ დემოკრატიულ წყობილებასა და ევროპულ ცივილიზაციას. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ყურნალ-გაზეთების მეთაურებიც ოსტატურად იყენებდნენ მათ ნაწერებს ხალხში დემოკრატიული მისწრაფებების გასაღვივებლად. ამის წყალობაა, რომ მაშინდელი „ღროება“, რომელსაც პოლიტიკურ თემებზე ორიგინალური მასალების გამოქვეყნება აკრძალული ჰქონდა, ალბათ, არც ერთ გამოცემას ტოლს არ დაუგდებდა თავისი პროგრესული მიმართულებით.

ყველაფერი, რასაც ისინი შვეიცარიის ცხოვრებაზე წერდნენ, კარდინალურად ეწინააღმდეგებოდა და ნიღაბს ხდიდა რომანოვების იმპერიაში გამეფებულ ძალმომრეობასა და სულშემხუთავ რეჟიმს, უჩვენებდა მკითხველს, რომ სადღაც, ამ ჩვენს პლანეტაზე, არსებობს უკეთესი ცხოვრება და ის, რაც აქ ხდება, შეუძლებელია მარადიული იყოს.

ივანე მესხი აღწერდა შვეიცარიის მომაჯადოებელ ბუნებას, იქაურ ზნე-ჩვეულებებს, დღესასწაულებს, მაგრამ ეს მისი წერილების გარესამოსი იყო, ყურადღებას მუდამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე ამახვილებდა. და ისიც ისე, რომ მკითხველს აშკარად ეგრძნო ადგილობრივი სინამდვილისადმი კონტრასტი. ნაწერებში უხვად ურთავდა შოწინავე დემოკრატ მოაზროვნეთა ციტატებს და ზოგჯერ მათი მოხსენებებისა და ნაშრომების მიმოხილვასაც. ამასთან, კონტრასტის გასაძლიერებლად, იმასაც დასძინდა: შვეიცარიაში, ჩვეულებრივ, სახალხო დღესასწაულებზე ისეთ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ, რომ ვერ მოგწერ, მკითხველო, „რადგან, ვეჭვობ, იმისთანა სიტყვები, რომლის წარმოთქმასაც მე დავესწარი... (ცენზურა. — ა. კ.) ძრიელ გაჭირვებით იშოენიდნენ ადგილს „ღროებაში“. სხვადასხვა მიზეზების გამო“¹.

ი. მესხი მუდამ ხაზს უსვამს, რომ შვეიცარიის ხალხმა თავისი უფლებები ბრძოლით მოიპოვა და ერთსულოვნად იცავს მას.

ერთ კორესპონდენციაში² ივანე მესხს აღწერილი აქვს შვეიცარიელთა სახალხო გართობანი — „ფურების ტარება“ (Ochsen Zug)¹ და „ექვსი ზარის ხმა“ („Sechen Leuten“), ხოლო მათი წარმოშობის მიზეზთა ახსნისას; განმარტავს, რომ ამ საზეიმო ცერემონილით ხალხმა სამარადისოდ უკვდავყო ანტიდემოკრატიულ შეთქმულებაზე თავისი გამარჯვება.

¹ „ღროება“, 1872, 31.

² „ღროება“, 1872, 30.

შვეიცარიის ცხოვრებასთან კონტრასტით, ივანე მესხი სასაცილოდ ხდის თვითმპყრობელობის სამხედრო-პოლიტიკურ რეჟიმს. იგი არა ერთგან აღნიშნავს, რომ „უაზრო და უმსგავსო სამხედრო დისციპლინას შვეიცარიაში ადგილი არა აქვს,“ რომ „საღდათები და ოფიცრები ერთად სვამენ ლუდს და ერთად საუბრობენ პოლიტიკაზე“.

1873 წლის აპრილის წერილში¹ ივ. მესხი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ სხვადასხვა ქვეყნის მონარქთა მიერ მოსყიდული პირები ცდილობდნენ შეეცვალათ ციურისის უნივერსიტეტში უცხოელთა მიღების წესები; „დასაფრთხობად, პოლიციისაგან მოწმობას თხოულობდნენო“, — წერდა ის.

ივ. მესხი დროულად ეხმიანებოდა ქართულ პრესაში წამოჭრილ საკითხებს და ევროპის მოწინავე იდეათა შუქზე განიხილავდა მათ. ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში იმ დროს ბევრს სწერდნენ თბილისის ახალგაზსნილ სამრეწველო საწარმოებში მუშათა მძიმე მდგომარეობაზე; ამასთან დაკავშირებით, ქართველი სტუდენტები დაწვრილებით გასცნობიან ჟენევისა და ციურისის პროლეტარიატის მდგომარეობას და ივ. მესხს საყურადღებო წერილიც გამოუქვეყნებია „ღროებაში“². რადგან ჩვენში ხშირად სწერენ მირზოევის ფაბრიკაში გამეფებულ მძიმე პირობებზე, გადავწყვიტე, აქაური ფაბრიკების წყობილებას გავცნობოდი და ჩემს ამხანაგებთან ერთად, გავსწიე რკინის ფაბრიკაში, რომელსაც „მექანიკურ ფაბრიკას“ ეძახიან, რათა გამეგო, როგორი წესი და წყობილება არის იქო. „ფაბრიკაში შესვლა და პირობების გაგება ყველას შეუძლია, — გადმოგვცემს ავტორი, — ასე რომ, არა ჰგავს მირზოევის ფაბრიკას, სადაც ახლოსაც არაეის აქაჭანებენ. „თითქმის მთელი საათნახევრის განმავლობაში დავდიოდით მე' და ჩემი მოხუცი ჩიჩერონე (რომელიც ყველაფერს დაწვრილებით მიხსნიდა), ხელფასი აქ ორჯერ თუ სამჯერ უფრო მეტია, სამუშაო დღის ხანგრძლივობა კი — ნაკლები. შემდეგ წერილში მოგაწვდით „სტატისტიკურ ცნობებს მთელი შვეიცარიის მუშების მდგომარეობაზე“.

ასეთი სტატიები, უეჭველად, ხელს უწყობდა ჩვენი მუშების გათვითცნობიერებას, ახალჩასახული პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების გამოფხიზლებას.

ივ. მესხმა საინტერესო სტატია გამოაქვეყნა რელიგიის ქურუმთა, კერძოდ, კათოლიკური ეკლესიის უმაღლეს მსახურთა განსაქიქებლად, რომელშიც მხილებულია რომის პაპის მაქინაციები, დასაბუთებულია, რომ პაპი მტარავლებთან ხელისხელ ჩაკიდებული ყვლეფს მშრომელ ხალხს. „ეხლა რომის პაპი ძლიერ შეწუხებულია“, — წერს ავტორი,

¹ „ღროება“, 1873, 4.

² „ღროება“, 1872, 11.

რადგან „აღარ ჰყავს მისი საყვარელი „სულიერი შვილი“, „ნეტარსვენებული“ ნაპოლეონი“¹.

ივ. მესხი და მისი ამხანაგები საფრანგეთ-პრუსიის ომისა და პარიზის კომუნის პერიოდში მოხვდნენ საზღვარგარეთ და აქტიურად ჩაებნენ პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში. მათი წერილებიდან ცხადად ჩანს, რომ ახალგაზრდა ქართველები ფრანგი ხალხისადმი, კომუნარებინადმი ძმური თანაგრძნობით იყვნენ გამსჭვალული და გმობდნენ როგორც გერმანელ მილიტარისტებს, ისე ვერსალელ ჯალათებს.

1873 წლის ზაფხულში ივანე გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ. „ღროებისათვის“ გამოგზავნილ წერილში² ის ზიზღით, დაუფარავი მტრობით აღწერს გაყოფილებულ დამპყრობთა სახელმწიფოს. „ბევრი სიმშვენიერე აქვს ამ დალოცვილ ქვეყანას (შვეიცარიას) და მის ერთ მუქა ხალხს“, მისი მოშორება და ორი თვით პრუსიაში წასვლა ისე გამოვირდა, როგორც ამ ორი წლის წინათ საქართველოსთან გამომშვიდობება. „წავედი პრუსიაში, სულ სხვა „სახელმწიფოში“, სხვა „ზრდილობიან“ ხალხისაჲენ... ჩემს თვალს აქ არც ერთი სამხედრო კაცის ეპოლატების კრიალი და ხმლების რაჩხა-რუჩხი არ ასცდენია... შარშანწინდელი მიტრალიეზებით დახარჯული თოფისწამლის სუნი კიდევ ისმის აქ. ბერლინის სასახლეს სპეციალურად უკანასკნელი ომების „გმირთა“ დასაჯილდოებლად გამოუცხვია ახალი „რკინის ჯვარი“. არათუ სალდათებს და ოფიცრებს „უმშვენებს“ გულმკერდს, არამედ ბეშვეების სათამაშოებისათვისაც კი მოუხერხებიათ გამოყენება... სადაც გზაზე, შტუტგარტიდამ მაინცამდე სათამბაქოში შევედი და რაღაც ხის სათამბაქო შემომამძლიეს, სახურავიცა და ძირიც ყველას ამ „რკინის ჯვრისა“ აქვს... ერთი საშინელი, უშნო და ულაზათო რამ არის“.

ავტორს განუშორებლად თვალწინ უდგას ორი საპირისპირო სახე—პრუსიისა და შვეიცარიისა. ყოველ ნაბიჯზე თვალში გვხვდება განსხვავებული ხასიათი და წარმოდგენები. რადგან მდაბიურად აცვია, აქ მას ათვალწუნებით უყურებენ, მდიდარი სახლის მეპატრონენი ლაპარაკის ღირსადაც არ თვლიან. იგი ამჩნევს, რომ „პრუსიელებმა ხანდახან, მეტადრე, თუ ომებზეა ლაპარაკი, კვებნა იციან ხოლმე“.

როგორც ყველა უცხოელს, მასაც აოცებს შვეიცარიისა თუ გერმანიის დაწინაურებული ტექნიკა, კეთილმოწყობილი სოფლები და ქალაქები, მომხიბლავი ბუნება, მაგრამ ქედს როდი იხრის მათ წინაშე, პირიქით, სიამაყით იგონებს თავის საოცნებო მამულს. „ამისთანა თუ არა, — წერს იგი, — ამის მსგავსი მაინც ბევრი რამ მინახავს ჩემს პატარა, ლამაზ სამშობლოში“.

¹ „ღრობა“, 1873, № 18.

² „ღრობა“, 1873, № 38.

საგულისხმოა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე, 1875 წელს, ივ. მესხმა „დროებაში“ გამოაქვეყნა საყურადღებო ფელეტონები „სამშობლოს სიყვარული“,¹ რომლებშიც, ითვალისწინებს რა სხვადასხვა ხალხის ისტორიულ მაგალითებს, ცდილობს გაარკვიოს თავისი ქვეყნის ჩამორჩენილობის მიზეზები და აღორძინების საშუალებანი.

ლათინური ანდაზით: „Ybi lene, ubi Patria“ (იქ არის კარგი, სადაც სამშობლოა), — რომლითაც ეს ფელეტონები იწყება, ავტორი გარკვეულ შეფასებას აძლევს უცხოეთში გატარებულ წლებს და აცხადებს, რომ ჩამორჩენილობისა და მოუწყობლობის გამო, მამულიშვილმა კი არ უნდა დაივიწყოს და უარყოს თავისი ქვეყანა, არამედ უნდა გარდაქმნას და ააყვას ის. ყველას უყვარს ის ადგილი, სადაც დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა, — ეს მხოლოდ ინსტიტუტი გრძნობაა: ქვეშაირი მამულიშვილს ღრმად შეგნებული უნდა ჰქონდეს სანშობლოს წინაშე თავისი მოვალეობა და „ბედნიერათ რაცხედეს თავისთავს, როდესაც სამშობლოს დღეგრძელობისა და კეთილდღეობისათვის გაუწყნარებლად იბრძვის“. პატრიოტი მარტოდენ იგია, ვისაც შეუძლია ყოველივე პიროვნულზე. სიცოცხლეზედაც კი, სიხარულით ხელი აიღოს სამშობლოს ბედნიერებისათვის.

ივ. მესხის ფელეტონთა ლაიტმოტივს „ნამდვილ ახალ თაობაზე“ ფიქრი შეადგენს — ახალთაობაზე, რომელიც ნათელი ზემოქმედებისათვის თავს მსხვერპლად მიუტანს ხალხს: ავტორი დიდ ადგილს უთმობს ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს. სკოლა და საზოგადოება უნდა ზრდიდეს მოქალაქეს და არა მოხელეს: ვინც სამსახურს ეძებს, ვინც თანამდებობისთვის გიჟდება, სამშობლოს ვერასოდეს გამოადგება, რადგან ფული და თანამდებობა კაცს რყენის.

ივ. მესხის ფელეტონები დაწერილია მეგობრისადმი გაგზავნილი წერილების ფორმით და მათში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული პატრიოტული აღზრდის იდეალი.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ივ. მესხი ვაბედულად ილაშქრებდა წოდებრივი უთანასწორობის წინააღმდეგ და ხალხის ყველა ფენისათვის თანაბარ უფლებებს მოითხოვდა. მისი წინადადებით, ქუთაისის ბანკმა 1882 წელს საგრძნობი თანხა გამოუყო იქაურ „საქალაქო სკოლას“, რის გამოც, ზოგიერთ პირს საჯაროდ გაულაშქრია ივ. მესხის წინააღმდეგ: „რათ უნდა შევეწიოთ იმისთანა შკოლას, რომელშიც თავადაზნაურები არ იზრდებიან?.. რატომ უნდა მიეცეთ დახმარება იმისთანას, რომელიც გლეხის შთამომავლობისა არისო“.

ივ. მესხი კრებაზე საპასუხო გამოსვლით არ დაკმაყოფილებულა, პრესაში ამხილა რეტროგრადები და, მიუხედავად იმისა, რომ საქმე

¹ „დროება“, 1875, № 10, 11, 12.

კინალამ დუელით დამთავრდა, ბოლომდე დაიცვა და გაიტანა თავისი აზრი!..

1874 წლის ზაფხულში ივანეს მძიმე ოპერაცია გაუკეთეს ენევეაში და შემდეგ კროიცნახში (სამხრეთ გერმანიაში) ისვენებდა რამდენსამე თვეს.

1875 წელს მან წარმატებით დაამთავრა ციურხის პედაგოგიური ინსტიტუტი და, როგორც ჩანს, მომავალი მოღვაწეობის თაობაზე აღმზრდელ ძმას რჩევა სთხოვა. იმავე წლის 26 მარტს სერგეი მესხი კეკე მელიქიშვილს ატყობინებდა: „კარგი, ვსთქვათ, დაბრუნდა. რა უნდა გააკეთოს, რა საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი... მგონია, ერთი საქმეა, რომელიც ამ უკანასკნელ ღროს ივანეს შეუყვარდა და რომელსაც აქ უნდა მოჰკიდოს ხელი, — ეს პედაგოგიაა... მაგრამ პანსიონის გახსნას საშუალება ეჭირვება... ბესარიონ ჭაფარიძე და ივანე რომ ერთად დაბრუნებულიყვნენ, მაშინ საქმე უკეთ მოთავდებოდა“.

1875 წლის მაისში ივანე უკვე საქართველოშია და, როგორც ს. მესხის 29 ივნისის წერილით ირკვევა, ზაფხულში კერძო გაკვეთილების აღებას აპირებს, მერე კი, ქუთაისში პანსიონის გახსნის იმედი მიუციათ, — „შენ პანსიონი გახსენი და შეგირდების შოვნა ჩვენ ვიცით“.

„დროების“ 1875 წ. 87-ე ნომერში, მართლაც, გამოქვეყნდა ვრცელი განცხადება: „შეგირდების სადგომი“, რომელსაც ხელს აწერს „სადგომის მზრუნველი ივანე მესხი“. განცხადებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „1875 წ. 25 აგვისტოდამ ვხსნი ქუთაისში „შეგირდების სადგომს“, რომელსაც ექნება მიზანი... ყოველგვარი საშუალება ინმაროს მოსწავლე ყმაწვილების გონებისა და ზნეობის გაუმჯობესებისათვის“.

ივ. მესხს მიზნად დაუსახავს, პრაქტიკულად განეხორციელებინა აღზრდის ის სისტემა, რომელიც შვეიცარიაში შეითვისა და რომელსაც „დროება“ — „კრებულში“ ქადაგებდა. ს. მესხის აგვისტოს კერძო ბარათის მიხედვით, დასაწყისში „საქმე ჩინებულად მიდიოდა და თვითონაც (ივანე) ძალიან კმაყოფილი იყო“, მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა; სამი თვის შემდეგ, ხელისუფლებამ ივ. მესხს პანსიონი დაუხურა და წინადადება მისცა, საქმეები ალექსი ჭიჭინაძისათვის გადაეცა, ხოლო თვითონ სამუდამოდ ხელი აეღო პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. საბაბად ჯერ ის დაუსახელებიათ, დიპლომი არ გაქვსო, მაგრამ მალე, პირდაპირ უთქვამთ, არაკეთილსაიმედო ხარო. ამ საქმის ირგვლივ მეტად საინტერესო ცნობებს ვპოულობთ სერგეი მესხის კერძო წერილებში. „ივანეს პანსიონი დაუკეტეს. თურმე მესამე განყოფილების სიაში ყოფილა ივანე ჩაწერილი, როგორც არასაიმედო კაცი და აქაურ ქანდარმებს მოუთხოვნიათ ნევეროვისათვის (კავკასიის ოლქის

¹ გაზ. „შრომა“, 1882, № 20, 23, 26.

სამოსწავლო მზრუნველი. — ა. კ.), რომ არამც და არამც იმას პანსიონის განსნის უფლება არ მისცეთო. მართლაც, ამ ერთი თვის წინათ პოლიციამ მიწერილობა წარუდგინა და მოსთხოვა, რომ პანსიონი და შკოლა დაკეტეთ. ესლა ერთმა იმის ამხანაგმა — ალექსი ჭიჭინაძემ ითხოვა ამ პანსიონის განსნა და (როგორც „დროებიდამ“ შეიტყობ), კიდევ მისცეს ნებაართვა, მაგრამ იმ პირობით, რომ ივანე მესხმა ამ შკოლაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღოსო“ (1876 წ., 12 იანვარი)... „ივანე, მგონია, მოგწერე, ეს ორი კვირა იქნება, რაც აქ ჩამოვიდა და საადგილმამულო ბანკში მსახურობს სეკრეტერად. რადგან პედაგოგიური კარიერა საშუალოდ მოუსპეს (საქართველოში სამასწავლებლო სემინარიის განსნას აპირებენ და ამ მიზნით ქუთაისმა მას ფერმა დაუთმო), მაგრამ „იქ ივანე მესხი ცხოვრობს და ამის გამო არ შეიძლებაო“, — უთქვამთ (1876 წ., 27 იანვარი). „ივანე ქუთაისში უსაქმოდ დარჩა ესლა. დღეს ან ხვალ ის ჩამოვა აქ და საადგილმამულო ბანკში მზათ აქვს ადგილი, სეკრეტერის თანამდებობა უნდა აასრულოს... პედაგოგიას კი, იძულებულია, რომ საშუალოდ გამოეთხოვოს, რადგან ეს გზა იმას საშუალოდ შეკრული ექნება მთავრობისაგან“.

ხელისუფლების მიერ დევნილ ახალგაზრდა მოღვაწეს მოწინავე ქართული საზოგადოება დაეხმარა; ჯერ, 1876 წლის იანვარში, ილია ჭავჭავაძემ მიიწვია ბანკის მდივნად, ხოლო ორიოდე თვის შემდეგ ქუთაისის ბანკში შესთავაზეს სამსახური.

მიუხედავად შევიწროებისა, ივ. მესხი შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში. 70-იან წლებში ის ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრის ერთ-ერთი ინიციატორი იყო; ხშირად მართავდა საღამო-წარმოდგენებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ: აკაკი წერეთელი, ანტ. ლორთქიფანიძე, ალ. ჭყონია, ეფროსინე კლდიაშვილი, თემ. ლეყავა, ხელთუფლიშვილისა და ნიკოლაძის ქალები და სხვ. აწყობდა სპექტაკლებს ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ და, ამ მიზნით, თბილისიდანაც იწვევდა მსახიობებს¹.

რამდენჯერმე ქუთაისის სცენაზე ივ. მესხის გადმოკეთებული პიესებიც წარმოუდგენიათ. 1880 წელს, მაგალითად, დაუდგამთ მისი „ჭერკულესი“.

ის და ალექსი ჭიჭინაძე „დროებაში“ მორიგეობით ათავსებდნენ ხსარტულ ფელეტონებს. „მშვილდ-ისარით ნადირობაში“² 80-იან წლებში ივანე პატრიოტული საქმეების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ქუთაისში, ყურადღება მიიპყრო, სხვათა შორის, მისმა სიტყვამ ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე დიშ. ყიფიანის მოკვლის გამო³.

¹ ივ. მესხი, მოგონებანი, 1957 წ., გვ. 22.

² ი. მესხი, მოგონებანი, გვ. 16.

³ „ივერია“, 1887, № 230.

ივ. მესხის მოქალაქეობრივი სისპეტაკე და საზოგადოებრივ-ეროვნული აქტივობა გამოვლინდა, აგრეთვე, მუნიციპალური მოღვაწეობის ასპარეზზე. იგი თითქმის ორმოც წელს მუშაობდა ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი — ბათუმის თვითმმართველობაში და ამ ქალაქების ისტორიაში უკვდავყო კიდეც თავისი სახელი.

ივ. მესხმა თითქმის ოცდაათი წელი დაჰყო ბათუმში და ლ. ასათიანთან, გრ. ვოლსკისთან, დავით კლდიაშვილთან ერთად, ფერი უცვალა, ქართული სული შთაბერა თურქეთის მონობისაგან ახალგანთავისუფლებულ ქალაქს.

მემუარებში — „ჩემი ცხოვრების გზაზე“, დავით კლდიაშვილს კარგად აქვს დახატული ივანე მესხის, როგორც უანგარო, ნიჭიერი და თავდადებული მამულიშვილის პორტრეტი. „მხებრხებული, ქალაქის საქმეების მცოდნე, ცოცხალი, მოქმედი, — წერს დავით კლდიაშვილი, — იგი სული და გული შეიქმნა ახლადშემოდებული თვითმმართველობისა“¹.

ივ. მესხის, ლ. ასათიანის, გრ. ვოლსკის თაოსნობით დაარსდა ბათუმში „საურთიერთო-საკრედიტო საზოგადოება“, გაიხსნა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლა. 1897 წელს — ვაჟთა, ხოლო 1900 წელს — ქალთა გიმნაზია; აშენდა ელექტროსადგური და საავადმყოფო, დაიწყო ჭაობების ამოშრობა. ივანე იყო ქართული დრამატული საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე,² სალამო-წარმოდგენების გასამართავად იგი სისტემატურად იწვევდა ქართველ მწერლებსა და მსახიობებს (აქ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვ. აბაშიძე და სხვ.); აქვეყნებდა წერილებს „ივერიასა“ და „ნოვოე თბოზრენიეში“.

საზოგადოებრივ-ეროვნული მოღვაწეობის სარბიელზე ი. მესხი მუდამ გულისყურით უსმენდა ილია ქავჭავაძის ხმას და მასთან შეთანხმებით წყვეტდა ყველა პრინციპულ საკითხს. 1898 წლის სექტემბერში, ქალაქის თავის არჩევნების დროს, ივ. მესხი დაწვრილებით უხსნიდა ილიას შექმნილ ვითარებას, სთხოვდა ამ თანამდებობაზე შესაფერისი კანდიდატურის დასახელებას.

1913 წელს ივ. მესხს ბათუმის თვითმმართველობაში მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადეს. იმავე დროს დაიბეჭდა მისი საყურადღებო ისტორიულ-ეკონომიკური გამოკვლევა: „История Батумского городского хозяйства“.

ივ. მესხი მოესწრო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას. რამდენსამე წელს ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქა-

¹ დ. კლდიაშვილი, თხზულებანი, 1947 წ., გვ. 668.

² ეფ. მესხი, მოგონებანი, გვ. 39.

ლაქო საბჭოშიც იმსახურა და შემდეგ თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად.

გარდაიცვალა 1932 წელს; დაკრძალულია თბილისში, ვერის ახალ სასაფლაოზე.

ბესარიონ ჯაფარიძე

„კრებულის“ 1872 წლის მე-10—მე-12 ნომრების სარედაქციო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეურნალს, სხვა ახალგაზრდა მწერლებთან ერთად, „თანამშრომლობა აღუთქვა ბ. ჯაფარიძემ“. უთუოდ, ამ მიზეზის გამო იხსენიებენ მას „კრებულის“ თანამშრომლად დ. კარიჭაშვილი, ლ. ასათიანი, ი. ბოცვაძე და სხვები; თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბესარიონ ჯაფარიძეს 1873 წელს ეურნალში დასაბეჭდად წერილებიც გამოუგზავნია კირილე ლორთქიფანიძისათვის. ამასთან, ბესარიონ ჯაფარიძე ერთი ყველაზე გამოჩენილი პირი იყო იმ მოღვაწეთა ჯგუფში, რომელიც „დროება“-„კრებულს“ შეთაურობდა.

ბ. მ. ჯაფარიძე დაიბადა 1848 წელს, სოფ. ლაგვანთაში (რაჭა). მამისი მცირე შეძლების მემამულე იყო.

1868 წელს ბესარიონმა პირველ მოწაფედ დაასრულა ქუთაისის გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა. მაგრამ აქ დიდხანს არ უსწავლია, რადგან იმთავითვე, რუს რევოლუციონერებს დაუახლოვდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა 1869 წლის მღელვარებაში, რის გამოც დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში დაამწყვდიეს.

როგორც ამ მოძრაობის ერთ-ერთი მოთავე, ის, ნიკ. ყიფიანთან და ნიკოლოზ ორბელიანთან ერთად, მკაცრად დასაჯეს; ჟანდარმთა შეფის ბრძანებით 1869 წლის აპრილში აღმინისტრაციული წესით თავის სოფელში გადმოასახლეს, უნივერსიტეტიდან გამორიცხეს და ერთი წლით უმადლეს სასწავლებელში შესვლა აუკრძალეს¹. ეს ერთი წელი მან სოფ. ლაგვანთას გაატარა, მაზრის უფროსისა და ჟანდარმერიის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ.

მეფის იმპერიაში დარჩენა მას კარგს არას უქადდა და გადაწყვიტა როგორმე საზღვარგარეთ წასულიყო განათლების მისაღებად. მართალია, მის მშობლებს საამისო სახსარი არ ჰქონდათ, მაგრამ, —როგორც ივანე მესხი გადმოგვცემს,—„მეგობრების შემწეობით... ამოუჩნდა ერთი ახალგაზრდა მდიდარი ყმაწვილი კაცი (შეიძლება, ნ. ნიკოლაძე იგულისხმებოდეს. — ა. კ.), რომელმაც იკისრა... ბესარიონისა... და

¹ Деятели революционного движения в России, 1928, т. I, стр. 10.

ერთი მისი ამხანაგის, რომელიც (მან)... იტალიანურ შვეიცარიაში და-
მარხა (უთუოდ, ლაპარაკია ვლ. ნიკოლაძეზე. — ა. კ). საზღვარგარეო
გაგზავნა და სწავლის დასრულებამდინ მათი იქ შენახვა“¹.

მაგრამ საზღვარგარეთ წასვლის ვიზაზე უარი უთხრეს, — ვერავი-
თარმა თხოვნამ და პროტექციამ ვერ გასჭრა, — „ართუ საზღვარგარეთ
წასვლა, ქუთაისში ჩამოსვლის ნებაც კი არ ჰქონდა“.

სწავლას მოწყურებულმა ახალგაზრდამ ამ მდგომარეობიდანაც იპო-
ვა გამოსავალი; 1870 წელს ჯერ ოდესაში წასვლა მოახერხა და იქაური
უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე თავისუფალ მსმე-
ნელად ჩაირიცხა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, როგორღაც, საზღვარგა-
რეთის პასპორტიც აიღო და 1871 წლის შემოდგომაზე შვეიცარიაში
გაემგზავრა და ქენევის აკადემიის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე
შევიდა.

ქენევის აკადემია (რომელიც შემდეგ უნივერსიტეტად გადაკეთდა),
იმ დროს მსოფლიოში სახელგანთქმული უმაღლესი სასწავლებელი
იყო, განსაკუთრებით ცნობილი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტით,
რომელსაც გამოჩენილი პროფესორი კარლ ფოხტი ხელმძღვანელობდა
(ერთ ხანს რექტორიც იყო). ფოხტის ლექციები ზოოლოგიასა, შედა-
რებითს ანატომიასა, ემბრიოლოგიასა და ცხოველთა ფიზიოლოგიაში
ყველა ქვეყნიდან იზიდავდა ახალგაზრდობას, მით უფრო, რომ პრაქტი-
კულ მეცადინეობასაც სტუდენტები უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით
გადიოდნენ.

მოკლე ხანში ბ. ჯაფარიძემ კარგად შეისწავლა ფრანგული და გერ-
მანული ენები და თითქმის ოთხი წლის განმავლობაში გულმოდგინედ
ეუფლებოდა არჩეულ დარგს.

შვეიცარიაში მყოფ ქართველ სტუდენტთაგან ბ. ჯაფარიძეს ყველა-
ზე სუსხიანი ცხოვრების გზა ჰქონდა გავლილი, — შეიძლება ითქვას, —
რევოლუციურ ბრძოლასაც ნაზიარები იყო და, ბუნებრივია, რომ ყვე-
ლაზე თავდავიწყებით ის დაეწაფა ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტი-
კურ ცხოვრებას.

„დროებაში“ გამოქვეყნებული წერილებიდან ჩანს, რომ ბეს. ჯაფა-
რიძე სისტემატურად ესწრებოდა პირველი ინტერნაციონალის ადგი-
ლობრივი სექციის სხდომებს, არ აკლდებოდა მოხსენებებს სოციალიზ-
მსა და კომუნისმზე, პარიზის კომუნაზე, ეროვნულ საკითხებზე, ქალთა
ემანსიპაციაზე; ისმენდა პროფესორების: ჰარტმანის, ვერტემიერის,
მონიეს, ფოხტის და სხვ. საჯარო ლექციებს და, რაც მთავარია, მუდამ
კრიტიკულად, საკუთარი თვალთახედვით სჯიდა და აფასებდა ყოველ
ახალ აზრს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების ღრმა ცოდნით, პუბლიცისტური ერუდიციითა და მოქალაქეობრივი უმწიკვლობით სულ რაღაც ერთი-ორი წლის განმავლობაში ბ. ჭაფარიძემ არათუ ჩვენი საზღვარგარეთელი სტუდენტების სიყვარული დაიმსახურა, სამშობლოშიაც აღიარება ჰპოვა და მაშინდელი პროგრესული ინტელიგენციის ერთ-ერთი მესვეურის სახელი დაიმკვიდრა.

დაარსების დღიდანვე ბ. ჭაფარიძე სათავეში ჩაუდგა საზოგადოება „უღელის“ ენევის განყოფილებას, სადაც საინტერესო ლექციებს კითხულობდა საერთაშორისო მდგომარეობაზე, 1874 წელს გ. წერეთელი სწერდა სერგეი მესხს: „ჭაფარიძემ ილაპარაკა ესპანეთის საქმეებზეო“. „გადეცი ჭაფარიძეს, — სთხოვდა სერგეი მესხი კეკე მელიქიშვილს 1873 წლის 21 აგვისტოს, — ... რომ მოუთმენლად მოველი იმის წიგნს, რომელშიც... დაწვრილებით იქნება აღწერილი „უღელის“ ამბავი“. „ჩვენმა საზღვარგარეთულმა კოლონიამ, რომ სამშობლო ენა არ დავიწყებოდა, დააარსა პატარა წრე, — გადმოგვცემს ივ. მესხი, — რომლის სხდომებზედაც კითხულობდნენ და ერთმანეთს უხსნიდნენ ხოლმე „დავითიანს“ თუ „ვეფხისტყაოსანს“ თუ „ქართლის ცხოვრებას“ და სხვადასხვა ჩვენის ძველისა და ახალის მწერლების ნაწერებს.—კოლონიას ჩინებული ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელშიც ბევრი ქართული წიგნებიც იყო. ამ წრის ენევის განყოფილება... ბეს. ჭაფარიძის თაოსნობით დაარსდა“.

ქართველ ქველმოქმედთაგან საზღვარგარეთელი სტუდენტების დასახმარებლად შემოწირულ თანხებს უმთავრესად ბესარიონ ჭაფარიძეს უგზავნიდნენ გასანაწილებლად; ბესარიონ ჭაფარიძე ერთ-ერთი მოთავე იყო 1874 წელს ენევაში გამართული ქართველთა კონგრესისა.

ოდნავ მაინც რომ მოეახერხოთ წარმოდგენა, თუ როგორ შეძლო ამ ახალგაზრდა კაცმა მოკლე ხანში პროგრესული საზოგადოების ნდობის მოპოვება, მოვიტანთ რამდენიმე ამონაწერს ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების იმდროინდელი კერძო წერილებიდან. ეს მით უფრო აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ეს შესანიშნავი ადამიანი დღეს თითქმის სრულიად დავიწყებულია და მის შესახებ ძალიან ცოტა მასალა არსებობს.

„უმაწვილებზე რა გითხრათ, — სწერდა 1873 წელს გ. წერეთელი ნ. ნიკოლაძეს შევიცარიიდან, — ისინი არიან ორი წრისანი: ენევაში ჭაფარიძე, მეტად მოსაწონი ყმაწვილია, მტკიცე და მაგრად შეთვისებული აზრებითა. ის თავის ვონების ძალითა დგას მხოლოდ მაგრად; ის აზრში და მოქმედებაში დამოუკიდებელი ახალგაზრდა კაცია, ის სვეისი ტვინით და აზრებით არ დადის“. და აი, ბეს. ჭაფარიძის პორტრეტი კეკე მელიქიშვილისადმი სერ. მესხის წერილების მიხედვით: „ენევაში

არის ერთი ძლიერ კარგი ყმაწვილი, რომელიც შენც გეცოდინება, ბესარიონ ჯაფარიძე. ის ხელს მოგიმართავს სწავლაში პირველად“ (1873 წ., 30 მარტი); „ბესარიონს ეუთხარი მე, რომ შენ ჩემი საცოლო ხარ და ყური უგდღე-მეთქი... დამპირდა, არას დაგზოგავო. ახლა მხოლოდ ორმა კაცმა ივანემ და ჯაფარიძემ იცის ჩვენი საიდუმლოება“. „ჯაფარიძეს იმიტომ გაუუმხილე, რომ ჩემი დიდი პატივისცემა და ძმური სიყვარული აქვს. ამას გარდა, ის ისეთი სანდო და პატიოსანი ყმაწვილია, რომ რაღაც უნებურად მიენდობა იმას კაცი და იმედი უნდა ჰქონდეს, რომ არასოდეს არ გიღალატებს“ (1873 წ., 29 აგვისტო).

„ბარაქალა ბესარიონ! როგორც ეტყობა, თქვენში ყველაზე უფრო სინდისიანად და ნაყოფიერად ისევ ის შრომობს. წაბაძეთ მაინც ამ კეთილ მაგალითს!“; „ბესარიონისათვის გამბეტას სიტყვებს გივზავნი“; „შენი თარგმანი გასასწორებლად ჯაფარიძეს უჩვენე!“ (1874 წ., 3 თებერვალი).

1873 წლიდან „დროების“ უცხოეთის განყოფილება, ფაქტიურად, ბეს. ჯაფარიძეს ჰქონდა ჩაბარებული და, რადგან მის სტატიებს მკითხველები მუდამ მოუთმენლად მოელოდნენ, სერ. მესხიცი ხშირად გაახსენებდა ხოლმე: „ბესარიონს სტატიებისა და კორესპონდენციების გაგზავნა არ დაავიწყდეს“; „შენი, ივანეს და ბესარიონის იმედი მაქვს გაზეთის საქმეში“ (1874 წ. 22 იანვარი); „გაზეთს კარგად გამოვეცემ, შევეცაირიდან პოლიტიკურ საკითხებზე ბესარიონის იმედი მექნება“ (1874 წ., 27 იანვარი).

ყენევიდან გამოგზავნილ პირველ წერილში ბ. ჯაფარიძე წერდა: „იმის გაგონებამ, რომ ციურხისში, სადაც ორს საათს შემდეგ უნდა მივსულიყავი, — ეხლა რევოლუცია არისო, — დიდს აღტაცებაში მომიყვანა. ჩემდა სასიამოვნოდ, თუ სამწუხაროდ (ამის გადაწყვეტა მკითხველისათვის მიმინდვია), ისეთი რევოლუცია არ დამხვდა, როგორსაც მოველოდი. გამოვედი სადგურზე, მეგონა „ათას წითელ ბაიარლებს დავინახავდი და ამასთანავე, ფოთ-იარალის ტრიალს“ (ამხანაგს მაშინვე შევეკითხე: არის რევოლუცია თუ არა?)... „რევოლუცია აქ არ არის, მაგრამ ცოტაოდენი არეულობა კი არის მუშა ხალხში“.

ავტორი აღწერს სახალხო მიტინგს, რომლის მონაწილენი მგზნებარედ ლაპარაკობდნენ თანამდებობის პირთა უკანონობასა და თავიანთ გაჭირვებაზე, მოაქვს ვრცელი ციტატები ორატორთა რევოლუციური სიტყვებიდან, პატრიოტული სიმღერებიდან.

მკითხველი გრძნობს, რომ ახალმისული ქართველიც რევოლუციონერთა რიგებში დგას, მათთან ერთად იბრძვის და მუშტშემართული ემუქრება ცხენოსან ჯარისკაცებს, რომლებმაც დემონსტრანტები „გადაჭეკეს“. აჯანყებულები ციხის ალაყაფთან „მიიჭრნენ დაპატიმრებული ამხანაგების გასათავისუფლებლად“. „სალდათები გულგრილად ეს-

როდნენ ზევიდგან ძირს მდგომ ძ მ ა — ხ ა ლ ხ ს“ (ხაზი ჩემია. — ა. კ.). საბედნიეროდ, თოფები მხოლოდ წამლით იყო დატენილი (და აქ ძალიან საყურადღებოა, რომ ქართველ სტუდენტს კლასობრივი ბრძოლის არც ერთი დეტალი შეუშინეველი არ რჩება!). „მაგრამ ზოგიერთ სალდათს (მდიდარი ოჯახიდან გამოსულს) ტყვიით გატენილი ესროლა“ (და ექვსი კაცი მოკლეს).

„ეს პატარა რევოლუცია სამი დღის დაწყებული იყო, როცა მე ციურხისში მივედი და იმის მოთავე იქ მყოფი ფრანგი ჯარისკაცები იყვნენ“. შვეიცარიელ გერმანელებს, თურმე, დიდი ზეიმით სურდათ აღენიშნათ საფრანგეთზე ბისმარკის გამარჯვება. ის გერმანელი პროფესორებიც კი, — ამბობს ბ. ჯაფარიძე, — რომლებიც წიგნებში ლიბერალობენ, სინამდვილეში, გუნდრუქს უკმევდნენ ბისმარკს; „როგორც თვითონ ის ლიბერალი მოიქცა, ციურხელებიც ისე დახვდნენ“.

ასეთი განწყობილებით განშორდა ბ. ჯაფარიძე მეფის რუსეთს და ასე შეხვდა შვეიცარია მას.

„დროების“ მკითხველებს თვალწინ გადაეშალათ უჩვეულო სამყარო; ქართულ პრესაში პირველად გაისმა რევოლუციური ქარიშხლის გუგუნნი და პარიზის კომუნის დღეებში დაწერილ წერილებს თან შემოჰყავა უშუალოდ განცილილი საბრძოლო განწყობილება.

მას შემდეგ ბესარიონ ჯაფარიძე განუწყვეტლად უგზავნიდა „დროებს“ მღელვარე, ღრმა შინაარსიან სტატიებს, რითაც ხელს უწყობდა თანამემამულეებს, ახლოს გასცნობოდნენ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხალხთა რევოლუციურ მოძრაობას. ამ წერილებით ნათლად წარმოგვიდგება მეზობლი ჟურნალისტი, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა უყურადღებოდ არ რჩება. რომელიც ყველაფერზე თამამად და საფუძვლიანად მსჯელობს; რომელსაც თავისი ხალხი საკაცობრიო ცხოვრების რთულ სამყაროში შეჰყავს. იგი წერს ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე. ესპანეთისა და იტალიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რომის პაპზე, საერთაშორისო მუსიკალურ კონგრესზე და ა. შ. მის წერილებში ვხვდავთ ბისმარკის წინააღმდეგ ამბოხებულ ციურხისსა და არჩევნების დღეებში მოზეიმე ენენეას, ვკითხულობთ ლოსუნგებს: „რესპუბლიკის ჭონებაზედ, თავისუფლების საჭიროებაზედ, ერთობის მნიშვნელობაზედ“; გვატყუებებს მისი გადამღები ენთუზიაზმი, ღრმა ანალიზი და პათეტიკური რეპლიკები: „ძნელი გასაგებია, რამდენნაირად ზრდის კაცს თავისუფლება!“ მისი, თითქო სასხვათაშორისო კომენტარი: „ჩვენში ვინ გაბედავს იფიქროს, თუ ხალხის რომელიმე მხიარულება ისე მოხერხდება, ღობესავით რომ ჯვარი არ შემოერტყას და ტყესავით თოფ-შუბები არ იდგეს“.

ბ. ჯაფარიძე საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის თემასაც კი

აქაურ სინამდვილესთან გაპაექრებისათვის იყენებს. „არის წესიერება ძალათ დადგენილი, — ამბობს ის, — ამნაირ წესიერებას გვიქადაგებენ ჩვენი კონსერვატორები და არის მეორე წესიერება — თავისუფლებით დამდგარი, — ეს არის რესპუბლიკური წესიერება. რომელი მათგანი უკეთესია, გვიპასუხოს პატიოსანმა და სინდისიანმა კაცმა“¹.

პუბლიცისტი ხაზს უსვამს შვეიცარიის რესპუბლიკური წყობილების ყველა დადებით მხარეს, რადგან ესმის, რომ ყოველი მათგანი თვითმპყრობელური რეჟიმის მამხილებელ საბუთს წარმოადგენს. ლაპარაკობს რა შვეიცარიაში ებრაელთა თანასწორუფლებიანობაზე, დაასკვნის: „ზოგს ეეროპის სახელმწიფოში არათუ ებრაელებს, ქრისტიანებსაც არა აქვთ ნება, რომ გაიციონ თავის წარსული ისტორია და ამით თვალხილულად დაადგენ თავის ახლანდელ გზას“. „კონსტიტუციური წყობილების წყალობით „უჩენევა გონების აღზრდის, მეცნიერებისა და პატიოსნების სამშობლოა“.

მაგრამ, როგორც ვთქვით, შვეიცარიის ბურჟუაზიული დემოკრატია ბეს. ჯაფარიძეს ვერ აკმაყოფილებდა. იგი კარგად ამჩნევდა იქ გამეფებულ კლასობრივ უთანასწორობასა და ათასგვარ უსამართლობას. შეიძლება ითქვას, რომ იდეალს იგი პარიზის კომუნასა და კარლ მარქსის პირველ ინტერნაციონალში ხედავდა და გარკვეულადაც ამუღავნებდა მათდამი მხურვალე სიმპათიებს.

ბესარიონ ჯაფარიძე პირადად იცნობდა პარიზის კომუნის ბევრ მონაწილესა და ხელმძღვანელს, ზოგ მათგანთან მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა; ქართულ პრესაში მას ეკუთვნის პირველი ორიგინალური წერილები პარიზის კომუნაზე; უშუალოდ კომუნის დღეებში დაწერილ სტატიაში („ღროება“, 1871, № 16) გადმოცემული აქვს სედანის ბრძოლის მონაწილე ფრანგ ტყვეებთან საუბარი. „ნაღვლიანის სიტყვებით ასწერდნენ ნაპოლეონის მაცდურობას, — ამბობს ის, — ...უძეტეს ჯარს თვითონ თავს იხვევდა და საქმეს კი ცოტას აკეთებდაო. (ერთმა შვეიცარიელმა ფრანგ ტყვეს ჩიქორთული ფრანგულით უთხრა „ემსახურე რესპუბლიკას!“ „ფრანგმა ყოვლის ღონისძიებით სცადა — ხელით, სახის გამოცვლით და სიტყვით, რათა გაეგებინებია, რომ იგი თავს არ დაზოგავს ამ საქმისათვის“ (ყუთხეში პარიზის კომუნაზე ლაპარაკობდნენ და შვეიცარიელმა კმაყოფილებით უთხრა ფრანგს), „აი, თქვენმა სალდათებმა ციურიხშიაც მოახდინეს რევოლუციაო“.

ბეს. ჯაფარიძეს გადმოცემული აქვს მოკლე შინაარსი იმ სამი ლექციისა, რომლებიც „იქითა კვირაში წაიკითხა როსსელის სეკრეტარმა ზეპპენფელდმა პარიზის კომუნის შესახებ, რომ მსმენელებისათვის დაენახებინა, რა იურიდიული სიმართლე ჰქონდა კომუნას მთელი საფ-

¹ „ღროება“, 1873, № 38.

რანგეთის წინაშე¹. შეუძლებელია არ გავიხსენოთ ერთი ადგილი, რომელიც საქართველოს ეხება. „ამას წინათ აქ (შვეიცარიაში),—წერს ბეს. ჭაფარიძე, — ერთი ფრანცუზი გავიცანი. ამ ფრანცუზს შარშან მაისს პარიზის კომუნაში მიეღო მონაწილეობა, ერთი ბატალიონის წინამძღოლი იყო და ამის გამო ეხლა, როგორც ბევრი სხვები, ესეც აქ არის გადმოვარდნილი. სხვათა შორის, იმან მითხრა, რომ ჩემს ხელქვეით ერთი ქართველი, სახელად ბაგრატიონი მსახურობდაო და ძლიერ მხნე და ვაჟკაცი ყმაწვილი იყო... ეს ბაგრატიონი, როგორც შემდეგ შევიტყუვე... მოუკლავთ პარიზის ერთს ბარიკალებზე, იმ დროს, როდესაც ვერსალის ჭარმა პარიჟი აიღო“².

ეს ადგილი ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ პარიზის კომუნარებთან ბესარიონ ჭაფარიძის მეგობრული ურთიერთობის დადასტურებით, არამედ იმ სიხარულისა და ეროვნული სიამაყის გამჟღავნებითაც, რომელიც ავტორს პარიზის კომუნაში ქართველი კაცის მონაწილეობით უგრძქვია.

როგორც ვთქვით, ბესარიონ ჭაფარიძე სისტემატურად ესწრებოდა პირველი ინტერნაციონალის ადგილობრივი სექციის სხდომებს, ისმენდა ამ ორგანიზაციის მიერ გამართულ ლექცია-მოსხენებებს (ჩვენებ, ამასაც ნიშნავდეს ს. მესხის წერილი კეკე მელიქიშვილისადმი: „ინტერნაციონალური საზოგადოების კრებებზე ბესარიონთან ერთად იარეო“).

ქართველ საზოგადოებას პირველად ბეს. ჭაფარიძემ გააცნო კარლ მარქსის ინტერნაციონალის მიზნები და ამოცანები. როგორც მუდამ, იგი არც აქაა გულგრილი მიმომხილველი. ვრცელი წერილი, რომელსაც „დროების“ ორი გვერდი უკავია³ და მორიგე კორესპონდენციის პირბადითაა გაპარებული, არა მარტო ზუსტად და მიმზიდველად გადმოსცემს პირველი ინტერნაციონალის პროგრამას, არამედ ურყევი საბუთიანობითაც იცავს მას მოწინააღმდეგეთა შეტევისაგან. ცენზურაც რომ მოიგერიოს და პირველი ინტერნაციონალის იდეები რაც შეიძლება მომხიბვლელად წარმოგვიდგინოს, ავტორი, პარალელურად, ერთი იქაური ანტიმუშური საზოგადოების თვალთმაქცობასაც ამხელს. „მე მინდა იმ ორ საზოგადოებაზე გითხრათ ორიოდ სიტყვა, — წერს ის. — ერთი იმიტომ, რომ ისინი დიდად განსხვავდებიან სხვებიდან თავისი მიმართულებით და მეორე იმიტომ, რომ რომელსამე შემდგომ წერილში მსურს უფრო დაწვრილებით გაგაცნოთ ისინი სხვა მხრით... ერთი ამ ორთაგანი არის „ხალხთა შორის მუშების საზოგადოება, რომელსაც ინტერნაციონალს (Internationale) უძახიან და მეორე, მისი მო-

¹ „დროება“, 1872, № 7.

² „დროება“, 1872, № 22.

³ „დროება“, 1872, № 7.

პირდაპირე „სახალხო წრე“. პირველის მიზანი არის, გამოიყვანოს მუშა ხალხი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ის ეხლა იმყოფება და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პოლიტიკური ეკონომიის კანონების თანახმად. მაშასადამე, მისგან გახსნილ ლექციებსაც ის მიმართულება აქვს, რომ ცხადად დაანახვოს მსმენელს ეხლანდელი მუშა ხალხის მდგომარეობა, აუცილებელი საჭიროება მისი ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა და სოციალური საშუალებანი ამ გამოსვლისათვის. ამ აზრით კითხულობენ სოციალიზმის ისტორიას და მის ეხლანდელ მდგომარეობას სხვადასხვა სახელმწიფოებში“.

იმ დროის ქართველ პუბლიცისტთა შორის, და არც შემდეგ, ვიდრე 70-იან წლებამდე, ჩვენ არ გვეგულება სხვა მოაზროვნე, რომლის ნაწერებშიც ასე იყოს მხილებული კლასობრივი უთანასწორობა, ასე ისმოდეს პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნა, ასე იგრძნობოდეს მუშათა კლასის ისტორიული მისია, მისი კლასობრივი ინტერესები და ასე შორს წავიდეს პოლიტიკური რადიკალიზმი.

ლაპარაკობს რა სხვადასხვა ბურჟუაზიულ საზოგადოებათა მიერ მოწყობილ ლექციებზე, ბესარიონ ჯაფარიძე შენიშნავს: მათი გულწრფელობა და „მუშა ხალხისადმი ერთგულება არა მჭერაო“¹. ცხოვრების გარდაქმნისა და ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდრად, ავტორს პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება მიაჩნია. „ცხოვრების მატერიალურად გაუმჯობესება შეუძლებელია იქ, სადაც მას გონებითი გაუმჯობესება არ მიუძღვის წინ... მეორეს მხრივ, გონების გახსნაც ფუჭია, თუ ხალხს მდგომარეობა ნებას არ აძლევს, რომ თავისუფლად ეცადოს მოიყვანოს აღსრულებაში მისი გონების ნამუშევარი... მუშა ხალხს თავისი ინტერესი აქვს, ვაჭარს თავისი და ა. შ... თვითეული გაზეთი ან ჟურნალიც ამ მიზნით გამოდის“².

ავტორს ესმის, რომ მუშათა კლასი ძირითადი რევოლუციური ძალაა, რომ ლიბერალური დაპირებებით მისი მოტყუება შეუძლებელია და იგი ყველა ხელსაყრელ სიტუაციას გამოიყენებს თავისი კლასობრივი მოთხოვნილებების წამოსაყენებლად. „ბატონმა შერერმა რა დაინახა, რომ მარტო მისი სამი თვის წინეთ დაწერილი შესხმით არ თავდებოდა საქმე, გაპარვა იკადრა... მუშა ხალხს ესარგებლნა ამ შემთხვევით და თავის საჭიროებათა მოთხოვნა დაეწყო“. ყველა მატერიალურ ფასეულობათა შემქმნელი მუშა ხალხია და ქვეყნის ბატონპატრონიც ის უნდა იყოს; „მუშა ხალხი თავისი ხელით აკეთებს ყველაფერს და მარტო მისი ცოდნისაგან წარმოიშობა ყოველგვარი გაუმჯობესება“.

¹ „ღროება“, 1872, № 7.

² „ღროება“, 1875, № 22.

ბესარიონ ჯაფარიძის წერილებში მოცემულია ევროპის სახელმწიფოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლიანი ანალიზი. მას განსაკუთრებით ვრცლად აქვს განხილული შვეიცარიის კონსტიტუცია, მისი დემოკრატიულ-რესპუბლიკური მხარეების აქცენტირებით: იმ დროს (1872 წ.) შვეიცარიაში ახალ კონსტიტუციას ამტკიცებდნენ. ქართველმა პუბლიცისტმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ქართველ მკითხველს „დროების“ ფურცლებზე ფართო საუბარი გაუმართა ახალი კონსტიტუციის პროექტის აკარგვიანობაზე და, საერთოდ, კონსტიტუციური წყობილების ღირსებაზე¹. იგი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „მოისპობა სიკვდილით დასჯა, სწავლა იქნება სავალდებულო და უფასო... არც ერთი კანონი და დებულება... არ შევა წარმოებაშიდ ხალხის უკითხავად, ე. ი. ...ხალხის კენჭისყრით გადაწყდება“. მაგრამ, ბ. ჯაფარიძე არ თანაუგრძობდა კონსტიტუციის იმ მუხლს, რომლის მიხედვითაც, კონფედერაციის უფლებები უნდა გაფართოებულიყო კანტონთა უფლებების შეკვეცის ხარჯზე.

თვეების მანძილზე თითოეული მოქალაქე ფიქრობდა, სწონიდა ამ საქმეს, — გადმოგვეცემს ის, — ფიქრობდა, ვისთვის მიეცა ხმა. „დახედეთ, როგორ ესმით თავიანთი მოვალეობა, როგორ აფასებს თვითონეული თავის აზრსა და თავის ხმას! აი ნიმუში!“

ადვილი მისახვედრია, რომ ეს წერილები, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იყო თვითმპყრობელობის პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ავტორი ყველა თემას, ყველა საშუალებას მოხერხებულად იყენებდა ამ მიზნით, შვეიცარიის საზოგადოებრივი ცხოვრების აღწერით თვალნათლივ ამხელდა მონარქიული წყობილების შავბნელ მხარეებს, მის დრომოკმულობასა და შუასაუკუნეობრივ სისასტიკეს. შვეიცარია არ მოსწონთ იმპერატორებსა და ბისმარკებს, რადგან „მათი ქვეშევრდომებისათვის შვეიცარიის თავისუფალი ცხოვრება ძალიან შემაცდენელი და მიმზიდველი რამ არის“². აქ ციურხელ აჯანყებულებსაც კი არავენ უპირებს დასჯასო, — ქარაგმულად წერს ერთ წერილში, — „არსაიღამ არ ისმის, რომ ვინმე დაახრჩონ ან დახვრიტონ ან დაკარგვით დასაჯონ“³...

ამ პუბლიცისტურ ხერხზე განსაკუთრებით მკაფიო წარმოდგენას იძლევა წერილი „ვენის გამოფენა“⁴. რომელშიც ის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნიმუშებზე საუბარს მონარქიული რეჟიმების დამხობის წინასწარმეტყველებით ამთავრებს: გამოფენა საინტერესოა, იმით, რომ „ხელმწიფეები, სხვადასხვა სახელის და ფერის, ბლომათ აპი-

¹ „დროება“, 1872, № 12; 1873, № 23.

² „დროება“, 1871, 29.

³ „დროება“, 1871, 16.

⁴ „დროება“, 1873, 17.

რებენ თავის მოყრას... სხვადასხვა სანახავეებში საუცხოო სანახავია: იაპონიის მიკადო, სპარსეთის შაჰი, ოსმალეთის ხონთქარი, ეგვიპტის დიდი ვეზირი, გერმანიის და სხვა მარკგრაფები და კურფიურსტები, ორო-ოდე იმპერატორი (იგულისხმება ალექსანდრე მეორეც. — ა. კ.) იტალიის კოროლი, ტიერ-პრეზიდენტი და სხვა... ყველა ამათი ნახვა საინტერესოა, განსაკუთრებით, ამ ჩვენს დროში: ვინ იცის, გვეღირსება კიდევ თუ არა ამათი ნახვა! (ხაზი ჩვენია. — ა. კ.).

სტატიაში ესპანეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ,¹ პუბლიცისტი მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს მმართველობასა და ხალხს და ამბობს, კარგია, რომ ამადღემ თვითონ მიატოვა სამეფო ტახტი, „სანამ ძალით თავის მამასთან (საიჭოს) გაგზავნიდნენო“.

ეროვნულ საკითხებში ბეს. ჭაფარიძე თერგდალეულთა პოზიციაზე იდგა. მისი ოცნება იყო სამშობლოს განთავისუფლება და დაწინაურება. თავისი ნაწერებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით იგი ხელს უწყობდა ხალხის რევოლუციურ გათვითცნობიერებას, მის აღორძინებასა და უკეთესი მერმისის გამოსაჭედად მომზადებას, ამხელდა კაცთმოძულე წამქეზებლებსა და შუღლის მთესველთ. მისი აზრით, ერს შეუძლია იმამყოს არა თვალწარმტაცი ბუნებით, არამედ პროგრესული საზოგადოებრივი წყობილებით, სამოქალაქო თავისუფლებით, ურთიერთის დაფასებით, პატივისცემითა და სიყვარულით. ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მას ვრცელი ამონაწერი მოაქვს შვეიცარიის პრეზიდენტის სიტყვიდან, რომელშიც ნათქვამია: — გვიყვარს სამშობლო და „ყველაზე მეტად გვიყვარს მისი თავისუფალი წყობილება, მისი რესპუბლიკური სიტყვები... მარტო სამშობლოს ბედნიერების სურვილი არ არის საკმაო, ამ ბედნიერებისათვის თვითონ უნდა ვიმუშაოთ“².

ბეს. ჭაფარიძის წერილები გამსჭვალულია ეროვნული ოპტიმიზმით. იგი დასცინოდა იმათ სასოწარკვეთილებას, ვინც გაიძახოდა, „ქართული ენა ფუჭდება, ძველებური სიტყვის სიუხვე და აზრის სივრცე ეკარგება-ო“. არა! „ენა კი არა, თქვენ ეცემით!“ „ჩვენს ენას ახლა უფრო ერთგული პატრონები გამოუჩნდნენ“³.

ძველი თაობის წინააღმდეგაა მიმართული ბ. ჭაფარიძის საინტერესო წერილი — „ჩვენი რა ბრალია?“, რომელშიც მომავლის იმედად გამოცხადებულია ხალხი.

სამეურნეო-ეკონომიკურ საკითხებისადმი მიძღვნილ სტატიებში ბეს. ჭაფარიძე ქადაგებდა ფართო თვითმოქმედების, მანქანა-იარაღებისა და

¹ „დროება“, 1873, № 12.

² „დროება“, 1874, № 418.

³ „დროება“, 1875, № 121.

დამუშავების ინტენსიური მეთოდების შემოღებას, ღარიბთათვის უფასო სამეურნეო განათლებას!

მატერიალური ხელმოკლეობის გამო ბ. ჯაფარიძემ ვერ მოახერხა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება; ქველმოქმედს, რომლის იმედითაც ის საზღვარგარეთ გაემგზავრა, დახმარების გაგრძელება აღარ შესძლებია და რადგან სხვა სახსარიც არ გამოსჩენია, იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებაზე ეფიქრა. 1875 წლის თებერვალში ცოტა ხნით პარიზს გაემგზავრა და იქ, სხვათა შორის, „დროების“ საქმეებზე ნ. ნიკოლაძეს მოეთათბირა, აპრილში კი საბოლოოდ გამოეთხოვა ევროპას. ეტყობა ამდენი წვლების შემდეგ უდიპლომოდ ჩამოსვლა მანც ეძნელებოდა და გზად ოდესაში გამოუვლია დამამთავრებელი გამოცდების ჩასაბარებლად, მაგრამ ნება არ დაურთავთ.

მიუხედავად სიღარიბისა, ბესარიონს სახელმწიფო სამსახურში შესვლა არ უცდია. ამის თაობაზე ივანე მესხი წერს: „ბ. ჯაფარიძეს ერთი ძლიერი საგულისხმო დარწმუნება ჰქონდა, რომელიც თავის ამხანაგებში ხშირად გამოუთქვამს... სამსახურს საზოგადოთ... ჩვენს ახალგაზრდობაზე მანც თავისი გავლენა აქვს. რაც უნდა ძლიერის რწმენის, მტკიცე ხასიათის და კეთილის განზრახვის პატრონი იყოს, — ეს სამსახური, „კანცელარიაში“ ერთი ან ორი წელიწადი ტრიალი, ყმაწვილს კაცს სულითა და გულითაც დავარდნილად ხდის, უქარწყლებს მას მის წმინდა რწმენას და ჩვრად აქცევს“².

სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ბ. ჯაფარიძე ხმის უმრავლესობით „დროების“ ხელძღვანელ ჯგუფში აირჩიეს და 1875—1876 წლებში ამ გაზეთის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი გახდა. წერილებში კეკე მელიქიშვილისადმი სჯრ. მესხი გულწრფელ აღტაცებას გამოთქვამდა საიმედო მუშაის შემომატების გამო. „ბეს. ჯაფარიძე მუდმივი თანამშრომელი იქნება გაზეთისა“. — სწერდა ის 1875 წლის 3 დეკემბერს; „უცხო ქვეყნებს ჯაფარიძე შეადგენს ხოლმე“ (1875 წ. 8 დეკემბერი); „ახლა ისევ ჩვენ; ბ. ჯაფარიძე (პოლიტიკა), აკაკი (ფელეტონები), ჩხოტუა (რუსეთი და ნარევი) და მე დავრჩით გაზეთის მუდმივ თანამშრომლებად“ (1876 წლის 27 იანვარი).

1875—1876 წლებში ბ. ჯაფარიძე ფაქტიურად „დროების“ თანარედაქტორი იყო, სანამ „რაღაც სულ უბრალო მიზეზის გამო“, — როგორც ივანე მესხი გადმოგვცემს, — იძულებული არ გახდა, რედაქციის შემადგენლობიდან გასულიყო. ი. მესხი ამ ინციდენტის მიზეზს არ ასახელებს, მაგრამ შენიშნავს: „ამ შემთხვევაში იგი ისე მოიქცა, როგორც იმის ადგილზე სხვა მოიქცეოდა“.

1875 წელს მოწინავე მოღვაწეებმა თბილისში დააარსეს „ქართული

¹ „დროება“, 1873, № 16; 1875, № 14.

² „ივერია“, 1877, № 44.

წიგნის გამომცემელთა საზოგადოება“, რომელსაც ბეს. ჭაფარიძე ჩაუდგა სათავეში. იმავე წელს 3 ნომერს ს. მესხი კეკე მელიქიშვილს სწერდა: „ჩვენ აქ საზოგადოება შევადგინეთ, რომლის მოთავენი არიან: ბ. ლოლობერიძე, ილია ჭავჭავაძე, გ. თუმანიშვილი, ბ. ჭაფარიძე და მე“... (გვინდა ფული მოვაგროვოთ წიგნების გამოსაცემად და გავრცელება—გასაღებაზედაც ვიზრუნოთ) „ამჟამად ათი კაცი ვართ მოთავენი,— აცნობებდა ის 3 დეკემბერს, — ილია ჭავჭავაძე, ბეს. ლოლობერიძე, ბეს. ჭაფარიძე... (ჭერ ნ. ბარათაშვილის ლექსებს ვბეჭდავთ). ივ. მესხის ცნობით, ბეს. ჭაფარიძე „ამ საზოგადოებას სათავეში ედგა და წიგნების გამოსცემაც ძლიერ მარჯვედ და კარგად მიდიოდა. იმის თბილისში მყოფობის დროს ოთხი წიგნი გამოიცა ნახევარი წლის განმავლობაში... გამოსაცემ თხზულებას ის ჰკრებდა და აძლევდა საბეჭდავში, კორექტურას ჰსინჯავდა, — დაბეჭდილს თბილისში თუ სხვა ჩვენებურს ქალაქებში და სოფლებში არიგებდა გასასყიდლად“. ბ. ჭაფარიძის რედაქციით და ხელმძღვანელობით 1876 წელს გამოვიდა: 1. „ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“. 2. „ქართული მწერლობა“. წიგნი მეორე (დართული აქვს ვრცელი შესავალი წერილი „გამომცემლობისაგან“, რომელიც ბეს. ჭაფარიძეს ეკუთვნის); 3. „ქართული ანდაზები“ (შეკრებილი პეტრე უმიკაშვილისაგან). „ქართული მწერლობა“. წიგნი მეოთხე.

ჩვენში ეს საამხანაგო საზოგადოების მიერ მხატვრული ლიტერატურის ძეგლთა სერიული გამოსცემის პირველი შემთხვევა იყო და, უდავოდ, კარგ ნაყოფს გამოიღებდა, ბ. ჭაფარიძეს რომ იმ დროს სხვა საქმე არ გამოსჩენოდა და თბილისიდან არ წასულიყო.

1876 წლის მაისში „დროების“ გარშემო შემოკრებილმა ახალთაობამ იგი ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორად დაასახელა და საზოგადოებამაც დიდი ნდობა გამოუცხადა ახალგაზრდა მოღვაწეს („ბეს. ჭაფარიძე ქუთაისის ბანკში დირექტორად მიდის და“ (ივანეც თან მიჰყავსო), — სწერდა ს. მესხი 21 მაისს კეკე მელიქიშვილს).

იმავე დროს, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით შეიქმნა ლიტერატურული წრე, რომელმაც მიზნად დაისახა ახალი გაზეთის გამოსცემა (და ერთი წლის შემდეგ, კიდევ დააარსა „ივერია“); ბეს. ჭაფარიძე ამ წრის ერთ-ერთი მეთაური იყო. როგორც ს. მესხის ერთი წერილიდან ირკვევა, ილიას, 1876 წლის ივნისში, ბესარიონი „ივერიის“ გამოსცემის საორგანიზაციო თათბირზე მიუწვევია, იქ „ახალი რედაქტორებისათვის“ კენჭი უყრიათ და ბესარიონს 10 ხმა მიუღია, ერთხმად ამოურჩევიათ (1876 წ., 7 ივნისი).

როგორც „ივერიის“ მულმივ თანამშრომელსა და თანარედაქტორს უნდოდა მიეტოვებინა ბანკი და თბილისში გადმოსულიყო, მაგრამ ვერ მოესწრო.

1877 წლის 9 დეკემბერს ბესარიონი სამკურნალოდ თბილისში ჩამოიყვანეს, სადაც მალე გარდაიცვალა.

პროგრესულ ქართველ მოაზროვნეთა კრებულს უდროოდ გამოაკლდა ნიჭიერი, ღრმად განათლებული პუბლიცისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

ივანე მესხი, „ივერიაში“ დაბეჭდილ ნეკროლოგს ასე ამთავრებს: „ბ. ჯაფარიძე, როგორც კაცი-ადამიანიც, ხელით სათითებელი იყო. განსვენებული იყო რაჭველი და როგორც რაჭველი — იყო პატიოსანი, გულდია, მართალი, ბეჭითი, მეტისმეტი კეთილი, წყნარი და ამხანაგობაში გამტანი. დაუფასებელი კაცი იყო“¹.

დავით ჩხოტუა

70-იანი წლების გამოჩენილმა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა დავით ჩხოტუამ „კრებულის“ 1873 წლის მეათე ნომერში გამოაქვეყნა ისტორიული ნარკვევი „ივანე ჰუსი“.

დავითი 1849 წელს დაიბადა სოფელ საბერიოში. იგი აფხაზეთის სამთავროს კარზე დიდად მიღებული თავადის, ზურაბ ჩხოტუას უფროსი ვაჟი იყო.

მდიდარ მემამულეს, რუსეთის არმიის გენერალს — ზურაბ ჩხოტუას, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის შვილების აღზრდა ჰქონდა მინდობილი და პატარა დავითიც მთავრის სასახლეში იზრდებოდა თანატოლ გიორგისთან ერთად.

როგორც საკუთარ, ისე მთავრის შვილებს, სახელოვანი აფხაზი ქართული სულისკვეთებით ზრდიდა და კიდევ შესძინა ჩვენს კულტურას ორი თავდადებული პატრიოტი მოღვაწე, — გიორგი შერვაშიძე და დავით ჩხოტუა.

ზურაბი ქართულ ეროვნულ საქმეებშიც მხურვალედ მონაწილეობდა და, სხვათა შორის, 1891 წელს ახალგაზსნილი სკოლისათვის მიწის ნაკვეთიც გადაუცია საბერიოში².

დავითის პირველი მასწავლებელი იყო დედა (დადიანის ასული), რომელიც ხმამაღლა უკითხავდა „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა ქართულ წიგნებს, აცნობდა სამშობლოს წარსულს და გულში უნერგავდა საქართველოს სიყვარულს.

ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს დავითის თანაკლასელები და მეგობრები იყვნენ: გიორგი ქალაღიდელი, ივანე მესხი, ბესარიონ ჯა-

¹ „ივერია“, 1877, № 44.

² „ივერია“, 1891, № 99.

ფარიძე, ვლადიმერ ნიკოლაძე და, ცხადია, ამ წრეში კიდევ უფრო გა-
ულღვივდა ეროვნული მოღვაწეობის ინტერესი.

1869 წელს დ. ჩხოტუამ წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია და ერთ-
ხანს პირველთაგანმა განიზრახა ჩვენში სასოფლო-სამეურნეო ამხანა-
გობის ჩამოყალიბება. 1869 წლის 17 მაისს ს. მესხი სწერდა კირილე
ლორთქიფანიძეს: „სტატია ვერეშჩაგინის არტულებზე, მგონი, შესა-
ნიშნავია ჩვენთვის. ამ საქმეზე ღირს მოლაპარაკება; ერთ ყმაწვილ
აფხაზ მებატონეს უნდა ამისთანა ამხანაგობა გამართოს აფხაზეთში“.

მაგრამ იმავე წლის შემოდგომაზე დავითი გიორგი შერვაშიძესთან
გაემგზავრა ოდესაში და იქაური უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო
ფაკულტეტზე შევიდა. გიორგი შერვაშიძეს ცოლად ჰყავდა ელენე
ანდრეევსკაია (დედით თუმანიშვილი), დავითიც მათ ოჯახში ცხოვ-
რობდა და დაახლოებული იყო ოდესის რჩეულ საზოგადოებასთან.

როგორც „დროების“ კორესპონდენტი, დ. ჩხოტუა სისტემატურად
გზავნიდა საბუნებისმეტყველო-საგანმანათლებლო და პედაგოგიურ
ხასიათის წერილებს, რომლებმაც ყურადღება მიიქცია ლალა სასაუბ-
რო ენითა და საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნით. განსაკუთრებია
საინტერესოა 1870 წელს „სასოფლო გაზეთსა“ (№2, 3) და 1871 წელს
„დროებაში“ (№ 7, 8, 9, 10) დაბეჭდილი ვრცელი სტატიები: „მიწის
ისტორია ან გეოლოგია“ და „საჰმლის მნიშვნელობა ერის ცხოვრება-
ში“.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული თემების მეცნიერული გაშუქებით
ავტორი ხელს უწყობდა სამყაროზე მატერიალისტური თვალსაზრისის
გავრცელებას და ახალი სპეციალური გამოთქმებით ამდიდრებდა ენას
(„კუქის წვენი“, „თორმეტგოჯა ნაწლავი“ და ა. შ.), იგი პატრიოტულ
მიმართულებას აძლევდა წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობას. წერილში
დ. ჩხოტუა კონკრეტული ანალიზით აცამტვერებს ცრუმეცნიერთა
მტკიცებას, თითქოს, ზოგიერთი ხალხი, კერძოდ ქართველები, კვების
თავისებურების გამო, გონებრივად ჩამორჩენილი იყვნენ და, ამი-
ტომ, არ შეეძლოთ მისწვდომოდნენ საკაცობრიო კულტურის მონაპო-
ვარს.

ასევე პატრიოტული სულისკვეთებითა და ღრმა ანალიზით გამოირ-
ჩევა დ. ჩხოტუას „ტყიბულის თაობაზე“, რომელიც მოწინავედ დაი-
ბეჭდა „დროების“ 1871 წლის 35-ე ნომერში. დასაწყისში პუბლიცის-
ტი აღშფოთებას გამოთქვამს, რომ ტყიბულელმა მემამულეებმა — აგი-
აშვილებმა და კანდელაკებმა, ქვანახშირით მდიდარი ადგილები კიტ-
რის ფასად მიჰყიდეს ვინმე ნოვოსელსკის. შემდეგ დამაჯერებლად გა-
ნუმარტავს საზოგადოებას, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალს. დრო-
ში წიაღისეულ სიმდიდრეებს, განსაკუთრებით ქვანახშირს, და გონე-
ბამახვილური ანალიზებით ცხადყოფს ტყიბულის საბადოების ღირე-

ბულებას. ამ წერილმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა; ნ. ნიკოლაძე მას ვრცელი სტატიითაც გაეპასუხა „დროებაში“.

მეტად ორიგინალურად არის გააზრებული და ხორცშესხმული დ. ჩხოტუას მოწინავე სტატია: „განათლებლები“ („დროება“, 1870, № 28), რომელიც ქართული ანდაზით იწყება. „სტუმარი წყალს ვერ მიაგნებს, თუ მასპინძელი არ ჩაუძღვარა“. ხალხის განათლება ავტორის ახალთაობის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია. ამ დიდ სახალხო საქმეში საზოგადოება თავად-აზნაურობასა და ხელისუფლებას ვერ მიენდობა, რადგან „ხალხის განათლება მათთვის პურისა და პატივის მოკლებას ნიშნავს“: „ისინი განათლებას ისე უყურებენ, როგორც უწინ ყმებს უყურებდნენ“. ბატონყმობის გაუქმებამ თავდაზნაურობას ვერაფერი ასწავლა, პირიქით, ბევრს კიდევ გაუღრმავა წოდებრივი ფანატოზში. „რას მოგწონს, ყმაწვილო, თავი, — ეუბნებიან ისინი დაბალი წრიდან გამოსულ განათლებულ თანამემამულეებს, — შენისთანა ორმოცი ფეხისმბანელი მყავს“.

დ. ჩხოტუა ადამიანის ბუნების საწინააღმდეგოდ თვლის აღზრდისა და განათლების არსებულ სისტემას. ახლანდელ სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდებს — ამბობს ის, — „არათუ არ გახსნიათ აზრი, არამედ ის ნიჭიც დაუარგავთ, რომელიც შესვლის დროს ჰქონდათ... იმათ არ შეუძლიათ რუსულად ან ქართულად, თუნდაც ერთი აზრიანი წინადადება გამოთქვან“. ამ წერილის ღირსება ის არის, რომ მასში ნაჩვენებია აღზრდა-განათლების უშუალო კავშირი ხალხის ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობასთან; ახალთაობამ მიზანშეწონილად უნდა გამოიყენოს „ლიტერატურა, როგორც საშუალება თავისი აზრის გავრცელებისა“, — წინააღმდეგ შემთხვევაში, — „ლიტერატურის შრომა დარჩება ფუჭად“. იქვე დ. ჩხოტუამ მწვავედ დააყენა ქართული ენის უფლების საკითხი სკოლასა და საზოგადოებაში.

1873 წელს გ. შერვაშიძე პეტერბურგს გადავიდა საცხოვრებლად, დავით ჩხოტუა თან გაჰყვა და პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

1872—1874 წლებში იგი პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ეროვნულ-პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველი ინტელიგენციის მეთაურებთან და აქტიურად თანამშრომლობდა „დროებაში“.

ცნობილია, რომ ს. მესხმა საზღვარგარეთ გამგზავრებამდე სთხოვა დ. ჩხოტუას „დროების“ მუდმივი თანამშრომლობა. 1874 წელს დ. ჩხოტუამ უნივერსიტეტი დაამთავრა და შემოდგომაზე თბილისს დაბრუნდა. აქ გ. შერვაშიძემ თავისი მამულების (ყოფ. ანდრეევსკის მამულები) მმართველად დანიშნა და ისიც სიამოვნებით დათანხმდა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, მთელი სიცოცხლე ქართული ჟურნალისტიკისა

და საზოგადო მოღვაწეობისათვის მიეძღვნა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პროგრესული ინტელიგენცია ალტაცებით შეზღუდა ნიჭიერ, განათლებულ, მგზნებარე ჰაბუკს, რომელსაც პირველი დღეებიდანვე ქართული ფიქრისა და აზრის მპყრობელთა წრეში ვხვდავთ.

„გუშინ აქ, რედაქციაში, კრება გვექონდა, — სწერდა ს. მესხი კეკე მელიქიშვილს 1875 წლის 3 დეკემბერს, — ესწრებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ბეს. ლოლობერიძე, .. დ. ჩხოტუა“. კრებაზე გაზეთის გაუმჯობესების ღონისძიებანი განუხილავთ და რედაქციის ახალი ძალებით შევსება გადაუწყვეტიათ. ამის თაობაზე ს. მესხის იმდროინდელ წერილებში საყურადღებო ცნობებს ვხვდებით: „ჩხოტუა მუდმივი თანამშრომელი იქნება გაზეთისა“; „მოწინავე წერილებს ილია ჭავჭავაძე, ჯაფარიძე ან ჩხოტუა შეადგენს“; „რუსეთსა და ნარევს—ჩხოტუა უხელმძღვანელებს“; „ახლა ისევ ჩვენ, ბეს. ჯაფარიძე (პოლიტიკა); აკაკი (ფელეტონები), ჩხოტუა (რუსეთი და ნარევი) და მე დავრჩით გაზეთის მუდმივ თანამშრომლებად“.

ს. მესხის 1876 წლის 7 ივნისის წერილიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთ კრებაზე სარედაქციო კოლეგიის წევრობის კანდიდატებად (თანარედაქტორებად) წამოუყენებიათ: ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ბეს. ჯაფარიძე, დ. ჩხოტუა, ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი, ბეს. ლოლობერიძე, ნ. ლოლობერიძე და ამთგან, ფარული კენჭისყრით პირველი ოთხი ამოურჩევიათ.

ივანე მესხის სიტყვით, 1875-76 წლებში „დროებას“ სამი მუდმივი თანამშრომელი ჰყავდა. ერთი თვით რედაქტორი იყო, მეორე—ბ. ჯაფარიძე და მესამე — დ. ჩხოტუა¹.

პოლიტიკური რადიკალიზმის გამო ცენზურა ეჭვით ეკიდებოდა დ. ჩხოტუას წერილებს და, უნდა ითქვას, საკმაო საფუძველიც გააჩნდა ამ უნდობლობისათვის. ახალგაზრდა პუბლიცისტი გაბედულად ამხელდა თვითმპყრობელობის სიმახინჯეს, კოლონიურ რეჟიმს, საგლეხო რეფორმის თვალთმაქცობას, რადგან გლახს მიწა არ მისცეს, ფაქტიურად ის კვლავ მემამულეზეა დამოკიდებული, — წერდა დ. ჩხოტუა. „შესანიშნავი შემთხვევაა ჩვენს ცხოვრებაში ყმების განთავისუფლება, — ვკითხულობთ ერთ მის წერილში, — ამ დროიდან მოელო ბოლო ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ (ხაზი ჩემია. — ა. კ.) ჩვენს ქვეყანაში მონებას“².

გაღმთავის რა ხალხის აუტანელი ცხოვრების სურათებს, ავტორი კითხულობს: „ხედავთ თუ არა, სად მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ამ მოტარიანებულ ჩარხს?“ შეიძლებოდა, ცოტა მაინც სწავლა-განათლების იმედი გვექონოდა, განსაკუთრებით, „სამეურნეო და სახელოსნო სკო-

¹ „ივერია“, 1877, № 44.

² „დროება“, 1870, № 45. „რა მოელის ამგვარ ჩვენს ცხოვრებას?“.

ლებისა“, მაგრამ ისიც ხელმოუწვდომელია ჩვენთვის, რადგან სიღარიბის გამო ხალხს სწავლის საშუალება არ აქვს და კიდევ რომ ჰქონდეს, თუ მშობლიურ ენაზე არ ასწავლიან, მაინც არაფერი გამოვა.

სტატიაში „უცხო ენის მოქმედება ხალხის აზრის გახსნაზე“¹ დ. ჩხოტუამ მეცნიერულად დაასაბუთა მშობლიური ენის მნიშვნელობა ერის საზოგადოებრივ-სულიერ ცხოვრებაში.

ავტორის შეხედულებანი ენის წარმოშობასა და განვითარებაზე, აზროვნებასთან მის კავშირზე და, აქედან გამომდინარე, დედაენის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, იმ დროისათვის ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. „ხალხის ტვინი არის განვითარებული შეიკაბამ იმ სიბრძნისა, — ნათქვამია სტატიაში, — რომელიც გამოიხატება მის ენაში, ანუ ხალხის ენა არის გამომხატველი მისი გონებითი განვითარებისა. ენა არის შედეგი ხალხის ცხოვრებისა... ყოველი მოდგმის და ყოველი საუკუნის შემდეგ ხალხის ენა მდიდრდება... ამის გამო, ენის სიმდიდრე გვიჩვენებს ჩვენ მისი აზრის სიმდიდრეს. რაც უფრო ღარიბია ხალხის ენა სიტყვებით, ისე უფრო ღარიბია ზნეობითი და გონებითი განვითარება... ენა იზრდება, როგორც ხალხი... რაც უფრო დაწინაურებულია ხალხი თავის ცხოვრებაში, ისე უფრო მდიდარია მისი ენა აბსტრაქტული სიტყვებით,... (ამიტომ)... უცხო ენაზედ განათლების მიღება ანუ ჰემმარიტად აზრის გახსნა არს შეუძლებელი ხალხისათვის, თუ ჯერ თავის მშობლიური ენა არ შეუსწავლია კარგად“.

დ. ჩხოტუა ეთნოგრაფიულ გამოკვლევებსაც აქვეყნებდა „დროებაში“: ძალიან საინტერესოა მისი „ორი ჩვეულება აფხაზეთში“², რომელშიც დახასიათებულია „გამზრდელობა“ და „სტუმარ-მასპინძლობა“.

ამ წერილის მიხედვით, დ. ჩხოტუა თავისი დროის კარგად განსწავლულ ეთნოგრაფად წარმოგვიდგება, რომელსაც უნარი შესწევს ყოფაცხოვრების მოვლენებს შორეული ფესვები გამოუძებნოს და მათი დასაბუთებული ახსნაც მოგვცეს. „ჩვეულება არის ხალხის ან კერძო პირის ცხოვრების შედეგი“. — ამბობს ის. — „კვალი, რომელშიც აღბეჭდილია წარსული ცხოვრების პირობები“ (ამიტომ მათი შესწავლა აუცილებელია), „რათა წარმოვიდგინოთ წარსული, რომელიც შთანთქმულია საუკუნეთა სიღრმეში“.

დ. ჩხოტუას ყველა წერილი მრავალბრობლემურია. ერთდროულად ის რამდენიმე საკითხს განიხილავს, მაგრამ ხალხის სოციალური ცხოვრება მუდამ ყურადღების ცენტრში დგას³. მაშინაც კი, როცა მშობლი-

¹ „დროება“, 1870, № 37.

² „დროება“, 1872, № 30, 31.

³ ჰერდულია ოთარ, „დავით ჩხოტუა“, სოხუმი, ალაშარა, 1969.

ური ენის როლზე წერს, მშრომელი და უსაქმური კაცის ხელს ერთმანეთს ადარებს და დასძენს, უსაქმო კაცის ხელი შეჩვეულია „თბილად და თეთრად იცხოვროს საწყალ მუშახელების ოფლითო“. ქართველი ერის ისტორიული ავებდობის მიზეზებად გაბატონებული წრეების წოდებრივ სიხარბესა და შინაურ შუღლს თვლის. „საქართველოს მუდამ ჰყავდა ასი მეფე, ათასი მთავარი, ლეგიონი თავადებისა, რომელთაც გამოსწოვეს სისხლი და ტვინი საქართველოს ისტორიულ ცხოვრებასა“¹.

დ. ჩხოტუას პუბლიცისტურ ნაწერებში აშკარად გაისმის ბრძოლისაკენ მოწოდების ხმა. მას სჯერა ხალხის გამარჯვება, სჯერა უკეთესი მერმისი და ერთ წერილს ასეთი მგზნებარე ოპტიმისტური შეძახილით ამთავრებს: „სანატრელი დღის მოახლოება ჩვენზედვე არის დამოკიდებული, ვებრძოლოთ ხალხის დამჩაგვრელ მიზეზს, წინ აღვუდგეთ მხნედ ბოროტებასა და ეჭვი არ არის, ვნახათ გამარჯვების დღეს“².

გამორჩეული პუბლიცისტური მანერა, მკითხველთან გასაუბრების ინტიმურობა დიდ დამაჯერებლობას აძლევს დ. ჩხოტუას წერილებს. ესაუბრება რა მკითხველს სამშობლოს მომავალზე, ერთ სტატიაში, პუბლიცისტი ჯერ აყალიბებს ამა თუ იმ საკითხზე საზოგადოებაში გავრცელებულ თვალსაზრისს და დასძენს: „ღმერთმა ქნას!“ შემდეგ იმავე საკითხზე საკუთარი შეხედულების დასაბუთებას იწყებს გამოთქმით: „მაგრამ ვნახოთ!“ თემისა და მიზანდასახულობის შესაბამისად, ყველა მის წერილს გასაუბრების შესაფერისი მანერა აქვს გამონახული. ამით უნდა აიხსნას, რომ იმ დროის ქართულ ჟურნალისტიკაში, რომელიც არც თუ ისე ღარიბი იყო პუბლიცისტებით. დ. ჩხოტუამ ერთბაშად მოიხვეჭა სახელი. როცა გაზეთის ახალ რედაქტორებს კენჭი უყარეს, ი. ჭავჭავაძემ 15 ხმა მიიღო, ს. მესხმა — 10, ბ. ჭავჭავაძემ — 10, დ. ჩხოტუამ — 10, ნ. ნიკოლაძემ — 6, აკაკიმ — 4, ბ. ლოლობერიძემ — 1.

დ. ჩხოტუა ილია ჭავჭავაძის თაყვანისმცემელი იყო და როცა ილია „ივერიის“ გამოცემას შეუდგა, მუდმივი თანამშრომლობა აღუთქვა მას³.

მაგრამ თვითმპყრობელობას უკვე აღემართა მასზე შურისძიების მახვილი და ხელსაყრელ მომენტს უცდიდა. 1877 წელს საბაბიც გამოუჩნდა.

ვორონცოვის ყოფილმა ექიმმა, მდიდარმა მემამულემ ანდრეევსკიმ, მთელი ჭონება თავის ორ ქალიშვილს — ელენესა (გ. შარვაშიძის მეუღლეს) და ნინოს უანდერძა. ამ ანდერძის საფუძველზე მამულების

¹ „ღრობა“, 1872, № 50.

² „ღრობა“, 1872, № 39.

³ ს. მესხი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 395.

გასაყოფად 1876 წლის ზაფხულში გ. შერვაშიძესთან ერთად ოდესიდან თბილისს ჩამოვიდნენ მისი სიდედარი (ანდრეევსკის ქერივი) და ცოლისდა — ნინო ანდრეევსკაია. ქონება გაყვეს და წილისყრით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. ანდრეევსკები ღრობით გ. შერვაშიძის სახლში დაბინავდნენ, მტკვრის პირას. 22 ივლისს, ღამით, ე. ი. სწორედ იმ დღეს, როცა მამულების გაყოფა დამთავრდა, ნინო ანდრეევსკაია, მეტად ახირებული და თამამი ქალიშვილი, ჩუმად წავიდა მტკვარში საბანაოდ და დაიხრჩო.

მეფისნაცვალმა მიხეილმა, რომელსაც ეზიზღებოდა აფხაზეთის მთავრის უკანასკნელი მემკვიდრე გიორგი შერვაშიძე, გადაწყვიტა, ეს შემთხვევა მისი და მისი ერთგული პირების გასანადგურებლად გამოეყენებინა და სათანადო მითითება მისცა პოლიციას. რამდენიმე დღის შემდეგ დაპატიმრეს შერვაშიძის ძიძიშვილი და მამულების მმართველი დავით ჩხოტუა, მისი ძმა ნიკო ჩხოტუა და შინამოსამსახურეები: პეტრე გაბისონია, ზურაბ ქორიძე და ივანე მგელაძე. სრულიად უსაბუთოდ მათ ბრალი დასდეს ნინო ანდრეევსკაიას მკვლელობაში. პოლიციის სამმართველომ წინასწარ შეადგინა საბრალდებულო დასკვნა, რომლის მიხედვითაც, დავით ჩხოტუამ, თითქოს, თვითონ დაახრჩო ქალიშვილი, შემდეგ კი, მოსამსახურეთა დახმარებით, მისი გვამი მტკვარში ჩააგდო და კვალის დასაფარავად, ვითომ, ბანაობის დროს დახრჩობის სიმულაცია მოაწყო, — ქალის ტანსაცმელი იქვე მდინარის პირას დააღაგა.

პოლიციის გამომძიებლებმა ჯერ ათასგვარი დაპირებით სცადეს მოწმეების მოსყიდვა, ხოლო როცა ეს არ მოხერხდა, ისეთი მხეცური საშუალებებით დაიწყეს დაპატიმრებულთა დაკითხვა, რომ ზურაბ ქორიძე და ივანე მგელაძე, რომელთაც ყალბი ჩვენებები გამოსძალეს, გამომძიების დროს წამებით დაიხოცნენ.

მთავრობას შერჩა მხოლოდ პოლიციელი ოფიცრებისა და მეფისნაცვლის დაპირებებით მოსყიდული ორი-სამი გარეშე პირის (სისხლის სამართლის დამნაშავეთა) ცილისმწამებლური ჩვენებები, ამიტომ, გიორგი შერვაშიძეს ხელი ვეღარ ახლეს და მთელი ჯავრი დავით ჩხოტუაზე ამოიყარეს.

სასამართლო პროცესი ორი წლის შემდეგ მოეწყო და ხელისუფლებამ მას არაჩვეულებრივად სენსაციური ხასიათი მისცა. შეეცადნენ სახელი გაეტეხათ მოწინავე, პროგრესული მოღვაწეებისათვის და შავრახშული გაზეთები ნიშნისმოგებით წერდნენ უმალღესი განათლების მქონე ქართველ ჟურნალისტზე, რომელმაც, თითქოს, საკუთარი ხელით დაახრჩო ქალიშვილი.

მოწმეთა მიმართ არნახული ძალმომრეობის მიუხედავად, სასამართლო პროცესზე ყველასათვის აშკარა გახდა ამ საქმის პროვოკაციული

ხასიათი. მოწმე ბარბარე თუმანოვისამ — პირდაპირ განაცხადა, რომ მოსამართლეები ძალას მატანდნენ, ჩხოტუას წინააღმდეგ ილაპარაკეო. მე მას კარგად ვიცნობ, ის მშვენიერი ახალგაზრდაა, ეს „ყველაფერი ჭორია და საქმეც მთლად ჭორზედ არის დამყარებულიო“. ნინო ჩემი ნათესავი იყო და დარწმუნებული ვარ, ბანაობის დროს დაიხრჩოო.

მოწმედ დასახელებულმა ტუსაღმა მუსსა-იზმაილ-ოღლიმ, რომელ-ზედაც პოლიცია დიდ იმედს ამყარებდა, თქვა: „პოლიციის თფიცერი ლოლაძე შემოვიდა ჩემთან ციხის საავადმყოფოში, სადაც მე, წერეთელი და პეტრე გაბისონია ვიწვექით და მითხრა, თუ გაბისონიას გასტებს, ველიკი კნიაზი დანაშაულს გაპატიებსო“. მე ვუთხარი, თუ არ დამაფიცებენ, რასაც მეტყვიო, იმას გავიმეორებ-მეთქი, მაგრამ, რადგან ახლა (ვექილების მოთხოვნით) დამაფიცეს, ალაპის წინაშე ტყუილის თქმა ადარ შემიძლიაო. სასამართლო იძულებული გახდა, არ მიეღო უკვე გარდაცვლილი ჭორიძისა და მგელაძის ჩვენებებიც, რადგან ადვოკატმა კოლა ორბელიანმა ცხადყო, როგორი ბარბაროსულად ხერხებით გამოსტაცა ის პოლიციელმა ლოლაძემ პატიმრებს.

მეთევზეებმაც, რომლებმაც ნინო ანდრეევსკაიას გვამი აღმოაჩინეს, დაბეჯითებით განაცხადეს, რომ მას არავითარი ძალმომრეობის ნიშანი-კვალი არ ეტყობოდა და ქალიშვილი ბრმა შემთხვევის მსხვერპლი იყო.

მოწმედ მოწვეულმა სერგეი მესხმა და პეტრე უმიკაშვილმა კარგად დაახასიათეს ბრალდებული და უარყვეს პოლიციის მიერ გავრცელებული ჭორები.

არ ჩიოდა დაღუპულის დედაც.

ჩხოტუების გამართლებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, მაგრამ „მართლმსაჯულებამ“ საკმარისად მიიჩნია პოლკოვნიკ ბელიკის, უზნის მოსამართლე წინამძღვროვის, პოლიციელ მედიკ ბეგლაროვის ეჭვები. აგრეთვე, მთავრობის საექიმო კომისიის დასკვნა, რომ ნინო ანდრეევსკაია მოკლული იყო და დავით ჩხოტუა მკვლელად სცნო. მას ყოველგვარი ღირსება აპყარეს და სამუდამო კატორღა მიუსაჯეს.

ეს საქმე სენატმა განიხილა, სადაც გამოჩენილმა ადვოკატმა, მწერალმა სპასოვიჩმა და სასამართლო მედიცინის პროფესორმა ნიკიტინმა ეჭვშეუფალად დაასაბუთეს დ. ჩხოტუას უდანაშაულობა, რომ ნინო ანდრეევსკაია ნამდვილად ბანაობის დროს დაიხრჩო. სპასოვიჩმა სასამართლოს მოსთხოვა მოტივი — რა მიზეზით შეიძლება, დავით ჩხოტუას მოეკლა ნინო ანდრეევსკაიას, როცა მოტივი ვერ დაუსახელებს, — გაბედულად განაცხადა, XIX საუკუნეში ასეთი ბარბაროსული პროცესი უპრეცედენტოაო. აღსანიშნავია, რომ დ. ჩხოტუას დასაცავად წარმოთქმული სიტყვა სპასოვიჩმა, 15 წლის შემდეგ, თავის რჩეულ ლიტერატურულ ნაწერთა კრებულში შეიტანა, სადაც, სხვათა შო-

რის, შენიშნავდა, დღემდე მოსვენებას არ მაძლევს ამ უდანაშაულოდ დაღუპული ახალგაზრდის ტრაგედიაო.

მთელი საზოგადოება გრძნობდა, რომ ბრალდება დ. ჩხოტუასთან და, საერთოდ, ადგილობრივ პროგრესულ ინტელიგენციასთან პოლიტიკური ანგარიშსწორებისათვის იყო შეთითხნილი (საგულისხმოა, რომ ნიკო ჩხოტუაც კი, რომელიც შერვაშიძის სახლში განუყრელად თავის უფროს ძმასთან იყო და ამ საქმეში მთავარ თანამონაწილედ გადიოდა, ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გაანთავისუფლეს).

„ივერია“ და „დროება“ ფართოდ აშუქებდნენ საქმის მსვლელობას, ცდილობდნენ ემხილებინათ მეფის მოხელეთა ბინძური შეთქმულება და მისი პოლიტიკური ხასიათი.

მთელი საზოგადოება დაე. ჩხოტუას თანუგრძნობდა და მოუთმენლად მოელოდა დარბაზში მის შემოყვანას. „მაგრამ არავითარი განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ვისაც ადრე ენახა, ამბობდა, რომ იმაში არავითარი ცვლილება არ მომხდარაო. ის შემოვიდა თამამად, თითქოს აქ არა არის რაო. თითქო, სრულებით ბრალდებულად არ გრძნობს თავის თავსო. ის არის 29 წლის ყმაწვილი კაცი, შავ თვალ-წარბა, შავ წვერ-ულვაშიანი, შავი გრძელი თმა დიაკვანივით ჩამოუშვია უკან. „მე ჩემს თავს არ ვაღიარებ დამნაშავედ და არავითარ დანაშაულს ამ საქმეში არ ვხედავო“. — გაცხარებით თქვა დ. ჩხოტუამ და მომეტებულის მღვღავარებისაგან სტოლზე მუშტი დაარტყა“.

როცა პოლიციებისტერმა, პოლკოვნიკმა ბელიკმა თავისი სიტყვა დაასრულა, დ. ჩხოტუამ თქვა: „თუ ერთი სიტყვა ან ერთი გარემოება მართალი გამოდგება, რაც აქ ბელიკმა ილაპარაკა, მაშინ რაც ვერჩიოთ, ის მიყავითო“.

„არავითარი უფლება არა გვაქვს ვთქვათ, რომ დავით ჩხოტუა ერია ამ საქმეში, რომ იმან ჩაიდინა ეს საქმე“, — წერდა ს. მესხი¹.

„დავით ჩხოტუა, რომლის ბედის ჩარხიც ასე უკუღმართად დატრილდა ამ უკანასკნელს დროს, „დროების“ ერთ-ერთი ბურჯი იყოო“, — მწუხარებით მოთქვამდა მისი განუყრელი მეგობარი ივანე მესხი.

„ივერიის“ ათამდე ვრცელ ფელეტონში² ილიამ ნათელყო ახალგაზრდა მოღვაწის ალაღმართლობა და გამოამჟღავნა პოლიციისა და ხელისუფლების ვერაგობა. დავით ჩხოტუას საბუთები მართალია, იგი უდანაშაულოა. — ცკითხულობთ აქ.

სხვათა შორის, როცა სასამართლო პროცესზე დამსწრე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეუძჩნევიათ, რომ მოსყიდული

¹ „დროება“, 1878, № 43.

² „ივერია“, 1878, № 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 47.

თარჯიმნები დამახინჯებულად თარგმნიდნენ მოწმეთა ჩვენებებს, მათი მოთხოვნით, თარჯიმნობა დავით ერისთავს უკისრია...

მაგრამ პოლიტიკური შურისძიების კლანჭებისაგან დავით ჩხოტუა ვერ დაიხსნა ვერც მისმა სიმართლემ, ვერც მეგობრების და საზოგადოების მხურვალე მხარდაჭერამ. 29 წლის ნიჭიერი ახალგაზრდა ვერაგულად მოგლიჯეს ეროვნული მოღვაწეობის ასპარეზს, ქართულ ჟურნალისტიკას. 25 წელი გაატარა მან ბორკილებში და მხოლოდ 1906 წელს დაბრუნდა სამშობლოში ამნისტიით; დაბრუნდა მძიმედ დაავადებული, გატეხილი, სამოც წელს მიწვენილი. მას შემდეგ, უმთავრესად, მშობლიურ სოფელ საბერძნეთში ცხოვრობდა და იშვიათად თუ ჩამოაკითხავდა თბილისს.

ყოველივე ამის მიუხედავად, დავ. ჩხოტუას მაინც არ დაუქარგავს მხნეობა, პატრიოტული სულისკვეთება და ლიტერატურულ-მეცნიერული ინტერესი. 1913 წელს მან ურნალ „განათლებლაში“ (№ 8) საყურადღებო ენათმეცნიერული გამოკვლევა დაბეჭდა ქართული ენის შესახებ. იმავე ხანებში საჯარო ლექციებსაც კითხულობდა „ვეფხისტყაოსანზე“ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კაპიტალურ ნაშრომს ამზადებდა რუსთაველის შემოქმედებაზე („Герой поэмы Руставели и их мировоззрение“)¹.

დ. ჩხოტუა გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული 1929 წ. ივლისში. დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ საბერძნეთში. მის მდიდარ არქივს დაქარგულად თვლიან².

ლიმინტრი ხაჯგანი

1872 წელს „კრებულის“ უკანასკნელ (№10—11—12) ნომერში „დ. ყ.“-ს ინიციალებით დაბეჭდილმა პატარა მოთხრობამ „მავნე სულები“ ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა სერიოზულად მიახედა დარიალის ხეობისაკენ, აგრძნობინა რაღაც ახალი სუნთქვა, უჩვეულო რამ სურნელი და კოლორიტი. სერგეი მესხმა კარგა ვრცლად განიხილა ეს ნაწარმოები და უდავოდ საერთო თვალსაზრისი გამოხატა თავის რეცენზიაში:³ „პირველი ალაგი პროზაულ სტატიებში უფ. დ. ყ.-ის „მავნე სულებს“ უჭირავს (ჩვენ ვამბობთ ბექდვის რიგობაზე და არა ღირსებაზე). „მავნე სულები“ გახლავთ ერთი სურათი, ანუ რო-

¹ იხ. აკადემიკოს ს. ჯანაშიას წერილი „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში“, 1936, I; გ. იმედაშვილი, „რუსთველოლოგია“, 1941, გვ. 154, 158.

² ს.ო.ლ. ცაიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1962, გვ. 80.

³ „ღრობა“, 1873, № 13.

გორც თვითონ ავტორი არქმევს „ამბავი მოხევეთა ცხოვრებისაგან“. ამ პაწაწინა მოთხრობაში ცხოვლათ გამოხატულია უბრალო და არა ხელოვნური კალმით მთიული მოხევეების გონებითი ძალა და ცრუმორწმუნეობა. მოთხრობის კითხვის დროს მკითხველს ნათლად წარმოუდგება თვალწინ კერიას ირგვლივ შემომოქდარი მოხევეები, რომელნიც შიშითა და კრძალვით ლაპარაკობენ თუ „წმინდა გივარგიზე“, თუ „დევეზე“ და თუ სხვა მავნე სულელებზე, ჩვენ ვაგვიგონია, რომ ავტორს ამგვარი მოხევეების ცხოვრებიდანა ძალიან ბევრი რამ აქვს დაწერილი და ამიტომ ვაცხადებთ სურვილს, რომ ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ეს სურათები დაებეჭდა. ჩვენის აზრით, ამგვარი ამბავებით ჩვენ უფრო უკეთ ვავიცნობთ მთიულების გონების გახსნილობასა და იმათ ცხოვრებას, ვიდრემ დიდრონი ტომების აღწერითა და გამოკვლევით“.

მოთხრობა ძალიან მოსწონებია ნიკო ნიკოლაძესაც. ათეულ წლების შემდეგ ის იგონებდა: „1872 წელს, როცა „კრებულს“ ვცემდი, პ. უმიკაშვილმა გადმომცა დიმიტრი ყაზბეგის ნაწერი მოხევეების ცხოვრებიდან. შესანიშნავი უფრო ენით. ეს ნაწერი მაშინვე დავბეჭდეთ, რასაკვირველია. მითხრეს მაშინ, დიმიტრის ბევრი ასეთი ნაწერი აქვს; ვეცადე მათი მიღება, მაგრამ ვერ მოვახერხე“.

ამ თხზულებას ყველაზე ადრე დაუინტერესებია თვით პეტრე უმიკაშვილი, რომლისთვისაც ის ავტორის ძმას — ფილო ყაზბეგს გადაუცია. მართალია, მათ მწერლის თანხმობა არა ჰქონიათ, მაგრამ პეტრეს მაინც წაუღია დასაბეჭდად. „სახელი არ დაერქვა დიმიტრისა და მე მოვნათლე, დავარქვი „მავნე სულელები“. შემდეგ დიმიტრემ მომიწონა, კარგი სახელი მიგიციაო...“ — წერს პ. უმიკაშვილი. იგი ისე მოუხიბლავს ამ მოთხრობას, რომ „კრებულიდან“ თავის „სასოფლო გაზეთშიაც“ გადაუბეჭდავს.

„კრებულის“ 1873 წლის სარედაქციო განცხადებაში დიმიტრი ყაზბეგი უკვე ყურნალის მუდმივ თანამშრომლად და დასახლებული და რედაქცია მკითხველს მისი ნაწერების გამოქვეყნებას ჰპირდებოდა.

ერთი შეხედვით, შეიძლება, კიდევ ვაგვიკვირდეს, ამ პაწაწინტელა მოთხრობას რით უნდა გამოეწვია ასეთი საყოველთაო ყურადღება, მაგრამ, საგულდაგულო ანალიზით ცხადი ხდება, რომ ლიტერატურული საზოგადოებრიობის დაინტერესება საფუძველს მოკლებული არ იყო. უწინარეს ყოვლისა, „მავნე სულელები“ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს, რაღაც უცხო ზოდის ნაგლეჯი იყოს. სუბიექტურად ავტორი სრულებით არ ჩანს; პირველყოფილი უშუალოდ მოქმედებენ და მეტყველებენ თვით გმირები — ძლიერი, საკუთარი რწმენისა და ხასიათის ადამიანები. მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით, ეს შემოქმედის ერთი ყველაზე უძნელესი ამოცანაა. მთელი წარმატება განპი-

რობებულია ენობრივი ვარიაციებით, ადგილობრივი დიალექტისათვის დამახასიათებელი ეგზოტიკით, მეტყველების სურათოვნებითა და ეპიკური ლაკონიზმით. ამის წყალობაა, რომ მოთხრობაში, რომელიც მთლიანად დიალოგზეა აგებული, ჩვენ არა მარტო გვესმის, არამედ კიდევ უფრო მეტი სიცხადით ვხედავთ. ამ თავისებურებებით უნდა აიხსნას, რომ „მაგნე სულები“, რომელიც რიგითს მკითხველს შეიძლება ფერმკრთალ გაუჩაღხავე ამბად მოჩვენებოდა, მწერლებს მოეწონათ. ის თითქოს ლიტერატურული სალონის შეჯიბრებისათვის მკაცრად დაწესებული გეგმით, ზუსტად განსაზღვრული პირობებით შექმნილი ეტიუდია. ქართულ მწერლობას, უდავოდ, ჰქონდა დიდი იმედის უფლება, მაგრამ დიმიტრი ყაზბეგი, ისე როგორც ბევრი მისი ნიჭიერი თანამედროვე, გამოუსხივებლად ჩაქრა.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი დაიბადა 1839 წელს სოფ. სტეფანწმინდაში. ის იყო შვილიშვილი „მთის მოურავის“, ცნობილი გაბრიელ ყაზბეგისა, მკვიდრი ბიძაშვილი ჩვენი საამაყო ბელეტრისტიკის—ალექსანდრე ყაზბეგისა. მამამისი განათლებული, კეთილი, პატივსაცემი და დაფასებული კაცი იყო, — უყვარდა საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, წერდა ლექსებს; მონაწილეობდა შამილთან ომებში და ერთ ხანს მთის დიამბეგად მსახურობდა.

თავისი უფროსი ვაჟი ნიკოლოზმა ჯერ დუშეთის სკოლაში მიაბარა, ხოლო 1852 წელს თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში გადაიყვანა, სადაც დიმიტრი ილია ქავჭავაძესა, დავით ყიფიანსა, ნიკო ლოლობერიძესა, პეტრე ნაკაშიძესა და შემდგომ გამოჩენილ სხვა მოღვაწეებთან ერთად სწავლობდა.

1857 წელს დიმიტრი ყაზბეგმა წარჩინებით დაასრულა გიმნაზია და, რადგან რუსეთში წასასვლელად ქონებრივი შეძლება არ ჰქონდა, ორი წელი მშობლიურ სტეფანწმინდაში გაატარა.

1859 წელს დიმიტრი პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა, მეცნიერებას დაეწაფა, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაება, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და ლობროლიუბოვის ნაწერებს მიეძალა, ახალი იდეებს ეზიარა.

ხელმოკლე ოჯახს მატერიალური დახმარება არ შეეძლო და დიმიტრი მძიმე პირობებში ცხოვრობდა. ერთი მისი ნათესავის წერილში ვკითხულობთ: „სწავლის ფასი უნივერსიტეტში ვერ შეუტანია და ლექციებზედაც ვეღარ დადისო“. როგორც მოგონებებიდან ჩანს, იგი ამ ვითარებაშიც გამოირჩეოდა თავდაქერით, ცოდნით, ხასიათის სიმტკიცითა და შემართებით. „დიმიტრი ყაზბეგი მინახავს ყმაწვილობაში, როცა ახალჩამოსული ვიყავი პეტერბურგს, — გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე, — ...კირილეს ნათქვამიდან მახსოვს, დიმიტრი ითვლებოდა ილიკო ჭავჭავაძის წრის უმჭობეს წევრად, მასზე ყველა დიდ იმედებს ამყარებდა

თურმე... ერთიანად ჩაყურყურმალებული იყო ვალტერ სკოტის თხზულებებში... შეუპოვრად ჰკიცხავდა მთავრობის განზარცხვას უნივერსიტეტის ალაგმვის შესახებ... (არეულობის დროს“).

კირილე ლორთქიფანიძის ცნობით, ლექციებს დიმიტრი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ესწრებოდა და, თანამემამულეთაგან განსხვავებით, რუსული მშობლიური ენასავით ემარჯვებოდა.

სტუდენტთა 1861 წ. მღელვარებაში მას აქტიური მონაწილეობა მიუღია და რეპრესიებს რომ გადაარჩენოდა, იმავე წლის შემოდგომაზე ხარკოვის უნივერსიტეტში გადასულა, მაგრამ პოლიტიკურ დევნას ვერც იქ დამალვია და მეგობართა დახმარებით, ერთი წლის შემდეგ საზღვარგარეთ გამგზავრებულა ცოდნის გასადრმავებლად. რამდენიმე ხანი მან პარიზში დაჰყო, ლექციებს ისმენდა, — 1863 წლიდან კი ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტში სწავლობდა, რომელიც 1865 წელს დაამთავრა.

ყველასათვის მოულოდნელად, გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ დიმიტრი მამა-პაპათა კერას შეეხიზნა და წინაპართა ადამ-წესებით ცხოვრებას შეუდგა. მამულები გლეხებს დაურეგა, შრომობდა, ჰირსა და ლხინში ხალხთან იყო და ნათესავებსაც ამას უქადაგებდა. „დიმიტრის შინ დაბრუნებამ, — იგონებს მისი უმცროსი და, — ნათელი სხივები შემოიტანა ჩვენს მივარდნილს ოჯახში. სოფლის მყუდრო ცხოვრება შეირყა, გაიღვიძა, გამხიარულდა და გაცოცხლებულმა სიომ დაბერა... დიმიტრიმ შეცვალა ჩვენი შინაური ცხოვრება... სხვადასხვა წიგნებს გვაძლევდა წასაკითხავად. წაკითხულს გვიხსნიდა: დობროლიუბოვის, ბელინსკის და კიდევ მრავალი სხვა რუსი გამოჩენილი მწერლის სახელი პირველად იმისგან ვაევიგონე“¹.

სტეფანწმინდაში მას ქართული, რუსული და უცხოური ლიტერატურის მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა; სხვათა შორის, თავის სახლში გლეხის შვილებისათვის უფასო სკოლაც გაუხსნია, სადაც თვითონ და მისი და-ძმები ასწავლიდნენ.

წლების მანძილზე დიმიტრი დიდი გულისყურით სწავლობდა მოხვევთა ყოფა-ცხოვრებას, იწერდა ხალხურ ლექსებს, ანდაზებს, გადმოცემებს, — დადიოდა სოფლიდან სოფელში, არ აკლდებოდა ხატობებს, ღამისთევას, — იყო განთქმული მონადირე, მოჭირითე და მსროლელი, — მოხვევებთან ურთიერთობაში მტკიცედ იცავდა მთის ჩვეულებებს და, რალა თქმა უნდა, იმ კუთხეში არაჩვეულებრივი პატივისცემაც მოუპოვებია.

მეფის მოხელე მის ნათესავებს არაფრად ექაშნიკებოდათ განათლებული სახლიკაცის ამგვარი საქციელი, ხოლო ერთმა შემთხვევამ ეს

¹ „მნათობი“, 1925, № 4, გვ. 191.

ურთიერთობა უფრო გაამწვავა; დიმიტრის შეუყვარდა შინამოსამსახურე ოსი ქალიშვილი ტასო და, მიუხედავად ნათესაების აღშფოთებისა, კიდევ შეირთო. განრისხებული მამის გული რომ ოდნავ მაინც მოეღობო, 1868 წელს დუშეთში ილია ქავჭავაძესთან სასამართლოს ბოქაულად დაიწყო სამსახური, მაგრამ იმავე წელს, მამის გარდაცვალებისთანავე, სამსახურს თავი გაანება.

თბილისელ მეგობრებთან, ქართული ლიტერატურის მოღვაწეებთან, დიმიტრი ყაზბეგს მუდამ მჭიდრო კავშირი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. როგორც ირკვევა, ილია ქავჭავაძე მისი ხშირ სტუმარი იყო. ლიტერატურულ მუშეუბში დატული ილიას ერთი ხელნაწერიდან ჩანს, რომ 1864—1866 წლებში სტეფანწმინდაში მას ბევრი საინტერესო ხალხური ლექსი, ანდაზა და ფრთიანი გამოთქმა ჩაუწერია. სავარაუდოა, რომ „მგზავრის წერილებში“ მოხევის საუბარიც მან დიმიტრი ყაზბეგის დახმარებით დაამუშავა.

„იმის ამხანაგები ხშირად თითო კვირაობით რჩებოდნენ ჩვენთან, — წერს ელ. ყაზბეგი. — მაშინ დიმიტრის ლაპარაკი და სხვადასხვა საგნებზე ბასი დაუშრეტელ წყაროდ ხდებოდა“.

მეგობრები, განსაკუთრებით ილია ქავჭავაძე, დიდი წარმოდგენისა ყოფილან დიმიტრი ყაზბეგის ნიქსა და ცოდნაზე. პეტრე უმიკაშვილის ცნობით, ილია ხშირად იტყოდა ხოლმე: „დიმიტრი ამხანაგებში მთელის თავით მალლა იდგა ჩვენზეო“. ჩვენს მოღვაწეებს არა ერთხელ უცდიათ მისი თბილისში ჩამოყვანა და ლიტერატურულ საქმეებში ჩაბმა. „ილიკო ქავჭავაძეს ბევრჯერ უთქვამს ჩვენთვის, — წერს ნ. ნიკოლაძე, — უბედურებაა, რომ ასეთი კაცი უსაქმოდ და უხეიროდ ლევდეს თავის დროს მთაშიო. ვეცადეთ ბევრი, თბილისში ჩამოგვეყვანა, საქმეში გაგვება, მაგრამ არა გამოვიდა რა“.

1873 წელს „კრებულის“ რედაქციას პეტრე უმიკაშვილი გაუგზავნია სტეფანწმინდას დიმიტრი ყაზბეგისაგან ნაწერების ჩამოსატანად. ამ მიზნით პეტრე უმიკაშვილი 1876 წელსაც სტუმრებია ხევს, მაგრამ დიმიტრის უთქვამს: „წერის გუნებაზე ვერ მოვდივარ, ძალად ნამუშევრობა არ ვარგაო, არ გამოვაო“.

1873 წელს, როცა ილია ბანკის თავმჯდომარედ აირჩიეს, მისი წინადადებით დიმიტრი შემფასებლად გავიდა, მაგრამ თბილისს გადმოსვლა არც ამ ხელსაყრელი მდგომარეობის გამო მოისურვა.

დიმიტრი ყაზბეგი გარდაიცვალა 1880 წლის 10 თებერვალს 42 წლისა; დაკრძალულია სტეფანწმინდაში.

იმპერატორ ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ, 1881 წელს, სტეფანწმინდაში ეანდარბები ჩასულან დიმიტრი ყაზბეგის დასაბატონებლად.

სახელთა საძიებელი

- აბაშიძე ე. 674
 აბაშიძე კიტა 62, 148
 აბაშიძე სამსონ 24, 43, 79, 81, 197, 203
 227, 246, 254, 297, 304, 307, 315
 აბზიანიძე გ. 346, 350, 368, 376, 455
 აბხაზი გიორგი 157
 აგლაძე ელენე 121
 ავალიშვილი დავით 31, 32
 ავალიშვილი ნიკოლოზ 332, 593, 595,
 597, 645
 ალანია ნოდარ 65
 ალექსანდრე II 433
 ანდრეევსკაია ელენე 688
 ანდრეევსკაია ნინო 693, 694
 ანდრეევსკი 692
 ანდრე შენიე 161, 203
 ანდრონიკოვი ზაქარია 118
 ანტონოვი ზ. 59, 137
 ანტონოვიჩი 633
 ანტონ კათალიკოსი 13, 15, 236, 316. 616
 ანდაზიანი ლაერენტი 10. 12. 25. 83, 124.
 166, 234, 236, 302, 306, 307, 551
 არისტოფანე 233
 არუწოვი ზურაბ 358
 ასათიანი ლევან 57, 228, 475, 494, 674,
 675
 ბაირონი 126, 198, 215, 224, 255. 365,
 484, 495—498, 501
 ბარათაშვილი გრიგოლ 15, 45. 47. 224,
 226, 229. 235, 304, 312, 313
 ბარათაშვილი ვანო 133
 ბარათაშვილი ნიკოლოზ 13, 74, 75, 128,
 133, 141, 143, 144, 149, 159, 161,
 162, 163, 214, 215, 219, 228, 229. 308.
 447, 454—458, 460, 560, 563, 591. 639
 ბარათაშვილი სულხან (ტიხონი) 37, 73.
 74, 75, 86, 88, 106—112, 244, 255, 277
 ბარნაბიშვილი დავით 358
 ბასტაშვილი ავთანდილ 447
 ბასტია ფრედერიკ 50, 51, 53—55, 79,
 252, 253, 271, 272, 274, 315, 324
 ბაქრაძე 255
 ბაქრაძე გ. 84, 342, 350, 367
 ბაქრაძე დიმიტრი 10, 13, 25, 40, 54, 55,
 72, 73, 90, 105, 110, 236, 237, 297,
 306, 309, 310, 421, 595
 ბაქრაძე ი. 484, 495
 ბეგთაბეგოვი 108
 ბეგლაროვი მელიქ 694
 ბეთანელი პეტრე 358
 ბელიოვი 694, 695
 ბელინსკი ბესარიონ 12, 22, 36—38,
 41—53, 64, 137, 139, 142, 151, 159,
 177, 178, 202, 204—206, 208, 213,
 214, 219, 220, 221, 227—229, 237, 238,
 241, 255, 256, 262, 263, 277, 294, 299,
 311, 324, 391. 441, 543, 561, 567, 571,
 632, 647, 698
 ბერანეე 126, 484
 ბერაძე ს. 265
 ბერიევი ლ. 229
 ბერიძე გიორგი 125
 ბერიძე ივანე 77, 82, 87, 88, 123—125,
 137, 192
 ბერძე 628
 ბერძენიშვილი მ. 115
 ბერძნიშვილი ნიკოლოზ 114, 624
 ბენეკელი ვახტანგი 555—557
 ბისმარკი 679
 ბიუნნერი 399
 ბიჩერ-სტოუ 133, 268, 269, 298
 ბლანი ლეი (იხ. ლეი ბლანი) 337, 390,
 392. 396. 415, 416, 598
 ბოგაჩოვი 629
 ბოკლი 267, 396, 399, 633
 ბოცუაძე იოსებ 65, 142, 175, 342, 350,
 368, 370, 675
 ბროსე მარი 108
 ბუჯოლ 71
 ბუჯოლელი 446
 ბუჯოვი 26, 98, 642
 ბაბაშვილი ალექსანდრე 597
 გაბაშვილი ეკატერინე 422, 617, 655, 659
 გაბისონია პეტრე 693
 გაგარინი ტასო 625

* სახელთა საძიებელი შეადგინა ლალი ლუარსაბიშვილმა.

ბაგოიქე ვახტანგ 32, 204
ბაუცი ალექსანდრე 283, 284
ბალახოვსკი 629
გამბეტა 632
გამეზარდაშვილი დავით 33, 37, 38, 42,
47, 50, 57, 65, 342, 350, 434, 546
განაქეცი კირაკოზ 53, 54
გარიბალდი 83, 282—284, 290, 301, 631,
632
გაფრინდაშვილი მიხეილ 426
გაჩეჩილაძე ამბერკი 11
გაჩეჩილაძე გივი 494, 501, 553
გაწერელია აკაკი 451, 625
გედევანიშვილი იოსებ 62, 66
გედევანიშვილი მიხეილი 66
გერბელი 555—557
გერვენოუსი 413, 633
გერშელი 243
გერშენზონი ვ. 150
გერტენი ალექსანდრე 11, 12, 82, 128,
187, 255, 285, 295, 374, 539, 602
გეცტაძე რაქდენ 459
გიო 416
გიორგი მეთორმეტე (გიორგი მეცამეტე)
195
გლადსტონი 632
გლინოსაროვი პეტრე 43, 114
გნედინი ნ. 496
გოგებაშვილი იაკობი 104, 105, 115, 368
გოგოლი 129, 198, 255, 262, 263, 369,
538, 562, 573, 575
გოუფე იოპან-ვოლფგანგ 484, 555, 557,
589
გოზალიშვილი შალვა 65
გომართელი ივანე 263
გრამოედოვი ალექსანდრე 79, 200, 201,
277
გრიგორევიჩი 505
გრიშაშვილი იოსებ 40, 55, 56, 448,
449, 452, 494, 554
გროსი 577, 608
გუგუნაეა დათა 126
გუგუშვილი პაატა 26, 31, 70, 265
გურამიშვილი ოლღა 12, 29, 88, 125,
246, 304, 319, 422
გურგენიძე მიხ. 601
გურიელი მამია 358, 365, 367, 447, 476—
479, 485—488, 496, 497

ზადიანი სალომე 638
ზადიანი 642
დავითაშვილი იოსებ 482
დაზელიო 577, 608
დარვინი 396, 639
დიდებულაძე გ. 129, 202
დიდრო 255
დიმიტრიძე ნიკო (ყიფიანი) 460
დიუმა ალექსანდრე 628
დობროლიუბოვი ნიკოლოზ 42, 50—53,
71, 72, 74, 89, 90, 141, 142, 144, 204,
205, 214, 241, 242, 243, 247, 251,
253, 255, 277, 282—284, 296, 297,
300, 306, 324, 375, 390, 391, 399,
489—491, 561, 563, 565, 567, 595,
630—633, 647, 655, 661, 698
დოდაშვილი სოლომონ 622
დრეპერი 413, 596
დუდუჩაეა მამია 57, 64, 204
დუნოვი ს. 503

მეგენიე-მაქსიმოვ ვ. 282
მედოშვილი ირ. 482
მერაბიძე 233
ელისაევი გ. 247
ელიოზიშვილი ივ. 181
ენგელსი ფრიდრიხ 133, 180, 275, 285,
573, 579
ენფიანციანი ამბარცუმ 28, 359
ეენი სუ 542, 543
ერისთავი ანასტასია (ტასო) 651
ერისთავი გიორგი 20, 37, 59, 76, 79, 86,
88, 112, 137, 195, 200—203, 215, 228,
308, 360, 545, 623, 625, 628
ერისთავი დავით 130, 392, 400, 402,
407, 425, 429, 435, 442, 444, 469,
696
ერისთავი დომინიკა 201
ერისთავი ელიზბარი 455
ერისთავი რაფიელ 10, 13, 115, 139,
227, 234, 313, 447, 485, 549, 626, 627
ერისთავი რევაზ 14, 15, 203, 304, 486
ერისთავი ქეთევან 455, 456
ერკმან-შატრიანი 374, 544
ესკიროსი 373
ესხელი 233

- მალტერ სკოტი 206
 ვართაგავა იპოლიტე 40
 ვაჩნაძე რევაზ 261
 ვახანია ე. 583
 ვახუშტის დავით 118
 ვერდერევესკი 295, 628
 ვოლსკი გრ. 674
 ვოლტერი 255, 494
 ვორონცოვი მიხეილ 113, 359
- ზაგურსკი ლეონ 91, 286, 634
 ზაიცივი 199
 ზანდუელი მიხეილ 57, 58, 343, 350
 ზალტმანი კ. 46, 52, 76, 86, 252, 255, 277
 ზარაფოვი ს. 360
 ზედგინიძე გ. 402
 ზეპუნდელი 680
 ზლატოვრატი ა. 90, 296
 ზოილი 594
 ზუმბერიძე 30
- შავაძე ა. 204
 თავიშვილი გიორგი 37, 237
 თარხნიშვილი მ. 433
 თაყაიშვილი ექვთიმე 40, 121
 თვარაძე რევაზ 488
 თორელი (გამრეკელი) 597
 თულაშვილი ვახტანგ 23, 35, 43, 58, 62, 75, 82—84, 86, 88, 103—106, 108, 109, 111, 113—115, 237, 247, 248, 251, 257, 258, 264, 276—279, 306, 313, 387, 629
 თუმანიშვილი გიორგი 7, 22, 41, 42, 52, 53, 55, 63, 72, 75, 80, 86, 91, 92, 115, 139, 147, 162, 226, 274, 324, 346, 443, 526, 527, 605
 თუმანიშვილი მიხეილ 433, 686
 თუმანიშვილი სერგი 286
 თუმანოვი ბარბარე 694
 თხორაძე 476
- იანგი 435
 იაზიკოვი 192
 იანოვსკი 122
 ივანოვი კ. 104, 630, 639
 ინაშვილი ნიკო 92, 593, 595
 ინგოროვეა პავლე 30, 38, 40, 55, 56, 65, 67, 69, 88, 125, 148, 153, 182, 460, 461, 463, 469, 504
 იონანე ბატონიშვილი 236
 იოსელიანი პლატონი 316, 452, 628
- მაკასიძე 295
 მაკალაშვილი მარიამ 604
 კალანდოძე ალექსანდრე 11, 49, 50, 64, 65, 295, 304
 კალანდარიშვილი გერასიმე 358
 კალოუზნისკი კოტე 630, 639
 კამერონი 628
 კარაშინი 204, 224, 444
 კასტელარი 632
 კარგარეთელი თომა (ციხილე ლორთქიფანიძე) 503
 კარიპაშვილი დ. 675
 კარნოვიჩი ე. 282, 299
 კატკოვი 431
 კეზელი დავით 666
 კენკოშვილი აკაკი 32, 70, 71, 82, 494
 კერესელიძე თეანე 10, 12, 24, 25, 28, 58, 79, 124, 131, 203, 226, 229—232, 235, 295, 302, 305, 306, 312—314, 317, 320, 451, 452, 454, 604, 623, 630, 636
 კეშელავა პ. 554
 კიკნაძე ალ. 104, 630, 639
 კიფერი კონრად 119—121
 კლარეტი ეიულ 544
 კლდიაშვილი დავით 674
 კლდიაშვილი ეფრასიმე 89
 კობლოვი პ. 58, 130, 204, 224, 496
 კომაროვი 58, 225
 კოსტომაროვი ნ. 12
 კოსტომაროვი ვ. 496
 კოტეტიშვილი ვახტანგ 329, 342, 343, 350, 585
 კრავესკი 108
 კრილოვი 126
 კრუპოვი (სალტიკოვ-შჩედრინი) 374
 კუპერი 271
 კუხელი (ნ. ავალიშვილი) 343
- ლაზარაძე 116
 ლაისტი 476
 ლაროშფუკო 590
 ლასალი 243, 300, 337, 390, 413, 421, 597

- ლახიშვილი გ. 40, 62
 ლეიშვილი 118
 ლენინი ე. ი. 12, 186, 187, 207, 261—263, 285, 294, 300, 326, 403—405, 406, 423, 598, 602
 ლეონიძე სოლ. 126
 ლეოპარდი 577, 608
 ლერმონტოვი მიხეილ 43, 114, 141, 142, 198—200, 214, 227, 277, 486, 488, 491, 496, 562
 ლესინგი 231
 ლიბიხი 596
 ლინკოლნი 632
 ლონგფელო 270
 ლორთქიფანიძე ირ. 304
 ლორთქიფანიძე კირილე 23—25, 27, 36, 37, 40, 43, 76, 77, 79, 81—85, 88, 103, 145, 153, 203, 213, 236, 237, 252, 253, 255, 260, 268—271, 275, 276, 296, 298, 300, 302, 306, 307, 309—311, 314, 322, 330—333, 336, 345, 347, 348, 349, 351, 354, 355, 360, 362, 363, 365, 367, 372, 373, 375—377, 402, 409, 446, 456, 457, 470, 485, 489, 490—494, 502, 503, 513, 555, 594, 600, 661, 663, 675, 688, 699
 ლუი ბლანი 337, 390, 392, 396, 415, 416, 598

 შაიაკოვსკი ე. 660
 შაიკოვი 132
 შაკვატი კოლომონ 625
 შამადაშვილი ი. 10, 13, 24, 227
 შანგოშვილი თ. 65, 68
 შანსეტაშვილი ი. 40, 67, 390, 480
 შანცონი 577, 608
 შარატი 255
 შარკევიჩი ამალია 637, 638
 შერკევიჩი ნ. 496
 შარკო-ეოუჩევი 505
 შარკოზი მ
 შარლინსკი 398
 შარტინოვი ივანე(ნიკ. ყიფიანი) 654, 655
 შარქსი კარლ 180, 680, 681
 შარჯანიშვილი ანდრია 660
 შარჯანიშვილი კოტე 660
 შარჯანიშვილი მაგდანა 660
 შაქსიმოვიჩი 281

 შალაშვილი ესტატე 43, 70, 75, 81, 88, 126—128, 251, 257, 259, 279
 შალაშვილი ლუარსაბ 81, 88
 შაყაშვილი ტატო 20
 შაჩაბელი დავით 370
 შაჩაბელი ვასილ 74, 104, 304, 552, 595, 701
 შაჩაბელი ივანე 369, 550—552
 შაქინი 295
 შაქინი იოსებ 366
 შაჟუარიანი თ. 24, 27, 243
 შაჟუარიანი ივანე 66
 შახარაძე აპოლონ 26, 342, 350
 შგალობლიშვილი დიმიტრი 370
 შგალობლიშვილი სოფრომ 243, 257, 300, 345, 368, 390, 599, 645
 შგელაძე ივანე 693
 შღივანი 630
 შგერელიშვილი გ. 409
 შელიქიშვილი კეკე 345, 347, 348, 359, 366, 401, 422, 426, 505, 525, 601, 677, 681, 685, 686
 შელიქიშვილი სტეფანე 105, 331, 360
 შელქუშიანცი გაბრიელ 28
 შეროსლაუსკი ლუდვიკ 290
 შესხი დავით 369, 660, 664, 673
 შესხი ეფ. 673, 674
 შესხი ივანე 129, 358, 367—370, 402, 415, 432, 479, 539, 660—675, 677, 685—687, 690
 შესხი კოტე 554
 შესხი სისო 660
 შესხი სერგეი 332, 333, 336, 341, 343, 345—348, 353—355, 357—361, 366, 370, 372, 374—376, 388, 392, 397, 399—402, 415, 421, 426, 458, 462, 489, 491, 505, 525, 535, 545, 546, 548, 567, 587, 593, 594, 600, 601, 617, 624, 645, 661, 665, 677, 678, 686, 690, 692, 624—696
 შესხიშვილი ანა 358
 შესხიშვილი სარდიონ 15, 20, 304
 შეუნარგია იონა 6, 32, 112, 274, 321, 369, 390, 478, 496
 შელვინეთუხუცესი (შელვინეთუხუცეიშვილი) დიმიტრი 358, 371, 483
 შეძველა კ. 37, 82, 85, 103, 376

მილი ჯონ სტიუარტი 337, 390, 598, 633, 639
 მირიანაშვილი ალ. 122
 მირიანაშვილი სოლომონ 361
 პიტჩელი 244, 307, 635
 მრულერი 446
 მიქაძე გ. 367
 მიქელაძე დავით 370
 მოლუშოტი 413
 მოლიერი 553—554, 575
 მორთულაძე ზურაბ 358
 მოსიო შარაღ 634
 შრეველიშვილი ანდრია 660
 მური თომას 491, 501
 მურიე 112
 მუსსა-იზმაილ-ოღლი 694
 მუხრანსკი გ. 426, 621, 622
 მუხრანსკი ივანე 29, 319
 მღვიმელი შიო 67
 მჭედლიძე ე. 112
 ნადეჟდინი 7
 ნაზაროვა ლიზა 637
 ნაზაროვი 642
 ნათაძე გრ. 110
 ნათაძე იასონ 368, 397, 399, 400, 404, 407, 436, 445, 536, 537
 ნაკაშიძე ბაბაღ 102
 ნაკაშიძე ილია 100
 ნაკაშიძე ნინო 97
 ნაკაშიძე პეტრე 23, 77, 81, 82, 88, 96—102, 195, 252, 253, 286—289, 291—294, 315, 346, 362, 463, 698
 ნაცელიშვილი გ. 643, 667
 ნაცელიშვილი თადეოზ 107
 ნაცელიშვილი ნატალია 107
 ნეკრასოვი ნ. 12, 150, 186, 242, 268, 269, 282, 296, 392, 370, 435, 441, 491, 492, 630, 660
 ნიკოსელსკი 269
 ნიკიტინი ივანე 376, 493, 667, 694
 ნიკოლაძე ა. 151, 282, 376
 ნიკოლაძე ეკატერინე 422
 ნიკოლაძე ვლადიმერ 369, 479, 500, 663, 687
 ნიკოლაძე ნიკო 7, 13, 24, 27, 80, 81, 96, 151, 188, 195, 296, 300, 321, 322, 332, 337, 338, 341—351, 356, 358—361,

363—367, 372—374, 376, 386, 387, 389—395, 397—400, 402, 404—425, 427—429, 431—438, 440, 442, 444, 446, 450, 452, 454, 458, 461, 467, 468, 470, 480, 482—484, 491, 495, 496, 502, 504—508, 510, 514, 518, 523, 529, 540, 541, 544, 546—548, 555, 559—572, 574—592, 594, 597—602, 617, 666, 667, 689, 690, 692, 697, 698, 700

ნიკოლაძე ოლიმპიადა 422
 ნინოშვილი ეგნატე 513
 ნოვოსელსკი 688

ოზრეჩუვი ე. 270, 298
 ოლეესკი ე. 238
 ოზნობიზინი 496
 ონიკაშვილი ბარბარე 100
 ორბელიანი ალექსანდრე 25, 112, 167, 168, 170, 210, 223, 235, 246, 302, 309, 315, 451, 628
 ორბელიანი გიორგი 79, 86—88, 125, 126, 165, 214, 215
 ორბელიანი გრიგოლ 25, 26, 75, 86, 88, 91, 112, 139, 141, 152, 153, 164, 227, 234, 240, 313, 359, 433, 447, 449—452, 458, 471, 478, 481, 518, 524, 536, 546, 560, 563, 576, 586—588, 592, 651
 ორბელიანი ეახტანგ 367, 447, 459, 460, 628
 ორბელიანი თინათინ 125
 ორბელიანი მაიკო 457
 ორბელიანი შანანა 628
 ორბელიანი მარიამ 459
 ორბელიანი ნიკ. 675
 ორბელიანი ქეთევან 625
 ორბელიანი ყაფლან 455
 ორლოვსკი 644
 ოქროშქელიშვილი ილია 77, 81, 244, 252, 253, 259, 278

პავლოვი ნიკოლოზ 202
 პანტელეევი ლ. 282
 პატკანოვი 446
 პეისონელი 646
 პელიკო 577, 608
 პეტეფი შანდორ 491

პეტრიძე 611, 616
პეტროვი ს. 581
პიპინი ა. 120, 299
პისარევი 214, 243, 299, 300, 304, 390
პისეშვილი 505
პისჩუროვი პ. 643
პლუშჩევი ალექსი 376, 491—493
პლუხანოვი გ. 442, 561, 579
პოლეგოი 7
პოლტორაკი ივანე 23, 24, 81—83, 302, 321
პოტეხინი 505
პრუდონი პიერ ჟოზეფ 78, 252, 253, 271, 273, 274, 267, 295, 300, 324, 337
პუშკინი ა. 141—144, 198, 485, 486, 562

შეტეიკო 654—656, 659
ჟიულ სიმონი 596
ჟორდანია თ. 40
ჟორჟ სანდი (ზანდი) 95, 100, 543, 544
ჟუკოვსკი 452

რადიანი შალვა 335, 342, 350
რადიშჩევი 255
რამიკაშვილი ლუკა 123
რატინი შ. 65
რატინიშვილი გაბრიელ 79, 195
რამელიშვილი ქრ. 31, 36, 82
რისკი თადეუშ 290, 291
რეგინსკი რომან 290, 291
რეგოვსკი კონსტანტინე 291
რეგოვსკი ფელიქს 291
რისსელი 680
რატინოვი ტიგრან 28
რუსთაველი შოთა 132, 215, 230
რუსო 46, 120, 255
რუხაძე ტრიფონ 195
რეულიშვილი გრ. 235, 308

რაკაძე შ. 374
რამელიშვილი 286
რანელი ალექსანდრე 10, 13, 82
რატინოვი 186, 222
რატინი 286
რამიშვილი ალ. 601, 625
რაროვი ა. 513
რეკია თედო 41, 108, 109

რეკარსამიძე სილონია 29, 88, 319
რემიანიოვა ლიზა 107
რემიანიოვი პეტრე 107
რენკოვსკი თ. 108
რენ-ჟუსტი 255
რეზერვატივი ივანე 27, 53, 84—86, 92, 240

რეზერვატივი 575
რეიტი ჟონათან 540, 575
რეზერვატივი ე. 330
რეზერვატივი ქსენია 559
რეზერვატივი (ნიკო ნიკოლაძე) 345, 491
რეზერვატივი ა. 597
რეკოტი ვალტერ 206
რეკოტიშვილი ს. 247
რეკოტივი 295
რეკოტივიკოვა 641
რეკოტივი 233
რეკოტივი 694
რეკოტივი 322

რეკოტივილსკი დიმიტრი 111
რეტერნი 590
რეიენსი 553
რეტონინი 446
რეტრეუცი 122
რე ეტენი 542, 543
რეზერვატივი ალ. 227
რეზერვატივი გაბრ. 82. 83. 304, 309, 312, 313
რეზერვატივი ილია 77
რეზერვატივი ვასილ 641

რეზერვატივი ნოდარ 65, 67
რეტრევილი ნ. 240
რეტრევილი 243
რეტრევილი ალექსეი 443
რეტრევილი ლეე 132, 441, 444, 588
რეტრევილი თ. 132, 268, 306, 439, 565, 632, 633, 655

რემიანიოვი პეტრე 18, 22, 23, 28, 43, 79, 82, 88, 91. 242, 283, 322, 359, 360, 362, 366, 367, 389, 397, 400, 402, 404, 405, 407, 409, 411, 424—426, 428, 431, 435, 436, 447, 452, 455, 458, 543, 549, 551, 559, 566, 567—570, 573—577,

586—588, 591, 593, 594, 596, 602-
626, 629, 694, 697, 700
უსლარი 108
უსპენსკი ნ. 584, 585

შანცხაე იაკობ 62
ფანცხაე რომანოზ (ხომელელი) 141, 142,
147, 152, 156
ფეირბახი 267
ფეტი 132
ფურცელაძე ანტონ 22, 32—36, 41, 45,
50, 53, 55, 58, 59, 70—73, 80, 84, 88,
103, 104, 110, 129, 142, 149, 152, 153,
177, 178, 180, 202—203, 206, 210,
215—217, 219, 228—230, 235, 282—
284, 295, 297, 299, 301, 302, 304,
307—309, 311—313, 332, 372, 416,
421, 440, 443, 444, 452, 529, 542, 546,
547, 594, 595, 597—599, 629, 630, 631,
636, 639, 657
ფოგელი 104
ფობტი კარლ 676
ფშაველა ვაჟა 89, 122, 190, 537

ჭაქეარაძე ირ. 554
ქანანაშვილი ნიკოლოზ 115
ქართველი გიორგი (დ. ჯანაშვილი) 10, 11,
13, 247
ქართველიშვილი 106
ქართლელი ბაქარ (დიმიტრი ყიფიანი) 20
ქიქოძე მოსე 332, 595, 596, 597, 598
ქორიძე ზურაბ 693
ქოჩაყიძე გიორგი 367

ლაღანიძე მაქსიმე (ილია კაკეკეაძე) 36—
38, 41, 42, 45, 48, 51—53, 59, 60, 78,
237, 238
ლოლობერიძე ბესარიონ 286, 296, 433,
634, 686, 690, 692
ლოლობერიძე დავით 330
ლოლობერიძე ნიკო 18, 24, 25, 27, 73, 80,
91, 92, 105, 141, 240, 296, 321, 322,
330, 350, 359, 363, 386, 626, 690

შაზბეგი ალექსანდრე 445, 481, 537, 674,
698
ყაზბეგი გაბრიელ 698

ყაზბეგი გიორგი 82
ყაზბეგი დიმიტრი 417, 535, 536, 696,
697, 698—701
ყაზბეგი ელ. 700
ყაზბეგი ფილო 697
ყიფიანი ბარბარე 655, 659
ყიფიანი დავით 21, 23, 27, 32, 33, 35,
37, 42, 45, 70, 71, 73, 76, 81—84, 86,
88—96, 104, 105, 114, 228, 237, 240,
248, 249, 251—253, 257, 258, 264—
267, 269, 276, 279—281, 294, 296, 297,
306, 309, 310, 315, 321, 629—631, 634,
635, 637, 698
ყიფიანი დიმიტრი 43, 52, 75, 86, 98, 96,
105, 113, 228, 234, 244, 246, 302, 387,
417, 435, 531, 533—535, 551, 625, 628,
629, 634, 639, 643, 657
ყიფიანი მიხეილ 37—45, 48, 52, 56, 58—
66, 78, 82, 84, 86, 88—90, 103, 104,
113—117, 199, 628, 629, 634, 653
ყიფიანი ნიკოლოზ 6, 27, 62, 86, 87, 92,
104, 150, 251, 274, 283, 297, 301, 302,
314, 315, 435, 437, 514, 546, 576, 587,
594, 626—628, 630—636, 639, 640,
642—644, 646—649, 651—659, 675
ყიფიანი ქაიხოსრო 89
ყიფშიძე ალ. 390

შადური ე. 137
შანშიაშვილი დ. 40
შარაძე გურამ 65—67
შარვაშიძე გიორგი 692, 693
შაროვეი ნიკ. 597
შევალიე 604
შერვაშიძე მიხეილ 687, 688
შერვაშიძე გ. 552, 689
შეჩენჯო ტარას 12, 491
შენიე ანდრე (იხ. ანდრე შენიე) 161, 203
შექსპირი უილიამ 43, 95, 114, 215, 233,
551, 553, 639
შველიძე ზ. 601
შილერი ფრიდრიხ 484, 633
შლეინერი 446
შლოსერი 399
შუბლაძე ივანე 119
შულტე-დელიჩი 399, 421, 597
შულლიაშვილი დ. 552

ჩაიკოვსკაია 472, 473
ჩარეკიშვილი პ. 304
ჩახრუხაძე 236
ჩერნიშევსკი ნიკოლოზ 82, 89, 90, 187,
204, 205, 222, 241, 242, 244, 255, 256,
261, 265, 269, 294—297, 299, 300, 306,
335, 365, 390—392, 399, 442, 491, 493,
505, 508, 524, 561, 564, 567, 568, 584,
585, 595, 602, 631, 633, 647, 655, 698
ჩერნიაევი 107, 108
ჩერქეზიშვილი ვ. 87
ჩოგიანი მის. 286
ჩიკვაძე (ჩიკოძე) მიხეილ 23, 34, 35,
75, 81, 84, 88, 130, 131, 201, 202
ჩიკვილაძე დ. 347, 348
ჩიტორელი სფირიდონ (ი. ქაქავაძე)
27, 37, 41, 55, 56, 58, 59, 62, 65—
69, 77, 137, 216, 222, 223
ჩიქოვანი ალექსანდრე 128
ჩიქოვანი გ. 34, 43, 52, 58, 59, 75, 82,
84, 88, 128—130, 202, 203, 538, 594
ჩოლოყაშვილი ელენე 88
ჩომახიძე სიმონ 358
ჩუბინაშვილი დავით 39, 74, 310
ჩხორტუა (ჩქორტუა) დავით 390, 399, 402,
407, 409, 411, 415, 428, 479, 687—689,
690—696
ჩხორტუა (ჩქორტუა) ზურაბ 687
შაგარელი ალ. 86, 135, 152, 175, 178,
439, 498
ცაიშვილი სოლ. 696
ციციშვილი რაჟდენ 358
ცხევაძე ა. 360
ცხევაძე ნიკ. 105, 393, 396, 397, 399,
402, 409, 411, 424, 428, 567, 577
წერეთელი აკაკი 13, 24, 140, 150, 159,
165, 183, 203, 234, 235, 296, 297, 304,
346, 424, 473—476, 480, 528, 549,
550, 553, 560, 601, 602, 674, 690, 692
წერეთელი გიორგი: 10, 23, 27, 35, 37,
40, 41, 43, 60, 76, 81, 82, 84, 87, 88,
91, 96, 97, 125, 182, 195, 213, 214,
231—235, 237, 259, 267, 268, 285,
296, 307, 309, 310, 321, 322, 331, 332,
342—349, 354, 359—361, 371, 372,
374, 386, 389, 390, 395, 397, 399—402,

404, 405, 407, 409, 415, 416, 419—
421, 425, 426, 429, 430, 433, 434, 440,
444, 445, 447, 461, 517, 518, 520—525,
527, 529, 539, 540, 545, 546, 548—
550, 555—557, 567, 568, 576, 580, 581,
583, 584, 586, 591, 593, 594, 598, 600,
601, 602, 617, 624, 677
წერეთელი ექვთიმე 24
წინამძღვრიშვილი გრ. 23, 30, 82, 83,
130, 153, 154, 200, 466, 469
წულუკიძე პელაგია 67
შაქვაძე ალექსანდრე 76, 78, 125, 141,
143, 164, 165, 214, 215, 447—449, 494,
502, 560, 591, 628
შაქვაძე ეკატერინე 637
შაქვაძე ილია 5—9, 13—18, 21—42,
45—57, 59—76, 78—92, 95—100, 102,
104—106, 109—111, 113, 114, 116,
117, 119—122, 125—131, 134—137,
139—145, 148—162, 165—167, 170,
172, 174, 176—177, 180—183, 187, 188,
191, 193, 195, 197—200, 203, 204,
206—225, 227—231, 236, 237, 240—
246, 251—257, 259, 261—264, 267,
272, 277, 278, 283—287, 294, 296—
315, 317—326, 330, 331, 336, 346,
347, 349, 360, 362—367, 387, 389,
390, 416, 417, 433, 436, 445, 447—449,
454, 455, 457, 458, 460—463, 465—
473, 479, 485, 486, 495, 496, 498—501,
503—506, 510, 512, 513, 514, 517, 518,
536, 537, 546, 550—552, 558, 560,
561, 567, 571, 575, 576, 578, 579, 586,
587, 592, 594, 599, 602, 603, 605, 606,
625, 630, 634, 635, 655, 673, 674,
686, 690, 692, 695, 698, 700, 701
შაქვაძე ლიზა 131
შაქვაძე ნიკო 118, 644
შალაღდელი გიორგი 367, 447, 479—
482, 660, 687
შილაშვილი იაგორ (გიორგი) 627
შილაშვილი ნინო 627
შილაძე ვარ. 67
შიქინაძე ალექსი 672, 673
შიქინაძე ზაქარია 7, 12, 28, 30, 37, 38,
41, 49—54, 71, 72, 91, 105, 120, 121,
123, 129, 130, 242, 243, 262, 274, 325,

- 333, 342, 345—347, 350, 351, 353,
356, 359, 360, 369, 375, 376, 377,
459, 599
- კონქაძე დანიელ 10, 12, 124, 166, 210,
296
- კრელაშვილი ლ. 65—69
- კრელაშვილი სტეფანე 92, 176, 396
- კურღულია ოთარ 691
- ხატისოვი 361
- ხახანაშვილი ალ. 321, 480
- ხეთაგუროვი კოსტა 116, 117
- ხელაშვილი ი. 40
- ხელაძე ექვთიმე 359
- ხომასურიძე ბეჟან 332
- ხონელი ი. (ილია ბახტაძე) 62
- ხოროშევსკი ვლადისლავ 285, 523, 524
- ხუნდაძე სილოვან 112, 152, 265, 332,
333, 335, 342, 343, 350, 354, 368, 371,
372, 376, 389, 390, 525
- ხუციშვილი ანტონ (ალექსანდრე ცაგა-
რელი) 325
- ხუციშვილი მ. 286
- ხუციშვილი სოლ. 32—34, 36, 85, 129,
130, 141, 175, 240
- ჯაბადარი ალ. 40
- ჯაფარიშვილი ივანე 62, 66
- ჯანაშვილი დ. 593, 595—597
- ჯანაშია სიმონ 696
- ჯანდიერი ბარბარე 118
- ჯანდიერი გიორგი 118, 119
- ჯანდიერი (ჯანდიერაშვილი) ლევან 35, 37,
43, 46, 47, 52, 76, 82, 84, 86, 88,
104, 117—123, 358
- ჯანდიერი სალომე 121
- ჯაფარიძე ბესარიონ 358, 369, 390; 415,
479, 675—687, 690, 692
- ჯიმურიძე მ. (ილია ჭავჭავაძე) 30, 66, 74,
76, 166, 181
- ჯორჯაძე არჩილ 33—35, 82, 84, 88, 125,
254, 263, 307, 342, 350, 599
- ჯორჯაძე ბარბარე 15, 16, 224, 226, 313,
630
- ჰაინე ჰაინრიჰ 255, 484, 498—500
- ჰეგელი 231, 243
- ჰიუგო ვიქტორ 75, 129, 202, 203, 252,
253, 255, 274, 295, 355, 377, 484, 502,
584, 632, 633, 655
- ჰოლბახი 255

ს ა რ ჩ ე ვ ი

უურნალი „საქართველოს მოამბე“

შესავალი	5	მხატვრული თარგმანი	197
გამოცემის ორგანიზაცია და ტექნიკური პირობები	18	მის. ლერმონტოვი	199
ფსევდონიმები და ანონიმები	30	„ჩვენი დროების გმირი“	199
ფსევდონიმები	31	„სიზმარი“ („Сон“)	200
ანონიმები	70	აღ. გრიბოედოვი	200
ნ. დობროლიუბოვი	71	„უბედური კუკისაგან“ („Горько от ума“)	200
„შემა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი“	71	„ოთხი შეხვედრა“	201
ს. ბარათაშვილი	73	ნიკ. პაულოვი	202
„საქართველოს ისტორია“	73	„თანამემგზაური“ (ლექსი)	202
„საქართველოს მოამბის“ შინაარსი	74	ვიქტორ პოუგო	202
თანამშრომლები	79	„საბრალონი“	202
დავით ყიფიანი	89	ანდრე შენიე	203
პეტრე ნაკაშიძე	96	„ზღუთა მფლობელის“	203
ვახტანგ თულაშვილი	103	ლიტერატურული კრიტიკა	203
სულხან ბარათაშვილი	106	ილია ქვეკვაძე	217
მიხეილ ყიფიანი	113	„საქართველოს მოამბეზედ“	217
ლევან ჭანდიერი	117	„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“	221
ივანე ბერიძე	123	„სხარტულა“	228
გიორგი ორბელიანი	125	გიორგი წერეთელი	231
ისტატი მალალაშვილი	126	„ცისქარს რა აკაკუნებდა?!“	231
გიორგი ჩიქოვანი	128	კირილე ლორთქიფანიძე	236
მიხეილ ჩიქვაძე	130	„ბიძია თონიკეს სტატიის გამო“	236
მხატვრული ლიტერატურა	131	„ამაო ამაოთა“	236
პოეზია	138	საბაეშეო ლიტერატურის საკითხები	237
ილია ქვეკვაძე	141	„პუბლიცისტიკა“	240
ნიკოლოზ ბარათაშვილი	162	სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა პუბლიცისტიკაში	261
გრიგოლ ორბელიანი	164	ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები პუბლიცისტიკაში	276
ალექსანდრე ბარათაშვილი	164	„საქართველოს მოამბე“ და რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული პრესა	295
გიორგი ორბელიანი	165	პოლემიკა	300
პროზა	166	გამოცემის სიძნელეები და დახურვის მიზეზები	314
ილია ქვეკვაძე	166		
„კაცია-ადამიანი?!“	166		
„გლახის ნაამბობი“	181		
ივანე ბერიძე	192		
„უცნაური ნიშნობა“ (თბილისის საიდუმლო“)	192		
მოგზაურობა	194		
დრამატურგია	195		
გ. ერისთავი	195		
„შეშლილი“	195		
სამსონ აბაშიძე	197		
„ლოტო“	197		
		„უურნალი ძრებულნი“	
		დაარსება და სარედაქციო-ტექნიკური მუშაობის საკითხები	329
		დაარსება	329

სახელწოდება	335	„წყლებზე“	531
პროგრამა	336	ლიმიტრი ყაზბეგი	535
რედაქტორი	342	„მაენე სულები“	535
პერიოდულობა	350	იასონ ნათაძე	536
ტირაჟი, ფასი და გაერცელება	356	„მგზავრის შენიშენები“	536
სტამბა	359	პროზაული თარგმანებრ	538
რედაქცია	360	ნ. გოგოლი	538
ტექნიკური გაფორმება	361	„რახე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანის	
ცენზურა	362	ივან ნიკოლოზოვიჩთან“	538
ფსევდონიმები და ანონიმები	366	„შინელი“	539
ფსევდონიმები	368	ალ. გერცენი	
ანონიმები	372	„დოქტორ კრუპრვის თხზულებიდან	
„კრებულის“ ნომრების შინაარსი	377	კაცობრიობის სულის ავადმყოფობა	
პუბლიცისტიკა	386	და იმის გადამღებობა“	539
მხატვრული ლიტერატურა	434	ქონათან სვიტტი	540
პოეზია	447	„გელივერის მოგზაურობა“	540
ალექსანდრე ჰავკავაძე	448	ევენი სუ	542
გრიგოლ ორბელიანი	450	„მიმომავალი ურია“	542
ნიკოლოზ ბარათაშვილი	454	ეორე ზანდი	543
ვახტანგ ორბელიანი	459	„პიერ ჰუგენონი“	543
ილია ჰავკავაძე	460	ეკჰმან შატრაიანი	544
აკაკი წერეთელი	473	„დალოციელი ძველი დროება“	544
მამია გურიელი	476	დრამატურგია	545
გიორგი ჰალაღიდელი	479	გ. ერისთავი	545
ლიმიტრი მელნიკოვიჩი	483	„დაეა“	545
პოეტური თარგმანი	483	გ. წერეთელი	546
ა. ს. პუშკინი	485	„ჰიბრი“	546
მ. ი. ლერმონტოვი	486	რაფ. ერისთავი	549
ნ. დობროლიუბოვი	489	„სურათები ჩვენი ხალხის ცხოვერ-	
ა. ნ. პლეშჩეევი	491	ბიდან“	549
ი. ს. ნიკიტინი	493	აკაკი წერეთელი	549
ეოლტერი	494	„სცენა საპატიმროში“	549
ბაირონი	495	თარგმანი	550
ჰანრიკ ჰაინე	498	უილიამ შექსპირი	551
თომას მური	501	„მეფე ლირი“	551
ვიქტორ ჰიუგო	502	მოლიერი	553
პროზა	503	„სკაპენის ცელუტობა“	553
ილია ჰავკავაძე	503	იოჰან-ვლფგანგ გოეთე	555
„გლახის ნამბობი“	503	„ეგმონტი“	555
„მგზავრის წერილები“	513	ფოლკლორი	557
გიორგი წერეთელი	517	ლიტერატურული კრიტიკა	559
„მგზავრის წიგნები“	517	პოლემიკა	592
„ჩვენი ცხოვერების ყვაილი“	525	პეტრე ჴშიკაშვილი	602
აკაკი წერეთელი	528	ნიკოლოზ ყიფიანი	626
„საუბარი ორთაშუა“	528	ივანე მენსხი	660
ნიკო ნიკოლაძე	529	ბესარიონ ჭაფარიძე	675
„მელაღუმე“	529	დავით ჩხოტუა	687
„სხვათა შორის“	530	ლიმიტრი ყაზბეგი	696
დავით ერისთავი	531	სახელთა საძიებელი	702

Каландадзе Александр Павлович
ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОЙ ЖУРНАЛИСТИКИ, III (1863-1871)
(на грузинском языке)

გამომც. რედაქტორი ნ. ნარსია
შხატერული რედაქტორი გ. ზაკალაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ძნელაძე
უფრ. კორექტორი ც. ცინცაძე
კორექტორი ნ. ჩხიკეიშვილი
გამომშეები ლ. დავითური

ИБ № 2645

გადაეცა ასაწყობად 24.12.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.05.85. ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 1, გარნიტურა ჩვ. თეთრ. კორპ. კვ. 10. ბეჭდვის ხერხი მალაღი. საღებავგატარება 44,5. ნაბეჭდი თაბახი 44,5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 40,55.
უე 00985. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 2954.

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатლება», Тбилиси, ул. Орджоникидзе 50.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. წიგნის ფაბრიკა, შეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственно-го комитета Грузинской ССР по делам издательства, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.